www.PDF.ChiaturaINFO.GE




# სალმან რუშდი

# შუალამის შვილები

სალმან რუშდი

# შუალამის შვილები

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო რამიშვილმა

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა
www.PDF.ChiaturaINFO.GE

# სალმან რუშდი და მისი რომანი „შუაღამის შვილები“

როგორ წიგნს დაწერდა გაბრიელ გარსია მარკესი, ინდოელი რომ ყოფილიყო? ამ, ერთი შეხედვით, აბსურდულ კითხვაზე სრულიად კონკრეტული პასუხი მაქვს – ისეთს, როგორიც დაწერა სერ სალმან რუშდიმ.

როდესაც „შუაღამის შვილების“ კითხვას შევუდექი, გამახსენდა ყრმობა და ის შთაბეჭდილება, – ისეთივე ძლიერი, ზღვის უეცრად მოვარდნილი ტალღა რომ დაგატყდება და ქვიან ფსკერზე დაგანარცხებს, – რომელიც ჩემზე „მარტოობის ასმა წელიწადმა“ მოახდინა. მაშინ 13-14 წლისა ვიქნებოდი, ალბათ.

ჰოდა, წარმოიდგინეთ, როგორ მესიამოვნებოდა, როდესაც სერ სალმან რუშდის შემოქმედებაზე ინტერნეტში მოძიებული მასალების გაცნობისას აღმოვაჩინე, რომ კრიტიკოსთა წარმოდგენით, ორივე მწერალი ერთი და იმავე ჟანრის, „მაგიური რეალიზმის“ დიდოსტატად მიიჩნევა... ანუ ინტუიციამ სწორად მიკარნახა!.. მართალია, კრიტიკოსებს თავისი კლიშეები თუ სტერეოტიპები აქვთ, ზოგჯერ ერთობ ხელოვნურიც, – აბა, როგორღაც ხომ უნდა განსაზღვრონ ჟანრობრივად, დააჯგუფ-დაახარისხონ გარეგნულად თუ შინაარსობრივად მეტ-ნაკლებად განსხვავებული ნაწარმოებები, – მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ნამდვილად მართლები არიან.

„შუაღამის შვილები“ რეალისტური ქრონიკაა ერთი ინდური ოჯახისა, პაკისტანში რომ გადადის საცხოვრებლად, ოღონდ ეს რეალიზმი, სინამდვილეში, „ზერეალიზმია“ – ანუ ფანტასტიკურია, ზღაპრული, მოკლედ, „მაგიურია“ და ამიტომაც ახდენს ესოდენ „მოვარდნილტალღისებურ“ შთაბეჭდილებას.

რომანის სიუჟეტს ზოგად შტრიხებში მოვხაზავ, ალბათ, მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ, – და, რაც მთავარია, იმედია, წიგნის წაკითხვის სურვილი გაგიჩნდებათ!

რომანის მთავარი გმირი, სალიმ სინაი, დაიბადება 1947 წლის 15 აგვისტოს შუაღამეს – ეს ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღია. როგორც მოგვიანებით ირკვევა, იმ ღამით, თორმეტიდან პირველ საათამდე, გაჩენილ ბავშვებს აქვთ პარანორმალური, ზეადამიანური თვისებები, არიან ტელეპათები, აქვთ საოცარი ყნოსვა, შეუძლიათ შეიცვალონ სქესი და ა.შ. ეს უნარ-თვისებები მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ახლოსაა ბავშვის დაბადების მომენტი შუაღამის 12 საათთან.

თხრობა იწყება სალიმის პაპის, ექიმ ადამ სინაის დაბრუნებით ქაშმირში, სადაც მისი ერთ-ერთი პირველი პაციენტი ხდება მეზობელი მდიდარი მემამულის ქალიშვილი. მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, გასათხოვარი ქალიშვილი უცხო მამაკაცმა გაშიშვლებული არ უნდა ნახოს, ამიტომ ავადმყოფს თეთრ ზეწარში ამოჭრილი ხვრელიდან, სხეულის სხვადასხვა ადგილის დათვალიერებით სინჯავენ. ადამს მომავალი მეუღლე ასე, ნაწილ-ნა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წილ უყვარდება. შეიძლება ითქვას, ზეწარს მიღმა დანახული ქალიშვილი სიმბოლურად ინდოეთს განასახიერებს: შებურულს, ამოუცნობს, მაგრამ თან მშვენიერს, მრავალსახოვანს. სალემის მდიდარი მშობლები დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ინგლისელი კოლონისტისგან ყიდულობენ მდიდრულ ვილას, – ბომბეიში სახლდებიან. დამოუკიდებლობის გამოცხადების ღამეს სალიმის დედასთან ერთად იმავე საშობიაროში ბავშვს აჩენს მოხეტიალე მომღერლის ცოლი, რომელსაც შვილი სინამდვილეში იმ კოლონისტისგან ჰყავს. მეანი ქალი ჩვილებს ნომრებს შეუცვლის. შედეგად, ბავშვები უცხო ოჯახებში ხვდებიან – იცვლება მათი მომავალი. მოგვიანებით საიდუმლო გამომჟღავნდება, თუმცა, სალიმი კვლავ იმ ოჯახში რჩება, სადაც თავიდან მოხვდა, და განაგრძობს ტელეპათიურ სეანსებს შუაღამისას დაბადებულ ბავშვებთან, – ისინი საიდუმლო ერთობას ქმნიან, თუმცა მათ შორის დაპირისპირებაც იჩენს თავს... სალიმ სინაის ცხოვრება ქვეყნის ბედის პარალელურად ვითარდება – ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი მოვლენების კვალდაკვალ. ეს მოვლენები და მთავარი გმირის ცხოვრება (ისევე, როგორც შუაღამისას სხვა დაბადებულებისა) დრამატულია და ტრაგიკულიც კი. წიგნში ასევე შეხვდებით ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ინდირა განდის (სხვათა შორის, მან ავტორს ბრიტანეთის სასამართლოში უჩივლა ცილისწამებისთვის, თუმცა პროცესი ვერ მოიგო).

სერ სალმან რუშდის ამ არაჩვეულებრივ წიგნზე სიტყვას ალარ გავაგრძელებ – ქართველ მკითხველს ეძლევა საშუალება, მშობლიურ ენაზე წაიკითხოს ეს საოცრად საინტერესო რომანი, რაც ნამდვილად დიდი საჩუქარია.

მკითხველს, ალბათ, უკვირს, რატომ ვხმარობ სალმან რუშდის, წარმოშობით ინდოელი მწერლის მისამართით ინგლისურ არისტოკრატიულ ტიტულს – „სერ“-ს? მაგრამ საქმეც ის არის, რომ 2007 წელს დედოფალმა ელისაბედმა სალმან რუშდის ბარონეტის, ანუ რაინდის წოდება მიანიჭა...

ახლა სერ სალმან რუშდის (სრული სახელია აჰმედ სალმან რუშდი) ბიოგრაფიაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა:

დაიბადა 1947 წელს ბომბეიში (ამჟამად მუმბაი). მამამისი, ანის რუშდი, შეძლებული ბიზნესმენი გახლდათ, თანაც კემბრიჯის უნივერსიტეტდამთავრებული. ოჯახი მუსლიმური იყო. პირველად სალმანი შეეძინათ, შემდეგ სამი გოგონა.

მომავალმა მწერალმა კარგი განათლება მიიღო – ბომბეის კომერციული სასწავლებლიდან ინგლისის პრესტიჟულ სკოლა-პანსიონში, „რაგბისქულში“ მიაბარეს. მერე იყო კემბრიჯის უნივერსიტეტის სამეფო კოლეჯი. ინდოეთ-პაკისტანის ომის შემდეგ მისი ოჯახი პაკისტანში, კარაჩიში გადასახლდა. ერთხანს ტელევიზიაში მუშაობდა. თუმცა მალევე დაბრუნდა ინგლისში და კოპირაიტერობას (მერეკლამეობას) მიჰყო ხელი. 1964 წელს ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო და მას მერე ინგლისში ცხოვრობს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველი რომანი „გრიმუსი“ (1975) ყურადღების მიღმა დარჩა. სამაგიეროდ, მეორე რომანმა, „შუალამის შვილები“ (1981), პრესტიჟული „ბუკერის“ პრემია მოუტანა, თანაც სამჯერ - ბოლოს 2008 წელს, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესომ „ბუკერის“ 40-წლიან ისტორიაში.

სერ სალმან რუშდის სკანდალური პოპულარობა მოუტანა რომანმა „სატანური ლექსები“, რომელიც მუსლიმებმა მათი წინასწარმეტყველის, მუჰამედის შეურაცხყოფად აღიქვეს. ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰომეინიმ ოფიციალურად განაცხადა: რუშდის მოკვლა ალაჰისთვის სათნოათ და მკვლელისთვის ფულადი ჯილდოც დაუწესა (ჯილდო რამდენჯერმე გაიზარდა და ამჟამად 3,3 მილიონ დოლარს შეადგენს).

მიუხედავად მწერლის თავზე დაკიდებული მუსლიმური „დამოკლეს მახვილისა“, იგი თავს კარგად გრძნობს, თუმცა კარჩაკეტილად ცხოვრობს, იძულებულია ინგლისის პოლიციის მუდმივი დაცვა ჰყავდეს. თუმცა ბოლო ხანს მწერალი უკვე ბედავს საზოგადოებაში გამოჩენას, ეპიზოდური როლიც კი შეასრულა მხატვრულ ფილმში „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“, სადაც საკუთარი თავი განასახიერა.

სერ სალმან რუშდის ოთხი ცოლი ჰყავდა: ინგლისელ მსახიობ კლარისა ლუარდთან შეეძინა ვაჟი, ზაფარი; ამერიკელ მწერალ მარიანა უიგინსისთან შვილი არ ჰყოლია; ბრიტანელ გამომცემელ ელიზაბეტ ვესტისთან ჰყავს ვაჟი მილანი; მეოთხე ცოლს, ინდოელ კინომსახიობს, მოდელსა და ტელეწამყვან პადმა ლაკშმის 2007 წელს გაშორდა. მასთან შვილი არ ჰყავს და ჯერჯერობით არც მეხუთე ცოლი შეურთავს.

2004-2006 წლებში სერ სალმან რუშდი საერთაშორისო პენ-ცენტრის პრეზიდენტი გახლდათ.

**ირაკლი ლომოური**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*ვუძღვნი ზაფარ რუშდიხ,*
*რომელიც ყველას განსაცვიფრებლად ნაშუადღევს დაიბადა*

# წიგნი პირველი

## გახვრეტილი ზეწარი

ოდესღაც დავიბადე ქალაქ ბომბეიში... არა, ასე არ გამოვა, თავს ისე ვერ დავიძვრენ, თარიღი არ ვახსენო: დავიბადე ექიმ ნარლიკარის სამშობიარო სახლში, 1947 წლის 15 აგვისტოს. ზუსტად როდის? რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანია. მაშ ასე: გავჩნდი ღამით. არა, უნდა ვთქვა, რომ გავჩნდი შუაღამით, ფაქტობრივად მაშინ, როცა თორმეტმა ჩამოჰკრა. საათის ისრებმა ხელისგულები პატივისცემისა და მისალმების ნიშნად შეაერთეს, როგორც კი ამ ქვეყანას მოვევლინე. ოჰ, თუმცა, ბოლომდე უნდა ვთქვა: ინდოეთმა რომ თავისუფლებაში შეაბიჯა, ზუსტად იმ წამს გამოვბორძიკდი დედის მუცლიდან. ოთახში აღტაცების შეძახილები გაისმა, გარედან კი მაშხალებისა და ხალხის ხმაურმა შემოაღწია. სულ რამდენიმე წამის შემდეგ მამაჩემმა ფეხის ცერი მოიტეხა. თუმცა ეს შემთხვევა უბრალო წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც მე იმ ავბედით წამს გადამხდა. იმ ტირანი და ბნელით მოცული საათის გადამკიდე, ალერსიანად რომ მიესალმა ჩემს დაბადებას, თითქოს ხელბორკილი დამადესო, ისე გადავები ისტორიას და ჩემი ბედი ქვეყნის ბედს გადაეჯაჭვა სამუდამოდ. ამის მერე მთელი ოცდაათი წელიწადი საშველი არ დამადგა. მარჩიელებმა მიწინასწარმეტყველეს, გაზეთებმა ზეიმით აღნიშნეს ჩემი მოსვლა, პოლიტიკოსებმა ჩემი ნამდვილობა დაადასტურეს. მხოლოდ მე დავრჩი სიტყვაუთქმელი. მე, სალიმ სინაი, რომელსაც მოგვიანებით „ცხვირმოუხოცავი", „სახელგასვრილი", „მელოტი", „მეძებარი", „ბუდა" და „მთვარის ნატეხიც" კი შემარქვეს. მთელი ძალით ჩავეხვიე ბედის ბორბალში. იმ მომენტში ბედმა ისე საკვალალოდ ჩამიჭირა, რომ ცხვირის მოხოცვის თავიც არ მქონდა.

ასეა თუ ისე, დრო (რომელსაც ჩემს ჯინაზე მეტი საქმე არა აქვს) მირბის. მალე ოცდათერთმეტის გავხდები, ანდა, შესაძლოა გავხდე, თუ ჩემმა ჩამოფენცხილმა სხეულმა ინება. მაგრამ სიცოცხლის ხსნის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

არავითარი იმედი არა მაქვს. ვერც ათას ერთი ღამის ხილვის მითს ვენდობი. სწრაფად უნდა ვიმუშაო, შაჰრაზადაზე[1] სწრაფადაც კი, თუ მინდა რომ ბოლოს რაიმეს წარმოვადგენდე, — დიახ, წარმოვადგენდე. ვაღიარებ, ყველაზე მეტად უაზრობის მეშინია.

იმდენი რამეა მოსაყოლი, იმდენი ერთმანეთში გადახლართული ცხოვრება, მოვლენები, სასწაულები, ადგილები, ჭორები და კიდევ ამქვეყნიური თუ დაუჯერებელი ამბები ისე უხვად არის. მე სიცოცხლეთა ყლაპვის ოსტატი ვარ და ჩემს გასაცნობად, თუნდაც ჩემი ცხოვრების გასაგებად, თქვენც მოგიწევთ ამ ყველაფრის გადაყლაპვა. ჩასანსლული ბრბო ჩემში ერთმანეთს ეჯაჯგურება და ჭყლეტაზე გადადის. და რადგან ჩემს მეხსიერებას არ სცილდება ფართო თეთრი ზეწარი, რომელსაც შუაში სულ რამდენიმესანტიმეტრიანი დიამეტრის მქონე უხეშად ამოჭრილი მრგვალი ნახვრეტი აქვს, იმ გახვრეტილი ოთხკუთხედი ზეწრის ოცნებას ვეპოტინები, რომელიც ჩემი თილისმა და სეზამ გაიღეა; ერთი საქმის წამოწყებას ვაპირებ. ჩემი ცხოვრება უნდა გადავაკეთო სწორედ იმ წამიდან, როცა ჩავისახე სულ რაღაც ოცდათორმეტი წლის წინათ, და ეს ისე აშკარად მსურს, როგორც ახლა მე თქვენ გესაუბრებით და ისე ნამდვილად, როგორც ჩემი საათმართული და დანაშაულებით გათხუპნილი დაბადება მოხდა.

(ზეწარიც, შემთხვევით, სამი წვეთი ძველი, მიმხმარი სისხლით გაისვარა. ყურანი გვმოძღვრავს, რომ უფლის სახელით, გავიმეოროთ სიტყვები შემოქმედისა, რომელმაც ადამიანი სისხლის წვეთებისგან შექმნა).

1915 წლის ადრიან გაზაფხულზე, ერთ მშვენიერ ქაშმირულ დილას ბაბუაჩემმა, ადამ აზიზმა, ლოცვას რომ აპირებდა, ყინვისგან გაქვავებულ ბალახებიან მიწას ცხვირი დაარტყა. სამმა წვეთმა სისხლმა ისკუპა მარცხენა ნესტოდან და ყინვისგან გამაგრებული ზუსტად ბაბუას თვალწინ ლალის თვლებივით მიმოიბნა ხალიჩაზე.

ბაბუა, ჯერ ისევ დაჩოქილი, უკან გადაიხარა და თავი მაღლა აღაპყრო თუ არა, ნახა, რომ თვალზე მომდგარი ცრემლებიც გამაგრებოდა. იმ წუთას, როცა ზიზღით იცლიდა ბრილიანტებს წამწამთაგან, უკვე გადაწყვეტა არასოდეს მთხვეოდა მიწას არც ღმერთისა და არც კაცის გულისთვის. თუმცა ამ გადაწყვეტილებამ ბაბუას სულის სიღრმეში თავისუფალი კუნჭული გააჩინა, რამაც იგი განსაკუთრებულად მგრძნობიარე გახადა ქალებისა და ისტორიისადმი. მაგრამ იმ წუთას

---

[1] *შაჰრაზადი — სპარსული ზღაპრების ციკლის „ათას ერთი ღამის“ მთავარი გმირი ქალი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხომ ბაბუამ არ იცოდა, რა მოხდა. ამიტომ, ახალდასრულებული სამედიცინო წვრთნის მიუხედავად, წამოდგა, ხალიჩა სქელ, სიგარისებურ გრაგნილად გადაახვია, მარჯვენა იღლიაში ამოიდო და კრიალა, ბრილიანტებგაცლილი თვალებით მდელოს გადახედა.

ქვეყანა ისევ გაახლდა. ზამთრის ორსულობის დასრულებისთანავე გამოამტვრია ყინულის ნაჭუჭი სველმა და ყვითელმა მიდამომ. მიწის ქვეშ აფუთფუთებული ბალახი ამოსასვლელად ხელსაყრელ დროს ელოდა. მთები თბილი სეზონისთვის ემზადებოდნენ (ზამთარში, როცა მინდორი ყინულქვეშ ჩაიმალა, მთებმა კარები შეიკეტეს და ტბისპირა ქალაქს კბილებს ულრჭენდნენ).

იმ დროს ჯერ კიდევ არ აეშენებინათ რადიოგადამცემი ანძა და ხაკისფერ ბორცვზე აღმართული სანკარა აჩარიას პატარა შავი ტაძარი ქუჩებსა და შრინაგარის ტბაზე მეუფებდა. იმ დროს არც სამხედრო ბანაკი არსებობდა ტბის პირას, ჯერ კიდევ არსად იყო გველივით წაგრძელებული ავტოკოლონა კამუფლაჟით[1] შენიღბული სატვირთო მანქანებისა და ჯიპებისა, მთის ვიწრობებს რომ ხერგავენ; არც ჯარისკაცები იმალებოდნენ მთის შვერილებში ბარამულასა და გულმარგის იქით. იმ დროს მოგზაურებს ჯაშუშებივით არ ხოცავდნენ იმის გამო, რომ ხიდს ფოტო გადაუღეს; ტბაზე ინგლისელთა მცურავი სახლების გარდა, დიდი მოგოლების იმპერიის[2] მერე, მიდამო კარგა გვარიანად შეცვლილიყო. გაზაფხულის მოსვლამაც ხომ თავისი ქნა, მაგრამ ბა-

---

[1] *კამუფლაჟი (ფრანგ.) — (სამხ.) შენიღბვის ერთ-ერთი სახე — შენობების, ქვემეხების, ტანკების, თვითმფრინავების დაფარვა ლაქებით, ზოლებით, ხის ტოტებით, ფოთლებით ისე, რომ გაძნელდეს მათი გამოცნობა.*

[2] *დიდი მოგოლების იმპერია — იმპერია ინდოეთში, რომელსაც მართავდა დიდი მოგოლების დინასტია (1526-1858). იგი დააარსა თემურიდმა ბაბური მოგოლისტანიდან (ასე უწოდებდნენ იმ დროს შუა და ცენტრალური აზიის ტერიტორიას). აქედან წარმოდგა დინასტიის სახელწოდება. XVII საუკუნეში ევროპელმა მოგზაურებმა ამ დინასტიას „დიდი მოგოლები“ უწოდეს. დინასტიის წევრები ფადიშაჰის ტიტულს ატარებდნენ. მათმა იმპერიამ ძლიერების ზენიტს აქბარის მეფობისას მიაღწია. XVII საუკუნეში იგი მოიცავდა მთელ ინდოეთს (უკიდურესი სამხრეთის გარდა) და ქაბულს. კრიზისი დაიწყო ფადიშაჰების ჯაჰანგირისა (1605-1627) და შაჰ-ჯაჰანის (1627-1658) დროს, რაც აურანგზების (1658-1707) გარდაცვალების შემდეგ დიდი მოგოლების სახელმწიფოს დაშლით დამთავრდა. დიდი მოგოლების გამგებლობაში დარჩა ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთი და ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. 1738 წელს ირანის შაჰმა ნადირმა დაამარცხა დიდი მოგოლები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დიდი მოგოლების დინასტია ავღანებსა და მარათებს დაემორჩილა. 1803 წელს ინგლისის ოსტინდურმა კომპანიამ მიიტაცა დელი. დიდი მოგოლები ინდოეთს განაგებდნენ 1858 წლამდე, ვიდრე ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ არ გააუქმა ეს დინასტია.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბუას თვალები, მასაკით ოცდაბუთი წლისანი რომ იყვნენ, ყველაფერს სხვაგვარად უყურებდნენ... და ცხვირსაც ქვეული დააწყებინა.

ბაბუაჩემის გადასხვაფერებული ხელების საიდუმლო უნდა გაგიმჟღავნოთ. ძან ხუთი წელიწადი, ხუთი გაზაფხული სახლიდან შორს გაატარა (ბალახიანი მიწა, რიძლის მნიშვნელოვანება ხალიჩის ნაოჭმა დაფარა, ახლა კატალიზატორზე ძალალი არ მოგეჩვენებოდათ. დაბრუნდა თუ არა ბაბუა, ნაძოგზაურები კაცის თვალი შეაკლო ყველაფერს. ჰაჰაწინა, ლაბახი ველის ნაცვლად, რომელიც ყინულის უზარმაზარ კბილებს შემოეფარგლა, ბაბუამ ვიწრო, შემოსაზღვრული ჰორიზონტი შეამჩნია და მოიწყინა, რადგან სახლში იყო და თავს მაინც შეზღუდულად გრძნობდა. აუხსნელი, გაუგებარი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მშობლიურმა მიწამ უკუაგდო და არ მიიკარა. არ ეამა, რომ ასეთი მრავალსმნახველი და ყნოსვაგაფაციცებული დაბრუნდა. ზამთრის ყინულქვეშ ცივი და გულგრილი მიწა კიდევ უფრო უკარება გახდა. გერმანიაში გატარებულმა წლებმა შინ მტრული გარემოცვა დაახვედრა. მრავალი წლის შემდეგ, როცა მთელი მისი შინაგანი სიცარიელე ზიზღმა ამოავსო და მთაზე აღმართულ შავი ქვის ლმერთის ტაძარში წავიდა, რათა საკუთარი თავი მსხვერპლად შეწირა, რამდენჯერმე შეეცადა გაეხსენებინა ბავშვობის დროინდელი სამოთხის წყაროები იმ დროიდან, სანამ გაემგზავრებოდა და ბალახები და საძოვრო მანქანები გადაეკვეთნენ ირგვლივ ყველაფერს.

დილით, როცა ხალიჩის ხელოვნებამნიანმა მინდორმა ცხვირზე უჩქმიტა, თავი მოიკატუნა, თითქოს არაფერი შეცვლილა. საშინელი სიცივის მიუხედავად, გამოწერილივით ხუთის თხუთმეტ წუთზე ადგა, დაიბანა, ისე როგორც ადრე სჩვეოდა, ჩაიცვა და მამამისის ნაქონი ასტრახანული ქუდი დაიხურა. ამის შემდეგ სიგარისებურად დახვეული ხალიჩა თავიანთი ძველისძველი, ჩაბნელებული სახლის წინ მდებარე პატარა ტბისპირა ბალში წაიღო და იქ, ბალახი რომ უცდიდა, იმაზე გაშალა. მიწა ფეხქვეშ მაცდურად დამყოლი მოეჩვენა, რამაც იმავდროულად დააეჭვა კიდეც და სიფრთხილეც მოუდუნა. „ღვთის სახელით მოწყალენი", — პირველი სიტყვები, რომელთაც წიგნივით ხელებშეერთებული წარმოთქვამდა, რალაცას ამშვიდებდა მასში, და რალაც უფრო დიდს აფორიაქებდა — „...დიდება ალაჰს, უფალ შემოქმედს", — მაგრამ ახლა ჰაიდელბერგი[1] შეიჭრა მის ტვინში; აქ იყო

[1] *ჰაიდელბერგი — ქალაქი გერმანიაში, ბადენიერტემბერგის მხარის ჩრდილოეთ ნაწილში.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინგრიდი, მოკლედ, მისი ინგრიდი, უსიტყვოდ რომ დასცინოდა იმის გამო, რომ თუთიყუშივით სულ მექა ეკერა პირზე. აი, მისი ანარქისტი მეგობრებიც, ოსკარი და აილსი, თავიანთი საწინააღმდეგო იდეოლოგიებით აბუჩად რომ იგდებდნენ მის ლოცვას: „...თანამგრძნობნი, მოწყალენი, საბოლოო განკითხვის მეუფე!“ ჰაიდელბერგში მედიცინისა და პოლიტიკის გარდა ისიც ისწავლა, რომ თურმე ინდოეთი რადიუმივით ევროპელებს „აღმოუჩენიათ“; ოსკარი კი ვასკო და გამათი[1] იყო აღტაცებული, და ეს იყო ის რწმენა, რაც საბოლოოდ, ადამ აზიზს თავისი მეგობრებისგან გამოყოფდა; რწმენა, რომ ის მათმა წინაპრებმა გამოიგონეს — „მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და შემწეობას გეაჯებით“, — და აი, ახლა აქ იყო, და მიუხედავად იმისა, რომ გონებაში ისინი ჰყავდა, ცდილობდა, ისევ თავის პირვანდელ მეს შეერთებოდა, რომელიც არაფრად აგდებდა მათ გავლენას და ყველაფერი იცოდა, რაც უნდა სცოდნოდა. მაგალითად, მორჩილების შესახებ, იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა ახლა, როცა ძველი მოგონებებით აცახცახებული ხელები მაღლა აიქნია, ცერა თითები ყურებში გაირჭო, თითები გაფარჩხა და მუხლებზე დაეშვა — „...წაღმა გზით გვატარე შენი რჩეულნი“, მაგრამ ამაში კარგი არაფერი იყო, თავი ორცეცხლშუა წაიჭირა, რწმენისა და ურწმუნოების მახეში გაება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ თავის მოკატუნება იყო და სხვა არაფერი... „... არა, ისინი, ვინც შენ განგარისხა, და არც ისინი, ვინც შენ განგიდგა“. ბაბუამ შუბლი მიწას მიადო, წინ დაიხარა და ხალიჩიანი ბალახიც მისკენ ამოიბურცა. ახლა ხომ ბალახის ჯერი იყო. აილს-ოსკარ-ინგრიდ-ჰაიდელბერგისა და მინდორ-ღმერთის კიცხვამ ერთსა და იმავე დროს მოუწია და პირდაპირ ცხვირის წვერზე დაეტაკა. სამიოდ წვეთი: ლალი და ბრილიანტი დაეცა მიწას. ბაბუაჩემი უცებ წამოიმართა. რაღაც გადაწყვიტა. ადგა. ფარდაგი დაახვია. ტბას გახედა. და სამუდამოდ მიაცივდა იმ შუაგულ ადგილს. ამიტომ უკვე აღარ შეეძლო თაყვანი ეცა ღმერთისთვის, რომლის არარსებობაში ბოლომდე მაინც ვერ დარწმუნდა. მხოლოდ მის სულში გაჩენილი სიცარიელე ამოივსო სამუდამოდ.

ახალგაზრდა, ახალკვალიფიცირებული ექიმი ადამ აზიზი იდგა, გაზაფხულის ტბას გაჰყურებდა და ცვლილების სუნი მოსდიოდა.

---

[1] *ვასკო და გამა (1460/1469-1524) — პორტუგალიელი მოგზაური და მკვლევარი, რომელმაც პირველად გაცურა ევროპიდან ინდოეთამდე. იგი ამ მოგზაურობისას გარდაიცვალა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა ზურგი (რომელიც უჩვეულოდ სწორი ჰქონდა) ბევრ ცვლილებას აქცია. მამამისს გულის შეტევა დაემართა მის აქ არყოფნაში, დედამ კი დაუმალა. დედის ვაჟკაცური ხმა ჩასჩურჩულებდა: „შენი სწავლა ხომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, შვილო“. დედამ, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი შინ გაატარა, ჩადრჩამოფარებულმა, უცებ უშველებელი ძალა იპოვა საკუთარ თავში, რათა წასულიყო და ძვირფასი თვლებით (ზურმუხტის, ლალისა და ბრილიანტის) ვაჭრობის ბიზნესს გასძღოლოდა, რის მეოხებითაც ადამი სამედიცინო კოლეჯში ჩაირიცხა და სტიპენდიაც დაენიშნა. უკან დაბრუნებულ ადამს ოჯახის მოჩვენებითად უცვლელი წესრიგი თავდაყირა დახვდა: დედა სამსახურში დადიოდა, მამა კი აი, იმ ფარდის უკან დამალულიყო, შეტევამ მის ტვინს რომ ჩამოაფარა... იჯდა ხის სკამზე, ჩაბნელებულ ოთახში და ჩიტების ხმას ჰბაძავდა. ოცდაათი სახეობის ჩიტი სტუმრობდა. ჩამოსხდებოდნენ დახურული ფანჯრის რაფაზე და ამ მთისა და იმ მთის ამბებს უყვებოდნენ. საკმაოდ ბედნიერი ჩანდა.

(...და მე უკვე გამეორების დასაწყისს ვხედავ; რამეთუ ბებიაჩემმაც ხომ იპოვა უშველებელი... და შეტევაც არ იყო ერთადერთი... და თითბრის მაიმუნს თავისი ჩიტები ჰყავდა... წყევლა უკვე იწყება, და ჩვენ ჯერ ცხვირებამდეც კი ვერ მივაღწიეთ!).

მდინარე აღარ იყო გაყინული. ლღობა, ჩვეულებრივ, სწრაფად დაიწყო; ბევრ პატარა ნავს თვლემამ მოუსწრო, რაც ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ სანამ ეს მცონარე გემები ძილს განაგრძობდნენ, მშრალ მიწაზე, პატრონების გვერდით მშვიდად ხვრინავდა ძველთაძველი გემი, ბებერი კაცივით დაფენცხილი, თუმცა პირველი, რომელსაც ტბაზე გასვლა სურდა. თაის შიკარა...[1] ამაშიც არაფერია უჩვეულო.

ერთი ამ ბებერ მენავე თაის შეხედეთ, წაკუზული რომ დგას გემის კიჩოსთან, როგორ ნებივრობს ამღვრეულ წყალზე! მისი ნიჩაბი, ყვითელ ჯოხზე წამოცმული ხის გული როგორ ნჯღრევა-ნჯღრევით მიიკვლევს გზას სარეველებში! ამ დროს თაი უცნაურად გამოიყურება, რადგან ნიჩბებს ფეხზე მდგარი უსვამს... მისი უცნაურობის სხვა მიზეზები რომ არ ვახსენოთ. თაი, რომელიც სასწრაფოდ იძახებს ექიმ აზიზს, მოძრაობაში იწყებს ისტორიას... მაშინ, როცა ადამი წყალს

---

[1] *შიკარა — ხის ნავი, რომელიც უპირატესად ტბებზე გადასაადგილებლად გამოიყენება. გავრცელებულია ინდოეთში — შრინაგარის, ჯამუსა და ქაშმირის წყლებში.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაჰყურებს და იგონებს, თუ რა ასწავლა თაიმ წლების წინ: „ყინული ყოველთვის იცდის, ადამ, ბაბა, ზუსტად წყლის კანქვეშ იცდის“. ადამს თვალები ლია ლურჯი აქვს, მთის ცასავით საოცრად ლურჯი. ქაშმირულ მამაკაცებს თვალის გუგებში რომ ელვენთება; მათ არ ავიწყდებათ, როგორ უნდა იმზირონ. ხედავენ — აი, იქ! როგორც მოჩვენებას დალის ტბაში: დახვწილი ჩუქურთმა, უფრო ხაზთა რთული შეერთება, მომავლის ცივად მომლოდინე ხასიათი. გერმანიაში გატარებულმა წლებმა, რომელმაც ბევრ სხვა რამეს ხაზი გადაუსვა, დანახვის უნარი ვერ წაართვა. ეს თაის ნიჭიც არის. ბაბუა იყურება და ხედავს, თუ როგორ ახლოვდება თაის გემი. ხელს უქნევს და ესალმება. თაის ხელი მაღლა იწევს, მაგრამ არა მისალმების ნიშნად, ეს ბრძანებაა: „მოიცადე!“ ბაბუაც იცდის; და ამასობაში, სანამ ის ცხოვრებაში უკანასკნელ შვებას განიცდის, თუმცა ატალახებულ და ავბედით შვებას, მე შემთხვევით ვისარგებლებ და დავახასიათებ მას. მომხიბლავი გარეგნობის მამაკაცისადმი შეუხედავის ბუნებრივ შურს გვერდზე გადავდებ და ობიექტურად ვიტყვი, რომ ექიმი აზიზი მაღალი იყო. თავისი სახლის კედელზე მიბჯენილი ბაბუა ოცდახუთი აგურის სიმაღლეს სწვდებოდა (თითო აგური მისი სიცოცხლის თითო წელიწადს შეესაბამებოდა) ან, ზუსტად რომ ვთქვათ, სიმაღლით ექვს ფუტს[1] შეადგენდა. ძლიერი კაცი იყო. სქელი და წითელი წვერი ჰქონდა, რაც დედამისს აღიზიანებდა და ამბობდა, მხოლოდ ჰაჯიმ უნდა მოუშვას ასეთი წითელი წვერი, კაცმა, რომელიც მექაშია ნამყოფიო. ბაბუას თმა უფრო მუქი ჰქონდა. მისი ცისფერი თვალების შესახებ უკვე იცით. ინგრიდს ბაბუასთვის უთქვამს, ბუნებამ გასაგიჟებელი ფერები შეარჩია შენი სახის შესაქმნელადო, მაგრამ ბაბუაჩემის უმთავრესი ანატომიური მახასიათებელი არც ფერი იყო და არც სიმაღლე, არც მკლავთა ძალა და არც ლარიკით სწორი ზურგი. მაშ რა? აი, ახლა, წყალში ირეკლებოდა მისი სახის ცენტრში მოთავსებული და წყლის სარკეში შეშლილი ყაბაყივით მოლაპლაპე ცხვირი... ადამ აზიზი თაის ელოდება და თან თავის ცხვირს უყურებს, წყლის სარკეში რომ ქანაობს. ასეთი რამ იოლად იქონიებდა გავლენას ნაკლებ დრამატულ სახეზე, ვიდრე ბაბუას ჰქონდა, მაგრამ ბაბუას ცხვირს თუ ერთხელ შეხედავდი, სამუდამოდ დაგამახსოვრდებოდა. „გრძელცხვირა“, — წარმოთქვა აილს ლუბინმა და ოსკარმა დაამატა:

---

[1] *ფუტი — ინგლისური ხაზომი. უდრის 30,48 სანტიმეტრს.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ხორთუმიანი“. ინგრიდმა შენიშნა, — ამ ცხვირზე ძალიან ოსტატურად გაეცლისო (ბაბუას ცხვირს ძალიან ჰქონდა ფარული). ასეთი იყო ეს ცხვირი: აფრიალებული ნესტოები ძალიან ფაფუკი ჩანდა, ნესტოებს შორის ცხვირის სატრიუმფო თალია აღმართული, ზემოთ და გვერდზე, შემდეგ ქვემოთ და ქვეშაც კი, ზედა ტუჩს რომ ეძალება და კარგა გვარიანად აჯდება ზედ წითელი წკიპურტიანი ეს ცხვირი ადვილად შეიძლება მიწას დაარტყა. მსურს ძალიერება გამოეხატა ამ უჩვეულოდ ძლიერი ორგანოსადმი. ის რომ არა, ვინ დამიჯერებდა, რომ დედაჩემის შვილი ვარ და ბაბუაჩემის შვილიშვილი? ეს უზარმაზარი აპარატი, ჩემი დაბადების უფლებაც რომ გახდა. ცხვირმა, რომელსაც მხოლოდ სპილოსთაეიანი ღმერთის, განეშის ხორთუმს თუ შევადარებ, ბაბუა უკომპრომისო ლიდერად აქცია. თაიმაც იგივე ასწავლა. როცა ჭაბუკი ადამი სიმწიფის ასაკში შეკიდა, ბებერმა ძენაკემ უთხრა: „მაგ ცხვირზე ოჯახის გამართვა შეიძლება, ჩემი პრინცესა. არც იმაში შევცდები თუ ვიტყვი, ასეთი ცხვირის მოდგმა საიდან მოდის. დიდი მოგოლების იმპერატორებიც კი ხელს ასწვდნენ მის წინაშე. ასეთ ცხვირში დინასტიები თავის ჯერს ელოდებიან“. და უცებ თაიმაც უხეშობა გამოურია, — „როგორც წვინტლი ელოდება გარეთ გამოსვლას“.

ადამ აზიზის ცხვირმა პატრიარქალური გამომეტყველება შეიძინა, დედაჩემის ცხვირს კეთილშობილი და ოდნავ ტანჯული ეერი დაეყენა; დეიდაჩემის, ემერალდას ცხვირს კი — ქედმაღლური. მეორე დეიდას, ალიას, ინტელექტუალური ცხვირი ჰქონდა; ბიძაჩემის, ჰანიფის ცხვირი წარუმატებელი გენიოსის ორგანოს ჰგავდა; მეორე ბიძას, მუსტაფას ცხვირი საშუალო დონის მეძებრისას მიუგავდა; თითბრის მაიმუნს ცხვირი საერთოდ არ ჰქონდა. ჩემი ცხვირი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ყველა საიდუმლოს ერთბაშად ხომ არ გამოვაცხადებ.

(თაი ახლოს მოდის. თაი, რომელმაც ცხვირის ძალა გააჩენინა და ახლა ბაბუასთვის გზავნილი მოაქვს, რომელმაც ბაბუა ციცაბოში უნდა გადაისროლოს, თაი დილაუთენია მოაცურებს ნავს ტბაზე...).

არავის ახსენდება ახალგაზრდა თაი. თვითონ, რაც თავი ახსოვს, სულ ამ ნავს დააფრიალებს აქეთ-იქით დალისა და ნაჯინის ტბებზე, თანაც ფეხზე მდგომ და მოკუზულ პოზაში... ყველამ ასე იცის. ცხოვრობდა სადღაც ხის სახლებიანი კვარტალის ამყაყებულ ჯურღმულში, მისი ცოლი ლოტოსის ძირებსა და სხვა საინტერესო მცენარეებს ზრდიდა ერთ-ერთ „მოცურავე ბაღში“, გაზაფხულ-ზაფხულის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

წყლებზე რომ ირწეოდა. თაი ხუმრობდა, რომ თავადაც წარმოდგენა არ ჰქონდა. რამდენი წლის იყო. არც ცოლმა იცოდა. ამბობდა, რომ მისი ქმარი უკვე ხანში შესული იყო, როცა დაქორწინდნენ. თაის სახე წყალზე ქარის მიერ შექმნილ სკულპტურას მიუგავდა: წარმოიდგინეთ ტყავისგან წარმოქმნილი ჭავლი. მხოლოდ ორი ოქროს კბილიღა ჰქონდა. ქალაქში ცოტა მეგობარი ჰყავდა. რამდენიმე მეზღვაური და ვაჭარი თუ დაუძახებდა ნარგილეს მოსაწევად, ნავმისადგომებსა და ტბის პირზე განთავსებულ სურსათისა და ჩაის ნახევრად დანგრეულ მაღაზიებს რომ ჩაუვლიდა.

თაიზე საზოგადო აზრი ჯერ კიდევ ადამ აზიზის მამამ, ძვირფასი ქვებით მოვაჭრემ გამოთქვა დიდი ხნის წინათ: „ტვინი კბილებთან ერთად დაკარგო“ (თუმცა, ახლა მოხუცი აზიზ საჰიბი ჩიტების ყღურტულში თავჩაკარგული იჯდა, თაი კი უბრალოდ და დიდებულად განაგრძობდა სვლას). შთამბეჭდავი იყო თავისივე ლაქლაქით ნაპატივები მენავე. ფანტასტიკური, მაღალფარდოვანი და გაუთავებელი ლაქლაქით, რომლითაც არცთუ ხშირად მხოლოდ თავის თავს მიმართავდა. ხმა წყალზე ვრცელდება და ტბის ხალხი მის მონოლოგებზე ხითხითებდა; თუმცა თავშეკავებით, — მათ ხომ ცოტა ეშინოდათ მისი. თავშეკავებით იმიტომ, რომ ბებერმა დამთხვეულმა ტბებისა და მთების ავანჩავანი იმ ავყიებზე უკეთ იცოდა, ხოლო მისი იმიტომ ეშინოდათ, რომ დაიჩემა, უთვალავი ხნის ვარო. მაგრამ ეს უთვალავი წელიწადი იხე მსუბუქად ეკიდა მის ქათამივით წვრილ კისერზე, რომ ხელი არ შეუშლია მისთვის სასურველი ცოლი ეპოვა და მასთან ოთხი შვილი გაეჩინა. და კიდევ... ამბავი სხვა ტბისპირელ ცოლებთანაც გაგრძელდა. ნავმისადგომის ბიჭებს სჯეროდათ, რომ სადღაც დიდძალ ფულს მალავდა ან შესაძლოა, ოქროს კბილთა მარაგი ჰქონდა, რომელსაც ალბათ კაკლებივით აჩხრიალებდა ტომარაში. წლების შემდეგ, როცა ბიძია პაფმა ჩემთვის თავისი ქალიშვილის მოყიდვა სცადა იმით, რომ მისთვის ოქროს კბილების ჩასმას შემპირდა, მე უცებ თაის მიეწყებული საგანძური მომაგონდა... ადამ აზიზს თაი ბავშვივით უყვარდა.

მიუხედავად მის სიმდიდრეზე დარხეული ჭორებისა, თაი მებორნეობით ირჩენდა თავს. ტბებზე ეზიდებოდა თივას, თხებს, ბოსტნეულსა თუ ხეტყეს და ჯიბის ფულს იღებდა. ხალხიც გადაჰყავდა. ამასობაში ყვავილებით მოხატულფარდებიანი და ბალდახინიანი პავილიონიც ალმართა გემის შუაგულში. ბალიშებიც შესაფერისი შეურჩია, სასიამოვნო სურნელითაც აპკურა. თაის ფარდებაფრიალებული ხომალდის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოახლოებას, ექიმი აზიზი გაზაფხულის მოსვლას ადარებდა. მალე ინგლისელები ჩამოვიდოდნენ და თაი მათ წაიყვანდა შალიმარის ბაღში და მეფის წყაროზე. თვითონ კი წაკუზული და ისარივით მომართული. ჩვეულებისამებრ ალაქლაქდებოდა. ის იყო ცოცხალი უარყოფა ოსკარ-აილს-ინგრიდის რწმენისა იმის შესახებ, რომ ცვლილება გარდაუვალია... ხეობის უცნაური, გამძლე და ახლობელი სული, წყლის ურჩხული, რომელსაც მეტისმეტად უყვარდა იაფფასიანი ქაშმირული კონიაკი.

ჩემი ლურჯი საძინებლის კედელი მაგონდება, რომელზეც ასოების, P.M.-ის გვერდით ბოი როლი ეკიდა, მრავალი წლის განმავლობაში მხიარულად რომ გაჰყურებდა წითელშარვლიან ბებერ მეთევზეს, რომელიც მორზე იჯდა, მეთევზურ ამბებს ჰყვებოდა და თითს ზღვისკენ იშვერდა... და ჭაბუკ ადამს, ჩემს მომავალ ბაბუას, თაი სწორედ იმ სიტყვამრავლობის გამო შეუყვარდა, რის გამოც გიჟად მიიჩნევდნენ. მაგიურად ლაპარაკობდა და სიტყვებს ისე ისროდა მისი სლოკინითა და კონიაკით გაჯერებული პირი, როგორც ბრიყვი ფულებს. სიტყვები ჰიმალაის უშორეს მთებამდე მიფრინავდნენ, შემდეგ ბრძნულად დააცხრებოდნენ თავზე რომელიმე წვრილმანს, მაგალითად, ადამის ცხვირს, როგორც თაგვს, რომელსაც ექსპერიმენტს უტარებენ. ამ მეგობრობამ ადამის ცხელ წყალში ჩაგდება გაახშირა (უფრო რომ დავაზუსტოთ, მდულარე წყალში. დედამისი ეუბნებოდა, — შენ თუ მოკვდები, იმ მენავის ბაღლინჯოებიც დაიხოცებიანო), მაგრამ მონოლოგების ბებერი ოსტატი ძველებურად ზანტად მიირწეოდა თავის ნავში ბალის ტბისპირა დაბლობთან; აზიზი კი მის ფეხებთან იჯდა, სანამ სახლიდან არ დაუცაცხანებდნენ; შინ მისულს ლექციას უტარებდნენ თაის სიბინძურეზე და აფრთხილებდნენ, რომ ბაქტერიათა არმიები ჰყავდა, რომლებიც, როგორც ერთხელ ადამის დედამ შეამჩნია, თაის ბებერი და სტუმართმოყვარე სხეულიდან მისი შვილის გახამებულ, ქათქათა პერანგს გადმოასკუპდნენ. მაგრამ ადამი ყოველთვის უბრუნდებოდა სანაპიროს, ნისლი რომ დაეზვერა და თან იმ ბინძური, კონკებიანი ბებრის წაკუზული სილუეტისთვის მოეკრა თვალი, თავის ჯადოსნურ ნავს დილის მონუსხულ წყლებზე რომ ატარებდა.

„მართლა რამდენი წლისა ხარ, თაიჯი?“ (ექიმი აზიზი, უკვე ზრდასრული და წითელწვერიანი, მომავლისკენ რომ მიექანებოდა, იხსენებდა იმ დღეს, როცა ეს უხერხული კითხვა დაუსვა) და უცებ ჩანჩქერის გრგვინვაზე უფრო ხმაურიანი სიჩუმე ჩამოვარდა. მონოლოგი შეფერ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხდა, ნიჩბებიც გაჩერდნენ წყალში. შიკარაში თხებს შორის ჩაცუცქუ-ლი ადამი თაისთან ერთად თივაზე იჯდა და შესანიშნავად იცოდა, რომ ამისთვის სახლში მაგრად მოსცხებდნენ. ის აქ ამბების მოსასმენად მოვიდა და ამ ერთი კითხვით გააჩუმა ამბის მთქმელი. „არა, მართლა, თაიჯი, მითხარი, რამდენი წლის ხარ?“ უცებ არსაიდან გაჩნდა კონი-აკის ბოთლი, იაფფასიანი ლიქიორი, თაის პალტოს ხვეულებში რომ დაეშალა. თაიმ დააბოყინა, შეაჟრჟოლა და თვალები დააბრიალა. ოქ-როს კბილმა გაიელვა. და როგორც იქნა, ამოღერღა: „რამდენი წლის ვარ? შენ მეკითხები რამდენი წლის ვარ, შე უტვინო, შე ცხვირა, შენ“. და თაიმ იმ მეთუჯზესავით, ჩემი საძინებლის კედელზე რომ იყო გაკ-რული, თითი გაიშვირა, ოღონდ მთუბისკენ. „აი, იმ მთების ხნისა ვარ, ჩერჩეტო!“ ჩერჩეტმა და ცხვირა ადამმა თაის გაშვერილ თითს თვალი გააყოლა. „მე მთების დაბადება ვიხილე, იმპერატორთა გარდაცვალე-ბას შევესწარი. მისმინე, მისმინე, ჩერჩეტო“. კონიაკმა თავისი ქნა და თაის ხმა შეეცვალა, სიტყვებიც ლოთივით მოეწამლა... „მე მინახავს იესო, ქრისტე, ქაშმირში რომ ჩამოვიდა. იცინე, იცინე და ამ თავ-ში შენი ისტორია ინახება, ოდესლაც ძველ მიკარგულ წიგნებში რომ ბუდობდა. ერთ დროს ვიცოდი, სად იყო მისი საფლავი, ქვაზე ამოჭ-რილი, ლურსმნით ვნებული ტერფები, წელიწადში ერთხელ სისხლი რომ სდიოდათ. ჩემი მეხსიერებაც მშორდება ახლა, მაგრამ ვიცი, მი-უხედავად იმისა, რომ წერა-კითხვის უცოდინარი ვარ“. უწიგნურობა რიტორიკამ გააქარწყლა. ლიტერატურა მისმა მრისხანებით მოქნე-ულმა ხელმა ნაფლეთებად აქცია. ახლა ეს ხელი პალტოს ჯიბისკენ იწევს, კონიაკის ბოთლს იღებს და ყინვისგან დამსკდარი ტუჩებისკენ მიაქანებს. თაის ქალის ტუჩები აქვს. „მისმინე, ბევრი გადამხდა. აი, იესო უნდა გენახა, როცა მოვიდა, წვერი ბოქვენამდე სცემდა, კვერ-ცხივით მელოტი იყო, მოხუცი და ქანცგაცლილი, მაგრამ კარგი მანე-რები ჰქონდა. „პირველ ყოვლისა, დაბრძანდით, თაიჯი“, — მეტყოდა ხოლმე; ყოველთვის პატივისცემით მექცეოდა, არასოდეს უწოდებია ჩემთვის შეშლილი, არც შენობით მოუმართავს. ზრდილი იყო, გესმის? და რა მადა ჰქონდა! შიშისგან თვალებს ვხუჭავდი, წმინდანი იყო თუ ეშმაკი, ვერ გამერკვია, გეფიცები, ერთ ბატკანს ჭამდა ერთ ჯერზე და რა? ვუთხარი, ჭამე, ამოიყორე. კაცი ქაშმირში ჩამოდის, რომ ცხოვ-რება გაიხალისოს ან დაასრულოს, ან ორივე ერთად ქნას-მეთქი. მისი საქმე დამთავრებული იყო. აქ ცოტა დროს სატარებლად ჩამოვიდა“. მელოტი და მადააშლილი ქრისტეს კონიაკნარევი პორტრეტით მო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნუსხული აზიზი უსმენდა თაის და მოგვიანებით მისი ნათქვამი ყოველი სიტყვა ჩაუკაკლა თავის ბმობლებს, რომელთაც ისეთი თავხარი დაეცათ, რომ მისგან თაის „საწამლავის“ გამოძეგვების ნაცვლად, ქვებს დასწვდნენ, რომ ჩაექოლათ.

„არ გჯერა?“ — დახეთქილი ტუჩები აილოკა თაიმ და გაიღიმა. იცოდა, ეს ღრეჭვა სიმარილის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. „სად დაქრის შენი ყურადღება?“ — და ისიც იცოდა, თუ როგორ გაფთრებით ჩაბლაუჭებოდა აზიზი მის სიტყვებს. „ზურგში თოვა ხომ არ გჩქმეტს, ჰა? ვწუხვარ, ბაბაჯი, შენთვის აბრეშუმის მოოქრული ბალიშები რომ არ მოვიტანე, იმპერატორ ჯაჰანგირს რომ ჰქონდა, ისეთი! შენ იმპერატორი ჯაჰანგირი უეჭველად მარტო მებალე გგონია, არა?“ თაიმ ბაბუაჩემი დაადანაშაულა, „რადგან მან შალიმარი ააშენა, სულელი! შენ რა გაგიგებია! მისი სახელი დედამიწის მომცველს ნიშნავს. მებალის სახელია? ღმერთმა იცის რას გასწავლიან. მაშინ როცა მე“... აქ ცოტა სული მოითქვა... „მე ვიცოდი, ზუსტად რამდენს იწონიდა! მკითხე რამდენი კილოგრამი, რამდენი გრამი იყო! როცა თავს ბედნიერად გრძნობდა, უფრო მძიმე ხდებოდა და ქაშმირში ყველაზე მეტად დამძიმდა. მე მისი წერილი დამქონდა... არა, არა, მისმინე, შენ ისევ არ გჯერა ჩემი, ეგ კიტრივით ცხვირი, შარვალში რომ პატარა გაქვს, იმასავით ქანაობს! ასე რომ, მიდი, მიდი, რაც გინდა მკითხე! გამოცდა მომიწყვე! მკითხე, რამდენჯერ შემოახვია ტყავის ზონარი წერილს — ოცდათერთმეტჯერ! მკითხე, რა იყო მომაკვდავი იმპერატორის უკანასკნელი სიტყვა, — გიპასუხებ! ეს იყო „ქაშმირი“. სუნთქვა უჭირდა, მაგრამ გული მაგარი ჰქონდა. შენ ვინ გგონივარ? — უმეცარი, რომელიც უჯიშო და უპატრონო ძაღლს ატყუებს? წადი, გადადი ნავიდან, შენი ტონიანი ცხვირი ნიჩბების მოსმაში ხელს მიშლის. თან მამაშენი გელოდება, რომ ჯოხით გამობერტყოს შენგან ჩემი შხამი, და დედაშენი მდულარე წყალში ამოგფუფქავს“.

თაის კონიაკის ბოთლში ჯინის მიერ მამაჩემისთვის ნაწინასწარმეტყველებ ბედს ვხედავ... ისევ მოვა სხვა მელოტი უცხოელი... და თაის სხვა შხამიანი წინასწარმეტყველებანი ახდება, რომელიც სიბერეში ბებიაჩემის სასოება გახდა, — ბებიასაც ხომ ასწავლიდა რაღაც ამბებს... და უჯიშო ძაღლებიც არ არიან შორს... ძალიან შორს. ჩემი თავი შევაშინე.

ცემისა და დაფუფქვის მიუხედავად, ადამ აზიზი თაისთან ერთად ისევ დაცურავდა შიკარათი თხების, თოვის, ავეჯისა და ლოტოსის ფესვების



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარემოცვაში, მაგრამ ერთხელაც არ წასულა ინგლისელებთან ერთად. ისევ ისმენდა სასწაულ პასუხებს იმ ერთადერთ უხერხულ კითხვაზე: მართლა, თაიჯი, გულახდილად მითხარი, რამდენი წლის ხარ?

თაისგან ადამმა ტბის საიდუმლო ისწავლა: სად შეიძლებოდა ცურვა ისე, რომ სარეველების მორევს არ ჩაეთრიე ან თერთმეტი სახეობის წყლის გველს არ დაეკბინე; სად დებდნენ კვერცხს ბაყაყები; როგორ უნდა მოგეშზადებინა ლოტოსის ფესვები; სად დაიხრჩო სამი ინგლისელი ქალი მრავალი წლის წინათ. „ფერინგის ტომის ქალები ამ ტბაში მოდიან დასახრჩობად, — თქვა თაიმ, — ზოგჯერ იციან, ზოგჯერ არა, მაგრამ მე ვიცი იმ წუთიდან, როცა მათ სუნს ვიკრავ. ისინი წყლის ქვეშ იმალებიან, ღმერთმა იცის, ვის ან რას ემალებიან, მაგრამ მე ვერ დამემალებიან, ბაბა!“ თაის სიცილი, ადამსაც რომ გადაედო, თანდათან აგუგუნდა და მერე იმ ბებერი, დამჭკნარი სხეულიდან შემზარავად გამოხეთქა. ეს სიცილი ისეთი ბუნებრივი იყო ზორბა ბაბუასთვის, ვერავინ იტყოდა, რომ სინამდვილეში მას არ ეკუთვნოდა (ბიძაჩემმა ეს სიცილი მემკვიდრეობით მიიღო და სანამ ცოცხალი იყო, თაის ნაწილი ისევ ცოცხლობდა ბომბეიში). ასევე თაისგან გაიგო ბაბუაჩემმა ცხვირების შესახებ.

თაიმ მარცხენა ნესტოზე თითი მიიკაკუნა. „შენ იცი, ეს რა არის? ეს ის ადგილია, სადაც გარე სამყარო შენს შინაგან სამყაროს ხვდება. თუ ისინი ვერ ეწყობიან ერთიმეორეს, აქ იგრძნობ. ცხვირს უხერხულად ისრეს, რომ ფხანამ გაგიაროს. მაგისთანა ცხვირი, ჰატარა იდიოტო, დიდი საჩუქარია. დამიჯერე, გეუბნები. თუ ცხვირი რაღაცას განიშნებს, ფრთხილად უნდა იყო, თორემ გათავებულია შენი საქმე. მიჰყევი შენს ცხვირს და შორს წახვალ“. ჩაახველა. თვალები წარსულის მთებისკენ გაექცა. აზიზი თივას მიეყრდნო. „ერთ ოფიცერს ვიცნობდი იმ დიდი ისკანდარის არმიიდან. სახელს რა მნიშვნელობა აქვს. მასაც შენისთანა კიტრი ჰქონდა თვალებშუა ჩამოკიდებული. როცა ჯარმა განდჰარასთან შეისვენა, მას ერთი ადგილობრივი ქალი შეუყვარდა. ცხვირმა არ მოასვენა, გიჟივით ეფხანებოდა, კინალამ მოიგლიჯა; მოხარშული ევკალიპტის ორთქლიც იყნოსა. მაინც არაფერმა უშველა, ბაბა! ფხანამ გადარია. იმ შეჩვენებულმა აზრი მაინც არ შეიცვალა და თავის კახპასთან დარჩა, როცა არმია წავიდა. იცი, რად გადაიქცა? — ყეყეჩად, არც წყალი იყო და არც ღვინო, ცოლი თავს აბეზრებდა, ცხვირი ქვილით აგიჟებდა, და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მუცელში ხმალი გაიყარა. ჰა, როგორია?“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

...ექიმი აზიზი 1915 წელს, ლალებისა და ბრილიანტების გადამკიდე, არც წყალი იყო და არც ღვინო. ამ ამბავს იხსენებს, როგორც კი თაიმ კარგა მანძილზე შეტოპა, ცხვირი ისევ ექავება. იფხანს, მხრებს იჩეჩს, თავს აქნევს; თაი კი გაჰყვირის:

„ოჰე! ექიმო საჰიბ! მიწათმფლობელ ღანის ქალიშვილი ავადაა“.

მესიჯი, ტბაზე მოურიდებელი გადაძახილით სწრაფად რომ ვრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ მენავესა და მის მოწაფეს ერთმანეთი ხუთი წელიწადია არ უნახავთ; მესიჯი, რომელსაც დიდი ხნის უნახავობით გაუღიმებელი ქალის ტუჩები წარმოთქვამენ, დროს აჩქარებს და ქარბუქის კორიანტელივით აფორიაქებს.

„იფიქრე, შვილო, — ეუბნება დედა ადამს, მჟავე ციტრუსის ახალგამოწურულ წვენს რომ წრუპავს და ტახტზე არაქათგამოცლილი ზის, — როგორია ცხოვრება. კოჭებიც კი არ მიჩანდა მრავალი წლის განმავლობაში და ახლა უცხო ადამიანები მაშტერდებიან“.

...მიწათმფლობელი ღანი ოქროს უსწორმასწორო ჩარჩოში ჩასმული ნადირობის ქალღმერთის, დიანას ზეთის საღებავით შესრულებული ნახატის ქვეშ დგას. მუქი სათვალე უკეთია, თავისი ცნობილი შხამიანი ღიმილით იღიმება და ხელოვნებაზე მსჯელობს. „ერთი ღარიბი ინგლისელისგან შევიძინე, ექიმო საჰიბ! მხოლოდ ხუთასი რუპია[1] დამიჯდა, არც შევვაჭრებივარ. რას წარმოადგენს ხუთასი რუპია ხელოვნების მოტრფიალისთვის“.

„ხედავ, შვილო, — ეუბნება ადამს დედა, როცა ადამი სინჯავს, — რას არ გააკეთებს დედა შვილისთვის. შეხედე, როგორ ვიტანჯები. შენ ექიმი ხარ... გრძნობ ამ შემოტევებს? ხომ ხედავ ამ ალერგიას, როგორი დამუწუკებული ვარ, გაიგე, რომ თავის ტკივილი არ მიჩერდება. კიდევ დამისხი, შვილო“.

...მაგრამ ახალგაზრდა ექიმს უცებ ჰიპოკრატეს ფიცი ავიწყდება, მენავე ეძახის და ესეც აქედან ეპასუხება: — ახლავე მოვდივარ, მოიცა, ნივთებს წამოვიღებ! შიკარას ცხვირი ბაღის კიდეს შეეხო. ადამი ეზოში გარბის, სიგარასავით დახვეული ფარდაგი იღლიის ქვეშ ამოუჩრია, ლურჯი თვალები აკის მომასწავებლად უბრწყინავს; დახვეული ფარდაგი გაზეთ Vorwarts-ის დასტასა და ლენინის ნაშრომის „რა ვაკეთოთ?“ ეგზემპლარებს ზემოდან დაადო. აქ სხვა პამფლეტებიცაა, მისი გერმანიაში ცხოვრების უკვე მტვერწაყრილი მოსაგონარი; სა-

[1] *რუპია (სანსკრ.) — ფულის ერთეული ინდოეთში, პაკისტანში, ინდონეზიაში, ნეპალში, ცეილონზე და ზოგ სხვა ქვეყანაში.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიფლის ქვეშიდან ძველი ტყეების ჩეშიდანის ოღეს, დედამისმა „დოქ-ტორი-ატაის" რომ შეარქვა, ისას, და ქვეყა-ქვეყეთი მიარბენინებს ოიახიდან; სიტყვა ანიდეფერგი ნახოის ძირზე ტყეში ჩამალული ფლეგნა ძოჩანის. ფერე რა, რომ ფეშაბელის ქალიშვილი ეკადაა. ძალი ანსეფიმა კარიერაბესაქმელი ეფეძანოვის კარგი ამბავია. ჰი, სწორედ ისეტომაა კარგი ამბავი, რომ ეკადაა.

...ფუნილის ქალაბეთი გამოეკარიელებული ეზოერ და თუნზე სანა-ოურის შეეფი ტბანაეთი ფეფლერეა. ბაბუაბეშის სამოეფლასამი წლის წი-ნანდელი ხილეკ ამეკეიატა და ნაწერას ძოხოეს. ნესტოების დედამისის გეხლიანი უხერხულობის სიმერალე ძეესებს, ძირმაგარებად რომ გა-ძოეფეფა ტანზე; კიდეე ის, რომ ადამ ანიზმა ძმარიეთ ძმაფერი გადაწყ-ვეტილება ძიალი, ისეთ წარმატებას ძიალწეის, დედას ამ ძეერფანი თვლების ძალაზიაში დაბრუნება არ დასჭირდეს; კიდეე აქ არის აჩ-რდილებიანი და ობმოდებული დიდი სახლი, რომელშეე ანალგაზრდა ეჭიმი უბრალო გარეგნობის ეოეხალთეალებიანი გოგონას სურათის წინ აფორიაქებული დგას; უკან, პორიზონტზე ორეიმი დგას, რომელსაც გოგონამ ისარი ესროლა. ჩვენს ეხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვა-ნი ჩვენს იქ არეფოფნაში ხდება, მაგრამ საიდანღაც, მგონი, პატარა ეშმაკობა ვისწავლე, როგორ შეეფსი ეოდნის ეარიელი სიერეე. ასე რომ, ყველაფერი აქ არის, ჩემს თავში, თვით უძეერესი წვრილმანის ჩათვლით. აი, მაგალითად, რა გზით ძიაპარება ნისლი დილის ჰაერ-ში... ყველაფერი, თავსატეხის ამოხსნის მხოლოდ რამდენიმე ხერხი კი არა, კაეი რომ შეძოხვეეთ წაწყდება. აი, მაგალითად, როგორ უნდა გახსნა ძველი, დაჟანგული ლითონის ყუთი, რომელიეე სეობდა არ გა-გეხსნა და ისეე ისეთი ობობასქსელძოდებული დაგეტოვებინა.

ადამი დედას ჭიქას უვსებს და აღელვებული აგრძელებს მის გა-სინჯვას. „ამ ეუწუკებზე რაიმე ძალამი დამადე. თავის ტკივილს წამ-ლით ეშველება. ხორეი კი უნდა გამოიდევნოს. მაგრამ იქნებ ჩადრი რომ გხურებოდა, ძალაზიაში რომ ეკვეა... ისე, რომ უპატიოსნო მზე-რას არ... ასეთი ჩვეილები ხშირად აწუხებს გონებას".

...ნიჩაბმა წყალში გაიტყლაშუნა. წყალს ქაფის წყება ნაფურთხი-ვით მოედო. თაი ყელს ჩაიწმენდს და ბრაზიანად ბურტყუნებს, „კარგი საქმეა. ჩერჩეტი ბიჭი მიდის ისე, რომ ამ ქვეყნის არაფერი გაეგება და უკან ბრუნდება ექიმი, დიდი ჩანთით, რომელშეე ეცხოური ხელ-საწყოები უწყვია, და მაინეე ბუსაეით ჩერჩეტია. გეფიცები, ძალიან ცუდი საქმეა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

...მემამულის ლიმილით მონუსხული ექიმი აზიზი ფეხს უხერხულად იცვლის. ამ კაცთან მშვიდად ვერ იქნები. თავისი არაჩვეულებრივი გარეგნობისადმი მის რეაქციას ელოდება. მიეჩვია, ხალხი რომ გაოცებას ვერ მალავს მისი ფერადი სახისა და გამორჩეული ცხვირის გამო... ღანის კი არაფერი შეუმჩნევია, და ახალგაზრდა ექიმიც თავის მხრივ ცდილობს არაფერი შეიმჩნიოს. ფეხსაც არ ამოძრავებს. ერთმანეთს სახეში უყურებენ. ერთიც თავს იკავებს და მეორეც, რომ არაფერი თქვან (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს), რამაც მათი მომავალი ურთიერთობა უნდა გაამყაროს. უცებ ღანი იერს იცვლის და ხელოვნების მოყვარული კაცის ნაცვლად აზიზის წინ მაგარი ბიჭი დგას. „შენთვის ეს დიდი შანსია, ახალგაზრდავ", — ეუბნება. აზიზს თვალები ნადირობის ქალღმერთისკენ გაექცა, ნაიარევი და ვარდისფერი კანი რომ მოუჩანს.

...დედა ოხრავს და თავს იქნევს. „შენ რა გაგეგება, შვილო, დიდი ექიმი კი გახდი, მაგრამ ძვირფასი ქვების ბიზნესი სულ სხვაა. შავჩადრიანი ქალისგან ფირუზს ვინ იყიდის? ნდობის საკითხია. უნდა შემომხედონ; მე კი ტკივილი და წყენა ავიკიდო. წადი, წადი, საბრალო დედაშენზე ნუ იდარდებ".

„დიდი ექიმი", ამბობს თაი და ტბაში აფურთხებს, „დიდი ჩანთა, დიდი ექიმი. ფუჰ! სახლში ისედაც ბევრი ხარახურა გვქონდა, ეგ ღორის ტყავის ჩანთა არ მოგეთრია! შეხედვაც კი შეგეზარება! და შიგნით კიდევ. ვინ იცის, რა არ გიყრია!" ექიმი აზიზი ყვავილებით მოხატულ ფარდებშუა ზის, კეთილსურნელებით ტკბება და ფიქრები იმ პაციენტისგან შორს გაურბის, ტბის იქით რომ ელოდება. თაის მწარე მონოლოგი ქვეცნობიერში იჭრება და სუსტ გაოცების შეგრძნებასლა ბადებს; კეთილსურნელება პალატის სუნმა ჩაანაცვლა. ბებერი თაი ცოფიანივით ბრაზობს რაღაცაზე... გაუცნობიერებელი მძვინვარება იპყრობს, რომელიც როგორც ჩანს, მის ყოფილ თანაშემწეს, ანდა, რაც კიდევ უფრო უცნაურია, აზიზის ჩანთას ეკუთვნის. ექიმი აზიზი რაღაცის თქმას აპირებს... „ცოლი ხომ კარგა გყავს? ისევ ხომ არ ჭორაობენ შენზე, ოქროსკბილებიან გუდას მალავსო?" ძველი მეგობრობის აღდგენას ცდილობს, მაგრამ თაი ახლა ისე შორს წავიდა, რომ მისგან ლანძღვა-გინების მდინარე მოგელავს და ჰაიდელბერგული ჩანთაც ამ მდინარეზე აატივტივა. „ეს დაწყევლილი ღორის ტყავის ჩანთა, უცხოური ეშმაკობებით სავსე დიდი ჩანთა. კაცმა რომ ხელი მოიტეხოს, ფოთლებით შეხვევა აღარ დასჭირდება. უნდა ნახო, შე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნი ცოლი როგორ წვება ამ ჩანთის გვერდით, დანები რომ მუცელს უფატრავენ. კარგია! რას გიდებენ თავში ეგ შენი უცხოელები. გეფიცები, ეგ საქმე არ მომწონს. ეგ ჩანთა ულმერთო სხეულივით ჯოჯოხეთმა უნდა დაწვას".

ღანი შარვლის თასმებს ცერს უკაკუნებს. „ნამდვილად დიდი შანსია. ქალაქში კარგი სახელი გაქვს. კარგი ექიმი ხარ. ძალიან... ძალიან კარგი... ოჯახი გყავს. ახლა ჩვენი ოჯახის ექიმიც ავად გახდა და ამით შანსი გეძლევა. ბოლო ხანს სულ ავად არის. ძალიან დაბერდა და არც თანამედროვე მედიცინაში გაგება რამე. რა? რა? გეუბნები, ექიმო, შენი თავი განიკურნე. საქმეში ძალიან პირდაპირი ვარ. გრძნობებს ოჯახისთვის ვინახავ. ვინც ხარისხიანად არ მემსახურება, ვუშვებ. გაიგე? ახლა ჩემი ქალიშვილი გახდა ავად. ვიცი, უცებ მოარჩენ. იცოდე, მეგობრები მყავს; და ჯანმრთელობა ხან ასეა და ხანაც — ისე".

„კონიაკში გველებს ისევ ამწნილებ, თაიჯი, ძალა რომ მოგეცეს? ლოტოსის ფესვებს ისევ უსანელებლებოდ ჭამ?" აზიზი კითხვებს მორიდებით სვამს, მაგრამ თაი ყურადღებასაც არ აქცევს, ისევ განრისხებული. დიაგნოზის დასმას იწყებს. მენავისთვის ეს ჩანთა უცხოეთია, მისგან განსხვავებული და პროგრესული, რომელიც მოდის და იპყრობს, და რომელმაც დიახაც რომ დაიპყრო ახალგაზრდა ექიმის გონება. ჩანთაში მართლაც აწყვია დანები და წამლები, რომლებიც ქოლერას, მალარიასა და ჩუტყეკვილას კურნავს; და ეს ჩანთა მართლაც ექიმსა და მენავეს შორის ზის და მტრობას თესავს. ექიმი აზიზი ებრძვის სევდას და თაის მრისხანებას, რომელიც ახლა მასაც გადმოედო. იშვიათად აფრქვევს მრისხანების ვულკანს, მაგრამ როცა აფრქვევს, მოულოდნელად მოსდის, სულის სიღრმიდან ღრიალით ამოსკდება და გზად ყველაფერს ანადგურებს; შემდეგ ისე უკვალოდ ქრება, რომ თვითონაც უკვირს, ასე რატომ ღელავენ მის ირგვლივ მყოფნი... ღანის სახლს უახლოვდებიან. მებარგული შიკარას უცდის და ხელებდაკაპიწებული ხის პატარა ნავმისადგომზე დგას. აზიზი შემოთავაზებულ სამსახურზე ფიქრობს.

...ბატონო ღანი, ოჯახის ექიმი ჩემი მოსვლის იდეას როგორ შეხვდა?.. მემამულემ ამ გაუბედავ შეკითხვას ყურადღება თითქმის არ მიაქცია: „ძალიან კარგად. გამომყვითო, გთხოვთ".

...მებარგული ნავმისადგომზე იცდის. მერე შიკარას დასაბმელი თოკი უჭირავს, სანამ ადამ აზიზი ჩანთით ხელში ნავიდან გადმოდის,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცებ, როგორც იქნა, თაი პირდაპირ ბაბუაჩემს მიმართავს და დამცინავი ხმით ეკითხება: „მითხარი, ერთი, ექიმო საპიბ, ამ მკვდარი ლორის ტყავისგან დამზადებულ ჩანთაში ის აპარატი ხომ არ გიდგას, უცხოელი ექიმები ყნოსვისთვის რომ იყენებენ?“ ადამმა ვერ გაიგო და თავს იქნევს. თაის ხმას ზიზღის ახალი სიმი შეემატა: „კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ, სპილოს ხორთუმისნაირი აპარატი“. აზიზი ხედება, რასაც გულისხმობს და პასუხობს: „ალბათ მოსასმენი აპარატი, არა?“ თაის შიკარა ხის ნავმისადგომიდან მიჰყავს. აპურჭყებს და ნიჩბებს უსვამს. „ვიცოდი, — ამბობს, — ცხვირის მაგიერად ახლა ეგ გამოგადგება“.

ბაბუაჩემი თავს არ იწუხებს იმის ახსნით, რომ სტეთოსკოპი[1] ყურები უფროა, ვიდრე ცხვირი. გაღიზიანდა, მაგრამ მიტოვებული ბავშვივით ბრაზს გულში იხშობს. და, გარდა ამისა, პაციენტიც ელოდება. დრო მიდის და პაციენტთან შეხვედრის წამზე ჩერდება.

სახლი მდიდრულადაა მოწყობილი, მაგრამ ცუდი განათება აქვს. ღანი ქვრივია და სახლი მსახურებზეა მინდობილი. ოთახის კუთხეები ობობას ქსელებითაა სავსე და თაროებზე მტვრის სქელი ფენა დევს. გრძელი დერეფანი გაიარეს. ერთ-ერთი ოთახის კარი შეღებული იყო და აზიზმა უწესრიგობა შენიშნა. ღანის მუქი სათვალის ანარეკლმა აზიზი მიახვედრა, რომ მემამულე ბრმაა. ამან კიდევ უფრო ააფორიაქა: ბრმა როგორ შეაფასებდა ევროპულ ფერწერას? გაუკვირდა, რომ არც კი წაბორძიკებულა... ხის სქელ კართან გაჩერდნენ. „ორი წუთი დამელოდეთ“, უთხრა ღანიმ და ოთახში შევიდა.

წლების შემდეგ ადამ აზიზი იხსენებდა, რომ მემამულის ობობის ქსელებიან დერეფანში გატარებული ის ორი წუთი ისეთი გაუსაძლისი გახდა, რომ უცებ იქიდან გაქცევის სურვილმა მოუარა. ამ ბრმა ხელოვნების მოყვარულის საიდუმლოებით ნირწამხდარს თითქოს შიგანში მწერები ჩაუსახლდნენ და შიგნით შეუმჩნევლად შეპარული თაის საწამლავივით ჰკბენდნენ, ნესტოებიც ისე ექავებოდა, კინაღამ დარწმუნდა, რომ რომელიღაც ვენერიული დაავადება აიკიდა. იგრძნო, როგორ ნელა მიბრუნდნენ მისი გასაქცევად მომზადებული ფეხები, თითქოს ტყვიის ფეხსაცმელში ჩაჭედესო. სისხლი საფეთქლებში აუვარდა. იგრძნო, უკან დასახავი გზა რომ მოეჭრა და კინაღამ გერმანული ბამბის შარვალი დაასველა. საშინლად გაწითლდა;

---

[1] *სტეთოსკოპი — იგივე, რაც ფონენდოსკოპი, სამედიცინო ხელსაწყო გულისა და ფილტვების მოსასმენად.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედა მოაგონდა, დაბალ მაგიდასთან იატაკზე რომ იჯდა დამუწუ-
კებული, თითქოს სახეზე სიწითლემ მოუარაო, და ფირუზის თვალს
სინათლეზე ამოწმებდა. დედის სახეზეც თაისეული დაცინვა შეამჩნია:
„წადი, წადი, გაიქეცი, — თაის ხმით უთხრა, — საცოდავი მოხუცი
დედაშენის დარდი ნუ გექნება“. აზიზმა ენა ძლივს მოიბრუნა: „ეს
რა გამოუსადეგარი შვილი გყავარ, დე? ვერ ხედავ, რამხელა სიცა-
რიელე გაჩნდა ჩემში?“ დედას ტკივილნარევი ღიმილი მოეფინა. „შენ
ყოველთვის უგულო ბიჭი იყავი“, თქვა და ამოიოხრა, შემდეგ ხვლი-
კად იქცა, დერეფნის კედელს მიაჯდა და ენა გამოუყო. ექიმი აზიზი
გონს მოვიდა, მიხვდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა; ნეტავ, სიცარიელეში
რა იგულისხმა. ფეხები გაქცევას აღარ ცდილობდნენ. იგრძნო, ვი-
ღაც აკვირდებოდა. მოჭიდავისკუნთებიანი ქალი მისჩერებოდა. თავი
დაუქნია, ოთახში შემოდიო. სამოსზე ეტყობოდა, მოსამსახურე იყო,
მაგრამ არა მონა. „გულუბრყვილო ჩანხარ, — უთხრა ქალმა, — ეს
ახალგაზრდა ექიმები უცხო სახლში მოხვალთ თუ არა, ჯიგარი წა-
გერთმევათ ხოლმე. წამოდით, ექიმო საჰიბ, გელოდებიან“. აზიზმა
ჩანთა ცოტა უფრო მაგრად ჩაბღუჯა და ქალს ოთახში შეჰყვა.

...ვრცელი საძინებელი ოთახი დანარჩენი სახლივით ნახევრად
ბნელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მზის სხივი პატარა ფანჯრიდან
მტვრის სვეტებად ეცემოდა ოთახს, ეს შებოჭილი სხივები ისეთ სა-
ნახაობას აშუქებდნენ, რომლის მსგავსი ექიმ აზიზს არასოდეს ენა-
ხა. ისე დაითრგუნა, რომ ფეხებმა კინალამ ისევ კარისკენ გაუტიეს.
ქალები, პროფესიონალ მოჭიდავეებს რომ ჰგავდნენ, სინათლის ქვეშ
იდგნენ და თეთრი, უზარმაზარი ზეწრის ბოლოები ეჭირათ; ხელები
მაღლა აეწიათ, ისე, რომ ზეწარი ფარდასავით ეშვებოდა მათ შორის.
ბატონი ღანი თითქოს არსაიდან გაჩნდა მზით განათებულ ზეწართან
და შეცბუნებულ ადამს, ალბათ ასე ნახევარი წუთით საშუალება მის-
ცა ამ საოცარ ზეწარს მიშტერებოდა. ნახევარი წუთის შემდეგ კი, სა-
ნამ ვინმე სიტყვას დაძრავდა, ადამმა ასეთი აღმოჩენა გააკეთა:

ზეწრის შუაგულში შვიდი დუიმის სიდიდის ხვრელი იყო მრგვლად
გამოჭრილი.

„კარი დაკეტე, აია! — უბრძანა ღანიმ ერთ-ერთ დაკუნთულ ქალს
და აზიზს ჩურჩულით მიუბრუნდა, — ამ ქალაქში ბევრი უმაქნისი
ცხოვრობს, რომლებიც ჩემი ქალიშვილის ოთახში შეძრომას ცდი-
ლობდნენ. ამიტომ მცველები სჭირდება“, და სამ მუსკულებიან ქალ-
ზე მიუთითა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

აზიზი ისევ გახვრეტილ ზეწარს უყურებდა. ღანიმ უთხრა: „კარგი, ახლა წამოდი და ჩემი ნასიმი გასინჯე“.

ბაბუამ ოთახს თვალი მოავლო. „სად არის თქვენი ქალიშვილი, ბატონო ღანი?“ — ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა. დაკუნთულმა ქალებმა მედიდური გამომეტყველება მიიღეს და აზიზს მოეჩვენა, რომ მუსკულატურაც მომართეს იმ შემთხვევისთვის, თუ ექიმი რამე სასწაულს ჩაიდენდა.

„ჰო, ვხედავ, რომ დაბნეული ხარ, — უთხრა ღანიმ და სახეზე შხამიანი ღიმილი აიფარა, — თქვენ, ევროპიდან დაბრუნებულ ბიჭებს რაღაცები გავიწყდებათ. ექიმო საჰიბ, ჩემი ქალიშვილი წესიერი გოგონაა, ამას თქმა არ უნდა. ის უცხო მამაკაცებს არ ენახვება. ალბათ გესმის, რომ მისი ნახვის უფლებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგცემ. ამიტომ ამ ზეწრის უკან მოვათავსე. იქ დგას ჩემი დამჯერი გოგონა“.

ექიმი აზიზის ხმას სიბრაზე შეეპარა: „ბატონო ღანი, მითხარით, უნახავად როგორ გავსინჯო?“

ღანი ისევ იღიმებოდა.

„გთხოვ, გადაწყვიტო, ჩემი ქალიშვილის რომელი ნაწილი ითხოვს გასინჯვას. შემდეგ კი მე ვეტყვი, რომ სწორედ ის ნაწილი მოათავსოს ამ ხვრელში და მაშინ დაინახავ. აი, ასე მივაღწევთ მიზანს“.

„რას უჩივის გოგონა?“ — იკითხა სასოწარკვეთილმა ბაბუამ. ამაზე ღანიმ თვალის კაკლები გადაატრიალა, სახე მწუხარებით დაღრიჯა და უპასუხა: „საწყალი ბავშვი! საშინლად სტკივა მუცელი“.

„ასეთ შემთხვევაში, — თავი მოთოკა ექიმმა, აზიზმა, — გთხოვთ, მუცელი მაჩვენოს“.

## მერკუროქრომი[1]

პადმამ — ჩვენმა პუტკუნა პადმამ ძალიან მოიწყინა (კითხვა არ შეუძლია და ყველა თეზის მოყვარულივით ვერ იტანს, ვინმემ რომ რამე იცის და მან კი — არა. პადმა: ძლიერი, მხიარული, ჩემთვის უკანასკნელ დღეთა იმედი. უჩვეულოდ ავი). ცდილობს, საწერი მაგიდიდან გამომიტყუოს: „ჭამე, თუ არა, გაცივდა საჭმელი“. მე კი ჯიუ-

[1] *მერკუროქრომი — იგივე მერბრომინი. ეს ნივთიერება მსუბუქი ანტისეპტიკური მოქმედებისაა. ერთხანს სარგებლობდა დიდი პოპულარობით როგორც ოდის შემცველი პრეპარატი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტად ვარ ფურცელზე დამხობილი. „რა გაქვს მანდ ასეთი ძვირფასი, — ბრაზობს პადმა და მისი მარჯვენა დანასავით ჭრის ჰაერს, — ამდენს რომ ჯლაბნი?“ ახლა ვპასუხობ, როცა ჩემი დაბადების ყოველი წვრილმანი გავამჟღავნე და გახვრეტილი ზეწარი ექიმსა და პაციენტს შორის დგას, უკანდასახევი გზა მომეჭრა. პადმა ფხუკუნებს და ხელს შუბლზე იცემს: „მიდი, მიდი, მოკვდი შიმშილით, ვის რაში ენაღვლება!“ კიდევ ერთხელ დასკვნასავით ჩაიფხუკუნა. მის გამოხდომებს ყურადღებას არ ვაქცევ. მთელი დღე მოთუხთუხე ქვაბს ურევს; დღეს რაღაც ცხელმა და ძმრიანმა ააქოთქოთა. ჩასუქებულ წელსა და თმიან მკლავებს აქეთ-იქით იქნევს და ისე დაფაშფაშებს, მოძრაობს, არსებობს. საწყალი პადმა. ყველაფერი აღიზიანებს: თავისი სახელიც კი. მას მერე აღიზიანებს, რაც დედამისმა უთხრა, პატარაობისას, ლოტოსის ქალღმერთის სახელი დაგარქვითო. ეს ლოტოსის ქალღმერთი კი სოფელში ცნობილია, როგორც „ნეხვის მეუფე“.

როგორც კი ისევ სიჩუმე დგება, საწერ ქაღალდს ვუბრუნდები, რომელსაც ცოტა სანელებლის სუნი ასდის და მელოდება, როდის ამოვაცოდვილებ მოთხრობას, რომელიც გუშინ ჰაერში გამოკიდებული დავტოვე, ზუსტად ისე, შაჰრაზადა რომ ტოვებდა ცნობისმოყვარეობით შეჭმულ პრინცს, შარიარს, თავი რომ გადაერჩინა. უცებ დავიწყებ: და გავამჟღავნებ, რომ ბაბუაჩემის წინათგრძნობა, დერეფანში რომ ეწვია, საფუძველს მოკლებული როდი იყო. მომდევნო თვეებსა და წლებში იმ ჯადოსნური გახვრეტილი ქათქათა ზეწრის ხიბლში ჩავარდა.

„ისევ? — თვალები გადაატრიალა ადამის დედამ, — გეუბნები, შვილო, რომ ის გოგო ზედმეტად კარგი ცხოვრებისგანაა ასე ავად. ზედმეტმა ტკბილეულმა გაათამამა. დედის ხელი აკლია. მაშ, წადი, მიხედე იმ შენს უხილავ პაციენტს, დედაშენს ცოტა თავი სტკივა, მაგრამ მაინც არა უჭირს რა“.

იცი, იმ წლებში მემამულის ქალიშვილს, ნასიმ ღანის, წვრილ-წვრილი სნეულებები შეეყარა და ყოველ ჯერზე შიკარას მესვეურს იძახებდნენ ახალგაზრდა, დიდცხვირა ექიმის, საჰიბის მოსაყვანად, რომელსაც უკვე სახელი გაეთქვა ხეობაში. ადამ აზიზი ყოველკვირა მიდიოდა საწოლთან, სადაც შზის სხივები და სამი მოჭიდავე ქალი იცდიდა. ყოველ ჯერზე უფლება ეძლეოდა იმ გახვრეტილი ზეწრიდან გოგონას სხეულის რომელიმე ნაწილისთვის შეეხედა. მუცლის ტკივილს მსუბუქად ნალრძობი მარჯვენა კოჭი მოჰყვა, მერე მარცხენა ფეხის ცერში ჩაზრდილი ფრჩხილი, მერე მარცხენა წვივზე პატარა განაკაწრი („ტე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტანუსი ხომ კლავს, ექიმო საპიბ, — უთხრა მემამულემ, — ჩემი ნასიმი კი ამ პატარა ნაფხაჭნმა ხომ არ უნდა გადაიყოლოს"). მარჯვენა მუხლიც გაუშეშდა და ექიმი იძულებული შეიქნა, ხელითაც შეხებოდა... რაღაც დროის შემდეგ სენმა, უხსენებელი ზონების გამოკლებით, სხეულს ზედა ნაწილშიც გადაინაცვლა. გოგონა რაღაც ამოუცნობი დაავადებით იტანჯებოდა, მამამისმა თითების სენი რომ შეარქვა. ხელებზე კანი ექერცლებოდა. სუსტი მაჯების გამო ადამმა კალციუმის აბები გამოუწერა, ხოლო ყაბზობისთვის — სასაქმებელი, როცა საქმე ოჟნამდე მიიდა. ცხელება ჰქონდა და უჩვეულოდ დაბალი ტემპერატურაც. ამ დროის თერმომეტრს ამოუდებდა ხოლმე იღლიაში და სამკურნალო მეთოდის ეფექტიანობაში ეჭვი ეპარებოდა. იღლიაში ერთხელ რაღაც გამოუვიდა და ყვითელი პუდრა მიაფრქვია. ამ პროცედურის ჩატარებისას, რომელიც ფხვნილის ხელით შეზელას ითვალისწინებდა, უხილავი მსუბუქი სხეული შეინძრა, აცახცახდა და ზეწრიდან გოგონას თავშეკაჯებული ხითხითი გაისმა. ნასიმ ღანი მგრძნობიარე გამოდგა ღიტინისადმი. ღიტინმა გაუარა, მაგრამ ახლა სამაგიეროდ სხვა ჩვილები დაწყო. ზაფხულში ანემია ემართებოდა, ზამთარში ბრონქები აწუხებდა („სიმებივით სუსტი ბრონქები აქვს", — აუხსნა ღანიმ). შორს დიდი ომის კრიზისი იდგა, აქ კი ამ ობობასქსელებიან სახლში ექიმი აზიზი თავის ნაწილ-ნაწილ ნანახი პაციენტის გაუთავებელ ჩვილებს ეომებოდა. და იმ ომის წლებში ნასიმს სულ სხვადასხვა რამ სჭირდა. „ეს იმას ადასტურებს, რომ კარგი ექიმი ხარ, — უთხრა ღანიმ, — როცა კურნავ, სამუდამოდ კურნავ. მაგრამ, ოჰ, ღმერთო!". მან ხელი შუბლზე იტკიცა — „ცხონებული დედამისი ენატრება საწყალ ბავშვს, ამიტომაც იტანჯება მისი სხეული. ძალიან მოსიყვარულე ბავშვია".

ასე თანდათანობით, ექიმი აზიზის გონებამ ნაწილ-ნაწილ დანახული სხეულისგან ძლივს შეაკოწიწა და წარმოიდგინა ნასიმი. დანაწევრებული ქალის აჩრდილი ყველგან დასდევდა, სიზმარშიც და ცხადშიც. მისმა წარმოსახვამ ერთმანეთს შეაწება მისი სხეულის ნაწილები და სადაც უნდა ყოფილიყო, სულ თან ახლდა. გონებას წინ ისე აეტუზა, რომ ეძინა თუ ელვიძა, მისი თითები გრძნობდნენ გოგონას ღიტინა კანს, პაწაწინა მაჯებსა და ლამაზ კოჭებს. ლავანდის სურნელიც სცემდა. მისი ხმაც ესმოდა და ბავშვური სიცილიც; მაგრამ გოგონა უთავო იყო, რადგან მისი სახე არასოდეს უნახავს.

დედამისი საწოლზე პირქვე ჩამხობილი იწვა. „მოდი, მოდი, დამზილე, — უთხრა, — შენი მკურნალი თითები ბებერი დედაშენის კუნ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თებს დააწყნარებს. დამზილე, დამზილე, რას გაშტერებულხარ“. მხრები დაუზილა. დედა სიამოვნებისგან ოხრავდა, იკლაკნებოდა, მოეშვა. „ახლა ქვევით, — უთხრა, — ახლა ზევით. მარჯვნივ. კარგია. ჩემი ექიმი შვილი ვერ ამჩნევს, ღანი რას აკეთებს. ასეთი ჭკვიანია და ვერ ხვდება, თუ რატომაა ის გოგო სულ ავად, უმნიშვნელო მიზეზები რომ არ ელევა. მისმინე, შვილო! ერთხელ შეხედე შენს ცხვირს: ღანი ფიქრობს, რომ იმ გოგოსთვის კარგი ნადავლი ხარ. საზღვარგარეთ ნასწავლი და ყველაფერი. მე მაღაზიებში მიმუშავია და უცხო თვალებს გავუშიშვლებივარ. უნდა იქორწინო იმ შენს ნასიმზე! რა თქმა უნდა, მართალი ვარ, აბა, მემამულე თავს რატომ შეიწუხებდა შენი გულისთვის?“. აზიზმა დედას ხელი მოუჭირა. „ო, ღმერთო, გაჩერდი, ნუ მკლავ, სიმართლეს რომ გეუბნები!“

1918 წელს ადამ აზიზი ჩამოვიდა, რომ ტბაზე რეგულარულად გადასულ-გადმოსულიყო. ახლა მისი მონდომება ერთიორად გაიზარდა, რადგან ცნობილი გახდა, რომ სამი წლის შემდეგ მემამულემ და მისმა ქალიშვილმა ერთგვარი ბარიერის მოხსნა მოიწადინეს. ერთხელ ღანიმ პირველად უთხრა: „მარჯვენა მკერდში სიმაგრე აქვს. საშიშია, ექიმო? შეხედე, კარგად შეხედე“. და აზიზმა დაინახა იქ, ხვრელში გამოყოფილი სრულყოფილი და პოეტურად მშვენიერი... „უნდა შევეხო“, თქვა აზიზმა და ხმა გაებზარა. ღანიმ ზურგზე მოუთათუნა. „შეეხე, შეეხე! — ნება დართო, — მხსნელის ხელები გაქვს და განმკურნავი შეხება, აჰ, ექიმო!“ და აზიზმა ხელი წასწია... „მომიტევეთ კითხვისათვის, მაგრამ გოგონას თვიურის დრო აქვს?“ მოჭიდავე ქალების სახეზე იდუმალი ღიმილი გაჩნდა. ღანიმ თავი დაუქნია და მეგობრულად უთხრა: „კი, ნუ უხერხულობ, მეგობარო, შენ უკვე ჩვენი ოჯახის ნაწილი ხარ“. და აზიზმა უთხრა: „მაშინ საშიში არაფერია. სიმაგრე გაივლის, როცა თვიური დასრულდება“... და შემდეგ: „დუნდულზე კუნთი დაეჭიმა, ექიმო საჰიბ, ძალიან სტკივა!“ და ზეწრის ქვეშ მრგვალი დუნდული გამოჩნდა, აზიზს თვალი რომ მოსჭრა... და ახლა აზიზმა იკითხა: „შემიძლია, რომ...“ შემდეგ ღანის სიტყვა და მორჩილი პასუხი ზეწრის ქვემოდან; ფარდა შეირხა, საცვალი ჩაცურდა და ხვრელში ციური დუნდული სასწაულებრივად ამოიზარდა. ადამ აზიზი გონებას სამედიცინო ჩარჩოში ტენის... ხელს იწვდენს... ეხება... და შეუძლია დაიფიცოს, რომ ეს მორცხვი საჯდომი, მისდა გასაკვირად, სირცხვილისგან წითლდება.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი საღამო ამაზე ფიქრობდა. მაგიურმა ზეწარმა ხვრელის ირიგე მხარეს ხომ არ იმოქმედა? ალტაიებელმა გაიფიქრა, რომ უთავო ნახიმი, რომელიც მისი თვალების, თერმომეტრის, სტეთოსკოპის, თითების ქვეშ ცახცახებდა, ექიმის სახის წარმოდგენას ცდილობდა. თუმცა ბევრი არაფერი უნახავს მისი ხელების გარდა... ადამს აკრძალული იმედი მოეცა, რომ ნახიმ ღანის ან შაკიკი დაემართებოდა, ან ნიკაპს გაიკაწრავდა, რომ მერე ერთმანეთისთვის სახეში შეეხედათ იცოდა, რომ არაპროფესიული გრძნობები დაეუფლა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. ვერაფრით დაამორჩილა. ეს გრძნობები თავისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მოკლედ: ბაბუაჩემმა აღმოაჩინა, რომ შეუყვარდა, და გახვრეტილი ზეწარი საკრალურ, ჯადოსნურ ნივთად მიიჩნია, რადგან სწორედ ამ ზეწრის ხვრელში ისეთი რამ იხილა, რამაც მასში არსებული ხვრელი ამოავსო, რომელიც მაშინ გაუჩნდა, ცხვირი მიწას რომ დაარტყა და მენავე თაიმ შეურაცხყოფა რომ მიაყენა.

მსოფლიო ომის დასრულების დღეს მოხდა ის, რასაც აზიზი ნატრობდა: ნახიმს თავი ასტკივდა. ასეთმა ისტორიულმა დამთხვევამ ქვეყნიერებაზე ჩემი ოჯახის არსებობა გასვარა და შებღალა.

ძლივს გაბედა შეეხედა, რა იყო ზეწრის ხვრელში. ხომ შეიძლებოდა საშინელი სახე ჰქონოდა და, ალბათ, ეს წარმოდგენაც ამიტომ მოაწყვეს... შეხედა. და დაინახა ნაზი სახე, რომელიც უშნო სულაც არ ყოფილა. ლამაზ, რბილ ბუდეში ჩაწყობილი მოელვარე თაფლისფერი თვალები ოქროს ათინათით: ვეფხვის თვალები. ექიმი აზიზი საბოლოოდ დამარცხდა. ნახიმმა წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, რამხელა ცხვირი გაქვთ, ექიმო!" ღანიმ გაბრაზებულმა უთხრა: „შვილო, როგორ". მაგრამ ექიმი და პაციენტი ერთად იცინოდნენ და აზიზი ამბობდა: „კი, კი, ეს გამორჩეული სახეობის ცხვირია. ამბობენ, მასში დინასტიები იცდიანო". და ენაზე იკბინა, რომ უცებ არ წამოეროშა... „როგორც წვინტლი ელოდება გარეთ გამოსვლას".

და ღანიმ, რომელიც სამი წლის განმავლობაში ბრმასავით იდგა ზეწართან და სულ იღიმებოდა, ახლაც გაელიმა იმ საიდუმლო ღიმილით, მოჭიდავე ქალების ტუჩებზეც რომ აისახა.

ამასობაში, მენავე თაიმ აუხსნელი გადაწყვეტილება მიიღო, რომ არასოდეს დაებანა. ხეობაში, რომელიც ანკარა ტბებში იყო ჩაძირული და სადაც ულარიბესი ხალხიც კი სისუფთავით ამაყობდა, თაიმ სიმყრალე ირჩია. სამი წელია უკვე ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაყოფილების შემდეგ არც იბანდა და ტბაშიც არ ბანაობდა. წლობით ერთი და იგივე ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვა. ზამთარში აყრილებულ სამოსზე ქურთუკს მოიცვამდა ხოლმე, ეს იყო და ეს. ამ ქურთუკში ცხელი ნახშირი ჰქონდა ჩაწყობილი ქაშმირული ადათის მიხედვით, რომ ძლიერ სიცივეში გამთბარიყო, მაგრამ ეს სითბო კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა მის სიმყრალეს. ნელა ჩაუვლიდა ხოლმე აზიზის სახლს და ამ სიმყრალეს ბალს მიაფრქვევდა. ყვავილები დაჭკნენ; ჩიტები მოხუცი აზიზის ფანჯრიდან შორს გაფრინდნენ. ბუნებრივია, თაიმ სამსახურიც დაკარგა, რადგან სანაგვე ყუთთან ერთად მგზავრობას რომელი ინგლისელი მოისურვებდა. ხმები გავრცელდა, რომ თაის ცოლი, რომელიც მისი ქმრის სიბინძურემ გააგიჟა, განმარტებას სთხოვდა. თაის ცოლისთვის უთქვამს: „იმ ჩვენს უცხოეთიდან დაბრუნებულ ექიმს ჰკითხე, იმ გერმანელ აზიზს ჰკითხე და გეტყვის!“ ნუთუ ექიმის ზედმეტად მგრძნობიარე ნესტოების შეურაცხყოფა უნდოდა (ნესტოებისა, რომელსაც უკვე სიყვარულის ანესთეზია მიელო და საშიშროების ფხანამაც გაიარა) თუ ეს ერთგვარი ჟესტი იყო, რითაც ჰაიდელბერგიდან შემოჭრილ დოქტორი-ატაშესთვის სურდა დაემტკიცებინა, რომ ყველაფერი უცვლელია? ერთხელ აზიზმა პირდაპირ ჰკითხა იმ ბებერს, რატომ იქცეოდა ასე; თაიმ კი მხოლოდ სუნთქვა შეაფრქვია და ნიჩბები მოუსვა, მაგრამ ის შეფრქვევა ისე ნაჯახივით დაეტაკა, რომ აზიზი კინაღამ ადგილიდან მოსხიპა.

1918 წელს ექიმი აზიზის მამა, რომელსაც ჩიტები დაუფრთხეს, ძილში გაიპარა; ორმოცი დღეც არ იქნებოდა გასული, დედაც გარდაიცვალა, დედა, რომელმაც ძვირფასი თვლების ბიზნესის წარმართვა მოახერხა წარმატებული შვილის მეოხებით და რომლისთვისაც ქმრის სიკვდილი შვება იყო ამ წვალებით სავსე ცხოვრებაში. ლოგინში ჩაწვა და აღარც ამდგარა. ქმარს უკან მიჰყვა. იმ დროს, როცა ომი დამთავრდა და ინდური სამხედრო შტაბი უკან დაბრუნდა, ექიმი აზიზი ობოლი, მაგრამ თავისუფალი კაცი იყო, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ გული იმ თოთხმეტსანტიმეტრიან ხვრელში შეუვარდა.

თაის საქციელმა ყველაფერი წაახდინა. ექიმ აზიზს ტბის სანაპიროს მოსახლეობასთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ბავშვობისას რომ მეთევზის ცოლებსა და ყვავილების გამყიდველებს თავისუფლად ელაზღანდარებოდა, ახლა ყველა ეჭვის თვალით უყურებდა. „იმას ჰკითხეთ, იმას, იმ გერმანელ აზიზს“. თაიმ აზიზი უცხოელად მონათლა და ამი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომ არაფრის ეშინოდა. ხალხს მენაჯე არ უყვარდა, მაგრამ ექიმის გულის ქვეშ მოქცეული კიდევ უფრო შეეძულეს. აზიზს ღარიბები ალმაცერად უყურებდნენ და გარიყეს კიდეც, რაც ძალიან სწყინდა. ახლა მიხვდა, რა უნდოდა თაის: ამ კაცს მისი ხეობიდან განდევნა სწყუროდა.

ჭორები გახვრეტილი ხეწრის შესახებაც დაირხა. მოჭიდავე ქალები, როგორც ჩანს, ისეთი ფრთხილები არ იყვნენ, როგორიც ერთი დანახვით ჩანდა. აზიზი ამჩნევდა, რომ ხალხი თითს იშვერდა მისკენ. ქალები პირზე ხელს იფარებდნენ და ხითხითებდნენ...

„გადაუწყვიტე, გამარჯვება თაის დარჩეს“, თქვა მან. მოჭიდავე ქალები, ორს ხეწარი რომ ეკაჯა და ერთი კართან იდგა, ყურებგაფაციცებული უსმენდნენ („მამაჩემს მე ვაიძულე ამის გაკეთება, — უთხრა ნასიმმა, — ამიერიდან ეს მითქმა-მოთქმა შეწყდება“). ნასიმს ფართო თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა.

...ამასაც ასე დაემართა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ, ქალაქის ქუჩებში რომ მიდიოდა, შეხედა, ავტობუსი გაჩერდა, რომელზეც წითელ-მწვანე საღებავით დაწერათ: „ღმერთმა ინებოს“. უკან კი ლურჯ-ყვითელ ფერებში: „მადლობა ღმერთს“ და თამამი შინდისფერი წარწერა: „ბოდიში — ნახვამდის!“ — და უცებ იცნო: ახალსამკაულებიანი და მაკიაჟიანი აილს ლუბინი იყო, ავტობუსიდან რომ ჩამოვიდა.

ახლა მემამულე ღანი ყურდახშულ მცველებთან მარტო ტოვებდა აზიზს. „ცოტა ისაუბრონ. ეს ექიმ-პაციენტის ურთიერთობას ნდობით გააძყარებს. ახლალა მიეხვდი, ექიმო, მაპატიეთ, რომ ადრე ჩემი აქ ყოფნით ხელს გიშლიდით“. ახლა ნასიმი არ ჩერდებოდა: „ეს რა ლაპარაკია? კაცი არა ხარ? ვილაც აქოთებული მენაჯის გულისთვის სახლიდან მიდიხარ!“..

„ოსკარი გარდაიცვალა, — უთხრა აილსმა, დედამისის დივანზე რომ იჯდა და ციტრუსის წვენს წრუპავდა, — ხუმარასავით მივიდა ჯართან და უთხრა, პაიკები ნუ იქნებითო. სულელი! ალბათ იფიქრა, ჯარისკაცები თოფებს დაყრიან და სახლებში წავლენო. ჩვენ ფანჯრიდან ვუყურებდით და ვლოცულობდით, არ მოეკლათ. შტაბი მარშირებულად მოძრაობდა, ვერც იცნობდი. იქიდან რომ ბრუნდებოდა, ქუჩის კუთხეში საკუთარი ფეხსაცმლის თასმას წამოედო და წაიქცა. სამხედრო მანქანამ გადაუარა. იმ შტერს თასმები სულ გახსნილი ჰქონდა“. აი, წამწამებზე ბრილიანტები შეეყინა... „მაგისთანები ანარქისტებს სახელს უფუჭებენ“.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„კარგი, — უთხრა ნასიმმა, — შენ სამსახურის კარგი შანსი გაქვს, აგრის უნივერსიტეტი ცნობილია. არ იფიქრო, რომ არ ვიცოდი. უნივერსიტეტის ექიმი!.. კარგად ეღერს. თქვი, რომ ამისთვის მიდიხარ. ეს სულ სხვა რამეა". ხვრელიდან გამოჩნდა, რომ წამწამები დახარა „მომენატრები, მართლა".

„შეყვარებული ვარ, — უთხრა ადამ აზიზმა აილს ლუბინს, — მხოლოდ ზეწრის ხვრელიდან მყავს ნანახი. მისი სხეულის ყველა ნაწილი ცალ-ცალკე ვიცი; გეფიცები, საჯდომი სიმორცხვისგან უწითლდება".

„აქ, ალბათ ჰაერში, რაღაცას აფრქვევენ", — თქვა აილსმა.

„ნასიმ, სამსახური შემომთავაზეს, — გაანდო ადამმა სიხარულით, — წერილი დღეს მოვიდა, 1919 წლის აპრილითაა დათარიღებული. მამაშენი ამბობს, რომ ჩემი სახლისა და მაღაზიის მყიდველს მონახავს".

„შესანიშნავია, — ტუჩები აიბზუა ნასიმმა, — ახალი ექიმი უნდა ვიშოვო. ან იქნებ სულაც ისევ ის ბებერი მოვიყვანო, ექიმობისა რომ არაფერი გაეგება".

„რადგან ობოლი ვარ, — თქვა ექიმმა აზიზმა, — ჩემს კუთხეში მოვედი, მაგრამ ამჯერად, ბატონო ღანი, გამოუძახებლად მოვედი. ეს ჩვეულებრივი ვიზიტი არ გახლავთ".

„გენაცვალე! — ღანიმ ხელი ზურგზე მოუთათუნა, — რა თქმა უნდა, ცოლად უნდა შეირთო. საუკეთესო მზითევს გავატან! არავითარ ხარჯს არ დავზოგავ. თქვენი ქორწილი წლის საუკეთესო ქორწილი იქნება. კი, ნამდვილად ასე იქნება!"

„როცა წავალ, აქ ვერ დაგტოვებ", უთხრა აზიზმა ნასიმს. ღანიმ თქვა: „სპექტაკლი დამთავრდა, ქალებო, საკმარისია, მოაშორეთ ეს სულელური ზეწარი, გადააგდეთ. ესენი შეყვარებულები არიან!"

„როგორც იქნა, მთლიანად დაგინახე, მაგრამ ახლა უნდა წავიდე. ჩემი შემოვლა იწყება... ჩემი ძველი მეგობარია ჩემთან. გერმანიიდან ჩამოვიდა, უნდა ვუთხრა, ძალიან გაუხარდება".

„არა, ადამ, ბაბა, — უთხრა მებარგულმა, — დილის მერე აილსი არ მინახავს. ბებერი თაი დაიქირავა და შიკარათი სადღაც წავიდნენ".

„რა უნდა გითხრათ, ბატონო? — მორიდებულად აჩიფჩიფდა თაი, — ძალიან დიდი პატივია ჩემთვის ისეთი დიდი პერსონის სახლში მოსვლა, თქვენ რომ ხართ. ქალბატონმა დიდი მოგოლების ბაღების



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დასათვალიერებლად დამიქირავა. უნდა მოგვესწრო, სანამ ტბა გაიყინებოდა. წყნარი ქალბატონია, ექიმო საჰიბ, სულ ჩუმად არის. ულირსმა ფიქრებმა შემაწუხეს, სულელებს რომ აწუხებენ, ისე. უცებ მოვიხედე და იქ არ ზის. ცოლს გეფიცები, სად გაქრა, ვერ დავინახე. დაუჯერე შენი ბავშვობის მეგობარს, ერთ საწყალ ბებერ მენავეს".

„ადამ, ბაბა, — გააწყვეტინა მებარგულმა, — მაპატიეთ, მაგრამ ეს წერილი ვნახე მის მაგიდაზე".

„ვიცი, სადაც არის, — ექიმი აზიზი თაის მიაშტერდა, — ვერ გამიგია, როგორ ახერხებ ჩემს ცხოვრებაში არეულობის შემოტანას, მაგრამ გახსოვს, ერთხელ ერთი ადგილი რომ მიჩვენე და მითხარი, უცხო ტომის ქალები აქ თავის დასახრჩობად მოდიანო".

„მე, საჰიბ? — მყრალი თაი დაიბნა, მაგრამ უწყინარი სახე მიიღო, — დარდმა სულ აგირია გონება! აბა, ეგენი მე საიდან ვიცი?"

და როცა სახეწაშლილმა მენავეებმა წყლით გაბერილი და სარეველებშემოხვეული აილსის გვამი წყლიან ამოიღეს, თაი შიკარას გაჩერებაზე მივიდა და იმ კაცებს, ავადმყოფი ხარივით რომ ერიდებოდნენ, უთხრა: „მე მაბრალებს, წარმოგიდგენიათ! მოათრევს აქ თავის აღვირახსნილ ევროპელებს და ისინი ტბაში რომ ხტებიან, თურმე ჩემი ბრალია! გეკითხებით, საიდან იცოდა, სად მოეძებნა? თვითონ მას, მაგ უცხოელ აზიზს ჰკითხეთ!".

აილსის წერილში ეწერა: „არ მინდოდა".

კომენტარს არ ვაკეთებ. დაე, სხვებმა განსაჯონ ეს ამდენი ხნის ამბები, ჩემს ტუჩებს რომ დასცდათ და რომელიც სიჩქარისა და ღელვისგან მგონი ცოტათი ავურ-დავურიე. ბევრი რომ არ გავაგრძელო, პირდაპირ ვიტყვი, რომ 1918-1919 წლების გრძელ, მკაცრ ზამთარში თაი ავად გახდა. რაღაც კანის საშინელი დაავადება შეეყარა იმ ევროპულ წყევლასავით, „ბოროტ მეფეს" რომ ეძახიან; ექიმი აზიზის ნახვაზე უარი განაცხადა და ადგილობრივი ჰომეოპათი წამლობდა. მარტში, ტბა რომ გალღვა, მიწათმფლობელ ღანის სახლში, დიდ ფანჩატურში ქორწილი გაიმართა. ქორწინებამ აზიზი სოლიდური თანხით გაამდიდრა, რომელიც აგრაში სახლის საყიდლად გამოადგებოდა. ზმხიუვში მისივე მოთხოვნით მიიღო გახვრეტილი ზეწარი. ყვავილწნულებით მორთული, გათოშილ წყვილ ბალდახინზე იჯდა, სტუმრები კი გარს უვლიდნენ და კალთაში რუპიებს უყრიდნენ. იმ ღამით ბაბუაჩემმა პატარძალთან ის გახვრეტილი ზეწარი დაიგო, რო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელიც დილით სამი წვეთი სისხლით იყო მორთული, პატარა სამკუთხედს რომ ქმნიდა. დილით ზეწარი გამოფინეს და ცოლქმრული ცერემონიის დასრულების შემდეგ, მემამულის მიერ დაქირავებულმა ლიმუზინმა ამრიცარში წასაყვანად მოაკითხათ, სადაც წყვილი საზღვარზე გადამსვლელ მატარებელს მიუსწრებდა. შემოჯარული მთები გაშტერებული უმზერდნენ ბაბუას, რომელიც უკანასკნელად ტოვებდა სახლს (ის ერთხელ დაბრუნდება, მაგრამ არ დარჩება). აზიზს მოეჩვენა, რომ ბებრუხანა მენავე დაინახა, ხმელეთზე რომ იდგა და მათკენ იყურებოდა, მაგრამ ალბათ შეეშალა — თაი ხომ ავად იყო. სანკარა აჩარიას მაღლობზე აღმართულ მოელვარე ტაძარს, რომელსაც მაჰმადიანებმა სოლომონის ტახტი უწოდეს, მათთვის ყურადღება არ მიუქცევია. მანქანა სამხრეთისკენ მიდიოდა და ზამთრისგან გაშიშვლებულ ალვებსა და ზაფრანის თოვლით დაფარულ მდელოებს უკან იტოვებდა. საბარგულში იდო ძველი ტყავის ჩანთა, რომელშიც სხვა ნივთებთან ერთად სტეთოსკოპი და შეხვეული ზეწარი იყო. ექიმ აზიზს მუცლის სიღრმეში სიცარიელის მსგავსი შეგრძნება დაეუფლა.

იგრძნო, რომ დამარცხდა.

(...და ახლა მოჩვენებასავით გამოვდივარ. ცხრა წლის ვარ და მთელი ჩემი ოჯახი: დედა, მამა, თითბრის მაიმუნი და მე აგრაში ვართ ბებიასთან და ბაბუასთან. შვილიშვილები და მათ შორის მეც ჩვეულ საახალწლო სცენას ვდგამთ; მე მოჩვენება ვარ და მომდევნო წარმოდგენა საიდუმლოდ რომ შევინახო — სახლი გადავაქოთე. მოჩვენების სამოსს ვეძებ. ბაბუა პაციენტების მოსანახულებლადაა წასული. მის ოთახში ვარ. და აქ, ამ განჯინის თავზე ძველი ყუთი დევს მტვრითა და ობობას ქსელებით დაფარული, მაგრამ გაუხსნელი. და აქ, ამ ყუთში, ჩემი ლოცვების პასუხია. არა უბრალოდ ზეწარი, არამედ გახვრეტილი ზეწარი! აქ არის, ამ ტყავის ჩანთაში, ამ ყუთში, ძველი სტეთოსკოპისა და სასუნთქი აპარატის ქვეშ... ჩვენს წარმოდგენაში ამ ზეწრის გამოჩენამ სენსაცია მოახდინა. ბაბუამ ერთი შეხედა ზეწარს და ყვირილით ფეხზე წამოვარდა. სცენაზე ამოვიდა და ყველას თვალწინ მოჩვენების როლიდან გამომიყვანა. ბებიამ ტუჩები ისე მოკუმა, არც კი უჩანდა. და ორივემ, ბებიამ და ბაბუამ საშიში მოჩვენება ატირებულ საცოდავ არსებად მაქციეს, — ბაბუამ იმით, რომ მივიწყებული მენავის ხმით მიყვიროდა, და ბებიამ — სიბრაზისგან ტუჩები რომ მოკუმა. უკანმოუხედავად გავიქეცი და პატარა სიმინდის ყანას შევერიე, ისე, რომ არც ვიცოდი, რისთვის დამსაჯეს. რამდენიმე საათი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მგონი ზუსტად იმ ადგილზე ვიჯექი, ნადირ-ხანი რომ იჯდა! — და ვიფიცებოდი, რომ ამიერიდან არასოდეს გაუხსნიდი იმ აკრძალულ ყუთს, რომელიც, ჩემდა საუბედუროდ, ჩაკეტილი არ აღმოჩნდა. მაგრამ, ისინი რომ გაბრაზდნენ, ალბათ ეს ზეწარი მართლა ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო).

წერა პადმამ გამაწყვეტინა. სადილი მომიტანა, მერე ისევ უკან გასწია და დამემუქრა: „თუ ჯღაბნით თვალების თხრას მაინც არ იშლი, მაშინ რასაც დაწერ, უნდა წამიკითხო". ვახშამზე ვმღეროდი — ალბათ ჩვენი პადმა გამოსადეგი ადამიანია, რადგან კრიტიკას არასოდეს მოიშლის. ბრაზობს, როცა მის სახელზე ვამახვილებ ყურადღებას. „შენ რა გესმის, ქალაქელო ბიჭო?" ყვირის და ხელებს ჰაერში დანასავით იქნევს. „ჩემს სოფელში სულაც არ არის სირცხვილი, ნეხვის ქალღმერთი გერქვას. ჩქარა დაწერე, რომ თავიდან ბოლომდე ცდებოდი". ჩემი ლოტოსის სურვილებთან ერთად სასწრაფოდ ჩავსვი ოდა ნეხვისადმი.

ნეხვი ანაყოფიერებს მოსავალს და მის გაზრდას ხელს უწყობს! ჯერ კიდევ ახალი ნეხვი პატარა თხელ ნაჭრებად ყალიბდება და სოფლის მშენებლები ტალახისგან თუ ალიზისგან აგებული შენობების გასამაგრებლად ყიდულობენ! ნეხვი, პირუტყვის ბოლოდან გამოსვლის მერე დიდ გზას გაივლის, რომ თავისი საღმრთო და საკრალური არსებობა დაამტკიცოს. დიახ, მე მართლა შევცდი, ვალიარებ, რომ სიძულვილი მამოძრავებდა, რადგან მისი უბედური სურნელი თუ აუტანელი სუნი ჩემს მგრძნობიარე ნესტოებს ნამდვილად შეურაცხოფს. ენა ვერ იტყვის, ისეთი კარგია და შესანიშნავი, ნეხვის ქალღმერთი რომ გქვია.

1919 წლის 6 აპრილს ამრიცარის წმინდა ქალაქს (დიდებულია, პადმა, ღვთიურია!) ექსკრემენტების სუნი აუვიდა. და ალბათ, იმ (მშვენიერმა) სურნელმა ბაბუაჩემის ცხვირი არ გააღიზიანა — ბოლოს და ბოლოს, ქაშმირელი გლეხები, როგორც ვთქვით, თაბაშირად იყენებდნენ. შრინაგარშიც კი ნახავდით, ქუჩის ვაჭრები ნეხვის მრგვალ ნაჭრებს ურიკებით რომ დაატარებდნენ, მერე ეს ნეხვი ხმებოდა, უსუნო და გამოსადეგი ხდებოდა. ამრიცარის ნეხვი ახალი და (რაც უფრო უარესია) გამოუსადეგარი იყო, და არც მთლიანად მარტო ძროხისა ყოფილა. ის გამოდიოდა ცხენების უკანალიდან, ვირების, ადამიანებისა და ძაღლების ერთობლივი ნასაქმი იყო, ბუნების მოთხოვნილების შედეგად მიღებული, მაგრამ იქ ძროხებიც იყვნენ, მტვრიან ქუჩებში მოხეტიალე წმინდა ცხოველები, საკუთარ ტერიტორიებს რომ იცავდნენ და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ექსკრემენტებით ნიშნავდნენ და ბუზები! საზოგადოების ნომერ პირველი მტერი, ამ ექსკრემენტებს რომ დაპბზუოდნენ, დღესასწაულობდნენ და მტვერავდნენ ამ უხვ მონაგარს. ქალაქიც ბუზივით ბზუოდა. ექიმმა ახიზმა სასტუმროს ფანჯრიდან ისე გადახედა მოზუზუნე ქალაქს, როგორც მორწმუნე ბერი დაჰყურებს მიწას და სანამ მასზე გაივლის, ხის ცოცხით ასუფთავებს, რომ ფეხი ჭიანჭველას ან რაიმე მწერს არ დააბიჯოს. ქუჩის წრაფი კვების დახლიდან პიკანტური სურნელი იფრქვეოდა. „ცხელ-ცხელი ხორცი!“ თეთრი ქალი აბრეშუმს ყიდულობდა ქუჩის განაპირა მაღაზიაში და ჩალმიანი კაცები თვალებით ჭამდნენ. ნასიმს — ახლა უკვე ნასიმ აზიზს — საშინლად სტკიოდა თავი; პირველად გაუმეორა, ალბათ წყნარი ხეობის მიღმა ცხოვრება მისთვის შოკისმომგვრელი იყო. ახალგამოწურული ციტრუსის წვენი ედგა საწოლთან და მალ-მალე ცლიდა. აზიზი ფანჯარასთან იდგა და ქალაქის სურნელს ისუნთქავდა. ოქროს ტაძრის[1] ქონგური მზეში ბრწყინავდა. ცხვირმა ფხანა დაუწყო. აქ რაღაც ისე ვერ იყო.

ბაბუაჩემს მუშტი, ფრჩხილები, თითები — ყველაფერი ჩვეულებრივზე დიდი ჰქონდა. გარეთა კიდეებზე ბლუჯა წითელი თმა აქვს, ცერი და საჩვენებელი თითი შეერთებულია და მარტო ფურცლის სისქე ყოფს. მოკლედ: ბაბუაჩემს ხელში პამფლეტი ეჭირა, რომელიც შეაჩერეს (უბრალოდ რომ მოვჭრათ — ბომბეიდან ჩამოსული არც ერთი კაცი არ უნდა დარჩეს მთავარ მოვლენათა ლექსიკონის გარეშე), სასტუმროს ფოიეში რომ შევიდა, მაშინ. მბრუნავ კარში დაკონკილი უპატრონო ბავშვი შემოიჭრა, მორბის და ფურცლები უცვივა, რადგან სასტუმროს ბიჭი მისდევს. კართან შეშლილი სამყაროა, ირგვლივ მბრუნავი: სასტუმროს ბიჭის ხელიც მუშტად იკვრება, ცერა თითი საჩვენებელს უჭერს, ისე, რომ ამ ორ თითს მხოლოდ ბავშვის ყურის სისქე აცალკევებს. ამბების გამავრცელებელი ჯურღმულთა ბინადარი, პატარა ლაწირაკი გარეთ გააძევეს, მაგრამ ბაბუამ პამფლეტი მაინც დაიტოვა. და ახლა ფანჯრიდან რომ იყურება, პამფლეტის ამბების ექოს მოპირდაპირე კედელზე არეკლილს ხედავს; იქაც, მეჩეთის მინარეთზე და დიდ შავ გაზეთშიც, ქუჩის მოვაჭრეს რომ იღლიაში ამოუჩრია. პამფლეტი, გაზეთი, მეჩეთი და კედელი ყვირიან: „შეწყვიტეთ მუშაობა!“ ეს გლოვის, სიმშვიდისა და დუმილის დღეს ნიშნავს. ეს

---

[1] *ოქროს ტაძარი, დამბულის მღვიმე — მღვიმოვანი კომპლექსი შრი-ლანკაში. თარიღდება ძვ.წ. I საუკუნით. მდიდარია ისტორიული ძეგლებით.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაჰათმას[1] ზენიტში მყოფობის დროინდელი ინდოეთია, თვით ენაც კი განდის მითითებებს ემორჩილება. სიტყვამ მისი გაულენით ახალი ელერადობა შეიძინა. 7 აპრილი უქმე დღეა — მეჩეთს, გაზეთს, კედელსა და პამფლეტს თითქოს პირი შეუკრავთ, რადგან განდის გამოუცხადებია, რომ დღეს მთელმა ინდოეთმა უნდა შეისვენოს. ეს არის მშვიდობიანი გლოვა იმის გამო, რომ ინგლისელები ჯერ კიდევ ქვეყანაში არიან.

„არ მესმის, ეს გლოვის დღე რას ნიშნავს, როცა არავინ მომკვდარა, — წუწუნებს ნასიმი, — რატომ არ მიდის მატარებელი? რამდენი ხნით ვჩერდებით?“

ექიმი აზიზი ქუჩაში ახალგაზრდა ჯარისკაცს ამჩნევს და ფიქრობს — ინდოელები ბრიტანელებისთვის იბრძოდნენ; რამდენმა მათგანმა იხილა მსოფლიო და საზღვარგარეთის სენით დასნეულდა. ისინი იოლად არ დაუბრუნდებიან ძველ სამყაროს. ბრიტანელები ხდებიან, დროის უკან დაბრუნებას რომ ცდილობენ. „როულეტის საქმის გატარება შეცდომა იყო“, ბურტყუნებს აზიზი.

„რა როულეტის? — კვნესის ნასიმი, — რაღაც სისულელეზე ნუ ფიქრობ, ავად ვარ!“

„პოლიტიკური აგიტაციის წინააღმდეგ“, უხსნის აზიზი და თავის ფიქრს უბრუნდება. თაიმ ერთხელ თქვა: „ქაშმირელები სხვანაირები არიან. მაგალითად, ლაჩრები. ჩაუდე იარაღი ქაშმირელს ხელში და თავისით გავარდება — ის ვერასოდეს გაბედავს სასხლეტის გამოკვრას. ჩვენ ინდიელებს როდი ვგავართ, სულ რომ იბრძვიან“. აზიზი, თავში თაი რომ ჰყავს, თავს ინდიელად სულაც არ გრძნობს. ქაშმირი, ბოლოს და ბოლოს, იმპერიის ნაწილი არ არის, დამოუკიდებელი მდგომარეობა უკავია. არ არის დარწმუნებული, რომ პამფლეტის, მეჩეთის, კედლისა და გაზეთის გლოვის დღე მისი ბრძოლაა, თუმცა კი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა ახლა. ფანჯარას შორდება...

...ხედავს, ნასიმს ბალიშში თავი ჩაუყვია და ქვითინებს. მას მერე ქვითინებს, რაც მათი ქორწინების მეორე ღამეს სთხოვა, ცოტა გაინძერიო.

---

[1] *მაჰათმა განდი, იგივე მოჰანდას კარამჩანდ განდი (1869-1948) — ინდოეთის სულიერი და პოლიტიკური ლიდერი, რომლის წინამძღოლობით ინდოეთმა ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობას მიაღწია. ძალადობის უარყოფის მისეულმა ფილოსოფიამ, რომელსაც თავად სატიაგრაჰა უწოდა, დიდი გავლენა იქონია ეროვნულსა თუ საერთაშორისო არაძალადობრივი წინააღმდეგობის მოძრაობებზე მსოფლიოს მასშტაბით.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„სად გაკინძრე? — ჰკითხა, — როგორ გაკინძრე?“ უხერხულობა იგრძნო აზიზმა და უთხრა: „ცოტა გაინძერი, როგორც ქალი, ისე“. შეშინებულმა დაიკივლა: „ღმერთო ჩემო, თურმე ვის გაკვეცი ცოლად?! გიცნობთ თქვენ, ევროპიდან დაბრუნებულ კაცებს. საშინელ ქალებს ნახულობთ და მერე ჩვენც იმათნაირი გინდათ გაგვხადოთ! მისმინე, ექიმო საჰიბ, ქმარი ხარ ჩემი თუ ვიღაც, მე არა ვარ... გარყვნილი ქალი“. ეს იყო ბრძოლა, რომელიც ბაბუაჩემს არასოდეს მოუგია; ამან ერთგვარი ტონალობა მისცა მათ ქორწინებას, რომელიც ხშირ და გამანადგურებელ ომში გადაიზარდა, და რომლის შემოტევამ ზეწრისქვეშეთის გოგონა და უტაქტო ექიმი ერთმანეთისთვის უცხო არსებებად აქცია... „და ახლა რა, ცოლო?“ ეკითხება აზიზი. ნასიმი სახეს ბალიშში მალავს. „კიდევ რა?“ კითხულობს დახშული ხმით. „შენ რა, შენ გინდა რომ უცხო კაცების წინაშე შიშველმა ვიარო?“ (უთხრა, ჩადრი მოიხსენიო).

ეუბნება: „შენი სამოსი თუ ყელიან-მაჯებიან-მუხლებიანად ყველაფერს გიფარავს. ქვედა სამოსი კოჭებამდე გფარავს. რაც გიჩანს, ეს შენი სახე და ტერფებია. ცოლო, ეს ორი ნაწილი ამორალური გაქვს? მაგრამ ნასიმი წუწუნებს: „კაცები ყველაფერს დაინახავენ! ისინი ჩემს დიდ სირცხვილს დაინახავენ!“

და ახლა იმ შემთხვევაზე გიამბობთ, ვერცხლისწყლის სამყაროში რომ შეგვაცურებს.

...აზიზს მოთმინების ფიალა ევსება, ჩემოდნიდან ამოყრის ცოლის ჩადრებს და ლითონის სანაგვე ყუთში უძახებს, რომელსაც გვერდზე გურუ ნანაკის ნახატი აქვს, და ცეცხლს უკიდებს. ალი ზევით ავარდა. მისდა გასაოცრად, ალის ენა ფარდებს ელამუნება. ადამი კარისკენ გარბის და შველას ითხოვს, იაფფასიანი ფარდები კი ცეცხლმა ააბრიალა... მტვირთავები, სტუმრები, მრეცხავები ოთახისკენ გარბიან და ცეცხლის ჩაქრობას ცდილობენ მტვერსაწმენდებით, პირსახოცებით და ჭუჭყიანი სარეცხით. მოაქვთ ვედროები; ცეცხლი ქრება; ნასიმი საწოლში იმალება, რადგან კვამლით სავსე ოთახში ოცდათხუთმეტამდე სიქი[1] და ჰინდუ[2] გროვდება. ბოლოს, მიდიან და ნასიმს

---

[1] *სიქი — სიქიზმის მიმდევარი. სიქიზმი — ერთ-ერთი ინდური რელიგია. წარმოიშვა XVI საუკუნეში პენჯაბში, როგორც ინდუიზმის სექტა. პენჯაბი — ბუნებრივი და ისტორიული მხარე ინდოეთსა და პაკისტანში. პაკისტანში არსებობს პენჯაბის პროვინცია, ინდოეთში — პენჯაბის შტატი.*

[2] *ჰინდუ — ინდუიზმის მიმდევარი. ინდუიზმი (სანსკრ) — მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი რელიგია, რომელსაც დღეისთვის ინდოეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (85 პროცენტი) აღიარებს ისლამის, ქრისტიანობის, სიქიზმის, ჯაინიზმისა და ბუდიზმის გვერდით.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დანა პირს არ უხსნის სიბრაზისგან, მაგრამ ორი წამიდადება მაინც ამოღერღა:

„შეშლილი კაცი ხარ, კიდევ ძინდა ციტრუსის წვენი".

ბაბუა ფანჯრებს აღებს და პატარძალს უბრუნდება. „ეგაზეთი ... ნაძიხელ?"

ტუჩები მოკუმული აქვს; თვალები ძიჭეტული. „არა!" — აბაზის გაბრაზებული; და ბაბუაჩემი ქუჩაში მარტო გადის. გასელის წინ ეუბნება: „დაიწყე ეგ კარგი ქაშმარული გოგონა და თქვენ ამაზე, რომ თანამედროვე ინდოელი ქალი გახდე".

...ბრიტანეთის არმიის საშხედრო ბანაკში ბრიგადირი დაიერი ულვაშს იწიწკნიდა.

1919 წლის 7 აპრილია და ამრიცარში მაჰათმას დიდებული გეგმა მახინჯდება. მალაზიები დაიკეტა, რკინიგზის სადგურიც. მაგრამ ახლა არეული ბრბო ყველაფერს აბტკრეკს. ექიმი აზიზი ხელში ტყვეის ჩანთით გარეთ გარბის და ყველას ეხმარება. გადაჯგილი სხეულები ისევ მიწაზე ყრია. ჭრილობებს უხვევს და სადეზინფექციო სისხლისფერი ხსნარით უმუშავებს, რის გამოც ჭრილობები კიდევ უფრო გასისხლიანებული ჩანს, მაგრამ დეზინფექციას მაინც უკეთებს. ბილის სასტუმრო ოთახში ბრუნდება, ტანსაცმელი წითელი ლაქებით გათხუპნია და ნასიმი პანიკას ტეხს: „ძოდი, ძოგეხმარო, ძოდი, გიშველო! ღმერთო, ამას ვის გადაეყარე, ჯურღმულებში ჩადის, რომ ბანდიტებთან ერთად იბრძოლოს!" თავზე ადგას ბინტით და წყლით. „ვერ გამიგია, რატომ არ შეგიძლია იყო წესიერი ექიმი, სერიოზული დაავადებებს რომ კურნავს, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე? ღმერთო, ყველგან სისხლი გცხია! დაჯექი, დაჯექი, გაგასუფთაო მაინც!"

„ეს სისხლი არ არის, ცოლო!"

„შენ ფიქრობ, რომ ჩემი თვალები ვერ ხედავენ? დაჭრილიც კი სულელად მაცხადებ! აბა, ცოლმა არ იზრუნოს?"

„შერკეროქრომია, ნასიმ, წითელი წამალი".

ნასიმი, რომელიც ციბრუტივით ტრიალებდა და რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერი მოჰქონდა, ადგილზე შეშდება. „განზრახ აკეთებ ამას, — ეუბნება, — რომ გამასულელო. მე სულელი არა ვარ. რაღაც წამიკითხავს".

13 აპრილია. ისევ ამრიცარში არიან. „ეს საქმე ჯერ არ დამთავრე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბულა, — უთხრა ადამ აზიზმა ნასიმს, — ვერ წავალთ, ექიმები შეიძლება კიდევ დასჭირდეთ“.

„აქ უნდა ვიჯდეთ და ქვეყნის დასასრულს ველოდოთ?“

ცხვირი მოისრისა: „არა, ასე დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირდება“.

იმავე დღეს, ქუჩები ხალხით ივსება, ყველა ერთი მიმართულებით მიდის, დაიერის ახალ სამხედრო განაწესს არ ემორჩილებიან. ადამი ეუბნება ნასიმს: „მგონი მიტინგი იგეგმება — სამხედროები ჩაერევიან. მათ ხომ აკრძალეს შეკრებები“.

„შენ რატომ მიდიხარ? დაელოდე და თუ დაგიძახებენ, მაშინ წადი“.

...ამ შემოღობილ ბარაკს შეიძლება მიტოვებული ადგილი ან პარკი უწოდო. ყველაზე დიდ ასეთ ადგილს ამრიცარში ჯალიანვალას ბაღი ეწოდება. ბალახი სულ არ არის. ქვები, კონსერვის ქილები, შუშის ნამსხვრევები ყრია ირგვლივ. იქ რომ შეაღწიო, ძალიან ვიწრო შუკაში უნდა გაძვრე, ორ შენობას შორის რომ მომწყვდეულა. 13 აპრილს ათასობით ინდოელი იჭეჭყება ამ შუკაში. „მშვიდობიანი პროტესტია“, — ვიღაც ეუბნება აზიზს, რომელიც ბრბომ სადღაც გააქანა და ქუჩის გასასვლელთან აღმოჩნდა. ჰაიდელბერგული ჩანთა მარჯვენა ხელში უჭირავს (ჩანთა გახსნილია). ვიცი, ძალიან ეშინია, რადგან ცხვირი, როგორც არასდროს, ისე ექავება. მაგრამ გამოცდილი ექიმია, შიში თავიდან მოიშორა და ბარაკში შევიდა. ვიღაც ენერგიულად ლაპარაკობს. ქორვაჭრები ბრბოს შეერევნენ და ჩანას[1] და ტკბილ ხორცს ყიდიან. ჰაერი მტვრითაა სავსე. ყაჩაღები არ ჩანან, არც ამრევებია ირგვლივ, ამას ამჩნევს ბაბუა. სიქების ერთ ჯგუფს მიწაზე ფარდაგი გაუშლია და რაღაცას შეექცევა. ჰაერში ისევ ნეხვის სუნი ტრიალებს. აზიზი ხალხის შუაგულში აღწევს, როგორც კი ბრიგადირი დაიერი ხეივნის შესასვლელს უახლოვდება. უკან ორმოცდაათი გაწვრთნილი ჯარისკაცი მოჰყვება. ის არმიცარის სამხედრო კომენდანტი, მნიშვნელოვანი პიროვნებაა, ბოლოს და ბოლოს, ულვაშის ბოლოები ამაყად გაუბზეკია აქეთ-იქით. ორმოცდათერთმეტი კაცი შუკას მიუყვება და ბაბუაჩემს ახლა ცხვირის ფხანა ღიტინმა შეუცვალა. ორმოცდათერთმეტი კაცი ბარაკში შედის და პოზიციას იკავებს, ოცდახუთი კაცი დაიერის მარჯვნივ დგება, მეორე ოცდახუთი კი მის მარცხნივ იკავებს ადგილს; ადამ აზიზი უკვე ველარ ფიქრობს, მის ირგვლივ რა ხდება, რადგან ცხვირის ხიცინმა აუტანელ ზღვარს მიაღწია. ბრიგადირ-

---

[1] *ჩანა — ინდური ეროვნული კერძი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მა დაიერმა რაღაც ბრძანება გასცა თუ არა, ბაბუას ისე დააცემინა, თითქოს სახეში დაარტყესო. „იაااااახ — თუუუუუ!“ — აცემინებს და ძირს ეცემა, რადგან წონასწორობას კარგავს, ცხვირს მიჰყვება და თავის სიცოცხლესაც იხსნის. მისი „დოქტორი-ატაშე“ ხელიდან უვარდება და იხსნება; ბოთლები, თხევადი მალამოები და შპრიცები მტვერში იყრება. ხალხის ფეხებთან ფათურობს, რომ იქნებ მისი სამედიცინო ნივთები გასრესას გადაურჩეს. ზამთარში რომ ვინმე კბილებს აკაწკაწებს სიცივისგან, ისეთი ხმა მოსდის, მერე ვიღაც თავზე ეცემა. პერანგი წითელი წამლით გაითხუპნა. ხალხი კივის, ქვითინებს და უცნაური კბილების კაწკაწიც ჩაესმის. ხალხი ერთმანეთს თავზე ეცემა და ბაბუაჩემი მათ ქვემოთ ექცევა. ზურგზე აწვებიან, ჩანთის საკეტი მკერდში ესობა და ისეთ საშინელ და უცნაურ იარას უტოვებს, რომ სიკვდილამდე ემჩნევა; წლების შემდეგაც კი ემჩნეოდა, სანკარა აჩარიას მთაზე სულეიმანის ტაძარში რომ ავიდა. ცხვირი წითელწამლიან შუშაზე მიეჭყლიტა. კაწკაწის ხმა წყდება და ახლა ხალხისა და ჩიტების ხმა ესმის. რაც უნდა იყოს, მანქანების ხმას არ ჰგავს. ბრიგადირ დაიერის ორმოცდაათი კაცი იარაღს ყრის და მიდის. მათ ათას ექვსას ორმოცდაათჯერ ესროლეს უიარაღო ბრბოს. აქედან ათას ხუთას თექვსმეტმა ტყვიამ მიზანი იპოვა. ბევრი დაიღუპა, ბევრიც დაიჭრა. „კარგად ისროდით, — აქებს მათ დაიერი, — ძალიან კარგი საქმე გავაკეთეთ“.

ბაბუაჩემი რომ იმ ღამეს შინ დაბრუნდა, ბებია ძალიან ცდილობდა თანამედროვე ქალის როლი მოერგო, ქმრისთვის რომ ესიამოვნებინა. თვალიც კი არ დაუხამხამებია მის თვალწინ. „ისევ მერკუროქრომი გადაივლე არა, შე მოუქნელო“, — უთხრა შემრიგებლურად.

„არა, ეს სისხლია“, — უპასუხა და ნასიმსაც გული წაუვიდა.

როცა მოსულიერდა, იკითხა, „დაჭრილი ხარ?“

„არა“, — უპასუხა.

„სად იყავი, ღმერთო ჩემო!“

„არსადაც არ ვიყავი“, — უპასუხა და მოეხვია.

ვალიარებ, რომ ხელი ამიცახცახდა; არა იმის გამო, რასაც ვწერ, არამედ იმის გამო, რომ თმის სისქის ნაპრალი შევამჩნიე ჩემს მაჯაზე, ზუსტად კანქვეშ. არა უშავს. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ასე რომ, ნება მიბოძეთ, დავასრულო იმით, რომ მოგიყვეთ დაუდასტურებელი ჭორი მენავე თაის შესახებ, რომელიც კანის დაავადებისგან მა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლევე განიკურნა, როგორც კი ბაბუამ ქაშმირი დატოვა. 1947 წლამდე იცოცხლა. ამბობენ, ინდოეთსა და პაკისტანს შორის ატეხილმა დავამ გააცეცხლა და ჩამბში ფეხით ჩავიდა იმ მიზნით, რომ მეებრძოლ მხარეებს შორის ჩამდგარიყო და გონების სიმშვიდე მათთვის გადაედო. ქაშმირი ქაშმირელებს! — აი, ეს იყო მისი მიზანი. ესროლეს. ოსკარ ლუბინს ალბათ მოეწონებოდა თავის რიტორიკული ჟესტი; დაიერმა ალბათ მკვლელებს საქციელი შეუქო.

უნდა დავწვე. პადმა მელოდება; ცოტა სითბო მჭირდება.

## ფურთხის კასრი

გთხოვ, დაიჯერე, რომ ვინგრეკი.

ეს მეტაფორა არ არის; არც წინასწარგათვლილი ნაბიჯია და არც რაღაც მელოდრამული, ბინძური და ავადმყოფური თხოვნა, შეძიბრალონ. უბრალოდ, იმას ვგულისხმობ, რომ ძველი დოქვით დავიბზარე; ჩემი საცოდავი, უცნაური და უშნო სხეული, რომელიც მეტისმეტმა ისტორიულმა ამბებმა მოშალა და დაანგრია, სულ უფრო და უფრო იცლება და მახინჯდება, ფურთხის კასრისგან თავგაჭყლეტილს ბზარები ნაპრალებად ექცა. მოკლედ, ნელ-ნელა ვიშლები; აჩქარების ნიშნებიც ჩანს. გაითავისეთ ისე,როგორც მე გავითავისე, რომ საბოლოოდ ექვსას ოცდაათ მილიონ ნაწილად დავიშლები, ეს უსახელო ნაწილები მტვრად იქცევიან. ამიტომ გადავწყვიტე ფურცელს გავენდო, სანამ ნელ-ნელა ყველაფერი დამავიწყდება (ჩვენ, ინდოელები, დამვიწყებელი ერი ვართ).

შიშის მომენტებიც არის, მაგრამ მალევე გაივლის. შიში ზღვის ურჩხულივით თავს ამოყოფს ხოლმე და ქშინავს, მერე ისევ ფსკერზე წვება. მთავარია მშვიდად ვიყო. წიწმატი გავლეჭე და რკინის კასრისკენ გადავფურთხე. ეს ხომ უძველესი თამაშია, ფურთხი კასრში მოახვედრო: ნადირ-ხანის თამაში, რომელიც აგრის მოხუცებისგან ისწავლა... დღეს შეგიძლია შეიძინო „ბომბივით წიწმატი", რომელშიც ღრძილების გამაწითლებელი პასტა და კოკაინი დევს ფოთოლში გახვეული. ამან შეიძლება გაცდუნოთ.

ჩემი საწერი ფურცლებიდან ტკბილ-მჟავე საწებლის სუნი მომდის. ასე რომ, მეტს აღარ ავურევ: მე, სალემ სინაიმ, ყველაზე ფაქიზი ყნოსვის ორგანო რომ გამაჩნია მთელ ისტორიაში, ჩემი უკანასკნე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი დღეები სანელებლების მომზადებას მივუძღვენი. „მზარეული თუ სიტყვის მსახური? ეს ორი რამ ერთმანეთთან როგორ თავსდება?“ ვალიარებ, რომ ასეთი ოსტატობა საშზარეულოშიც და სიტყვებშიც მართლაც იშვიათი მოვლენაა; და მე ეს გამაჩნია! ალბათ გაოცდით; მე კი — არა! იცით, მე თვეში 200 რუპიად ღირებული ყვეჩი როდი ვარ, ჩემი თავის სრული ბატონ-პატრონი გახლავართ! ნეონის ქალღმერთის შუქის ქვეშ ვმუშაობ, ზაფრანისფერ-მწვანე თვალს რომ მიპაჭუნებს. ჩემი ტკბილ-მჟავე საწებელი, ბოლოს და ბოლოს, ჩემს ღამეულ ჯღაბნას უკავშირდება — დღისით მწნილის კასრებს შორის, ღამით კი, როცა ამ ფურცლებში ვარ ჩაფლული; დროს წარსულის შენახვის გრანდიოზულ სამუშაოზე ვხარჯავ. მეხსიერება, ხილისა არ იყოს, დროის სიდამპლისგან უნდა დაიცვა.

მაგრამ პადმა ჩემ გვერდითაა და ისევ მიწაზე მაბრუნებს. ჩვეული ლაპარაკით მაბრუნებს სამყაროში, რომელიც აგებულია კითხვისგან: „შემდეგ რა მოხდა?“. „ასე ორასი წელწადი მაინც დაგჭირდება, სანამ შენს დაბადებაზე რამეს მოჰყვები“, — წუწუნებს პადმა. უდარდელობას ამჟღავნებს, თქო მოუშვერია ჩემკენ, მაგრამ როდი მასულელებს. ახლა უკვე ვიცი, პროტესტის მიუხედავად, უჩემოდ ყოფნა არ შეუძლია. უეჭველად ასეა: ჩემი ისტორია ყელში სწვდა და უცებ შეწყვიტა ლაქლაქი, რათა სახლში წავიდეს, დაიბანოს, ძმრით აქოთებული ტანსაცმელი გამოიცვალოს, წუთით მაინც დასტოვოს ეს ჩაბნელებელი მწნილის ქარხანა, სადაც სანელებლების სუნი გამუდმებით ტრიალებს ჰაერში... არა, უბრალოდ ახლა ჩემი ნეხვის ქალღმერთი კუთხეში საგებს აშზადებს ჩემთვის, სადილს ორ ჩაშავებულ გაზქურაზე დგამს და შუქდაფრქვეულ ფურცელზე წერას შემდეგი შეგონებით მაწყვეტინებს: „ჯობია იჩქარო, თორემ მანამდე მოკვდები, სანამ დაბადებას მოასწრებ“. წარმატებული მწერლის სიამაყეს ვიხშობ და ვცდილობ განვანათლო. ამიტომ ვუხსნი: „საგნები და ადამიანებიც ერთმანეთში იღვენთებიან, იმ არომატივით, შენს მოშზადებულ საჭმელს რომ ასდის. აილს ლუბინის თვითმკვლელობა, მაგალითად, ბებერ ადამში ჩაიღვენთა და იქ გუბესავით იდგა, სანამ ადამმა ღმერთი არ იხილა. ამის მსგავსად, — დავძინე სერიოზული ხმით, — მეც წარსული ჩამეწვეთა. ...ვერაფერს ვიზამ, ვერ უგულებელვყოფ“. მხრების ჩეჩვისას პადმას მკერდი სასიამოვნოდ ირხევა და ლაპარაკს ვწყვეტ. „შენი ცხოვრების ასე მოყოლა, ჩემი აზრით, სიგიჟეა, — მეკამათება, — ჯერ ისიც კი არ გითქვამს, შენი ძმობლები სად შეხვდნენ ერთმანეთს“.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

...პადმა უეჭველად ჩემში იღვენთება. ამბავი ჩემი სხეულის ნაპრალებიდან იღვრება, ჩემი ლოტოსი წყნარად წვეთავს ჩემში მიწიერი და დაუჯერებელი ცრურწმენითა და ზღაპრული მოვლენებისადმი წინააღმდეგობრიობის შემცველი სიყვარულით. ასე რომ, სწორედ ის დროა, მიან აბდულას[1] სიკვდილის ამბავს მოვუყვე. ამბავი უიღბლო კოლიბრისა, ჩვენი დროის ლეგენდად რომ იქცა.

...პადმა კეთილშობილი ქალია. ჩემთან რჩება, როცა უკანასკნელ დღეებს ვითვლი. მე კი დიდს ვერაფერს ვუკეთებ. სანამ ნადირ-ხანის ამბავს დავიწყებ, სწორედ შესაფერისი დროა ვახსენო, — რომ მე გავცვედანდი. მიუხედავად პადმას მრავალმხრივი ხელშეწყობისა და დახმარებისა, მასში ვერ ჩავიღვარე, ვერ შევძელი. ვერც მაშინ, მარცხენა ფეხის ტერფს რომ ჩემს მარჯვენა ტერფს ადებს; ვერც მაშინ, მარჯვენა ფეხს წელზე რომ მხვევს, თავს ჩემკენ ხრის და სასიყვარულო ხმებს გამოსცემს; ვერც მაშინ, როცა ყურში ჩამჩურჩულებს: „ახლა როცა წერას მორჩი, მოდი, შენი მეორე საწერკალამი ავამუშაოთ!“ ცდილობს, მაგრამ მიზანში მაინც ვერ მოვარტყი.

საკმარისად გაგენდეთ. და რაკი ვემორჩილები პადმას დაჟინებულ და გარდაუვალ „შემდეგ რა მოხდა“ მოთხოვნას და რაკი მახსოვს, რომ დრო ცოტა მრჩება, წინ მივქრი და 1942 წელში ვეშვები (მეც, პადმასი არ იყოს, ჩემი მშობლები მინდა ერთმანეთს შევახვედრო).

მგონი, იმ წლის გვიან ზაფხულს ბაბუაჩემს, ექიმ ადამ აზიზს ძალიან საშიში ფორმის ოპტიმიზმი შეეყარა. ველოსიპედით აგრის შემოვლისას უსტვენდა და მისი სტვენა უხარისხო, გამჭოლი, მაგრამ ბედნიერების მანიშნებელი იყო. მარტო დარჩა. მთავრობის დაჟინებული მცდელობის მიუხედავად, რომ ეს საშიში დაავადება — ოპტიმიზმი ამოეძირკვათ, ამ უკანასკნელმა იმ წელს მთელ ინდოეთს გადაუარა და დაუნდობელი ზომების მიღება გახდა საჭირო მის დასამორჩილებლად. მოხუცები სანელებლის მაღაზიასთან იდგნენ კორნვალის გზაზე, ღეჭავდნენ საღეჭ წიწაკას და ეჭვობდნენ, რომ აქ რაღაც ხრიკს ჰქონდა ადგილი. „მე ორჯერ მეტი ხანი ვიცხოვრე, ვიდრე უნდა მეცხოვრა, — წაიდუდუნა ყველაზე მხცოვანმა გაფუჭებული რადიოს ხმაზე, მისი ხმის სიმებში ხომ ათწლეულები ეხახუნებოდნენ ერთმანეთს, — და ამდენი ხალხი ასე მხიარული და ასეთ ცუდ დროში არა-

[1] *მიან აბდულა — პროინდური მუსლიმი, რომელიც წამებით მოკლეს და რომელსაც კოლიბრის ადარებენ.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოდეს მინახავს. ეშმაკის ნახელავია". ნამდვილად გამძლე ვირუსად იქცა, — მხოლოდ ამინდს უნდა მოესპო ამ მიკრობების გამოჩეკა, მას მერე, რაც წვიმები შეწყდა. დედამიწა დაიბზარა, მტვერმა ქუჩის კიდეები შეჭამა. მერე კი უზარმაზარი პირდაღებული ნახვრეტები გაჩნდა ლორლიან გზატკეცილებზე. წიწაკის მღეჭავებმა წიწაკის მაღაზიაში უბედურების მომასწავებელ ნიშნებზე დაიწყეს ლაპარაკი; თავს იმშვიდებდნენ იმით, რომ ფურთხის მიზანში სროლის თამაშით ერთობოდნენ და ვარაუდს გამოთქვამდნენ ურიცხვი და უსახელო, ღმერთმა იცის რის შესახებ, მიწის ნაპრალიდან რომ უნდა ამოსულიყო. ერთ სიქს, ველოსიპედების მაღაზიაში რომ მუშაობდა, ერთ ცხელ შუადღეს ჩალმა გადასძვრა, რადგან სრულიად უმიზეზოდ თმა ყალყზე დაუდგა. უფრო პროზაული ამბავიც მოხდა: უწყლობამ იმ ზღვარს მიაღწია, როცა მერძევეებმა სუფთა წყალი ვერ იშოვეს, რძეში რომ შეერიათ... შორს ისევ მსოფლიო ომი მძვინვარებდა. აგრაში სიცხე მატულობდა. მაგრამ ბაბუა მაინც უსტვენდა. მოხუცებმა იმ მოცემულ ვითარებაში მისი სტვენა უგემოვნოდ მიიჩნიეს (მეც მათსავით ნაპრალებზე ვაფურთხებ).

ველოსიპედზე გადამჯდარი ბაბუაჩემი, ტყავის „ატაშე" რომ გვერდით მიეკრა, უსტვენდა. ცხვირის გაღიზიანების მიუხედავად და იმის მიუხედავად, მკერდზე რომ იარა ჰქონდა, რომელიც 23 წლის განმავლობაში არ გამქრალა, მისი იუმორი არ შესუსტებულა. ჰაერის ნაკადმა ტუჩები გააპო და გაიჟღერა. ძველ გერმანულ მელოდიას „ტანენბაუმს" უსტვენდა.

ოპტიმიზმის ეპიდემია ერთი კაცისგან გავრცელდა, ეს იყო მიან აბდულა, რომელზეც ხშირად წერდნენ გაზეთები. სხვებისთვის ის იყო კოლიბრი, სულიერი, რომლის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ არსებულიყო. „ჯადოქარი მეფოკუსედ იქცა", წერდნენ გაზეთები. „მიან აბდულა დელიში ცნობილი ჯადოქრების უბნიდან წამოვიდა, რომ ასობით მილიონი ინდოელი მუსლიმის იმედად ქცეულიყო". კოლიბრი თავისუფალი ისლამური გაერთიანების დამფუძნებელი, მეთაური, გამაერთიანებელი და სულისჩამდგმელი იყო.

1942 წელს კარვები და შემაღლებული ადგილები აღმართეს აგრის მეიდანზე, სადაც გაერთიანების მეორე, ყოველწლიური ყრილობა იგეგმებოდა. ბაბუაჩემი მაშინ ორმოცდათორმეტი წლისა იყო, თმა წლებმა და გადატანილმა დარდმა გაუთეთრა. მეიდანს სტვენით ჩაუარა. ახლა იგი ქუჩის კუთხეებში მკვირცხლად უხვევდა და ნაკელსა და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბავშვებს შორის გზას მიიკვლევდა... სხვა დროს კი თავის მეგობარს, ქუჩ ნაჰინის უთხრა: „მე ქაშმირელი ვიყავი და დიდი ჯერაფერი მუსლიმი გახლდით. შემდეგ მკერდზე იარა გამიჩნდა, რაც ინდოელად მაქცია. დიდი მუსლიმი ახლაც არა ვარ, მაგრამ აბდულას ვეხმრობი. ის ისე იბრძვის, თითქოს გულში მეჯდეს“. თვალები ქაშმირის ცასავით ლურჯი ჰქონდა... სახლში ჩამოვიდა, და თუმცა მის თვალებს ზიზღის ელვარება შერჩათ, სტვენა შეწყვიტა; სასამართლოს ეზოში ღვარძლით აღსავსე ბებია, ნასიმ აზიზი ელოდა. დიდი შეცდომა დაუშვა, ბებია რომ ნაწილ-ნაწილ შეუყვარდა, იგი ახლა ერთ საშინელ სხეულად იქცა და ასეთად დარჩა ბოლომდე. მას „პატივცემულ დედად“ მოიხსენიებდნენ.

ნაადრევად დაბერდა. ტანი გაუფართოვდა. სახეზე ორი უზარმაზარი ხალი კუდიანი ქალის ძუძუსთავებივით აჯდა: თვითონვე შექმნა უხილავი ციხესიმაგრე და იქ ცხოვრობდა. ეს ციხესიმაგრე რწმენისა და ტრადიციების რკინის ჯავშნით შემოფარგლა. იმ წელიწადს ადამ აზიზმა თავისი ოჯახის გადიდებული ფოტოები შეუკვეთა, სასტუმრო ოთახში რომ დაეკიდა. სამი გოგონა და ორი ბიჭი სიამოვნებით პოზირებდნენ ფოტოაპარატის წინ, მაგრამ პატივცემული დედა აჯანყდა, როცა მისი ჯერი დადგა. ბოლოს ფოტოგრაფმა სცადა მალულად გადაეღო, მოულოდნელად, მაგრამ ნასიმმა ხელიდან გამოგლიჯა კამერა და თავზე გადაამტვრია. საბედნიეროდ, ფოტოგრაფი გადარჩა, მაგრამ ბებიაჩემის ფოტო მთელი დედამიწის ზურგზე არსად არ არის. მას ვერაფრით გამოიჭერდი იმ შავ ყუთში. მისთვის ისიც ზედმეტი იყო, რომ უჩადროდ სახეგამოჩენილს უნდა ეკლო და ამ უსირცხვილო ფაქტს ფოტოზე არავის გადაატანინებდა.

ნასიმმა რომ თავის ირგვლივ ბარიკადები აღმართა, ალბათ ცოტა იმის ბრალიც იყო, რომ ქმარი ავალდებულებდა შიშველსახიანს ეკლო და სთხოვდა ინტიმური სიახლოვის დროს ცოტა განძრეულიყო; სახლში ისეთი შეუვალი თავდაცვის სისტემა ჩამოაყალიბა, რომ აზიზის მცდელობამ, აეღო ეს ციხესიმაგრე, უნაყოფოდ ჩაიარა და ბოლოს დანებდა, თავი დაანება როგორც თვითკმაყოფილ ობობას, ამორჩეულ ადგილს რომ არ შორდება (შესაძლოა ეს სულაც არ იყო თავდაცვის სისტემა; ალბათ საკუთარი თავისგან დაცვის საშუალება უფრო იყო).

ნასიმი პოლიტიკურ საკითხებშიც არ ერეოდა. როცა ექიმ აზიზს ასეთ რამეებზე სურდა ლაპარაკი, თავის მეგობარს ესტუმრებოდა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხოლმე და პატიცემული დედა იბუტებოდა, მაგრამ არაფერი ისე ძალიან, რადგან იცოდა, რომ ქმრის ასეთი ვიზიტები მის გაძარცვებას ნიშნავდა.

მისთვის სამეფოს გული საშხარეულო და საკეტნაი იყო. საშხარეულოში არასოდეს შეესულიყო, მაგრამ მახსოვს, საკეტნაიის კარის ჭუჭრუტანიდან როგორ ვუყურებდი იმ ამოუცნობ საყვარეს, შიგნით რომ სუფევდა: ჩამოკიდებულ მაკიულის კალაფებს, ზედ სელის ტილო რომ გადაეფარებინათ ბუზებისგან დასაცავად; ძაბის ქილებს, რომელიც ვიცოდი, ტკბილეულით იყო სავსე; ჩაკეტილ ყუთებს კოხტა გადასაფარებლებით, თხილს, ბოლოკს, მარკველეულის ტოტრებს, ბატის კვერცხებსა და ხის ცოცხებს. საკეტნაი და საშხარეული მისი ხელშეუხებელი ტერიტორია იყო და თავგამოდებით იცავდა. როცა ნაბოლარა შვილზე იყო ორსულად, ქმარმა საოჯახო საქმისგან გათავისუფლება შესთავაზა. არაფერი უთქვამს, მაგრამ მეორე დღეს, როცა აზიზი საშხარეულოს მიუახლოვდა, იგი შიგნიდან გამოიხედა ქვაბით ხელში და კარი ჩახერგა. მსუქანი იყო, ამასთან ორსულიც და კარში გასასვლელი ადგილი აღარ დარჩა. ადამ აზიზი მოიქუფრა: „ამას რა ჰქვია, ცოლო?" — ჰკითხა, რაზეც ბებიაჩემმა უპასუხა: „ამის სახელია მძიმე ქვაბი; და ერთხელაც თუ დაგიჭირე, რომ აქ შემოდიხარ, ამ ქვაბში თავს ჩაგაყოფინებ, „იმასრაქვია", ცოტა საინელებელს დავამატებ და შენგან სადილს მოვამზადებ". წარმოდგენა არა მაქვს, ბებიაჩემმა როგორ აქცია ტერმინი „იმასრაქვია" თავის ლაიტმოტივად, მაგრამ წლები რომ გავიდა, ეს სიტყვა მის წინადადებებს უფრო და უფრო ხშირად ამკობდა. მომწონს იმაზე ფიქრი, რომ ეს ბებიას შეუცნობელი კვილი იყო, რომ მისთვის რაღაც ეშველათ.. როგორც სერიოზულად დასმული კითხვა. პატიცემული დედა ნიშანს გვაძლევდა, რომ მისი სხეულის მოცულობის გამო ამ საყვარეოში მდინარის დინების მიმართულებით მიცურავდა. ამას რა ერქვა, არ იცოდა.

...სუფრასთან მბრძანებლობას განაგრძობდა. მაგიდაზე არც თეფშები იდებოდა და არც საჭმელი. ცხარე საკაზმი და თიხის ჭურჭელი მის მარჯვნივ, დაბალ ტაბლაზე დაელაგებინათ და აზიზი და ბაკშები იმას ჭამდნენ, რასაც ბებია მიაწვდიდა. ეს ძალაუფლების ისეთი ნიშანია, რომ როცა მისი ქმარი ყაბზობით იტანჯებოდა, მაშინაც არ აძლევდა უფლებას, საჭმელი თავად აერჩია. არაფის უსმენდა, არაფის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რჩევას არ ითვალისწინებდა. ციხესიმაგრე არ ირყეოდა, მაშინაც კი, როცა მის კმაყოფაზე მყოფნი მწყობრიდან გამოდიოდნენ.

მაშინაც კი, როცა ნადირ-ხანი დიდხანს იმალებოდა, და მაშინაც, როცა კორნვალის-როუდზე ესტუმრებოდა ჯაბუკ ზულფიკარს, ესმერალდა რომ შეუყვარდა; მაშინაც კი, როცა მდიდარმა ტყვეთა მოვაჭრე ვაჭარმა, აჰმედ სინაიმ, დეიდაჩემ ალიას ისე მაგრად ატკინა გული, რომ დეიდაჩემმა წყენა გულიდან მთელი 25 წელიწადი ვერ ამოიგლიჯა და მერე დედაჩემს გადაულოცა მთელი სასასტიკოთ პატივცემულ დედას კი რკინის ხელი, რომლითაც ოჯახი ჩაებღუჯა, ერთხელაც არ აჰკანკალებია. ნადირ-ხანის ჩამოსვლამდე დიდი სიჩუმე ჩამოწვა. ადამ აზიზმა ამ რკინის ხელის შესუსტება სცადა და იძულებული შეიქნა ცოლთან ომზე წასულიყო (ეს გვიმტკიცებს იმას, თუ როგორი აღნიშვნის ღირსია მისი ოპტიმიზმით დაჯილდება).

...1932 წელს, ათი წლის მერე, როგორც იქნა, ცოლს იმით მაინც მოერია, რომ შვილების განათლებაზე ფიქრი დაიწყო. პატივცემული დედა სასოწარკვეთილი დარჩა, მაგრამ შვილების განათლებაზე ხრუნვა ტრადიციულად მამას ევალებოდა. ამიტომ ვერაფერი გააწყო. ალია თერთმეტი წლის იყო, მეორე ქალიშვილი, მუმთაზი — ცხრის. ბიჭები, ჰანიფი და მუსტაფა — რვისა და ექვსის, ნაბოლარა ესმერალდა 5 წლისა ხდებოდა. პატივცემულმა დედამ თავისი შიში დაუდს, ოჯახის მზარეულს გაანდო. ბავშვებს თავი გამოუტენა უცხო ენებით, „იმასრაჰქვიათი“ და ათასი სისულელით. დაუდი ქვაბებს ურეკდა და პატივცემული დედა გაჰკიოდა: „არ გიკვირს, იმასრაჰქვია, რომ უმცროსი გოგო თავის თავს ესმერალდას ეძახის? ინგლისურად იმასრაჰქვია? ეს კაცი ბავშვებს გამიუბედურებს. ეს სანელებელი ნაკლები უქენი, იმასრაჰქვია, მეტი ყურადღება მიაქციე იმას, რასაც აკეთებ, სხვების საქმე შენ არ გეხება“.

მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო აზრი ჩამოაყალიბა, ეს იყო რელიგიური მითითება. აზიზი დაბნეულობისგან იტანჯებოდა. ეს კი აზიზისგან განსხვავებით თავისი პრინციპების ერთგული დარჩა. „შენ შენი მომღერალი კოლიბრი გყავს“, — უთხრა ნასიმმა, მაგრამ მე, იმასრაჰქვია, ღმერთი მომიწოდებს. იმასრაჰქვია, ღმერთის ხმა კაცის სიმღერაზე უკეთესია“. ეს მისი იშვიათი პოლიტიკური შენიშვნა იყო... შემდეგ დადგა ის დღე, როცა აზიზმა რელიგიის მასწავლებელი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გააგდო. ცერა და საჩვენებელი თითი ყურში ჩასჭიდა. ნასიმ აზიზმა დაინახა, როგორ მიათრევდა მისი ქმარი გაბურძგნილწვერიან საცოდავ მასწავლებელს ბაღში გამავალი კარისკენ. შეკრთა და დაიყვირა, მისმა ქმარმა რომ ჭიტლაყი უთავაზა იმ ღვთიურის გასივებულ უკანალს. ჭყლა-ქუხილივით თავი აიშვა და ქმარს ომი გაუმართა.

„ულირსებო კაცი! — სწყევლიდა აზიზს, — იმასრაჰქვია, უსირცხვილო კაცი!“ ბავშვები უკანა ვერანდიდან უყურებდნენ. და აზიზმა უთხრა: „იცი, ის კაცი რას ასწავლიდა ბავშვებს?“ და პატივცემულმა დედამ ლანძღვა ლანძღვაზე მიაყარა: „რას არ აკეთებ, რომ უბედურება მოუტანო, იმასრაჰქვია, შენს თავს!“ — ახლა აზიზი ეუბნება: „შენ გგონია ეს ნამდვილი ხელნაწერი იყო, არა?“ — რაზეც ცოლმა უპასუხა: „გაღეჭე, ღორო, იმასრაჰქვია, და მერე ყურანს დააფურთხე!“ ექიმმა კი ენამოსწრებულად უპასუხა: „თუ გგონია, რომ სიწმინდის ერთ-ერთი ვერსია იყო. ჰა, ამას ფიქრობ?“ პატივცემული დედა მის ნათქვამს ყურადღებას არ აქცევს და სიბრაზის მწვერვალზე ადის: „გერმანელებს მიათხოვებდი შენს ქალიშვილებს?!“ და ჩერდება, სულს ძლივს ითქვამს, და ამასობაში ბაბუაჩემი ერთვება: „ის ბავშვებს სიძულვილს უნერგავდა, ცოლო! ეუბნებოდა, რომ შეეძულებინათ ინდუსები, ბუდისტები,[1] სიქები და კიდევ ვინ იცის, სხვა რელიგიის წარმომადგენელი ვეგეტარიანელები; ქალო, გინდა, რომ ზიზღით აღვსილი შვილები გყავდეს?“

„გინდა, შენი შვილები ულმერთოები გაიზარდონ?“ და პატივცემულმა დედამ წარმოიდგინა, როგორ ეშვება ციდან მთავარანგელოზი გაბრიელის ლეგიონი, რომ მისი ულმერთო შვილები ჯოჯოხეთს გაამგზავროს. მას ჯოჯოხეთის ცოცხალი ხილვა აქვს. ისეთი ცხელია, როგორც რაჯპუტანა[2] ივნისში და ყველამ, ვინც იქ მოხვდება, შვიდი უცხო ენა უნდა ისწავლოს... „პატიოსან სიტყვას გაძლევ, იმასრაჰქვია, — უთხრა ბებიაჩემმა, — გეფიცები, რომ შიმშილით მოგკლავ! ლუკმა არ გელირსება, სანამ წმინდა საჰიბს უკან არ დააბრუნებ და, იმასრაჰქვია, ფეხის ტერფებს არ დაუკოცნი!“

შიმშილის ომი იმ დღესვე დაიწყო და კინაღამ სიკვდილთან დუელ-

---

[1] *ბუდისტი — ბუდიზმის მიმდევარი. ბუდიზმი — რელიგია, რომელიც წარმოიშვა ძვ.წ. VI საუკუნეში ჩრდილოეთ ინდოეთში და გავრცელდა ტიბეტში, მონღოლეთში, ჩინეთში, იაპონიასა და აღმოსავლეთის ზოგ სხვა ქვეყანაში.*

[2] *რაჯპუტანა — ინდოეთის ისტორიული მხარე, რომელზეც 1949 წლის შემდგომ დაარსდა ინდოეთის თანამედროვე შტატი რაჯასტანი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ში გადაიზარდა. პატიოსან სიტყვას ასრულებდა პატივცემული დედა და ქმარს სადილზე ცარიელი თეფშის მეტს არაფერს აწვდიდა. ექიმმა აზიზმა ამის საპასუხოდ ჭამაზე უარი თქვა მაშინაც კი, როცა შინ არ იყო. დღე დღეს მისდევდა და ბავშვები უყურებდნენ, როგორ ილეოდა მამა. დედა კი მოქუფრული დარაჯობდა საჭმელს. „საერთოდ გაქრები? — ინტერესით ჰკითხა ესმერალდამ და შემდეგ სერიოზულად დაუმატა, — ეგ არ ქნა, სანამ არ დარწმუნდები, რომ უკან მობრუნება შეგიძლია". აზიზის სახეს ჩაღრმავებები გაუჩნდა; ცხვირიც კი დაუთხელდა. სხეული ბრძოლის ველს დაემსგავსა, სადაც ყოველდღე რაღაც ნაწილი ფეთქდებოდა. ალიას უთხრა, უფროს გოგოს, რომელიც ბრძენი ბავშვი იყო: „ნებისმიერ ომში ბრძოლის ველი ჯარზე მეტად უბედურდება. ეს ბუნებრივი ამბავია". ავადმყოფებთან რიქშით[1] დაიწყო სიარული. რიქშის დამტარებელი ჰამდარდი ძალიან წუხდა, აზიზს რომ ხედავდა.

მეგობარმა რანიმ მოციქულები გაუგზავნა პატივცემულ დედას. „ინდოეთი ისედაც სავსეა დამშეული ხალხით", — უთხრეს მოგზავნილებმა. ნასიმმა კი თვალები ისე დაუბრიალა, რომ ეს ბაზილიკური თვალთა ბრიალი ლეგენდად იქცა. ხელები კალთაში ეწყო, მიტკლის თავსახვევი მჭიდროდ შემოეხვია თავზე, სტუმრებს გამჭოლი მზერა ესროლეს უქუთუთოებო თვალებმა. თვალი თვალში გაუყარა, ისე, რომ სტუმრები გაქვავდნენ, ხმა ვერ ამოიღეს; გული გაუჩერდათ; უცხო კაცებთან ერთად იჯდა ბებიაჩემი და სახეზე ეტყობოდა, რომ გაიმარჯვა, რადგან მათ თვალები ძირს დახარეს. ალბათ „საკმარისია, იმასრაჰქვია, მაგრამ ასევე, ალბათ არც არის საკმარისი", — დაიჩხავლა ბებიამ.

სინამდვილეში კი ნასიმ აზიზი ძალიან აღელვებული იყო: ქმარი რომ დაამშია, ამით მის სამყაროზე გაიმარჯვა და ეს ყველაფრიდან ჩანდა; მაგრამ დაქვრივება მაინც უბრალო პრინციპის გამო არ უნდოდა; გამოსავალსაც ვერ ხედავდა. უკან დახევა და დათმობა არც უცდია, სახის გამოჩენაზე რომ არაფერი ვთქვათ. ბებიაჩემი არც ერთი ჩვევის მიტოვებას არ აპირებდა.

---

[1] *რიქშა — აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ზოგ ქვეყანასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში: მსუბუქი ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი. იყენებენ მგზავრების გადასაყვანად.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ავად გახდი, რატომ ავად არ გახდები?“ — უთხრა ბრძენმა ალიამ, თითქოს გამოსავალი იპოვაო. პატივცემულმა დედამ ტაქტიკურად უკან დაიხია. გამოაცხადა, რომ რაღაც, იმასრაჰქვია, საშინლად მომაკვდინებლად სტკიოდა და ლოგინში ჩაწვა. მის იქ არყოფნაში ალიამ ზეიისხილის ტოტი გაუწოდა მამამისს, თითქოს ქათმის წვნიანი იყო. ორი დღის შემდეგ პატივცემული დედა ადგა (ქმარს რომ გაესინჯა, ამაზე უარი თქვა პირველად თავის სიცოცხლეში), ძალები მოიკრიბა, მხრები აიჩეჩა, თითქოს უხალისოდ დაეთანხმა თავისი ქალიშვილის გადაწყვეტილებას და აზიზს საჭმელი მიაწოდა, თან ისე, თითქოს მანამდე არაფერი მომხდარა.

ეს იყო ათი წლის წინათ. მაგრამ 1942 წელს, სანელებლების მაღაზიის მოხუცი კაცები შეძრულნი იყვნენ იმით, რომ ხედავდნენ ექიმი როგორ უსტვენდა და ხითხითებდნენ იმის გახსენებაზე, ცოლმა რომ კინაღამ გააქრო, იმის მიუხედავად, რომ მან უკან დაბრუნების ილეთი არ იცოდა. გვიან საღამოს იდაყვს კრავენ ერთმანეთს და ეუბნებიან: „გახსოვს, სარეცხის თოკზე გაკიდებული ჩონჩხივით რომ ჩამოხმი! მას იმის მართვაც კი არ...“ და „...გეუბნები, ბაბა, მაგ ქალს საშინელი რაღაცების ჩადენა შეეძლო. მსმენია, საკუთარი ქალიშვილის ოცნებებსა და ფიქრებშიც კი ერეოდა, რომ გაეგო სადამდე მიიყვანდა!“ საღამო დგება და იდაყვის ჯიკავიც წყდება, რადგან ბრძოლის დრო იწყება. სიჩუმეა და ყბები რიტმულად მუშაობენ; შემდეგ მოულოდნელად ტუჩები იპრუწებიან, მაგრამ შემდეგ რაც ხდება, ჰაერის ნაკადისგან წარმოქმნილი ხმაური არ არის. არავითარი სტვენა არ ისმის, მხოლოდ წიწაკის წვენის წითელმა ნაკადმა დაუძლურებული ტუჩები გამოიარა და შეუცდომლად ეშვება ძველი ლითონის ჩასაფურთხებელში. ისმის ხელების ტკაცანი და თვითკმაყოფილი შეძახილები: „ვაჰ, ვაჰ, ყოჩაღ!“ და „რა ოსტატურად მოარტყი!“ ბებრუხანების ირგვლივ ქალაქი ბინდში უმიზნოდ ეშვება. ბავშვები თამაშობენ და მიან აბდულას პოსტერს წვერი მიახატეს. ახლა მოხუცები ჩასაფურთხებელ კასრს ქუჩაში დგამენ, შორს და კიდევ უფრო შორს იმ ადგილიდან, სადაც წელან ჩაცუცქულები იყვნენ და უფრო მეტ ნაკადებს უშვებენ კასრისკენ. სითხე ისევ მიზანს ხვდება. „ოჰ, კარგია, იარავ, ყოჩაღ!“ ქუჩის უპატრონო ბავშვები შერბიან და გამორბიან ამ წითელი ნაკადულების თავსხმაში და ეს წიწილების თამაში თავზე უნდათ მოახვიონ მოთამაშეებს, რომელთათვის კასრში ჩაფურთხება თამაში კი არა, ხელოვნებაა... მაგრამ, აქეთ ჯარისკაცების მანქანა მოდის,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელმაც ბავშვები მიმოფანტა... აი, ბრიგადირი დოდსონი, ქალაქის სამხედრო კომენდანტი, სიცხისგან რომ იხუთება... და აი, მაიორი ზულფიკარი, პირსახოცს რომ აწვდის. დოდსონი სახეს იმშრალებს; ბავშვები იფანტებიან; მანქანა კასრს ეჯახება. მუქი წითელი შედედებული სითხე კასრიდან სისხლივით მოიბლანტება და ხელისფორმამიღებული მტვრიან ქვაფენილზე ინგლისელთა მინავლულ ზეობას მიანიშნებს და კიცხავს.

ობმოკიდებული ფოტო მაგონდება (შესაძლოა იმ საწყალი ფოტოგრაფის გადაღებულია, ოჯახის ფოტო კინაღამ სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა): ადამ აზიზი ოპტიმიზმის ციებ-ცხელებით რომ ღვივის, ხელს ართმევს ასე, სამოცი წლის მამაკაცს. ეს კაციც მოუსვენარია, ცმუკავს და თეთრი თმის ღერი შუბლს ისე უსერავს, თანდაყოლილი ნაიარევი გეგონება. ეს მიან აბდულაა, კოლიბრის რომ ეძახიან (ხედავთ, ექიმო საჰიბ, ფორმას როგორ ვინარჩუნებ. თუ გინდა მუცელში დამარტყი. აბა, სცადე. სრულყოფილ ფორმაში ვარ... ფოტოებზე თეთრი პერანგის მოშვებული ნაოჭები ფარავს მის მუცელს, ბაბუაჩემის მუშტი შეკრული არ არის, ის ყოფილ მასხარას ხელს ჩაუყლაპავს). მათ უკან დგას რანი ქუჩ ნაჰინი, კეთილად რომ იღიმება. რაღაც დაავადება აწუხებს, მუწუკებისგან სულ გათეთრებულია. ეს დაავადება დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ვულკანივით ამოიფრქვა და მისმა ლავამ ისტორიაშიც შეაღწია... „მე მსხვერპლი ვარ“, ჩურჩულებს რანი, ფოტოზე დაფიქსირებული ტუჩებით, რომელიც არ ირხევა, „კულტურათა გადაკვეთის უბედური მსხვერპლი. ჩემი კანი გარეგანი გამოხატულებაა ჩემი სულის ინტერნაციონალიზმისა“. დიახ, ფოტოზე დიალოგია აღბეჭდილი; თითქოსდა ტუჩისუმოძრაოდ საუბრის ექსპერტები არიან, ოპტიმისტები, თავიანთ ლიდერს რომ ხედებიან. ახლა კარგად მოისმინეთ, რასაც ვიტყვი, ისტორია და წინაპრები ეს-ესაა, ერთმანეთს უნდა შეხვდნენ! რანის გვერდით დგას ერთი უცნაური კაცი, ფუმფულა და ღიპიანი, თვალები დამდგარ ტბებს მიუგავს, თმა გრძელი აქვს, როგორც პოეტებს სჩვევიათ. ეს ნადირ-ხანია, კოლიბრის პირადი მდივანი. მისი ტერფები ფოტოსურათს რომ არ გაეშეშებინა, ალბათ უხერხულად წაჩლაკუნდებოდნენ. პირზე სულელური და ჯიუტი ღიმილი აუფარებია, „მართალია, ლექსებს ვწერდი“. ამ დროს მიან აბდულა აწყვეტინებს და პირიდან ღრიალი და წვეტიანი კბილების ელვარება ამოსდის: „კი მაგრამ, რა ლექსები!



www.PDF.ChiaturaINFO.GE

არც ერთი ლექსი არ გაქვს, არც ერთი სტრიქონი!“ და რანი ფრთხილად ეუბნება: „მოდერნისტი ხარ?“ და ნადირი მორცხვად პასუხობს: „კი“. რა დაძაბულობა იგრძნობა ამ წყნარ და უმოძრაო სურათზე! რა ნერვიული დიალოგია, კოლიბრი რომ ამბობს: „არა უშავს, ყურადღებას ნუ მიაქცევ; ხელოვნებამ უნდა აგვამაღლოს; უნდა შეგვახსენოს, რომ დიდებული ლიტერატურული მემკვიდრეობა გვაქვს“. მის მდივანს სახეზე ჩრდილი აქვს თუ იღუშება? ნადირის ხმა ბლავილს გამოსცემს გაცრეცილი სურათიდან: „მე მაღალი ხელოვნების არ მჯერა, მიან საჰიბ. ხელოვნება კატეგორიების გარეშე უნდა არსებობდეს; ჩემთვის პოეზია და კასრში ფურთხის დამიზნების თამაში თანატოლნი არიან“.

...რანი, რომელიც კეთილი ქალია, ასე ხუმრობს: „კარგი, მაშინ ერთ ოთახს გამოვყოფ წიწაკის ღეჭვისა და ფურთხის კასრის თამაშისთვის. უმაღლესი ხარისხის ვერცხლის ჩასაფურთხებელი კასრი მაქვს, შიგნით ლაზურიტით გაწყობილი. ყველანი უნდა მოხვიდეთ და ივარჯიშოთ. დაე, კედლებმა იწვნიონ ჩვენი უზუსტო გადაფურთხებები! ეს პატიოსანი ლაქები მაინც იქნება“. ახლა ფოტოსურათი სიტყვებისგან იცლება; ჩემი გონების თვალმა შეამჩნია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში კოლიბრი კარისკენ იყურება, რომელიც ბაბუაჩემის მხარს უკანაა სურათის კუთხეში. კარზე ისტორია აკაკუნებს. კოლიბრის ერთი სული აქვს, აქედან როდის გავა... მაგრამ ჩვენთან ერთად არის და მისმა იქ ყოფნამ ორი იდეის ძაფი მომაწოდა, რომელიც მთელი ცხოვრება თან გამყვა. ამ ძაფს ჯადოქრების უბნისკენ მივყავარ; ეს ძაფი ამბავს ჰყვება ულექსო ნადირ-ხანზე, ენაუთქმელ პოეტსა და შეუფასებელ ვერცხლის კასრზე.

„რა სისულელეა, — ამბობს პადმა, — სურათს ლაპარაკი შეუძლია? გაჩერდი; ალბათ დაღლილობამ ფიქრის უნარიც წაგართვა“. მაგრამ როცა ვეუბნები, რომ მიან აბდულას უჩვეულო თვისება აქვს, რომ შეუსვენებლად შეუძლია იღიღინოს, იღიღინოს უცნაურად; ეს ღიღინი არც მუსიკალურია და არც არამუსიკალური, არამედ მექანიკურია, ძრავის ან დინამოს ზუზუნს ჰგავს; პადმა იჯერებს და ჭკვიანურად ამბობს: „თუ ასეთი ენერგიული კაცი იყო, მაშინ ეს გასაკვირი სულაც არ არის“. ისევ სმენად იქცა; მე კი უფრო საინტერესოდ ვყვები და ვეუბნები, რომ მიან აბდულას ზუზუნი მისი მუშაობის ტემპს უახლოვდება. ეს ზუზუნი ისეთი დაბალი დიაპაზონის შეიძლებოდა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოფილიყო, რომ კბილს აგატკივებდა, და როცა თავისი სიმაღლის პიკს უახლოვდებოდა, ანუ ცივებ-ცხელების უმაღლეს მწვერვალზე ადიოდა, შეეძლო ერექციაც კი გამოეწვია ახლომყოფ მამაკაცებში (პადმა იცინის. არც არის გასაკვირი, თუ რატომ იყო მამაკაცებში ასეთი პოპულარული!). მისი მდიდანი, ნადირ-ხანი, უფრთხის ხმის ვიბრაციის მუდმივი მსხვერპლი იყო. მისი ყურები, ყბები და პენისიც კოლიბრის ხმას ემორჩილებოდა. მაშინ რატომ დარჩა ნადირი მასთან, მიუხედავად იმისა, რომ ერექცია ემარცხებოდა და უცხო ხალხთან იბნეოდა; მიუხედავად იმისა, რომ კბილები სტკიოდა და იმდენი საქმე ჰქონდა, ყოველი ოცდაოთხიდან ოცდაორი საათი უნდა ემუშავა? არა იმიტომ, რომ პოეტის ვალდებულებად მიიჩნია მოგვლენათა ეპიცენტრში მოხვედრილიყო და ლიტერატურაში აესახა ეს მოგვლენები; და არც იმიტომ, რომ სახელი უნდოდა. არა! ნადირს და ბაბუას ერთი რამ ჰქონდათ საერთო. და ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ისიც, ბაბუასავით ოპტიმიზმით დასნეულდა.

ადამ აზიზიით და რანიით ნადირ-ხანსაც ეზიზღებოდა მაჰმადიანთა ლიგა („გომბეშოების საკრებულო!" — ჭიკჭიკებდა რანი სასიამოვნო, მუსიკალური ხმით, ოქტავებს შორის მოციგურავესავით რომ დაძვრებოდა. „მემამულეებს პირადი ინტერესების დაცვა ამოძრავებთ! რა უნდა უქნან მაჰმადიანებს? ისინი გომბეშოებივით მიდიან ბრიტანელებთან და მათთვის მთავრობებს ქმნიან ახლა, როცა კონგრესი ამაზე უარს ამბობს!" ეს იყო „ინდოეთის დატოვების" წელიწადი. „და კიდევ რა, — განაცხადაა რანიმ საბოლოოდ, — ისინი გიჟები არიან. სხვაგვარად ინდოეთის გაყოფას როგორ მოიწადინებდნენ?").

მიან აბდულამ, ანუ კოლიბრიმ თავისუფალი ისლამური საბჭო თითქმის მარტომ შექმნა. მან სხვადასხვა დაფანტული ისლამური ჯგუფის ლიდერები მოიწვია, რომ შეექმნა თავისუფალი გაერთიანება, როგორც დოგმატური და ანგარებიანი ლიგის წევრთა ალტერნატიული ვარიანტი. ეს ეშმაკური ფანდი იყო, რადგან ისინი ყველანი მოვიდნენ. ლაჰორში პირველი საბჭო შედგა, აგრაში — მეორე. თავყრილობაზე მოდიოდნენ აგრარული მოძრაობის წევრები, სოფლის მშრომელთა ჯგუფები, რელიგიური სექტები და ადგილობრივი ხალხი. ის დაამტკიცეს, რაც პირველმა კრებამ, რომ ლიგას ინდოეთის გაყოფა პირადი ინტერესებისთვის სჭირდებოდა. „ზურგი შეგვექცეს, — ეწერა საბჭოს პოსტერებზე, — და ახლა ამტკიცებენ, რომ მათ უკან ვდგავართ!" მიან აბდულა გაყოფის წინააღმდეგი იყო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოპტიმიზის ეპიდემიის მწვერვალზე კოლიბრის უფროსს, რანის, ჰორიზონტზე გამოჩენილი ღრუბლები არასოდეს უხსენებია. მინიშნებითაც კი არ უთქვამს, რომ აგრა მაჰმადიანთა ლიგის ციხესიმაგრე იყო. მხოლოდ ამას ამბობდა: „ადამ, ჩემო ბიჭო, თუ კოლიბრი აქ საბჭოს გამართვას მოინდომებს, მე არ ვაპირებ რჩევა მოვცე, რომ ალაჰაბადში წავიდეს“. მთელ მოვლენათა სირთულეს ყოველგვარი წუწუნის გარეშე იტანდა და მასში არ ერეოდა; მაგრამ, მოდი ასე ვთქვათ, ამ საქციელმა ქალაქში მტრები გაუჩინა. რანი სხვა ინდოელი პრინცებივით არ ცხოვრობდა. ნადირობის მაგივრად ხალხს ეხმარებოდა. სასტუმროს სკანდალების ნაცვლად პოლიტიკა აინტერესებდა. ასე რომ, ჭორები ვრცელდებოდა: „ეს მისი სწავლულები, მისგან სტიპენდიებს რომ იღებენ, ყველამ იცის, რომ რაღაც ზედმეტ სასწავლო დავალებებს ასრულებენ მისთვის. ისინი მის საძინებელში სიბნელეში შედიან, რანი მათ თავის დამუწუკებულ სახეს არ უჩვენებს, ლოგინში კი თავისი ჯადოსნური ხმით მოჯადოებულებს იტყუებს!“ ადამ აზიზს არასოდეს სჯეროდა ჯადოქრების არსებობისა. რანის ბრწყინვალე წრე ჰყავდა მეგობრებისა, რომელთა შორის ყოფნა ადამს ძალიან სიამოვნებდა. ეს მეგობრები სპარსულად ისე თავისუფლად ლაპარაკობდნენ, როგორც გერმანულად. მაგრამ ნასიმ აზიზი, რომელსაც სანახევროდ სჯეროდა რანის ამბები, პრინცესას სახლისკენ მიმავალს არასოდეს თან არ ხლებია. „თუ ღმერთს უნდოდა, რომ ხალხს მრავალ სხვადასხვა ენაზე ელაპარაკა, — ამბობდა პრინცესა რანი ქუჩ ნაჰინი, — მაშინ მხოლოდ ერთი ენა რატომ ჩაგვიდო თავში?“

ისე მოხდა, რომ კოლიბრის ოპტიმისტებიდან არც ერთი არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რაც შემდეგ მოხდა. ისინი კასრში გადაფურთხობანას თამაშით იყვნენ გართულნი და მიწაში გაჩენილი ნაპრალები ვერ შეამჩნიეს.

ზოგჯერ ლეგენდები რეალობას ქმნიან და ფაქტებზე მნიშვნელოვანი ხდებიან ხოლმე. ლეგენდების მიხედვით, და ასევე იმ რაფინირებული ჭორის მიხედვით, წიწაკის მაღაზიის მოხუცებმა რომ გაავრცელეს, მიან აბდულა იმიტომ დამარცხდა, რომ აგრის რკინიგზის სადგურში შეიძინა ფარშავანგის მარაო. ნადირ-ხანმა გააფრთხილა, არ იყიდო, თორემ უბედურებას მოგიტანსო. მეტიც, იმ ღამეს, ნახევარმთვარე რომ გამოჩნდა, აბდულა ნადირთან მუშაობდა და ახალ მთვარეს ჭოგრიტით შეხედეს. „ეს მნიშვნელოვანია, — ამბობენ წიწა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

�is მღეჭავები, — ჩვენ ძალიან დიდხანს ვიცოცხლეთ და ვიცით ეს“ (ბოლო თანხმობის ნიშნად თავს აქნევს).

სასჯელის ოფისები უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის შენობაში პირველ სართულზე იყო განთავსებული. აბდულა და ნადირი ღამის სამუშაოს ასრულებდნენ; კოლიბრი დაბალ ხმაზე ღელუნებდა და ნადირს კბილები ასტკივდა. ოფისის კედელზე პოსტერი გაეკრათ, რომელზეც აბდულას საყვარელი რეპლიკა ეწერა, ინდოეთის გაყოფას რომ წინააღმდეგებოდა. ეს იყო პოეტ იქბალის ლექსიდან მოყვანილი ციტატა: „განა სადმე არის ისეთი ბიწა, ღმერთისთვის რომ უცხო იყოს?“ და ახლა პოლიტიკურმა მკვლელებმა უნივერსიტეტის კამპუსს[1] მიაღწიეს.

ფაქტები ასეთია: აბდულას უამრავი მტერი ჰყავდა. ბრიტანელთა დამოკიდებულება მისდამი გაუგებარი იყო. ბრიგადირ დოდსონს მისი ქალაქიდან გაძევება სურდა. კარზე კაკუნი გაისმა და ნადირი გაეპასუხა. ექვსი ახალი მთვარე შევიდა ოთახში, ექვსი ნახევარმთვარისებრი დანა ეჭირათ შავებში ჩაცმულ მამაკაცებს და სახეები შეენიღბათ. ორმა მათგანმა ნადირი გააკავა, სხვები კოლიბრისკენ გაემართნენ.

„ამ დროს, — ამბობენ წიწაკის მღეჭავები, — კოლიბრის ხმამ პიკს მიაღწია. ძაღლა და ძაღლა იწვედა. მკვლელებს თვალები გაუფართოვდათ, დანარჩენი წვრილებიც თავიანთ სამოსებში ისე ჩაიმალნენ, როგორც კარვებში. მერე — ალაპ! მერე — დანებმა დაიწყეს სიმღერა და აბდულა უფრო ხმამაღლა ამღერდა, ისე ხმამაღლა არასოდეს უმღერია. სხეული ისე გაუმაგრდა, რომ გრძელ, მორკალულ დანისპირებს მისი მოკვდინება გაუჭირდათ; ერთი ხერხემლის მალაზე გადაატყდა, მაგრამ დანარჩენი წითელი სისხლით შეიღება. ახლა, მისმინე! — აბდულას სიმღერა ადამიანთა ყურთასმენის დიაპაზონს ისე გასცდა, რომ ქალაქის ძაღლებმაც კი გაიგონეს. აგრაში ასე, დაახლოებით რვა ათას ოთხას ოცი უპატრონო ძაღლი მაინც იქნება. იმ ღამეს, აშკარაა, რომ ზოგი ჭამდა, ზოგი მათგანი კვდებოდა, ზოგი მძუნაობდა და ზოგმაც საერთოდ ვერ გაიგონა ძახილი. ვთქვათ, ამათგან ორი ათასი ავიღოთ; ამ ორი ათასმა მიატოვა ექვსი ათას ოთხას ოცი ქოფაკი და უნივერსიტეტისკენ გამოიქცა. ზოგმა რკინიგზის ლიანდაგებზე გადმოირბინა, ქალაქის მეორე მხრიდან რომ მოევლო. ცნობილია, რომ ეს ნამდვილად ასე მოხდა. ქალაქში ეს ყველამ დაინახა, მათ გარდა, ვისაც იმ დროს ეძინა. ძაღლები არმიასავით ხმაურით

[1] *კამპუსი, კემპუსი (ინგლ.) — სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, სტუდენტთა ქალაქი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოდიოდნენ და მათი ნაკეალევი ძვლებით, ექსკრემენტებით და ბეწვით მოფენილიყო... მთელი ამ ხნის განმავლობაში აბდულა მღეროდა, მღეროდა და მღეროდა. დანებიც მღეროდნენ. და ეს იცოდე: უცებ ერთ-ერთი მკვლელის თვალი ამოტყდა და ბუდიდან ამოვარდა. შემდეგ იპოვეს მინის ნამსხვრევები, რომლებიც ხალიჩაში ჩაცვენილიყო.

ამბობენ, ძაღლები რომ მოვიდნენ, აბდულა თითქმის მკვდარი იყო, დანები კი — პირდაჩლუნგებული... ისინი ველურებივით შემოიჭრნენ, ფანჯარაში ხტებოდნენ. ფანჯარას მინები არ ჰქონდა, აბდულას ხმამ ჩაამსხვრია... კარს ეჯახებოდნენ, სანამ ხის კარი არ დაიმტვრა.. და მერე ყველგან მოედვნენ, ბაბა!.. ზოგი უფეხო იყო, ზოგი უბეწვო, მაგრამ უმეტესობას რამდენიმე კბილი მაინც ჰქონდა, ბასრი რომ იყო, ისეთიც... და ახლა შეხედე: მკვლელებს შემოჭრის არ უნდა შეშინებოდათ, რადგან მცველები არ ეყენათ; ძაღლები უეცრად შეიჭრნენ... ორი კაცი, ხერხემალგამოღადრული ნადირ-ხანი რომ ეჭირათ, მხეცებმა წააქციეს. სამოცდარვა ძაღლი ერთად დაავდათ კისერზე... შემდეგ ეს მკვლელები ისე იყვნენ დასახიჩრებულნი, რომ ვერაფრით ამოიცნეს".

„რაღაც მომენტში, — ასე ამბობენ, — ნადირმა ფანჯრიდან ისკუპა და გაიქცა. ძაღლები და მკვლელები ერთმანეთით ისე დაკავებულიყვნენ, რომ არ გამოსდევნებიან".

ძაღლები? მკვლელები?.. თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ. გაიკითხეთ მიან აბდულასა და მისი საბჭოს შესახებ და აღმოაჩენთ, როგორ შევხვეტეთ მისი ამბავი ხალიჩის ქვეშ... მინდა გითხრათ, რომ მისმა ლეიტენანტმა, ნადირ-ხანმა, სამი წელიწადი ჩემი ოჯახის ფარდაგებქვეშ გაატარა.

ახალგაზრდა რომ იყო, ერთ ოთახში ცხოვრობდა ერთ მხატვართან ერთად, რომლის შემოქმედება იზრდებოდა და იზრდებოდა, რადგან ცდილობდა ხელოვნებაში მთელი ცხოვრება ჩაედო. „შემომხედე, — უთხრა ნადირ-ხანს, სანამ თავს მოიკლავდა, — მინიატიურისტობა მინდოდა და სპილოვნობა გამომივიდა!" ნახევარმთვარისებრი დანების ღამის მოვლენებმა ნადირ-ხანს თავისი ოთახის მეგობარი მოაგონა. ცხოვრებამ კიდევ ერთხელ ჯიუტად თქვა უარი ცხოვრებისავე ჩარჩოში ჩატეულიყო და მელოდრამად იქცა, რამაც ძალიან შეაცბუნა.

როგორ გადაიარა ნადირ-ხანმა ქალაქი იმ ღამით ისე, რომ ვერავინ შეამჩნია? ამას მის ცუდ პოეტობას ვაბრალებ და კიდევ იმას, რომ თავის გადარჩენის თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა.

რომ გარბოდა, თავს უხერხულად გრძნობდა, თითქოს მისი სხეული ბოდიშს იხდიდა თავისი საქციელის გამო; რომ თითქოს იაფფასი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ან ტრილერში იყო, ქორვაჭრები რომ რკინიგზის სადგურში ყიდიან ან უფასოდ იძლევიან მწვანე წამალთან ერთად — გაცივებას, ტიფს, იმპოტენციას, ნოსტალგიასა და სილარიბეს რომ კურნავს... კორნვალისის გზაზე რომ მიდიოდა, თბილი ღამე იდგა. ქვანახშირის ცარიელი მაყალი შენიშნა მიტოვებულ რიქშებთან. წიწაკის მაღაზია დაკეტილი იყო და ბებრუხანებს სახურავზე ეძინათ. ალბათ ხვალინდელი თამაში ესიზმრებოდათ. მთვარეულმა ძროხამ, რომელიც ზანტად ცოხნიდა სიგარეტის თეთრ-წითელ კოლოფს, ქუჩაში ბოხჩიან, მძინარე კაცს ჩაუარა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს კაცი დილით გაიღვიძებდა. ძროხა მძინარე კაცს ყურადღებას არ მიაქცევს თუ ეს კაცი მომაკვდავი არ არის. მაგრამ თუ უნდა მოკვდეს, მაშინ ძროხა დრუნჩს ადებს და სვვდიანად ყნოსავს. წმინდა ძროხები ყველაფერს ჭამენ.

ბაბუაჩემს დიდი ძველი ქვის სახლი აქვს, რომელიც ძვირფასი ქვების მაღაზიის შემოსავლიდან და კიდევ ბრმა ღანის მიერ მიცემული მზითვის მეოხებით შეიძინა. სახლი სიბნელეში, ქუჩიდან მოშორებით იდგა, თითქოს თავის ღირსებას იცავსო. უკან შემოღობილი ბაღი ჰქონდა. ბაღის ჭიშკართან დაბალი ფაცხა იდგა, რომელიც ჰამდარდების ოჯახმა იაფად იქირავა. იქ მოხუცი ჰამდარდი და მისი ვაჟი, რაშიდი ცხოვრობდა, რომელიც რიქშას ატარებდა. ფაცხის წინ ჭა იყო, წყლის ბორბლით, ძროხის დახმარებით რომ ბრუნავს. აქედან სარწყავი მილები სახლის ირგვლივ გადიოდა ჭიშკრამდე და შემდეგ კორნვალისის გზის ჰერიმეტრის ჩაყოლებაზე სიმინდის ყანას მისდევდა. სახლსა და მინდორს პატარა თხრილი ყოფდა, ფეხით მოსიარულეებს და რიქშას რომ გაევლოთ. აგრაში წრიული რიქშა არც ისე დიდი ხანია ისეთმა შეცვალა, რომელშიც კაცს ხის ძელებს შორის შეეძლო დამდგარიყო. ცხენებშებმული ტონგები[1] ჯერ კიდევ იყიდებოდა, მაგრამ სულ უფრო იშვიათად...

ნადირ-ხანი ჭიშკარში გაძვრა, ერთხანს ჩაცუცქდა, კედელს ზურგით მიეყრდნო და მოშარდვისას სიწითლემ გადაჰკრა. შემდეგ თავისი ვულგარულობით აღელვებული სიმინდის ყანისკენ გაიქცა და შიგ ჩაიმალა. მზით დამწვარმა ღეროებმა მთლიანად ვერ დაფარეს და მათ შორის ისე იწვა, რომ მის სხეულს ჩანასახის ფორმა მიეღო.

რიქშის დამტარებელი რაშიდი ჩვიდმეტი წლისა იყო. კინოდან მოდიოდა. იმ დილით დაინახა, რომ ორი კაცი დაბალ ურიკას მოაგორებ-

---

[1] *ტონგა (ინდ.) — ველორიქშა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და, რომელზეც დაზვინული ეწყო ხელით შესრულებული პოსტერები, ახალი ფილმის, „გაი-ვალას" რეკლამით. მთავარ როლში რაშიდის საყვარელი მსახიობი დევი მონაწილეობდა. „ორმოცდაათი სასტიკი კვირა დელიში! სროლების სამოცდასამი კვირა ბომბეიში!" — გაპკიოდნენ პოსტერები. „მეორე ხმაურიანი წელიწადი!" ეს ფილმი აღმოსავლური ვესტერნი იყო. მისი გმირი, დევი, რომელიც არც ისე თვალტანადი გახლდათ, ძროხებს მარტო მიერეკებოდა. ეს ინდურ-განგეტურ გეგმას ჰგავდა. გაი-ვალა მეჯოგეს ნიშნავს და დევი ძროხების ძალადმაცხონე დამცველის როლში გამოდიოდა. მარტოსულია, მაგრამ მრავალთოფიანი! დევი ჩუმად ეპარება მპარავ მეჯოგეებს, რომლებსაც პირუტყვი სასაკლაოზე მიჰყავთ. ამარცხებს მათ და იხსნის წმინდა ცხოველებს (ფილმი ინდუსი[1] მაყურებლისთვის იყო განკუთვნილი; დელიში ამ ფილმმა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. მაჰმადიანთა ლიგის წევრებს ძროხები კინოთეატრს იქით, სასაკლაოზე რომ მიჰყავდათ, სწორედ მაშინ წაიჭირეს). სიმღერები და ცეკვები მშვენიერი იყო. ერთი ლამაზი მოცეკვავე გოგონა თამაშობდა და უფრო ლამაზი იქნებოდა, თავზე ჩამოფხატული კოვბოის ქუდით რომ არ ეცეკვა. რაშიდი პარტერში, წინ იჯდა და სტვენასა და შეძახილებს უერთდებოდა. ორი ფუნთუშა შეჭამა და ძალიან ბევრი ფული დახარჯა. დედას არ მოეწონება მისი საქციელი, მაგრამ კარგად ისიამოვნა. როცა რიქშით შინ მიდიოდა, ფილმში წარმოიდგინა თავი, ცალ მხარეს ჩამოეკიდა, ფერდობზე პედლის გადაუბრუნებლად დააგორა და ისე მოაჯდა თავის რიქშას, როგორც გაი-ვალა — ცხენს, მტრებისგან რომ თავი დაეღწია. ბოლოს დანიშნულების ადგილზე მივიდა, საჭე მოაბრუნა და მისი საოცნებო რიქშა ჭიშკარში უხმაუროდ შეცურდა; შემდეგ თხრილზე გადავიდა, სიმინდის ყანის გვერდით. გაი-ვალა ასეთ ხრიკს მაშინ იყენებდა, მეჯოგეთა ბანდას რომ უნდა მიჰპაროდა, ბუჩქებში რომ ისხდნენ, სვამდნენ და თამაშობდნენ. რაშიდმა დაამუხრუჭა და ყანაში გადაეშვა. მთელი სისწრაფით მირბოდა და თოფშემართული მისდევდა მეჯოგეებს, მეჯოგეებმა კი ვერაფერი იეჭვეს. როგორც კი მათი თავშეყრის ადგილს მიუახლოვდა, ისინი რომ შეეშინებინა, სიძულვილით შესძახა: — იაااااااა!.. სინამდვილეში, არ დაუყვირია, ექიმი საჰიბის სახლთან ახლოს იყო. უბრალოდ, პირი გააღო. ბლამ! ნადირ-ხანმა ძლივს მოახერხა ჩაძინება

---

[1] *ინდუსი — ინდუიზმის მიმდევრები (უპირატესად ინდოეთში). ინდუიზმი — ინდური რელიგია, რომელიც შეიქმნა შუა საუკუნეებში ბრაჰმანიზმისა და ბუდიზმის დაახლოების შედეგად.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ახლა თეალი გაახილა. დაინახა, ვიღაც ველურის გამხდარი ფიგურა ელექტროფოსტის მატარებელივით პირდაპირ მისკენ მოდიოდა და ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა — იაااااჰ! მაგრამ შესაძლოა დაყრუვდა, რადგან არავითარი ხმა არ ისმოდა! წამოხტა და კოვილმა მისი სქელი ტუჩები გამოხეთქა. ზუსტად მაშინ დაინახა ის რაშიდმა და ხმაც ალმოაჩინა. ორ ხმაში შეშინებული წივილი გაისმა, ორივემ კუდი ამოიძუა და გაიქცნენ. მერე გაჩერდნენ, ერთმანეთის გაქცევა შეამჩნიეს და სიმინდის გამხმარი ღეროებიდან ერთმანეთს უჭვრეტდნენ. რაშიდმა ნადირ-ხანი იცნო, მისი დაგლეჯილი ტანსაცმელი შეამჩნია და ძალიან შეწუხდა.

„მეგობარი ვარ, — ჩაიბუტბუტა ნადირმა სულელურად, — ექიმი აზიზი უნდა ვნახო“.

„ექიმს სძინავს და ყანაშიც არ არის“. აზრზე მოდი, უთხრა რაშიდმა თავის თავს, სისულელეს ნუ იტყვი! მიან აბდულას მეგობარია! ...ნადირს მგონი არაფერი შეუმჩნევია; სახეზე გამალებული ფიქრები დაურბოდნენ, ხმის ამოღებას ისე ცდილობდა, თითქოს ქათმის ხორცი კბილებში გაეჩხირაო. „ჩემს ცოლს, — ბოლოს როგორც იქნა, ამოღერღა, — საფრთხე ემუქრება“.

და რაშიდმა, რომელიც ისევ გაი-ვალას როლში იყო, გადაწყვიტა ეხსნა იგი განსაცდელისგან. ნადირი სახლის კართან მიიყვანა, რომელიც ჩარაზულ-ჩაკეტილი დახვდათ. მაშინ რაშიდმა კარი გამოსწია და საკეტი დაემორჩილა. „ინდური საკეტია“, თქვა ჩურჩულით, თითქოს ამით ყველაფერი ახსნა; და როცა ნადირმა შიგნით შეაბიჯა, რაშიდმა გველივით დაისისინა: „ბოლომდე ჩემი იმედი გქონდეს, საჰიბ! დედა მომიკვდეს თუ გიღალატო! დედაჩემის ჭალარას ვფიცავ!“

გარედან ისევ საკეტი დაადო. მან ახლა კოლიბრის მარჯვენა ხელი გადაარჩინა!.. მაგრამ რისგან ან ვისგან გადაარჩინა?.. ზოგჯერ რეალური ცხოვრება უკეთესი იყო, ვიდრე სურათები.

„ეს ის არის? — კითხულობს ცოტა დაბნეული პადმა, — ეს მსუქანი ლაჩარი მამაშენია?“

## ხალიჩის ქვეშ

ეს ოპტიმიზმის ეპიდემიის დასასრული იყო. დილას დამლაგებელი ქალი თავისუფალი ისლამური საბჭოს ოთახში შევიდა და კოლიბრი იატაკზე გართხმული ნახა. მის ირგვლივ ძაღლების ნაფეხურები



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ემჩნეოდა იატაკს და აქეთ-იქით ეყარა მკვლელების ნაკუწები. დაიკივლა. მოგვიანებით, როცა მთავრობის ხალხი მოვიდა, შემდეგ წავიდა და ოთახის დალაგება დაავალეს, ძალლის ბეწვების, რწყილებისა და ჩამსხვრეული მინის ასუფთავებისთანავე უნივერსიტეტის საქმეთა მმართველს პრეტენზიით მიმართა, რომ თუ ასეთი რამ კიდეე მოხდებოდა, მაშინ ხელფასის მომატებას მოითხოვდა. ალბათ უკანასკნელი მსხვერპლი იყო ოპტიმიზმის ინფექციისა. ამასთან, ეს ავადობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან საქმეთა მმართველი მკაცრი კაცი იყო და სამსახურიდან დაითხოვა.

მკვლელთა ვინაობა ვერ გაიგეს, ვერც ის გაიგეს, ვინ დააფინანსა ისინი. ბაბუაჩემი უნივერსიტეტის კამპუსში ბრიგადირ დოდსონის თანაშემწემ, მაიორმა ზულფიქარმა დაიბარა, რომ მეგობრების მკვლელობის შესახებ მოხსენებითი ბარათი დაეწერა. მაიორი დაჰპირდა, ექიმ აზიზს გამოვიძახებ, რომ რაღაც საქმეები გავარკვიოო.

ბაბუაჩემმა ცხვირი მოიხოცა და წავიდა. მოედანზე კარვები ჩაფუშული იმედებივით ძირს ეშვებოდნენ. საბჭოს კრება აღარ შედგებოდა. რანი ქუჩნაპინი დასაძინებლად წავიდა. მთელი ცხოვრება ჯანმრთელობისთვის რომ ყურადღება არ მიუქცევია, ახლა ავადობებმა დარიეს ხელი და ლოგინს მიაჯაჭვეს. თავის თავს უყურებდა, მიტკლისფერი რომ ედებოდა.

ამასობაში კორნვალის-როუდის ძველ სახლში დღეები პოტენციური დედებითა და შესაძლო მამებით გაივსო. ხედავ, პადმა? ახლა მიხვდები ყველაფერს.

ჩემი ცხვირი გამოვიყენე (თუმცა ის ძალა დაკარგა, რომლითაც ისტორიის შექმნა შეეძლო არც ისე დიდი ხნის წინათ, მაგრამ სამაგიეროდ ახალი, საკომპენსაციო ნიჭი შეიძინა), შიგნით შევიბრუნე და ვყნოსავდი ატმოსფეროს ბაბუაჩემის სახლში, სწორედ იმ დღეებში, როცა ინდოეთს მომღერალი იმედი მოუკვდა; წლების შემდეგ ჩემამდე აღწევს უცნაური, არაერთგვაროვანი სუნები, მოუსვენრობით სავსე; სავსე შეგრძნებით, რომელიც ისეთ რომანტიკულ ურთიერთობაში ირევა, რომ ყვავის და იფურჩქნება. ამავე დროს ბაბუაჩემის ცნობისმოყვარეობისა და სიძლიერის მძაფრი სუნიც მომდის... სანამ მაჰმადიანთა ლიგა ოპონენტის დამარცხებას ზეიმობდა, ფარულად, რა თქმა უნდა, ბაბუაჩემს ყოველ დილით ნახავდით (ჩემი ცხვირი პოულობს მას), როგორ იჯდა იმ თავის ჭექა-ქუხილის ყუთზე,[1] როგორც

[1] *ჭექა-ქუხილის ყუთი — აქ: ლამის ქოთანი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავად შეარქა, და თვალები ცრემლით ევსებოდა. მაგრამ ეს მწუხარებას ცრემლი არ იყო; ადამ აზიზმა უბრალოდ გაინდოელების საფახური გადაიხადა და ახლა კუჭის შეკრულობისგან იტანჯებოდა. ხაუბედუროდ, ტუალეტის კედელზე ოჟნა კიდია.

რატომ შეეიჭერი ბაბუას პირად ცხოვრებაში? როცა შემეძლო მიან აბდულას სიკვდილის მერე მომეყოლა, ადამმა სამუშაოს როგორ შესწირა თავი და როგორ ზრუნავდა ღარიბი ქალაქების ავადმყოფებზე, რომელთაც ყასაბი ექიმების ექსპერიმენტებისგან იხსნიდა, ავადმყოფებს წიწაკიანი წყლის ინიექციას რომ უკეთებდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, შემწვარი ობობა სიბრძავეს კურნავსო. ბაბუა უბრალოდ, როგორც უნივერსიტეტის ექიმი, თავის მოვალეობას ასრულებდა. მე შემეძლო განმეცრცო თემა სიყვარულისა, რომელიც ბაბუასა და მის მეორე ქალიშვილს, მუმთაზს შორის ჩაისახა. მუმთაზის მუქი კანი დედამისს არ მოსწონდა, მაგრამ მამისთვის ძვირფასი იყო გოგონას დიდსულოვნება, მზრუნველობა და სიფაქიზე. ეს თვისებები მამაზე ისე მოქმედებდა, რომ ისიც სიფაქიზით პასუხობდა; შემეძლო აღმეწერა ან უკვე ჩვენაში გადასული ცხვირის ფხანა; და ყოველივე ამის ნაცვლად ფუნაში ამოქვარქნა ვარჩიე! რადგან ადამ აზიზიც სწორედ აქ იყო. იმ შუადღეს, როცა ხელი სიკვდილის სერტიფიკატს მოაწერა, სრულიად მოულოდნელად რბილი, მხდალი, შემკრთალი ხმა — ხმა ულექსო პოეტისა ტანსაცმლის ძველი კარადის სიღრმიდან დაელაპარაკა. ეს კარადა ოთახის კუთხეში იდგა. ამ ხმამ ისე შეაშინა, რომ კუჭში გახსნა და ოჟნა აღარ დასჭირვებია. რიქშის დამტარებელმა რაშიდმა ნადირ-ხანი ჭექა-ქუხილის ყუთის ოთახში იმ მხრიდან შეიყვანა, საიდანაც დამლაგებელი ქალი შედიოდა. ნადირ-ხანი სარეცხის კარადაში შეიმალა. სანამ ბაბუას შეშინებული უკანალი წყნარდებოდა, მისმა ყურებმა გაიგონეს, რომ ვილაც თავშესაფარს სთხოვდა ხმით, რომელიც მიტკალმა, ბინძურმა საცვლებმა, ძველმა პერანგებმა და თვით მოსაუბრის უხერხულობამ მოგუდა. და მაშინ იყო, როცა ადამ აზიზმა ნადირ-ხანის დამალვა გადაწყვიტა.

ახლა ჩხუბის სუნი მცემს. პატივცემული დედა ნასიმი თავის ქალიშვილებზე ფიქრობს. ოცდაერთი წლის ალიაზე, მუქკანიან მუმთაზზე, რომელიც ცხრამეტი წლისაა და მშვენიერ, კუდრაჭა ესმერალდაზე, ჯერ თხუთმეტისაც რომ არ გამხდარა, მაგრამ თვალებში ისეთი მზერა ჩასდგომია, თავის დებზე უფროსი გეგონება. ქალაქში, კასრში მსროლელებსა და რიქშის ბიჭებს შორის, ფილმის პოსტერების გამაგ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რეკლამებსა და კოლეჯის სტუდენტებს შორის ეს სამი დაიკო ცნობილია როგორც „თოთ ბაოთ", ანუ სამი ნათელი სხეული... და როგორ დარიოუს ხეებას პატიჟცემული დედა უცხო მამაკაცს, იმავე სახლში იცხოვრის, რომელშიც ბრძენი ალია, შაჯად მოელვარე მუმთაზი და ლამაზოჯალება ესმერალდა ცხოვრობენ?.. „შენ ჭკუიდან ხომ არ შეიშალე, კაცო; იმ საკვლილის სერტიფიკატმა ალბათ ტვინი გაღრძო". მაგრამ აზიზი გადაჭრით ამბობს: „ის ჩვენთან რჩება". სარდაფში... დამალეა მნიშვნელოვან არქიტექტურულ განჯვრეტასთანაა დაკავშირებული ინდოეთში. ამიტომ აზიზის სახლს ფართო მიწისქვეშა ოთახები აქვს, სადაც იატაკში ჩაყოლებული ასაწევი კარით თუ შეხვალ. ეს ოთახები ხალიჩებითა და ფარდაგებითაა მოფენილი... ნადირ-ხანს ჩხუბი და ღრიალი ესმის და საკუთარ ბედზე წუხს. ღმერთო ჩემო (მე ამ პოეტის ფიქრსაც კი ვყნოსავ და ვგრძნობ, ხელებზე ცივმა ოფლმა რომ დაასხა), სამყარო შეიშალა... ჩვენ კაცები ვართ თუ მხეცები? და თუ მე წასვლა მომიწევს, დანები როდის მომაკითხავენ?.. თავში ფარშაჯანგის მარაომ გაურბინა და კიდევ ახალმა მთვარემ, ჭოგრიტით რომ დაინახეს და უცებ წვეტიან გასისხლიანებულ დანისპირად რომ იქცა... ზედა სართულიდან პატიჟცემული დედის ხმა ჩამოდის: „სახლში გასათხოვარი გოგონები მყავს, იმასრაჰქვია; ასე სცემ პატივს შენს ქალიშვილებს?" სიბრაზის ნელსურნელება იკარგება; ადამ აზიზის დამანგრეველმა სიბრაზემ ამოხეთქა; იმის ნაცვლად, უთხრას, რომ ნადირ-ხანი სარდაფში დაიმალება ისე, თითქოს ვიღაცამ ხალიჩის ქვეშ ცოცხით შეხვეტა, საიდანაც მისი ქალიშვილების გახრწნას ალბათ ვერ მოახერხებს; იმის ნაცვლად, რომ საკადრისად ხაზი გაუსვას და დაამტკიცოს ამ ულექსო მგოსნის პატიოსნება, რომელიც იმდენად ამაღლებულია მასში, ძილშიც რომ რამე უწესო ესიზმროს, იქაც გაწითლდება; იმის მაგივრად, რომ ეს მიზეზები ჩამოთვალოს, ბაბუა გრგვინავს: „ხმა ჩაიკმინდე, ქალო! კაცს თავშესაფარი სჭირდება! ის აქ უნდა დარჩეს". ამის შემდეგ ბებია სასტიკ და დაუოკებელ გადაწყვეტილებას იღებს, ავი ღრუბელივით იქუფრება და ბაბუას ეუბნება: „ძალიან კარგი, შენ შეუბნები, იმასრაჰქვია, ხმა ჩავიკმინდო, არა? არც ერთი სიტყვა, იმასრაჰქვია, პირობას გაძლევ, ამიერიდან არ დასცდება ჩემს ტუჩებს". და აზიზი კვნესის: „ოჰ, დასწყევლოს ეშმაკმა, მოგვაშორე, ქალო, ეგ შენი სულელური პირობები!"

მაგრამ პატიჟცემულმა დედამ ტუჩზე კლიტე დაიდო და სიჩუმე ჩამოწვა. ბატის დამპალი კვერცხის სუნი უდის ამ სიჩუმეს და ჩემს



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნესტოებს ავსებს; ყველაფერი წალეკა და დედამიწა მოფლო... ნადირ-ხანი თავის ნახევრად ჩაბნელებულ მიწისქვეშეთში იმალება, ხოლო მისი დიასახლისი უსიტყვობის დამაყრუებელ კედელს ეყარება. პირველად ბაბუამ მოსინჯა ეს კედელი, შეკაღწევ, ნაპრალს თუ ვიპოვიო; ვერაფერიც ვერ იპოვა. შემდეგ დანებდა და დაელოდა, როდის ამოისროდა მისი ცოლი წინადადებას და ამით ნიშანს მისცემდა მაშინდელივით, როცა მისი სხეულის ფრაგმენტები შეუყარდა და მოუნდა გახვრეტილი ზეწრიდან; სიჩუმემ სახლი აავსო კედელ-კედელ, იატაკიდან ჭერამდე, ისე, რომ ბუზებმაც კი შეწყვიტეს ბზუილი და კოლოებმა კი კბენის მომასწავებელ წუილზე ხელი აიღეს. წუილის გარეშე იკბინებოდნენ. ბატებიც კი აღარ სისინებდნენ ეზოში. ბავშვები ჯერ ჩურჩულზე გადავიდნენ და შემდეგ მიჩუმდნენ; სიმინდის ყანაში რიქშის დამტარებელმა რაშიდმა ჩუმად ამოუშვა „ზიზღის შეძახილი“ და სიჩუმის ფიცი არ დაურღვევია, დედა რომ დაიფიცა.

ამ სიჩუმის ჭაობში ერთ საღამოს ერთი ბრტყელთავა კაცი მოვიდა, თავი ისეთივე ბრტყელი ჰქონდა, ზედ რომ ქუდი ეხურა; ფეხები, ქარში რომ ლერწმები იკაკვებიან, ისე მოკაკვოდა; ცხვირი აპრეხილ ნიკაპს სწვდებოდა; ხმა ისეთი წვრილი და მახვილი ჰქონდა, რომ სასუნთქ აპარატსა და ყბას შორის ვიწრო მილში გაეტეოდა... ისეთი ახლომხედველი იყო, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ცხოვრობდა და ამან მეწვრილმანისა და უნდილი კაცის სახელი გაუთქვა. უფროსებს კი იმით მოსწონდათ, რომ მისგან არავითარ საშიშროებასა და მუქარას არ ელოდნენ; ამ კაცის გახამებულ-გაუთოებული სამოსი „ბლანკოთი“ და წესიერების სუნით ყარდა. მიუხედავად იმისა, რომ მარიონეტების თეატრის თოჯინას ჰგავდა, მაინც წარმატების უცდომელი სუნი ასდიოდა. მაიორმა ზულფიკარმა, კაცმა, რომელსაც მომავალი ჰქონდა, აზიზს მოაკითხა. როგორც ადრე შეჰპირდა, რაღაც საკითხები საბოლოოდ უნდა გაერკვია. აბდულას სიკვდილი და ნადირ-ხანის საეჭვო გაუჩინარება მოსვენებას არ აძლევდა. მან იცოდა ადამ აზიზი ოპტიმიზმის სუნით რომ იყო ინფიცირებული. სახლში გამეფებული სიჩუმე გლოვად მიიღო და დიდხანს არ დარჩენილა (სარდაფში ნადირი ტარაკნებთან ერთად იყო მოკუნტული). მაიორი ზულფიკარი წყნარად იჯდა სასტუმრო ოთახში ხუთ ბავშვთან ერთად. ქუდი და ჯოხი გვერდზე, რადიოგრამაზე ედო. აზიზების ოჯახის წევრთა გადიდებული სურათი კედლიდან უცქერდა და მაიორს სიყვარული ეწვია. ახლომხედველი იყო, მაგრამ არა ბრმა და ესმერალდას დაუჯერებლად ჭკვიანურმა და საძ ნათელ სხივს შო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რის უბრწყინვალესმა გამოხედვამ დაარწმუნა, რომ ამ გოგონამ იცოდა მისი მომავალი და აპატია მას იმის გამო, რომ ამ კაცს ასეთი გარეგნობა ჰქონდა. სანამ წავიდოდა, გადაწყვიტა ცოლად შეერთო რაღაც დროის მერე („ესმერალდა? — ხვდება პადმა, — ეს თავხედი დედაკაცი დედაშენია?" მაგრამ აქ სხვა შესაძლო დედებიც არიან, სხვა მომავალი მამებიც, რომლებიც სიჩუმეში აქეთ-იქით დაფარფატებენ).

იმ ჭაობიან დროში უფროსი გოგონას, ალიას უსიტყვოდ ემოციური ცხოვრება იფურჩქნებოდა. პატივცემული დედა, საკუჭნაოსა და საშხარეულოში რომ ჩაიკეტა, ბოქლომდადებული ტუჩების მიღმა ცხოვრობდა და საკუთარი უნდობლობაც კი ვერ გამოხატა იმ ტყავისსამოსიანი ვაჭრისადმი, მისი ქალიშვილის სანახავად რომ მოვიდა (ადამ აზიზი ყოველთვის მოითხოვდა, რომ მის ქალიშვილებს მამაკაცი მეგობრები ჰყოლოდათ). აჰმედ სინაი — „აპაა!" ყვირის პადმა გამარჯვებული იმით, რომ გამოიცნო — ალიას შეხვდა უნივერსიტეტში. წიგნიერ და გონიერ გოგონას საკმაოდ განათლებული მოეჩვენა. ალიას სახეზე ბაბუას ცხვირმა სიბრძნის სიმძიმე იტვირთა; მაგრამ ნასიმ აზიზს ეს ბიჭი არ მოსწონდა, რადგან ოცი წლის იყო, რომ განქორწინდა („ერთი შეცდომის უფლება ყველას აქვს", უთხრა ადამმა ცოლს და ამ ნათქვამმა კინაღამ ჩხუბი წარმოშვა, რადგან ნასიმს მოეჩვენა, რომ ადამმა საკუთარი თავიც იგულისხმა. მაგრამ მერე ადამმა დაუმატა, „მოდი ერთი-ორი წელი დავიწყებინოთ, რომ განქორწინდა; მერე კი ამ სახლში პირველი ქორწილი იქნება, ბაღში დიდ ფანჩატურს გავმართავთ, გვეყოლება მომღერლები, იქნება ბევრი სასუსნავი და ყველაფერი". ეს იდეა, ყველაფრის მიუხედავად, ნასიმს მოეწონა. ახლა სიჩუმისკედლებიან ბაღებში მოხეტიალე აჰმედ სინაი და ალია უსიტყვოდ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ყველა ელოდა, რომ ცოლობას სთხოვდა ალიას, მაგრამ აჰმედ სინაიც ისე შეიპყრო იმ სიჩუმემ, რომ კითხვა დაუსმელი დარჩა. ალიას სახეზე დაღონებისა და პესიმიზმის ნიშანი გაჩნდა, რაც ბოლომდე ვერასოდეს მოიცილა („ახლა, — მკიცხავს პადმა, — რა წესია, რომ შენი პატივცემული დედა ასე აღწერო").

კიდევ ერთი რამ: ალია დედამისს დაემსგავსა და სიმსუქნისკენ გაუჩნდა მიდრეკილება. ბურთივით დამრგვალდა წლების შემდეგ.

და მუმთაზი, რომელიც შუაღამესავით შავი გამოვიდა დედამისის საშოდან, არასოდეს ბრწყინავდა; არც ესმერალდასავით ლამაზი იყო; მაგრამ იყო კეთილი, საქმიანი და მარტოსული. მამამისთან დებზე მეტ დროს ატარებდა და იცავდა მას გაავებისგან, რომელიც ცხვირის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფხანამ უფრო გაუმძაფრა; ალიამ თავის თავზე იტვირთა ნადირ-ხანზე ზრუნვა. ყოველდღე ჩადიოდა სარდაფში, ლანგრით საჭმელს უზიდავდა და პირად ჭექა-ქუხილის ყუთსაც კი უსუფთაკებდა; ფეჩისალაგის მწმენდავიც კი ვერ მიხვდებოდა, რომ იქ ვინმე ცხოვრობდა. ალია რომ სარდაფში ჩადიოდა, ნადირ-ხანი თვალებს ძირს ხრიდა და იმ ყრუ სახლში მათი სიტყვაც კი არ ისმოდა.

კასრში ფურთხის მსროლელებმა რა თქვეს ნასიმ აზიზზე? „ის საკუთარი ქალიშვილების სიზმრებსაც ყურს უგდებს, რომ იცოდეს რისი ჩამდენები არიან". დიახ, სხვა ახსნა არ არსებობს, ამ ჩვენს ქვეყანაში უფრო უცნაური რაღაცებიც მომხდარა. აიღე გაზეთი და ნახავ ყოველდღიურ პატარ-პატარა სასწაულებს, ამა თუ იმ სოფელში რომ მოხდა. პატივცემული დედა ქალიშვილების ოცნებებით ოცნებობდა (პადმა თვალის დაუხამხამებლად ეთანხმება. მაგრამ იმას, რასაც სხვა წინააღმდეგობის გაუწევლად გადაყლაპავს, პადმა არ ეთანხმება. მსმენელი არ ჰქვია, თუ რწმენის ექსცენტრულობა არ გააჩნია). ასე რომ, ღამით როცა ეძინა, პატივცემული დედა ესმერალდას სიზმრებს სტუმრობდა და მათში სხვა სიზმარს ნახულობდა — მაიორ ზულფიკარის ფანტაზიას თუ ოცნებას, რომ ჰქონოდა დიდი, თანამედროვე სახლი, საწოლის გვერდით აბაზანით. ეს მაიორის ამბიციათა ზენიტი იყო; და ასე, პატივცემულმა დედამ აღმოაჩინა არა მარტო ის, რომ მისი ქალიშვილი საიდუმლოდ ხვდებოდა თავის ზულფის ისეთ ადგილას, სადაც დაილაპარაკებდნენ, არამედ ისიც შეამჩნია, რომ ესმერალდას ამბიციები ზულფიკარის ამბიციებზე დიადი იყო. და (რატომაც არა?) ადამ აზიზის სიზმრებში ხედავდა თავის ქმარს, დამგლოვიარებული რომ მიდიოდა ქაშმირის მთაზე და მუცელში მუშტისოდენა ხვრელი რომ ჰქონდა. მაშინ მიხვდა, რომ ქმარს გადაუყვარდა და ასევე განჭვრიტა მისი სიკვდილი; ისე, რომ წლების მერე მართლა რომ გაიგო მისი გარდაცვალება, მხოლოდ ეს თქვა: „მე ხომ ვიცოდი".

...დიდი ხანი არ დასჭირდება, ფიქრობდა პატივცემული დედა, რომ ესმერალდა მაიორს ეტყვის სარდაფში დამალული სტუმრის შესახებ; და მეც მაშინ ავლაპარაკდები. მაგრამ, შემდეგ, ერთ ღამეს ის მუმთაზის სიზმარში შევიდა, შავტუხა მუმთაზისა, რომელიც სამხრეთინდოელი მეთევზე ქალივით შავი იყო და ამის გამო ვერაფრით შეიყვარა. მიხვდა, რომ განსაცდელი ამაზე არ შეჩერდებოდა, რადგან მუმთაზ აზიზსაც, მისი ხალიჩისქვეშეთის თაყვანისმცემელივით, სიყვარული ეწვია.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მტკიცებულება არ არსებობდა. სიზმრების წვეა, თუგინდ დედის ცოდნა დაარქვი ან ქალის ინტუიცია და რაც გინდა, ის დაარქვი — არ არის ის, რასაც სასამართლოში წარადგენ. პატივცემულმა დედამ იცოდა, რომ არც ისე იოლი იყო ქალიშვილის დადანაშაულება იმაში, რომ მამამისის სახლის ჭერქვეშ ასე ახუნტრუცდა. ამ ყველაფერთან ერთად პატივცემული დედა თითქოს რკინისა გახდა. გადაწყვიტა არაფერი მოემოქმედა, სიჩუმე რომ არ დაერღვია. დაე, ადამ აზიზი თავად მიხვდეს, თუ როგორ რყვნის ბავშვებს მისი თანამედროვე იდეები, — დაე, თავად აღმოაჩინოს. ხომ უთხრა, ხმა ჩაიკმინდეო და წესიერი იდეები ძველმოდურად მოუნათლა. „გესლიანი ქალი", ამბობს პადმა, და მეც ვეთანხმები.

„რაო? — ჩამეკითხა პადმა, — მართალია?"

კი, რაღაც თვალსაზრისით მართალია.

„მართლა ახუნტრუცდა სარდაფში? მარტო ჩადიოდა ისე, რომ არავინ ახლდა?"

ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებები გაითვალისწინე, თუ ასეთი გარემოება საერთოდ არსებობდა. ის, რაც მიწისქვეშეთში დასაშვებად ჩანს, შესაძლოა დღის სინათლეზე აბსურდულად ან ამორალურადაც მოგეჩვენოს.

„იმ გასივებულმა პოეტმა საწყალ შავტუხას ეს მართლა გაუკეთა? მართლა?"

ის დიდხანს იყო სარდაფში, იმდენად დიდხანს, რომ მფრინავ ტარაკნებთან ლაპარაკიც კი დაიწყო და შიშიც შეეპარა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინმე ეტყოდა, მანდედან გამოდიო. იმდენად დიდხანს მოუწია იქ ჯდომამ, რომ ნახევარმთვარისებური დანები და დაღრეჩილი ძაღლები ესიზმრებოდა და ნატრობდა, ნეტავ კოლიბრი ცოცხალი იყოს, რამე მირჩიოს, რა გავაკეთოო; მიხვდა, სარდაფში ერთ ლექსსაც ვერ დაწერდა; და უცებ ეს გოგონა მოდის და საჭმელი მოაქვს და არ თაკილობს ჭურჭლის გასუფთავებასაც; შენ თვალებს ძირს ხრი, რომ არ შეხედო, მაგრამ თვალი მაინც გაგექცევა, კოჭი რომ უჩანს. ეს კოჭი კი ისეთი თვალწარმტაცია... თუმცა შავია მიწისქვეშეთის ღამესავით..

„ვერასოდეს ვიფიქრებდი ამას თუ გაბედავდა, — აღტაცებული ხმით ამბობს პადმა, — გასივებული ბებერი უქნარა!"

და საბოლოოდ იმ სახლში, სადაც ყველას და მათ შორის სარდაფში დამალულ ხიზანსაც მშრალი ენა სასაზე ეკრობა, თავის უსახურ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მტრებს რომ ემალება სახლში, სადაც ვაჟებიც კი იძულებულნი არიან, სიმინდის ყანაში რიქშის დამტარებელ ბიჭთან ერთად წავიდნენ, მეძავებზე იხუმრონ, პენისების სიგრძით იყელყელაონ და მალულად იჩურჩულონ იმაზე, რომ კინორეჟისორობაზე ოცნებობენ (ჰანიფის სიზმარი აშინებს დედამისს, რომელიც სიზმრებშიც ერევა და სჯერა, რომ კინო საროსკიპო ბიზნესის გაგრძელებაა); სახლში, სადაც ცხოვრება გროტესკად იქცა იმის გამო, რომ მასში ისტორია შეიჭრა; საბოლოოდ მიწისქვეშეთის წყვდიადში მან ველარაფერი მოუხერხა თვალებს, რომელიც ჯერ გოგონას ლამაზი სანდლებისკენ გაექცა, შემდეგ ფართო შარვალსა და ხალათს შეევლო, მერე მზერამ მოკრძალებულ მოსასხამზეც გადაინაცვლა, თვალები თვალებს შეხვდა და მერე...

„და მერე? მიდი, კაცო, თქვი, რა მოხდა მერე?“

პადმა მორცხვად იღიმება.

„რა მოხდა?“

ამის მერე ისინი ულიმიან ერთმანეთს იმ სარდაფში და რაღაც იწყება.

„რა რაღაც? სულ ეს იყო?“

სულ ეს იყო, იმ დღემდე, სანამ ნადირ-ხანმა ბაბუაჩემის ნახვა არ მოისურვა და ქალიშვილის ხელი არ სთხოვა — მისი ლაპარაკი იმ სიჩუმის ნისლით გაგუდულ სივრცეში ძლივს ისმოდა.

„საწყალი გოგო, — ასკვნის პადმა, — ქაშმირელი გოგონები, როგორც წესი, მთის თოვლივით თეთრები არიან, ეს კი შავი გამოვიდა“.

„და ეს მუქი კანი კარგად გათხოვებაში ალბათ ხელს შეუშლიდა და ეს ნადირი სულელი როდია. ახლა ნებას დართავენ დარჩეს, საჭმელიც ექნება და ჭერიც თავზე; ერთადერთი, რისი გაკეთებაც მოუწევს — მიწის ქვეშ მსუქან ჭიასავით დაიმალება. ჰო, არც ისეთი სულელი ყოფილა“.

ბაბუაჩემმა სცადა დაერწმუნებინა ნადირ-ხანი, რომ საშიშროება აღარ ემუქრებოდა; მკვლელები დაიხოცნენ. მათ ისედაც მიან აბდულას მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ნადირ-ხანს ისევ ეშიზმრებოდა მომღერალი დანები და იხვეწებოდა: „ჯერ არა, ექიმო საჰიბ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები აქ“. ასე რომ, 1943 წლის გვიან ზაფხულის ერთ ღამეს, როცა წვიმებმა მოსვლაზე ისევ უარი განაცხადეს, ბაბუამ თავისი შვილები იმ სასტუმრო ოთახში შეკრიბა, სადაც მათი პორტრეტები ეკიდა. ბაბუას ხმა შორეული და იდუმალი მოჩანდა სახლში, სადაც დიდი ხანია სიჩუმემ დაისადგურა. შვილები რომ სასტუმრო ოთახში შევიდნენ, შეამჩნიეს, დედა იქ არ იყო. ჩაიკეტა თავისთვის და სიჩუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის ქსელში დარჩენა ამჯობინა. სამაგიეროდ, ოთახში იყო ადვოკატი (აზიზს არ უნდოდა, მაგრამ მუმთაზის სურვილს დაემორჩილა) და ძილა — ორივე „უკიდურესად კეთილგონიერი", როგორც რანი ქუჩ ნაჰინმა თქვა, რომელმაც ისინი გამოგზავნა. მუმთაზი საქორწინო სამოსში გამოწყობილიყო, მის გვერდით კი, რადიოს წინ, სკამზე იჯდა უშნოთმიანი, მსუქანი და შემკრთალი ნადირ-ხანი. ისე მოხდა, რომ ამ სახლში, ამ პირველ ქორწილზე არ იყო არც ფანჩატური, არც მომღერლები, არც არანაირი ნუგბარი, მხოლოდ რამდენიმე სტუმარი მოსულიყო; საქორწინო რიტუალი დასრულდა თუ არა, ნადირ-ხანმა პატარძალს პირბადე ახადა, რამაც აზიზს უცაბედი შოკი მოჰგვარა, თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა, ქაშმირში რომ იყო, ბალდახინზე რომ იჯდა და სტუმრები კალთაში რუპიებს რომ უყრიდნენ. ბაბუა-ჩემმა ყველას სიტყვა დაადებინა, რომ ამ ახალშემოსიძებული კაცის სარდაფში ყოფნას არ გაამჟღავნებდნენ. ესმერალდამ არმინდასავით ყველაზე ბოლოს მისცა სიტყვა.

ამის შემდეგ ადამ აზიზმა თავისი ვაჟების დახმარებით ყველანაირი საოჯახო ნივთი თუ ავეჯი იატაკის ასაწევი კარის გავლით სარდაფში ჩაიტანა: ფარდები, ბალიშები, ნათურები და დიდი რბილი საწოლი. დაბოლოს, ნადირი და მუმთაზიც იმ სამალავში ჩავიდნენ. იატაკის ასაწევი კარი დაკეტეს და ზედ ხალიჩა გაშალეს. ნადირ-ხანმა თავისი პატარძალი, ნაზად რომ უყვარდა, მიწისქვეშეთში ჩაიყვანა.

მუმთაზ აზიზი ამიერიდან ორმაგ ცხოვრებას შეუდგა. დღისით გასათხოვარი გოგო იყო, პატიოსნად რომ ცხოვრობდა თავის მშობლებთან ერთად. უნივერსიტეტში სწავლით არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ თავის თავში ხვეწდა სიბეჯითის, კეთილშობილებისა და მოთმინების ნიჭს, რომლითაც სიცოცხლის ბოლომდე გამოირჩეოდა. იმ დროსაც კი, როცა თავისი წარსული თავს ახსენებდა და ბრინჯის ტაფამწვარივით გულს უთუთქავდა. მაგრამ ღამით მუმთაზი გაიკლიდა სარდაფის კარს და შედიოდა ნათურით განათებულ საქორწინო ოთახში, რომელსაც მისმა იდუმალმა ქმარმა თაჯმაჰალი[1] შეარქვა. და ეს იმის გამო, რომ თაჯბიბის ტომის ხალხი უწოდებდა წინაპარ მუმთაზს — მუმთაზ

[1] *თაჯმაჰალი (ჰინ., ურდუ/სპარს.) — აქ ამ სახელში ნაგულისხმევია თაჯ-მაჰალის მარმარილოს მავზოლეუმი ინდოეთის ქალაქ აგრაში, რომელიც აიგო 1631-1653 წლებში მოგოლთა იმპერატორ შაჰ ჯაჰანის შეკვეთით ამ მავზოლეუმს 20 000 მუშა აშენებდა. თაჯ-მაჰალი იმპერატორის სურვილით უნდა გამხდარიყო მისი საყვარელი მეუღლის, არჯუმან ბანო ბეგუმის (ცნობილი იყო როგორც მუმთაზ მაჰალი) მავზოლეუმი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაჰალის — ცოლს იმპერატორ შაჰ ჯაჰანისა, ვისაც „მსოფლიოს მეფე“ შეარქვეს. იმპერატორმა გარდაცვლილი ცოლის პატივსაცემად მავზოლეუმი ააგო, რომელმაც უკვდავება საფოსტო ბარათებსა და შოკოლადის ყუთებზე პოვა და რომლის გარეთა დერეფნები შარდის სუნით ყარს, კედლები კი უხამსი შინაარსის წარწერებს დაუფარავს. ამ მავზოლეუმის ექოს გიდები ამოწმებენ სტუმრებისთვის, თუმცა ამ სტუმრებსა და გიდებს სპეციალური ნიშნები სამ ენაზე აფრთხილებენ, სიჩუმე დაიცავითო. შაჰ ჯაჰანისა და მისი მუმთაზის დარად ნადირი და მისი შავი ქალბატონი გვერდიგვერდ იწვნენ; ლაზურიტის მოზაიკა კომპანიონობას უწევდათ. საწოლს მიჯაჭვულმა მომაკვდავმა რანი ქუჩ ნაჰინმა საქორწინო საჩუქრად გაუგზავნა შესანიშნავად ნაკეთი ლაზურიტით მოპირკეთებული და ძვირფასი ქვებით დაფარული ვერცხლის ჩასაფურთხებელი კასრი. და იმ თავიანთ მყუდრო საკანში ცოლ-ქმარი ბებრების თამაშით ერთობოდა.

მუმთაზი წიწაკის ფოთლებს უმზადებდა ნადირს, თუმცა გემო არ მოსწონდა. თავადაც აფურთხებდა ნიბუფანის[1] ფოთლებს. ნადირის ფურთხის ნაკადი წითელი იყო, მისი კი — ღია მწვანე. ეს მუმთაზის ცხოვრებაში უბედნიერესი ხანა იყო. შემდეგ, გრძელი სიჩუმე დასასრულს რომ მიუახლოვდა, მან თქვა: „ჩვენ შვილები უნდა გვყოლოდა, მაგრამ მაშინ ეს ცუდ ტონად ჩაითვლებოდა. ეს არის და ეს“. მუმთაზ აზიზს მთელი თავისი ცხოვრება ბავშვები უყვარდა.

ამასობაში, პატივცემული დედისთვის სიჩუმეჩაბღაუჭებული თვალები მიზოზინებდნენ და ეს სიჩუმე ისეთი ყოვლისმომცველი გახდა, რომ მსახურებსაც კი მითითებებს ნიშნების ენით აძლევდა. ერთხელ მზარეული დაუდი გაშტერებული უყურებდა, ცდილობდა გაეგო, რას ნიშნავდა ამ ქალის საშინლად დამღლელი მინიშნებები. და ამ დროს ათუხთუხებული საწებლის ქვაბისკენ არ იყურებოდა, ქვაბი კი ფეხზე დაეცა და შემწვარი კვერცხივით მოუქცია. პირი დააღო, უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ხმა არ ამოუვიდა და ამის შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს ქალი კუდიანი ჯადოქარი იყო და მისგან წასვლისა ძალიან შეეშინდა. სიკვდილამდე პატივცემული დედის სამსახურში დარჩა, დაბორძიკობდა ეზოში, სადაც ბატები სისინით მისდევდნენ.

რთული წლები იყო. გვალვამ მოსავალი შეამცირა. გახშირდა დღეები, როცა არც ხორცი ჰქონდათ და არც ბრინჯი. და ამ დროს

---

[1] *ნიბუფანი — საღეჭი მცენარე ერთგვარი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სარდაფში დამალული კიდევ ერთი სულის გამოკვება გაძნელდა. ჰატივცემული დედა იძულებული გახდა, უფრო ღრმად შემალულიყო საკუჭნაოში და ამ შემალვამ ბრაზი გაზქურის ალივით მოუმატა. სახეზე, ხალებზე თმა ამოეზარდა. მუმთაზი შეწუხდა, როცა შენიშნა, რომ დედამისი თვიდან თვემდე სივდებოდა. ბრაზმა და უთქმელმა სიტყვებმა გაბერა და გაასივა... მუმთაზს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს დედამისს კანი ისე დაეჭიმა, ეს-ესაა გასკდებაო.

ექიმი აზიზი დღეებს გარეთ, იმ მომაკვდინებელი სიჩუმისგან შორს ატარებდა. მუმთაზს ღამით სარდაფში ეძინა და თავის საყვარელ მამას თითქმის ვერ ნახულობდა. ესმერალდამ პირობა შეასრულა და მაიორისთვის ოჯახის საიდუმლო არ გაუმხელია. სამაგიეროდ, ოჯახს არ შეატყობინა მისი და მაიორის ურთიერთობის შესახებ, რომელიც მისი აზრით, შეუბღალავი იყო; ყანაში კი მუსტაფა, ჰანიფი და რიქშის დამტარებელი რაშიდი დროის უდარდელობით დაავადდნენ; ბოლოს კორნვალის-როუდზე მდგარი სახლი, რომელიც დროის დინებას მიჰყვებოდა, 1945 წლის 9 აგვისტომდე მივიდა და მაშინ ყველაფერი შეიცვალა.

ოჯახის ისტორიასაც თავისი შესაფერისი დიეტური კანონები აქვს. შეგიძლია მხოლოდ მისი რაღაც განსაზღვრული ნაწილი გადაყლაპო და მოინელო, — წარსულის წმინდა რელიგიური ულუფა, რომელიც სისხლისგან მთლიანად დაცლილია; სამწუხაროდ, ასე უსისხლო, ნაკლებწვნიანი ამბები გამოდის, მაგრამ მე ვიქნები ჩემი ოჯახის ერთადერთი წევრი, ვინც მასხრად აიგდებს ამ რელიგიურ ულუფებს და ამბიდან ერთ წვეთ სისხლსაც არ გამოვუშვებ; ამბის უთქმელ ნაწილს სწორედ ასე მივადექი და ისეთი შეუვალი ვარ, რომ ვერაფერი შემაჩერებს.

რა მოხდა 1945 წლის აგვისტოში? რანი ქუჩ ნაჰინი გარდაიცვალა. თუმცა ეს არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ როცა მიდიოდა, ისე მიტკალივით გათეთრდა, რომ თეთრეულისგან, რომელშიც იწვა, ვერც გაარჩევდი; მან თავისი ფუნქცია შეასრულა: ჩემს მოთხრობას ვერცხლის ჩასაფურთხებელი კასრი უანდერძა და მერე სწრაფად და ლამაზად წავიდა... 1945 წელს მუსონებმა იმძლავრეს. ბირმის ჯუნგლში წვიმა დაბრუნდა. ორდე უინგეითი და მისი მებრძოლები, ისევე როგორც ჩანდრა ბოუზის არმია, რომელიც იაპონელთა მხარეს იბრძოდა, სულ გაილუმპა. სათიაგრაჰას მშვიდობიანი დემონსტრანტები,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯულუნდურში რკინიგზის ლიანდაგებზე რომ იწვნენ, წვიმით გაიჟ-ღინთნენ. გამხმარი მიწა თანდათან დალბა და გვალვისგან გაჩენილი ბზარებიც გაუქრა; კორნვალის-როუდზე სახლების კარ-ფანჯრები პირსახოცებით ამოქოლეს, შემდეგ გაწურავდნენ და ისევ კარში გაჩრიდნენ. ყოველ ქუჩის პირზე წყლის გუბურები იდგა, რამაც უამრავი კოღო გააჩინა. ნესტიან სარდაფში მუმთაზ თაჯმაჰალი ავად გახდა. რამდენიმე დღე მალავდა ამას, მაგრამ ბოლოს, თვალები სიცხისგან რომ დაუწითლდა და კანკალი დააწყებინა, ნადირმა სთხოვა, მამამისისთვის მიემართა, რადგან ფილტვების ანთებისა ეშინოდა. ქალიშვილობის დროინდელ საწოლში გაატარა მუმთაზმა დანარჩენი კვირები. ადამ აზიზი მის საწოლთან იჯდა, შუბლზე ცივ ტილოს ადებდა აკანკალებულ გოგონას. 6 აგვისტოს ავადმყოფობამ უკან დაიხია. 9 აგვისტოს კი მუმთაზმა ცოტა შეჭამა კიდეც.

და ახლა ბებუაჩემმა ძველი ტყავის ჩანთა მოიტანა, რომელსაც ძირზე ტყავში ჩამალული წარწერა ჰქონდა: ჰაიდელბერგი.

ბებუას გადაწყვეტილი ჰქონდა, პაციენტივით გულდასმით გამოეკვლია ეს ძველი ჩამოფენცხილი ჩანთა. გახსნა თუ არა, მისმა ქალიშვილმა ტირილი დაიწყო (და, აი, აქა ვართ, ბადმა: ეს ის არის).

ათი წუთის შემდეგ, დიდი ხნის სიჩუმე სამუდამოდ დაარღვია ბებუაჩემის ღრიალმა, რომელიც პაციენტის ოთახიდან გამოდიოდა. ის უყვიროდა ცოლს, ქალიშვილებს, ვაჟებს. ისეთი ძლიერი ფილტვები ჰქონდა, რომ ღრიალის ხმამ ნადირ-ხანთან ჩაღწია სარდაფში. ნადირ-ხანი იოლად მიხვდა თუ რაზე იყო ეს ამოდენა დავიდარაბა.

ოჯახი სასტუმრო ოთახში რადიოს ირგვლივ შეიკრიბა. თავზე უასაკო ფოტოები დაჰყურებდათ. აზიზმა მუმთაზი ოთახში შემოიყვანა და ტახტზე დასვა. საშინელი სახე ჰქონდა. ალბათ წარმოგიდგენიათ, ცხვირის ნესტოები რა დღეში ექნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ისეთი რამ უნდა ეთქვა, ბომბის გავარდნასავით გაისმებოდა: ორი წლის ქორწინების შემდეგ მისი ქალიშვილი ისევ ქალწული იყო.

სამი წელი გავიდა, რაც პატივცემულ დედას ხმა არ ამოუღია. „შვილო, ეს მართალია?“ სიჩუმე, ობობას ქსელივით რომ ეკიდა სახლის კუთხეებში, ერთხელ და სამუდამოდ გაირღვა. მუმთაზმა მხოლოდ თავი დააქნია: კი... მართალია.

შემდეგ კი ალაპარაკდა. თქვა, რომ ქმარი უყვარდა და ეს საქმე ბოლოს მაინც მოხდებოდა. ის კეთილი კაცი იყო და როცა შვილების ყოლას მოიწადინებდნენ, ასეც იზამდა. ფიქრობდა, რომ ქორწინება იმ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქტზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. არც აპირებდა ამის თქმას და მამა არ იყო მართალი, რომ ეს მთელ ოჯახს გაუმხილა. კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ პატივცემულმა დედამ იფეთქა.

სამი წლის უთქმელი ახლა ამოანთხია (სხეულს კი, რომელიც აუცილებლად არ უნდა შემცირებულიყო, გრამიც არ მოუკლია). ბაბუა წყნარად იდგა, როცა ქარიშხალი თავს დაატყდა. „ვის მოუვიდა აზრად ასეთი რამ? ვინ გადარეულის სულელური გეგმა იყო, იმასრაჰქვია, სახლში შემოეშვა ეს ლაჩარი, რომელიც ახლა კაციც არ აღმოჩნდა?! აქ დარჩა, იმასრაჰქვია, და თავს ჩიტივით თავისუფლად გრძნობს, სამი წელი ჭამა-სმა არ მოჰკლებია, ხორცს რომ ვერ ვყიდულობდით, მაგას არც გაუგია, ფეხზე ეკიდა, იმასრაჰქვია, ბრინჯის ფასი. ვინ იყო ის არაკაცი, იმასრაჰქვია, დიახ, ჭაღარა ცვედანი, ვინც ეს უზნეო ქორწინება დაუშვა. იმასრაჰქვია, ვინ ჩაუწვინა ამ ავაზაკს ლოგინში მისი ქალიშვილი? ვინ მოიფიქრა ეს ყოვლად უაზრო და სულელური იმასრაჰქვია, რამე, ვისი ტვინი იყო ასე დაჩლუნგებული საოცნებო უცხოური იდეებით, რომ საკუთარი ქალიშვილი ასეთი არაბუნებრივი ქორწინებისთვის გაწირა? ვინ შეურაცხყო ღმერთი, იმასრაჰქვია, და ვის ტვინში აფუთფუთდა ასეთი მსჯავრი? ვინ მოუტანა უბედურება მის სახლს“. ბებია ბაბუას საათი და ცხრამეტი წუთი სიტყვიერად ანადგურებდა და როცა დაამთავრა, ღრუბლები წყლისგან დაიცალნენ და სახლი გუბურებით გაივსო. და სანამ დაასრულებდა, ესმერალდამ, მისმა უმცროსმა ქალიშვილმა, უცნაური რამ ჩაიდინა.

მუშტადშეკრული და საჩვენებელთითებგაშლილი ხელები თავზე აიცურა. შემდეგ საჩვენებელი თითები ყურებში შეცურდა და თითქოს ესმერალდა სკამიდან წამოსწია; ასე ყურებშითითებგარჭობილი ქარივით დაქროდა, მანდილმოხსნილი გაიქცა ქუჩაში წყლის გუბურებთან, მერე რიქშის სადგომს გასცდა, მერე სანელებლების მაღაზიას, სადაც მოხუცები ნელ-ნელა ეპარებოდნენ ნაწვიმარ სუფთა ჰაერს; ესმერალდას სისწრაფემ უპატრონო ქუჩის ბავშვებიც კი გააოცა, თავის ადგილს რომ არ სცილდებოდნენ და იმის მოლოდინში იყვნენ, როდის ითამაშებდნენ ფურთხების წვიმაში. აქამდე არავის უნახავს ყურებში თითებგარჭობილი და უმოსასხამო ქალიშვილი, მარტო რომ ერბინა სასოწარკვეთილს ნაწვიმარ ქუჩებში. დღეს კი ქალაქები თანამედროვე, მოდური, მოსასხამის გარეშე მოსიარულე ქალიშვილებითაა სავსე, მაგრამ მაშინ მოხუცები დანანებით თავს აქნევდნენ, რადგან უმოსასხამო და ულირსებო ქალი მათთვის ერთი იყო და რატომ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოისურვა ესმერალდამ ღირსება სახლში დაეტოვებინა? მოხუცები დაიბნენ, მაგრამ ესმერალდამ იცოდა. მან კარგად იცოდა და ახლა ნაწვიმარ სუფთა პაერზე უფრო მკაფიოდ დაინახა, რომ მისი ოჯახის პრობლემების მთავარი წყარო ის მსუქანი ლაჩარი იყო (დიახ, პადმა), სარდაფში რომ ცხოვრობდა. თუ იმის მოცილებას შეძლებდა, მაშინ ყველანი ისევ ბედნიერები იქნებოდნენ... და ესმერალდა დაუყოვნებლივ გაიქცა ქალთში, ერთ-ერთ ოლქში, სადაც არმია იყო დაბანაკებული; მაიორი ზულფიკარიც იქ იქნებოდა! სიტყვა დაარღვია დეიდაჩემმა და მასთან მივიდა.

ზულფიკარი მაპმადიანებში ცნობილი სახელია. ეს იყო ორკაპა ხმალი წინასწარმეტყველი მუჰამედის ძმისშვილს, ალის რომ ჰქონდა. ასეთი იარაღი მსოფლიოში არაკის უნახავს.

ჰო, მართლა! იმ დღეს მსოფლიოში რაღაც ხდებოდა. მთელ ქვეყანაზე მანამდე რომ არაკის გაეგონა, ისეთი იარაღი ყვითელ იაპონელებს თავზე ეცემოდათ. თუმცა აგრაში ესმერალდამ თავისი საიდუმლო იარაღი გამოიყენა. ეს იყო ფეხებმოკაკული, დაბალი, ბრტყელთავა კაცი, ცხვირი ნიკაპამდე რომ სწვდებოდა და თანამედროვე სახლზე რომ ოცნებობდა, რომლის საძინებელს გვერდით აბაზანა ექნებოდა მიბმული.

მაიორი ზულფიკარი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, იდგა თუ არა ნადირ-ხანი კოლიბრის მკვლელობის უკან, მაგრამ შემთხვევას ეძებდა, რომ გამოერკვია. როცა ესმერალდამ აგრაში მყოფ მიწისქვეშა კაცზე მოუთხრო, ისე აღელდა, რომ გაბრაზება დაიწყო და კორნვალის-როუდისკენ თხუთმეტი კაცის თანხლებით გაეშურა. სასტუმრო ოთახში ესმერალდა შეუძლოთ დეიდაჩემი, ლამაზი ესმერალდა, უმანდილოდ რომ იყო და ვარდისფერი მოშვებული საძოსი ეცვა, მტერს შეეკრა. აზიზი უხმოდ ადევნებდა თვალს ჯარისკაცებს, რომლებმაც სასტუმრო ოთახის ხალიჩა აკეცეს და გახსნეს იატაკის დიდი ასაწევი კარი. ბებია მუმთაზს ამშვიდებდა. „ქალებმა კაცებზე უნდა იქორწინონ და არა, იმასრაჰქვია, თაგვებზე! ის, იმიასრაქვია, ჭია რომ მიატოვო, სულაც არ იქნება სირცხვილი“, მაგრამ მუმთაზი ისევ ტიროდა.

ნადირის არყოფნას იმ მიწისქვეშეთში როგორ წარმოიდგენდა! აზიზმა ერთი დაუღრიალა და ნადირ-ხანის უხერხულობა, მუსიანურ წვიმასავით რომ წალეკა, სადღაც აორთქლდა. ნადირ-ხანი გაქრა. იატაკის ასაწევი კარი გაიხსნა და გამოჩნდა ტუალეტი, — ამ თავშესაფრიდან ელაპარაკებოდა ის ექიმ აზიზს. ხის „ჭექა-ქუხილის ყუთი“ — „სამეფო ტახტი“ — ცალ მხარეს იდო, ცარიელი ემალის ქვაბი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქოქოსისგან დამზადებულ ჭილოფზე ეგდო. ტუალეტს გარეთა კარი ჰქონდა, ყანასთან ახლოს თხრილზე გადიოდა. კარი გაელოთ და მერე გარედან ჩაეკეტათ ინდური საკეტით. ამიტომ, მისი დამტვრევა ძნელი არ იყო. თაჯმაჰალის თავშესაფრიდან ვერცხლის ჩასაფურთხებელმა კასრმა ამოანათა. იქვე იდო წერილი მუმთაზისთვის, რომელსაც ხელს მისი ქმარი აწერდა: წერილში მხოლოდ სამად სამი გრძელი სიტყვა ეწერა სამმარცვლიანი, სამი ძახილის ნიშნით:

თალააქ! თალააქ! თალააქ!

ინგლისურს არ შეუძლია ურდუს ენის მჭექარება გადმოსცეს და მაინც ხვდები, ეს რას ნიშნავს: გეყრები! გეყრები! გეყრები!

ნადირ-ხანი წესიერად მოიქცა.

ო, როგორ განრისხდა მაიორი ზულფი, რაკი ნახა, რომ ჩიტი ხელიდან დაუსხლტა! წითელი ფერი აეტუზა თვალწინ — სიბრაზის ფერი. ო, ეს ბრაზი როგორ ჰგავდა ბაბუაჩემის მრისხანებას, ჟესტებით რომ ვერ გამოხატავდა! მაიორი ზულფი პირველად უსასოოდ ახტადახტა; შემდეგ გრძნობები დაიოკა; მერე გავარდა და გაიარა აბაზანა, ჩაუარა „სამეფო ტახტს", ყანის გასწვრივ გარეთა ჭიშკართან ამოყო თავი. მსუქანი, გრძელთმიანი ულექსო პოეტის კვალიც არსად ჩანდა. მაიორი მარცხნივ იყურება: არაფერი ჩანს. ახლა მარჯვნივ: აქაც არაფერი. განრისხებულმა ზულფიმ არჩევანი გააკეთა, რიქშების სადგურს მიასკდა. მოხუცი მამაკაცები საღეჭი წიწაკის კასრში ფურთხის სროლის თამაშით იყვნენ გართულნი. კასრი ქუჩაში იდგა. უპატრონო ქუჩის ბავშვები ფურთხის წვიმებში შერბოდნენ და გამორბოდნენ. მაიორი ზულფი გარბოდა და გარბოდა. მოხუცებსა და მათ სამიზნეს შორისაც გაირბინა, თუმცა იმ ბავშვებივით მკვირცხლი როდი იყო. რა უსახური მომენტია: დაბალი, ძლიერად ნასროლი ფურთხი შარვლის უბეზე ოთხკუთხედად მიაჯდა, შემდეგ ხელის ფორმა მიიღო და თითქოს საზარდული ჩაუბღუჯა, მოუჭირა; მაიორმა ზულფიმ მოძრაობა შეანელა. მრისხანებამ სძლია. შემდეგ უფრო საშინელი რამ მოხდა: მეორე მოთამაშემ იფიქრა, ჯარისკაცი სირბილს გააგრძელებსო და ფურთხის ნაკადი მანაც გამოუშვა. მეორე წითელი ხელი პირველს ჩაეხვია და ზულფის დღეც დასრულდა... ნელა და განზრახ მივიდა მაიორი ჩასაფურთხებელ კასრთან და ფეხით ააყირავა მტვერში. შემდეგ ზემოდან დაახტა ერთხელ, ორჯერ, კიდევ და კიდევ! გააბრტყელა და არც კი შეიმჩნია, ფეხი რომ ეტკინა. შემდეგ ამაყად და ოდნავ კოჭლობით გაიარა და ბაბუაჩემის სახლთან დაყენებული მანქანისკენ წავიდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბერებმა გათელილი კარი დაიბრუნეს და შეეცადნენ მისთვის პირველადელი ფორმა მიეცათ.

„ახლა, როცა დაქორწინებას ვაპირებ, ნუ იუხეშებ და შენც გამხიარულდი. — უთხრა ესმერალდამ მუმთაზს, — თან იცოდე, რჩევებიც შენგან უნდა მივიღო". იმწუთას გაულიმა მუმთაზმა დას, მაგრამ ამის ოქმა მაინც დიდ სითაუხვედ ჩაუთვალა. შემდეგ ისე, რომ შესაძლოა განზრახ არც უნდოდა, ფანქრის წვერი, რომლითაც დას ინით ტერფებს უხატავდა, იმდენად ძლიერად მიაჭირა, ესმერალდამ დაიჭყიტლა: „არ არის საჭირო, გაგიჟდი? უბრალოდ ვიფიქრე, დავმეგობრდებით-მეთქი".

ნადირ-ხანის გაუჩინარების შემდეგ დებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. მუმთაზს არ მოეწონა, როცა მაიორმა ზულფიკარმა (რომელმაც ბაბუა ძებნილის შეფარებისთვის არ დააპატიმრა და ამის თაობაზე ბრიგადირ დოდსონს შეუთანხმდა), ესმერალდას ხელი ითხოვა და თანხმობაც მიიღო. „ეს შანტაჟს ჰგავს, — ფიქრობდა მუმთაზი, — და კიდევ, ალიას რა ეშველება, ყველაზე უფროსია და ყველაზე ბოლოს რატომ უნდა გათხოვდეს? ნახეთ, როგორი თვინიერი აღმოჩნდა თავისი ვაჭარი თაყვანისმცემლისადმი!" მუმთაზმა ეს მხოლოდ გაიფიქრა, ხმამაღლა არაფერი უთქვამს, გაიღიმა კი თავშეკავებულად და თავისი ნიჭი გულმოდგინებისა საქორწინო სამზადისს შეალია. სცადა, თვითონაც გამხიარულებულიყო. ალია აჰმედ სინაის ელოდება („მას კი სამუდამო ლოდინი შეუძლია", სწორად მიხვდა პადმა).

1946 წლის იანვარია. ფანჩატურში სტუმრებია და ნაირ-ნაირი ნუგბარი. ისმის სიმღერები. პატარძალს ლამის გული წაუვიდეს. სიძე ყურადღებას არ იმჩნევს; ლამაზი ქორწილია... ტყავით მოვაჭრე აჰმედ სინაი ახალგანქორწინებულ მუმთაზთან საუბრითაა გართული. „გიყვართ ბავშვები? რა დამთხვევაა, მეც მიყვარს". „და თქვენ არ გყავთ ისინი, არა, საბრალო გოგონავ? ფაქტობრივად, ჩემს ცოლს არ შეეძლო". „ოჰ, არა, რა სამწუხაროა; ალბათ ანჩხლი იყო, როგორც". „დიახ, ჯოჯოხეთური ხასიათი ჰქონდა... მაპატიე, ემოციამ საუბრის თემიდან შორს წამიყვანა". „არა უშავს, მაგაზე არ იფიქრო. თეფშებს ამტვრევდა?" „თეფშებს? ერთხელ თეფშები რომ აღარ იყო, სადილი გაზეთზე გავშალეთ". „ღმერთო ჩემო, რა სასწაულს ჰყვები!" „ჰო, მიმიხვდი, არა? მაგრამ თეფშებს მაინც ამსხვრევდა". „შე საწყალო!" „შე საბრალოვ, შენ". და მუმთაზი დაფიქრდა: „რა მშვენიერი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიჭია, ალიასთან სულ მოწყენილი ჩანს“. და აჰმედი ფიქრობს: „... ამ გოგოსთვის არასოდეს შემიხედავს, ო, ღმერთო მიშველე“. და, „ბავშვები უყვარს, ამიტომ მე შემეძლო“. და, „...მერე რა, რომ კანი... არა უშავს“. შეამჩნია, რომ მუმთაზი ყველა სიმღერას აჰყვა, ალია კი ჩუმად იყო. მას უფრო მეტად ატკინეს, ვიდრე მამამისს ჯალიანვალას ბაღში. თუმცა გარეგნულად არაფერი ეტყობოდა.

„მოწყენილო დაიკო, მაინც ხომ მოახერხე გართობა“.

იმავე წლის ივნისში მუმთაზმა ხელახლა იქორწინა. ალიამ მაგალითი დედისგან აიღო და დას სიკვდილამდე არ ელაპარაკებოდა, ესე იგი, მანამ, სანამ შურისძიების მომენტს არ ჩაავლო. ადამ აზიზი და პატივცემული დედა ამაოდ ეცადნენ დაერწმუნებინათ ალია, რომ ასეთი რამ ხშირად ხდება. და რომ ჯობია, ეს ახლავე გაიგოს. მუმთაზი ხომ ძალიან დაზარალდა და მდგომარეობიდან გამოსაყვანად მამაკაცი სჭირდებოდა... გარდა ამისა, ალია ჭკვიანია და მთელი ცხოვრება წინ აქვს.

„ჰო, მაგრამ წიგნზე ჯერ არავინ დაქორწინებულა“, თქვა ალიამ.

„სახელი შეიცვალე, — უთხრა აჰმედ სინაიმ მუმთაზს, — დროა, თავიდან დაიწყო ყველაფერი. მუმთაზი და მისი ნადირ-ხანი ფანჯრიდან მოისროლე, სახელს მე შეგირჩევ. ამინა, ამინა სინაი, მოგწონს?“

„როგორც გინდა, ქმარო“, უთხრა დედაჩემმა.

ბრძენმა ალიამ თავის დღიურში ჩაწერა: „ჰო მართლა, ვის სურს ამ მომაბეზრებელ ქორწინებაში ამოყოს თავი? მე ნამდვილად არ მსურს და არც არასოდეს მენდომება. არა!“

მიან აბდულა უამრავი ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანისთვის არასწორი არჩევანი გამოდგა; მისი დამხმარის არჩევით კი (რომლის სახელს მამაჩემის სახლში არ ახსენებდნენ) დედაჩემი შეცდა. გვალვიანი წლები იდგა. მოსავალი არ მოდიოდა.

„მსუქანს რა მოუვიდა? — ღელავს პადმა, — ახლა არ მითხრა, მოყოლას არ ვაპირებო“.

## საჯარო განაცხადი

მეოცნებე იანვარი დადგა. ისეთი მშვიდი თვე იყო გარეგნულად, რომ გეგონებოდა, 1947 წელი საერთოდ არ დაწყებულაო (მაშინ როცა, რა თქმა უნდა, ფაქტობრივად...). იანვარში მინისტრთა კაბინეტის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემადგენლობას: მოხუც პეტიკ ლორენსს, ჭკვიან კრიპსს, სამხედრო ა.ვ. ალექსანდრეს — გეგმაში ძალაუფლების გადაცემა ჰქონდათ (მაგრამ ფაქტობრივად ექვსი თვე გავა, ვიდრე...), იანვარში მეფისნაცვალი უეცელი მიხვდა, რომ მისი საქმე დამთავრებულია, ჩაიფუშა ან ჰინდის ენაზე რომ ვთქვათ, ფანთუში მოუვიდა (რამაც, რასაკვირველია, მოვლენები დააჩქარა, ამ მოვლენამ ბოლო მეფისნაცვალი შემოუშვა, ვინც...). იანვარში ბატონი ატლი ბირმის მომავალს წყვეტდა და ამით იყო დაკავებული ბატონ ანგ სემთან ერთად (ამასობაში ფაქტობრივად მითითებებს აძლევდა უკანასკნელ მეფისნაცვალს, სანამ მის დანიშვნას გამოაცხადებდა; ის კი, ვინც უკანასკნელი მეფისნაცვალი უნდა გამხდარიყო, მეფეს ესტუმრა და მისგან სრული ძალაუფლება მიიღო; ასე რომ, მალე, მალე...). იანვარში დამფუძნებელი კრება ისე გადაიდო, რომ კონსტიტუციაზე ვერ შეთანხმდნენ (მაგრამ ფაქტობრივად გრაფი მაუნთბათენი — უკანასკნელი მეფისნაცვალი — სადაცაა გამოჩნდებოდა საათის გაუთავებელი წიკწიკით, სამხედრო დანით, რომელმაც აზია სამ ნაწილად გაყო, და ცოლით, ქათმის მკერდის ჭამა ჩუმად, ტუალეტში ჩაკეტილს რომ უყვარდა). და ამ სარკისმაგვარი სიჩუმის შუაგულში, რომელშიც შეუძლებელი იყო ტირანიის ღრჭიალა მანქანა დაგენახა, დედაჩემი — ახალგამომცხვარი ამინა სინაი ასევე მშვიდი და უცვლელი ჩანდა, თუმცა მასში დიდი ძვრები მოხდა. ერთ დილით უძილობისგან თავატკივებულს გაელვიძა, ენაზეც უძილობის სქელი ფენა ედო და უცებ მიხვდა, რომ ისეთი რამ თქვა ხმამაღლა, რის თქმასაც საერთოდ არ აპირებდა: „ეს მზე აქ რას აკეთებს, ალაჰ? აქ არ უნდა ამოსულიყო“.

...ჩემს თავს ვაწყვეტინებ. დღეს არ ვაპირებდი. პადმა ღიზიანდება, როცა ჩემი ნაწერი თოჯინების თეატრის გამოუცდელი მსახიობივით უხერხულობს; თოკები მიჭირავს, ხელებს კი ვერ ვმალავ; მაგრამ უბრალოდ პროტესტს გამოვხატავ. ასე რომ, შევიჭერი თავში, რომელსაც, რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით „საჯარო განაცხადი“ დავარქვი და წარმოვთქვამ (რაც შეიძლება ისეთი მორგებული ტერმინებით, კარგად რომ გამოხატავს სათქმელს) საზოგადო სამედიცინო გაფრთხილებას, რომ ერთი ექიმი, ვინმე ნ. ბ. ბალიგა თვითმარქვიაა. იგი უნდა გარიყონ, გააძევონ, ფანჯრიდან მოისროლონ — ეს საჯაროდ მსურს განვაცხადო მინარეთის რუპორებიდან. მეტიც: ის თავად უნდა გახდეს თავისი თვითმარქვიობის მსხვერპლი და თავისი არასწორად გამოწერილი წამლის გამო კეთროვანივით დაწყლულდეს. „სუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლელი შეჩვენებული, — ხაზს ვუსვამ ჩემს თვალსაზრისს, — ცხვირწინ რა აქვს ვერ ვხედავ!"

ბრაზისგან გავთავისუფლდი და დედაჩემი უნდა დავტოვო თაკის წუხილთან ერთად. მზის უცნაური საქციელის გამო რომ შეწუხდა. ამას იმით ვხსნი, რომ პადმა ძალიან შეშფოთდა, აკადმყოფობა რომ ვახსენე, რადგან თურმე საიდუმლო ნდობა გამოუცხადა ბატონ ბალიგას — უვიც ექიმს, გათახსირებულ თაღლითს, რომელზე საუბრით ენას როგორ დავიღლი! და ეს კაცი მოვიდა ჩემს გასასინჯად. მეც ალალად, და უფრო პადმას ხათრით, ამის ნება მოვეცი, მაგრამ თურმე უარესის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავი. უარესი ისაა, რაც მერე გაკეთა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა და თაღლითმა ჯანმრთელად გამომაცხადა! „ავადობას ვერ გამჩნევთ", ჩაილაპარაკა მგლოვიარე ხმით, რომელიც არაფრით ჰგავდა კოპენჰაგენელი ნელსონის ხმას. თვალი არ უჭრიდა და ეს სიბრმავე ჯიუტი გენიოსის სიბრმავე კი არა, უვიცობის გარდაუვალი წყევლა იყო. ჩემი გონებრივი მდგომარეობა ეჭვის ქვეშ დააყენა. თქვა, რომ მოწმედ არ გამოვდგებოდი და ღმერთმა უწყის, კიდევ რა იბოდიალა... „ავადობას ვერ გამჩნევთ".

ბოლოს, ისევ პადმამ გააგდო. „არ ინერვიულოთ, ექიმო საჰიბ, — მითხრა პადმამ, ჩვენ თავად მივხედავთ, — სახეზე საკუთარი სულელური დანაშაულის აღიარება შევამჩნიე, — ბალიგას თავი დაანებე, დაე, ამ ფურცლებზე ნურასოდეს დაბრუნდება". მაგრამ ღმერთო ჩემო! ნუთუ ექიმის პროფესია, რომელიც ადამ აზიზის მოწოდება იყო, ისე დაკნინდა, რომ ნაგავი ბალიგას დონეზე ჩამოქვეითდა?! საბოლოოდ, თუ ეს მართლა ასეა, არავინ ექიმს არ გამოიძახებს... ეს კი იმის მიზეზს მაპოვნინებს, თუ რატომ გაიღვიძა ამინა სინაიმ ერთ დილით ისე, რომ ტუჩებზე მზე ჰქონდა.

„არასწორად ამოვიდა!" დაიწივლა უცებ და მერე თავში უძილობისგან გამოწვეული ზუზუნი რომ მიწყდა, მიხვდა, ამ მეოცნებე თვეში რაღაც ხრიკის მსხვერპლი გამხდარიყო. ასე მოხდა: გაეღვიძა დელიში, ახალი ქმრის სახლში, რომელიც აღმოსავლეთს და მზეს უყურებდა; სიმართლე ის გახლდათ, რომ მზე თავის ადგილზე იყო, ეს თავად ამინამ შეიცვალა ადგილსამყოფელი... მაგრამ მერეც, ეს ფიქრი გაითავისა და გადაინახა იმ ბევრ სხვა მსგავს შეცდომასთან ერთად, რომელიც მაშინ დაუშვა, როცა აქ ჩამოვიდა (ასეთი ფიქრი მზის შესახებ ხშირად მოსდიოდა. თითქოს მისმა გონებამ უარი თქვა, შეცვლილ ვითარებას შეჰგუებოდა, კერძოდ იმას, რომ საწოლი იატაკიდან მა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლალზე იდგა. საწოლის ჯაყჯაყმა გავლენა იქონია და თავს შშვიდად ვერ გრძნობდა).

„ბოლოს ყველა ძლებს მამის გარეშე“, უთხრა ექიმმა აზიზმა დამშვიდობებისას. პატივცემულმა დედამ დაამატა: „კიდევ ერთი ობოლი იქნება ჩვენს ოჯახში, იმასრაჰქვია, მაგრამ არ იდარდო, მუჰამედიც ხომ ობოლი იყო; და ეს შენს აჰმედ სინაიზე ითქმის, იმასრაჰქვია, ბოლოს და ბოლოს, ნახევრად ხომ ქაშმირელია“. შემდეგ ექიმმა აზიზმა საკუთარი ხელით მიიტანა მწვანე რკინის ჩემოდანი რკინიგზის სადგურში, სადაც აჰმედ სინაი პატარძალს ელოდებოდა. „მზითვი, როგორც წესი, არც ბევრია და არც ცოტა, — უთხრა ბაბუამ, — მილიონერები არ ვართ, მაგრამ საკმარისად მოგეცით. ამინა უფრო მეტს მოგცემს“. იმ მწვანე რკინის ყუთში იდო: ვერცხლის სამოვრები, ფარჩის კაბები, ოქროს მონეტები, ექიმ აზიზს მადლიერმა პაციენტებმა რომ უსახსოვრეს, პატარა მუზეუმი, რომელშიც განკურნებული ავადობები და გადარჩენილი სიცოცხლეები გამოეფინათ. ადამ აზიზმა ხელში აიყვანა თავისი ქალიშვილი და გადაულოცა იმ კაცს, რომელმაც სახელი შეუცვალა და საერთოდ შეცვალა, თითქოს თავიდან გამოიგონაო. ასე რომ, ამინა რაღაც თვალსაზრისით მამამისადაც იქცა და მის ახალ ქმრადაც... ადამ აზიზმა (ფეხით) გაიარა პლატფორმა, როგორც კი მატარებელი ადგილიდან დაიძრა. მორბენალს ჰგავდა, ერთი ტურნე რომ დაასრულა. ფარშავანგის ფრთის მარაოები, ცხელი კერძის ოხშივარი, ჩაცუცქულ მებარგულთა ზანტი, უსიცოცხლო აურზაური, ურიკებზე დაწყობილი თაბაშირის ცხოველები ერთმანეთში აირ-დაირია, როგორც კი მატარებელმა დედაქალაქისკენ აიღო გეზი; თითქოს მორბენალიაო, ისე უმატა სიჩქარეს და აზიზი კვამლში გაახვია. ვაგონში ახალი ამინა სინაი იჯდა (ახალგამოჩეკილ მდგომარეობაში) და ფეხები შემოეწყო მწვანე რკინის ჩემოდანზე, რომელიც სიმაღლის გამო სკამის ქვეშ ვერ მოათავსა. სანდლებით მუზეუმს ეხებოდა, რომელშიც მამამისის მიღწევები ჩაეკეტათ. ახალი ცხოვრებისკენ მიეშურებოდა და უკან ჩამოიტოვა ადამ აზიზი, რომელსაც ახლა თავი უნდა გამოედო, რომ როგორმე დასავლური და ტრადიციული მედიცინა შეერიგებინა. მაგრამ ამ მცდელობამ თანდათან ქანცი გამოაცალა, წელში გატეხა და დაარწმუნა, რომ ცრურწმენები და ათასი მაგიური სისულელე არასოდეს მოშორდება ინდოეთს. ტრადიციული მედიცინის მიმდევრებმა თანამშრომლობაზე უარი თქვეს. როცა ადამ აზიზს წლები მოემატა და მისთვის სამყარო ნაკლებ რეალური გახ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და, რწმენაში ეჭვი შეეპარა. ვერაფრით მოახერხა, რომ ღმერთი ან ერწმუნა, ან არა და იმ დროს, როცა ღმერთი იხილა, ალბათ ელოდებოდა კიდეც.

მატარებელი რომ სადგურს მოშორდა, აჰმედ სინაი წამოხტა, კუპის კარი ჩაკეტა და ამინას გასაკვირად ფარდებიც ჩამოაფარა. მაგრამ უცებ კარზე დარტყმის ხმა მოისმა და კარის სახელურიც მოსინჯეს: „შემოგვიშვი, მაჰარაჯ! მაჰარაჯინ, მანდ ხართ? თქვენს ქმარს უთხარით, გააღოს" და ყოველთვის ყველა მატარებელში, ამ მოთხრობაში, სულ ასეა, მუშტების დარტყმისა და ხვეწნის ხმა ბომბეის მატარებელზე და ყველა მატარებელზე მთელი წლის განმავლობაში ისმის; და ეს ყოველთვის მაშინებდა, მანამ სანამ ბოლოს მე არ აღმოვჩნდი კარს იქით, სიცოცხლეს ორივე ხელით რომ ვებღაუჭებოდი და ვითხოვდი: „ჰეი, მაჰარაჯ, დიდო ბატონო, შემომიშვით".

„მგზავრობის საფასურს არ იხდიან", თქვა აჰმედ სინაიმ, თუმცა მათზე მეტის თქმა შეიძლებოდა. ეს იყო წინასწარმეტყველება და მალე სხვებიც გამოჩნდებოდნენ.

...და ახლა მზე თავის ადგილზე არ იყო. დედაჩემი საწოლში იწვა და ფორიაქობდა. მაგრამ ამავე დროს აღტყინებული იყო იმით, რაც მასში მოხდა და ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავდა. აჰმედ სინაი მის გვერდით იწვა და კარგა გვარიანად ხვრინავდა. არავითარ უძილობას არ შეუწუხებია. მხოლოდ ის იყო, რომ ფულით სავსე ნაცრისფერი ჩანთა თავისი საწოლის ქვეშ დამალა, ასე ეგონა ამინას არ დაუნახავსო. მამაჩემს ხმაურიანად ეძინა, გახვეულს იმ ნეტარებაში, დედამ რომ აჩუქა. და ეს საჩუქარი მწვანე რკინის ყუთზეც ძვირფასი აღმოჩნდა: ამინა სინაიმ უკიდეგანო ალერსით დაასაჩუქრა.

არავინ ისე არ განიცდიდა რამეს, როგორც ამინა. შავგვრემანი და თვალჟუჟუნა დედაჩემი ყველაზე გულიანი ადამიანი იყო ამქვეყნად. გულდაგულ გააწყო ყვავილებით ძველი დელის სახლის ოთახები და დერეფანი; ხალიჩები უსაზღვრო გულმოდგინებით შეარჩია. შეეძლო ნახევარი საათი იმაზე ეფიქრა, ესა თუ ის სკამი რომელ კუთხეს უფრო მოუხდებოდა. სახლის მოწყობას მორჩა თუ არა, და ცვლილებების რამდენიმე დამატებითი შტრიხიც შეიტანა, აჰმედ სინაიმ აღმოაჩინა, რომ მისმა ობოლმა სახლმა დახვეწილი და მყუდრო იერი შეიძინა. ამინა მასზე ადრე დგებოდა, გულმოდგინედ წმენდდა მტვერს,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოწნულ შტორებზეც კი (მანამ, სანამ აჰმედ სინაიმ არ დაითანხმა და ამ მიზნისთვის მსახური არ დაიქირავა). მაგრამ აჰმედ სინაიმ ის არ იცოდა, რომ მისმა ცოლმა ნიჭიერება და გულმოდგინება მათი ცხოვრების გარეგნულ მხარეს კი არ მიუძღვნა, არამედ თვით აჰმედ სინაის შესწირა.

რატომ იქორწინა ამ კაცზე? — თანაგრძნობისთვის, იმისთვის, რომ შვილები ჰყოლოდა. მაგრამ უძილობამ ისე გააბრუა, რომ პირველ მიზანში შეუშალა ხელი; ბავშვები კი ყოველთვის უცბად არ ჩნდებიან. ასე რომ, ამინა ისევ იმ უხსენებელ პოეტზე ოცნებობდა და გალვიძებულს მისი სახელი ადგა ენაზე, თუმცა წარმოთქმა არ შეეძლო. და რა უნდა ექნა, იკითხავთ თქვენ. მე კი გიპასუხებთ: კბილებს აღრჭიალებდა, თავს კიცხავდა. აი, რას ეუბნებოდა საკუთარ თავს: „შე უმადურო დოყლაპია, ვერ ხედავ, ახლა ვინ არის შენი ქმარი? არ იცი, ცოლს ქმრისადმი რა მოეთხოვება?“ უნაყოფო და ფუჭი დავა რომ თავიდან ავიცილოთ იმის თაობაზე, ამ კითხვებს სწორ პასუხს გავცემთ თუ არა, ნება მიბოძეთ გითხრათ, დედაჩემი რას ფიქრობდა ამაზე. ფიქრობდა, რომ ქმარს უპირობო ერთგულება და თავდაუზოგავი სიყვარული ერგებოდა. მაგრამ აქ ერთი პრობლემა იყო. ამინა მიხვდა, რომ სინამდვილეში ქმარს იმას ვერ მისცემდა, რასაც ის იმსახურებდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის ნადირ-ხანით გატენილ თავს უძილობა სჭირდა. წვრთნა დაუწყო საკუთარ თავს, რომ ქმარი შეეყვარებინა და გულმოდგინედ იქცეოდა. ამისთვის აჰმედ სინაი გონებაში დაანაწევრა. ცალკე გამოყო ქმრის ფიზიკური აღნაგობა და ცალკე მისი ქცევები. ცალკეულ ნაკვეთურად გამოყო ტუჩები, მისი უცაბედი სიტყვიერი გამოხდომები თუ ცრურწმენები და ის, რაც მისი ქმრის გემოვნებას აკმაყოფილებდა... მოკლედ, ამინა თავისი მშობლების გახვრეტილმა ზეწარმა მოაჯადოვა, რადგან გადაწყვიტა, რომ ქმარი ნაწილ-ნაწილ შეეყვარებინა.

ყოველდღე აჰმედ სინაის ერთ ნაწილს ირჩევდა და მთელი თავისი არსებით ფოკუსირებას ახდენდა მასზე, მანამ, სანამ მთლიანად ახლობელი არ შეიქნებოდა; შემდეგ ამინამ იგრძნო, რომ მასში რაღაც გრძნობა დაიბადა, რომელიც იზრდებოდა და ჯერ ტრფობაში, შემდეგ კი სიყვარულში გადაიზარდა. სწორედ ასე გააღმერთა მისი ხმამაღალი ლაპარაკი, რომელიც ყურის აფსკს უხეთქავდა და აკანკალებდა; აჰმედ სინაის ის უცნაური თვისებაც შეიყვარა, რომ გაპარსვამდე ყოველთვის კარგ ხასიათზე იყო, მაგრამ გაიპარსავდა თუ არა,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დილაობით, მკაცრი და უკმეხი ხდებოდა და ამავე დროს საქმიანი და უკარება; აჰმედ სინაის სვავისქუთუთოებიანი თვალები და ცივი, ბუნდოვანი მზერა მის შინაგან კეთილ თვისებებს მალავდნენ, ფიქრობდა ამინა და მან შეიყვარა მისი ქვედა ტუჩი, ზედას წინ რომ უსწრებდა; და მისი უხეშობა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა რომ სამუდამოდ აუკრძალა... „ღმერთო ჩემო“, ამინა ეუბნებოდა საკუთარ თავს. „რამდენი სხვადასხვა რამა აქვს ყველა მამაკაცს, ცალ-ცალკე რომ უნდა შეიყვარო!“ მაგრამ ამის გამო არ შეშინებულა. „ბოლოს და ბოლოს, თავიდან ბოლომდე ვინ გაიცნობს ადამიანს“, ფიქრობდა თავისთვის და ცდილობდა, ჰყვარებოდა ქმრის მადა, შემწვარი კერძებისკენ რომ მიილტვოდა; ცდილობდა, მოსწონებოდა ქმარი, სპარსულ პოეზიას რომ კითხულობდა; ჰყვარებოდა სიბრაზის ხნული, შუბლს რომ ულარავდა ხანდახან... „თუ ასე გაგრძელდება, მასში ყოველთვის აღმოვაჩენ რაღაც ახალს, რომ შევიყვარო და ჩვენი ქორწინებაც არასოდეს დამყაყდება“, ფიქრობდა ამინა. ასეთი გულმოდგინე შემართებით შეუდგა ცხოვრებას ძველ ქალაქში. რკინის ჩემოდანი კი გაუხსნელი იდო ძველ კარადაში.

აჰმედის ცხოვრებაზე ნელ-ნელა იმოქმედა მისმა ცოლმა... აჰმედს ეჭვიც კი არ გასჩენია, რომ დაემსგავსა კაცს, რომელსაც არ იცნობდა და მისი ცხოვრება ჰგავდა იმ მიწისქვეშეთის საკანში ცხოვრებას, რომელიც თვალით არ უნახავს. გულმოდგინებით შესრულებული მაგიის გავლენის ქვეშ მყოფმა აჰმედ სინაიმ შეამჩნია, თუ როგორ გასცვივდა თმა, ხოლო რაც თავზე შემორჩა, უშნო და სლიპინა ჩანდა. ეს მაგია ისეთი ბნელი და ბუნდოვანი იყო, რომ თვით ამინამაც არ იცოდა თუ ფლობდა მას. აჰმედ სინაიმ აღმოაჩინა, რომ თმის გაზრდა სურდა და მართლაც, თმა ყურებზე ჭიებივით ჩამოეკლაკნა. მუცელი ისე გაეზარდა, რომ ბოლოს ფაფუკ ლიპად ექცა, რომელიც გეგონებოდა ეს-ესაა, გასკდებაო. ამ ლიპში ვინ იცის, რამდენჯერ ჩავმხრჩვალვარ და რომელსაც არც ერთი ჩვენგანი შეგნებულად არ ვადარებდით ნადირ-ხანის სიმსუქნეს. შორეული ბიძაშვილი ზორა გაეკეკლუცა: „დიეტაზე უნდა დაჯდე, ბიძაშვილო, თორემ მალე საკოცნელადაც ვერ მოგწვდებით!“ მაგრამ რა... ამას არაფერი კარგი არ მოჰყოლია... და თანდათან ამინამ ძველ დელიში მოაწყო ფაფუკი ბალიშების სამყარო, ფანჯრებზე კი მუქი ფარდები ჩამოჰკიდა, რომ რაც შეიძლება ნაკლები მზის სხივი შემოსულიყო... შტორები მუქი ქსოვილით დაან-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნელა და ამ წვრილმანმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ამინას, თავისი გმირული ამოცანა განეხორციელებინა; შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ ნაწილ-ნაწილ შეეყვარებინა ახალი ქმარი (მაგრამ მაინც აკრძალული ოცნება ხატების გავლენის ქვეშ დარჩა, რომ... ყოველთვის ღიპიანი, გრძელ და უშნოთმიანი კაცები იზიდავდნენ).

ახალ ქალაქს ძველი ქალაქიდან ვერ დაინახავდი. ახალ ქალაქში ვარდისფერ დამპყრობელთა რასამ ვარდისფერი ქვის სასახლეები აა-გო. მაგრამ სახლები ძველი ქალაქის ვიწრო შუკებში ერთმანეთს ებ-ჯინებოდნენ, აწვებოდნენ, ავიწროებდნენ, ბორძიკობდნენ, გზას უხერ-გავდნენ და ვარდისფერ ძალმოსილებას აკარგვინებდნენ. იქით მაინც არავინ იხედებოდა. მაჰმადიანურ სამეზობლოში, რომელიც ჩანდნი ჩოკის ირგვლივ შემოჯარულიყო, ხალხი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ თავიანთი ცხოვრების ფარდაჩამოფარებულ ციხე-დარბაზებში შეჭყეტა შეეძლოთ; შეეძლოთ ფანჯრებსა და ვერანდებზე შტორები ჩა-მოეფარებინათ. ვიწრო შუკებში ახალგაზრდა მაწანწალები შეხვედრი-სას ხელს ართმევდნენ, მკლავებს ხვევდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს და იდგნენ წრიულად თეძოებგამოშვერილი და სულში იშხირებოდნენ. სიმწვანე არ იყო და ძროხებიც ამ ადგილს თავს არიდებდნენ. ხვდე-ბოდნენ, რომ აქ მათ წმინდა ცხოველებად არავინ მიიჩნევდა. ველო-სიპედების ზარები ყურისწამლებად რეკდნენ და მათ კაკაფონიურ ხმა-ურში ხილის გამყიდველთა ყვირილი მოისმოდა: მობრძანდით ყველა! მიირთვით ხილი!

ამას ისიც დაემატა, რომ იანვრის იმ დილას, როცა დედაჩემსა და მამაჩემს, თავის პატარა საიდუმლოებებს ერთმანეთს რომ უმალავ-დნენ, უცებ ბატონების, მუსტაფა ქემალისა და ს.ჰ. ბათის ნერვიული ნაბიჯების ხმა მოესმათ; და ასევე გაიგონეს ლიფაფა დასის დოლის გაუთავებელი ბრახაბრუხი.

მუჰალას ჯურღმულებში ნერვიული ნაბიჯების ხმა რომ გაისმა, ლიფაფა დასის შოუ და დოლის ბრახუნი შეწყდა. ბატონები ტაქსი-დან ხმაურიანად გადმოვიდნენ და ახლა ნაბიჯების ხმა ვიწრო შუკას მიაწყდა; ამ დროს დედაჩემი სახლში იყო, საშხარეულოში იდგა და საუზმეს აშზადებდა, როცა შემთხვევით ყური მოჰკრა, რომ მამაჩე-მი თავის შორეულ ბიძაშვილს, ზორას ელაპარაკებოდა. ხმაურიანმა ნაბიჯებმა ხილით მოვაჭრეები და ხელგაწვდილი მაწანწალები გამო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იარა; დედაჩემმა გაიგონა სიტყვები: „ახალდაქორწინებულებო, ვერ ვძლებ რომ არ მოვიდე და არ გნახოთ. ენა ვერ იტყვის, ისე მატკბობს თქვენი ნახვა!“ ფეხის ხმა რომ მოახლოვდა, მამაჩემი გაწითლდა. მაშინ თავისი გარეგნული ხიბლის ზენიტში იყო, ქვედა ტუჩიც ძალიან არ ჰქონდა წინწამოწეული და შუბლის ნაოჭებიც ისე არ უჩანდა... და ამინამ, საუზმეს რომ აშზადებდა, ზორას შეყვირება გაიგონა: „შეხედე ვარდისფერს! რა მშვენიერი ხარ, ბიძაშვილო!“ აჰმედმა კი ნება დართო სრულიად ინდოეთის რადიოსთვის მოესმინა სუფრასთან, რისი უფლებაც ამინას არ ჰქონდა; ლათა მანგეშკარი სიყვარულზე სევდიან სიმღერას აკვნესებდა, ზორა კი საუბარს განაგრძობდა: „სწორედ ჩემნაირი, განა ასე არ ფიქრობ? მშვენიერი ვარდისფერი ბავშვები... იდეალური წყვილი... არა, ბიძაშვილო? ლამაზი თეთრი წყვილი“. ფეხის ხმა არ წყდებოდა, საუზმე მზადდებოდა და ამ დროს ასეთი რამ გესმის: „რა საშინელებაა, იყო შავგვრემანი, არა, ბიძაშვილო? ყოველ დილით გაიღვიძებ თუ არა, სარკეში შენი შავი სახე დაჟინებით შემოგაშტერდება და შენს სიმახინჯეს გაგრძნობინებს! რა თქმა უნდა, შავგვრემანებს ესმით ეს. მათ იციან, რომ თეთრი კანი მშვენიერია, ასე არ არის?“ ფეხის ხმა ძალიან მოახლოვდა და ამინა მძიმე ნაბიჯებით შევიდა სასადილო ოთახში, ხელში საუზმე უჭირავს და მთელი ძალით ცდილობს თავი შეიკავოს, თან ფიქრობს, მაინცდამაინც დღეს რატომ უნდა მოსულიყო ეს ქალი, როცა რაღაც ახალი ამბავი აქვს ქმრისთვის სათქმელი და თანაც მის თვალწინ ფული უნდა სთხოვოს. აჰმედ სინაის უყვარდა, როცა ეფერებოდნენ და ისე სთხოვდნენ ფულს, როცა ტკბილი სიტყვებით მოთაფლულს კალთაზე გადაფარებული ხელსაწმენდის ქვეშოთ რაღაც უმოძრავებდა და ნელნელა უდგებოდა. ამინა არც ამის წინააღმდეგი იყო, რადგან გულმოდგინებამ ასწავლა, ესეც ჰყვარებოდა და ფული რომ სჭირდებოდა, ქმარს ეფერებოდა და ეჩურჩულებოდა: „ჩემო სიცოცხლეე, გეხვეწები“. და მერე: „მარტო იმდენი, რომ გემრიელი სადილები მოგიმზადო და გადასახადები ვიხადო“ და კიდევ: „ჩემო კარგო, შენ ხომ ძალიან კეთილი ხარ, რამდენიც გენებოს იმდენი მომეცი, ვიცი, რომ მეყოფა“... ქუჩის მათხოვრები რომ ელინცილებიან გამელელებს, ისე უნდა მოქცეულიყო და თან ახლა იმ ქალის თანდასწრებით, იქ რომ იჯდა ლამბაქისხელა თვალებით; რომ ხითხითებდა და ხმამაღლა ჭორაობდა შავგვრემნებზე. ფეხის ხმა კართან ახლოვდება, ამინა სასადილო ოთახშია, ხელში ცხელი კერძი უჭირავს ზორას სულელ თავთან ახ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოს, რაზეც ზორამ უცებ წამოიძახა: „რა თქმა უნდა, ეს ადამიანი არ მიგულისხმია!“ ამას ყოველი შემთხვევისთვის ამბობს, არ არის დარწმუნებული, ამინამ გაიგონა თუ არა მისი ნათქვამი „ოჰ, აჰმედ, ჩემო ბიძაშვილო, ჩვენს საყვარელ ამინაზე თუ იფიქრე, მე რაც ვთქვი ის, მაშინ ნამდვილად საშინელი ადამიანი ყოფილხარ. ამინა არც ისეთი შავია. თეთრ ქალბატონს ჰგავს, ოღონდ ჩრდილში რომ იდგეს ისე!“ ამინა კი ცხელი კერძით ამ ქალს მშვენიერ თავზე ადგას და ფიქრობს, ღირს ამის გაკეთება? და გაუბედავ კი? და თავს ასე იმშვიდებს: „დღეს დიდი დღეა ჩემთვის... ბავშვებზე ხომ მაინც ალაპარაკდა; ასე რომ, ახლა ჩემთვის იოლია, რომ“. მაგრამ დააგვიანდა. რადიოში ლათას სიმღერამ კარზე ზარის ხმა გადაფარა ისე, რომ ვერც გაიგეს, ბებერმა შიკრიკმა მუსამ კარი როგორ გაალო; ლათას ხმამ კიბეზე ამომავალი ნერვიული ნაბიჯების ხმაც დაჩრდილა; და უცებ იქ გაჩნდნენ ბატონი მუსტაფა ქემალი და ბატონი ბათი. და ნაბიჯებიც შეწყდა.

„იმ ყალთაბანდებმა ბოროტება ჩაიდინეს!“ — იწყებს ბატონი ქემალი. ამინას ასეთი გამხდარი კაცი ჯერ არ უნახავს. ლაპარაკისას სასაცილოდ იყენებს არქაულ ფრაზეოლოგიას (ეს მოსდის იმით, რომ ყველაფრის გასაჩივრება უყვარს, კანონებითაა დასნეულებული), და ეს ერთგვარი ჯაჭვური რეაქციაა სულელური პანიკისა, ხოლო პატარა, წრიპინახმიანი და უხერხემლო ბათი, რომელსაც მაიმუნისმაგვარი სიველურე უცეკვავს თვალებში, ოთხ სიტყვას ღერღავს, თითქოს მნიშვნელოვანიაო: „ჰო, განზრახ უკიდებენ ცეცხლს!“ ზორას მოულოდნელი, უცნაური რეაქცია უჩნდება და რადიოს მკერდზე იხუტებს, ისე, რომ ლათას ხმა ძუძუებს შორის იგუდება. ზორა გაპკივის, „ო, ღმერთო, ო, ღმერთო! ვინ უკიდებს ცეცხლს, აბა, სად არიან? ამ სახლში? ო, ღმერთო, სიცხეს ვგრძნობ!“ ამინა საუზმით ხელში დგას გაქვავებული და იმ კაცებს მიშტერებია, საქმიანი სამოსი რომ აცვიათ. ამ დროს მისი ქმარი, საიდუმლო რომ ქარს გაატანა, ფეხზე დგება გაპარსული, მაგრამ ჯერ კიდევ შეუმოსავი და კითხულობს: „საწყობში?“

საწყობია თუ რაღაც ჯანდაბა, რაც გინდა, ის უწოდე და როგორც კი აჰმედ სინაიმ ეს იკითხა, ოთახში სიჩუმე გაწვა. მხოლოდ ლათა მანგეშკარის ხმა ამოდიოდა ზორას ძუძუების ღრმულიდან; ერთი შენობა სამ კაცს ეკუთვნის ქალაქგარეთის ამ სამრეწველო მამულში. „ოღონდ საწყობი არა! ღმერთო დაგვიფარე!“ — ჩუმად ლოცულობდა ამინა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტყავის ბიზნესმა გააქარწყლა მაიორ ზულფიკარის ხელშეწყობით, რომელიც ახლა ლელის გენერალურ საქმეთა შტაბში მუშაობდა. ამჯერ სინაი კონტრაქტი გაიფორმა, რომლის მიხედვითაც ტყავის ქერეფუკებითა და წყალგაუმტარი სუფრებით აქარაგებდა არმიას. იმ საწყობში მასალის დიდი მარაგი ინახებოდა, რითაც ესენი ცხოვრობდნენ. „ვინ იცის ამას?" — ზორას ძუძუები ხომ მლერიდნენ და ზორაც კენესოდა: „რა შეშლილი ხალხი დადის ამ ქვეყანაზე"... და ამინაც ბარეულად გაიგონა სახელი, რომელსაც ქმარი უმალავდა და რომელიც იმხანებში ყველას შიშის ზარს სცემდა. „ეს რაკანას ჩადენილია", — თქვა ს.ფ. ბათმა... მაგრამ რაკანა ძრაკალთაკეანი დემონის სახელია! და მაშასადამე, დემონები არსებობენ ამქვეყნად? „ეს რა სისულელეა?" — ამინას მამამისეული ხმელს ცრურწმენები და პასუხს ითხოვს: პასუხი ბატონმა ქემალმა გასცა. „ეს ბოროტი ბანდის სახელია, ქალბატონო! ეს ფფოთისთაკეთა და კრიმინალთა ბანდაა. ცუდი დრო დაგვიდგა, ძალიან ცუდი".

საწყობში კი: ერთმანეთზე შემოწყობილი ტყავის ხვეულები და ფარული მოხმარების საქონელია, რომლითაც ბატონი ქემალი ვაჭრობს: ბრინჯი, ჩაი და ოსპის მარცვალი, რომელსაც დიდი რაოდენობით იმარაგებს მიწელი ქვეყნიდან. ამით ერთგვარად თავს იცავს ძრაკალთაკეანი და ძრაკალპირიანი გაუმაძღარი მონსტრისგან, რომელიც ხალხია თავად და მონსტრის თავები რომ ჰქონდეს, ისე დაბლა დასწვდეს ფასებს მოსავლიანობის პერიოდში, რომ ღმერთისმოშიში მწარმოებლები შიმშილით დაიხოცებიან, ურჩხული კი გასუქდება... „საშეურნეო ცხოვრება იშვიათობად იქცა", წუხს ბატონი ქემალი, „ამიტომ ჩემ მიერ შენახული მარაგი არა მხოლოდ წესიერების ფარგლებში აჩერებს ფასებს, არამედ თვით ეკონომიკის სტრუქტურასაც წელს უმაგრებს". — და შემდეგ, საწყობში ბატონი ბათის საქონლის მარაგია მუყაოს ყუთებში ჩაწყობილი, რომელსაც აწერია: ღ. იმის თქმა არ არის საჭირო, რომ ცეცხლს ნიშნავს. ს. ფ. ბათი ასანთის მწარმოებელია.

„ჩვენი მონაცემები მამულში ცეცხლის არსებობის მხოლოდ ფაქტს აკლენს, ხოლო საწყობი ზუსტად მითითებული არ არის".

„კი მაგრამ, მაინცდამაინც ჩვენი მამული რატომ უნდა იყოს, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ გვაქვს დრო, რომ გადავიხადოთ?" — კითხულობს აპმედ სინაი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„გადაეხადოთ?" — აწყვეტინებს ამინა, — „ვის გადაუხადოთ? რა გადაუხადოთ? ძვირფასო მეუღლეო, ჩემო სიცოცხლეო, აქ რა ხდება?" „ჩვენ უნდა წავიდეთ", — ამბობს ს. ფ. ბათი, და აჰმედ სინაიც მიდის, ტანზე დაჭმუჭნილი საღამური აცვია, ფეხების სწრაფი მოძრაობით სახლიდან გადის გამხდართან და უხერხემლოსთან ერთად და საუზმეს ხელუხლებელს, ქალებს გაოცებულს, ლათას მოგუდულს და რაჯანას სახელს ჰაერში ჩამოკიდებულს ტოვებს... „უკეთურთა ბანდა, ქალბატონო! გახრწნილი კაცისმკვლელები და გაიძვერები!"

და ს. ფ. ბათმა ბოლოს ნერვიულად წამოიძახა: „უშმაკსაც წაულია ინდუსი ცეცხლისწამკიდებლები და საპიბაც, მაგრამ ჩვენ, მუსლიმებმა, რა უნდა ვქნათ?"

რა იციან რაჯანას ბანდის შესახებ? იგი თავს აჩვენებს, თითქოს ფანატიკური ანტიმუსლიმური მოძრაობა იყოს, რომელიც სანამ ქვეყნის შუაზე გახლეჩასთან დაკავშირებული გამოსვლები დაიწყებოდა და სანამ ვნების პარასკევს ღორის თავების მეჩეთის ეზოში დატოვება შეიძლებოდა ისე, რომ არავინ დასჯილიყო, არაფერ განსაკუთრებულ ბანდას არ წარმოადგენდა. ეს ბანდა კაცებს გზავნიდა შუალამით, რომ ძველი და ახალი ქალაქების კედლები ლოზუნგებით მოერთოთ: **არავითარი გაყოფა არ იქნება, თუ არა და ყველას ჯოჯოხეთის სატანჯველი გელოდებათ! მუსლიმები აზიის ებრაელები არიან!** და ასე შემდეგ. ეს ბანდა მუსლიმთა ქარხნებს, მაღაზიებსა და საწყობებს წვავდა. მაგრამ აქ კიდევ არის რაღაც, რაც ყველამ არ იცის: ამ ფასადური რასობრივი ზიზღის მიღმა რაჯანას ბანდა ბრწყინვალე კომერციულ საქმიანობას ეწეოდა. ანონიმური ზარები და გაზეთებიდან ამოჭრილი სიტყვებით შეკოწიწებული წერილები მისდიოდათ მუსლიმ ბიზნესმენებს, რომელთაც ორში ერთი უნდა აერჩიათ: ან ერთჯერადი თანხა გადაეხადათ მათთვის, ანდა მთელ ქონებას დაუწვავდნენ. უცნაურია, მაგრამ ბანდა ეთიკურ ნორმებს იცავდა. მეორედ არასოდეს აწერდა ფულს ბიზნესმენს. და ისინიც სიტყვას მართლა ასრულებდნენ: თუ ნაცრისფერი ფულით სავსე ტომრები არ მოუვიდოდათ, მაშინ ბიზნესმენის მაღაზიებს, ქარხნებსა და საწყობებს ცეცხლის ენები შთანთქავდნენ. უმეტესობა იხდიდა, რადგან პოლიციის ნდობა სარისკო იყო. 1947 წელს მუსლიმები პოლიციას სანდოდ არ მიიჩნევდნენ. ამბობენ, (თუმცა დარწმუნებული არ ვარ), რომ როდესაც დასაშინებელი წერილები მისდიოდათ, იმ წერილებში იყო „კმაყოფილ კლიენ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტთა“ ნუსხა, უკვე ვინც გადაიხადა ფული და ბიზნესიც შეინარჩუნა, რაკანას ბანდა დახასიათებასაც იძლეოდა და რჩევასაც, ისე, როგორც პროფესიონალები იქცევიან.

სამი მამაკაცი — ორი სამსახურის მინიფორმაში და ერთი სალამურში გამოწყობილი — გარბოდა ტაქსისკენ, ჩანდი ჩოქზე რომ იდგა. მათ გაიარეს მაჰმადიანთა ვიწრო უბნები და ხალხის ყურადღება მიიქციეს არა მხოლოდ თავიანთი გამორჩეული ჩაცმულობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ცდილობდნენ არ ერბინათ. „აღელვება არ უნდა შეგვატყონ, — თქვა ბატონმა ქემალმა, — წყნარად იყავით“. მაგრამ ფეხებმა კონტროლი დაკარგეს და მირბოდნენ. და ასე არათანაბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი აჩქარებითა და ზოგჯერ ძლივს შენელებული ნაბიჯებით მუსლიმთა მუჰალას გასცდნენ; ჩაუარეს ერთ ახალგაზრდა კაცს, შავი რკინის ბორბლებიანი სცენა რომ მიჰქონდა და ხელში დოლი ეჭირა — ეს იყო ლიფაფა დასი, რომელიც მნიშვნელოვანი განაცხადისთვის ემზადებოდა და ამ განაცხადმა ამ თაკის სახელწოდებაც განსაზღვრა. ლიფაფა დასი დოლზე ურტყამდა და გაჰყვიროდა: „მოდით და ნახეთ ყველაფერი, მოდით, ნახეთ ყველაფერი, მოდით და ნახეთ! მოდით, ნახეთ დელი! მოდით, ნახეთ ინდოეთი, მოდით, ნახეთ! მოდით, ნახეთ! მოდით, ნახეთ!“

მაგრამ აჰმედ სინაის სხვა რაღაც ჰქონდა სანახავი.

მუჰალას უბნის ბავშვებს ადგილობრივი მცხოვრებნი თავიანთი სახელებით მოიხსენიებდნენ. სამი სამეზობლოდან ერთი ჯგუფი „შებრძოლი მამლების ხალხად“ იწოდებოდა. მათ ერთი სინდჰელი და ერთი ბენგალელი[1] ოჯახის უფროსი ჰყავდათ, რომელთა სახლებს მუჰალას ინდუსთა სახლები აშორიშორებდა. სინდჰებსა და ბენგალელებს ბევრი არც არაფერი ჰქონდათ საერთო. ერთ ენაზეც არ ლაპარაკობდნენ და კერძებსაც განსხვავებულად ამზადებდნენ. სამაგიეროდ, მუსლიმები იყვნენ და ეს შუაში შემოჩხირული ინდუსი ერთნაირად სძულდათ. ნაგავს მისი სახლის წინ პირდაპირ სახურავიდან ისროდნენ. ფანჯრიდან აგინებდნენ მრავალ ენაზე, მის კართან საჭმლის ნარჩენებს ყრიდნენ... სამაგიეროდ, ინდუსი უპატრონო ბავშვებს ფულს აძლევდა, რომ ამათი ფანჯრები ჩაეტეხა ქვებით, რომელზეც გზავნილი იყო შემოხვეული: „მოიცადე, შენი ჯერიც მოვა“... მულაჰას უბ-

[1] *ბენგალი — ისტორიული ოლქი. დასავლეთ ბენგალი ეკუთვნის ინდოეთს, აღმოსავლეთ ბენგალი ბანგლადეშშია.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნის ბავშვები მამაჩემს სახელით არ მიმართავდნენ. ის მათთვის იყო „კაცი, რომელიც საკუთარ ცხვირს არ ემორჩილება“.

აჰმედ სინაი, უუნარო ორიენტაციის გამო, მარტო რომ მიგეშვათ, სამეზობლოს მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაშიც კი დაიკარგებოდა, გზას ვერ გაიგნებდა. შუკებში ბევრჯერ წასწყდომია ქუჩის ბავშვებს, რომლებიც ეულად დახეტიალებდნენ და ფული შეუთავაზებია, რომ სახლამდე მიეცილებინათ. ამას იმიტომ ვყვები, რომ დარწმუნებული ვარ, მამაჩემის უუნარობამ სწორი გზის არჩევის საქმეში მის ცხოვრებას მარტო ზიანი კი არ მიაყენა, არამედ ეს იყო მიზეზი, თუ რატომაც მიიზიდა ამინა სინაიმ (ნადირ-ხანის წყალობით ამინაც არჩევანის გაკეთებაში მოიკოჭლებდა); და მერე კიდევ, მამაჩემის თვისება, რომ საკუთარ ცხვირს არ უჯერებდა, მეც გადმომედო. ამ უარყოფითმა თვისებამ დამიჩრდილა ის ცხვირისმიერი მემკვიდრეობა, რომელიც სხვა ნათესავებისგან უნდა მრგებოდა და წლების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყნოსვის ალღო დავკარგე, რათა ცხოვრებაში სწორი გზა ამერჩია... მაგრამ მოდი, ახლა ეს ვიკმაროთ. სამ საქმოსანს საკმარისი დრო მივეცი, რომ თავიანთ სამრეწველო მამულამდე მიეღწიათ. მხოლოდ ამას დავამატებ (მამაჩემის ასეთი დაბნეულობის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ): მას ტრიუმფის მომენტშიც კი მომავალი წარუმატებლობის მძორი ეკიდა კისერზე და იგი ისე ყარდა, ხშირი ბანაობის მიუხედავად, ვერა და ვერ მოიშორა მისი სიმყრალე. ბატონი ქემალი გრძნობდა ამ სუნს და ს. ფ. ბათს ჩუმად ეტყოდა ხოლმე: „ეს ქაშმირელი მამაკაცების ცნობილი თვისებაა, ისინი ხომ არასოდეს იბანენ“. ეს ცილისწამება მამაჩემს მენავე თაისთან ანათესავებს... თაისთან, ვინც მრისხანებამ ისე შეიპყრო, რომ თვითგანადგურების მიზნით დაბანაზე უარი განაცხადა.

სამრეწველო მამულში ღამის დარაჯებს მშვიდად ეძინათ ძრავების გრუხუნში. რატომ? როგორ? იმიტომ, რომ მათ რავანას ბანდასთან შეთანხმება დადეს და როცა შეტყობინებას მიიღებდნენ, ბანდა უნდა მოვიდესო, საძილე აბებს იღებდნენ და საწოლები შენობიდან გაჰქონდათ. ამ გზით ბანდის ძალადობას იცილებდნენ თავიდან და თავის საცოდავ ხელფასსაც იზრდიდნენ. ეს მშვიდობიანი და ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო.

სანამ ღამის დარაჯებს ეძინათ, ბატონი ქემალი, მამაჩემი და ს.ფ. ბათი უყურებდნენ, როგორ ადიოდა ცაში ღრუბლებად ფერფლად-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქცეული ველოსიპედების შავი კვამლი. ბათი, მაშა და ქეთალი სახანძრო მანქანის გვერდით იდგნენ და შეკბით სუნთქავდნენ, რადგან ეს არჯუნა[1] ინდიაბაიქის საწყობი იწვოდა. სახელმა-ბრუნდმა არჯუნამ, რომელიც ინდუსთა მითოლოგიის გმირი იყო, მაინც ვერ დამალა ის ფაქტი, რომ კომპანია მუსლიმებს ეკუთვნოდათ. შეკბამცვეთილი მამაჩემი, ქეთალი და ბათი ახლა ღრმად სუნთქავდნენ ცეცხლმოკიდებული ველოსიპედებით გაჟღენთილ ჰაერს, ახველებდნენ და ძლივს, ხველებ-ხველებით ლაპარაკობდნენ, რადგან ველოსიპედების დაფერფლილი საბურავების, ჯაჭვების, ზარების, სახელურების გარდასახულებული ჩონჩხების ოხშივარი შედიოდა და გამოდიოდა მათი ფილტვებიდან. ვიღაცას უხეში მუყაოს ნიღაბი მიელურსმა ტელეგრაფის ანძაზე ცეცხლმოკიდებული საწყობის წინ. ეს იყო მრავალსახიანი ნიღაბი, ეშმაკის დაღრეჩილი სახეებით, ფართო დალეჭილი ტუჩებითა და წითლად მობრიალე ნესტოებით — მრავალთავიანი მონსტრის სახეები; რავანა — დემონთა მეფე გაბრაზებული დაჰყურებდა ღამის დარაჯთა მძინარე სხეულებს, რომელთაც ისე ღრმად ეძინათ, რომ არც მეხანძრეებს, არც ქეთალს, არც ბათს და არც მამაჩემს გულმა არ გაუწია, გაელვიძებინათ; ველოსიპედის პედლებისა და შიდა საბურავების ფერფლი კი თავზე აცვიოდათ.

„ღმერთმა დასწყევლოს ცუდი ბიზნესი", თქვა ბატონმა ქეთალმა. ის არ თანაუგრძნობდა დაზარალებულთ. პირიქით, აკრიტიკებდა არჯუნა ინდიაბაიქის კომპანიას.

შეხედე: უბედურების მომასწავებელი ღრუბელი (რომელიც ასევე შვების მომგვრელია) ზევით იწევს და დილის უფერო ცაზე ბურთივით იკვრება. შეხედე, როგორ მიიწევს დასავლეთისკენ — ძველი ქალაქის შუაგულისკენ და, ღმერთო ჩემო, თითქოს თითიაო, ისე მიანიშნებს მაჰმადიანთა დასახლებაზე ჩანდი ჩოკში!.. სადაც, სწორედ ახლა, ლიფაფა დასი გაჰყვირის, რათა თავისი საქონელი გაასალოს სინაის უბანში.

„მოდით, ნახეთ ყველაფერი, მთელი სამყარო ნახეთ, მოდით! საჯარო განაცხადის დრო მოახლოვდა. არ უარეყოფ, რომ ველელავ. ამდენი ხანია ჩემს ამბავს გიყვებოდით და თავს დავტრიალებდი. სანამ ძალას მოვიკრებ და მთავარ სათქმელს გეტყვით, საინტერესოა ცოტა ამის

[1] *არჯუნა (სანსკრ.) — უძველესი ინდური ეპოსის, „მაჰაბჰარატას" ერთ-ერთი გმირის სახელი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქითაც გავიხედე. დიდი მოლოდინის წუთებში მაკვირვები ცაში ლრუბელს. გაშეშებულ თოთს რომ ჰგავს და ჩემი ეშმაობლების საძებნელის დავიცქერდები: ეკლესიაპედებს, ქუჩის გაძყიდველებს, მოხალულ ძუხელის რომ ფიდიან, ხელგაშეშებულ მათხოვრებს, ძეკრინავ ქალალდის ნაგლეჯებსა და ბუზების ჯგუფურ ორიეტრიალს საკვების გასაყიდ დახლზე... ეს ყველაფერი ჩემმა ცამდე აძალლებულმა თვალსაწიერმა დააპატარავა. აქ არიან ბავშვები, რომლებიც მწერებივით ირეკვიან ლიფაფა დასის მაგიური დოლის ირგვლივ. ლიფაფას ხმა ისმის: „დუნია დეხო" — იხილე მთელი სამყარო! ბიჭუნებს პერანგის ამხანაგები არ აცვიათ, გოგონებს — პერანგები. აქ კიდევ არიან სხვა, უფრო ჭკვიანი ბავშვები სკოლის თეთრ ფორმაში გამოწყობილები, შარვალი S-ის ფორმის ბალთიანი ქამრით დაუმაგრებიათ. პუტკუნა პატარა ბიჭებს ფუმფულა ხელები აქვთ; ეს ბავშვები ყველანი ბორბლიანი შავი ყუთისკენ მიემართებიან. მათ შორის, ეს გოგონაც, გრძელი, დაბუჩქული გადაბმული წარბები რომ აქვს და ორივე თვალს უფარავს. ეს არის რვა წლის ქალიშვილი იმ უზრდელი სინდჰისა, ჯერ კიდევ ფიქციური ქვეყნის, პაკისტანის დროშა რომ ააფრიალა თავისი სახლის სახურავზე და ახლაც ლანძღავს თავის მეზობელს. ეს მისი რვა წლის ქალიშვილი კი ჩავანით[1] ხელში ქუჩაში გარბის, სახეზე ლილიპუტი დედოფლის გამომეტყველება აქვს, ტუჩს უკან კი სიკვდილი ჩასაფრებია. ნეტა რა ჰქვია ამ გოგონას? არ ვიცი. სამაგიეროდ, ამ წარბებს ვიცნობ.

ლიფაფა დასმა, მისდა საუბედუროდ, შავი ურიკა იმ კედელთან გააჩერა, რომელზეც ვიღაცას სვასტიკა მიუხატავს (იმ დროს სვასტიკებს ყველგან ნახავდით; ექსტრემისტული RSSS პარტია ყველა კედელზე ახატვინებდა; ეს ნაცისტების სვასტიკა კი არ იყო, რომელიც ცუდ ტონად ითვლებოდა. არა! ეს იყო ინდუსთა სიძლიერის სიმბოლო. „სვასტი" სანსკრიტულ[2] ენაზე კეთილს ნიშნავს)... ეს ლიფაფა დასი, რომლის მოსვლა საყვირით გამოაცხადე, ახალგაზრდა ბიჭი იყო, მაგრამ არ ჩანდა, სანამ არ გაიღიმებდა. გაღიმება ალამაზებდა. ან სანამ დოლს არ დაუკრავდა, დოლი საოცრად ამაღლებდა ბავშვების თვალში. მედოლე კაცები მთელ ინდოეთში გაჰყვირიან: „დილი დეხო!" — „მოდით, დელი იხილეთ!" დელიში იყო და ლიფაფა დასმაც სიტყვები შესაბამისად შეცვალა. „იხილეთ მთელი მსოფლიო! მო-

[1] *ჩავანი — ინდური ეროვნული კერძი.*
[2] *სანსკრიტული (ინგლ.) — ძველი ინდური ხაშწერლო ენა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დით, ნახეთ ყველაფერი!“ ჰიპერბოლად ქცეული შეძახილი დაიწყო და მცირე ხნის შემდეგ მის გონებას ჩაებღაუჭა; უფრო მეტი და მეტი დასურათებული სარეკლამო პლაკატი იდებოდა მის ურიკაზე და გამწარებული ცდილობდა დანაპირების დარიგებას და იმ ყველაფრის თავის ურიკაზე მოთავსებას (უცებ ნადირ-ხანის მეგობარი მხატვარი გამახსენდა: ეს ინდური ავადმყოფობა ხომ არ არის, კაფსულაში მოათავსო მთელი სინამდვილე? მეტიც: მგონი მეც დავინფიცირდი).

ლიფაფა დასის სცენისმაგვარ ურიკაზე თაჯმაჰალის, მინაქმის ტაძრისა და წმინდა მდინარე განგის სურათები ეწყო; მაგრამ ამ ცნობილ სურათებთან ერთად ასევე უფრო თანამედროვე სახეების დალაგების საჭიროება ეგრძნოთ — მაგალითად, როგორ ტოვებს სტეფორდ ქრიფი ნერუს რეზიდენციას; როგორ ეხებიან შეუხებლებს; დიდი რაოდენობით განათლებულ ხალხს როგორ სძინავს ლიანდაგებზე; ერთ ცნობილ ევროპელ მსახიობს ხილის მთა როგორ ადევს თავზე — ლიფაფა მას კარმენ ვერანდად მოიხსენიებს; ერთი გაზეთის ფოტოგრაფიც წამოჭიმულა სარეკლამო პლაკატზე, სამრეწველო მამულში გაჩენილი ცეცხლი რომ გადაიღო. ლიფაფა დასს არ სჯეროდა, რომ მის მაყურებელს საუკუნის არცთუ ყოველთვის სასიამოვნო ხასიათებისგან დაიცავდა... და ხშირად, როცა ის ამ ჯურღმულში მოდიოდა, დიდებიც და პატარებიც იმის სანახავად უახლოვდებოდნენ მის ურიკას, თუ რა იდო შიგ. ლიფაფას ხშირ კლიენტებს შორის იყო ამინა სინაიც.

მაგრამ დღეს, როდესაც ისტერია ტრიალებს ჰაერში, რაღაც ცივი და მუქარით სავსე ღრუბელივით დაემხო თავზე მუჰალას უბანს იმ დამწვარი ქარხნის ფერფლთან ერთად... და ახლა ეს მუქარა აღვირს იგლეჯს, როგორც კი ის წარბებგადაბმული გოგონა ჭყიპინებს მოჩლიფინე ხმით, რომელსაც უმანკოება არა აქვს: „მე პირველი ვარ! გზიდან ჩამომესალეთ... დამანაქეთ! ვერ ვქედავ!“ ბორბლიან ყუთს უამრავი თვალი უჭვრეტს, უამრავი ბავშვი მიშტერებია, პლაკატები ერთმანეთს როგორ ცვლიან. ლიფაფა დასი ამბობს (ისე, რომ თავის საკეთებელს არ სწყდება, — ღილაკს ატრიალებს და პლაკატები ერთმანეთს ენაცვლებიან ყუთში): „ცოტაც მოითმინეთ, ყველას მოუწევს, მოიცადეთ“. რაზეც ცალწარბიანი ჯუჯა დედოფალი პასუხობს: „არა! არა! მე ვარ პირველი!“ ლიფაფას ღიმილი უწყდება, უჩინარი ხდება, მხრებს იჩეჩს. ლილიპუტი დედოფლის სახეზე თავშეუკავებელი მრისხანება ჩნდება


www.PDF.ChiaturaINFO.GE

და შეურაცხყოფისთვის ემზადება; ტუჩები მომაკვდინებელ გესლს ესვრიან ლიფაფას: „როგორ გაბედე და ამ მუჰალაში მოხვედი! მე სენ გიცნობ: მამაცემი გიცნობს, ყველა გიცნობს, რომ სენ ინდუსი ხარ!!“

ლიფაფა დასი ჩუმად დგას და თავისი ყუთის სახელურებს აბრუნებს; მაგრამ ახლა ეს პონისკუდიანი და ცალწარბიანი ვალკირი[1] მონოტონურად იწყებს ძახილს: „ინდუსი! „ინდუსი!“ და მსუქანი ხელით მიანიშნებს ლიფაფაზე. თეთრებში გამოწყობილი სკოლის მოსწავლე ბიჭებიც, გველისებრი ბალთები რომ უკეთიათ, მას უერთდებიან: „ინდუსი, ინდუსი!“ ფარდა იხსნება, გოგონას მამა ფანჯრიდან იხრება და მათ უერთდება, შეურაცხყოფას ესვრის ახალ მსხვერპლს, მერე მათ ბენგალელებიც უერთდებიან.. „დედებისა და ქალიშვილების მხრწნელი!“ და გაიხსენეთ, რომ გაზეთებიც წერდნენ იმაზე, რომ მუსლიმ ბავშვებს იტაცებენ და აუპატიურებენ; და უცებ ქალის ხმა წივის; შეიძლება სულელი ზორა იყოს: „გამრყვნელო! ღმერთო ჩემო, ბანდიტი იპოვეს და ეს ის არის!“ ახლა შეშლილი ღრუბელი, გაშვერილ თითს რომ ჰგავს და მთელი ეს დროში აცდენილი რეალობა იპყრობს მუჰალას, წივილ-კივილი ექოსავით მოდის ყოველი ფანჯრიდან; სკოლის მოსწავლე ბიჭუნების მიერ დაწყებული მონოტონური შეძახილი ისმის: „მრყვნე-ლი! მრყვნე-ლი! მრყვნე-მრყვნე-მრყვნე-ლი!“ ბავშვებმა სინამდვილეში არც იციან, ეს სიტყვა რას ნიშნავს; ისინი გაუნაპირდნენ ლიფაფა დასს და ისიც იძვრის, მიათრევს თავის ბორბლიან ყუთს, ცდილობს მათ გაექცეს, მაგრამ ახლა სისხლით სავსე ხმები გარს შემოერტყნენ და ქუჩის მაწანწალებიც მისკენ იძვრიან, კაცები მოტოციკლეტებიდან ჩამოდიან, ქვაბი ჰაერში მიფრინავს და ლიფაფას გვერდით კედელზე იმსხვრევა; ლიფაფა ზურგს კარზე აყრდნობს. უცებ ერთი ახალგაზრდა კაცი, ჭუჭყისგან გაზინთულ-გადალოკილი თმა რომ აქვს, ტკბილად ულიმის ლიფაფას და ეუბნება: „აჰ, ბატონო, მაშასადამე, ეს თქვენ ხართ, არა? ბატონი ინდუსი, ჩვენს ქალიშვილებს რომ აუპატიურებს, ბატონი კერპთაყვანისმცემელი, საკუთარ დაიკოსთან რომ სძინავს!“ და ლიფაფა დასი შტერივით იღიმება. „არა, ბატონო, ღვთის გულისა“. უცებ კარი იღება, ლიფაფა უკან იქცევა და დედაჩემის, ამინა სინაის ბნელ, ცივ დერეფანში ხვდება.

---

[1] *ვალკირიები (გერმ., ძვ. სკანდინავ.) — სკანდინავიურ მითოლოგიაში: მეომარი ქალღმერთები (ღმერთ ოდინის შვილები), რომლებიც ომს წარმართავენ. ხოლო ომში დაღუპული ვაჟკაცების სულები მიჰყავთ ვალჰალაში (ღმერთ ოდინის სასახლე, სადაც ცხოვრობენ ბრძოლაში დაღუპულ გმირთა სულები) და იქ ემსახურებიან, ალხენენ მათ*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი დილა დედაჩემმა მარტო გაატარა ისე, რომ ყურში სულ ზორას ხითხითი და სიტყვა „რავანას“ ექო ჩაესმოდა. არ იცოდა იქ, საბრალოს მამულში რა მოხდა და ფიქრი მთლიანად იმაზე შეაჩერა, თუ როგორ შეიშალა მთელი საქმარო; როცა წვილ-კვილი ატყდა და ამ წვილ-კვილს ზორას ხმაც შეუერთდა (იმას მაინც ვერავინ გააჩერებდა), დედაჩემში რაღაც მოხდა, ქვასავით გამაგრდა და უცებ გაიაზრა, რომ მამამისის შვილი იყო. აჩრდილივით თვალწინ დაუდგა ნადირ-ხანი, ნახელარმთვარისებურ დანებს რომ ემალებოდა სიმინდის ყანაში. უცებ დედას ცხვირის ნესტოები გაულიზიანდა და ქვევით ჩავიდა, რომ სიცოცხლე გადაერჩინა. ზორა უკიოდა: „რას აკეთებ დაიკო, ის შეშლილი მხეცი უნდა იხსნა? ღვთის გულისათვის, აქ არ შემოუშვა, სრულ ჭკუაზე ხარ?“ დედაჩემმა კარი გააღო და ლიფაფა დასი იატაკზე დაეცა.

წარმოიდგინეთ დედაჩემი იმ დილით: ბრბოსა და მის მსხვერპლს შორის როგორც ბნელი აჩრდილი, ისე გაწვა. მისი საშო ჯერაც უთქმელი და უხილავი საიდუმლოთი ფეთქავს და თითქოს იძახის: „ვაჰ, ვაჰ“; დედა ბრბოს ტაშს უკრავს: „რა მაგრები ხართ! თქვენ გენაცვალეთ, გმირებო! მხოლოდ ორმოცდაათი კაცი ამ ერთი საზიზღარი მონსტრი ბიჭის წინააღმდეგ! ალლაჰ, თვალები სიამაყით მიბრწყინავს“.

...ზორა გასძახის: „დაბრუნდი, დაიკო!“ ჭუჭყისგან გაზინთლული თავი ეუბნება: „ამ კრიმინალს იცავთ, პატივცემულო ქალბატონო? არ იქცევით სწორად“. ამინა ეუბნება: „მე ვიცნობ ამ კაცს. წესიერი კაცია. წადით, მოშორდით აქაურობას, საქმე არა გაქვთ? მაჰმადიანთა უბანში კაცს მხეცებივით უნდა მიახტეთ და დაგლიჯოთ? წადით, გაეცალეთ აქაურობას“. მაგრამ ბრბოს გაოცების ტალღა მოშორდა და ახლა ისევ წინ მოიწევს... „მომისმინეთ, — ყვირის დედაჩემი, — კარგად მომისმინეთ. მე ორსულად ვარ, ბავშვი მეყოლება, მომავალი დედა ვარ და ამ კაცს თავშესაფარს ვაძლევ; ახლა მოდით და მომკალით, მოკალით დედა და მსოფლიოს დაანახვეთ, რა ვაჟკაცებიც ხართ!“

აი, ასე გამოცხადდა საჯაროდ, მთელი ხალხის წინაშე, რომ მე, სალემ სინაი, მოვევლინებოდი ამ ქვეყანას. მამაჩემმაც კი არ იცოდა ეს ამბავი. იმ წუთიდან, რა წუთშიაც ჩავისახე, როგორც ჩანს, საზოგადო საკუთრება გავხდი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედა, თუმცა სწორად მოიქცა, როცა საჯარო განაცხადი გააკეთა, მაგრამ შეცდა კიდეც. შეცდა, რადგან ბავშვი, რომელსაც მუცლით ატარებდა, მისი შვილი არ გამოდგა.

დედა დელიში ჩამოსვლისთანავე გულმოდგინედ მუშაობდა იმ საკითხზე, რომ ქმარი ჰყვარებოდა; ზორამ, იმ დილის საუზმემ და ფეხის ხმამ ხელი შეუშალა, რომ ქმრისთვის ახალი ამბავი ეცნობებინა. გაიგონა შეძახილები, გააკეთა საჯარო განაცხადი და ამან გაჭრა. ჩემმა გამოცხადებამ ერთი კაცის სიცოცხლე იხსნა.

ხალხი რომ წავიდ-წამოვიდა, ბებერი მებარგული მუსა ქუჩაში გავიდა და ლიფაფას ბორბლიანი ყუთი გამოიხსნა. ამასობაში ლამაზლიმილიანი ამინა წყალგარეული ციტრუსის წვენით სავსე ჭიქას ჭიქაზე აწვდიდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც გადატანილმა განსაცდელმა არა მარტო წყლისგან გამოწრიტა, არამედ როგორც ჩანს, სიტკბოც გამოაცალა, რადგან ყოველ მიწოდებულ ჭიქაში ოთხ კოვზ შაქარს იყრიდა. შეშინებული ზორა საკარძელში მიკუჭულიყო; და ბოლოს ლიფაფა დასმა თქვა (ციტრუსის წვენმა წყლის მარაგი შეუვსო, შაქარმა კი დაატკბო): — კეთილო ქალბატონო, თქვენ დიდი ადამიანი ხართ. თუ ნებას დამრთავთ, სახლს დავლოცავ; დაგილოცავთ შვილს, რომელიც ჯერ არ დაბადებულა და კიდევ, ერთ რამეს გავაკეთებ თქვენთვის, თუ ნებას მომცემთ“.

„მადლობელი ვარ, — უთხრა დედაჩემმა, — მაგრამ თქვენ არა ხართ ვალდებული, რამე გამიკეთოთ“.

მაგრამ კაცმა ისევ გააგრძელა (შაქრის სიტკბო ენაზე მოედო): „ჩემი ბიძაშვილი, შრი რამრამ სეთი დიდი წინასწარმეტყველია, კეთილო ქალბატონო! ვარსკვლავთმრიცხველიც არის, ხელისგულზეც კითხულობს და ბედზეც მკითხაობს. თქვენ რომ მასთან წამოხვიდეთ, თქვენი შვილის მომავალს გაგიმჟღავნებთ“.

მკითხავებმა 1947 წლის იანვარში მიწინასწარმეტყველეს. დედაჩემს მკითხავის ჯილდო ერგო წილად იმისთვის, რომ სიცოცხლე იხსნა. და მიუხედავად იმისა, რომ ზორამ ასე უთხრა: „არ გაგიჟდე და ამ კაცს არ გაჰყვე, ამინა დაიკო, ამ სისულელეზე წამითაც არ დაფიქრდე, ახლა ძალიან საშიში დროა“; მიუხედავად იმისა, რომ მამამი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სის სკეპტიციზმი ახსოვდა და ისიც, ცერა და საჩვენებელი თითებით მაწანწალა ბავშვს ყური რომ აუწია; მიუხედავად ყველაფრისა, ლიფაფას შემოთავაზებამ პირდაპირ გული შეუძრა და „კი, წამოვალო“, — ათქმევინა. მომავალი დედობის მოლოდინით თავადაც შეძრულმა და გაოცებულმა, რაც ცოტა ალოგიკურიც არის, რადგან თვითონაც ახლა, ეს-ესაა დარწმუნდა, რომ დედა უნდა გამხდარიყო, ლიფაფას უთხრა: „კარგი, რამდენიმე დღეში რედ ფორტის[1] კარიბჭესთან შეგხვდები და წამიყვანე იმ შენს ბიძაშვილთან“.

„მე ყოველდღე დაგელოდებით“, — ვედრებად შეაერთა ხელისგულები ლიფაფამ და წავიდა.

ზორა ისე გაოგნდა, რომ როცა აჰმედ სინაი მოვიდა, მხოლოდ თავი გადააქნია და თქვა: „ამ ახალდაქორწინებულებს ჭკუა არ მოგეკითხებათ, გიჟები ხართ; ახლა წავალ და თქვენ კიდევ შეასკდით ერთმანეთს!“

მუსას, ბებერ შიკრიკსაც არაფერი უთქვამს. ის ჩვენი ცხოვრების მილმა უფერულად და შეუმჩნევლად ცხოვრობდა, გარდა ორი შემთხვევისა. ერთი, როცა ჩვენგან წავიდა და მეორე, როცა დაბრუნდა, რომ შემთხვევით მსოფლიო გაენადგურებინა.

## მრავალთავიანი ურჩხულები

თუ, რასაკვირველია, არ არსებობს შემთხვევა, რომლის წყალობითაც ბებერი მსახური მუსა დროის ბომბად იქცა, ნელ-ნელა რომ წიკწიკებდა, სანამ მისი დრო არ მოვიდა; ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა წამოვდგეთ და ოპტიმისტური და მხიარული შეძახილებით ავავსოთ ერთმანეთი, რადგან თუ ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი, მაშინ ჩვენ, ყველას მიზანი გვქონია, არ შეგვეშინდება, ჩვენს არსებობას შემთხვევითობას არ მივაწერთ და კითხვა „რატომ“ არ შეგვაწუხებს; მაგრამ თუ ეს ასე არ არის, მაშინ პესიმისტებივით აქვე და ახლავე უნდა ხელი ავიღოთ ყველაფერზე, თუ გვესმის, რომ ფიქრიც, გადაწყვეტილებაც და ქმედებაც უაზრობაა და მეტი არაფერი. რა აზრიც

[1] *რედ ფორტი (ჰინდ. ლალ-კილა) — დელის, მოგოლების დიდი ეპოქის დროინდელი ისტორიული ციტადელი. მშენებლობა დაიწყო შაჰ ჯახანმა 1639 წლის 16 აპრილს, რომელმაც აგრიდან შაჰჯახანაბადში გადმოიტანა დედაქალაქი. მშენებლობა 1648 წლის იმავე დღეს — 16 აპრილს დასრულდა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა გავიგლოთ თავში, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება; საგნები იქნებიან ისე, როგორც იქნებიან! მაშ, სად არის ოპტიმიზი — ბედში თუ ქაოსში? რა მდგომარეობაში იყო მაშინ მამაჩემი, ოპტიმისტურად იყო განწყობილი თუ პესიმისტურად, დედამ რომ ახალი ამბავი უთხრა (მაშინ, როცა სამეზობლოში უკვე ყველამ იცოდა). მამამ ასე უპასუხა დედას: „ხომ გეუბნებოდი, დროის საკითხია-მეთქი". დედაჩემის ორსულობაც, როგორც ჩანს, ბედი იყო; თუმცა ჩემი დაბადება შემთხვევის ბრალი უფროა.

„დრო სჭირდებოდა", თქვა მამაჩემმა და სახეზე სიამოვნება გამოეფინა; მაგრამ დრო, ჩემი გამოცდილებით, არამყარი რამეა, რომელსაც ვერ დაეყრდნობი. დრო ერთიც არაა: პაკისტანში საათები 30 წუთით უსწრებენ წინ მათ ინდურ თანამეწყვილეებს... ბატონ ქემალს, რომელსაც გაყოფასთან არ უნდოდა რამე საერთო ჰქონოდა, ამის თქმა უყვარდა: „აი, გეგმის ცდომილება! ისინი მთელი ოდაათი წუთით წინ გარბიან! დრო ყოველგვარი დაწიწილაკების გარეშე უნდა არსებობდეს", ს. ფ. ბათმა კი თქვა: „თუ დროს ყველა თავის ჭკუაზე ცვლის, მაშინ ნამდვილი დრო როგორ გავიგოთ, სად არის ჭეშმარიტება?"

ეტყობა, ის დღე მნიშვნელოვანი კითხვების დასმის დღე იყო. მე ს.ფ. ბათს იმ ძნელბედითი წლების შემდეგ ვუპასუხებ. მას შემდეგ, რაც მას ერთ-ერთი ასეთი აჯანყებისას, სწორედ გაყოფის თემას რომ ეხებოდა, ყელი გამოსჭრეს და დროისადმი ინტერესი სრულიად წარუხოცეს. არ არის აუცილებელი რეალობა და სინამდვილე ერთი და იგივე იყოს. სინამდვილე ჩემთვის ჩემს ბავშვობაში მერი პერეირას მიერ მოთხრობილ ამბებში იმალებოდა. მერი — ჩემი ძიძა, მეტ-ნაკლებად დედაც იყო ჩემთვის; მერი ყველა ჩვენგანს კარგად იცნობდა. სინამდვილე იმ ჰორიზონტს მიღმა იმალებოდა, ჩემი ოთახის კედლის სურათზე რომ იყო გამოსახული და მეთევზე რომ მისკენ თითს იშვერდა, როლი კი მის ამბებს უსმენდა მეორე სურათიდან. ახლა კუთხის მოშვერილი ნათურის სინათლეში ამას რომ ვწერ, სინამდვილეს იმ ადრეული წლების ამბებს ვატოლებ და ვაზომებ: ასე მოჰყვებოდა მერი ამ ამბებს? ვკითხულობ მე. ამას იტყოდა ის მეთევზე, სურათზე რომ არის?.. იმ სტანდარტების მიხედვით ვერ უარყოფ სიმართლეს, რომ 1947 წლის იანვრის ერთ დღეს დედაჩემმა ჩემ შესახებ ყველაფერი გაიგო, ექვსი თვით ადრე, სანამ გავჩნდებოდი, ამასობაში მამაჩემი დემონთა მეფეს პირისპირ შეეჯახა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამინა სინაი შესაფერის მომენტს ეძებდა ლიფაფა დასისთან შესახვედრად; მას შემდეგ, რაც ინდიაბაიქის ქარხანა დაიწვა, აჰმედ სინაი ორი დღე სახლიდან არ გასულა და არც თავისი სამსახურისთვის მიუკითხავს კონოტში, გეგონებოდა, რაღაც უსიამოვნო შეხვედრისთვის ემზადება და თავს იკაჟებსო. ორი დღის განმავლობაში იდო იდუმალი ნაცრისფერი ფულის ჩანთა თავის ადგილზე მათი საწოლის ქვეშ. მამაჩემს სურვილი არ გამოუმჟღავნებია, რომ იმ ჩანთის არსებობის მიზეზებზე ესაუბრა; ამინა თავის თავს ეუბნებოდა: „დაე, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, სულ არ მედარდება“. მასაც ხომ ჰქონდა თავისი საიდუმლო, რომელიც მოთმინებით ელოდა რედ ფორტის კარიბჭესთან ჩანდი ჩოკის ბოლოში. ჩუმად იბზუებდა ტუჩებს და მიზეზიანობდა, რადგან ლიფაფა დასის არსებობა არ უნდოდა გაემჟღავნებინა. „სანამ არ მეტყვის თავისას, მე რაღატომ უნდა ვუთხრა ჩემი საიდუმლო?“ ბჭობდა თავისთვის.

და მერე, იანვრის ერთ ცივ საღამოს აჰმედ სინაიმ თქვა: „ამაღამ უნდა გავიდე“. დედა ეხვეწა, არ წახვიდე, ცივა, ავად გახდებიო... მიუხედავად ამისა, მამამ ჩაიცვა სამუშაო სამოსი და ზევიდან პალტო მოისხა, რომლის შიგნიდან ეს საიდუმლო ნაცრისფერი ჩანთა სასაცილოდ გამოიბზიკა; დედამ უთხრა: „თბილად ჩაიცვი“, და გააცილა ამ კითხვით: „დაგაგვიანდება?“, რომელზეც მამამ უპასუხა: „კი, უეჭველად დამაგვიანდება“. მამა წავიდა თუ არა, ხუთი წუთის შემდეგ ამინა სინაი რედ ფორტისკენ მიმავალ თავგადასავლებით სავსე გზას გაუდგა.

ერთი გზა ფორტიდან დაიწყო, მეორე ფორტთან უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არ დასრულდა. ერთმა გზამ მომავალი იწინასწარმეტყველა, მეორემ გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მოხაზა. ერთ გზაზე მაიმუნები სასაცილოდ ცეკვავდნენ, მეორეზე კი ერთი მაიმუნი ცეკვავდა, მაგრამ ამან სავალალო შედეგი გამოიღო. ორივე თავგადასავალში სვავები მონაწილეობდნენ და ორივე გზის ბოლოში მრავალთავიანი მონსტრები იყვნენ ჩასაფრებული.

ჯერ ერთზე ვისაუბროთ მაშინ... და ამინა სინაი რედ ფორტის მაღალი კედლის ძირში დგას. სწორედ აქედან მართავდნენ დიდი მოგოლების იმპერატორები. სწორედ ამ სიმაღლიდან გამოაცხადებს ახალი ერი თავისი არსებობის დასაწყისს... ახლა აქ, ამინასთან, არც მონარქი მოსულა და არც მაცნე, თუმცა დედაჩემს მაინც სითბო ხვდება



www.PDF.ChiaturaINFO.GE

(ამინდის მიუხედავად); დღის უკანასკნელი ჩამავალი სხივის ფონზე ლიფაფა დასი აღტაცებული შესძახის: „კეთილი ქალბატონო, იცით რა კარგია, რომ მიხვედით!" მუქკანიანი დედაჩემი, რომელსაც თეთრი სარი მისავს, თავს უქნევს ლიფაფას და ტაქსისკენ მიაყვავს; ლიფაფა უკანა კართან მიდის, მაგრამ მძღოლი ლანძღვით ეუბნება: „ვინა ხარ? ვინა ხარ? რას ფიქრობ ხეტავი? წინ დაჯექი, ეშმაკმა წაგილოს და ქალბატონი უკან დასვი!" ამინა შავი ბორბლებიანი ყუთის გვერდით ჯდება, ლიფაფა კი ბოდიშს იხდის: „მაპატიეთ, კეთილო ქალბატონო, კეთილი განხრახვა მქონდა, ცუდად არ მიიღოთ".

ახლა, აგერ მეორე ტაქსია, რომელიც თავის ჯერს არ ელოდება, სხვა ციხესიმაგრის გარეთ რომ შეჩერდა და სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი სამი მამაკაცი გადმოსვა, თითოეული მძიმე ნაცრისფერ ჩანთას მალავს პალტოს ქვეშ... ერთ-ერთი ჭოკივით გრძელია და ფოთოლივით სიფრიფანა. მეორეს, როგორც ჩანს, ხერხემალი არა აქვს, და შესამეს, ქვედა ტუჩი წინ გამოუგდია და მუცელი ისე გასოვებია, გეგონება, უნდა გასკდესო, თმის ნაწილი გასცვენია და ნაწილი ისეთი ჭუჭყიანია, ჭიებივით ჰკიდია ყურებზე: ამ კაცის წარბებშორის ჯერ კიდევ ძლივს შესამჩნევი ხნულისმაგვარი ნაოჭია, რომელიც მერე, ასაკის მატებასთან ერთად გაღრმავდება და გაბოროტებული კაცის ნიარევად იქცევა. ტაქსის მძღოლი ცივი ამინდის მიუხედავად, შესანიშნავ ხასიათზეა: „ყველანი გადმოდით, გთხოვთ! ძველ ციხესიმაგრესთან ვართ!"...აქ იყო უამრავი ქალაქი. ეს ძველი ციხესიმაგრე, ახლა რომ შავ ნანგრევებად ქცეულა, ისეთი უხსოვარი დროის დელია, რომ იმასთან ძველი ქალაქი ჩვილ ბავშვად მოგეჩვენება. სწორედ ამ ნანგრევებთან და ამ დაუჯერებლად უხსოვარი დროის ადგილას მოიყვანა ქემალი, ბათი და აჰმედ სინაი ანონიმურმა ტელეფონის ზარმა, რომელშიც ბრძანება გაისმა: „ამაღამ. ძველ ციხესიმაგრესთან. შუბის ჩასვლისას გელოდებით. არავითარი პოლიცია, თორემ საწყობს ცეცხლი შეეკამს!" ჩაავლეს თავის ნაცრისფერ ჩანთებს ხელი და ეს სამი მამაკაცი უძველესი, ჩამოშლის პირას მყოფი სამყაროსკენ მიემართება.

...თავის ჩანთაზე ხელჩავლებული დედაჩემი ზის ბორბლიანი ყუთის გვერდით, ლიფაფა დასი კი წინ, — შეცბუნებული და ბრაზიანი მძღოლის გვერდით და პედლებს მასთან ერთად ატრიალებს. ტაქსი მთავარი ფოსტის შენობის მეორე მხარეს მიემართება. შედის მოკირწყლულ ქუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაზე, სადაც სიღატაკეს ასფალტი ისე ამოუჭამია, როგორც გვალვას მიწა. აქ ხალხი უჩინარ, შეუმჩნეველ ცხოვრებას ეწევა (მათაც ლიფაფა დასის უჩინარობის წყევლა დაჰყვათ. ყველას კი არა აქვს ლამაზი ლიმილი); და აქ რაღაც უცხო მოქმედებს ამინა სინაიზე. ამ ქუჩებმა, რომლებიც ყოველ წუთსა და მტკაველში ვიწროვდებიან, დედას „ქალაქის თვალები“ დააკარგვინეს. როცა ქალაქის თვალებით იყურები, მაშინ ვერ ხედავ უჩინარ ხალხს, სპილოსდაავადებიან მამაკაცებსა და ვაგონებში შეყუჟულ მათხოვრებსაც ვერ ამჩნევ და წყალსაწრეტების ცემენტის მონაკვეთიც სასაფლაოდ არ გეჩვენება. დედამ ქალაქის თვალები დაკარგა და ახლა გაწითლდა იმის გამო, რასაც უყურებდა. ამ სანახაობამ მოვარდნილი ქარაშოტივით ლოყები დაუჩხვლიტა და აუწითლა. შეხედე და დაიჯერე... გოგონები, მთლად ბავშვები ძუძუებს იშიშვლებენ! რა საშინელებაა, ღმერთო! ღმერთო დაგვიფარე, შეხედე მხვეტავ ქალებს — ღმერთო რა საშინელებაა — კუზიანი ხერხემალი აქვთ; ტოტების გროვა და არავითარი ნიშანი; ხელშეუხებლები, დიდო ალაჰ!.. და ყველგან ინვალიდები, რომლებიც საყვარელმა მშობლემა დაასახიჩრეს, რომ მთელი ცხოვრება მათხოვრობის გასამრჯელო უზრუნველყოფილი ჰქონდეთ... დიახ, მათხოვრები ვაგონებში, მოზრდილი კაცები, რომლებსაც ჩვილი ბავშვის ფეხები აქვთ და ინვალიდის ბორბლებიანი ყუთებით დაგორავენ. ეს ბორბლებიანი ყუთები გადაყრილი ციგებისა და ძველი მანგოს ყუთებისგანაა გაკეთებული. დედა ყვირის: „ლიფაფა დას, უკან მოიხედე!“ მაგრამ ლიფაფა ლამაზად იღიმის და ამბობს: „უნდა გავეცალოთ აქაურობას“. დედა ხედავს, რომ უკან ველარ დაბრუნდებიან და ტაქსის მძღოლს მოიცადეო, ეუბნება; გაბრაზებული ტაქსის მძღოლი პასუხობს: „ჰო, რა თქმა უნდა, ამ დიდ ქალბატონს მეტი რა საქმე აქვს მოცდის გარდა, და როცა მოხვალთ ჩემი მანქანა უკანა სვლით უნდა ვატარო მთავარ გზამდე, რადგან აქ ადგილი არც არის, რომ მოვაბრუნო!“ ბავშვები დედას სამოსზე ექაჩებიან, ყველა მას უყურებს. დედა კი ფიქრობს, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საზიზღარმა გველეშაპმა შემიპყრო, რომელსაც ყველგან თავები აქვსო. მაგრამ უცებ თავის თავს უსწორებს: არა, რა გველეშაპი, ეს საცოდავი, საცოდავი ხალხი! — და მერე რა? ეს ხალხი რაღაც ძალას წარმოადგენს, ისე, რომ თავისი სიძლიერის შესახებ თვითონაც არ იცის, და რომელიც დეგრადირდა, იმპოტენტი გახდა, რადგან ეს ძალა არასოდეს უწვრთნია და გამოუყენებია... არა, ეს ხალხი დეგრადირებული არ არის, მიუხედავად ყველაფრისა. „მეშინია“ და დედაჩემი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიქრმა გაიტაცა. უცებ ვილაცის ხელი მკლავზე ეხება. შემობრუნდა და — დაუჯერებელია — წინ თეთრი კაცი უდგას, რომელიც ჩამოკონკილ ხელს უწვდის და უცხოური სიმღერის ხმაზე ეუბნება: „კეთილო ქალბატონო, რამე მომეცით“. და იმეორებს და იმეორებს ჩახვეულ კასეტასავით. დედა კი უხერხულად უყურებს თეთრ სახეში. კაცს გრძელი წამწამები და მოხრილი არისტოკრატრიული ცხვირი აქვს. დედამ უხერხულობა იგრძნო, რადგან მათხოვრობა თეთრი კაცებისთვის არ გაჩენილა. „კალკუტიდან მთელი გზა ფეხით ვიარე, — ამბობდა თეთრი კაცი, — და არარაობად ვიქეცი, როგორც ხედავთ, კეთილო ქალბატონო! მრცხვენია, რომ იქ მკვლელობისთვის ვიჯექი... გახსოვთ ალბათ გასული წლის აგვისტო, კეთილო ქალბატონო, ოთხ დღეში რომ ათასობით ადამიანი დახოცეს დანით“. ლიფაფა დასი უმწეოდ დგას მათ გვერდით და არ იცის, თეთრ კაცთან როგორ მოიქცეს, თუნდაც მათხოვარი იყოს... „ევროპელის შესახებ თუ გსმენიათ?“ — კითხულობს მათხოვარი, „...ხო, მკვლელებს შორის იყო, კეთილო ქალბატონო, ქალაქის ქუჩებში დადის, ღამღამობით. სისხლიანი პერანგი აცვია, თეთრი კაცია, არანორმალური და შეშლილი, თავისმაგვართა მოსვლის ამაოებით გახელებული, გსმენიათ?“ ...შემდეგ მის დაბნეულ მღერისმაგვარ ხმაში პაუზა გამოკრთა და მერე: „ის ჩემი ქმარი იყო“, დედამ ახლაღა შეამჩნია კონკებში ჩახშული მკერდი... „რამე მომეცით ჩემდა სასირცხვილოდ“, — მათხოვარი მკლავში ექაჩება. ლიფაფა დასი დედას მეორე მკლავში ექაჩება და ჩურჩულით ეუბნება: — ტრანსვესტიტია, წავიდეთ, ქალბატონო! ამინა კი, რომელსაც ორივე მხრიდან ექაჩებიან, წყნარად დგას და უნდა თქვას: — მომიცადე, თეთრო ქალო, ჩემს საქმეს მოვითავებ, და მერე შინ წაგიყვან. გაჭმევ, ჩაგაცმევ, უკან გაგიშვებ შენს ქვეყანაში... მაგრამ უცებ ქალი მხრებს იჩეჩს და ხელცარიელი მიდის ვიწრო ქუჩით, თანდათან პატარავდება და აი, ახლა გაქრა შუკის შორეულ კუნჭულში. ლიფაფა დასს სახეზე უცნაური გამომეტყველება აქვს. „ისინი დამთავრდნენ, მათი საქმე წასულია! მალე ყველა წავა და ჩვენ თავისუფლად დავხოცავთ ერთმანეთს“. დედა მუცელზე იდებს ხელს და ლიფაფას მიჰყვება ბნელ კარში, სახეზე კი ცეცხლი უკიდია.

...ამასობაში ძველ ციხესიმაგრესთან აჰმედ სინაი რავანას ელოდება. მზე ჩასულა და მამაჩემი ბნელ კართან დგას. ეს კარი ერთ დროს ციხესიმაგრის ოთახის კარი იყო. მამას ქვედა ტუჩი წინ წა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოსელია კარგა გვარიანად, ხელები ზურგზე დაუწყვია, თავი კი ფულით გაუტენია და აწუხებს. მამა ბედნიერი არასოდეს ყოფილა. მას ყოველთვის წარუმატებლობის სენი მოსდიოდა. იგი ცუდად ექცეოდა მსახურებს; შეიძლება იმაზე ოცნებობდა, რომ ცხონებული მამამისის ტყავის ბიზნესის გაძღოლას საკუთარი ამბიციის გამოდევნება ერჩივნა, რომ ყურანი ქრონოლოგიური წესის მიხედვით დაელაგებინა (ერთხელ მითხრა: „როცა მუჰამედი წინასწარმეტყველებდა, ხალხი ხის ფოთლებზე იწერდა მის ნათქვამს და არეულად ინახავდა ყუთში. მუჰამედი რომ გარდაიცვალა, აბუბექრმა და სხვებმა სცადეს სწორი თანამიმდევრობა გაეხსენებინათ, მაგრამ ალარ ახსოვდათ, მეხსიერებამ უღალატა“. შემდეგი შეცდომა ის იყო, რომ იმის ნაცვლად, წმინდა წიგნი გადაეწერა, მამაჩემი ნანგრევებს ჩაუსაფრდა დემონების მოლოდინში. და რა გასაკვირია, რომ არ იყო ბედნიერი; მეც ვერაფერი ვუშველე, რომ დავიბადე, ფეხის ცერი მოუტეხე).

...ჩემი უბედური მამა, ვიმეორებ, ცუდ ხასიათზეა ფულის გამო. ცოლის გამო, რუპიებს მოფერებით რომ ცანცლავს და ღამღამობით მის ჯიბეებში რომ იჩხრიკება. ყოფილი ცოლის გამო (რომელიც მოგვიანებით შემთხვევით გარდაიცვალა, აქლემშებმული ეტლის ძძღოლს რომ ედავებოდა და კისერში აქლემმა უკბინა), ახლა გაუთავებლად რომ უგზავნის წერილებს და პატიებას სთხოვს იმის მიუხედავად, რომ უკვე განქორწინდნენ; მისი შორეული ბიძაშვილის, ზორას გამო, რომელიც სამზითვო ფულს სთხოვს, რომ შვილები გაზარდოს, შემდეგ მის შვილებზე დააქორწინოს და ამით მის ჯიბეს უფრო კარგად ჩაძოეკიდოს. მაიორი ზულფიკარიც ფულს ჰპირდება (ამ ეტაპზე, მაიორი ზულფი და მამაჩემი კარგ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან). მაიორი წერილებს სწერდა, სადაც ამბობდა: „შენ პაკისტანს უნდა თანაუგრძნო, როცა ამის დრო მოვა და ამის დრო კი ნამდვილად მოვა. ეს ქვეყანა ოქროს საბადოა ჩვენისთანა კაცებისთვის. ნება მიბოძე, გაგაცნო თავად მ. ა. ჯ“., მაგრამ აპმედ სინაის მუჰამედ ალი ჯინასი[1] არ სჯეროდა და ზულფის შემოთავაზებაზე უარს ეუბნებოდა. როცა ჯინა პაკისტანის პრეზიდენტი გახდა, მამას თავის მიერ დაშვებულ კიდევ ერთ შეცდომაზე მოუწია ფიქრმა. დაბოლოს, ძველმა მეგობარმა მოსწერა წერილები, გინეკოლოგმა ნარლიკარმა ბომბეიდან. „ბრიტანელები აიყარნენ და მიდიან, სინაი, ძმაო! უძრავი ქონება ჩალის

[1] *მუჰამედ ალი ჯინა (1876-1948) —მუსლიმი პოლიტიკოსი, რომელიც პაკისტანში მიიჩნეოდა ნაციონალური სახელმწიფოს მამად და დამაარსებლად.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფასად იყიდება. ჩამოდი, იყიდე, მთელი დარჩენილი ცხოვრება ფუფუ-ნებაში გაატარე!“ ყურანის ვერსიებისთვის ფულით საკმე თავში ად-გილი არ იყო... და, ამასობაში, აი, ისიც აქ არის ს. ფ. ბათთან ერთად პაკისტანისკენ მიმავალ მატარებელში რომ გარდაიცვლება, და მუს-ტაფა ქემალი, კრიმინალები რომ მოკლავენ თავის გრანდიოზულ სახ-ლში ფლეგსთაფ-როუდზე და გულზე თავისივე სისხლით დააწერენ: „დედის მრყვნელი ყაჩაღი“... ეს ორი განწირული კაცი ნანგრევების იდუმალ ჩრდილში იდგა და ჩასაფრებული ელოდა ფულის შემწერს. „სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, — უთხრეს ტელეფონში, — კოშკს დაინახავთ, შიგნით ქვის კიბეებია. ზემოთ ადით და ფული ყველაზე მაღალ სადგომზე დატოვეთ. მერე წადით. გასაგებია?“ ესენი კი წესებს არ დაემორჩილნენ და ნანგრევების ოთახში იმალებიან; სადღაც მათ თავზე, კოშკის ყველაზე მაღალ მწვერვალზე უკუნ სიბნელეში სამი ნაცრისფერი ჩანთა იცდის.

...ამ უკუნ სიბნელეში ამინა სინაი შენობის უჰაერო სივრცეში ზე-ვით ამავალ კიბეს მიუყვება და მკითხავისკენ მიდის. ლიფაფა დასი აშშვიდებს, რადგან შეამჩნია, ამ ბოთლივით ვიწრო ქუჩაზე ტაქსით რომ მოვიდა და ამ კაცის ანაბარა დარჩა, ახლა ნანობს თავის გადაწყ-ვეტილებას; დასი აშშვიდებს, კიბეზე ასვლისას; ჩაბნელებული კი-ბე სავსეა თვალებით, რომლებიც კარიდან ანათებენ, შავ ქალბატონს უშზერენ და კატის ენასავით უხეშად ლოკავენ; ლიფაფა აშშვიდებს, მაგრამ დედა გრძნობს, რომ სურვილი უქრება. რაც იქნება იქნება, ფიქრობს და ამ კიბის ჩახუთულობა და სიბნელე ღრუბელივით ის-რუტავს მის ძალასა და სიცოცხლის ხალისს. მისი მოდუნებული ფე-ხები უხალისოდ მიჰყვება ლიფაფას. ყველაზე ზემოთა ჩაბნელებულ სართულს მისწვდნენ და მიადგნენ ჩამონგრეულ ოთახებს, რომელშიც ლიფაფა და მისი ნათესავები ცხოვრობენ, შენობის მანსარდაში, ყვე-ლაზე მაღლა... და აქ, ამ სიმაღლეზე ამინა ხედავს მბჟუტავ სინათ-ლეს, რიგში ჩამდგარ ინვალიდებს რომ თავზე ეცემა. „მეორე, ვინც მომყვება, ბიძაშვილო, ჯარაექიმია“, — ეუბნება ლიფაფა დასი. დე-და ჩაუვლის ხელმოტეხილ კაცებს, ფეხმოტეხილ ქალებს, რომელთაც ფეხის ტერფები ისე აქვთ უკან მოღრეცილი, რომ თვალებს არ უჯე-რებს. ჩაუვლის ფანჯრის მწმენდავებს, რომლებიც ფანჯრიდან ჩამოც-ვივდნენ; მშენებლებს, რომლებიც ასევე ჩამოვარდნის შედეგად დაიმ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტვრნენ. ექიმის ქალიშვილი შედის საყარიში, რომელიც შპრიცებსა და ჰოსპიტლებზე ადრინდელია; ბოლოს, ლიფაფა დასი ამბობს: „აი, მოგედით, ქალბატონო", და შეაყოს ოთახში, რომელშიც ჯარაექიმი ხის ტოტებსა და ფოთლებს აკადმეოფს დამსხვრეულ კიდურებზე ადებს; გატეხილ თაყებს გვიმრის ფოთლებით უხვევს. მისი პაციენტები ხელოვნურ ხეებს ემგვანებიან, თითქოსდა მტკიცანი ადგილებიდან კვირტებმა ამოხეთქესო... შემდეგ, მოცემენტებულ სახურავზე ადიან. ამინას ფარნის შუქი თვალს სჭრის და მაინც ამჩნევს სახურავზე რაღაც შეშლილ ფორმებს: მაიმუნები ცეკვავენ; მანგუსტები ხტუნაობენ; გველები კალათებში ირწევიან; მოაჯირზე დიდი ფრინველების სილუეტები მოჩანს, ეს სვავები არიან, სხეულიც ნისკარტიანთ მოღუნული და დაუნდობელი აქვთ.

„ეს სად მომიყვანე?" — ტირის დედაჩემი.

„ნუ ღელავთ, ქალბატონო, გთხოვთ, — ეს ჩემი ბიძაშვილები არიან. ჩემი ნომერ მესამე და მეოთხე ბიძაშვილები, — ის მოცეკვავე მაიმუნია". „ვარჯიშობს, ქალბატონო!" — იძახის ხმა. „შეხედე: მაიმუნი ომში მიდის და თავისი ქვეყნისთვის თავს სწირავს!"

„...და აგერ, აი, გველ-მანგუსტ-კაცი".

„შეხედე, მანგუსტი როგორ ხტუნავს, ქალბატონო! შეხედე კობრა ცეკვავს!"

„არა უშავს, ქალბატონო! აქ ახლოს ზოროასტრთა სიჩუმის კოშკია; და როცა იქ გარდაცვლილები არ ჰყავთ, სვავები აქ მოდიან. ახლა სვავებს სძინავთ; დღისით კი, ჩემი აზრით, ჩემი ბიძაშვილების ყურება უყვართ, თუ როგორ ვარჯიშობენ".

სახურავის შორეულ კუთხეში პატარა ოთახია. ამინა რომ შედის, შუქი კარიდან იღვრება... ოთახში მამაკაცია, მისი ქმრის ასაკისა იქნება, მსუქანია და რამდენიმე ღაბაბი ადევს. აცვია თეთრი, ლაქებიანი შარვალი და წითელი კუბოკრული პერანგი; ფეხშიშველია; ანისულის თესლს ხმაურიანად ღეჭავს და სვამს ბოთლიდან, რომელსაც Vimto აწერია; ფეხმორთხმული ზის ოთახში, რომლის კედლებზე ლმერთ ვიშნუს სურათებია ყველა თავისი მიწიერი განსხვავებით; კედელზე წარწერაა: **როცა რამეს გასწავლიან, მაშინ წერა არ შეიძლება, ხოლო სტუმრად ყოფნისას გადაფურთხება — ორივე ცუდი ჩვევაა. ოთახში არავითარი ავეჯი არ დგას...** შრი რამრაჰ სეთი ფეხმორთხმული ზის და ექვსი მტკავლით ასცილებია იატაკს.

უნდა აღვნიშნო, რომ მისდა სამარცხვინოდ, დედაჩემმა იკივლა...



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამასობაში ძველ ციხესიმაგრეში მყოფი მაიმუნები ქონგურებიდან კოვიან. ნანგრევებად ქცეული ქალაქი, ხალხმა რომ დიდი ხანია მიატოვა, ლანგურების თავშესაფრად იქცა. გრძელკუდიანი და შავსახიანი მაიმუნები ყოველისწამლეკავი მიზნით არიან შეპყრობილნი — ზევით და ზევით მიძვრებიან, ნანგრევების უმაღლეს მწვერვალებზე დახტიან, საკუთარ ტერიტორიებს ნიშნავენ და შემდეგ თავგამოდებით თხრიან და აქუცმაცებენ მთელ ციხესიმაგრეს, ქვას ქვაზე არ ტოვებენ. პადმა, ეს მართლა ასე იყო. შენ იქ არასოდეს ყოფილხარ, არასოდეს მდგარხარ ბინდში და არ შეგიხედავს იმ დაძაბული, თავგამოდებული, ბანჯგვლიანი არსებებისთვის, ქვებს რომ გლეჯენ და ერთმანეთს ახეთქებენ, გლეჯენ და ახეთქებენ, ქვებს ერთმანეთს აცლიან... ყოველდღე მაიმუნების მიერ მოფშვნილი ქვები კედელზე მოგორავს, კუთხეებიდან სხლტება, კლდეებს ეხეთქება და ქვევით ღარტაფებში იმსხვრევა. ის დღეც მოვა, როცა ეს ძველი ციხე აღარ იარსებებს და არაფერი დარჩება დაგოზილი ქვების მეტი, ხოლო მაიმუნები ისევ ტრიუმფულ კოვილს შეაწევენ იმ არაფერს. ...აქ ერთი მაიმუნია, ქონგურებს რომ მისდევს — მე ჰანუმანს დავარქმევ. ჰანუმანი მაიმუნების მეფეს ერქვა, პრინც რამას ნამდვილი რაჯანას დამარცხებაში რომ მიეხმარა. ჰანუმანი მფრინავ ეტლში ზის... შეხედეთ, როგორ უახლოვდება კოშკს — ეს მისი ტერიტორიაა; თავისი სამეფოს კუთხიდან კუთხეში დახტის, დარბის, დაქაქანებს, ზურგს ქვებს აფხანს; შემდეგ ჩერდება, რალაცას ყნოსავს, რაც აქ არ უნდა იყოს... ჰანუმანი დაოთხილი გარბის თალართან, ყველაზე მაღალ სადგომთან, რომელზეც სამმა კაცმა სამი რბილი ნაცრისფერი უცხო საგანი დატოვა. ამასობაში, სანამ მაიმუნები ფოსტის უკან შენობის სახურავზე ცეკვავენ, ჰანუმან-მაიმუნი სიბრაზითა და მრისხანებით ცეკვავს. ნაცრისფერ საგნებს ახტება. რბილი საგნებია და ბევრი წევა და ქაჩვა არ სჭირდებათ... ახლა უყურეთ ჰანუმანს, როგორ მოათრევს ამ რბილ და ნაცრისფერ „ქვებს“ ციხის გარეთა კედლის კიდესთან და უცებ: ფხრიწ! ფხრაწ!.. შეხედეთ, როგორ მარჯვედ და მკვირცხლად იღებს მუჭით ქაღალდს იმ ნაცრისფერი შიგთავსიდან და ქვემოთ გზავნის მოფარფატე წვიმასავით, რომ თითქოს თხრილში ჩაცვენილი ქვები უნდა აბანაოს!.. ფული ზანტი მოხდენილობით ფარფატებს და სიბნელის ხახაში ლამაზ მოგონებასავით ინთქმება; და ახლა, ფეხის კვრა, ბრახუნის ხმა და კიდევ ფეხის კვრის ხმა! სამი რბილი ნაცრისფერი „ქვა“ კიდეზე ვარდება და უკუნეთში მიექანება, და ბოლოს უნუგეშო და სევდისმომგვრელი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტლაშუნი ისმის; ჰანუმანმა საქმე მოათავა თუ არა, ინტერესი დაეკარგა, ახლა თავისი საშეფოს შორეული კოშკურისკენ მიიჩქარის და იქ ქვაზე როკვას იწყებს.

...ამ დროს ქვევით, მამაჩემმა დაინახა საზარელი არსება, რომელიც სიბნელიდან გამოდის. მამამ არაფერი იცის იმ უბედურების შესახებ ზევით, კოშკის თავზე რომ მოხდა. ის ურჩხულს დანგრეული ოთახის სიბნელიდან აკვირდება. არსებას დაძონძილი სამოსი და დემონის თავი აქვს, ქაღალდის მიწებებული სახეებით ყოველ მხარეს რომ იმზირებიან და იღმიჭებიან... ეს რავანას ბანდის წარმომადგენელია, ფულის ამკრები. კაცებს გულები ამოვარდნაზე აქვთ და უყურებენ, როგორ უჩინარდება ეს მოჩვენება შენობის სიღრმეში, კიბეზე რომ ავიდეს და უმაღლესი სადგომიდან ფული აიღოს. რამდენიმე წუთის შემდეგ, ცარიელი ღამის სიჩუმეში ეშმაკის ადამიანური გინება ისმის. „...თქვე დედის მრყვნელებო! სადღაციდან მოთრეულო საჭურისებო“... კაცებს არ ესმით, რა ხდება, მხოლოდ უცნაურ მწვალებელს ხედავენ, როგორ გამოჩნდა, გარბის და სიბნელეში უჩინარდება. თან ილანძღება: „ღორისშვილებო, საკუთარი განავლის მჭამელებო, მამათმავლებო!“ კაცები ყურს უგდებენ ლანძღვას და მერე ზემოთ სვლას იწყებენ, დაბნეულობამ სამივეს საქციელი წაუხდინა; ბათი ნაცრისფერი ჩანთის ნაგლეჯს პოულობს; მუსტაფა ქემალი ფეხს დაკუჭულ რუპიას ადგამს; უცებ, დიახაც, რატომაც არა, მამაჩემი შავ მოუსვენარ მაიმუნს ამჩნევს თვალის კუთხიდან... და მაშინ ყველაფერს ხვდებიან.

ახლა სამივე ღმუის და ბათის გამკივანი წყევლა ეშმაკის გინების ექოდ მოისმის; სამივეს თავში უთქმელი ბრძოლა მძვინვარებს: ფული თუ საწყობი, საწყობი თუ ფული? კაცები ფიქრობენ და მუნჯური სიგიჟის ზღვარზე არიან. ეს გამოცანა, ეს თავსატეხია ახლა მთავარი, მაგრამ მაშინაც კი, თუ იმ ფულს ძალლებისა და ადამიანების შესაჭმელად დატოვებენ, ცეცხლის წამკიდებლებს რა შეაჩერებს? დაბოლოს, არც ერთს სიტყვა რომ არ უთქვამს ისე, ფულის შეუბრალებელმა კანონმა სამივეს სძლია; ისინი ქვის კიბეებზე ჩარბიან, გაირბენენ ბალახიან გაზონებს, დანგრეულ კარიბჭეებს და გიჟივით მიაწყდებიან თხრილს, საიდანაც მუჭებით იღებენ რუპიებს და ჯიბეებში იტენიან, პეშვებით ბღუჯავენ, იქექებიან. შარდის გუბეებსა და დამპალი ხილის ნარჩენებში ხელებს აფათურებენ და სწამთ, სჯერათ,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ამალამ, ო, ღმერთო, მხოლოდ ამალამ, ამ ერთხელ, ამ ერთადერთხელ რაჟანას ბანდას რალაც იღბლად ხელი შეეშლება შურისძიებაში. მაგრამ, რა თქმა უნდა...

...მაგრამ, რა თქმა უნდა, მკითხავი რამრამი მართლა ჰაერში კი არ ლივლივებდა. დედაჩემმა კოვილი შეწყვიტა; მისმა თვალებმა შეამჩნიეს პატარა, კედლიდან გამოწეული თარო. „იაფფასიანი ხრიკია", — უთხრა თავის თავს, ხმამაღლა კი წარმოთქვა: „აქ რა მინდა, ამ ღვთისგან მიტოვებულ ადგილზე, მძინარე სვეტებსა და მოცეკვავე მაიმუნებთან, ნუთუ ამ თაროზე შემჯდარ გურუს უნდა ველოდო, რომელიც ვინ იცის, რა სისულელეებს შეტყვის, ჰაერში სწორედ თარო რომ აჩერებს.

ამინა სინაიმ არ იცოდა, რომ ისტორიაში უკვე მეორედ ვაპირებდი მეგრძნობინებინა მისთვის ჩემი არსებობა (არა, არაკითარი ყალბი თავკომბალა მის მუცელში. მე ჩემზე მოგახსენებთ და ჩემს ისტორიულ როლზე, რომლის შესახებაც პრემიერ-მინისტრები წერდნენ"... ეს, რალაც თვალსაზრისით სარკეა, რომელიც ყველა ჩვენგანს აირეკლავს. იმ ღამით დიდი ძალები მოქმედებდნენ; და ყველა მონაწილე იგრძნობს თავის ძალას და შეშინდება).

ბიძაშვილები — ერთიდან ოცამდე — თავს იყრიან კარში, რომელშიც შავმა ქალბატონმა გაიარა. ქალის კოვილმა ისე მიიზიდა მათი ყურადღება, როგორც სინათლემ პეპლები... წყნარად უყურებენ, როგორ მოდის და ლიფაფა დასი იმ საეჭვო მკითხავისკენ როგორ მოუძღვება. ჯარაექიმი, კობრების მომთვინიერებელი და მაიმუნების ბატონი ჩურჩულით აქეზებენ (და უხეში ხელების მილმა ვილაცამ ხომ არ ჩაიხითხითა?): „ო, რა კარგად გიმკითხავებთ, ქალბატონო!" და მერე: „ო, მოდი, ბიძაშვილო, ქალბატონი იცდის!" მაგრამ, რას წარმოადგენდა ეს რამრამი? ანგარებიანი ვაჭარი იყო, იაფფასიანი მკითხავი, რომელიც მიამიტ ქალებს ასულელებს თუ ნამდვილი ძალების მფლობელი, მაგიის გასაღები რომ ხელთ ეპყრა? რა დაინახა ლიფაფა დასმა დედაჩემში: ქალი, რომელიც ორი რუპიის საფასურის სიყალბეს დასჯერდებოდა თუ ქალი, რომლის ქალური სისუსტის მილმა ლრმა იდუმალება სუფევდა? და როცა მკითხავის ჯერი დადგა, ბიძაშვილებიც ხომ არ გაოცდნენ? პირზე ქაფი ხომ არ მოადგათ? რა გამოვიდა? და მართალი იყო თუ არა ის, რომ დედაჩემმა, რომელიც იმ იდუმალი ღამის გავლენამ მწყობრიდან გამოიყვანა, ხელი აიღო თავის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩვეულებაზე, რომელიც იგრძნო, რომ ისედაც ეცლებოდა იმ ბნელი კიბის ხელის შემხეთვის სიერცეში, და რომელმაც როგორც ღრუბელმა, ისე შეიწოვა მთელი მისი არსება. მაშინ ხომ არ მოხდა დედაჩემში ის გონებრივი ძვრა, რომლის დროსაც ყველაფერი შეიძლება დაიჯერო? და კიდევ, სხვა უფრო საშინელი შესაძლებლობაც არსებობს; მაგრამ, სანამ ჩემს ეჭვს გავახმოვანებ, რაც შეიძლება ზუსტად მინდა აღვწერო, რა მოხდა სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ იმ ამბავს ბუნდოვანების ფქელი ფარდა აქვს ჩამოფარებული. უნდა აღვწერო დედაჩემი, ხელისგული რომ გაუწოდა მოახლოებულ მკითხავს. დედას თვალი არ დაუხამხამებია და თეთრეთით ფართოდ აქვს გახელილი, როგორც ბიძაშვილებს (რომლებიც ხითხითებენ?), „ო, ნეტა იცოდე, რა უნდა გითხრა, ქალბატონო!" „თქვი, ბიძაშვილო, თქვი!" მაგრამ ფარდა ისევ ეშვება და ზუსტად არ ვიცი, იქნებ იაფფასიანი ცირკის მასხარასავით დაიწყო მკითხაობა და ბანალურად დააკავშირა ერთმანეთთან სიცოცხლის ხაზი, გულის ხაზი და ბავშვები, რომლებიც მულტიმილიონერები გახდებიან, და ამის თქმისთანავე ბიძაშვილებმა მხიარული შეძახილებით მიულოცეს: „ვაპ, ვაპ! ნამდვილი მკითხაობის ოსტატი ხარ!" და შემდეგ შეიცვალა თუ არა! უცებ ხომ არ გაქცევდა რამრამი, თვალები ხომ არ გადაატრიალა და კვერცხივით თეთრი ხომ არ გაუხდა? მერე, როგორც ზღაპარშია, სარკესავით უცნაურად ხომ არ ალაპარაკდა და იკითხა: „ნებას მრთავთ ქალბატონო, რომ ამ ადგილს შევეხო?" — ამასობაში კი ალბათ ბიძაშვილებმა მძინარე სვეტებივით გაკმინდეს ხმა, და ხომ არ უპასუხა დედაჩემმა იმგვარადვე უცნაური ხმით: „დიახ, ნებას გრთავთ". ასე რომ, მკითხავი მესამე კაცი ხომ არ აღმოჩნდა, დედას რომ შეეხო მისი ოჯახის წევრების გარდა? და იმწუთას მოკლე და მკვეთრმა ელექტრობამ ხომ არ გაუარა პუტკუნა თითებსა და დედობრივ კანს? კურდღელივით დამფრთხალი დედაჩემი კუბოკრულ პერანგში გამოწყობილ მკითხავს შემინებული უყურებდა. მკითხავმა ტრიალი დაიწყო, თვალები კვერცხივით გადათეთრებული ჰქონდა, სახე მშვიდი; უცებ აცახცახდა და ისევ იმ წვრილი, უცნაური ხმით ამოთქვა, ისე, რომ ტუჩები არც გაურხევია (მისი ტუჩებიც უნდა ამეწერა, მაგრამ ამას მოგვიანებით ვიზამ, რადგან ახლა...): „ბიჭია".

ბიძაშვილები დამუნჯდნენ, ყელსაბამიანმა მაიმუნებმა ხმა გაკმინდეს, კიბრები კალათებში ჩაიგრაგნენ, ხოლო მბრუნავი მკითხავის ტუჩებიდან ისტორია ალაპარაკდა (ასე იყო?). ასე დაიწყო. „ბიჭია...



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისეთი ბიჭია! — და მერე გააგრძელა, — ბიჭია, ქალბატონო, რომელიც საშშობლოზე ბებერი არასოდეს გახდება — არც ბებერი და არც ახალგაზრდა". ნამდვილი შიში იგრძნეს გველების მხიბლავმა, მოცეკვავე მანგუსტმა, ჯარაექიმმა და შავი, ბორბლებიანი ყუთის მეპატრონემ, რადგან რამრამისგან ასეთი რამ არასოდეს სმენიათ. რამრამი კი წვრილი, მომღერლის ხმით განაგრძობს: „ორი თავი ექნება, მაგრამ შენ მარტო ერთს დაინახავ, მუხლები და ცხვირი ექნება, ცხვირი და მუხლები". ცხვირი და მუხლები და მუხლები და ცხვირი... კარგად გაიგონე, პადმა? ის კაცი არაფერში შემცდარა! „გაზეთები აქებენ, ორი დედა ზრდის! მოტოციკლეტისტებს უყვართ, მაგრამ ბრბო გააძევებს! დები იტირებენ; კობრა მიეპარება". რამრამი უფრო სწრაფად და სწრაფად ტრიალებს, ოთხი ბიძაშვილი ბუტბუტებს, „ეს რა არის, ბაბა?" „უფალო შივა[1], დაგვიფარე!" რამრამი განაგრძობს: „დაბანა დამალავს მას, ხმები დაიცავენ მას! მეგობრები დაასახიჩრებენ, სისხლი გასცემს მას!" ამინა სინაი ამბობს, „რას გულისხმობს, ლიფაფა დას, ვერ გავიგე, რა შეუძვრა ამ კაცს?" მაგრამ უკვე გვიანია — თვალებგადატრიალებული რამრამი ქარბორბალასავით ტრიალებს გაშეშებული დედაჩემის ირგვლივ და აგრძელებს: „ჩასაფურთხებელი კასრები თავში ჩასცხებენ, ექიმები ქანცს გააცლიან, ჯუნგლი დაიჩემებს მას, ბრძენნი უკან დაიბრუნებენ მას! ჯარისკაცები გამოცდიან მას, ტირანები ცეცხლზე შეწვავენ". ამასობაში ამინა იხვეწება, აუხსნან ეს სიტყვები. ბიძაშვილები კი უკვე შიშსა და ზაფრას ველარ მალავენ, რადგან რაღაც ძალამ შეიპყრო რამრამი და ვერავინ ბედავს მიეკაროს, უკვე ისე ბრუნავს, რომ თვალიც ვერ ეწევა: „იმას ეყოლება ვაჟები, მათ კი ვაჟები არ ეყოლებათ! ის დაბერებამდე დაბერდება! და სიკვდილამდე მოკვდება".

ასე იყო? მის სხეულში რომ გაიარა, იმ რაღაც უძლეველი ძალით განადგურებული რამრამ სეთი უცებ იატაკზე გაიშხლართა და პირიდან დუჟი გადმოუვიდა? მანგუსტთა მომთვინიერებელმა ჯოხი ჩაუდო მოცახცახე კბილებს შორის? თქვა თუ არა ლიფაფა დასმა: „ქალბატონო უნდა, წახვიდეთ, ჩვენი ბიძაშვილი ავად გახდა".

დაბოლოს, კობრების მომნუსხველმა ან მაიმუნების მომთვინიერებელმა, ან ჯარაექიმმა, ან შავი, ბორბლებიანი ყუთის მეპატრონე ლიფაფა დასმა ხომ არ უთხრეს რამრამს: „გეყოფა, მეტისმეტი

[1] *შივა (სანსკრ.) — ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მკითხაობა გამოგვიდა. ჩვენმა რამრამმა დღეს მეტისმეტად ბევრი იმკითხავა“.

მრავალი წლის შემდეგ, სიბერისგან ნაადრევად გამოჩერჩეტებულ დედას წარსულის აჩრდილები რომ ეწვივნენ და თვალწინ აუცეკვდნენ, კიდევ ერთხელ დაინახა ბორბლებიანი ყუთის მეპატრონე, ჩემი ამქვეყნად მოვლინების გამჟღავნებით რომ სიკვდილს გადაარჩინა. ამ კაცმა კი იმით გადაუხადა, რომ ნამდვილი წინასწარმეტყველება აჩვენა. დედა მას, როგორც ტოლს, ისე ელაპარაკებოდა, ყოველგვარი ზიზღის გარეშე: „დაბრუნდი, არა? მინდა გითხრა, რომ მსურდა მაშინ გამეგო, რას ნიშნავდა შენი ბიძაშვილის სიტყვები — სისხლი, მუხლები და ცხვირი რომ ახსენა, რადგან ვინ იცის? შეიძლება სხვაგვარი შვილი მყოლოდა“.

ბრმა კაცის ობობებით დაფარულ სახლში მცხოვრები ბებიასავით, მერი ჰერეირასავით, თავისი იოსები რომ დაკარგა და ჩემსავით, — დედაჩემი მოჩვენებებს ხედავდა.

...მაგრამ ახლა, რადგან კითხვები და ბუნდოვანებები კიდევ რჩება, ვალდებული ვარ, რაღაც ეჭვები გამოვთქვა. ეჭვიც მრავალთავიანი ურჩხულია; მაშინ რატომ არ ვიცავ დედაჩემს ამ ურჩხულისგან? ...უფრო სწორად, როგორ უნდა აღვწერო მკითხავის მუცელი? მეხსიერება — ჩემი ყოვლისმცოდნე მეხსიერება დედის, მამის, ბებიის, ბაბუის და კიდევ სხვების ცხოვრებას იტევს და პასუხსაც იძლევა: მისი მუცელი პუდინგივით რბილი და ფუმფულა იყო. და ისევ უხალისოდ ვკითხულობ: რა მდგომარეობაში ჰქონდა ტუჩები? პასუხი გარდაუვალია: საკვსე, ხორციანი, პოეტური ტუჩები ჰქონდა. უკვე ჩემს მესხიერებას მესამედ ვეკითხები: და თმა? პასუხი აქვეა: შეთხელებული, მუქი, უშნო, ყურებზე ჭიებივით ჩამოყრილი. ახლა ჩემი საფუძველს მოკლებული ეჭვი სვამს კითხვას: პატიოსანმა ამინამ ხომ არ... რადგან ისეთი კაცები ხიბლავდა, ნადირ-ხანს რომ ჰგავდნენ, და იმ უცნაურ გონებრივ მდგომარეობაში მყოფმა ხომ არ... თან მკითხავის უცაბედი ავადმყოფობით შეძრულმა ხომ არ... „არა!“ — ყვირის გაცეცხლებული პადმა. „როგორ გაბედე ასეთი რამ გეფიქრა იმ კეთილ ქალზე — დედაშენზე! არ იცი და მაინც ვარაუდებს გამოთქვამ?“ რა თქმა უნდა, პადმა, როგორც ყოველთვის, მართალია. რაც გააკეთა ამინამ წლების შემდეგ, პიონერთა კაფეს ჭუჭყიანი ფანჯრის მიღმა რომ დავინახე, ეს რომ პადმას სცოდნოდა, მეტყოდა ამისთვის შური იძიეო; ალბათ, სწორედ იქ დაიბადა ჩემი ირაციონალური მიზანი,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ დროის საპირისპიროდ გაზრდილიყავი და სრულიად მომწიფებული ამ მიამიტ ოჯაგადასაჯალთან ისე მოსულიყავი, როგორც ბავშვი. კი, ალბათ ასეა, მაგრამ ურჩხული არა და არ წყება.. „აჰ, — ამბობს ურჩხული, — კი მაგრამ, იმ ახირების შესახებ რას გვეტყვით, ამინამ რომ მოიშორა სწორედ იმ დღეს, ის და აპმედი ბომბეიში რომ მიდიოდნენ?" ახლა ურჩხული დედაჩემითა ლაპარაკობს: „შენ, სულ შენ წყვეტ ყველაფერს. და მე? ვთქვათ და მე არ მინდა... მხოლოდ ახლა მოვიდე ეს სახლი საბოლოოდ!" პადმა მეკითხება: მასკარადია ეს თუ დიასახლისის მინდობა?

დიახ, ეჭვი ჯერ კიდევ არ გამქრალა. ურჩხული კითხულობს: „რატომ ვერ უთხრა ოჯის ქმარს ამ ვიზიტის შესახებ?" ბრალდებულის პასუხი (რომელსაც დედაჩემის მაგივრად პადმა ახმოვანებს): „რას ამბობ, ძალიან გაბრაზდებოდა, ღმერთო ჩემო! ნერვიულობად ის არ ეყოფოდა, რომ ბიზნესი ელუპებოდა! უცნაური კაცი იყო, ქალივით უცნაური; ჭკუიდან გადავიდოდა! სულ გადაირეოდა!"

ულირსი ეჭვები... უნდა გაეაქარწყლო; კრიტიკას იმ დროისთვის შემოვინახავ, როცა ბუნდოვანება დედაჩემმა ღრუბელივით გაფანტა და თავადვე მომცა მყარი, აშკარა და უდავო სამხილი.

...მაგრამ იმ ღამით, მამაჩემს, შინ რომ დაბრუნდა, ისეთი სუნი ასდიოდა, წარუმატებლობის სიმყრალეც კი უკან ჩამოიტოვა. თვალებსა და ლოყებზე მიწანარევი ცრემლი ღვარად სდიოდა; ცხვირის ნესტოები გოგირდს ამოეკსო და თავზე დამწვარი ტყავის ფერფლი ეყარა... რა თქმა უნდა, მათ საწყობი გადაბუგეს.

„მაგრამ დარაჯებს რა ბედი ეწიათ?" — კითხულობს ძილმორეული პადმა. წინასწარ გააფრთხილეს, რომ ყოველი შემთხვევისთვის ძილის წამალი მიეღოთ... ის მამაცი მეოცნებენი, ქალაქელი, ასფალტზე გაზრდილი გმირები, რომელთაც პუშტუს ენაზე მოლაპარაკე ტომიკით ძუებს შორის გასასვლელი გზა არასოდეს უნახავთ, არასოდეს გაუხსნიათ პატარა ქაღალდის პაკეტები, ჟანგისფერი პუდრი არასოდეს ჩაუყრიათ ადუღებულ ჩაიდანში; საწოლები მამაჩემის საწყობიდან, რაც შეიძლება შორს წაიღეს, რომ ცეცხლის ნაპერწკლებითა და სინათლით არ შეწუხებულიყვნენ; იწვნენ ჰამაკებში, წრუპავდნენ ჩაის და საძილე აბებით ტკბილ-მწარე მირაჟს ეძლეოდნენ. თავდაპირ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ველად მათი რიხრიხი ისმოდა, პუშტუში რომ საყვარელი მეძავები ჰყავდათ, მათ ასხამდნენ ქებას; შემდეგ რიხრიხი ხითხითმა შეცვალა, რადგან წამალმა მოფათურე ხელოვნით შეუხიცინა... ხითხითი ძილში გადაიზარდა. სიზმრის კარიბჭესთან დაბორიალებდნენ, სიზმრის ცხენებს მიაჭენებდნენ და საბოლოოდ ისეთი თავდაიწყების სამყაროში შეაბიჯეს, სადაც ვერც სიზმარს ნახავ და ვერც იქიდან დააღწევ თავს, სანამ აბების ზემოქმედება არ დასრულდება.

აჰმედი, ბათი და ქემალი ტაქსით მოვიდნენ. ტაქსის მძღოლს ნერვები მოუშალეს ამ კაცებმა, დაკუჭული ბანკნოტები რომ ჩაებღუჯათ და ჯოჯოხეთურად ყარდნენ იმ აქოთებული თხრილის გამო. მძღოლი არ დაელოდებოდა, მაგრამ ფული არ გადაუხადეს და ამან გააჩერა: „გთხოვთ, გამიშვით, ბატონებო, პატარა კაცი ვარ, აქ ნუ გამაჩერებთ“, — იხვეწებოდა ტაქსის მძღოლი, მაგრამ კაცებმა ზურგი შეაქციეს და ცეცხლისკენ წავიდნენ. უყურებდა, როგორ გარბოდა სამივე, ხელში რომ პამიდვრითა და ძაღლის ექსკრემენტით გასვრილი რუპიები ჩაებღუჯათ; მძღოლი პირდაღებული მიშტერებოდა ცეცხლმოკიდებულ საწყობს, ცაში ამავალ ფერფლის ღრუბლებს და იქ მყოფთა ბედს იზიარებდა — დამწვარი ტყავის, ასანთისა და ბრინჯის კვამლს სუნთქავდა. ხელები სახეზე აიფარა და თითებშორიდან იყურებოდა პატარა ტაქსის მძღოლი, უსუსური ულვაში რომ ჰქონდა. დაინახა, რომ წათლილი ფანქარივით წვრილი ბატონი ქემალი წიხლებით აღვიძებდა მძინარე დარაჯებს; თითქმის გადაწყვიტა უარი ეთქვა მგზავრობის გასამრჯელოზე და წასვლა დააპირა, რომ ამ დროს მამაჩემმა დაიყვირა: „ფრთხილად!“ მიუხედავად ყველაფრისა, მძღოლი დარჩა და ნახა როგორ აფეთქდა საწყობი, ცეცხლის წითელი ენები რომ ლოკავდნენ; დაინახა, რომ საწყობიდან გამდნარი ბრინჯის, მუხუდოს, ოსპის, წყალგაუმტარი ქურთუკების, ასანთის ყუთებისა და მწნილების ადუღებული ლავა ამოიფრქვა; დაინახა, ცეცხლის წითელი ყვავილები ცაში როგორ აკარდნენ და საწყობის შიგთავსმა მყარ ყვითელ მიწაზე ისეთი შავი, ფისისმაგვარი ხელის ფორმა მიიღო, გეგონებოდა სასოწარკვეთილი მიწას ებღაუჭებაო. დიახ, რა თქმა უნდა, საწყობი დაიწვა. ფერფლი ციდან თავზე აცვიოდათ; პირში უცვიოდათ ფეხის კვრისგან დალურჯებულ დარაჯებს, რომლებიც ხვრინვას განაგრძობდნენ... „ღმერთო, გვიშველე“, — თქვა ბათმა, მაგრამ მუსტაფა ქემალი უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა: „მადლობა ღმერთს, რომ დაზღვეულები ვართ“, — წარმოთქვა მან.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„სწორი გადაწყვეტილება მივიღე მაშინ, — მოგვიანებით უთხრა ცოლს აჰმედ სინაიმ, — ტყავის ბიზნესს რომ ჩამოვშორდი. შენობა გავყიდე, საქმე სხვას გადავულოცე, დავიოიწყე ყველაფერი, რაც ვაჭრობას ეხება, შემდეგ არც ვაციე, არც ვაცხელე და ისიც გადავწყვიტე, რომ იმ შენი ესმერალდას საქმროს, ზულფის მიერ შემოთავაზებულ პაკისტანურ მახეს ახლოს არ გავეკარები. სწორედ იმ გაჩაღებულ ცეცხლში მომიკიდა აზრად წავიდე ბომბეიში და უძრავი ქონების ბიზნესი წამოვიწყო. უძრავ ქონებას იქ ახლა ჩალის ფასი აქვს“, თქვა მამაჩემმა და ამით, დედას რომ სჩვეოდა, ისეთი ახირება გამოამეღავნა და ცოლს, სანამ იგი რამე საწინააღმდეგოს ეტყოდა, თავად უთხრა: „ნარლიკარმა უკვე იცის“.

(მაგრამ მერე ნარლიკარს გამცემს უწოდებს).

ჩვენს ოჯახში, წესისამებრ, ყოველთვის წინ მივიწევთ, როცა უკან გვაწვებიან. თუმცა 1948 წლის ყინვამ ამ წესში ცვლილება შეიტანა. მენავე თაიმ ბაბუა ქაშმირიდან გააძევა; მერკუროქრომმა ამრიცარიდან განდევნა. ხალიჩების ქვეშ გამოგუდულმა ცხოვრებამ დედაჩემს აგრა დაატოვებინა; მრავალთაეიანმა ურჩხულებმა მამაჩემი ბომბეიში გადაისროლეს, სადაც მე დავიბადე. იმ იანვრის მიწურულს ისტორია საბოლოოდ, ასე ნელ-ნელი ჯიკავ-ჯიკავით იმ ზღვართან მივიდა, როცა მზად იყო კარი გაეღო და მე შემოვეშვი. არსებობდა გამოცანები, რომელნიც ამოუხსნელნი რჩებოდნენ მანამ, სანამ მე არ შევაბიჯე ისტორიის სცენაზე... მაგალითად, გამოცანა იყო შრი რამრამის ამოუცნობი სიტყვები: „იქნება ცხვირი და მუხლები, მუხლები და ცხვირი“.

დაზღვევის ფული მოვიდა. იანვარი დამთავრდა. დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ დელიში საქმეები მოემთავრებინათ და გადასულიყვნენ ქალაქში, სადაც, როგორც ექიმმა ნარლიკარმა იცოდა, უძრავი ქონება იმ დროს ჩალის ფასი ღირდა. დედაჩემმა მთელი აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ნაწილ-ნაწილ შეეყვარებინა ქმარი. მან დიდი მიზიდულობა იგრძნო ქმრის ყურებისადმი, რომლებიც კითხვის ნიშნებს ჰგავდნენ; შეუყვარდა მისი შესანიშნავი ჭიპი, რომელშიც მისი თითი თავისუფლად შედიოდა, სიღრმეში მყოფი კვანძი რომ შეეგრძნო. შეუყვარდა ქმრის კოჟრებიანი მუხლები, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად (რადგან დედაჩემს ჩემი ეჭვების სარგებელს ვაძლევ, აქ ამის მიზეზს არ ვიტყვი), იყო ერთი ნაწილი, რომლის შეყვარება ვერ შეძლო. ეს იყო ერთი რამ, რაც მამას სამუშაო ფორმაში ჰქონდა და რაც ნადირ-ხანს, უეჭველია, არ გააჩნდა; ღამღამობით, როცა დედას ზემოდან



www.PDF.ChiaturaINFO.GE

აწვებოდა და დედაჩემის საშოში მყოფი ჩანასახი ჯერ კიდევ ბაყაყზე დიდი არ იყო, მამაჩემის ამ ნაწილს საერთოდ არ ჰქონდა ხიბლი.

...არა, ასე ჩქარა არ გინდა, ჩემო სიცოცხლევ, ცოტა გაახანგრძლივე. — ეუბნება ამინა. აპმედის ტვინი კი უკან ბრუნავს და ისევ იქ, ცეცხლის ამბებს უბრუნდება. ყველა დეტალს იხსენებს, რაც იმ მოკაშკაშე ღამეს მოხდა. ზემოთ იყურება და როცა წასასვლელად ეშზადება, ციდან საშინელი წვიმა ესმის, მაღლა იხედება და შენიშნავს, რომ სავი (წარმოიდგინეთ ღამით!) სიჩუმის კოშკიდან მოფრენილა და თავზე დასტრიალებს და ნახევრად შეჭმული ქანდაკების ხელს აცხრება, მარჯვენა ხელს, რომელმაც ახლა ძლიერად გაარტყა სახეში; ამასობაში მის ქვეშ მოქცეული ამინა საკუთარ თავს კიცხავს: რატომ ვერ იღებ სიამოვნებას, შე შტერო ქალო, დღეიდან მართლა უნდა სცადო!

4 ივნისს ჩემი უიღბლოდ შეუღლებული მშობლები მატარებლით გაემგზავრნენ ბომბეიში (კარზე ბრახუნი ისმოდა, შველას ითხოვდნენ ხმები. პირველი შეძახილი: „მაჰარაჯ, გააღე მხოლოდ ერთი წუთით, გვეედრებით, კეთილო ბატონო, ქენით სიკეთე!" იქ იყო ასევე საწოლის ქვეშ დამალული მზითვი. მწვანე რკინის ჩემოდანში იდო. ხელშეუხებელი განძი — ლაზურიტით მოპირკეთებული ვერცხლის ჩასაფურთხებელი — ფაქიზი ნიმუში ხელოვნებისა). იმავე დღეს ბირმის გრაფმა მაუნთბათენმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც გამოაცხადა, რომ ინდოეთი ორად გაიყო და დროის უკუმიმართულებით ამთვლელი კალენდარი კედელზე ჩამოკიდა: სამოცდაათი დღე დარჩა ძალაუფლების შეცვლამდე... სამოცდაცხრა... სამოცდარვა... წიკ... წიკ.

## მეთვოლდი

პირველად აქ მეთევზეები იყვნენ. იქამდე, ვიდრე მაუნთბათენის უკუთვლა დაიწყებოდა, ვიდრე ურჩხულები გამოჩნდებოდნენ და საჯარო განაცხადები გაკეთდებოდა. იქამდე, ვიდრე მიწისქვეშა ქორწინებები და ჩასაფურთხებელი კასრები გაჩნდებოდნენ; მერკუროქროშზე ადრე; მოჭიდავე ქალებზე ადრე, გახვრეტილი ზეწრები რომ ეჭირათ; და უფრო იქითაც, დალჰაუზამდე და ელფინსტოუნამდე, იქამდე, ვიდრე აღმოსავლეთ ინდური კომპანია ააგებდა თავის ციხესიმაგრეს; პირველ უილიამ მეთვოლდამდე; იმ ეპოქის გარიჟრაჟზე, ბომბეი ჰანტე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლის[1] ფორმის კუნძულივით ცენტრში თანდათან რომ ვიწროვდებოდა და მოლაპლაპე ნაპირს ჰგავდა, რომლის მიღმა აზიის უმშვენიერესსა და უდიდეს ნავსადგურს დაინახავდით; იმ დროს მაზაგაონი და ვორლი, მათუნგა და მაჰიმი, სალსეთი და კოლაბაც ასევე კუნძულები იყო; მოკლედ, ეს მოხდა ქვეყნის პირვანდელი სახის აღდგენამდე, მანამდე, სანამ სანაპიროს ჯებირებმა და მიწაში ჩაფლულმა ბოძებმა სევენ აილსი გრძელ ნახევარკუნძულად აქციეს, რომელიც დასავლეთისკენ გაშვერილ ხელს ჰგავდა და არაბეთის ზღვას სწვდებოდა; ამ პირველყოფილ სამყაროში საათის კოშკები სანამ გაჩნდებოდნენ, სანამ „კოლისებად“ წოდებული მეთევზენი არაბული სამკუთხაფრიანი გემებით დაცურავდნენ და წითელ აფრებს მზეზე აფრიალებდნენ. ისინი ზღვაში კიბორჩხალებსა და თევზებს იჭერდნენ და ჩვენც ყველას თევზი შეგვაყვარეს (ან ჩვენს უმეტესობას მაინც. პადმა თევზჭერის ჯადოქრულმა ცდუნებამ გაიტაცა. მაგრამ ჩვენს ოჯახში ყველანი ქაშმირული სისხლის სიუცხოვით დავსნებოვნდით, ქაშმირული ცის ყინულოვანი უკარებლობით დავავადდით და ხორცისმჭამელ არსებებად დავრჩით).

ასევე იყო ქოქოსი და ბრინჯი. და, ამას გარდა, ქალღმერთი მუმბადევი კეთილ ზეგავლენას ახდენდა. შესაძლოა, ამ ქალღმერთის სახელი მუმბადევი, იგივე მუმბაბაი, იგივე მუმბაი, შემდეგ ქალაქს დაერქვა. მერე პორტუგალიელებმა ქალაქს მისი ნავსადგურის გამო ბომბაია უწოდეს და ეს სულაც არ ყოფილა მეთევზე ხალხის ქალღმერთის სახელი... პორტუგალიელები პირველი დამპყრობლები იყვნენ. ნავსადგური თავიანთი საკაჭრო გემებისა და მეომრების ნავსაყუდლად გამოიყენეს; მაგრამ მერე, 1633 წლის ერთ დღეს აღმოსავლეთ ინდური კომპანიის მეთაურმა მეთვოლდმა ხილვა ნახა. ხილვაში ის ოცნებობდა დაეარსებინა ბრიტანული ბომბეი, რომელიც ციხესიმაგრეებით იქნებოდა გარშემორტყმული და დასავლეთ ინდოეთს ყოველგვარი მომხდურისგან დაიცავდა. ეს ხილვა ისეთი ძალის სტიმული გახდა, რომ დროც კი აამოძრავა.

ისტორია წინ მჩქეფარედ მიიწევდა; მეთვოლდი გარდაიცვალა; 1660 წელს ინგლისის მეფე ჩარლზ მეორე პორტუგალიელ პრინცესაზე, ქეთრინზე დაინიშნა. ეს ის ქეთრინია, რომელიც მთელი ცხოვრება ფორთოხლის გამყიდველი ნელისთვის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. მაგრამ მეფეს აშშვიდებდა ის, რომ ეს ქორწინების მზითე-

---

[1] *პანტელი (გერმ.) — სატანვარჯიშო იარაღი — თუჯის ორი ბირთვი, რომლებიც ერთმანეთთან მოკლე, მრგვალი ტარით არის შეერთებული.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვი იყო, რომელმაც ბომბეი ხელში ჩაუგდო ბრიტანელებს. შესაძლოა ეს მზითვიც მწვანე რკინის ყუთში ინახებოდა, ძეთელდის ხილვა რეალობასთან რომ დააახლოებ. ამის მერე დიდი ხანი არ გასულა, რომ 1668 წლის 21 სექტემბერს კომპანიამ კუნძული საბოლოოდ დაისაკუთრა... შემდეგ დაიწყეს და ალარც გაჩერდნენ: ციხესიმაგრე აგეს, ქვეყანა ალადგინეს და თვალის დახამხამებაში გაჩნდა ქალაქი ბომბეი, რომელსაც ძველი სიმღერა ასე უმღერს:

დასავლეთისკენ მზირალო
ალმოსავლეთის ვარსკვლავო,
კარიბჭენ ინდოეთისა
უპირველესო...

ჩვენი ბომბეი, ჰადმა! მაშინ სულ სხვანაირი იყო. არც ღამის კლუბები იყო, არც მწნილის ქარხნები, არც შერატონ-სასტუმროები, არც კინოსტუდიები; მაგრამ ქალაქი კისრისტეხით ვითარდებოდა და მალე შეიძინა საკათედრო ტაძარი, გაჩნდა მაპრათას მეომარი მეფის, სიჯეის ცხენზე ამხედრებული ქანდაკება, რომელიც (ჩვენ ასე გვგონია და ვფიქრობდით) ღამით ცოცხლდებოდა და ცხენს მარინ დრაივის მიმდებარე ქუჩებში დააჭენებდა ისე, რომ ყველას აფრთხობდა მისი ჭენება. ასევე მას ნახავდით ჩოფეთის სანაპიროზე, მალაბარჰილის უზარმაზარ სახლებს ჩაუქროლებდა ხოლმე, კემპ კორნერთან გაჩნდებოდა, შემდეგ თავქარიანი ქროლვით სკანდალპოინტისკენ ზღვის მიმართულებით მიქროდა! და, რა თქმა უნდა, რატომაც არა, უფრო იქით, ჩემს ქუჩაზე, კორდენ-როუდზე, ბრიჩქენდის საცურაო აუზებთან ჩნდებოდა, შემდეგ მაჰალახმის ტაძრისკენ მიაჭენებდა და ძველი ვილინგდონკლუბისკენ გზას აგრძელებდა. ჩემს ბავშვობაში ბომბეის რომ ძნელბედობის ჟამი დაუდგებოდა, ვიღაც უძინარი ღამის მგზავრი ქალაქს აცნობებდა, რომ დაინახა მოსიარულე ქანდაკება; ჩემი ახალგაზრდობის დროინდელ ქალაქს წვეული ნებისმიერი უბედურება იმ ცხენის ქვის ფლოქვების ხმაზე ცეკვავდა, თითქოს მაგიური მუსიკის ხმას ჰყვებაო.

და სადღა არიან ახლა ის პირველი ბინადარნი? ქოქოსებმა საუკეთესო როლი შეასრულეს. თავმოკვეთილი ქოქოსის კაკლები დღისით ჯერ კიდევ არიან ჩოფეთი-ბიჩზე; ჯუჰუ-ბიჩზე, რომელსაც ტელევარსკვლავების დუნე მზერა დაჰყურებს სასტუმრო „სან ენდ სენდთან"[1]

[1] „სან ენდ სენდ" (ინგლ.) — მზე და ქვიშა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

პატარა ბიჭუნები ისევ ისე ცოცავენ ქოქოსის ხეებზე და წვერიან ქოქოსებს კრეფენ. ქოქოსის ფესტივალი — ქოქოსის დღეობა არსებობს, რომელიც ჩემს სინქრონულ დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიმართა. ქოქოსებს გაუმართლათ. ბრინჯი ასეთი იღბლიანი არ აღმოჩნდა; ბრინჯის მინდვრები ახლა ასფალტის ქვეშ განისვენებენ; საცხოვრებელი კოშკი ზღვის ხედთან ერთად ბრინჯის სიუხვითაც ნებივრობდა. მაგრამ ქალაქში მაინც ძალიან ბევრი ბრინჯი იჭმება. პატნის, ბასმათისა და ქაშმირის ბრინჯი ყოველდღე მიაქვთ დედაქალაქში. ადრეულმა, ნამდვილმა ბრინჯმა კი თავისი ნიშანი დატოვა ყველა ჩვენგანზე და შეიძლება ითქვას, რომ ამაოდ არ მომკვდარა. მუმბადევის რაც შეეხება, დღესდღეობით იგი ასე პოპულარული არ არის და ახლა ხალხი მის მაგივრად სპილოსთავიან განეშს ეთაყვანება. ფესტივალთა კალენდარი დაკნინების გზაზეა. ღმერთ განეშს — ანუ „განფატი ბაბას“ — თავისი დღეობა აქვს, რომელსაც განეშ ჩათურტის დღე ჰქვია. ამ დღეს დიდი პროცესია ჩოპატისკენ მიემართება. ხალხს ღმერთი განეშის თაბაშირის გამოსახულებები მიაქვს და ზღვაში ყრის. განეშის დღე წვიმის გამოძახების ცერემონიაცაა. ამ დღეს შესაძლებელია მუსონური ქარები გაძლიერდეს. სწორედ განეშისადმი მიძღვნილი დღესასწაული ტარდებოდა ჩემს დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე, მაშინ, როცა წამების უკუმიმართულებით ათვლა დასასრულს უახლოვდებოდა. მუმბადევის დღე რა იქნა? კალენდარში არ არის. სად გაქრა მეთევზეთა ლოცვები? სად არის კიბორჩხალებისმჭერელთა თავდადება?.. პირველ მობინადრეთაგან ქოლის ტომის მეთევზენი ყველაზე უარესად გამოჩნდნენ და ახლა ხელის მსგავსი ნახევარკუნძულის ცერათითისტოლა სოფელში ჩაკვეხებულან. დაბას თავისი სახელი — ქოლაბაც უმალ მისცეს. მაგრამ გაჰყვებით თუ არა ქოლაბას გზას თავიდან ბოლომდე, თქვენ ჩაუვლით იაფფასიანი ტანსაცმლის მაღაზიებს, ირანულ რესტორნებს, მასწავლებლების, ჟურნალისტებისა და ნოქრების მდარე, არაფრითგამორჩეულ სახლებს, შეამჩნევთ ქოლაბას ხალხს, რომელიც ზღვასა და საზღვაო-სამხედრო ბაზას შორისაა მომწყვდეული. ქოლის ომის ქალები, რომელთაც ხელები თევზისა და კიბორჩხალების შიგნეულის გამუდმებული წმენდის გამო უყართ, ზოგჯერ თავხედურად და მუჯლუგუნისკვრით მიიკვლევენ გზას ქოლაბას ავტობუსის გაჩერებისკენ, აცვიათ წითელი (ან მეწამული) სარი, რომელიც ფეხებშორის უტიფრად შეუჩურთავთ, ხოლო თევზივით გადმოკარკლულ თვალებში ძველი დამარცხებებითა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და დანაკარგით გამოწვეული ტკივილი უელავთ მათი ზღვის ნაწილი აწუხებს ძოაბარეს (ჯებირები იპარავდნენ ხოლმე). მაგრამ აქ ჯერ კიდევ არიან არაბული გემები, ყოველ საღამოს რომ შლიან აფრებს და ჩამავალ მზეს ეფიცხებიან... 1947 წლის აგვისტოში ბრიტანელებს ბოლოსა ბადეების, ქოქოსების, ბრინჯისა და შუმბადეკის მისაკუთრების ყველა გაუქიდათ და ახლა ქვეყანას თავისი ნებით ტოვებდნენ; ბამბადინდ ჯერაკან ჯერაფერს მიისაკუთრებს.

19 ივნისს უკვე ორი კვირის ჩასულები იყვნენ ბომბეიში ჩემი შშობლები, რომ მათ და ქვეყნიდან მიმავალ ინგლისელს, უილიამ მეთვოლდს შორის საკვირველი გარიგება შედგა.

გზა მეთვოლდის მამულამდე (ჩვენ ახლა ჩემს სამფლობელოში, ჩემი ბავშვობის გულში შეგამოვალთ; ყელში ბურთი მოშებჯინა) უორდენ-როუდიდან, ავტობუსის გაჩერებასა და მაღაზიების მწკრივს შორის იწყება. აქაა ჩამალკერის სათამაშოების მაღაზია — მკითხველის საშოთხე; ჩამანბილი ფეტბოლის საიუველირო მაღაზია; და ამ ყველაფერთან ერთად, აქვეა ბომბელის საკონდიტრო, მარკიზის ნამცხვრითა და შოკოლადის კილოშეტრიანი დახლით! გავლენიან პირთა სახელები... თუმცა ახლა მათ ჩამოსათვლელად დრო არ გვრჩება. ბენდ ბოქს ლონდრისთან ჩავუვლით შიკრიკი ბიჭის მუყაოსგან დაშზადებულ ფიგურას, რომელიც გვესალმება, და ვადგებით გზას, რომელსაც სახლისკენ მივყავართ. იმ დროს ნარლიკარის ქალთა ვარდისფერი ცათამბჯენი (შრინაგარის რადიოანძის საშინელი ექო) ჩაფიქრებულიც არ ყოფილა; გზა ოდნავ შემაღლებულ გორაკზე ადიოდა. გორაკი ორხართულიან სახლზე მაღალი არ იყო; შემდეგ გზა რკალად უხვევდა და ზღვასა და ბრიჩქენდის საცურაო კლუბს გადაჰყურებდა. იქ კი ვარდისფერ ხალხს შეეძლო ეცურა აუზში, რომელიც ბრიტანული ინდოეთის ფორმისა იყო და სადაც შიში არ ჰქონდათ, რომ შეკანიანს შეეხებოდნენ; იქ კი, პატარა გზაჯვარედინთან, უილიამ მეთვოლდის დიდებულად მოწყობილი სახახლე იდგა, რომელზეც ერთი სიტყვა მიეწერათ, მხოლოდ ერთი; მაგრამ ამ ერთმა სიტყვამ ჩემი გაუფრთხილებელი შშობლები მეთვოლდის უცნაურ თამაშში შეიტყუა. ეს ერთი სიტყვა იყო: „იყიდება", რომელიც ახლა, ჩემი წყალობით, ამდენი წლის შემდეგ საიდან ამოტივტივდა!

მეთვოლდის მამულში იდგა ოთხი ერთმანეთის მსგავსი სახლი,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც აქაურ თავდაპირველ მცხოვრებთა სტილზე იყო ნაგები (დამპყრობთა სახლები! რომაელთა სავანე; სამსართულიანი სახლები ღმერთებისა, რომლებიც ორსართულიან ოლიმპოზე დგანან, ზრდა-შეწყვეტილი კაილასა) — დიდი, გამძლე სახლები წითელი წვეტიანი სახურავებითა და ქონგურებიანი კოშკებით; სპილოსძვლისფერი კუთხის კოშკები, წითელი წვეტიანი ქუდებით (ისეთი კოშკები, პრინცესებს რომ ეკადრებათ!) — სახლები ვერანდებითა და მსახურთა ოთახებით, რომლებთანაც სპირალისებური რკინის კიბით მიხვალ, სახლის უკან რომ მიმალულა.

უილიამ მეთვოლდმა ამ თავის სახლებს ევროპულ სასახლეთა მაგიური სახელები შეარქვა: ვერსალი, ბუკინგემი, ესკორიალი და სანსუსი. ბუგანვილაც ახლოს იდგა; ღია ცისფერ აუზებში ოქროს თევზები დაცურავდნენ; ქვებით გაწყობილ ბაღში კაქტუსები იზრდებოდნენ; პაწაწინა ყვავილები ტამარინდის ხეების ქვეშ შემალულიყვნენ; ბაღში პეპლები და ვარდები იყო. გაზონებზე ლერწმის სკამები იდგა. იმ დღეს, ივნისის შუაგულში, მეთვოლდი თავის ცარიელ სასახლეებს სასაცილოდ დაბალ ფასად ყიდდა, მაგრამ რაღაც პირობის სანაცვლოდ. ახლა, ბევრს აღარ გავაგრძელებ და გაგაცნობთ მეთვოლდს შუაზე გაყოფილი თმის სრულყოფილებით... მეთვოლდს — ექვსი ფუტი სიმაღლის ტიტანს, ვარდისფერ სახეზე მარადიული ახალგაზრდობის იერი რომ აღბეჭდოდა. გრუზა შავი თმა შუაზე გაეყო და უბრწყინავდა. ჩვენ ისევ ამ შუაზე გაყოფილ თმას მივუბრუნდით, რადგან გაყოფის ხაზი ისე ლარივით სწორი იყო, რომ ქალებს იზიდავდა და სურვილს აღძრავდა მათში, როგორმე ეს წესრიგი დაერღვიათ... მეთვოლდის შუაზე გაყოფილ თმას ბევრი საერთო აქვს ჩემი ამბის დასაწყისთან. ეს იყო თმის ხაზი, რომელსაც თოკზე მოსიარულესავით, ისტორიაც მიჰყვება და სექსუალური მიზიდულობაც (მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მეც კი, არასოდეს რომ არ დამინახავს მეთვოლდი, არასოდეს დამინახავს მისი კბილების უღიმღამო კრთომა, ანდა შთამბეჭდავად დავარცხნილი თმა, ამ კაცის მიმართ არ შემიძლია რაიმე წყენა მქონდეს).

და მისი ცხვირი? როგორი ცხვირი ჰქონდა? შესამჩნევი? დიახ! ალბათ ეს ცხვირი ფრანგი არისტოკრატი ბებიისგან ერგო, რომელიც ბერგერაკიდან იყო! ბებიის აკვამარინისფერი სისხლი მეთვოლდის ძარღვებში დადიოდა და მის დახვეწილ მანერებს ამუქებდა, ამკაცრებდა და რაღაც ტკბილ-მწარე მომაკვდინებელ შეფერილობას მატებდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეთვოლდი თაკის მამულს ორი პირობით გაყიდდა: თუ მყიდველი მთლიანად იყიდდა ყველაფერს უკანასკნელი დეტალითურთ და თავისთვის დაიტოვებდა, და თუ ფულის გადარიცხვა 15 აგვისტოს შუალამეშდე არ მოხდებოდა.

„ყველაფერი? — იკითხა ამინა სინაიმ, — კოზიც კი არ შემიძლია გადაგდო? ალაჰ, ეს აბაჟური... ნუთუ ერთი საკარცხლის გადაგდებაც არ შეიძლება?"

„ყველაფერი უნდა დაიტოვოთ, — უთხრა მეთვოლდმა, — პირობა პირობაა ბატონო სინაი! ეს ჩემი ახირებაა... მიმავალ კოლონისტს მიეცით ნება თაკისი თამაშით ითამაშოს. ჩვენ, ბრიტანელებს მეტი არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ჩვენი ჭია გავახაროთ".

„მისმინე, ამინა, — აჰმედი ეუბნება მოგვიანებით, — სასტუმროში სამუდამოდ ხომ არ დავრჩებით? ფანტასტიკური ფასია, მართლა! სახლს რომ გადმოგვიფორმებს, მერე რას იზამს? მერე რაც გინდა, ის მოისროლე. ამას ორ თვეზე ნაკლები დრო დასჭირდება".

„კოქტეილს ბაღში წაიღებთ? — ამბობს მეთვოლდი, — ყოველ საღამოს, ექვს საათზე კოქტეილის დრო მაქვს. ოცი წელიწადია არ შეიცვლია".

„მაგრამ ღმერთო ჩემო, საღებავი... კარადები ძველი ტანსაცმლითაა სავსე... ჩემოდნებს ვერსად დავდებთ, ტანსაცმლის დასადები ადგილიც არსად არის!"

„ცუდი საქმე მოხდა, ბატონო სინაი, — მეთვოლდი კაქტუსებსა და ვარდებს შორის ზის და სკოჩს წრუპავს, — ასეთი არაფერი მინახავს. ასობით წელიწადი წესიერი მთავრობა გვყავდა და მერე უცებ დგებიან და მიდიან. აღიარეთ, რომ ცუდები არ ვყოფილვართ: გზები, სკოლები, რკინიგზა აგიშენეთ, საპარლამენტო სისტემა ჩამოვაყალიბეთ და ამ ყველაფერმა გაამართლა. თავმაჰალი დანგრევის პირას იყო, ვიდრე ინგლისელებმა არ მიხედეს. და ახლა, უცებ, დამოუკიდებლობა მოიპოვეთ. მხოლოდ სამოცდაათი დღე დაგჭირდათ, მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ახლა რა გაეწყობა".

„...შეხედე ლაქებს ამ ხალიჩებზე, ძვირფასო; იმ ინგლისელივით უნდა ვიცხოვროთ ორი თვე? და აბაზანებში შეიხედე? უნიტაზში წყალი არ არის. არ მჯეროდა და თურმე მართალი ყოფილა, ღმერთო ჩემო, უკანალს მარტო ქაღალდით იწმენდენ და მორჩა!"..



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მითხარით, ბატონო მეთვოლდ, — აჰმედ სინაის ხმა შეეცვალა და ისე გაწელვით და გატყლარჭული მანერულობით შეეკითხა მეთვოლდს, თითქოს ოქსფორდულ მეტყველებას დასცინისო, — რატომ აფოვნებთ? სწრაფი გაყიდვა კარგი ბიზნესის ნიშანია, ბოლოს და ბოლოს, მოდი საქმე უცებ მოვაკვარახჭინოთ“.

„...და კაცო, ბებერი ინგლისელი ქალების სურათებია ყველგან! კედელზე ადგილი არ არის, მამაჩემის სურათი რომ დავკიდო!“..

„ჩანს, ბატონო სინაი, რომ ამ მკაცრი ინგლისური გარეგნობის მიღმა იმალება გონება, რომელსაც ინდოელთა მსგავსად ალეგორიების წყურვილი ამოძრავებს“.

„და ამავე დროს ძალიან ბევრს სვამთ.. რაც კარგი არ არის“.

„არ ვიცი, ბატონო მეთვოლდ, რას გულისხმობთ“.

„...ოჰ, თქვენ იცით: როგორც წესი, მე ძალაუფლებასაც გადავცემ. რალაც ამეკვიატა, რომ ისე მოვიქცე, როგორც ბრიტანული რეჟიმი იქცევა. როგორც გითხარით, ეს თამაშია და გთხოვთ გამანებივროთ, სინაი. ბოლოს და ბოლოს, თქვენც ხომ აღიარეთ, რომ ცუდი ფასი არ არის“.

„ეს კაცი ნორმალურია? შენ რას ფიქრობ? თუ გიჟია, მაშინ მასთან გარიგება საშიშიც კი არის“.

„მისმინე, ცოლო, — ეუბნება აჰმედ სინაი, — მეტისმეტად გაგვიგრძელდა ეს საქმე. მეთვოლდი შესანიშნავი კაცია; ოჯახიდანაა გამოსული და ღირსეული ადამიანია; უფლებას არ მოგცემ მასზე ასე... და გარდა მაგისა, სხვა მყიდველები ალბათ ამდენ ალიაქოთს არ ატეხენ... მოკლედ, მე თანხმობა მივეცი და მორჩა!“

„მიირთვით ნამცხვარი, — თეფშს უწვდის მეთვოლდი, — მიირთვით, მიირთვით. დიახ, იმას ვამბობდი, რომ უცნაურია პირდაპირ. ამისთანა არაფერი მინახავს. ძველი ბინადარნი — ძველი ინდოეთის ხელები[1], უცებ ადგნენ და წავიდნენ. ცუდი სანახაობა იყო. ეს ინდოეთის გულისთვის გააკეთეს, და თან მოულოდნელად. უბრალო კაცი ვარ და დავიბენი. ჩანს, რომ ხელები დაიბანეს. წყენა არ გაიყოლეს და თქვეს, დაე, ასე იყოსო. სახლისკენ გაბრუნდნენ. არც ერთ მათგანს

[1] *ძველი ინდოეთის ხელები — აქ იგულისხმება ინგლისელი კოლონიზატორები.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი შილინგიც კი არ მოეძებებოდა, მაგრამ ძშვიდად იყვნენ. უცნაურია. ბავშვი მე შემომატოვეს. მაშინ მე ჩემი განზრახვა მქონდა“.

„...ჰო, გადაწყვიტე, გადაწყვიტე, — ამბობს აღელვებული ამინა, — ვზიარ აქ მუცელგაბერილი, ბავშვს რა ვუყო, უცხოს სახლში გაზარდო თუ რა ვქნა? ...ოჰ, რის გაკეთებას მაიძულებ!“..

„ნუ ტირი, — ამშვიდებს აჰმედი და სასტუმროს ოთახში დაწრიალებს, — კარგი სახლია. შენ ხომ მოგწონს. და ორი თვეც... ორ თვეზე ნაკლები... რა? ბავშვი გაინძრა? აბა, მაჩვენე სად, აქ?“

„აი, აქ, — ცხვირი მოიწმინდა ამინამ, — ისე დამარტყა“.

„განვიზრახე, მე თვითონ მოვაწყო ჩემი ქონების გადაცემა. ყველაფერი უკან ჩამოვიტოვო, გესმის? ამოვარჩიო შესაფერისი, ღირსეული ადამიანები, როგორიც თქვენ ხართ, ბატონო სინაი! — ხელში გადმოგცეთ ყველაფერი მრთელი და დაუზიანებელი, ყველა ნივთი შესანიშნავ მდგომარეობაში ჩაგაბაროთ. ირგვლივ მიმოიხედეთ: ყველაფერი წესრიგშია, არ მეთანხმებით? ყველაფერი საათივითაა აწყობილი, როგორც იტყვიან ხოლმე. ან როგორც ინდოელები ამბობთ: „საბქუჩ თიქთოქ ჰაი“, — ანუ ყველაფერი მშვენივრადაა“, — უხსნის მეთვოლდი და ჩამავალ მზეს აშტერდება.

„კარგი ხალხი სახლებს ყიდულობს, — უთხრა აჰმედ სინაიმ ამინას და ცხვირსახოცი მიაწოდა, — ახალი მეზობლები გვეყოლება... ბატონი ჰომი ქათრექი ვერსალში ცხოვრობს, ძველი სპარსელია, დოღის ცხენების მფლობელი. ფილმებს იღებს. იბრაჰიმი სან სუჩის სასახლეში ცხოვრობს, მის ცოლს ჩვილი ბავშვი ჰყავს, დამეგობრდებით... მოხუც იბრაჰიმს აფრიკაში კანაფის პლანტაციები აქვს. კარგი ოჯახია“.

„...და მერე, რაც მინდა, იმას ვუზამ ამ სახლს?“

„ჰო, მერე, ბუნებრივია, მეთვოლდი რომ წავა“.

„...ყველაფერი კარგად აეწყო, — ამბობს მეთვოლდი, — იცით, რომ ჩემმა წინაპარმა მთელი ამ ქალაქის აშენება ჩაიფიქრა! ეს იყო ერთგვარი პროექტი ბომბეისა. და მე, როგორც მისი შთამომავალი, ამ მნიშვნელოვან მომენტში ვგრძნობ, რომ ჩემი როლი უნდა შეასრულო, დიახ, ბრწყინვალედ... როდის გადმოდიხართ? როგორც კი მეტყ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვით, იმ დღესვე თაჯის სასტუმროში გადავალ. ხვალ? ძალიან კარგი, როგორც იტყვიან, საბქუჩ თიქთოქ ჰაი![1]

აი, ხალხი, რომელთა გარემოცვაში გავიზარდე: ბატონი ჰომი ქეთრექი, — კინომაგნატი და დოლის ცხენების მფლობელი. ერთი იდიოტი ქალიშვილი, ტოქსი ჰყავდა, რომელიც დროს სულ ძიძასთან ერთად ატარებდა. ძიძას ბაიაფაჰი ერქვა და ყველაზე საშინელი ქალი იყო, ვინც კი ოდესმე მინახავს; ასევე, იბრაჰიმების ოჯახი, რომელიც სანსუჩის სასახლეში ცხოვრობდა. მოხუცი თხისწვერიანი იბრაჰიმ იბრაჰიმი, თავისი აგავის პლანტაციით და მისი ვაჟები — ისმაილი და იშაკი. ისმაილს პატარა, ნერვიული ცოლი ჰყავდა უბედური გამომეტყველებით. ნასი ერქვა. ჩვენ კი ნასიიხვს ვეძახდით, რადგან იხვივით დაბაჯბაჯებდა. ჩემს მომავალ მეგობარ, სონიზე იყო ორსულად. ჩვენ მას ახლაც ასე ვეძახდით, როცა საცაა სონი სახიფათო გინეკოლოგიური მაშებით უნდა გაემოეყვანათ... ესკორიალის სასახლე ოთახებად იყოფოდა. პირველ სართულზე დუბაშების ოჯახი ცხოვრობდა; ქმარი ექიმი იყო და მოგვიანებით თრომბეის ატომურ საკვლევ ბაზაზე წამყვანი როლი შეასრულა; ცოლი კოდების მშიფრავი იყო. მისი მოჩვენებითი გულგრილობის მიღმა რელიგიური ფანატიზმი იმალებოდა, — მაგრამ დავ, დაიმალოს, მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს ცოლ-ქმარი იყო მშობელი საირუსისა (რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვე არ ჩაისახება), ჩემი პირველი მენტორისა, რომელიც სკოლის წარმოდგენებში ქალის როლს თამაშობდა და საირუს დიდს ეძახდნენ. მათ გარდა იყო მამაჩემის მეგობარი, ექიმი ნარლიკარი, რომელმაც აქ შეიძინა სახლი... ის დედაჩემივით შავი იყო; შეეძლო ელაჟღაჟა, როცა აღტკინდებოდა ან რამეზე გაბრაზდებოდა; ბავშვები სძულდა, თუმცა ამ ქვეყანას მან მოგვავლინა; და რომ მოკვდა, ქალაქს ისეთი ჯიშის ქალები შეუსია, რომელთაც ყველაფერი შეეძლოთ და გზაზე არავითარი დაბრკოლება არ ეღობებოდათ. დასასრულ, ბოლო სართულზე ცხოვრობდნენ სარდალი საბარმათი და მისი ცოლი, ლაილა. საბარმათი უმაღლესი რანგის მფრინავი იყო ფლოტში, ხოლო ცოლი ისეთი დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა, რომ ქმარმა ვერც დაიჯერა, თუ ასე იაფად მოახერხა სახლის შეძენა. ორი ვაჟი ჰყავდათ: ერთი ოთხი თვისა იყო, მეორე წლინახევრის. ბიჭებიდან ერთი ზანტი

[1] *საბქუჩ თიქთოქ ჰაი (ჰინდ.) — ყველაფერი საათივით აეწყო.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

[illegible] — [illegible] [illegible] [illegible]

ეს, მოდი ჩვენც გავანებივროთ, ავყვეთ ამ თამაშში; ჩვენი უძველესი ცივილიზაციის ფონზე განა არ შეიძლება მეთვოლდივით ცივილიზებულები ვიყოთ?“ ამბობს და ჭიქას ერთი ამოსუნთქვით ცლის. კარგიც არის და ცუდიც: „ამ ძაღლებს უნდა მოვუაროთ, ნასი, დაო, — წუწუნებს ლაილა, — ძაღლებს საერთოდ ვერ ვიტან. ჩემი პატარა საყვარელი კატა, გეფიცები, ძალიან შეშინებულია!“...ექიმ ნარლიკარს შეურაცხოფისა და სიბრაზისგან სახე უჭარხლდება, როცა ამბობს: „ჩემი საწოლის თავზე, სინაი, ძმაო, სამი პუტკუნა, ვარდისფერი ბავშვის სურათი კიდია! ეს უსამართლობაა!“

...მაგრამ ახლა ოცი დღეა დარჩენილი და ყველაფერი თანდათან თავის კალაპოტში დგება. იმას, რაზეც ადრე ნერვები ეშლებოდათ, ახლა სახლის ბინადარნი ყურადღებას აღარ აქცევენ. და ვერც კი შეამჩნიეს, რა მოხდა: მეთვოლდის მამული ცვლის მათ, თავის ნებაზე აბრუნებს. ყოველ საღამოს, ექვსი საათი შესრულდება თუ არა, ისინი თავ-თავიანთ ბაღებში გადიან და სვამენ კოქტეილს. და როცა მეთვოლდი სტუმრად მოდის, სახლის ბინადარნი ყოველგვარი წინასწარი მცდელობის გარეშე ლაპარაკობენ ოქსფორდულ ყაიდაზე; და ამავე დროს ჭერზე მიკრული ვენტილატორების, გაზქურებისა და თუთიყუშის დიეტის შესახებ რაღაცებს სწავლობენ; მეთვოლდი, რომელიც მათი ტრანსფორმაციის თავიდათავია, თავისთვის ბუტბუტებს. ყურადღებით მოუსმინე, რას ამბობს: „საბქუჩ თიქთოქ ჰაი“, — ლუღლუღებს უილიამ მეთვოლდი, ანუ ყველაფერი კარგადაა.

გაზეთ „თაიმს ოვ ინდიას“ ბომბეურმა გამოცემამ, საინტერესო და დამაინტრიგებელი კუთხით რომ წარმოჩენილიყო, ინდოეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულისთვის შემდეგი რამ გამოაცხადა: ბომბეიში მცხოვრები დედა, რომელიც შვილის გაჩენას ზუსტად ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნის დაბადებას დაამთხვევს, გაზეთი საჩუქრით დააჯილდოებს. ეს რომ ამინა სინაიმ მოისმინა, გაშეშებული გაზეთს მიეწება. ბუზების დასაჭერი წებოვანი ქაღალდის ოცნებისგან ეს-ესაა გამოფხიზლდა, გაზეთი აჰმედ სინაის ცხვირწინ მიაჩეჩა, შემდეგ თითი გამარჯვების ნიშნად იმ გვერდზე აათამაშა, რომელზეც ეს განცხადება იყო და ხმამაღალი დამაჯერებლობით წარმოთქვა:

„ხედავ, ქმარო, ეს დედა მე ვიქნები!“

ორივემ წარმოიდგინა გაზეთის გვერდზე დიდი ასოებით დაწერილი სათაური: „სინაის ჩვილის მომხიბლავი ჟესტი — ახალშობილი დიდებულ წუთებში მოევლინა ქვეყანას!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

A1 ფორმატის გვერდზე, უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე დაიბეჭდება, პირველ გვერდს ახალშობილის სურათები დაიკავებს. აჰმედი ეკამათება: „მაგრამ ამ მოვლენის უარყოფით მხარეზეც იფიქრე, ცოლო“, ამინამ კი ჯიუტად მოკუმა ტუჩები და შეუტია: „არავითარი მაგრამ! არავითარი უარყოფითი მხარე! ჩემთან ყველაფერი კარგად იქნება, ნამდვილად ვიცი. ოღონდ არ მკითხო საიდან“.

აჰმედმა ცოლის წინასწარმეტყველება მეთვოლდს მოუყვა, თითქოს გაიხუმრა, კოქტეილს რომ სვამდნენ. ამინა არც კი შერხეულა, მეთვოლდს რომ გაეცინა, მაშინაც კი. „ქალის ინტუიცია შესანიშნავი რამაა, ქალბატონო! მაგრამ თქვენ ალბათ არ უნდა მოელოდეთ, რომ ჩვენ“. მეზობელი ნასიიხვიც, რომელიც ასევე ორსულად იყო, გაღიზიანებული უყურებდა ამინას. მანაც წაიკითხა გაზეთი. მაგრამ ამინას რამრამის წინასწარმეტყველება ისე ღრმად ჩაემარხა გულში, ვერაფერი შეარყევდა.

სიმართლე რომ ითქვას, ამინამ მუცლის ზრდასთან ერთად შეამჩნია, რომ იმ მკითხავის სიტყვები მხრებზე, თავსა და გამობერილ ბურთზეც დაწვა. ნერვიულობის მახეში გაება, რადგან როგორც რამრამმა უთხრა, ბავშვს ორი თავი ექნებოდა. ცდილობდა, მეთვოლდის მამულის ჯადოქრობისგან თავი დაეღწია, ცდილობდა, არ მოწამლულიყო კოქტეილის სალამოებით, მოლაპარაკე თუთიყუშებით, მექანიკური პიანინოებითა და ინგლისური აქცენტით... პირველად ამინას თავდაჯერებულობა, რომ ის მოიგებდა თაიმსის პრიზს, საეჭვო ჩანდა. ამინამ დაარწმუნა თავი, რომ თუ მკითხაობის ეს ნაწილი ახდა, მაშინ შემდგომშიც ისე იქნებოდა, როგორც რამრამმა თქვა, არა აქვს მნიშვნელობა, რა თქვა. ამიტომ მთლად სუფთა რწმენითა და სიამაყით არ უთქვამს დედაჩემს ის, რაც მეთვოლდს უთხრა: „ინტუიცია არაფერ შუაშია, ბატონო მეთვოლდ; ეს გარანტირებული ფაქტია“.

თავის თავს უთხრა: „და ისიც უეჭველია, რომ ბიჭი მეყოლება. თუმცა ძალიან სათუთად მოსავლელი იქნება“.

მეჩვენება, რომ დედაჩემის ძარღვებში ნასიმ აზიზის ზებუნებრივმა პატივმოყვარეობამ და წარმოდგენებმა იმძლავრეს, რომელიც ამინას ფიქრებსა და საქციელზეც აისახა. წარმოდგენები, რომელიც პატივცემულ დედას ჰქონდა! რომ თვითმფრინავი ეშმაკის გამოგონილია, რომ ფოტოაპარატმა შეიძლება სული მოგპაროს, რომ მოჩვენებები ისეთივე რეალურია, როგორიც სამოთხე და რომ წმინდანის ყურებ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზე ცერისა და საჩვენებელი თითების მოჭერა ცოდვაა. ახლა თითქოს ნასიმი ეჩურჩულებოდა ამინას ამ ყველაფერს და დაბნელებულ თავს კიდევ უფრო უბნელებდა.

დედაჩემი თავისთვის ფიქრობდა: „მიუხედავად იმისა, რომ ახლა ინგლისურ ნაგავში ვზივართ, მაინც ინდოეთში ვართ და რამრამისნაირმა ხალხმა იცის ის, რაც იცის“. ასე რომ, საყვარელი მამის სკეპტიციზმი ბებიის რწმენამ ჩაანაცვლა; და ამავდროულად, სათავგადასავლო ნაპერწკალი, რომელიც ამინას ექიმი აზიზისგან ერგო მემკვიდრეობით, ახლა მეორე და თანაბარი სიმძიმის ნაპერწკალმა ჩააქრო.

ივნისის ბოლოს, როცა წვიმები მოვიდა, ჩანასახი დედაჩემის საშოში უკვე კარგად განვითარებული იყო: მუხლები და ცხვირი ჰქონდა, ხოლო თავი რამდენიც უნდა გაზრდოდა, უკვე გაეზარდა. (დასაწყისში) ის რაც წერტილისოდენა იყო, ახლა მძიმისხელა გახდა, მერე სიტყვისხელა, წინადადებისხელა, აბზაცისხელა, თავისხელა, — ახლა ჩანასახი განვითარების უფრო რთულ სტადიებში გადავიდა და, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წიგნისხელა, ან ენციკლოპედიისხელა, ანდა სულაც ერთი სრული ენისხელა გახდა... მაშასადამე, დედაჩემის მუცელი ისე გადიდდა და დამძიმდა, რომ სანამ უორდენ-როუდი ჩვენი ორსართულიანი ბორცვის ძირას ბინძური ყვითელი წვიმის წყლით იტბორებოდა, ქუჩის განაპირას ჩარჩენილი ავტობუსები იჟანგებოდნენ, ბავშვები ქუჩის გუბურებში ჭყუმპალაობდნენ და გაზეთები წყლის ზედაპირზე დაცურავდნენ, ამინამ აღმოაჩინა, რომ პირველ სართულზე წრიულ, კოშკისებურ ოთახში იმყოფებოდა და ტყვიასავით მძიმეტვირთიანს განძრევა არ შეეძლო.

გაუთავებლად წვიმდა. წვიმა ფანჯრებში ჟონავდა და დალაქავებული შუშის ტიტები ტყვიისჩარჩოიანი ფანჯრების გაყოლებით ცეკვავდნენ. პირსახოცები, რომლებიც ფანჯრის კიდეებში შეეჩურთათ, წყალს იწოვდნენ, იჟღინთებოდნენ, მძიმდებოდნენ და ბოლოს გამოუსადეგარი ხდებოდნენ. ნაცრისფერი და დუნე ზღვა საწვიმარი ღრუბლების შესახვედრად ვიწრო ჰორიზონტს შეუერთდა. წვიმა თითქოს დოლზე ურტყამსო, ისე აღიზიანებდა დედაჩემის სმენას. მკითხავები, დედობრივი მიმნდობლობა და დამაბნეველი სხვისი საკუთრება ერთმანეთში აირია. უცნაური რაღაცები ეჩვენებოდა. ბავშვის ხაფანგში მოქცეულმა ამინამ თავი დიდი მოგოლების დროის მკვლელად წარ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოისახა, რომელიც იმით დასაჯეს, რომ უზარმაზარი ლოდის ქვეშ გაჭეჭყეს. დიდი მოგოლების იმპერიის დროს ასეთი სასჯელი ჩვეულებრივი მოვლენა იყო... შემდგომ წლებში, როცა ამინა იმ დროს იხსენებდა, დედა რომ უნდა გამხდარიყო და როცა დროის უკუმიმართულებით ამთვლელი კალენდარი ყველას 15 აგვისტოსკენ მიაქანებდა, იტყოდა ხოლმე: „იმ დროის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიხსენებ. მაშინ ჩემთვის დრო გაჩერდა. მუცელში მყოფმა ბავშვმა თითქოს საათები გააჩერა. დარწმუნებული ვარ, ასეც იყო. ნუ იცინი: გახსოვს, საათის კოშკი გორაკის ბოლოს რომ იდგა? გეუბნები, იმ მუსონის მერე იმ საათს არ უმუშავია“.

...და მუსა, მამაჩემის ძველი მოსამსახურე, ახალშეუღლებულ წყვილს ბომბეიში რომ გაჰყვა, წავიდა და მთელ ქვეყანას აცნობა: აცნობა წითელსახურავიანი სასახლეების — ვერსალის, ესკორალისა და სანსუჩის მსახურებსა და მზარეულებს: „ეს ბავშვი ნამდვილი ბუმბერაზი იქნება, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, აი ნახავთ, როგორ ათრუპიანი თევზივით გამოსხმარტალდება!“ მსახურებს, რა თქმა უნდა, გაუხარდათ; დაბადება თავისთავად ხომ სასიხარულო ამბავია და მით უმეტეს, როცა კარგი, დიდი ბავშვი იბადება — ეს ხომ ყველაფერს სჯობია...

...და ამინა, მისმა მუცელმა საათებიც რომ გააჩერა, უძრავად იჯდა კოშკის ოთახში და ქმარს ეუბნებოდა: „ხელი დამადე და იგრძენი... აი, აქ იგრძენი?.. რა ძლიერი და დიდი ბიჭია, ჩვენი პატარა მთვარის ნატეხი!“

წვიმების შეწყვეტამდე ამინა ისე დამძიმდა, რომ ორმა მსახურმა სახელურებიანი სპეციალური სკამი დააშზადა მისთვის, რომ იმით ეტარებინათ; ვი ვილი ვინქი დაბრუნდა, რომ ცირკის არენაზე ემღერა, ოთხ სახლს შორის რომ იყო; და მხოლოდ მაშინ მიხვდა ამინა, რომ ერთი კი არა, ორი სერიოზული მეტოქე ჰყავდა (ჯერჯერობით ორი იცოდა) „თაიმს ოვ ინდიას“ პრიზის მოსაპოვებლად. იმასაც მიხვდა, რომ წინასწარმეტყველებით თუ არაწინასწარმეტყველებით, ეს შეჯიბრება მალე დამთავრდებოდა.

„ვი ვილი ვინქი მქვია. ჩემი საქმიანობით ლუკმას მოვიპოვებ და ამით ვარ ცნობილი“.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოფილი მასხარები, შოუმენები და მომღერლები... ყალიბი ჩემს დაბადებამდე ჩამოისხა. ჩემს ცხოვრებას მსახიობები დაგეგმავენ.

„ვიმედოვნებ, შშვიდად ხარ!.. თუ შშიერად ხარ? ოჰ, გეხუმრე, გეხუმრე; ქალბატონებო და ბატონებო, ახლა თქვენი სიცილი დამანახვეთ!“

მაღალი, შავი, სიმპათიური კლოუნი აკორდეონით ხელში დგას ცირკის სცენაზე. ბუკინგემის ბაღში მამაჩემის ფეხის ცერი (თავის ცხრა კოლეგასთან ერთად) უილიამ მეთვოლდის შუაზე გაყოფილი თმის ხაზს მიუყვება... სანდლებიანმა და ბოლქვისმაგვარმა ცერა თითმა ჯერ არ იცის რა უბედურება ელოდება. ვი ვილი ვინქი (ვისი ნამდვილი სახელი ვერასოდეს გავიგეთ) ანეკდოტებს ჰყვება და მღერის. პირველი სართულის ვერანდიდან ამინა უსმენს და უყურებს და მეზობელი ვერანდიდან ნასიიხვის გამჭოლ, შურიან მზერას გრძნობს.

...მე კი, ჩემს საწერ მაგიდასთან ვზივარ და პადმას მოუსვენრობა მგესლავს. (ხანდახან ვნატრობ, უფრო გამჭრიახი და გემოვნებიანი მსმენელი მყავდეს; ის, ვინც რიტმის, ტაქტისა და ფაქიზი, უმნიშვნელო აკორდის საჭიროებას გრძნობს, აკორდისა, რომელიც იზრდება, მძლავრობს და მელოდიის ჰარმონიად იქცევა; ისეთი მსმენელი მჭირდება, რომელსაც, მაგალითად, ეცოდინება, რომ ბავშვის სიმძიმემ და მუსონებმა კი დაამუნჯეს საათის კოშკი, მაგრამ მაუნთბათუნის საათი ისევ წიკწიკებს და სვლას განაგრძობს. ეს სვლა ფაქიზია, მაგრამ ამავე დროს მკაცრი და შეურყეველი და მცირე დრო სჭირდება, რომ ყურები მოგუგუნე, რიტმული და დოლისმაგვარი მუსიკით გამოგვიჭედოს). პადმა ამბობს: „ამ ვინქიზე ნულა მიყვები; დღე და ღამე შენს დაბადებას ველოდები და შენ ჯერ კიდევ არ შობილხარ!“ მე კი ისევ სიმშვიდეს მოუხმე; ყველაფერი თავის ადგილზეა, იქ, სადაც ჯერ არს, რომ იყოს. ამიტომ ჩემს ნეხვისლოტოსს შევაგონებ, რომ ამ ვინქისაც თავისი მიზანი და ადგილი აქვს, და ის ახლა ვერანდაზე მჯდარ ორსულ ქალებს აჯავრებს, აღიზიანებს იმით, რომ სიმღერას წყვეტს და ამბობს: „ქალბატონებო, პრიზის შესახებ გაიგეთ? მეც გავიგე. ჩემი ვანიტა მალე იმშობიარებს, მალე, მალე; და ადვილი შესაძლებელია, რომ თქვენი კი არა, ჩემი ვანიტას სურათი გამოჩნდეს იმ გაზეთში!“ ამინა იღუშება, მეთვოლდი იღიმის (ძალდატანებული ღიმილია? რატომ?) თმის გამყოფი ზოლის ქვემოთ. მამაჩემს ქვედა ტუჩი კეთილგონივრუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლად წინ წამოუგდია, ფეჩის ცერი კი სადღაც მიდის. მამა ამბობს: „თავხელი ბიჭია, ძალიან შორს შეტოპავ". მაგრამ ახლა მეთვოლდი, რომელიც უხერხულობას და თითქოს დანაშაულსაც კი გრძნობს, აჰმედ სინაის უსწორებს: „სისულელეა, მეგობარო, მასხარას ჩვეულებრივი ქცევაა, ხომ იცი, უფლება აქვს გააჯავრის. ემოციების დაცლის უსაფრთხო საზოგადოებრივი საშუალებაა, თანაც მნიშვნელოვანი".

მამაჩემი მხრებს იჩეჩს. ეს ვინმე ეტყობა, ჭკვიანია, რადგან წყალზე ნავთს ასხამს შემდეგი სიტყვებით: „ერთი ბავშვის დაბადება ერთი სიამოვნებაა, ორი ბავშვის დაბადება — ორი სიამოვნება! ძალიან სასიამოვნო ხუმრობა გამოვიდა, არა, ქალბატონებო?" უცებ ყველას გუნება ეცვლება, რადგან მასხარას მძლეთამძლე და მნიშვნელოვანი აზრი დრამატულად შემოაქვს: „ქალბატონებო და ბატონებო, ამ ბატონი მეთვოლდის დიდი წარსულის შუაგულში თავი მშვიდად როგორ უნდა იგრძნოთ? გეუბნებით, რომ ეს ალბათ უცნაურიც არის და არარეალურიც; მაგრამ ახალი საბინადროა თქვენთვის, ქალებო, კაცებო, და ვერც ერთი ახალი საბინადრო რეალური ვერ გახდება, სანამ იქ ვინმე არ დაიბადება. პირველი ახალშობილი გაგრძნობინებთ, რომ თქვენს სახლში ხართ". მერე მასხარა ამღერდა: „დეიზი, დეიზი". და ბატონი მეთვოლდიც აჰყვა, თუმცა მაინც პირშავად არის...

...და აი, მთავარი: ეს პირშავობა დანაშაულის შეგრძნებას ნიშნავს. ვინმე შეიძლება ჭკვიანიცაა და სასაცილოც, მაგრამ საამისოდ ჭკუა არ ჰყოფნის; დრო მოვიდა, რომ მეთვოლდის შუაზე გაყოფილი თმის საიდუმლოს პირი მოვხსნათ, რადგან სულერთია, მაინც წვეთავს და სახე სულ გაუსვარა.

ერთ დღეს, „თიქ თოქამდე" და „ყველაფრის ჩათვლით" შეთანხმებამდე კარგა ხნით ადრე, ბატონმა მეთვოლდმა ვინმე და მისი ვანიტა თავისთან მოიწვია, რომ მისთვის ემღერათ, მხოლოდ მისთვის, იმ ოთახში, რომელიც ახლა ჩემი მშობლების მისალები ოთახია; ცოტა ხნის შემდეგ, მეთვოლდმა უთხრა: „მისმინე, ვი ვილი, ერთი საქმე გამიკეთე, თუ კაცი ხარ: ამ რეცეპტით წამალი მჭირდება, საშინელი თავის ტკივილი მაწუხებს, წაიღე ქემფს ქორნერში და ექიმს სთხოვე, ტაბლეტები მოგცეს. ყველა ჩემი მსახური გაცოფებულია და წავს". ვინმე საწყალი კაცი იყო და უმალ დაეთანხმა: „დიახ, ბატონო, ამწუთას, ბატონო", და წავიდა; შუაზე გაყოფილ თმასთან ვანიტა რომ მარტო დარჩა, იგრძნო, თმამ როგორ მიიზიდა მისი თითები, რომელსაც


www.PDF.ChiaturaINFO.GE

წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მეთეოლდი ლერწმის სკამზე უძრავად იჯდა, ეცვა მსუბუქი, კრემისფერი უნიფორმა, ნაკეცზე ვარდით. ქალი თითებგაშლილი მიუახლოვდა, თითები თმაში შეცურდნენ და შუაგანაყოფი მოძებნეს, მერე კი თმა აუბურძგნეს...

ასე რომ, ახლა, ცხრა თვის შემდეგ, ვი ვილი ვინქი მისი ცოლის მოძაჯალ ბაღშეზე ხუმრობდა, რომელიც მალე დაიბადებოდა. ამიტომ ინგლისელი მოიქუცერა.

„მერე? — მეუბნება პადმა, — რაში მაინტერესებს ეს ვინქი და მისი ცოლი, რომლის შესახებ, სხვათა შორის, არაფერი მოგიყოლია!“

ზოგი ადამიანი მუდამ უკმაყოფილოა. მაგრამ პადმას მალე დავაკმაყოფილებ.

ახლა კი მოეშზადოს იმისთვის, რომ გული უფრო მეტად გაუტყდება. მეთეოლდის მამულის, ოქროს თეზების, ძალლების, ახალშობილთა შეჯიბრების, შუაზე გაყოფილი თმის, ცერა თითისა და წითელი სახურავის ამბების სპირალმა შორს მომისროლა და ახლა იმ ქალაქისკენ მიეფრინავ, წვიმების შემდეგ რომ სუფთად და ქორფად გამოიყურება; ამინას და აპმედს ვი ვილი ვინქის სიმღერას შევატოვებ. ფრთები ოლდ ფორტის უბნისკენ მიმაფრენენ, ჩავუარე ფლორა ფაუნთინს და მივადექი ერთ დიდ შენობას, რომელსაც ნისლისებრი, ხავერდისებრი სინათლე და საკმეველის მონარნარე სურნელი ავსებს... ეს იმიტომ, რომ აქ, წმინდა თომას ტაძარში, მერი პერეირა ღმერთის ფერს შეიმეცნებს.

„ლურჯი, — სერიოზულად ამბობს ახალგაზრდა მღვდელი. — ყველა შესაძლო ფაქტი, შვილო ჩემო, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი უფალი იესო ქრისტე ულამაზესი გამჭვირვალე ღია ცის ფერი იყო“.

პატარა ქალი, რომელიც ხის გისოსებიანი ფანჯრის მიღმა იდგა ალსარების ჩასაბარებლად, ცოტა ხნით დადუმდა. ღრმა და ამაღელვებელი სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ კი: „ჰო, მაგრამ ეს როგორ, მამაო? ადამიანი არ შეიძლება ლურჯი იყოს. მთელი დუნია რომ მოიარო, ლურჯ კაცს ვერსად ნახავ!“

პატარა ქალის უხერხულობა მღვდლის დაბნეულობას შეერწყა... რადგან ამ ქალს ასეთი რეაქცია არ სჩვევია. მღვდელს ეპისკოპოსმა უთხრა: „ახალმოქცეულთა პრობლემა... როცა ისინი ფერზე გვე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კითხულობიან, თითქმის ყოველთვის ეს... მნიშვნელოვანია ხიდი გაიდოს, შვილო ჩემო, დაიმახსოვრე", და შემდგომად წარმოთქვა ეპისკოპოსმა: „ღმერთი სიყვარულია, და ჰინდუს საყვარელი ღმერთი, კრიშნა, ცისფერი კანითაა აღწერილი. უთხარი, რომ ცისფერია; ეს ერთგვარი ხიდი იქნება რწმენათა შორის; და გარდა ამისა, ცისფერი ნეიტრალური ფერია. ჩვეულებრივ, ფერთა პრობლემებს არ შეიცავს, თეთრსაც გარიდებს და შავსაც: კი, ნამდვილად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ის ფერია, რომლის შერჩევა ღირს". ეპისკოპოსებიც კი ცდებიან, ფიქრობს ახალგაზრდა მღვდელი. მაგრამ მგონი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან პატარა ქალი აღელვებულია და ფანჯრის გისოსებიდან მღვდელს სასტიკად არ ეთანხმება: „ცისფერი რა პასუხია, მამაო, ეს როგორ უნდა დავიჯერო? თქვენ აუცილებლად უნდა მისწეროთ რომის პაპს, ის ნამდვილად სწორ გზაზე დაგაყენებთ; თუმცა სულ არ არის აუცილებელი, რომის პაპი იყო, რომ იცოდე, რომ კაცი არ შეიძლება ლურჯი იყოს! მღვდელი თვალს ხუჭავს; ღრმად ჩაისუნთქავს და საპასუხო შეტევაზე გადადის: „კანს ადამიანებს ცისფრად ულებავდნენ, — ენა ებორკება, — ლურჯად შეფერილი ფრესკები; ლურჯად შეფერილი არაბი მომთაბარენი; ეს განათლების უპირატესობას ნიშნავდა, შვილო ჩემო, ნახე". მაგრამ უცებ საალმსარებლოს ფანჯრიდან ქალის ირონიული ხითხითი ექოსავით აღწევს. „რა თქვით, მამაო? თქვენ მაცხოვარს ჯუნგლში მოარულ ველურებს ადარებთ? ო, ღმერთო, სირცხვილით ყურებზე თითები უნდა დავიცო, ეს რა მესმის!" და კიდევ რაღაცას ამბობს პატარა ქალი. ახალგაზრდა მღვდელი გრძნობს, რომ ცუდადაა მისი საქმე და უცებ საიდანღაც ჩაეგონა, რომ ამ ლურჯი ბიზნესის მილმა კიდევ რაღაც იმალება, კიდევ რაღაცაა ჩასაფრებული და კითხვას უსვამს, რის შედეგადაც ქალის კრიტიკა ცრემლებმა ჩანაცვლა. მღვდელი კი შეშინებული ეუბნება: „დამშვიდდი, დაწყნარდი, განა უფლის ღვთიური ბრწყინვალება რაღაც კანის ფერზე უნდა დავიყვანოთ?.. და მოღვარღვარე მარილიანი ცრემლებიდან ხმა აღწევს: „დიახ, მამაო, ბოლოს და ბოლოს, თქვენ არც ისე ცუდი ხართ; მე მას იგივე ვუთხარი, ზუსტად იგივე, მაგრამ მან გინება დაიწყო და არც კი მისმენდა". აი, ესეც ასე, უკვე „იგი" შემოიჭრა მათ საუბარში, და ის დანარჩენი უამური ნელ-ნელა წაბორძიკდა. ახლა მერი პერეირა, ქალი, რომელსაც თავგზააბნეული ქალწულის შესახედაობა აქვს, აღსარებას აბარებს. ამ აღსარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და გვიხსნის მიზეზებს, თუ რატომ შეიტანა მან უმნიშვნელოვანესი და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

საბოლოო წვლილი XX საუკუნის ინდოეთის ისტორიაში, სწორედ იმ ღამეს, მე რომ დაკიბადე, მოყოლებული იქიდან, ბაბუაჩემმა რომ ცხვირი დაარტყა მიწას, იმ დრომდე, როცა ზრდასრული გავხდი.

მერი პერეირას აღსარება: როგორც ყველა მერის, მასაც თავისი ჯოზეფი ჰყავდა. ჯოზეფ დ'კოსტა ექიმ ნარლიკარის საშშობიარო სახლში, პედერ-როუდზე, მორიგედ მუშაობდა („ოჰო!" ბოლოს და ბოლოს, პადმა რაღაც კავშირს ხედავს). მერი ბებიაქალი იყო. პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა. ჯოზეფმა ფინჯან ჩაისა და იოგურტისგან დამზადებულ სასმელზე დაპატიჟა და ტკბილი სიტყვებიც უთხრა; მისი თვალები გამბურღავად იმზირებოდნენ, ლაპარაკით კი მსუბუქად და კარგად ლაპარაკობდა; პატარა, პუტკუნა, ქალწულური გარეგნობის მერის მისი ყურადღება ძალიან სიამოვნებდა; მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა.

„უცებ ჰაერის ყნოსვა დაიწყო და ცხვირის სრუტუნი, ცხვირი სასაცილოდ აბზიკა. ვეკითხები, ჯო, გაცივებული ხომ არ ხარ? არაო, ამბობს; ამბობს არაო და ქარს ჩრდილოეთიდან ყნოსავს. ვეუბნები: ჯო, ბომბეიში ქარი ზღვიდან ქრის, ანუ დასავლეთიდან, ჯო". მერი პერეირა თავისი სუსტი ხმით აღწერს, რომ მის ნათქვამს ჯოზეფ დ'კოსტას განრისხება მოჰყვა. ჯოზეფმა უთხრა: „შენ არაფერი გაგეგება, მერი, ქარი ახლა ჩრდილოეთიდან მოდის და სიკვდილის სუნი მოაქვს. ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ მდიდრებისთვისაა ხელსაყრელი, ხოლო ღარიბებს აიძულებენ მწერებივით დახოცონ ერთმანეთი. ჰენჯაბში, ბენგალში აჯანყებები აჯანყებებზე მძვინვარებს, ღატაკები ღატაკთა წინააღმდეგ გამოდიან. ეს ამბავი ქარს მოაქვს".

მერი ეუბნება: „შენ რაღაც გიჟურად ლაპარაკობ, ჯო, თავს რატომ იწუხებ იმ ცუდ ამბებზე, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ მშვიდად შეგვიძლია ვიცხოვროთ, არა?"

„არ გინდა, შენ ერთი რამ არ იცი".

„მაგრამ, ჯოზეფ, მკვლელობების ამბავიც რომ მართალი იყოს, ეს ხალხი ჰინდუ და მუსლიმები არიან; ქრისტიანებს რა ხელი აქვთ მათ ბრძოლებთან? ისინი მუდამ ასე ხოცავდნენ ერთმანეთს".

„შენ და შენი ქრისტე... შეუშვი მაგ თავში, რომ ქრისტიანობა თეთრი ხალხის რელიგიაა. თეთრი ღმერთები თეთრ ხალხს ჰყავდეს. ახლა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩვენი ხალხი კვდება. ჩვენ უნდა შევეწინააღმდეგოთ; და ხალხს ვუჩვენოთ, თუ ვის უნდა ვებრძოლოთ, იმის მაგივრად, რომ ერთმანეთი ვხოცოთ, გაიგე?“

მერი მღვდელს მიმართავს: „ამიტომ შეგეკითხე, ქრისტე რა ფერია-მეთქი, მამაო... მე ვუთხარი ჯოზეფს, ბევრჯერ ვუთხარი, რომ ჩხუბი არ არის კარგი, რომ თავი დაანებოს ამ ველურ აზრებს; ის კი წყვეტს ჩემთან შეხვედრებს. სამაგიეროდ, ვილაც საშიშ ტიპებს ხვდება და ჭორები დადის, თუ როგორ ესვრის აგურებსა და ცეცხლმოკიდებულ ბოთლებს დიდ სატვირთო მანქანებს. გაგიჟდა, მამაო! ამბობენ, რომ მისი დახმარებით თურმე ავტობუსებს წვავენ, ტრამვაისაც აფეთქებენ და ვინ იცის, კიდევ რას არა. რა ვქნა, მამაო, ჩემს დას ყველაფერი ვუთხარი. ალისა ჰქვია, კარგი გოგოა. ვუთხარი, ჯო სასაკლაოსთან ახლოს ცხოვრობს, შესაძლოა, იქიდან იკრა სიკვდილის სუნი და ამან გააგიჟა-მეთქი. ალისა მის მოსაძებნად წავიდა, მე დაველაპარაკები შენ მაგივრადო, მაგრამ მერე, ო, ღმერთო, ამქვეყნად რა არ ხდება... მამაო, ამას ნამდვილად გეუბნებით... ო, მამაო“. და უცებ ცრემლი ახრჩობს, საიდუმლო ცრემლად ეღვრება თვალებიდან.

...ალისა რომ დაბრუნდა, ასე უთხრა, ჩემი აზრით, შენი ბრალია ყველაფერიო. ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით რომ საყვედურობდი ჯოზეფს, ახლა შენი გაგონებაც აღარ უნდაო. გვერდში უნდა დასდგომოდი, ის ხომ პატრიოტულად იქცევა, ხალხს აფხიზლებსო. ალისა მერიზე ახალგაზრდაც იყო და უფრო ლამაზიც; ამის მერე ჭორები დაირხა, ვითომ ალისა და ჯოზეფი ერთმანეთს ხვდებიანო. მერიმ კი აღარ იცოდა, რა ექნა.

„იმან რა იცის პოლიტიკის შესახებ? მაგრამ ჯოზეფი რომ დაისაკუთროს, ამისთვის ათას მის მიერ ნათქვამ სისულელეს იმეორებს თუთიყუშივით, გეფიცები, ასეა, მამაო“.

„გაფრთხილდი, შვილო, ეს მკრეხელობაა“.

„არა, მამაო, ღმერთის წინაშე ვფიცავ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ის კაცი დავიბრუნო. დიახ, მიუხედავად იმისა... არა უშავს, რაც მან... აი-ო-აი-უუუ!“

მარილიანმა ცრემლებმა საღმსარებლოს იატაკი გადარეცხეს... და ახალგაზრდა მღვდელი ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდა. ნეტავ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორ მოიქცეს, უხილავ სასწორზე რომელი გადაწონის: საალმსარებლოს სიწმინდე თუ ის საშიშროება, ცოცხლიზებულ საზოგადოებას ჯოზეფ დ'კოსტასნაირი კაცისგან რომ ელოდება? გამოართმევს მერის ჯოზეფის მისამართს და შემდეგ გამოამეღავნებს თუ? ...მოკლედ, ეს ეპისკოპოსის მიერ ნასაყვედურები ახალგაზრდა მღვდელი, ნერვიულობისგან მუცელი რომ უღმუის, მოიქცეს თუ არა ისე, როგორც მონთგომერი ქლიფტი მოიქცა ფილმში „მე ვალიარებ" (ეს ფილმი რამდენიმე წლის მერე „ნიუ ემფაია სინემაში" ვნახე, მაგრამ მაინც ვერ გადაეწყვიტე)! არა! ჩემი უსაფუძვლო ეჭვები ამჯერადაც უნდა დავასამარო. ის, რაც ჯოზეფს მოუვიდა, ალბათ მაინც მოხდებოდა. შესაძლოა ახალგაზრდა მღვდელი იმით არის ამ ამბისთვის მნიშვნელოვანი, რომ ის იყო პირველი გარეშე ადამიანი, რომელმაც გაიგო ჯოზეფ დ'კოსტას საშინელი სიძულვილი მდიდრებისადმი და ასევე შეიტყო, რომ მერი პერეირას სასოწარკვეთი მწუხარება ტანჯავდა.

ხვალ ვიბანავებ და გავიპარსავ; ჩავიცვამ სულ ახალთახალ პერანგს, რომელიც ბრწყინავს და გახამებულია და შარვალსაც შესაფერისს მივუსადაგებ. ჩავიცვამ ჩუსტებს, ცერა თითთან აკეცილს და სარკის წინ დიდხანს ვიტრიალებ; თმას ლამაზად დავიყარცხნი (შუაში არ გავიყოფ), კბილები ელვარებენ... ერთი სიტყვით, შევეცდები, საუკეთესოდ გამოვიყურებოდე („მადლობა ღმერთს", ამბობს პადმა და ტუჩებს კუმავს).

ხვალ, ბოლოს და ბოლოს, დავამთავრებ ამბებს, რომელიც (დაბადებისთანავე რომ არ გამოჩნდნენ) ჩემი აფორიაქებული ტვინის მოუხელთებელი კუნჭულიდან ძალით გამოვათრიე; მაუნთბათუნის დროის უკუმთვლელი კალენდრის რიტმის უარყოფა უკვე შეუძლებელია. მეთოლდის მამულში მოხუცი მუსა ჩართული ბომბივით წიკწიკებს, მაგრამ მისი ხმა არ ისმის, რადგან მას სხვა მძლავრი, დამაყრუებელი და გაუთავებელი ხმაური ახშობს. ეს წამების მსვლელობის ხმაა, რომელიც შუაღამის გარდაუვალ მოახლოებას გვამცნობს.

## წიკ, წიკ...

პადმას შეუძლია გაიგონოს: მოლოდინის შესაქმნელად წამების უკუთვლაზე უკეთესი რამ არ არსებობს. ვუყურებდი, დღეს როგორ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუშაობდა ჩემი ნეჯვის ყვავილი, ქვაბებს ქარბორბალასავით ურევდა, თითქოსდა ამით დრო ააჩქარა (შესაძლოა, მართლაც ააჩქარა; ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ დრო ბომბეის ელექტროენერგიის სადგურივით არამყარი და არასანდოა. თუ არ გჯერათ, დაურეკეთ მოლაპარაკე საათს, რომელიც ელექტრობაზეა მიბმული და, როგორც წესი, რამდენიმე საათით ჩამორჩება. თუ არ ვცდებით... ადამიანებზე, რომელთათვისაც სიტყვა „გუშინ" იგივეა, რაც სიტყვა „ხვალ", ვერ ვიტყვით, რომ დროის მყარი შეგრძნება ჰქონდეთ ან მისი ყადრი იცოდნენ).

მაგრამ დღეს პადმამ მაუნთბათუნის საათის ხმა გაიგონა... მაუნთბათუნის საათი ინგლისშია დამზადებული და ამიტომ ყოველთვის შეუბრალებლად ზუსტია. ახლა საწარმო ცარიელია; ქვაბებიდან ასული ოხშივარი ისევ ჰაერში დგას, მაგრამ ქვაბებში სიმშვიდეა; და მე ჩემს სიტყვას ვასრულებ; ლამაზად გამოწკეპილი პადმას ვესალმები. ის კი ჩემი საწერი მაგიდისკენ მოიჩქარის, შემდეგ გამომწვევად ეშვება იატაკზე ჩემ გვერდით და მიბრძანებს: „დაიწყე!" მე კმაყოფილი სახით ვუღიმი; ვგრძნობ, შუალამის შვილები როგორ დამწკრივდნენ ჩემს ტვინში, ქოლის ტომის მეთვეზე ქალებივით ერთმანეთს ეჯიკავებოდნენ და არ აცლიან; მე ვთხოვ, მოიცადონ, რადგან ცოტა ხანში მათი ჯერიც დადგება; ჩავახველე, კალამი შევანძრიე და ვიწყებ.

ძალაუფლების შეცვლამდე, ოცდათორმეტი წლის წინათ, ბაბუა-ჩემმა ცხვირი ქაშმირის მიწას დაარტყა. ლალი და ბრილიანტი გაჩნდა. და ასევე გაჩნდა მომავლის ყინული, წყლის საფარველქვეშ რომ იცდიდა. ფიციც გაჩნდა: არც კაცის და არც ღმერთის წინაშე თავს არ დახრიდა. ამ ფიცმა ღრმული გაუჩინა, რომელიც გახვრეტილი ზეწრიდან დანახულმა ქალმა დროებით ამოუვსო. მენავე, რომელმაც ერთხელ ბაბუას ცხვირში ჩასაფრებული დინასტიები უწინასწარმეტყველა, ტბაზე სიბრაზემორეული ნავს მიაქროლებდა. იყვნენ ბრმა მემამულენი და მოჭიდავე ქალები. და ბნელ ოთახში იყო ზეწარი. იმ დღეს ჩამოყალიბდა ის, რაც მემკვიდრეობით უნდა მიმელო — ქაშმირის ლურჯი ცა, რომელიც ბაბუას თვალებში ჩაეღვენთა; ჩემმა დიდმა ბებიამ დიდი ვარამი გამოიარა, რომელიც დედაჩემმა თავშეკავებად, ხოლო ნასიმ აზიზმა გულქვაობად იმემკვიდრა. ჩემს დიდ ბაბუას ჩიტებთან საუბრის ნიჭი ჰქონდა და ეს ნიჭი არაპირდაპირი, მიხვეულ-მოხვეული გზებით ჩემი თითბრის დაიკო-მაიმუნის ძარღვებში აღ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოჩნდა; ბაბუის სკეპტიციზმსა და ბებიის გულუბრყვილობას შორის მუდმივი კონფლიქტი იყო; ყველა ჩემს წინაპარს გახვრეტილი ზეწრის აჩრდილი მუდამ თან სდევდა; დედაჩემი განწირული იყო იმისათვის, რომ ქმარი ნაწილ-ნაწილ შეეყვარებინა; მე ის მომესაჯა, რომ მთელი ჩემი ცხოვრების აგებულება და შინაარსი ნაწილ-ნაწილ, ფრაგმენტულად ვიხილე. ასე რომ, როცა ამას მოვხვდი, უკვე ძალიან გვიან იყო.

წლები მიწიკწიკებენ და ჩემი მემკვიდრეობა იზრდება. ახლა მე მენავე თაისავით მითური ოქროს კბილები მაქვს, ასევე მაქვს თაის ნაქონი ბრენდის ბოთლი, რომელმაც მამაჩემში ჯინის არსებობა იწინასწარმეტყველა; თავის მოკვლა თუ დამჭირდა, ამისთვის აილს ლუბინი მყავს, ხოლო სექსუალურ ენერგიას დამწნილებული გველები შემმატებენ. მარადუცვლელი თაი მარადპროგრესირებადი ადამის საწინააღმდეგოდ მყავს; მე დაუბანელი მენავის სუნებიც მაქვს, ჩემი მშობლები სამხრეთში რომ გააქცია და ბომბეის არსებობა შესაძლებელი გახადა.

...და ახლა, პადმასა და წიკწიკის გავლენის ქვეშ მოქცეული სვლას ვაგრძელებ. დაკვირვების არეში მყავს მაჰათმა განდი, ეროვნული გლოჯა რომ გამოაცხადა; ვსანსლავ ცერსა და საჩვენებელს, ვყლაპავ იმ მომენტს, როცა ადამ აზიზმა არ იცოდა, ქაშმირელი იყო თუ ინდოელი; მერკუროქრომს ვსვამ და ხელის ფორმის ლაქებსაც ვსანსლავ, წიწაკის ფურთხებად რომ მეორდება; ვყლაპავ საღებავს, ულვაშს და ყველაფერს; ბაბუაჩემი ცხვირმა იხსნა და მკერდზე იარა გაუჩნდა, რომელიც არასოდეს გამქრალა. ასე რომ, მე და ბაბუა იმ მკერდზე გაჩენილი იარის შეუწყვეტელ გულის ფეთქვაში პასუხს ვპოულობთ კითხვაზე: ინდოელი თუ ქაშმირელი? იარა ჰაიდელბერგის ჩანთის საკეტმა მოგვაყენა, ამიტომ არჩევანს ინდოეთის სასარგებლოდ ვაკეთებთ. მაგრამ ცისფერი თვალების უცხოობა ისევ ძალაშია; თაი კვდება, თუმცა მისი მაგია ყველა ჩვენგანის თავზე ხმალივით კიდია და გვაშორიშორებს.

...წინ ხმაურით მივიწევ და ვჩერდები, რომ ჩასაფურთხებელი კასრი ავიღო. ერის დაბადებამდე[1] ხუთი წლით ადრე ჩემი მემკვიდრეობა

---

[1] *ერის დაბადებამდე — აქ იგულისხმება ინდოეთის გათავისუფლება ინგლისელი კოლონიზატორებისგან.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იზრდება, ამაში ოპტიმიზმის ავადმყოფობაც შედის, რომელმაც ჩემს დროსაც იმძლავრა, და ახლა მიწა უნდა გამოამტვრიოს და ჩემს კანში ხელმეორედ დაიბადოს; ყოფილი ჯადოქარი კოლიბრები, ქუჩის გამრთობთა მწკრივი რომ შექმნეს და ჩემი ცხოვრების პარალელურად მსვლელობენ; ბებიაჩემი, ხალები კუდიანი ქალის ძუძუს კერტებს რომ მიუგავდა და ფოტოს გადაღება რომ სძულდა; იმასრაჰქვია; შიმშილის ომები და გამეფებული სიჩუმე, ბრძენი დეიდაჩემი ალია, გამწარებულ შინაბერად რომ იქცა და ბოლოს სასტიკი შური იძია; ესმერალდასა და ზულფიკარის სიყვარული, რამაც რევოლუცია დამაწყებინა; ნახევარმთვარისებრი დანები, საბედისწერო მთვარე, დედაჩემისგან ჩემს სასიყვარულო სახელში ექოდ მოღწეული; დედაჩემის გულუბრყვილო ბოლივუდური ფილმის სიმღერა, მისი საყვარული ნაწილი... ახლა რომ იზრდება და წარსულის ამნიოტურ სითხეში დაცურავს; მე იმ ზუზუნით ვსაზრდოობ, რომელიც ისეთი მაღალი დიაპაზონისა შეიქნა, რომ ძაღლები მოვიდნენ საშველად; ვსაზრდოობ სიმინდის ყანაში გაქცევით და იმითაც, რაშიდმა, რიქშის ბიჭმა რომ ხსნა მოავლინა, გაი-ვალას როლში შეჭრილმა, მთელი ძალით რომ გარბოდა და ჩუმად გაჰკიოდა; ხომ გამოამეღავნა ინდური საკეტების საიდუმლო და ნადირ-ხანი ნიჟარიან საპირფარეშოში შეიყვანა; დიახ, ერთ წამში ვმძიმდები, რადგან მასუქებს დასაბანი ნიჟარები და ხალიჩისქვეშა სიყვარული მუმთაზისა და იმ ულექსო მგოსნისა; ვსოვდები, რადგან ვყლაპავ ზულფიკარის ოცნებას, აბაზანა საძინებლის გვერდით ჰქონდეს, ვყლაპავ მიწის ქვეშ მცხოვრებ თაჯმაჰალს და არც ვერცხლის ჩასაფურთხებელს ვტოვებ, ლაზურიტით როა მოპირკეთებული; ქორწინება ქუცმაცდება და იმ ნაფხვენებით ვიკვებები; გამყიდველი დეიდა ულირსებოდ დარბის აგრის ქუჩებში — ამითაც ვსაზრდოობ; ახლა ყალბი დასაწყისი დასასრულს უახლოვდება, და ამინა მუმთაზი აღარ არის; აჰმედ სინაი კი მის ქმრადაც იქცა და მამადაც... ჩემი მემკვიდრეობა ამ საჩუქარსაც შეიცავს — გამოვიგონო ახალი შშობლები ჩემთვის, როცა ამის საჭიროება დადგება. ეს ის ძალაა, რომელიც ახალ მამებსა და დედებს შობს და რომელიც აჰმედს არასოდეს ჰქონია, თუმცა სურდა კი რომ ჰქონოდა.

ჭიპლარით გადასახადის არგადამხდელებსა და ფარშავანგის მარაოს ყიდვის საშიშროებას ვიწოვ; ამინას გულმოდგინება ჩემში იღვრება, უფრო შიშის მომგვრელი რამეებიც შემოდის ჩემში — ფეხის


www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხმა; და ის, დედაჩემი რომ იძულებულია ქმარს ემუდაროს, ფული მომეციო და მანამ ემუდარება, სანამ მამაჩემის კალიაში ჩაფენილი ხელსახოცი ყალყზე არ დგება და პატარა კარაკს ჩამოჰგაკს; ჩემში იღვრება დამწვარი არჯუნა ინდიანაპოლის ფერფლი, და ის შავი საჩვენებელი ყუთი, რომელშიც ლიფაფა დასი ყველაფერს აწყობდა, რაც კი რამ მოიძებებოდა ქვეყნის ზურგზე; ჩემშია ყალთაბანდები, ბრაზს რომ ანთხევდნენ; მრავალთავიანი ურჩხულები იზრდებიან ჩემში — ნიღბიანი რავანები, რვა წლის ერთწარბიანი, მოჩლიფინე გოგონები და ბრბოები, მრყვნელოო, რომ გაჰყვირიან. საჯარო განაცხადები მკვებავენ და ჩემი ამქვეყნად მოვლინების დროსთან მაახლოებენ, იქამდე კი მხოლოდ შვიდი თვეა დარჩენილი.

რამდენი საგანი, ადამიანი თუ ცნება მოგვყავს ჩვენთან ერთად ამ ქვეყანაზე, რამდენი შესაძლებლობა თუ შესაძლებლობის აკრძალვა მოგვაქვს! — ყველა ამათგანი მშობელია ბავშვისა, რომელიც იმ შუალამეს დაიბადა და ყოველ ახალ შუალამეს უფრო მეტი ჩნდებოდა. შუალამის მშობლებს შორის იყო: მინისტრთა კაბინეტის გეგმის მარცხი, განზრახვა მ. ა. ჯინასი, რომელიც კვდებოდა და სურდა შემდგარი პაკისტანის ქვეყანა თავის სიცოცხლეშივე ენახა და ყველაფერი გააკეთა ამისთვის. ეს ის ჯინა იყო, ვისთანაც შეხვედრაზე მამაჩემმა უარი თქვა და როგორც ყოველთვის, შანსი ხელიდან გაუშვა. მაუნთბათენი თავისი უჩვეულო სისწრაფითა და ქათმისმკერდისმჭამელი ცოლით; და უფრო და უფრო მეტი — რედ ფორტი და ოულდ ფორტი, მაიმუნები და სვავები, ქვებს რომ ყრიდნენ, თეთრკანიანი ტრანსვესტიტები და ჯარაექიმები, მანგუსტთა მწვრთნელები და შრი რამრამ სეთი, რომელსაც მეტისმეტი მკითხაობა მოუვიდა. მამაჩემის ოცნებას, თავიდან შეედგინა ყურანი, თავისი ადგილი აქვს ჩემში; და საწყობის გადაბუგვა, რამაც მამა ტყავის ბიზნესმენის ნაცვლად მესაკუთრედ აქცია; და აჰმედის ის ნაწილი, ამინამ რომ ვერ შეიყვარა. ერთი სიცოცხლის გასაგებად მთელი სამყარო უნდა გადაყლაპო. ეს უკვე გითხარით.

კიდევ: მეთევზეები და კატარინა ბრაგანზადან; მუმბადევი, ქოქოსი და ბრინჯი; სივანჯის ქანდაკება და მეთვოლდის მამული; ბრიტანული ინდოეთის ფორმის საცურაო აუზი და ორსართულიანი ბორცვი; შუაზე გაყოფილი თმა და ბერგერაკის ცხვირი; გაჩერებული საათის კოშკი და პატარა ცირკის არენა; ინდური ალეგორიებისადმი ინგლისელის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტრფიალი და აკორდეონზე დამკვრელის შეცდენილი ცოლი; თუთიყუ-შები, ჭერის მარაოები, გაზეთი „თაიმს ოვ ინდია“ — ეს ყველაფერი ის ტვირთი და ბარგი-ბარხანაა, რომელიც ამქვეყნად მოვიტანე... მაშ, რატომ გიკვირთ, რომ საკმაოდ დიდწონიანი გავჩნდი? ჩემში ლურჯი ქრისტე, მერის სასოწარკვეთილება, ჯოზეფის რევოლუციური სიგიჟე და ალისა პერეირას ქარაფშუტობა ჩაიღვენთა... და ამ ყველაფერმა მე შემქმნა.

თუ ეს ყოველივე უცნაურად ჟღერს თქვენთვის, მაშინ ჩემი მემ-კვიდრეობის გიჟური დომხალი მაინც გაიხსენეთ... თუ ვინმეს ასეთ დომხალსა და წინაპართა ასეთ მოფუთფუთე სიმრავლეში პიროვნე-ბად დარჩენა სურს, აუცილებლად უცნაურისა და აბსურდულის სფე-როში უნდა შეაღწიოს.

„როგორც იქნა, — ამბობს კმაყოფილი პადმა, — ბოლოს და ბო-ლოს, ხომ ისწავლე, ამბავს სწრაფად როგორ უნდა მოჰყვე“.

1947 წლის 13 აგვისტო: ცაში უთანხმოების სუნი ტრიალებს. იუ-პიტერი, სატურნი და ვენერა ჩხუბის ხასიათზე არიან; მეტიც, სამი ჯვარედინი ვარსკვლავი ყველაზე უბედური სახლისკენ მიემართება; ბენარსელმა ასტროლოგებმა ამ მოვლენას შიშით შეარქვეს: „კარამ-სტანი“, ეს ვარსკვლავები საშიშ ზღვარს უახლოვდებიან!

სანამ ასტროლოგები კონგრესის პარტიის ლიდერებს ამ საბედის-წერო მოსაზრებებს უზიარებენ, დედაჩემი შუადღის ძილს მისცემია. ამასობაში გრაფი მაუნთბათენი გამოცდილ ვარსკვლავთმრიცხველ-თა ნაკლებობისთვის თავის სამხედრო მრჩევლებს ამუნათებს; ჭერის ვენტილატორისგან გადმოლვრილი ჩრდილები ამინას ეფერებიან და ძილის მყუდროებაში მიჰყავთ. ამასობაში მ. ა. ჯინა დარწმუნებულია, რომ მისი პაკისტანი თერთმეტ საათში დაიბადება, დამოუკიდებელი ინდოეთის დაბადებამდე ერთი დღით ადრე. იქამდე კი ოცდათხუთ-მეტი საათი დარჩა. მ. ა. ჯინა ჰოროსკოპით მოვაჭრეთა პროტესტს მასხრად იგდებს, მხიარულად თავს აქნევს. ამინაც აქეთ-იქით ირწევა.

უზარმაზარმუცლიან ამინას ბუზის საჭერ ქაღალდზე სიზმარი აეკ-ვიატა და ტანჯავს... სიზმარში დაბორიალებს ბროლის სფეროში, რომელიც მწებარე ყავისფერი ლენტებითაა სავსე, აქეთ-იქით რომ დაფარფატებენ, ეწებებიან ამინას სამოსს და ფხრეწენ, ამინა კი ამ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალალდის გაუვალ ტყეში წინ ძლივძლივობით მიიწევს; იბრძვის, გლეჯს ქალალდს, მაგრამ ქალალდი ებღაუჭება და სამოსს მთლიანად შემოაძარცვავს, ახლა ამინა სულ ტიტველია და ბავშვის ბიძგებს გრძნობს; ბუზის საჭერი ქალალდის გრძელი კავები ტალღებად დაეშვნენ და ამინას მონარნარე საშოში ჩააფრინდნენ; ქალალდი ეწებება თმაზე, ცხვირზე, კბილებზე, მკერდზე, ბარძაყებზე. პირს აღებს, რომ დაიყვიროს, მაგრამ პირიდან ყვირილის ნაცვლად ყავისფერი წებოვანი მასა ამოსდის...

„ქალბატონო ამინა! გაიღვიძეთ! ცუდი სიზმარი გესიზმრათ, კეთილო ქალბატონო!“ — ეუბნება მუსა.

იმ ბოლო რამდენიმე საათში მომხდარი ამბები იყო უკანასკნელი ლექი ჩემი მემკვიდრეობისა; ოცდათხუთმეტი საათი დარჩა და დედაჩემს ესიზმრებოდა, თუ როგორ მიიწება ბუზის საჭერმა ქალალდმა. კოქტეილის საათზე (როცა ოცდაათი საათი დარჩა) მეთვოლდი ესტუმრა მამაჩემს ბუკინგემის ბაღში. ცერა თითი შუაზე გაყოფილ თმას მორჩილებს. ბატონი მეთვოლდი წარსულის მხიარულ ამბებს იხსენებს, პირველი მეთვოლდის ამბებს, რომელმაც ქალაქი ოცნებაში ააშენა. ეს ამბები აკსებს საღამოს ჰაერს მზის ჩასვლისას, რომელიც დიდი მოლოდინითაა სავსე. მამაჩემი ცდილობს ოქსფორდული ლაპარაკის მანერას მიჰბაძოს და ამით ინგლისელზე შთაბეჭდილება მოახდინოს; „მეგობარო, ფაქტობრივად ჩვენი ოჯახიც საკმაოდ გამორჩეულია“. მეთვოლდი თავაწეული უსმენს, კრემისფერი უნიფორმის ფონზე ცხვირი წითლად უჩანს, ფართოფარფლიანი ქუდი შუაზე გაყოფილ თმას უფარავს, თვალებიდან ფარული სიამოვნება გამოსჭვივის... ვისკით გამობრუჟული აჰმედ სინაი თავისი ღირსების შეგრძნებით თამამდება და თემას აგრძელებს: „ჩვენ დიდი მოგოლების იმპერატორების შთამომავლები ვართ“. ამაზე მეთვოლდი ეუბნება: „მართლა? მეხუმრები თუ რა?“ მაგრამ აჰმედი უკვე ისე გასცდა ზღვარს, რომ უკან დასახევი გზა არა აქვს და იძულებულია გააგრძელოს: „საბნის უკულმა პირს ჰგავს, რა თქმა უნდა, მაგრამ ნამდვილად დიდი მოგოლების სისხლი გვიდულს“.

ჩემს დაბადებამდე ოცდაათი საათით ადრე მამაჩემმა ასე წარმოაჩინა, თუ როგორ სწყუროდა, ზღაპრული წინაპრები ჰყოლოდა... ისე



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხნეულოდა, რომ თავისი ოჯახის წარმომავლობა თავადვე გამოიგონა და წლების შემდეგ ამ გამონაგონმა სინამდვილის ყველა კვალი წაშალა, რადგან ვასკამ და ჯინის ბოთლმა მამას მეხსიერება სრულიად აურ-დაურია. ...ამ ამბის ჩვენთვის თავზე მოსახვევად გვიმტკიცებდა, რომ ჩვენი ოჯახი დაწყევლილი იყო.

„დიახ, — უთხრა მამაჩემმა მეთვოლდს, რომელმაც მოღუშული თავი ძალლა ასწია, — ბევრ ძველ ოჯახს ჰქონდა ასეთი წყევლა. ჩვენს ოჯახში იგი უფროსი ვაჟიდან უფროს ვაჟს გადაეცემოდა მხოლოდ წერილობითი ფორმით, რადგან წარმოთქმული ეს წყველა ძალას კარგავს". მეთვოლდმა უთხრა: „საოცარია! და შენ იცი ეს სიტყვები?" მამაჩემი თავს უქნევს, ქვედა ტუჩი წინ გამოუგდია, ფეხის ცერი წყნარადაა და შუბლზე ხელს იკაკუნებს ნათქვამის ხაზგასასმელად. „ყველაფერი აი, აქ მაქვს დამახსოვრებული. არავის გამოუყენებია მას შემდეგ, რაც ერთი წინაპარი იმპერატორ ბაბარს წაეჩხუბა და წყველა მის ვაჟზე, ჰუმაიუნზე გადააგდო... საშინელი ამბავია, ბავშვმაც კი იცის".

და დრო მოვიდა, როცა მამაჩემი ისე ძალიან დაშორდა რეალობას, რომ ლურჯ ოთახში ჩაიკეტა და სცადა იმ წყევლის გახსენება, ერთ ხალამოს თავისი სახლის ბაღში რომ გამოიგონა. მეთვოლდის შთამომავლის გვერდით იდგა და საფეთქელზე თითს იკაკუნებდა.

ახლა, როცა ბუზის საჭერის სიზმრებითა და გამოგონილი წინაპრებით სავსე ხურჯინი აკიკიდე, ერთი დღე მაკლდება დაბადებამდე... მაგრამ საათი ისევ დაუნდობლად წიკწიკებს: ოცდაცხრა საათი დარჩა, ახლა ოცდარვა, ოცდაშვიდი...

კიდევ რა სიზმრები ირეოდნენ იმ უკანასკნელ ღამეს? ეჭიმ ნარლიკარს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ როგორი დრამა გათამაშდებოდა მის საშობიარო სახლში, ნუთუ მას (რატომაც არა) ესიზმრა პირველად ჯებირები იმ უკანასკნელ ღამეს, ბომბეის ჩრდილოეთითა და დასავლეთით პაკისტანი რომ იბადებოდა. ბიძაჩემი ჰანიფი ბომბეიში ჩამოვიდა (თავის დასავით) და მსახიობი ქალი შეუყვარდა — ღვთიური ფია („ამ ქალის სახე მისი სიმდიდრეა!" — წერდა ერთხელ გაზეთი), სწორედ ამ ბიძაჩემმა ხომ არ წარმოსახა იმ ღამით პირველად თავის გონებაში კინემატოგრაფიული საშუალება, რომლითაც მალე



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხამ პიპულარული ფიგურა გადიოდა?.. მგონი ასე იყო; ჰაერში მითუ-ბა, ყიშარეული და ფანტაზიული დაფრიალებდნენ. ერთი რამ კი ცხადია: ბაბუაჩემი, ადამ ანიანი მარტოსული იყო ძველ სახლში ჟორნალისტიკაზე, თუ არ ჩავთვლით ცოლის, რომელსაც ძალა და სურვილი კიდევ უყრია მოეკლა, მაშინ რიცა ანიანი ასაკმა დააუძლურა; და ასევე თუ არ ჩავთვლით შინაბერა ალიას, რომლის გამწარებული შინაბერობა მანამ გაგრძელდა, სანამ თვრამეტი წლის შემდეგ ბომბმა შუაზე არ გახლიჩა; ახლა ადამ ანიანს ნოსტალგიის მარწუხებმა მოუჭირეს ისე, რომ ფხიზელი იწვა და ეს მარწუხები გულზე აწვებოდნენ. საბოლოოდ რაღაც უჩინარმა ძალამ ლოგინიდან უბიძგა და ძველი რკინის ყუთთან მიიყვანა. ეს მოხდა 14 აგვისტოს, დილის ხუთ საათზე, როცა ჩემს დაბადებამდე ცხრამეტი საათი იყო დარჩენილი. გახსნა თუ არა ჩემოდანი, ნახა: ძველი გერმანული გაზეთები, ლენინის „რა ვაკეთოთ?", დაკეცილი სალიტაჟი ფარდაგი, დაბოლოს, ნივთი, რომელიც თითქოს კიდევ ერთხელ სანახავად იხიდავდა: ბაბუამ ჩემოდნიდან თეთრი, გარიერიოს შუქზე მკრთალად მოელვარე, დალაქავებული, გახვრეტილი ზეწარი ამოიღო. შენიშნა, რომ ნახვრეტი გადიდებულიყო, ხელი მის ირგვლივ კიდევ რამდენიმე პატარ-პატარა ნახვრეტი ჩანდა; ძლიერი ნოსტალგიით განრისხებულმა ბაბუამ მძინარე ბებია შეანჯღრია, გაიღვიძა, და გაიცა იმით, რომ ღრიალით აუფრიალა ცხვირწინ თავისი ისტორია:

„ჭრჭილმა შეჭამა! შეხედე, ქალო, ჭრჭილნაჭამია! ჩემოდანში ნაფტალინის ჩადება დაგვიწყებია!"

მაგრამ ახლა წამების უკუთვლას ველარ უარვყოფთ... თვრამეტი საათი; ჩვიდმეტი; თექვსმეტი... და უკვე ექიმი ნარლიკარის საშობიარო სახლში შობიარე ქალის კივილი ისმის. ვი ვილი ვინჩი აქ არის. მისი ცოლი ვანიტა უკვე რვა საათია უშედეგოდ შობიარობს. შობიარობა უსაშველოდ გაგრძელდა. პირველი ტკივილები ვანიტას მაშინ დაეწყო, როცა, ასობით მილს იქით ჯინამ მაპმადიანი ერის შობა გამოაცხადა... ვანიტა ნარლიკარის საშობიაროს „საქველმოქმედო პალატაში" წევს და ტკივილებისგან იკრუნჩხება (პალატა ღარიბ შობიარეებისთვისაა განკუთვნილი)... თვალები ლამის ბუდიდან გადმოეცვივდეს, ოფლში ცურავს, მაგრამ ბავშვი გამოსვლას არ აპირებს. ბავშვის ნამდვილი მამა აქ არ არის; დილის რვა საათია, მაგრამ კიდევ არის შანსი იმისა, რომ ბავშვი შუაღამით დაიბადოს.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალაქში ჭორები დადის: „მეფის ქანდაკება წუხელ ცხენზე ამხედრებული დარბოდა!"... „და ვარსკვლავები არ ანთებულიყვნენ!"... მაგრამ ამ ცუდი ნიშნების მიუხედავად, სრულ მზადყოფნაშია ქალაქი, რიცხლის თვალთა კუთხეებში ახალი მითი ბრწყინავს. ბოძებიში აგვისტო დგება. აგვისტო დღესასწაულთა თვეა. კრიშნას დაბადების დღეც ამ თვეშია და ქოქოსის დღეც. და იმ წელს კალენდარზე ახალი დღესასწაული დაფიქსირდა. ახალი მითის დღესასწაული. ახალ წლამდე თოთხმეტი საათია დარჩენილი; ცამეტი, თორმეტი... ერი, რომელიც მანამდე არ არსებულა, ახლა აპირებდა დამოუკიდებელი არსებობის გამოცხადებას და უკვე მოგვისრილა იმ საყვარეში, რომელიც საკმაოდ წარმოსახვითი და არარეალური იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ერს ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს, მან გამოიგონა ჭადრაკის თამაში და უძველესი ეგვიპტის სახელმწიფოსთან ერთ დროს საკვანძო ურთიერთობაც გააჩალა. უცაბედად შევდიოდით მითურ ქვეყანაში, რომელიც მხოლოდ რაღაც ფენომენალურ კოლექტიურ ოცნებებსა და სურვილებში არსებობდა. ქვეყანას, რომელზედაც ყველანი ოცნებობდით, ეს იყო ხალხის ოცნება სხვადასხვა ხარისხში აყვანილი ბენგალელის, პენჯაბელის, მადრასელისა თუ ჯათულის მიერ. ეს ოცნება დროდადრო განახლებასა და სისხლის წმინდა რიტუალს მოითხოვდა. ინდოეთი ახალი მითი იყო — ეს იყო საყოველთაო ზღაპარი, რომელშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს; ეს იყო არაკი, რომელზე მაღლა ვერაფერი დადგებოდა ღმერთის გარდა, და ასევე, უძლიერესი არაკის — ფულის გარდა.

მე ვარ ცოცხალი მოწმე იმისა, რომ ეს საყოველთაო ოცნება ზღაპრული ხასიათისა იყო. მაგრამ ახლა თავს დავანებებ ამ ზოგად, მაკროკოსმოსურ ცნებებს და უფრო პირად რიტუალზე შევაჩერებ ყურადღებას. შუაზე გახლეჩილი პენჯაბის მებრძოლთა მასობრივ სისხლის ღვრას არ აღვწერ (სადაც გაყოფილი ერები ერთმანეთის სისხლში ბანაობენ. ვიღაც პულჩინელისსახიანი[1] მაიორი ზულფიკარი ლტოლვილების ქონებას ჩალის ფასად ყიდულობს და ამით საფუძველს უყრის თავის სიმდიდრეს, რომელიც ნიზამ ჰაიდერაბადის სიმდიდრესაც კი მეტოქეობას უწევს); თვალს მოვარიდებ ბენგალში მომხდარ ძალადობას და მაჰათმა განდის გრძელ, მშვიდ ნაბიჯებს. ეგოისტი ვარ? სულმოკლე ვარ? შესაძლოა ასეც იყოს; ბოდიშს ვიხდი, თუ ასეა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყოველდღე ხომ არ ვიბადებით...

---

[1] *პულჩინელისსახიანი — აქ: ნიღბიანი. პულჩინელა (იტალ.) — იტალიური ნიღბების კომედიის პერსონაჟი, ხუმარა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოთხკუთხა საათი დარჩა. აქანა სანაა კოშარეულებისგან გამოფხიზლდა და აქის მერე ალარ დაეძინია... რაკრაკ სეთი ამყეს თაეში და ფიქრების ისეთი მღელვარე ზღვაში დაეტრიალეს, რომელშიც სიხარულის ტალღების დროდადრო ღრმა, თაებრეულამბეკეი და ძლერიე წყალეთი ჩაძეკებული შიშის ტალღები ეცაცელება. მაგრამ აქ კიდეე რალაც ხდება. ეეეერეთ ძის ზელების, როგორ არაეხიბერად ოჭრის მეცელზე; ტუნებიც თითქოს თაესლა ეხეტერად ბეტბეტებენ: „ძიდი, ზანტაე, ძალე ქენი, გაბეიეის დაგეიანება არ ეეეერი!"

რეა საათი დარჩა... ოთხ საათზე, ეილიან მეთეოლდი თაესი 1946 წლის მაეი „ოროეერით" ფეერდიბზე ადის. მანქანას ცირკის მიედანზე ორ მდიდრეულ ეილას შორის აეენებს; მაგრამ დღეს იგი არე ოქრის თეეზის აეზს სტეეერიბს და არე კაქტუსის ბალს; არე ლაილა საბარძანის ეხალმება, როგორე ადრე ეტყოდა ხოლმე: „როგორაა ბიანილას საქმე? ეკელაფეერი საათეეთაა აწყობილი?" არე მოხეე იბრაჰიმს ეხალმება, ბირეელი სარიეულის ეერანდაზე რომ ზის, საქანაი სკამზე ირწეეა და აგაეს ბლანტაციაზე ფიქრობს; მეთეოლდი არე ქაორექისა და არე სანაის მხარეს იყურება და ზუსტად ცირკის შეაგულში დგება. უნიფორმის ნაკეცზე კარდი აქვს, კრემისფერი ქუდი მკერდზე მიეტმასნია, შეაზე გაყოფილი თმა შეადლის მზეზე უბრწყინავს. მეთეოლდი პირდაპირ იყურება საათის კოშკისა და ეორდენ-რიეულის იქით, ბრიჩქენდის რეკის ფორმის აეზის იქით, ოთხი საათის ოქრისფერი ტალღების თაეზე და რალაცას ეხალმება; იქ კი, ჰორიზონტზე, მზე ზღვაში ჩაყვინთეის ამირებს.

ექვსი საათია დარჩენილი. კოქტეილის დრო მოდის. მეთეოლდის სახლის ბინადრები თაე-თაესანი ბალებში არიან. მზილიდ აქანა ზის კოშკის ოთახში, ზომიერად მოშურნე თეალებს ირიდებს, მისკენ რომ მიეშარითაეს მეზობელ ნახის. ალბათ ნახიც უბძიბს თაესის შვილეკოს, გარეთ დროზე გამოდეი. ორეე ცნობისმოყვარედ შეჰყურებს ინგლისელს, ხარეეთ გაშეშებული და ლარეეთ გასწორებული რომ დგას. ლარს ჩვენ უკვე ძისი გაყოფილი თმის ხასწორე შეედარეთ; ეკეებ ყურადღება ახალმოსულმა მოიქცია. ძალალი, გამხდარი კაცია, ყელზე სამკეცა ძეწკვი უკეთია, ქათმის ძვლისგან დამზადებული ქაბარი წელზე შემოეერტყამს; შაეი კანი აქვს ალაგ-ალაგ ფერფლიანი, გრძელი თმა გაეშლია. თე ძეწკვს და ფერფლს არ ჩაეთვლით, ტიტველია. ეს წმინდა კაცი წიეელსახურაეთან დასახლებაში მოაბეკებს. მოხეცი შესა თაეს ესხმის, რომ გაამეეოს; მერე უკან იხეეს, რადგან არ იცის,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

წმინდა კაცს როგორ უბრძანოს. კაცი კი მუსას ჭოჭმანით სარგებლობს და ბუკინგემის ბაღში შედის: ჩაუვლის გაოცებულ მამაჩემს, და ფეხებგადაჯვარედინებული ჯდება იმ ონკანის ქვეშ, რომელიც წვეთავს.

„წმინდა კაცო, აქ რას აკეთებ“, — თავს ვერ იკავებს მუსა. კაცი კი ტბასავით წყნარად პასუხობს: „მოვედი, რომ დაველოდო იმის მოვლინებას, ვინც უნდა მოვიდეს და ის, ვინც კურთხეულია. ეს მალე მოხდება“.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: ორჯერ მიწინასწარმეტყველეს! იმ დღეს, როცა ყველაფერი ბრწყინვალედ იყო დროში გათვლილი, დედაჩემს დროის ინტუიციამ არ უმტყუნა; კაცს ჯერ არ დაემთავრებინა სიტყვის თქმა, რომ პირველი სართულის კოშკის ოთახიდან, რომელშიც ოთახის ტიტები ხარობდნენ და ცეკვავდნენ, ყურისწამღები კივილის ხმა მოისმა, რომელშიც შიში, აღტაცება და გამარჯვება ერთად იგრძნობოდა... „აჰმედ, მიშველე! — კიოდა ამინა, — ბავშვი, კაცო! გამოსვლას აპირებს ზუსტად დროზე!“

მეთვოლდის მამულში სინათლეები აანთეს... ჰომი ქეთრექი სწრაფი, ულიმღამო ნაბიჯებით მოჩაკუნობს და დახმარებას სთავაზობს: „ჩემი მანქანა თქვენს განკარგულებაშია, ბატონო სინაი; ახლავე წაიყვანეთ“... ხუთი საათი და ოცდაათი წუთია შუაღამემდე დარჩენილი. სინაის ოჯახი ნათხოვები მანქანით მიიჩქარის; მამაჩემი ფეხის ცერს გაზის პედალს აჭერს; დედაჩემი კი მუცელზე იჭერს ხელებს; ისინი ახლა თვალს მიეფარნენ და კუთხეში შეუხვიეს, გასცდნენ ბენდ ბოქს ლონდრისა და მკითხველის სამოთხეს, გასცდნენ ფეთბოი ჯუელს და შიმალქერის სათამაშოების მაღაზიას, ჩაუარეს ბრიჩქენდი გეითსის შოკოლადის მაღაზიას და ექიმი ნარლიკარის სამშობიაროსკენ მიდიან. იქ კი, ღარიბთა პალატაში, ვი ვილის ვანიტა ჯერაც იჭინთება და ღრმად სუნთქავს; ხერხემალმოღუნულს თვალები ბუდიდან გადმოსცვენია; ექთანი მერი პერეირაც ასევე თავის დროს ელოდება... ასე რომ, როცა მეთვოლდის მამულში მზე ჩავიდა, იქ არც ქვედატუჩგამოვარდნილი, მუცელგამობერილი და გამოგონილწინაპრებიანი აჰმედი და არც მუქკანიანი და რამრამის ნაწინასწარმეტყველები ამინა იყო. მზის გაუჩინარებისთანავე მეთვოლდმა გრძელი თეთრი მკლავი თავზემოთ ასწია. ხუთი საათი და ორი წუთი იყო დარჩენილი. მეთვოლ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფეხა ოფლი ხელი შეუ, ამბრუნდა თავზე ჩამოიდო; გრძელი დახეული თოფები თავის გამაგიჟებელ აბობოქრებლის და ფეხზე და უკანასკნელი საფეხელი გაამყარებს. თოფებმა თავა ჩაბღუჯეს და თავს ისე ძლიერ-დნენ, რომ თავისთვა ხალაფლისთვის ხელი არ გაუშვიათ ძოდა, ეზე რომ ჩავედა და ძამწუხრი დადგა, ფეთელდი თავის ძაძულში ოდგა და ხელში ბარიკი ეჭირა.

„ქაჩალი! — წამოიძახა ბადმან, — ეს თავისი დაჯარეხილ-გადალეკილი ბარიკია... ეს ვიცოდი, რომ ბარიკი იყო, ეტყობა ეტყობა კარგი თმა ექნება, რომ ნაძლეული ვიყოლიყო!"

ფელიტი, ფელიტი; თავმოტყლეპილი! ხომ გამოძეფლავდა ხრიკი, რომელმაც აკორდეონისტის ცოლი აცდუნა. ბიბლიური ნამსხვეთ ფეთელდის ძალა მის თმაში იყო; ახლა კი თავმოტყლეპილი დგას ჩამაკალი ეზის ფეხზე და თავის ბარიკს თავისი ავტომობილის ფანჯარაში ისვრის. საკუთრების გადაცემის ხელმოწერილ დოკუმენტებს ყველა ახლის უხალისოდ ურიგებს და მიეგზავნება; მას ფერე ფეთელდი ალარავის უნახავს; ეე კი, რომელსაც ფეთელდი არასოდეს მინახავს, მისი დაეწყება არ შეძლია.

უცებ ყველაფერი ზაფრანისფერდება და ფწკანდება. ამინა სინაი ზაფრანისფერკედლებიან და ფწკანეჯეჯიან ოთახშია. გვერდით ოთახში ვი ვილი ვინქის ვანიტას სახე გამწკანებია, ხილი თვალის თეთრ ფოსოებს ზაფრანისფერი ფიფლიათ ბაეშვმა, როგორც იქნა, გამოსვლა დაიწყო ამ საშველისნოხშიდა გზებით, რომელიც, ალბათ, ასეეე ფერადია. კედლის საათებზე ზაფრანისფერი წუთები და ფწკანე წამები წიკწიკებენ. ექიმი ნარლიკარის საშინაბიარი სახლის გარეთ ხალხია თავშეყრილი და მაშხალებს ისვრიან. მაშხალებიც ლამის ფერებს ეხამება — ზაფრანისფერი მაშხალები ფწკანე ნაპერწკლების წვიმას ისვრიან. მაბაკაცებს ყვითელი შეფერილობის პერანგები აცვიათ, ქალებს კი სალათისფერი სარი ფოსავთ ექიმი სინაი ყვითელ-ფწკანე ხალიჩაზე დგას და აპმედ სინაის ესაუბრება: „შენს ცოლს პირადად მე ეეხვდავ, — მისი თბილი სიტყვები სალამოს თბილ ფერებს ეხამება, — სანერვიული არაფერია. აქ ეოიცადე. აქ უფრო კარგად ეელი აქეთ-იქით". ექიმ ნარლიკარს ბავშვები არ უყვარს, ოუმცა კარგი გინეკოლოგია. თავისუფალ დროს ლექციებს კითხულობს, წერს სტატიებს და ერს კონტრაცეფციის აუცილებლობას უქადაგებს. „ჩა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახვის მართვა! აი, პრიორიტეტი ჩვენი საზოგადოებისა, — ამბობს ექიმი ნარლიკარი, — მოვა დრო, როცა ბოლოს და ბოლოს, ყველას შეეგნებინებ ამას და მერე სამსახურიდანაც წავალ". აჰმედ სინაი ნერვიულად და უხერხულად იღიმება: „ამაღამ მაინც დაივიწყე შენი ლექციები და ჩემს ბავშვს მიხედე", — ეუბნება ექიმს.

შუაღამემდე ოცდაცხრა წუთილა დარჩა. ექიმ ნარლიკარის საშობიარო სახლში ექიმები კანტიკუნტადაა. ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ერის გარდაუვალი დაბადება უნდა აღენიშნათ და ამიტომ ბევრი მათგანი სამსახურში არ არის. ზაფრანისპერანგიანი, მწვანეკაბიანი ექიმები განათებულ ქუჩებში მიაბიჯებენ. უსასრულო აივნებზე ორსადგამიანი თიხის ლამპები დგას, რომლებიც რაღაც უცნაური ნავთითაა სავსე. ლამპებში ფითილები დაცურავენ. ყველა აივანსა თუ სახურავზე ლამპა დგას. ჩვენს ორფერიან სქემას ფითილებიც კი ეხამება. და ზოგი ლამპა ზაფრანისფრად, ზოგი კი მწვანედ ანათებს.

ბრბოს მრავალთავიანი ურჩხულის თავებს შორის გზას პოლიციის მანქანა მიიკვლევს. პოლიციელთა ყვითელ-ლურჯმა უნიფორმამ ახლა ლამპების სინათლეზე არამიწიერი ყვითელ-მწვანე შეფერილობა მიიღო (ჩვენ ახლა ქოლაბა ქოზვეიზე ვართ მხოლოდ ერთი წუთით, რათა აღვნიშნოთ, რომ შუაღამემდე ოცდაშვიდი წუთით ადრე პოლიცია საშიშ დამნაშავეს ეძებს. დამნაშავეს ჯოზეფ დ'კოსტა ჰქვია. სამშობიაროს მორიგე უკვე რამდენიმე დღეა არ ჩანს, არც სამსახურშია და არც სახლში, — პირუტყვთა სასაკლაოსთან ახლოს რომ არის. არც ქალწულური შესახედაობის მერისთან გამოჩენილა, რომელიც ძალიან შეწუხებულია).

ოცი წუთი ამინა სინაიმ კივილში გაატარა. ტკივილი სულ უფრო და უფრო ჩქარდება და ძლიერდება. გვერდითი ოთახიდან ვანიტას არაქათგამოცლილი „ააააჰ!" ისმის. ქუჩაში მონსტრი დღესასწაულობს; მის ძარღვებში ახალი მითი მოჩქეფს და სისხლის წითელი და თეთრი ბურთულაკები ზაფრანისფერ-მწვანე შეფერილობას იღებს. დელიში ერთი გამხდარი, სერიოზული კაცი ესემბლიჰოლში ზის და სიტყვის წარმოსათქმელად ემზადება. მეთვოლდის მამულში ოქროს თევზები აუზებში გაილურსნენ, მამულის ბინადარნი კი ერთმანეთს თხილითა და ტკბილეულით სტუმრობენ, ეხვევიან და კოცნიან.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მწვანე შეფერილობის თხილსა და ყვითელ ორცხობილას მიირთმევენ. ორი ახალშობილი გარეთ გამოსვლისთვის ემზადება. აგრაში კი ხანში შესული ექიმი ცოლთან ერთად ზის, ცოლს სახეზე ორი დიდი ხალი კუდიანის ძუძუს თავებივით აზის. მძინარე ბატებსა და ჩრჩილნაჭამ მოგონებებს შორის გარინდულან. სათქმელი არაფერი აქვთ. ყველა ქალაქსა თუ სოფელში ორმაგი ლამპები ფანჯრებიდან, პარმაღებიდან და ვერანდებიდან ანათებენ. პენჯაბში კი მატარებლები ანათებენ და მწვანე ზაფრანისფერი ალით იწვიან. საწვავი რომ ფეთქდება და საღებავს ცეცხლი ეკიდება, ისეთი ფერადი და კაშკაშა ალით ელვარებს, თითქოს მსოფლიოში ყველაზე დიდი ლამპები აუნთიათო.

და ქალაქი ლაჰორიც იწვის.

სერიოზული, გამხდარი კაცი ფეხზე დგება. ტანჯორის წმინდა მდინარის წყლით მირონცხებულია, შუბლზე წმინდა ფერფლი სცხია. ყელს იწმენდს. სათქმელი წინასწარ არ დაუწერია, არც წინასწარ დაუზეპირებია რამე. ჯავაჰარლარ ნერუ ასე იწყებს: „...დიდი ხნის წინათ ჩვენ ბედთან საიდუმლო პაემანი გვქონდა; ახლა დაპირების შესრულების დრო მოვიდა. ამ დაპირების არსებითი მხარეები უნდა შესრულდეს“.

თორმეტს ორი წუთი უკლია. სამშობიარო სახლში ექიმ ნარლიკარს შავი სახე მღელვარებისგან უღაჟღაჟებს. ექთანი ეხმარება, სახელად ფლორი. მილეული, ულიმღამო ექთანია, რომელიც ამინა სინაის ამხნევებს; „მიდი, უფრო მაგრად გაიჭინთე!.. თავი გამოჩნდა!“ გვერდზე ოთახში ექიმმა ბოუზმა და ექთანმა მერი პერეირამ ვანიტას ოცდაოთხსაათიან მშობიარობას თავი უნდა მოაბან... „მიდი, ბოლოჯერ სცადე, კიდევ ერთხელ და დამთავრდება!.. ქალები კივიან და კვნესიან. კაცები კი გვერდზე ოთახში ჩუმად არიან. ვი ვილი ვინქი სიმღერის ხასიათზე არ არის და კუთხეში ჩაცუცქული აქეთ-იქით ირწევა და ირწევა... აჰმედ სინაი სკამს ეძებს. მაგრამ ამ ოთახში სკამები არ დგას; ეს ოთახი აქეთ-იქით ბოლთის საცემადაა მოწყობილი. აჰმედ სინაი კარს აღებს, მიმღების მიტოვებულ მერხთან სკამს პოულობს, იღებს და ბოლთის საცემ ოთახში მიაქვს. ოთახში, სადაც ვილი ვინქი აქეთ-იქით ირწევა, და ბრმასავით თვალებგამოცარიელებული ცოლზე ფიქრობს... გადარჩება? ღმერთო... და ბოლოს და ბოლოს, შუაღამეც დგება.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქუჩებში მონსტრი ლრიალებს. გამხდარი კაცი ამბობს: „შუალამისას, რიცა მთელ მსოფლიოს სძინავს, ინდოეთი სიცოცხლისა და თავისუფლებისთვის ფხიზლობს“. მონსტრის ბღავილს ორი ახალდაბადებული ბავშვის ჭყიპინი უერთდება. ისინი ეს-ესაა ქვეყანას მოეკლინენ. მათი უსარგებლო პროტესტი დამოუკიდებლობის ბურუსს ერწყმის, ღამის ცაზე რომ ზაფრანისფერ-მწვანედ კიდია. კაცი აგრძელებს: „დადგა წუთები, რომელიც ისტორიაში იშვიათობაა: ჩვენ ძველიდან გამოვდიგართ და სიახლისკენ ვდგამთ ნაბიჯს; ერთი ეპოქა მთავრდება და ერის დათრგუნვილი სული შვებას პოულობს“. ზაფრანისფერ-მწვანე ხალიჩიან ოთახში აპმედ სინაი ისევ სკამს ჩაბღაუჭებია. ექიმი ნარლიკარი შემოდის, რომ აცნობოს: „სინაი, ძმაო, ზუსტად თორმეტზე შენმა მეუღლემ დიდი, ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა!“ ახლა მამაჩემმა ჩემზე დაიწყო ფიქრი (არ იცოდა, რომ...); ჩემზე ფიქრობდა და სკამი სულ გადაავიწყდა. ჩემი სიყვარულით თავით ფეხებამდე შეპყრობილმა (თუმცა...) ჩაბღუჯულ სკამს ხელი გაუშვა.

კი, ჩემი ბრალი იყო (ყველაფრის მიუხედავად)... ჩემი სახე იყო, და სხვა არავისი, რომლის ძალამ აპმედ სინაის ხელიდან სკამი გააგდებინა. სკამი ძირს დიდი სისწრაფით და სიმძიმით დაეარდა და, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალი იყო, რომ მამაჩემმა ტკივილისგან დაიღრიალა, რადგან სკამი პირდაპირ ფეხის ცერზე დაეცა და გაუჭეჭყა. ამასობაში ჯავაჰარლარ ნერუმ საბჭოს განუცხადა: „დღეს უბედურების ეპოქა დასრულდა“, და ამ სიტყვებს ხალხის ისეთი ხმამაღალი აღტაცება მოჰყვა, რომ ყურის აპკები კინაღამ დაუსკდათ. თავისუფლების სიხარულით გამოწვეულ ყვირილს მამაჩემის ტკივილნარევი ყვირილი შეუერთდა.

და ახლა სათქმელს მივადექით: ხმაურზე ყველა გაიქც-გამოიქცა. მოშშობიარებული დედებისგან ყურადღება რამდენიმე წუთით მამაჩემზე და მის ატკივებულ ცერზე გადავიდა. ვანიტამ, როგორც იქნა, იშშობიარა და ასევე შთამბეჭდავი სიდიდის ბავშვი გააჩინა. ექიმმა ბოუზმა ექიმ ნარლიკარს უთხრა: „შეიძლება არ დაიჯერო, მოდიოდა და მოდიოდა, და ბოლოს ათსოვერენიანი[1] თვეზიით გამოსხმარტალდა!“ „ჩემიც“, უთხრა ნარლიკარს. მაგრამ ეს საუბარი მოგვიანებით შედგა. ახლა კი ნარლიკარი და ბოუზი აპმედ სინაის თითს კურნავდნენ. მედდებს ახალშობილთა დაბანა და შეხვევა დაეალათ. მერი პერეირამ თავისი წვლილი შეიტანა.

---

[1] *სოვერენი (ინგლ.) — ინგლისური ოქროს ფული, უდრის ერთ გირვანქა სტერლინგს.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„წადი, წადი, იქნებ რამეში მიეხმარო; მე აქ მარტოც გავწვდები ყველაფერს“, — უთხრა მერიმ საწყალი შესახედაობის ფლორის.

მარტო დარჩა ორ ახალშობილთან, ორი სიცოცხლე იყო მის ხელში. ეს ჯოზეფისთვის გააკეთა. ეს მისი პირადი რევოლუციური აქტი იყო. იფიქრა, ჯოზეფი ამისთვის შემიყვარებსო და ჩვილებს სახელები შეუცვალა. ლატაკ ბავშვს მდიდრული ცხოვრების შესაძლებლობა მისცა, მდიდარი ბავშვი კი სიღარიბისთვის გაწირა... „შემიყვარე, ჯოზეფ!“ მერი პერეირას თავში მხოლოდ ეს ჰქონდა; ახალშობილს ქაშმირის ცასავით ლურჯი თვალები რომ ჰქონდა (მეთვოლდის თვალებივით ლურჯი) და ქაშმირული ბაბუის დრამატული ცხვირი რომ გამოჰყვა (ეს ცხვირი ფრანგი ბებიისგანაც რომ იმემკვიდრა) — მერი პერეირამ სახელი შეუცვალა და სინაი რომ ეწერა, ის ბარათი მიაკრა.

ზაფრანისფერ სახვევში გამახვიეს და მერი პერეირას მიერ ჩადენილი დანაშაულის წყალობით შუაღამის რჩეული ახალშობილი გავხდი. ამ ახალშობილის მშობლები სინამდვილეში მისი ნამდვილი მშობლები არ იყვნენ და მისი მომავალი ვაჟი მისი საკუთარი არ იქნება... მერიმ გამოიყვანა ბავშვი დედაჩემის საშოდან. ეს ბავშვი მისი არ იქნება. მეორე ათსოვერენიანი თეზი, რომელსაც თვალები უკვე ყავისფერი ჰქონდა და აჰმედ სინაის დაკოჟრილი მუხლები გამოჰყვა, მერიმ სახვევში შეახვია და ვი ვილი ვინქის მიუყვანა. ვინქი ისევ ბრმის თვალებით იხედებოდა და ახალშობილი ძლივს შეამჩნია. მან შუაზე გაყოფილი თმის საიდუმლო არ იცოდა... ვინქიმ ეს-ესაა გაიგო, რომ ვანიტა მშობიარობას გადაჰყვა. პირველის სამ წუთზე, ექიმები რომ მოტეხილ ცერს დაჰფუსფუსებდნენ, ვანიტა სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა.

დედაჩემთან რომ მიმიყვანეს, ეჭვიც კი არ შეჰპარვია, რომ მისი შვილი ვიყავი. შეხვეულცერიანი აჰმედ სინაი ამინას საწოლზე იჯდა. ამინა კი ეუბნებოდა: „შეხედე, კაცო, საწყალ ბავშვს ბაბუამისის ცხვირი აქვს“. აჰმედი გაოცებული უყურებდა ჩვილს. ამინა დარწმუნდა, რომ ბავშვს მხოლოდ ერთი თავი ჰქონდა და ამის შემდეგ დაწყნარდა. მიხვდა, რომ მკითხავის ნიჭსაც საზღვარი აქვს.

„კაცო, მიდი გაზეთებს დაურეკე, „თაიმს ოვ ინდიას“ შეეხმიანე. ხომ გითხარი, მე გავიმარჯვებ-მეთქი!“ — უთხრა ქმარს აღტაცებულმა დედამ.

„...ახლა დრო არ გვაქვს ერთმანეთი ვაკრიტიკოთ და დავწვრილმანდეთ, — საბჭოს განუცხადა ნერუმ, — მტრობის დრო წავიდა. ახ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლა შენების დროა. თავისუფალი ინდოეთი უნდა აგაშენოთ, რომელშიც ყველა მისი შვილი თავისუფლად იცხოვრებს". დროშას შლიან. დროშა სამფეროვანია: ზაფრანისფერი, თეთრი და მწვანე.

„რას მეუბნები, მაშ, ანგლოინდოელი ხარ და ეს შენი ნამდვილი სახელი არ არის?" — წამოიყვირა შეშინებულმა პადმამ.

„მე სალემ სინაი ვარ, — ვეუბნები პადმას, — ცხვირმოუხოცავი, სახეგასვრილი, ყნოსვისალღოიანი, მელოტი, მთვარის ნატეხი. შენი ნამდვილი სახელი არ არისო? — რას გულისხმობ?"

„გამოდის, რომ ამ ხნის განმავლობაში სულ მატყუებდი, — ბრაზობს პადმა, — ახსენებდი დედაშენს, მამაშენს, ბაბუას, დეიდებს — როგორც შენს საკუთარს. მითხარი ერთი, ვინა ხარ, რომ ამდენი ხანია შენი ნამდვილი მშობლები არ გიხსენებია. სულ არ განაღვლებს ის, რომ დედაშენი შენს მშობიარობას გადაჰყვა? არ განაღვლებს ის, რომ მამაშენი შესაძლოა, ჯერ კიდევ ცოცხალია და მათხოვრად ქცეული სადმე დაეხეტება! შენ რა, ურჩხული ხარ, თუ რა?"

არა, ურჩხული არ ვარ. არც ვიტყუებოდი. მე მხოლოდ საიდუმლოს გასაღები შემოგთავაზეთ... მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ როცა მერი პერეირას დანაშაული გამეღავნდა, აღმოჩნდა, რომ უკვე სულერთი იყო! მე ისევ მათი ვაჟი ვიყავი, ისინი ჩემს მშობლებად დარჩნენ.

ჩვენმა კოლექტიურმა წარმოსახვამ მარცხი განიცადა და მოვხვდით, რომ წარსულიდან თავს ვერ დავიძვრენდით.პმამაჩემისთვის რომ გეკითხათ (მიუხედავად იმისა, რაც მოხდა), შენი ვაჟი რომელიაო, ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა თითი აკორდეონისტის მუხლებკორძიანი, ტურტლიანი ბავშვისკენ გაეშვირა. მაგრამ ეს ტურტლიანი ბიჭი ღმერთ შივასავით გაიზარდა და გმირად იქცა.

ასე რომ, როგორც რამრამმა იწინასწარმეტყველა, იყო მუხლები და ცხვირი, ცხვირი და მუხლები. ფაქტობრივად მთელმა ინდოეთმა ერთი ოცნება გაიზიარა. ბავშვები, რომლებიც იმ ღამით დაიბადნენ, ნახევრად იყვნენ თავიანთი მშობლების შვილები. ისინი დროის შვილებიც იყვნენ, რომელთა მამა თვით ისტორია იყო. ასეთი რამ ხდება ხოლმე. განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელიც თავად ოცნებაა.

„საკმარისია, — იღუშება პადმა, — მოსმენა აღარ მინდა". ორთავიან ჩვილს ელოდა და ხელში სულ სხვა რამ შერჩა. მიუხედავად იმისა, პადმა მისმენს თუ არა, მე რაღაცების ჩაწერა უნდა გავაგრძელო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი დაბადებიდან სამი დღის შემდეგ მერი პერეირა სინანულმა შეიპყრო. ეიზეფ დ'კოსტამ, პოლიციას რომ გაურბოდა, მისი და, ალისაც მიატოვა. პატარა, პუტკუნა ქალი, შიშით რომ ვერავის გაუმჟღავნა თავისი დანაშაული, მიხვდა, რომ დიდი სისულელე ჩაიდინა. „შე ვირო, შენ!" გაუწყრა თავის თავს. მაგრამ თქმით კი, არავისთვის უთქვამს. გადაწყვიტა, თავისი გაფუჭებული საქმე რაღაცით მაინც გამოესწორებინა. საშობიარო სახლში მუშაობას თავი ანება, ამინა სინაისთან მივიდა და უთხრა: „ქალბატონო, თქვენი შვილი მხოლოდ ერთხელ ვნახე და უკვე შემიყვარდა. ძიძა ხომ არ გჭირდებათ?" ამინას თვალები დედობრივი ზრუნვით უბრწყინავდა და იმწუთას დაეთანხმა; მერი პერეირამ („შეგიძლია დედა დაუძახო, რადგან მან შეგქმნა, ხომ გესმის", მაწყვეტინებს პადმა და ამით უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ამბები ისევ აინტერესებს) იმ წუთიდან საკუთარი სიცოცხლე ჩემს აღზრდას შესწირა. ამით მან თავისი ცხოვრება დანაშაულის მუდმივ მოგონებას დაუკავშირა.

20 აგვისტოს, ნასი იბრაჰიმი დაადგა დედაჩემის გზას და პედერ-როუდის კლინიკაში იმშობიარა. ქვეყანას პატარა სონი მოევლინა. მაგრამ სანამ მოევლინებოდა, გამოსვლას არ ჩქარობდა. ამიტომ სამშობიარო მაშებით გამოაძვრინეს; ექიმ ბოუზს კრიტიკულ მომენტში ცოტა ზედმეტი მოუვიდა და სონი რომ დაიბადა, ორივე საფეთქელზე მაშების ნაკვალევი ფოსოებად აჯდა. სწორედ ამ ფოსოებმა გახადეს ის ასე მიმზიდველი გოგოებისთვის ინგლისელი მეთვოლდივით, რომლის პარიკის ხიბლს ვერც ერთი ქალი ვერ უძლებდა. გოგონები (ივი, თითბრის მაიმუნი და სხვები) სონის საფეთქლის ღრმულებს ხელით ეხებოდნენ... სწორედ ეს გახდა მიზეზი ჩვენ შორის უთანხმოებისა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ნაწილი ბოლოსთვის შემოვინახე. ნება მიბოძეთ, გაგიმხილოთ, რომ ჩემი დაბადებიდან მეორე დღეს მე და დედაჩემი გაზეთ „თაიმს ოვ ინდიაში" (ბომბეის გამოცემა) გამოგვჭიმეს, ზაფრანისფერ-მწვანე საშობიარო პალატაში რომ ვიწექით. მე მწვანე შეფერილობის საწოლში ვარ, ზაფრანისფერ სახვევში გახვეული და გაზეთის კორესპონდენტებს შევყურებ. აქ იყო ჟურნალისტი, რომელმაც დედას ინტერვიუ ჩამოართვა; ასევე აქ იყო მაღალი ფოტოგრაფი, არწივს რომ ჰგავდა, და მთელ თავის ყურადღებას ჩემკენ მომართავდა. მომდევნო დღეს გაზეთში ინტერვიუც იყო და სურათებიც.

ახლახან კაქტუსის ბაღს ვეწვიე. მრავალი წლის წინათ ამ ბაღში სათამაშო გლობუსი დავმარხე. ჩაჭყლეტილი და სკოჩით შეწებებული.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმ სფერიდან რალაც ნიკოები ამოვიღე, რომელიც მაშინ შიგ ჩაეწყვ. ახლა, როცა ვწერ, ეს ნიკოები მარცხენა ხელში მიჭირავს. ერთი მათგანი დაობებული და გაყვითლებული წერილია, რომელიც ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მიმწერა. მეორე კი გაზეთის ამონარიდი.

ამ ამონარიდს ასეთი სათაური აქვს: „შუალამის შვილი".

და შემდეგ წერია: „სალემ სინაის ვაჟის მომხიბლავი ფესტი: ეს ბავშვი წუხელ, ზუსტად ჩვენი ერის დაბადებისას მოვლინა ქვეყანას — დიდებულ წუთზე გაჩენილი ბედნიერი ბავშვი!"

A-1-ის ფორმატის გვერდზე ბავშვის სურათია. სურათი იმდენად დიდია, რომ ახალშობილს მშობიაროობის ლაქები უჩანს ლოყებზე და ცხვირიც სველი აქვს (სურათს აწერია, რომ ვინმე კალიდას გუფთამ გადაიღო).

სათაურის, ტექსტისა და ფოტოს მიუხედავად, ჩვენი სტუმრები ტრიუიალურობაში უნდა დავადანაშაულო; უბრალო ჟურნალისტები იყვნენ, გაზეთის ხვალინდელი ნომრის მეტი არაფერი აინტერესებდათ და წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რა მნიშვნელოვან მოვლენას აშუქებდნენ. მათთვის ეს უბრალო ადამიანური ინტერესის მომცველი დრამა იყო, — მეტი არაფერი.

საიდან ვიცი? იქიდან, რომ ინტერვიუ რომ დასრულდა, ფოტოგრაფმა დედას ასი რუპიის ოდენობის ჩეკი გადასცა.

ასი რუპია! შეიძლება კაცმა ამაზე მიზერული და დამამცირებელი რამ წარმოიდგინოს?! ეს ხომ შეურაცხყოფაა. მაგრამ მე მათ მაინც მადლობას გადავუხდი, ჩემი დაბადება რომ აღნიშნეს და ვეცდები, მოუტანო იმისთვის, რომ ნამდვილი ისტორიული გრძნობა არ აღმოაჩნდათ.

„ნუ ხარ ამპარტავანი, — გაბრაზდა პადმა, — ასი რუპია არც ისე ცოტაა; ბოლოს და ბოლოს, შენ გარდა სხვებიც იბადებიან და უსაშველო ნუ გახადე!"



www.PDF.ChiaturaINFO.GE

# წიგნი მეორე

## მეუღლის გაშვერილი თითი

შესაძლებელია ასეთი რამ, რომ კაცმა დაწერილ სიტყვებზე იეჭვიანოს? შესაძლებელია, რომ ვიღაც მთვარეულის ნაჩხაპნს, როგორც სექსუალური მეტოქის სისხლსა და ხორცს, ისე ვერ იტანდე? პადმას უცნაურ საქციელს მხოლოდ ასეთ განმარტებას თუ მოვუძებნი. და ამ განმარტებას სულ მცირე, ისეთივე უჩვეულობის პრეტენზია აქვს, როგორიც იმ რისხვას, პადმას რომ დაეუფლა. ეს იმიტომ მოხდა, რომ დღეს ღამით შეცდომა დავუშვი: დავწერე (და მერე ხმამაღლაც წარმოვთქვი) სიტყვა, რომელიც არ უნდა მეხსენებინა... იმ ექიმის ვიზიტის შემდეგ, ექიმობას რომ იბრალებდა, პადმაში უცნაური უკმაყოფილება შევნიშნე და ვიყნოსე, რადგან მისი ჯირკვლები უკმაყოფილების სუნს აშკარად გამოყოფდნენ. პადმა, ცხადია, დაითრგუნა იმით, რომ ამაოდ ცდილობდა ჩემი „მეორე კალმის“ გაღვიძებას, იმ უსარგებლო კიტრის გაცოცხლებას, ჩემს შარვალში რომ იმალებოდა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ აწუწუნდა (წუხელ ძალიან გაჯავრდა, ჩემი დაბადების საიდუმლო რომ გავამჟღავნე. იმაზეც გაღიზიანდა, ასი რუპია რომ დამამცირებელ თანხად მომეჩვენა). ჩემი ბრალია: ჩემი ავტობიოგრაფიული წამოწყებით გართულმა პადმას გრძნობები უგულებელვყავი და ეს საღამოც საუბედუროდ ყალბ ნოტაზე დავიწყე. „გახვრეტილი ზეწრის გამო ფრაგმენტებით შედგენილი სიცოცხლით დავისაჯე, — დავწერე და გავახმოვანე კიდეც, — თუმცა ბაბუაზე უკეთ მაინც მოვიქეცი; ადამ აზიზი იმ ზეწრის მსხვერპლი იყო და მსხვერპლად დარჩა, მე კი ზეწრის მბრძანებლად ვიქეცი, ხოლო პადმა ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ზეწარმა მოაჯადოვა. მოჯადოებული აჩრდილების ქვეშ ვზივარ და ჩემს ყოველდღიურ ამბებს გიმხელთ. პადმა კი უმწეო მანგუსტივით ჩაცუცქულა და გაშეშებული აქეთ-იქით ქანაობს; კაპიუშონიანი გველივით თვალს არ ახამხამებს — სიყვარულმა მონუსხა და დაატყვევა, — დიახ, სიყვარულმა!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს სიტყვა წარმოთქვი: „სიყვარული“ და წარმოთქვი თუ არა, პადმა აკოცლდა და პირიდან ისეთი ღვარძლი ამოანთხია, აუცილებლად გულს მატკენდა, ჩემზე სიტყვები რომ მოქმედებდეს. „შენ მიყვარდე? — ზიზღით დაიკივლა პადმამ, — ღმერთო ჩემო, კი მაგრამ, რისთვის? რაში ვარგიხარ, პატარა პრინცუკა!“ პადმამ მკლავი გაშალა, მკლავზე თმა ლამპის შუქმა ააელვარა, საჩვენებელი თითი ჩემი უმწეო და უფუნქციო საზარდულისკენ ზიზღით გამოიშვირა. გრძელი, სქელი თითი, ეჭვიანობამ რომ გააშეშა, საუბედუროდ მხოლოდ იმ საქმეს ემსახურებოდა, რომ მეორე, დიდი ხნის დაკარგული თითი შეეხსენებინა ჩემთვის... პადმამ დაინახა, რომ მისი ისარი მიზანს ასცდა და იკივლა: „შეშლილო! ის ექიმი აბსოლუტურად მართალი იყო, შენზე რაც თქვა!“ და მერე ოთახიდან გავარდა. რკინის კიბეზე მისი ნაბიჯების ხმა გავიგონე. მესმოდა თუ როგორ დაფაციფუცობდა მწნილის კასრებს შორის. გავიგონე, კარი რომ გაიღო და მერე ჯახუნით მიიკეტა.

ასე მიტოვებული სამუშაოს დავუბრუნდი. სხვა რა უნდა მექნა.

მეთევზის გაშვერილი თითი სურათზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. სურათი „ბუკინგემის“ ცასავით ლურჯ კედელზე კიდია, ზუსტად ბავშვის ცასავით ლურჯი საწოლის თავზე, საწოლისა, რომელშიც მე, სალემი, ანუ შუაღამის შვილი, ვიწექი. ახალგაზრდა როლი — აბა, სხვა ვინ იქნებოდა — ნაძვისჩარჩოიან სურათში სიბერისგან დაგრეხილ-დაკოჟრილი მეზღვაურის ფეხებთან იჯდა. იმ მეზღვაურს, ბადეს რომ ქსოვდა, ზღვის ლომის ულვაში ხომ არ ჰქონდა? მარჯვენა ხელი ზღვის სივრცისკენ გაეშვირა და ზღვაზე გადახდენილ ამბებს ჰყვებოდა, შხეფებად რომ ეფრქვეოდა როლის მონუსხულ ყურებს. და კიდევ ვინ იყო იქ? სურათზე კიდევ ერთი ბიჭი იყო, ფეხებგადაჯვარედინებული რომ იჯდა და ფურფუშებიანი, ბოლომდე ჩაღილული მოსასხამი ეცვა... მახსენდება ჩემი დაბადების დღე, როცა გაამაყებული დედა და ასევე გაამაყებული ძიძა აცმევენ ბავშვს, რომელსაც გარგანტუას ცხვირი აქვს. სამოსი ზუსტად ისეთივე ფურფუშებიანია და მოსასხამიც ისეთივეა. თერძი ცასავით ლურჯ ოთახში იჯდა გაშვერილი თითის ქვემოთ და ინგლისელი მილორდების სამოსს კერავდა... „სეხედე, ლა ლამაზია!“ წამოიძახა ლაილა საბარმათიმ და სამუდამოდ იმედგაცრუებული დამტოვა, „თითქოს სურათიდან გადმოაბიჯაო!“

საძინებლის კედელზე კიდია სურათი, რომელშიც ვოლტერ როლის გვერდით ვზივარ და მეთევზის გაშვერილი თითის მიმართულე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბით ვიყურები. თვალები ჰორიზონტს მიშტერებია. ჰორიზონტის იქით რაა? — რა და შესაძლოა ჩემი მომავალი გაწოლილა; განსაკუთრებული ბედი რომ მექნებოდა, ამის შესახებ თავიდანვე ვიცოდი. ეს ბედი ცასავით ლურჯ ოთახში იმ მოცახცახე ნაცრისფერს ჰგავდა, პირველად რომ შეუმჩნეველია, მაგრამ ვერ უგულებელყოფ... თითი მოელვარე ჰორიზონტზე უფრო შორს მიანიშნებდა რაღაცას. ეს თითი წაბლის ჩარჩოს იქით, ამ პატარა ლურჯი კედლის მიღმა მიდიოდა და თვალებს სხვა ჩარჩოს ახვედრებდა, რომელშიც ჩემი ბედისწერა ეკიდა, ვერსად რომ ვერ გავექცეოდი. ეს ბედი მინის ქვეშ სამუდამოდ აღიბეჭდა: დიდი ზომის სურათი ახალშობილისა. სურათს წინასწარმეტყველური სათაური აქვს. აქვე, მის გვერდით წერილია. მაღალი ხარისხის ქაღალდს სახელმწიფო ბეჭედი აზის: სარნათის ლომები, რომელიც სულიერი სიძლიერის სიმბოლოა. პრემიერ-მინისტრის წერილი ფოსტალიონმა ბიჭმა ვიშვანათმა მოიტანა ერთი კვირის შემდეგ, რაც ჩემი ფოტო „თაიმს ოვ ინდიას“ პირველ გვერდზე გამოჩნდა.

გაზეთებმა ჩემი დაბადება აღნიშნეს; პოლიტიკოსებმა ჩემი მოვლინება დაადასტურეს. ჯავაჰარლარ ნერუ წერდა: „ჩემი დაგვიანებული მილოცვა ჩვილ სალემს, ამ ბედნიერ წუთს რომ დაიბადა! შენში ის უძველესი ინდოეთი ცოცხლობს, რომელიც მარად ახალგაზრდაა. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით შენს ცხოვრებას, რომელიც, რაღაც თვალსაზრისით, ჩვენი ცხოვრების სარკეა“.

მერი პერეირა შიშმა შეიპყრო: „მთავრობა ბიჭს თვალყურს მიადევნებს? კი მაგრამ, რატომ ქალბატონო? რა სჭირს ბიჭს ასეთი?“ ამინა მერის შიშის მიზეზს ვერ მიხვდა და უთხრა: „ეს უბრალოდ ასე უნდა თქმულიყო, მერი, მაგრამ მართლა ასე არ იქნება“. მერი მაინც ვერ მშვიდდება და ყოველთვის, როცა ბავშვის ოთახში შედის, შეშფოთებული თვალები ჩარჩოში ჩასმული წერილისკენ გაურბის; ირგვლივ იყურება, მთავრობა ხომ არ მზვერავსო; თვალებში ბევრი კითხვა აქვს. რამე ხომ არ იციან? ვინმემ ხომ არ დაინახა?.. რომ გავიზარდე, დედაჩემის განმარტება ვერც მე მივიღე; თუმცა ამან დამამშვიდა და თავი დაცულად და უსაფრთხოდ მაგრძნობინა, ეს გრძნობა მაინც ყალბი იყო; ასე რომ, მერის ეჭვები ჩემზეც გადმოვიდა და გამაოცა იმან, რომ...

შეიძლება მეთვეზის თითი წერილს სულაც არ მიანიშნებდა. თუ კარგად დაუკვირდებოდით და გაჰყვებოდით, ფანჯრიდან გარეთ გაგიყვანდათ; თითი ორსართულიანი გორაკის ჩაყოლებით, უორდენ-რო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ულის იქით, ბრიჭქერდის აუზების მიღმა, იმ მეორე ზღვისკენ მიდიოდა, რომელიც ხურათზე არ იყო; იმ ზღვაზე, სადაც ქოლის ნაკების წითელი ოქრული ჩამავალი მზის შუქზე ბრწყინავდნენ... თითი, რომელიც თითქის ბრიალს გვდებდა, გვკიცხავდა და გვიძულებდა, ქალაქის ლატაკურობისკენ მიგვეჭედა.

ახლა შეიძლება თითი რალაცას გვაფრთხილებდა, ყურადღება რომ თავისკენ მიეზიდა. ამ აზრმა ცხელი ამინდის მიუხედავად, ცივება მომგვარა. დიახ, რატომაც არა, შეიძლება ეს თითი სხვა მეორე თითის წინასწარმეტყველება იყო; თითისა, რომელზეც ვერ ვიტყვით, რომ თავისი თავისგან არ განსხვავდება. და რომლის მონაწილეობა ჩემს მოთხრობაში ალფასა და ომეგას შემზარავ ლოგიკას ათავისუფლებს... ღმერთო ჩემო! რა ხალხი ვართ! ბედისწერა ჩემი საწოლის თავზე ხათაბაშოსავით ეკიდა და მე მიცდიდა, როდის შევიმეცნებდი. რამდენი გაფრთხილება მივიღე და რამდენი — არაფრად ჩავაგდე... მაგრამ არა. პადმას თქმისა არ იყოს, მართლა „სადღაციდან მოთრეული გიჟი" ხომ არა ვარ. თემიდან გადახვევის არანორმალური ცდუნებას არ ვუყურებ; მანამდე მაინც, სანამ ხაამისოდ ძალა მერჩის.

ამბავი ხანაა და ახალშობილი სალემი სახლში ნათხოვარი მანქანით რომ დაბრუნდნენ, აქმედ ხანამ მანილას ქალალდში შეხვეული ამანათი ადგა. ამანათში იდო მწნილის ქილა, რომელიც მწნილისგან გამოცალეს, გარეცხეს, გაასტერილეს და ახლა ხელახლა შეივსო. ქილა კარგად იყო დახეული. ხეფზე რეზინის სალტე შემოეჭირათ, რომელიც რეზინისვე ზონრით შეეკრათ. რა იყო იმ ქილაში? რას ინახავდა მანილას ამანათი? აი, რას: ქილაში მარილიან წყალში ჭიპლარი დაეკურავდა (მაგრამ ვისი ჭიპლარი იყო, ჩემი თუ სხვისი? ამას დანამდვილებით ვერ ვიტყვი). ახალდაქირავებული ძიძა, მერი პერეირა მეორეულის მამულში აუტობუსით რომ მიდიოდა, ამ დროს ჭიპლარი ყუთიანგისტის მანქანის საბარგულში იდო. ახალშობილი სალემი იზრდებოდა და კაცობაში შედიოდა, ჭიპლარი კი ქილაში ეკიდა. ქილა ფეიქრის კარიდაში იდგა. წლების შემდეგ, როცა ჩემმა ოჯახმა წმინდა მარკოზე შეკრება და მე კი ხიწმინდისთვის ვიბრძოდი და მისკენ ვილტვოდი, ჭიპლარების დღეობაც გაჩნდა.

ორიოლი გადაეკვეთათ, ბავშვი თავის მომყოლთან ერთად დაიტოვეს; ორივე მეორეულის მამულში მივიდა; ორივე თავის ჯერს ელოდა.

ლამაზი ბავშვი არ ვყოფილვარ. ადრეულ ხურათებზე ჩანს, რომ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოგრეხილი ხაზე მეტისმეტად დიდი და ძრწყინვალე მქონდა. ნაკეთების არეში რაღაც საკვლი აგრძნობინდა. კანის ძმობაირობის ლაქები აეშლებოდა. მუქი ლაქები დასაკვლელისკენ გაფიფილი თმის ზილზე ვრცელდებოდა. აღმოსაკვლელისკენ მიეგებარე ყურის დიდი შაკი ლაქა აჯდა. ძალიან თეთრსახანი საფეიქლები მქონდა — ბიზანტიური გუმბათებიანი გამოძერილი (სანი ობრაზიმ და მე მეგობრებად დავიბადეთ. ჩვენი შუბლები რომ ერთმანეთის მიეჯახა, ჩემი გუმბათები სინის საფეიქლების ფილიებში მიკეტეთდნენ, — საშინიბაირი მაშენებისგან რომ აქონდა, იმ ფილიებში. კიბტად მოთავსდნენ იქ, დურგალი კბილების რომ ერთმანეთში ჩასვამს, ზუსტად ისე).

ამინა სინაი უზომოდ გახარებული იყო იმით, რომ ერთი თავი მქონდა და ჩემს საფეიქლებს გაორმაგებული დედობრივი სიყვარულით უყურებდა. თითქოს ლამაზ ნისლში იჭვრიტებოდა და ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ ცასავით ლურჯი თვალები მქონდა, საფეიქლები ზრდაშეწყვეტილ რქებს მიმიგავდა და კიტრივით ცხვირი იზრდებოდა და იზრდებოდა.

ახალშობილი სალეიმის მარადსველი ცხვირი ურჩხულისას ჰგავდა. ჩემი საინტერესო ბავშვობა ასეთი იყო: სიდიდისა და შეუხედაობის გამო ალბათ სულ უკმაყოფილი ვიყავი. დაბადებისთანავე თავის განდიდების გმირული პროგრამა წამოვიწყე (თითქოს ვიცოდი, რომ სიდიდე ჩემი მომავალი ცხოვრების ტვირთის საზიდად გამომადგებოდა). სექტემბრის შუა რიცხვებისთვის დედაჩემის არცთუ ისე პატარა მკერდი რძისგან გამოცალე. ამისთვის ძიძაც დაიქირავეს, რომელიც ძუძუს მაჭმევდა, მაგრამ მისი მკერდიც ორ კვირაში უდაბნოსავით გამოვაშრე. უკმაყოფილო ძიძამ იმ მიზეზით მიმატოვა, თითქოს ძუძუსთავებს უკბილო ღრძილებით ვუკვნეტდი. ბოთლით კვებაზე რომ გადამიყვანეს, უამრავ საკვებს ვნთქავდი. ბოთლზე წამოცმული საწოვარა ისეთ დღეში მოვაქციე, თურმე ის ძიძა მართალი ყოფილა, თავს რომ გაქცევით უშველა. ბავშვის წიგნაკში ჩანაწერებს აკეთებდნენ და ინახავდნენ. ეს წიგნაკი აბმობს, რომ თვალსა და ხელს შუა გავიზარდე. საუბედუროდ, ცხვირის სიგრძე არავის გაუზომია. ამიტომ, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, ჩემი სასუნთქი აპარატი განსაზღვრული პროპორციებით იზრდებოდა თუ განუსაზღვრელით. უნდა ვთქვა, რომ ჯანმრთელი მეტაბოლიზმი მქონდა. ნაგავს გამოსასვლელი არხები კარგად ცლიდნენ; ცხვირიდან მბზინავი წვინტლის კასკადი მოდიოდა. დედაჩემის საბაზანოს კარადაში ცხვირსახოცების არმიები და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰიგიენური საფენების ბატალიონები ეწყო... ყველა ნაწილიდან რა-ღაც ნაგავი მდიოდა. მხოლოდ თვალები მქონდა შშრალი. „რა კარგი ბავშვია, ქალბატონო, ერთი ცრემლიც კი არასოდეს გადმოუგდია", — უთხრა დედას მერი პერეირამ.

კარგი და წყნარი ბავშვი ვიყავი; ხშირად ვიცინოდი, თუმცა ხმას არ ამოვიღებდი, ისე (ჩემი ვაჟივით, ჯერ ფიქრით დავიწყე და ვუსმენ-დი, სანამ ხითხითზე და მოგვიანებით კი ლაპარაკზე გადავედი). ერთი პერიოდი ამინა და მერი შეშინებული იყვნენ. ეგონათ, მუნჯი ვიყავი და აპირებდნენ მამაჩემისთვის ეთქვათ (მას ჯერ საიდუმლოს არ უმ-ხელდნენ. ყველა მამას უნაკლო შვილი უნდა ჰყავდეს), რომ ამ დროს ხმა ამოვიღეგი და ჩვეულებრივ, ნორმალურ ბავშვად ვიქეცი. ამინამ მერის უჩურჩულა: „თითქოს პატარამ გადაწყვიტა, რომ დაეშვიდე-ბინეთ".

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა არსებობდა. ამინამ და მე-რიმ ეს რამდენიმე დღეში შეამჩნიეს. მაგრამ მანამდე მათი გონება ჩემმა სუნიანმა საკვალმა ისე დანისლა, რომ ჩემი უძრავი ქუთუთოე-ბი ვერ შეამჩნიეს. ქალები უძლეველმა, რთულმა პროცესმა გაიტაცა, რომელშიც ერთ დედად იქცნენ და ორი თავი ებათ. ამინას ახსოვდა, ორსულობისას მუცლადმყოფმა ბავშვმა დრო რომ მკვდარ ტბასავით გააშეშა. და ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, საწინააღმდეგო პროცესი ხომ არ ხდებოდა და ეს ბავშვი მაგიურ ძალას ხომ არ ფლობდა თავის გარშემო მყოფებზე. ყველაფერს ხომ არ აჩქარებდა ისე, რომ დედას და ძიძას არასოდეს დრო არ ჰქონდათ და ვერაფერს ასწრებდნენ, ბავშვი ისეთი ფანტასტიკური სისწრაფით იზრდებოდა; ასეთ ქრონო-ლოგიურ ოცნებებსა და ფიქრებში ჩართულმა ამინამ ჩემი პრობლემა ვერ შეამჩნია. მხოლოდ მაშინ, როცა ეს აკვიატებული აზრი თავიდან მოიშორა და თავის თავს უთხრა, რომ ბიჭი უბრალოდ ჯანმრთელი და მადიანი იყო და კარგად ვითარდებოდა, დედობრივი სიყვარულის ფარდა იმ ზომაზე აიხადა, რომ საკმარისი აღმოჩნდა მას და მერის ერთად შეემჩნიათ: „შეხედე, ამას რას ვხედავ, ქალბატონო! შეხედე, მე-რი! ბავშვი თვალებს არ ახამხამებს!"

თვალები მეტისმეტად ლურჯი მქონდა, ქაშმირის ცასავით ლურ-ჯი, მაგრამ ცოტა მერყევი ლურჯი, რომელიც ჯერარდაღვრილი ცრემლებით იყო დამძიმებული. ისეთი ლურჯი, დახამხამება რომ არ შეიძლება. თვალებს ჭამის დროსაც კი არ ვახამხამებდი. ქალწული მერი მხარზე რომ შემისვამდა, იტყოდა ხოლმე: „უუფ, ღმერთო ჩემო,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა მძიმეა!“ თვალებს ბოყინის დროსაც არ ვახამხამებდი. ცერშეჭეული აჰმედ სინაი ჩემს საწოლთან კოჭლობით რომ მოვიდა, მის გამოშვერილ ტუჩებსაც თვალის დაუხამხამებლად მივაჩერდი... „შეიძლება ვცდებით, ქალბატონო, — ვარაუდი გამოთქვა მერიმ, — შეიძლება ბავშვი ზუსტად მაშინ აპაჭუნებს თვალებს, ჩვენ რომ იმავეს ვაკეთებთ, და ამიტომ ვერ ვამჩნევთ“. ამინამ უთხრა, — „მაშინ რიგრიგობით დავაპაჭუნოთ და ვნახოთ“. მართლაც ასე მოიქცნენ: ერთი რომ დაახამხამებდა თვალს, მეორეს გახელილი ჰქონდა. ჩემს თვალთა გაქვავებულ სილურჯეს აკვირდებოდნენ, რომელიც ოდნავადაც კი არ შერხეულა. ამიტომ, ამინამ გადაწყვიტა მოსულიყო და ჩემი ქუთუთოები ხელით დაეხუჭა, რაც მოახერხა კიდეც. ამან ის გამოიწვია, რომ ჩემი სუნთქვის სიხშირე ძილის რიტმზე გადაერთო. ამის მერე რამდენიმე თვე დედა და ძიძა მონაცვლეობით ახელდნენ და ხუჭავდნენ ჩემს ქუთუთოებს. „თავადაც ისწავლის, ქალბატონო“, მერიმ ამინა დაამშვიდა. „კარგი, დამყოლი ბავშვია, ისწავლის“. მართლაც ვისწავლე. ეს იყო ჩემი ცხოვრების პირველი გაკვეთილი: ამ სამყაროს მუდმივად თვალგახელილი ვერავინ გაუძლებს.

ახლა, როცა უკან ახალშობილის თვალებით ვიყურები, ყველაფერს შესანიშნავად ვხედავ: საოცარია, როცა ცდილობ, რამდენი რამ შეგიძლია გაიხსენო. ვიხსენებ ქალაქს, სისხლისმწოველი ხვლიკივით ზაფხულის მზეზე რომ ნებივრობს. ჩვენი ბომბეი ხელს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში მუდმივად ღია და მშიერი პირია, საკვებსა და ნიჭს რომ სანსლავს ინდოეთის ყველა კუთხიდან. ეს არის დიდებული წურბელა, — ფილმების, უხეში პერანგებისა და თეზების მეტს რომ არაფერს ქმნის... ქვეყნის გახლეჩვის შემდეგ ფოსტალიონ ბიჭს, ვიშვანათს ვხედავ, ველოსიპედით ორსართულიან გორაკზე რომ ამოდის, ჩანთაში უმალლესი ხარისხის ფურცელზე დაწერილი წერილი უდევს. არჯუნა ინდიაბაიქის ძველი ველოსიპედით დამპალ ავტობუსს ჩაუვლის; ავტობუსი მიტოვებულია, მიუხედავად იმისა, რომ მუსონურმა სეზონმა გადაიარა. ავტობუსის მძღოლმა უცებ პაკისტანში წასვლა გადაწყვიტა, ძრავა გამორთო, წავიდა და ფანჯრიდან თავგამოყოფილი, ავტობუსის ზედა თაროზე მიტმასნილი თუ კარებში შეჭეჭყილი მგზავრები მიატოვა... იგინებიან, მძღოლს წყევლიან: ღორიშვილი! რეგვენი ვირიშვილი! მაგრამ ძლივს მოპოვებული ადგილები ორი საათის განმავლობაში არავის დაუტოვებია. მერე კი ავტობუსი ბედის ანაბარად



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიატოვეს. ინგლისის არხის პირველი ინდოელი გადამცურავი პუშპა რი გამახსენდა, ბრიჩქენდის აუზებთან რომ მოვიდა. თავზე ყვითელი საცურაო ქუდი ეხურა, ტანზე მწვანე საცურაო კოსტიუმი ეცვა, რომელზეც დროშისფერი პირსახოცი შემოეხვია. ეს ის პუშპა იყო, თუთრების აუზში მარტო ბანაობის პოლიტიკას ომი რომ გამოუცხადა. ხელში სურნელოვანი ხისგან დამზადებული მისორის ფორმის საპონი უჭირავს. წყლიდან ამოდის, ჭიშკარს გაიღებს... ამასობაში დაქირავებულები შეიპყრობენ. ინდოელები ევროპელებს, როგორც ყოველთვის, ინდური ამბოხისგან იხსნიან. ჰოდა, ეს, რაც ძალა და ღონე აქვს, იბრძვის, მაგრამ ხელფეხშებორკილი წინ გაიგდეს და უორდენ-როუდზე ტალახში ჩააგდეს. არხის გადამცურავმა ქუჩაში ისე ჩაყვინთა, როგორც წყალში და აქლემებს, ტაქსებსა და ველოსიპედებს გვერდი ძლივს აუქცია (ფოსტალიონმა ვიშვანათმა ველოსიპედი მოუხვია, რომ მის საპონს არ დასჯახებოდა)... მაგრამ გადამცურავს ვერაფერი შეაფერხებს. დგება, მტვერს იფერთხავს და პირობას დებს, რომ ხვალ ისევ დაბრუნდება. ჩემი ბავშვობის წლებში მცურავ პუშპას რომ დავინახავდით, ვიცოდით, რა დღე იყო. ყვითელქუდიანი და დროშისფერპირსახოცშემოხვეული მოცურავე უორდენ-როუდზე უხალისოდ ყვინთავდა. ბოლოს მისმა დაუცხრომელმა კამპანიამ გამარჯვება მოიპოვა: დღესდღეობით აუზებში მხოლოდ „მაღალი რანგის“ ინდოელებს უშვებენ, რომ მათ რუკის ფორმის წყლებში შეაბიჯონ. თუმცა პუშპა „მაღალ რანგს“ არ ეკუთვნის. ახლა იგი ბებერი და ყველასგან მიტოვებულია და აუზებს შორიდან გასცქერის...

ძალიან ბევრი ხალხი მახსენდება და იღვენთება ჩემში. ერთი მათგანი ბანო დევია — იმ დროის ცნობილი ქალი მოჭიდავე, რომელიც მარტო მამაკაცებთან ჭიდაობდა და ყველას ემუქრებოდა, თუ დამამარცხებთ, ცოლად უნდა მომიყვანოთო. არც ერთი შეჯიბრება არ წაუგია (ახლა სახლთან ახლოს ვართ). წმინდა კაცი ბაღის ონკანთან ზის. კაცს პურუშოთამი ჰქვია. მაგრამ ჩვენ ყველა (სონი, ზანტი, ვერცხლისწყალი, საირუსი და მე პურუ-გურუს, ანუ პურუ-მოძღვარს ვეძახით. ამ კაცს ჩემი ისე სჯეროდა, ჩათვალა, რომ ზეცით კურთხეული ვიყავი და თავისი ცხოვრება ჩემზე თვალყურის დევნებას შეალია. მამაჩემს ხელისგულზე მკითხაობა და დედაჩემის მეჭეჭების გამოლოცვა ასწავლა. მახსენდება, რომ ბებერ მუსას და ძიძა მერი პერეირას შორის მტრობა ჩამოვარდა და ეს მტრობა იქამდე გაიზარდა, სანამ ბოლოს არ აფეთქდა; მოკლედ, 1947 წლის მიწურულს ბომბების ცხოვრე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბა ისეთი მოფუთფუთე, ბრბოსავით მრავალმხრივი და უფორმო იყო, როგორც არასოდეს... მაგრამ ჩემი მოვლინება ხომ გამონაკლისია; მე უკვე სამყაროს ცენტრში ადგილის დასამკვიდრებლად ვემზადებოდი. და როცა ამ საქმეს მოვრჩი, ყველაფერს თავისი მნიშვნელობა მოვეცი. არა გჯერათ? ჩემს აკვანთან მერი პერეირა ზის და მღერის. აბა, მოუსმინეთ:

ის გახდები, რაც გინდა რომ გახდე:

ეს სურვილი უეჭველად ახდეს!..

ჩემი წინადაცვეთა თერძის ორად გახლეჩილი სასის მეოხებით მოხდა. ეს თერძი თერძთა სამეფო სახლიდან მოიწვიეს, გოვალიათანქ-როუდზე რომ იყო. (მაშინ ორ თვეზე მეტი ხნის ვიყავი). ჩემზე მეთვოლდის მამულში დიდი მოთხოვნილება იყო (წინადაცვეთის ინციდენტი მახსოვს: გეფიცებით, მართლა მახსოვს, თერძი რომ იღიმებოდა და ხელში ჩემი ჩუჩა ეჭირა, ხოლო ჩემი ასო მოსრიალე გველივით იკლაკნებოდა. მერე მჭრელი სამართებელი და ტკივილი მახსოვს; მაგრამ თვალი თურმე მაშინაც არ დამიხამხამებია).

დიახ, პოპულარული ბავშვი ვიყავი; ორი დედა: ამინა და მერი მყავდა და მაინც არ მყოფნიდა. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ორი ქალი ერთმანეთის ახლო მოკავშირეები იყვნენ. წინადაცვეთის შემდეგ ერთად მაბანავეს და ჩემს დამახინჯებულ ასოს რომ უყურებდნენ, როგორი სიბრაზით ირხეოდა წყალში, სიცილით იხოცებოდნენ. „ჯობია ბიჭს თვალყური ვადევნოთ, ქალბატონო, მის ასოსაც საკუთარი ცხოვრება აქვს“, მერის სიტყვებს ოდნავი უწმაწურობა შეეპარა. „ششش... ششش!.. ჩუმად, მერი, რა საშინელ სიტყვებს ამბობ“. შემდეგ სიცილი ვერ შეიკავეს და იმდენი იცინეს, თვალები ცრემლებით აევსოთ. „შეხედეთ, ქალბატონო, მისი პატარა ასო რა საცოდავად გამოიყურება!“ მართლაც ის ნაწილი ისევ ისე თავწაჭრილი ქათამივით ფართხალებდა... ერთად მშვენივრად მივლიდნენ; თუმცა გრძნობებზე რომ მიდგებოდა საქმე, ერთმანეთის მტრები იყვნენ. ერთხელ მალაბარპილის დაკიდებული ბაღების სანახავად წამიყვანეს. ამინამ გაიგონა, მერიმ როგორ უთხრა სხვა ძიძებს, ეს ჩემი ვაჟიაო. ამინა ისე შეშინდა, თითქოს დაემუქრნენ. ამის შემდეგ ამ ორი ქალის სიყვარულის ბრძოლის ველად ვიქეცი. ისინი ჩემდამი სიყვარულის გამომჟღავნებაში ერთმანეთს ეჯიბრებონენ; მე კი ახლა უკვე თვალსაც რომ ვახამხამებდი და ხმამაღლაც ვღუღუნებდი, მათი გრძნობები მკვებავდა. ის გრძნობები მზრდიდნენ, რადგან ყველაფერს ვყლაპავდი: გაუთავებელ ჩახუტებას,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოცნას, ნიკაპქვეშ ჩქმეტას. ეს ყველაფერი კი იმ წუთისკენ მიმაქანებდა, როცა ძირითად ადამიანურ თვისებებს შევიძენდი. იშვიათად, როცა მეთევზის გაშვერილ თითთან მარტო ვრჩებოდი, მხოლოდ მაშინ წამოვიმართებოდი ხოლმე ჩემს საწოლზე.

(და სანამ ფეხზე დადგომას უშედეგოდ ვცდილობდი, ამინაც ასევე უშედეგოდ ცდილობდა რაღაცის გადაწყვეტას. იმ სიზმრის თავიდან ამოგდება სურდა, თავის უსახელო ქმარზე რომ ესიზმრებოდა. ამ სიზმარმა ჩემი დაბადების მერე ბუზის საჭერი ქაღალდის სიზმარი ჩაანაცვლა. ეს ზმანება იმდენად რეალური იყო, რომ როცა ელვიძა, მაშინაც ტანჯავდა. ნადირ-ხანი მოდიოდა სიზმარში და აორსულებდა. სიზმარმა ისეთი ბოროტი მიმართულება შეიძინა, რომ ამინა დაიბნა. უკვე იმას ფიქრობდა, ვინ იყვნენ მისი შვილის ნამდვილი მშობლები და ამით მეოთხე მამითაც უზრუნველმყო, — ვინქის, მეთვოლდსა და აჰმედ სინაის რომ თავი დავანებოთ. უმწეო, აღელვებულ და სიზმარს ჩაბღაუჭებულ ამინას დანაშაულს ბურუსი მოეხვია, რომელიც შემდეგ წლებში შავ ღრუბლად იქცა და გონება დაუბნელა).

ვი ვილი ვინქის ახალგაზრდობაზე არაფერი მსმენია. დაქვრივებისას რომ დაბრმავდა, თანდათან მხედველობა დაუბრუნდა. თუმცა მის ხმას ცოტა სიანჩხლე შეეპარა. გვეუბნებოდა, ასთმის ბრალიაო და მეთვოლდის მამულში კვირაში ერთხელ მაინც მოდიოდა, რომ ემღერა სიმღერები, რომელიც მასავით მეთვოლდის დროის გადმონაშთი იყო. „ღამე მშვიდობისა, ქალბატონებო“, მღეროდა ვინქი და თანამედროვე დროს რომ დასწეოდა, ამასაც დაუმატებდა ხოლმე თავის რეპერტუარს: „მალე ღრუბლები ჩაგვივლიან“ და „ეს ლეკვი ფანჯრიდან რომ მოჩანს, რა ღირს?“

თავის ჩვილ ბავშვს, რომელსაც საოცრად ტლანქი მუხლები ჰქონდა, მის გვერდით ხალიჩაზე დასვამდა ხოლმე ცირკის მრგვალ მოედანზე და ნოსტალგიურ სიმღერებს მღეროდა. ვინ იქნებოდა ისეთი უგულო, რომ იქიდან გაეგდო ან არ განეკითხა. მეთვოლდის დროიდან მხოლოდ ვინქი და მეთევზის თითი შემორჩა. მას შემდეგ, რაც მეთვოლდი სამუდამოდ წავიდა, სასახლეების ახალმა ბინადრებმა მისი ნაქონი ნივთები მოიშორეს. ლაილა საბარმათიმ დაიტოვა პიანოლა, აჰმედ სინაიმ ვისკის კარადა; მოხუცი იბრაჰიმი ჭერის ვენტილატორს შეეგუა; ოქროს თევზები შიმშილისგან დაიხოცნენ, ხოლო ზოგი მათგანი ზედმეტი კვებისგან გასივდა, გასკდა და ფარფლებისა და საჭმლის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გროვად იქცა, თუზებმა რომ ჭამეს, მაგრამ ვერ მოინელეს. ძაღლი გაველურდა და ბოლოს ეზოსაც აღარ მწყემსავდა. ძველი ტანსაცმელი, რომელიც კამოდებში ელაგა, მსახურებს დაურიგეს. წლების განმავლობაში, მეთვოლდის სასახლეთა ბინადრებს ემსახურებოდნენ ადამიანები, რომელთაც დაუჯერებლად დაგლეჯილი პერანგები და ბამბის ნაქარგებიანი სამოსები ეცვათ, ოდესღაც მათ ყოფილ ბატონებს რომ ემოსათ. ვინქი და ჩემი კედლის სურათი გადარჩა; მომღერალი და მეთუზე ჩვენი ცხოვრების წესად იქცა, ისევე როგორც კოქტეილის საათი. ამ უკანასკნელს კი ისე მიეჩვივნენ, რომ არასოდეს შეუცვლიათ. „ყოველი წვეთი ცრემლისა და მწუხარებისა ჩემთან გაახლოებს“, — მღეროდა ვინქი... და მისი ხმა სულ უფრო და უფრო საშინლად ჟღერდა. ბოლოს გოგრისგან დამზადებული და თაგვებისგან გამოხრული ფანდურის ექოსავით ისმოდა. ჯიუტად აიკვიატა, ასთმა მჭირსო. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ხმა სულ დაეკარგა. ექიმებმა ყელის კიბო დაუდგინეს, თუმცა ისინიც შეცდნენ. ვინქი ავადმყოფობას არ მოუკლავს. იგი ცოლის დაკარგვამ გაამწარა, ცოლისა, რომლის ერთგულებაში ეჭვი არასოდეს შეპპარვია. თავის ვაჟს რღვევისა და განაყოფიერების ღმერთის, შივას სახელი დაარქვა. ბავშვი მამის ფეხებთან იჯდა და მისი თანდათანობითი დაკნინების სასჯელს ჩუმად იტანდა, რომლის მიზეზი თავად იყო (ან თავად ფიქრობდა ასე); შემდგომ წლებში შევამჩნიეთ, რომ თვალებში ენით უთქმელი ბრაზი ჩაწვა. ვუყურებდით, კენჭებს როგორ იქცევდა მუშტში და როგორი სიბრაზით ისროდა. თუმცა, თავდაპირველად, ეს სროლა უწყინარი ხასიათისა იყო, რადგან ცარიელ სივრცეს უმიზნებდა. მაგრამ მერე და მერე უფრო საშიში და მიზანმიმართული გახდა. ლაილა საბარმათის უფროსი ვაჟი რვა წლისა იყო, როცა შივა გააბრაზა იმით, რომ მის დაჭმუჭნილ შარვალს, კორძებიან მუხლებსა და უზრდელ ხასიათს დასცინა. ბიჭმა, რომელსაც მერის ჩადენილი დანაშაულის გამო სილატაკე და აკორდეონზე დაკვრა მიესაჯა, ბასრპირიანი ქვა აიღო, ლაილას ვაჟს მარჯვენა თვალში მოარტყა და დაუბრმავა. ამ ამბის მერე ვინქი მეთვოლდის მამულში მარტო მოდიოდა და თავის შვილს ისეთ ბნელ ჯურღმულებში ტოვებდა, საიდანაც მხოლოდ ომი თუ გამოიხსნიდა.

ასე რატომ აშშვიდებდა ვინქის მეთვოლდის მამული, მიუხედავად იმისა, რომ ხმაც წაერთვა და ვაჟმაც ასეთი რამ ჩაიდინა. მან ერთხელ ამ სახლის ბინადრებს გამოცანის გასაღები მისცა, როცა უთხრა: „ნამდვილები მაშინ გახდებით, პირველი ბავშვი რომ დაიბადება“.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინ?ის ნათქვამმა გააამართლა: ჩემზე დიდი მოთხოვნილება იყო. ამინა და მერი ჩემს საყვარულში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გარდა ამისა, სასახლის ყველა მობინადრეს ჩემი გაცნობა სურდა. ბოლოს, ჩემი პოპულარობით გააამაყებულმა ამინამ თავს სძლია და დასთანხმდა, რომ მეზობლებისთვის მორიგეობით ვეთხოვებინე. მერი პერეირას ლურჯ აკვანში ჩაწვენილი მორიგეობით დაყვავდი ამ წითელსახურავიანი სასახლეების მობინადრეებთან, რომელთათვისაც ჩემი სტუმრობა დიდი პატივი იყო. და ვინ?ის თქმისა არ იყოს, ჩემმა ხილვამ მათი ცხოვრება ნამდვილი გახადა. ახლა წარსულს ბავშვის თვალებით რომ ვუყურებ, ჩემი მეზობლების საიდუმლოც შემიძლია გავამჟღავნო. მათთვის მე იმდენად პატარა ვიყავი, რომ ჩემთან არავითარ ზრდასრულ საქციელს არ ერიდებოდნენ და აზრადაც არ მოსვლიათ, რომ წლების შემდეგ მათ საიდუმლოს ფარდას ავხდიდი.

მოხუცი იბრაჰიმი ჯავრით კვდება, რადგან აფრიკის მთავრობამ პლანტაციები ჩამოართვა და სახელმწიფო საკუთრება გახადა; მისი უფროსი ვაჟი იშაკი სასტუმროს ბიზნესითაა უკმაყოფილო, რადგან ვალები დაედო და ახლა იძულებულია ფული ადგილობრივი განგსტერებისგან ისესხოს. იშაკი თვალს ვერ აშორებს თავისი ძმის ცოლს, ნასის. თუმცა ჩემთვის გამოცანად რჩება, როგორ შეიძლებოდა ნასიიხვს ვინმეში სექსუალური გრძნობა გაელვიძებინა. ნასის ქმარი, ისმაილი, ადვოკატია. მან მაშებით დაბადებული შვილი რომ ნახა, ჭკუა ისწავლა. ეს მისთვის კარგი გაკვეთილი იყო; „არაფერი ისე არ გამოდის ცხოვრებაში, თუ ძალით არ გამოიყვანე“ — უთხრა ცოლს. ეს ფილოსოფია თავის კარიერასაც მიუსადაგა და მოსამართლეთა მოქრთამვა დაიწყო; ბავშვებს შეუძლიათ მშობლების ხასიათი შეცვალონ და ამრიგად, სონიმ მამამისი წარმატებულ თაღლითად აქცია. ახლა ვერსალის სასახლეში გადავინაცვლოთ. აქ ქალბატონ დუბაშს ღმერთ განეშის სალოცავი მოუწყვია ისეთი უწესრიგო ოთახის კუთხეში, რომ სიტყვა „დუბაში“ მალე უწესრიგობისა და არევ-დარევის სინონიმად იქცა...

აი, მაგალითად, მერი მეტყოდა ხოლმე: „სალემ, როგორ გაგიდუბაშებია შენი ოთახი, შე შავკანიანო!“ ესე იგი, ეს ნიშნავდა: ოთახი როგორ აგირევიაო. ამ არევ-დარევის მიზეზი დუბაში იყო, გენიალური ფიზიკოსი და გენიალური ამრევ-დამრევი. ატომს იკვლევდა. ახლა რომ ჩემს აკვანზეა გადმოხრილი და ნიკაპზე ხელს მითათუნებს. მისი ცოლი საირუსდიდზეა ორსულად. ყოყმანებს, ვერ გადაუწყვე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტია, მომეკაროს თუ არა. თვალები ფანატიკური სიხარულის სხივით უბრწყინავს, რადგან ბავშვი, რომელიც მის მუცელში იზრდება, თავის დროს ელოდება. ეს ბავშვი მანამ არ გამოჩნდება, სანამ ბატონი დუბაში არ მოკვდება. ეს უკანასკნელი კი იმით გარდაიცვალა, რომ ფორთოხალმა დაახრჩო, რომლიდანაც მის ცოლს კურკების გამოცლა დაავიწყდა. არადა, ბატონი დუბაში ხომ მსოფლიოში ყველაზე საშიშ ნივთიერებებზე აწარმოებდა კვლევებს. ექიმ ნარლიკარს თავისთან არასოდეს მივუწვევივარ. ეს იყო გინეკოლოგი, რომელსაც ბავშვები სძულდა. მაგრამ ლაილა საბარმათისა და ჰომი ქეთრექის სახლში ნამდვილ ჯაშუშად ვიქეცი. ქმრისადმი ლაილას ათას ერთი ღალატის ნაწილი გავხდი და იმასაც შევესწარი, რომ საზღვაო ოფიცრის ცოლსა და კინომაგნატს შორის, რომელიც დოღის ცხენების მფლობელიც იყო, რაღაც ხდებოდა. ეს ყოველივე თავის დროზე შურის საძიებლად გამომადგა.

საკუთარი თავის ამოცნობის პრობლემა ბავშვსაც აწუხებს და უნდა გითხრათ, რომ ჩემი ადრეული პოპულარობა პრობლემებს მიქმნიდა. ამ საკითხთან დაკავშირებით იმდენი ადამიანი დამეცა ყუმბარასავით, რომ დავიბენი. ონკანთან მჯდარი გურუსთვის ცით მოვლენილი ვიყავი, ლაილა საბარმათისთვის — ჯაშუში. ნასიიხვი მტრად და თავისი შვილის, სონის მეტოქედ მთვლიდა (თუმცა, მისდა სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ჩემდამი ნამდვილი გრძნობა არასოდეს გამოუმჟღავნებია და თავის სახლშიც სხვებივით მეპატიჟებოდა); ორთავიანი დედა-ჩემისთვის ყველაფერი ბავშვური მე ვიყავი. ორივე ქალმა მოფერებითი სახელები შემარქვეს, მათ შორის, „პატარა მთვარის ნატეხი“.

მაგრამ ბავშვს მეტი რა შეუძლია, იმის გარდა, რომ ეს ყველაფერი მეხსიერების სტომაქში შეინახოს და მერე, რომ გაიზრდება, იმ შენახულისგან რამე აზრი გამოიტანოს. უცრემლოდ და მოთმინებით შევისრუტე ნერუს წერილიცა და ვინქის წინასწარმეტყველებაც. მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე იმ დღემ მოახდინა, როცა ჰომი ქეთრექის იდიოტმა ქალიშვილმა თავისი აზრები ცირკის მოედნის გავლით ჩემს ბავშვურ ტვინზე გაავრცელა.

თოქსი ქეთრექს უზარმაზარი თავი და დორბლიანი პირი ჰქონდა. ბოლო სართულის გისოსებიან ფანჯარაში ტიტველი იდგა და ზიზღნარევი ოსტატობით მასტურბირებდა. გისოსებიდან მთელი ძალით აფურთხებდა, ისე, რომ ზოგჯერ მისი ფურთხი თავზე გვეცემოდა... ოცდაერთი წლის თოქსის გონებასუსტობა წლების განმავლობაში



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის წინაპრებს შორის ნათესაური შეჯარების შედეგი იყო. მაგრამ ჩემს გონებაში იგი ლამაზად შეჩვენებოდა, რადგან ის ბავშვური, ზეცით მონიჭებული თვისებები არ დაკარგოდა, რომელიც ყველას დაბადებისთანავე გვეძლევა, მაგრამ მერე ცხოვრება გვართმევს და გვინადგურებს. მე არ მახსოვს თოქსის რამე ეთქვას. ის თავის ფიქრს ჩურჩულით მიგზავნიდა. ღულუნისა და ფურთხების მეტი არაფერი შეეძლო. თუმცა ჩემი ტვინის სარქველი მსუბუქი მუჯლუგუნით შეალო. და როცა აბაზანაში რამე ინციდენტი ხდებოდა, ალბათ თოქსი იყო ამის მიზეზი.

ახლა კმარა ჩემი პირველი დღეების გახსენება; ისტორიაზე ისედაც მოახდინა გავლენა ჩემმა დაბადებამ. ჩემ ირგვლივ მყოფი ხალხის ხასიათების შეცვლას ჩვილობიდანვე შევუდექი. დარწმუნებული ვარ, მამაჩემს მე ვუბიძგე და იმ პრობლემების ჩიხში შეეყვანე, რომელმაც საშინელ გამყინვარებამდე მიიყვანა. შეიძლება ეს გარდაუვალიც კი იყო.

აპმედ სინაიმ არასოდეს მაპატია, ჩემ გამო თითი რომ მოიტეხა. ის თითი მოურჩა, მაგრამ ცოტა მაინც კოჭლობდა. ჩემს აკვანთან დაიხარა და მითხრა: „შვილო, უკვე კარგად დაიწყე და ალბათ ასე გაგრძელებას აპირებ. რა უქენი საწყალ მამაშენს!“ ჩემი აზრით, აპმედ სინაი არ ხუმრობდა, რადგან ჩემმა დაბადებამ მის ცხოვრებაში მართლაც ყველაფერი შეცვალა. ჩემი გაჩენის დღიდან სახლში მთავარი მე ვიყავი, მას კი უკვე არაფრად აგდებდნენ. ამინას გულმოდგინებამ სხვა მიზანი ამოირჩია. ახლა ფულს მოფერებით არ ართმევდა ქმარს. ხოლო საუზმის დროს აპმედ სინაის კალთაში ჩაფენილი ხელსახოცი ძველი დროის მონატრებით იტანჯებოდა. ამინა ეტყოდა ხოლმე: „შენს შვილს სჭირდება ეს, ეს და ეს, ფული უნდა მოიცე ამისთვის და ამისთვის“. ცუდი შოუა, ფიქრობდა აპმედ სინაი. მამაჩემი თავმოყვარე კაცი იყო.

მგონი ჩემი ბრალია, რომ აპმედ სინაი გაორებულმა ფანტაზიამ შეაწუხა, რაც მისი დაცემისა და დაკნინების მიზეზი გახდა. სწორედ მაშინ, ჩემი დაბადებისთანავე გადასახლდა იგი ჯინისა და ზღვისქვეშეთის ირეალურ სამყაროში.

მახსოვს, ცივი სეზონი იდგა. მამაჩემი ჩემს საწოლზე იჯდა (მე მაშინ შვიდი წლის ვიყავი) და წამხდარი ხმით მიყვებოდა ძეოუზეზე, რომელმაც ზღვის ნაპირზე გამორიყული ჯინიანი ბოთლი იპოვა...



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ჯინი რომ რამეს დაგპირდება, არ დაიჯერო, შვილო! ბოთლიდან როგორც კი გამოუშვებ, იმწუთას შეგჭამს!“ მამაჩემის სუნთქვაში საშიშროება ვიგრძენი და მორიდებით ვკითხე: „კი მაგრამ, მამა, ჯინს ბოთლში ცხოვრება როგორ შეუძლია?“ ამაზე მამაჩემს ვერცხლისწყალივით სწრაფად შეეცვალა გუნება, ახარხარდა და ოთახიდან გავიდა. უკან რომ დაბრუნდა, ხელში მუქი მწვანე ბოთლი ეჭირა, რომელსაც თეთრი წარწერა ჰქონდა. „შეხედე, გინდა ჯინი განახვო?“ — მკითხა სასიამოვნო ხმით. „არა!“ — შიშისგან დავიწიელე; „კი!“ — დაიყვირა ჩემმა თითბრის-დაიკო-მაიმუნმა გვერდზე საწოლიდან... შემდეგ მე და დაიკო-მაიმუნი ერთმანეთს ჩავეხუტეთ და შიშნარევი აღტაცებით შევყურებდით, როგორ ხსნიდა აჰმედ სინაი ბოთლის თავსახურს და მერე როგორ დრამატულად დაადო ხელისგული ბოთლის პირს; მეორე ხელში სიგარეტის სანთებელა გაჩნდა. „ეშმაკმა დალახვროს ყველა ბოროტი ჯინი!“ დაიყვირა მამაჩემმა და სანთებლის ალი ბოთლის თავთან მიიტანა. მაიმუნი და მე შეშინებულები ვუყურებდით, ლურჯ-მწვანე-ყვითელი ალი როგორ შემაძრწუნებლად მოედო ბოთლის შიგთავსს; შემდეგ, როცა ძირზე ჩავიდა, ერთი გაიელვა და ჩაქრა. მეორე დღეს სონის, დონდლოსა და ვერცხლისწყალს მოუყევი ეს ამბავი. მათ კი სიცილად არ ეყოთ. „მამაჩემი ჯინებს ებრძვის და ამარცხებს, მართლა!“ — ვუთხარი მე და ეს მართლაც ასე იყო. ყურადღებას და მოფერებას მოკლებულმა აჰმედ სინაიმ ბოთლის ჯინებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა. მაგრამ იმაში შევცდი, რომ მას ეს ბრძოლა არ მოუგია.

კოქტეილის საათებმა საამისო მადა აუშალეს, ხოლო ჩემმა დაბადებამ ამისკენ ნაბიჯი გადაადგმევინა... იმ დროს ბომბეიში მშრალი კანონი მოქმედებდა. დასალევის მოსაპოვებლად ერთადერთი გზა ლოთის მოწმობის აღება იყო. ამან ახალი ჯურის ექიმები წარმოშვა — ჯინის ექიმები. ერთი მათგანი იყო ექიმი შარაბი, რომელიც მამაჩემს ჰომი ქეთრექმა გააცნო. ამის მერე, ყოველი თვის პირველ რიცხვში მამაჩემი, ქეთრექი და ქალაქის კიდევ ბევრი პატივცემული პირი ექიმ შარაბის კაბინეტის კართან იყვნენ ატუზულნი. ქირურგიული კაბინეტის კარი წინწკლებიანი მინისგან იყო ნაკეთები და ესენიც, შიგ რომ შედიოდნენ, ალკოჰოლიზმის ვარდისფერი წინწკლებით დაფარულნი გამოდიოდნენ იქიდან. მაგრამ სასმლის კანონით დაშვებული რაოდენობა მამაჩემს არ აკმაყოფილებდა, ამიტომ ექიმთან მსახურები, მებალეები, მეკარეები და მძღოლებიც გაუშვა (ჩვენ ახლა მანქანაც



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვყავდა, 1946 წლის „როვერი“, რომელიც მეთვოლდის მანქანას ჰგავდა). მოხუცი მუსა და მერი პერეირაც მოიპოვებდნენ მამაჩემისთვის ვარდისფერ ჭორფლებს, რომელიც მამას ვიჯეისთორის მაღაზიაში მიჰქონდა, გოვალია თენქ-როუდზე, სწორედ იმ საპარიკმახეროს წინ, რომელშიც ჩემი წინადაცვეთა მოხდა. მამას სამაგიეროდ აძლევდნენ ყავისფერი ქაღალდის ჩანთებს, რომელშიც ჯინით სავსე მწვანე ბოთლები ერთმანეთს ეჭახუნებოდნენ. ვისკიც მოჰქონდა. სიბრაზეს ალკოჰოლითა და მსახურებისგან ნაყიდი წითელი ტალონებით ახშობდა. საწყალ მსახურები თავიანთ თავს ჰყიდდნენ ვარდისფერი ქაღალდის ტალონებზე. მერე ამ ტალონებს მამაჩემი ალკოჰოლურ სასმელზე ცვლიდა და სვამდა.

ყოველდღე, საღამოს ექვს საათზე, აჰმედ სინაი ჯინთა სამყაროში შედიოდა. ყოველ დილით თვალები დაწითლებული ჰქონდა, თავი მთელი ღამის ბრძოლისგან ტკივილით უსკდებოდა. საუზმის მაგიდასთან გაუპარსავი ჯდებოდა. წლები გავიდა. ადრე, გაპარსვამდე რომ კარგ ხასიათზე იყო, ახლა ეს ხასიათიც შეეცვალა, ბოთლებში მოქცეულ სულებთან ომით ქანცი გამოელია და იოლად ღიზიანდებოდა.

საუზმის მერე ძირს ჩადიოდა. პირველ სართულზე ორი ოთახი თავის სამუშაო კაბინეტად აქცია, რადგან ახლა გზის გაგნების ორიენტაცია სულ დაკარგა და სამსახურში მიმავალს გზა რომ აჰბნეოდა, სულაც არ უნდოდა. კიბეზე ჩასვლას ახერხებდა. გრძნობებჩახშულმა მამაჩემმა საკუთრების საკითხის მოგვარება დაიწყო. აღიზიანებდა დედაჩემი, რომელსაც ჩემს მეტი არავინ ახსოვდა და კაბინეტის კარს უკან ამ გაღიზიანების შედეგიც იწვნია — თავის მდივნებს ეფლირტავებოდა. ღამე, ბოთლებს რომ ეჩხუბებოდა, ხანდახან უხეშ სიტყვებსაც გამოურევდა ხოლმე: „ეს რა ცოლი შევირთე! ნეტა სად მოვნახე, ან რად მინდოდა. ერთი ბავშვი უნდა მეყიდა ჩემთვის და მის გასაზრდელად ძიძა დამექირავებინა — რა განსხვავება იქნებოდა? — არაფერი!“ მერე ატირდებოდა ხოლმე. ამინა კი ეტყოდა: „კარგი, კაცო, ნუ მტანჯავ!“ რაზეც აჰმედი უფრო ბრაზობდა: „ნუ მტანჯავო? შენგან თუ ყურადღებას ვითხოვ, ესე იგი, გტანჯავ? ღმერთო, რა სულელია ეს ქალი!“ — და მამაჩემი კოჭლობით ჩადიოდა კიბეზე, რომ მდივანი გოგოებისთვის მუშტრის თვალებით შეეხედა. ცოტა ხანში ამინამ შეამჩნია, თუ რა მალ-მალე იცვლებოდნენ და მიდიოდნენ მდივანი გოგონები. ისინი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გარბოდნენ. არ ვიცი, ამინამ თავი დაიბრმავა, თუ სასჯელად მიიღო ეს ყველაფერი,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არაფერი შეიმჩნია. მისთვის მთავარი მე ვიყავი. ერთადერთი რამ, რამაც გასცა ამინა, იყო ის, რომ იმ მდივნებს კოლექტიური სახელი: ანგლოები შეარქვა. „ის ანგლოები, — უთხრა მერის და ამით ოდნავი სნობიზმი გამოამჟღავნა, — რა სასაცილო სახელები ერქვათ, ღმერთო ჩემო! ფერნანდა, ალონსო და ახლა გვარები, ო, ღმერთო! სულაკა და ქოლაქო და კიდევ რა აღარ. თუმცა, რას დავეძებ, ისინი ხომ იაფფასიანი, მდაბიო ქალები იყვნენ, მე მათ აჰმედის „კოკა-კოლას“ გოგონებს ვეძახი! აი, ვინ არიან ისინი სინამდვილეში!“

სანამ აჰმედი გოგოებს საჯდომზე ბწკენდა, ამინა იტანჯებოდა, მაგრამ აჰმედს უნდა გახარებოდა, თუ ამინა მისდამი რამე გრძნობას გამოამჟღავნებდა.

მერიმ ამინას უთხრა: „ეს სახელები არც ისე სასაცილოა, ქალბატონო. მაპატიეთ, მაგრამ კარგი ქრისტიანული სახელებია“. და ამ დროს ამინას აჰმედის ბიძაშვილი ზორა გაახსენდა, მუქკანიანებს რომ დასცინოდა და ბოდიშის მოსახდელად ზორას შეცდომა გაიმეორა: „ოჰ, შენ არ მიგულისხმიხარ, მერი, ეს როგორ იფიქრე, რომ შენ დაგცინოდი?“ საფეთქელრქიანი და კიტრისცხვირიანი ვიწექი აკვანში და ვუსმენდი. და ყველაფერი, რაც მოხდა, ჩემ გამო მოხდა... ერთ დღეს, 1948 წლის იანვარში, საღამოს ხუთ საათზე, მამაჩემს ექიმი ნარლიკარი ესტუმრა. ისინი ჩვეულებრივ გადაეხვივნენ ერთმანეთს და ზურგზეც მოუთათუნეს. „ჭადრაკი ხომ არ გვეთამაშა?“ — ჰკითხა მამაჩემმა, რადგან ექიმის ვიზიტები ჩვეულებად იქცა. ისინი ძველ ინდურ ჭადრაკს თამაშობდნენ, შათრანჯის თამაშს. ჭადრაკის დაფის სიმარტივე მამაჩემს ცხოვრებისეული კრუნჩხვებისგან კურნავდა. აჰმედი ერთი საათის განმავლობაში ყურანის გადაწერაზე ოცნებობდა. შემდეგ, ექვს საათზე კოქტეილისა და ჯინის დრო დგებოდა... თუმცა ამ საღამოს ნარლიკარმა ჭადრაკის თამაშზე უარი უთხრა. აჰმედი გაოცდა: „არა? კი მაგრამ რას ნიშნავს არა? მოდი, დაჯექი, დავილაპარაკოთ“. ნარლიკარმა გააწყვეტინა: „ამ საღამოს, ძმაო, რაღაც უნდა გაჩვენო“. ახლა ისინი 1946 წლის „როვერში“ სხდებიან. ნარლიკარმა მუხლა ლილვი აამუშავა და მანქანაში ჩახტა. ჩრდილოეთით, უორდენ-როუდისკენ მიდიან. მარცხნივ მაჰალაჰმის ტაძარს ჩაუარეს, მარჯვნივ ვილინგდონკლუბის გოლფის სათამაშო მოედანია, სარბენი ბილიკი ჩამოიტოვეს, ჰორნბი ველარდსაც ჩაუარეს, რომელიც ზღვის კედელთანაა. ვალაბჰაი ფეთელის სტადიონი მოჩანს, სტადიონის კედელზე მოჭიდავეთა გიგანტური ზომის პლაკატები გაუკრავთ. ერთი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათგანი ბანო დეგია — ქალი, რომელიც ვერავინ დაამარცხა და, ასევე, დარა სინგი — უძლეველი მოჭიდავე... ზოგი ზღვისპირზე ძაღლს ასეირნებს; იქვე ქუჩის მოვაჭრეები დახეტიალებენ. „გაჩერდი", — უბრძანა ნარლიკარმა და ორივე მანქანიდან გადმოდის. დგანან და ზღვას გაჰყურებენ. ზღვიდან მონაბერი სიო სახეებს უგრილებთ. იქ, ტალღების შუაგულში, სადაც ცემენტის ვიწრო ბილიკი შეჭრილა, კუნძულია. ამ კუნძულზე მისტიკოს ჰაკი ალის სამარეა. მომლოცველები ველარდსა და სამარეს შორის მიმოდიან.

„გაიხედე, — თითს იშვერს ნარლიკარი, — რას ხედავ?" დაბნეული აჰმედი ეუბნება: „არაფერს. აკლდამას ვხედავ და ხალხს. ვერაფერს მივხვდი, მეგობარო, აქ რისთვის მომიყვანე?" ნარლიკარი პასუხობს: „არა, არც სამარე, არც ხალხი, შეხედე!" და ახლა აჰმედი ხედავს, რომ ნარლიკარს თითი ცემენტის ბილიკისკენ გაუშვერია... „ბილიკი? ეს რა შესახედია, რამდენიმე წუთში მოქცევა დაფარავს". ეუბნება აჰმედ სინაი. ნარლიკარს სახე შუქურასავით აენთო და აფილოსოფოსდა: „სწორედ ასეა, ძმაო აჰმედ, სწორედ ასეა. ხმელეთი და ზღვა, ზღვა და ხმელეთი — მარადიული ბრძოლა და ჭიდილია, არა?" აჰმედი ისევ დაიბნა და ხმას არ იღებს. „ერთ დროს იქ შვიდი კუნძული იყო", შეახსენა ნარლიკარმა: „ვორლი, მაჰიმი, სალსეთი, მათუნგა, ქოლაბა, მაზაგაონი და ბომბეი. ეს შვიდი კუნძული ბრიტანელებმა შეაერთეს. ზღვა ხმელეთად იქცა, აჰმედ, ძმაო. ხმელეთი ამოიზარდა და ტალღებმა ველარ დაფარეს!" აჰმედს ვისკი მოსწყურდა. უყურებს, მომლოცველები როგორც ცქაფად დადიან იმ ვიწრო ბილიკზე და ტუჩები გარეთ უვარდება. „მიზანი?" კითხულობს აჰმედ სინაი და ნარლიკარი, რომელიც ახლა გამაოგნებლად კაშკაშებს, პასუხობს: „მიზანი აი, ეს არის ძმაო აჰმედ!" და ჯიბიდან რაღაცას იღებს.

ეს სამფეხიანი ჯებირის პატარა მოდელია, თაბაშირისგან დამზადებული. სამგანზომილებიანი „მერსედეს-ბენცის" ნიშანს ჰგავს. ექიმს ხელისგულზე უდევს. ჯებირის მეოთხე ფეხი ფალოსივით ჰაერში გაშვერილა. მამაჩემი გაშტერებული უყურებს. „ეს რა არის?" — ეკითხება და ნარლიკარი ეუბნება: „ეს ის პატარაა, რომელიც ჰაიდერაბადზე მდიდარს გაგვხდის, ძმაო! პატარა ეშმაკობაა, რომლის საშუალებით შენ და მე აი, იმას დავეპატრონებით!" — ნარლიკარი ხელს ზღვისკენ იშვერს, იქ, სადაც ზღვის ტალღები აწ უკვე უკაცრიელ ბილიკს ეკვლებიან. „ხმელეთი ზღვის ქვეშ, ჩემო მეგობარო! ასეთები ათასობით, ათიათასობით უნდა ვაწარმოოთ! ტენდერში მივიღოთ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მონაწილეობა, ილბალი გველოდება. ხელიდან ნუ გავუშვებთ, ძმაო, ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა!"

რატომ დასთანხმდა მამაჩემი, რომ გინეკოლოგის ბიზნესოცნებით ეოცნება? თანდათან ამ ოცნებამ მამაჩემი მოლაჟლაჟე ექიმივით შეაპყრო და დაიჯერა, რომ დიდი, ცემენტის ოთხფეხიანი ჯებირები ზღვას დაიპყრობდნენ. რატომ შეალია მომდევნო წლები აპმედ სინაიმ იმ მითს, რომ ტალღებს დაიპყრობდა? ეს ხომ კუნძულზე მცხოვრებთა ოცნება იყო. ანდა იმის შეეშინდა, რომ კიდევ ერთ შანსს გაუშვებდა ხელიდან. ალბათ შათრანჯის ძველი ინდური თამაშის ხათრით შეიძლება ნარლიკარის ნათქვამი ძალიან დამაჯერებლად ჟღერდა: — „შენ შენი კაპიტალი ჩადე, ძმაო, მე ჩემს კონტაქტებს გამოვიყენებ, რა პრობლემა გვექნება? ამ ქალაქში ყველა დიდი კაცის ბავშვი ჩემი გაჩენილია. ყველა კარი ღიაა. შენ აწარმოებ, მე კონტრაქტს დავდებ! ორმოცდაათი ორმოცდაათზე; გარიგება გარიგებაა!" მაგრამ ვფიქრობ, ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს. მამაჩემს, ცოლის ყურადღება რომ მოაკლდა, ახლა ცდილობდა ეს დანაკლისი რაღაცით შეევსო და სამყაროში თავისი ადგილი ეპოვა. ჯებირების ოცნება შანსს აძლევდა. ამიტომ მთელი გულით მიეცა ამ ოცნებას და დიდი სისულელეც ჩაიდინა; იწერებოდა წერილები, კარზე აკაკუნებდნენ, შავი ფული ხელიდან ხელში გადადიოდა; ამან აპმედ სინაის სახელი საჩივარაიას დერეფნებში ცნობილი გახადა. მინისტრთა კაბინეტში ერთი მუსლიმი დაიგულეს, რომელიც რუპიებს ქარიფით ფანტავდა. აპმედ სინაი ისე გალოთდა, რომ ვერ მიხვდა, რა საშიშროება ელოდა. ჩვენი იმდროინდელი ცხოვრება წერილებში აისახა. პრემიერ-მინისტრმა შვიდი დღის ბავშვს წერილი მომწერა. ჯერ საკუთარი ხელით ცხვირის მოხოცვაც კი არ შემეძლო, როცა გაზეთის, „თაიმს ოვ ინდიას", მკითხველები ჩემს ფანებად იქცნენ და წერილებს მწერდნენ. იანვრის ერთ დილას აპმედ სინაიმაც მიიღო წერილი, რომელიც ვერასოდეს დაივიწყა.

საუზმის სუფრასთან თვალებაწითლებული ჯდება, შემდეგ წვერს იპარსავს. კიბეზე ნაბიჯების ხმა ისმის. „კოკა-კოლას" გოგონა ხითხითებს. სკამი ჭრიალებს, სამუშაო მაგიდასთან რომ მისწიეს. სამუშაო მაგიდაზე მწვანე ტყავის გადასაფარებელია. რკინისგან დამზადებული ქაღალდის საჭრელი აიღეს, რკინამ გაიწკარუნა, წამიერად ტელეფონს რომ შეეხო. შემდეგ კონვერტის გაჭრის უსიამოვნო ხმა ისმის; ერთი წუთის შემდეგ აპმედი კიბეზე არბის და ამინას უყვირის.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ამინა, ქალო, მოდი ჩქარა, ამ ნაბიჭვრებმა ყურებით ჩამოიკიდეს!"

იმის შემდეგ, რაც აბმედმა ოფიციალური წერილი მიიღო, სადაც უბრძანებდნენ თავისი აქტიანები გაეყინა, ეს ამბავი ხიდის ქვეყანამ გაიგო... „თავი შეიკავე, კაცო, რა სიტყვების ამბობ!" — ამბობს ამინა, მეჩვენება, თუ ლურჯ ლოგინში ჩაწვენილი ბავშვი სახეზე გაწითლდა?

ნარლიკარი ანერვიულებული და გაოფლიანებული ოფლარდა: „ჩემი ბრალია ყველაფერი, ძალიან გამოვიჩხეერდით. გაფლეთილი დრეა, ძმაო, სინაი. ამბობენ, თუ მუსლიმის შემოსავლების გაყინვა, თვითონ პაკისტანში გაიქცევა და მიელ თავის სიმდიდრეს ძიაფლეებს. დაიჭრე ხელიკი კუდით და კუდს ხელში შეგჩეტლებს! ეშმაკმა დალახვრის და ისევ ეგრეთ წოდებულ საძოქალაქო მდგომარეობაში ვართ, რომელიც ჭკვიანურ აზრებს ბადებს".

„ყველაფერი უნდა გაყყინოთ ბანკის ანგარიში, დანაზოგები, ქურლას უძრავი ქონების რეესტრი — ყველაფერი უნდა ჩაიკეტოს და გაიყინოს. წერილში ასეა ნაბრძანები. ერთ მილეტასაც ვერ დაეტევებ, ქალო, გესმის? წარმოდგენასაც კი ვერ დაეს‌წრებით!"

„ალბათ იმ გაზეთში გამოქვეყნებული ფოტოების ბრალია", დაასკვნა ამინამ. „აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ მაგ ჭკვიან არარაობებს, ვის დასხმოდნენ თავს. ღმერთო, ყველაფერი ჩემი ბრალია".

„ველარაფერს ველარ ვიყიდით აწი, — ამბობს სინაი, — მათხოვარსაც ველარ განვიკითხავთ. გაიყინებით, ვერაფერს მოიმოქმედებთ!"

„ჩემი ბრალია, — ამბობს ისმაილ იბრაჰიმი, — უნდა გამეფრთხილებინე, ძმაო, სინაი. მე ამ გაყინვების შესახებ გავიგე. მათ ამისთვის მდიდარი მუსლიმები შეარჩიეს. უნდა იბრძოლო".

„...კბილებით, ფრჩხილებით უნდა იბრძოლო! — ღელავს ბიმი ქეთრეკი, — ლომივით უნდა იბრძოლო! შენს წინაპარს რა ერქვა? ორანგზები, არა? — აი, იმისთვის უნდა იბრძოლო, ჯანსაღი რანაგვით! შემდეგ დაკინახავთ, თუ რა ქვეყანაში ვცხოვრობთ!"

„ამ ქვეყანაში სასამართლო არსებობს", — უმატებს ისმაილ იბრაჰიმი. ნასიხვი სიცილით იცინება და სინის ძუძუს აწოვებს. თითებით ბავშვის საფეთქლებს ეფერება. თითები რალაც უცვლელ რიტმს მიჰყვებიან... „მე ადვოკატი ვარ და შეგიძლია მიმსახურო, — ისმაილი ეუბნება აბმედს, — აბსოლუტურად უფასოდ მოგემსახურები. ჩემო კარგო, არა, ამის მოსმენაც არ მინდა. ასეთი რამ შეზობლებს შორის არ მოდის".

„მე გეტყვი და წყალზეთ გაიყინე", — ამბობს აბმედი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„კარგი ერთი, — აწყვეტინებს ამინა, რომლის თავდადებამ ახლა ახალი სიძალლე შეიძინა. ქმარი საწოლი ოთახისკენ მიჰყავს, — ცოტა ხნით დაწექი". აპმედი კი გაოცებულია: „ეს რას ნიშნავს, ქალო? ამ დროს, როცა არაფრის თავი არ მაქვს, გაფხეკილი და განადგურებული ვარ, ახლალა ფიქრობ იმაზე?" მაგრამ ამინამ კარი ჩაკეტა, ჩუსტები გაიხადა, მკლავები მოხვია, შემდეგ ხელები ქვეცით და ქვეცით ჩაუცურა, „ღმერთო ჩემო, ვიფიქრე, იტყუება-მეთქი, თურმე მართალს ამბობ! რა ცივი გაქვს! ალაჰ! რა ციიიიივია, ყინულის ბურთებივით!"

ასეთი რამ ხდება ხოლმე. მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ მამაჩემის შემოსავლები გაყინა, დედაჩემმა იგრძნო, რომ ის ორი ბურთი კიდევ უფრო გაცივდა. პირველ დღეს თითბრის მაიმუნი ჩაისახა — სწორედ დროზე მოხდა ეს, რადგან მართალია ამინა ყოველლამე წვებოდა ქმართან, რომ გაეთბო და აკანკალებულს უფრო მაგრად ეხუტებოდა, მაგრამ უკვე იქ ხელს ველარ ჰკიდებდა, ის ორი ყინულის ბურთი ისე გაქაჯებულიყო. იმ გაყინული ბურთებიდან სიცივე მთელ მის რისხვაატანილ სხეულს მოედო და ძალა სულ გამოაცალა.

უნდა გვცოდნოდა, რომ რაღაც ცუდი მოხდებოდა. იანვარში ჩოფეთი-ბიჩი, ჯუჰუ და თრომბეიც მკვდარი თევზებით დაიფარა. რაღაც გაუგებარი შიზეზის გამო დახოცილი თევზები მუცელამობრუნებულები ტივტივებდნენ ზღვის სანაპიროზე და ფარფლებიან თითებს ჰგავდნენ.

## გველები და კიბეები

სხვა ცუდი ნიშნებიც გამოჩნდა: დაინახეს, კომეტები როგორ ცვიოდა ბექ ბეის თავზე. და ისიც დაინახეს, ყვავილებს სისხლი როგორ სდიოდათ. თებერვალში შაფსტეკერის ინსტიტუტიდან გველები გაიქცნენ. ჭორები ვრცელდებოდა, რომ გველების მნუსხავი თურბიალა ქვეყანაში დადიოდა და დატყვევებულ ქვეწარმავლებს ფერმებიდან უშვებდა (ერთ-ერთი ფერმა შაფსტეკერში იყო, სადაც გველის შხამის სამედიცინო ფუნქციებს იკვლევდნენ და ანტიდოტებს აშზადებდნენ). თურბიალა სალამურით ნუსხავდა გველებს და ათავისუფლებდა. ეს ერთგვარი სასჯელი იყო ოქროს ბენგალის გაყოფის გამო.Mმერე იმასაც ლაპარაკობდნენ, რომ თურბიალა მაღალი და ცისფერკანიანი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კრიშნა იყო, რომელიც თავისი ხალხის დასასჯელად მოვიდა. ის მისიონერთა ლურჯი ქრისტეც იყო.

ჩემი დაბადების შემდეგ, კისრისტების სისწრაფით რომ ვიზრდებოდი, ყველაფერი, რაც უნდა გაფუჭებულიყო, მართლაც წახდა. 1948 წლის ზამთარში, გველების ამბავი რომ მოხდა და მერეც, მომდევნო ცხელი და წვიმიანი სეზონის დროს, მოვლენები მოვლენებს დაერთო, საქმე გართულდა. სექტემბერში, თითბრის მაიმუნი რომ დაიბადა, ყველას ქანცი გვქონდა გამოცლილი და დასვენება გვესაჭიროებოდა.

გაქცეული კობრები ქალაქის მიწისქვეშეთში გაუჩინარდნენ. არშიაშემოვლებულ შხამიან გველებს ავტობუსებშიც ხედავდნენ. რელიგიურმა ლიდერებმა გველების გაქცევა გამაფრთხილებელ ნიშნად მიიჩნიეს. გველები იმიტომ გაიქცნენ, ამბობდნენ ისინი დამწუხრებული ხმით, რომ ერმა თავისი ღმერთები ოფიციალურად უარყო („ჩვენ სამოქალაქო ერი ვართ", განაცხადა ნერუმ და მორარჯი, ფეთელი, მენონიც დაეთანხმნენ; თუმცა აჰმედ სინაი გაყინული კანკალებდა). ერთ დღეს მერიმ ამინას ჰკითხა: „ახლა როგორ ვაპირებთ ცხოვრებას, ქალბატონო?" ამის პასუხად ჰომი ქეთრექმა ექიმი შაფსტეკერი გაგვაცნო. ის ოთხმოცდაერთი წლის იყო. ენას თხელი, მშრალი ტუჩებიდან გამუდმებით ყოფდა. მზად იყო, ბოლო სართული ექირავა, რათა არაბეთის ზღვისთვის ზემოდან გადმოეხედა. აჰმედ სინაის ლოგინი შეუყვარდა; მისი გაყინული ბურთები საწოლის თეთრეულს ანაყოფიერებდა. გასათბობად დიდი რაოდენობით ვისკის სვამდა, თუმცა მაინც ვერ თბებოდა... ამინა თანახმა იყო, რომ ბუკინგემის ბოლო სართული ბებერი გველის ექიმისთვის მიექირავებინა. თებერვლის მიწურულს გველის შხამმა ჩვენს ცხოვრებაში შემოაღწია.

ექიმი შაფსტეკერი საშინელ ამბებს იგონებდა. მისი ინსტიტუტის ყველაზე ცრუმორწმუნე მორიგეები ირწმუნებოდნენ, რომ ექიმს ყოველღამე ესიზმრებოდა, რომ გველები ჰკბენდნენ და ეს მის ორგანიზმს გველის შხამისადმი იმუნურს ხდიდა. სხვები ამბობდნენ, რომ ნახევრად გველი იყო, რომ დედამისი ნახევრად გველს შეეჯვარა. საშიში შხამით იყო გატაცებული და ეს გატაცება უკვე ლეგენდად იქცა. იმ საშიში სახეობის გველის ნაკბენის ანტიდოტი არ არსებობდა. შაფსტეკერმა კი მთელი თავისი ცხოვრება ამ ანტიდოტის ძიებაში გაატარა. ქათრექის საჯინიბოდან ჩამოწერილ ცხენებს ყიდულობდა და შხამის მცირე დოზას უკეთებდა; ცხენები ანტისხეულებს ვერ გამოიმუშავებდნენ, პირი უქაფდებოდათ, ფეხზევე კვდებოდნენ და მერე



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იძულებული იყვნენ მათგან წებო დაემზადებინათ. ამბობდნენ, რომ ექიმი შაფსტეკერი, რომელსაც გესლის მკვლევარიც შეარქვეს, ცხენების ხოცვის ძალას ფლობდა იმით, რომ მათ უბრალოდ კანქვეშა ინიექციისთვის განკუთვნილი შპრიცით უახლოვდებოდა... ამინას ამ შეთხზული ამბებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. „მოხუცი ჯენტლმენია, — უთხრა მერი პერეირას, — ხალხის ცუდ ენებს ყურადღებას ნუ მივაქცევთ. ქირას იხდის და ჩვენც გვაცხოვრებს“. ამინა ამ ევროპელი გველის ექიმის მადლიერი იყო, განსაკუთრებით იმ გამყინვარების დროს, როცა აპმედს ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა.

„საყვარელო მშობლებო, — წერდა ამინა, — გეფიცებით, არ ვიცი, ასეთი რამ რატომ ხდება ჩვენს თავს... აპმედი კარგი კაცია, მაგრამ ამ ბიზნესმა გაანადგურა. რამე რჩევას თუ მომცემთ, მადლიერი დაგრჩებით“. სამ დღეში ადამ აზიზი და პატივცემული დედა ბომბეიში ჩამოვიდნენ. ამინამ ისინი მანქანით — 1946 წლის „როვერით“ წამოიყვანა სახლში. გზად ფანჯრიდან მაპალაპმის საჯირითო ტრასას გახედა და სწორედ მაშინ დასნებოვნდა იმ გიჟური იდეით.

„ეს თანამედროვე დეკორაცია თქვენ, ახალგაზრდებს მოგწონთ, იმასრაჰქვია, მაგრამ მე ძველი ტახტი მომეცით და იმაზე დავჯდები, — თქვა პატივცემულმა დედამ, — ეს სკამები ისეთი რბილია, იმასრაჰქვია, რომ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ძირს ვვარდები“.

„აპმედი ჯად ხომ არ არის? — იკითხა ადამ აზიზმა, — გავსინჯავ და წამლებს გამოვუწერ“.

„ახლა ლოგინში დამალვის დრო არ არის, კაცობა უნდა გამოიჩინოს, იმასრაჰქვია, და კაცივით მოიქცეს“, — თქვა პატივცემულმა დედამ.

„რა კარგად გამოიყურებით ორივე“, — უთხრა ამინამ. გულში კი გაიფიქრა, როგორ დაბერებულა და დაპატარავებულა მამაჩემი. დედა კი ისე გასუქებულა, ვერც ერთი სკამი ველარ უძლებსო... ხანდახან სინათლის მაცდურ და მატყუარა ფოკუსში ამინას ეჩვენებოდა, რომ მამამისის სხეულის შუაგულში ხვრელივით ბნელი ჩრდილი შეამჩნია.

„რა გინდათ ინდოეთში? — პატივცემულმა დედამ ხელი ჰაერში დანასავით გაიქნია, — მიატოვეთ ყველაფერი და პაკისტანში წადით. ნახეთ, ზულფიკარი როგორ კარგად ცხოვრობს. ის დაგეხმარებათ. გამაგრდი, შვილო, ადექი და ყველაფერი თავიდან დაიწყე!“

„ახლა ლაპარაკი არ სურს, უნდა დაისვენოს“, — უთხრა ამინამ.

„დაისვენოს? — დაიღრიალა ადამ აზიზმა, — კაცს არაფრის თავი არ აქვს! კაცი კი არა, ჩვარია!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ალია, იმასრაჰქვია, თავისით წავიდა პაკისტანში და კარგად ცხოვრობს, სკოლაში ასწავლის. ამბობენ, მალე სკოლის დირექტორი გახდებაო“.

„სსს! დედა, ეძინება... მეორე ოთახში გავიდეთ“.

„ძილის დროც არსებობს, იმასრაჰქვია და გაღვიძების დროც! მისმინე: მუსტაფა სამოქალაქო სამსახურშია და დიდი ხელფასი აქვს. შენს ქმარს რა, მუშაობა არ შეუძლია? არ კადრულობს, თუ რა?“

„დედა, ის გაღიზიანებულია. ისეთი დაბალი სიცხე აქვს ახლა“.

„საჭმელს რას აძლევ? დღეიდან, იმასრაჰქვია, შენს საშხარეულოს მე განვაგებ. ახალგაზრდები დღეს პატარა ბავშვებივით ხართ, იმასრაჰქვია!“

„როგორც გინდა, დედა“.

„იმასრაჰქვია, იმ გაზეთში გამოქვეყნებული ფოტოების ბრალია ყველაფერი. მე მოგწერე კიდეც, არ გახსოვს? რომ იქიდან კარგი არაფერი გამოვიდოდა. ფოტოები შენს სულს იპარავენ. ღმერთო, შენი სურათი ისეთ გამჭვირვალე ქაღალდზე იყო, რომ მეორე მხრიდან წარწერა შენს სახეზე ამოვიკითხე!“

„მაგრამ ეს ხომ“.

„ნუ მომიყვები შენს ამბებს, იმასრაჰქვია! მადლობა ღმერთს, რომ გადარჩი!“

იმ დღიდან ამინა სახლზე ზრუნვის აუცილებლობისგან გათავისუფლდა. პატივცემული დედა სასადილო მაგიდის თავში იჯდა და საჭმელს მოწყალებასავით არიგებდა (ამინას თეფში აჰმედის ოთახში მიჰქონდა; აჰმედი ისევ ლოგინში იწვა და დროგამოშვებით ოხრავდა: „განადგურებული ვარ, ქალო! ყინულივით გადამტვრეული ვარ!“) საშხარეულოში მერი პერეირა სტუმრების პატივსაცემად მსოფლიოში უგემრიელეს მანგოს მწნილს, ლაიმის საწებელსა და კიტრის სასუსნავს ამზადებდა. ახლა ამინაზე ისევ მშობლები ზრუნავდნენ. სადილს დედა უმზადებდა და ამან მასში ემოციები გამოიწვია. პატივცემული დედა, რომელიც ხორცსა და მწარე საწებელს აწვდიდა, ისევ ისეთი უკომპრომისო იყო. სადილები მათი მომმზადებლის ხასიათს იმეორებდნენ. თევზისგან თუ სხვა რამისგან მომზადებულ კერძს მისი ავტორის სიჯიუტე და შეუპოვრობა ეტყობოდა. მერის მწნილს საწინააღმდეგო ეფექტი ჰქონდა, თუმცა ამან მაინც ვერ უშველა და პატივცემული დედის მიერ შერჩეულმა დიეტამ ამინა მრისხანებით აავსო. მის დამარცხებულ ქმარს კი გამოსწორების ნიშნები შეეტყო. მერის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიერ მოშზადებულ კერძში მერისავე დანაშაულის გრძნობა შეერია და ასევე ის შიში, რომ ვიღაც ამ დანაშაულს აღმოუჩენდა. კერძი გემრიელი იყო, მაგრამ მისი მჭამელი რაღაც უსახელო ეჭვებისა და იმ ოცნებათა მსხვერპლი ხდებოდა, რომელშიც თითებს ედებოდათ ბრალი. ერთ დღეს ამინა მიყურებდა, სურნელოვანი ხისგან გამოთლილი ცხენით რომ ვთამაშობდი აბაზანაში. წყალი ხის სასიამოვნო სურნელს გამოსცემდა და უცებ დედაჩემმა თავიდან აღმოაჩინა თავის თავში სათავგადასავლო ხასიათი, რომელიც მამისგან გამოჰყვა. ხასიათი, რომელმაც ადამ აზიზი მთიდან ჩამოიყვანა. ამინა მერი პერეირას მიუბრუნდა და უთხრა: „მომბეზრდა ყველაფერი. თუ ამ სახლში არავინ აპირებს, ყველაფერი თავის ადგილზე დასვას, მაშინ ამას მე ვიზამ!“

სათამაშო ცხენები ამინას თვალებს მიღმა დახტოდნენ. უცებ მან მერის შემატოვა, რომელიც მამშრალებდა და თავის ოთახში გაიქცა. მაჰალახმის საჯირითო მოედანმა გაუელვა თავში, როცა კაბებს ალაგებდა. გიჟური გეგმის ციებ-ცხელებამ ლოყები აუწითლა და ძველი რკინის ყუთს თავი ახადა... ჩანთაში მონეტები, მადლიერი პაციენტების ჩეკები და საქორწინო საჩუქრები მოათავსა. დედაჩემი დოლზე მიდიოდა.

ამინა, მუცელში თითბრის მაიმუნი რომ ეზრდებოდა, საჯირითო მოედანს მიადგა, რომელიც სიმდიდრის ქალღმერთის სახელობისა იყო. დილის ჩვეულ გულისრევასა და ვარიკოზულ ვენებს გაუმკლავდა და რიგში ჩადგა, რათა ფული ერთდროულად სამ ცხენზე დაედო და ასევე იმ ცხენებზე, რომლებზეც არავინ ფიქრობდა, რომ გაიმარჯვებდნენ. არაფერი გაეგებოდა ცხენთა შეჯიბრების შესახებ და ისეთ ცხენებზე დადო ფსონი, გამარჯვებულად რომ არავინ იცნობდა. ის მხედრები აირჩია, რომელთა ლიმილმა მონუსხა. მზითევით სავსე ჩანთა ჩაბღუჯული ჰქონდა. ეს მზითევი მას შემდეგ იდო იმ ყუთში, რაც დედამისმა ჩაულაგა. იმ ცხენების დანახვაზე აკანკალდა, რომელიც შაფსტეკერის ინსტიტუტისთვის შესაფერისნი იყვნენ... და იმარჯვებდნენ და იმარჯვებდნენ და იმარჯვებდნენ.

„კარგი ამბავი უნდა გითხრათ, — ამბობს ისმაილ იბრაჰიმი, — ხომ გეუბნებოდით, ებრძოლეთ იმ ნაბიჭვრებს-მეთქი. პროცესს დაუყოვნებლივ დავიწყებ... მაგრამ ამას ცოტა ფული დასჭირდება, ამინა, გაქვს ფული? „

„ფული იქნება“.

„ჩემთვის კი არ მინდა, — უხსნის ისმაილი, — მე აბსოლუტურად



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეფასებდ მოკლეშანდურებია მაგრამ უნდა იცოდეთ რა როგორ ხდება. ეფექტური ცოტა თუ არ მოკლეშანდეთ ისე გზას ვერ გავიკვლევთ".

„აბა, ფული, — ამბობ კონკურენტს უნვლის, — ამჯერად საკმარისია?"

„ალბერიო ჩემი", ახმაილ იბრაჰიმს გაოცებისგან კონკურენტი ხელიდან ეგარდება, კონკურენტიდან მსხვილი რუბლები ცვივა და სასტუმრო ოთახის იატაკზე ფანტავს.

„ბად ბიზნეს".

„ეკლეზია არ მკითხო და არც მე შეგკითხები, როგორ დახარჯავ".

მაგიერ ფულით ვიკვებებოდით ცხენებმა კი ოში მოგვაგონა. ლეონარდს ცხენთა შეჯიბრებებზე ბევრი ისე დიდხანს ულიმოდა, რომ საეჭვოდ ის იქნებოდა, ისე რომ არ მოიხდარიყო. ...თვიდან ოვალზე ამბობ ფსონს ხან ამ ფოკუსზე დებდა, რომლის თმის ვარცხნილობა ხიბლავდა, ხან ცხენის ლაბაში, შავ-თეთრი ფერი მოეწონებოდა. ბევრი ხელ ხნეულობდა და სახლში გატენილი საფულით ბრუნდებოდა.

„ხაჭე კარგად ბიდის, — უთხრა ახმაილ იბრაჰიმმა, — მაგრამ ამბობ, დაო, ლეონარდა იცის, რა საქმეს მოკიდე ხელი. მითხარი, წეხერი საქმეა? კანონიერია?" ამბობ უპასუხა: „ამაზე ნუ დარდობ. ბაბანი როგორც გაგნვდეს, ფეხი ისე გაშალეო, ნათქვამია. იმას ვაკეთებ, რაც უნდა გავაკეთო". დედას ამ გამარჯვებებით ერთხელაც არ გაუხარია, რადგან ბავშვის გარდა დედამისის მიერ მოშზადებული ხაჭებელიც ამბობებდა, რომელიც უძველესი ცრურწმენებით იყო შეკაბმული. ამბობ დარწმუნდა, რომ აზარტული თამაში ალკოჰოლის შემდეგ მეორე უბედურება იყო. დანაშაულს არ ჩადიოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ რაღაც შესცოდა. ფეხისგულზე კოჟრები ტანჯავდა. პურუშოთაში მანამ იჯდა მწვეთავი ონკანის ქვეშ, სანამ ნეკლმა ხალიჩასავით სქელი თმით დაფარული თხემი არ გაუმელოტა, თუმცა ამბობს მეჭეჭები შელოცვით გააქრო. მთელი ზამთრისა და ზაფხულის განმავლობაში დედაჩემი მამაჩემის მაგივრად იბრძოდა.

ალბათ იკითხავთ, ეს როგორო? კი მაგრამ, ის როგორ მოხდა, რომ დაახლოსი, მართალია შეუპოვარი და გულმოდგინე, მაგრამ მაინც, ყოველდღე იმარჯვებდა ცხენთა შეჯიბრებაზე? აბა, იფიქრეთ აბა, ჰოდი ქეთრეკი ხომ დოლის ცხენების მფლობელია და ალბათ იმან ჩაუნყო!.. ალბათ ქეთრეკი კარნახობდა ამბობს, რომელ ცხენზე დაედო ფსონი. დამავალებლად ჟღერს. მაგრამ თვითონ ქეთრეკი რამდენ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

საც იგებდა, იმდენს აგებდა. დედაჩემი დაინახა და გაოგნებული იყო მისი წარმატებით („გთხოვთ, ბატონო ქეთრუქ, ეს ჩვენს საიდუმლოდ დარჩეს. აზარტული თამაში საშინელებაა. დედაჩემმა რომ გაიგოს, სირცხვილით მოკვდები", — უთხრა ამინამ. ქეთრუქი მთვრალივით უქნევს თავს: „როგორც გინდა"). ასე რომ, ის სპარსი სულაც არ იდგა ამ ყველაფრის უკან. მე ამის ახსნა შეიძლია. ამ ყველაფრის მიზეზი ცასავით ლურჯ საწოლში იწვა, ცასავით ლურჯ ოთახში რომ იდგა და კედელზე მეთევზის სურათი რომ ეკიდა გაშვერილი თითით, როცა დედამისი საიდუმლოებებით სავსე საფულეს ჩაბღუჯავდა და სახლიდან გავიდოდა, ჩვილი სალემი შორიდან ხომ არ წარმართავდა დედამისის გამარჯვებას, ზუსტად ისე, როგორც მთვარე ტალღების მოძოქცევას წარმართავს. ალბათ ასე იყო, რადგან ჩვილს სახეზე უკიდურესი კონცენტრაცია აღებეჭდა, თვალებში ისეთი ძალის მიზანდასახულობა ჩაუდგა, რომ ლურჯი თვალები მუქი ლურჯი გაუხდა. ცხვირი უცნაურად ექავება მაშინ, როცა სახეზე ეტყობა, რომ რაღაც შორეულ მოვლენას ადევნებს თვალყურს.

„მალე სასამართლოში წავალთ, — უთხრა ამინას ისმაილ იბრაჰიმმა, — მგონი, გაქვს საფუძველი, რომ სრულიად დარწმუნებული იყო საკუთარ თავში... ღმერთო ჩემო, ამინა, მეფე სოლომონის განძი ხომ არ გიპოვია?"

მაშინ, როცა საკმაოდ გავიზარდე იმისთვის, რომ დაფის თამაშები მეთამაშა, „გველები და კიბეები" შემიყვარდა. ო, ჯილდოებისა და ჯარიმების სიტკბოებავ! ო, როგორ სიამეს მგვრიდა, კამათელს რომ ვაგორებდი და ვითომ შემთხვევით არჩევანს ვაკეთებდი! კიბეზე ასვლა, გველებით უკან ჩამოსრიალება! — ეს ხომ საუკეთესო ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში. მამაჩემს სურდა შათრანჯის თამაში შესწავლა. მე კი განვარისხე, როცა ამის ნაცვლად კიბეებისა და მკვნეტარი გველების თამაში შევთავაზე.

ყველა თამაში რაღაცას გვასწავლის. ამ კიბე-გველების თამაშში მარადიული ჭეშმარიტება დევს: კიბის თითოეულ საფეხურთან გველია ჩასაფრებული, მაგრამ გველისგან ისევ კიბე გიცავს. ეს თამაში უფრო მეტ სათქმელს ამბობს, ვიდრე ჯილდო-სასჯელის სიმარტივე. თამაშში საგანთა ორსახოვნებაა ჩადებული — მარადიული ბრძოლა სიმაღლისა სიმდაბლესთან, სიკეთისა — ბოროტებასთან. კიბეების გონივრული განლაგება ქვეწარმავლის მაგიურ კლაკვნას აბათილებს.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კობრასა და კიბის დაპირისპირებაში მეტაფორულად აისახება ყველა ის საპირისპირო მხარე, რომელიც ცხოვრებას გააჩნია — ალფა ომეგას წინააღმდეგ, მამა დედის წინააღმდეგ; მერისა და მუსას შორის გაბართული ომი; მუხლებისა და ცხვირის პოლარიზმი... მაგრამ ჩემი ცხოვრების ადრეულ წლებში აღმოვაჩინე, რომ თაბაშს ერთი მნიშვნელოვანი განზომილება — ბუნდოვანება აკლდა. მოვლენათა სიაშკარაველში იოლია კიბეზე ჩასრიალდე ან ზემოთ ახვიდე და გველის შხამს სძლიო... თუმცა არც მთლად ასე მარტივად იყო საქმე, რადგან როგორც კი დედამ ცხენთა შეჯიბრების სახით იმ კიბეს მიაგნო, გამარჯვებას რომ მოუტანდა, მიხვდა, ქვეყნის მუცელში ისევ გველები ფუთფუთებდნენ.

ამინას ძმა, ჰანიფი, პაკისტანში არ წასულა. ის იმ ბავშვურ ოცნებას დაემორჩილა, რიქშის ბიჭს, რაშიდს რომ ყურში უჩურჩულა მაშინ, აგრის სიმინდის ყანაში. ამიტომ ბომბეიში ჩამოვიდა და კინოსტუდიაში დაიწყო მუშაობა. ძალიან ახალგაზრდა და თავდაჯერებული იყო, ამიტომ პირველი აღმოჩნდა, ვისაც ინდოეთის კინოს ისტორიაში ამ ასაკში რეჟისორობა მიანდვეს. მაგრამ მისი წარმატება ამით არ ამოწურულა. ცოლად კინოსამოთხის კაშკაშა ვარსკვლავი, ღვთიური ფია შეირთო, რომელსაც ისეთი სახე ჰქონდა, არ შეიძლება წარმატებული არ ყოფილიყო. ამ ქალის კაბების ქსოვილის დიზაინერები ერთ მოდელს უამრავ ფერს უხამებდნენ. პატივცემულ დედას ფია არ მოსწონდა, მაგრამ ჰანიფი ერთადერთი კაცი იყო ოჯახში, ვინც პატივცემულ დედას არ ემორჩილებოდა. ზორბა, მხიარული ჰანიფი რომ იცინოდა, მენავე თაისავით ბუხუნებდა, მამამისივით, ადამ აზიზივით, მიამიტი გაბრაზება იცოდა და მასავით იოლად ფეთქდებოდა. ცოლი მერინდრაივზე წაიყვანა საცხოვრებლად და უთხრა: „იმპერატორებივით ვიცხოვრებთ. ამისთვის უამრავი დრო გვაქვს, სანამ სახელს გავითქვამ“. ცოლი უსიტყვოდ დაეთანხმა და მის მიერ გადაღებულ ფილმში მთავარი როლი ითამაშა. ფილმს, რომელიც ჰომი ქეთრექმა და დ. ვ. რამასტუდიამ დააფინანსეს, „ქაშმირელი შეყვარებულები“ ერქვა. ერთ საღამოს ამინა სინაი ფილმის პრემიერას დაესწრო. მშობლები არ მოსულან. პატივცემულ დედას კინო სძულდა. ადამ აზიზს კი ძალა აღარ შესწევდა, ცოლს რამეში შესწინააღმდეგებოდა. პაკისტანის წინააღმდეგი იყო და ამის თაობაზე მიან აბდულასთანაც უჩხუბია, მაგრამ ახლა ცოლს აღარ ეკამათებოდა, პაკისტანს რომ აქებდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმდენი სიჯიუტე ეყო, რომ ქვეყნიდან წასვლაზე უარი ეთქვა. აჰმედ სინაის სიდედრის მომზადებული კერძები მოუხდა, მაგრამ თავად მისი დანახვა აღარ უნდოდა. ლოგინიდან ადგა და ცოლს გაპყვა. ის და მისი ცოლი ჰანიფისა და ფიას გვერდით ისხდნენ. მათთან ერთად იყო ასევე კინოვარსკვლავი ნაიარი, რომელიც ფილმში შეყვარებული ბიჭის როლს თამაშობდა და ფიას უწევდა პარტნიორობას. იქვე, კულისებში, არც ერთმა არ იცოდა ისე, გველი იყო ჩასაფრებული... მაგრამ ჯერ ჰანიფ აზიზს ვაცალოთ, დატკბეს, რამეთუ „ქაშმირელმა შეყვარებულებმა" ბიძაჩემს მოკლევადიანი, მაგრამ აშკარა წარმატება მოუტანა. იმ დროს ეკრანზე დაუშვებელი იყო, შეყვარებულები ერთმანეთს შეხებოდნენ; სჯეროდათ, რომ ეს ახალგაზრდებს გარყვნიდა... მაგრამ ფილმის დაწყებიდან ნახევარ საათში მთელ დარბაზს გაკვირვების შეძახილი აღმოხდა; ფიამ და ნაიარმა კოცნა დაუწყეს... ერთმანეთს კი არა, — ნივთებს.

ფია თავისი შელებილი ტუჩებით მგრძნობიარედ კოცნიდა ვაშლს და შემდეგ ნაიარს აწოდებდა. ნაიარი ვაშლის მეორე ლოყას ენებიანი კოცნით ფარავდა. ამას ირიბი კოცნა ერქვა და მიუხედავად მისი გავრცელებულობისა, ის კინოში ყველაფერს ნიშნავდა. ეს იყო კოცნა — ეროტიკული სურვილით სავსე! მაყურებელი (რომელიც დღეს ხმამაღლა რიხრიხებს ახალგაზრდა, ბუჩქებში შემძვრალი წყვილის დანახვაზე, მერე ბუჩქი რომ სასაცილო რხევას იწყებს — აი, როგორ დაეცა და დაკნინდა ჩვენი წარმოსახვა) უყურებდა და მონუსხული ეკრანს ეწებებოდა ფიასა და ნაიარის დანახვაზე, ერთმანეთისადმი სიყვარულს ჩაის ფინჯნებს რომ უზიარებდნენ იმით, რომ დალის ტბისა და ლურჯი ქაშმირული ცის ფონზე ვარდისფერსითხიან ფინჯნებს კოცნიდნენ. შალიმარის საძირკველთან მყოფნი ტუჩებს ხმალს ადებდნენ... მაგრამ ახლა, როცა ჰანიფ აზიზი ტრიუმფის მწვერვალზე იყო, ჩასაფრებულმა გველმა აღარ დაიცადა. მისი გავლენით სახლის სინათლეები გამოჩნდა. ეკრანზე ფია და ნაიარი, მუსიკის რიტმს აყოლილნი, მანგოს კოცნიდნენ. ამ დროს მათი უზარმაზარი ფიგურების ფონზე ერთი მორცხვი, უცნაურწვერიანი კაცი გამოჩნდა, რომელიც სცენისკენ მიდიოდა და ხელში მიკროფონი ეჭირა. ქვეწარმავალს ყველაზე წარმოუდგენელი ფორმის მიღება შეუძლია. უმაქნისი სახლის უფროსის ფორმაში გადაცმულმა გველმა შხამი ამოაფრქვია. ფია და ნაიარი დაჭკნენ და მოკვდნენ. წვერიანი კაცის გაძლიერებული ხმა გაისმა: „ქალბატონებო და ბატონებო, მომიტევეთ, ცუდი ამბავი უნდა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაცნობოთ“. ქვეწარმავალს ხმა გაებზარა და ტირილი წასკდა, რომ ძალა კბილებს გადასცემოდათ და მერე გააგრძელა: „დღეს დელიში, ბირლას სახლში, ჩვენი საყვარელი მაჰათმა მოკლეს. ვიღაც გიჟმა მუცელში ესროლა. ხალხო, ჩვენზე მზრუნველი მამა აღარ არის“!

სანამ ეს კაცი სიტყვას დაამთავრებდა, ხალხმა კივილი მორთო; შხამმა მათ ვენებში შეაღწია და იმოქმედა. კაცები პარტერებს შორის მუცელზე ხელჩავლებული იატაკზე გორავდნენ, ტიროდნენ და იძახდნენ: ჰაი რამ! ჰაი რამ! მოშხამული ქალები თმას იგლეჯდნენ და უდახვეწილეს ვარცხნილობებს იფუჭებდნენ. კინოვარსკვლავები მეთუვზე ქალებივით წიოდნენ. ჰაერში საშინელების სუნი იდგა. ჰანიფმა დას უჩურჩულა: „ჩქარა გაეცალე აქაურობას, თორემ თუ ეს საქმე მუსლიმმა ჩაიდინა, მაშინ ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევენ; ჩქარა გაასწარი!“

ყველა კიბესთან გველია ჩასაფრებული... ორმოცდარვასაათიანი ფილმის „ქაშმირელი შეყვარებულების“ ცუდად დასრულების შემდეგ ჩვენი ოჯახი ბუკინგემის ვილაში დარჩა („ავეჯი კარზე მივაყუდოთ, იმასრაჰქვია! — ბრძანა პატივცემულმა დედამ, — თუ ინდუსი მსახურები გვყავს სახლში, გავუშვათ!“); ამინამ დოღზე წასვლა ვერ გაბედა.

მაგრამ გველისგან კიბე გიხსნის. ამიტომ რადიომ მკვლელის სახელი გამოაცხადა: ნათურამ გოდსე. „მადლობა ღმერთს, რომ მაჰმადიანური სახელი არ არის!“ — წამოიყვირა ამინამ.

განდის სიკვდილის ამბავმა ადამი კიდევ უფრო დააბერა და დაამძიმა: „მაჰმადიანური სახელი რომ არა აქვს მაგ გოდსეს, მაგისთვის მადლობას ვერ ვეტყვით“.

ამინამ შვებით ამოისუნთქა და ამ თავქარიანობამ ისე გაიტაცა, რომ შვების გრძელ კიბეზე თავბრუდახვეული არბოდა... რატომაც არა, ბოლოს და ბოლოს, იმ კაცის გვარი გოდსე რომ იყო, იმიტომ გადავრჩითო.

აჰმედ სინაი საწოლიდან ადგა, მაგრამ მაინც ავადმყოფივით იქცეოდა. მოგუდული ხმით უთხრა ამინას: „შენ უთხარი ისმაილს, სასამართლოში წასულიყო? ძალიან კარგი, მაგრამ იცოდე, პროცესს წავაგებთ. მოსამართლის მოსყიდვა მოგიწევს“. ამინა ისმაილთან მივიდა: „არავითარ შემთხვევაში არ უთხრა აჰმედს ფულის შესახებ. კაცია და სიამაყის გრძნობა არ უნდა დაკარგოს“. მერე, მოგვიანებით ქმარს უთხრა: „არა, ჩემო კარგო, არსად არ მივდივარ. არა, ბავშვი სულაც



www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ მღლის. შენ დაისვენე. მალაზიაში წადალ და შეიძლება ჰანიფსაც ვეწვიო; ჩვენ, ქალები, რაღაცით ვიცხოვრებთ ჩვენს ცხოვრებას!"

სახლში ფულით გატენილი კონვერტებით დაბრუნდა... „აიღე, ისმაილ, ახლა, როცა ჩემი ქმარი ადგა, სწრაფად და ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ!" საღამოს დედამისს საქმიანად მიუჯდა გვერდით: „რა თქმა უნდა, მართალი ხარ, აჰმედი მალე გამდიდრდება, აი, ნახავ!"

სასამართლო უსაშველოდ გადაიდო. კონვერტები იცლებოდა. მუცელში ბავშვი ისე გაიზარდა, რომ ამინა მანქანის საჭესთანაც ვერ ჯდებოდა. სულ ხომ ვერ მოიგებდა ფულს? მუსა და მერი ბებერი ვეფხვებივით ჩხუბობდნენ.

რა იწვევს ჩხუბს?

დანაშაულის, შიშისა და სირცხვილის რა ნარჩენები ჩაწნილა მერის შიგთავსში დრომ ისე, რომ ვერ ჩერდებოდა და მოხუც მეკარეს ათასგვარ პროვოკაციას უწყობდა, ცხვირს უბზეკდა, რომ თავისი უმაღლესი სტატუსისთვის ხაზი გაესვა. თავდადებულ მუსლიმს ცხვირწინ, ჯიბრზე კრიალოსანს უმარცვლავდა; მეზობელი სახლების მსახურებმა მერის ჰატარა დედა შეარქვეს. ეს ტიტული მერიმ სიამაყით მიიღო, მუსამ კი იგრძნო, რომ ამით მის სტატუსს დაემუქრნენ. მერის ამინასთან ძალიან ფამილარული ურთიერთობა ჰქონდა, ხმამაღლა ხითხითებდა რაღაცაზე და ამინას ეჩურჩულებოდა. ეს კი მკაცრი, კორექტული მუსასთვის ძნელი მოსასმენი იყო და თავს მოტყუებულად გრძნობდა.

რა ისეთი ბრაზის კენჭი ჩაუვარდა მუსას თავისი სიბერის ზღვაში, რომ ტუჩებშორის მოქცეული შავი სიძულვილის მარგალიტად ჩაიზარდა. რა ისეთ საღათას ძილს მიეცა მუსას ხელ-ფეხი, რომ ტყვიასავით გაშეშდა და ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა: საფერფლეები, ვაზები, თეფშები. მერის ტუჩებს ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად დასცდათ, რომ მუსას მალე დაითხოვდნენ. შიში, რომელმაც მუსა აიტანა, შემდგომში ბუმერანგივით დაუბრუნდა იმას, ვინც ეს ბრძოლა წამოიწყო.

(სოციალურ ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ), სულის რა მომაკვდინებელი გავლენა იქონია მუსაზე იმან, რომ თავად შავღუმლიანი სამზარეულოს უკან მსახურთა ოთახში ეძინა, მებაღესთან და შემთხვევითი სამუშაოს შემსრულებელ ბიჭთან ერთად, მაშინ, როცა მერი მოდურად, ჩვილის გვერდით იწვა?

იყო თუ არა მერი უდანაშაულო? ტაძარში ვეღარ დადიოდა, რად-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გან იქ, სააღსარებოში საიდუმლოს ვერ დაფარავდა. ამან ხასიათი წაუხდინა.

ფსიქოლოგიურად თუ მივუდგებით, პასუხს ასეთი ფორმით ვიპოვით: მერის გველი ჩაუსაფრდა. მუსამ, საუბედუროდ, კიბეთა ბუნდოვანება შეიმეცნა. ანდა, უფრო შორს რომ წავიდეთ და გველ-კიბეებს გაკცდეთ, იქნებ ბედის ხელიც შევამჩნიოთ. მუსა რომ შემდეგში მოჩვენებადქცეული დაბრუნებულიყო და ბომბეიში ჩართული ბომბის როლი შეესრულებინა, ამისთვის ჯერ მისი წასვლა იყო საჭირო... დიადიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯიაო, ჰოდა, აჰმედ სინაის ეს ნაბიჯი ვისკიმ რომ გადაადგმევინა და მერე ჯინმა თითქოს წკეპლით შედენა გულქვაობის საშყაროში, ამანაც ხომ არ გააღიზიანა საწყალი, ბებერი მუსა, რომელმაც ისეთი დანაშაული ჩაიდინა, მერის გაუთანაბრდა. სიამაყე რომ შეულახეს და შეურაცხყოფა მიაყენეს, იმიტომ გააკეთა ეს, თუ მერიც იყო ამაში გარეული?

კითხვები დავასრულე. ახლა ფაქტებს ჩავეჭიდები: მუსა და მერი მუდმივად მტრობდნენ ერთმანეთს. დიახ: აჰმედმა მუსას შეურაცხყოფა მართლა მიაყენა. ამინამ დაამშვიდა, მაგრამ უშედეგოდ. ასაკმა მიახვედრა, რომ მალე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ნებისმიერ დროს შეეძლოთ დაეთხოვათ. ისე მოხდა, რომ ერთ აგვისტოს დილას, ამინამ სახლი გაძარცული ნახა.

პოლიცია მოვიდა. ამინამ დაკარგული ნივთების შესახებ განუცხადა. სახლიდან დაიკარგა: ლაზურიტით მოპირკეთებული ვერცხლის ჩასაფურთხებელი, ოქროს მონეტები, ძვირფასი ქვებით შემკული სამოვრები, ვერცხლის ჩაის სერვიზი, ასევე ის ნივთები, რაც მწვანე ყუთში ელაგა. ინსპექტორმა, ჯონი ვაკილმა მსახურები შემოსასველელ ოთახში დაამწკრივა და დაჰკითხა, თან ემუქრებოდა. „მიდი, აღიარეთ, თორემ თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ. დღედაღამ ცალ ფეხზე გინდათ დგომა? გინდათ, ხან მდუღარე წყალი დაგასხან და ხან ყინულივით ცივი? ჩვენ პოლიციაში გამოტეხის სხვადასხვა მეთოდი გვაქვს“... ინსპექტორი რკინის ხელკეტს ფეხზე იკაკუნებს. მსახურები აყაყანდნენ: მე არ ჩამიდენია, ბატონო ინსპექტორო, მე პატიოსანი ვარ, შემიბრალეთ, გაჩხრიკეთ ჩემი ნივთები! ამინა ინსპექტორს ეუბნება: „ეს უკვე მეტისმეტია, ბატონო, ზედმეტი მოგვიდათ. ჩემი მერი პატიოსანია, ამას არ იზამდა. ვერ დავუშვებ, რომ ის დაჰკითხოთ“. პოლიციის ოფიცერი გაღიზიანდა, მაგრამ არ შეიმჩნია. საკუთრების ჩხრეკა შემოღებულია. „ყოველი შემთხვევისთვის, გეუბნე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბით, ქალბატონო, ამ ხალხს შეზღუდული ინტელექტი აქვს და იქნებ თქვენ ისე მალე აღმოაჩინეთ ქურდობის ფაქტი, რომ დამნაშავემ გაქცევა ვერ მოასწრო!"

ჩხრეკა იწყება. მუსას საწოლში ნახულობენ ვერცხლის კასრს. ოქროს მონეტები და ვერცხლის სამოვარი მუსას ძონძებშია გამოხვეული. საწოლის ქვეშაა დაკარგული ჩაის სერვიზი. მუსა აჰმედ სინაის ფეხებში უვარდება და ევედრება: „მომიტევე, ბატონო, შევიშალე, მეგონა, ქუჩაში გამაგდებდი!" აჰმედი არ უსმენს, გაყინულია, „სუსტად ვარ", ამბობს და ოთახიდან გადის. გაოგნებული ამინა მუსას ეკითხება: „კი მაგრამ, მუსა, მაშინ ის საშინელი ფიცი რამ გათქმევინა?!"

...რა მოხდა და... მსახურების დამწკრივებიდან მათი ოთახების ჩხრეკამდე არსებულ მოკლე დროში, მუსამ აჰმედს უთხრა: „მე თუ მომეპაროს ის ნივთები, ბატონო, მაშინ არ ვიცოცხლო და სხეული კეთრის წყლულებით დამეფაროს!"

ამინა უცდის, რას ეტყვის მუსა. შიკრიკს ბებერი სახე სიბრაზით უთამაშებს და სიტყვებს ფურთხივით ისვრის: „ქალბატონო, მე მხოლოდ თქვენი ძვირფასი ნივთები მოვიპარე, თქვენ კი: თქვენმა ქმარმა და იმისმა მამამ სიცოცხლე მომპარეთ. და ამ სიბერეში შეურაცხყოფა მომაყენეთ იმით, რომ ქრისტიანი ძიძა მოიყვანეთ".

ბუკინგემის სახლში სიჩუმეა. ამინა არავის უჩივის, მაგრამ ბებერი მუსა სახლიდან მიდის, ზურგზე ლოგინაკიდებული ჩადის სპირალისებურ კიბეზე და ხვდება, რომ კიბეები მარტო მაღლა კი არა, დაბლაც ჩადიან. გორაკზე ეშვება და სახლს წყევლას უტოვებს.

და (შესაძლოა, წყევლის ბრალიც იყო) მერი პერეირა აღმოაჩენს, რომ მაშინაც, როცა ბრძოლას იგებ და კიბეები შენს სასარგებლოდ მოქმედებენ, გველები მაინც არ აგცდება.

ამინა ისმაილს ეუბნება: „მეტ ფულს ვერ გიშოვი, ისმაილ. საკმარისად არ მოგეცი?" ისმაილი: „საკმარისია, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, შანსი აღარ გაქვს?" ამინა პასუხობს: „უბედურება ისაა, რომ ისე გავდიდდი, მანქანაში ველარ ვეტევი. ეს საქმე უნდა გაკეთდეს...

დრო ამინასთვის ისევ ჩერდება. ფანჯარაში იყურება, რომლის რაფაზე მწვანეღეროიანი ტიტები რიტმულად ცეკვავენ. ამინას თვალები ისევ საათიან კოშკს აშტერდებიან. ამ საათს 1947 წლის წვიმების შემდეგ არ უმუშავია. ისევ წვიმს. დოლის სეზონი დამთავრდა.

ღია ლურჯი საათიანი კოშკი — უშნო, დაჟანგული და გაჩერე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბული. ცირკის მოედნის ბოლოში, ფორდენ-როუდის შესახვევის ბრტყელ სახურავზე იდგა და პირდაპირ ჩვენს აღმართის უყურებდა. თუ ბუკინგემის სახლის კედელზე აძვრებოდა, ბრტყელი, შავი ასფალტის სახურავი შენს ფეხქვეშ მოექცეოდა. იმ სახურავის ქვეშით ბრანჩფორდის სკოლა იყო, საიდანაც ახს ჰარისონის პიანინის წკრიალა ხმა გამოდიოდა, საბავშვო მუსიკას რომ უკრავდა. იმ სკოლის ქვეშით იყო მაღაზიები: „მკითხველის საძოვარი", „ფეთბოლის ძვირფასეულობა", „ჩიბუკერის სათამაშოები" და „ბოიბელისა". ამ უკანასკნელი მაღაზიის ვიტრინები შოკოლადით იყო სავსე. საათიანი კოშკისკენ ძიძაკალა კარი ჩაკეტილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სუსტი საკეტი ჰქონდა, ნადირ-ხანი რომ იცნობდა — ისეთი. ეწერა: დაბზარულია ინდოეთში. ჩემს პირველ დაბადების დღემდე სამი ღამის განმავლობაში მერი პერეირამ ფანჯრიდან შეამჩნია, ვილაკის აჩრდილი როგორ დადიოდა სახურავზე. აჩრდილს ხელებში უფორმო საგნები ეჭირა. ამან მერი ძალიან შეაშინა და დედაჩემს უთხრა, რაც ნახა. გამოიძახეს პოლიცია. ინსპექტორი ვაკილი სპეცრაზმით მოვიდა და დედას უთხრა: „რაზმის ყველა წევრი პროფესიონალი მსროლელია, ქალბატონო, ეს საქმე ჩვენ მოგვანდეთ!" რაზმის წევრებს მეზობლის სამოსი ეცვათ, იარაღი ძონძებში დაეშალათ და ცირკის მოედნის დაგვისას საათიან კოშკს თვალყურს ადევნებდნენ.

დაღამდა. მეთოლდის მაშულის შეშინებული ბინადრები საათიანი კოშკის მიმართულებით ფარდას ამოფარებულები იჭვრიტებოდნენ. „მეზოვეებმა" სიბნელეშიც სულელურად გააგრძელეს ეზოს დაგვა. ჯონი ვაკილი ჩვენს აივანზე დადგა, ავტომატი დამალული ჰქონდა... შუაღამისას გამოჩნდა აჩრდილი და ბრიჩქენდის სკოლის კედლიდან კოშკის მიმართულებით გაემართა. მხარზე გუდა მოეკიდებინა...

„უნდა შევიდეს, — უთხრა ვაკილმა ამინას, — უნდა დავრწმუნდეთ, რომ სწორედ ის არის". კაცმა ხმაურით გაიარა მოასფალტებული სახურავი და კოშკში შევიდა.

„ინსპექტორო, რას ელოდებით"?

„ჩუმად, ქალბატონო, ეს პოლიციის საქმეა, გთხოვთ, ცოტა ხნით სახლში შედით, რომ გამოვა, აკიყვანთ და მაშინვე გაცნობებთ, რომ ვირთხასავით დავიჭირეთ", — თქვა ვაკილმა კმაყოფილი ხმით.

„ვინ არის"?

„ვინ იცის", — მხრები აიჩეჩა ვაკილმა. უეჭველად ვინმე ბოროტმოქმედია. ასეთები ახლა ყველგან არიან".



www.PDF.ChiaturaINFO.GE

...ეცემ დამის სიჩუმე კედელმა აბრეშუმივით გაფხრიწა. ვიღაც საათიანი კოშკის კარს უკანაა ჩასაფრებული. კარი ღიაა. ლრეჭიალის ხმა ისმის და შუა ასფალტზე რაღაც ეცემა. ინსპექტორი ჯაკილი აგტომატს იღებს, იუდიზე იბჯენს და ჯის ვეთიოთ ისვრის. მხვეტავები ცოცხებიდან აწყვეს იარაღს და ისვრიან... ქალები წყვიან, მსახურები ბღაოიან... მერე სიჩუმე დგება.

რა აგდია შუა ასფალტზე ასეთი ყაფისფერი და შავი, ასეთი ზოლიანი, გველივით რომ იკლაკნება? ის რა შავი სისხლია, რომელიც წვეთავს და რიმლის დანახვაზე ექიმი შაფსტეკერი ბოლო სართულიდან ყვირის: „სულელები, ქაწარმავლები, ტრანსვესტიტები"!

რა ქვდება სახურავზე, როცა ინსპექტორი მისკენ გარბის? და საათიანი კოშკი რა ძალამ დაამტვრია? ვისმა ხელმა შეგლიჯა კარი? ვისი ქუსლია, ორი წითელი წერტილი რომ უჩანს და სავსეა შხამით, რიმლის ანტიდოტი არ არსებობს და რომელმაც ერთი თავლა ცხენები დახოცა? ვისი სხეული მიაქვს კოშკიდან იმ კონკებიან კაცს ნელა, უკუბოდ რომ მიდის, ისე თითქოს მეკუბოვე იყოს. მთვარე რომ ამოდის და მკვდარს ანათებს, რატომ ეცემა გულწასული მერი პერეირა კარტოფილის ტომარასავით იატაკზე და თვალებს ატრიალებს.

საათიანი კოშკის შიდა კედელზე რა უცნაური მექანიზმია მიმაგრებული? რატომაა იქ ამდენი ბოთლი, რომლებშიც კონკებია ჩაჩურთული?

„რა კარგად მოიქეცით, ქალბატონო, რომ გამოგვიძახეთ, ეუბნება ამინას ინსპექტორი ჯაკილი, — ეს კაცი ჯოზეფ დ'კოსტაა, ძებნილი, ერთი წელია ვეძებთ. აბსოლუტურად დაუნდობელი ბოროტმოქმედია. თქვენ იმ საათიანი კოშკის შიგნითა კედლები უნდა ნახოთ! თაროები თვითნაკეთი ბომბებითაა სავსე. სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ეს მაღლობი აღიგაჯოს პირისაგან მიწისა!"

მელოდრამა მელოდრამას ემატება. ცხოვრება ბომბეურ ხმოვან კინოს დაემსგავსა. გველები კიბეებს მისდევენ, კიბეები გველებზე იმარჯვებენ. ამ ოროტრიალში ჩვილი სალემი ავად გახდა. თითქოს ამდენი რამ ვერ აიტანა, თვალი დახუჭა და სახეზე გაწითლდა. სანამ ამინა ისმაილის საქმის შედეგებს ელოდებოდა, სანამ ჩემი დაიკო იზრდებოდა ამინას მუცელში, სანამ მერი შოკში ჩავარდა, რომლიდანაც მას მხოლოდ ჯოზეფის მოჩვენება იხსნიდა, სანამ ჭიპლარი მწნილის ბოთლში ეკიდა და სანამ მერის მოშხადებული საწებელი ჩვენს ოცნებებს გაშვერილი თითებით ავსებდა, სანამ პატივცემული დედა საშხა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რეულოს განაგებდა, — ბაბუამ გამსინჯა და თქვა: „საუბედურად არ ვცდები, ბავშვს ტიფი შეეყარა“.

„ო, ღმერთო ჩემო, — წამოიძახა პატივცემულმა დედამ, — რა. იმასრაჰქვია, ეშმაკები შეუჩნდნენ ამ სახლს?!“

აი, ასე გაიგე იმ ავადმყოფობის შესახებ, რომელმაც კინალამ დაბადებისთანავე მომკლა. დედა და ბაბუა არ მომცილებიან. მერიმ საკუთარი თავი დანაშაულიდან გამოათრია და შუბლზე ცივ ტილოებს მადებდა. პატივცემული დედა იავნანას მიმღეროდა და კოზით მაჭმევდა. მამაჩემმა დროებით დაივიწყა თავისი პრობლემები და კარში უმწეოდ იდგა. მაგრამ ერთ ღამეს ექიმმა აზიზმა, რომელიც ჯაგლაგი ცხენივით გატყდა, გამოაცხადა: „საუბედუროდ, მეტი არაფერი შემიძლია, დილით მოკვდება“. ქალები ატირდნენ. დედაჩემს დარდის გამო ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. კარზე კაკუნი გაისმა. ექიმი შაფსტეკერი მოვიდა, ბაბუაჩემს პატარა ბოთლი ჩაუდო ხელში და უთხრა: „ახლა დაყოვნების დრო არ არის, ან მოკლავს, ან მოარჩენს. ზუსტად ორი წვეთი დაალევინე. შემდეგ დაელოდე“.

ბაბუა, რომელიც თავჩარგული იჯდა და თავისი სამედიცინო ცოდნის ნანგრევები თავზე ეყარა, ჰკითხა: „ეს რა არის?“ ოთხმოცდაორი წლის ექიმმა შაფსტეკერმა, ებრულად რომ ილოკავდა ტუჩებს, უთხრა: „სამეფო კობრას შხამია წყალგარეული. შველის“.

გველებმაც შეიძლება წარმატება მოგიტანონ, ისევე როგორც ქვევით ჩამავალმა კიბემ — წარუმატებლობა. ბაბუამ იცოდა, რომ მაინც მოკვდებოდი და კობრას შხამი დამალევინა. მთელი ოჯახი ფეხზე იდგა და უყურებდა, ჩემს სხეულში როგორ ვრცელდებოდა შხამი... ექვსი საათის შემდეგ სიცხემ დამიწია. ამის მერე ფენომენალური ზრდა შევწყვიტე. თუმცა დანაკარგის წილ რაღაც სხვა მომეცა: ეს იყო სიცოცხლე და კიდევ ის, რომ ნაადრევად შეეიცანი გველების ბუნდოვანება.

სიცხემ რომ დამიწია, ნარლიკარის საშობიაროში ჩემი და დაიბადა. პირველი სექტემბერი იყო. მშობიარობა ისეთი უტკივილო და იოლი აღმოჩნდა, რომ მეთვოლდის მამულში ამ ამბავმა შეუმჩნევლად ჩაიარა. იმავე დღეს ისმაილ იბრაჰიმი მოვიდა ჩემს მშობლებთან და უთხრა, რომ პროცესი მოიგო. ისმაილი დღესასწაულობდა, მე კი საწოლის სახელურს ვებღაუჭებოდი. ისმაილი ულოცავდა: „გამყინვარება დასრულდა. უმაღლესი სასამართლოს დადგენილებით თქვენი შემოსავლები ისევ თქვენია!“ მე საწოლზე ვიდექი და სახეაწითლებულ-აქო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამოგდებული ამბიდექსტრიის ძალას ვერ ავიტანდა. ისმაილმა სერიოზული სახით თქვა: „ეკონომია გაიმარჯვა, სინაი, ძმაო“, და დედაჩემის აღფრთოვანებულ სახეს თვალი მოარიდა. მე კი, რომელიც უკვე ერთი წლის, ორი კვირისა და ერთი დღის ვიყავი, ლოგინიდან ფეხზე წამოვიმართე.

ამ დღის მოვლენების ორმაგი შედეგი მოჰყვა: ფეხებმოკაკული გავიზარდე. ფეხზე რომ ნაადრევად დავდექი, იმის გამო და კიდევ: ოთხბრის მაიმური (ჩემს და სქელი, წითური თმის გამო ასე ვეძახდით თმა მხოლოდ ცხრა წლისას გაუმუქდა) მიბვდა, რომ ყურადღების მისაქცევად ბევრი უნდა ეხმაურა.

## შემთხვევა ხარეცხის კარადაში

ორი დღეა, რაც პადმა ჩემი ცხოვრებიდან წავიდა და ორი დღეა, რაც მისი ადგილი მანგოს საწებლის ქვაბთან სხვა ქალმა დაიკავა. ამ ქალსაც პადმასავით მსხვილი წელი და თმიანი მკლავები აქვს. ჩემს თვალში არაფერი შეცვლილა: უბრალოდ ჩემი ნეხვის ლოტოსი სადღაც გაქრა. ბალანსი დაირღვა. მთელი სხეული მტკივა; მარტო დავრჩი მნიშვნელოვანი ყურის გარეშე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: რალაც უცაბედმა ბრაზმა შემბოჭა. კი მაგრამ, ჩემს მოწაფეს რა უფლება აქვს, ასე მომექცეს? სხვები ჩემამდე იმას ჰყვებოდნენ, რასაც მათ კარნახობდნენ და ის სხვები ასე უმოწყალოდ არ მიუტოვებიათ „რამაიანას“ ავტორი, ვალმიკი, თავის შედევრს სპილოსთავიან განეშს რომ კარნახობდა, ღმერთს ხომ არ მიუტოვებია? რა თქმა უნდა, არა (მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩემი მაპმადიანური გარემოს მიუხედავად, მაინც საკმარისად ბომბელი ვარ და ინდუსური ამბებიც კარგად ვიცი. მიყვარს კიდეც ბრტყელყურა და ხორთუმისცხვირიანი განეში, რომელიც სერიოზულად ეკიდება ნაკარნახევს!).

როგორ მოვექცე პადმას? როგორ არ ჩავაგდო არაფრად მისი უმეცრება და ცრურწმენა. ყოვლისმცოდნეობას მნიშვნელოვანი მოვლენები გადაწონის? როგორ გავძლო მისი პარადოქსულად ამქვეყნიური სულიერების გარეშე, რომელიც მიწაზე მაბრუნებს, — უფრო სწორად, მაბრუნებდა? მეჩვენება, რომ ტოლფერდა სამკუთხედის წვერი ვარ და ფერდებს ტყუპი ღვთაება მიმაგრებს: ერთი მეხსიერების ველური ღმერთია, მეორე კი — ლოტოსის აწმყოს ქალღმერთი... უნდა შევუერიგდე თუ არა ახლა ვიწრო, ერთგანზომილებიან სწორ ხაზს?



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველა ამ კითხვის უკან ვიმალები. დიახ, ალბათ ასეა. უბრალოდ უნდა ვილაპარაკო, კითხვის ნიშნებისა და ბუნდოვანებათა გარეშე. პადმა წავიდა და მენატრება. კი, ასეა.

მაგრამ სათქმელი ბოლომდე უნდა ვთქვა.

1956 წლის ზაფხულში, როცა ყველაფერი ჩემ ირგვლივ ჩემზე დიდი იყო, ჩემს დაიკოს უცნაური ჩვევა დასჩემდა: ფეხსაცმელებს ცეცხლს უკიდებდა. ნასარი სუეცის არხში ძირავდა გემებს და მსოფლიო სვლას აფერხებდა. მოგზაურთ აიძულებდა იმედის კონცხის შემოვლითი გზით ევლოთ. ჩემი და კი ჩვენი ოჯახის სვლას აფერხებდა იმით, რომ ფეხსაცმელებს წვავდა. ყურადღება რომ მიექცია და მოვლენათა ცენტრში ყოფილიყო, თვით უსიამოვნო მოვლენებსაც არ ერიდებოდა (ჩემი და იყო ბოლოს და ბოლოს; მაგრამ პრემიერ-მინისტრი წერილს არ სწერდა, ონკანის ქვეშ მსხდარი წმინდა კაცები თვალყურს არ ადევნებდნენ, მასზე არავის უწინასწარმეტყველებია, გაზეთებში მისი სურათები არ გამოუქვეყნებიათ. მისი ცხოვრება დასაწყისიდანვე ბრძოლა იყო), ომი ფეხსაცმელების სამყაროში გაიჩაღა. ალბათ ფიქრობდა, რომ თუ ჩვენს ფეხსაცმელებს დაწვავდა, საკმაოდ დიდხანს გაგვაჩერებდა ერთ ადგილზე, რომ მისთვის შეგვეხედა და შეგვემჩნია... დანაშაულის დამალვა არც უცდია. მამაჩემი თავის ოთახში შევიდა და თავისი შავი ოქსფორდები[1] ცეცხლმოკიდებული ნახა, თითბრის მაიმუნი იქ იდგა და ხელში ასანთი ეჭირა. მამაჩემს ცხვირში ეცა დამწვარი ტყავის სუნი, ფეხსაცმლის საპრიალებელი ლაქისა და ფეხსაცმლის სუნთან არეული... „შეხედე, მამა! — უთხრა მომხიბვლელი ხმით დაიკო მაიმუნმა, — შეხედე, რა ლამაზად იწვის, ალი ზუსტად ჩემი თმის ფერია!“

ყველა გაფრთხილების მიუხედავად, ჩემი დის მიერ ამოჩემებული ცეცხლის წითელი ყვავილები მთელ მამულში ყვაოდნენ იმ ზაფხულს, ნასიიხვის სანდლებში, ჰომი ქეთრექის ფეხსაცმელებში. თმისფერი ალი ბატონი დუბაშის ველვეტის დაბალძირიან ფეხსაცმელსაც მისწვდა და ლაილა საბარმათის მაღალქუსლიან ფეხსამოსსაც. ასანთი დაუმალეს, მსახურები ფეხზე იდგნენ და თვალყური ეჭირათ, სჯიდნენ, ემუქრებოდნენ. თითბრის მაიმუნს ეს არ აშინებდა, მაინც თავისას აკეთებდა. ერთი წლის განმავლობაში მეთვოლდის მამულს დამწვარი ფეხსაცმლის სუნი არ მოშორებია, მაგრამ როცა ჩემს დაიკოს თმა გაუყავისფრდა, ასანთებისადმი ინტერესი დაეკარგა.

---

[1] *ოქსფორდები — აქ: ფეხსაცმელი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამინა სინაი იმ აზრისგან შორს იყო, რომ ბავშვი ეცემა. ყვირილითაც არ გვიყვიროდა და ეს ყოველივე ჭკუიდან შლიდა. მანქი-მაიმუნს ლაპარაკი აუკრძალეს. ეს დისციპლინარული მეთოდი დედამ შეარჩია: ვერ გვცემდა, სამაგიეროდ, ლაპარაკს გვიკრძალავდა და ამით გვსჯიდა. რასაკვირველია, ეს ერთ დროს მის სახლში გამეფებული დიდი სიჩუმის გამოძახილი იყო, სიჩუმისა, რომლითაც დედამისი მამამისს სჯიდა. იმ სიჩუმის ხმა ახლაც ედგა ყურებში. სიჩუმესაც აქვს თავისი ჟღერადობა და, სხვათა შორის, უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე სხვა რომელიმე ხმაური. დედა თითს ტუჩებზე მიიდებდა და ჩუმად ყოფნას გვიბრძანებდა. ეს სასჯელი ჭრიდა და ვემორჩილებოდი. მაგრამ თითბრის მაიმუნი, ეტყობა, მაინც სხვა მასალისგან იყო შექმნილი, რადგან იოლად არ ნებდებოდა. ბებიამისივით ტუჩებდამუწული უხმაუროდ გეგმავდა ფეხსაცმლის დაწვას — როგორც ერთ დროს, დიდი ხნის წინათ, სხვა მაიმუნმა, სხვა ქალაქში, ისეთი რამ ჩაიდინა, რამაც ტყავის საწყობის გადაბუგვა გარდაუვალი გახადა...

ლამაზი იყო იმდენად, რამდენადაც მე ვიყავი უშნო (ოდნავ ზედმეტად გამხდარი იყო). ქარიგით ცელქი იყო და ბრბოსავით ხმაურიანი. განზრახ თუ შემთხვევით მის მიერ დამსხვრეული მინებისა თუ ვაზების თვლას ვერ აუდიოდნენ. სადილზე თეფშები მისი ხელიდან ფრინავდნენ და ძვირფას სპარსულ ხალიჩებს თხუპნიდნენ. სიჩუმე ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო მისთვის, მაგრამ ამას მხიარულად იტანდა და სკამებისა და ორნამენტების ნამსხვრევებში უდანაშაულოსავით იდგა.

მერი პერეირამ თქვა: „აი ის, ის მაიმუნი, ოთხფეხიანი უნდა გაჩენილიყო!“ ამინას მეხსიერებიდან არ ამოშლილა ის, რომ კინალამ ორთავიანი ბავშვი გააჩინა. ამიტომ იყვირა: „მერი, რას ამბობ? არც კი გაიფიქრო ასეთ რამეზე, გესმის?“ დედაჩემის ასეთი პროტესტის მიუხედავად, ცხადი იყო, რომ თითბრის მაიმუნი იმდენად ცხოველი იყო, რამდენადაც — ადამიანი. მეთვოლდის მამულში ყველა მსახურმა და ბავშვმა იცოდა, რომ ჩიტებთან და კატებთან ლაპარაკის ნიჭი ჰქონდა. ძაღლებსაც ელაპარაკებოდა. მაგრამ ერთხელ, ექვსი წლისა რომ იყო, ცოფიანმა მაწანწალა ძაღლმა უკბინა და ძლივს, წივილ-კივილით წაათრიეს ბრიჩქენდის საავადმყოფოში, რომ სამი კვირის განმავლობაში, ყოველდღე, ნემსი ეკეთებინათ მუცელში. ამის მერე ძაღლებს არ ეკარებოდა და მათი ენაც დავიწყა. ჩიტებისგან სიმღერა ისწავლა. კატებისგან საშიში ფორმის დამოუკიდებლობას მიეჩვია.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითბრის მაიმუნი არასოდეს იხე არ ბრაზობდა, ვიდრე მაშინ, როცა საყვარელის ენაზე ელაპარაკებოდნენ. სიყვარულს დახარბებული და მიტყუებული იყო, მის დანაკლისს ჩემ გამო განიცდიდა. ამიტომ თუ ვინმე ამას მიხვეშდა, რაც მას ხურდა, უმალვე მტრად მოეკიდებოდა, თითქოს მიტყუებისგან თავს იცავსო.

...ჰოდა, ხონი იბრაჰიმმა ერთხელ მხნეობა მოიკრიბა და უთხრა: „ჰეი, ხალების დაიკო, შენ მაგარი ტიპი ხარ და იცი... ძალიან მომწონხარ". მაიმუნი ხონის დედ-მამასთან გაიქცა, სანსუჩის ბაღში ოგურტისგან დაშზადებულ სასმელს რომ წრუპავდნენ და მოახსენა: „დედა ნახი, ახლა ვნახე შენი ხონი და საირუსი ერთად, ბუჩქების უკან ხასაცილოდ რომ იზელდნენ კუტუებს!"..

თითბრის მაიმუნი ხუფრასთანაც უწესოდ იქცეოდა. ყვავილებს თელავდა; პრობლემურ ბავშვად მიაჩნდათ, მაგრამ მე და მაიმუნი, პრემიერ-მინისტრის წერილისა და ონკანის ქვეშ მჯდარი გურუს მიუხედავად, ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით. თავიდანვე მოკავშირედ მივიჩნიე და არა მეტოქედ. ისიც არ მადანაშაულებდა, მთავარი რომ ვიყავი ხახლში და მეუბნებოდა: „შენი რა ბრალია, ეს მათი ბრალია, შენზე რომ ფიქრობენ, თითქოს მართლაც დიდებული იყო" (მაგრამ წლების შემდეგ ხონის შეცდომა გავიმეორე და მაიმუნიც იხე მოიქცა, როგორც ხონის).

ხნორედ მანქი-მაიმუნი იყო, შეცდომით გამოშვებულ ზარს რომ უპასუხა და ამის გამო მოვლენათა პროცესი დაიწყო, რამაც სარეცხის თეთრ კარადაში უბედურებას შემამთხვია.

უკვე ცხრა წლისამ ვიცოდი, რომ ყველა მე მელოდებოდა. წინასწარმეტყველებმა და პრემიერ-მინისტრებმა ჩემ ირგვლივ მოლოდინის გარდაუვალი და გაუნელებელი ცეცხლი დაანთეს... მამაჩემმა, კოქტეილის დრო რომ მოვიდა, რბილ მუცელზე მიმიკრა და მითხრა: „დიდებული საქმეები გელოდება, შვილო, ცხოვრებაში. ცხოვრება შენანიშნავ რამეებს გიმზადებს!" მე კი მის ტუჩებს დავუსხლტი და ჩემი ცხვირიდან მარადიულად მომდინარე წვინტლით პერანგი გავუსვარე. გავწითლდი და ვიკივლე: „გამიშვი, მამა! ყველა გვიყურებს!" მამამ კი ილრიალა და კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო: „გეყურონ მერე! მთელმა სამყარომ ნახოს, როგორ მიყვარს ჩემი შვილი!" ბებიაჩემმაც მირჩია, ერთხელ ზამთარში რომ გვესტუმრა: „საქციელს თუ გამოიკეთებ, იმასრაჰქვია, მთელ დუნიაზე კაცი ვერ გაჯობებს!" ამ მოლოდინის ნისლში შევცურდი თუ არა, ჩემში იმ უფორმო ცხოვ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლის პირველი ბიძგები ვიგრძენი, რომელიც პადმას გარეშე დარჩენილ ღამეებში მუცელს შიგნიდან მკაწრავს და იცოხნება. მე კი იმედებისა და მეტსახელების თავსხმამ ისე დამწყვლა („ჟენოსავი" და „ცხვირ-მოუხოცავი" უკვე შემარქვეს), რომ შიში შემეპარა, ვაითუ ჩემი საყვი-რით გამოცხადებული არსებობა სრულიად უსარგებლო, ცარიელი და უმიზნო აღმოჩნდეს-მეთქი. ამ ჩემში არსებული ცხოველისგან თავის დასაღწევად, ადრეული ასაკიდანვე, დედაჩემის სარეცხის დიდ, თეთრ კარადაში ვიმალებოდი და მიუხედავად იმისა, რომ ეს არსება ჩემში ბუდობდა, საიდუმლოებით მოცული გასარეცხი მიტკლის არსებობა ძილს ჰგვრიდა.

სარეცხის კარადის გარეთ კი ზღაპრებში ვიმალებოდი, რადგან ჩემ ირგვლივ მყოფი ხალხი მიზნის გამანადგურებლად აშკარა გრძნობას ფლობდა. ჰათიმ თაი და ბეტმენი, სუპერმენი და სინდბადი მეხმარე-ბოდნენ, რომ ცხრა წლის ასაკი დამეძლია. მერი პერეირასთან ერთად საყიდლებზე დავდიოდი და შიშის შეგრძნებამდე მაოცებდა, როგორ შეეძლო ქათმის ასაკის ამოცნობა მისი კისრის მიხედვით. ასევე მაო-ცებდა მის თვალებში ჩამდგარი სიჯიუტე, მკვდარ თევზებს რომ მი-აშტერდებოდა ხოლმე. მე ალადინი ვხდებოდი და საარაკო მღვიმეში ვმოგზაურობდი. მსახურები რომ მაგიური თავდადებით ასუფთავებ-დნენ ვაზებს მტვრისგან, ალიბაბას თორმეტ ყაჩაღს წარმოვიდგენდი ხოლმე, მტვრიან ურნებში რომ იმალებოდნენ. ბაღში გურუ პურუშო-თამს ვხედავდი, წყალში რომ ლპებოდა და ლამპის ჯინად ვიქცეოდი ხოლმე. ასე ვიცილებდი იმ საშინელ აზრს, რომ მთელ სამყაროში მარტო ვიყავი და არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. მიზანი უკნიდან მო-მეპარა მაშინ, როცა ფანჯრიდან ევროპელ გოგონებს შევცქეროდი ზღვის გვერდით, რუკის ფორმის აუზში რომ დახტუნავდნენ. „საიდან მოიტანე?" — დავიყვირე ხმამაღლა. თითბრის მაიმუნი, რომელსაც ჩემს ლურჯ ოთახში ეძინა, კინაღამ კანიდან ამოხტა. თითქმის რვის ვიყავი, ის კი — თითქმის შვიდისა იყო. ძალიან მცირე ასაკია საიმი-სოდ, რომ რაიმემ ასე გაგაღიზიანოს.

სარეცხის კარადიდან მსახურებიც გამორიცხული მყავს და სკო-ლის ავტობუსებიც. ცხრა წლის ასაკში ჯონკონონბოის სკოლაში და-ვიწყე სიარული, აუთრემ-როუდზე რომ იყო, ძველი ციხესიმაგრის უბანში. ყოველ დილით დაბანილ-დავარცხნილი მაღლობის თხემზე ვდგებოდი. მეცვა თეთრი, მოკლე შარვალი, რომელზეც ლურჯი გვე-ლისბალთიანი ქამარი მეკეთა. ზურგჩანთა მხარზე მქონდა მოგდებუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი და კიტრიკით ცხვირი, როგორც ყოველთვის, წვინტლს აფრქვევდა. ვერცხლისწყალი, დონდლო, სონი იბრაჰიმი და ნაადრევად მომწიფებული საირუსდიდი უკვე მელოდნენ. ავტობუსში ნოსტალგიის მომგვრელ დაბზარულ ფანჯრებსა და მორყეულ სკამებს შორის მაინც რა უეჭველი იყო ყველაფერი. ცხრა წლის ბავშვს მომავლის როგორი რწმენა მქონდა! სონი იკვეხნიდა: „მე მატადორი უნდა გამოვიდე; ესპანეთი! ჰეი, ტორო, ტორო!“ ზურგჩანთა მანოლეტეს ხარივით წინ აიტუზა და თავისი მომავალი გაითამაშა. ავტობუსმა კი ქემფს ქორნერს ჯაყჯაყით ჩაუარა, გასცდა თომას ქემფს, ეარინდია რაჯას პოსტერს (პოსტერზე ეწერა: „ნიანგო, მოგვიანებით გნახავ, ეარინდიას რეისით ლონდონში მიყფრინავ!“). იქ სხვა აფიშების დაფაც იყო, რომელზეც კბილებელვარე ბავშვი, ზღაპრულ ელფს რომ ჰგავდა მწვანე სამოსსა და ქლოროფილის ყვავილის ქუდში, კოლინოს ფირმის კბილის პასტას უწევდა რეკლამას: „დაე, იელვარონ თქვენმა კბილებმა სითეთრითა და სისუფთავით“. ეს ბავშვი, აფიშაზე რომ იყო და ჩვენც, ავტობუსში რომ ვიყავით — უეჭველობისა და დარწმუნებულობის ერთგანზომილებიან სიბრტყეზე ვმოძრაობდით და ვიცოდით, რისთვის მოვედით ამქვეყნად. აქაა ასევე გლენდი ქეით ქოლაქოს ბურთივით გაბერილი ბავშვი, უკვე საულვაშეზე თმა რომ ამოსდის. ის ამბობს: „მე მამაჩემის კინოს ვუხელმძღვანელებ. თქვენ კი ნაბიჭვრებო, თუ ფილმის ნახვას მოისურვებთ, მე უნდა შემეხვეწოთ, რომ ადგილები მოგცეთ და გაყურებინოთ!“... აქვეა ფეთ ფერს ფიშვალა, მეტისმეტმა ჭამამ რომ გაასივა. მასაც, გლენდი ქეისთან ერთად პრიკილეგირებული პოზიცია უკავია; „ეს რა არის! — ამბობს იგი, — მე მექნება ბრილიანტი, ზურმუხტი და მთვარის ქვა! და ბურთივით დიდი მარგალიტებიც!“ ფეთ ფერსის მამა ქალაქის ძვირფასი ქვების ბიზნესს მართავს. ფეთის ყველაზე დიდი მტერი ბატონ ფეთბოის ვაჟია. და იმის გამო, რომ ტანად პატარაა და ინტელექტუალური ტვინის პატრონია, მარგალიტისყვერებიან ბავშვებთან ომში მარცხდება... ვერცხლისწყალი კრიკეტის მომავალ მოთამაშედ წარმოგვიდგა და თავისი ცარიელტარიელი თავი სრულიად უგულებელყო. დონდლო, რომელიც ისევე მოწესრიგებული, დავარცხნილი და სუფთაა, როგორც მისი ძმაა დაუვარცხნელი და უსუფთაო, ამბობს: „რა ეგოისტი უქნარები ხართ! მე მამაჩემივით საზღვაო სამსახურს ავირჩევ და ჩემს ქვეყანას დავიცავ!“ ამ სიტყვებისთვის დონდლოს ესვრიან სახაზავებს, კომპასებს, მელნით თხუპნიან... სკოლის ავტობუსმა ჯაყჯაყით ჩაუარა ჩოფეთი-ბიჩს,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე შერინ დრაიფიდან მარჯვნივ შეუხვია ბიძია პანიეის სახლისკენ, მერე ვიქტორია ტერმინუსს გასცდა და ფლორა ფაუსტინისკენ გაემართა, შემდეგ გაიარა ჩერჩგეიტის სადგური და ქროფეირდმარკეტი. მე ჩუმად ვიჯექი. წყნარი ხასიათის კლარკ კენტი ვიყავი და ჩემს საიდუმლო პირიფნებას არ ვამჟღავნებდი; მაგრამ ეს რა ჯანდაბა იყო? „ჰეი, ცხვირმოუხოცავი! — დამიყვირა გლენდი ქეითმა, — შენ რა უნდა გამოხვიდე, ცხვირსრუტუნავ?" პასუხი ფეი ფერს ეიშალამ გასცა: „პინოქიო!" და დანარჩენმა ბავშვებმა ხმამაღალი სიმღერა დაიწყეს: „სინდისი სუფთა მაქვს!" საირუსდიდი გენიოსივით ჩუმად ზის და ქვეყანაში წამყვანი ატომური კვლევის სადგურის [1]აგებას გეგმავს.

სახლში მაიმუნი მყავდა, ფეხსაცმელებს რომ წვავდა; მამაჩემი იმიტომ ამოვიდა წუმპიდან, რომ ახლა ზღვის ჯებირების სულელურ გეგმას გაენადგურებინა... „სად იპოვე?" ეკვედრებოდი ფანჯარასთან მდგომი, ხოლო მეთევზის გაშვერილი თითი მატყუებდა და სადღაც შორს, ზღვისკენ მიმანიშნებდა.

სარეცხის კარადიდან გაძევებულია: „პინოქიო", „კიტრისცხვირა", „წვინტლიანი". ჩემს სამალავში ვიმალები, სადაც მის კაპადიას მოგონებისგან დაცული ვარ. ბრიჩქენდის სკოლაში ასწავლიდა. პირველ დღეს, დაფიდან რომ ჩემკენ მოსასალმებლად შემობრუნდა და ჩემი ცხვირი დაინახა, შეშფოთებულს მტვრის ჯაგრისი ხელიდან გაუვარდა და ფეხის ცერა თითის ფრჩხილი დაუმტვრია, მამაჩემს რომ შეემთხვა, ზუსტად ისე. სარეცხის კარადაში, ჭუჭყიან ცხვირსახოცებსა და დაჭმუჭნილ საღამურ პერანგებში ჩამარხულს, მავიწყდებოდა, რომ უშნო ვიყავი.

ტიფი შემეყარა. კობრას შხამმა გადამარჩინა, მაგრამ გამალებული ზრდა შევწყვიტე. ცხრა წლის ასაკში სონი იბრაჰიმი ჩემზე მაღალი იყო. ჩემი კუტუ გველს დაემსგავსა და ავადობისადმი იმუნიტეტი გამოუმუშავდა. ჩემ თვალწინ ადიოდა და ჩადიოდა, თითქოს მთელი ჩემი სხეულის ძალები ამ ერთ ნაწილში იყო თავმოყრილი... ცხვირიც, თვალსა და ხელს შუა, საუკეთესო ჯიშის კიტრივით გამეზარდა (მაშინ უნდა ამომსვლოდა სიბრძნის კბილები. ყველა მადლიერი უნდა იყოს ასეთი რამით).

რა არის ამ ცხვირში ისეთი? პასუხი ჩვეულებრივია: ცხვირი უბ-

---

[1] *კლარკ კენტი — ამერიკული კომიქსების პერსონაჟის, სუპერმენის ავტორების, ჯერი სიგალისა და ჯო შუსტერის მიერ შექმნილი ასეთივე წარმოსახვითი პერსონაჟი, თანამედროვე კომიქსების გმირი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რალოდ სასუნთქი ორგანოა; სასუნთქი ორგანოები; თმა. მაგრამ ჩემს შემთხვევაში პასუხი კიდევ უფრო მარტივი იყო, თუმცა საზიზღარი რამ უნდა ვთქვა: ჩემს ცხვირში იყო წვინტლი. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ დეტალებს უნდა ჩავულრმავდე: ცხვირში არსებული საცობი იძულებულს მხდიდა პირით მესუნთქა და თევზივით პირდაფჩენილი ვყლაპავდი ჰაერს. ცხვირის მუდმივმა ბლოკადამ ბავშვობა კეთილსურნელების გარეშე გამატარებინა. ვერ ვგრძობდი მუშკის, მანგოსა თუ სახლში დამზადებული ნაყინის სუნს; ჭუჭყიან სარეცხის სუნსაც ვერ ვგრძნობდი. ის, რაც სარეცხის კარადის მიღმა ჩემი ნაკლი იყო, სარეცხის კარადაში ჩემს უპირატესობად იქცა.

ავიკვიატე, რომ ცხვირის გამო ვწუხდი. მკაცრი სამოსი მეცვა, ჩემი დირექტორი, დეიდა ალია რომ მიგზავნიდა და ასე დავდიოდი სკოლაში. ვთამაშობდი ფრანგულ კრიკეტს, ვჩხუბობდი, ზღაპრების სამყაროში შევდიოდი... და ვწუხდი (მაშინ ალია უამრავ ბავშვის ტანსაცმელს გვიგზავნიდა და იმ ტანსაცმლის ნაოჭებში შინაბერას გესლს დებდა. თითბრის მაიმუნს და მე მისი ნაჩუქარი სამოსი გვეცვა, ბავშვის სამოსი — სიმწარისა და სიძულვილისა. მე თეთრი, მოკლე შარვალი მეცვა, რომელიც შურის სახამებლით იყო გახამებული. მანქის ლამაზყვავილებიანი კაბები მოსავდა, რომლიდანაც ალიას დაუფარავი შური იჭყიტებოდა... რა ვიცოდით, რომ გარდერობი დეიდაჩვენის შურისძიების ქსელში გვაბამდა. ჩვეულებრივ, კარგად ჩაცმულები დავდიოდით. ჩემი ცხვირი, განეშის სპილოს ხორთუმს რომ დაემგვანა, ძლიერად მსუნთქავი უნდა ყოფილიყო. ეს კი პირიქით, მუდამ გაჭედილი და ხის ფიგურასავით გამოუსადეგარი იყო.

საკმარისია. ჰოდა, ვიჯექი ჭუჭყიანი სარეცხის კარადაში და ცხვირზე არ ვფიქრობდი. არც იმაზე ვფიქრობდი, 1953 წელს ეკვესტზე რომ ავედი და ფეთხუმმა ვერცხლისწყალმა ჩაიხითხითა: „ჰეი, შენ ფიქრობ, რომ ცხვირსრუტუნას სახეს თენზინი ააცოცდებოდა?“ ჩემი მშობლები მუდმივად კამათობდნენ ჩემი ცხვირის გამო. აჰმედ სინაი ამინას მამას ადანაშაულებდა: „ჩემს ოჯახში ასეთი ცხვირი არავის ჰქონია! ჩვენ ლამაზი ცხვირები გვაქვს, ამაყი ცხვირები, სამეფო ცხვირები, ქალო!“ აჰმედ სინაიმ სწორედ იმ დროს დაიჯერა, რომ მართლა სამეფო გვარი ჰქონდა, რომელიც მაშინ მეთვოლდისთვის გამოიგონა. ჯინით გაჯერებული ხედავდა, დიდი მოგოლების სისხლი როგორ ჩქეფდა მის ძარღვებში... ისიც დამავიწყდა, რომ ერთხელ, რვა წლის რომ ვიყავი, მამაჩემი მთვრალი შემოვიდა ჩემს ოთახში,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზეწარი გადამხადა და იყვირა: „ვინ ხარ? სადღაციდან მოთრეული ღორი! ღორი!“ მე ნახევრად მეძინა, მაგრამ დავიბენი. ის მიყვიროდა: „ბინძურო! ღმერთი სჯის ბიჭებს, რომლებიც მასეთ რამეს აკეთებენ, აი, უკვე შოლტივით ცხვირით დაისაჯე, ხომ ხედავ, ზრდა შეგიწყდა. ის ერთი ნაწილი დაგიჭკნება!“ დედაჩემი საღამური პერანგით შემოვიდა და უთხრა: „კაცო, ღვთის გულისათვის, რატომ გააღვიძე ბავშვი“. მამაჩემის ტუჩებიდან ჯინი ბღაოდა, ჯინმა მთლიანად შეიპყრო მამა: „მის სახეს შეხედე! ეს ცხვირი, ასე დიდი, ძილისგან აქვს!“

სარეცხის კარადაში სარკე არ არის. იქ ვერც უზრდელი ანეკდოტები აღწევს და ვერც გაშვერილი თითები. მამების ბრაზს ჭუჭყიანი ზეწრები და საცვლები ახშობს. სარეცხის კარადა სამყაროს ორმოა. ადგილია, რომელიც ცივილიზაციამ უაზროდ მოიშორა. ამიტომ ყველაზე კარგ სამალავად იქცა. იქ მე ნადირ-ხანივით ვიყავი მიწისქვეშეთში ჩამალული. იქ ვერავითარი მტრობა, მშობლების გაუთავებელი მოთხოვნები ვერ აღწევს; იქ ისტორიაც ვერაფერს მოგთხოვს...

...ჰოდა, მამაჩემმა გაბერილ მუცელზე მიმიკრა და ემოციისგან დამხრჩვალი ხმით მითხრა: „კარგი, კარგი, დაწყნარდი, შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ; რაც გინდა, ის იყავი, ოღონდ სურვილი გქონდეს! ახლა დაიძინე“. მერი პერეირა მამაჩემის სიტყვებს იმეორებს და ლექსივით გამოსდის: „ის გახდები, რაც გინდა რომ გახდე, / ეს სურვილი, კარგო, უმალ ახდეს!“ უცებ გამახსენდა, რომ ჩემს ოჯახს კარგი ბიზნესის პრინციპისა სჯეროდა. ინვესტიცია რომ ჩადეს ჩემში, ახლა კარგ შემოსავალსაც ელოდნენ. ბავშვები ყველაფერს იღებენ: საკვებს, თავშესაფარს, ჯიბის ფულს, არდადეგებს და სიყვარულს. და ამ ყველაფერს მუქთად იღებენ. ზოგიერთ პატარა სულელს ჰგონია, რომ დაიბადა, კიდეც უნდა იზრუნონ მასზე. „უანგაროა ჩემი ცხოვრება“, — მღერიან ისინი. მაგრამ მე, პინოქიო, ანგარებას ვხედავ. მშობლებს არც მეტი, არც ნაკლები — მოგების მოტივი ამოძრავებთ. ზრუნვის სამაგიეროდ ჩემგან იმ დივიდენდს ელოდნენ, რომ დიდი კაცი გავხდებოდი. სწორად გამიგეთ, მეც ეს მინდოდა. დამჯერი ბავშვი ვიყავი და მსურდა, ის დანაპირები შემესრულებინა, რასაც ჩემს მშობლებს მკითხავები და ჩარჩოიანი წერილები ჰპირდებოდნენ. უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ მექნა ეს; საიდან მოვიდა სიდიადე? როგორ მოიპოვე ან როდის მოიპოვე?.. შვიდი წლის რომ გავხდი, ადამ აზიზი და პატივცემული დედა გვეწვივნენ. ჩემს დაბადების დღეზე, მეთევზის სურათზე რომ ბიჭებს აცვიათ, ისეთ სამოსში გამომაწყვეს. უცნაურ სამოსში


www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოკვეხებული ვიღიმებოდი და ვიღიმებოდი. „ჩემს პატარა ძეგარის ნატეხს შეხედეთ! — სიხარულით შესძახა ამინამ, როცა ცხოველების ფორმის ტკბილეულით გაწყობილ ტორტს ჭრიდა, — სეხედეთ, ლა ცაკვალელია, ოდესმე ცრემლს თუ შეამჩნევთ მის თვალზე!“

მინდოდა მეტირა იმის გამო, რომ ამ სამოსში გამომაკვეხეს და ჩემთვის მორთმეული საჩუქრების მთა შოკოლადებით აიკსო, მაგრამ თვალზე მომდგარი ცრემლი უკანვე ჩავიბრუნე. ტორტის ნაჭერი პატივცემულ დედას მივართვი, რომელიც ავად იყო და ლოგინში იწვა. კისერზე მეკიდა სტეთოსკოპი, რომელიც მომცეს. ბებიამ ნება დამრთო, გამესინჯა. მე ვარჯიში გამოვუწერე. „ოთახში უნდა იარო წინ და უკან, დღეში ერთხელ. თუ გინდა, მე დამეყრდენი. მე ექიმი ვარ“. სტეთოსკოპიანი ინგლისელი მილორდი ჯადოქრისხალიან ბებიას ოთახში დავატარებდი. ის კი მემორჩილებოდა და კოჭლობითა და კვნესით მომყვებოდა. სამ თვეში გამოჯანმრთელდა. მეზობლებმა მოგვილოცეს და ტკბილეულიც მოგვართვეს. პატივცემული დედა დედოფალივით იჯდა მისაღებ ოთახში და ამბობდა: „ხედავთ, ჩემმა შვილიშვილმა როგორ განმკურნა, იმასრაჰქვია, გენიოსია, გენიოსი! იმასრაჰქვია, ეს ღვთისგან მომადლებული ნიჭია“. მაშინ მართლა ასე იყო? შევწყვიტო ნერვიულობა? იყო თუ არა გენიოსი საერთოდ რამე კავშირში სურვილთან იმის გაგებისა, როგორ მომხდაროყო ეს ყველაფერი, ან შევძლებდი თუ არა ამას. იყო თუ არა სიტყვა გენიოსი ისეთი რამ, რაც გადამწყვეტ მომენტში უნაკლო და დახვეწილი შალვით ან მანტიასავით მხრებიდან ჩამომიცურდებოდა? გენიოსობა მოუხელთებელი რამაა... მაგრამ ბებიაჩემის ის ერთი, შემთხვევით ნათქვამი სიტყვა ჩემს ერთადერთ იმედად იქცა და როგორც მერე აღმოჩნდა, ბებია სიმართლისგან შორს სულაც არ ყოფილა (შემთხვევა მიახლოვდება და შუაღამის შვილებიც მელოდებიან).

წლების მერე, პაკისტანში, ამინა სინაიმ ძველი სარეცხის კარადა ხილვაში ნახა, სწორედ იმ ღამეს, ჭერი რომ ჩამოვარდა და თავი გაუჭეჭყა. ის ზმანება თვალწინ რომ აეტუზა, ამინამ არმინდასავით მიიღო, ისე, თითქოს ნათესავი ესტუმრა, რომლის დანახვა არ სურდა: „ოჰ, ისევ შენ ხარ? კარგი, რატომაც არა. ამ ბოლო დროს ხომ ჩემთან ბრუნდებიან. გეტყობა, უკან მოსახედი არაფერი დაგრჩენია“. დედა ნაადრევად დაბერდა. ჩვენს ოჯახში ყველა ქალს ასე დაემართა. კარადამ ის დრო გაახსენა, პირველად რომ სიბერე შეეპარა. 1956 წელს


www.PDF.ChiaturaINFO.GE

აუტანელი სიცხე, როგორც მერი პერეირამ მითხრა, რაღაც პატარა უჩინარმა მწერმა გამოიწვია, რომელიც ყველაფერს სიმხურვალეს უკიდებდა. ახლა ამინას ყურებში ის სიცხე მწერივით წუოდა. „მაშინ კოჟრები მკლავდნენ“, — თქვა ხმამაღლა. სამოქალაქო დაცვის მუშაკმა, რომელმაც სახლის ჩაბნელება ბრძანა, გულში გაიფიქრა, მოხუცები ომის დროს წარსულით ისუდრებიან და როცა საჭიროა, ნებისმიერ დროს მზად არიან სიკვდილისთვისო. მერე ბამბის პირსახოცების მთას გვერდი აუარა, წავიდა და ამინა იმ ფიქრებს მარტო შეატოვა. პირსახოცების ზვინით მთელი სახლი იყო სავსე... ნასიიხვი ამინას აქებდა: „რა დამოკიდებულება გაქვს, ჩემო კარგო, ყველაფრისადმი, ხმის რა ტონალობა! გეფიცები, გაოცებული ვარ, როგორ მსუბუქად, უჩინარივით დანარნარებ!“ მაგრამ იმ ცხელ, მწერებიან ზაფხულში მოხდენილი დედაჩემი კოჟრებს ველარ გაუმკლავდა, რადგან პურუშოთამს მაგიური ძალა უეცრად გამოეცალა. წყალმა თავი მოუტვლიპინა, ხოლო წლობით თავზე დამდინარე წვეთებმა ჯანმრთელობა შეურყია. ხომ არ განიხიბლა იმ ბავშვის გამო, ზეცით კურთხეული რომ ეგონა? მისმა შელოცვამ ჩემ გამო ხომ არ დაკარგა ძალა? ძალზე შეწუხებულმა უთხრა დედაჩემს: „არა უშავს, ცოტაც მოიცადე და ფეხებს განგიკურნავ“. მაგრამ ამინა კოჟრებმა უფრო შეაწუხა; ექიმები ნახშირორჟანგით უმუშავებდნენ და კოჟრიც ქრებოდა, მაგრამ მერე გაორმაგებული ძალით იჩენდა თავს. ამიტომ, ამინას კოჭლობა დაეწყო და ნარნარა სიარულს სამუდამოდ მოეღო ბოლო. მიხვდა, სიბერემ რომ მოუკაკუნა. (ფანტაზიების ნაკლებობას არ ვუჩიოდი, ამიტომ დედაჩემი თევზისბოლოიან ზღვის არსებად ვაქციე და ვუთხარი: დედა, შენ სირინოზი ხარ, ადამიანის ფორმა კაცის სიყვარულის გამო მიგიღია და ისე დადიხარ, თითქოს მჭრელ სამართებელზე აბიჯებდე-მეთქი. დედაჩემს გაეღიმა, მაგრამ სიცილით არ გაუცინია).

1956 წელი იდგა. აჰმედ სინაი და ექიმი ნარლიკარი ჭადრაკს თამაშობდნენ და დაობდნენ. მამა ნასერის მოწინააღმდეგე იყო, ნარლიკარი კი — მისი მომხრე. „ამ კაცმა საქმის კეთება არ იცის, მაგრამ თავისი სტილი აქვს“. სიტყვად გაკრეფილი და აწითლებული ნარლიკარი შეეპასუხა: „მერე, ვინ გაძალებს მის თავს“. ზუსტად ამ დროს ჯავაჰარლარ ნერუ ასტროლოგებს ეთათბირებოდა იმ ხუთწლიანი გეგმის თაობაზე, რომელიც ქვეყანას მორიგ უბედურებას ააცილებდა. და ვიდრე სამყარო აგრესიულისა და მაგიურის შერწყმას ახდენდა,


www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე ჭუჭყიანი სარეცხის კარადაში ვიყავი შემალული, რომელიც უკვე ისეთი დიდი აღარ იყო, როგორც ადრე და ამიტომ შვებას ველარ მგვრიდა. ამინა სინაი დანაშაულის გრძნობამ შეიპყრო.

ცდილობდა თავიდან ამოეგდო თავგადასავალი, რომელიც ცხენთა შეჯიბრებაზე შეემთხვა. დედამისის მიერ მომზადებულმა საჭმელებმა ცოდვის გემო დაუტოვეს, რომელიც ვერ მოიშორა; ამიტომ, ცხადია, კოჟრები სასჯელად მიიჩნია... არა მარტო იმის გამო, რომ წლების წინ მაჰალაჰმის თავგადასავალი გადახდა, არამედ იმიტომაც, რომ ქმარს ალკოჰოლიზმის ვარდისფერი ლაქები ვერ მოაშორა; იმის გამოც, რომ თითბრის მაიმუნი მართლა მაიმუნურად და არაქალურად იქცეოდა, იმის გამოც, რომ მის ერთადერთ ვაჟს ამსიგრძე ცხვირი მქონდა. ახლა, უკან რომ ვიყურები, ვხედავ, ამინას თავი დანაშაულის შეგრძნების სქელი ნისლით როგორ იბურება. შავი კანი შავ ღრუბლებს გამოყოფს და თვალებზე ეკიდება (პადმა დაიჯერებდა ამას, რადგან იცის, რასაც ვგულისხმობ!). დანაშაული იზრდებოდა, ნისლი უფრო სქელდებოდა — დიახ, ასე იყო, რატომაც არა! ჰოდა, იყო დღეები, როცა თავი კისერზე თითქმის შეუმჩნევლად ება!.. ამინა იმ იშვიათ ადამიანთაგანი იყო, სამყაროს ტვირთს თავიანთი ზურგით რომ ეზიდებიან. ისეთი იერი დაედო, თითქოს დანაშაულის ტვირთვა უხაროდა. და იმ დღიდან, ვინც უნდა მოსულიყო მასთან, ყველას უჩნდებოდა სურვილი, რომ თავიანთი ცოდვები ეღიარებინათ. ისინი დედაჩემის უძლეველი ხიბლით იხიბლებოდნენ და მის ძალას ნებდებოდნენ. ამინა კი ისე ტკბილად და ისე ნაღვლიან-ნისლიანად გაუღიმებდა, რომ ისინი ამსუბუქებული მიდიოდნენ და თავიანთ ტვირთს ამინას მხრებზე ტოვებდნენ. დანაშაულის ნისლი გასქელდა. ამინას ესმოდა, როგორ სცემდნენ მსახურებს და მთავრობის წევრებს როგორ ქრთამავდნენ. ბიძაჩემი ჰანიფი და მისი ცოლი ფია რომ გვესტუმრნენ, დეტალურად მოუყვნენ ამინას მათი დავის შესახებ. ლაილა საბარმათიმ დედაჩემს გაანდო, ქმარს რომ ღალატობდა, რადგან დედას ლამაზი, დამყოლი და ტანჯული ყური ჰქონდა. მერი პერეირა თავის თავს მუდმივად ებრძოდა და უძლეველ ცდუნებას სძლევდა, რომ ამინასთვის არ ეთქვა, რაც ჩაიდინა.

სამყაროს ცოდვებს შეჭიდებული დედაჩემი ნისლიანად იღიმებოდა და მაგრად ხუჭავდა თვალებს. იმ დროს, ჭერი რომ ჩამოიქცა და თავზე დაეცა, მხედველობა გამოუსწორებლად დაუზიანა, მაგრამ სარეცხის კარადას მაინც ხედავდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა იყო დედაჩემის დანაშაულის ფსკერზე დალექილი? მე ვგულისხმობ, რა იყო სინამდვილეში იმ კოჟრების, ჯინებისა და აღსარებების მიღმა? ეს იყო ენით უთქმელი წუხილის გრძნობა, ავადობა, რომელსაც სახელიც კი არა აქვს და რომელიც დიდი ხანია მიწისქვეშეთის ქმარს არ უკავშირდებოდა... დედაჩემი (მამაჩემივით) ტელეფონმა მოაჯადოვა.

ზაფხულის ცხელ დღეებში ტელეფონი რეკავდა. აჰმედ სინაის თავის ოთახში ეძინა. გასაღებები ბალიშის ქვეშ ჰქონდა შენახული, ჭიპლარები კი — კარადაში. ტელეფონის უსიამოვნო წკრიალი სიცხის დამყენებელი მწერების ზუზუნსაც ფარავდა. დაკოჭლებული ამინა ჰოლში გადიოდა, რომ ტელეფონისთვის ეპასუხა. და უცებ რა გამომეტყველება ედებოდა სახეზე? — სისხლივით წითლდებოდა... არ იცოდა, რომ აკვირდებოდნენ. ტუჩები თევზივით უფართხალებდა, პირიდან დამხრჩვალის ხმა ამოსდიოდა.. ხუთი წუთი უსმენდა და მერე გატეხილი ხმით ამბობდა: „უკაცრავად, ნომერი შეგეშალათ?“ თვალებზე ბრილიანტები რატომ უბრწყინავს?.. თითბრის მაიმუნმა მიჩურჩულა: „შემდეგში, ტელეფონი რომ დარეკავს, გამოვარკვიოთ“.

ხუთი დღე გავიდა. დადგა შუადღე. დღეს ამინა სახლში არ არის, ნასიიხვს სტუმრობს. რეკავს ტელეფონი. „ჩქარა, თორემ აჰმედი გაიღვიძებს!“ მაიმუნურად აღტკინებული მაიმუნი ყურმილს მანამდე იღებს, სანამ აჰმედ სინაი ხვრინვის რიტმს იცვლის... „ალო, დიახ? შვიდი-ნული-ხუთი-ექვსი-ერთია, ალო?“ ვუსმენთ და ნერვები გვაწყდება. ტელეფონი ხმას არ იღებს. მერე კი, როცა ყურმილის დაკიდებას ვაპირებთ, უცებ ხმა ისმის „...ოჰ, ...დიახ, ალო“. მაიმუნი თითქმის ყვირის: „ალო, რომელი ხართ?“ ისევ სიჩუმე. ხმა, რომელმაც ლაპარაკისგან თავი ვერ შეიკავა, პასუხზე ფიქრობს და უცებ: „...ალო, შანთიფრასადთრექჰაია კომპანია“. მაიმუნი სწრაფად ეკითხება: „დიახ, რა გნებავთ?“ კიდევ პაუზა და მერე ხმა უხერხულად და ბოდიშის მოხდით ამბობს: „სატვირთო მანქანას ვაქირავებ“.

ო, რა უმაქნისი ბოდიშია! ო, რა აჩრდილივით გამჭვირვალე პირმოთნეობაა! სინამდვილეში არავითარ სატვირთოებს არ აქირავებდნენ; ეს ხავერდოვანი, ხორციანი ხმა პოეტისა იყო... ამის მერე ტელეფონი გამუდმებით რეკავდა. ზოგჯერ დედა პასუხობდა და ჩუმად უსმენდა. ტუჩები კი თევზის ტუჩებივით უმოძრავებდა და ბოლოს, საკმაოდ გვიან იტყოდა ხოლმე: „შეგეშალათ, სხვაგან მოხვდით“. სხვა დროს მე და მაიმუნი ვიღებდით სატვირთო მანქანის შეკვეთებს. მე დავეჭვდი:


www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მაიმუნი, ის კაცი რატომ არასოდეს ფიქრობს, მოდიან თუ არა სატვირთო მანქანები?“ თვალებდაპრაწულ მაიმუნს ხმა უკანკალებს: „რა იცი და... იქნებ ფიქრობს!“

მაგრამ მე ვერ მივხვდი, როგორ უნდა ეფიქრა იმ კაცს ამაზე და ჩემს გულში ეჭვის მარცვალი ჩაითესა. პაწაწინა მარცვალი თუ ნაპერწკალი იმისა, რომ დედაჩვენს, ჰო, ჩვენს ამინას, შეიძლებოდა რაღაც საიდუმლო ჰქონოდა. ის ყოველთვის იტყოდა ხოლმე: „საიდუმლოს შეინახავ და შიგნიდან გამოგჭამს. საიდუმლოსგან უნდა დაიცალო, თორემ მუცელს აგატკივებს“. ეს უმნიშვნელო ნაპერწკალი ჩემმა სარეცხის კარადის თავგადასავალმა ხანძრად აქცია (რადგან, ამ შემთხვევაში, დედაჩემმა მტკიცებულება მომცა).

და როგორც იქნა, ჭუჭიანი სარეცხის დრო დადგა. მერი პერეირას ჩემთვის უყვარდა თქმა: „თუ გინდა, დიდი კაცი გამოხვიდე, შვილო, სისუფთავეს უნდა შეეჩვიო, ტანსაცმელი უნდა გამოიცვალო, ხშირად უნდა დაიბანო. მიდი, შვილო, მიდი, თორემ მეაბანოესთან გაგგზავნი და ქვაზე გაგხეხავს“. მერი რწყილებითაც მემუქრებოდა: „კარგი, ნუ დაიბან და მაგ რწყილების გარდა არავინ მოგეხვევა. ძილის დროს დაგასხდებიან და კვერცხებს შენს კანქვეშ დადებენ“. ადგილი, რომელიც დასამალად ამოვირჩიე, ნაწილობრივ ჩემს დაუმორჩილებლობას უსვამდა ხაზს. სახლის მწერებსა და მრეცხავებს შეჭიდებული, იმ კარადაში ვიმალებოდი, სადაც ჭუჭყიანი ზეწრები და პირსახოცები ძალასა და სიმშვიდეს მმატებდნენ. ცხვირს იმ გაქვავებულ ზეწრებზე ვიხოცავდი. ყოველთვის, როცა ხის ვეშაპიდან საშხეოზე გამოვდიოდი, ჭუჭყიანი სარეცხის სევდიანად დამწიფებული სიბრძნე მუდამ თან მახლდა და სიგრილის, ღირსებისმიღმამყოფობისა და საპნის საშინელი გარდაუვალობის ფილოსოფიას შთამაგონებდა.

ივნისის ერთ დღეს, ყველას რომ ეძინა, ფეხის ცერებზე გავიარე დერეფანი და ჩემს სამალავს მივადექი. გვერდი ავუარე მძინარე დედაჩემს და თეთრი სიჩუმის სამფლობელოში შევაბიჯე. ჩემს საიდუმლო სამალავს თავი ავხადე და მის რბილ შიგთავსში მოვკალათდი (თვალისმომჭრელად თეთრი რომ იყო), გონებიდანაც რომ არ მშორდებოდა. მსუბუქად ამოვიოხრე, როცა ჭუჭყისგან გახევებულმა ტანსაცმელმა ტანი დამიზილა და ცხრა წლის უმიზნო და ტკივილიანი ყოფა დამიამა.

ჰაერი ელექტრობითაა დამუხტული. ცხელა. ისეთი ზუზუნია, თითქოს ფუტკრები ბზუიან. ზემოთ, სადღაც ცაში, მანტია კიდია და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩამოვარდნას ელოდება, რომ მხრებზე სათუთად მომეხვიოს... სადღაც თითი ტელეფონის ციფერბლატს მიეპარა. ციფერბლატი ბრუნავს და ბრუნავს და ელექტროიმპულსებს სადენში გზავნის: შვიდი-ნული-ხუთი-ექვსი-ერთი... ტელეფონი რეკავს. მისი დახშული წკრიალი სარეცხის კარადაში აღწევს, რომელშიც ცხრა წლის ბიჭი მოუხერხებლად წევს... შემეშინდა, რომ მიპოვიდნენ, რადგან ხმები სულ უფრო ახლოს მოდიოდა. საწოლმა გაიჭრაჭუნა, დერეფანში ვიღაცის ჩუსტები აჩლაკუნდა. შემდეგ ტელეფონის წკრიალი შუაზე გაწყდა. ხომ არ მეჩვენება? დედაჩემის ხმა ისეთი ნაზია, რომ ძლივს ისმის. სათქმელს ისევ აგვიანებს: „უკაცრავად, ნომერი შეგეშალათ“.

აკოჭლებული ნაბიჯები საწოლს უბრუნდებიან. საშინელება მიახლოვდება. კარის სახელური მოძრაობს და გამაფრხილებლად ჭრიალებს. ფეხის ხმა თეთრ, გრილ სივრცეში სამართებელივით მსერავს. ყინულივით გავიყინე და ჯოხივით გავქვავდი. ცხვირი პირდაპირ ჭუჭყიან სარეცხზე წვეთავს. პიჟამის ლენტი, მარცხენა ნესტოში გველივით რომ შემიძვრა, უბედურებას მოასწავებს. სრუტუნი ახლა სიკვდილს უდრის, ამიტომ ამაზე არ ვფიქრობ.

...შიშისგან შებოჭილი თვალს სარეცხის ჭუჭრუტანიდან ვაპარებ და ქალს ვხედავ, აბაზანაში რომ ტირის. სქელი, შავი ღრუბლიდან ცრემლის წვიმა ცვივა. მეტი ხმაური და მოძრაობაა და დედაჩემი მხოლოდ ორ მარცვალს იმეორებს. იმეორებს და იმეორებს. თან ხელებს ამოძრავებს. სმენა დახშული მაქვს თეთრეულის გამო, მაგრამ მაინც მესმის რაღაც: დირ, ბირ თუ დილ? ან კიდევ, ჰა? რა? რა, მგონი — ნა, დიახ, ნა. ჰა და რა გამოვრიცხე. დილ და ბირ გაუჩინარდა და ჩემმა ყურებმა გაიგონეს სახელი, რომელიც მას მერე არ თქმულა, რაც მუმთაზ აზიზი ამინა სინაი გახდა. ეს სახელია ნადირი. ჰო, ნადირი. ნა-დირ-ი! ნა.

ამინა ხელებს ამოძრავებს. ხელებს ის დრო ახსენდებათ, აგრის სარდაფში გადაფურთხების თამაშით გართობის მერე რასაც აკეთებდნენ და ლოყებს სიხარულით ევლებიან, მკერდი აზღუდზე მაგრად ჩაუბღუჯავთ, მერე წელს ქვევით სიშიშვლეს ეფერებიან... ჰო, ჩემო სიხარულო, ამას ვაკეთებდით მხოლოდ. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემმა შეგვრთო ერთმანეთს. მერე შენ გაიქეცი. ახლა კი ეს ტელეფონი და ისევ ნადირი, ნადირი, ნადირი, ნადირი!.. წეღან ხელებს ტელეფონის ყურმილი ეჭირათ, ახლა საკუთარ სხეულს ეფერებიან. ნეტა, მისი ხელები რას შვრებიან?



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რას ეფერებიან?.. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან აქ და ახლა ამინა მარტოა მასთან, ვის სანუკვარ სახელსაც იმეორებს და იმეორებს მანამ, სანამ ტირილად არ წასკდება: „ღმერთო ჩემო, ნადირ-ხან, საიდან გაჩნდი?!“

საიდუმლო ამოფრინდა: კაცის სახელმა გაიჟღერა. ამინას ხელის ისეთი მოძრაობები აქვს, ადრე რომ თვალით არ მინახავს. თავი უფორმო ფიქრებით გამეჭედა. აზრები მტანჯავენ, რადგან სიტყვებით ვერ გამოვთქვამ. მარცხენა ნესტოში პიჟამის ზონარი ზევით-ზევით მიიწევს, რომ თავი შემახსენოს.

და აი, ახლა, ო, უსირცხვილო დედაჩემი ისეთ ორგულობას ამჟღავნებს, არც ერთ ოჯახში რომ არ გაგონილა. ო, როგორ უსირცხვილოდ იშიშვლებს თავის შავ მანგოს! — ამინა სინაი თვალებს იმშრალებს და ტრივიალურ აუცილებლობას ასრულებს. მე ჭუჭრუტანიდან ვუცქერ, როგორ იხდის კაბას! გულში ვეხვეწები, არ გინდა, არ გინდა, არ გინდა-მეთქი... თვალებს ვერ ვხუჭავ, გამიშეშდა და თვალის კაკლები იატაკზე დაგდებულ სარის მისდევენ. გონება, როგორც ყოველთვის, დანახულს თავისებურად გარდაქმნის. ჩემი ლურჯი, გაშტერებული თვალები რას ხედავენ! ბოლოკაბასაც იხდის და მერე — ო, რა საშინელებაა! — სარეცხის კარადიდან ვხედავ, როგორ იხრება, რომ ძირს დავარდნილი ტანსაცმელი აიღოს. თვალში ნემსივით მეყრება დედაჩემის მრგვალი, გიგანტური და ღამესავით შავი საჯდომი — შეუდარებლად დიდი მანგო! სარეცხის კარადაში წყობიდან გამოვდივარ და თავს ვებრძვი, რომელსაც უკვე ველარ ვაკონტროლებ... შავი მანგო ჭექა-ქუხილივით დამატყდა და ნერვები დამაწყვიტა. თან პიჟამის ზონარი ჩემზე გამარჯვებას ზეიმობს. და სანამ ამინა სინაი ღამის ქოთანზე ზის, მე... რა მე? დავაცემინე? არა, ეს დაცემინებაც არ ყოფილა, და კი არ გავნძრეულვარ, რაღაც განძრევაზე მეტი მომივიდა. დროა, გულახდილად გითხრათ: იმ ორმა მარცვალმა, მოფარფატე ხელებმა და შავმა მანგომ პირდაპირ გამანადგურა. ჩემი ცხვირი ქალური საჯდომისა და ქალური ღალატის დანახვაზე პიჟამის ზონარს დანებდა და სამყაროს შემარყეველი სრუტუნი ამოუშვა. ზონარმა ჩემი ცხვირის ნესტოში აღმასვლა გააგრძელა. თუმცა, სხვა რაღაცებიც მაღლა ადიან, მაგალითად, იმ ცხელი ინჰალაციის გამო, ჩემი ცხვირის წვინტლი დედამიწის მიზიდულობისა და ბუნების საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა. ცხვირშიდა არხები აუტანელ ზეწოლას განიცდიან... და მერე, ჩემს ცხრაწლიან თავში რაღაც ფეთ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქდება. წვინტლი მაღლა და მაღლა ადის და ახალ გზებს პოულობს, ისეთს, აქამდე რომ არ უპოვია და ლამის ტვინამდე აღწევს... უცებ შოკში ვვარდები. მგონი, ტვინის ელექტრობა ზიანდება.

ტკივილი.

თავში საშინლად გამაყრუებელი ხმაური ვიგრძენი... და ტვინის ჩაბნელებულ აუდიტორიაში ჩემმა ცხვირმა სიმღერა დაიწყო.

მაგრამ ახლა მოსმენის დრო არ არის, რადგან ერთი ხმა ძალიან ახლოა. ამინა სინაი კარადის ქვედა კარს აღებს და სარეცხში თავიდან ფეხებამდე გახვეული ძირს ვვარდები. პიჟამის ზონარი ცხვირს თავს ანებებს. დედაჩემის შავი ღრუბლები უცებ ელვამ გაანათა. გამომიჭირეს!..

„არ გიყურებდი! — ვიკივლე წინდებიდან და ზეწრებიდან, — არაფერი დამინახავს, ამი, გეფიცები!“

წლების შემდეგ ამინა ლერწმის სკამზე, გამოსაყენებლად უვარგის პირსახოცებს შორის იჯდა და რადიოს უსმენდა, რომელიც გადაჭარბებული, მოზეიმე პათოსით აცხადებდა ომის ამბებს. მაშინ გაახსენდა ამინას, ცერა და საჩვენებელი თითები ყურში რომ ჩამავლო, რადგან ვიტყუებოდი და მერი პერეირასთან მიმიყვანა. მერის, როგორც ყოველთვის, ლურჯ ოთახში ლერწმის მატრასზე ეძინა. დედამ უთხრა: „ეს ვირი, ეს არარაობა, იმით დაისჯება, რომ დღეს მთელი დღე ერთ სიტყვასაც არ იტყვის!“ სანამ ჭერი თავზე დაეცემოდა, ცოტა ხნით ადრე თქვა: „ჩემი ბრალია, ცუდად გავზარდე“. ბომბის აფეთქების ხმა რომ გაისმა, სარეცხის კარადის მოჩვენებას უკანასკნელად მიმართა: „წადი. გნახე და საკმარისია“.

სინას მთაზე წინასწარმეტყველ მუსას თუ მოსეს ციდან ბრძანება ჩაესმა. პირას მთაზე წინასწარმეტყველი მუჰამედი (ისევე ცნობილი, როგორც: მოჰამედი, მაჰომეთი, უკანასკნელი ერთადერთი და მაჰაუნდი) მთავარანგელოზ გაბრიელს (ან ჯიბრეელს) ელაპარაკებოდა. ჯონ კონონის ვაჟთა სკოლაში ანგლოშოტლანდიური განათლებით „კურთხეულ“ ჩემს მეგობარს, საირუსდიდს, სცენაზე ყოველთვის ქალის როლს რომ თამაშობდა, წმინდა იოანეს სიტყვები ჩაესმა ბერნარდ შოუს[1] მიერ თქმული. მაგრამ საირუსი გამონაკლისი იყო. იოანესგან განსხვავებით, რომელმაც ზეციური ხმა მინდორში გაიგონა, და მუსას, მოსეს და ბოლოსწინა მუჰამედის მსგავსად, მე ხმა მთაზე გავიგონე.

---

[1] *შოუ, ჯორჯ ბერნარდ (1856-1950) – ირლანდიელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუჰამედს (ღმერთმა აცხონოს მისი სული, არავის წყენა არ მინდა) ხმამ უბრძანა: „გაიმეორე!“ მუჰამედმა იფიქრა, გავგიჟდიო. პირველად მოშლილ რადიოსავით მოყაყანე ხმები ჩამესმა. დედაჩემმა რომ დუმილით დამსაჯა, შველას ვერავის ვთხოვდი. ორმოცი წლის მუჰამედი ცოლმა და მეგობრებმა გაამხნევეს და უთხრეს, ჭეშმარიტად შენ ხარ ღმერთის მოციქულიო. მე კი ცხრა წლის ასაკში დუმილით ვისჯებოდი, ამიტომ ვერც თითბრის მაიმუნს ვთხოვდი, მომშველებოდა და ვერც მერი პერეირას. დღე და ღამე მუნჯურად გავატარე და მარტომ შევეცადე გამეგო, რა მომივიდა, რომ ამ დროს დავინახე, გენიოსის მანტია ციდან როგორ დაეშვა მოხატულ პეპელასავით და ჩემს მხრებზე მოკალათდა.

იმ მუნჯ ღამეში (მე ვდუმდი, თორემ ზღვა ქაღალდივით შრიალებდა და მოჩვენების ფრთანაკრავი ყვავებიც ჩხაოდნენ; უორდენ-როუდიდან ტაქსების ნელი ხმაური აღწევდა. თითბრის მაიმუნს ისე ჩაეძინა, რომ სახეზე ცნობისმოყვარეობის ნიღაბი არ გაჰქრობია. მაგრამ სანამ დაიძინებდა, შემეხვეწა: „მიდი, რა, სალემ, ხომ ხედავ, არავინ გისმენს, მითხარი რა ჩაიდინე? მითხარი, მითხარი, მითხარი!“ ამ დროს ჩემში არსებული ხმები თავის ქალის კედლებს ეხლებოდნენ). აღტკინებამ შემიპყრო, თითქოს მწერები მუცელში დახტუნავდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩემი გონების კარი გაიხსნა, ერთხელ, ოდესღაც, თოქსი ქეთრექმა რომ ხელი ჰკრა. ამას მაშინვე ვერ მივხვდი. ამ კარიდან გავიჭყიტე და ბუნდოვნად და გაურკვევლად, მაგრამ მაინც დავინახე მანამდე ამოუხსნელი მიზეზი ჩემი დაბადებისა.

გაბრიელმა თუ ჯიბრეელმა მუჰამედს უბრძანა, გაიმეორეო და ასე დაიწყო მუჰამედმა ყურანის ქადაგება, რომელსაც არაბულად ალ-ყურანი ჰქვია. „გაიმეორე სახელითა უფლისა, ჩვენი შემოქმედისა, რომელმან კაცი სისხლის კოლტებისგან შექმნა“. ეს მოხდა ჰირას მთაზე, მექა შარიფის იქით; ხოლო მე, ორსართულიან გორაკზე, ბრიჩქენდის აუზებთან მყოფს ზეციურმა ხმამ მიკარნახა: „ხვალ!“ და მეც, აღფრთოვანებულმა გავიფიქრე: „ხვალ!“

მზე რომ ამოვიდა, მივხვდი, ხმების გაკონტროლება შეიძლებოდა. მე ხომ რადიომიმღებივით ვიყავი: გაგონილ ხმას მინდოდა ავუწევდი, მინდოდა — დავუწევდი. ცალკეულ, ინდივიდუალურ ხმებს ვარჩევდი. და, თქვენ წარმოიდგინეთ, თუ მოვისურვებდი, შემეძლო ეს ჩემი ახალაღმოჩენილი შიდაყური საერთოდ გამომერთო. შიშმა ისე მალე დამტოვა, რომ გავოგნდი. დილით ვფიქრობდი კიდეც, კაცო, ეს ხომ ინდოეთის რადიოზე უკეთესია, ცეილონის რადიოზეც უკეთესია-მეთქი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღური ლოიალობის გამოსამჟღავნებლად, ოცდაოთხი საათი რომ შესრულდა, თითბრის მაიმუნი დედაჩემის საძინებელში გაიქცა (მგონი, კვირადღე იყო და სკოლაში არ მიდიოდა. ანდა ზაფხული იყო, როცა სკოლები ხშირად იკეტებოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ენათა დემონსტრაციის დაწყებისას ავტობუსებზე თავდასხმებისა ეშინოდათ).

„დრო ამოიწურა! — წამოიძახა მაიმუნმა და დედაჩემი ნჯღრევით გააღვიძა, — ამა, გაიღვიძე, დროა, ახლა შეუძლია, რომ დაილაპარაკოს?"

„კარგი, — უთხრა დედაჩემმა, ჩემს ლურჯ ოთახში შემოვიდა, გადამეხვია და მითხრა, — ახლა გეპატია, მაგრამ იქ აღარასოდეს დაიმალო".

„ამი, — ვუთხარი აღელვებულმა, — ჩემო ამი, მომისმინე, რაღაც უნდა გითხრა. რაღაც ძალიან დიდი, მაგრამ ჯერ, გემუდარები, მამა გააღვიძე".

„რა? რატომ? — დედაჩემი ჯერ უარზე დადგა, მაგრამ მერე რაღაც უჩვეულო ამოიკითხა ჩემს თვალებში და აჰმედი გააღვიძა, — გთხოვ, მოდი, სალემს რაღაცის თქმა უნდა".

მთელი ოჯახი, მათ შორის ძიძაც, სასტუმრო ოთახში შეიკრიბა. გაბზარული ვაზებისა და ტახტის მსუქანი ბალიშების გარემოცვაში მყოფი, სპარსულ ხალიჩაზე ვიდექი და ჭერის ვენტილატორების მორიალე აჩრდილები თავზე დამტრიალებდნენ. ყველა გაფაციცებული თვალებით მიყურებდა. მე გავიღიმე და დავიწყე. ჩემში ჩადებული ინვესტიციის სარგებელს ვიხდიდი. ჩემი პირველი დივიდენდი — დარწმუნებული ვიყავი, ბევრ... შავი დედაჩემი, ტუჩგამოვარდნილი მამაჩემი, მაიმუნი და დანაშაულგაუმჟღავნებელი ძიძა დაბნეული და აღტაცებული მელოდნენ.

მიდი, ამოღერღე, პირდაპირ თქვი, ყოველგვარი გაფორმებისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე. „თქვენ პირველი გაიგებთ ამას, — ვთქვი დიდი კაცის ხმით, — გუშინ ხმები ჩამესმა. ხმები გონებაში შემოდიან და მესაუბრებიან. ნამდვილად ვიცი, ამი, მამა, რომ მთავარანგელოზები მელაპარაკებიან".

ახლა, — ვფიქრობ, — აი, ახლა დაიწყება მოლოცვები, ზურგზე მოთათუნებები, ტკბილეულით გამასპინძლება, საჯაროდაც გამოაცხადებენ, ფოტოებიც იქნება და ჩემი ოჯახი სიამაყით გაიხარებს. მაგრამ ჰოი, ბავშვურო გულუბრყვილობავ! გულახდილად ვეცადე, რომ გამეხარებინა. ისინი კი — ყოველი მხრიდან თავს დამესხნენ; მაიმუნიც გაბრაზდა და მითხრა: „ღმერთო, სალემ, მთელი ეს სპექ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტაკლი იმისთვის მოგვიწყვე, რომ შენი კიდევ ერთი სისულელე გამოგემჟღავნებინა?“ მერიმ მაიმუნზე უარესი რამ მითხრა: „დაგვიფარე, უფალო იესო! და რომში წმინდა მამავ! ასეთი მკრეხელობა არასოდეს მსმენია!“ მერიზე კიდევ უარესი რამ დედაჩემმა, ამინა სინაიმ მითხრა, ახლა შავი მანგო რომ არ უჩანდა, მაგრამ ის უსახელო სახელი ისევ ტუჩებზე ეცხო: „ღმერთო, დაგვიფარე! ეს ბავშვი ჭერს თავზე დაგვამხობს!“ (ესეც ჩემი ბრალი იყო?) „შე შავო ყაჩაღო! სალემ, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე? ღმერთო, რა მოუვიდა ჩემს საყვარელ ბიჭს — გიჟ მწვალებლად ხომ არ იქცევი?“ მაგრამ ამინას წივილზე უარესი მამაჩემის დუმილი იყო. შუბლზე უზომო სიბრაზის ნაოჭი აჯდა. უცებ კოტიტათითებიანი და მსხვილმაჯიანი ხელი ისე ძლიერად მტკიცა ცალ ყბაში, რომ მას მერე, მარცხენა ყურში წესიერად არ მესმოდა. შეშფოთებული ოთახის კიდევ უფრო შეშფოთებულ ჰაერში წავიბორძიკე, დავეცი და ჩემთან ერთად მწვანე მინის დაბურული ვაზაც გავიყოლე, რომელიც ნამსხვრევებად იქცა.

ცხოვრებაში პირველად რომ ვიყავი ჩემს თავში დარწმუნებული, სწორედ მაშინ გადამაყუდეს იმ ვაზასავით მწვანე დაბურულ სამყაროში, რომელიც ციცაბო ქარაფებით იყო სავსე. სამყარო, რომელშიც უკვე ველარავის მოვუყვებოდი, ჩემს თავში რა ხდებოდა. მწვანე მინის ნამსხვრევებმა ხელები გადამიყვლიფეს. უკვე გვიანი იყო, რადგან ის თავბრუდამხვევი სამყარო ჩემს ბედისწერად იქცა. მომესაჯა ეჭვებით გაჟტანჯულიყავი და თავი იმაზე მემტვრია, რა აზრი ჰქონდა ჩემს არსებობას.

სარეცხის კარადის გვერდით, თეთრფილებიან სააბაზანოში, დედაჩემმა ხელზე მერკუროქრომიანი ბამბა დამადო. ბინტმა ჭრილობები დამიფარა. კარში მამაჩემის ბრძანება გაისმა: „ქალო, დღეს ეგ მშიერი დარჩეს, გესმის? ეგ ხუმრობა ცარიელ კუჭზე შეირგოს!“

იმ ღამეს ამინას რამრამ სეთი ესიზმრა, ჰაერში რომ ცურავდა, თვალები კვერცხივით გადათეთრებული ჰქონდა და ამბობდა: „დაბანა დამალავს მას... ხმები წარმართავენ მას“... რამდენიმე დღე, სადაც უნდა წასულიყო ამინა, ეს სიზმარი მხრებზე აჯდა. ამიტომ, მხნეობა მოიკრიბა და თავის შეურაცხყოფილ ვაჟს იმ უცნაურად თამამი გამოხდომის შესახებ ჰკითხა. ბავშვობისას ჯერარდაღვრილი ცრემლებივით შეკავებული ხმით ვუპასუხე: „ვიხუმრე, ამა, სულელურად ვიხუმრე. შენ მართალი იყავი“.

ამინა ცხა წლის მერე გარდაიცვალა ისე, რომ სიმართლე ვერ გაიგო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რეალობა აღქმაზეა დამოკიდებული. რაც უფრო შორდები წარსულს, მით უფრო მყარი და დამაჯერებელი ხდება. აწმყოს რომ უახლოვდები, სულ უფრო და უფრო შეუძლებლად გეჩვენება. წარმოიდგინე, რომ კინოში, დიდ ეკრანთან ზიხარ სულ უკანა რიგში. მერე თანდათან პარტერიდან პარტერამდე ინაცვლებ და ისე წინ მოდიხარ, რომ ლამის ცხვირი ეკრანს მიადო. კინოვარსკვლავთა სახეები მოცეკვავე მარცვლებად იშლებიან. პაწაწინა დეტალები შემაშინებლად დიდ პროპორციებს იღებენ. ილუზია იფანტება — ან, უკეთ რომ ვთქვათ, ნათელი ხდება, რომ რეალობა თავად ილუზია ყოფილა... 1915 წლიდან 1956 წელს მივადექით. ასე რომ, ეკრანს კარგა გვარიანად მივუახლოვდით... მეტაფორას ვტოვებ და ყოველგვარი სირცხვილის გრძნობის გარეშე ხაზს ვუსვამ ჩემს დაუჯერებელ განაცხადს: სარეცხის კარადაში გადახდენილი უცნაური თავგადასავლის შემდეგ რადიოდ ვიქეცი.

...მაგრამ დღეს დაბნეული ვარ. პადმა არ დაბრუნდა, პოლიციას ხომ არ შევატყობინო? რამე ხომ არ შეემთხვა? უიმისოდ ჩემი თავდაჯერებულობა თავზე მენგრევა. ცხვირიც კი ხრიკებს მიწყობს: ლაიმისა და ლიმონის სუნს ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევ, მწნილების კასრებს შორის რომ დავბოდიალობ. აქაურობას ჩვენი ძალ-ღონით სავსე, თმიან-მკლავებიანი და თავდადებული ქალების არმია უვლის. თითქოს ეს ქალები პირზეხელებაფარებული ხითხითებენ, დამცინიან და ჩემზე ამბობენ, შეყვარებულმა მიატოვაო... პადმა და ეს ჩემზე დამხობილი ხითხითი ობობას ქსელივით ვრცელდება ჩემი ჭიპიდან... სიცხეს ვგრძნობ... ასეთ შემთხვევაში, ცოტა დაბნეულობა დასაშვებია. ჩემი ნაწერი გადავიკითხე და ქრონოლოგიური შეცდომა დამიშვია. მაჰათმა განდის მკვლელობის თარიღი არაზუსტია. მაგრამ ახლა აღარ ვიცი როგორ შეიძლებოდა მოვლენები სწორი თანამიმდევრობით განლაგებულიყო. ამიტომ, ჩემს საკუთარ ინდოეთში მაჰათმა განდი ისევ არასწორ დროს მოკვდება.

ნუთუ ერთი შეცდომა მთლიან ფაქტურას წაახდენს? ნუთუ ისე თავგამოდებით ვცდილობ მნიშვნელოვანება მივანიჭო ჩემს არსებობას, რომ მზად ვარ ყველა ფაქტი დავამახინჯო და თავიდან გადავწერო ჩემი დროის ისტორია, სადაც მთავარი როლი მე მექნება? დღეს ისე ვარ დაბნეული, რომ ამის განსჯის თავი არა მაქვს. დაე, სხვებმა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

განსაჯონ. მე კი უკან აღარ დავბრუნდები და დავამთავრებ იმას, რაც დავიწყე, თუნდაც დასასრული დასაწყისს არ დაემთხვეს...

ეს ინდოეთის რადიოა.

აღულებულ ქუჩაში გამოსულმა ირანულ კაფეში ვისადილე და ახლა ისევ დავუბრუნდი ჩემს ღამის ნათურას იაფფასიანი დენის გამანაწილებლით, რომელიც კომპანიონობას მიწევს. ცხელი ღამეა. ადუღებული ჰაერი მწნილის სუნითაა გარინდულ-გაჯერებული. სიბნელიდან ხმები ისმის. სიცხეში მწნილის დამთრგუნველი სუნი მოგონებებს აღძრავს და აწმყოსა და წარსულის მსგავსება-განსხვავებაზე აკეთებს აქცენტს... მაშინაც ცხელოდა; ახლაც ცხელა (თუმცა ცხელი სეზონი არ არის). წარსული მომავალს ჰგავს. ვიღაც იღვიძებს სიბნელეში და უჩინარი ხმები ესმის. მაშინ, ისევე როგორც ახლა, ხმამ ჰაერი დააყრუა. სიცხეში შიში დამწიფდა... ხმები (მაშინ და ახლაც) არ იყო შემაშინებელი. მას, ჭაბუკ სალემს აზრი აშინებს, აზრი, რომ მშობლები გადაიყვარებენ; რომ დაეჯერებინათ კიდეც მისთვის, ნიჭს მაინც სამარცხვინო ნაკლად მოუნათლავდნენ... ახლა, უფატმოდმყოფი ვგზავნი ამ სიტყვებს სიბნელეში და მეშინია, რომ არ დამიჯერებენ. ის და მე, მე და ის... მე უკვე მისი ნიჭი აღარ მაქვს; მას ჩემი არ ჰქონდა. ხანდახან უცხოდ მეჩვენება... მას ბზარი თითქმის საერთოდ არ ჰქონია და არც ობობას ქსელები ვრცელდებოდა მისგან სიცხეში.

პადმა დამიჯერებდა. მაგრამ აქ არ არის. მაშინაც და ახლაც შიმშილი სუფევს. თუმცა სხვადასხვაგვარი: მაშინ უარი ვთქვი სადილზე, ახლა კი მზარეული დავკარგე.

და კიდევ ერთი, უფრო აშკარა სხვაობაა: მაშინ რადიოს ცვალებადი ხმები არ არსებობდა (ხოლო ჩვენს სამყაროში ეს ხმები გამუდმებით ისმის მას შემდეგ, რაც ეს მწივანა მანქანა გამოიგონეს. და რა უნდა ექნა კაცობრიობას, სანამ მაკრატლების წკაპუნსა და მარყუჟის შეკვრას ისწავლიდა)... მაშინ, ცხრა წლის ასაკში ლოგინში რომ წვებოდა, არავითარი მანქანა არ სჭირდებოდა. მსგავსებსაც და განსხვავებულებსაც სიცხე გვაკავშირებს. სიცხის მოცახცახე ნისლი, მაშინაც და ახლაც, დროის ბუნდოვანებას მიბურღავს... სიცხის ტალღებზე რომ ვმოგზაურობ და დაბნეული რომ ვარ, — ეს შეგრძნებებიც მას ეკუთვნის.

აი, რა იზრდება კარგად სიცხეში: ლერწმის შაქარი, ქოქოსის პალმა, ფეტვის სახეობები: ზანგური ფეტვი, სორგო და სხვა, ასევე სელი, ჩაი, ბრინჯი. ჩვენი ცხელი ქვეყანა მსოფლიოში მეორეა, რომელიც


www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდი რაოდენობით ბომბას აწარმოებს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო, როცა გეოგრაფიას სიმკაცრით გამორჩეული ემილ ზაგალო გვასწავლიდა და მერე, კიდევ უფრო მკაცრი და ზორბა ესპანელი კონკისტადორი.[1] მაგრამ ტროპიკული ზაფხული უცნაურ ხილს ზრდის ეგზოტიკური ყვავილებით, რომლებიც ასევე ეგზოტიკურად ყვავიან და ღამეებს მუშკისმაგვარი მძიმე სურნელით ავსებენ, ადამიანებს მოუსვენარ სიზმრებს რომ ასიზმრებენ... მაშინაც და ახლაც ჰაერში მოუსვენრობა ტრიალებს. დემონსტრანტები ბომბეის ენობრივი საზღვრების მიხედვით დაყოფას მოითხოვენ. ზოგ პროცესიას მაჰარაშთრას[2] ოცნება უდგას სათავეში, ზოგს გუჯარათის[3] სიზმარი მიუძღვის წინ. სიცხე ტვინს ისე ღრღნის, რომ ფანტაზია და რეალობა ერთმანეთში ითქვიფება და გონებას ყველაფერი შესაძლებლად ეჩვენება. ნაშუადღევის ნახევრად მღვიძარე სიესტა[4] კაცთა გონებას ნისლიანი ქაოსით ბურავს. ჰაერი აღტკინებულ სურვილთა გადამდები წებოვანებითაა სავსე.

აი, რა იზრდება სიცხეში ყველაზე უკეთ: ფანტაზია, სიგიჟე და დაუოკებელი ვნება.

მაშინ, 1956-ში, ენობრივი საზღვრებით ქვეყნის დაყოფის მომხრენი დღისით არმიასავით დააბიჯებდნენ ქუჩებში. ღამით კი ჩემს თავში ჯანყდებოდნენ. თითქოს ამბობდნენ: ჩვენ შენი ცხოვრების ყველა ნაბიჯს დავაკვირდებით, რადგან შენი ცხოვრება ჩვენი ცხოვრების სარკეა.

დროა, ხმებზე ვისაუბრო.

ოჰ, ნეტა, ჰადმაც აქ იყოს...

რა თქმა უნდა, მთავარანგელოზების შესახებ ვიცრუე. მამაჩემის ხელი ცალ ყბაში რომ მომხვდა (განზრახ გააკეთა თუ შემთხვევით!), ერთგვარი იმიტაცია იყო იმ უჩინარი ხელისა, ერთხელ სახეში რომ სტკიცეს. მინდა ვთქვა, რომ მამაჩემმა ამით ერთი კარგი საქმე მაინც

---

[1] *კონკისტადორები (ესპ.) — 1. XV-XVI საუკუნეებში ესპანელი და პორტუგალიელი დამპრობნი ცენტრალური და სამხრეთი ამერიკისა. იმონებდნენ და მუსრს ავლებდნენ ადგილობრივ ინდიელ ტომებს. 2. იტყვიან საერთოდ დამპყრობებზე, მოძალადეებზე.*

[2] *მაჰარაშთრა — შტატი დასავლეთ ინდოეთში, შეიქმნა 1960 წელს ბომბეის შტატის სამხრეთ ნაწილისგან.*

[3] *გუჯარათი — გუჯარათების ენა, ერთ-ერთი ენა სამხრეთ-დასავლეთ ინდოარიული ქვეჯგუფიდან (ინდოევროპულ ენათა ოჯახი).*

[4] *სიესტა (ესპ.) — ესპანეთში, იტალიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში და სხვაგან: შუადღის დასვენება (სადილის შემდეგ, როდესაც ყველაზე ძალიან ცხელა).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გააკეთა: მაიძულა დავფიქრებულიყავი და მერე საერთოდ თავი დამენებებინა იმ მოჩვენებით-მაიმუნური ქცევისთვის, მისნობა რომ დავიბრალე. იმ ღამეს, შეურაცხყოფა რომ მომაყენეს, ჩემს თავში ღრმად შევძვერი და ჩემს დას, თითბრის მაიმუნს ყურადღება არ მიგაქცია, ჩვენი ლურჯი ოთახი მომაბეზრებელი კითხვებით რომ აავსო და თავზე დამაყარა: „ეს რატომ ჩაიდინე, სალემ? შენ ხომ სულ დამჯერი იყავი?“. მერე უკმაყოფილოს ჩაეძინა და ტუჩები ძილშიც უმოძრავებდა. მე კი მარტო დავრჩი მამაჩემის მკაცრი ხელის მიერ გამოცემულ ექოსთან, ახლაც რომ მარცხენა ყურში მიზუზუნებდა, თითქოს მეჩურჩულებოდა: „დაივიწყე მიქელი და გაბრიელი და კასიელი, საჩიელი და სამუელი! მთავარანგელოზები მოკვდავებთან აღარ ლაპარაკობენ. ზეციდან კარნახი არაბეთში დიდი ხნის წინათ დასრულდა. ბოლო წინასწარმეტყველი მხოლოდ იმიტომ მოვა, რომ სამყაროს დასასრული გვაუწყოს“. იმ ღამეს, როცა მივხვდი, რომ ჩემს თავში არსებული ხმები თვით ანგელოზთა მრავალრიცხოვნობასაც აღემატა, ვიფიქრე, რომ ბოლოს და ბოლოს, სამყაროს დასასრულის გამოსაცხადებლად არ ვიყავი არჩეული. ვერ ვიტყვი, რომ ფიქრმა შვება არ მომგვარა. ჩემში არსებული ხმები სიწმინდისგან ძალიან შორს და მკრეხელობასთან ძალიან ახლოს რომ იდგა, მტვრის ნაწილაკებივით გამრავლდა.

ეს ტელეპათია იყო, რომლის შესახებაც სენსაციური ჟურნალები წერენ. მე მოთმინებას ვითხოვ. დაიცადეთ. მხოლოდ დაიცადეთ. ტელეპათიაზე მეტიც იყო. ასე იოლად ჩამოსაწერი როდი ვარ.

მაშინ, ტელეპათია, არა? თავში მიფუთფუთებდა მილიონები, მასები და მსგავსი კლასები, შინაგანი მონოლოგი რომ ჰქონდათ საკუთარ თავთან და ჩემს თავში ადგილის დამკვიდრებისთვის ერთმანეთს ჯიკაობდნენ. თავდაპირველად, სანამ თამაშს დავიწყებდი, მსმენელის როლით ვკმაყოფილდებოდი და ენობრივი პრობლემა არსებობდა. ხმები მალაიალამისა და ნაგას დიალექტიდან დაწყებული ურდუსა და თამილის სამხრეთულ გაუგებარ დიალექტზე მეტყველებდნენ. მე მხოლოდ რაღაც ნაწყვეტებს ვიგებდი, ჩემი თავის ქალის კედლებს რომ ეხლებოდნენ. მოგვიანებით, როცა ჩავუღრმავდი, მივხვდი, რომ თურმე იმ ნაწყვეტებს ზედაპირიდან ვიკენკებოდი. იმის იქით კი, სიღრმეში, ენა ქრებოდა და აბსოლუტურად მკაფიო ფიქრის ფორმებით იცვლებოდა, რომლებიც სიტყვებს აღემატებოდა... ეს იყო იმის მერე, რაც ჩემს თავში არსებული პოლიგლოტური დომხალის საფარველქვეშ სხვა ძვირფასი სიგნალები გავიგონე. ეს სიგნალები სხვა ყველაფრისგან


www.PDF.ChiaturaINFO.GE

განსხვავდებოდნენ. უმეტესობა შორეული დოლის ხმასავით სუსტი იყო, მაგრამ ჩემს თავში არსებული ხმები თეკზის ბაზარივით მოჟაყანე კაკაფონიაში მაინც დაჟინებით აღწევდა... ის საიდუმლო ღამეული ხმები შუაღამის შვილთა ბედნიერების ქვეცნობიერ შუქურას ჰგავდა, მათ არსებობას რომ ანათებდა, თითქოს ამბობდა: „მე“. შორიდან, ჩრდილოეთისკენაც „მეს“ ამბობდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთითაც „მე“ იყო მისი კურსორი. „მე“. „და მეც“.

მაგრამ, საკუთარ თავს არ უნდა გადავუსწრო. თავდაპირველად, სანამ ტელეპათიას გავცდებოდი, მოსმენით ვკმაყოფილდებოდი. ჩემი შიდა ყური იმ ხმების „ტალღაზე მოვმართე“, რომლებსაც ვიგებდი. მალე იმ ყაყანიდან ჩემი ოჯახის ხმები გამოვარჩიე. მერი პერეირას ხმაც ვიცანი და მეგობრების, სკოლის ამხანაგებისა თუ მასწავლებლებისაც. ქუჩაში უცნობ გამვლელთა ქვეცნობიერ ნაკადსაც ვარჩევდი. ამ პარანორმალურ სამყაროში დოპლერის კანონი მოქმედებდა. ხმები გამვლელთა მოახლოებასთან ერთად ძლიერდებოდა და შემდეგ, რომ ჩაივლიდნენ, სუსტდებოდა.

ყველა ხმას ჩემთვის ვინახავდი. არავისთვის მითქვამს. ჩემი მარცხენა ცოდვილი ყური ყოველდღე მახსენებდა მამაჩემის მრისხანებას. ძალიან მსურდა, მარჯვენა ყური ჯანმრთელი შემრჩენოდა, ამიტომ, პირზე ბოქლომი დავიდე. საბედნიეროდ, ჩემს საყვარელ ოჯახს ისე სურდა დაევიწყებინა ჩემი გამოხდომა, როგორც მე მინდოდა სიმართლის დაფარვა.

„ო, სალემ, ეს გუშინ არ თქვი? სირცხვილი შენი. გირჩევნია, წახვიდე და პირი საპნით გამოირეცხო“... აი, ეს მითხრა ჩემი შერცხვენიდან ერთი დღის შემდეგ, დილით, მერი პერეირამ, აღშფოთებისგან ჯემივით რომ თიმთიმებდა. ჩემი რეაბილიტაციის სრულყოფილი საშუალება შემომთავაზა. თავი სინანულით ჩავქინდრე და უსიტყვოდ შევედი აბაზანაში. იქ კი, ძიძა და მაიმუნი გაოცებულები შემომყურებდნენ, რადგან კბილები, სასა და ღრძილები კბილის ჯაგრისზე წასმული აყროლებული „ქოული თარის“ ფირმის საპნით გავიხეხე. ჩემი დრამატული სინანულის შესახებ ხმა მთელ სახლში გაავრცელეს ძიძამ და მაიმუნმა. დედაჩემი გადამეხვია: „აი, ასე! კარგი ბიჭი ხარ, ეს ამბავი მეტად აღარ ვახსენოთ“, აჰმედ სინაიმ საუზმეზე თავი დააქნია და უხეშად შენიშნა: „ბიჭს იმის უნარი მაინც აქვს, რომ აღიაროს, ძალიან შორს რომ შეტოპა“.

მინით მოყენებული იარები რომ შემიხორცდა, ჩემი ნათქვამიც



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითქოს გაქრა და ჩემი დაბადების დღისთვის არავის ახსოვდა ის დღე, მთავარანგელოზები ტყუილად რომ ვახსენე. სარეცხი საშუალების გემო რამდენიმე კვირის განმავლობაში გამყვა და შემახსენა, რომ საიდუმლო უნდა შემენახა.

თითბრის მაიმუნიც კმაყოფილი იყო, მონანიეს რომ მხედავდა მისი აზრით. ჩემს ჩვეულ ფორმას დავუბრუნდი და ისევ დედიკოს ბუნჩულა ბიჭად ვიქეცი. ძველი წესრიგის აღდგენა ისე სწყუროდა მაიმუნს, რომ დედაჩემის საყვარელ ჩუსტებს ცეცხლი წაუკიდა და თავისი კუთვნილი ტიტული ისევ აღიდგინა. გარეთ კი მაიმუნი დედ-მამის დამჯერ შვილად იქცეოდა და ისეთ კონსერვატიულ გოგონას თამაშობდა ეს ალქაჯი, რომ ვერ წარმოიდგენდი. ჩემს გადახრაზე მეგობრებთან არ ლაპარაკობდა.

ამ ქვეყანაში ბავშვის ფიზიკური ან გონებრივი განსაკუთრებულობა ოჯახის სირცხვილად ითვლება, ამიტომ, ჩემმა მშობლებმა უბრალოდ უარი თქვეს, დაენახათ კიდევ ერთი საუხერხულო რამ ჩემში. ისინი ისედაც ხედავდნენ და შეეჩვივნენ კიდეც დაბადების გარეგნულ ნიშნებს: ჩემს კიტრივით ცხვირსა და გაღუნულ ფეხებს. ერთხელაც არ მიხსენებია, ყურში ზუზუნი ზარის ხმასავით რომ ჩამესმოდა, რაც სიყრუის ნიშანი იყო და მოვლითი ტკივილებიც რომ მტანჯავდა. მივხვდი, რომ საიდუმლო ყოველთვის ცუდი არ ყოფილა.

მაგრამ წარმოიდგინეთ, ჩემს თავში რა ქაოსი და დაბნეულობა იქნებოდა! ჩემი საშინელი სახის მიღმა, საპნის გემო რომ ჰქონდა, იმ ენის ზემოთ, გახვრეტილი ყურის აპკს იქით, არცთუ ისე დალაგებული გონება იყო ჩასაფრებული, რომელიც ცხრა წლის ბავშვის ჯიბესავით ხარახურით იყო სავსე... რაღაცნაირად შეეცადეთ და ჩემში შემოდით, ჩემი თვალებით დაინახეთ, ჩემი ყურით გაიგონეთ ის ხმები, მე რომ მესმოდა და შეიგრძენით ის ვალდებულება, მე რომ მავალებდა, არავისთვის გამემხილა. ყველაზე ძნელი იყო გაოცებულის როლის თამაში. დედაჩემი რომ მეტყოდა, ჰეი, სალემ, აბა გამოიცანი, სად მივდივართ პიკნიკზე — არი მილქ ქოლონიშიო! და მე აღტაცებული შევძახებდი: უუუ, რა კარგია-მეთქი, არადა, წინასწარ ვიცოდი ყველაფერი. დედაჩემის ჯერუთქმელი შინაგანი ხმა უკვე გავიგონე! ჩემს დაბადების დღეზე წინასწარ ვიცოდი, რა საჩუქარი იდო გაუხსნელ კოლოფებში. მათი მომტანის გონებაში ვკითხულობდი. ხიბლი ეკარგებოდა განძზე ნადირობის თამაშსაც, რადგან მამაჩემის თავში ყველა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გასაღები იდო, რომელსაც ვხედავდი. უფრო რთული იყო მამაჩემის ნახვა თავის კაბინეტში. აი, კაბინეტში ვარ და თავი ღმერთმა უწყის, რა დამპალი ნაგვით მევსება, რადგან მამა მდივან ქალზე ფიქრობს. აი, მის უკანასკნელ „კოკა-კოლას“ გოგონას — ალისას თუ ფერნანდას მამა გონებაში ნელ-ნელა აშიშვლებს და ეს ჩემს თავშიც ხდება! სრულიად შიშველი გოგონა ლერწმისძირიან სკამზე ზის. ახლა დგება და მის საჯდომზე ნიშნებს ვხაზავ — ამას მამაჩემი ფიქრობს, დიახ მამაჩემი, ახლა სასაცილოდ რომ მიყურებს. რა მოხდა, შვილო, კარგად ვერ ხარ? არა, კარგად ვარ, მამა, კარგად, უნდა წავიდე, საშინაო დავალება შევასრულო. და გავრბივარ, სანამ სახეზე გასაღებს არ ამოიკითხავს (მამაჩემი ამბობდა, რომ, როცა ვტყუოდი, შუბლი წითლად მიელავდა)... ხედავთ, რა რთულია! ბიძაჩემ ჰანიფს ჭიდაობაზე მივყავარ. სანამ ვალაბჰაი ფეთელის სტადიონთან მივედით ჰორნბიველარდზე და დარა სინჯისა და თაგრა ბაბას პლაკატებს ჩავუარეთ, მოვიწყინე. რატომ? იმიტომ, რომ ბიძაჩემის მოწყენილობა ჩემში იღვრება, მისი მხიარულების ღობის ძირში ხვლიკივით რომ ჩასაფრებულა. მოწყენილობას მენავე თაის მსგავსი როხროხა სიცილი ფარავს. შესანიშნავ ადგილზე ვზივართ და შევყურებთ, პროჟექტორის სინათლეები როგორ ცეკვავენ ერთმანეთს ჩაბღუჯული მოჭიდავეების ზურგებზე. მე კი ბიძაჩემის ნაღველმა ჩამბღუჯა და არ მიშვებს, მეჭიდავება. ეს ნაღველი არშემდგარი კინოკარიერის გამო აქვს. ძირს დაენარცხა და ალბათ ფილმს არასოდეს გადაიღებს. მე კი არ უნდა დავუშვა, რომ ამ სევდამ ჩემი თვალებიდან გამოჟონოს. ბიძაჩემი ჩემს ფიქრებს ურქენს: -ჰეი, ჰატარა მოჭიდავევ, სახეს რა გექაჩება ქვემოთ, გაფუჭებული ეკრანივით რომ ჩამოგიგრძელებია, ჩანა ხომ არ გიყიდო? მითხარი, რა გიყიდო? მე თავს ვაქნევ. არაფერი მინდა, ძია ჰანიფ. ის კი მშვიდდება, მერე იქით ბრუნდება და ყვირის, მიდი, დარა, მიდი, აჩვენე სეირი, მიდი, დარა! სახლში რომ ვბრუნდებით, დედაჩემი ნაყინის ჯამით კართან ჩაცუცქულა და თავისი ნამდვილი გარეხმით მეუბნება: გინდა, მომეხმარო, შვილო, ნაყინი გავაკეთოთ შენი საყვარელი ფსტის არომატით. მე ავთქვეფ. მაგრამ დედაჩემის შინაგანი ხმა თავში მეხლება და ვხედავ, როგორ უნდა, რომ თავისი ფიქრების ყოველი კუთხე-კუნჭული ყოველდღიურობით ამოავსოს, — იქ თევზის ფასიო, იქ საოჯახო საქმეების ნუსხაო, იქ ელექტრიკოსია მოსაყვანი, ვენტილატორი რომ შეაკეთოს სასადილო ოთახში. როგორ ცდილობს დედაჩემი, რომ მამაჩემის ყველა ნაწილი შეიყვაროს. უხსენებელი სიტყვა ოთახს ეძებს,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორი მარცვალია, რომელმაც მისგან იმ დღეს, საბაზანოში გამოჟონა: ნა დირ, ნა დირ, ნა. დედას სულ უფრო და უფრო უჭირს ტელეფონის ყურმილის დადება, რადგან ეს შემთხვევითი ზარები ორგაზმს განაცდევინებს. გეუბნებით, როცა ბიჭი დიდის ფიქრებით ფიქრობს, ეს ფიქრები მას ბრინჯივით აბნევს. ღამითაც არა მაქვს მოსვენება. შუაღამისას მერი პერეირას სიზმრები მაღვიძებს. ეს ღამიდან ღამემდე ასე გრძელდება, ზუსტად ერთსა და იმავე დროს და ეს დრო ჩემი პირადი ჯადოქარი საათია, და მერისთვისაც ისევე მნიშვნელოვანი, როგორც ჩემთვის. მერის სიზმრებს აწვალებს კაცი, რომელიც წლების წინ გარდაიცვალა — ჯოზეფ დ'კოსტა. სიზმარმა სახელიც მითხრა. სიზმარს რაღაც დანაშაული სუდრავს, რომლისა ვერაფერი გავიგე. ეს დანაშაული ჩვენშიც შემოდის, როცა მერის მიერ მოშზადებულ კერძებს მივირთმევთ. აქ რაღაც საიდუმლოა, მაგრამ რადგან ეს საიდუმლო მერის გონების წინა ნაწილში არ სუფევს, ამიტომ ვერ ვკითხულობ. ჯოზეფი ყოველღამე მასთან არის. ხან კაცის ფორმა აქვს, ხანაც მგლისა, ან ლოკოკინასი, ან კიდევ ცოცხისა. მაგრამ ჩვენ (მერიმ, რომელსაც ესიზმრება და მე, რომელიც სიზმარში ვიჭყიტები) ვიცით, რომ ისაა — უბედურების მომტანი, ულმობელი, ბრალმდებელი დ'კოსტა, მერის რომ სხვადასხვა არსებადქცეული წყევლის. როცა მგელია — მერის შეჰყმუის, როცა ლოკოკინაა — სლიპინა ნაკვალევით ფარავს, როცა ცოცხია — ჯოხივით სცემს... დილით მერი რომ მეუბნება: დაიბანე, მოემზადე და სკოლაში წადიო, მე ჩემგან წამოფრენილ კითხვებს ჩემშივე ვიხშობ. ცხრა წლისა ვარ და იმათ ცხოვრებაში ჩავიბენი და ჩავიკარგე, სიცხეში რომ ფუთფუთებენ.

ჩემი ადრეული ცხოვრების შესახებ საუბარს კიდევ ერთი მტკივნეული აღიარებით დავასრულებ: უცებ ვიფიქრე, მშობლების თვალში ავმაღლდებოდი, თუკი ჩემს ამ ახალ თვისებას საშინაო დავალებისთვის გამოვიყენებდი. მოკლედ, კლასში თაღლითობა დავიწყე. მასწავლებლებისა და ბევჯითი კლასელების შინაგან ხმაზე ვერთვებოდი და მათი გონებიდან ინფორმაციას ვკრეფდი. აღმოვაჩინე, რომ მასწავლებელთა უმეტესობა ამოცანის ამოხსნისას სწორ პასუხს გონებაში იმეორებდა. მაგრამ თუ ისე ხდებოდა, რომ იშვიათად, მასწავლებლის გონება სხვა რამეთი იყო დაკავებული, — ან სიყვარულის ისტორიით, ანდა ფინანსური პრობლემებით, მაშინ პასუხი ნაადრევად მომწიფებული გენიოსის, საირუსდიდის თავში უნდა ამომეკითხა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ უკვე მაღალ ნიშნებს ვიღებდი, თუმცა ვფრთხი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლობდი და იმას ვცდილობდი, რომ ჩემი პასუხები მათი პასუხებისგან ცოტა განსხვავებული და, ამდენად, დამაჯერებელი ყოფილიყო. მაშინაც კი, როცა ტელეპათიური შპარგალკა გამოვიყენე, რომ ინგლისური ტექსტი საირუსდიდისგან მომეპარა. ცოტა ჩემი ხელიც შევავლე, რომ არავის შეემჩნია, მოპარული რომ იყო. ჩემი მიზანი იყო, ეჭვები გამეფანტა. ეჭვები, მართალია, ვერ გავფანტე, მაგრამ ვერც ვერაფერი აღმომიჩინეს. ემილ ზაგალოს მრისხანე, შეკითხვებით სავსე თვალს არაფერი გამოეპარებოდა. მე მაინც ანგელოზივით ვიჯექი. განცვიფრებული და დაბნეული ინგლისურის მასწავლებელი თავს აქნევდა. მე კი ჩუმად ვაგრძელებდი თაღლითობას. ვიცოდი, რომ ოდესმე, შემთხვევით, ჩემი საიდუმლოც რომ გამომემჟღავნებინა, ისინი არასოდეს დამიჯერებდნენ.

მოდი, შევაჯამოთ: ჩვენი ახალშობილი ერის ისტორიის ამ გადამწყვეტ მომენტში, როცა ხუთწლიანი გეგმის მონახაზი კეთდებოდა, არჩევნები ახლოვდებოდა და ენის ნიშნით ქვეყნის დაყოფის მომხრენი ბომბეიში იბრძოდნენ, ცხრა წლის ბიჭმა, სალემ სინაიმ სასწაულებრივი ნიჭი შეიძინა. მის გაღატაკებულ, განუვითარებელ ქვეყანას შეეძლო მისი უნარი მრავალმხრივ გამოეყენებინა. ბიჭმა კი თავისი ნიჭი დამალა და თაღლითობასა და სხვათა ცხოვრების ჯაშუშობაში დაახურდავა. ეს საქციელი — რომელიც, ვაღიარებ, რომ გმირის საქციელი იყო, — შედეგად მოჰყვა მისი გონების დაბნეულობას, რომელშიც მორალი და პოპულარობა ერთმანეთში აითქვიფა. მორალში იმ საქმის კეთების სურვილი იგულისხმება, რომელიც შენ მიგაჩნია, რომ სწორია, პოპულარობაში კი ორჭოფული სურვილი იგულისხმება იმის კეთებისა, რაც სხვებს მიაჩნიათ სწორად. შეეშინდა, რომ მშობლები გარიყავდნენ და საკუთარ თავში ჩაიმარხა ცოდნა იმის შესახებ, რომ სხვა ადამიანად იქცა. სურდა, მშობლებს შეექოთ და თავის ნიჭს სკოლაში შეურაცხმყოფელი მისია დააკისრა. ხასიათის ეს სისუსტე, ნაწილობრივ, შეიძლება მის სათუთ ასაკს დავაბრალოთ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. დაბნეული აზროვნება მომავალში მთელ მის კარიერას დაღად დაემჩნევა.

როცა მინდა, საკუთარ თავს ძალიან მკაცრად განვსჯი.

რა იდგა ბრიჩქენდის სკოლის სახურავზე. სახურავზე ასვლა, ალბათ გემახსოვრებათ, ბუკინგემის ვილის ბაღის კედლიდან შეიძლებოდა. ეს კედელი უკვე თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებდა და იმ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზამთარსაც თავზე დაგვყურებდა, როცა სეზონს სიცივის მოტანა დაავიწყდა. კედელი უთვალთვალებდა სონი იბრაჰიმს, ვერცხლისწყალს, დონდლოს და მეც, ერთად რომ ვთამაშობდით ფრანგულ კრიკეტს და შვიდ ქვაფენილს. შემთხვევით შემოსწრებულ საირუსდიდთან და სხვა მეგობრებთან ერთად; ესენი იყვნენ: ფეთფერს ფიშვალა და გლენდიქეით ქოლაქო. რა ხდებოდა მაშინ, როცა თოქსი ქეთრექის ძიძამ ბოლო სართულიდან დაგვიღრიალა: „უზნეოებო! უსაქმურებო! შეწყვიტეთ ხმაური!“... ყველანი გავიქეცით. მერე ისევ დავბრუნდით. ფანჯრის წინ დავდექით და დავეჯღანეთ. მოკლედ, ის მაღალი, ლურჯი და მსხვრევადი კედელი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას დაჰყურებდა, თითქოს დროს ინიშნავდა და ელოდა არა მარტო ივი ბერნსის მოსვლას, არამედ იმასაც, თუ როდის ჩავიცვამდით გრძელ შარვლებს. ალბათ გამოცანის მინიშნება გინდათ? ერთხელ ბომბები ვინ დამალა? სად მოკლა ჯოზეფ დ'კოსტა გველის ნაკბენმა?..

როცა სულიერი ტანჯვა-წამების შემდეგ ხმებისგან გასაქცევსა და საშველს ვეძებდი, ეს საშველი ძველ საათიან კოშკში ვიპოვე. კოშკის კარი ღია იყო. აქ, ამ დაჟანგულ დროსთან განმარტოებულმა, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, პირველი გამოუცდელი ნაბიჯები გადავდგი იმ მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისკენ, რომლიდანაც მერე ველარასოდეს განვთავისუფლდი... ველარასოდეს, ვიდრე ქვრივმა...

სარეცხის კარადიდან რომ გამომაგდეს, ჩუმად და შეუმჩნევლად დავიწყე კოშკში ძრომიალი. როცა ცირკის მოედანი ცარიელდებოდა სიცხის გამო ან შემთხვევის გამო და ვისიმე აბეზარი თვალიც აღარ უყურებდა; როცა აჰმედი და ამინა ვილინგთონ-კლუბში ბანქოს სათამაშოდ მიდიოდნენ; როცა თითბრის მაიმუნი თავის ახალგაცნობილ მეგობარ გოგონებთან იყო ვოლსინგემის სკოლაში და ცურვის გაკვეთილებს ესწრებოდა... ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, როცა ვითარება მაძლევდა საშუალებას, — ჩემს სამალავში შევდიოდი, გავიშხლართებოდი თივის მატრასზე, რომელიც მსახურთა ოთახიდან მოვიპარე, ვხუჭავდი თვალებს და ჩემს ახალგაღვიძებულ შიდა ყურს (რომელიც ყველა ყურის მსგავსად ცხვირთან იყო კავშირში) მთელ ქალაქს შემოვატარებდი — ჩრდილოეთით და სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით — ყველაფერს ვასმენინებდი. თავიდან რომ ამეცილებინა იმათი ხმა, ვისაც ვიცნობდი, და ვისი მოსმენაც აუტანლად დამთრგუნველი იქნებოდა ჩემთვის. ამიტომ უცხო ხალხზე ვცდიდი ჩემს



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელოვნებას. ასე რომ, ინდოეთის საზოგადოებრივ საქმეებში ჩემს შეჭრას საძრახისი მიზეზი ჰქონდა: ძალიან რომ შევწუხდი ამდენი შინაგანი ხმით, შვების მოსაგვრელად გარე სამყაროს მივადექი.

მწყობრიდან გამოსული საათიანი კოშკიდან სამყარო ასეთი ჩანდა: პირველად ტურისტი ვიყავი, — ბავშვი, რომელიც საკუთარი გასაჭვრეტი „დილი დეკო“ მანქანის სასწაულებრივ ჭუჭრუტანებში იჭყიტება. თაჯმაჰალის ციხეს მსუქანი, მუცელატკივებული ინგლისელი ქალის თვალებით რომ შევხედე, ჩემს მარცხენა (დაზიანებულ) ყურში დოლების ხმები მიბრახუნებდნენ. ამის მერე, სამხრეთისა და ჩრდილოეთის დასაბალანსებლად, მადურაისმენაქშის ტაძარში ჩამოვხტი და მღვდლის მომაჯადოებელ, ფუმფულა ფიქრებში მოვიკალათე. შემდეგი ტური კონოტფლეისში მქონდა, ახალ დელიში, სადაც ავტორიქშის მძღოლის ფორმაში გადაცმულმა ვიმოგზაურე, თან საწვავის მომატებულ ფასებზე ვჩიოდი; კალკუტაში პირდაპირ წყლის მილში მეძინა. ახლა მოგზაურობის ჭიაშეჩენილმა ქეიფ ქომორანზე გადმოვინაცვლე და ის მეთევზე ქალი გავხდი, სინდისი რომ მოშვებული აქვს და სარი — მოჭერილი... სამზღვასშუა წითელ ქვიშაზე ვიდექი და დრავიდელ ქვების შემგროვებლებს იმ ენაზე ვეფლირტავებოდი, მეც რომ არ მესმოდა. მერე ჰიმალაიას მთებში ავედი და გუჯარის ტომის ხავსით დაფარულ ნეანდერტალურ ქოხშიც ვიყავი; შემდეგ სრულყოფილად მრგვალი ცისარტყელასა და კოლაჰოის მყინვარწვერის ქვეშ ვიდექი. ჯაისალმერის ოქროსფერ ციხესიმაგრეში მკერავი ქალის ცხოვრებით ვიცხოვრე. ხაჯურაჰოში ერთი მოზარდი სოფლელი ბიჭი ვიყავი, რომელმაც უხერხულობა იგრძნო იმის გამო, რომ მინდორში, ჩანდელას ტაძრის კედლების ქვაზე ამოკვეთილი ეროტიკული მინიატიურები იხილა და თვალი ვერ მოაშორა... მოგზაურობის ეგზოტიკურ სიმარტოვეში ცოტა შვება ვიგრძენი. მაგრამ, ბოლოს მოგზაურობა კმაყოფილებას არ მგვრიდა. ცნობისმოყვარეობამ შემჭამა: „მოდი, გამოვარკვიოთ, რა ხდება აქ სინამდვილეში“, — ვეუბნებოდი ჩემს თავს.

ჩემი ცხრა წლის ასაკის ელექტროსულით დამუხტული და წაქეზებული კინოვარსკვლავებისა და კრიკეტის მოთამაშეთა თავებში ჩავხტი. მოცეკვავე ვიჯაიანთიმალას შესახებ დარხეული ჭორების კულისებში შევძვერი; პოლი უმრიგარის გვერდით ვიდექი კრიკეტის სტადიონზე; მომღერალი ლათა მანგეშკარიც ვიყავი და კლოუნი ბუბუც, რომელიც სივილ ლაინის უკან რომ ცირკი იყო, იქ გამოდიო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და... ისე მიხტოდა გონება, რომ პოლიტიკასაც გადავეყარე. უტარ-პრადეშში მიწათმფლობელი ვიყავი. შარვლის ქამარი გამობერილ ღიპზე მასკდებოდა და მსახურებს ვუბრძანებდი, ჩემი ბურღულის ფაფა ცეცხლზე შემოედგათ... მერე ორისაში ვიყავი და შიმშილით ვკვდებოდი, რადგან იქ, როგორც ყოველთვის, საკვების ნაკლებობა იყო, თან ორი თვისა ვიყავი და დედაჩემს რძე გაუშრა. მერე კონ-გრესის პარტიის მუშაკის გონებაში მოვკალათდი, და შევიტყვე, რომ სოფლის სკოლის მასწავლებელს ქრთამავდა, რომ მომავალ საარჩევ-ნო კამპანიაში განდისა და ნერუს რეიტინგს დასწეოდა; კერალელი გლეხის ფიქრებშიც შევძვერი, რომელიც კომუნისტებისთვის ხმის მიცემას აპირებდა. უფრო გავთავხედდი და ერთ დღეს სახელმწიფო მინისტრის გონება დავლაშქრე. როგორც აღმოვაჩინე, მინისტრი მო-რარჯი დესაი, ყოველდღე საკუთარ შარდს სვამდა... ეს ამბავი ოცი წლის შემდეგ ანეკდოტად იქცა. ვიჯექი მასში და თბილი, ქაფიანი შარდის გემოს ვგრძნობდი, მინისტრი რომ ყლურწავდა. დაბოლოს, მწვერვალს მივადექი: პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლარ ნერუდ ვიქეცი, მოჩარჩოებულ წერილებს რომ გზავნიდა. ამ დიდებულ კაცთან ერთად უკბილო, წვერგაბურძგნილ ასტროლოგებში ვიჯექი და ხუთწლიანი გეგმის პლანეტების მუსიკასთან ჰარმონიულ შეხამებაზე ვმსჯელობ-დი... დიდი კაცის ცხოვრება გადამდებია. „შემხედეთ! — ვამბობდი ჩუმად, — სადაც მოვისურვებ, ყველგან წავალ!“ იმ კოშკში, რომელიც ოდესღაც ჯოზეფ დ’კოსტას სიძულვილის ბომბებით იყო სავსე, ეს ფრაზა (საათის წიკწიკის აკომპანემენტში) ჩემს ფიქრებში ჩავარდა: „მე ვარ ბომბი ბომბეიში... შემხედეთ, როგორ ავფეთქდები!“

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სამყაროს ვქმნიდი და ფიქ-რები, რომელშიც ვხტებოდი, თითქოს მე მეკუთვნოდა. თითქოს სხე-ულები, რომელშიც ვძვრებოდი, ჩემს ბრძანებას ემორჩილებოდნენ; თითქოს მიმდინარე მოვლენებს, ხელოვნებას, სპორტს, რადიოსად-გურს მე ვაძლევდი გასაქანს... ხელოვანის ილუზიებში შევიჭერი და სამყაროს მრავალრიცხოვან რეალობას დავეუფლე, ისეთივე მზასა და უფორმოს, როგორიც ჩემი ნიჭი გახლდათ. „ნებისმიერი რამის ამოც-ნობა შემიძლია! — ვამბობდი გამარჯვებული ხმით, — რა ჯანდაბა უნდა იყოს ისეთი, მე რომ არ ვიცოდე!“

დღეს, უკან რომ ვიხედები და იმ დაკარგულ წლებს ვიგონებ, შე-მიძლია ვთქვა: მაშინ, საკუთარი თავის განდიდების მანიამ რომ შე-მიპყრო, ეს თვითგადარჩენის ინსტინქტისა და რეფლექსის შედეგი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო. მე რომ საკუთარი თავის რწმენა არ მქონოდა, მაშინ მასის სიმრავლე წამლეკავდა... იქ კი, ჩემს საათიან კოშკში ისეთი თავხედი ბედნიერება დამეუფლა, რომ უძველეს მთვარის ღვთაებად, სინად ვიქეცი (არა ინდური, არამედ ძველი ჰადრამაუთული ღვთაება), რომელიც შორიდან მართავს სამყაროს.

თუმცა, მეთვოლდის მამულს სიკვდილი რომ ეწვია, მაინც გავოცდი.

აჰმედ სინაის შემოსავლების გაყინვა მრავალი წლის წინათ დამთავრდა, მაგრამ წელს ქვემოთ მაინც ყინულივით ცივი იყო. იმ დღეს დაიყვირა, ნაბიჭვრებმა ყვერები ყინულის ვედროში ჩამაყოფინესო; ამინა ხელებით შეეცადა მათ გათბობას, მაგრამ თითები ყინვამ ზედ მიუწება. მის სასქესო ორგანოს აისბერგში ჩამალულ იმ თმიან სპილოსავით ეძინა, რუსეთში 56 წელს რომ აღმოაჩინეს. დედაჩემი, ამინა, ბავშვების გულისთვის რომ გათხოვდა, გრძნობდა, თითქოს მის საშოში წარმოუქმნელი სიცოცხლეები ლპებოდნენ და თავის თავს ადანაშაულებდა, რომ ქმრისთვის მიეშზიდველი აღარ იყო, თუნდაც მისი კოჟრების გამო. მერი პერეირას უყვებოდა თავის უბედურებას, მაგრამ ძიძა მარტო იმას ეტყოდა ხოლმე, რომ კაცთაგან ბედნიერებას არ უნდა ელოდო. მწნილებს ერთად აკეთებდნენ და საუბრობდნენ. ამინა თავის სასოწარკვეთილებას ცხელი ლაიმის საწებელში ურევდა, რომელიც ყველას ცრემლებს ჰგვრიდა.

აჰმედ სინაის სამუშაო საათები სავსე იყო ფანტაზიებით, რომ თითქოს შიშველი მდივნები იწერდნენ მის ნაკარნახევს, თითქოს პოპები და ფერნანდები ოთახში დადიოდნენ და საჯდომზე წკნელის ცემისგან ხაზები ემჩნეოდათ, მაგრამ ეს მაინც ვერ შველოდა და მისი აპარატი პასუხს არ იძლეოდა. ერთ დღეს, ნამდვილი ფერნანდა და პოპი რომ სახლში გაუშვა, ნარლიკარს ჭადრაკს ეთამაშებოდა. ენა ჯინმა მოუდუნა და ნარლიკარს უხერხულად გაანდო: „ნარლიკარ, მგონი ინტერესი დამეკარგა შენ-კარგად-იცი, რის მიმართ“.

გინეკოლოგს სახე სიამოვნებით გაებადრა. ბავშვების გაჩენის წინააღმდეგი რომ იყო, არ ამხელდა. კინაღამ თვალებიდან ამოხტა და წამოიყვირა: „ბრავო! ძმაო, სინაი, რა მაგარია! მე და შენ, ძმაო, ორივე იშვიათი სულიერი ღირსებების მქონე პიროვნებები ვართ! სხეულის ფშვინვიერებაზე მაღლა ვდგავართ. შესანიშნავი არ არის, წინ აღუდგე გამრავლებას და თავიდან აიცილო კიდევ ერთი საცოდავი მშიერი არსება, რომელიც მათხოვრობისთვისაა განწირული. ამის მაგივრად


www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიწის მეტი სიხალვათე უზრუნველვყოთ მათთვის. გეუბნები, ჩემო მეგობარო, შენ და მე ჩვენი ჯებირებით ოკეანიდან მიწას მოვიტანთ!“ ნარლიკარის ნათქვამი რომ დაელოცა, აჰმედ სინაიმ სასმელი ჩამოასხა. მამაჩემმა და ექიმმა ნარლიკარმა თავისი ოთხფეხა ცემენტის ოცნების სადღეგრძელო შესვეს.

„მიწა და არა სიყვარული!“ გაიმეორა ექიმმა ახლა უკვე ბორძიკით. მამამ ჭიქა ისევ შეუვსო.

1956 წლის ბოლოს, ზღვიდან მოსაპოვებელი მიწის ოცნება, რომელიც ჯებირების დახმარებით უნდა განხორციელებულიყო, ჩანდა, რომ ნაყოფს მალე გამოიღებდა. ეს ოცნება მაშინ იმ გამყინვარების მიზეზი რომ იყო, ახლა მამაჩემისთვის სექსუალური ცხოვრების სუროგატად იქცა; მოგვიანებით კი, გამყინვარების შემდეგ, ამ ოცნებამვე უმუხთლა. ახლა აჰმედ სინაი ფულს ფრთხილად ხარჯავდა. იმალებოდა და დოკუმენტებს ხელს არ აწერდა. გამყინვარებამ ჭკუა ასწავლა და ცდილობდა, ყურადღება არ მიეპყრო; როცა ექიმმა ულალატა იმით, რომ გარდაიცვალა, არც ერთ დოკუმენტში მამაჩემის სახელი არ ფიგურირებდა. აჰმედ სინაი (როგორც ვნახეთ, მიდრეკილება ჰქონდა, რომ უბედურებაზე ცუდად რეაგირებდა) მარცხის გრძელ, გველივით დაკლაკნილ სპირალს ჩაჰყვა და ისე ჩაიყლაპა, რომ იქიდან თავის ამოყოფა სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოახერხა, ფაქტობრივად მანამდე, სანამ ცოლი არ შეუყვარდა.

ეს ამბავი მეთვოლდის მამულში გვაბრუნებს: ექიმი ნარლიკარი მერინ დრაივზე მეგობრებს სტუმრობდა. იქიდან წამოსულმა გადაწყვიტა ფეხით გაევლო ჩოფეთი-ბიჩზე და თავისთვის ცოტა ქოქოსის რძე ეყიდა. ზღვის კედელს რომ ჩაუარა, ენის დემონსტრანტებს აედევნა, ნელა რომ მიდიოდნენ და მიღიღინებდნენ. ექიმი ნარლიკარი მიუახლოვდა ადგილს, სადაც მუნიციპალურმა კორპორაციამ ერთადერთი სიმბოლური ჯებირი დაადგმევინა ზღვის კედელზე, შუქურას რომ ჰგავდა, თითქოს მომავალს მიანიშნებსო. აქ ნარლიკარმა ისეთი რამ შეამჩნია, რამაც გონება დააკარგვინა. მათხოვარი ქალები ჯებირის ირგვლივ შეკრებილიყვნენ და პუჯას მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებდნენ. ნავთის ლამპები ჯებირის ძირში დაედგათ. ერთმა მათგანმა ჯებირს წვერზე სიმბოლო მიახატა. ლოცვებს ამბობდნენ და კერპად ქცეულ ცემენტს წყალს ასხურებდნენ. ტექნოლოგიური სასწაული შივას ფალოსად აქციეს. განაყოფიერების წინააღმდეგი ექიმი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნარლიკარი ამ სანახაობამ ჭკუიდან შეშალა. მოეჩვენა, რომ ძველი, ფალოსური გამანაყოფიერებელი ძალები ამ XX საუკუნის უსქესო ცემენტის სილამაზეს შეეჯახა... ექიმი ახლოს მივიდა და ჯერ ქალები გამოლანძღა, თან სიბრაზისგან ცეცხლივით ბრიალებდა, მერე ლამპები აუყირავა; ქალებსაც ხელი წაჰკრა. ეს თვალში მოხვდათ ენის დემონსტრანტებს.

დემონსტრანტებმა ნარლიკარის ლანძღვა გაიგონეს. სვლა შეანელეს და აყვირდნენ, თან მუშტებს იქნევდნენ, იგინებოდნენ და იმუქრებოდნენ. ამაზე ექიმი, რომელსაც ბრაზმა სიფრთხილე სულ დააკარგვინა, ბრბოს მიუბრუნდა და ჯიშიან-გვარიანად გამოლანძღა. ბრბო გაჩუმდა და დაიძაბა. მერე სიჩუმით დაიძრა აპილპილებული გინეკოლოგისკენ, რომელიც აწივლებულ ქალებსა და ჯებირს შორის იდგა. დემონსტრანტებმა ნარლიკარს ხელი სტაცეს. ის კი ოთხფეხა ცემენტს მიეწება. დემონსტრანტებმა მისი ცემენტისგან მოგლეჯა სცადეს. შიშმა ნარლიკარს აკმეასებური ჩაბღაუჭების ძალა მისცა. ხელები ჯებირს მიეწება და ვერაფრით ააღლიტეს. ახლა დემონსტრანტები ოთხფეხა ცემენტს მისცვივდნენ და მისი დაქანება დაიწყეს. მათმა მრავალრიცხოვნობამ ჯებირის ძალა გადაიწონა. იმ ავის მომასწავებელ, დემონურ სიჩუმეში „შივას ფალოსი“ აყირავდა... მოემზადა იმისთვის, რომ მისი ტიპის ჯებირებში პირველი შესულიყო წყალში და მიწის დაბრუნების გრანდიოზული სამუშაო წამოეწყო. მუნჯურად პირდაღებული ექიმი სურეშ ნარლიკარი ჯებირს მანათობელი მოლუსკივით მიეკრა... კაცი და ოთხფეხა ცემენტი უხმოდ გადავარდა. ბრბო წყლის ხმაურმა გამოაფხიზლა და ხიბლიდან გამოიყვანა.

ამბობენ, როცა ექიმი ნარლიკარი თავისივე საყვარელმა ახირებამ გაჭეჭყა და სიცოცხლეს გამოასალმა, გვამის მოძებნა არ გასჭირვებიათ, რადგან ნარლიკარის სხეულმა წყლიდან ცეცხლივით ამოანათაო.

„რა ხდება, ხომ არ იცი?“ ბავშვები ესკორიალის ვილის ღობესთან შეეგროვდით. აქ მარტოხელა ექიმი ცხოვრობდა. ლაილა საბარმათის მსახურმა მწუხარებით შეგვატყობინა, სახლში აბრეშუმში გახვეული მოიყვანესო.

მე არ შემიშვეს ექიმის სანახავად, ზაფრანის ყვავილებით გაწყობილ საწოლზე რომ იწვა. სამაგიეროდ, ყველაფერი შევიტყვე, რა როგორ მოხდა, რადგან ამბავი მისი ოთახიდან სწრაფად გავრცელდა. უმეტესად მსახურებმა მიამბეს. მსახურები სიკვდილზე გახსნილად



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლაპარაკობდნენ და ეს მათთვის ბუნებრივი იყო. სიცოცხლეზე იშვიათად თუ რამეს იტყოდნენ, რადგან ცხოვრებაში ხომ ისედაც ყველაფერი აშკარაა. ექიმი ნარლიკარის მეკუბოვემ მითხრა: ნარლიკარის სიკვდილმა იმდენი ზღვის წყალი ყლაპა, რომ წყლის თვისებები შეიძინა: გათხევადდა და რომელი მხრიდანაც სინათლე ეცემოდა, იმის მიხედვით ხან ბედნიერი ჩანდა, ხან მოწყენილი და ხანაც უემოციოო. ჰომი ქეთრექის მებაღეც ჩაერთო ლაპარაკში: „სიკვდილზე დიდხანს ყურება საშიშია, შეიძლება ცოტა შენშიც შემოვიდეს და დაგაზიანოს“. ჩვენ ვკითხეთ: ზიანი? რა ზიანი? როგორ? ამ დროს, გურუ პურუშოთამმა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში პირველად მოსცილდა ონკანს, თქვა: „სიკვდილი ცოცხალთა სარკეა, მასში ნათლად ხედავენ თავის თავს. სიკვდილთანმყოფობით ცოცხლები გადაჭარბებულნი ხდებიან“. ეს უჩვეულო ნათქვამი მოვლენებმა კიდევ უფრო ცხადყო. თოქსი ქეთრექის ძიძა, ბი-აფა, რომელმაც მიცვალებული გააპტიოსნა, იმის შემდეგ უფრო ანჩხლი, მკაცრი და საშინელი გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ექიმი ნარლიკარის სიკვდილმა ყველაზე იმოქმედა. ნასიიხვი უფრო სულელი და უფრო იხვი გახდა; ლაილა საბარმათიმ, სიკვდილის ზედა სართულში რომ ცხოვრობდა და ოთახის დალაგებაში ეხმარებოდა, შემდეგში თავაშვებულ სექსუალურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ეს ცხოვრება ალბათ ადრევე ჩაუსაფრდა და ისეთ გზაზე გაიყვანა, რომლის ბოლოში ტყვიების ცეცხლი იფრქვეოდა. მისმა ქმარმა, სარდალმა საბარმათიმ, ქოლაბას კუნძული ყველაზე უჩვეულო ხელკეტით მოიარა...

ჩვენი ოჯახი სიკვდილს არ გაჰკარებია. მამაჩემი სამძიმარზე არ წასულა და მერეც, მის გარდაცვლილ მეგობარს არა სახელით, არამედ „მოღალატედ“ იხსენებდა.

ორი დღის შემდეგ, როცა ეს ამბავი გაზეთშიც გაცხადდა, ექიმ ნარლიკარს უცებ ნათესავი ქალების უზარმაზარი არმია გამოუჩნდა. მთელი ცხოვრება ქალთმოძულე მარტოხელა კაცი იყო და ახლა ზორბა, ხმაურიანი და სრულუფლებამოსილებით აღჭურვილი ქალების ზღვაში ჩავარდა. ეს ქალები ქალაქის უცნაური კუთხეებიდან გამოხოხდნენ: რძის მაღაზიებიდან და კინოს სალაროებიდან, ქუჩის სოდიანი წყაროებიდან და უიღბლო ქორწინებებიდან; ერთ წელიწადში მათი ნაკადი ორსართულიან გორაკზე ამოვიდა. ექიმი ნარლიკარის ბინა ამ ქალებით ისე გაიტენა, რომ ქუჩიდან დაინახავდით ფანჯრიდან გამოყოფილ იდაყვებსა და უზარმაზარ საჯდომებს, ვე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რანდაზე რომ ისხდნენ. მათი კივილის გადამკიდე ერთი კვირა არ გვეძინა; მაგრამ კივილს თავი დავანებოთ და ჩანდა, რომ ამ ქალებმა თავიანთი საქმე იცოდნენ. სამშობიარო სახლზე ზრუნვაც დაიწყეს და ნარლიკარის ყველა ბიზნესგარიგება გამოიკვლიეს; მამაჩემი ჯებირების ბიზნესიდან ისე მშვიდად ამოიკვეთეს, როგორც დაგიბარებია და ჯიბეგახვრეტილი დატოვეს. ნარლიკარის სხეულს კრემაცია ჩაუტარეს. მსახურებმა ჩუმად მითხრეს, რომ ექიმის ფერფლი წმინდა განგაში შუაღამისას მოაპნიეს. ქალები კი თურმე არ იძირებოდნენ და წყლის ზედაპირზე ციცინათელებივით ტივტივებდნენ. მერე კი ზღვამ გარიყა, სადაც თავიანთი უცნაური ნათებით, ალბათ, გემის კაპიტნები შეაშინეს.

ახლა აჰმედ სინაიზე ვიტყვი. გეფიცებით, ზუსტად ნარლიკარის სიკვდილისა და იმ ქალების მოსვლის მერე ჭკნობა დაიწყო... ჯერ კანი გაუფერმკრთალდა, თმამ ფერი დაკარგა და რამდენიმე თვეში სულ მთლად გათეთრდა, მარტო თვალები შერჩა შავი (მერი პერეირამ ამინას უთხრა: ამ კაცს სისხლი აქვს გაყინული, ამიტომ მისმა კანმა მაცივარივით წარმოქმნა ყინულიო). მთელი გულახდილობით უნდა ვთქვა: აჰმედი ისე გვაჩვენებდა თავს, თითქოს წუხდა, თეთრ კაცად რომ იქცა და ექიმებთანაც დადიოდა. გულის სიღრმეში კი უხაროდა, ექიმები რომ ვერ ხვდებოდნენ, რა სჭირდა და ვერც მკურნალობდნენ. მას ხომ დიდი ხანია ევროპელთა პიგმენტაციისა შურდა. ერთ დღეს (მას შემდეგ, რაც ნარლიკარი გარდაიცვალა, საკმაო დრო გავიდა), ხუმრობა და გაცინება ისევ რომ შეიძლებოდა, აჰმედმა ლაილას კოქტეილის საათზე უთხრა: „რჩეულ ადამიანებს თეთრი კანი აქვთ. მე უკვე აღარ ვთვალთმაქცობ“. მის მეზობლებს, მასზე უფრო შავები რომ იყვნენ, მორიდებით გაეცინათ და, უცნაურია, მაგრამ შერცხვათ.

ფაქტი სახეზეა: ნარლიკარის სიკვდილის შოკმა შავკანიან დედაჩემს გვერდით თოვლივით თეთრი მამაჩემი დაუყენა. მაგრამ (მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი, რა მოცულობას გადაყლაპავთ) გავრისკავ და სხვაგვარადაც ავხსნი. ეს თეორია ჩემი საათიანი კოშკის აბსტრაქტულ მყუდროებაში მომეძალა... ჩემი ხშირი სულიერი მოგზაურობებისას რაღაც უცნაურს წავაწყდი: ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი ცხრა წელიწადის განმავლობაში მსგავსმა პიგმენტაციამ ქვეყნის საქმიანი საზოგადოების დიდი ნაწილი დააავადა (პირველი მსხვერპლი, ალბათ, რანიქუჩნაჰინი იყო). მთელ ინდოეთში ვაწყდებოდი ინდოელ საქმოსნებს, რომელთა ბიზნესი ხუთწლიანმა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გეგმამ ააყვავა. ეს უკანასკნელი ხელს უწყობდა ბიზნესის განვითარებას... ახლა ეს ბიზნესმენები ან უკვე გათეთრდნენ, ან თეთრდებოდნენ! როგორც ჩანს, ბრიტანელებისგან მოწყვეტისა და საკუთარი ბედის ბატონ-პატრონად ქცევის გარგანტუურმა (ასევე ვიტყოდი, გმირულმა) მცდელობამ მათი ლოყები სისხლისგან დაწრიტა... ამ შემთხვევაში, ალბათ, მამაჩემი ამ ფართოდ გავრცელებული, მაგრამ შემჩნევის მიღმა დარჩენილი ფენომენის გვიანი მსხვერპლი აღმოჩნდა. ინდოელი ბიზნესმენები თეთრდებოდნენ.

ეს ამბავი ერთ დღეში გასაღეჭად საკმარისია. მაგრამ ივლინ ლილით ბერნსი მოდის. პიონერთა კაფე მტკივნეულად ახლოვდება. რაც მთავარია, შუაღამის სხვა შვილებიც და მათ შორის ჩემი ალტერ ეგო[1] — შივა, კოჟრებიანი მუხლები რომ აქვს, ძლიერად მაწვებიან. მალე ჩემი ბზარები ნაპრალებად იქცევა და თავს დაიხსნიან...

სხვათა შორის, მგონი დაახლოებით 1956 წლის მიწურულს, რჟიანი მომღერალი, ვი ვილი ვინჟიც, სიკვდილს შეეგება.

## სიყვარული ბომბეიში

რამაზანის თვეში კინოში ხშირად დავდიოდით. დილის ხუთ საათზე ამინას მზრუნველი ხელი ნჯღრევით მაღვიძებდა. ალიონამდე ვსაუზმობდი ნესვითა და წყალგარეული ლაიმის წვენით. განსაკუთრებით კვირა დილით, თითბრის მაიმუნი და მე რიგრიგობით (ან ზოგჯერ ერთად წამოვიძახებდით) შევახსენებდით ხოლმე ამინას: „თერთმეტის ნახევარზე დილის ჩვენებაა! მეტროქაბქლაბის დღეა, ამი, გეხვეწებიიიი!“ შემდეგ „როვერით“ მივდიოდით კინოში, სადაც არც „კოკა-კოლას“ და არც კარტოფილის ჩხირებს, არც ნაყინს, არც გაქონილ ქაღალდში გახვეულ ღვეზელს არ მივირთმევდით; მაგრამ იქ ჰაერი მაინც გრილდებოდა და ქაბქლაბის ნიშანი ტანსაცმელზე გვქონდა მიკრული. შეუსაბამო ულვაშიანი კონფერანსიე დაბადების დღეებსა და შეჯიბრებებს აცხადებდა. დაბოლოს, ეკრანზე გამოჩენილი სათაურების შემდეგ ფილმს გვაჩვენებდნენ. სათაურები ასეთი იყო: „შემდეგი სანახაობა“ და: „ძალიან მალე“. შემდეგ ეტიუდები („ერთ წუთში ფილმი იქნება, მაგრამ ჯერ...“) ქვენთინ დურვარდი ან სკარა-

[1] *ალტერ ეგო (ლათ.) — სხვა პირადობა, მეორე პერსონალია ან პერსონა ადამიანში.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაუჩი. მერე კინოკრიტიკოსებივით ვაფასებდით და ვამბობდით, რომ იყო ბრძოლის სცენებიანი ან სათავგადასავლო, ან უხამსი გასართობი ფილმი! თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რა იყო ან უხამსობა, ან თავგადასავალი. ჩვენს ოჯახში ბევრი არ ლოცულობდა (გარდა რამადანის დღესასწაულისა, როცა მამას მეჩეთში მივყავდი და თავზე ცხვირსახოცშემოხვეული შუბლით იატაკს ვეხებოდი)... კინო ისე გვიყვარდა, რომ მარხვაზე უარს არ ვამბობდით.

ივი ბერნსი და მე შევთანხმდით: მსოფლიო კინოვარსკვლავი იყო რობერტ ტეილორი. ტონტოს როლში ჯეი სილვაჰილზი მომწონდა. კლეიტონ მური ჩემი აზრით, ლოუნ რეინჯერის როლისთვის ძალიან მსუქანი იყო.

ივლინ ლილით ბერნსი 1957 წლის ახალი წლის დღეს ჩამოვიდა, რომ დაქვრივებულ მამასთან ერთად ეცხოვრა ერთ-ერთ უშნო კვარტალში, რომელიც ისე აშენდა, ვერც კი შევამჩნიეთ. ეს შენობა, ჩვენი გორაკის ქვემოთ რომ იყო, უცნაურად დაეყოთ: ამერიკელები და სხვა უცხოელები (მათ შორის ივიც) ნურვილში ბინადრობდნენ; კარიერისტ ინდოელებს ლაქშმი-ვილა ეკავათ. მეთვოლდის მამულის მცხოვრებნი ზემოდან დავყურებდით ჩვენს თეთრ და ყავისფერკანიან მეზობლებს. მაგრამ ივი ბერნსისთვის არავის ზემოდან არ შეუხედავს, გარდა ერთი შემთხვევისა. მხოლოდ ერთხელ მოექცა ყველა მის თავზე.

ივი მანამდე შემიყვარდა, სანამ გრძელი შარვლის ჩაცმის უფლებას მომცემდნენ. მაგრამ იმ წელიწადს სიყვარულს უცნაური, ჯაჭვური რეაქცია ჰქონდა. დროის დასაზოგად ყველა ჩვენგანს მეტროსინემას რიგის მიხედვით დავალაგებ. რობერტ ტეილორი თამაშობს და ჩვენ მოჯადოებულებივით მივშტერებივართ ეკრანს. სიმბოლური თანამიმდევრობით ვზივართ: სალემ სინაი ივი ბერნსის გვერდით ზის, რომელიც უყვარს, ივი ბერნსი სონი იბრაჰიმის გვერდით ზის, რომელიც უყვარს, სონი იბრაჰიმი თითბრის მაიმუნის გვერდით ზის, რომელიც უყვარს. თითბრის მაიმუნი კი პარტერის გასასვლელთან ზის და შიმშილით კვდება... ივი ექვსი თვის განმავლობაში მიყვარდა; ორი წლის შემდეგ ამერიკაში დაბრუნდა, სადაც მოხუცი ქალი დანით დაჭრა და გამოსასწორებელ სკოლაში გაამწესეს.

ახლა ჯერ არს ივისადმი მადლიერება გამოვხატო. ივი რომ არ ჩამოსულიყო ჩვენთან საცხოვრებლად, ჩემი ცხოვრება საათიანი კოშკისა და სკოლაში თაღლითობის ამბავს არ გასცდებოდა... ვიდოუსჰოსტელში არაფერი მოხდებოდა, ჩემს მნიშვნელობას ვერ დავადას-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტურებდი და ჩემი ცხოვრების ბოლო წლებს ვერც იმ ქარხანაში გავატარებდი, რომელსაც თვალპაჭუნა ყვითელმწვანე მოცეკვავე ნეონის ქალღმერთი მუმბადევი განაგებს. ივი ბერნსი (გველი იყო თუ კიბე? პასუხი ნათელია: ორივე იყო) ვერცხლისფერი ველოსიპედით მოვიდა და არა მარტო იმის საშუალება მომცა, რომ შუაღამის შვილები აღმომეჩინა, არამედ იმისაც, რომ ბომბეის გაყოფის გარანტი გავმხდარიყავი.

თავიდან დავიწყოთ: ივის თმა საფრთხობელასავით, ჩალისას ჰგავდა. კანი ჭორფლით ჰქონდა დაფარული. მისი კბილები რკინის გალიაში მოექციათ. ეს კბილები დედამიწის ზურგზე ერთადერთი რამ იყო, რასაც ივი ვერ აკონტროლებდა. კბილები ისე ველურად იყო ერთმანეთს შეზრდილი, რომ ნაყინის ჭამაშიც ხელს უშლიდა (თავს ნებას ვაძლევ, განვაზოგადო: ამერიკელებმა სამყარო დაიპყრეს, მაგრამ საკუთარ პირებს ვერაფერი მოუხერხეს; ამ დროს ინდოეთი განუვითარებელია, მაგრამ ხალხს შესანიშნავი კბილები აქვს).

კბილების ტკივილი ჭკუიდან შლიდა, მაგრამ ჩემი ივი როგორღაც ტკივილზე მაღლა იდგა. ღრძილებს არ ეპუებოდა და მაინც მირთმევდა ნაყინსა და „კოკა-კოლას". არასოდეს წუწუნებდა. მაგარი ბავშვი იყო და ტანჯვაზე გამარჯვებამ ჩვენს გმირად აქცია. შემჩნეულია, რომ ყველა ამერიკელს კბილის გალია ესაჭიროება. ივიმ თავისი ტკივილი თავადვე უკუაგდო.

ერთხელ, მორცხვად, ყვავილწნულის ყელსაბამი მივეცი (ყვავილი — ღამის დედოფალი ჩემს ივი-შროშანას), რომელიც ჩემი ჯიბის ფულით სკანდალპოინტზე ვიყიდე ქუჩაში მოვაჭრე ქალისგან. „მე ყვავილების მძივს არ ვიკეთებ", — მითხრა, ივლინ ლილითმა, ძეწკვი ჰაერში მოისროლა და სანამ ძირს დავარდებოდა, ზიზილას ბურთულით გაკენწლა, თითქოს პისტოლეტი ესროლაო. ყვავილები ზიზილას ყვავილით გაანადგურა და აღნიშნა, რომ ბორკილს ვერ აიტანდა, თუნდაც ყელსაბამი ყოფილიყო. ჩვენი ახირებული და მოუსვენარი ლილი თუ ივი, ჩემი გულის ვარდი და განხეთქილების ვაშლიც იყო.

აი, როგორ მოვიდა: სონი იბრაჰიმი, ვერცხლისწყალი, დონდლო, საირუსი, მაიმუნი და მე მეთვოლდის ოთხ სასახლეს შორის მოქცეულ მოედანზე ფრანგულ კრიკეტს ვთამაშობდით. ახალი წლის დღის თამაში იყო. თოქსი გისოსებიანი ფანჯრიდან ტაშს გვიკრავდა. ბი-ა-ფაც კარგ ხასიათზე იყო და კარგად გვექცეოდა. ფრანგული კრიკეტი წყნარი თამაშია, მაშინაც კი, როცა ბავშვები თამაშობენ. სიწყნარეში



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სელის ზეთის სუნი იფრქვევა. ტყავი და ტირიფი ერთმანეთს კოცნიან, შემდეგ უმნიშვნელო ტაშის ხმა და შეძახილები ისმის — „ისროლე, მიდი, მიდი!“ მაგრამ ველოსიპედიან ივის ესენი არ აწუხებდა.

„ჰეი, თქვენ! რა გჭირთ, დაყრუვდით თუ რა?“ მე ბურთს ვურტყამდი, როცა ჩალისთმაგაშლილი, ჭორფლებანთებული ივი ველოსიპედით ბორცვზე ამოვიდა. კბილის მეტალი მზეზე უბრწყინავდა. ვერცხლის ტყვიაზე გადამჯდარ საფრთხობელას ჰგავდა... „ჰეი, შენ, ცხვირმოუხოცავო! გააგდე ეგ სულელური ბურთი და აქ მოდი, რაღაც უნდა გაჩვენო!“

ივი ბერნსის ველოსიპედის გარეშე წარმოდგენა შეუძლებელია. ახალთახალი, პრიალა ველოსიპედი ჰქონდა არჯუნა ინდიაბაიქის ფირმისა, დახრილი სახელურებით, დამცავი ფარებითა და მუხრუჭებით და მაიმუნის ტყავის დასაჯდომით. ველოსიპედი ვერცხლისფერი იყო (ლოუნ რეინჯერის ცხენისფერი)... გაწეწილი ვერცხლისწყალი, მოწესრიგებული დონდლო, საირუს-გენიოსი, მანქი-მაიმუნი, სონი იბრაჰიმი და მე — მეთვოლდის მამულის ნამდვილი შვილები და მემკვიდრენი (გულუბრყვილო სონი, რომელსაც ეს გულუბრყვილობა მას მერე დასჩემდა, რაც სამშობიარო მაშებმა ტვინი დაუზიანეს. მე კი საშიში საიდუმლო ცოდნა მქონდა) — დიახ, ყველანი, ყველა ჩვენგანი — მომავალი ტორეადორები და საზღვაო სარდლები — პირდაღებული და გაშტერებული შევყურებდით ივის და მის რაკეტასავით სწრაფ ველოსიპედს, წრეებს რომ უვლიდა მოედანზე: „შემხედეთ, როგორ ვატარებ, თქვე შტერებო!“

ივი ჩვენ თვალწინ დაქროდა. ერთი ფეხი დასაჯდომზე ედო, მეორე უკან ჰქონდა გაშვერილი და ჩვენ ირგვლივ ტრიალებდა. სიჩქარის ინერცია აიღო და თავდაყირა დადგა ველოსიპედზე! შეეძლო წინა ბორბალზე დამჯდარიყო, ისე, რომ უკანა ბორბლისთვის შეეხედა. პედლებს უკუღმა ატრიალებდა... მიზიდულობის ძალა მას ემორჩილებოდა, სისწრაფე მისი სტიქია იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ მისმა ძალამ დაგვიპყრო — ველოსიპედზე ჯადოქარი იჯდა; ღობის ყვავილები ფურცლებს ესროდნენ თაყვანისცემის ნიშნად, მოედნის მტვერი ღრუბლებად ადიოდა ჰაერში და ივისადმი ოვაციებს გამოხატავდა. მოედანმა თავისი პატრონი იპოვა: ტილოდ იქცა, ხოლო ივის ველოსიპედის ბორბლები — ფუნჯად.

შევამჩნიეთ, რომ პისტოლეტი თეძოზე ეკიდა... „მომიახლოვდით, არარაობებო!“ — ყვიროდა ივი და იარაღს იძრობდა. პისტოლეტიდან



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოცვენილმა ბურთულებმა ქვებს ფრენის ნიჭი მიჰმადლეს. ჰაერში მონეტებს ვაგდებდით, ის კი მიზანში ახვედრებდა. „აბა, სამიზნე! კიდევ ისროლეთ, მეტი სამიზნე მინდა!“ — იყვირა ივიმ და ვერცხლისწყალმა უყოყმანოდ დასთმო თავისი საყვარელი კარტი. ივიმ მეფეებს თავი წააცალა. ნამდვილი ენი ოკლი იყო — ოღონდ კბილხაფანგიანი. ვერავინ უბედავდა შეპაექრებას. მაგრამ ერთხელ, ივის ბატონობის მიწურულს ეს მაინც მოხდა. კატების დიდი შემოსევა რომ იყო, მაშინ. ვითარებამაც ხელი შეუწყო.

ლოყებაწითლებული, გაოფლიანებული ივი ბერნსი ველოსიპედიდან ჩამოვიდა და გამოგვიცხადა: „დღეიდან, ინდოელებო, თქვენი ახალი მეთაური ვარ. ვინმე წინააღმდეგია?“

არავინ. ჰოდა, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ივი შემიყვარდა.

ჯუჰუ-ბიჩზე ივიმ აქლემთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა. ყველა ჩვენგანზე მეტ ქოქოსის რძეს სვამდა. არაბეთის ზღვის მლაშე წყალში თვალების გახელა შეეძლო.

განა ექვსი თვე ასე ბევრი იყო (ივი ექვსი თვით იყო ჩემზე უფროსი), განა ეს უფროსებთან თავისუფლად ლაზღანდარობის უფლებას აძლევდა? ივი ისე ეჭორავებოდა მოხუც იბრაჰიმს, როგორც თავის თანატოლს. ამბობდა, რომ ლაილა საბარმათი მაკიაჟის გაკეთებას ასწავლიდა. ჰომი ქეთრექს იარაღზე ელაპარაკებოდა (ცხოვრების ტრაგიკული ირონია ის იყო, რომ იარაღის მცოდნე და მოყვარული ჰომი ქეთრექი იარაღისავე მსხვერპლი გახდა... ივის სახით მეგობარი იპოვა. თამამი და გონებაგახსნილი უდედო ბავშვი, თავის თოქსის არაფრით რომ არ ჰგავდა. ივი ბერნსს თოქსი არ ეცოდებოდა. „დებილია, — ამბობდა დაუდევრად, — ვირთხასავით უნდა მოკლა“. მაგრამ ივი, ვირთხები სუსტები როდი არიან! და ვირთხას შენ უფრო ჰგავდი, ვიდრე შენ მიერ მოძულებული თოქსი).

ეს იყო ივლინ ლილითი. მისი ჩამოსვლიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში მე ჯაჭვური რეაქცია დამეწყო, რომლის გავლენიდან სრულად ვერასოდეს ვერ გამოვედი.

ეს სონი იბრაჰიმიდან წამოვიდა, საშშობიარო მაშებმა რომ ღრმულები გაუჩინა. სონი წყნარად იჯდა ჩემი ამბის კულისებში და თავის დროს ელოდა. ძალიან დაიტანჯა. არა მარტო საშშობიარო მაშების გამო. თითბრის მაიმუნი უყვარდა (ამ სიტყვის თუნდაც ცხრა წლის ასაკის ბავშვის გაგებით) და ეს ადვილი როდი იყო.

როგორც უკვე ვთქვი, ჩემს დას სიყვარული და ყურადღება სწყუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდა. მართალია ჩიტებისა და კატების ენა იცოდა, მაგრამ შეყვარებულთა ტკბილი ჟღურტული პირდაპირ ცხოველივით ამძვინვარებდა. სონი ისეთი მარტივი იყო, ვერ მოიშორა. თვეების განმავლობაში თავი მოაბეზრა; „სალემის დაიკოვ, ძალიან მაგარი ვინმე ხარ!“ ანდა: „მისმინე, გინდა ჩემი გოგო გახდე? შენს ძიძასთან ერთად კინოში წავიდოდით. და“. ამდენივე თვე მაიმუნმა გატანჯა იმით, რომ სონის დედასთან აბეზღებდა, ხელს ჰკრავდა და ტალახში აგდებდა; ერთხელ ფიზიკურადაც გაუსწორდა და სახეზე ფრჩხილების ანაბეჭდი, თვალებში კი ძაღლური მორჩილება და წყენა დაუტოვა. მაგრამ სონიმ ჭკუა ვერა და ვერ ისწავლა. ამიტომ, ბოლოს მაიმუნმა საშინელი შურისძიება დაგეგმა.

მანქი-მაიმუნი ნეფინსი-როუდზე ვოლსინგემის სახელობის გოგონათა სკოლაში დადიოდა. სკოლა მაღალი, დაკუნთული ევროპელებით იყო სავსე, თევზივით რომ ცურავდნენ და მყვინთავებივით ყვინთავდნენ. შესვენებაზე გამოსულები ჩვენი საძინებლის ფანჯრიდან ჩანდნენ, როგორ ხტუნავდნენ ბრიჩქენდის აუზში, რომელშიც ჩვენ ცურვა აკრძალული გვქონდა... შევამჩნიე, რომ მანქიმ რაღაცნაირად მოახერხა და იმ განცალკევებულ მოცურავეებს ემბლემასავით მიეწება. მე პირველად ვიგრძენი წყენა მისდამი... მაგრამ მას ვერ შეაჩერებდი, თავისი გზით მიდიოდა. თხუთმეტი წლის თეთრი, მსუქანი გოგონები ნებას რთავდნენ მათთან ერთად ასულიყო სკოლის ავტობუსში. სამი ასეთი გოგონა მასთან ერთად იდგა დილაობით ერთსა და იმავე ადგილას, სადაც სონი, დონდლო, ვერცხლისწყალი, საირუსდიდი და მე საკათედრო სკოლის ავტობუსს ველოდებოდით.

ერთ დილით, რაღაც მიზეზის გამო, გაჩერებაზე მარტო მე და სონი აღმოვჩნდით. მგონი მიზეზი ის იყო, რომ ქალაქს ბაღლინჯოები მოედო. მანქი იცდიდა, სანამ მერი პერეირა დაგვტოვებდა იმ მსუქან მოცურავეებთან ერთად. შემდეგ, უცებ მანქის თავში ამოვიკითხე ის, რის გაკეთებასაც აპირებდა და შევყვირე: „ჰეი!“ მაგრამ უკვე გვიან იყო. სონიმ დამიყვირა: „შენ არ ჩაერიო!“ მერე სამი მსუქანი მოცურავე სონი იბრაჰიმს დაახტა. ქუჩაში ღამის მთეველი მათხოვრები და ველოსიპედიანი კლერკები გაოცებული გვიყურებდნენ, რადგან ამ გოგონებმა სონის ტანსაცმელი შემოახიეს...

„ჯანდაბა, კაცო, ასე უნდა იდგე? მომეშველე!“ — მიყვირა სონიმ, მაგრამ მე გავშეშდი. რომელს უნდა მივმხრობოდი — ჩემს დას, თუ ჩემს მეგობარს. აცრემლებულმა სონიმ მითხრა: „მამაჩემს ვეტყვი ყველა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფერს“. მანქი-მაიმუნი კი ჯიბრზე ეუბნებოდა: „ასე მოგიხდება, ახლა ისწავლი, როგორ უნდა თქვა სისულეები“. სონის ფეხსაცმელი და პერანგი აღარ ეცვა. მის პიჯაკს ერთ-ერთი მყვინთავი მიათრევდა. „ახლა ისწავლი ჭკუას, როგორ უნდა ჯღაბნო ის სასიყვარულო წერილები“, წინდებიც აღარ ეცვა. სონი ტიროდა. „ასე მოგიხდება!“ — დაუყვირა მაიმუნმა. ამასობაში ავტობუსიც მოვიდა. ჩემი და და დანარჩენი თავდამსხმელები ავტობუსს შეახტნენ და წავიდნენ. „მშვიდობით, შეყვარებულო!“ დაუყვირეს და დედიშობილა სონი ქუჩაში, ქვაფენილზე დატოვეს მაღაზიების — შიმალკერისა და „მკითხველის სამოთხის“ პირდაპირ; მისი საფეთქლის ღრმულები კლდის ტბებივით ელვარებდა, რადგან თმიდან ვაზელინი ჩამოეღვენთა. თვალები ცრემლიანი ჰქონდა: „რატომ გააკეთა ეს, მე მარტო ის ვუთხარი, რომ მომწონს“.

„თუ გინდა, გამჩხრიკე, — ვუთხარი სონის ისე, რომ თვალები სად წამეღო არ ვიცოდი, — ის ასეთ რაღაცებს აკეთებს, ეს არის და ეს“. რა ვიცოდი მაშინ, რომ დრო მოვიდოდა, როცა მანქი-მაიმუნი სონიზე უარეს რამეს მიზამდა.

მაგრამ ეს ცხრა წლის მერე მოხდა... იმ დროს კი, 1957 წელს, საარჩევნო კამპანია დაიწყო. ჟან სანგი ბებერი წმინდა ძროხების თავშესაფრის კამპანიას ეწეოდა; კერალაში,[1] ე. მ. ს. ნამბუდირიპადი ხალხს ჰპირდებოდა, რომ კომუნიზმი ყველას გამოკვებავდა; მადრასში ანა-დურაის პარტია — ანა-დ.მ.კ. სეპარატიზმის ცეცხლს ანთებდა; კონგრესი ისეთ რეფორმებს ებრძოდა, როგორიც იყო ინდუს აქტი, რომელიც ინდუს ქალებს მემკვიდრეობის თანაბარ უფლებას ანიჭებდა... მოკლედ, ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული. მე კი ივი ბერნსის წინაშე ენა ჩამივარდა და სონი იბრაჰიმს ვთხოვე დახმარება.

ინდოეთში ინდოელები ყოველთვის სისუსტეს ვიჩენდით ევროპელთა მიმართ... მხოლოდ რამდენიმე კვირა იყო ივი ჩვენთან და უკვე ევროპულ ლიტერატურაში ჩავძვერი. ოღონდ ეს ევროპული ლიტერატურის აჩრდილი იყო (სკოლაში ადაპტირებული სირანო[2] გავიარეთ. ასევე წავიკითხე ილუსტრირებული კომედია[3]). ალბათ სამართლიანი

---

[1] *კერალა — შტატი სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთში. შეიქმნა 1956 წელს ტრავანკორისა და კოლჩინის სამეფოების ბაზაზე.*

[2] *სირანო — იგულისხმება ედმონ როსტანის (1868-1918), ფრანგი პოეტისა და დრამატურგის ცნობილი დრამა „სირანო დე ბერჟერაკი“.*

[3] *კომედია — იგულისხმება დანტე ალიგიერის (1265-1321), იტალიელი პოეტისა და მწერლის მსოფლიო შედევრი, „ღვთაებრივი კომედია“.*


www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქნება იმის თქმა, რომ ინდოეთში ევროპა თავის თავს ცინიკურად იმეორებს... ივი ამერიკელი იყო. ამერიკაზეც იგივე ითქმის.

„კი მაგრამ, ეს ხომ უსამართლობაა, შენ თვითონ რატომ არ აკეთებ ამას?“

„მისმინე, სონი, — შევემუდარე, — შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ?“

„თუ შენი მეგობარი ვარ, რატომ არ დამეხმარე“.

„ჩემი და იყო, სონი და აბა, რა მექნა?“

„არა, შენი ბინძური საქმე შენვე“.

„ჰეი, სონი, დაფიქრდი. ამ გოგოებთან სიფრთხილეა საჭირო. ხედავ, მანქი როგორ უცებ ბრაზდება. მაგრამ გამოცდილება ხომ შეიძინე, უკვე უკან მოიტოვე ყველაფერი. ახლა გეცოდინება, რომ ფრთხილად უნდა იყო. მე რა ვიცი? იქნებ არც მე მოვწონვარ ჩემს დას. გინდა, რომ ტანსაცმელი მეც შემომახიონ? გაგიხარდება?“

და გულუბრყვილო, კეთილი სონი ამბობს: „არა, რა თქმა უნდა“.

„მაშინ კარგი. წადი და ჩემი ქება უთხარი. უთხარი, მის ცხვირს ყურადღებას ნუ მიაქცევ, კარგი ბიჭია-თქო. წახვალ?“

„ოოოოჰ... კარგი, კარგი, ოღონდ შენ შენს დას დაელაპარაკე, ჰო?“

„დაველაპარაკები, სონი! ოღონდ ვერაფერს შეგპირდები. მისი ამბავი ხომ იცი. დალაპარაკებით კი დაველაპარაკები“.

შეგიძლია სტრატეგია შეიმუშავო და აზრები შეკრა, თუმცა, რად გინდა, ქალები ერთ წუთში გახსნიან. როცა ერთი საარჩევნო კომპანია იგებს, ორჯერ მეტი აგებს... ბუკინგემის სახლის ვერანდიდან ფარდას ამოფარებული ვუთვალთვალებდი სონი იბრაჰიმს, ჩემი კანდიდატურის სასარგებლოდ ხმებს რომ აგროვებდა... და ელექტორატის ხმა გავიგონე — ივი ბერნსი ცხვირში დუდუნებდა და ჰაერს სიძულვილით აპობდა: „ვინ? ის? წადი, უთხარი, ცხვირი მოიხოცოს, ველოსიპედის ტარებაც კი არ იცის! სრუტუნა!“

იგი მართალი იყო.

უარესიც მელოდა. ახლა (შტორებიდან ნაწილ-ნაწილ ჩანდა) ივის გამომეტყველება შეურბილდა და შეეცვალა? ივის ხელი (ფარდამ რომ ნაწილებად დაჭრა) ჩემი საარჩევნო აგენტისკენ წავიდა. მისი (ფრჩხილებშეჭმული) თითები სონის საფეთქლის ღრმულებს ეხებიან და ვაზელინით ითხუპნებიან. უთხრა თუ არა ივიმ სონის, ლამაზი ხარო? სამწუხაროდ ასე იყო, ასე უთხრა.

სალემ სინაის ივი ბერნსი უყვარს; ივის სონი იბრაჰიმი უყვარს. სონი თითბრის მაიმუნზე გიჟდება; რას ამბობს მანქი-მაიმუნი?



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ნუ მაღიზიანებ, ძმაო“, მითხრა ჩემმა დამ, როცა სონის კანდიდატურა წამოვაყენე. ამომრჩევლებმა ორივეს გვიმტყუნეს.

მაგრამ დანებებას ჯერ არ ვაპირებდი. ივი სირენასავით[1] მიზიდავდა და ამ მიზიდულობამ ჩემი დაცემა განაპირობა. თუმცა ივის სულ არ ვედარდებოდი. (მაგრამ მე მისდამი ბრაზი არ ჩამიდვია გულში, რადგან იმ დაცემამ შემდგომში წამოდგომა და აღმასვლა განაპირობა).

საათიან კოშკში მარტომყოფს ყველაფერი მავიწყდებოდა, ჭორფლიანი ივის გარდა. „შუამავლები არ მინდა, — ვურჩიე ჩემს თავს, — ეს მე თავად უნდა გავაკეთო“. საბოლოოდ გეგმა შევიმუშავე: მისი მისწრაფებები უნდა გამეზიარებინა, რომ მისი ვნებები ჩემი გამხდარიყო... იარაღი არ მიყვარდა, ამიტომ გადავწყვიტე, ველოსიპედის ტარება მესწავლა.

ივი გორაკის ბავშვების მოთხოვნას დაემორჩილა და ველოსიპედის ტარებას გვასწავლიდა. ჯგუფში მეც ჩავეწერე. მოედანზე შევგროვდით. ჩვენი ხელმძღვანელი ივი ჩვენ შორის იდგა. ჩვენ კი საოცრად მონდომებული ვიყავით, ტარება გვესწავლა... მე მის გვერდით ვიდექი, უველოსიპედოდ. ივის მოსვლამდე ბორბლებისადმი არავითარი ინტერესი არ მქონია, ასე რომ, არანაირი... მოკრძალებულად ვიტყვი, რომ ივის ენის მათრახი მხვდებოდა და ვიტანჯებოდი.

„სად იყავი, ცხვირა? გინდა ჩემი გათხოვო?“

ვიცრუე: არა-მეთქი. ივი მოლბა და მხრები აიჩეჩა. „კარგი, კარგი. დაჯექი და ვნახოთ ერთი, რა შეგიძლია“.

ნება მიბოძეთ, გაგიმჟღავნოთ, როგორც კი ვერცხლისფერ არჯუნაინდიაბაიქზე შევჯექი, სიხარულმა ამიტაცა. ივი და მე წრეს რომ ვუვლიდით და ივის ველოსიპედის საჭე ეკავა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი. ივი მეკითხებოდა: „ბალანსს ჯერ ვერ იცავ? არა უშავს, ერთი წელი მაინც დაგჭირდება!“ და ასე დავდიოდით აქეთ-იქით.

მოედანს წრეს ვუვლიდით... ბოლოს ივი რომ გამეხარებინა, როგორც იქნა, ამოვღერღე: „კარგი... მე მგონი... მოდი, შენ ხელი გაუშვი“. და უცებ ველოსიპედი ჩემით გავატარე. ივიმ ხელი დამიქნია და ვერცხლისფერმა ველოსიპედმა მოედანი გადაჭრა... ივიმ დამიყვირა: „მუხრუჭი, შე შტერო, დაამუხრუჭე“. მაგრამ ხელები ფიცარივით გამიშეშდა. ჩემ წინ სონი იბრაჰიმის ლურჯი ველოსიპედი გაჩნდა.

---

[1] *სირენა — იგივე სირინოზი, ზღვის ნიმფა, რომელიც თავისი სიმღერით ხიბლავდა, სახიფათო ადგილებში იტყუებდა და ღუპავდა მეზღვაურებს; წარმოდგენილი ჰყავდათ თევზისბოლოიანი ქალის ან ქალისთავიანი ფრინველის სახით.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეტაკება გარდაუვალი იყო. სონიმ მობრუნება სცადა, მაგრამ ისევ ჩემკენ მოდიოდა. ახლა სონიმ მარჯვნივ მოუხვია, მე კი ისევ პირდაპირ სვლას ვაგრძელებდი. ვერცხლისფერი ბორბალი ლურჯს შეეხო, ჩარჩომ ჩარჩოს აკოცა. მე ველოსიპედის საჭეს გადავაფრინდი და სონისკენ გადავვარდი. ისიც ჩემკენ წამოვიდა... შეტაკებული ველოსიპედები ჩვენ ქვემოთ ეყარნენ ერთმანეთს ჩახვეულ-ჩახუტებულები. სონი და მე შუა ჰაერში შევხვდით და სონის თავი ჩემსას შეეჯახა...

ცხრა წლის წინ გამობერილი საფეთქლებით დავიბადე, სონი კი საფეთქლის ღრმულებით. ალბათ, უმიზეზოდ არაფერი ხდება, რადგან ახლა ჩემი გამოზნექილი საფეთქლები სონის საფეთქლის ღრმულებში მოთავსდა და ზუსტად მოერგო. თავებშეერთებულები მიწაზე დავცვივდით და წუთით სამყარო გაითიშა.

ივის ჭორფლები გაუცეცხლდა: „შე წვინტლიანო გველო, ველოსიპედი გამიტეხე“. მაგრამ მე აღარ ვუსმენდი, რადგან მოედნის ამბავმა დაასრულა ის, რაც სარეცხის კარადის შემთხვევით დაიწყო. ორივე ჩემს თავში მოექცა, წინა პლანზე. აღარსად იყო ჩახშული ხმაური, რომელიც არასოდეს შემიმჩნევია, „მე აქ ვარ“-სიგნალებს რომ მიგზავნიდნენ ჩრდილოეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთიდან... და სხვა შვილებიც იმ ღამით რომ დაიბადნენ და იძახდნენ: „მე“, „მე“, „მე“ და „მე“.

„ჰეი, ცხვირმოუხოცავო, კარგად ხარ?.. ჰეი, სად არის დედამისი?“

შეფერხებები და არაფერი შეფერხებების გარდა! ჩემი რთული ცხოვრების სხვადასხვა ჯიუტი ნაწილი თავის ადგილზე ვერ ეტევა და საათიანი კოშკიდან მათი ხმები იღვრება მოედანზე, რომელიც ივის სამფლობელო უნდა იყოს... და ახლა, როცა წიკწიკის ზღაპრულ შვილთა ამბავს უნდა ვყვებოდე, მატარებელმა — ჩემი ბებია-ბაბუის ხრწნად სამყაროში გამაქროლა. ადამ აზიზი ხელს მიშლის, რომ ჩემს ამბავს სახვევები ბუნებრივად შემოვაცალო. ნათქვამია, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. ჰოდა, მეც ასე მოვიქცევი.

იმ იანვარში, ტვინის შერყევა ველოსიპედიდან გადმოვარდნის გამო რომ მივიღე და გამოვკეთდი, მშობლებმა აგრაში წაგვიყვანეს. ეს წასვლა უარესი აღმოჩნდა, ვიდრე ცნობილი (და ალბათ წარმოსახვითი) კალკუტის შავი ხვრელი. ორი კვირა ესმერალდასა და ზულფიკარს ვუსმენდი (ის ახლა გენერალი იყო და ითხოვდა, გენერალი მიწოდეთო), ცნობილ ხალხს რომ ახსენებდნენ და მათ საარაკო სიმდიდრეზე



www.PDF.ChiaturaINFO.GE

საუბრობდნენ, რიგით მეშვიდე რომ იყო პაკისტანში. მათი ვაჟი ზაფარი (ერთხელ) შეეცადა მანქის წითელი კუდი მოექაჩა. ჩვენ დაზაფრული შევყურებდით. სამოქალაქო მოსამსახურემ, ბიძაჩემმა მუსტაფამ და მისმა ნახევრად ირანელმა ცოლმა სონიამ თავიანთი უსახური, უჯიშო ნაშიერნი ძალით ჩააჩუმეს. გაუთხოვარი ალიას მწარე არომატი ჰაერს ავსებდა და სადილი წაგვიხდინა. მამაჩემი ადრე დაწვა, რომ ჯინთან საიდუმლო ბრძოლა გაეჩაღებინა. უფრო ცუდი და კიდევ უფრო ცუდი ამბები ხდებოდა.

ერთ ღამეს, თორმეტმა რომ ჩამოჰკრა, გამეღვიძა და თავში ბაბუაჩემის სიზმარი მქონდა. ამის მერე მას ზუსტად ისე ვხედავდი, როგორც თავად ხედავდა საკუთარ თავს — წარმავალ ბებერს, რომლის შუაგულში, თუ სინათლე კარგად ხვდებოდა, უზარმაზარ ჩრდილს ვამჩნევდი. რწმენა, რომელიც ახალგაზრდულ ძალას მატებდა, ასაკმა წაართვა და გამოულია. პატივცემული დედის გავლენამ და თავისი ჭკუის მეგობრების არარსებობამ ძველი ხვრელი ისევ გააჩინა მის სხეულში და დაბეჩავებულ, გამოფიტულ მოხუცად აქცია. ამ მოხუცში ღმერთი (და ცრურწმენებიც) გაბატონდა... ამასობაში პატივცემული დედა ბიძაჩემ ჰანიფის ცოლს, — მის მიერ დაწუნებულ კინომსახიობს, — ლანძღავდა. ეს ის დრო იყო, როცა საბავშვო წარმოდგენაში მოჩვენების როლს ვთამაშოდი და ბაბუაჩემის ტყავის ჩემოდანში ჩრჩილნაჭამ ზეწარს წავაწყდი, რომლის ყველაზე დიდი ხვრელი კაცის ნახელავი იყო. ამ აღმოჩენისთვის (გახსოვთ ალბათ) ბაბუამ ღრიალითა და რისხვით გადამიხადა.

ერთი მიღწევა კი მაინც მქონდა. რიქშის დამტარებელმა ბიჭმა, რაშიდმა დამიმეგობრა (ეს ის ბიჭი იყო, ბავშვობაში, სიმინდის ყანაში რომ ჩუმად წიოდა და ნადირ-ხანს რომ დაეხმარა ადამ აზიზის საპირფარეშოში მოხვედრილიყო), შემიფარა და, ისე, რომ ჩემს მშობლებს არაფერი უთხრა, რადგან დამიშლიდნენ, — ველოსიპედის ტარება მასწავლა.

ეს საიდუმლო, დანარჩენებთან ერთად რომ შევინახე, მალე გამჟღავნდება.

...მატარებლით სახლში რომ ვბრუნდებოდით, კუპის გარედან ხმები მოდიოდა: „ოჰე, მაჰარაჯ! გაგვიღე, დიდო ბატონო!“ უბილეთოთა ხმები იმ ხმებს ებრძოდნენ, მე რომ მოსმენა მეწადა და ჩემს თავში რომ იყო. შემდეგ ბომბეის ცენტრალურ სადგურში ჩამოვედით და სახლისკენ მიმავლებმა იპოდრომსა და ტაძარს ჩავუარეთ. ივლინ ლი-


www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლითი მთხოვს, რომ ჯერ მისი ამბავი დავასრულო და ამაღლებულ ამბებზე მერე გადავიდე.

„სახლში ვართ! — ყვირის მაიმუნი, — ჩქარა... ისევ ბომბეიში!“ (დასჯილია, რადგან აგრაში გენერლის ფეხსაცმელი ფერფლად აქცია).

უბრალოდ, ხსოვნის ამბავია, რომ 1955 წლის ოქტომბერში ქვეყნის რეორგანიზაციის კომიტეტმა ნერუს მოხსენება წარუდგინა. ერთი წლის შემდეგ კომიტეტის რეკომენდაციები ძალაში შევიდა. ინდოეთი თავიდან დაიყო თოთხმეტ შტატად და ექვს ადმინისტრაციულ ერთეულად. მაგრამ ამ შტატების საზღვრები მდინარეების, მთების ან ბუნებრივი რელიეფის მიხედვით როდი დაყვეს. მათ მაგივრად სიტყვათა კედელი აღიმართა. ენა ამგვარად გვყოფდა: ქერალაში, მსოფლიოში ერთადერთ პალინდრომულ ენაზე — მალაიალამზე ლაპარაკობდნენ. კარნატაკაში კანარისული ენა დომინირებდა. ამპუტირებულ მადრასის შტატში, დღეს რომ თამილ ნადუს სახელითაა ცნობილი, თამილური ენა იყო გავრცელებული. არ ვიცი, დაუდევრობის ბრალი იყო თუ რა, მაგრამ ბომბეის შტატში არაფერი შეცვლილა. მუმბადევიში ენის დემონსტრაციები ისე გაგრძელდა და გახმიანდა, რომ ბოლოს პოლიტიკურ პარტიებად გადაიქცა. გაერთიანებული მაჰარაშთრას პარტია მარათის ენას უჭერდა მხარს და მაჰარაშთრას შტატის შექმნას მოითხოვდა. დიდი გუჯარათის პარტია გუჯარათის ენის ლოზუნგის ქვეშ გამოდიოდა და ბომბეის ჩრდილოეთით შტატის შექმნაზე ოცნებობდა, ქეთიავარ პენინსულადან რანქუჩამდე რომ იქნებოდა გადაჭიმული... მე ამ ცივ ამბავზე ვთბები. მათბობს ძველი, აწ უკვე მკვდარი ბრძოლები მარათის საცოდავი მოუქნელობისა, რომელიც ჭაობიანი გუჯარათის ბერწ სიცხეში იშვა იმის ასახსნელად, თუ რატომ ჩამოაჭრეს ქალაქს მეთვოლდის მამული 1957 წლის თებერვალში, ზუსტად ჩვენი აგრიდან დაბრუნებისთანავე. ეს იმ მოღიღინე კაცობრიობის ნაკადმა ჩაიდინა, უორდენ-როუდს მუსონური წყლებივით რომ გადაუარა. გრძელი აღლუმის ჩავლას ორი დღე მოუნდა. ისიც კი თქვეს, რომ ამ პროცესიას წინ სივაჯის გაცოცხლებული, ცხენზე ამხედრებული ქანდაკება მიუძღოდაო. დემონსტრანტებს შავი დროშები ეჭირათ. ბევრი მათგანი გაფიცული მაღაზიის ნოქარი იყო. ბევრიც — ტანსაცმლის ფაბრიკის მუშა, მაზაგაონიდან და მათუნგიდან რომ მოვიდნენ; თუმცა ჩვენ, ბავშვებმა არაფერი ვიცოდით მათი სამუშაოების შესახებ და ეს ჭიანჭველებივით დამწკრივებული პრო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცესია ისე გვიზიდავდა, როგორც ნათურა იზიდავს ჩრჩილს. ისეთი ჟინიანი დემონსტრაცია იყო, რომ ადრინდელი მსვლელობები გონებიდან ამოშალა, თითქოს არც ყოფილაო. ჩვენ გორაკიდან ჩასვლა აგვიკრძალეს. ვინ იყო ჩვენ შორის ყველაზე გამბედავი? ვინ გვაქეზებდა გავპარულიყავით დალმართის იმ ადგილამდე მაინც, საიდანაც უორდენ-როუდი ციცაბო მოსახვევში მოჩანს? ვინ გვეუბნებოდა: „რისი უნდა გვეშინოდეს, ჩვენ ხომ მხოლოდ ნახევარგზაზე საჭვრეტად ვიპარებით?.. თვალებგაფართოებული და ურჩი ინდოელები ამერიკელ ჭორფლებიან შეფს მივყვებოდით („მათ მოკლეს ექიმი ნარლიკარი — ამ დემონსტრანტებმა მოკლეს“, — შეგვახსენა დონდლომ და ხმა აუცახცახდა. ივიმ ფეხსაცმელზე დაიფურთხა).

მაგრამ მე, სალემ სინაის, სხვა რამ მაწუხებდა. „ივი, — ვუთხარი წყნარი უდარდელობით, — არ გინდა ნახო, ველოსიპედი როგორ დამყავს?“ არ მიპასუხა. ივი სანახაობამ გაიტაცა... სონი იბრაჰიმის ჩაზნექილი საფეთქლის ვაზელინში ივის თითის ანაბეჭდები დარჩა ისე, რომ ყველას დაენახა. მეორედ უკვე ხაზგასმით ვუთხარი: „მე ტარება შემიძლია, ივი, მანქის ველოსიპედზე გაჩვენებ. გინდა ნახო?“ ივიმ უხეშად მიპასუხა: „ახლა რასაც ვუყურებ, კარგია და შენ რატომ უნდა შეგხედო?“ მე კი ცოტა გაბუტულად ვუთხარი: „მე ხომ ვისწავლე ტარება, ივი, შენ უნდა“. მაგრამ უცებ ჩემი სიტყვები უორდენ-როუდიდან ამოვარდნილ ღრიალში ჩაიკარგა. ივიმ ზურგი შემაქცია. სონის, ვერცხლისწყალის, დონდლოსა და საირუსდიდის ინტელექტუალური ზურგიც ჩემკენ იყო მოშვერილი... ჩემმა დამ თითის ანაბეჭდები შენიშნა, არ ესიამოვნა და წამაქეზა: „მიდი, მიდი, აჩვენე, თავი ვინ ჰგონია?“ მე ჩემი დის ველოსიპედზე დავჯექი... „ივი, შემხედე, როგორ ვატარებ! — ვტრიალებ და ვტრიალებ და ბავშვების პატარა ჯგუფს გარშემო ვუვლი, — ხედავ, ივი?“ აღტკინების მომენტი დგება და უცებ ივი ფეხებზემკიდიას ვერმოთმინებით მესვრის: „თავიდან მომწყდები თუ არა, იდიოტო? მე იმის ნახვა მინდა!“ და ფრჩხილმოჭმულ თითს დემონსტრაციის მიმართულებით იშვერს. იმ მაჰარაშთრა პარადის გულისთვის თავიდან მომიშორეს. „ეს ხომ უსამართლობაა! შეხედე, რა კარგად დაჰყავს!“ — ამბობს მანქი, მაგრამ მისი ლოიალურობისა და საგნის თავის თავში გამოცოცხლების მიუხედავად, ჩემში თითქოს რაღაც მოიშალა: ივის ირგვლივ სწრაფად ვბრუნავ და გავყვირი: „რა გჭირს, მითხარი, ბოლოს და ბოლოს? რა უნდა გავაკეთო შენთვის, რომ შენ“. მაგრამ ივის გონების ფრონტი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ენის დემონსტრანტების ბრძოლას უკავია, ხოლო ფიქრის კუთხეებში ამერიკული პოპმუსიკა შეუჩურთავს. მე კი სრულიად არაფერი მაინტერესებს. და ახლა, მხოლოდ ახლა, პირველად სიყვარულისგან უკუგდებული და თვალცრემლიანი შეღწევას ვიწყებ... ვაწვები, ვძვრები და ვყურყუმალაობ ივის კედლებს მიღმა... იმ საიდუმლო ადგილას, სადაც დედამისის სურათია. დედამისს ვარდისფერი ხალათი აცვია და პაწაწინა თევზი კუდით უჭირავს. მე უფრო ღრმად შევდივარ და იმას ვეძებ, რამაც ივი ასე გააბრაზა და ჩემკენ შემოაბრუნა, რომ მომაშტერდეს და მიყუროს, როგორ ვბრუნავ და ვბრუნავ...

„გაეთრიე!" კივის ივი ბერნსი და ხელებს შუბლზე იდებს. მე თვალცრემლიანი ისევ ველოსიპედზე ვზივარ და ივის გონებაში უფრო ღრმად ვიჭრები: იქ, სადაც ივი საძინებლის კართან დგას და ხელში რაღაც ბასრი და პრიალა უჭირავს, რომელსაც წითელი წვეთები სდის. ღმერთო ჩემო, საწოლზე ქალია ვარდისფერ ხალათში და ხალათი წითლადაა შეღებილი. კაცი მოდის, ო, ღმერთო, არა, არა, არა, არა!..

„გაეთრიე, გაეთრიე, გაეთრიე!" დაბნეული ბავშვები აკივლებულ ივის შეჰყურებენ, რომელსაც თითქოს ენის დემონსტრანტები დაავიწყდა. მაგრამ ისევ ახსენდება და მანქის ველოსიპედს ხელს ავლებს. ივი, რას აკეთებ. წაეთრიეთ აქედან, წაეთრიეთ ჯოჯოხეთში! ივიმ ხელი მკრა და ციცაბო გორაკზე დავგორდი. ღმერთო ჩემო, უკან ჩამოვიტოვე ბენქ ბოქს ლონდრი, ნურვილი, ლაქშმი-ვილა და პროცესიას პირდაპირ ხახაში ჩავუვარდი! თავების მაგივრად ფეხებს ვხედავ. დემონსტრანტები იფანტებიან, ყვირიან და ილანძღებიან. მე კი ჩემი დის ველოსიპედი ისტორიას შევალეწე.

ხელები ველოსიპედის საჭეს ჩაებღაუჭნენ. აღტკინებული ბრბო ლამაზად იღიმება, მაგრამ ეს კეთილი ღიმილი როდია. „შეხედე, შეხედე, პატარა საჰიბი მოსულა იმ დიდი და მდიდარი გორაკიდან!" მარათის ენა ძლივს მესმის — სკოლაში ჩემი საძულველი საგანია. ღიმილიანი სახეები მეკითხებიან: „შემოგვიერთდები, პატარა პრინცუკა?" მე მოჯადოებულივით თავს ვაქნევ და არა-მეთქი, ვეუბნები, „ოჰო! პატარა პრინცს ჩვენი ენა არ მოსწონს! აბა, რა მოსწონს? გუჯარათი? ლორდო, გუჯარათის ენაზე ლაპარაკობ?" გუჯარათული ისევე ცუდად ვიცოდი, როგორც მარათული. მხოლოდ ქათიავარულ ენაზე შემეძლო ერთი რამ. თითებით მეხებიან და ღიმილით მაქეზებენ: „მიდი, პატარა ლორდო, დაილაპარაკე, თქვი რამე გუჯარათულად!" მე რაც ვიცოდი, ის ვუთხარი — სკოლაში რომ ლექსი გვასწავლა გლენ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დი ქეით ქოლაქომ. ამ ლექსს გუჯარათელი ბიჭების დასაშინებლად ამბობდა. სახუმარო ლექსი იყო:

სუუუ ჩე? სარუ ჩე!

დანდა ლე ქე მარუ ჩე!

რომლის შინაარსი ასეთია: როგორ ხარ? — კარგად! ახლა ჯოხს ავიღებ და ისე გაგწკეპლავ, ჯოჯოხეთს გაგისტიმრებ!

სისულელე, არარაობა, ცხრა სიტყვისგან შემდგარი სიცარიელე... მაგრამ ეს ლექსი რომ ვთქვი, ღიმილი სიცილად იქცა. შემდეგ ბრბომ ღიღინი დაიწყო: როგორ ხარ? — კარგად! ჩემდამი ინტერესი დაეკარგათ. „წადი, წადი, წაიღე შენი ველოსიპედი, თორემ ჯოხით ჯოჯოხეთში გაგისტუმრებთ!“ მე გორაკზე ავვარდი. ჩემ მიერ დატოვებული ლექსი კი ბრბომ ღიღინით აიტაცა, მერე ორდღიან პროცესიას გაჰყვა და ბოლოს ომის სიმღერად გადაიქცა.

ნაშუადღევს მაჰარაშთრას დემონსტრაცია ქემფსქორნერთან გუჯარათის პროცესიას გადააწყდა. ერთი მხარე ლექსს ამბობდა, მეორე მხარეს პირი სიბრაზით დაეფჩინა. ეარინდიარაჯასა და ქოლინოსქიდის პლაკატებქვეშ ეს ორი ბრბო ერთმანეთს შეეტაკა და ჩემი ლექსის ღიღინის ფონზე პირველი შეხლა-შემოხლა დაიწყო. თხუთმეტი კაცი გამოესალმა სიცოცხლეს, სამასი დაიჭრა.

ასე ნება-უნებლიეთ დავთესე შუღლი, რომელსაც ბომბეის გახლეჩა და მისი მაჰარაშთრას დედაქალაქად ქცევა მოჰყვა. ასე რომ, გამარჯვებულთა მხარეს მაინც აღმოვჩნდი.

რა ხდებოდა ივის თავში? სიზმარი იყო ის თუ დანაშაული? ვერასოდეს გამოვარკვიე. მაგრამ სხვა რამ გავიგე: როცა ვინმეს თავში დაბორიალებ, ის აუცილებლად გრძნობს, რომ იქ ხარ.

ივიმ იმ დღის მერე თავი დამანება. უცნაური ისაა, რომ მისგან განვიკურნე (ქალები ყოველთვის ცვლიდნენ ჩემს ცხოვრებას: მერი პერეირა, ივი ბერნსი, ჯამილა სინგერი, პარვათიკუდიანი გიპასუხებთ, ვინ ვარ მე; და ქვრივი ქალიც, რომელსაც ბოლოსთვის შემოვინახავ. დაბოლოს, პადმა, ჩემი ნეხვის ქალღმერთი. ქალებმა კარგად გამომაკვარახჭინეს, მაგრამ ისინი ყველაზე მთავარი მაინც არ ყოფილან ჩემს ცხოვრებაში, რადგან ჩემი შინაგანი ხვრელი, ბაბუასგან მემკვიდრეობით რომ მერგო, იმ ხმებმა ამოავსეს, რომელიც გამუდმებით მესმოდა. ანდა, ისიც შესაძლებელია ვთქვათ, რომ ქალების ცოტა მეშინოდა კიდეც).



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„რა უნდა გითხრათ, ბატონო, ყველაფერი ჩემი საცოდავი თავის ბრალია!“ მითხრა პადმამ, რომელიც დამიბრუნდა; ახლა, როცა გესლისგან განვიკურნე და საწერ მაგიდას მივუჯექი, პადმა მეტისმეტად ღელავს და არ ჩუმდება. ჩემი დაბრუნებული ლოტოსი ისევ თავის თავს კიცხავს, მკერდი ძლიერად აუდ-ჩაუდის და ბოლო ხმაზე მოთქვამს (ჩემს უმწეო მდგომარეობას კიდევ ეს უნდოდა?! მაგრამ პადმას არ ვადანაშაულებ).

„დამიჯერეთ, ბატონო, თქვენი კარგად ყოფნა ჩემთვის ყველაზე ძვირფასია! რა ვართ ეს ქალები, წუთით ვერ ვისვენებთ, როცა ჩვენი საყვარელი ადამიანები ავად არიან... თქვენ არ იცით, რა ბედნიერი ვარ, კარგად რომ ხართ!“

პადმამ მითხრა (ის, რაც მითხრა, მისი სიტყვებით გადმოვეცი და მერე მასვე წავუკითხე, რომ თვალთა ბრიალით, მოთქმითა და ძუძუების ქნევით დასტური მოეცა): „ჩემი სულელური სიამაყისა და ამპარტავნების გამო გავიქეცი შენგან, სალემ, ჩემო პატრონო. თუმცა, აქაური პირობებიც კარგია და მერე, როგორი მოხედვა გჭირდებოდა! ცოტა ხანში ისე მომინდა დაბრუნება, რომ კინაღამ მოვკვდი.

„მაგრამ მერე ვიფიქრე, როგორ დავბრუნდე კაცთან, რომელსაც არ ვუყვარვარ და მარტო რაღაცას ჯღაბნის-მეთქი (მაპატიე, სალემ, მაგრამ, რაც იყო, იმას გეუბნები და თანაც ჩვენთვის, ქალებისთვის სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანია).

„მერე, ერთ წმინდანთან მივედი და იმან მასწავლა, რა უნდა მექნა. ფული ცოტა მქონდა. ავდექი და ავტობუსით სოფელში წავედი, რომ ისეთი მცენარეები შემეგროვებინა, კაცს კაცობას რომ უბრუნებს... წარმოიდგინე, ბატონო, იმ ბალახს მაგიური სიტყვები შევუძახე: ბალახო, კურომ ამოგთხარა-მეთქი. მერე წყალსა და რძეში ჩავფქვი და ასეთი სიტყვებით მოვნათლე: „ძლიერო და ვნებიანო ბალახო, ვარუნამ რომ თავისთვის ამოგთხარა, მიეცი სალემს ძალა, მიანიჭე მას ინდრას ცეცხლის სიმხურვალე, მამალი ანტილოპას პოტენცია! ო, ბალახო, შენ შემძლებელ ხარ ყოველივესი, შენ ინდრას ძალისა და ცხოველთა ვნების მომცველი ხარ“.

„ასე მომზადებული დაგიბრუნდი და ფურცლებში თავჩარგული გიხილე, მაგრამ ამჯერად ეჭვიანობა გვერდზე გადავდე, რადგან ეჭვი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახეს აჯდება და აბერებს. ო, ღმერთო, მომიტევე... და ის ფხვნილი საჭმელში ჩუმად გაგირიე. მომიტევოს ღმერთმა, მაგრამ ერთი უბრალო ქალი ვარ და წმინდანმა რაც მითხრა, როგორ არ დავუჯერებდი!.. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკეთ ხარ, მადლობა ღმერთს, და გთხოვ, ნუ გამიბრაზდები".

პადმას მიქსტურის გამო ერთი კვირა ვბოდავდი. ჩემი ნეხვის ლოტოსი (კბილთა ღრჭიალით) იფიცება, რომ ფიცარივით გავქვავდი და პირზე ქაფი მომადგა. ციებ-ცხელებაც მქონდა. თურმე გველებს ვახსენებდი, მაგრამ ვიცი, რომ პადმა გველი არ არის და ჩემთვის ზიანის მოყენებაც არ უფიქრია.

„სიყვარული ქალს ჭკუიდან შლის, ბატონო", — მოთქვამს პადმა.

ვიმეორებ: პადმას არ ვადანაშაულებ. დასავლეთის მთების ვიწროებში კაცური პოტენციის ბალახის მოსაკრეფად წაეხეტა; მუკუნა პრურიტუსა და ფერონია ელეფანტუმის ფესვებს ეძებდა, მაგრამ ვინ იცის, რა მონახა და რა დაკრიფა! ვინ იცის, მართლა რძეში შერეული მცენარე იყო მიზეზი, თუ სხვა რამ, მაგრამ მუცელი ისე ამედღვიბა და ისე გამიფაფავდა, რომ ინდუს კოსმოლოგიის შემსწავლელმა სტუდენტებმაც იციან: ინდრამ სწორედ ასეთი ფაფისაგან შექმნა მატერია და პირველი წვნიანი დოს უშველებელ კასრში შედღვიბა. არა უშავს. დიდებული და კეთილშობილი მცდელობა იყო. მაგრამ პოტენცია უკან ჩამომრჩა — ქვრივმა რაც გამიკეთა, იმის მერე ნამდვილი მუკუნაც კი ვერ მიშველიდა. ფერონიას ბალახიც ვერ აღძრავდა ჩემში „ცხოველურ ვნებას".

ისევ მაგიდასთან ვზივარ; პადმა ფეხებთან მიზის და მამხნევებს. ტოლფერდა სამკუთხედის ფუძესავით მყარი და გაწონასწორებული ვარ. წვერიდან დავყურებ აწმყოსა და წარსულს და ვგრძნობ, რომ ჩემს კალამს სიუხვე უბრუნდება.

რაღაც მაგიამ იმოქმედა. პადმას ექსკურსიამ ჯადოქართა უძველეს სამყაროსთან დამაკავშირა, სიბრძნის სამყაროსთან, რომელსაც დღეს უმეტესნი კაცნი ვერ იტანენ; მაგრამ (მიუხედავად მუცლის ტკივილისა, ციებ-ცხელებისა და პირზე მომდგარი ქაფისა) ჩემი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში ის უძველესი სიბრძნე ლავასავით ამოიფრქვა და მიხარია, რადგან დაკარგული ზომიერების გრძნობა აღვიდგინე.

დაფიქრდით. ჩემი ვერსიის მიხედვით, ისტორია 1947 წლის 15 აგვისტოს ახალ ფაზაში შევიდა. თუმცა, სხვა ვერსიით ეს თარიღი, რო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელსაც ვერსად წავუვალთ, კალი-იუგას[1] წყვდიადის ეპოქაში ერთი ეფემერული წამია, რომელშიც მორალის ძროხა ერთადერთ ფეხზე დგას და წასაქცევად ემზადება! კალი-იუგა იმ ნარდის თამაშს ჰგავს, რომელშიც ჩვენს ერს კამათელმა უმტყუნა; ეს კი ყველაზე უარესი რამაა, რაც კი შეიძლება მოხდეს. ეს ის ეპოქაა, როცა კაცს ქონების გამო აძლევენ თანამდებობას, როცა სიმდიდრე ღირსებას უდრის, როცა ავხორცი ვნებაა ერთადერთი დამაკავშირებელი ქალისა და მამაკაცისა; როცა სიცრუეს წარმატება მოაქვს (საოცარი არაა, რომ ამ დროში მეც დავიბენი და ერთმანეთში ამერია კეთილი და ბოროტი?)... ეს ეპოქა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3102 წლის 18 თებერვალს, პარასკევ დღეს დაიწყო და სულ რაღაც 432 000 წელს გასტანს! თავს უბადრუკ ქონდრისკაცად ვგრძნობ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ წყვდიადის ეპოქა თანამედროვე მაჰა-იუგას ციკლის მეოთხე ფაზაა, რომელიც საერთო ჯამში ათჯერ უფრო ხანგრძლივია. და თუ დაფიქრდებით, რომ ბრაჰმას[2] ერთი დღის შესასრულებლად ათასი მაჰა-იუგაა საჭირო, მაშინ მიხვდებით, ზომიერებაში რას ვგულისხმობ.

ამ დროს (როცა შუაღამის შვილთა წარდგინების მოლოდინით ვკანკალებ) ცოტა თავმდაბლობა არ გვაწყენდა.

დაბნეული პადმა გვერდს იცვლის. „რას ამბობ, — მეკითხება გაწითლებული, — ასე ინტელექტუალები ლაპარაკობენ, ამას ჩემთან რა კავშირი აქვს?“

...მაჰმადიანურ ტრადიციებზე აღვიზარდე და უცებ უძველესი სწავლება მახსენდება. ჩემი პადმა ჩემ გვერდითაა, რომლის დაბრუნებას ასე ძალიან ვნატრობდი... ჩემი პადმა! ლოტოსის ქალღმერთი, ნეხვთა მომცველი, რომელსაც თაფლისა და ოქროს შემადგენლობა აქვს და ვაჟები მისი წუმპე და ტალახია...

„ალბათ ისევ სიცხე გაქვს, — ხითხითებს პადმა, — რის ოქროს შემადგენლობა... და შენ ხომ იცი, რომ ბავშვები არ მყ...“.

...პადმა იაქსას სულებივით, დედამიწის წმინდა საგანძურს რომ

---

[1] *კალი-იუგა — იუგა (სანსკ.) — დროის პერიოდი ინდუიზმში. არსებობს ოთხი იუგა: სატია-იუგა, ტრეტა-იუგა, დვაპარა-იუგა (ლეგენდის მიხედვით, ვიშნუმ მეორე და მესამე იუგა გადაანაცვლა) და კალი-იუგა (რკინის ხანა). ინდუიზმის მიხედვით, კაცობრიობა ამჟამად მეოთხე — კალი-იუგაში იმყოფება და საქმე მის განადგურებისკენ მიდის (აპოკალიფსური ხანა).*

[2] *ბრაჰმა (სანსკრ.) — ადრეული ბრაჰმანიზმის უმაღლესი ღვთაება. ინდუისტური სამების ტრიმურტის შემოქმედი ღმერთი მფარველ ვიშნუსა და გამანადგურებელ შივასთან ერთად.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარმოადგენენ, განგის, იამუნას და სარასვატის წმინდა მდინარეებივით და ხეების ქალღმერთებივით, სიცოცხლის მფარველია. იგი მაიას ოცნების ქსელში გამავალ მოკვდავთ სუდრავს და იცავს... პადმა ყვავილის ბუტკოა, რომელიც ვიშნუს ჭიპიდან ამოიზარდა და რომელშიც, თავად ბრაჰმა დაიბადა. პადმა დროის წყაროა, მისი მშობელია!..

„ჰეი, — შეწუხდა პადმა, — მოდი, ერთი, შუბლი გაგისინჯო!“

...და მე სადღა ვარ მთელ ამ მატერიის სქემაში (მე, რომელიც პადმას დაბრუნებამ დამაწყნარა და შემიტყუა)! უბრალო მოკვდავი ვარ თუ მოკვდავზე მეტი? იქნებ მამონტის ხორთუმიანი სპილო განეში ვარ, რომელიც მთვარესავით წყალთა მეუფეა და მოკვდავთ წვიმით ასაჩუქრებს... დედამისი დედოფალი ირა იყო — თანამეცხედრე ქაშიაფისა, მოხუცი კუკაცასი, რომელიც დედამიწის ყველა არსების წინაპრად ითვლება... სპილო ცისარტყელაცაა და ელვაც და მისი სიმბოლიკური ღირებულება ბუნდოვანი და სადავოა.

კარგი, მაშინ: ცისარტყელასავით ამოუცნობი, ელვასავით მოულოდნელი, განეშივით ენაჭარტალა ვარ და ჩანს, რომ ბოლოს და ბოლოს, უძველეს სიბრძნეში ჩემი ადგილი მოვიპოვე.

„ღმერთო კი მომკალი, — წუხს პადმა და ცივ წყალში დასველებულ პირსახოცს მოარბენინებს, — შუბლზე ცეცხლი გიკიდია, ჯობია დაწვე, წერას კიდევ მოესწრები! ახლა შენ კი არა, შენი ცხელება ლაპარაკობს“.

მაგრამ მე უკვე ერთი კვირა დავკარგე, სიცხეს არ დავეძებ, წერა უნდა გავაგრძელო, რადგან ახლა ამ ძველმოდური იგავთმთხრობელობის შებოჭილობისგან გავთავისუფლდი და ჩემი მოთხრობის ფანტასტიკურ გულში შევდივარ, სადაც შუაღამის შვილების შესახებ უბრალო და შეულამაზებელი ენით უნდა მოგიყვეთ.

გესმით, არა, რას ვამბობ? 1947 წლის 15 აგვისტოს, შუაღამესა და დილის პირველ საათს შორის, ინდოეთის ახალშობილ დამოუკიდებელ ქვეყანაში ათასზე მეტი ჩვილი დაიბადა (უცნაურია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ), იმ დროს შობადობის რიცხვმა საათში ექვსას ოთხმოცდაშვიდით გადააჭარბა სიკვდილიანობის მაჩვენებელს. თუმცა ამ ფაქტში, თავისთავად, უცნაური არაფერია. რამ გახადა ეს მოვლენა ასეთი ღირსშესანიშნავი (ღირსშესანიშნავი! ო, რა ულიმღამო სიტყვაა!)? იმან, რომ იმ ღამით დაბადებულ ბავშვებს უცნაური თვისებები აღმოაჩნდათ. შეიძლება ეს ბიოლოგიურ უცნაუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობას მივაწეროთ, ან დაბადების მომენტში რაღაც ძალამ იმოქმედა, ან უბრალოდ დაემთხვა (თუმცა სინქრონულობა ასეთ სასწორზე ს. ჯ. ჯანგსაც გააოცებდა), რომ ამ ბავშვებს მიემადლათ ისეთი ნიჭი ან თვისებები, რომელსაც სასწაულებრივად აღიქვამენ ხოლმე. თუ ნებას მომცემთ, წარმოსახვასაც ვაფხიზლებ. თითქოსდა ისტორიამ, რომელიც უდიდესი მნიშვნელობისა და დაპირების წერტილს მისწვდა, იმ მომენტში ისეთი მომავლის თესლის დათესვა ირჩია, მანამდე არსებული სამყაროსგან რადიკალურად განსხვავებული რომ იქნებოდა.

საზღვრებს იქით, ახალგამოჩეკილ პაკისტანშიც თუ იგივე სასწაული მოქმედებდა, — ეს უკვე აღარ ვიცი; ჩემი აღქმა მოიცავდა არაბეთის ზღვას, ბენგალის ყურეს, ჰიმალაის მთებსა და იმ ხელოვნურ საზღვრებსაც, პენჯაბსა და ბენგალზე რომ გადიოდა.

ცხადია, იმდენივე ბავშვი ვერ გადარჩა ცოცხალი, რამდენიც დაიბადა. ცუდმა კვებამ, ავადმყოფობამ და კიდევ სხვა ბევრმა უბედურებამ 420 მათგანი იმსხვერპლა კარგა ხნით ადრე, სანამ მათი არსებობის შესახებ გავიგებდი. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ალბათ ამ მსხვერპლსაც თავისი დანიშნულება ჰქონდა, რადგან უხსოვარი დროიდან რიცხვი 420 ყალთაბანდობასა და ხრიკებთან ასოცირდება. შესაძლოა, ეს ბავშვები ბედმა გაწირა, რადგან შეუსაბამო, ყალბი შვილები იყვნენ იმ შუაღამისა! შეიძლება, მაგრამ ეს მაინც ფანტაზიის ნაყოფია. და მეორე: ეს დამოკიდებულია ცხოვრების თვალსაზრისზე, რომელიც ღვთიურიც არის და ბარბაროსულად დაუნდობელიც. პასუხგაუცემელი კითხვაა. ამიტომ ამის გამოდევნება შედეგს არ მოგვცემს.

1957 წელს, ყველა, ხუთას ოთხმოცდაერთი გადარჩენილი ბავშვი ათი წლის ხდებოდა. ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს, თუმცა გამონაკლისიც არსებობდა. ქალაქ ბაუდში, მაჰანადის მდინარესთან ტყუპი და ცხოვრობდა და ამ მხარეში მათი სახელი ლეგენდად იქცა. უშნო გარეგნობის მიუხედავად, ამ გოგონებს საოცარი ძალა ჰქონდათ მამაკაცებზე. მამაკაცებს ისინი ისე უყვარდებოდათ, რომ საქმე ზოგჯერ თვითმკვლელობამდეც კი მიდიოდა. განცვიფრებულ მშობლებს თავს აბეზრებდა კაცთა არმია, რომელიც გოგონების ხელის სათხოვნელად იყო მოსული; ზოგი მათგანი ერთის ხელს ითხოვდა, ზოგიც კიდევ — ორივეს ერთად. მათ შორის იყვნენ ხანში შესული მამაკაცები, რომლებსაც გოგონებმა ჭკუა სულ დააკარგვინეს, და ახალგაზრდა ვაჟები, რომლებიც, წესით, იმ მსახიობ ქალთა სიყვარულს უნდა დაებანგა, ბაუდში რომ თვეში ერთხელ ჩამოდიოდნენ. იყ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვნენ გაუბედურებული ოჯახებიც, რომლებიც გოგონებს წყევლიდნენ და ადანაშაულებდნენ იმის გამო, რომ მათმა ვაჟებმა მათ გამო თავი დაისახიჩრეს, ან დაიწვეს, ან თვითმკვლელობა ჩაიდინეს. ამ იშვიათი შემთხვევების გარდა, შუაღამის შვილები ისე იზრდებოდნენ, რომ ნამდვილ დედმამიშვილთა შესახებ არაფერი იცოდნენ ამ უშველებელ ოღროჩოღრო დუნიაზე — ინდოეთის ბრილიანტი რომ ჰქვია.

მე მხოლოდ მაშინ მივხვდი მათ არსებობას, ველოსიპედიდან გადმოვარდნილს შერყევა რომ მომივიდა.

მათ საყურადღებოდ ვიტყვი, ვისი გონებისთვისაც ეს ამბები ცოტა ძნელად აღსაქმელია: აი, სწორედ ასე მოხდა და სინამდვილეს ვერ დავშორდებით. მხოლოდ ურწმუნოთა ეჭვების საკუთარი მხრებით ზიდვა მომიწევს. მაგრამ, ვერც ერთი შეგნებული კაცი ამ ჩვენს ინდოეთში ვერ შეძლებდა თავი დაეცვა იმ ამბისაგან, რის მოთხრობასაც ახლა ვაპირებ; იმ საოცარ ბავშვთა წყებას ეროვნული გაზეთის ვერც ერთი მკითხველი გვერდს ვერ აუვლის. გასულ კვირას ერთმა ბენგალელმა ბიჭმა საკუთარი თავი რაბინდრანათ თაგორის[1] რეინკარნაციად გამოაცხადა და სრულიად მოულოდნელად (და მშობლების გასაკვირადაც) შესანიშნავი ლექსების იმპროვიზაცია დაიწყო. მე მახსოვს ორთავიანი ბავშვები (ერთი ადამიანისა და ერთი ცხოველის თავით). ასევე ბავშვები, რომლებსაც ხარის რქები ჰქონდათ.

უნდა ვაღიარო, რომ ზოგი ნიჭი, რომელიც ამ ბავშვებს დაებერტყათ, სულაც არ იყო სასიამოვნო, მათთვისაც კი. ზოგი მათგანი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ იმ შუაღამით შეძენილი ნიჭი დროთა განმავლობაში ჩამოერთვათ. მაგალითად (ბაუდელი ტყუპების ამბისა არ იყოს), დელიში იყო ერთი მათხოვარი გოგონა, სახელად სუნდარი, რომელიც ქუჩაში, ფოსტის შენობის უკან დაიბადა, არც ისე შორს იმ სახურავიდან, სადაც ამინა სინაიმ რამრამ სეთისგან რაღაცები გაიგო. გოგონა ისეთი ლამაზი დაიბადა, რომ მისმა სიტურფემ არა მარტო დედამისი, არამედ ის ქალებიც დააბრმავა, მის გაჩენაში რომ ეხმარებოდნენ. მამამისი დროზე გააფრთხილეს ქალებმა, მათ კვილზე ოთახში რომ შევარდა. თუმცა თვალი მაინც გაექცა ქალიშვილისკენ და მისმა წამიერმა მზერამ მხედველობა ისე დაუზიანა, რომ მერე ინდოელებსა და უცხოელ ტურისტებს ერთმანეთისგან ვერ არჩევდა.

---

[1] *რაბინდრანათ თაგორი (1861-1941) — ინდოელი მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე. ნობელის პრემიის ლაურეატი. ინდოეთისა და ბანგლადეშის ჰიმნების ავტორი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამან მათხოვრული უნარებიც დაუქვეითა. სუნდარი იძულებული გახდა სახეზე ტილო აეფარებინა მანამ, სანამ ბებერმა და დაუნდობელმა ბებიამ გოგონა თავის გამხმარ მკლავებში მოიმწყვდია და დანით სახე დაუსერა. მაშინ, როცა სუნდარის არსებობის შესახებ გავიგე, ის უკვე სამოწყალოდ მათხოვრობდა. ყველას ეცოდებოდა, რადგან იცოდნენ, რომ ერთ დროს ულამაზესი გოგონა ახლა ასე უმოწყალოდ დაესახიჩრებინათ. ოჯახის წევრებს შორის ყველაზე მეტ მოწყალებას სუნდარი იღებდა.

არც ერთ იმ ბავშვთაგანს ეჭვად არ ჰქონია, რომ მათი უცნაურობა მათივე დაბადების თარიღთან რამენაირად იყო დაკავშირებული. ამის აღმოსაჩენად მეც დრო დამჭირდა. პირველად, ველოსიპედის შემთხვევის შემდეგ (და განსაკუთრებით მაშინ, ენის დემონსტრანტებმა ივი ბერნსი რომ დამავიწყეს) ნელ-ნელა, თითო-თითოდ აღმოვაჩინე ეს საარაკო არსებები, ჩემი გონების მინდორში მოულოდნელად რომ გაინავარდეს. ამ არსებებს ისე ხარბად კრეფდა ჩემი გონება, როგორც პატარა ბიჭები, მწერებს რომ აგროვებენ და ისე მონდომებით, როგორითაც რკინიგზას და მატარებლებს რომ აკვირდებიან. ავტოგრაფიანი წიგნებისადმი ინტერესი დამეკარგა და ამდაგვარი დაუძლეველი ინსტინქტის ყველა გამოვლინება გაქარწყლდა, რადგან ახლა იმ ხუთას ოთხმოცდაერთი არსების მიერ შექმნილმა რეალობამ დამძლია (აქედან ორას სამოცდაექვსი ბიჭი ვიყავით; გოგონები ჩვენზე ბევრნი იყვნენ — სამას თხუთმეტი, მათ შორის იყო კუდიანი პარვათი).

შუაღამის შვილები!.. ქერალა იყო ბიჭი, რომელიც სარკეში უჩინარდებოდა და სხვაგან, რომელიმე პრიალა, სარკისებურ ზედაპირზე ამოდიოდა. შეეძლო ტბის ზედაპირზე ამოჩენილიყო, და მანქანების პრიალა მეტალის ზედაპირზეც (თუმცა გაჭირვებით) ამოდიოდა... ერთი გოანელი გოგონა იყო, რომელსაც თევზების გამრავლების ნიჭი ჰქონდა; ტრანსფორმაციის უნარის მქონე ბავშვები ხან მგლად იქცეოდნენ და ხან ნილგირის მთებად; ვინდიასის დიდ ჩანჩქერთან ერთი ბიჭი ცხოვრობდა, რომელსაც სურვილისამებრ შეეძლო საკუთარი სიმაღლის გაზრდა-დაპატარავება. მისმა სიეშმაკემ დიდი პანიკა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომ თითქოს დედამიწაზე გოლიათები დაბრუნდნენო... ქაშმირში ერთი ცისფერთვალა ბავშვი ცხოვრობდა, გოგო იყო თუ ბიჭი, ვერ დავადგინე, რადგან წყალში რომ ჩავიდოდა, სასქესო ორგანოს თავისი სურვილისამებრ იცვლიდა. ზოგი ნარადას


www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეძახდა, ზოგი მარქანდაიას, ოღონდ ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ სქესთა შეცვლის რომელ ზღაპარს ვისმენდით... ჯალნასთან ახლოს, სიცხისგან გადამწვარი დეკენის შუაგულში ერთი წყლით წინასწარმეტყველი ბიჭი აღმოვაჩინე; კალკუტის გარეთ, ბაჯ-ბაჯში ბასრენიანი გოგონა ცხოვრობდა, რომელიც სიტყვით ხალხს ფიზიკურ ჭრილობებს აყენებდა. რამდენიმე კაცი პირიდან ნასროლი წვეტიანი გესლით რომ დაასისხლიანა, ბამბუკის გალიაში მოათავსეს და მდინარე განგის სუნდარბანის ჯუნგლის მიმართულებით გააყოლეს (ეს ჯუნგლი ფანტომთა და მონსტრთა ნამდვილი თავშესაფარია); გოგონასთან მიახლოებას ვერავინ ბედავდა. მთელი ქალაქის გასწვრივ მდინარეზე ჩაიარა და შიში დათესა. არავის ეყო გამბედაობა, საჭმელი არ მიეცათ მისთვის. ერთი ბიჭი მეტალს ჭამდა; ერთ გოგონას ისეთი მწვანე თითები ჰქონდა, რომ თარის უდაბნოში ბადრიჯანი მოჰყავდა. და კიდევ ვინ იცის, რამდენი უცნაური ბავშვი იყო... მათმა რიცხვმა და ნიჭის მრავალფეროვნებამ ისე წამლეკა, რომ მათ ჩვეულებრიობაზე ყურადღება არ გამიმახვილებია. ჩვენი პრობლემები საყოველთაო საკაცობრიო პრობლემა იყო, რომელსაც პიროვნება ან ვითარება წამოჭრის ხოლმე. ჩხუბის დროს ჩვეულებრივი ბავშვები ვიყავით.

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც უნდა აღვნიშნო. იმას, ვინც შუაღამესთან უფრო ახლო დროს დაიბადა, უფრო დიდი ნიჭი მიებოძა. უკანასკნელ წამს დაბადებული ბავშვები (გულახდილად რომ ვთქვათ) უცნაურზე ცოტა კიდევ უცნაურნი გამოვიდნენ: წვერიანი გოგონები, თევზისფარფლიანი ბიჭი, სიამის ტყუპები, — ერთი თავი და ორი ტანი რომ ჰქონდათ, თავი ორი ხმით ლაპარაკობდა, ერთი ხმა გოგოსი იყო, მეორე — ბიჭისა და ინდოეთის ყველა ენა და დიალექტი იცოდა. თუმცა იმ მისტიკურ შუაღამეს, გარდა უცნაურობებისა, უბედური შემთხვევებიც მოხდა. გირის ტყეში ერთი ჯადოქარი გოგონა ცხოვრობდა, რომელიც ხელებით კურნავდა. შილინგში მდიდარი ჩაის პლანტატორის ვაჟი დალოცვილი იყო (თუ დაწყევლილი) იმ თვისებით, რომ, რასაც ნახავდა ან გაიგონებდა, უკლებლივ ყველაფერი ახსოვდა. პირველ წუთს დაბადებული ბავშვები ბუნებამ ისეთი დიდი ნიჭით დააჯილდოვა, რომელზეც ვერც კი იოცნებებდი. პადმა, შენ რომ იმ დაბადებათა ცნობარი გქონოდა, რომელშიც დრო საოცარი სიზუსტით იყო მითითებული, შენც გეცოდინებოდა, თუ როგორ დაეუფლა ლაქნოუს ოჯახის ათი წლის წევრი ალქიმიის მივიწყებულ ხელოვნებას, რომლითაც ძველი, მაგრამ გაღარიბებული ოჯახი ისევ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაამდიდრა. მადრასელი მრეცხავი კაცის ქალიშვილი (ჩვიდმეტი წუთი იყო გასული შუაღამიდან, რომ დაიბადა) თვალებს ხუჭავდა და ჩიტებზე მაღლა მიფრინავდა. ოქრომჭედელი ბენარსის ვაჟი (შუაღამიდან თორმეტი წუთის შემდეგ დაბადებული) დროში მოგზაურობდა, მომავალს წინასწარმეტყველებდა და წარსულში მომხდარ მოვლენებს ნათელს ჰფენდა... ჩვენ, ბავშვები, აწ გარდასული და დავიწყებული ამბების მოყოლას ვუთმენდით, მაგრამ მომავალში ჩვენი აღსასრულის შესახებ რომ გვაფრთხილებდა, მაშინ დავცინოდით... საბედნიეროდ, ჩანაწერები არ არსებობს. მე კი, ჩემდა თავად, არც კი შევეცდები გამოვამჟღავნო მათი სახელები და მათი ადგილმდებარეობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემს ნათქვამს უფრო დაადასტურებდა. შუაღამის შვილები იმის ღირსნი არიან, რომ არ შევაწუხოთ და, ალბათ, დავივიწყოთ კიდეც, მაგრამ მე მაინც გავიხსენებ...

ჯადოქარი პარვათი ძველი დელის იმ ჯურღმულში დაიბადა, მეჩეთის საფეხურს რომ ესაზღვრება. მაგრამ ეს ჩვეულებრივი ჯურღმული არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქოხები შესაფუთი ყუთების, დაჟანგული კონსერვის ქილებისა და ჯუთის მცენარის კონებისგან იყო დამზადებული. ჩამოფენცხილი სახლები მეჩეთის ჩრდილში იდგნენ და სხვა ჯურღმულთქალაქის სახლებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ... ეს ადგილი ჯადოქართა გეტო[1] იყო, რომელმაც ერთ დროს კოლიბრი გამოჩეკა, დანებმა რომ დასერეს და ძაღლების ხროვამაც რომ ვერ იხსნა... ეს იყო ჯადოქართა ჯურღმული, საითკენაც მთელი ქვეყნის ფაკირები და ილუზიონისტები მიედინებოდნენ, რათა დედაქალაქში ბედს სწეოდნენ. ისინი კოლოფის ქოხებში ცხოვრობდნენ და ვირთხებისა და პოლიციის შემოტევას განიცდიდნენ... პარვათის მამა ერთ დროს ოუდში სახელგანთქმული მეფოკუსე იყო. პარვათი იმათ შორის გაიზარდა, ტუჩების უმოძრაოდ ლაპარაკის ოსტატები რომ არიან; ანეკდოტებს რომ ჰყვებიან და ქვებს ბადებენ; აკრობატებს შორის, რომელნიც საკუთარ ფეხებს ყლაპავენ; ცეცხლის მჭამელებს შორის, რომელნიც ალს უკანალიდან უშვებენ; ტრაგიკულ კლოუნებს შორის, რომელნიც თვალებიდან შუშის ცრემლებს აფრქვევენ. პარვათი მორჩილად იდგა გაოცებული ბრბოს შუაგულში, როცა მამამისი

---

[1] *გეტო (იტალ.) — შუა საუკუნეების ევროპაში, აგრეთვე ზოგიერთ თანამედროვე ქვეყანაში: დიდ ქალაქში საგანგებოდ გამოყოფილი უბანი, სადაც იძულებით არის დასახლებული ადამიანთა გარკვეული რასობრივი, რელიგიური და სხვა სახის ჯგუფი. აქ: ჯადოქართა გეტო.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კისერში შამფურებს უყრიდა. გოგონას არასოდეს გაუმჟღავნებია თავისი საიდუმლო — უფრო დიადი, ვიდრე ყველა იმ ილუზიონისტის ძალა, მის ირგვლივ რომ იყვნენ. პარვათი ხომ შუაღამიდან სულ რაღაც შვიდ წამში ჯადოქრად დაიბადა და მისი ცოდნა ნამდვილი იყო და არა ხელოვნური.

ასე რომ, შუაღამის შვილებს შორის იყვნენ ბავშვები, რომელთაც შეეძლოთ სახის შეცვლა, ფრენა, წინასწარმეტყველება და ჯადოქრობა... მაგრამ ორი ჩვენგანი ზუსტად შუაღამით დავიბადეთ: სალემი და შივა, შივა და სალემი; ცხვირი და მუხლები, მუხლები და ცხვირი... შივა ბრძოლის ნიჭით დაჯილდოვდა (რამას ნიჭით, რომელსაც მოუხრელი მშვილდის მოხრა შეეძლო; არჯუნასა და ბიმას უნარებით; კურუსა და ფანდავას უძველესი უნარები მიემადლა!)... მე კი ყველაზე დიდი ნიჭი მებოძა: შემეძლო კაცის გულსა და გონებაში ჩამეხედა.

მაგრამ, ეს კალი-იუგაა — წყვდიადის ხანა. ამიტომ, ამ დროს დაბადებული ბავშვები, თუმცა გამორჩეულნი ვიყავით, მაგრამ სიკეთე მაინც საჭოჭმანო თემა იყო.

ხომ ვთქვი: აი, ასეთი ვიყავი მე — აი, ასეთი ვიყავით ჩვენ.

პადმა ისე იყურება, თითქოს დედა მოუკვდა. პირს ნაპირზე გამორიყული თევზივით აფჩენს. „ო, ღმერთო! — ამოღერღა ბოლოს, — შენ ავად ხარ, რა თქვი?“

არა, ეს ხომ იოლი გზა იქნებოდა, ამიტომ ავადმყოფობაზე უარს ვამბობ. ჩემს გამჟღავნებულ ბოდვას უკან არ გავიწვევ, თუნდაც უპატრონო, მიტოვებული ბავშვის გიჟურ ფანტაზიებს ჰგავდეს; ადრევე გითხარით, რომ მეტაფორულად არ ვლაპარაკობ. რაც დავწერე (და გაოგნებულ პადმას ხმამაღლა წავუკითხე), დედის ჭაღარას გეფიცებით, სრული სიმართლეა.

სინამდვილეს, შესაძლოა, მეტაფორული შინაარსი ჰქონდეს, მაგრამ ეს მის ნამდვილობას ვერაფერს აკლებს, პირიქით — უმატებს. ათას ერთი ბავშვი დაიბადა; ათას ერთ ნიჭსა და შესაძლებლობას მანამდე ერთ ადგილზე არასოდეს მოუყრია თავი. ათას ერთი ფატალური დასასრული. შუაღამის შვილები ბევრ რამეს განასახიერებენ იმისდა მიხედვით, თუ რა შეხედულების პატრონი ხართ; ისინი შეიძლება აღიქვან, როგორც ყოველივე ანტიკვარულისა და ძველის უკანასკნელი გამოხდომა ჩვენს მითებით სავსე ერში, რომლის მარცხი XX საუკუნის თანამედროვე ეკონომიკის კონტექსტში სრულიად მოსალოდნელი იყო; ანდა ეს ბავშვები შეიძლება აღიქვან, როგორც თა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვისუფლების ნამდვილი იმედი, რომელიც ახლა სამუდამოდ აღიგავა. მაგრამ ისინი ავადმყოფური ტვინის ნაბოდვარ, უცნაურ ქმნილებებად არ უნდა იქცნენ. არა: ავადობა არც აქ არის და არც იქ.

„კარგი, ჩემო ბატონო, კარგი, — პადმა ცდილობს დამამშვიდოს, — ასე რატომ ბრაზობ? დაისვენე ახლა, ცოტა ხნით მაინც დაისვენე, განა რას გთხოვ ასეთს“.

ათი წლის რომ უნდა გავმხდარიყავი, ის დრო მართლაც ჰალუცინაციური იყო. მაგრამ ჰალუცინაციები ჩემს თავში როდი სუფევდნენ. მამაჩემი, აჰმედ სინაი, რომელიც ექიმი ნარლიკარის მოღალატურმა სიკვდილმა ჭკუიდან შეშალა, ჯინსა და ტონიკს მიეძალა და ოცნების მოფორიაქე ქვეყანაში გაფრინდა. მისი თანდათანობითი დაკნინების ყველაზე მზაკვრული მხარე ის იყო, რომ ხალხს სულ სხვა რამ ეგონა... სონის დედამ, ნასიიხვმა, ერთ საღამოს ამინას უთხრა: „რა დიდებულია ამინა, დაო, რომ შენს აჰმედს აყვავების ხანა უდგას! რა კარგი კაცია, და ოჯახზე როგორ ზრუნავს!“ ნასიიხვმა ისე ხმამაღლა თქვა ეს, რომ აჰმედმაც გაიგონა. ვითომ მებაღეს რაღაც მითითებას აძლევს და ვითომ თავმდაბლურ გამომეტყველებას იღებს, მაგრამ ეს ყველაფერი არადამაჯერებლად ჩანს, რადგან მისი გაბერილი სხეული უფრო გაიფუყა და გაიჯგიმა ისე, რომ თვითონაც ვერ შეამჩნია, ბაღის ონკანქვეშ გარიყულმა გურუ პურუშოთამმაც კი უხერხულობა რომ იგრძნო.

დაჭკნობის პირას მისული მამა... თითქმის ათი წელიწადის განმავლობაში საუზმის დროს მუდამ კარგ ხასიათზე იყო, ოღონდ წვერის გაპარსვამდე; კანი რომ დაუჭკნა და წვერიც გაუთეთრდა, ის მცირეხნიანი კარგ ხასიათზე ყოფნაც სადღაც გაქრა. დაბოლოს, ის დღეც დადგა, როცა საუზმის დროს მწყობრიდან გამოვიდა. ის დღე იყო, გადასახადები რომ გაზარდეს და გადახდის პერიოდი კი — შეამცირეს. მამამ გაზეთი ძირს დაახეთქა და თვალებში ისეთი სიწითლე მოაწვა, უკიდურესი სიბრაზისას რომ მოსდიოდა. „აბანოში წასვლას ჰგავს!“ დაიღრიალა ისე ცივად, ჩვენ კი არა, საუზმის მაგიდაზე დადებულ კვერცხს, გახუხულ პურსა და ჩაისაც გააჟრჟოლა. „პერანგი გაიხადეთ და შარვალი ჩაიხადეთ, ეს მთავრობა აბანოში მიდის, გზად უნდა გადაგვიაროს და დედა გვიტიროს!“ შავი დედაჩემი გაწითლდა, „კაცო, ბავშვებთან მაინც გაჩუმდი“. მაგრამ მამაჩემმა ისე აიშვა, რა გააჩერებდა; და მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავს, როცა ვინმე ამბობს: ქვეყანას დედა ეტირაო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მომდევნო კვირებში მამაჩემის ნიკაპმა ჭკნობა გააგრძელა და რაღაც სიმშვიდეზე უფრო მეტი დაიკარგა საუზმის მაგიდასთან: მამას დაავიწყდა, რა კაცი იყო მანამ, სანამ ნარლიკარი უღალატებდა. ჩვენი ოჯახური ტრადიციებიც დაკნინდა. მამა საუზმეზე არ გამოდიოდა და ამინაც ადრინდელივით ვერ სცინცლავდა ფულს. მაგრამ ამის საკომპენსაციოდ აჰმედი საკუთარი ჯიბისადმი დაუდევარი გახდა. მისი დაკენკილი ტანისამოსის ჯიბეები რუპიებითა და მონეტებით იყო სავსე და ამინა ამით სარგებლობდა. მამაჩემი, ოჯახს რომ მოწყდა, ამის ყველაზე სევდიანი დადასტურება ის იყო, რომ ძილისპირულ ზღაპრებს აღარ გვიყვებოდა და თუ მაინც ოდესმე ინდომებდა, მისი მონათხრობი იმდენად ხელოვნური და არადამაჯერებელი იყო, რომ არც კი გვაინტერესებდა. ამბავი სულ ერთი და იგივე იყო: პრინცები, მფრინავი ცხენები, ავი სულები, თავგადასავალი მოჯადოებულ მხარეში; აჰმედის ზერელე ხმაში დაჟანგული და ხელიდან წასული წარმოსახვის ჭრიჭინი და ოხვრა ისმოდა.

მამა აბსტრაქციას დანებდა. ჩანს, რომ ნარლიკარის სიკვდილმა და ამასთან, ჯებირის ოცნების დასამარებამ აჰმედ სინაის დაანახვა, რომ ადამიანური ურთიერთობები არასანდოა. ამიტომ ყველა ასეთი ურთიერთობა და კავშირი სამოსივით გაიხადა. ალიონამდე დგებოდა და თავის ახლანდელ ფერნანდასა თუ ფლორასთან ერთად კაბინეტში იკეტებოდა. იმ კაბინეტის გარეთ, ფანჯარასთან მამამ ორი მარადმწვანე ხე დარგო ჩემი და მანქის დაბადების აღსანიშნავად. ეს ხეები ისე გაიზარდნენ, რომ ოთახში დღის სინათლეს აღარ უშვებდნენ. ჩვენ მის შეწუხებას რომ ვერ ვბედავდით, ამის გამო მამა მარტოობის მორევმა შთანთქა. თუმცა მარტო ყოფნა ჩვენს მრავალრიცხოვან ქვეყანაში ისეთი არაჩვეულებრივი რამაა, რომ თითქმის არანორმალურ მდგომარეობას უტოლდება. ჩვენი საშზარეულოს საჭმელს აღარ ეკარებოდა და ყოველდღე რაღაც იაფფასიანი ნაგვით იკვებებოდა, რომელსაც მდივანი ყიდულობდა მისთვის. მისი კაბინეტიდან უცნაური სურნელება იფრქვეოდა. ამინამ დახუთული ჰაერისა და გაფუჭებული საჭმლის სუნს მიამსგავსა. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს იმ მარცხის სუნი იყო, რომელიც მამას მუდამ თან სდევდა, ოღოდ ახლა უფრო გამძაფრდა.

აჰმედმა, ბომბეიში ჩამოსვლისას, ღარიბ უბანში იაფად შეძენილი ოთახები სულ გაყიდა, რითაც ჩვენი ოჯახი საზრდოობდა. ყველა ბიზნესურთიერთობა გაწყვიტა, მათ შორის თავის ანონიმურ მდგმუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რებთან — კურლასა და ვორლიში, მათუნგას, მაზაგაონსა და მაჰიმში. თავისი შემოსავლები დაადნო და ფინანსური სპეკულაციის გაუხშოებულ და აბსტრაქტულ სივრცეში შეაბიჯა. კაბინეტში რომ ჩაიკეტა, მისი ერთადერთი კონტაქტი გარე სამყაროსთან (თავისი საწყალი ფერნანდების გარდა) ტელეფონი იყო. მასთან მთელ დღეებს ატარებდა და ფულს რაღაც წილებში ან მთავრობის აქციებში აბანდებდა. შემდეგ მალევე, ან დიდი ხნის მერე ყიდდა ისე, როგორც თავად მოისურვებდა... და იმ დღის საუკეთესო ფასს იღებდა. ისე გაუმართლა, რომ ლამის დედაჩემის დოღზე მიღებულ წარმატებას გაეჯიბრა და სააქციო ბირჟა შტურმით აიღო. ეს წარმატება მამაჩემის ლოთობის ფონზე დიდ გმირობად ჩანდა. ჯინით გაჯერებული აჰმედ სინაი მაინც ახერხებდა ფულის ბაზრის ოღროჩოღრო გზებზე ევლო და კისერი არ მოეტეხა. ბაზრის ნებისმიერ ცვლილებაზე ისე გულთმისანივით რეაგირებდა, თითქოს საყვარელი ადამიანის ჩანაფიქრს მიხვდაო... გრძნობდა, როდის გაიზრდებოდა აქციის ფასი და პიკს როდის მიაღწევდა. და ყოველთვის მანამდე იხევდა უკან, სანამ ფასები დაეცემოდა. ასე ნიღბავდა საკუთარ მარტოობას. ფინანსური წარმატება რეალობასთან მის განქორწინებას ჩქმალავდა. თუმცა ზედაპირული ბრწყინვალების მიღმა მისი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა.

ბოლოს, ჩითისკაბიანი მდივნებიც გაექცნენ, რადგან იმ აბსტრაქტულობით დახუთულ სივრცეში სუნთქვა შეეკრათ. მამამ მერი პერეირა დაიბარა და ტკბილი სიტყვით მისი დაყოლიება მოინდომა: „ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, მერი, არა? მე და შენ“. ამაზე საწყალმა ქალმა ასე მიუგო: „დიახ, ბატონო, ვიცი და რომ დავბერდები, თქვენ უნდა მომიაროთ“. მერი შეჰპირდა, შემცვლელს გიშოვიო და მეორე დღეს საკუთარი და, ალისა მოუყვანა, რომელსაც ბევრ უფროსთან ემუშავა და კაცებს მშვენივრად იტანდა. ალისამ და მერიმ ჯო დ'კოსტაზე ჩხუბი დიდი ხანია დაამთავრეს. ალისა ხშირად ამოდიოდა ჩვენთან, მეორე სართულზე, დღის ბოლოს, და რაღაც ისეთი ნაპერწკალი და სითამამე ამოჰქონდა, რომელიც ჩვენს მოწყენილობისგან დახუთულ სახლს ნამდვილად სჭირდებოდა. მე მიყვარდა ალისა. სხვათა შორის, მისგან შევიტყვეთ მამაჩემის უდიდესი უსიამოვნებების შესახებ, რომელმაც ერთი თუთიყუში და ერთი უჯიშო ძაღლი იმსხვერპლა.

ივლისში აჰმედ სინაი ინტოქსიკაციის მუდმივ მდგომარეობაში გადავიდა; ერთ დღეს, როგორც ალისამ გვითხრა, მანქანით სადღაც



www.PDF.ChiaturaINFO.GE

წასულა და როცა ალისა შეშფოთდა, ხომ არაფერი დაემართაო, მაშინ დაბრუნებულა. ხელში შესუდრული გალია ეჭირა, რომელშიც მისი ახალი მეგობარი, ინდური ბულბული იჯდა. ალისამ გაგვანდო: ღმერთმა უწყის, რამდენს მიყვება ბულბულთა შესახებ. ჯადოსნურ ზღაპრებს მათი გალობის შესახებ და სხვა ამგვარს. ხალიფა როგორ მოაჯადოვა ბულბულის სტვენამ, ღამის სილამაზე როგორ გაახანგრძლივა; საწყალი, თვითონ არ იცოდა რას ბოდავდა, ხან სპარსულს იტყოდა, ხან კიდევ — არაბულს. ვერაფერი გავიგე. შემდეგ სახურავი ახადა და რას ვხედავ, გალიაში მოლაპარაკე თუთიყუშია! ალბათ ვინმე თაღლითმა ფრთები შეუღება და ჩორის ბაზარზე გამოიტანა. სიმართლეს, აბა, როგორ ვეტყოდი საწყალ კაცს, რომელიც იმ „ბულბულს“ შეჰხაროდა და იმღერეო, სთხოვდა... სასაცილო ის იყო, რომ სანამ ის ჩიტი საღებავისგან მოკვდებოდა, მის სიტყვებს ჩიტივით კი არა — კაცის ხმაზე იმეორებდა.

მაგრამ უარესი კიდევ მოსალოდნელი იყო. რამდენიმე დღის მერე ალისასთან ერთად მსახურთა სპირალისებურ რკინის კიბეზე ვიჯექი. ამ დროს ალისამ მითხრა: „არ ვიცი, მამაშენს რა სჭირს, მთელი დღე ძაღლს წყევლის და აგინებს!“

იმ წელს ერთი უჯიშო ძაღლი შემოგვეჩვია. ჩვენ შერი დავარქვით. რა იცოდა იმ საწყალმა ძაღლმა, რომ მეთვოლდის მამულში ძაღლის ყოფნა საშიში იყო. მთვრალი აჰმედი ძაღლზე საოჯახო წყევლას ცდიდა.

ეს ის „საოცნებო“ წყევლა იყო, რომლითაც ერთ დროს მეთვოლდზე შთაბეჭდილების მოხდენა უნდოდა. ახლა მის გაწყალებულ გონებაში ჯინი მეუფებდა, რომელმაც დაარწმუნა, რომ ოცნება არ არსებობდა და წყევლის სიტყვებიც დავიწყებოდა. ამიტომ თავის კაბინეტში დაჯდა და წყევლის ფორმულის ექსპერიმენტს ძაღლზე ცდიდა... „ასე წყევლის საწყალ ძაღლს, — მითხრა ალისამ, — ისე დაუნდობლად წყევლის, მიკვირს, რომ აქამდე ფეხები არ გაფშიკა!“

შერი კუთხეში იჯდა და აჰმედს სულელურად უღიმოდა. არც ფერფლად ქცეულა და არც კვამლივით აჭრილა ჰაერში. ერთ საღამოს კაბინეტიდან გიჟივით გამოვარდა და ამინას უბრძანა, მანქანით ყველანი ჰორნბი ველარდში წავეყვანეთ. შერიც წამოვიდა. ველარდში ყველანი აქეთ-იქით დაბნეული დავდიოდით. მერე აჰმედმა თქვა: „ყველანი მანქანაში ჩასხედით“. შერი გარეთ დატოვა... საჭესთან მამა დაჯდა და მანქანა დაძრა. წავედით და ძაღლიც გამოგვეკიდა. მანქიმ ღრიალი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მორთო, მამიკო-მამიკოო. ამინა აჰმედს ეკვედრებოდა, ხოლო მე შეშინებული ჩუმად ვიჯექი და რაღაც საშინელებას ველოდი; რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ და თითქმის სანტა-კრუზის აეროპორტამდე მივედით. ასე იძია შური მამაჩემმა იმ ძუკნა ძაღლზე, რომელიც მის ჯადოქრობას არ დაემორჩილა... ძაღლს ამდენი სირბილისგან არტერია გაუსკდა და იქვე დაეცა. პირიდან და უკანალიდან სისხლი წამოუვიდა. თავზე მშიერი ძროხა დაჰყურებდა.

თითბრის მაიმუნმა (ძაღლები რომ არ უყვარდა) ერთი კვირა იტირა. დედაჩემს გაუწყლოების შეეშინდა და იმდენი სითხე ასვა, რომ გაზონივით მორწყო. მე კი, ათი წლის რომ გავხდი, მამაჩემმა ლეკვი მიყიდა. ალბათ დანაშაულის გრძნობა მაინც ბჟუტავდა მასში. ლეკვს ბარონესა სიმკი ფონ დერ ჰაიდენი ერქვა. ჩემპიონი წინაპრები ჰყავდა. თუმცა, ბულბულის მივიწყებული წყევლისა და დიდი მოგოლების ჩამომავლობისა არ იყოს, ესეც ყალბი იყო, როგორც დედამ მოგვიანებით აღმოაჩინა. ექვსი თვის შემდეგ ძაღლი ვენერიულმა დაავადებამ იმსხვერპლა. იმის მერე შინაური ცხოველები არ გვყოლია.

მე რომ ათი წლის ვხდებოდი, მაშინ მამაჩემი ერთადერთი არ ყოფილა, ვისაც თავი ოცნებათა ღრუბლებში გაემქვრა. მერი პერეირა საწებლებისა და ყველა დასახელების მწნილების კეთებაში გაიმქვრა. ალისას მხიარულების მიუხედავად, მერის სახეს რაღაც აჩრდილი აწვება.

„გამარჯობა, მერი!“ პადმას გული შესტკივა მერიზე და მის მთავარ სცენაზე დაბრუნებას ესალმება. „რა აწუხებს?“ — მეკითხება პადმა.

აი, რა აწუხებს, პადმა! მერის კოშმარები ესიზმრება, რომელშიც ჯოზეფ დ'კოსტა შეურაცხყოფს. ღამით არ ეძინა. ფხიზლობდა, რადგან იცოდა, სიზმარი საჩუქარს უმზადებდა; თვალებქვეშ შავი რგოლები გაუჩნდა, თვალებში თითქოს შუშა ჩაუდგესო; აღქმა ისე დაუჩლუნგდა, რომ ცხადსა და სიზმარს ერთმანეთში ურევდა... საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდა, პადმა! საქმეც გიფუჭდება და საგნებიც სიზმარ-ცხადში უჩინარდებიან... ჯოზეფ დ'კოსტამ იმ არეული ტვინის საზღვარი გადალახა და ბუკინგემის ვილაში არა მარტო როგორც კოშმარული სიზმარი და მოჩვენება, არამედ როგორც სრულუფლებიანი წევრი, ისე დაბინავდა. (იმ დროს) მარტო მერი პერეირა ხედავდა, როგორ დაჰყვებოდა მოჩვენება ყველა ოთახში, სადაც მერი შედიოდა, თითქოს სახლის მეპატრონე იყო; ხედავს სასტუმრო ოთახში



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მინის ვაზებს, დრეზდენურ მინიქანდაკებებსა და ჭერის მბრუნავ ვენტილატორებს შორის. რბილ საკარძელში მოუკალათებია და გრძელი, უსწორმასწორო ფეხები საკარძლის სახელურებზე უწყვია. თვალები კვერცხივით თეთრი აქვს და ფეხებზე გველის ნაკბენი ეტყობა. შუაღამისას ამინას საწოლშიც შეამჩნია, კიტრივით ცივი რომ იწვა მძინარე დედაჩემის გვერდით და დაუყვირა: „ჰეი, შენ, გადი აქედან! რა, თავი ბატონი ხომ არ გგონია?“ — მერის ყვირილმა დედაჩემი გააღვიძა. ჯოზეფის მოჩვენება მერის უღმერთოდ აწამებდა; მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ შეეჩვია და სადღაც შიგნით, გულში მივიწყებულმა სიყვარულმა იდაყვი ჰკრა. თავის თავს კი უთხრა, სისულელეაო, მაგრამ მერე ჰოსპიტლის აწ უკვე გარდაცვლილი დარაჯისადმი მაინც მონატრებული სიყვარულით აღივსო.

მაგრამ სიყვარული მაინც არ დაბრუნდა. ჯოზეფის კვერცხივით თეთრი თვალები ასეთადვე დარჩა. მისი ტუჩები ისე დამცინავად იღიმოდნენ, თითქოს მერის ბრალს სდებენო. ბოლოს, მერი მიხვდა, რომ თურმე ეს ახალი ჯოზეფი იმ ძველი, საოცნებო ჯოზეფისგან არ განსხვავდებოდა (თუმცა შეურაცხყოფა არ მიუყენებია) და თუკი ოდესმე გათავისუფლდებოდა ამ კაცისგან, მაშინ წარმოუდგენელ რამეს ჩაიდენდა: თავის დანაშაულს მთელი სამყაროს წინაშე აღიარებდა. მაგრამ, რომ არ აღიარა, ალბათ ჩემი ბრალი იყო. მერის საკუთარი შვილივით ვუყვარდი. აღიარება მე დამაზარალებდა. ჩემი გულისთვის იტანდა იმას, რომ სინდისის აჩრდილი არ ასვენებდა და აი, ახლაც, საშზარეულოში აჩრდილი მის გვერდით იდგა (ჯინით გაჯერებულმა მამამ მზარეული გააგდო). მერი სადილს რომ გვიმზადებდა, მისდა უნებურად, ჩემი ლათინური სახელმძღვანელოს პირველი სიტყვების განსხეულებად იქცა: „ზღვის ნაპირას, ძიძა სადილს აშზადებდა“. ანდა კიდევ: „თვალებში ჩახედეთ ძიძას, რომელიც საშზარეულოში ფუსფუსებს და თქვენ უფრო მეტს დაინახავთ, ვიდრე რომელიმე სახელმძღვანელოს შეუძლია დაგანახვოთ“.

ათი წლის რომ ვხდებოდი, ბევრი ქათამი სახლში დასაბუდებლად ბრუნდებოდა.

ათი წლის რომ ვხდებოდი, უცნაურმა ამინდებმა, მათ შორის ქარიშხლებმა, წყალდიდობებმა, სეტყვამ, ულრუბლო ციდან რომ ეშვებოდა და რომელსაც 1956 წლის გაუსაძლისი სიცხე მოჰყვა, — მეორე ხუთწლიანი გეგმა სიცოცხლეს გამოასალმა. მთავრობა მოახლოებუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი არჩევნების მიუხედავად, იძულებული გახდა მსოფლიოსთვის ეცნობებინა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის სესხს ვეღარ აიღებდა, ან თუ აიღებდა, მსესხებელ ქვეყანას სესხის დაბრუნებისთვის უსასრულოდ უნდა ეცადა (მაგრამ მოდი, ნუ გავაზვიადებთ მოვლენებს. თუმცა 1961 წელს, ხუთწლიანი გეგმის ბოლოს, 2,4 მილიონი ტონა ფოლადი იწარმოებოდა და თუმცა იმ ხუთი წლის განმავლობაში უსახლკაროთა და უმუშევართა რიცხვმა ბრიტანელი მმართველის დროს არსებულს გადააჭარბა, სასიკეთო ძვრებიც მოხდა. რკინის მადნისა და ელექტროენერგიის წარმოება თითქმის გაორმაგდა. ნახშირის წარმოება ოცდათვრამეტიდან ორმოცდათოთხმეტ მილიონ ტონამდე გაიზარდა; ყოველწლიურად ხუთ მილიარდ იარდ ბამბის ქსოვილს ამზადებდნენ; დიდი რაოდენობით ველოსიპედები, მანქანები, საწარმოო იარაღები, დიზელის ძრავები, ტუმბოები და ჭერის ვენტილატორები იწარმოებოდა. თუმცა მაინც მინორულ ნოტაზე უნდა დავასრულო: უწიგნურობა ვერ აღმოიფხვრა; ხალხი სოკოებივით მრავლდებოდა).

ათი წლისა რომ გავხდი, ბიძაჩემი ჰანიფი გვესტუმრა და მეთვოლდის მამულში საშინლად არაპოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც გაიძახოდა: არჩევნები ახლოვდება! უფრთხოდეთ კომუნისტებსო.

ათი წლისა რომ გავხდი და ბიძაჩემი ამას ამბობდა, ამ დროს დედაჩემი (რომელიც „საყიდლებზე“ უჩინარდებოდა) აილეწებოდა ხოლმე.

ათი წლისა რომ გავხდი, ლეკვი მაჩუქეს, ვითომ კარგი ჯიშისა, რომელიც მალე სიფილისმა მოკლა.

ათი წლისა რომ გავხდი, მეთვოლდის მამულში ყველა ცდილობდა მხიარული ყოფილიყო, მაგრამ ამ სიფრიფანა, ზედაპირული მხიარულების ქვეშ ყველა ფიქრობდა: „ათი წელი გასულა, ღმერთო ჩემო, სად გაფრინდნენ ეს წლები? ამასობაში რა გავაკეთეთ?“

ათი წლისა რომ გავხდი, მოხუცმა იბრაჰიმმა მაჰა გუჯარათ პარიშადს მხარდაჭერა გამოუცხადა. ბომბეის დასაკუთრებაზე რომ მიდგა საქმე, საკუთარი პოზიციები ღიად დაიცვა.

ათი წლისა რომ გავხდი, დედაჩემის სახის სიწითლემ ეჭვები გამიჩინა და მის ფიქრებზე ჯაშუშობა დავიწყე. რაც იქ ვნახე, იმან უფრო წამაქეზა, უკან გავყოლოდი. ბომბეის ლეგენდარულ დომინტოსავით თამამი თვალი გავხდი და პიონერთა კაფეში მნიშვნელოვანი აღმოჩენა გავაკეთე.

ათი წლისა რომ გავხდი, იუბილე გადამიხადეს. იუბილეს ჩემი მხიარულებადაკარგული ოჯახი, სკოლის ამხანაგები და ბრიჩქენდის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

აუზიდან მოსული მოწყენილი მოცურავე გოგონები ესწრებოდნენ, თითბრის მაიმუნს ნებას რომ რთავდნენ მათთან ერთად ემაიმუნა და მათი დაკუნთული სხეული ეჩქმიტა. დიდებიც იყვნენ: მერი და ალისა პერეირები, იბრაჰიმი და ჰომი ქეთრექები, ბიძია ჰანიფი და ბიცოლა ფია, ლაილა საბარმათი, რომელსაც ყველა სკოლის მოსწავლე ბიჭი (და ჰომი ქეთრექიც) თვალებით მიეწება. ამან ფია შესამჩნევად გააღიზიანა. გორაკის ბანდიდან მარტო სონი იბრაჰიმი მოვიდა, რომელზეც გამწარებული ივი ბერნსის ემბარგომ ვერ გაჭრა. სონიმ ამბავი მომიტანა: ივიმ ჯგუფიდან გაგრიცხაო.

ათი წლისა რომ გავხდი, ივიმ, ვერცხლისწყალმა, დონდლომ და საირუსდიდმა ჩემი სამალავი შტურმით აიღეს; ჩემი თავშესაფარი — საათიანი კოშკი მათ დაიკავეს და იქ შესვლა ამიკრძალეს.

ათი წლისა რომ გავხდი, სონი გაბრაზდა, თითბრის მაიმუნმა მცურავებთან ურთიერთობა გაწყვიტა და ივი ბერნსს დაუპირისპირდა. „მე ვასწავლი მაგას ჭკუას, შენ არ გაბრაზდე, ძმაო, სეირს ვუჩვენებ“.

ათი წლისა რომ გავხდი და ბავშვების ერთმა ჯგუფმა გამრიყა, გავიგე, რომ ხუთას ოთხმოცდაერთი სხვა ბავშვიც თავის ათი წლის იუბილეს აღნიშნავდა; ასე გავიგე ჩემი დაბადების საათის საიდუმლო; ერთმა ჯგუფმა რომ უარმყო, გადავწყვიტე, ჩემი ჯგუფი შემექმნა მთელი ინდოეთის მასშტაბით და მისი შტაბბინა ჩემს თავში მომექცია.

ათი წლისა რომ გავხდი, მეტრო ქაბ ქლუბის ინიციალები მოვიპარე — ასეთი ინიციალები ინგლისური კრიკეტის ჯგუფსაც ჰქონდა — და ახალშექმნილ შუაღამის შვილთა კონფერენციას დავარქვი, რომელიც ასე ჟღერდა: შ.შ.კ.

აი, ასე გავხდი ათი წლის: ჩემ გარეთ პრობლემების, ხოლო ჩემს თავში კი სასწაულების მეტი არაფერი იყო.

## პიონერთა კაფეში

მხოლოდ მწვანე და შავი: კედლები მწვანეა, ცა — შავი (სახურავი არ არის), ვარსკვლავები მწვანეა, ქვრივიც მწვანეა, ოღონდ თმა შავი აქვს. ქვრივი მაღალ სკამზე ზის, სკამი მწვანეა, დასაჯდომი ადგილი — შავი; ქვრივის შუაზე გაყოფილი თმა — მარჯვნივ მწვანეა, მარცხივ — შავი. ცასავით მაღალი სკამი მწვანეა, დასაჯდომი ადგილი — შავი. ქვრივის მკლავი გრძელია, როგორც სიკვდილის ლანდი, რო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელსაც მწვანე კანი და გრძელი, ბასრი და შავი ფრჩხილები აქვს. კედლებს შორის ბავშვები მწვანეა, კედლები მწვანეა, ქვრივის მკლავი გველივით ეშვება ძირს, გველი მწვანეა, ბავშვები წივიან, ფრჩხილები შავია და მკაწრავი, ქვრივის მკლავი გველივით ნადირობს, ბავშვები წივილით გარბიან, ქვრივის ხელი შავ-მწვანედ ეხვევა ბავშვებს. ახლა ყველა ბავშვი ჩახშულ-ჩაჩუმებულია. ქვრივის ხელი თითო-თითოდ იყვანს მათ, მწვანე ბავშვების სისხლი შავია, მჭრელმა ფრჩხილებმა რომ გამოუშვეს, შავად ესხმება მწვანე კედლებს. გველივით ხელი ბავშვებს ცასავით მაღლა იყვანს. ვარსკვლავებგამქრალი ცა შავია; ქვრივი იცინის, ენა მწვანე აქვს, კბილები — შავი. ქვრივის ხელები ბავშვებს შუაზე გლეჯს და ბურთებად აქუცმაცებს; ბურთები მწვანეა, ღამე შავია. პატარა ბურთები ღამეში მიფრინავენ, კედლებს შორის ბავშვები წივიან თითო-თითოდ ქვრივის ხელში. კუთხეში მანქი და მე (მწვანე კედლებზე შავი ჩრდილებია) ვიკუჭებით, მივღოღავთ მაღლა კედელზე, რომელიც მწვანეა და ახლა შავში გადადის. ჭერი არ არის და ქვრივის ხელი მოდის და სათითაოდ... ბავშვები წივიან და პატარა ბურთულები და ხელი და წივილი და მმფფ... და შავი წინწკლები. ახლა მე და ის ვართ მარტო და არავინ წივის, ქვრივის ხელი გვეპარება და გვეპარება, კანი მწვანეა, ფრჩხილები — შავი, კუთხისკენ იწევს და იწევს და ჩვენ კედლისკენ ვიკრუნჩხებით, ჩვენი კანიც მწვანეა, შიში კი — შავი. და ახლა ხელი მოდის, მოდის, მოდის... ჩემი და კუთხიდან მაგდებს და თვითონ კუთხეში რჩება მოკუნტული და ხელს მიშტერებია, ფრჩხილები იღუნება, წივილი და მმფფ... და შავი წინწკლები ცასავით მაღლა ადის და ქვრივი იცინის და იფხრიწება და მე პატარა ბურთულებად მივგორავ, ბურთულები მწვანეა და ღამეში მიფრინავს და ღამე შავია...

ციებ-ცხელებამ დღეს გამიარა. ორი დღე პადმა (როგორც თვითონ მითხრა) საწოლთან მეჯდა და შუბლზე სველ ტილოს მაფენდა, სანამ ქვრივის ხელები მესიზმრებოდა და ვკანკალებდი; ორი დღე იმ უცნობი ბალახის ნახარშის გამო თავის თავს ადანაშაულებდა. მე იმით დავამშვიდე, რომ ამას არაფერი ეშველებოდა. მე ვიცნობ ამ ცხელებას, იგი ჩემს შიგნიდან მოდის და ცუდი სუნივით ჩემი ნაპრალებიდან ჟონავს. ზუსტად ასეთი ცხელება მქონდა, ათი წლის რომ გავხდი და ორი დღე მაშინაც საწოლში გავატარე; ახლა, როცა ჩემგან წარსული ჟონავს, ეს ძველი ცხელებაც დამიბრუნდა. „არ იდარდო, ეს ბაცილები ოცდაერთი წლის წინათ ავიკიდე“, — ვეუბნები პადმას.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარტონი არა ვართ. მწნილის ქარხანაში დილაა; ჩემი ვაჟი ჩემს სანახავად მოიყვანეს. ვიღაც (მნიშვნელობა არა აქვს, ვინ) პადმასთან ერთად დგას ჩემს საწოლთან და ბიჭი ხელში უჭირავს. „მადლობა ღმერთს, უკეთ ხარ, ნეტავ იცოდე, რაებს ბოდავდი“, შეწუხებული ამბობს ის ვიღაც და ჩემს მოთხრობაში დროზე ადრე შემოკვეხებას ცდილობს. მაგრამ არ გამოუვა... ვიღაც, ვინც ეს მწნილის ქარხანა დააარსა და მასში მონურ შრომას ჩაუყარა საფუძველი; ვინც ჩემს მოუხელთებელ შვილს უვლის, როგორც ერთხელ... შეჩერდი! მაშინ კინაღამ დამცინცლა ეს, მაგრამ სიცხიანი ვარ თუ უსიცხო, საბედნიეროდ, ჭკუა კიდევ შემრჩა! ამიტომ, ვიღაცამ უკან უნდა დაიხიოს და ანონიმურობის სუდარაში გაეხვიოს, სანამ მისი დრო მოვა; და ეს სულ ბოლო წუთამდე, დასასრულამდე არ იქნება. მე მას არ ვუყურებ, პადმასკენ ვიხედები და ვასწავლი: არ იფიქრო, რომ რადგან სიცხე მქონდა, სიმართლე არ გითხარი. ყველაფერი ისე იყო, როგორც აღვწერე“.

„ო, ღმერთო, შენ და შენი ნაწერები, — ყვირის ის, — მთელი დღე წერ, მთელი ღამე წერ და ავად გახდი! ხანდახან მაინც გაჩერდი, რა, არ შეიძლება?“ ტუჩები ჯიუტად ავიპრუწე; ახლა ის სხვა ხმაზე მეუბნება: „ახლა ის მითხარი, რამე ხომ არ გინდა?“

„მწვანე საწებელი, — ვთხოვე მე, — ღია მწვანე, კალიასავით მწვანე“. და ის ვიღაც, ვის სახელსაც არ ვახსენებთ, პადმას ეუბნება (ჩუმად, ისე როგორც ავადმყოფის ოთახში ან დაკრძალვაზე ლაპარაკობენ), — „ვიცი, რაც უნდა“.

...იმ მნიშვნელოვან მომენტში, როცა ყველაფერი აღწერას მოითხოვდა, პიონერთა კაფეც და მუხლებისა და ცხვირის მეტოქეობაც ასე ახლოს იყო, საუბარი უბრალო სანელებლით შევკაზმე (რატომ ვფლანგავ დროს, როცა 1957 წლის არჩევნებზე უნდა ვლაპარაკობდე, მთელი ინდოეთი ოცი წელიწადია რომ ელოდება); ეს იმიტომ მოხდა, რომ ჰაერი ვიყნოსე და ჩემს მნახველთა შეწუხებული გამომეტყველების მიღმა საშიშროების სუნი ვიგრძენი. თავდაცვა განვიზრახე და საწებლის დახმარება ვითხოვე...

თქვენთვის ქარხანა დღის შუქზე არ მიჩვენებია. აი, რა დამრჩა აღუწერელი: ჩემს ოთახს მომწვანომინებიანი ფანჯრები აქვს და რკინის ხარაჩოებსა და საშხარეულოს იატაკს დაჰყურებს. საშხარეულოში სპილენძის ქვაბებს თუხთუხი გაუდის; ძლიერმკლავებიანი ქალები ხის საფეხურებზე დგანან და გრძელტარიანი ჩამჩებით მწნილების



www.PDF.ChiaturaINFO.GE

აუტანელ ორთქლში მუშაობენ. რკინიგზა სუსტად ბრწყინავს დილის მზეზე, ელექტროგადამცემ პორტალს ხიდივით გასწოლია.

დღის შუქზე ჩვენი ყვითელ-მწვანე ნეონის ქალღმერთი ქარხნის კარზე არ ცეკვავს. მას ვრთავთ, რათა ენერგია დავზოგოთ. მაგრამ ელექტრომატარებლები ენერგიას იყენებენ: ყვითელ-ყავისფერი ადგილობრივი მატარებლები დადას, ბორივილის, კურლასა და ბასენის გზებიდან სამხრეთით, ჩერჩგეითის სადგურისკენ მიჩიკჩიკებენ. ადამიანს აკიდებული მწერების ჯგრო სქელი, თეთრი, შარვალივით კიდია მატარებლიდან. ქარხნის კედლებს შორისაც არიან მწერები. არიან მწერიჭამია ხვლიკებიც, ჭერზე რომ მიწებებულან და მათი ღაბები ქათიავარის ნახევარკუნძულს მოგაგონებთ... ხმებიც გაგონებას ელიან: ქვაბების თუხთუხი, მკლავებთმიანი ქალების ხმამაღალი სიმღერა, უხეში ლანძღვა და უწმაწური ხუმრობა; ზედამხედველთა ცხვირწვეტიანი და თხელტუჩა შეგონებები; მწნილის კასრების ყოვლისმომცველი ჭახაჭუხი; მატარებლების გუგუნი, ბუზების (არახშირი, მაგრამ გარდაუვალი) ბზუილი... კალიასავით მწვანე საწებელს ქვაბიდან იღებენ და ყვითელ-მწვანეზოლიან თეფშზე დებენ, მოაქვთ სხვა თეფშთან ერთად, რომელზეც ადგილობრივ ირანულ მაღაზიაში ნაყიდი სწრაფი კვების კერძებია დახვავებული; სანამ ახლა ნაჩვენები ჩვეულებრივად აღიქმება და აწი მოსასმენით ჰაერია გაჯერებული (აწსაყნოსელზე რომ არაფერი ვთქვათ), მარტო ვწევარ ჩემს სამუშაო ოთახში და შეშფოთებული ვაცნობიერებ, რომ აქედან უნდა გამოვიდე.

„...როცა მოძლიერდები, — ამბობს ის ვიღაც, რომლის სახელს ვერ ვახსენებ, — ერთი დღე ელეფანტაში, რატომაც არა, მშვენიერი იქნება, კატარღით გავისეირნებთ და მღვიმეებს დავათვალიერებთ, იქ ხომ საოცარი ტვიფრულებია; ან ჯუჰუ-ბიჩზე საცურაოდ წავალთ, აქლემით ვისეირნებთ და ქოქოსის რძესაც დავლევთ; არიმილქ ქოლონიც მშვენიერია!“ პადმა აგრძელებს: „სუფთა ჰაერზე გასვლა გჭირდება და ბავშვსაც მამასთან ყოფნა უხარია“, ის ვიღაც ბავშვს თავზე ეფერება: „ხო, მამიკოსთან ერთად წაგიყვან, ყველანი წავალთ, კარგად გავერთობით. მამიკოს ძალიან არგებს“.

საწებელი ოთახში შემოაქვთ და ვჩქარობ, რომ ამ შემოთავაზებებს წერტილი დავუსვა. „არა, — უარს ვეუბნები, — სამუშაო მაქვს“. მან და პადმამ ერთმანეთს შეხედეს. მივხვდი, ტყუილად არ ვეჭვობდი. გასეირნებით ადრე ერთხელ უკვე მომატყუეს. ერთხელ უკვე ვიწვნიე ყალბი ღიმილი და გავსულელდი, რომ კარში გასვლასა და მანქანაში


www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაჯდომას დავთანხმდი. მერე, აზრზეც ვერ მოვედი, ისე მომეხვიენ ხელები, ჰოსპიტლის დერეფნებში ექიმები და მედდები მაკავებდნენ, ცხვირში საანესთეზიო წამალი შემაფრქვიეს და ხმამ მითხრა: „დაითვალე, ათამდე დაითვალე“. ვიცი, რასაც აპირებენ და ვეუბნები: „მისმინეთ, ექიმი არ მჭირდება“.

პადმა ამბობს: „ექიმი? ვინ ამბობს რომ“. პადმა ვერ გამასულელებს. ღიმილით ვეუბნები: „იგემეთ საწებელი. რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოგიყვეთ“.

საწებელი კალიასავით მწვანეა, ზუსტად ისეთია, მერი პერეირა რომ აშზადებდა და რომელიც მუდამ წარსულთან მაკავშირებდა. ეს ადამიანები, ახლა რომ მელაპარაკებოდნენ, წარსულში გადაისროლა, დაამწიფა და ჩემეული გახადა. მე მათ დამაჯერებლად ველაპარაკებოდი და სანელებლისა და მჭევრმეტყველების ნაზავით — დამღუპველი, მწვანე ექიმები ავიცილე. „ჩემი შვილი გამიგებს, — ვთქვი მე, — ჩემს ამბავს სამყაროს ყველა სულიერისთვის ვყვები, მაგრამ განსაკუთრებით მისთვის, რადგან როცა ბზარებთან ბრძოლაში დავმარცხდები, ჩემს შვილს ეცოდინება. მორალი, განსჯა, ხასიათი... მეხსიერებით იწყება... და მე ნაწერებს შევინახავ“.

მწვანე საწებელი იმ ვიღაცის პირმა ჩასანსლა; კალიასავით მწვანე საწებელი პადმას ტუჩებშიც გაუჩინარდა. ვხვდები, რომ ცოტა შერბილდნენ და ვაგრძელებ: „სიმართლე ვთქვი, — ვეუბნები ისევ, — მეხსიერება სინამდვილეა. ის კრებს, არჩევს, უგულებელყოფს, ცვლის, აჭარბებს, ამცირებს, ადიდებულებს და აკნინებს კიდეც; მაგრამ საბოლოოდ მეხსიერება თავის რეალობას ქმნის, სადაც სხვადასხვაგვარი მოვლენები თანაარსებობენ; ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი საკუთარ მეხსიერებას უფრო უჯერებს, ვიდრე სხვისას“.

დიახ, ვთქვი მე: „საღად მოაზროვნე“. ვიცოდი, რასაც ფიქრობდნენ. „ბავშვებს გამოგონილი მეგობრები ჰყავთ. ათას ერთი! ეს ხომ სიგიჟეა!“ შუაღამის შვილებმა პადმას ერთგულებაც შეარყიეს ჩემს მონათხრობში; თუმცა უკან დავაბრუნე და გარეთ გასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

როგორც დავარწმუნე ისინი? — ჩემს შვილზე ვლაპარაკობდი, რომ ჩემი ამბის ცოდნა აუცილებლად სჭირდებოდა; ასევე მეხსიერების ნახელავს შუქი მოვფინე. ასევე სხვა საშუალებებიც გამოვიყენე, ზოგი გულუბრყვილო და მიამიტი, ზოგიც მელასავით ცბიერი. „მუჰამედიც კი თავდაპირველად ფიქრობდა, შეშლილი ვარო. როგორ ფიქრობთ,


www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამაზე არ ვიფიქრებდი? მუჰამედს თავისი ყადი, აბუბექრი ჰყავდა, რომელიც არწმუნებდა, ჭეშმარიტებას ქადაგებო; საგიჟეთში არავის წაუყვანია". ახლა მწვანე საწებელმა ესენი წარსულზე ფიქრით აავსო. მათ სახეებზე სირცხვილი და სინანული ამოვიკითხე. „რა არის ჭეშმარიტება?" გავმჭევრმეტყველდი მე და რიტორიკული კითხვა დავსვი: „რას ნიშნავს გონების სისაღე? აღდგა თუ არა იესო საფლავიდან? განა ინდუსები არ ამბობენ, ცხოვრება მირაჟიაო? ბრაჰმას სიზმარი სამყაროს სიზმარია; ჩვენ ბუნდოვნად ვამჩნევთ სიზმრის აბლაბუდაში, რომ ცხოვრება მაიაა", ახლა მედიდურ ხმაზე ავქადაგდი: „მცდარი ილუზიაა, მოჩვენებაა, ფანტასმაგორიაა, მირაჟია, ყალბი ხრიკია, — რომელსაც მაია ეწოდება. თუ მე ვიტყვი, რომ ეს ასე მოხდა და თქვენ ბრაჰმას სიზმარში მყოფნი, არ დამიჯერებთ, რომელი უფრო სარწმუნოა, — მე თუ თქვენ? კიდევ მიირთვით საწებელი, — ვთქვი მომხიბლავად და თავაზიანი მოძრაობით ჩემთვისაც გადმოვიღე, — ძალიან გემრიელია".

პადმამ ტირილი დაიწყო. „მე არასოდეს მითქვამს, რომ არ მჯეროდა, — მოთქვამდა ის, — რა თქმა უნდა, ყველამ ისე უნდა მოჰყვეს თავის ამბავს, როგორც თვითონ მიაჩნია სწორად, მაგრამ".

„მაგრამ, — ჩავეჭერი პადმას და დასკვნა გავაკეთე, — შენც გინდა გაიგო, რა ხდება, არა? გინდა გაიგო, თუ როგორ ცეკვავდნენ ხელები შეხების გარეშე; მუხლების შესახებ გსურს იცოდე, ასე არ არის? პოლიციის უფროსის, საბარმათისა და მისი უცნაური ხელკეტის შესახებ, ქვრივის შესახებ და ბოლოს და ბოლოს, გინდა გაიგო, ბავშვებს რა დაემართათ?"

პადმამ თავი დამიქნია. ესეც შენი ექიმები და საგიჟეები. ისინი წავიდნენ (პადმას გარდა, რომელიც ისევ ფეხებთან დამიჯდა) და მარტო დამტოვეს, რომ წერა გავაგრძელო. საწებელმა, ორატორულმა ნიჭმა, თეოლოგიამ და ცნობისმოყვარეობამ მიხსნა. და კიდევ ერთმა რამემ, რომელსაც მერი პერეირა „აღზრდას" დაარქმევდა, მე კი განათლებას ვუწოდებ. ჩემმა ერუდიციამ და სუფთა, დახვეწილმა აქცენტმა იმათ სირცხვილის გრძნობა მოჰგვარა და დაარწმუნა, რომ ჩემი განსჯა უღირსი საქციელი იქნებოდა; მართალია, თავმდაბლობა ვერ გამოვიჩინე, მაგრამ ჩემს საქციელს იმით ვამართლებ, რომ გარეთ საგიჟის მანქანა მიცდიდა (არ მინახავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ გარეთ იდგა). თუმცა ამ ყველაფრისგან შეუფასებელი სიბრძნე მივიღე. შენი თვალთახედვისა და აზრების სხვაზე მოხვევა ძალიან საშიში საქმეა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

პადმა: თუ ჩემს სანდოობაში ეჭვი გეპარება, მერე რა მოხდა, ხანდახან ეჭვიც საჭიროა.

თავის თავში ძლიერ თავდაჯერებული ხალხი საშინელ საქმეებს სჩადის.

ამასობაში მე ათი წლისა ვარ და ვფიქრობ, როგორ დავიმალო დედაჩემის მანქანის საბარგულში.

იმ თვეში გურუ პურუშოთამს (რომლისთვისაც ჩემი შინაგანი ცხოვრების ამბავი არასოდეს მომიყოლია) საბოლოოდ მოჰბეზრდა თავისი უძრავი მდგომარეობა და თვითმკვლელი სლოკინი დაიმართა, რომელიც მთელი წელიწადი უტევდა და შეტევის დროს მიწას რამდენიმე სანტიმეტრით აცილებდა ისე, რომ წყლისგან მოტვლეპილი თავით ონკანს ეჯახებოდა. ამან მისი სიკვდილი გამოიწვია. ერთ საღამოს, კოქტეილის დრო რომ იდგა, პურუშოთამი გვერდზე გადაიქცა და გათავდა ისე, რომ ფეხები ისევ ლოტოსის პოზაში დარჩა. დედაჩემის მეჭეჭებს განკურნების იმედიც კი არ დაუტოვა. საღამოს ბუკინგემის ეზოში რომ ვიდექი და ვუყურებდი, „სპუტნიკები“ როგორ სერავდნენ ცას, ისევე ეული და აღგზნებული ვიყავი, როგორც კოსმოსში გაფრენილი ძაღლი ლაიკა (ჩემი ძაღლი ბარონესა სიმქი ფონ ჰაიდენი, რომელსაც მალე სიფილისი დაემართა, ჩემ გვერდით იჯდა და დამნაშავის თვალებს აყოლებდა ქინძისთავისოდენა „სპუტნიკ 2-ს“. ეს ის დრო იყო, ძაღლები რომ კოსმოსში გაუშვეს). ივი ბერნსმა და მისმა ბანდამ ჩემი საათიანი კოშკი წამართვა და სარეცხის კარადიდანაც გამომაძევეს. საიდუმლოს შენახვის გამო და იმისთვისაც, რომ ყველას ჭკუაზე მყოფად მივეჩნიე, შუაღამის შვილებთან ვიზიტები შევამცირე. მათთან ყოველ შუაღამეს ვლაპარაკობდი ხოლმე. მარტო შუაღამეს, რომელიც სასწაულებისთვისაა განკუთვნილი და თითქოს დროის მიღმაა. ისევ საქმეზე გადავალ და ვიტყვი: მსურდა ის საშინელი ეჭვი დამემტკიცებინა, რომელიც დედაჩემის ფიქრების ამოკითხვისას გამიჩნდა. სარეცხის კარადაში მჯდომმა დედაჩემის ნათქვამი ორად ორი მარცვალი რომ გავიგონე, იმის მერე დამებადა ეჭვი, რომ დედა რაღაც საიდუმლოს ინახავდა. მერე, მისი ფიქრები გაჩხრიკე და ჩემი ეჭვებიც დადასტურდა. თვალში გადაწყვეტილების ნაპერწკალი მიელავდა, გულში ფოლადის სიმტკიცე ჩამეღვარა და ერთ დღეს სონი იბრაჰიმს მივაკითხე დახმარებისთვის.

სონი თავის ოთახში იყო და ოთახის კრიკეტს გულჩათხრობილი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თამაშობდა. ოთახი ესპანური კორიდას პოსტერებით იყო სავსე. რომ დამინახა, გაბრაზებულმა მითხრა: „რა უქენი ივის? არავისთან ლაპარაკი არ სურს, რა ჯანდაბა უთხარი ასეთი?“

...მაგრამ მე ხელი შემრიგებლურად ავწიე და ვანიშნე, გაჩუმდიმეთქი.

„ახლა მაგის დრო არ არის, — ვუთხარი სონის, — მთავარი ახლა ისაა, რომ როგორმე საკეტი უგასაღებოდ გავხსნა“.

სონი იბრაჰიმის შესახებ მინდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ კორიდაზე ოცნებობდა, სონი მაინც მექანიკური სამყაროს გენიოსი იყო. მეთვოლდის მამულში რაც ველოსიპედები იყო, სონი არემონტებდა. სამაგიეროდ, საჩუქრად იღებდა კომედიურ წიგნებსა და შუშხუნა სასმელებს. ივლინ ბერნსმაც კი თავისი საყვარელი ველოსიპედი მას მიაბარა. ყველაფერს, რასაც ხელს მოჰკიდებდა, გულიანი სიამოვნებით არემონტებდა, თითქოს მანქანის ნაწილებს ეფერებაო. მოწყობილობის სირთულე სონის არ აშინებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სონი იბრაჰიმი (სუფთა მაძიებლური ხასიათის გამო) საკეტების გახსნის ექსპერტი გახდა.

ახლა, ჩემდამი ლოიალურობის გამოხატვის შანსი რომ მიეცა, თვალები გაუბრწყინდა და აბა, საკეტი მაჩვენეო, მითხრა.

როცა დავრწმუნდით, არავინ გვითვალთვალებდა, გავიპარეთ და დედაჩემის ძველ მანქანას მივადექით. მე საბარგულზე მივუთითე. „აი, ეს არის“, — ვუთხარი სონის, ისე უნდა მოვახერხოთ, რომ გარედანაც გავხსნა და შიგნიდანაც-მეთქი.

სონი გაოცდა: „ბიჭო, რას აპირებ, სახლიდან ხომ არ იპარები?“

თითი ტუჩზე მივიფარე და საიდუმლო გამომეტყველება მივიღე: ვერ აგიხსნი, სონი, სახელმწიფო საიდუმლოებაა-მეთქი, ვუთხარი.

„ვაააჰ, ბიჭო!“ მითხრა სონიმ და ზუსტად ოცდაათ წამში მასწავლა, როგორ უნდა გამეხსნა საბარგული ერთი პატარა პლასტმასის წვრილი ნაგლეჯით. შემდეგ ეს ნაგლეჯი მე მომცა, — შენ უფრო გამოგადგებაო, მითხრა.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალი, ვინც დედა რომ გამხდარიყო, ამისთვის სახელის შეცვლას დათანხმდა. ვინც ამოცანად დაისახა, რომ ქმარი ნაწილ-ნაწილ შეეყვარებინა. ვინც, უცნაურია, მაგრამ სწორედ იმ ნაწილის შეყვარება ვერ მოახერხა, რომელმაც იგი დედა გახადა; ვინც ფეხის ტერფებზე გაჩენილმა მეჭეჭებმა ააკოჭლა და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინც მთელი სამყაროს ცოდვები იტვირთა ისე, რომ მხრებში მოიხარა; ვინც ვერ მოახერხა, რომ თავისი ქმრის შეუყვარებელი ნაწილი გამყინვარების მდგომარეობიდან ეხსნა. ვინც, თავისი ქმრისა არ იყოს, ტელეფონის საიდუმლოებამ ისე გაიტაცა, რომ საათობით უსმენდა ვიღაცას, ვითომ შემთხვევით რომ დარეკა... ათი წლისა რომ გავხდი (განვიკურნე ცხელებისგან, რომელიც ოცდაერთი წლის შემდეგ შემომიბრუნდა, რომ ისევ მაწამოს), ამინა სინაი უცებ მიდიოდა სახლიდან, იმ შემთხვევით დარეკილი ზარის მერე და ამბობდა, საყიდლებზე მივდივარო. მაგრამ ახლა მანქანის საბარგულში ჩავიმალე უბილეთო მგზავრივით, მოპარულ ბალიშებს შორის და ხელში პლასტმასის მავთული მეჭირა.

ო, როგორ იტანჯება სიმართლის მაძიებელი! მანქანა აქეთ-იქით მახეთქებდა და სულ დავლურჯდი. რეზინისსუნიან საბარგულის ჰაერს ვსუნთქავდი და ყბები მიცახცახებდა. მეშინოდა, რომ მომძებნიდნენ... „იქნებ მართლა მაღაზიაში მიდის? საბარგული რომ უცებ გაიხსნას? იქნებ ფეხებშეკრული, ფრთებაკეცილი და კორტნია ქათმები ჩამოსხას საბარგულში? რომ მომძებნოს, ღმერთო ჩემო, მაშინ ხომ ერთი კვირა დამამუნჯებს დედაჩემი!“ მუხლები ნიკაპთან მივიტანე და ნიკაპი ძველ ბალიშზე დავდე, მუხლების დარტყმებისგან რომ დამეცვა. დედაჩემის მუხანათობის მანქანით სადღაც უცნობ ჯანდაბაში მივემგზავრებოდი. დედა ფრთხილი მძღოლი იყო. ნელა დადიოდა და მოსახვევებშიც ნელა უხვევდა. მიუხედავად ამისა, მაინც ისე დავიჟეჟე და დავლურჯდი, რომ მერი პერეირამ იფიქრა, ალბათ იჩხუბაო და გამლანძღა: „ღმერთო კი მიშველე, მიკვირს, როგორ გადარჩი ცოცხალი, შე ცუდო, შავო ბიჭო, შე არაფრისმაქნისო, შენ რა უნდა გამოხვიდე!“

იმ მოჯაყჯაყე სიბნელეს რომ განვრიდებოდი, დედაჩემის გონების იმ ნაწილში შევიჭერი, რომელიც მანქანის მართვას აკონტროლებდა (დედაჩემის ჩვეულებრივად დალაგებულ თავში ახლა შემაშფოთებელი არეულობა შევამჩნიე. მაშინ ხალხს შინაგანი მოწესრიგებულობის ხარისხის მიხედვით ვაჯგუფებდი. აღმოვაჩინე, რომ მე უფრო უწესრიგო ტიპის ადამიანები მერჩივნა, რომელთა ფიქრები ყოველთვის ერთმანეთში ირეოდა. საჭმელზე ფიქრს სერიოზული ბიზნესფიქრი ენაცვლებოდა, ფულის შოვნასა და სექსზე ფიქრი პოლიტიკურ ფიქრებს ჩრდილავდა. ეს უწესრიგოფიქრებიანი ადამიანები შინაგანად მენათესავებოდნენ, რადგან ჩემს ტვინში ნამდვილი დომხალი ირეოდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიქრები ფიქრებს ასკდებოდნენ და ცნობიერების თეთრი წერტილი რწყილივით დახტოდა აქეთ-იქით... ამინა სინაი, რომელიც გულმოდგინე და წესრიგისმოყვარულმა ინსტინქტებმა თითქმის არანორმალურად დალაგებული ტვინით დააჯილდოეს, ახლა, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, დაბნეულთა რიგების ახალწვეული გახდა).

ჩრდილოეთისკენ მივდიოდით. ჩავუარეთ ბრიჩქენდის ჰოსპიტალს, მაჰალახმის ტაძარს, ჰორნბი ველარდს, ვალაბჰაის სტადიონს, ჰაჯი ალის კუნძულს ჩრდილოეთით, რაც ერთ დროს (მაშინ, როცა უილიამ მეთვოლდი ჩაფიქრებულიც არ ყოფილა) ბომბეის კუნძული იყო. ჩავუარეთ უცნობ დასახლებებს, მეთევზეთა სოფლებს, ფაბრიკებსა და კინოსტუდიებს. აი, რად იქცა ეს ჩრდილოეთის უბნები (აქედან არცთუ ისე შორს, ახლა სადაც ვზივარ და ადგილობრივ მატარებლებს გავყურებ!)... ადგილი, რომელიც მაშინ სრულიად უცნობი იყო ჩემთვის. დავიბენი და თავსაც გამოვუტყდი, რომ ორიენტაცია ამერია. ბოლოს ერთ ღარიბ ქუჩას მივადექით, ველოსიპედის შემკეთებელი სახელოსნოებითა და ჩამოძენძილი მათხოვრებით რომ იყო სავსე და გავჩერდით. ბავშვები მანქანიდან გადმოსულ დედაჩემს შემოესივნენ. ამინამ, რომელსაც ბუზის წყენინებაც კი არ შეეძლო, წვრილი მონეტები დაარიგა. ამით, უფრო მეტი მათხოვარი მიიზიდა. ბოლოს, როგორც იქნა, თავი დაიძვრინა მათგან და ქუჩას ჩაუყვა. ერთი ბიჭი ხვეწნით გამოუდგა: „მანქანას მიგიხედავთ, ქალბატონო, სანამ დაბრუნდებით, კარგი დარაჯი ვარ, ვისაც გინდათ ჰკითხეთ, ქალბატონო!“ შიშით ვუგდებდი ყურს, დედაჩემი რას უპასუხებდა. იმ ბავშვს რომ ედარაჯა, საბარგულიდან როგორ გადმოვიდოდი? უხერხული იქნებოდა. და ამავე დროს, ჩემი გამოჩენა ქუჩაში მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა... მაგრამ, დედაჩემმა ბიჭი უარით გაისტუმრა და ქუჩას ჩაუყვა. ხოლო ვერშემდგარი დარაჯი თავისი გზით წავიდა. უცებ ყველას ყურადღება მიიქცია მეორე მანქანამ, საიდანაც გადმოვიდა ქალბატონი, რომელმაც ფული თხილივით დაარიგა. ამ დროს მე დრო ვიხელთე (საბარგულიდან ვიჭყიტებოდი და ხელსაყრელ დროს ვარჩევდი), საბარგული გავხსენი და თვალის დახამხამებაში დაკეტილსაბარგულიანი მანქანის გვერდით ვიდექი. ტუჩები მოვიპირქუშე, გამოწვდილ ხელებს ყურადღება არ მივაქციე და ქუჩას იმ მიმართულებით გავუყევი, საითაც დედაჩემი წავიდა. ჯიბისოდენა ჯაშუშს ვგავდი, დიდი მეძებრის ცხვირით, გულის მაგივრად მკერდში დოლი მიბრაგუნებდა... რამდენიმე წუთში პიონერთა კაფეს მივადექი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭუჭყიანი ფანჯრის მინები; მაგიდებზეც ჭუჭყიანი მინები... პიონერთა კაფე ვერ ბრწყინავდა ქალაქის ისეთ ადგილებთან შედარებით, როგორიც გეილორდსი და ქვალითია. მოსაწყენი ადგილი იყო, რომლის შეღებილ ფიცრებზე ეწერა: „ლავლი, ლასი, ფანთაბულუს ფალუდა, ბელ-პურიბომბეი ფეშენ“, სალაროს გვერდით იაფფასიანი რადიო რაღაც ბუნდოვან მუსიკას აჟღერებდა. კაფეს გრძელი, ვიწრო, მომწვანო ოთახს მოციმციმე ნეონი ანათებდა. ეს იყო აკრძალული სამყარო, რომელშიც ტყავისგადასაფარებლიან მაგიდებთან კბილებჩაცვენილი და უაზროგამომეტყველებიანი მამაკაცები ისხდნენ და დაჭმუჭნილ ბანქოს თამაშობდნენ. მაგრამ პიონერთა კაფე, ასეთი პირქუში შესახედაობის მიუხედავად, ოცნებათა ენციკლოპედია იყო. ყოველ დილით იგი ქალაქის გამოპრანჭული უსაქმურებით ივსებოდა. აქ მოდიოდნენ ტაქსის მძღოლები, თაღლითები, წვრილი კონტრაბანდისტები, დოლის დაქირავებული ინფორმატორები. ესენი ამ ქალაქში ოცნებამ ჩამოიყვანა; ზოგს კინოვარსკვლავობა ელანდებოდა, ზოგი სასაცილოდ ვულგარულ სახლსა და შავი ფულის გადახდაზე ოცნებობდა. ყოველ დილით, ექვს საათზე მსხვილი სტუდიები პიონერთა კაფეში გზავნიდნენ წვრილ მოხელეებს, რათა გადაღების ხარჯებში შეწეოდნენ. ნახევარი საათი უნდებოდა, სანამ „რამასტუდიო“, „კინოსტანთოქი“ და „არქეიფილმსი“ თავის წილს აიღებდნენ. სწორედ ამ დროს კაფე მთელი ქალაქის ამბიციისა და იმედის ნავსაყუდელი იყო. შემდეგ კინოსტუდიებიდან მოგზავნილი ხალხი მიდიოდა, მათ ისინიც მისდევდნენ, ვისაც იმ დღეს გაუმართლა, პიონერთა კაფე ცარიელდებოდა და ისევ ჩვეულებრივი, ნეონით განათებული აპათია ეუფლებოდა... ლანჩის დრო რომ ახლოვდებოდა, კაფეში სხვა ჯურის მეოცნებენი შედიოდნენ და მთელ დღეს კარტზე დამხობილები ატარებდნენ. რამდენი კაციც იყო, იმდენნაირი იმედი არსებობდა. მე ეს მაშინ არ ვიცოდი. შუადღის კაფე ცნობილი კომუნისტური პარტიის ბინად იქცეოდა ხოლმე.

ახლა შუადღე იყო. დავინახე, რომ დედაჩემი კაფეში შევიდა. შეყოლა ვერ გავბედე, ქუჩაში დავრჩი და ცხვირით ფანჯრის ჭუჭყიან ობობასქსელებიანი მინის კუთხეს მივეკარი. ხალხი ცნობისმოყვარედ მიყურებდა, რადგან თეთრი პერანგი მართალია საბარგულში წოლისგან გაჭუჭყიანდა, მაგრამ გახამებული რომ იყო, მაინც ემჩნეოდა. თმა ამებურძგნა, მაგრამ სურნელოვანი მაინც იყო. ფეხსაცმელი გაიცრიცა, მაგრამ სიმდიდრის ნიშანი მაინც ეცხო. დედაჩემს თვალი გავაყო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლე როგორ კოჭლობითა და თავშეკავებით ჩაუარა მორყეულ მაგიდებსა და მოღუშულ კაცებს. დავინახე, როგორ დაჯდა კაფეს შორეულ კუთხეში იმ მაგიდასთან, ჩრდილი რომ ფარავდა. მერე დავინახე კაცი, რომელიც ადგა და მიესალმა დედას.

იმ კაცს სახეზე კანი ნაოჭებად ეკიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთ დროს მსუქანი იყო. კბილები საღეჭი წიწაკის ფოთლებისგან დალაქავებოდა. სუფთა თეთრი პიჯაკი ეცვა, ღილების ირგვლივ მოქარგული. გრძელი თმა პოეტივით ყურებზე უშნოდ ჩამოეწოწა; თავის კინკრიხო მოტვლეპილი ჰქონდა და უბზინავდა. ჩემს ყურებში აკრძალულმა მარცვლებმა ექოსავით გაიჟღერა: ნა-დირ, ნადირ! მთელი გულით ვინატრე, ნეტავ, აქ არ მოვსულიყავი-მეთქი.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი მიწისქვეშა ქმარი, რომელიც გაიქცა და გაყრის სასიყვარულო შეტყობინება დატოვა. ქმარი-პოეტი, რომლის ლექსები არ ირითმებოდა და რომლის სიცოცხლე მაწანწალა ძაღლებმა იხსნეს. ათი წლის შემდეგ ღმერთმა უწყის, საიდან გამოჩნდა. კანი უშნოდ ჩამოჰკიდებოდა, ადრე ხომ საკმაოდ მსუქანი იყო და მისი იყო-და-არა-იყო ცოლივით მანაც სახელი გამოიცვალა... ნადირ-ხანი ახლა ქაზიმ-ხანი იყო და ინდოეთის კომუნისტური პარტიის ოფიციალურ წევრად ირიცხებოდა. ქაზიმ წითელი. ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს: ტყუილად არ წითლდებიან. ბიძაჩემმა ჰანიფმა თქვა, კომუნისტებს უფრთხილდითო და დედაჩემი გაწითლდა. მის ღაწვებზე პოლიტიკამ და გრძნობებმა პირი შეკრეს... პიონერთა კაფეს ჭუჭყიანი ფანჯრიდან ამინა სინაისა და აწ უკვე ყოფილი ნადირის სასიყვარულო სცენას ვუყურებდი. ისინი უნიჭო მსახიობებივით თამაშობდნენ.

ტყავისგადასაფარებლიან მაგიდაზე სიგარეტების კოლოფი იდო: „სთეით ექსფრეს 555“. ციფრებიც მნიშვნელოვანია. 420 — თაღლითთა რიცხვია, 1001 — ღამეს, მაგიასა და ალტერნატიულ რეალობებს უკავშირდება. ეს რიცხვი უყვართ პოეტებს და სძულთ პოლიტიკოსებს, რადგან ამ უკანასკნელთათვის სამყაროს ყველა ალტერნატიული ვერსია მუქარის ტოლფასია. მივიჩნევდი, რომ 555 ცოდვილი რიცხვი იყო, ეშმაკის, მხეცის ციფრი (საირუსდიდმა მითხრა ეს და მე არც კი დავფიქრებულვარ, რომ იქნებ ცდებოდა, მაგრამ საირუსი ცდებოდა: ნამდვილი დემონური რიცხვი 666-ია და არა 555, თუმცა ჩემი გონება 555-ს მაინც შავ აურას უკავშირებს)... თუმცა ძალიან



www.PDF.ChiaturaINFO.GE

შორს წავედი. საკმარისია ვთქვა, რომ ნადირ-ქაზიმის რჩეული ბრენდი ეს ზემოთ ხსენებული „სთეით ექსფრესი“ იყო. კოლოფზე სამი ხუთიანი ეწერა. მისი მწარმოებლები იყვნენ ჭ.. და ..ჭილლს. დედაჩემს სახეში რომ ვერ შევხედე, სიგარეტის კოლოფს მივაშტერდი და შეყვარებულთაგან ნიკოტინზე გადავინაცვლე.

მაგრამ ახლა ხელები შედიან ჩარჩოში, პირველად ნადირქაზიმის ხელები, რომელთა პოეტური სირბილე ცოტა გაუხეშებულა. ხელები სანთლის ალივით თრთიან და მაგიდაზე წინ მიიპარებიან. შემდეგ უკანვე ბრუნდებიან. ქალის ხელებიც იმავეს აკეთებენ და ისინიც უკან ბრუნდებიან, შემდეგ ისევ წინ მიიწევენ ობობასავით; ხელები იმ სამ ხუთიანს თავზე დაჰყურებენ და საკვირველ ცეკვას იწყებენ, დგებიან, ვარდებიან, ერთმანეთს გარს უვლიან, ერთმანეთში იხლართებიან, ხელებს შეხება სწყურიათ, ერთმანეთისკენ იწევენ, იძაბებიან, ითხოვენ, მაგრამ უკანასკნელ წამს უკან იხევენ, თითები თითებს ერიდება და ამ ბინძური ფანჯრის მიღმა ინდურ ფილმს ვუყურებ, რომელშიც ფიზიკური კონტაქტი აკრძალულია, ახალგაზრდობა რომ არ გაირყვნას. მაგიდის ქვეშ ფეხები ერთმანეთისკენ იწევენ, ხოლო მაგიდის ზემოთ — სახეებს ერთმანეთის შეხება სწყურიათ. მერე ეს სწრაფვა უცაბედი მოძრაობით წყდება... ორი უცნობი ადამიანი, რომელთაც ყალბი სახელები ჰქვიათ, თავიანთ როლებს უნდილად თამაშობენ. იქიდან იმ ინდური ფილმის დამთავრებამდე წამოვედი, მიტოვებული მანქანის საბარგულში ჩავძვერი და ვინატრე, ნეტავ არ მენახა, რაც ვნახე-მეთქი, თუმცა მერე ისევ თავიდან მომინდა იმის ნახვა.

ფილმის დასასრულამდე მოვლენები ასე განვითარდა: დედაჩემის ხელებმა სასმლით ნახევრად სავსე ჭიქა ასწია. ტუჩები ნაზად და მონატრებით მიაკრა ხალებიან ჭიქას, შემდეგ დედამ ეს ჭიქა ნადირ-ქაზიმს გაუწოდა, რომელმაც ასევე ჭიქის მეორე მხარეს მიადო თავისი პოეტური ტუჩები. ისე მოხდა, რომ ცხოვრებამ გაიმეორა ხელოვნება და ბიძაჩემ ჰანიფის დამ არაპირდაპირი კოცნის ეროტიკა იმ მოჟამულ კაფეში შეიტანა.

შევაჯამოთ: 1957 წლის ზაფხულში, გაგანია საარჩევნო კამპანიის დროს, ამინა სინაი ინდოეთის კომუნისტური პარტიის ხსენებაზე მოულოდნელად წითლდებოდა. მისი ვაჟის ტურბულენტურ[1] ფიქრებში ერთი ახირებისთვის ადგილი კიდევ დარჩა. ათი წლის ტვინს ნების-

[1] *ტურბულენტური (ლათ.) — აქ: უწესრიგო.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიერი რაოდენობის ახირება შეუძლია დაიტიოს. ჰოდა, ამ ახირებასაყოლილი გაჰყვა მას ქალაქის ჩრდილოეთში, უთვალთვალებდა და ტკივილნარევი, უილაჯო სიყვარულის სცენასაც შეესწრო (ახლა, როცა აჰმედ სინაი გაყინული იყო, ნადირ-ქაზიმს სექსუალური უპირატესობა ჰქონდა; ძაღლების მაწყევარ, კაბინეტში გამოკეტილ ქმარსა და ერთ დროს ფურთხით მოთამაშე ყოფილ ქმარს შორის გაჭეჭყილ ამინას ისღა დარჩენოდა, რომ ჭიქისთვის ეკოცნა და ხელები აეცეკვებინა).

ბევრი კითხვა იბადება: ამის მერე ის ვარდისფერი პლასტმასის მავთული კიდევ გამოვიყენე? დავბრუნდი თუ არა მარქსისტების კაფეში? პირზე წავუყენე თუ არა დედაჩემს თავისი დანაშაული? პასუხია: არასოდეს, არასოდეს, არასოდეს! რომელ დედას უნდა შვილის წინაშე შერცხვეს. როგორ შეეძლო, როგორ შეეძლო, როგორ შეეძლო ამის გაკეთება?

აი, რას ვაკეთებდი: როცა ამინა „საყიდლებზე“ მიდიოდა, მის ფიქრებში ვიბუდებდი. თვალის თვითმხილველობა აღარ მსურდა, ამიტომ საბარგულის ნაცვლად დედაჩემის თავში ვიმალებოდი და ქალაქის ჩრდილოეთით მივყვებოდი. ასე, ინკოგნიტოდ ვიჯექი პიონერთა კაფეში და ქაზიმ წითელის საარჩევნო პერსპექტივებს ვისმენდი. უსხეულოდ და უჩინრად დავყვებოდი დედაჩემსა და ქაზიმს საარჩევნო ტურში, ბინიდან ბინაზე რომ დადიოდნენ (ეს ის ბინები ხომ არ იყო, მამაჩემმა რომ გაყიდა და მისი ბინადრები ბედის ამარა მიატოვა?). ონკანების შემკეთებლებს ერთად ქირაობდნენ და სახლის პატრონებს სახლის შეკეთებასა და ინფექციების საწინააღმდეგო შეწამვლის მოთხოვნით ტვინს უწყალებდნენ. ამინა სინაი ღატაკთა შორის კომუნისტური პარტიის სახელით დადიოდა და ეს აოცებდა კიდეც მას. შესაძლოა ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მისი ცხოვრება სულ უფრო და უფრო ღატაკდებოდა. ათი წლისა რომ გავხდი, თანაგრძნობით სულ არ ვიყავი განწყობილი და ჩემებურად შურისძიებაზე ვოცნებობდი.

ლეგენდარული ხალიფა — ჰარონ ალ-რაშიდი თურმე უჩინარი დადიოდა ბაღდადში და ეს ძალიან ართობდა. მე, სალემ სინაიც, ასევე უჩინრად დავხეტიალობდი ჩემს ქალაქში, მაგრამ ეს ჩემთვის გასართობი ნამდვილად არ ყოფილა.

უცნაურობათა საცნაური აღწერილობის ტექნიკა, რაც გონების ერთგვარი დამოკიდებულებაცაა, — ჩემი მოქიშპის, მუხლებიანი შივასგან შევისრუტე, — ვი ვილი ვინქის საკარაუდო შვილი რომ იყო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ ტექნიკას შივა ყოველგვარი ცნობიერი ფიქრის გარეშე იყენებდა და სამყაროს საოცარ სურათს ქმნიდა, რომელშიც შემთხვევით თუ გაკვრით იყო ნახსენები მკვლელობები. ქუჩის კახპებისა და მათ შესახებ ინფორმაციით სავსე იყო იაფფასიანი გაზეთები (ხოლო თხრილები იმ ქალების სხეულებით იყო ამოვსებული). სიკვდილი და კარტის თამაშში მარცხი შივას ნაწილად იქცა. ამის შედეგად ჩამოუყალიბდა ის საშიში და გულგრილი ძალმომრეობა, რომელიც ბოლოს... მაგრამ ჯერ დასაწყისიდან დავიწყოთ.

თუმცა ვაღიარებ, რომ ჩემი ბრალია, მაგრამ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ რადიოსავით ვარ, მაშინ ნახევარ სიმართლესაც ვერ გაიგებთ. ფიქრი ხატოვანიც არის და სიტყვიერიც. შუაღამის შვილებთან საკონტაქტოდ და მათ გასაგებად, სიტყვიერ საფეხურს უნდა გავცდენილიყავი. უსასრულოდ მრავალფეროვან გონებებში რომ შევაღწიე, ვივალე, რომ შუბლთან ახლოს მყოფ ფიქრებში ჩავმძვრალიყავი და ამ ფიქრთა გაუგებარი ენა ამომეხსნა. აშკარა იყო (და გამოჩნდა კიდეც), რომ შუაღამის შვილებმა ჩემი მათში ყოფნის შესახებ შეიტყვეს. ივი ბერნსის შემთხვევა რომ მახსოვდა, შევეცადე, მათ გონებაში შეღწევის ტკივილი შემესუსტებინა. და ამ შეღწევის სტანდარტული ტიპი ჩემი გამარჯვებით მოღიმარი სახე იყო, ხელებს კი მეგობრულად ვშლიდი. თუმცა, რაღაც პრობლემები მაინც არსებობდა.

ცოტა ხანში მივხვდი, რომ ჩემმა ცნობიერებამ ჩემი გარეგნობა დამახინჯებულად წარმოსახა. ჩემი პორტრეტი, რომელიც მთელ ერს ფიქრის ტალღით გავუგზავნე, საშინელება იყო. ჩეშირის კატასავით დაკრეჭილი და ისე უზარმაზარცხვირიანი ვიყავი, რომ ნიკაპი თითქმის არ მიჩანდა, თითქოს არც მქონია, ხოლო საფეთქლებზე გიგანტური ლაქები მემჩნეოდა. რა გასაკვირია, რომ გონება ძაღლივით მოწკმუტუნე გამაფრთხილებელ სიგნალებს მაძლევდა. ჩემი ათი წლის ამხანაგებიც ასევე საშინლად წარმოიდგენდნენ ხოლმე თავიანთ თავს, რაც არანაკლებ მაშინებდა. როცა აღმოვაჩინეთ, რა ხდებოდა, მე შუაღამის შვილთა კონფერენციის წევრები სათითაოდ წავაქეზე, სარკეში ან წყალში მაინც ჩაეხედათ; მხოლოდ ამის შემდეგ მოვახერხეთ იმის გაგება, თუ როგორები ვიყავით სინამდვილეში. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ჩვენმა ქერალანელმა წევრმა (რომელიც გახსოვთ, ალბათ, რომ სარკეებში მოგზაურობდა), უცებ, შემთხვევით, ნიუდელის ფეშენებელური სასტუმროს სარკეში ამოყო თავი და იძულებული გახდა, იქიდან საჩქაროდ წასულიყო; ამასობაში ცისფერთვალება



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქაშმირელი ტბაში ჩახტა და სქესი შეიცვალა. წყალში გოგო შევიდა და წყლიდან ლამაზი ბიჭი გამოვიდა.

პირველად შივა რომ გავიცანი, მის გონებაში საშინელი, მოკლე, ვირთხისსახიანი ბიჭი დავინახე, უზარმაზარი მუხლები და ჩაქლიბულ-ჩამწკრივებული კბილები რომ ჰქონდა.

ასეთ გროტესკულ სურათს რომ წავაწყდი, საღიმილოდ კბილები დავკრიჭე, რომ ჩემი სახე ოდნავ მაინც გაფერმკრთალებულიყო. გაწვდილი ხელი ამიცახცახდა. შივამ იგრძნო ჩემი იქ ყოფნა და მძვინვარებით მიპასუხა. მრისხანების ადუღებულმა ტალღებმა ტვინი დამიფუფქეს. მაგრამ მერე უცებ შივა მომიბრუნდა და მითხრა: „ჰეი, მე შენ გიცნობ, შენ ის მდიდარი ბავშვი არა ხარ, მეთვოლდის მამულში რომ ცხოვრობ?“ მეც სახტად დავრჩი და ვუთხარი: „შენ ვინქის შვილი არ ხარ? აი, ის, „ვერცხლისწყალს“ თვალი რომ დაუფსე!“ შივა სიამაყისგან გაიბერა: „კი, კიიი, ეს მე ვარ, ჩემთან ხუმრობა არავის გაუვა, ბიჭო, გესმის?“ ვიცანი და ამ ცნობამ ბანალური კითხვები დაბადა: „როგორაა მამაშენი, რაღაც არ გამოჩენილა“. შივამ კი თითქოს შვებით ამოისუნთქაო, ასე მითხრა: „მამაჩემი? მამაჩემი მკვდარია, ბიჭო“.

ორივე გავჩუმდით. შემდეგ ორივეს გაოცება და დაბნეულობა დაგვეუფლა. შივამ თქვა: „მისმინე, მითხარი, როგორ აკეთებ ამას, რა მაგარია!“ მე ჩვეულებრივი ახსნა დავიწყე, მაგრამ შივამ გამაწყვეტინა: „მისმინე, მამაჩემმა მითხრა, რომ მეც შუაღამით დავიბადე, ასე რომ, შენს ბანდას ორი მეთაური ჰყავს, მიხვდი? შუაღამე საუკეთესო დროა, მეთანხმები თუ არა? ის ბავშვები ამიერიდან ჩვენ დაგვემორჩილებიან!“ უცებ თვალწინ ოვლინ ლილით ბერნსის სახე დამიდგა... შივას მოსაზრება იქვე უარვყავი და ვუთხარი: „შუაღამის შვილთა კონფერენციის შექმნა მე არ მომიფიქრებია. მე მინდოდა თავისუფალი ფედერაციის მსგავსი რამ შემექმნა, რომელშიც ყველა წევრი თანაბარი უფლებით ისარგებლებდა და თავის აზრს თავისუფლად გამოთქვამდა“... უცებ რაღაც ძლიერმა ხვრინვისმაგვარმა ხმამ გაიჟღერა. შივა ალაპარაკდა: „ეს ხომ სისულელეა, ბიჭო! ბანდას ასე როგორ ვმართავთ? ბანდას ბანდის უფროსი უნდა ჰყავდეს. შენ მე ამიყვან (შივა ისევ სიამაყისგან გაიფხორა), აქ, მათუნგაში უკვე ორი წელია, რაც ბანდის მეთაური ვარ. მაშინ რვა წლის ვიყავი. ჩემს ბანდაში ჩემზე უფროსი ბავშვებიც ერივნენ. ჰა, რას ფიქრობ იმაზე, რაც გითხარი?“ მე ისე ვკითხე, მგონი არც ვაპირებდი: შენს ბანდას რამე კანონები თუ აქვს-მეთქი. შივას სიცილმა ყურები გამომიჭედა... „ხო, პატარა მდი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარო, ერთი წესი აქვს: ყველა იმას აკეთებს, რასაც მე ვეტყვი, თუ არა და იციან, რომ ამ მუხლებით ადგილზევე გავსრეს!“ მონდომებით ვცდილობდი, შივას ჩემს თვალსაზრისზე გადმობირებას, ამიტომ ასე ვუთხარი: „საქმე ის არის, რომ მიზანი უნდა გვქონდეს, მეთანხმები თუ არა? აი, რა მოვიფიქრე. პირველად ეს მიზანი თუ მიზეზი უნდა დავადგინოთ და შემდეგ კი ჩვენი ცხოვრება მივუძღვნათ... „მდიდრის შვილო! — დამიყვირა შივამ, — შენ ერთი ოხრობა გავიწყდება! რა მიზეზი, ბიჭო, რის მიზანი? ამ სამყაროში რას აქვს მიზანი და მიზეზი? რა ოხრობაა ეს მიზეზი, რომლის გამო მე ღარიბი ვარ და შენ კი — მდიდარი. შიმშილს რა მიზანი უნდა ჰქონდეს, ბიჭო? ღმერთმა იცის, რამდენი მილიონი დეგენერატი ამძიმებს ამ მიწას და შენ კიდევ ფიქრობ, რომ ამ ყველაფერს მიზანი აქვს? მე გეტყვი, მდიდრის შვილო! ყველაფერი ისე უნდა მიიღო ამ ცხოვრებისგან, როგორც არის. მერე რაც შეგიძლია ყველაფერი უნდა უყო იმ მიღებულს და შემდეგ შეგიძლია, მოკვდე. აი, მიზეზიც და მიზანიც, ბიჭო, გესმის? სხვა დანარჩენი ყველაფერი დედაატირებული ბითურობა და არარაობაა, გესმის?!“

ახლა ღამეა, საწოლში ვწევარ და მაცახცახებს: „მხოლოდ ისტორია, — ვამბობ, — პრემიერ-მინისტრმა წერილი მომწერა... და არ გჯერა... ვინ იცის, ვინ უნდა“. ის — ჩემი ალტერ ეგო, ანუ შივა, ჯიქურ მეჭრება: „მისმინე, პატარავ, ამ სიგიჟეებით რომ გაქვს ეგ თავი გამოტენილი, შევეცდები, რამე შევცვალო. შენ ეგ სისულელეები უკვე იმ შენსავით უცნაურ ბავშვებსაც უთხარი?“

ცხვირი და მუხლები — მუხლები და ცხვირი... იმ ღამით დაწყებულ მტრობას დასასრული არ უჩანს, მანამ, სანამ ორი დანა არ ამუშავდება...

შესაძლოა წლების წინ დანებით დასახიჩრებული და მოკლული მიან აბდულას სული ჩამისახლდა და მან შთამაგონა თავისუფალი ფედერაციის შექმნა; შესაძლოა, დანებისადმი მგრძნობიარეც ამიტომ გავხდი; იმწუთას მხნეობა მოვიკრიბე და შივას ვუთხარი: შენ უჩემოდ კრებას ვერ წარმართავ, არც კი მოგისმენენ-მეთქი.

შივამ კი პირდაპირ ომი გამოაცხადა: „მდიდარო, იმათ მოვანდომებ, რომ მომისმინონ, შენ კი აბა, სცადე და შემაჩერე!“

კი, ვეცდები, შეგაჩერო-მეთქი, — ვუთხარი.

შივა — ნგრევის ღმერთი — ღვთაებებს შორის ყველაზე ძლიერია. შივა დიდი მოცეკვავეა. ხარზეა ამხედრებული; მის წინაშე ყველა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სულდგმული უძლურია... ბიჭმა, სახელად შივამ, მოგვითხრო, რომ ბავშვობიდან თავად ინახავს საკუთარ თავს. მამამისმა სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ხმა დაკარგა და შივას მისგან თავის დაცვა მოუხდა: „ბიჭო, თვალები ამიხვია, — ჰყვებოდა შივა, — და სახლის სხვენზე ამიყვანა. ხელში ჩაქუჩი ეჭირა, ბიჭო! ჩაქუჩი! ძაღლიშვილი თურმე ფეხების მომტვრევას მიპირებდა. ასე ხდება ხოლმე, მდიდარო, როცა უფროსებს სურთ, ბავშვებმა მთელი ცხოვრება მათხოვრობით ირჩინონ თავი. ფეხებდალეწილი ბავშვი ყველას ეცოდება და უფრო მეტ ფულს აძლევენ, გესმის? ზევით ამათრია — სახურავზე, ბიჭო და მერე ჩაქუჩი მოიქნია და მუხლებისკენ გააქანა... ყველაზე დიდი, დაკუშტული მუხლებისკენ, რომელიც კარგი მიზანი ეგონა იქნებოდა, მაგრამ მუხლები უცებ ამოქმედდნენ, ელვის სისწრაფით გაიშალნენ და ქვემოთ მოქნეული ჩაქუჩი შუაში ჩაიჭირეს მამის ხელიანად. ჩაქუჩი მუხლის ნაცვლად ცემენტს მოხვდა. ვი ვილი ვინქის მაჯა თვალებახვეული შვილის მუხლებში ჩაიჭედა... მამამ სიმწრის ქშენა ამოუშვა; მუხლები არა და არ გაიხსნა, მარწუხივით შემჭიდროვდა და შემჭიდროვდა, და ბოლოს რაღაცამ ტკაცუნი გაიღო! მაჯა გადავუმტვრიე, ბიჭო! ასე მოუხდება, ძაღლისშვილს!“

შივა და მე თხის რქის ზოდიაქოს ნიშნით დავიბადეთ. ვარსკვლავებმა მე თავი დამანებეს, შივა კი ნიჭით დააჯილდოეს. ყველა ასტროლოგი ამას გეტყვით, რომ თხის რქა ციური სხეულია, რომელსაც ვეებერთელა ძალა აქვს მუხლებში.

1957 წელს, არჩევნების დღე რომ მოვიდა, მთელი ინდოეთის კონგრესი ერთმა ფაქტმა შეძრა. თუმცაღა არჩევნები მათ მოიგეს, მაგრამ თორმეტი მილიონი ხმა ერთადერთმა ოპოზიციურმა — კომუნისტურმა პარტიამ აიღო; ბომბეიში, ბოს ფატილის მცდელობის მიუხედავად, ამომრჩევლებმა ვერ გადახაზეს კონგრესის სიმბოლო — წმინდა ძროხა ძუძუს ხბოთი. იმათ უფრო ნაკლებემოციური პიქტოგრამები[1] ამჯობინეს — სამიუკტა მაჰარაშთრასი და მაჰა გუჯარათ პარიშადისა. კომუნიზმის საფრთხეზე რომ ალაპარაკდნენ ჩვენს სახლში, დედაჩემი ისევ გაწითლდა. მერე ბომბეის გაყოფას დავემორჩილეთ.

შუაღამის შვილთა კონფერენციის ერთმა წევრმა უმნიშვნელო რო-

---

[1] *პიქტოგრამა (ლათ.) — პირობითი ნიშანი, ნახატი, რომელსაც იყენებენ პიქტოგრაფიაში. პიქტოგრაფია (ლათ.) — დამწერლობის უძველესი სახეობა — საგნების, მოვლენების, მოქმედების გადმოცემა ნახატების საშუალებით; ხატოვანი დამწერლობა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი ითამაშა არჩევნებში. ვინქის საკარაუდო შვილი მიიწვია ერთმა პარტიამ, რომლის სახელს არ ვახსენებ, თუმცა მდიდარი პარტია იყო — და არჩევნების დღეს შივა და მისი ბანდის წევრები, „ქაუბოებს“ რომ ეძახდნენ თავიანთ თავს, საარჩევნო უბნის გარეთ იდგნენ, ქალაქის ჩრდილოეთით. ზოგს დიდი, მსუქანი ჯოხი ეჭირა, ზოგი ქვებს ათამაშებდა, ზოგი კბილებს დანით იჩიჩქნიდა. ესენი ამომრჩევლებს აქეზებდნენ, ხმა მიეცათ დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით... არჩევნები რომ დამთავრდა, გატეხეს თუ არა საარჩევნო ყუთები? გაჩნდა თუ არა ზედმეტი საარჩევნო ბიულეტენები? მოკლედ, ხმები რომ დაითვალეს, აღმოჩნდა, რომ ქაზიმ წითელს ცოტა დააკლდა და კინაღამ გაიმარჯვა. ჩემი ალტერ ეგოს დამქირავებლები კმაყოფილი იყვნენ.

...პადმა სხვათა შორის ამბობს: „რა რიცხვი იყო?“ დაუფიქრებლად ვპასუხობ: „გაზაფხულის რომელიღაც დღე იყო“. შემდეგ ვხვდები, რომ კიდევ ერთი შეცდომა დავუშვი, — რომ 1957 წლის არჩევნები, ათი წლის რომ გავხდი, მანამდე ჩატარდა და არა იმის შემდეგ; ტვინს ვიჭყლეტ და მაინც ვერ ვალაგებ მოვლენებს. ეს ძალიან მაწუხებს... არ ვიცი, რა მომდის...

პადმა ცდილობს დამამშვიდოს: „თავს რად იკლავ? პატარ-პატარა ამბები ყველას გვავიწყდება!“

მაგრამ თუ პატარა გაუშვი, დიდ ამბავს როგორ დაიჭერ?

## ალფა და ომეგა

არჩევნების შემდეგ ბომბეი აურზაურმა მოიცვა. ახლა ჩემს თავშიც აურზაურია, იმ დღეებს რომ ვიხსენებ. ჩემმა მარცხმა ძალიან აღმაშფოთა. წონასწორობის აღსადგენად მეთვოლდის მიწაზე მყარად ვადგამ ფეხს. შუაღამის შვილთა კონფერენციას ცალ მხარეს ჩამოვიტოვებ, პიონერთა კაფეში მიღებულ ტკივილს — მეორე მხარეს და ივი ბერნსის დაცემის ამბავს მოგიყვებით.

ეს თავი უცნაურად დავასათაურე. „ალფა და ომეგა“ მომჩერებია ფურცლიდან და განმარტებას მთხოვს. საინტერესო სათაურია და ჩემს სათქმელს ნაწილობრივ ამბობს. გარდა ამისა, დასაწყისებისა და დასასრულების სუნი უდის, როცა, თითქოსდა შუა ნაწილით უნდა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დამეჭირხნა. არც ვნანობ და არც ვაპირებ ამ სათაურის შეცვლას, თუმცა ბევრი არჩევანი მქონდა, მაგალითად: „მანქანიდან რეზუსამდე“ ან „ფინგა რედუქსი“, ანდა უფრო ალუზიური[1] სათაური: „განდერი“, რომელიც მითოლოგიურ ჩიტთან ასოცირდება — ორ სამყაროში რომ ცხოვრობდა და ფიზიკური და სულიერი სამყაროს სიმბოლოდ იქცა. მიწა-წყალი და ჰაერი — ფრენის სიმბოლო. სწორედ ალფა და ომეგა იტევს ყველაფერ ამას. ამიტომ სათაურს ვტოვებ. აქ დასაწყისებიც იქნება და სხვადასხვანაირი დასასრულებიც. მალე დაინახავთ, რასაც ვგულისხმობ.

პადმა უკმაყოფილებას გამოთქვამს: „შენ ისევ სასაცილოდ ლაპარაკობ, მოყვები თუ არა ივის შესახებ?“

...საყოველთაო არჩევნების შემდეგ მთავრობამ ბომბეის მომავლის შესახებ ორჭოფობა დაიწყო. გადაწყვიტეს, ბომბეი გაეყოთ, შემდეგ არ გაეყოთ, შემდეგ ისევ გაყოფის იდეა წამოყელყელავდა. ბომბეი მაჰარაშთრას დედაქალაქი უნდა გამხდარიყო. ანდა ორივეს — მაჰარაშთრასა და გუჯარათისა ერთად. ანდა დამოუკიდებელ ერთეულად ქცეულიყო... სანამ მთავრობა ამ თავისტეხაში იყო, მოქალაქეებმა საქმის დაჩქარება გადაწყვიტეს. გამოსვლები გახშირდა (და ხშირად გაიგონებდით ძველ საბრძოლო სიმღერას — „როგორ ხარ? კარგად! ჯოხით ჯოჯოხეთში გაგდენი!“) და რაც ყველაზე უარესია, ამ ხელჩართულ ბრძოლაში ამინდიც გაერია. ისეთი გვალვა დადგა, გზებს ტკაცატკუცი გაუდიოდა. სოფლებში გლეხები იძულებული გახდნენ ძროხები დაეკლათ. შობადღეს (ეს დღე ყველა ბიჭისთვის მნიშვნელოვანი იყო, სულერთია მისიონერულ სკოლაში დადიოდა თუ კათოლიკე ძიძა ზრდიდა), ვოქშვერის რეზერვუართან აფეთქებათა სერია დაიწყო. სასმელი წყლის მილებიდან წყალი ისე იფრქვეოდა, როგორც ვეშაპის თავიდან. გაზეთები საბოტაჟის ამბებით იყო სავსე. მსჯელობდნენ დამნაშავეთა შესახებ, რომ მათი ვინაობა დაედგინათ, იქმნებოდა პოლიტიკური გაერთიანებები და ეს ამბები კონკურენციას უწევდა ამბებს მეძავთა გახშირებული მკვლელობებისა (განსაკუთრებით იმან დამაინტერესა, რომ მკვლელს თავისი უცნაური ხელწერა ჰქონდა. ქუჩის ქალებს გაგუდულს პოულობდნენ. ყველა მათგანს ყელზე ნაიარევი ჰქონდა — არა ცერა თითის, არამედ უზარმაზარი მუხლებისგან მიყენებული).

---

[1] *ალუზია (ფრანგ.) — (ლიტ.) რიტორიკული ხერხი, გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოებისა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა, მთავარი თემიდან გადავუხვიე. პადმა მიბრაზდება, რა კავშირი აქვს ამას ივლინ ლილით ბერნსთან? უცებ ვცოცხლდები და პასუხიც მზად მაქვს: წყლის მილი რომ დაანგრიეს, ბომბეის უპატრონო კატები ქალაქის წყალუხვ უბნებს მიაწყდნენ. ასეთი უბნის ყველა მცხოვრებს საკუთარი წყლის ავზი ედგა. ცხადია, კატები, მეთვოლდის მამულსაც შემოესივნენ. ისინი ყველგან იყვნენ: ცირკის მოედანზე, ხეებზე, სახლებშიც შემოდიოდნენ. ყვავილიან ვაზებს ძირს აგდებდნენ, რომ წყალი დაელიათ. კატები შედიოდნენ აბაზანაში და აბაზანის წყალს სვამდნენ. კატები სამზარეულოებშიც შედიოდნენ. მსახურებმა მათი შემოსევის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და დანებდნენ. ქალებს ეშინოდათ. კატის ექსკრემენტები ყველგან იყო. კატების სიმრავლე ბაღებს ანადგურებდა. ღამით დაძინება შეუძლებელი გახდა, კატების ჩხავილი მიდამოს აყრუებდა, ისინი მთვარეს შეჰკნაოდნენ თავიანთ წყურვილს (ძაღლმა — ბარონესა სიმქი ფონ დერ ჰაიდენმა კატებთან ჩხუბს თავი მიანება. ის უკვე ავად იყო და მალე მოკვდა კიდეც).

ნასი იბრაჰიმმა დედას დაურეკა: „ამინა, დაო, მგონი, ეს სამყაროს დასასრულია“.

მაგრამ ნასი იბრაჰიმი ცდებოდა. კატების შემოსევიდან მესამე დღეს ივლინ ლილითმა თავისი პისტოლეტით მეთვოლდის მამულის ყველა ოჯახი შემოიარა და დიდი ფულის სანაცვლოდ ამ ჭირის მოშორებას შეგვპირდა.

მთელი დღე ისმოდა მეთვოლდის მამულში ივის იარაღის ხმა და კატების შეშინებული ჩხავილი. ივიმ კატების მთელი არმია გაანადგურა და გამდიდრდა კიდეც. მაგრამ (როგორც ისტორია ხშირად მოგვითხრობს) გამარჯვებას მარცხი მოჰყვება ხოლმე. ასეც მოხდა. ივის კატებზე გამარჯვება, როგორც თითბრის მაიმუნმა თქვა, უკანასკნელი აკორდი იყო.

„ხომ გითხარი, ძმაო, იმ გოგოს მე მოვუვლი-მეთქი. აი, ამის დროც მოვიდა“, — მითხრა მანქი მაიმუნმა.

პასუხგაუცემელი კითხვები: მართლა ისწავლა ჩემმა დამ კატებისა და ჩიტების ენა? კატური ცხოვრება მოსწონდა და ქარაფთან ამან მიიყვანა?.. კატები რომ შემოგვესივნენ, იმ დროისთვის მანქის თმა გაუყავისფრდა; ფეხსაცმელების დაწვას გადაეჩვია, მაგრამ ისეთი ულმობელი იყო, რომ ყველას გვიკვირდა. ცირკის მოედანზე ჩავიდა და მთელი ხმით დაიყვირა: „ივი! ივი ბერნს! ახლავე აქ მოდი, სულერთია, სადაც უნდა იყო!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კატებით გარშემორტყმული მანქი ივლინ ბერნსს ელოდებოდა. მე გარეთ გავედი, რომ სეირი მენახა. სონი, დონდლო და ვერცხლისწყალიც სეირის სანახავად გამოვიდნენ თავ-თავიანთ აივნებზე. ივი ბერნსი ვერსალის ვილას საშხარეულოდან გამოვიდა. იარაღს ბოლი ასდიოდა. „თქვენ, ინდოელებმა, ღმერთს მადლობა უთხარით, მე რომ გყავართ, თორემ მალე კატები შეგჭამდნენ!“ — განაცხადა ივიმ.

მაგრამ მანქის თვალებს რომ წააწყდა, გაჩუმდა. შემდეგ მაიმუნი ივის შეახტა და ხელჩართული ბრძოლა დაიწყო, რომელმაც, გვეგონა, რამდენიმე საათს გასტანა და თურმე რამდენიმე წუთი გაგრძელებულა. ორივე — ივიც და მანქიც ეზოს მტვერში ამოიგანგლნენ და ერთმანეთს სცემდნენ, კაწრავდნენ, თმას აგლეჯდნენ, კაბებს ახევდნენ და მტვერში გახვეულები თეთრ ღრუბლებს ჰგავდნენ; უფროსები მისაშველებლად გაქანდნენ, მაგრამ ეს ორი ერთმანეთსჩაკვლებული არსება ვერ ააღლიტეს. მერე ჰომი ქეთრექის მებაღემ რეზინის მილით წყლის ნაკადი მიუშვა მათზე და როგორც იქნა, ერთმანეთს მოაშორა... თითბრის მაიმუნი მოკაკული ადგა და კაბის კალთა ჩაიფერთხა. ამინა სინაისა და მერი პერეირას ლანძღვა და მუქარა არაფრად ჩაუგდია. წყლისგან ატალახებულ მიწაზე ივი ბერნსი ეგდო — კბილის ბრეკეტდამსხვრეული, თმაგაზინთული და ამპარტავნებაშერყეული ერთხელ და სამუდამოდ.

რამდენიმე კვირაში მამამისმა უკან, ამერიკაში გაგზავნა, — წადი, ამ ველურებს მოშორდი და წესიერი განათლება მიიღეო. ექვსი თვის შემდეგ ივიმ მოულოდნელად წერილი მომწერა, რომ დანით დაჭრა მოხუცი ქალი, რომელმაც შენიშვნა მისცა, კატას ნუ აწვალებო. „ასეც მოუხდება, — მწერდა ივი, — შენს დას უთხარი, რომ ძალიან გაუმართლა“. მე კი — იმ უცნობი ქალის წინაშე ქედს ვიხრი, რადგან მანქის ვალის გადახდამ მას მოუწია.

ივის წერილზე უფრო საინტერესოა აზრი, რომელიც ახლა, წარსულზე ფიქრში ამეტორღიალა. როცა მახსენდება მანქი და ივი, ტალახში როგორ გორავდნენ, ძალა დავინახე, რომელიც იმ ჩხუბს სიკვდილამდე მიიყვანდა. სიკვდილი უფრო ღრმა მიზანი იყო, ვიდრე კატების ამოხოცვა. ივი და ჩემი და (რომლებიც თითქმის ერთნაირები იყვნენ) ერთმანეთს სცემდნენ, კაწრავდნენ, თითქოსდა კატების გულისთვის. მაგრამ ეს ჩხუბი ჩემკენ იყო მომართული. ივი ჩემ მაგივრად ჩემს დას ურტყამდა. სასტიკად გააბრაზა იმან, რომ მის გონებაში შევიჭერი. მანქის სიძლიერე დაძმური ერთგულების ნიშანი იყო — მანქიმ ივის ომი გამოუცხადა, რადგან მე ვუყვარდი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოედანი სისხლით მოირწყო. ამიტომ, ამ თავის სათაური შესაძლოა ესეც ყოფილიყო: „წყალზე უფრო ბლანტი“. იმ უწყლობით გატანჯულ დროს რაღაც წყალზე უფრო ბლანტი სითხე გაჩნდა ივი ბერნსის სახეზე. სისხლის ყივილმა მისცა სტიმული თითბრის მაიმუნს. ქალაქის ქუჩებში აჯანყებულები ერთმანეთის სისხლს ღვრიდნენ. ხდებოდა მკვლელობები და, ალბათ, არ ივარგებს ეს სანგვინიკური[1] კატალოგი დედაჩემის ლოყების აწითლებით დავასრულო. თორმეტი მილიონი ხმა გაწითლდა იმ წელს. წითელი — სისხლისფერია. მალე მეტი სისხლი დაიღვრება. სისხლის „ა“ და „ო“ ტიპებია — ალფა და ომეგა. და მესამე შესაძლებლობას გონებაში შევინახავ. სხვა ფაქტორებიც ამუშავდა: უჯრედთა დაყოფა, ქელის ანტისხეულები და ყველაზე ამოუცნობი თვისება — რეზუსი, — რომელიც ასევე ერთგვარ მაიმუნსაც ჰქვია.

თუ დააკვირდებით, ყველაფერს თავისი ფორმა აქვს. ფორმას ვერ გაექცევი.

მაგრამ, სანამ სისხლის დღე დადგებოდეს, ფრთებს შევისხამ (იმ საოცარი ფრინველივით, რომელსაც ერთი სხეულიდან მეორეში ჩასახლება შეეძლო) და სწრაფად მივაშურებ ჩემს შინაგან სამყაროს. ივი ბერნსის მარცხმა უბნის ბავშვების ჩემდამი დამოკიდებულება კი შეარბილა, მაგრამ ბავშვებს მე ვერ ვაპატიე. ერთხანს ეულად რომ დავდიოდი, ჩემს თავში მომხდარ ამბებში ჩავეფალი. ეს ამბები შუაღამის შვილთა კავშირს ეხებოდა.

გულახდილად რომ გითხრათ, შივა არ მომეწონა. არ მომწონდა, ცუდი ენის პატრონი რომ იყო და უხეში აზრები რომ აწუხებდა. ეჭვი მქონდა, რომ საშინელი დანაშაულები ჩაიდინა, თუმცა მის ფიქრებში ვერანაირ ხელშესახებ საბუთს ვერ მივაკვლიე. შივა ერთადერთი იყო შუაღამის შვილებს შორის, ვისაც ნებისმიერი აზრის დაფარვა შეეძლო, თუკი მოისურვებდა. ჩაკეტავდა ფიქრს და მორჩა, იქ ველარ შევაღწევდი. ამან, რასაკვირველია, იმ ვირთხისსახიანი ბიჭისადმი ეჭვები უფრო გამიმძაფრა. თუმცა სამართლიანად განვსჯიდი და სამართლიანობა მავალდებულებდა, რომ შივა სხვებში არ გამომერჩია.

ჩემი გონებრივი შესაძლებლობების ზრდის კვალობაზე, აღმოვაჩინე, რომ არა მხოლოდ ბავშვების აზრების წვდომა შემეძლო, არა მხო-

---

[1] *სანგვინიკი (ლათ.) — მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი, რომელიც გარეგნულად მკვეთრად გამოხატავს თავის ემოციებს. სანგვინიკური — ხალისიანი, სიმკვეთრით გამორჩეული.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოდ შემეძლო რადიოსავით გამევრცელებინა ჩემი აზრები, არამედ (ამ რადიომეტაფორას რას ჩავაცივდი) მემოქმედა როგორც ეროვნულ ქსელს: ჩემს გარდაქმნილ გონებას ერთგვარ ფორუმად ვაქცევდი და ჩემი მეშვეობით შუაღამის შვილებს ერთმანეთთან კავშირი და საუბარი შეეძლებოდათ. 1958 წლის დასაწყისში, ხუთას ოთხმოცდაერთმა ბავშვმა ერთ საათში — თორმეტიდან პირველამდე ჩემი ტვინის სხდომათა დარბაზში მოიყარა თავი.

ჩვენ, ყველანი — ხუთას ოთხმოცდაერთივე — ისეთივე ჭრელნი, ხრინწიანნი და უდისციპლინონი ვიყავით, როგორიც ნებისმიერ ბავშვთა კრებული, რომელშიც ათი წლის ასაკისანი შედიან. იმდენად მრავალრიცხოვანი ვიყავით, გაგვიკვირდა, ერთმანეთი რომ აღმოვაჩინეთ. ერთი საათის ყვირილის, ყაყანის, კამათისა და ხითხითის შემდეგ ისეთმა ღრმა ძილმა წამართვა თავი, რომ კოშმარები არ დამსიზმრებია, მაგრამ თავის ტკივილით კი გავიღვიძე. რა მნიშვნელობა ჰქონდა. გაღვიძებული იძულებული ვხდებოდი, პირისპირ შევჩეხებოდი ცოლქმრულ ღალატს, მამის დაცემა-დაკნინებას, წარმავალ მეგობრობასა და მრავალგვარი სახით გამოხატულ სკოლის ტირანიას. როცა მეძინა, ყველაზე სანატრელი და საოცარი სამყაროს ცენტრად ვიქცეოდი ხოლმე. შივას არსებობის მიუხედავად, თავს ძილში უფრო კარგად ვგრძნობდი.

შივას სჯეროდა, რომ ის (ის და მე) ბუნებამ მოავლინა ჩვენი ბანდის მეთაურად, რადგან ზუსტად შუაღამეს დაიბადა. ამ აზრის სასარგებლოდ ერთი ძლიერი არგუმენტი არსებობდა, რომელიც უნდა მეღიარებინა. მეჩვენებოდა და ახლაც მეჩვენება, რომ შუაღამის სასწაული იერარქიული ბუნებისა იყო. შუაღამიდან მოშორებულ დროში დაბადებული ბავშვების უნარები უფრო სუსტი იყო. ეს თვალსაზრისი მწარე კრიტიკის საგნად იქცა... „რას ამბობ, როგორ ამბობ მაგას!“, ერთხმად ახმიანდნენ. მათ შორის ბიჭი, გირის ტყესთან რომ ცხოვრობდა და სახე აბსოლუტურად ცარიელი და უნაკვთო ჰქონდა (სახეზე მარტო თვალები, ცხვირის ხვრელები და პირის ადგილი იყო) და რასაც მოისურვებდა, იმ სახეს მიიღებდა; მათ შორის იყო ჰარილალა, — ქარის სისწრაფით რომ დაქროდა, და ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენი... „ვინ იტყვის ამას ეს სჯობია, ან ამის კეთებას იმის კეთება სჯობიაო?“ და „ფრენა შეგიძლია? კი შემიძლია!“ და კიდევ: „შეგიძლია ერთი თვეზი ორმოცდაათად აქციო?“ და კიდევ: „დღეს ხვალე მოვინახულე. შენ თუ შეგიძლია ამის გაკეთება? კარგი მაშინ“. ასეთი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

პროტესტის ქარიშხალი რომ აიგორგლა, შივამ კეხი იცვალა; მაგრამ ახლა ახალი რაღაც უნდა გამოეძებნა ისეთი, რომელიც საშიში იქნებოდა შუაღამის შვილებისთვისაც და ჩემთვისაც.

აღმოვაჩინე, რომ მეთაურობის სურვილმა გამიტაცა. ბოლოს და ბოლოს, ვინ იპოვა შუაღამის შვილები? ვინ დააარსა კონფერენცია? ვინ მისცა მათ სხდომათა დარბაზი? განა ყველაზე უფროსი არ ვიყავი? და განა არ ვიმსახურებდი დანარჩენების პატივისცემას? კლუბს კლუბის დამაარსებელი მართავს... შივამ მითხრა: „კარგი ერთი, დაივიწყე ეგ სისულელე, ეგ კლუბია თუ რაღაც მხოლოდ შენისთანა მდიდრებისთვისაა მოგონილი!“ მაგრამ მერე დამემორჩილა. კუდიანმა პარვათიმ — ილუზიონისტის ქალიშვილმა ჩემი მხარე დაიჭირა (და წლების შემდეგ სიკვდილს გადამარჩინა) და გამოაცხადა: „არა, მისმინეთ, სალემის გარეშე არარაობები ვართ, არც საუბარი შეგვიძლია და არც არაფერი. ის მართალია. მეთაური ის უნდა იყოს და არავინ სხვა“. მე კი ვუთხარი: „არა, თუ გინდა, მეთაურს ნუ მიწოდებთ და უფროსი ძმა დამიძახეთ. ჩვენ ხომ ერთი ოჯახი ვართ. მე კი ყველაზე უფროსი ვარ ამ ოჯახში“. ამაზე შივას ნირი წაუხდა, მაგრამ ვერ შემეკამათა და თქვა: „კარგი, უფროსო ძმაო, ახლა რა ვქნათ?“

ამ დროს მათ ის აზრები გავაცანი, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსვენებას არ მაძლევდნენ: „მიზანი და მნიშვნელობა, — ვუთხარი მე, — უნდა დავფიქრდეთ, რისთვის ვარსებობთ“.

კონფერენციის რჩეულ წევრთა მოსაზრებები ზუსტად აღვნუსხე. ისინი კი, ვინც მათხოვარი გოგონას — სუნდარის მსგავსად ძალა დაკარგა და ჩვენს მსჯელობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მდუმარედ ისხდნენ როგორც საწყალი, ღარიბი ნათესავები მდიდრის წვეულებაზე. შესაძლო მიზნებსა და ფილოსოფიებს შორის კოლექტივიზმის იდეაც იყო — „ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ და ერთად ვიცხოვროთ, არა? სხვებისგან არაფერი გვჭირდება“. ინდივიდუალიზმი აუცილებელია. „ჩვენო, — შენ ამბობ, მაგრამ ჩვენ ერთად აღებული უმნიშვნელო ვიქნებოდით, რომ არა ჩვენი ცალკეული ნიჭი, რომელიც ბუნებამ გვიწყალობა“. ყველა ჩვენგანის მოვალეობა ამ ნიჭის გამოყენებაა ისევ ჩვენდა სასიკეთოდ. შვილების მოვალეობაა, მშობლებს დავეხმაროთ. ეს ბავშვების რევოლუციაა. ახლა ყველა ბავშვს ვუჩვენებთ, რომ უმშობლებოდაც ბევრი რამ შეუძლიათ! კაპიტალიზმი... აბა დაფიქრდი, რა ბიზნესს დავატრიალებთ! რა მდიდრები გავ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხდებით! ალტრუიზმი...[1] ჩვენს ქვეყანას ნიჭიერი ხალხი სჭირდება. მთავრობას ჩვენი უნარების გამოყენება უნდა შევთავაზოთ. მეცნიერება... ჩვენ უნდა ვისწავლოთ. რელიგია — მოდი, მთელ მსოფლიოს გავაცნოთ ჩვენი თავი, რომ ყველამ იწამოს ღმერთი. გამბედაობა... ჩვენ პაკისტანში უნდა შევიჭრათ! სიფრთხილე... ღმერთო, ჩვენი არსებობა საიდუმლოდ უნდა დავტოვოთ, რადგან, აბა დაფიქრდით, რას გვიზამენ, — ალბათ ჯადოქრობას დაგვაბრალებენ და ქვებით ჩაგვქოლავენ! ქალთა უფლებების დეკლარაციას შევეხეთ, ასევე ჰინდუს სოციალური კასტის ბედიც განვიხილეთ. უსახლკარო ბავშვები სახლზე ოცნებობენ. „ისინი ვერ შეგვაჩერებენ, ჩვენ შეგვიძლია მოვაჯადოოთ, ვიფრინოთ, აზრები წავიკითხოთ, ბაყაყებად ვაქციოთ ისინი, ოქრო და ბევრი თევზი გავაჩინოთ; ისინი შეგვიყვარებენ. ჩვენ სარკეებში გავუჩინარდებით და სქესს შევიცვლით... როგორ მოგვერევიან?

არ უარვყოფ, რომ იმედი გამიცრუვდა. არ უნდა გამცრუებოდა. ნიჭის გარდა ამ ბავშვებს უჩვეულო არაფერი ჰქონდათ. მათი თავები სავსე იყო ჩვეულებრივი რამეებით, როგორიცაა: დედა, მამა, ფული, საჭმელი, მიწა, საკუთრება, სახელი, ძალაუფლება, ღმერთი. ჩვენს ფიქრებში ისევ ჩვენ ვიყავით ახალი და საინტერესო... მაგრამ, მერე მეც მცდარ გზას დავადექი. უკვე გონების იქით ველარ ვიხედებოდი. დროში მოგზაურმა სუმიტრამ თქვა: „გეუბნები, აზრი არა აქვს, ისინი მანამდე გაგვათავებენ, სანამ რაიმეს დავიწყებთ!“ მისი სიტყვები არაფრად ჩავაგდეთ. ახალგაზრდული ოპტიმიზმი იმ ავადობაზე უფრო სახიფათოა, ერთხელ ბაბუაჩემს, ადამ აზიზს რომ შეეყარა. გადავწყვიტეთ ბნელი მხარე გამოგვერიცხა. არც ერთ ჩვენგანს არ მოსვლია აზრად, რომ შუალამის შვილთა მიზანი შესაძლოა განადგურება ყოფილიყო, — რომ აზრი არ გვექნებოდა, სანამ არ გავნადგურდებოდით.

კონფიდენციალურობის გამო წევრთაგან მომდინარე ხმებს არ დავაკონკრეტებ. ამისთვის სხვა მიზეზებიც არსებობს. ერთი მიზეზი ისაა, რომ შესაძლოა ჩემი მონათხრობი ხუთას ოთხმოცდაერთივე პერსონას არ ესადაგებოდეს; და მეორეც, ეს ბავშვები, მათი არაჩვეულებრივი ნიჭის მიუხედავად, ჩემს აზროვნებაში მრავალთავიან მონსტრად დარჩა, ყველა თავი ბაბილონელთა მსგავსად სხვადასხვა ენაზე რომ ლაპარაკობდა. ისინი თავად სიმრავლის არსს წარმოადგენდნენ და ახ-

[1] *ალტრუიზმი (ფრანგ.) — უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის. მზადყოფნა სხვას შესწიროს პირადი ინტერესები.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლა მათ დაცალკევებას აზრი არა აქვს (მაგრამ გამონაკლისიც არსებობდა. მაგალითად, შივა და კუდიანი პარვათი).

...ბედისწერა, ისტორიული როლი, ღვთაებრივი ძალა — ამ ყველაფერს ათი წლის ბავშვი ვერ გადაყლაპავდა. მეთევზის გაშვერილი თითისა და პრემიერ-მინისტრის წერილის შეგონებითი ძალის მიუხედავად, ყნოსვითი სასწაულებიდან ყურადღება ყოველდღიურ წვრილმანებზე მეფანტებოდა: მეც მშიოდა, მეც მეძინებოდა, მეც თამაში მინდებოდა მანქისთან ერთად, მეც დავდიოდი კინოში „ქალი კობრასა“ და „ვერა კრუზის“ სანახავად. გრძელი შარვლის ჩაცმა მეც მინდოდა. მეც მემართებოდა აუხსნელი რამ, სკოლის დრო რომ ახლოვდებოდა. საკათედრო სკოლისა და ჯონქონონბოის სკოლის ბიჭებს შეგვეძლო გოგონებთან ერთად გვეცეკვა. მაშა მიოვიკი მკერდით ცეკვის ჩემპიონი იყო. ელიზაბეტ ჰურკისი და ჯენი ჯექსონი — ევროპელი გოგონები, ღმერთო ჩემო, ფრიალა კაბები რომ ეცვათ და ბიჭებს რომ კოცნიდნენ! მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი ყურადღება მთლიანად მიიპყრო იმან, რომ ვიზრდებოდი და ეს პროცესი სატანჯველად მექცა.

სიმბოლური ჩიტიც ბოლოს და ბოლოს, მიწაზე უნდა დაეშვას. არც მაშინ და არც ახლა ჩემთვის საკმარისი არ არის, რომ ჩემი მოთხრობის მხოლოდ სასწაულებრივ მხარეებს მივეტმასნო. ამიტომ, ისევ ბანალურს ვუბრუნდები. სისხლს დაღვრის ნება უნდა მივცე.

სალემ სინაის პირველი დასახიჩრება, რომელსაც მეორე უმალვე მოჰყვა, 1958 წლის ოთხშაბათ დღეს მოხდა ერთ-ერთ წვეულებაზე, რომელიც ანგლოშოტლანდიურმა საგანმანათლებლო საზოგადოებამ მოაწყო. ეს მოხდა სკოლაში.

სალემის თავდამსხმელი იყო: სიმპათიური, მანიაკალური, ბარბაროსის გრძელი ულვაშით, თმითმთრეველი ბატონი ემილ ზაგალო, — გეოგრაფიისა და ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელმაც იმ დილით ჩემი ცხოვრების კრიზისი გაუთვითცნობიერებლად დააჩქარა. ზაგალოს პერუელად მოჰქონდა თავი და ჩვენ ველურ და ბრჭყვიალა ნივთებისმოყვარულ ინდოელებს გვეძახდა. დაფაზე გაოფლილი, მკაცრი ჯარისკაცის გრავიურა გააკრა. სიბრაზის დროს იმ გრავიურისკენ იშვერდა თითს და ყვიროდა: „ხედავთ ამას, ველურებო? ეს კაცი ცივილიზაციაა! პატივი ეცით, მას ხმალი აქვს“ და ზაგალოს ჯოხმა ჰაერში გაიშხუილა. ჩვენ მას პაგალ-ზაგალს, გიჟ ზაგალოს ვეძახდით. ლამებზე, კონკისტადორებსა და წყნარ ოკეანეზე რომ ლაპარა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კობდა, იმთავითვე ვიცოდით, რომ ადრე, მაზაგაონში ცხოვრობდა და გოანელი დედამისი ვიღაც უსინდისო საზღვაო აგენტმა მიატოვა. ასე რომ, არა მარტო „ინგლისელი“ იყო, არამედ — ნაბუშარიც. ეს რომ ვიცოდით, კარგად გვესმოდა, თუ რატომ უსვამდა ხაზს ზაგალო თავის ლათინურ აქცენტს და რატომ იყო სულ გაღიზიანებული, რატომ ურტყამდა მუშტებს საკლასო ოთახის კედლებს. ვიცოდით, მაგრამ მისი მაინც გვეშინოდა. იმ ოთხშაბათ დილას ვიცოდით, რომ რაღაც გვემუქრებოდა, რადგან არჩევითი საგნების კათედრა გააუქმეს.

ოთხშაბათს, დილით, ზაგალო გეოგრაფიას გვიტარებდა. მის გაკვეთილს იდიოტები და იდიოტის შვილები ესწრებოდნენ. შეგვეძლო წმინდა თომასის ნიანგის ფორმის შენობაში გადავსულიყავით და მისგან ასე დაგვეხსნა თავი. იქ სხვადასხვა რჯულის ბავშვები ირეოდნენ, რომლებმაც სკოლას თავი დააღწიეს და ქრისტიანული ღმერთის საბუდარს მიაშურეს. ეს ზაგალოს აცოფებდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. იმ დღეს თვალებში ბოროტი ნაპერწკალი უელავდა, რადგან კროკერმა (ანუ ბატომა კრუზომ — სკოლის დირექტორმა) დილის სხდომაზე კათედრის გაუქმება გამოაცხადა. ანესთეზიაგაკეთებული ბაყაყის ხმით გამოგვიცხადა დირექტორმა ეს ამბავი და გეოგრაფიის ორმაგი გაკვეთილი მოგვისაჯა. ჩვენ გაოგნებული დავრჩით. ნუთუ ღმერთმაც აგვიკრძალა არჩევნის უფლება? ჰოდა, ზაგალოს ხაფანგში უნებურად გავებით. ერთ-ერთმა იდიოტმა, მშობლები არჩევითი საგნების კათედრაზე გადასვლის ნებას რომ არ აძლევდნენ, ყურში გესლიანად ჩამჩურჩულა: ახლა ნახავთ, რაც მოგივათო. პადმა, ის ბიჭი მართალი აღმოჩნდა.

გლენდი ქეითქოლაქო, პერს ფიშვალა, ჯიმი კაპადია — ტაქსისტის ბიჭი, ვერცხლისწყალი საბარმათი, სონი იბრაჰიმი, საირუსდიდი და მე — მოწყენილი ვისხედით. სხვებიც იყვნენ, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, რადგან კმაყოფილსახიანი გიჟი ზაგალო ყურადღებას მოითხოვს.

„ადამიანის გეოგრაფია, — აცხადებს ზაგალო, — რა არის ეს, კაპადია?“

„არ ვიცი, ბატონო მასწავლებელო“. ხელები ჰაერში ფრენენ. ხუთი ხელი იმ ხუთი იდიოტისაა — მშობლებმა ტაძარში წასვლა რომ აუკრძალეს. მეექვსე ხელი, რა თქმა უნდა, საირუსდიდისაა. მაგრამ ზაგალო დღეს თავის ჭკუაზე არ არის: და ღვთიურთა დასჯა განუზრახავს. „შე ბინძურო ველურო! — ზაგალომ ჯიმი კაპადია შეაჯან-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯღარა და ყური აუგრიხა, — ზოგჯერ მაინც რომ ესწრებოდე გაკვეთილებს, გეცოდინებოდა!“

„ოუ, ოუ, ოუ, კი, მასწავლებელო, მაპატიეთ“. ექვსი ხელია აწეული, მაგრამ ჯიმის ყურს ახევის საშიშროება ემუქრება. ჩემში სითამამე და გმირობის ჩადენის სურვილი იღვიძებს... „გთხოვთ, ხელი გაუშვით, მასწავლებელო, მაგას გული აწუხებს!“ ეს სიმართლეა, მაგრამ ეს სიმართლე საშიშია, რადგან ზაგალო ახლა მე მომვარდა: „აბა, პატარა აყალმაყალო, რა თქვი?“ თმაში ჩამავლო ხელი და კლასის წინ გამათრია. ბავშვების თვალებში შვებას ვკითხულობ, — კიდევ კარგი, ჩვენ არ ვართ მის ადგილზეო. ზაგალოს ჩემი თმა ისე აქვს ჩაბღუჯული, ტკივილისგან ვიკრუნჩხები.

„გამეცი პასუხი. რა არის ადამიანის გეოგრაფია?“

ტკივილით თავი ისე მისკდება, რომ ტელეპათიური ნიჭიც გამიქრა;

...ზაგალოს სახეს ოხუნჯობა ეპარება და რაღაც ღიმილის მსგავსს ამჟღავნებს. უცებ ცერითა და საჩვენებლით ჩემს ცხვირს წაეტანა და აქნევს... ზაგალოს სანდლებიან ფეხებს დავაჩერდი, ჭუჭყიანი ფრჩხილები რომ უჩანს. უცებ ზაგალო მოსწრებულად შენიშავს: „შეხედეთ, ბავშვებო და მითხარით, რას ხედავთ ამ პირველყოფილი არსების საშინელ სახეზე? ვის გაგონებთ?“

ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებიან პასუხში: „ეშმაკს, ბატონო“, „ერთ ჩემს ბიძაშვილს!“ „ერთ ბოსტნეულს, რომლის სახელი არ მახსოვს“. ზაგალო ყველას ერთად აჩუმებს: „გაჩუმდით, მაიმუნებო! აი, ეს არსებაა ადამიანის გეოგრაფია!“

„როგორ, მასწავლებელო, სად, რა, მასწავლებელო?“

ზაგალო იცინის. „ვერ ხედავთ? — ხარხარებს იგი, — ამ უშნო მაიმუნის სახეზე ინდოეთის რუკაა აღბეჭდილი!“

„გვაჩვენეთ, მასწავლებელო!“

„აი, აქ, დეკანის ზეგანი ჰკიდია!“ ამბობს და ცხვირზე მექაჩება.

„თუ ეგ ინდოეთის რუკაა, მაშ, ეს ლაქები რაღაა?“ — თამამად ეკითხება გლენდი ქეითქოლაქო. ბავშვები იცინიან, ზაგალომ კი კითხვა აიტაცა და ყვირის: „ეს ლაქები პაკისტანია! ეს ხალხი მარჯვენა ყურზე აღმოსავლეთის ფრთაა, ხოლო ეს საშინელლაქებიანი მარცხენა ლოყა — დასავლეთის ფრთა! დაიმახსოვრეთ, სულელებო: პაკისტანი ინდოეთის საშინელი ლაქაა!“

ბავშვები იცინიან, „რა კარგი ხუმრობაა, მასწავლებელო!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ჩემი ცხვირი საშინელ დღეშია და უცებ საკუთარ იარაღს იყენებს... მარცხენა ნესტოდან დიდი მბზინავი წვინტლის ტყვიას უშენს ზაგალოს ხელისგულს. ფიშვალა ყვირის: „შეხედეთ, წვინტლი სდის, მასწავლებელო! ეს ცეილონი ხომ არ არის?“

ზაგალოს ხელი წვინტლმა გადღაბნა და ხუმრობის ხასიათი წაუხდინა. „ცხოველო, შეხედე, რა ქენი?“ მწყევლის ზაგალო, ხელს ცხვირზე მიშვებს და ისევ თმას მიბღუჯავს. წვინტლს ჩემს დაბანილ-დავარცხნილ თმას ახოცავს. მერე თმაჩაბღუჯულ თავს მაღლა მიწევს, ისე, რომ ცერებზე ვდგები და მიყვირის: „რა ხარ? მითხარი, რა სულიერი ხარ?“

„ცხოველი, ბატონო!“

ხელს უფრო მაგრად მიჭერს: „გაიმეორე“. ფეხის ფრჩხილებზე ვდგავარ და ვწკმუტუნებ: „აიიი, ბატონო, ცხოველი, ბატონო, ცხოველი!“

ხელი უფრო და უფრო მქაჩავს... „კიდევ!“ მაგრამ უცებ ყველაფერი მთავრდება. ფეხებით ისევ მიწაზე ვდგავარ. კლასმა ხმა გაკმინდა.

„ბატონო, — ეუბნება სონი იბრაჰიმი, — თმა ააგლიჯეთ?“

ბავშვები აყაყანდნენ: „სისხლი სდის მასწავლებელო, ექიმთან წავიყვან, შეიძლება?“

ზაგალო ქანდაკებასავით იდგა და ხელში ჩემი თმის ბუჩქი ეჭირა. მე ტკივილს ვეღარ ვგრძნობდი. თავზე, რომელიც ზაგალომ ბერივით მომიტვლიპა, ხელი რომ მოვისვი, მივხვდი, თმა არ ამომივიდოდა. იმასაც მივხვდი, რომ დაწყევლილი დავიბადე, ამ წყევლამ ჩემს ქვეყანასთან მიმაჯაჭვა სამუდამოდ და ეს შემთხვევაც ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო.

ორი დღის შემდეგ კრუზომ გამოგვიცხადა, რომ ემილ ზაგალო სკოლიდან მიდიოდა. მე ვიცოდი, რატომაც მიდიოდა. ჩემი ამოგლეჯილი თმა ხელისგულზე მოუშორებელ სისხლის ლაქასავით მიეწება. ასეთი მასწავლებელი კი არავის უნდა. გლენდი ქეითი იტყოდა ხოლმე: „სიგიჟის პირველი ნიშანი თუ არსებობს, მეორე ნიშანი მისი მოძიებაა“.

ზაგალომ სახსოვრად დამიტოვა ბერივით მოპარსული თავი და ჩემი კლასელების დაცინვა, რომლითაც ისინი ავტობუსის გაჩერებაზე მიმასპინძლდებოდნენ. „წვინტლიანი მელოტი!“ „ცხვირსრუტუნას რუკის სახე აქვს!“ გაჩერებაზე საირუსი რომ გამოჩნდა, შევეცადე ბავშვების ყურადღება მასზე გადამეტანა და ლექსი წავიმღერე: საირუს-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდი, თუფშზე დაიბადა ათას ცხრაას ორმოცდარვაში-მეთქი, მაგრამ არავინ არ ამყვა.

საკათედრო სკოლის წვეულებასაც მივადექით, სადაც დაშინება ბედისწერის იარაღად იქცა, ხოლო თითები — წყაროებად, სადაც მაშა მიოვიკს — ლეგენდარულ მკერდით მოცეკვავეს, გული წაუვიდა... წვეულებაზე თავშეხვეული მივედი. დამაგვიანდა, რადგან დედაჩემი ძლივს დავიყოლიე, რომ გამოვეშვი. დარბაზში რომ შევაბიჯე, ფერადი ლენტებიდან და ბუშტებიდან ჩემკენ მომართული კითხვებით სავსე მზერა დავიჭირე იმ ქალებისა, თავიანთ ქალიშვილებს რომ ახლდნენ. გოგონები აბსურდულად თვითკმაყოფილ პარტნიორებთან ერთად ცეკვავდნენ. ბუნებრივია, პარტნიორ გოგონებს უფროსკლასელები ირჩევდნენ. შურით ვუყურებდი გაზდერს, ჯოშის, სტივენსონს, რუშდის, თალია-ხანს, თაიაბალის, ჯუსუვალას, ვეგლისა და ქინგს. შეპაექრება ვცადე, მაგრამ ჩემი დაბინტული თავი და კიტრივით ცხვირი რომ დაინახეს, დამცინეს და ზურგი შემაქციეს... გულში ზიზღმა იფეთქა. კარტოფილის ჩიფსი ვჭამე, გაზიანი სასმელიც დავლიე და ჩემს თავს ვუთხარი: „ეს საცოდავები! რომ იცოდნენ, ვინ ვარ, გზიდან ჩამომეცლებოდნენ!“ მაგრამ ჩემი ნამდვილი სახის წარმოჩინების შიში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე იმ მობზრიალე ევროპელ გოგონებთან ცეკვის სურვილი.

„ჰეი, სალემ, შენ ხარ? რა მოგვიდა, ბიჭო?“ — უცებ მწარე ფიქრებიდან (სონიც ვიღაცასთან ცეკვავდა. გოგონებს მისი ჩაღრმავებული საფეთქლები ხიბლავდათ და ისიც, რომ საცვალი არ ეცვა) ვიღაცის ჩახლეჩილმა, თბილმა, მაგრამ ამავე დროს მუქარით სავსე ხმამ გამომარკვია, გოგოს ხმა იყო. მოვტრიალდი და დავინახე ქერათმიანი, სავსემკერდიანი მოჩვენება... ღმერთო ჩემო, თოთხმეტი წლისა იყო და მე რატომ მელაპარაკებოდა?.. „მე მაშა მიოვიკი ვარ, — მითხრა მოჩვენებამ, — შენი და გავიცანი“.

რასაკვირველია! მანქი-მაიმუნის მოცურავე მეგობრები, ვოლსინგემის სკოლაში რომ სწავლობდნენ, ალბათ იცნობდნენ სკოლის ჩემპიონ მოცეკვავეს!.. „ვიცი... — აბორძიკდი მე, — გიცნობთ“.

„მეც გიცნობ, — მითხრა და ყელსახვევი შემისწორა, — ასე ჯობია“. გლენდი ქეითი და ფეთ პერსი შურით გამსკდარი გვიყურებდნენ. მე წელში გავსწორდი და მხრები ამაყად გავშალე. მაშა მიოვიკმა შეხვეული თავის შესახებ მკითხა. „არაფერია, — ვუთხარი დაბალი ხმით,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვარჯიშისას ვიტკინე“. მერე თავი შევიკავე, ხმა რომ არ გამბზარო-და და ვკითხე: „ხომ არ გინდა... ვიცეკვოთ?“

„კარგი, — მითხრა მაშა მიოვიკმა, — ოღონდ ხვევნა-კოცნა არ იყოს“.

სალემი მაშა მიოვიკთან ერთად გადის საცეკვაოდ და პირობას აძ-ლევს, რომ არ აკოცებს. სალემი და მაშა მექსიკურ ცეკვას ცეკვავენ. შემდეგ სტეპსაც ცეკვავენ. სახეზე აღმატებული გამომეტყველება ავი-კარი. გოგოს მოსახიბლად სრულყოფილება სულაც არ ყოფილა სა-ჭირო!.. ცეკვა დასრულდა; მე კი ისე ვარ აღტკინებული, რომ მაშას ვეუბნები: „ხომ არ გავისეირნოთ?“

მაშა მაცდურად იღიმის. „კი, ცოტა ხნით გავიდეთ, მაგრამ არ მო-მეკარები, იცოდე, კარგი?“

კარგი, — პირობას აძლევს სალემი. სალემი და მაშა ჰაერზე გა-დიან... რა შესანიშნავია. ცხოვრებაც ეს არის. მშვიდობით, ივი; გა-მარჯობა მკერდითმოცეკვავევ... გლენდი ქეით ქოლაქო და ფეთ პერს ფიშვალა წინ დაგვხვდნენ. ხითხითებენ. „ჰიიი, ჰიიი“. მაშა მიოვიკი დაბნეული იყურება, რადგან მათ გზა გადაგვიღობეს. „ჰუუუ, ჰუუუ, მაშა, რა პაემანი მოგიწყვია“. „ხმა ჩაიგდე, ბიჭო“, — ვეუბნები მე. ამ დროს გლენდი ქეითი ამბობს: „იცი, მაშა, ამან თავი როგორ გაიტე-ხა?“ „უზრდელო, — ეუბნება მაშა, — ვარჯიშის დროს იტკინა!“ ფეთ პერსი და გლენდი ქეითი სიცილისგან იხოცებიან, შემდეგ ფიშვალა ყვება: „ზაგალომ გაპუტა სკოლაში!“ ქეითი უმატებს: „წვინტლიანი მელოტი!“ მერე ორივე ერთად ამბობს: „ცხვირსრუტუნას რუკის სახე აქვს!“ მაშა მიოვიკი იბნევა. მერე მასში კეკლუცობა იღვიძებს და მე-უბნება: „სალემ, რა უზრდელები არიან!“

„ჰო, ყურადღებას ნუ მიაქცევ“. და ვცდილობ თემას გადავუხვიო, მაგრამ მაშა აგრძელებს: „ამას შეარჩენ ამ თავხედებს?“ ტუჩი მზაკ-ვრულად უთამაშებს და ენას პირის კუთხეში იქცევს. თვალები კი მეუბნებიან: ვინ ხარ შენ? კაცი თუ ლაჩარი?.. უცებ მაშას ხიბლქვეშ მოქცეულს რაღაც შემიფრინდა თავში და ეს რაღაც, ორი დაუძლე-ველი მუხლის სურათხატია. ქოლაქოსა და ფიშვალს დავეტაკე. ისი-ნი ხითხითმა მოადუნა და ამასობაში დრო ვიხელთე. გლენდის სა-ზარდულში ვატაკე მუხლი და სანამ წაიქცეოდა, ფეთ პერსსაც იგივე ილეთი ჩავუტარე. მაშა ტაშს მიკრავს: „ყოჩაღ ბიჭო, კარგი იყო“.

მაგრამ ახლა იმათი ჯერი დადგა. ფეთ პერსი და გლენდი ქეითი დგებიან და ჩემკენ მოიწევენ... მე მხდლურად გავრბივარ. ისინი მომ-დევენ, მაშა მიოვიკი მომძახის: „სად გარბიხარ, პატარა გმირო?“ მაგ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამ ახლა მაშასთვის არ მცალია; როგორმე იმათ არ უნდა ჩავუვარდე ხელში. საკლასო ოთახში შევრბივარ და კარის დაკეტვას ვცდილობ, მაგრამ ფეთ პერსი კარში ფეხს მიდებს და ორივენი თავს მესხმიან. მე კარის გაღებას და გაქცევას ვცდილობ, კარს ვაღებ და ხელით ვამაგრებ, მაგრამ უცებ ფეთ პერსი კარს მთელი ძალით აჯახუნებს, მე კი ხელის გამოწევა ვერ მოვასწარი. გარეთ, კართან მაშა მიოვიკი დგას და ხედავს, რომ იატაკზე ჩემი შუათითის წვერი დაღეჭილი კევივით გდია. ამის დანახვაზე მაშას გული წაუვიდა.

ტკივილი არ მიგრძნია. მხოლოდ ყველაფერი შორეულად მომეჩვენა. ფეთ პერსი და გლენდი ქეითი გარბიან. ხელზე ცნობისმოყვარეობის გამო ვიხედები. თითი შადრევნად მექცა. სისხლი ფეთქავს და მოჩქეფს. არ ვიცოდი, თითში თუ ამდენი სისხლი იყო. რა ლამაზი შადრევანია. უცებ ექთანი გაჩნდა. არაფერია, მხოლოდ განაკაწრი გაქვს. შენს მშობლებს ვურეკავთ, ბატონი კრუზო მანქანის გასაღებს იღებს. ექთანი მოკვეთილ თითზე ბამბას მადებს. ბამბა უცებ წითლდება. კრუზო მანქანაში მსვამს, დედაშენი პირდაპირ საავადმყოფოში მოვაო. სად არის თითის ნაწყვეტი? კითხულობს დირექტორი. ექთანი აწვდის ჩემი თითის ნაწყვეტს. ალბათ არ მიეკერება, მაგრამ ვინ იცის... დირექტორმა თითის ნაგლეჯი მე შემომაჩეჩა და მანქანა დაძრა. ბრიჩქენდის ჰოსპიტალში მივედით.

ჰოსპიტალს თეთრი კედლები აქვს; ისმის ყაყანი. სიტყვები შადრევანივით მეფრქვევა. „ღმერთო, გვიშველე, ჩემო პატარა მთვარის ნატეხო, რა გიქნეს?“ — ყვირის დედაჩემი. ამაზე დირექტორი პასუხობს: „ქალბატონო სინაი, შემთხვევები სულ მოხდება. ბიჭები სულ იქნებიან“. დედაჩემი გაცეცხლდა: „ეს რა სკოლა გაქვთ, ბატონო კრუზო? ხელში ჩემი შვილის თითი მიჭირავს და კიდევ მაგას მეუბნებით? ეს რა ხდება, ღმერთო ჩემო“. ამ დროს ექიმი მოდის და დედაჩემს უსვამს კითხვას, რომლის პასუხიც სამყაროს შეცვლის.

„ქალბატონო სინაი, თქვენი სისხლის ჯგუფი გვითხარით, თუ შეიძლება. ბავშვმა ბევრი სისხლი დაკარგა, გადასხმა აუცილებელია“. ამინა პასუხობს: „მე პირველი ჯგუფის სისხლი მაქვს, ჩემს ქმარს კი — მეორე ჯგუფის“ და ამინა ტირის. ექიმი ეუბნება: „აჰ! იცით, თუ არა, რომ თქვენს შვილს“. ამინა პასუხს ვერ სცემს: ალფა თუ ომეგა? „მაშინ სწრაფი ტესტია საჭირო. რეზუსის საკითხი?“ დედაჩემი ტირილით ეუბნება: „ჩემს ქმარს და მე ორივეს რეზუს დადებითი გვაქვს“. კარგი, პასუხობს ექიმი.


www.PDF.ChiaturaINFO.GE

საოპერაციო მაგიდაზე ვზივარ და ექიმი მეუბნება: „ადგილობრივ ანესთეზიას გაგიკეთებ; არა ქალბატონო, ბიჭი შოკშია, სრული ანესთეზია შეუძლებელია. კარგი, შვილო, თითი გამიჩერე და ერთ წუთში მორჩება ყველაფერი“. ქირურგმა სასწაული ჩაიდინა: ფრჩხილის ძირი გადანერგა და თითს კერავს. ამ დროს ჩემს უკან რაღაც ფაციფუცია. „ერთი წუთით, ქალბატონო სინაი“; მაგრამ მე ბუნდოვნად მესმის და საგნებსაც ბუნდოვნად ვხედავ... სიტყვები უსასრულო სიშორიდან მოფრინავენ... ქალბატონო სინაი, დარწმუნებული ხართ? პირველი და მეორე? რეზუს დადებითი ორივეს? არა, აქ რაღაც შეცდომაა, როგორ მოხდა რომ ბავშვს... ვწუხვარ, მაგრამ არც „ა“ და არც „ო“ ჯგუფი აქვს... მაპატიეთ, მაგრამ თქვენი შვილია? ნაშვილები ხომ არ გყავთ?.. ამ დროს ექთანი მაწყვეტინებს მოსმენას, თუმცა აზრი არა აქვს, რადგან დედაჩემი მაღალ ხმაზე გაჰკივის: „დამიჯერე, ექიმო, ღმერთო ჩემო, ნამდვილად ჩემი შვილია!“

არც „ა“, არც „ო“ ჯგუფის სისხლი არ აღმოჩნდა და თან რეზუს უარყოფითი. დედაჩემი ტირის და ტირის... ვერ გავიგეო, ექიმს ეუბნება, ექიმი იცინის, — ვერც მე გავიგე ვერაფერიო.

ალფამ და ომეგამ გამამჟღავნა? ეს რეზუსი იშვერს ჩემკენ თითს? მერი პერეირა იძულებული გახდა, თუ... ცივ, თეთრ, ვენეციურფარდებიან ოთახში მელვიძება. ინდოეთის რადიოში ტონი ბრენთი მღერის: „წითელი აფრები ჩამავალ მზეში“.

ვისკისგან და ახლა კიდევ უფრო უარესისგან სახეგამძვინვარებული აჰმედ სინაი ფაჯარასთან დგას. ამინა ჩურჩულით ლაპარაკობს. ყველაფერი ისევ შორეულად მეჩვენება. დაწყნარდი, კაცო, გევედრები. არა, რას ამბობ. რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა, შენ ხარ. ეგ როგორ იფიქრე. ო, ღმერთო, მგონი იღვიძებს, სსს!..

ტონი ბრენთი ახალ სიმღერას მღერის, რომლის რეპერტუარი ვი ვილი ვინქისას ჰგავს; მამაჩემი მომიახლოვდა და ჩემკენ დაიხარა. ასეთი არასოდეს მინახავს. „მამა“. ის კი ამბობს: „უნდა მივმხვდარიყავი. შეხედე, ჩემი არაფერი სცხია... ეს ცხვირი... უნდა“. ბრუნდება და ოთახიდან გადის. დედაჩემი უკან მისდევს და ისეთი აღელვებულია, რომ უკვე ჩურჩულით ლაპარაკი აღარ შეუძლია: „არა, არ მოგცემ უფლებას, ჩემზე ასეთი რამ იფიქრო! თავს მოვიკლავ! მე“. და კარი გაიკეტეს. გარედან კი ლაწუნის ხმა ისმის. მნიშვნელოვანი ამბები მაშინ ხდება, როცა შენ იქ არ ხარ.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტონი ბრენთი თავის ჰიტს ყურში ჩამღიღინებს და თითქოს ამ სიტყვებით მამშვიდებს: „მალე ღრუბლები გადაიყრება“.

მე, სალემ სინაი, ცოტა დაგვიანებით შევაფასებ მოვლენებს. წერის ტრადიციულ წესს დავარღვევ და რაც უნდა მოხდეს, ჩემს თავს იმას შთავაგონებ, რომ ასეთი ფიქრები დამებადოს: ო, შინაგანი და გარეგანი სამყაროს მარადიულო შეუთავსებლობავ! ადამიანის შინაგანი სამყარო ერთიანი როდია. იქ სრული დომხალი და არეულობაა. სხეული კი პირიქით — ერთიანია და განუყოფელი. თუ გნებავთ, წმინდა ტაძარი უწოდეთ. ამ მთლიანობის შენარჩუნება აუცილებელია. თითი რომ დავკარგე (ალბათ ეს ამბავი როლის სურათზე გამოსახულმა თითგაშვერილმა მეთევზემ იწინასწარმეტყველა) და თმაც ამაგლიჯეს, ამან მთლიანობა შემირყია. ჩვენ ახლა ისეთ ამბებს მივადექით, რომელსაც რევოლუციური ჰქვია. და მათ გამაოგნებელი გავლენა უნდა იქონიონ. თუ სხეულს თავს მოხსნით, ღმერთმა უწყის, რა ამოვა იქიდან. უცებ სხვა არსებად იქცევით. სამყარო ისეთი ხდება, რომ მშობლები მშობლობაზე ხელს იღებენ და სიყვარული სიძულვილად იქცევა, რაც თქვენს პირად ცხოვრებაზე მოახდენს გავლენას და თქვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს.

წინასწარ ამოცნობის ნიჭზე დროებით ხელს ავიღებ და დაგიტოვებთ ათი წლის ბიჭს, რომელსაც თითი აქვს შეხვეული, საავადმყოფოს საწოლში წევს და იმაზე ფიქრობს, ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს, კარს უკან რომ ხმები გაიგონა და მამამისს რომ უცნაური გამომეტყველება ჰქონდა. თანდათან ბურანში მივდივარ. მუსიკა ჩემს სიტყვებს ახშობს. ტონი ბრენთი პოპურს ასრულებს და სიმღერის ფინალი ვინქისას ჰგავს: „ღამე მშვიდობისა, ქალბატონებო“, — ასე ჰქვია სიმღერას. მხიარულად უკრავს და უკრავს, უკრავს და უკრავს...

(ფარდა ეშვება)

## ქოლინოს ბავშვი

ძიძის ხელიდან ქვრივის ხელში მოხვედრამდე, უამრავი რამ გადამხდა. მაგრამ სალემ სინაი, რომელიც მარადიულ მსხვერპლად იქცა, თავის თავს მაინც გმირად რაცხავს. მიუხედავად მერის დანაშაულისა, ტიფისა და გველის შხამისა. მიუხედავად იმისა, რაც სარეცხის კა-


www.PDF.ChiaturaINFO.GE

რადაში და ცირკის მოედანზე მოხდა (როცა სონი იბრაჰიმმა თავისი საფეთქლის ფოსოებში ჩემი საფეთქლის რქები მოითავსა და ამ კომბინაციით შუაღამის შვილებს გაუხსნა კარი); მიუხედავად იმისა, რომ ივიმ ხელი მკრა და დედაჩემმა მამაჩემს უღალატა; მიუხედავად იმისა, რომ ემილ ზაგალომ ჩემი თმა შეიწირა, ხოლო მადის აღმძვრელმა მაშა მიოვიკმა — ჩემი თითი; ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, მთელი მეცნიერული სერიოზულობით მოვაქცევ ჩემს თავს მოვლენათა ეპიცენტრში.

...„შენ ჩვენი ცხოვრების სარკე იქნები“, — მწერდა პრემიერ-მინისტრი და ამან მეცნიერული კითხვა წარმოშვა: რა თვალსაზრისით? როგორ? რანაირად შეუძლია ერთი ინდივიდის ცხოვრებამ ერის ბედი შეცვალოს? ისტორიასთან — პირდაპირ და მეტაფორულად, აქტიურად და პასიურად ვიყავი დაკავშირებული. როგორც ჩვენი (თანამედროვე) მეცნიერები იტყვიან, „კავშირთა მოდულაციებს“, რომელიც დუალისტურ კონფიგურაციაზეა აგებული და რომელშიც ორი ურთიერთსაპირისპირო ზმნიზედა შედის. აი, დეფისები რატომაა ასე საჭირო: აქტიურ-პირდაპირ და პასიურ-მეტაფორულად ან აქტიურ-მეტაფორულად და პასიურ-პირდაპირ შევესისხლხორცე ჩემეულ სამყაროს.

პადმას არამეცნიერული დაბნეულობა შევამჩნიე და ამიტომ ისევ ჩვეულებრივ მეტყველებას ვუბრუნდები. აქტიურისა და პირდაპირის კომბინაციით, რასაკვირველია, ყველა ჩემს ქმედებას მოვიაზრებ, რომელმაც პირდაპირ შეცვალა ისტორიულ მოვლენათა მდინარება. ალბათ გახსოვთ, ენის დემონსტრანტებმა სიმღერის ჰიმნი ჩემგან რომ აიტაცეს. „პასიურისა“ და „მეტაფორულის“ კავშირმა გააერთიანა მთელი სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებები და მოვლენები, რომელთა უბრალო არსებობამაც კი ჩემზე მეტაფორული ზეგავლენა იქონია. მაგალითად, სათაურში: „მეთევზის გაშვერილი თითი“ — ფრაზებს შორის კითხულობ შინაარსს. აღიქვამ გარდაუვალ კავშირს ახალდაბადებული ქვეყნის სურვილსა და ჩემს სურვილებს შორის, რომ როგორმე მალე გავიზარდო... „პასიური“ და „პირდაპირი“, — როცა დეფისითაა გამოყოფილი, ასახავს ყველა იმ მომენტს, როცა ეროვნულმა მოვლენებმა პირდაპირი ზეგავლენა იქონიეს ჩემზე და ჩემს ოჯახზე. ამ სათაურქვეშ შეგიძლია მოაქციო მამაჩემის გაყინული ქონება და ვოქშვორის რეზერვუარის აფეთქება, რომელმაც კატების



www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემოსევა გამოიწვია. დაბოლოს, „აქტიურ-მეტაფორული მოდელი“, რომელშიც ის შემთხვევები იყრის თავს, ჩემს თავს გადახდენილი ამბები საზოგადოებრივი ცხოვრების მაკროკოსმოსის სარკეში რომ აისახა და ჩემი არსებობა სიმბოლურად ისტორიასთან გაიგივდა. ამ შემთხვევაში თითის დასახიჩრება იგულისხმება, რადგან თითი რომ მომძვრა და სისხლმა (არც ალფამ და არც ომეგამ) შადრევანივით იფეთქა, — ისტორიასაც იგივე დაემართა და მისი ნაფლეთები თავზე სისხლივით გადმოგვეფრქვა. მაგრამ ისტორია ფართო საზომით ზომავს და მისი წყლულების შეხორცებას უფრო დიდი დრო დასჭირდა.

შუალამის შვილთა კონფერენცია სამივე ერთად იყო: „პასიურ-მეტაფორული“, „პასიურ-პირდაპირი“ და „აქტიურ-მეტაფორული“. მაგრამ ისეთი ვერასოდეს გახდა, როგორიც მსურდა რომ ყოფილიყო. ჩვენ არასოდეს ვმოქმედებდით „კავშირთა მოდულაციის“ მიხედვით; „აქტიურ-პირდაპირი“ მიგვათრევდა.

ტრანსფორმაცია დასასრულის გარეშე: ცხრათითიანი სალემი ბრიჩქენდის ჰოსპიტლის კართან უშნო, ქერათმიანმა ექთანმა მიიყვანა. მის სახეზე სიყალბე ღიმილად შეყინულა. სალემს გარე სამყაროს სინათლე თვალს სჭრის და ბუნდოვნად არჩევს მოქანავე სილუეტებს, რომლებიც მისკენ მოემართებიან. „ხედავ? — ღუღუნებს ექთანი, — ხედავ, პატარავ, ვინ მოგაკითხა?“ და სალემი ხვდება, რომ რაღაც საშინელება მოხდა სამყაროში, რადგან დედ-მამა, მის წასაყვანად რომ უნდა მოსულიყო, მერი პერეირად და ძია ჰანიფად იქცა.

ჰანიფ აზიზი გემის სიგნალივით ბუბუნებდა და თამბაქოს სუნი ასდიოდა. მე ვაღმერთებდი მის სიცილს, გაუპარსავ ნიკაპს და რისკის შემცველ დაბნეულობას (როცა ჩვენთან მოდიოდა სტუმრად, დედა-ჩემი მინის ვაზებს მალავდა). ზრდასრულებმა იცოდნენ, რომ ჰანიფი რაიმე ისეთს იტყოდა, რაც უხერხულობას ქმნიდა (კომუნისტებს უფრთხილდითო, ამბობდა და ყველანი წითლდებოდნენ). ეს უხერხულობა ერთგვარ უხილავ კავშირს ქმნიდა მასსა და ბავშვებს შორის. ძია ჰანიფს ხომ შვილი არ ჰყავდა; და ერთხელაც, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, თავისი სახლის სახურავიდან გადააბიჯა.

...ხელს ზურგზე მითათუნებს და მერისკენ მიბიძგებს: „ჰეი, პატარა მოჭიდავევ! კარგად გამოიყურები!“ მერი კი ამბობს: „როგორ გამხდარა, ღმერთო! არაფერს გაჭმევდნენ? გინდა სიმინდის პუდინგი გამოგიცხო? გინდა ბანანიანი რძე? ჩიფსებს შეჭამდი?“


www.PDF.ChiaturaINFO.GE

...სალემი ამ ახალ სამყაროს აკვირდება, რომელშიც ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება. მისი ხმა ისე მაღალი ჩანს, თითქოს ვიღაცამ აუწიაო. „დედა და მამა? — კითხულობს სალემი, — მანქი?“ და ჰანიფი ბუბუნებს: „საათივითაა აწყობილი ყველაფერი, ბიჭი კარგ ფორმაშია! წამოდი, დისშვილო, ჩემი მანქანით წაგიყვანო“. მერი ჰანიფს არ აცდის: „შოკოლადის ტორტს გამოგიცხობ და ყველაფერს მოგიმზადებ, რაც შენ გიყვარს, როგორი გამხდარი ხარ, შვილო, ქარმა რომ დაგიბეროს, წაიქცევი“. მანქანა მიდის და უორდენ-როუდს გასცდა, ბორცვისკენ არ შეუხვია. სალემი გაოცებულია, „ძია, სად მივდივართ?!“ მაგრამ ჰანიფი ისევ ბუბუნებს: „ბიცოლაშენი ფია გელოდება, ნახე, რა კარგად მოვილხენთ!“ უცებ ძია ჰანიფს ხმა უვარდება, უწყდება და ძლივს ამბობს: „ჰო... მოვილხენთ“. მერი ერთვება: „ო, რა სტეიკი და საწებელია!“

„ოღონდ მუქი საწებელი არ მინდა“, ვამბობ ბოლოს. ძიძისა და ბიძის სახეზე შვება ამოვიკითხე: „არა, არა, არა, — ლუღლუღებს მერი, — მწვანე საწებელი, აი, ის, შენ რომ გიყვარს“. და ჰანიფი ბუბუნებს: „ღია მწვანე, — კალიასავით მწვანე!“

ყველაფერი სწრაფად ხდება... ქემფს ქორნერთან ვართ, მანქანები ტყვიებივით დაქრიან... მაგრამ ერთი რამ არ შეცვლილა. აბრაზე ქოლინოს ბავშვი ისევ მარადიული ღიმილით იღიმება. თავზე ქლოროფილისფერი ქუდი ახურავს. თითქოს დროს გასცდა და უდროობაში გადავიდა. თითქოს დაუსრულებლად სცხებს მწვანე კბილის ჯაგრისს პასტას, რომელიც არა და არ ილევა. წარწერა გვიბიძგებს, რომ შევიძინოთ ქოლინოს კბილის პასტა... და თქვენ შეგიძლიათ მეც უნებურად მიმიჩნიოთ ქოლინოს ბავშვად; მე ხომ უძირო სივრციდან ვწურავ პრობლემებსა და კრიზისებს და ჩემს მეტაფორულ კბილის ჯაგრისზე პასტის ნაცვლად დროს ვცხებ; თეთრ დროს ქლოროფილისფერი მწვანე ზოლები ემჩნევა.

ეს იყო ჩემი პირველი გაძევების დასაწყისი (მეორეც იქნება და მესამეც). ყველაფერი ისე ავიტანე, რომ ერთხელაც არ დამიწუწუნია. მივხვდი, კითხვები არ უნდა დამესვა. კომედიური წიგნივით გამასხვისეს და როცა მშობლებს ჩემი დაბრუნება სურდათ, მაბრუნებდნენ კიდეც. ჩემს თავს ოდნავადაც არ ვადანაშაულებდი იმაში, რომ დამსაჯეს. ჩემს მოკაკულფეხებიან, კიტრისცხვირიან, რქისსაფეთქლებიან და ლოყებლაქებიან სიმახინჯეს კიდევ ერთი სიმახინჯე თითის სახით რომ შევმატე, ალბათ ჩემი საწყალი მშობლებისთვის მოთმინების



www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკანასკნელი ფიალა აღმოჩნდა (როგორც მაშინ, ხმები მესმის-მეთქი, რომ განვაცხადე). ეს უკვე მეტისმეტი იყო და მათ სიყვარულსა და ნდობას, ალბათ, აღარ ვიმსახურებდი... გადავწყვიტე ბიძა და ბიცოლა დამეჯილდოებინა იმისთვის, ჩემისთანა საწყალი არსება, ვითომ დისშვილი რომ შეიფარეს. მანქი მენატრებოდა. მინდოდა ვენახე ან დაერეკა მაინც. მოთმინების ბუშტი რომ გამისკდა, გადავწყვიტე, ყველა დამევიწყებინა. ამას გარდა, ბიძასთან და ბიცოლასთან ყოფნა მართლაც შესანიშნავი იყო.

ისინი ყველა ჩემს ახირებას აკმაყოფილებდნენ. თავად ხომ შვილი არ ჰყავდათ. მათი ბინა მერინდრაივს გადაჰყურებდა. ბინა პატარა იყო, მაგრამ აივანი ჰქონდა, საიდანაც ფეხით მოსიარულეებს თხილის ნაჭუჭებს ვაყრიდი თავზე. ჩემთვის განკუთვნილი საწოლი არ იყო, ამიტომ თეთრ, ფუმფულა, მწვანეზოლებიან ტახტზე ვიწექი (აი, როგორ ვგავდი ქოლინოს ბავშვს). ძიძა თან გამომყვა და ჩემ გვერდით, იატაკზე ეძინა. დღისით შეპირებულ ტკბილეულს მაჭმევდა (როგორც მერე მივხვდი, იმ ტკბილეულს დედაჩემი ყიდულობდა. გასუქების ნაცვლად, სიმაღლეში გავიზარდე და წლის ბოლოს (თერთმეტი წლის რომ ვიყავი) ზრდასრულის სიმაღლეს მივაღწიე. თითქოსდა ვიღაცამ ლეკვივით ჩამავლო ხელი და პასტასავით გამომწურა. სიმსუქნესაც გადავურჩი და ბიძაჩემისა და ბიცოლაჩემის მოფერებითაც ვნებივრობდი. სადილის დროს რომ დავაცემინებდი, ბიძაჩემი მომეფერებოდა ხოლმე თავისი ბუბუნა ხმით და გამიღიმებდა. ბიცოლაჩემმა ფიამ კი ისე მომაჯადოვა, რომ მწყობრიდან გამოვედი.

(უნდა აღვნიშნო, რომ ამასობაში ყვერები პატარა ტომრებად ჩამომეკიდა და, გარკვეულწილად, ამან განაპირობა ის, რაც შემდეგ მოხდა). ბიცოლაჩემის, ფია აზიზის სამსახიობო კარიერა ბიძაჩემის კარიერასთან ერთად ჩაიფერფლა. თუმცა ბიცოლაჩემი არაფერს იმჩნევდა. როლებს რომ აღარ სთავაზობდნენ, ახლა ფიამ თავისი ცხოვრება აქცია ფილმად, რომელშიც უამრავ ეპიზოდურ როლს ვთამაშობდი. ვითომ მსახური ვიყავი და ფია ხითხითით მეუბნებოდა: მოდი, ბიჭო, რისი გრცხვენია, სარის კალთა დამიჭირე, სანამ ვიცვამო. მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი. ბიძაჩემი თეთრ-მწვანე ტახტზე იჯდა და სცენარს აცხობდა, რომელსაც ფილმად გადაღება არ ეწერა. მე კი ბიცოლაჩემის სევდიან მონოლოგს ვუსმენდი და ვცდილობდი, მისი ნესვივით მრგვალი და მწიფე ძუძუებისთვის თვალი ამერიდებინა. საწოლზე დაჯდებოდა ხოლმე, თავზე ხელს შემოიდებდა და ამბობდა:



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მე დიდი მსახიობი ვარ, სალემ, რამდენიმე მთავარი როლი ვითამაშე! მაგრამ, დახეთ ბედის ირონიას! დრო იყო, როცა ჩემს ნახვაზე ყველა ოცნებობდა. აქ შემოსვლისთვის კინოსტუდიები ქრთამს იხდიდნენ! რესტორან „ვენეციაში", სადაც ვცეკვავდი, ცნობილი ჯაზმენები ჩემ გვერდით სხდებოდნენ, თვით ბრეზიც კი. „ქაშმირელი შეყვარებულების" შემდეგ ვარსკვლავად ვიქეცი. ვერავინ მჯობდა!" მე მონდომებით თავს ვუქნევდი, მისი საოცარი ნესვები კი ირხეოდნენ... ფია განაგრძობდა: „მაშინაც კი, როცა პოპულარულები ვიყავით და იუბილეებს გვიხდიდნენ, ბიძაშენს მაინც ამ ოროთახიან ბინაში ცხოვრება ერჩივნა კლერკივით! არ შევკამათებივარ. იმ იაფფასიან მსახიობ ქალებს როდი ვგავარ. უბრალოდ ვცხოვრობ და არც კადილაკი მომითხოვია, არც კონდიციონერი, არც ინგლისური საწოლი და არც ბიკინის ფორმის საცურაო აუზი, როქსი ვიშვანათამს რომ აქვს, ისეთი! აქ დავრჩი თავმდაბლობის გამო და ახლა აქ ვლპები, ვლპები, — დიახ! ერთი ვიცი — ჩემი სახე ჩემი სიმდიდრეა, სხვა სიმდიდრე არც მჭირდება!" მე ისევ ვეთანხმები: „მართალია, ბიცოლა, მართლა არ გჭირდება". ბიცოლამ ისე დაიწივლა, რომ მისმა ხმამ იმ ყურშიც შეაღწია, რომელშიც არ მესმოდა. „რა თქმა უნდა, და ახლა ღარიბიც გინდა ვიყო? მთელი სამყარო ოცნებობს, რომ ფია ძონძებში დაინახოს! ბიძაშენიც კი, რომელიც თავის უვარგის სცენარებს წერს! ღმერთო! ვეუბნები, რაღაც საინტერესო, ეგზოტიკური დაწერე, სადაც თაღლითები ნამდვილი თაღლითები იქნებიან და გმირები ნამდვილი გმირები-მეთქი! მაგრამ ბიძაშენი მეუბნება, რომ ეს ყველაფერი სისულელეა. ახლაღა მიხვდა. თუმცა ადრე ასე ამაყი არ იყო! ჩვეულებრივ ადამიანებზე და მათ სოციალურ პრობლემებზე უნდა წეროს! ვეუბნები, კარგია, ჰანიფ, მასე ჯობია-მეთქი, მაგრამ ცოტა კომედიაც გამოურიე, ცოტა ცეკვაც, შენმა ფიამ რომ შეასრულოს და ცოტ-ცოტა ტრაგედია და დრამაც-მეთქი. აი, რა სჭირდება მაყურებელს! — და ბიცოლას თვალები ცრემლებით ევსება, — და იცი, ახლა რას წერს?.. ახლა წერს... — და ისეთი სახე აქვს, თითქოს ეს-ესაა, გული გაუსკდებაო... — მწნილის ქარხანაზე წერს!"..

„ჩუმად, ბიცოლა, გევედრები, ბიძია გაიგონებს!"

„გაიგონოს მერე! — და ფია აქვითინდა, — დედამისმაც გაიგონოს აგრაში. ეგენი ბოლოს მომიღებენ!"

პატივცემულ დედას მსახიობი რძალი არ უნდოდა. ერთხელ გავიგონე, დედაჩემს რომ უთხრა: „მსახიობის შერთვა, იმასრაჰქვია,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაღუპავს ჩემს შვილს, იმასრაჰქვია, მერე სასმელსაც დალევს და ღორის ხორცსაც შეჭამს“. ბოლოს უნდილად დასთანხმდა, რომ ქორწინება შემდგარიყო, მაგრამ ფიას ჭკუისდამრიგებლურ წერილებს სწერდა: „მისმინე, შვილო, თავი დაანებე მაგ მსახიობობას, ეგ ხომ უსირცხვილოების საქმეა. მესმის, რომ ახალგაზრდებს თანამედროვე აზრები გაწუხებთ, მაგრამ ეკრანზე ტიტველი ცეკვა ვის გაუგია! მცირეოდენი თანხით შეგიძლია შენობა იყიდო და ბენზინგასამართი სადგური გახსნა. ამისთვის ფულს მე მოგცემ. დაჯექი ოფისში და თანამშრომლები დაიქირავე. წესიერი სამუშაო ამას ჰქვია“. ვერ გავიგეთ, საიდან მოუვიდა პატივცემულ დედას ბენზინგასამართი სადგურის იდეა. ალბათ, სიბერეში ამოიჩემა რაღაც, მაგრამ ფიას ხომ საშველი არ მისცა.

„ბარემ მბეჭდავად ვიმუშავებდი! — საუზმეზე შემოგვჩივლა ფიამ, — ბარემ ტაქსის მძღოლი ან მატარებლების მეისრე ვიქნებოდი! ლამის გავგიჟდე, ისეთ რამეებს მწერს ეს ქალი“.

ბიძაჩემი (ერთადერთხელ) ძალიან გაბრაზდა. „ბავშვი გვისმენს, — უთხრა ფიას, — თან ნასიმი დედაშენიც არის და თუ შეიძლება, პატივი ეცი“.

„პატივისცემა შეეძლო ჩემგან ჰქონოდა, მაგრამ მის ნაცვლად ბენზინი უნდა!“ და ფია გაბრაზებული გავარდა ოთახიდან.

...ჩემს უსაყვარლეს როლს მაშინ ვასრულებდი, როცა ძია ჰანიფი და ბიცოლა ფია თავიანთ მეგობრებთან, რომლებთანაც კარტს ხშირად თამაშობდნენ, შვილად მასაღებდნენ (უცნობი მშობლების ბავშვი ვიყავი და უფრო მეტი დედა მყავდა, ვიდრე დედებს ჰყავთ შვილები. მშობლების გაჩენის უცნაური ნიჭი მქონდა). სტუმრებთან ფია იტყოდა ხოლმე: „შეხედეთ, ჩემო მეგობრებო, ეს ჩემი პრინცია, ჩემი ოქრო და ბრილიანტი!“ ამას რომ იტყოდა, თავისკენ მიმიზიდავდა და მკერდზე მიმიხუტებდა ისე, რომ ცხვირი მის ორ რბილ ბალიშს შორის მექცეოდა. ...ასეთი განებივრება მეტისმეტი იყო და თავს გვერდზე ვწევდი. ახლა ვხვდები, რატომ მექცეოდა ასე ფამილარულად. ნაადრევად მოვმწიფდი, მაგრამ (აი, მაცდურობავ) გარეგნულად არ მეტყობოდა. ისევ მოკლე შარვალი მეცვა და შიშველი მუხლები ჩემს ბავშვურობას უსვამდა ხაზს. ამით მოტყუებული ფია მკერდში მიხუტებდა და ლამაზი ხმით ჩამჩურჩულებდა იმ ყურში, რომელიც ჯერ საღი მქონდა: „შვილო, შვილო, ნურაფრის გეშინია, ღრუბლები მალე გადაიყრება“. ბიძაჩემისა და ბიცოლაჩემისთვის მე სუროგატი შვილის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

როლს ვასრულებდი. ჰანიფი დღისით ტახტზე იჯდა, ხელში ფანქარი და რვეული ეჭირა და მწნილის ბალადას წერდა. ჩვეულებრივ, ლუნგი ჰქონდა ხოლმე წელზე შემოხვეული. თმიანი ფეხები ლუნგის კალთებიდან გამოეშვირა. ხელის ფრჩხილები „გოლდ ფლეიკის“ წევისგან გაჰყვითლებოდა, ფეხის ფრჩხილებიც უფერული ჰქონდა. წარმოვიდგინე, რომ სიგარეტს ფეხის თითებით ეწეოდა. ამ წარმოსახვამ ისე გამიტაცა, რომ მართლა ვკითხე, შეეძლო თუ არა ასეთი რამის გაკეთება. მან უსიტყვოდ მოათავსა სიგარეტი ფეხის ცერსა და შუათითს შორის და წელში უცნაურად მოიღუნა. მე ტაში დავუკარი, მაგრამ ბიძაჩემს მთელი დღე სტკიოდა წელი.

დამჯერი შვილივით ვუსუფთავებდი საფერფლეს, ვუთლიდი ფანქრებს, მომქონდა წყალი. ბიძაჩემს კი ახსოვდა საკუთარი მამისშვილობა და რეალური ამბების შესახებ ჯღაბნიდა თავის უბედურ სცენარს.

„ამ საწყალ ქვეყანას ხუთი ათასი წელია სძინავს. ახლა უკვე დროა გაიღვიძოს“, მეტყოდა ხოლმე ბიძაჩემი, რომელიც ყოველთვის პრინცებისა და დემონების, ღმერთებისა და გმირების წინააღმდეგი იყო და ამით ბომბეურ ფილმსაც უპირისპირდებოდა. ილუზიების ტაძარში მყოფ რეალისტ მოძღვარს ჰგავდა. მე კი აღარ ვიცოდი, რა მექნა და საით გამეხედა, რადგან ჰანიფისგან სრულად განსხვავებულ მითურ, სასწაულებრივ სამყაროში ვცხოვრობდი.

ბომბეის კინოინდუსტრიაში ჰანიფი ერთადერთი რეალისტი მწერალი იყო, რომელიც წერდა, რომ მწნილის ქარხანას ქალები განაგებენ. დეტალურად აღწერდა მწნილების მომზადების პროცესს. მერი პერეირასგან რეცეპტებს აგროვებდა. მერი და ჰანიფი ზოგჯერ საათობით ბჭობდნენ, თუ რომელ კერძს უხდება ლიმონისა და ლაიმის ნაზავი. ბედის ირონია ისაა, რომ ნატურალიზმის წინასწარმეტყველ ბიძაჩემს თავისი ოჯახისა ვერაფერი გაეგო. „ქაშმირელ შეყვარებულებში“ ჰანიფმა არაპირდაპირი კოცნით დედაჩემისა და ნადირ-ქაზიმის შეხვედრა იწინასწარმეტყველა. საწებლის დამზადების სცენარი კი რეცეპტის სიზუსტეს წინასწარმეტყველებდა.

ჰომი ქეთრექს არც ერთი მათგანი ფილმად არ უქცევია. ბიძაჩემის ნაწერები ყველაფერზე იდო, ტუალეტის თავზეც კი. ქეთრექი ბიძაჩემს (არ ვიცი, ქველმოქმედება ამოძრავებდა, თუ ის აზრი, რომ მალე ყველაფერი გამომჟღავნდებოდა) სტუდიის ხელფასს უხდიდა და ჰანიფი და ფიაც ამით არსებობდნენ. მათ მოწყალებას აძლევდა კაცი, რომე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიც სწრაფად წამოჩიტულმა სალემმა იმსხვერპლა. ეს მისი მეორე მსხვერპლი იყო.

ჰომი ქეთრექი ჰანიფს ეხვეწებოდა, ერთი სასიყვარულო სცენა მაინც შექმენიო. ფია ამბობდა, სოფლის ხალხი ფულს არ გადაიხდის იმაში, რომ ნახოს, ქალები ალფონსებს როგორ ამწნილებენო. ჰანიფი ჯიუტობდა. ეს ფილმი კოცნაზე კი არა, მუშაობაზეაო. არავინ ალფონსებს არ ამწნილებს, დიდკურკებიან მანგოს — კიო.

მერის ჯო დ'კოსტას აჩრდილი არ წამოჰყოლია. და რომ არ წამოჰყოლია, მერიც სწორედ ამიტომ ღელავდა. ეშინოდა, რომ იმ კაცის მოჩვენებას სხვებიც დაინახავდნენ და სამშობიაროში ჩადენილ დანაშაულს ყველა გაიგებდა. ბუკინგემის სახლში შიშისგან ცოცხალმკვდარი ბრუნდებოდა. მხოლოდ მაშინ წყნარდებოდა, როცა იქ მისული ხვდებოდა, რომ ჯო უჩინარიც იყო და ხმასაც არ იღებდა. თუმცა უკან დაბრუნებულ, საწებლებითა და ტკბილეულით დახუნძლულ მერის შიში ისევ უმძაფრდებოდა... მე კი ვერ ვხვდებოდი, რატომ ხდებოდა ასე. ახლა მხოლოდ ბავშვების აზრებში ვიქექებოდი და დიდებს თავი დავანებე (ჩემი პრობლემებიც მეყოფოდა).

ამბობენ, შიშს დიდი თვალები აქვსო. გადაჭედილი ავტობუსით ამგზავრებულ მერის უამრავი ჭორი და მითქმა-მოთქმა ესმოდა, რომელსაც მერე მე მიყვებოდა. ამბობდა, რომ ქვეყანა რაღაც არამიწიერმა ძალებმა დაიპყრეს. ჰო, თურმე კურუკშეთრაში ერთ მოხუც სიქ ქალს გაუღვიძებია და თავის ქოხთან აწ გარდასულ კურუსთა და პანდავასთა ხელჩართული ომი თავისი თვალით უნახავს! გაზეთებშიც ყოფილა. თურმე ქალმა ის ადგილიც მიუთითა, სადაც არჯუნთა და კარნათა საომარი ეტლები ნახა: მიწას ეტლის ბორბლების კვალი მართლა ემჩნეოდა! უბედურებას მოასწავებსო, თქვა მერიმ. და კიდევ: გვალიორში უფლისწული ჯანსის მოჩვენება ნახეს. რავანასავით მრავალთავიანი რაქშასები[1] უნახავთ, ქალებს იტაცებდნენ თურმე და ხეებს წკიპურტით აქცევდნენ. მე ქრისტიანი ქალი ვარ, შვილო, მითხრა მერიმ, მაგრამ შიში მიპყრობს, როცა ამბობენ, რომ თითქოს იესოს საფლავი ქაშმირში ნახეს. თურმე საფლავის ქვაზე ფეხის გახვრეტილი ტერფებია ამოტვიფრული. ადგილობრივი მეთევზე ქალი იფიცებოდა, რომ ნახა, ტერფებს სისხლი როგორ სდიოდათ, „ნამდვილი სისხლი, ღმერთო, დაგვიფარე! — და ეს წითელ პარასკევს მომხდარა... რა ხდება, ღმერ-

[1] *რაქშასები — კაციჭამია დემონები ინდუიზმსა და ბუდიზმში.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თო, ასე რატომ გვტანჯავენ მოჩვენებები?“ მე თვალებდაპრაწული ვუსმენდი და თუმცა ჰანიფი სიცილით კვდებოდა, ახლაც მჯერა, რომ იმ ავადმყოფ დროში ინდოეთის წარსული აღდგა, რომ აწმყო შეეჩვენებია. ახალდაბადებულ ქვეყანას თავისი საარაკო სიძველე გაახსენდა, რომელშიც დემოკრატია და ქალთა უფლებები არ არსებობდა.. ხალხი ატავიზმით[1] იყო შეპყრობილი. თავისუფლების ახალი მითი ისევ ძველ ცხრურწმენათა გზას გაუყენეს. პოლიტიკურ სხეულს ბზარი შეუდგა. თითის წვერის წაგდებამ შეიძლება დაბნეულობის ნიაღვარი წარმოშვას.

ძროხები ჰაერში ქრებიან, ფშვიტ! და მორჩა. სოფლებში გლეხები შიმშილობენ.

სწორედ იმ დროს შემიპყრო უცნაურმა დემონმა. კარგად რომ გაიგოთ, რისი თქმაც მინდა, ერთი მშვიდი, უწყინარი საღამოთი დავიწყებ ამბის მოყოლას, როცა ჰანიფმა და ფიამ მეგობრები მოიწვიეს კარტის სათამაშოდ.

ბიცოლაჩემს გაზვიადება უყვარდა. მართალია, ცნობილი კინოსცენარისტი და ეკრანის ღვთაება წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ ბიძაჩემის სახლი მაინც პოპულარული თავშეყრის ადგილი იყო. სტუმრები ჭორაობდნენ ამერიკული ჟურნალებიდან ამოკითხულ სკანდალებზე, საუბრობდნენ მომღერლების შესახებ, ყელის შესასხურებლით რომ დადიოდნენ. საუბრობდნენ უდეი შანკარის მოცეკვავეთა ანსამბლზე, რომელმაც დასავლური ბალეტის აღმოსავლურ ელემენტებთან შერწყმა სცადა.

აქ იყვნენ: მუსიკოსები, რომლებიც ინდოეთის რადიოფესტივალში მონაწილეობდნენ; მხატვრები, რომლებიც ერთმანეთს ეპაექრებოდნენ. „ფაქტობრივად ერთადერთი მხატვარი ვარ მთელ ინდოეთში, ვინც იდეოლოგიური შემართებით ხატავს“. „მენონი? კრიშნაზე[2] არ დამელაპარაკო. მე მას მაშინ ვიცნობდი, მოწაფეები რომ ჰყავდა. მე პირადად არასოდეს მიმიტოვებია“. „...ო, ჰანიფ, ძმაო, ლალ ქაზიმი სად დაიკარგა?“ ბიძაჩემმა აღელვებით შემომხედა და უთხრა: „სსს... ვინ ქაზიმი? მაგ სახელით არავის ვიცნობ“. ოთახი პოლიტიკაზე ჭორაობითაც ივსებოდა.

---

[1] *ატავიზმი (ლათ.) — 1. (ბიოლ.) ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნის გამოვლინება, რაც დამახასიათებელია მისი შორეული წინაპრებისთვის. 2. (გადატან.) საერთოდ, რისამე გადმონაშთი.*

[2] *კრიშნა (სანსკრ.) — ინდუიზმის ღვთაება. თაყვანს სცემენ როგორც ღმერთ ვიშნუს ერთ-ერთ განსახიერებას.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

...საღამოს ფერები და ხმაური ოთახის აურზაურს ერწყმოდა. მერინ დრაივზე ფეხით მოსიარულეები ძაღლებს ასეირნებდნენ და ქუჩის მოვაჭრეებისგან ჩამბელისა და ჩანას ყიდულობდნენ. მათხოვრებისა და ქორვაჭრების ხმები ერთმანეთში ირეოდა. ქუჩის სინათლე მალაბარ ჰილამდე აღწევდა და აღმართს მძივივით ეკვლებოდა... მე აივანზე მერი პერეირასთან ერთად ვიდექი და დაყრუებული ყურით ვუსმენდი მის ჭორებს, ქალაქის ხმაურსა და კარტის თამაშს. ერთ დღეს კარტის მოთამაშეებს შორის თვალებჩაცვენილი და ასკეტური გარეგნობის ჰომი ქეთრექი ვიცანი. დაბნეული გულითადობით მომესალმა: „როგორ ხარ, სალემ, ხომ კარგად? კარგად ხარ, აბა რა!“

ბიძაჩემი კარტს თავჩარგული თამაშობდა. ახირებამ შეიპყრო, რომ როგორმე არ ჩამოსულიყო, სანამ გულის ცამეტ კარტს არ აიყვანდა. მხოლოდ გულები სჭირდებოდა. ჯვარის, ყვავისა და აგურის ერთნიშნა სამ კარტს ჩამოვიდა, რამაც მისი მეგობრები ფრიად გააოცა. ზუსტად ჩინგიზ-ხანზე[1] მსმენოდა, რომ კარგად თამაშობდა (თმას იღებავდა და სიცხეში შავი საღებავი ყურებზე ჩამოსდიოდა) და ერთხელ ბიძაჩემს უთხრა: მიდი, კაცო, შეეშვი ამ გულების დაგროვებას და წესიერად ითამაშეო. ბიძაჩემი ცდუნების წინაშე დადგა. მერე დაიბუბუნა, წადი ერთი, თუ ძმა ხარ, თავი დამანებეო. კარტს სულელურად თამაშობდა. მე კი ტაშს ვუკრავდი, რადგან ასეთი ჯიუტი შეუპოვრობის მომსწრე პირველად გავხდი.

ამ საღამოების ხშირი სტუმარი იყო „თაიმს ოვ ინდიას“ ფოტორეპორტიორი, რომელიც საოცარ ამბებს ჰყვებოდა. ბიძამ ასე გამაცნო იგი: „ეს ის კაცია, სალემ, შენ რომ გაზეთის პირველ გვერდზე გამოგჭიმა. სწორედ ეს არის ის ლეგენდარული კალიდას გუფთა. საშინელი კაცია, დიდხანს ნუ დაელაპარაკები, თორემ სკანდალებით თავბრუს დაგახვევს!“ კალიდას ვერცხლისფერი თმა და არწივის ცხვირი ჰქონდა. ძალიან მომეწონა ეს კაცი. ვკითხე, მართლა იცი სკანდალური ისტორიები-მეთქი? მან კი ასე მიპასუხა: რომ მოგიყვე, ყურები დაგეწვებაო. ვერასოდეს მიხვდა, რომ ბოროტი გენიოსი და ყველაზე დიდი სკანდალი მთელ ქალაქში მე — ცხვირმოუხოცავი სალემი ვიყავი... წინ არ გავიქცევი, რადგან მეთაურ საბარმათის უცნაური ხელკეტის

[1] *ჩინგიზ-ხანი (ჩინგიზ-ყაენი, თემუჩინი. 1162-1227) — მონღოლი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი (ყაენი). მან მოახერხა დაქუცმაცებული მონღოლი ტომების გაერთიანება მსოფლიოს დასაპყრობად.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამბავი თავის ჯერს ელოდება. შედეგმა მიზეზს არ უნდა დაასწროს (თუმცა 1958 წლის მაცდურ დროზე ამას ვერ ვიტყვით).

აივანზე მარტო ვიყავი. მერი პერეირა ფიას ეხმარებოდა საშზარეულოში, სანდვიჩებს ამზადებდნენ. ჰანიფ აზიზი თავგამოდებით აგროვებდა ცამეტ გულს. ჰომი ქეთრექი აივანზე გამოვიდა. „სუფთა ჰაერი ჩავისუნთქო, — თქვა მან. შემდეგ ღრმად ამოისუნთქა, — ჰაა, ცხოვრება კარგად მოგექცა, ჩემო პატარავ, მოდი ხელი ჩამოგართვა“. ათი წლის ხელი კინომაგნატის მჯიღში მოექცა (მარცხენა ხელი, ხოლო დასახიჩრებული მარჯვენა უწყინრად მაქვს ჩამოკიდებული)... უცებ მარცხენა ხელისგულში რაღაც ქაღალდისმაგვარი ჩამიკუჭა — ცოდვილი ქაღალდი. ხელს მიჭერს და დაბალი, გველის სისინისებური ხმით მეუბნება ისე, რომ არავინ გაიგონოს: „ეს ბიცოლაშენს მიეცი ჩუმად, შეგიძლია? და ენას კბილი დააჭირე, თორემ პოლიციას ვეტყვი, იცოდე“. და შემდეგ ხმამაღლა და მხიარულად ამბობს: „კარგი ბიჭი ხარ, კარგია, რომ ასეთ კარგ ხასიათზე გხედავ“. ჰომი ქეთრექი თავზე მეფერება და ოთახში სათამაშოდ შედის.

პოლიციის შიშმა ორი ათეული წელი გამაჩუმა, მეტი ვეღარ. ახლა ყველაფერი უნდა გამჟღავნდეს.

სკოლა დილით ადრე იწყებოდა. „ბავშვმა უნდა გამოიძინოს, — ჩურჩულებს ფია, — ხვალ სკოლაში მიდის“. ბიცოლაჩემი მარტო ვერა და ვერ მოვიხელთე. ტახტზე დავწექი და ხელში ის ქაღალდი ისევ მეჭირა. მერი იატაკზე იწვა... გადავწყვიტე მოჩვენებად ვქცეულიყავი (თუმცა არაბუნებრივად მაინც არ გამოვიდოდა). საუბედუროდ, ისე დავიღალე, რომ იმწუთას ჩამეძინა, ხოლო ძილში კოშმარი მართლა მესიზმრა, — ვითომ ჩემი კლასელი, ჯიმი კაპადია მოკლეს.

...ფებბურთს ვთამაშობთ სკოლის მთავარ მოფილაქნებულ შესასვლელში, რომელიც სრიალებს. სისხლივით წითელ ფილაქანში შავი ჯვარია გამოსახული. ბატონი კრუზო გვეუბნება: „სახელურებზე ნუ ისრიალებთ, ბავშვებო! ამ ჯვრის ადგილას ერთი ბიჭი დაეცა“. ჯიმი ფებბურთს სწორედ ჯვარზე თამაშობს და ამბობს: „ეს ჯვარი არაფერს ნიშნავს. ისინი გვატყუებენ, რომ თამაში ჩაგვიშალონ“. ჯიმის დედა ტელეფონზე ურეკავს: „ჯიმი, ნუ თამაშობ, გულს გაუფრთხილდი“. ზარი ირეკება... საკლასო ოთახში მელნის სუნია. ფეთ პერსი და გლენდი ქეითი თამაშობენ. ჯიმის ფანქარი უნდა და ზურგში თითით მანიშნებს, რომ ფანქარი მივცე. მე ვაძლევ. ამ დროს ზაგალო შემოდის. ხელს მაღ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლა სწევს და სიჩუმეს ითხოვს. ხელისგულზე ჩემი თმა ეზრდება! თავზე ჯარისკაცის ქუდი ახურავს... ფანქარი მჭირდება და ჯიმის მუჯლუგუნს ვკრავ: „მასწავლებელო, ჯიმი წაიქცა! ცხვირმოუხოცავმა დაარტყა, მასწავლებელო!“ „ჯიმი ნუ თამაშობ, გული გაწუხებს!“ „ჩუმად! — ყვირის ზაგალო, — ბინძურო ველურებო, გაჩუმდით“.

ჯიმი ფუთაშია გამოკრული და იატაკზე წევს. „მასწავლებელო, ჯვარი აღვმართოთ?“ ფანქარი გამომართვა, მე თითი ვკარი და წაიქცა. მამამისი ტაქსის მძღოლია. ტაქსი საკლასო ოთახში შემოდის და ფუთაში გამოკრული ჯიმი მიაქვს. ზარი ირეკება. ჯიმის მამა ტაქსის ნიშანს ძირს დებს და მეუბნება: „ცხვირმოუხოცავო, საფასურს შენ გადაიხდი“. „ფული არ მაქვს, ბატონო“. ზაგალო ამბობს: „შენს კისერზეა“. ჩემს თმას ზაგალოს ხელზე ვხედავ. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს. „ხუთასი მილიონისთვის ერთი სიკვდილი რა არის?“ ჯიმი მოკვდა, მაგრამ ხუთასი მილიონი კაცი ისევ ცოცხალია. მე ვითვლი: ერთი, ორი, სამი. რიცხვები ჯიმის საფლავზე ირევიან. ერთი მილიონი, ორი მილიონი, სამი მილიონი, ოთხი... ვის რაში ანაღვლებს ვინმეს სიკვდილი. ასი მილიონ ერთი, ორი, სამი. რიცხვები საკლასო ოთახშიც მარშირებენ. ფეხებს აბაკუნებენ... ორასი მილიონ სამი, ოთხი, ხუთი. ხუთასი მილიონი ხომ ცოცხალია. და ერთი ჩემთაგანი...

...შუაღამეზე დაზაფრულმა გავიღვიძე, ასეთი კოშმარი მესიზმრა, მაგრამ ქაღალდი ისევ ხელში მქონდა ჩაბღუჯული. კარში ფია და ჰანიფი გამოჩნდნენ. მერი პერეირამ ჩემი დამშვიდება სცადა, მაგრამ ფიამ აჯობა. მან თავისი მოსასხამის მომხიბლავი შრიალით ჩამიკრა გულში და მაწყნარებდა. ჰანიფმა ფიას უთხრა, ბიჭი ჩვენს ლოგინში ჩავაწვინოთო. ფია მომეფერა: მხოლოდ ერთი ღამით დაწექი ჩვენთან ერთადო. ლოგინში ბიძა-ბიცოლას შორის აღმოვჩნდი და ფიას სურნელოვან ბორცვებს მივეხუტე.

ისე გამიხარდა, რომ კოშმარი სადღაც გაქრა. მერე ბიცოლაჩემმა ოდნავ გვერდი იცვალა და მისი ოქროს ნესვები სახეზე მომელამუნა! ფიას ხელმა ჩემი ხელი იპოვა და მაგრად ჩამკიდა... აი, მაშინ კი შევასრულე ჩემი დავალება და ქაღალდი ხელისგულში ჩავუდე. ფია შეკრთა. მერე კი მიუხედავად იმისა, რომ უფრო ძლიერად ჩავეხუტე, ის უკვე ჩემკენ აღარ იყო, — წერილს კითხულობდა და უფრო და უფრო კრთებოდა. უცებ მივხვდი, რომ ჰომი ქეთრექმა მომატყუა. ის მტერი იყო ჩემი და ბიძაჩემს მხოლოდ იმიტომ არ ვუთხარი, რომ პოლიციის შემეშინდა.

(მეორე დღეს სკოლაში შევიტყვე, რომ თურმე ჯიმი კაპადია გუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლის შეტევით გარდაცვლილიყო. განა სიზმარს შეუძლია კაცის მოკვლა? დედაჩემს სჯეროდა, რომ შეუძლია. მაშინ ჯიმი ჩემი პირველი მსხვერპლი იყო, ხოლო მეორე ჰომი ქეთრექი იქნებოდა).

პირველ დღეს სკოლიდან რომ დაბრუნდი, მიხაროდა, რადგან ფეთ პერსმა და გლენდი ქეითმა თითქოს ცოდვა მოინანიესო, ისე შემხვდნენ („ჩვენ რა ვიცოდით, თითი თუ კარში გქონდა... მისმინე, კინოს ბილეთები გვაქვს, გინდა წამოხვიდე?") და ჩემი პოპულარობაც გაიზარდა („ზაგალო აღარ გვეყოლება, რა მაგარი ხარ, ბიჭო, თმა კარგ საქმეს შესწირე მსხვერპლად!"). ფია სახლში არ იყო. ბიძაჩემთან ერთად ვიჯექი, სანამ მერი საშხარეულოში ფუსფუსებდა. უცებ ვიღაცამ კარი შემოგლიჯა. ეს ფია იყო. ჰანიფს ფანქარი ხელიდან გაუვარდა. „რა იყო, ქალო?" „ჯღაბნიავ, არ გაჩერდე, მიდი, შენ ხომ ნიჭი გადმოგდის, ნამდვილი გენიოსი ხარ, ბედნიერო, მდიდრებიც ვართ, მეტი რაღა გინდა, ღმერთი ხომ გწყალობს!" ჰანიფმა იხტიბარი არ გაიტეხა: „მოდი, ფია, ჩაი დალიე". ფიას საქციელი წაუხდა: „ო, ღმერთო, ვის გადავეყარე, ცხოვრება დამენგრა, შენ ჩაის მთავაზობ, დედაშენი — ბენზინს! ღმერთო, რა სიგიჟეა ყველაფერი". ჰანიფმა წარბი შეკრა: „ფია, ბავშვი გვისმენს". მაგრამ ფია კივის: „აჰაა! ბავშვი, არა? ამ ბავშვმაც ტანჯვა გამოიარა და ახლაც იტანჯება, ამან იცის რა არის დაკარგვა, რას ნიშნავს მარტოობა! მეც მიმატოვეს: მე დიდი მსახიობი ვარ. ვზივარ აქ და მესმის ველოსიპედისტი ფოსტალიონებისა და ვირშებმული ოთხთვალას ამბები! შენ რა იცი, როგორ ვიტანჯები? იჯექი აქ და იმ კინომაგნატის მოწყალებით იცხოვრე. იმაზე არ იფიქრო, რომ შენს ცოლს უკვე ორი წელია ახალი ტანსაცმელი არ უყიდია. ყველაფერს ავიტანდი, მაგრამ შენ ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქციე! თავი დამანებე, ფანჯრიდან გადავხტები! საძინებელში წავალ და თუ ჩემგან ვერაფერს გაიგონებ, იცოდე, გული გამისკდა და მოვკვდი". ფიამ საძინებლის კარი საშინლად გაიჯახუნა.

ბიძაჩემმა სიბრაზისგან ფანქარი გადატეხა, „რა მოუვიდა?" მე ვიცოდი, ფიას რაც მოუვიდა და ტუჩზე ვიკბინე. აღთქმა დავარღვიე და ფიას თავში შევაღწიე. იქ ვნახე, როგორ ესტუმრა ფია ჰომი ქეთრექს, რადგან უკვე წლებია, რაც მისი საყვარელი იყო. გავიგონე, ქეთრექმა რომ უთხრა, შენგან დავიღალე და მომბეზრდიო. ქეთრექი შემძულდა იმიტომ, რომ ჩემი საყვარელი ბიცოლა შეაცდინა და კიდევ უფრო შემძულდა იმისთვის, რომ შეურაცხყოფა მიაყენა და ნახმარივით მოისროლა.

„წადი, იქნებ შენ დაამშვიდო", მეუბნება ბიძაჩემი და სალემი თა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვის ტრაგიკულ ბიცოლასთან შედის. ბიცოლა საწოლზე წევს — იმ საწოლზე, წუხელ რომ ერთმანეთს ეხუტებოდნენ და ქაღალდი გადასცა... აცახცახებული ხელი გულზე მიუდვია, მკერდი აუდ-ჩაუდის. სალემი ლუღლუღებს: „ბიცოლა, ბიცოლა, რა მოგივიდა“. ბიცოლა მოზარე ქალივით ტირის. ხელებს ტრაგიკულად შლის და თავისკენ მიხმობს. მე დაპატიჟება არ მჭირდება, ბიცოლაჩემის მკლავებში ვარ და ზემოდან ვაწვები. ხელებს მხვევს და ფრჩხილები თეთრ პერანგში მესობა, მაგრამ აღარ დავეძებ! — შარვლის შიგნით რაღაცამ თავი წამოყო. ბიცოლა ტირის და წრიალებს ჩემ ქვემოთ და მეც ვწრიალებ. ცალი, მარცხენა ხელით ვეფერები, რადგან მეორე ხელი შეხვეული მაქვს. თუმცა არ ვიცი, რას ვაკეთებ, რადგან სულ ათი წლის ვარ და ჯერ მოკლე შარვალი ვერ მომიცილებია. მეც მასთან ერთად ვტირი. ოთახი ჩვენი ხმაურით ივსება — ჩვენი სხეულები ახლა რიტმულად მოძრაობენ, ენით უთქმელი რაღაც ხდება. ბიცოლა ბარძაყებს მიშვერს და ყვირის: „ო, ღმერთო, ო, ღმერთო, ო, ღმერთო!“ ალბათ მეც ვყვირი; ჩემში რაღაც ხდება, სანამ ბიძაჩემი ფანქრებს ამტვრევს. რაღაც მიმაგრდება, სანამ ბიცოლაჩემი ჩემს ქვევით იკრუნჩხება. და უცებ, რაღაც ჩემს ძალას აღემატება და მარჯვენა ხელს, ისე, რომ მტკივანი თითი სულ გადამავიწყდა, მკერდზე ვადებ. ჭრილობა კანს შეეხო და ტკივილისგან ვიყვირე...

„ია‌ა‌ა‌ა‌ოუ‌უ‌უ‌უ‌!“ ბიცოლაჩემი ჩემმა ყვირილმა გამოარკვია. უცებ მომიშორა და სახეში საშინელი სილა გამაწნა, საბედნიეროდ მარცხენა ყურთან, რომელშიც მაინც არაფერი მესმის. „საზიზღარო! — დაიკივლა ბიცოლამ, — მანიაკების ოჯახში გაზრდილო! ვაი ჩემს თავს, რამდენი უბედურება უნდა ავიტანო?!“

კართან ვიღაც ახველებს. მე ტკივილისგან ვკანკალებ. ფია თმაგაწეწილია. კართან მერი პერეირა დგას და სახე დაბნეულობისგან ასწითლებია. ხელში რაღაც შეხვეული უჭირავს.

„შეხედე, შვილო, რა დამავიწყდა, — როგორც იქნა, ამოღერღა მერიმ, — შენ კაცი ხარ უკვე. დედაშენმა ორი წყვილი თეთრი, გრძელი შარვალი გამოგიგზავნა“.

ბიცოლაჩემთან რაც შემემთხვა, იმის შემდეგ მერინ დრაივზე ველარ დავრჩებოდი. ჰანიფი ვიღაცას ყოველდღე ელაპარაკებოდა ტელეფონზე, ფია კი ხელით რაღაცას ანიშნებდა... და ერთ საღამოს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, დედაჩემმა მანქანით მომაკითხა და სახლში წამიყვანა. ასე დასრულდა ჩემი პირველი გაძევება.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

არავის არასოდეს აუხსნია ჩემთვის, სახლიდან რატომ გამაძევეს. არც მე ჩავთვალე საჭიროდ, რომ მეკითხა. უკვე გრძელი შარვალი მეცვა, კაცი ვიყავი და კაცურად უნდა ამეტანა ყველაფერი. დედაჩემს ვუთხარი: თითი აღარ მტკივა, ბიძამ კალმის სხვაგვარად დაჭერა მასწავლა და წერას შევძლებ-მეთქი. დედაჩემი ჩაფიქრებული მართავდა მანქანას. კარგი არდადეგები გამომივიდა, გმადლობთ, რომ ბიძა-ბიცოლასთან გამგზავნეთ-მეთქი, ვუთხარი თავაზიანად.

„შვილო, სახე მზესავით გიციონის, აბა, რა უნდა ვთქვა, მამაშენს უფრთხილდი, უხასიათოდაა“, — მითხრა დედამ. ვეცდები კარგად მოვიქცე-მეთქი. საჭე კინაღამ ვერ დაიმორჩილა და ავტობუსს საშიშ მანძილზე გადავურჩით. „რა ქვეყანაა, ღმერთო ჩემო, საშინელი ამბები ხდება და როგორ ხდება, კაცმა არ იცის“, — თქვა დედამ.

ვიცი, ძიძა ყველაფერს მიყვება-მეთქი. დედაჩემმა შეშინებული სახით გამომხედა და მერის თვალები დაუბრიალა: „რას უყვები, ქალო?!“ მე ავუხსენი, რომ მერი მიყვება იმ სასწაული ამბების შესახებ, ჭორად რომ დადის-მეთქი. დედა დამშვიდდა და მითხრა: შენ რა გაგეგება, ჯერ ბავშვი ხარო.

რა ვიცი? მე ხომ პიონერთა კაფის ამბავი ვიცი. უცებ მომინდა მოღალატე დედაჩემისთვის სამაგიერო გადამეხადა. ეს სურვილი მაშინ გამინელდა, სახლიდან რომ გამაძევეს. ახლა კი ისევ ახალი ძალით იფეთქა, ოღონდ სიახლე ის იყო, რომ დედაჩემთან ერთად ჰომი ქეთრექიც მეზიზღებოდა. შურისძიების ორთავიანმა დემონმა შემიპყრო და ისეთი საშინელი რამ ჩამადენინა, რომ ვერ წარმოვიდგენდი... „ყველაფერი კარგად იქნება, აი, ნახავ“, მითხრა დედაჩემმა.

დიახ, დედა.

უცებ გამახსენდა, რომ შუაღამის შვილების კონფერენციის შესახებ არაფერი მითქვამს, მაგრამ, მართალი გითხრათ, მაშინ არც მეჩვენებოდა საჭიროდ, რადგან თავში სულ სხვა აზრი მიტრიალებდა.

## საბარმათის ხელკეტი

რამდენიმე თვის შემდეგ მერი პერეირამ, ბოლოს და ბოლოს, აღიარა თავისი დანაშაული და ისიც გამჟღავნდა, რომ ჯოზეფ დ'კოსტას მოჩვენება თერთმეტი წელი არ ასვენებდა. სახლში დაბრუნებულმა მერიმ შე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამჩნია, რომ მის აქ არყოფნაში მოჩვენებას რაღაც დაემართა: თითქოს დაკნინდა და დაბერდა ისე, რომ ცალი ყური მოსძვრა და ფეხზე ცერა თითებიც აღარ ჰქონდა. კბილები სულ ჩაუცვივდა და მუცელში კვერცხისოდენა ნახვრეტი გაუჩნდა. მერი შეძრწუნდა და მოჩვენებას ჩუმად ჰკითხა (ჯერ დარწმუნდა, რომ არავინ უსმენდა): „ო, ღმერთო, ჩემო, ჯო, რა უქენი შენს თავს?“ მოჩვენებამ უპასუხა, რომ მერის მიერ ჩადენილი დანაშაული მთლიანად მას დააწვა მხრებზე და ასე გაგრძელდებოდა მანამ, სანამ მერი არ მოინანიებდა. იმ წუთიდან მერიმ მონანიება გადაწყვიტა, მაგრამ რამდენჯერაც შემომხედავდა, იმდენჯერ გადაიფიქრებდა ხოლმე. ამიტომ ეს ყველაფერი დროის საკითხი იყო.

მე აზრადაც არ მომსვლია, რომ ერთ დღეს ჩემზე სიმართლეს იტყოდნენ. ისევ იმას ვცდილობდი, მეთვოლდის მამულს შევგუებოდი, რომელშიც ბევრი ცვლილება მოხდა. პირველ ყოვლისა, მამაჩემი კიტრადაც არ მაგდებდა, თითქოს იქ საერთოდ არ ვიყავი. ეს გულს მტკენდა (სხეული ხომ უკვე ნატკენი მქონდა), მაგრამ კარგად მესმოდა მისი. ოჯახში თითბრის მაიმუნის მდგომარეობა შეიცვალა. ახლა მამაჩემი იმას იხუტებდა თავის რბილ მუცელზე და მომავლის შესახებ ესაუბრებოდა. მერი პერეირაც კი იმ ზღაპრულ სიმღერას უმღეროდა ჩემს დას, ოდესღაც მე რომ მეკუთვნოდა: „ის გახდები, რაც გსურს გახდე, ჩემო პატარაო!“ დედაჩემსაც ეცვალა ხასიათი. ახლა ჩემს დას ხვდებოდა ყოველივე საუკეთესო, ჩასაცმელი იქნებოდა თუ რაიმე ნუგბარი. მე კი სახემოღმეჭილი მიყურებდნენ და იბნეოდნენ. რა უნდა დამეჩივლა. მანქი ხომ წლების განმავლობაში ითმენდა, ოჯახში განსაკუთრებული ადგილი რომ მეკავა. ერთხელ ხიდან ჩამომაგდო (ან იქნებ შემთხვევით გადმოვვარდი) და ჩემს უპირატესობას ღირსეულად იტანდა. ჩემი ერთგულიც იყო. ახლა კი მისი ჯერი დადგა. მე ჩამომაქვეითეს, თუმცა გრძელი შარვალიც მეცვა, ზრდასრულიც ვიყავი და შარვალში ის რაღაც უფრო და უფრო მიმაგრდებოდა“.

მანქის რომ მოწინავე როლი მიანიჭეს, გაოცდა. თითქოს არ უნდოდა ყურადღების ცენტრში ყოფილიყო და ცუდის ჩადენაც არ უცდია. ქრისტიანულ სარწმუნოებას ეცნობოდა. ამაში ევროპული სკოლის მეგობრებმაც იქონიეს გავლენა და მერი პერეირამაც (რომელიც ტაძარში აღსარების შიშით ვერ დადიოდა და სამაგიეროდ ბიბლიას გვიკითხავდა); ალბათ მანქის ამით მაინც უნდოდა ძველი პოზიციის შენარჩუნება და ისევ საძაღლეში შემალვა (სხვათა შორის, ჩვენი ავადმყოფი ძაღლი ჩემს იქ არყოფნაში დაუძინებიათ).



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი და იესოს მოწყალებაზე ლაპარაკობდა. დედა იღიმებოდა და ეფერებოდა. მთელი დღე ფსალმუნებს ღიღინებდა. დედაჩემი ხმას უწყობდა და ერთად მღეროდნენ ხოლმე. მონაზვნის კაბა მოითხოვა. მისცეს. ძაფზე მუხუდოს მარცვლები აასხა და კრიალოსნად აქცია, თან ღვთისმშობლის სიმღერას დუდუნებდა. მშობლებმა ნიჭი შეუქეს. წინანდებურად რომ არ დასაჯეს, რელიგიამ გაიტაცა და მამაო ჩვენოს დღედაღამ ამბობდა. დიდმარხვას მარხულობდა, გარდა იმ პერიოდისა, როცა რამაზანი იდგა. ფანატიზმის ნიშნები ემჩნეოდა, რამაც მოგვიანებით მის პიროვნებაზე იქონია ზეგავლენა. მას მაინც არ სჯიდნენ. ბოლოს მე გამანდო: „ძმაო, როგორც ვხედავ, ფავორიტად ვიქეცი, შენ კი, ბედნიერი ხარ იმით, რომ თავისუფალი ხარ და როგორც გინდა, ისე მოიქეცი“.

და მართალიც იყო. რაკი ჩემი მშობლები ყურადღებას არ მაქცევდნენ, შემეძლო ბორკილები ამეყარა, მაგრამ მე ჩემს ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა ისე დამაჰიპნოზა, რომ გართობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ფიზიკურად შევიცვალე. ნიკაპზე ღინღლი გამომივიდა. ხმის ტემბრი აღმა-დაღმა დათარეშობდა. აბსურდულობის გრძნობამ შემიპყრო: გრძელი ხელები და ფეხები უხერხულობას მგვრიდა. კლოუნს ვგავდი. ვერც ერთ პერანგსა თუ შარვალში ვერ ვეტეოდი და ხელ-ფეხი შტერივით გამოკვეხებული მქონდა. მაგრამ როცა ჩემს თავში ჩავიხედე და შუაღამის შვილებიც იმავე სასაცილო მდგომარეობაში დავინახე — არ მომეწონა.

შუაღამის შვილთა კონფერენცია თანდათან იშლებოდა და იმ დღეს, როცა ჩინეთის არმია ჰიმალაის მთებს მოადგა, — თითქმის დაშლილი იყო. როცა თითი გაქვს დასახიჩრებული და სისხლი შადრევანივით ჩქეფს, ყველანაირი უნამუსობა შეიძლება მოხდეს... თითის ბრალი იყო თუ არა კონფერენციაში გაჩენილი ბზარი, არ ვიცი, მაგრამ ეს ბზარები იზრდებოდა. ქაშმირში ნარადა-მარქანდაია ნარცისულ სიზმრებში ჩაეფლო და სექსუალურ ტკბობას მიეცა. დროში მოგზაურ სუმიტრას ეწყინა, რომ არ დავუჯერეთ, რომ ქვეყანას შარდის მსმელი ბებერი უხელმძღვანელებდა, დიდხანს არ მოკვდებოდა და ხალხს ყველაფერს დაავიწყებდა. პაკისტანი ამებასავით განიყოფოდა, ორივე ნახევრის პრემიერ-მინისტრებს მათივე საქმის გამგრძელებლები დაასამარებდნენ და იმათაც იგივე სახელები დაერქმეოდათ... სუმიტრას რომ არ დავუჯერეთ, შეურაცხყოფილი დარჩა, ჩვენს სხდომებს არ ესწრებოდა და დროის ობობასებურ ლაბირინთებში უჩინარდებოდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბაუდელი დები კმაყოფილნი იყვნენ, რომ ბებერს თუ ახალგაზრდას, ყველას ასულელებდნენ. რას ეხმარება ეს კონფერენცია? კითხულობდნენ ისინი. ჩვენ საკმარისზე მეტი შეყვარებული გვყავსო. ჩვენი ალქიმიკოსი წევრი მამამისის აშენებულ ლაბორატორიაში ფილოსოფიურ ქვაზე[1] მუშაობდა და ჩვენთვის დრო არ რჩებოდა. ოქროს ხიბლმა წარგვტაცა მისი თავი.

სხვა ფაქტორებიც მუშაობდა. მაგიური ბავშვებიც კი მშობლების წინაშე ვერაფერს ხდებიან. ზრდასრულთა ცრურწმენებმა და თვალსაზრისებმა აავსო მათი გონება. მაჰარაშთრელ ბავშვებს გუჯარათი ეზიზღებოდათ. რელიგიური დაპირისპირებებიც იყო. მდიდარი ბავშვები ცხვირს იბზუებდნენ. ბრაჰმინები[2] თავს უხერხულად გრძნობდნენ, რომ ნება მიეცათ შეუხებელ ფიქრებს შეხებოდნენ. ღარიბებზე კომუნიზმის ზეწოლა იგრძნობოდა... ამ ყველაფერთან ერთად პიროვნების რღვევის პროცესიც მიდიოდა პარლამენტში, რომელიც ნახევრად ცხვირმოუხოცავი ნაბიჭვრებისგან შედგებოდა.

ამ თვალსაზრისით, შუაღამის შვილთა კონფერენციამ პრემიერ-მინისტრის წინასწარმეტყველება აახდინა და მართლა ერის სარკედ გადაიქცა. „პასიურ-პირდაპირი“ მოდელი ამუშავდა. თუმცა მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი.

„ძმებო და დებო! — გავყვირი გონების ხმით, რომელსაც ნამდვილ ხმასავით ვერ ვაკონტროლებ, — ეს არ დაუშვათ! არ დაუშვათ, რომ არსებობდეს მარადიული დუალიზმი:[3] მასებისა და კლასებისა, კაპიტალისტებისა და მუშებისა, „იმათი“ და „ჩვენი“ — ეს გაყოფა არ უნდა დავუშვათ. „ჩვენ“ — მესამე ძალად უნდა ვაქციოთ! ჩვენ ის ძალა უნდა ვიყოთ, დილემას რქებით რომ დაეჯაჯგურება. მხოლოდ ასე შევძლებთ იმ პირობის შესრულებას, რომელიც დაბადებისას დავდეთ!“ მომხრეები მყავდა. ერთ-ერთი ჯადოქარი პარვათი იყო. მერე

---

[1] *ფილოსოფიური ქვა — ალქიმიკოსების (შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრების, ალქიმიის მიმდევრების) წარმოდგენით, სასწაულმოქმედი ნივთიერება, რომელსაც შეეძლო გადაექცია არაკეთილშობილი ლითონები ოქროდ და ვერცხლად, განეკურნა ყველა ავადმყოფობა და გაეახალგაზრდავებინა ადამიანი.*

[2] *ბრაჰმანი (სანსკრ.) — ინდუიზმის ყველაზე მაღალი წოდების — ვარნის წარმომადგენელი, ქურუმი ინტელექტუალი. ბრაჰმანის უმთავრესი მოვალეობაა, შეისწავლოს ვედები და ბრაჰმანის ჭეშმარიტებას დაეუფლოს, ამიტომ სიტყვა ბრაჰმანი სწავლულის მნიშვნელობითაც იხმარება.*

[3] *დუალიზმი (ლათ.) — მცდარი ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სამყაროს საფუძვლად აღიარებს ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო საწყისს — მატერიალურსა და ირეალურს.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისინიც ჩამოშორდნენ, რადგან ყველა საკუთარმა ცხოვრებამ ჩაითრია... რაღა დაგიმალოთ და, მათ შორის მეც. თითქოსდა ჩვენი დიდებული კონგრესი ბავშვის გასართობს დაემგვანა. თითქოს გრძელმა შარვლებმა მთლიანად წარხოცა ის, რაც იმ შუაღამემ წარმოშვა... „პროგრამა უნდა შევიმუშაოთ, ჩვენი საკუთარი ხუთწლიანი გეგმა!" — ვითხოვდი მე. ჩემს ზურგს უკან ჩემი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგის სიცილი ჩამესმა. შივა ყველა ჩვენგანის თავში შემოვიდა და დამცინავად მითხრა: „არა, მდიდრის შვილო, არავითარი მესამე მიზანი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ: ფული და სიღარიბე, ქონა და არქონა, მარჯვენა და მარცხენა, მე და სამყარო! სამყარო იდეების ადგილი არ არის, მდიდარო, სამყარო არც მეოცნებეთათვის არსებობს. სამყარო, ცხვირმოუხოცავო, — ნივთებია. ნივთები და მათი შემქმნელები მართავენ სამყაროს. შეხედე ბირლას ან თათას, შეხედე იმას, ვისაც ძალაუფლება აქვს: ისინი ქმნიან ნივთებს. ამ ნივთებისთვის იმართება ქვეყანა და არა ხალხისთვის. ნივთებისთვის გზავნის რუსეთი და ამერიკა დახმარებას, თუმცა ხუთასი მილიონი კაცი მაინც მშიერია. თუ ნივთები გაქვს, მაშინ ოცნებაც შეგიძლია და თუ არ გაქვს, მაშინ იბრძვი". ბავშვები ჩვენს პაექრობას სეირით უყურებენ... ანდა იქნება სულაც არ უყურებენ და არც აინტერესებთ. ახლა მე ვამბობ: „კი, მაგრამ ხალხი ნივთი არ არის; თუ ჩვენ გავერთიანდებით, ერთმანეთი გვეყვარება და თუ ვუჩვენებთ, რომ ერთად ვართ — აი, ეს იქნება მესამე მიზანი და გამოსავალიც". შივა დამცინავად ხითხითებს: „მდიდარო ბიჭო, ეგ ყველაფერი სიცრუეა, ქარივით მიუწვდომელია. პიროვნების მნიშვნელოვანება ზღაპარია, ჰუმანურობას არსებობის შანსიც არა აქვს. დღეს ხალხი მაგ ყველაფრისგან ძალიან შორს დგას". მე ვირღვევი: „ჰო, მაგრამ... თავისუფალი ნება... იმედი... კაცობრიული სულის სიდიადე... პოეზია, ხელოვნება და". შივა გამარჯვებას ზეიმობს: „ხომ ხედავ? ბრინჯივით დაიბენი და დაიშალე. მიდი, ვიღას უნდა შენი სისულელის მოსმენა? ჩვენ ერთი სიცოცხლე გვაბადია, კიტრის ცხვირავ, ყელში ამომივიდა შენი კონფერენცია, რომელიც არაფრის მაქნისია".

თქვენ ალბათ მკითხავთ, ესენი არიან ათი წლის ბავშვებიო? მე კი გიპასუხებთ: დიახ, მაგრამ... თქვენ მკითხავთ, როგორ, ათი წლის ბავშვი საზოგადოებაში ინდივიდის როლის შესახებ მსჯელობსო? ბავშვმა რა იცის მუშა და კაპიტალისტი? რა სმენია მას აგრარული თუ ინდუსტრიული ზონების შესახებ? ანდა სოციალურ-კულტურული



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მემკვიდრეობის შესახებ? ათი წლის ბავშვი პიროვნების კულტზე ან კაპიტალიზმის პრობლემებზე როგორ მსჯელობს? როგორ ადარებს ერთმანეთს განდისა და მარქს-ლენინს, ან ძალაუფლებასა და უუფლებობას? რა იცის მან კოლექტივსა და გამორჩეულ ინდივიდს შორის წინააღმდეგობის შესახებ? ღმერთი რა, ბავშვებმა მოკლეს? თუნდაც სასწაულებს ახდენდეს, ბავშვს მოხუცივით მსჯელობა შეუძლია?

გიპასუხებ: შეიძლება ამ დონეზე და ამ სიტყვებით არა, შეიძლება სიტყვები საერთოდაც არ გამოიყენოს ბავშვმა, მაგრამ მას ფიქრის ენა აქვს, რომელიც უფრო წმინდა და დახვეწილია. დიახ, იქნებ სწორედ ესაა ფსკერი, რადგან ბავშვი სუფთა ჭურჭელია, რომელშიც ზრდასრულები შხამს ასხამენ. ჩვენც ასე მოგვექცნენ. შხამი... და მრავალი წლის შემდეგ დანამოღერებული ქვრივი...

მოკლედ, შინ რომ დავბრუნდი, შუაღამის შვილები უგერგილო-უმარილონი გახდნენ. ზოგჯერ ისეთი ღამეებიც დგებოდა, როცა ეროვნულ ქსელს საერთოდ არ ვშლიდი ჩემს გონებაში. ჩემში ჩაბუდებული დემონი (ორთავიანი) დემონურად მოქმედებდა (შივა იყო თუ არა დამნაშავე იმ როსკიპთა მკვლელობაში, არ ვიცი, მაგრამ, კალი-იუგას გავლენით მე უკვე ორი კაცი მყავდა მოკლული: ჯიმი კაპადია და ჰომი ქეთრექი).

თუ მესამე მიზანიც არსებობს, მაშინ ეს მიზანი — ბავშვობაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვობა კვდება, ან უკეთ რომ ვთქვათ, კლავენ.

იმ დროს ყველა ჩვენგანს პრობლემები გვქონდა. ჰომი ქეთრექს იდიოტი შვილი ჰყავდა. სონის მამა წლების განმავლობაში მოსამართლეებს ქრთამავდა და ახლა მის საქმეს იძიებდნენ. სონის ბიძა იშაკი, როგორც ამბობდნენ, ყელამდე ვალებში ჩაფლულიყო და ადგილობრივი განგსტერები არ ასვენებდნენ. სულ თავდასხმის შიშში იყო (იმ დროს თავდასხმები გახშირდა)... ამიტომ, პროფესორი შაფსტეკერი ყველას მიგვავიწყდა (ინდოელები ასაკთან ერთად სულ უფრო ძლიერდებიან, მაგრამ შაფსტეკერი ევროპელი იყო. ევროპელები კი ჭკნებიან და ბოლოს უჩინარდებიან).

მაგრამ ახლა ჩემი დემონი მმართავდა თუ რა, არ ვიცი. სახლის ბოლო სართულზე ავედი და ის გიჟი ბებერი ვნახე. ისეთი გამხდარი და დალეული იყო, არ დაიჯერებდით. ენას წამდაუწუმ გარეთ ყოფდა და ტუჩებს ილოკავდა. ადრე, თურმე, ანტიდოტებზე მუშაობდა. ახლა ოთხმოცდათორმეტი წლისა იყო და ცხადია, აღარაფერს აღარ იკ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვლევდა. თავის ოთახში იჯდა, რომელიც ტროპიკული მცენარეებითა და დაკონსერვებული ქვეწარმავლებით იყო სავსე. დრომ და ასაკმა კბილები და შხამის ტომსიკები რომ ვერ წაართვა, სამაგიეროდ, გველის ინკარნაციად აქცია; ინდოეთის უძველესმა სიგიჟეებმა ტვინი დაუმწნილა. ბოლოს კვლევითი ინსტიტუტის დარაჯთა ცრურწმენებისაც კი სჯეროდა, როცა ეუბნებოდნენ, რომ ის სამეფო კობრას და ქალის ნაშიერთა უკანასკნელი შთამომავალი იყო... ალბათ, მთელი ცხოვრება ამ ახალ, საარაკო და უცნაურად შეცვლილი სამყაროსკენ მიექანებოდი. ადი კიბეზე და იქ გველი დაგხვდება.

ფარდები ყოველთვის ჩამოფარებული ჰქონდა. ამიტომ, შაფსტეკერის ოთახში შუბე ვერ აღწევდა. არც საათის წიკწიკი ისმოდა. დემონმა დაგვაკავშირა, თუ იმან, რომ ორივენი მარტოსულები ვიყავით?.. მანქი რომ აღაზევეს და კონფერენცია რომ დაკნინდა, მე შაფსტეკერთან ავდიოდი და იმ მოჩიფჩიფე ბებრის ბოდვას ვუსმენდი.

პირველად მის ბუნაგში რომ შევედი, ასე მითხრა: „პატარავ, ტიფისგან განიკურნე, არა?“ ამ წინადადებამ დრო მტვრის მივიწყებული ღრუბელივით აგორგლა და იქ დამაბრუნა, ერთი წლისა რომ ვიყავი. ვიცოდი, რომ მაშინ შაფსტეკერმა გველის შხამით გადამარჩინა. რამდენიმე კვირა მის ფეხებთან ვიჯექი და სწორედ ის კობრა დამანახვა, ჩემში რომ იყო ჩაკლაკნილი.

ვინ გადამარჩინა გველის მაგიით? მისი აჩრდილი ძროხებს ხოცავს. თუ კაცს ესიზმრა, მისი ცოლი დაფეხმძიმდება; თუ ვინმემ მოკლა, მკვლელის ოჯახში ვაჟი შვიდ თაობას არ გაუჩნდება. ვინ ამიხსნა, კობრას მტრები ვინ იყვნენ? „შენი მტრები შეისწავლე, შვილო, — დაისისინა შაფსტეკერმა, — თორემ ისინი მოგკლავენ“... შაფსტეკერის ფეხებთან ვიჯექი და მანგუსტებსა და ტახებს, ნისკარტხანჯლა ფრინველსა და ერთგვარ ირემს ვსწავლობდი, რომელიც გველებს ფლოქვებით სრესს. ასევე მოკაკულნისკარტა ფრინველებს, რომელთა გარეგნობა და სახელი ეჭვიან ფიქრებს აღმიძრავდა მამაჩემის მდივნის, ალისა პერეირას შესახებ. ასევე შევისწავლე ტურა, კატა, პეკარი და კიდევ ერთი საშინელი ფრინველი. ბებერი და გულმავიწყი შაფსტეკერი ცხოვრებას მასწავლიდა. „დაბრძენდი, შვილო, გველის მოძრაობა გაიმეორე. ჩუმად დაიმალე და ბუჩქებიდან შეუმჩნევლად დაესხი თავს“.

ერთხელ მითხრა, შენი მეორე მამა ვარ, მე არ გაჩუქე სიცოცხლე, რომ კვდებოდიო? მივხვდი: მე რომ მომნუსხა, ჩემითაც მოინუსხა და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმ უთვალავ მშობელთაგანი იყო, მე რომ გავაჩინე. რაღაც დროის შემდეგ მის ოთახში დამდგარმა მძიმე სუნმა შემაწუხა. მართალია, მისგან წავედი და ისევ თავის სიმარტოვეში ჩავტოვე, მაგრამ სწორედ შაფსტეკერმა მასწავლა, როგორ გამეგრძელებინა ცხოვრება. შურისძიების ორთავიანი დემონით შეპყრობილმა ჩემი ტელეპათიური ძალები (პირველად) იარაღად გამოვიყენე. მაშინ გავიგე ჰომი ქეთრექისა და ლაილა საბარმათის ურთიერთობის შესახებ. ლაილა და ფია სილამაზეში ერთმანეთს ეტოქებოდნენ. მომავალი ფლოტის ადმირალის ცოლი კინომაგნატის საყვარელი გახდა. საბარმათი რომ ზღვაზე იყო და საზღვაო მანევრირებას ახდენდა, ამასობაში ჰომი და ლაილა თავიანთ მანევრირებებს ასრულებდნენ. ზღვის ლომი მაშინდელი ადმირალის სიკვდილს ელოდა, ჰომი და ლაილა კი მკვლელს (ჩემი დახმარებით) ურიგდებოდნენ.

არ გამოჩნდეო, შაფსტეკერმა მირჩია და მეც ჩუმად ვზვერავდი ჩემს მტერს — ჰომისა და აღვირახსნილ დედას ჩემი ბავშვობის მეგობრებისა (ვერცხლისწყალი და დონდლო გაზეთებში კითხულობდნენ, რომ საბარმათის დაწინაურება დროის ამბავი იყო და მალე მოხდებოდა...). „აღვირახსნილი კახპა, — მეჩურჩულებოდა ჩემში ჩასახლებული დემონი, — მოღალატე! დამაცა, თითით საჩვენებელს გაგხდი, ნახე, რაც მოგვიდეს, ავხორცო! ბოზო დედაკაცო! ნუთუ ვერ დაინახე, ჩემს ძაღლს რა უყო ავხორცობამ? — ის ძუკნა იყო და შენც იმისთანა ძუკნა ხარ!“

ასაკი რომ მომემატა, ლაილას შესახებ ჩემი აზრები უფრო დაღვინდა. ბოლოს და ბოლოს, ჩემნაირი ძლიერი ცხვირის პატრონი იყო. იმ მაგიური ცხვირით მიხრწნილ ადმირალებსაც კი აღაგზნებდა. კინომაგნატებს გულში ცეცხლს უნთებდა ლაილას ნესტოების ფრიალი. თუმცა ვნანობ, იმ ცხვირს რომ ვუღალატე, თითქოს საკუთარ მეგობარს ზურგში დანა ჩავეცი.

აი, რა აღმოვაჩინე: ყოველ კვირადილას, ათ საათზე, ლაილას თავისი შვილები მეტროსინემაში, მეტროკლუბის შეხვედრაზე მიჰყავდა (ჩვენც მივყავდით ხოლმე: სონი, საირუსი, მანქი და მე მის ინდურ მანქანაში ვეკვეხებოდით). ამასობაში, ჰომი ქეთრექიც ემზადებოდა კვირადღის რანდევუსთვის. სანამ ლაილას მანქანა რკინიგზის გასწვრივ მიდიოდა, ჰომი ყელზე აბრეშუმის შარფს იხვევდა. სანამ ლაილა გზად წითელ შუქნიშანზე ჩერდებოდა, ქეთრექი პიჯაკს იცვამდა. ლაილას ბნელ აუდიტორიაში რომ შევყავდით, ქეთრექი ოქროსჩარ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩოიან მზის სათვალეს იკეთებდა. ლაილა ფილმის საყურებლად გვტოვებდა და მიდიოდა, ქეთრექიც ტოვებდა თავის თოქსის, რომელიც მის წასვლას კივილითა და ფეხების ფართხალით პასუხობდა: იცოდა, რაც ხდებოდა და ძიძაც კი ვერ აწყნარებდა.

იყო და არა იყო რა. იყო რადჰა და კრიშნა,[1] რამა და სიტა,[2] ლეილი და მაჯნუნი[3] (და რადგან დასავლეთის გავლენას განვიცდით) რომეო და ჯულიეტა, სპენსერ თრეისი და ქეთრინ ჰეპბერნი[4]. მსოფლიო სავსეა სასიყვარულო ისტორიებით. ყველა შეყვარებული ღვთაების მიწიერი განსახიერებაა. ლაილამ რომ თავისი მანქანა ქოლბა ქოზვეის გზას გაუყენა, აივანზე გამოსულ ჯულიეტას ჰგავდა. როცა გამოწკეპილი ჰომი მის შესახვედრად მიიჩქაროდა (იმ მანქანით, ერთხელ მშობიარე დედაჩემი რომ სამშობიარო სახლში გააქანა), ლეანდრს ჰგავდა, ჰელესპონტი რომ გადაცურა ჰეროსთვის. მე კი ჩემს როლს სახელი ვერ დავარქვი.

ვაღიარებ, რომ იმას, რაც ჩავიდინე, გმირობა ნამდვილად არ ერქვა. ცხენზე ამხედრებული, ხელში ხმლითა და ანთებული თვალებით არ შევბრძოლებივარ ჰომის. გველის მოძრაობა გავიმეორე და გაზეთებიდან ნაგლეჯები შევაგროვე. ათასი წინადადება გადავიკითხე... ეს ის დღეები იყო, როცა შეიხი აბდულა — ქაშმირის ლომი — თავისი ქვეყნის მომავლის გამოსარკვევად პლებისციტს ატარებდა. აჩარია ვინობა ბჰეივმა, რომელმაც ათი წელიწადი შეალია იმას, რომ მიწათმფლობელები მიწის გადაცემაზე დაეყოლიებინა, — განაცხადა, რომ ღარიბებს მილიონი აკრი მიწა გადასცა და ახლა სოფლების გადაცემის ორი ახალი კამპანია წამოიწყო: ჯ. ფ. ნარაიანმა განაცხადა, რომ ბჰეივის საქმიანობას სიცოცხლეს შესწირავდა. ამ ყველაფრიდან ის

---

[1] *კრიშნა და რადჰა — მათი სიყვარული ინდუიზმის მიმდევართათვის ადამიანის ღმერთთან კავშირის სიმბოლო და ფილოსოფიური პაექრობების თემაა. ინდურ ხელოვნებასა და კინემატოგრაფიაში კი დაუსრულებელი სიუჟეტური წყარო. კრიშნა — ინდუისტური ღვთაება ვიშნუს მერვე ავატარია (განსახიერება). რადჰა კრიშნას მარადიული თანამგზავრი მწყემსი ქალია, ბედნირების ქალღმერთ ლაქშმის ერთ-ერთი ფორმა.*

[2] *რამა და სიტა — რამა ინდუისტური ღვთაება ვიშნუს მეშვიდე ავატარია. პრინცესა სიტასა (მისი ცოლის) და რამას ერთგული სიყვარული ინდოელი ხალხისთვის დღესაც სამაგალითოა და ამ სიყვარულს მრავალი ნაწარმოები მიეძღვნა.*

[3] *ლეილი და მაჯნუნი — იგულისხმება სპარსი პოეტის, ნიზამი განჯელის (1141-1203/1209) ამავე სახელწოდების ნაწარმოები.*

[4] *სპენსერ ტრეისი და ქეთრინ ჰეპბერნი — თანამედროვე ამერიკელ მსახიობთა ვარსკვლავური წყვილი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიტყვები და ასოები ამოვჭერი, რომელიც მჭირდებოდა, რათა ასეთი წინადადება შემედგინა:

მეთაურო საბარმათი,

რატომ დადის თქვენი ცოლი

კვირაობით ქოლაბა ქოზვეიზე?

კითხვის ნიშანს ვეძებდი და ვიპოვე კიდეც. გაზეთში ამოვიკითხე: „ვინ მოვა ნერუს შემდეგ?“ აი, ჩემი კითხვის ნიშანიც.

აბაზანის იდუმალებაში ჩავიკეტე და ჩემი ამორჩეული ასოები ერთმანეთს მივაწებე. ეს იყო ჩემი პირველი მცდელობა იმისა, რომ ისტორია შემეცვალა. გველის მოძრაობით ჩავიდე ჯიბეში ასოებდაწებებული ფურცელი, თითქოს შხამის ფხვნილს ვათავსებდი პატარა ტომარაში. შემდეგ დელიკატურად გადავწყვიტე, ერთი საღამო დონდლოსა და ვერცხლისწყალთან გამეტარებინა. ჩვენ ვთამაშობდით თამაშს, რომელსაც „სიბნელეში მკვლელობა“ ერქვა... ამ დროს საბარმათის კარადაში შევიპარე და ჩემი სასიკვდილო წერილი მისი საზღვაო უნიფორმის ჯიბეში მოვათავსე. ამ დროს (დამალვას რა აზრი აქვს) მე გველური კმაყოფილება ვიგრძენი, რომ მიზანს მოვარტყი და ეშვები მსხვერპლს ქუსლში გავუყარე...

არა, ახლა მრცხვენია იმის გამო, რაც მაშინ ჩავიდინე, მაგრამ ჩემი შურისძიების დემონი ხომ ორთავიანია. ლაილა საბარმათის ღალატი რომ გამჟღავნდებოდა, ამით დედაჩემსაც კარგა გვარიანად მივუზღავდი. ერთი ხელის მოსმით ორ კურდღელს დავიჭერდი: ორივე ქალს დავსჯიდი და ჩემს შხამიან ეშვებზე წამოვაგებდი. საბარმათის საქმე სწორედ იმ ბინძური კაფედან დაიწყო, რომელშიც აცეკვებული ხელები დავინახე.

დარტყმა სამალავიდან მივაყენე. იმ მოცეკვავე ხელებმა და შემთხვევით დარეკილმა ზარებმა გამაღიზიანეს და კიდევ იმან, აივანზე რომ ჩუმად გადმომცეს წერილი. ამას დედაჩემის პირფერობა და ფიას კვნესა-ტირილიც დაემატა. შხამი ნელა მოქმედებდა, ამიტომ შედეგი სამი კვირის შემდეგ გამოიღო.

აღმოჩნდა, რომ ანონიმური წერილის შემდეგ, საბარმათიმ ბომბეიში ცნობილი გამომძიებელი, დომ მინთო დაიქირავა (მინთო მაშინ უკვე მოხუცი და კოჭლი იყო და ისეთი პოპულარობა აღარ ჰქონდა), და როცა მინთოსგან შეტყობინება მიიღო, მაშინ:

ერთ კვირადღეს, დილით, ექვსივე ბავშვი მეტროქლაბში ვისხედით და ვუყურებდით ფილმს: „მოლაპარაკე ვირი და მოჩვენებიანი სახ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი“. მე ჩემი ალიბი მქონდა. დანაშაულის სიახლოვეს არ ვყოფილ-ვარ. ნახევარმთვარესავით სამყაროს მიმოქცევას შორიდან ვმართავ-დი... ეკრანზე ვირმა რომ დაილაპარაკა, საბარმათი ამ დროს საზღ-ვაო არსენალს სტუმრობდა. მან გამოიწერა კარგი, გრძელცხვირიანი რევოლვერი და ვაზნები. ცალ ხელში ეჭირა წერილი, რომელიც გა-მომძიებელმა გამოუგზავნა, მეორე ხელში კი — იარაღი. საბარმა-თი ტაქსით მივიდა ქოლაბა ქოზვეიზე, აუყვა ვიწრო ქუჩას და სასა-მართლოს შენობის უკანა კორპუსში შევიდა. ავიდა კიბეზე და ბინა №18-ში ზარი დარეკა. ზარის ხმა გვერდით მეზობელმა, ლათინურის მასწავლებელმაც გაიგონა. კარი საბარმათის ცოლმა, ლაილამ, გაა-ღო. ქმარმა მას ორი ტყვია დაახალა მუცელში, შემდეგ წაქცეულს გადააბიჯა და ჰომი ქეთრექი მონახა, რომელიც ტუალეტიდან გამო-დიოდა, ჯერ თავისი საქმე არ მოემთავრებინა, მაგრამ შარვალს ეცა. საბარმათის ტყვიებმა ჯერ გენიტალიები გაუხვრიტა, შემდეგ გული და თვალი. რევოლვერი მერეც არ გაჩერებულა, მაგრამ როცა გაჩერ-და, ოთახში დიდი სიჩუმე ჩამოვარდა. მკვდარი ქეთრექი ისევ ტუა-ლეტზე იჯდა და პირზე ღიმილი შერჩენოდა.

საბარმათი შენობიდან გავიდა. მის იარაღს ჯერ ისევ ბოლი ასდი-ოდა (ის ლათინურის მასწავლებელმა დაინახა). საბარმათი ქოლაბა ქოზვეის ჩაუყვა, საგზაო პოლიციელი შენიშნა, მივიდა და უთხრა: „ამ იარაღით ეს-ესაა, ჩემი ცოლი და მისი საყვარელი მოკალი. ამიყვა-ნე“. იარაღს ცხვირწინ უტრიალებდა და პოლიციელს ისე შეეშინდა, რომ ხელკეტი იქვე დააგდო და გაიქცა. საბარმათი რაკიღა პოლიცი-ელის პიედესტალს შერჩა, დაბნეულ მანქანებს მიმართულება აჩვენა და ხელჯოხის ნაცვლად ჯერაც ცხელი იარაღით უჩვენებდა გზას. ათი წუთის შემდეგ, თორმეტი პოლიციელი წაადგა თავს, დაიჭირეს და უჩვეულო ხელკეტი ააცალეს, რომლითაც მანქანებს ექსპერტივით კურირებდა.

გაზეთში წერდნენ: „საბარმათის ამბავი სპექტაკლია, რომელშიც ინდოეთი თავის წარსულს, აწმყოსა და მომავალს აღმოაჩენს“... მაგ-რამ, საბარმათი მარიონეტი იყო. ამ მარიონეტს მე მივეცი გასაქანი. ერმა ჩემი სპექტაკლი ითამაშა, თუმცა არ მინდოდა, რომ ასე მომ-ხდარიყო! არ მეგონა თუ... მე მხოლოდ მინდოდა... სკანდალი, ჰო, შეშინება მინდოდა, მინდოდა ჭკუა მესწავლებინა მოღალატე ცოლე-ბისა და დედებისთვის. ეს კი, რაც მოხდა, ფიქრადაც არ გამივლია არასოდეს.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი საქციელის შედეგით გაოგნებული ქალაქის მღელვარე ფიქრის ტალღებს გავყევი... ჰოსპიტალში ექიმმა თქვა: „ქალბატონი საბარმათი იცოცხლებს, მაგრამ ჭამა შეეზღუდება“... ჰომი ქეთრექი გარდაიცვალა... გაყინული საქმის ცნობილმა გამხსნელმა და ცნობილმა ადვოკატმა, სონის მამამ — ისმაილმა საბარმათის დაცვა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე იკისრა.

ინდოეთის იურისპრუდენციის ისტორიაში საბარმათი ყველაზე პოპულარულ მკვლელად იქცა. ქმრები მოღალატე ცოლების წინააღმდეგ გამოვიდნენ და საბარმათი გაამართლეს. ერთგულმა ცოლებმაც საბარმათის მხარე დაიჭირეს. ლაილას შვილების თავიდან ასეთი აზრი ამოვიკითხე: „ჩვენ ვიცოდით, რომ დედა ამას აკეთებდა, ისიც ვიცოდით, რომ მამა არ მოითმენდა“. ერთ-ერთი გაზეთის კარიკატურისტი წერდა: „საბარმათის შემთხვევაში რამაიანას ამაღლებული გრძნობები იაფფასიან მელოდრამას ერწყმის, თუმცა მთავარი გმირი ამ ყველაფერზე მაღლა დგას და, ამდენად, ძალზე მიმზიდველია“.

ამ ამბავმა ეროვნული კრიზისი დააჩქარა... რადგან საზღვაო მოხელეებზე დეკრეტი გამოიცა, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო ციხეში ნამყოფი კაცი ფლოტის ადმირალი ვერასოდეს გახდებოდა. ადმირლებმა, ქალაქის პოლიტიკოსებმა და, რა თქმა უნდა, ისმაილ იბრაჰიმმა, მოითხოვეს, რომ საბარმათი საზღვაო ფლოტის ციხეში დარჩენილიყო. ის უდანაშაულოა, სანამ მის დანაშაულს არ დაამტკიცებენ. მას კარიერა არ უნდა დაენგრესო. მთავრობამ დასტური მისცა და საბარმათიც სასამართლოს ელოდებოდა. საკანში წერილებსა და ყვავილებს უგზავნიდნენ. საბარმათიმ ასკეტური დიეტა — ბრინჯი და წყალი ითხოვა, თუმცა კეთილისმსურველები ყოველდღე უგზავნიდნენ მსუყე საკვებს. საქმის განხილვა დროზე ადრე დაიწყო... ბრალი პირველი კატეგორიის განზრახ მკვლელობაში ედებოდა, მაგრამ საბარმათიმ მკაცრად და ურყევად განაცხადა, დამნაშავე არა ვარო.

„ო, ღმერო, საწყალი კაცი“, — თქვა დედაჩემმა.

მე კი ვუთხარი: დედა, მოღალატე ცოლი საშინელებაა-მეთქი... და დედაჩემმა გვერდზე გაიხედა.

გამოძიებამ თქვა: „ეს საქმე გახსნილიცაა და დახურულიც. არსებობს მიზეზი, შესაძლებლობა, აღიარება, გვამი და წინასწარი განზრახვა, შეკვეთილი იარაღი, ბავშვების კინოში გაგზავნა, გამომძიებლის ჩვენება. რა უნდა ვთქვათ? დანაშაული მტკიცდება“.

ხალხი აღელდა: „არადა, რა კარგი კაცია, ღმერთო!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისმაილ იბრაჰიმმა თქვა: „ეს თვითმკვლელობის მცდელობა იყო“. საზოგადოება შოკში ჩავარდა.

ისმაილ იბრაჰიმმა კი განმარტა: „დომ მინტოს შეტყობინება რომ მიიღო, საბარმათის თავისი თვალით სურდა ამ ყველაფრის ნახვა და თუ მართალი აღმოჩნდებოდა, მაშინ გადაწყვეტილი ჰქონდა, თავი მოეკლა. მან იარაღი სწორედ ამ განზრახვით გამოიწერა. ქოლაბას ქუჩაზე სასოწარკვეთილი მივიდა, არა როგორც მკვლელი, არამედ როგორც მკვდარი კაცი! იქ კი თავისი ტიტველი ცოლი ნახა საყვარელთან ერთად! პატივცემულო ჟიური! ამ პატიოსანი, დიდებული კაცის თვალში ყველაფერი აიმღვრა და ამ დროს ჩაიდინა ის, რაც ჩაიდინა. ასე რომ, მას განზრახ არ მოუკლავს, როგორც ცივსისხლიანს. პატივცემულო ჟიურის წევრებო, ეს კაცი უდანაშაულოა, რადგან გაამწარეს“.

ქალაქი აყვირდა: ეს უკვე მეტისმეტია... ადვოკატმა ძალიან შორს შეტოპაო... მაგრამ... ჟიურის წევრები ქალები არიან და თანაც არცთუ ისე მდიდრები, ამიტომ, მათი მოსყიდვა იოლია... ვინ იცის, რა მოხდებაო.

ჟიურიმ დაამტკიცა. უდანაშაულოაო.

დედაჩემმა იკივლა: „ო, რა შესანიშნავია... მაგრამ, ეს სამართალია?“ და მოსამართლემ დედას უთხრა: „ამ აბსურდულ ვერდიქტს მთელი ძალით შევეწინააღმდეგები. ის დამნაშავეა“.

ო, რა აურზაური იყო! საზღვაო ფლოტილიის ოფიციალურმა პირებმა, ეპისკოპოსებმა და პოლიტიკოსებმა მოითხოვეს, საბარმათი ფლოტილიის ციხეში უნდა დარჩეს და უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივროს, ამ ერთი მოსამართლის სიჩლუნგეს არ უნდა გადავყოლოთ ეს დიდებული კაციო. საბარმათის საქმე უმაღლეს სასამართლოს გადაეცა და მოსმენა უპრეცედენტო სისწრაფით დაინიშნა. საბარმათიმ თავის ადვოკატს უთხრა: ვგრძნობ, რომ იღბალი აღარ მემორჩილება, რადგან საქმეში ბედისწერა ჩაერთოო.

მე კი ვეტყოდი: „ეს ბედისწერა მე ვარ. თუ გინდა, წვინტლიანი, ცხვირსრუტუნა, ცხვირმოუხოცავი, სახელაქებიანი ან პატარა მთვარის ნატეხი მიწოდე“.

უმაღლესმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო. გაზეთები იუწყებოდნენ, რომ საბარმათი ბოლოს და ბოლოს, სამოქალაქო ციხეში აღმოჩნდებოდა. ისმაილ იბრაჰიმი ამბობდა, რომ უმაღლეს სასამართლოში ყველა ხერხი მოსინჯა. უცებ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განცხადე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბა ბომბის აფეთქებას ჰგავდა: „კანონში გამონაკლისის დაშვება რთული საქმეა, მაგრამ მეთაურ საბარმათის თავისი სამშობლოსადმი განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის. ამიტომ, მე ვასაჩივრებ უმაღლესი სასამართლოს გადაწვეტილებას და ბატონი საბარმათი ფლოტილიის ციხეში დარჩება“.

გაზეთები კოღოებივით იკბინებოდნენ: „მთავრობამ კანონი დაარღვია! საბარმათის სკანდალი ქვეყნის სირცხვილად იქცა!“

პრესა რომ საბარმათის დაუპირისპირდა, მივხვდი, მისი საქმე წასული იყო.

უმაღლესმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

ისმაილ იბრაჰიმმა თქვა: „შეწყალება! ინდოეთის პრეზიდენტს შეწყალებისთვის მივმართავთ!“

პრეზიდენტის სასახლეში დიდი ამბავია. უნდა გადაწყდეს, შეიძლება თუ არა ვინმე კანონზე მაღლა დადგეს. მკვლელი შეიძლება თუ არა კარიერის გულისთვის შეიწყალონ. საინტერესოა, ინდოეთი კანონს მიემხრობა, თუ გმირთა ათასწლოვან ისტორიას. რამა რომ ცოცხალი იყოს, სითას შემაცდენლის მოკვლისთვის ციხეში უნდა გაგვეშვა? დიდი ამბები ხდებოდა. ნახეთ, ისტორიაში როგორი აურზაურით შევდიოდი!

ინდოეთის პრეზიდენტმა არ შეიწყალა საბარმათი.

ნასი იბრაჰიმი (მისმა ქმარმა საქმე რომ წააგო) დედაჩემს მისტიროდა: „ამინა, დაო, იმ კარგ კაცს ციხეში გზავნიან — ხომ გითხარი, სამყაროს აღსასრული მოახლოვდა-მეთქი“.

მინდა დედაჩემთან ვაღიარო: „ყველაფერი ჩემი ბრალია, შენთვის ჭკუა მინდოდა მესწავლებინა. ნუ მიდიხარ იმ კაცის სანახავად, საკმარისია, დედაჩემო! მე უკვე კაცი ვარ და კაცივით შემიძლია დაგელაპარაკო“. თუმცა, არც ერთი სიტყვა ხმამაღლა არ მითქვამს. არც დამჭირვებია. ერთხელ დედაჩემმა ტელეფონში ვიღაცას უთხრა: „არა, აქ ასეთი არავინ ცხოვრობს (მერე ხმადაბლა): გთხოვ, დამიჯერე, აქ არასოდეს არ დარეკო“.

დიახ, დედაჩემს ჭკუა ვასწავლე. საბარმათის საქმის შემდეგ ნადირ-ქაზიმი თვალითაც არ უნახავს. თუმცა უიმისოდ თავის თავს ოჯახის წყევლის მსხვერპლად მიიჩნევდა, რადგან ჩვენი ოჯახის ყველა ქალივით, დროზე ადრე დაბერდა, დაჭკნა, დაკოჭლდა და თვალებში სიბერის სიცარიელე ჩაუდგა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემს შურისძიებას ბევრი გაუთვალისწინებელი ამბავი მოჰყვა. მეთვოლდის მამულის ბაღებში უცნაური ყვავილები აღმოცენდა... ფატალური ნიშნები ყველგან იყო ჩვენი ბაღის გარდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩემი ძალები ჩემს აღქმასაც აღემატებოდა და ერთხელ სახლიდან გაძევებულმა ახლა ყველა ერთად მე თვითონ გავაძევე.

აბრები ყველგან იყო: „ვერსალში", „ესკორიალში", „სან სუჩიში". აბრებზე წითელი ასოებით ეწერა ერთი სიტყვა: „იყიდება".

ვერსალის ვილის პატრონი ტუალეტში მოკლეს. სახლს სასტიკი ძიძა ყიდდა. ვილა რომ გაიყიდა, ძიძა და თოქსი სამუდამოდ გაუჩინარდნენ. ფულით სავსე ჩემოდანი ძიძის კალთაში იდო.

...თოქსის რა ბედი ეწია, აღარ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იმ საშინელი ძიძის ხელში კარგი დღე არ დაადგებოდა... საბარმათის „ესკორიალიც" იყიდებოდა. ლაილას დედობის უფლება ჩამოართვეს და ისე გაქრა ჩვენი ცხოვრებიდან, ვერც გავიგეთ. დონდლომ და ვერცხლისწყალმა ბარგი ჩაალაგეს და მათზე ზრუნვა ინდოეთის ნავიგაციამ იკისრა, სანამ საბარმათი ციხიდან გამოვიდოდა ოცდაათი წლის მერე... იბრაჰიმების „სან სუჩიც" იყიდებოდა. იშაკ იბრაჰიმის სასტუმრო განგსტერებმა გადაბუგეს, თითქოს მარცხისთვის დასაჯესო. შემდეგ ისმაილი სამსახურს ჩამოაშორეს პროფესიული უფლებების ბოროტად გამოყენების გამო. შეურაცხყოფილი იბრაჰიმებიც წავიდნენ ჩვენი ცხოვრებიდან. სახლს საირუს დუბაში და დედამისიც ყიდდნენ. საბარმათის ამბის აყალმაყალში შეუმჩნევლად გარდაიცვალა ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი. იგი ფორთოხლის კურკამ დაახრჩო. ასე რომ, საირუსზე გადავიდა დედამისის რელიგიური ფანატიზმი, რომელმაც დასაბამი ჩაუყარა შთაგონებებს. ამაზე შემდეგ თავში ვისაუბრებ.

აბრები ქარში ირხეოდნენ და დავიწყებას აძლევდნენ ოქროს თევზებს, კოქტეილის საათსა თუ კატების შემოსევის ამბავს. ვინ ჩამოხსნა აბრები? ვინ იყვნენ უილიამ მეთვოლდის შთამომავალთა შთამომავალნი?.. ექიმი ნარლიკარის სახლის ბინადრები: მსუქანი და საქმიანი ქალები, რომლებიც ნარლიკარის ქონებამ კიდევ უფრო გაასუქა და აასაქმიანა (მაშინ მიწებზე დიდი აურზაური იყო). ამ ქალებმა საბარმათის, დუბაშებისა და ქეთრექების სახლები იყიდეს. იბრაჰიმის სახლიც მათ შეიძინეს და იბრაჰიმმა თავისი მევალეები ნარლიკარის ფულით ჩააჩუმა.

მამაჩემმა სახლის გაყიდვაზე უარი თქვა. დიდი ფული შეაძლიეს, მაგრამ თავი გააქნია. ქალებმა თავისი ოცნება გაანდეს. მათ სურდათ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოცდაათსართულიანი ცათამბჯენები აეშენებინათ, როგორც მათი ვარდისფერი მომავლის საწინდარი. აჰმედ სინაის უთხრეს, შენობებს რომ აგიხორხლავთ ირგვლივ, მერე მაინც ხომ გაყიდი სახლსო. მაგრამ აჰმედს ახსოვდა მათი ღალატი და ადგილიდან არ დაძრულა.

ნასიიხვმა წასვლის წინ დედას უთხრა: ხომ გითხარი, სამყაროს დასასრულია-მეთქი! მართალიც იყო და ცდებოდა კიდეც. 1958 წლის აგვისტოს აქეთ სამყარო სვლას განაგრძობს, მაგრამ ჩემი ბავშვობის სამყარო მართლა დასრულდა.

პადმა, პატარა რომ იყავი, შენი სამყარო გქონდა, არა? რკინის ბურთულა, რომელზეც კონტინენტები, ოკეანეები და პოლარული ყინული იყო აღბეჭდილი. ორი იაფფასიანი ნახევარსფერო, პლასტიკური ლენტით ერთმანეთს მიწებებული? არა, ალბათ არ გქონია. მე კი მქონდა. მქონდა მარკებით აჭრელებული სამყარო: „ატლანტის ოკეანე“, „ამაზონი“ და „მარტორქის ტროპიკები“ რომ ეწერა. ჩრდილოეთ პოლუსზე ინგლისის ლეგენდაა, მაგრამ ნარლიკარის ქალთა გაუმაძღრობისა და ამინდის გამოისობით ბურთის სამყარომ ფორმა დაკარგა. სკოჩი ვიპოვე და დედამიწა ეკვატორთან ისევ შევაერთე. მერე კი იმ ბურთისადმი პატივისცემა დავკარგე და ფეხბურთის ბურთად გავიხადე. საბარმათის სკანდალის შემდეგ, როცა სახლი დედაჩემის სინანულმა აავსო, ხოლო მეთვოლდის მამული — მის მიერ დანატოვართა პირადმა ტრაგედიამ, მე იმ სფეროთი ვთამაშობდი, იმით კმაყოფილი, რომ სამყარო (თუმღაცა სკოჩით დავაწებე) მთლიანად ჩემს ფეხებთან ეგო. ...მაგრამ ერთ დღეს, ნასიიხვის მორიგი ესქატოლოგიური[1] მოთქმის შემსწრე რომ გავხდი და სონი იბრაჰიმმა სამუდამოდ დაგვტოვა, — ჩემმა დამ, თითბრის მაიმუნმა, ენით გამოუთქმელი ბრაზი მომაფრქვია: „ო, ღმერთო, შეწყვიტე ეგ თამაში, ნუთუ ოდნავადაც არ დაღონდი?!“ მანქი ჰაერში ახტა, ორივე ფეხით დაახტა ჩრდილოეთ პოლუსს და ბურთი ნაფლეთებად აქცია.

სონი იბრაჰიმის წასვლამ თითბრის მაიმუნზე ძალიან იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ სონის შეურაცხყოფას აყენებდა და ერთხელ ტანსაცმელიც კი შემოახია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს, მანქიმ მთელი ცხოვრება უარი თქვა სიყვარულზე, მაინც, — სონი ხომ აღმერთებდა მას!

---

[1] *ესქატოლოგია (ბერძნ.) — მისტიკური მოძღვრება მსოფლიოსა და ადამიანის საბოლოო ბედზე; წარმოადგენს მრავალი რელიგიის (მათ შორის ქრისტიანობის) შემადგენელ ნაწილს.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იცოდეთ, ურწმუნოებო, რომ სამყაროული სივრცის უკუნეთში ოდესღაც არსებობდა წმინდა ხუსროვანდის სფერო!!! თანამედროვე მეცნიერებიც კი აღიარებენ, რომ თაობებს უმალავდნენ ჭეშმარიტების წმინდა სამკვიდრებლის არსებობას!!! მსოფლიოს მოწინავე ინტელექტუალები წითლების ანტირელიგიურ შეთქმულებაზე ლაპარაკობენ. ისინი ამ სასიცოცხლო სიახლეს მალავდნენ! ახლა კი ყველაფერს ფარდა აეხადა. წმინდა უფალი ხუსრო თავის ძალას ამჟღავნებს. წაიკითხეთ და დაიჯერეთ!

იცოდეთ, რომ ნამდვილად არსებობდა ხუსროვანდი, სადაც ისეთი წმინდანები ცხოვრობდნენ, რომელთა სულიერი სიწმინდე და მედიტაცია წარმოუდგენლად დიდი ძალის მფლობელი იყო. ისინი ყველაფერს ჭვრეტდნენ და რკინას კბილებით ღუნავდნენ!!!

* * * ახლა! * * *

პირველად თქვენ შეგიძლიათ ასეთი ძალები
თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ!
უფალი ხუსრო
* * * აქ არის! * * *

ხუსროვანდის დაცემის ამბავი მოისმინეთ: წითელმა დემონმა ბჰიმუტამ მეტეორიტების წვიმა მოიყვანა (მსოფლიო ობსერვატორიებმა წვიმა დააფიქსირეს, მაგრამ ახსნით ვერ ახსნეს)... ეს იყო ქვების წვიმა, რომ მართალი ხუსროვანდი და მისი წმინდანები განადგურებულიყვნენ.

მაგრამ დიდებული ფურცელი და მშვენიერი ხალილა არ მოტყუვდნენ. კუნდალინის ხელოვნებით მათ იხსნეს მათი ვაჟის, ჯერდაუბადებელი ხუსროს სული. ისინი იოგურ ტრანსში ერთ არსებად გარდაიქმნენ (იოგას ძალას მთელი მსოფლიო აღიარებს). მათ თავიანთი სულები ენერგიის სინათლედ გარდაქმნეს, რომელიც დღეს კარგად ცნობილი ლაზერია, — ნამდვილი სინათლის იმიტაცია. სწორედ ამ სხივმა ჩამოიყვანა ხუსროს სული, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს დუნიაზე, ანუ ჩვენს სამყაროში და ერთი უბრალო, კეთილი ქალის საშოში ჩაასახლა.

გაჩნდა ბავშვი, რომელსაც უდიდესი მადლი და შეუდარებელი გონება დაჰყვა (ამით ის ტყუილი განაქარწყლა, რომ თითქოს ჩვენ, ყველანი, თანასწორნი ვართ. გარყვნილი და წმინდანი როგორ შეიძლება



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თანასწორი იყოს? რა თქმა უნდა, ვერ იქნება). ხუსრომ თავისი ბუნება გვიან წარმოაჩინა. ეს იყო მაშინ, როცა მიწიერი წმინდანი წარმოსახა ერთ-ერთ დრამაში (რომელზეც კრიტიკოსები წერდნენ, რომ ხუსროსეული შესრულება დაუჯერებელი იყო). აი, მაშინ გამოფხიზლდა და მიხვდა, ვინც იყო. ახლა მან თავისი ნამდვილი სახელი წარმოაჩინა:

უფალი
ხუსრო
ხუსროვანი
* ბჰაგვანი *

რომელსაც ფერფლი აქვს ასკეტურ სახეზე და კურნავს დაავადებებს, ებრძვის გვალვებსა და ბჰიმუტას ლეგიონებს. გეშინოდეთ! რადგან ბჰიმუტა ქვების წვიმას ჩვენც გამოგვიგზავნის! არ დაუჯეროთ პოლიტიკოსებისა და წითლების ტყუილებს. გჯეროდეთ მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთის, რომლის სახელია:

ხუსროხუსროხუსრო
ხუსროხუსროხუსრო

გამოგზავნეთ ფულადი დახმარება მისამართზე: ბომბეი, მთავარი ფოსტის შენობა, ყუთი 555.

იყავით დალოცვილები და იცხოვრეთ
სიმართლისა და მშვენიერების წყურვილით!!!

საირუსდიდის მამა ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი იყო, დედა კი — რელიგიური ფანატიკოსი, მაგრამ დედას ქმრის რაციონალურობამ რწმენა შეურყია. მერე ფორთოხლიდან კურკის გამოცლა დაავიწყდა და ქმარი დაეხრჩო. ამის მერე დედამ გადაწყვიტა, მამა შვილის ცხოვრებიდან ამოეშალა და საირუსი თავისი უცნაური ხერხით გადაეკეთებინა. საირუსი — სკოლის სიამაყე და ნიჭიერება იყო. წმინდა იოანეს როლს ასრულებდა ბერნარდ შოუს დრამაში. ერთად ვიზრდებოდით, ძალიან შევეჩვიე და ახლა ჩემი ცხოვრებიდან გაუჩინარდა. მისი ადგილი პირუტყვული გამომეტყველების მქონე ხუსრო ხუსროვანდმა დაიკავა. ათი წლის ასაკში საირუსი საკათედრო სკოლიდან გაქრა და ინდოეთის უმდიდრესმა გურუმ მეტეორული სისწრაფით დაიწყო ამაღლება (ინდოეთის უამრავი ვერსია არსებობს და საირუსის ინდოეთთან შედარებით ჩემი ვერსია მიწიერი ჩანს).

რატომ დაუშვა, რომ ეს მომხდარიყო? რატომაა ქალაქი სავსე პოსტერებით და გაზეთები — რეკლამებით? რატომ არსად ახსენებენ ვუნდერკინდს?.. საირუსი (მიუხედავად იმისა, რომ ქალის სხეუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლის შესახებ ლექციებს გვიკითხავდა) დამჯერი ბიჭი იყო და დედის განაწყენება არ უნდოდა. დედამისი როგორც ეტყოდა, ისე იცვამდა. მისივე ხათრით მილიონ თაყვანისმცემელს ნეკზე აკოცნინებდა. დედამისის ხათრით გახდა უფალი ხუსრო — ყველაზე წარმატებული და ნეტარი ბავშვი ინდოეთის ისტორიაში. ბრბო ეთაყვანებოდა, რადგან სასწაულების ჩადენა შეეძლო. ამერიკელი გიტარისტები ფეხებთან უსხდებოდნენ და ჩეკის წიგნაკები მოჰქონდათ. ლორდმა ხუსროვანდმა ბუღალტრები შეიძინა. ასევე შეიძინა მდიდრული ლაინერი, „ხუსროვანდის ვარსკვლავი“ და თვითმფრინავი სახელად: „უფალ ხუსროს ასტრალური თვითმფრინავი“. სადღაც, ამ მკრთალად მოღიმარი და ლოცვის დამრიგებელი ბიჭის გულის სიღრმეში... ისეთ კუნჭულში, რომელსაც დედამისი ვერ მისწვდებოდა (სხვათა შორის, დედამისი ნარლიკარის ქალების მეზობელი იყო და, ალბათ, იმათი საზიზღარი სული ჩაუსახლდა), იმალებოდა იმ ბიჭის აჩრდილი, რომელიც ერთ დროს ჩემი მეგობარი იყო.

„ის ხუსრო-გურუ, შარშან ზღვაში რომ დაიხრჩო?“, მეკითხება გაოცებული პადმა.

დიახ, ის. წყალზე ვერ გაიარა და ხალხი ბუნებრივი სიკვდილის მომსწრე გახდა... ვაღიარებ, რომ საირუსის აპოთეოზის წინააღმდეგი ვიყავი. მე უნდა ვყოფილიყავი მის მაგივრად, რადგან მაგიურ ძალას მე ვფლობ. სახლში პირველობა წამართვეს, ხოლო საირუსმა ჩემი შინაგანი ბუნება მომპარა-მეთქი, — ჩემთვის ვფიქრობდი.

პადმა, მე არასოდეს გავმხდარვარ „მაჰაგურუ“; ჩემს ფეხებთან არავინ დამჯდარა. მხოლოდ ჩემი ბრალია, რომ ასე მოხდა, რადგან ერთ დღეს, მრავალი წლის წინათ, საირუსის ლექციის მოსასმენად წავედი, ქააალის სხეულის შესახებ რომ გვიკითხავდა.

„რა? ეს კიდევ რაღაა?“ — გაოცდა პადმა.

ფიზიკოს დუბაშს ერთი ლამაზი მარმარილოს შიშველი ქალის ქანდაკება ჰქონდა და სწორედ ამ ქანდაკების დახმარებით გვაცნობდა საირუსი ქალის ანატომიას. ლექციის სანაცვლოდ კი კომედიურ წიგნებს ითხოვდა. მე მაშინ მივეცი ჩემი სანუკვარი ანეკდოტების წიგნი, სადაც პლანეტა კრიპტონისა და სარაკეტო ხომალდის აფეთქების ამბავი იყო მოთხრობილი. ხომალდში ჯო-რელი იჯდა, რომელიც მიწაზე დაჯდომას და კეთილ კენტებთან შეხვედრას აპირებდა... არავის უნახავს? ნუთუ არავის ესმოდა, რომ ქალბატონმა დუბაშმა თავისი საქციელით მითი თავიდან გამოიგონა — ლეგენდა სუპერმენის მოვ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლინებისა. ბრბო ზარ-ზეიმით ეგებებოდა ხუსრო ხუსროვანდის მოსვლას. მორალურ ვალდებულებას ვგრძნობდი, რომ ჩემი საარაკო და ქაოსური სამყაროს პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ამეღო.

პადმას ფეხის კუნთები მიყვარს. ჩემს მაგიდასთან ჩაცუცქდება ხოლმე და მეთუვზე ქალივით სარის ზემოთ ქაჩავს. წვივებს დაძაბულობა არ ეტყობათ. ბარძაყის ძლიერი კუნთები სარის ნაკეცებიდან უჩანს. პადმა ისეთი მოხერხებულია, რომ შეუძლია სულ ასე ჩაცუცქული იყოს და აუჩქარებლად უსმინოს ჩემს გრძელ ამბავს. ოჰ, მემწნილე ქალო! რომ იცოდე, როგორ მამშვიდებს შენი აქ ყოფნა, როგორ სტიმულს მაძლევს შენი მკლავები და შენი... ისეთი ძლიერი მკლავები აქვს, რომ ერთ წუთში ძირს დამცემდა მისი ჯანი. ღამით მოსვენებას არ მაძლევს, თუმცა — უშედეგოდ. კრიზისი უკან მოვიტოვეთ და ახლა ჰარმონიულად ვცხოვრობთ: მე ყველაფერს ვუყვები და ანგარიშს ვაბარებ. ისიც მიყვება. ჩემზე ზრუნავს და მადლიერი და კმაყოფილი ვარ ქალისა, რომელსაც მე უფრო ვაინტერესებ, ვიდრე ჩემი ამბები.

პადმას მუსკულატურაზე იმიტომ შევჩერდი, რომ სწორედ მათი ჯანის წყალობით გიყვებით ჩემს ამბავს. კისრისტეხით გავრბივარ, ამიტომ შეცდომებს ვუშვებ: ვზედმეტსიტყვაობ და ხანდახან ტონალობაც მეცვლება. ვჩქარობ, თუმცა ვიცი, რომ შეცდომები დავუშვი. რაც უფრო ვბერდები, ვერც წერის სისწრაფეს ვინარჩუნებ და ვერც საკუთარ მეხსიერებას ვენდობი... პადმას კუნთები მკარნახობს: გაბეზრებულს სხეულის ნაკვთები ეჭიმება; როცა არ სჯერა, ლოყა უთამაშებს. ეს მეხმარება, რომ გზიდან არ გადავუხვიო. ავტობიოგრაფია ნაკლებად მნიშვნელოვანია იმასთან შედარებით, რაც თავად ავტორს შეუძლია გამოიგონოს და მერე მასში მკითხველი დაარწმუნოს... პადმამ საირუსდიდის ამბავი მოიწონა, ამიტომ წერას ვაგრძელებ. თერთმეტი წლისას უარესი რამ მელოდა. ეს მოხდა აგვისტო-სექტემბერში, როცა შთაგონებები სისხლივით დაიღვარა. აბრები ნარლიკარის დამაქცევარმა ქალებმა ჩამოხსნეს. ბუკინგემის სახლი მეთვოლდის მიტოვებული და მომაკვდავი სახლების მტვერში გაეხვია. უორდენ-როუდიდან იმ მტვრის გამო არც კი ვჩანდით. ტელეფონები ისევ სახიფათო გახდა და სწორედ ტელეფონით გავიგეთ, რომ ბიძაჩემმა ჰანიფმა თავი მოიკლა (ფიამ დაგვირეკა, ხმა უკანკალებდა). ჰომი ქეთრექის ჯამაგირი რომ გამოეცალა, ბიძაჩემმა თავისი ახირებები და რეალობა სახლის სახურავზე აიტანა და იქიდან გადმოაბიჯა. ძირს რომ დაეცა, მათხოვრებს ისე შეეშინდათ, დაავიწყდათ, ბრმები რომ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა ყოფილიყვნენ და იქიდან მოკურცხლეს... ჯერ სიცოცხლით და მერე სიკვდილით ბიძაჩემი ჭეშმარიტების მიზეზს შეეუღლა და წარმოსახვაში გადაფრინდა. ის ოცდათოთხმეტი წლისა უნდა გამხდარიყო. მკვლელობა სიკვდილს ჩეკავს. ჰომი ქეთრექი რომ მოკვალი, ამან ბიძაჩემის სიკვდილი გამოიწვია. ჩემი ბრალი იყო, მაგრამ ამით როდი დამთავრდა ყველაფერი.

ოჯახი ბუკინგემის სახლში შევგროვდით. აგრიდან ადამ აზიზი და პატივცემული დედა ჩამოვიდნენ, დელიდან ბიძაჩემი მუსტაფა — სამოქალაქო მოხელე, რომელიც თავის უფროსებს მაშინ ეთანხმებოდა, როცა ისინი უკვე აღარ უსმენდნენ და ცხადია, ამიტომაც, არასოდეს დაუწინაურებიათ; მუსტაფას ნახევრად ირანელი ცოლი — სონია და ბავშვები, რომლებიც ისე უმნიშვნელოდ მომეჩვენა, რომ აღარც კი ვიცი, რამდენი იყვნენ. პაკისტანიდან მწარე შინაბერა, ალია გვესტუმრა. გენერალი ზულფიკარი და დეიდა ესმერალდაც მოვიდნენ მსახურებითურთ და უამრავი ბარგი ჩამოიყოლეს. თან სულ საათზე იყურებოდნენ და თარიღს აზუსტებდნენ. მათი ვაჟი — ზაფარიც აქ იყო. დედაჩემმა ფია ჩვენთან დასარჩენად ჩამოიყვანა და უთხრა: დაო, ორმოცამდე აქ დარჩიო.

ორმოცი დღე მტვრის ალყაში ვიყავით. სველ პირსახოცებშიც აღწევდა, ფანჯრებზე რომ ავაფარეთ; მტვერი ყველა მომსამძიმრებელს მოჰყვებოდა; მტვერი მოჩვენებასავით დაყუდებული, უფორმო კედლებიდანაც ცრიდა; მტვერი ყოველგვარ ხმაურს, მათ შორის ნათესავების ტირილსაც ახშობდა. მეთვოლდის მამულის მტვერი ბებიას დაეფრქვა და საშინლად განარისხა; მტვერმა გენერალ ზულფიკარს ნესტოები გაუღიზიანა და ცემინება დააწყებინა. მტვრის ჯანღში ზოგჯერ წარსულის მოლანდებას ვხედავდით. ხან ლაილა საბარმათის ხელის პიანოლა გველანდებოდა და ხანაც თოქსი ქეთრექის გისოსებიანი საკანი. დუბაშის ტიტველი ქანდაკება მტვერში ცეკვავდა; სონის კორიდას მტვრის ღრუბლის ფორმა ჰქონდა. ნარლიკარის ქალებმა სახლი დროებით დატოვეს, სანამ მათ მაგივრად ბულდოზერები მუშაობდნენ. მიტოვებული საგნებივით მტვერმა დაგვფარა. მოჩვენებებს დავემგვანეთ. ჩვენ ხომ ცხვირის დინასტია ვიყავით: ჩვენი წინაპარი — არწივისებური მონსტრი ადამ აზიზის სახეზე დაბუდებულიყო. გლოვის ჟამს ცხვირში შესული მტვერი გამძლეობის ძალას გვაკარგვინებდა. მტვრის ქარიშხალში რაც ვთქვით, გავაკეთეთ და დავინახეთ, იმისგან ველარასოდეს განვიკურნეთ.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

პატივცემულმა დედამ, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად შრინაგარის მთას დაემგვანა, მტვერთან ბრძოლა დაიწყო. მისი ზვავივით მოგუგუნე ხმა დაქვრივებულ ბიცოლაჩემს დაეტაკებოდა ხოლმე. შევამჩნიეთ, რომ ფია უცნაურად იქცეოდა. რაღაც უთქმელი გრძნობა ამოძრავებდა, რომელიც ქვრივობის ღირსეულ სიმაღლემდე უნდა აეყვანა. გვიხაროდა, რომ იგლოვებდა. ალბათ, ბედი მასაც რაიმე უბედობას შეამთხვევდა. წინ ორმოცდღიანი გლოვა გველოდებოდა, რომელშიც გულგატეხილობა, სულიერი ტკივილი და გრძნობათა სიფაქიზე დახვეწილად შეერწყმებოდა ერთმანეთს. მაგრამ ფია მშვიდად იყო, თვალები მშრალი ჰქონდა და დაბნეულობისა და გლოვის ნატამალი არ ეტყობოდა. ამინა სინაი და ესმერალდა ქვითინებდნენ, თმას იგლეჯდნენ და ფიასგანაც იმავეს ელოდნენ. მაგრამ ფია ვერაფერმა რომ ვერ შეძრა, პატივცემულმა დედამ მოთმინება დაკარგა. მტვერმა სიმწარე და სასოწარკვეთილება გაუმძაფრა. „ეს ქალი, იმასრაჰქვია, განა არ ვამბობდი, ვინც არის? ჩემს შვილს შეეძლო ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ ამ ქალმა დაუნგრია ცხოვრება. ალბათ სახურავიდანაც იმიტომ გადახტა, მისგან რომ გათავისუფლებულიყო“.

ასე ითქვა და არ შეიძლებოდა, რომ არ თქმულიყო. ფია გაქვავებული იჯდა. მე მუცელში დამიარა. პატივცემული დედა არ ჩერდებოდა. მერე დაიფიცა: „სანამ ეს ქალი ქმარს არ იგლოვს და ცრემლს არ გადმოაგდებს, მანამ საჭმელს არ გავეკარები. სირცხვილია, იმასრაჰქვია, ასე გაქვავებული რომ ზის და ცრემლი არ ეკარება!“ სახლში ადამ აზიზთან უხსოვარი ომის ექო დატრიალდა. ოცი დღის განმავლობაში გვეშინოდა, რომ ბებია შიმშილით მოკვდებოდა და კიდევ ერთი ორმოცის გადატანა მოგვიწევდა. შეშინებულები ვიცდიდით.

მაგრამ ბებიასა და ბიცოლას შორის არსებული ბზარი მე გავამრთელე. ერთი სიცოცხლე ხომ მაინც ვიხსენი. მეოცე დღეს ვნახე, რომ ფია სარდაფის ოთახში ბრმასავით იჯდა. ბინაში მომხდარის გამო პატიება ვთხოვე. ფიამ ენა ამოიდგა: „მისი ცხოვრება, ოჯახის წევრები, სამსახური — ერთი დიდი მელოდრამა იყო. სწორედ ამის გამო მოკვდა, რომ მელოდრამა სძულდა. აი, რატომ ვერ ვტირი“. მაშინ ვერ მივხვდი, რას ამბობდა. ახლა კი ვიცი, რომ ფია მართალი იყო. ბიძაჩემს ბომბეური კინოს იაფფასიანი სტილი ისე შესძულდა, რომ სიცოცხლე აღარ უნდოდა და სახურავიდან გადააბიჯა. მელოდრამამ შთააგონა უკანასკნელად, რომ მიწაზე უნდა დაშვებულიყო. ფიას ქმარს არ უნდოდა, რომ ფიას ეტირა... მაგრამ, ეს რომ აღიარა,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი ველარ შეიმაგრა და მტვრისგან დააცემინა. დაცემინებამ თვალზე ცრემლი მოჰგვარა; ახლა უკვე ცრემლებს ველარ აჩერებდა და ჩვენც, როგორც იქნა, ვიხილეთ ის, რასაც ველოდით. ფია ნიჭიერი მსახიობი იყო. მჯიღს გამაოგნებელ მკერდზე იცემდა და ფრჩხილებით იკაწრავდა... თმა დაიგლიჯა და ტანსაცმელი შემოიხია. პატივცემულმა დედამ ჭამა დაიწყო. ბებია ჭამდა, ბიცოლას კი ცრემლის ნიაღვარი სდიოდა. მერე ბებია ფიასთან მივიდა, გადაეხვია და სოლო დუეტად იქცა, რომელშიც შერიგების სიმღერა აუტანლად ლამაზ სამგლოვიარო ჰიმნს დაუწყვილდა. ჩვენ სიხარულისგან ვცახცახებდით, მაგრამ უფრო უკეთესი მერე მოხდა. ფიამ თავისი არტისტულ-ეპიკური წარმოდგენა საოცარი ამაღლებულობით დაასრულა. დედამთილს კალთაში ჩაუდო თავი და მორჩილად შეეხვეწა: დედა, ამიერიდან თქვენი ულირსი შვილი თქვენ დაგიჯერებთ, ოღონდ მიბრძანეთ და რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებო. ბებიამ ცრემლით უთხრა: შვილო, აზიზი და მე მალე რავალპინდში წავალთ, ამ სიბერეში ესმერალდასთან ახლოს ვიცხოვრებთ. შენც ჩვენთან ერთად წამოდი და ბენზინგასამართი სადგური შევიძინოთო. ასე ახდა პატივცემული დედის ოცნება და ფია აზიზმა კინოსამყარო ერთხელ და სამუდამოდ ბენზინზე გაცვალა. ალბათ ბიძია ჰანიფიც მოუწონებდა ამ გადაწყვეტილებას-მეთქი, ჩემთვის გავიფიქრე.

ორმოცი დღე მტვერი გვედებოდა. ამან აჰმედ სინაის ხასიათი გაუფუჭა. ჩვენთან ერთად აღარ ჯდებოდა და მითითებებს თავისი ოთახიდან იძლეოდა. ზულფიკარი და ესმერალდა გამუდმებით კალენდარს შესცქეროდნენ. მათმა ვაჟმა, ზაფარმა კი თითბრის მაიმუნს დაქორწინება შესთავაზა. გაგიმართლა, მამაჩემი დიდი კაცია პაკისტანშიო, — უთხრა ჩემს დას. მტვერმა მანქიც მოღალა და ზაფართან ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა. ამასობაში დეიდაჩემის, ალიას ადამჟამინდელი სასოწარკვეთილება ჰაერში მტვერივით დატრიალდა. ბიძაჩემ მუსტაფას აბსურდული ოჯახის წევრები კუთხეში ისხდნენ და, როგორც ყოველთვის, შეუმჩნეველნი დარჩნენ. მუსტაფას აწეწილი ულვაში მტვრის ტომარასავით ჩამოეკიდა.

ხოლო ოცდამეორე დღეს ბაბუაჩემმა, ადამ აზიზმა ღმერთი იხილა.

მაშინ ბაბუა სამოცდარვა წლისა იყო და საუკუნეს ერთი დეკადით წინ უსწრებდა. სამოცი წლის განმავლობაში უიმედოდ ცხოვრებამ დაღი დააჩნია: ლურჯი თვალები ჩაუცვივდა და ზურგი მოეკუზა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბუკინგემ-ვილას ეზოში ბებრულად დაფართხუნობდა, უმ სტაფილოს ხმაურიანად ჭამდა და ნიკაპზე ნერწყვი ჩამოსდიოდა. ძალიან მოტყდა და დაბერდა; პატივცემული დედა კი, პირიქით — გასუქდა და ძალა მოემატა. ერთ დროს მერკუროქრომის დანახვაზე გული მისდიოდა, ახლა კი ქმრის სისუსტე მისი აყვავების ნიადაგი აღმოჩნდა. თითქოს მითური მონსტრი იყო, ლამაზი ქალის სახეს რომ იღებს და მამაკაცებს აცდუნებს; მერე კი ისევ საზიზღარ მონსტრად იქცევა და მათ სულებს ყლაპავს... ბებიაჩემს ისეთი ულვაში ჰქონდა, ბიძაჩემ მუსტაფას ჩამოკიდებულ ულვაშს ტოლს არ უდებდა. საწოლზე ფეხებს მოირთხამდა და მერე საულვაშეზე რაღაც ბლანტ სითხეს წაიცხებდა ხოლმე, რომელიც მაგრდებოდა და ახევისას თმასაც აცლიდა.

„იმასრაჰქვია, ბავშვივით გახდა მამათქვენი, — უთხრა შვილებს პატივცემულმა დედამ, — ჰანიფმა ხომ ბოლო მოუღო“. ბებიამ გვითხრა, რომ ბაბუა რაღაც მოჩვენებებს ხედავდა. „ვიღაც უჩინარ ხალხს ელაპარაკება, — დაიჩურჩულა ბებიამ, — შუაღამისას ვიღაც თაის ესაუბრება“. და ბებიამ მენავის, კოლიბრისა და რანი ქუჩ ნაჰინის შესახებ გვითხრა: „ძალიან დაბერდა. საწყალი. შვილი მშობელზე ადრე არ უნდა წავიდეს“... ამინა თავს აქნევდა. რა იცოდა, რომ ადამ აზიზისგან მემკვიდრეობით ერგებოდა მოჩვენებების ხილვა და სიბერეში მასაც მოაკითხავდნენ სულები, რომელთაც ამქვეყნად არაფერი ესაქმებათ.

ჭერის ვენტილატორებს მტვრის გამო ვერ ვრთავდით; გულმოკლულ ბაბუაჩემს ოფლი ღვარად სდიოდა და სახეზე ჭუჭყიან ხაზებს უტოვებდა. ზოგჯერ ვინმეს ხელს ჩაავლებდა ხოლმე და გარკვევით ეტყოდა: „ეს ნერუები ბედნიერი ვერ იქნებიან მანამ, სანამ თავს კანონიერ მეფეებად არ გამოაცხადებენ!“ ანდა გენერალ ზულიფკარს სახეში აფრქვევდა: „აჰ, უბედურო პაკისტანო! რა ცუდი მმართველები გყავს!“ სხვა დროს ვითომ ძვირფასი ქვების მაღაზიაში იყო, ისე ამბობდა: „...ჰო, ზურმუხტი და ლალიც იყო“. მანქიმ ჩამჩურჩულა: „რა სჯირს ბაბუას, ავად არის?“

ადამ აზიზისგან ქალებისადმი სისუსტე გადმომეცა. ამ სისუსტის მიზეზიც შევიძინე — მასში არსებული ხვრელი, რომელიც, ღმერთი რომ იწამა და ვერც იწამა — ამის გამო გაუჩნდა და კიდევ რაღაც, რასაც სხვებიც ამჩნევდნენ: ბაბუა ბზარებით დაიფარა.

„თავზე გაუჩნდა?“ — მეკითხება პადმა.

მენავე თაიმ ერთხელ მითხრა, ყინული ყოველთვის წყლის ქვეშ იც-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დისო. ბაბუას ლურჯ თვალებს ბზარებმა უფერო ნაქარგებივით გადაუარა. ბზარები უხეშ კანზე უწვრილეს ძაფებად დააჩნდა, თითქოს კანი კი არა — ტყავიაო. მე მანქის კითხვას ვუპასუხე: „მგონი ბაბუა კვდება-მეთქი“. ორმოცი დღის განმავლობაში კანი დაუსკდა და ნასკდომებმა ცვენა დაიწყო. პირს ვერ აღებდა, რადგან ტუჩის კუთხეებთან ბზარის ჭრილობები ემჩნეოდა. კბილებიც ჩაუცვივდა. თუმცა ბზარმა უცებ სიკვდილი როდი იცის. კარგა ხნის შემდეგ შევიტყვეთ მისი დაავადების შესახებ, რომელიც ძვლებს ისე უღრღნიდა და უფქვავდა, რომ ბოლოს მისი სხეული მტვრით სავსე ტომარას დაემსგავსა.

ჰადმა შიშმა შეიპყრო... რას ამბობ, ნუთუ შენ ბაბუაშენიც... თუ ეს“.

ახლა გაჩერებისა და სინანულის დრო არ არის. უკვე ძალიან შორს შევტოპე. თუმცა უნდა გითხრა, რომ ადამ აზიზსაც ერგო ჩემგან რაღაც. გლოვის ოცდამესამე დღეს მან ოჯახს იმ ოთახში მოუყარა თავი, რომელშიც მინის ვაზები იდგა (ახლა ბიძაჩემი აღარ იყო და ვაზების დამალვას აზრი არ ჰქონდა). ტახტზე ბალიშები ელაგა და ჭერზე უმოძრაოდ მყოფი ვენტილატორები ეკიდა. ოდესღაც იმ ოთახში ვაღიარე, რომ ხილვები მქონდა... პატივცემულმა დედამ ადამ აზიზზე თქვა, ბავშვს დაემსგავსაო. ჰოდა, ამ ბავშვმა გამოგვიცხადა, რომ ჰანიფის გარდაცვალებიდან სამი კვირის თავზე ღმერთი იხილა, რომლის სიკვდილი მთელი ცხოვრება არ სწამდა. ბაბუას, როგორც ბავშვს, ისევ არ დაუჯერეს... გარდა ერთი პიროვნებისა... „ჰო, მისმინე, — სუსტი ხმით ამბობს ბაბუა, — ჰო, რანი, შენა ხარ? და აბდულა? მოდი, დასხედით, ნადირ, აჰმედი სად არის? ალიას უნდა აჰმედის ნახვა... ღმერთო, ჩემი ბავშვები... ღმერთო, ვის ვებრძოდი მთელი ცხოვრება!.. ოსკარ, აილს! თქვენც აქ ხართ? არა, ვიცი, რომ დაიხოცნენ. ჩემზე ფიქრობთ, ბებერი ჩერჩეტიაო? მე მართლა ვიხილე ღმერთი“. შუაღამისას ბაბუას თავის ბნელ ოთახში გაეღვიძა. ოთახში ვიღაც არის — არა, ცოლი არაა, — პატივცემული დედა თავის საწოლში ხვრინავს. კიდევ ვიღაცაა, რომელსაც მანათობელი მტვერი მანტიასავით წამოუსხამს და ჩამავალი მთვარის შუქზე ანთია. ადამი ეკითხება: „თაი, შენა ხარ? — პატივცემული დედა ძილიდან არიგებს: — დაიძინე, კაცო, დაივიწყე ეს“. ის ვიღაც გამაოგნებელი ხმით ტირის: „უფალო იესო, შემიწყალე!“ (ბაბუა ამ სახელის ხსენებაზე იცინის: მას არ სწამს ქრისტე)... „უფალო იესო!“ ახლა კი შეცბუნებული ბაბუა აქეთ-იქით იყურება, თვალებს იფშვნეტს, ხომ არ მომეჩვენაო და იმ ვიღაცის დახვრეტილ ხელებსა და ტერფებს ხედავს... „ვინ ხარ?“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეკითხება შეშინებული. მოჩვენება პასუხობს: „ღმერთი ვარ, ღმერთი, მაგრამ არ მეგონა თუ დამინახავდი“.

„მე ის ვიხილე და ამას ვერაფრით ვერ უარვყოფ“, — გვებუნება ბაბუა... ღმერთმა უთხრა: „შენ შვილი მოგიკვდა“. ბაბუა კი გულზე ხელს იჭერს და სიმწრით ეუბნება: „რატომ? რატომ მოხდა ეს, ან როგორ მოხდა, ღმერთო!“ ამაზე ღმერთი, რომელიც მხოლოდ იმიტომ ჩანს, რომ ირგვლივ მტვერია, ასე პასუხობს: „ღმერთი ცხოვრებასავით შეუცნობელია, არა, მოხუცო?“

პატივცემულმა დედამ ამ სიტყვებით დაგვამშვიდა და დაგვფანტა: აზიზი დაბერდა და არ იცის რას ამბობს, სიბერე კაცს მკრეხელობას ჩაადენინებსო. მერი პერეირას სახე მიტკალივით გაუხდა. მიხვდა, რომ ადამ აზიზმა დ'კოსტა ნახა, რომელიც ისე დაკნინდა, რომ ხელ-ფეხშიც ხვრელები გაუჩნდა. ქუსლი გველის ეშვმა გაუხვრიტა. ის ხომ მახლობელ კოშკში ცხოვრობდა და, ალბათ, ადამ აზიზს ღმერთი ეგონა.

ბაბუას ამბავი აქ უნდა დავასრულო. ბაბუას სიბერეში შაფსტეკერივით აერია გონება. დარდმა და სიმწარემ აფიქრებინა, რომ ჰანიფის სიკვდილში ღმერთმა თავისი ბრალი აღიარა. ადამმა გენერალ ზულფიკარს ხელი წაავლო და ჩურჩულით უთხრა: მისი არსებობისა რომ არ მჯეროდა, ამიტომ შვილი წამართვაო. ზულფიკარი ამშვიდებდა: არა, არა, ექიმო, თქვენ ასე არ უნდა დაიტანჯოთ თავიო... მაგრამ ადამ აზიზმა ხილვა ვეღარასოდეს დაივიწყა. თუმცა კონკრეტულად ვინ ნახა — ეს ვერ გაიხსენა, მაგრამ შურისძიების სურვილი დაეუფლა. ორმოცი რომ გავიდა, ბაბუამ პაკისტანში წასვლაზე უარი თქვა, რადგან მისი აზრით, პაკისტანი ღმერთის ქვეყანა იყო. სიცოცხლის ბოლო წლებში ჯოხზე დაბიჯგებული შედიოდა მეჩეთებსა თუ სხვა სალოცავებში, სადაც მლოცველებსა და მოძღვრებს ჯოხითა და წყევლით უმასპინძლდებოდა. აგრაში იცნობდნენ, ვინც იყო და ამიტომ იტანდნენ. მოხუცები დანანებით აქნევდნენ თავს და მის წარსულს იხსენებდნენ. პატივცემულმა დედამ პაკისტანში წასვლა გადაიფიქრა, რადგან ხატმებრძოლურ საქციელს, თუნდაც სიბერით გამოწვეულს, უცხო ხალხი აღარ აპატიებდა.

ადამ აზიზის ბზარები იზრდებოდა. ავადობა ძვლებს უხრავდა, სიძულვილი კი — სულსა და ხორცს. 1964 წელს გარდაიცვალა. 1963 წლის 25 დეკემბრის შობადღე გათენდა. დილით პატივცემულმა დედამ ქმარი რომ ვერ ნახა, კარში გამოვიდა და მსახური იხმო. მსახურმა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

უთხრა, ექიმი საჰიბი რიქშით რკინიგზის სადგურში წავიდაო. ნასიმ-მა რომ სადგურს მიაღწია, მატარებელი გასული დახვდა. ბაბუაჩემი უკანასკნელად გაემგზავრა იმ მთებიან და ტბიან ქალაქში, საიდანაც დაიწყო ყველაფერი.

ველს ყინული კვერცხის ნაჭუჭივით ერტყა. უხასიათო მთები ტბაზე აგებულ ქალაქს უღრენდნენ... ზამთარი იყო შრინიგარსა და ქაშმირშიც. 27 დეკემბერს ჰაზრათბალის მეჩეთთან დაინახეს კაცი, რომელიც ბაბუაჩემს ძალიან ჰგავდა. მეორე დილას ჰაჯი მუჰამედ-მა შეამჩნია, რომ მეჩეთიდან ვიღაცამ წინასწარმეტყველი მუჰამედის წმინდა თმა მოიპარა.

იმ კაცმა მოიპარა? თუ ის იყო ქურდი, მეჩეთში რატომ არ შევიდა, როგორც ადრე შედიოდა ხოლმე მორწმუნეთა საცემრად. ჭორები და-დიოდა, რომ თითქოს მთავრობას ქაშმირელი მუსლიმების შეშინება სურდა და ვიღაცას წმინდა თმა მოაპარვინა. სხვები ამბობდნენ, თმა პაკისტანის აგენტებმა მოიპარეს, რომ ინდოეთში არეულობა გამოეწ-ვიათო... იყო თუ არა ასე, არავინ იცის. პოლიტიკოსებმა ჩაიდინეს ეს საქმე თუ შვილმკვდარმა მამამ, რომელმაც ღმერთზე ჯავრი იყარა? მუსლიმები ათი დღე შიმშილობდნენ. ქუჩებში არეულობა იყო. წვავ-დნენ მანქანებს, მაგრამ ბაბუას ახლა პოლიტიკა აღარ აინტერესებდა და არც ერთ პროცესიაში არ გარეულა. მას მარტო ერთი მისია ამოძ-რავებდა. 1964 წლის პირველ იანვარს (აგრიდან ერთი კვირის წასული რომ იყო) ბაბუამ იმ მთას შეხედა, მუსლიმები სოლომონის ტახტს რომ უწოდებდნენ, რომლის წვერზე რადიოანძა და სანკარა აჩარიას ტაძარი იყო. მთას აუყვა იმის მიუხედავად, რომ ავადობა ძვლებს უხ-რავდა. ბაბუა ვერავინ იცნო.

ექიმი ადამ აზიზი ხუთი დღით ადრე გარდაიცვალა, სანამ მთავ-რობა გამოაცხადებდა, რომ წმინდა თმა იპოვეს. ქვეყნის წმინდანები თმის ნამდვილობის დასადგენად რომ შეიკრიბნენ, ბაბუაჩემს მათ-თვის სიმართლის გამხელა აღარ შეეძლო. დანაშაულში ეჭვმიტანილი ვინმე აბდულ რაჰიმ ბანდე დაიჭირეს და მერე ავადმყოფობის გამო გაუშვეს. ბაბუას რომ ცოტა ხანს კიდევ ეცოცხლა, ამ ამბავს უც-ნაურ ნათელს მოჰფენდა... პირველი იანვრის ნაშუადღევს მიაღწია ადამ აზიზმა სანკარა აჩარიას ტაძარს და ჯოხი ასწია. სალოცავ-ში ქალები შივას ფალოსთან ჰუჯას რიტუალს ასრულებდნენ. ბაბუას ბზარები ნაპრალებად ექცა და ისე წაიქცა, რომ ერთიანად ჩაიშალა. ჯიბეში შვილის ფოტოსურათი და ცოლისთვის მიწერილი წერილი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ედო, რომლითაც ამოიცნეს (საბედნიეროდ, წერილზე სწორი მისამართი ეწერა). ჩაშლილი სხეული იქვე, მდელოზე, დაასაფლავეს, სადაც ოდესღაც დაიბადა.

პადმას კუნთები უთამაშებს. „უცნაურია ის, რაც ბაბუას თავს გადახდა. მაგრამ თუ წმინდა თმის დაკარგვის ამბავს გავიხსენებ, მაშინ მისი სიკვდილი ბუნებრივად მეჩვენება“, — ვამბობ მე. პადმა დუნდება. ადამ აზიზთან ძალიან დიდხანს გავჩერდი. თითქოს რაღაცას ვუფრთხოდი. მაგრამ გამოსამჟღავნებელი უნდა გამომჟღავნდეს.

ბაბუას სიკვდილის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი ნერუ ავად გახდა და 1964 წლის 27 მაისს გარდაიცვალა.

გმირობა რომ არ გამომეჩინა, ზაგალო თმას არ ამაგლეჯდა. თავზე თმა რომ მქონოდა, გლენდი ქეითი და ფეთ პერსი არ დამცინებდნენ, არც მაშა მიოვიკი შემაცდენდა და თითსაც არ დავკარგავდი. თითიდან სისხლი არ წამომივიდოდა, რომელიც არც ალფა აღმოჩნდა და არც ომეგა, და ამდენად, არც სახლიდან გამაძევებდნენ. მაშასადამე, თუ არ გამაძევებდნენ, შურისძიებით არ აღვივსებოდი, ჰომი ქეთრექი არ მოკვდებოდა და ბიძაჩემიც ცოცხალი იქნებოდა. ბაბუა ქაშმირში არ წავიდოდა. მან შექმნა ჩვენი ოჯახი. ჩემი ბედი კი დაბადებისთანავე ერის ბედს გადაეჯაჭვა. ერის მამა ნერუ იყო. ნუთუ ნერუს სიკვდილიც ჩემი ბრალია?

მაგრამ ახლა ისევ 1958 წელს მივუბრუნდეთ. გლოვის ოცდამეჩვიდმეტე დღეს ის სიმართლე გამჟღავნდა, მერი პერეირას რომ აწუხებდა. სიმართლე აყროლებული ბებერივით შემოიძურწა — უთითუბო და ნახვრეტებიანი, რომელიც მერი პერეირამ ფანჯრის წმენდის დროს შეამჩნია.

ჯო დ'კოსტა მტვერში ხილვადი გახდა და აჰმედ სინაის ოთახისკენ გაემართა! თითქოს საკმარისი არ იყო, ადამ აზიზს რომ ეჩვენა... „გამარჯობა ჯოზეფ“, მერის საწმენდი ჩვარი ხელიდან გაუვარდა „წადი ახლავე! აქ ნუ მოხვალ, ამ ოჯახს პრობლემები არ აკლია! ო, წადი, ჯოზეფ, ნუ მომკლავ, წადი!“ მაგრამ, მოჩვენებამ მერის სიტყვები ყურად არ იღო და კიბეს აჰმედ სინაის ოთახისკენ ჩაუყვა.

მერე ის მოხდა, რომ მერი პერეირამ ფანჯრის წმენდა მიატოვა, გულგახეთქილი შევარდა ოთახში და დედაჩემის წინაშე დაემხო: „ქალბატონო, მომიტევეთ, მაპატიეთ!“ დედაჩემი გაოცდა: „რა მოხდა,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერი? რა დაგემართა?“ მაგრამ მერის სიტყვები ქვითინმა ჩაახშო: „ჩემმა ჟამმა ჩამოჰკრა, ქალბატონო, გთხოვთ, მშვიდად სიკვდილის ნება მომეცით და ციხეში ნუ ჩამსვამთ, თერთმეტი წელი თქვენთან ვიყავი და მიყვარდით, მაგრამ ახლა მკვდარი ვარ, უსინდისო ქალი ვარ და ჯოჯოხეთში დავიწვები! ყველაფერი დამთავრდა!“..

მერი ყელზე ჩამომეკიდა და ცრემლი დამაფრქვია: „ო, შვილო, შვილო, რა ჩავიდინე, დღეს გაიგებ, მაგრამ... — მერიმ ძალა მოიკრიბა, — მე მოგიყვებით ყველაფერს, სანამ ჯოზეფი იზამდეს ამას, ყველანი ბატონის ოთახში წავიდეთ და იქ მოგიყვებით“.

საჯარო გამოცხადებებმა ჩემი ცხოვრება დაანაწევრა. ამინამ დელის ჯურღმულში გამომაცხადა, მერიმ კი — ბნელ კაბინეტში... მერიმ ხელი ჩამკიდა და ყველანი — მთელი ოჯახი აჰმედის ოთახში ჩავედით.

აჰმედ სინაის სახიდან ჯინისა და ფულის კვალი გამქრალიყო. სამაგიეროდ, მიუსაფრობის დაღი აჩნდა. ოთახის კუთხეში რაღაც არსება იჯდა და გოგირდის მყრალ სუნს უშვებდა. კაცის ფორმა ჰქონდა, ოღონდ ხელისა და ფეხის თითები აკლდა. სახე ახალზელანდიური მდუღარე წყაროებივით უბუყბუყებდა (ასეთი რამ საოცრებათა წიგნში მინახავს)... ახლა ამის ახსნის დრო არ არის, რადგან მერი პერეირა ალაპარაკდა. მას თერთმეტი წლის შენახული საიდუმლო უნდა გაემჟღავნებინა. მერიმ ტყუილის საოცნებო სამყაროდან გამოგვათრია (რომელიც თავად გამოიგონა მაშინ, — ბავშვებს სახელები რომ შეუცვალა) და სიმართლის საშინელ სამყაროში შეგვრეკა. ჩემთვის ხელი არ გაუშვია. დედასავით გადამეფოფრა და ჩემს დასაცავად მოემზადა (თუ ოჯახისგან დაცვა დამჭირდებოდა)...

...შუაღამე გადავიდა, ქუჩებში მაშხალები ენთო. მრავალთავიანი მონსტრი ბღაოდა. ჯოზეფის გულისთვის გავაკეთე ეს. ციხეში ნუ გამგზავნით, ბატონო, ერთი საწყალი ქალი ვარ, მომიტევეთ... თერთმეტი წელი... სალემი თქვენი შვილია... ო, ჩემო მთვარის ნატეხო, ვინქი იყო მამაშენი და დედაც არა გყავს ცოცხალი...

მერი ოთახიდან გაიქცა.

აჰმედ სინაიმ ჩიტის ხმით თქვა: ეს ხომ ჩემი ძველი მსახურია, ერთხელ რომ გამძარცვა.

(პადმა თევზივით დამუნჯდა).

ერთხელ, ერთმა მსახურმა მამაჩემის გაძარცვა მოინდომა. დაიწყეს, თუ დამნაშავე ვიყო, კეთრი დამემართოსო და სახლიდან წავიდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე ხომ გითხარით, რომ მუსა დროის ნაღმი იყო, რომელიც ასაფეთქებლად დაბრუნდა. თურმე კეთრი მართლა დაემართა და მამაჩემთან პატიების სათხოვნელად მოვიდა, რომ წყევლისგან გათავისუფლებულიყო.

...ვიღაცას ღმერთი უწოდეს, მაგრამ ღმერთი არ იყო; ვიღაცა მოჩვენება ეგონათ და მოჩვენება არ იყო. ვიღაც, ვისაც სალემ სინაი ერქვა — თავისი მშობლების შვილი არ იყო...

„გაპატიე“, — უთხრა კეთროვანს აჰმედ სინაიმ, რომელიც იმ დღიდან იმ ახირებისგან განიკურნა, რომ საოჯახო წყევლა აღარ გახსენებია.

„სხვაგვარად ვერ მოვყვებოდი, პადმა, თუ არა ასე არეულად. მე ხომ მტკივა ის, რასაც ვყვები“.

პადმა ტირის.

„დაწყნარდი ახლა, ეს ხომ გარდასული ამბავია, — მაგრამ პადმას მე კი არა, მერი პერეირა ეცოდება, — მერის რა ბედი ეწია?“

უცებ გავბრაზდი: „წადი და ჰკითხე!“

ჰო, წადი და ჰკითხე, როგორ დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქს, გოას და ხანდაზმულ დედას, რომელსაც თავისი დანაშაულის შესახებ მოუყვა. დედამისი გადაირია (მგონი მაშინ ყველა ბებერმა ბებრულად გააფრინა!). დედა და ქალიშვილი ქუჩებში დადიოდნენ და პატიებას ითხოვდნენ. ამ დროს წმინდა ფრანსიზის მუმიფიცირებული სხეული ბომ ჯესუსის საკათედრო ტაძრიდან გამოაბრძანეს და ქალაქი შემოატარეს (წმინდანს უამრავი ხალხი აედევნა (ეს მოვლენა ათ წელიწადში ერთხელ ხდებოდა), ხალხში დედა-შვილიც ერია. ისინი კატაფალკს მიუახლოვდნენ. მერის დედა წმინდანის თითს სამთხვევად მისწვდა, მაგრამ ისეთ ექსტაზში ჩავარდა, რომ წმინდანის ფეხის ცერს კბილები მოუჭირა და მოაჭამა!..

...გაზეთები წერდნენ, ქალბატონი სასწაულებრივად დაისაჯაო. იგი ქვის ქანდაკებად იქცა. ეკლესიამ ქვადქცეული ქალი გოას სოფლებსა და ქალაქებში მოატარა იმის საჩვენებლად, რომ წმინდანებთან ხუმრობა არ შეიძლება. შემდეგ ქანდაკება თურმე ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სოფელში ნახეს. მართლა სასწაული მოხდა თუ არა, — არავინ უწყის.

პადმა ტირის... მე ბრაზი მინელდება. ამაღამ მეტს ვერაფერს ვიტყვი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა კიდევ ერთი რამ: მერი დედამისთან წავიდა გოაში, ალისა კი — დარჩა და აჰმედ სინაის მდივნობას უწევდა.

მე კი ბიძაჩემ ჰანიფის ორმოცის შემდეგ სახლიდან მეორედ გამაძევეს.

## საწიწაკები მოქმედებას ასრულებენ

იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემი ძმა და მეტოქე შივა, რაღაც ულირს მიზეზთა გამო, ჩემი გონების ფორუმში აღარ შემოდიოდა. მეშინოდა, რომ იმას აღმოაჩენდა, რასაც ვერ დავუმალავდი. შივა, რომლისთვისაც სამყარო ნივთები იყო, ხოლო ისტორია — ერთი დიდი ბრძოლა პიროვნებასა და ბრბოს შორის — აუცილებლად მოითხოვდა თავისი უფლებების აღდგენას და ერთმანეთს ჩავენაცვლებოდით: ის ჩემს საოცნებო ბავშვობაში შემოაბიჯებდა, მე კი, უბედური და დაღონებული, მის ჯურღმულებში გადავბარგდებოდი. იმას რა დამაჯერებდა, რომ რამრამ სეთმა შივა იწინასწარმეტყველა, რომ პრემიერ-მინისტრმა მე კი არა, შივას მისწერა წერილი და მეთევზეც მისთვის იშვერდა თითს ზღვისკენ... სისხლი რა შუაშია, ამ ოჯახმა ხომ მე გამზარდა. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი გამანადგურებელი ალტერ ეგო ფიქრებში არ შემომეშვა. მერის საიდუმლოს, რომელიც ახლა ჩემს საკუთრებად იქცა, მთელი ცხოვრება ვუდარაჯებდი.

ზოგჯერ საერთოდ არ ვიწვევდი კონფერენციას, რადგან ვიცოდი, რომ დიდ დროს წაიღებდა და ბარიერს აღმართავდა ჩემსა და ბავშვებს შორის. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამას შევძლებდი... შივასი მეშინოდა. მას შეეძლო შეეღწია იქ, სადაც სხვები ვერ შეაღწევდნენ... შივა ფიქრებიდან კი გავაძევე, მაგრამ დამაგვიანდა, რადგან ისეთ ადგილზე გამაძევეს, საიდანაც ჩემს ხუთასზე მეტ კოლეგას ვერაფრით დავუკავშირდებოდი. მე პაკისტანის საზღვარზე გადამისროლეს.

1958 წლის სექტემბერში ბიძაჩემი ჰანიფ აზიზი საბოლოოდ გამოვიგლოვეთ. მერე რაღაც სასწაულმა წვიმა მოიყვანა და მტვრისგან გავთავისუფლდით. ჭერის ვენტილატორები ისევ ჩავრთეთ და აბაზანიდან სუფთები და იმედით აღსავსენი გამოვედით. მაგრამ თვალებჩასისხლიანებული აჰმედ სინაი ვისკის ბოთლით ხელში ვიხილეთ დაუბანელი და ჯინისგან აღერღილი. თავის აბსტრაქტულ სამყაროში იმ რეალობასთან ჭიდაობდა, მერის აღსარებამ რომ შეაჯახა. ალკო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰოლმა ენით აუწერელი მრისხანება მოჰგვარა, რომელიც მერისა და ჩემ ნაცვლად ამინა სინაის დაატყდა თავს. მთელი ოჯახის გასაგონად საათობით უყვიროდა. რას არ ეძახდა, რას არ აბრალებდა. ბოლოს პატივცემული დედა ჩაერია.

„ერთხელ, შვილო, მე და მამაშენმა ვთქვით, რომ შეუფერებელი ქმრის მიტოვება სირცხვილი არ არის. ახლაც იმავეს გავიმეორებ, იმასრაჰქვია, ულირსი და უბოროტესი ქმარი გყავს. გაშორდი. დღესვე წადი მისგან და ბავშვებიც გაარიდე იმ უმსგავსობას, მისი პირიდან რომ ამოდის. წაიყვანე, ორივე შვილი წაიყვანე!“ — უთხრა დედას და მკერდზე მიმიკრა. რაკი პატივცემულმა დედამ კანონიერად გამომაცხადა, ვინღა შეედავებოდა. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, იმას ვფიქრობ, რომ მაშინ ბებიას სიტყვებმა პირგამეხებულ მამაჩემზეც იმოქმედა.

ბებიამ ყველაფერი მოაგვარა. დედა ბებიას ისე მიენდო, როგორც თიხა — მეთიხეს. მაშინ ბებია ფიქრობდა, რომ ის და ადამ აზიზი პაკისტანში წავიდოდნენ. დეიდაჩემ ესმერალდას დაავალა, ყველანი თავისთან წავეყვანეთ — ამინა, მანქი, მე და ბიცოლა ფიაც კი, — და იქ მის მოსვლას დავლოდებოდით. „დას გვერდში უნდა დაუდგე, იმასრაჰქვია, გასაჭირის ჟამს“. ესმერალდას ეს აზრი არ მოეწონა, მაგრამ ის და ზულფიკარი უსიტყვოდ დასთანხმდნენ. ზულფიკარებმა გემის ბილეთები შეუკვეთეს. გემი იმ ღამეს გადიოდა. დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ და ალკოჰოლისგან საშიშად ქცეული აჰმედ სინაი ალისა პერეირას შევატოვეთ. დედამ მეორე ქმარი დაკარგა. სახლი მსახურებისგანაც დაიცალა.

ზრდასრული პაკისტანში გავხდი და იქვე აღმოვაჩინე ბარიერი, რომელიც შუაღამის შვილებისგან მაშორებდა. სახლი დავტოვე თუ არა, შუაღამის შვილებმაც მიმატოვეს.

გემი რანოვქუჩიდან მოშორებით იდგა. საშინლად ცხელოდა. სიცხე დაყრუებულ მარცხენა ყურში მიბზუოდა, მაგრამ მაინც გემბანზე დავრჩი. პატარა, ბუნდოვნად ავის მომასწავებელი ნავები და მეთევზეთა ბორნები მიდი-მოდიოდნენ გემსა და ნაპირს შორის და რაღაც ტილოშემოკრული ნივთები გადაჰქონდათ წინ და უკან, წინ და უკან. მანქი სადღაც გაქრა. ნამდვილი გემით პირველად ვმგზავრობდი (ბომბეიში ამერიკულ სამხედრო გემებზე ტურისტული გასეირნება არ ითვლება. თანაც ეს გემები მუდამ სავსე იყო ცხრა თვის ორსული



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალებით, რომლებსაც იქვე უნდოდათ ბავშვის გაჩენა, რომ მერე ეს ბავშვები ამერიკის მოქალაქეებად ქცეულიყვნენ). სიცხის ბუღიდან რანს გავყურებდი. რანოვქუჩი ჩემთვის მაგიური სახელი იყო და მისი ნახვისას ყოველთვის ერთგვარი შიში და მოკრძალება მეუფლებოდა. ქამელეონს ჰგავდა: ზოგჯერ ზღვად იქცეოდა და ზოგჯერ — ხმელეთად. ოკეანე რომ უკან იხევდა, ხმელეთზე საარაკო საგნებს ტოვებდა: საგანძურის ზარდახშებს, თეთრ, საოცარ მედუზებსა და, ზოგჯერ, ლეგენდარულ თევზისბოლოიან ჭაბუკებსაც კი. კოშმარების ჭაობ-მიწა-ამფიბიას რომ დავყურებდი, უნდა გამხარებოდა, მაგრამ ბოლო დროს მომხდარი ამბები გულზე ლოდივით მაწვა. ცხვირიდან ისევ წვინტლი მომდიოდა. იმ ფიქრმა დამთრგუნა, რომ ამ წვინტლიანი ბავშვობიდან გამოსვლა არ მინდოდა. ხმა უკვე დამიბოხდა, წვერის გაპარსვაც დავიწყე და სახეზე სამართებლის სისხლიანი კვალი მემჩნეოდა... გემის სტიუარდი მომიახლოვდა და გამაფრთხილა, კაიუტაში ჩადი, შვილო, მზემ არ დაგკრასო. ბორნების შესახებ ვკითხე. სურსათი გადააქვთო, მითხრა და წავიდა. მე კი სულ არ მიხაროდა ძუნწ გენერალ ზულფიკარსა და ამპარტავან დეიდა ესმერალდას რომ უნდა ვსტუმრებოდი. დეიდა თავისი სიმდიდრითა და სტატუსით თავს მოიწონებდა თავისი უბედური დისა და ქვრივი რძლის წინაშე... მათი ვაჟი ზაფარი ხომ სულ კუნთებზე იყურებოდა... „პაკისტანი, — ვთქვი ხმამაღლა, — რა უაზრობაა!“ ჯერ არც კი მივსულვართ... ნავებს გავყურებდი, რომლებიც თითქოს სიცხის ჯანღში დაცურავდნენ. გემბანი უქაროდ ირწეოდა და თუმცა მოაჯირს ჩავეჭიდე, გემბანის ფიცარი პირდაპირ ცხვირში მომხვდა.

ასე ჩავედი პაკისტანში: მზედაკრული, ხელმოცარული და ჩემი დაბადების საიდუმლოშეძენილი. გემს რა ერქვა? — „საბარმათი“. მისმა მეორე ტყუპისცალმა გემმა „სარასვათმა“ მაშინ ჩაგვიარა, კარაჩის ნავსადგურს რომ მივადექით. მეთაური საბარმათის სახელობის გემით ვიმგზავრეთ! ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ წარსულს, რომელიც მეორდება, ვერსად გაექცევი.

რავალპინდიში მატარებლით ჩავედით, სადაც ჩახუთულ კუპეში ვისხედით. (გენერალმა და მისმა ცოლმა თავისთვის კონდიციონერიანი, ხოლო ჩვენთვის ჩვეულებრივი, არამოდერნიზებული ადგილები შეუკვეთეს). ფინდიში რომ ჩავედით, გრილოდა... მახსოვს პატარა, უცნობი ქალაქი ჯარისკაცთა ბარაკებით, ხილისა და სპორტული



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნივთების მაღაზიებით იყო სავსე. ქუჩებში სამხედროები იდგნენ. აქვე დაინახავდით ჯიპებს, ავეჯის სახელოსნოებსა და ცხენბურთის მოედნებს. ამ ქალაქში ზოგჯერ ძალიან ციოდა. გენერალ ზულფიკარის უზარმაზარ სახლს ირგვლივ მაღალი კედელი აკრავდა, ხოლო კედლის თავს მავთული აგრძელებდა. სახლთან გუშაგები პატრულირებდნენ. გენერალს დიდ საძინებელში ეძინა, რომლის გვერდით სააბაზანო ოთახი იყო. სახლს თითქოს ერთი სიტყვა: „სწორდი!“ მართავდა. მსახურებსაც კი სამხედრო ფორმები ეცვათ და ბერეტები ეხურათ. საღამო ხანს მათი ოთახებიდან კანაფის სუნი გამოდიოდა. ძვირფასი ავეჯი საოცრად ლამაზი იყო და ესმერალდას გემოვნებაზე მეტყველებდა. სამხედრო ცხოვრების გამო სახლი უსიცოცხლო ჩანდა. სამზარეულოს კედელში ჩატანებული ოქროსთევზებიანი აკვარიუმი უნდილად ბუყბუყებდა. ამ სახლის ყველაზე საინტერესო ბინადრები, შესაძლოა, ადამიანები სულაც არ იყვნენ. ახლა, გენერლის ბებერ მეძებარ ძაღლსაც გაგაცნობთ.

მთელი ცხოვრება ეს „ანტიკვარი“ გამოუსადეგარი ყოფილა, მაგრამ ჩემს იქ ყოფნაში ბევრი ფურორი მოახდინა. „საწიწაკეთა რევოლუციის“ მეძებარი ძაღლი ერთხელ ზულფიკარმა სამხედრო ბანაკში წაიყვანა, სადაც გამნაღმველები იწვრთნებოდნენ (გენერალმა ინდოეთ-პაკისტანის საზღვარი დანაღმა. „სწორდი!“ — ყვიროდა ზულფიკარი. იმ ჰინდუებს ჭკუა ვასწავლოთ! საზღვრის დამრღვევებს ისე ავაფეთქებთ, რომ რეინკარნაციის უნარს დავაკარგვინებთ“. აღმოსავლეთ პაკისტანი ზულფიკარს ნაკლებად ადარდებდა. მაგ შავებს ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! თავიანთ თავს თვითონ მიხედონო)... უცებ ზულფიკარის ძაღლი, ბონზო, პატრონს დაუსხლტა და დანაღმულ მიწაზე გავიდა.

ბანაკი პანიკამ მოიცვა. ძაღლს დამნაღმველები დაედევნენ. ზულფიკარმა და არმიის ნაწილმა აფეთქების მოლოდინში უკან დაიხიეს... მაგრამ, აფეთქება არ მომხდარა... სანაგვე ყუთებში ჩამძვრალმა და სკამების უკან ჩაცუცქულმა ჯარისკაცებმა ნელ-ნელა თავები ამოყვეს. სასიკვდილოდ დანაღმულ მინდორზე ბონზო მშვიდად დაძრწოდა და ცხვირით მიწას სინჯავდა. გენერალმა ქუდი ჰაერში მოისროლა: „ჯანდაბა! რა სასწაულია, — თქვა წრიპინა ხმით, რომელიც თითქოს ცხვირიდან ამოუშვაო, — ამ ძაღლს ნაღმის ყნოსვა შეუძლია!“ ამის მერე ბონზო შეიარაღებულ ძალებში გააწევრეს, როგორც ოთხფეხა გამნაღმველი და უფროსი სერჟანტის წოდებაც მიანიჭეს.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბონზოს მიღწევა გენერლის ჯოხი იყო, რომელიც ჩვენზე გადაამტვრია. უმწეონი ვიყავით მის წინაშე, რადგან ზულფიკარი გვარჩენდა და ამას გვაყვედრიდა კიდეც: ეს ასი წლის ძუკნა ძაღლიც გჯობიათ, თავის თავს მაინც ირჩენსო. თუმცა ოქტომბრის ბოლომდე ზულფიკარი ჩემი მადლიერი იყო... ამ დროს მანქის ბედიც მოახლოვდა.

სკოლაში ზაფართან ერთად დავდიოდით. ზაფარს უკვე უსახლკარო მანქი ცოლად აღარ უნდოდა. ერთ დღეს გენერლის მთის აგარაკზე, ნათიაგალიში, წავედით (იმ ავადობისგან, რაღაცები რომ გამუდმებით მესმოდა, თითქოს განვიკურნე). მთები! პანტერა! ცივი, სუფთა ჰაერი! გენერალმა მითხრა, ზაფარი და შენ ერთად დაწექითო... ცოტა ხანში რაღაც გულისამრევი სითხის გუბეში გამეღვიძა და ყვირილი მოვრთე. გენერალი ჩვენს საწოლთან გაჩნდა და ზაფარს ცემით კინაღამ სული გააცხებინა. „ამხელა კაცი ხარ უკვე და ისევ ამას აკეთებ! სწორდი! არარაობავ! ვინ იქცევა შენსავით? ვინ და ლაჩარი, ლაჩარი შვილი მყავს!“ მაგრამ ზაფარმა შარდის შეუკავებლობას მაინც ვერაფერი მოუხერხა. ერთხელ, დღისით ჩაისველა. ეს იმის შემდეგ მოხდა, რაც საწიწაკეებმა ჩემი დახმარებით, მოქმედება შეასრულეს, რამაც იმაში დამარწმუნა, რომ მართალია. ამ ქვეყანაში ტელეპათიური დაფარვის ზონა დაბლოკილი იყო, მაგრამ რაღაც კავშირის სახეობები ჯერაც ფუნქციონირებდა. აქტიურ-პირდაპირ-მეტაფორულად, პაკისტანის, ანუ წმინდა ქვეყნის ბედი შევცვალე.

თითბრის მაიმუნი და მე ვუყურებდით, როგორ ჭკნებოდა დედაჩვენი და ვერაფერს ვშველოდით. სიცხეში გამრჯე ამინა ჩრდილოეთის სიცივემ დააბერა. ორი ქმრის დაკარგვის მერე მის ცხოვრებას აზრი გამოეცალა (ყოველ შემთხვევაში, თავადაც ასე ფიქრობდა). მიზეზი ისიც იყო, რომ ჩემსა და მას შორის დამოკიდებულება თავიდან უნდა აეწყო.

ერთ ღამეს ჩამიხუტა და მითხრა: შვილო, სიყვარული ბავშვის დაბადებისთანავე არ ჩნდება, სიყვარულს დედა ნელ-ნელა სწავლობს, მე თერთმეტი წელი ვსწავლობდი შენს სიყვარულსო. იმ სითბოს მიღმა თვალით უხილავი დისტანცია მაინც არსებობდა, თითქოს თავის თავს თავად არწმუნებდა და აჯერებდა... მანქი ღამღამობით მეჩურჩულებოდა და მის ჩურჩულშიც დისტანცია იგრძნობოდა: ჰეი, ძმაო, მოდი წყალი დავასხათ ზაფარს და იფიქრებენ, ჩაიფსაო.

ჩვენ შორის სიცარიელეს ვგრძნობდი. შვილს და ძმას კი მეძახდნენ, მაგრამ მერის აღსარება მაინც ძნელი შესაგუებელი იყო. თურ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე, მომავალში შვილი და ძმაც აღარ ვიქნებოდი. თითქოს ვგრძნობდი ამას და შივა საოცრად მაშინებდა. ვცდილობდი, თავი ღირსეულ შვილად წარმომეჩინა. პატივცემულმა დედამ კანონიერად მაღიარა, მაგრამ მხოლოდ სამი წლის შემდეგ დავმშვიდდი, როცა მამაჩემმა თავისთან მიმიხმო და მითხრა: მოდი შვილო და ნება მომეცი მიყვარდეო. შეიძლება იმიტომაც მოვიქეცი ისე... 1958 წლის 7 ოქტომბერს...

...თერთმეტი წლის ბიჭმა, პადმა, პაკისტანის საშინაო საქმეების შესახებ ცოტა რამ იცოდა. ოქტომბრის იმ დღეს უჩვეულო სადილი უნდა გამართულიყო. სალემმა 1956 წლის კონსტიტუციის გახრწნის შესახებაც არაფერი იცოდა, მაგრამ მისი თვალები ხედავდნენ... სამხედრო ოფიცრები და პოლიცია ბაღის ყოველი ბუჩქის უკან ჩასაფრდნენ. ფრაქციის დაპირისპირება და ბატონი გულამ მუჰამედის ცუდი საქმეებიც გამოცანა იყო მისთვის. დეიდამისი ძვირფასეულობით თავს იწონებდა. ორ წელიწადში ოთხი პრემიერ-მინისტრი რომ შეიცვალა, ამ ფარსზე ერთხელაც არ გაუცინია. გენერლის სახლი თითქოს თეატრი იყო და სალემი უკანასკნელ მოქმედებაში ფარდის დაშვებას ელოდა. არც ის იცოდა, ვინ ჰყავდა ზულფიკარს მოწვეული. ამ ქვეყანაში სახელები არაფერს ნიშნავდა: ვინ იყო ჩადური მუჰამედ ალი ან სურავარდი, ან ჩუნდრიგარი, ან ნუნი? მოწვეულ სტუმართა ანონიმურობა უკვირდა. მან ისიც არ იცოდა, რატომ მოვიდნენ დროშებიანი შავი ლიმუზინები ზულფიკარის სახლთან საღამოს ექვს საათზე. რატომ არავინ იღიმებოდა, რატომ იდგნენ ესმერალდა, ფია და დედაჩემი გენერლის უკან და სამგლოვიარო სახეები რატომ ჰქონდათ. ვინ კვდებოდა? ვინ იჯდა ლიმუზინში? — არაფერი გამეგებოდა. დედაჩემის უკან, ფეხის წვერებზე ვიდექი და დაბურულმინიან მანქანებს მივშტერებოდი.

მანქანის კარები გაიღო. მხლებლები და ადიუტანტები გადმოვიდნენ და მისალმების ნიშნად გაიჭიმნენ. ესმერალდას ლოყა აუთამაშდა. ვინ იყვნენ ისინი? რა უნდა დაარქვა მათ დაუჯერებლად გრძელ ულვაშებს, ჯოხებს, გამბურღავ თვალებს, მედლებსა და სამხრეებს? სალემმა მათი სახელები არ იცოდა, თუმცა მიხვდა, რომ ძალიან მაღალი თანამდებობის პირები უნდა ყოფილიყვნენ. ბოლო მანქანიდან მაღალი, ბურთივით მრგვალთავიანი კაცი გადმოვიდა, რომელსაც სიგრძე-სიგანე ერთი ჰქონდა. გლობუსივით თავი იმ გლობუსს არ ჰგავდა, მანქიმ რომ გახეთქა. ინგლისელი არ უნდა ყოფილიყო. გამოჭიმულ ადიუტანტებს ჩაუარა, დეიდაჩემთან მივიდა და მიესალმა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ბატონო მეთაურო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ოჯახში“ — უთხრა დეიდაჩემმა.

„ესმერალდა, ესმერალდა, — წარმოთქვა გლობუსმა ულვაშის ქვემოთ მოთავსებული პირიდან, — რა საჭიროა ასეთი ფორმალობა?“ მაშინ ესმერალდა გადაეხვია: „კარგი, აიუბ, შესანიშნავად გამოიყურები“.

გენერალი ფელდმარშლობისგან შორს არ იყო... სახლში შევიდა და ჩვენც შევყევით. ვუყურებდით (წყალს) რომ სვამდა და (ხმამაღლა) იცინოდა. სადილზე ისე გლეხურად ჭამდა, რომ ულვაში მოეთხუპნა.. „მისმინე, ემ, სულ ასე დიდი ამბით მხვდებით. მე ხომ ერთი უბრალო ჯარისკაცი ვარ. ბრინჯსა და წყალზე ვიქეიფებ“.

„ჯარისკაცი ხართ, მაგრამ უბრალო არა!“ — უთხრა ესმერალდამ.

გრძელი შარვალი სუფრასთან დაჯდომის უფლებას მაძლევდა. ჩინოსნებით გარშემორტყმული ვიჯექი ჩემი ბიძაშვილის, ზაფარის გვერდით. ხმას არც ერთი არ ვიღებდით (გენერალმა მანამდე ჩამსისინა: „შენგან ერთი სიტყვა არ გავიგონო, თორემ დავაჭერინებ შენს თავს, თუ სუფრასთან ყოფნა გინდა, მაშინ დამუნჯდი, გაიგე?“ ჰოდა, დამუნჯებული ზაფარი და მე მხოლოდ ვუსმენდით და ვაკვირდებოდით. თუმცა ზაფარი არ ცდილობდა, ღირსეული გამოჩენილიყო...).

რა გავიგონეთ სადილზე? რას ნიშნავდა მხიარული სამხედრო საუბარი იმის შესახებ, რომ სურავარდი პაკისტანის იდეის წინააღმდეგი იყო? ანდა ის, რომ ვინმე ნუნი ჩამავალი მზე იყო? არჩევნებისა და შავი ფულის ხსენებისას ტანში შიშის ჟრუანტელი ხომ არ უვლიდათ და თმა ყალყზე ხომ არ უდგებოდათ? მეთაურმა რომ ყურანიდან მოიყვანა ციტატა, გაიგო თუ არა თერთმეტი წლის ბავშვმა?

„დაწერილია, — თქვა მრგვალთავამ და ჩინოსნები სმენად იქცნენ, — აადი და თამაუდიც განადგურდა. სატანამ მათ საშინელი საქმეები კეთილად მოაჩვენა, თუმცა თვალი კარგად უჭრიდათ“.

თითქოს ნიშანი მისცაო, დეიდაჩემმა ხელის აქნევით დაითხოვა მსახურები. შემდეგ წასასვლელად მოემზადა. მასთან ერთად დედა და ფიაც ადგნენ. მე და ზაფარიც წამოვდექით, მაგრამ მან შეგვაჩერა: „პატარა კაცები დარჩნენ. ბოლოს და ბოლოს, მათ მომავალზე არ ვსაუბრობთ?“ ასე რომ, მე და ზაფარი ცოტა შეშინებულები, მაგრამ გაამაყებულები დავრჩით.

ახლა სუფრასთან მარტო კაცები ვისხედით. მრგვალთავიანს სახე გაუსასტიკდა... „ერთი წლის წინ ყველა თქვენგანი გაგაფრთხილეთ,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცალი ყური პოლიტიკოსებს დაუგდეთ-მეთქი, არ გითხარით?“ ყველამ თავი დაუქნია და თანხმობის ლუღლუღი გაისმა. „ბატონებო, ჩვენ მათ ერთი წელი მივეცით. მდგომარეობა აუტანელი გახდა და მე ამას არ მოვითმენ!“ — ამ სიტყვებზ მათ მკაცრი ჩინოსნური გამომეტყველება მიიღეს. კბილები მომავალს აულრჭიალეს. „ამიტომ ამაღამ საკუთარ თავზე ავიღებ ქვეყნის კონტროლს“ — თქვა მან. კი! მეც იქ ვიყავი და ვუსმენდი გენერალ აიუბს, ჩემგან რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით რომ იჯდა!

სახელმწიფო გადატრიალების გაგონებაზე თერთმეტი წლის ბავშვი როგორ რეაგირებს? „...ეროვნული ფინანსები კაცმა არ იცის, ვის ხელშია... ქვეყანა კორუფციამ წალეკა“. ყველა კბილებს აღრჭიალებს, თვალებში ნათელი მომავალი უდგათ. გენერალი ყვირის: „კონსტიტუცია არ არსებობს! რეგიონული მმართველობა არ არსებობს! პოლიტიკურ პარტიებს არავითარი უფლებები არა აქვთ!“ მე და ზაფარი რას ვგრძნობდით ამ დროს?

„ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობაა“, — თქვა გენერალმა და ჩვენ მივხვდით, რომ მისმა ძლიერმა და გადამწყვეტმა ხმამ ღალატი იგულისხმა. მე ამაყად ვიჯექი, მაგრამ ზაფარის ერთმა ორგანომ კონტროლი დაკარგა. შარვალი დაუსველდა და ყვითელმა სითხემ მალე სპარსულ ხალიჩაზე გადაინაცვლა. ჩინოსნებმა რაღაც იყნოსეს და ზაფარს ზიზღით შეხედეს. მერე კი სიცილი აუტყდათ.

გენერალი ზულფიკარი იმის თქმას აპირებდა, რომ ამაღამდელი მოვლენების გეგმას მოხაზავდა და ამ დროს მისმა ვაჟმა შარვალში ჩაისველა. გამძვინვარებულმა ბიძაჩემმა ზაფარი ოთახიდან გააგდო: „ქალი ხარ შენ! ლაჩარი ხარ! ჰომოსექსუალი ხარ! ჰინდუ ხარ!“ — დაადევნა ზაფარს... მერე მე შემომხედა. მის თვალებში მუდარა ამოვიკითხე: გადამარჩინე ამ სირცხვილს, რაც ჩემი შვილის თავშეუკავებლობას მოჰყვაო. „შენ, ბიჭო! — მითხრა ბიძაჩემმა, — მოდი და მომეხმარე!“

მე თავი დავუქნიე. გავამაყდი, შვილად რომ ჩამთვალეს და კაცივით მომმართეს. ბიძაჩემი მადლიერი დარჩა, რადგან ჩემი საქციელით ჩინოსნების დაცინვა გავაქარწყლე. ახლა მე ახალი მამა მყავდა. ამის მერე ზულფიკარი შვილიკოს ან შვილოს მეძახდა.

რევოლუცია ასე დავგეგმეთ: გენერალმა ზულფიკარმა დეტალურად აღწერა, როგორ უნდა გადაადგილებულიყო ჯარი. მე საწიწაკეები მოვიშველიე და მისი საუბრის მიხედვით ადგილს ვუცვლიდი.


www.PDF.ChiaturaINFO.GE

საწიწაკების გარდა გამოვიყენე სამარილეები და სასაწებლეებიც. ეს სასაწებლე ამა და ამ კომპანიის სათავო ოფისისაა. ორი საწიწაკე კოვზის ირგვლივ დევს. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანია ბიმ აეროპორტი აიღო. ერის ბედი ჩემს ხელში იყო: სასანელებლე, ჭიქები, სამარილეების ალყა... როცა გენერალმა ზულფიკარმა საუბარი დაასრულა, მაგიდაზე ჭურჭლის მარშიც დამთავრდა. აიუბ-ხანი სკამზე დაჯდა და თვალი ჩამიკრა, ან იქნებ მომეჩვენა? ყოველ შემთხვევაში, ზულფიკარი შეაქო: კარგი იყოო, უთხრა.

ჭურჭლის მარშში მხოლოდ ერთი — ვერცხლის საკარაქე არ განძრეულა. ის ქვეყნის მეთაურს, პრეზიდენტ ისკანდარ მირზას[1] განასახიერებდა. მირზამ მცირე ხანს იპრეზიდენტა.

თერთმეტი წლის ბავშვს არ შეუძლია განსაჯოს, პრეზიდენტი მართლა კორუმპირებულია თუ არა; მერე რა, რომ ამას ჩინოსები ამბობენ. ბავშვი ვერც იმას გაიაზრებს, მირზას ავტორიტეტი რესპუბლიკურ პარტიასთან ალიანსის გამო დაიკარგა თუ არა. სალემ სინაი პოლიტიკურად არ სჯიდა, მაგრამ იმ ღამით, ბიძაჩემმა რომ გამაღვიძა და მითხრა, წამოდი, შვილო და ცხოვრება იგემეო, ლოგინიდან წამოვხტი, ჩავიცვი და მასთან ერთად სიბნელეს შევერიე, გაამაყებული იმით, რომ მან თავისი ვაჟის ნაცვლად მე წამიყვანა.

შუაღამეა. რავალპინდის მოტოციკლეტები წინ და უკან დარბიან. „ძია, სად მივდივართ?“ მოიცადე და ნახავ. შავი ლიმუზინი ჩაბნელებულ სახლთან ჩერდება. გუშაგები ავტომატებით იცავენ სახლს. გაგვატარეს. ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანს მივუყვებით. მერე ოთახში შევდივართ, რომელსაც მთვარე ანათებს. ოთახში საწოლია. საწოლის თავზე კოლოები ირევიან. ლოგინში კაცი შეშინებული იღვიძებს, რა ხდებაო... მაგრამ გენერალი ზულფიკარი გრძელლულიანი რევოლვერის პირს კბილებში უდებს: „ხმა არ ამოიღო, წამოდი!“ მსუქანი ტიტველი კაცი ძლივს დგება და თვალებით კითხულობს: უნდა მომკლათ? ღიპზე ოფლი ჩამოსდის და ქვემოთ, ბოქვენსაც სწვდება. ძალიან ცივა. ამიტომ ეს სიცხის ოფლი არ არის. თეთრ, პირმცინარ ბუდას ჰგავს, ოღონდ არ იცინის, ცახცახებს. „შებრუნდი, სწრაფად იარე!“...რევოლვერს მსუქან საჯდომზე ადებს. ჯარისკაცები ხითხითებენ, ტიტველმა სხეულმა მთვარის შუქზე გამოანათა. შავ ლიმუზინში სვამენ... მე იმ ტიტველის გვერდით ვიჯექი და სამხედრო აეროდრომისკენ მივ-

[1] *მირზა, ისკანდერ (1899-1969) — პაკისტანის გენერალ-გუბერნატორი 1955-1956 წლებში, პაკისტანის პირველი პრეზიდენტი (1956-1958).*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქროდით. შემდეგ დავინახე როგორ დაიძრა თვითმფრინავი და გაფრინდა. ის, რაც საწიწაკეებიდან დაიწყო, — იქ დამთავრდა. არა მხოლოდ მთავრობა დავამხე, არამედ პრეზიდენტიც გავაძევე ქვეყნიდან.

შუაღამის შვილები ბევრნი არიან. თავისუფლების ნაშიერნი ყველანი ადამიანები როდი იყვნენ. ასევე იყო ძალადობა, კორუფცია, სიღარიბე, გენერლები, ქაოსი, სიხარბე და საწიწაკეებიც... სახლიდან წასვლამ დამანახვა, რომ შუაღამის შვილთა დასი იმაზე უფრო ჭრელი იყო, ვიდრე მე წარმომედგინა.

„მართლა? შენ მართლა იქ იყავი?“ — მეკითხება პადმა. კი, იქ ვიყავი. „ამბობენ, აიუბი ცუდი კაცი არ იყო, — მერე გასაზიზღრდაო“, მეუბნება პადმა და ამით კითხვას მისვამს. მაგრამ, თერთმეტი წლის სალემი ამაზე არ ფიქრობდა. საწიწაკეთა გადაადგილება მორალურ განსჯას არ საჭიროებს. სალემს ის აინტერესებდა, რომ ქვეყანაში არეულობა არ ყოფილიყო და პიროვნების რეაბილიტაცია მომხდარიყო. პარადოქსია — ისტორიაში ყველაზე ვიწრო, შეზღუდული მოტივით შევიჭერი. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჩემი ქვეყანა არ იყო. მაშინ მაინც. მე ხომ ლტოლვილი ვიყავი იქ და არა მოქალაქე. შეიძლებოდა, იქაურ მთავრობას როგორც ჯაშუში ისე დავეჭირე, ან უკან, ჩემს ქვეყანაში, დავებრუნებინე, მაგრამ იმან მიხსნა, რომ თერთმეტისა ვიყავი და გვერდით ბიძაჩემი მედგა. ოთხი წელიწადი გავიდა.

ცარიელი ოთხი წელიწადი.

ამ წლებს არაფერი მოუტანია იმის გარდა, რომ თინეიჯერად ვიქეცი და კიდევ ყოველდღე ვხედავდი, როგორ ბერდებოდა დედა. მანქი, რომელიც ერთი წლით ჩემზე პატარა იყო, ღმერთის ქვეყანამ ძალიან მოხიბლა. ერთ დროს გიჟი და მოუსვენარი მანქი ისე დამშვიდდა და დაბრძენდა, რომ თავადაც უკვირდა. საჭმლის მომზადება და ოჯახის მოვლა ისწავლა. არაბულ ენაზე ლოცვები დაისწავლა და დროგამოშვებით კითხულობდა. რელიგიურ ფანატიზმში გადაეშვა, რომლის ნიშნები ჯერ კიდევ მაშინ გამოამჟღავნა, მონაზვნის სამოსი რომ მოითხოვა. მანქიმ ამქვეყნიური სიყვარული მოიზიზღა და იმ სიყვარულმა აცდუნა, რომელსაც ალ-ლაჰი — წარმართულ სალოცავში მდგარი კერპის სახელი ერქვა. ალ-ლაჰი ქააბაში — ანუ დიდი შავი ქვის სალოცავი.

მეტი არაფერი მომხდარა.

შუაღამის შვილებს ოთხი წელიწადი არ შევხვედრივარ. ოთხი წელიწადი არ მინახავს უორდენ-როუდი, ბრიჩქენდი, სკენდალ-ფოინთი და შოკოლადებით სავსე ვიტრინა. ოთხი წელიწადი არ მინახავს სა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კათედრო სკოლა და სივანჯის ცხენზე ამხედრებული ქანდაკება და კიდევ: ნესვის გამყიდველები ინდოეთის კარიბჭესთან. ოთხი წელიწადი არ მინახავს დივალი, განეში, ქოქოსის ზეიმი და მარტოსული მამაჩემი, პროფესორ შაფსტეკერს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ისევ ბოლო სართულზე ცხოვრობდა, მაგრამ ხალხთან აღარ ურთიერთობდა.

ნუთუ შეიძლება რომ ოთხ წელიწადში სულ არაფერი მოხდეს? რა თქმა უნდა, არა. ზაფარს მამამისმა ისტორიის წინაშე შერცხვენა არ აპატია და სრულწლოვანი რომ გახდა, ჯარში გაუშვა: დაამტკიცე, რომ ქალი არ ხარო.

ბონზო რომ მოკვდა, ზულფიკარმა კაცურად დაიტირა.

მერის აღსარება კოშმარულ სიზმრად შემორჩა, ოღონდ ჩემთვის — არა.

ინდოეთ-პაკისტანს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ინდოეთმა დაიპყრო გოა, რომელიც დედაინდოეთის სახეს პორტუგალიურ მუწუკად ავჯდა. მე გვერდზე გავდექი და არ ჩავრეულვარ, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პაკისტანს დახმარება გამოუგზავნა. არც ჩინეთ-ინდოეთის საზღვარზე მომხდარ შეხლა-შემოხლაში მიმიძღოდა რაიმე ბრალი. ინდოეთის მოსახლეობის 1961 წლის გამოკითხვის შედეგებმა 23,7 პროცენტს მიაღწია, მაგრამ მე არც იმ შედეგებში შევდიოდი. ხელშეუხებელი პრობლემა ისევ პრობლემად დარჩა, მაგრამ მის შესამსუბუქებლად ხელი არ გამომიღია. 1962 წლის არჩევნებში ინდოეთის კონგრესმა 361 ხმით (494-დან) გაიმარჯვა. 61 პროცენტი სახელმწიფო ასამბლეას ერგო. ჩემი უჩინარი ხელი არც ამ საქმეში ჩარეულა. ინდოეთის სტატუს-კვო[1] შენარჩუნდა და ჩემს ცხოვრებაშიც არაფერი შეცვლილა.

1962 წლის პირველ სექტემბერს მანქი თოთხმეტი წლის გახდა. ამ დროისთვის ჩვენ ისევ საწყალ ნათესავებად დავრჩით დიდებული ზულფიკარებისა. ამიტომ, მანქის დაბადების დღემ ხელმომჭირნედ ჩაიარა, თუმცა მანქი თავს აჩვენებდა, რომ კარგად გაერთო. „ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე, ძმაო“, მითხრა მანქიმ და ყურებს არ დავუჯერე... ჩემს დას ინტუიციამ უკარნახა, რომ ასე მოქცეულიყო. ალბათ იცოდა, ბედი რასაც უმზადებდა. რატომ დავიჩემე, საიდუმლო ცოდნა მხოლოდ მე მაქვს-მეთქი?

---

[1] *სტატუს-კვო (ლათ.) — საერთაშორისო სამართალში: რაიმე განსაზღვრულ მომენტში (წინათ და ამჟამად) არსებული მდგომარეობა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალბათ მიხვდა, რომ როცა მოწვეულმა მუსიკოსებმა დაკვრა დაიწყეს (ყველანაირ საკრავზე უკრავდნენ), ესმერალდა ცივად სთხოვდა, რას დამდგარხარ, იმღერეო.

მანქი უცებ მომღერლად იქცა. თუმცა თოთხმეტი წლის თინეიჯერის წინააღმდეგობა გასწია, მუსიკოსებისკენ ძალით წაათრიეს და ისეთი სახე ჰქონდა, ნეტა მიწა გამისკდეს და ჩამიტანოსო, მაგრამ მერე სხვა გზა რომ ვერ მონახა, ამღერდა.

ემოციებს ვერასოდეს გადმოვცემდი ისე, რომ მსმენელი დამეპყრო. ამიტომ ჩემი ამბავი თქვენც გეკუთვნით... მანქის სიმღერამ ისეთი ძლიერი გრძნობით შემბოჭა, რომ მაშინ ვერც კი მივხვდი, სანამ კარგა ხნის შემდეგ, ერთმა ბებერმა მეძავმა არ გამაგებინა. ჩემმა დამ ხმა ამოიღო თუ არა, თავისი მეტსახელი იმ წუთიდანვე მოიშორა. ჩიტებს რომ ელაპარაკებოდა (ბაბუამისის მამასავით) ალბათ სიმღერა ბულბულმა ასწავლა. მონუსხული ვუსმენდი: თოთხმეტი წლის ასაკში ჩემს დას ზრდასრული ქალის ხმა ჰქონდა. ამ ხმაში ფრთების სიწმინდე, სახლიდან განშორების ტკივილი, არწივების ფრენა, სიყვარულის წყურვილი, ბულბულთა გალობა და ღმერთის დიადი სუფევა იგრძნობოდა. ეს ხმა მუჰამედის მუეძინის, ბილალის ხმას ჰგავდა და პატარა უსუსური გოგონას პირიდან კი ამოდიოდა!.. იმ დღის შემდეგ მომღერალი ჯამილა შეარქვეს... მე ვიცოდი, რომ პროცესი, რომელიც ჩემი პირველი გაძევებისას დაიწყო, მეორეში — დასასრულს უახლოვდებოდა. ამიერიდან ჩემი დის ნიჭიერების გვერდით პირველი ადგილი არასოდეს მერგებოდა.

ჯამილა მღეროდა. მე თავჩაქინდრული, მოკრძალებით ვუსმენდი. მაგრამ, სანამ ის თავის სამყაროში სრულად შეაბიჯებდა, მანამდე კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო. მე ბოლომდე უნდა დავსრულებულიყავი.

## უდაბნო და სიცარიელე

ძვლების ხრა არ წყდება... დროის საკითხია. აი, რა მაძლებინებს. პადმას ვეტმასნები. პადმა — ჩემი წმინდა ლოტოსი — ჩემთვის ძალიან ძვირფასია... მისი სხეული, მისი თმიანი მკლავები... პადმა უხერხულად იშმუშნება: საკმარისია, ახლა გააგრძელეო.

ელექტროხაზით უნდა დავიწყო. ტელეპათია გაქრა. ტელეკომუნიკაციამ ჩემი უნარები დაძირა...



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამინა სინაი ფეხზე კოჟრებს აწვალებდა, ტელეგრამა რომ გადასცეს... ერთხელ... არა, ეს არ გამოდგება, თარიღს ვერსად გავექცევი. 1962 წლის 9 სექტემბერს დედაჩემი ფეხზე კოჟრს იშორებდა. დრო მნიშვნელოვანია. ნაშუადღევი იყო... სამი საათი. ძალიან ცხელოდა. მსახურმა ვერცხლის სინით ტელეგრამა მოართვა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ნიუ-დელიში თავდაცვის მინისტრმა, კრიშნა მენონმა (პრემიერ-მინისტრთა კონფერენციაზე ნერუს არყოფნის დროს ინიციატივა თავის თავზე აიღო) მყისიერი გადაწყვეტილება მიიღო, რომ საჭიროების შემთხვევაში ჰიმალაის საზღვართან ჩინეთის არმიას დახვედროდა. „ჩინელები თაგ ლას ხეობიდან უნდა გავაძევოთ“, განაცხადა მენონმა იმ დროს, როცა დედაჩემმა ტელეგრამა გახსნა. „არავითარი უკანდახევა!“ მაგრამ მინისტრის ეს გადაწყვეტილება ტელეგრამის შინაარსთან შედარებით წვრილმანი იყო. სანამ დედაჩემი ფეხზე ოპერაციას იტარებდა, სახელმწიფოებრივ ოპერაციას მარცხი ელოდა. ინდოეთი ომის შემზარავ თეატრად იქცა. კრიზისს ვუახლოვდებოდი, რომელიც ჩემი შინაგანი სამყაროდანაც გამომაძევებდა. ინდოეთის 33-ე ბატალიონი მენონისა და გენერალ თაპარის ბრძანებით მოქმედებდა, მეც დიდი საშიშროება მელოდა. თითქოს უხილავმა ძალებმა შეამჩნიეს, რომ ის საზღვარი დავარღვიე, რომელიც უნდა დამერღვია. ის ვიცოდი, რაც უნდა მცოდნოდა და ის ვიყავი, ვინც უნდა ვყოფილიყავი. ისტორიამ გადაწყვიტა, ადგილზე მოვესვი. სიტყვა არ მეთქმოდა. დედამ წერილი წაიკითხა და ატირდა: „ბავშვებო, სახლში მივდივართ!“ — გვითხრა... როგორც ვამბობდი, დროის საკითხი იყო.

ტელეგრამაში ეწერა: „ჩქარა ჩამოდით, ბატონ სინაის გული გამოუვარდა. ძალიან ავადაა, მოკითხვით, ალისა პერეირა“.

„წადი, ძვირფასო, — დეიდა ესმერალდამ უთხრა დედას, — მაგრამ ეს „გული გამოუვარდა“ რას უნდა ნიშნავდეს?“

ალბათ პირველი მეისტორიე ვარ, ასეთ დაუჯერებელ ამბებს რომ ვყვები. დაიმახსოვრეთ, ეს წიგნი შთაგონებისთვის გამოგადგებათ. მომავალ განმმარტებელთა საყურადღებოდ კი ვიტყვი: როცა „გულზე მოსვლის“ ამბიდან მოვლენათა თანამიმდევრობას შეამოწმებთ, გახსოვდეთ, რომ ჩემს თავზე დატრიალებული წისქვილის ქვისა და ქარიშხლის პირისპირ მარტო ვიყავი. ტელეკომუნიკაციებს ვგულისხმობ.

ტელეგრამებსა და ტელეფონებს მწყობრიდან გამოვყავდი. შეთქმულებაში არავის ვადანაშაულებ, თუმცა ადვილი დასაჯერებელი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო ის, რომ კომუნიკაციების მესვეურთ ერის საჰაერო ტალღების მონოპოლია ეპყრათ... მიზეზ-შედეგობრივ ბანალურ ჯაჭვს უნდა დავუბრუნდე (პადმა იღუშება). 16 სექტემბერს დაკოტათი სანტა-კრუზის აეროპორტში ჩავედით. ტელეგრამის შინაარსის ასახსნელად წარსულში უნდა დავიხიო.

ალისა პერეირამ, მართალია, შესცოდა, მერის შეყვარებული რომ წაართვა, მაგრამ ბოლო წლებში ცოდვის გამოსასყიდად ბევრი რამ გააკეთა. ოთხი წლის განმავლობაში აჰმედ სინაის ერთადერთი გვერდში მდგომი იყო. ერთ მივარდნილ აღმართზე განმარტოებულმა ბევრი რამ მოითმინა. აჰმედი თავისთან დაისვამდა ხოლმე, თვითონ კი ჯინით გაბრუებული საშინელ სიტყვებს ისროდა და ცხოვრების უსამართლობაზე მოთქვამდა. წლების შემდეგ მოაგონდა, ყურანის თარგმანზე რომ ოცნებობდა. ოჯახს ადანაშაულებდა იმაში, რომ ენერგია გამოეცალა და ამ დიდ საქმეს ვერ შეუდგებოდა. ძალაუნებურად, აჰმედის ბრაზი ოთახში მყოფ ალისას ატყდებოდა თავს. აჰმედის გრძელი მონოლოგები სავსე იყო წყევლა-გინებით. წყევლა, მართალია, არ ჭრიდა, მაგრამ თავისი სიგიჟის პერიოდში რომ მოიგონა, მერე ველარ მოიშალა. ალისა უგებდა აჰმედს. მარტოსული კაცი იყო. ტელეფონთან მეგობრობაც დროის სიდუხჭირემ მოაშლევინა. ფინანსურმა შერყევამ ფიზიკურადაც შეარყია... შიშები ტანჯავდა. აქსაი ჩინის რაიონში ჩინეთის გზა რომ აღმოაჩინეს, აჰმედი დარწმუნებული იყო, რომ ყვითელი ურდოები მეთვოლდის მამულს შემოესეოდნენ. ალისა ცივ „კოკა-კოლას“ ასმევდა და ამშვიდებდა: „ნუ ინაღვლებ, ჩინელები ისეთი პატარები არიან, რომ ჩვენს ჯარისკაცებს ლუკმად არ ეყოფათ. დალიე „კოკა-კოლა“ და დამშვიდდი, არაფერი შეიცვლება“.

ბოლოს ალისას ქანცი გააცალა. მხოლოდ ის აძლებინებდა მასთან, რომ მაღალ ხელფასს იღებდა და ფულს გოაში, მერისთან გზავნიდა. პირველ სექტემბერს კი ტელეფონს ჩამოეკიდა.

მანამდე თითქმის არ იყენებდა ამ აპარატს. მარტო ნარლიკარის ქალებს ელაპარაკებოდა. საშინელმა ქალებმა მამაჩემს ალყა შემოარტყეს. დღეში ორჯერ ურეკავდნენ და ხვეწნა-მუდარით არწმუნებდნენ, სახლი გაყიდეო. სვავებივით გარს უვლიდნენ... პირველ სექტემბერს სვავებმა მამას სილა გააწნეს იმით, რომ ალისა მოქრთამეს და თავის მხარეზე გადაიბირეს. ალისამ რომ ველარ აიტანა აჰმედი, დაუყვირა: „მაგ ტელეფონს შენ თვითონ უპასუხე, მე გასული ვარ!“

იმ ღამეს აჰმედ სინაის გული გაუსივდა. სიძულვილით, ზიზღით,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარდითა და თავისი თავის სიბრალულით სავსე გული ბუშტივით გაიბერა. საშინლად უცემდა, ბოლოს კი ხესავით წააქცია. ბრიჩქენდის ჰოსპიტალში ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ მამაჩემის გული დეფორმირდა, ქვედა მარცხენა სარქველი გამოიბერა, თითქოს გამოვარდაო. ამიტომ მოგვწერა ალისამ, „გული გამოუვარდაო“.

ალისამ აჰმედი მეორე დღეს იპოვა. ქოლგა დარჩა და მის წასაღებად დაბრუნდა. სასწრაფოს დაურეკა და ჩვენ დეპეშა გამოგვიგზავნა, რომელსაც ერთი კვირა დასჭირდა, რომ ამინამდე მოეღწია.

„უკან ვბრუნდებით!“ ვყვიროდი გახარებული, სანამ ახალგამოჩეკილმა ჯამილამ არ ჩამაჩუმა. ალისა აეროპორტში დაგვხვდა. ბომბეური შავ-ყვითელი ტაქსებით, ქორვაჭრებით, აქლემებითა და ველოსიპედებით სავსე ქუჩებს ჩავუარეთ. უამრავი ხალხი ირეოდა. მუმბადევის ქალაქთან შედარებით რავალპიდი სოფელი იყო. თავიდან აღმოვაჩინე ქალაქის ფერები. მაჰალახმის სალოცავის მწვანე წყლები, საგზაო პოლიციელთა შავ-თეთრი საშზეო ქოლგები და ლურჯ-ყვითელი უნიფორმები. ლურჯი, ლურჯი, ლურჯი ზღვა... ამ ცისარტყელასებრ ქალაქში მამაჩემის ნაცრისფერმა სახემ გამაოგნა და გამომაფხიზლა.

ალისა პერეირა ნარლიკარის ქალებთან გადავიდა სამუშაოდ და რაღაც შესანიშნავი რამ მოხდა: დედაჩემი ამინა სინაი მამაჩემის დანახვაზე ლეთარგიული ძილის, დეპრესიის, დანაშაულის, ნისლისა და კოჟრებისგან გამოერკვა და ისევ ახალგაზრდა გახდა. ჩვეული გულმოდგინებით მიჰყო ხელი აჰმედის გამოჯანმრთელებას. იმ ოთახში დააწვინა, სადაც ადრე წლების წინ, გამყინვარებისგან განკურნა. დღე და ღამე საწოლთან უჯდა და თავის ჯან-ღონეს აჰმედის სხეულში წურავდა. სიყვარულმა შედეგი გამოიღო: აჰმედი ბრიჩქენდის ევროპელ ექიმთა გასაოცრად არა მარტო სრულად გამოკეთდა, არამედ კეთილ, პირმცინარ და მიმტევებელ კაცად იქცა. სადღა იყო ის ძველი, მაწყევარი აჰმედ სინაი. ყველაზე დიდი სასწაული კი მერე მოხდა: აჰმედ სინაის დედაჩემი შეუყვარდა.

მე ის სამსხვერპლო კრავი ვიყავი, რომელმაც მათი სიყვარული აკურთხა.

ისევ ერთად ეძინათ. ჩემს დას ეს არ მოსწონდა და ამბობდა: „ალაჰ, ერთ ლოგინში? ფუჰ!“ მაგრამ მე მიხაროდა მათი ამბავი და ბედნიერი ვიყავი, რომ ისევ შუაღამის შვილთა მიწაზე დავბრუნდი. გაზეთები



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ომის ამბებით აჭრელდა, მე კი ჩემს საოცარ მეგობრებს დავუბრუნდი და არც კი ვიცოდი, წინ რა მელოდა.

9 ოქტომბრის გაზეთი წერდა, რომ ინდოეთის არმია მზად იყო შეტევისთვის. მე კონფერენცია გავმართე (დრომ მერის აღსარებასა და ჩვენ შორის ბარიერი აღმართა). შუაღამის შვილები ისევ ჩემს თავში იყვნენ. იმ ღამით ბედნიერი ვიყავი. იმ ღამით ძველი წყენა დავასამარეთ და ერთ მუშტად შევიკარით. ვხარობდით და უგულებელვყოფდით იმ ჭუშმარიტებას, რომ ერთი ჩვეულებრივი, ერთ მუშტად შეკრული ოჯახი პერსპექტივაში უფრო სასიამოვნოა, ვიდრე რეალობაში. დრო მოდის, როცა ოჯახები თავიანთი გზით მიდიან. 15 ოქტომბრის გაზეთი წერდა, ინდოეთზე არაპროვოკაციული შეტევა განხორციელდაო. შემომესია კითხვები, რომლისაც მეშინოდა: სად არის შივა? რატომ დახურე გონების კარი?

20 ოქტომბერს ინდოეთის ძალები ჩინელებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ოფიციალური პეკინი აცხადებდა: „ჩინეთის არმია თავდაცვის მიზნით იძულებული გახდა შეტევაზე გადასულიყო". იმავე ღამეს შუაღამის შვილები მე დამესხნენ თავს. მე კი უძლური ვიყავი. ისინი ყველა მხრიდან მიტევდნენ და შეთქმულებაში, საიდუმლოს დამალვაში, მიკიბ-მოკიბვაში, ეგოიზმსა და სისასტიკეში მადანაშაულებდნენ. ჩემი გონება აღარ იყო საპარლამენტო სხდომის დარბაზი, ის ახლა ბრძოლის ველად გადაიქცა, სადაც შუაღამის შვილებმა გამანადგურეს. ჩვენი „დიდი ძმა სალემი" აღარ არსებობს, ამბობდნენ ჩემზე და ნაფლეთებად მაქცევდნენ, რადგან მათი მძვინვარების მიუხედავად, ის არ გავუხსენი, რაც დიდი ხანია ცხრაკლიტულში ჩავკეტე. მერის საიდუმლოს ვერ გავუმჟღავნებდი. ჯადოქარმა პარვათიმაც, რომელიც ერთ დროს ჩემი მომხრე იყო, მოთმინება დაკარგა და ასე მითხრა: ო, სალემ, არ ვიცი, რა გიქნა იმ პაკისტანმა, მაგრამ ძალიან კი შეიცვალეო.

ერთხელ, დიდი ხნის წინათ, მიან აბდულას სიკვდილმა სხვა კონფერენციის დაშლა გამოიწვია, რომელიც მან თავად, თავისი სურვილისამებრ შეაკოწიწა. ახლა შუაღამის შვილებმა რომ ჩემი ნდობა დაკარგეს, იმ კონფერენციის ნდობაც დაეკარგათ, რომელიც მე შევქმენი. ერთი თვის განმავლობაში ვცდილობდი მათ შეკრებას და სესიების გამართვას. მაგრამ ისინი გამირბოდნენ და ყოველდღე მტოვებდნენ. უკვე ასზე მეტი წავიდა ჩემგან. ჰიმალაის მთებში გურხასები და რაჯპუტები უკანმოუხედავად გაურბოდნენ ჩინეთის არმიას. ჩემი გონების



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სადღაც შორეულ კუნჭულში მეორე არმია გაანადგურა კინკლაობამ, ცრურწმენებმა, ეგოიზმმა და მოწყენილობამ; მე კი ამ ყოველივეს იმდენად უმნიშვნელოდ მივიჩნევდი, რომ არ მეგონა, იმათ თუ შეეხებოდა.

(ოპტიმიზმის მოუშორებელი დაავადება არა და არ ქრებოდა. მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ის, რაც საერთო გვქონდა, აუცილებლად გადაწონიდა იმას, რამაც გაგვყარა. არა, ჩემი ბრალი არ არის, შუაღამის შვილთა კონფერენცია რომ დაიშალა. ეს აჰმედ სინაისა და ამინას სიყვარულის ბრალი იყო).

...და შივა? სად იყო შივა, რომელსაც ასე დაუნდობლად წავართვი ბედნიერება? ერთხელაც არ მომიძებნია. მაგრამ ფიქრი, რომ ის სადღაც ამქვეყნად იყო, ტვინს მიღრღნიდა. შივა-გამანადგურებელი, მებრძოლმუხლება შივა... პირველად ჩემი სინდისის ქენჯნა იყო, შემდეგ აკვიატება, დაბოლოს, გონებამ რომ გააუფერულა, ერთგვარ პრინციპად იქცა. შივა ჩემს გონებაში შურისძიების, სისასტიკის, სიძულვილ-სიყვარულის ნაერთი იყო. ახლაც კი, ვინმეს დახრჩობის ამბავი რომ მესმის, ან მატარებლებს რომ წვავენ, ან პოლიტიკოსებს კლავენ, ან აჯანყებები იფეთქებს, — ასე მგონია, ამ ყველაფერში იმის ხელი ურევია; რომ მან დაგვაბედა, მუდმივად გვეფართხალა მკვლელობებს, გაუპატიურებებს, სიხარბესა და ომს შორის. მოკლედ, ასე მგონია, შივამ გაგვხადა ის, რაც ვართ (ისიც ზუსტად თორმეტზე დაიბადა და ისტორიას ჩემსავით მიება. კავშირთა მრავალმხრივობამ, — თუ სწორად ვამბობ, — დღეთა მსვლელობაზე გავლენის მოხდენის უნარი მიანიჭა).

ისე ვლაპარაკობ, თითქოს მას მერე არასოდეს მენახოს. მაგრამ ამას თავის ჯერზე ვიტყვი. ჯერ კი სითამამე არ მეყოფა.

ოპტიმიზმის დაავადება იმ დღეებში ისევ ეპიდემიასავით გავრცელდა. მე კი პოლიპების ანთება მტანჯავდა. თაგლას ხეობასთან დამარცხებამ ხალხი ისე გააღიზიანა, რომ ომისადმი ოპტიმიზმი ბუშტივით გაიბერა და საშიშ კონდიციას მიაღწია. მე ცხვირის არხები დამეხშო. პარლამენტარები გაუთავებლად ლაპარაკობდნენ ჩინეთის აგრესიასა და წამებულ ჯარისკაცებზე. თვალებიდან გაუთავებელი ცრემლი მდიოდა. ერთი თავის თავს ამხნევებდა და იმაში არწმუნებდა, რომ პატარა ყვითელი კაცების განადგურების დრო მოახლოვდა. ჩემი ცხვირი ისე გასივდა, რომ სახეც გამისივა. ეს სახე ისეთი საშინელი იყო, რომ აიუბ-ხანიც კი გაოცებული მიყურებდა. ოპტიმიზმით დაავადებულმა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტუდენტებმა მაო ძედუნისა[1] და ჯოუ ენლაის[2] ფიტულებს ცეცხლი წაუკიდეს. ოპტიმიზმით შეპყრობილი ბრბო თავს ესხმოდა ჩინელ ფეხსაცმლის შემკეთებლებს, რესტორნის მფლობელებსა და ანტიკვარული ნივთებით მოვაჭრეებს. ოპტიმიზმით ანთებულმა მთავრობამ ჩინური წარმოშობის ინდოელ მოქალაქეთა იზოლაციაში მოქცევა დაიწყო. მოსწავლე გოგონები სამხედრო აღლუმებზე გამოვიდნენ. ბირლას ფირმამ ერი მინიატიურული ავტომატებით მოამარაგა. მე კი, სალემ სინაის, მეგონა, რომ სადაცაა ასფიქსიისგან მოვკვდებოდი. ოპტიმიზმით შესქელებული ჰაერი ფილტვებში ძნელად აღწევდა.

მაგრამ ოპტიმიზმის დაავადების ყველაზე საცოდავი მსხვერპლი აჰმედი და ამინა იყვნენ. ოპტიმიზმი ახალდაბადებული სიყვარულისგან შეეყარათ და საზოგადოების ენთუზიაზმს სურვილით შეუერთდნენ. შარდის მსმელმა პრემიერ-მინისტრმა, მორარჯი დესაიმ ერს რომ მოუწოდა, დახმარება გაეღოთ იარაღის შესაძენად, დედაჩემი ოქროს სამაჯურებსა და ზურმუხტის საყურეს შეელია. ომმა ახალი დილა გაუთენა ინდოეთს. გაზეთ „თაიმს ოვ ინდიაში“ ნერუ იყო გამოსახული, რომელიც უყურებდა წარწერებს: „ემოციური ინტეგრაცია“, „ინდუსტრიული მშვიდობა“, „ხალხის ნდობა მთავრობისადმი“ და იძახდა, ასე კარგად არასოდეს გვქონია საქმეო. ოპტიმიზმის ოკეანეს მინდობილ ბრმა ერს ტალღები რიფებისკენ მიაქანებდა.

ჩვენი ერი დამთხვევათა და მსგავსებათა ახირებითაა შეპყრობილი: ამასა და იმას შორის მსგავსება თუ დავინახეთ, ტაშს შემოვკრავთ, იმ ორ საგანს შორის არავითარი კავშირი რომ არ არსებობდეს, — მაინც. ეს ფორმისკენ სწრაფვა და წყურვილია. ჩვენ მუდმივად ფორმას ვეძებთ, ან უბრალოდ გვჯერა, რომ ფორმას სინამდვილის სიღრმიდან ამოვქექავთ. ცრურწმენებისა სწორედ ამიტომ გვწამს ასე ძალიან... ინდოეთის დროშა რომ აღმართეს, დელის ცაზე ყვითელ-მწვანე ცისარტყელა გამოჩნდა. ერმა დაიჯერა, რომ კურთხეული იყო. მსგავსებები და მინიშნებები მეც მდევდა... ინდოეთი რომ ბრმად მიემართებოდა სამხედრო კატასტროფისკენ, ამ დროს (არ ვიცოდი ისე) ჩემი ბედისწერა მიახლოვდებოდა.

გაზეთი „თაიმს ოვ ინდია“ „ემოციონალურ ინტეგრაციაზე“ წერდა.

---

[1] *მაო ძედუნი (1893-1976) — ჩინეთის ლიდერი 1945 წლიდან, ჩინური კომუნიზმის ფუძემდებელი.*

[2] *ჯოუ ენლაი (1898-1976) — ჩინელი პოლიტიკური მოღვაწე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი პრემიერი 1949 წლიდან გარდაცვალებამდე.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეთვოლდის მამულის ბუკინგემის სახლში ემოციები ასეთი ინტეგრირებული არასოდეს ყოფილა. აჰმედი და ამინა შეყვარებული ბავშვებივით იყვნენ. პეკინის გაზეთი აცხადებდა, ნერუს მთავრობა ნეიტრალიტეტით შეისუდრაო. მე და ჩემს დას თავის მოკატუნება არ გვჭირდებოდა: დედ-მამის ომში ისედაც ნეიტრალურნი ვიყავით. ის, რაც მტრობამ დაანგრია ინდოეთში, სიყვარულმა აღადგინა ჩვენს აღმართზე. აჰმედ სინაიმ ჯინთან ღამის ბრძოლებიც მოიშალა.

პირველი ნოემბრის გაზეთი რომ აცხადებდა, ინდოეთმა საარტილერიო შეტევა განახორციელაო, ამ დროს ჩემი ცხვირის არხები კრიზისმა დაბლოკა. დედაჩემი ცხვირში სპეციალურ სითხეს მასხურებდა და ცხელ ინჰალაციას მიკეთებდა. თავზე საბანდაფარებულს ეს ცხელი ორთქლი უნდა შემესუნთქა. მაინც არაფერმა მიშველა. იმ დღეს მამამ ხელები გაშალა და მითხრა: მოდი, შვილო, მოდი და შენი სიყვარულის ნება მომეციო. ბედნიერებით აღტაცებული (ოპტიმიზმით ბოლოს მეც დავსნეულდი) მის ღიპში ჩავიმალე. მაგრამ, როცა ხელი გამიშვა, პერანგი ჩემი წვინტლით გაეთხუპნა. ამან საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი ბედი. იმავე დღეს დედა შეტევაზე გადავიდა და ტელეფონზე ვიღაცას დაურეკა. როცა ინდოეთმა საარტილერიო შტურმი განახორციელა, დედაჩემი თურმე ჩემს დაცემას გეგმავდა.

სანამ ცხოვრების უდაბნოში შესვლაზე მოგითხრობდეთ, მანამდე უნდა ვალიარო, რომ ჩემი მშობლები მოვატყუე. ისინი მერის აღსარების შემდეგ ნამდვილ შვილს ეძებდნენ, მაგრამ მარცხი განიცადეს, რაც მათი წარმოსახვის ნაკლებობას მივაწერე. ჯერ ერთი, უჩემოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინათ და მერე: გულში უნდა ჩაეკრათ ვიღაც უპატრონო ქუჩის ბავშვი, რომელმაც თერთმეტი წელი აქოთებულ ჯურღმულში გაატარა. თუმცა, მე უფრო ღირსეულ მოტივს ვამჯობინებ: მიუხედავად ჩემი კიტრივით ცხვირისა, ბერივით მოტვლეპილი თავისა, მოღუნული ფეხებისა, რქიანი საფეთქლებისა, მოჭრილი თითისა, ლაქებიანი სახისა, დაყრუებული მარცხენა ყურისა (მგონი ეს არ იცოდნენ) და მერი პერეირას აღიარებისა — მიუხედავად ამ ყველაფრისა, მგონი, ჩემს მშობლებს მაინც ვუყვარდი. ისევ ჩემს საიდუმლო სამყაროში გადავსახლდი, რადგან მათი სიძულვილისა მეშინოდა. ვერც კი ვხვდებოდი, რომ სიყვარული სისხლით ნათესაურ კავშირზე მაღლა დგას. დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც 1962 წლის 21 ნოემბერს ჩემმა მშობლებმა ჩაიდინეს, ალბათ სიყვარულმა უკარნახა. გამანადგურეს იმიტომ, რომ ორივეს ძალიან ვუყვარდი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

20 ნოემბრის დღე საშინელი იყო, ღამე კი — უარესი... ექვსი დღით ადრე, ნერუ სამოცდაცამეტი წლის რომ გახდა, ინდოეთის არმიამ ჩინეთის არმიას ველონგთან შეუტია. ეს ამბავი რადიოსა და პრესაში გავრცელდა და მეთვოლდის მამულამდე მოაღწია. „ნიუ დელი პანიკაშია, ინდოეთის არმია მარცხდება!“ — წერდა გაზეთი. მთელი ოჯახი შევგროვდით რადიოს ირგვლივ, რომელიც ღმერთისა და ჩინეთის შიშს გვინერგავდა. მაშინ მამამ დედას უთხრა, ცოლო, ამ ქვეყნის საქმე დამთავრებულიაო. საღამოს გაზეთი აცხადებდა, რომ ოპტიმიზმის ეპიდემია შეწყდა და ერი სულიერად ეცემოდა. ოპტიმიზმთან ერთად ერს სხვა რამეც ამოეწურა.

დასაძინებლად ისე დავწექი, რომ თავი ჩინელებით, თოფებითა და ტანკებით მქონდა სავსე... მაგრამ შუაღამისას თავი დამეცალა, რადგან კონფერენციას არ შევუწუხებივარ. შუაღამის შვილებიდან მხოლოდ ჯადოქარ პარვათის სურდა ჩემთან საუბარი და ჩვენ, როგორც ნასიიხვი იტყოდა, ამ სამყაროს დასასრულს, ჩუმად საუბრის მეტი არაფერი შეგვეძლო.

სხვა მიწიერი დაცლაც მოხდა: ბაკრა ნანგალის ჰიდროელექტროკაშხალს ბზარი აღმოაჩნდა და უზარმაზარი რეზერვუარი დაიწრიტა... ნარლიკარის ქალებს ერის მარცხმა სიხარბე ვერ დააკარგვინა და მიწას ახლა ზღვასაც აცლიდნენ... მაგრამ ნამდვილი დაცლა მეორე დილით მოხდა, მე რომ მეგონა, რომ ბოლოს და ბოლოს, საქმე კარგად შემოტრიალდებოდა... დილით ხომ სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ: ჩინეთმა შეტევაზე გადმოსვლა შეწყვიტა. ჰიმალაის მთები ეპყრათ და, ეტყობა, ამითაც კმაყოფილი იყვნენ. „ცეცხლი შეწყდა!“ — აცხადებდა გაზეთი და დედაჩემს სიხარულისგან კინაღამ გული წაუვიდა (თითქოს გენერალი ქაული ტყვედ აიყვანეს. ინდოეთის პრეზიდენტმა, რადჰაკრიშნანმა,[1] ასეთი კომენტარი გააკეთა: სამწუხაროდ, ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერებაო).

დახშული ცხვირისა და ცრემლმდენი თვალების მიუხედავად, თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მერე რა, რომ კონფერენცია მოიშალა. ვიგრძენი, რომ ბუკინგემის სახლში სიხარულის ახალმა სხივმა შემოაღწია. დედამ გვითხრა, ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ და პიკნიკი მოვაწყოთო. 21 ნოემბრის დილა იყო. დედას სანდვიჩების მომზადებაში დავეხმარეთ. „როვერით“ წავედით და მაღაზიიდან ცივი სასმელები წა-

[1] *რადჰაკრიშნანი, სარვეპალი (1888-1975) — ინდოელი ფილოსოფოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ინდოეთის პრეზიდენტი 1962-1967 წლებში.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოვიღეთ. მშობლები წინ ისხდნენ. ჩვენ, ბავშვები — უკან. ჯამილამ სიმღერა წამოიწყო.

ცხვირში ვიკითხე, სად მივდივართ-მეთქი. დედამ მითხრა, სიურპრიზია, მოიცადე და ნახავო. ქუჩები მოზეიმე ხალხით იყო სავსე. ჩვენ სანაპიროზე არ მივდივართ-მეთქი, ვთქვი. ჰო, სადღაც უნდა შევიაროთ და მერეო.

ტელეგრამით გამომიძახეს, რადიომ შემაშინა, ტელეფონმა ჩემი დაცემის თარიღი დაგეგმა... მშობლებმა მომატყუეს.

...კარნაკ-როუდზე ერთ უცხო, ჩამონგრეულ, ფანჯრებდახშულ შენობასთან გავჩერდით. მოდიხარ, შვილო? — მკითხა აჰმედ სინაიმ და მანქანიდან გადმოვიდა. მეც ამაყად გავყევი. შესასვლელის კარზე წერია: „ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა“. უცებ აღვშფოთდი. ეს რა არის, მამა, აქ რატომ მოვედით... მამამ ხელი მომკიდა. მერე თეთრხალათიანი კაცი და მედდებიც გამოჩნდნენ. „აჰ, ეს ბავშვია სალემი? ძალიან კარგი“, მე კი აჰმედს ვეკითხები: აბა, პიკნიკი-მეთქი? მაგრამ ექიმებმა ხელი ჩამავლეს და მიმათრევენ. მამაჩემი უკან ჩამოგვრჩა. „დიდი ხანი არ დასჭირდება, ბატონო სინაი. რა კარგია, ომი რომ დამთავრდა, არა?“ მერე ექთანი ამბობს: „ჩავაცვათ და საანესთეზიოში შევიყვანოთ“.

მომატყუეს, პადმა! პიკნიკით მოვტყუვდი! არა, არა-მეთქი, ვყვიროდი. უკვე დიდი ბიჭი ხარ და ნუ გვეწინააღმდეგებიო. მახსოვს, როგორ ვფართხალებდი. მედდები მაკავებდნენ. ერთმა ექთანმა ისიც კი თქვა, ასეთი ბავშვის მნახველი არა ვარო. მერე რაღაც სითხემ ცხვირის სიღრმეში შეაღწია.

ის, რაც სარეცხის კარადაში დაიწყო, საოპერაციო მაგიდაზე დასრულდა. ექიმმა დამამშვიდა: არ გეტკინება, საერთოდ ვერაფერს გაიგებ, პოლიპების ამოჭრა გლანდების ოპერაციაზე იოლიაო. მე მაინც ვყვიროდი, არ მინდა-მეთქი. „ახლა ამ ნიღაბს დაგაფარებ და ათამდე დაითვალე“, — მითხრა ექიმმა.

რიცხვებმა მარშირება დაიწყეს: ერთი, ორი, სამი...

რაღაც აირის სისინი მესმის. რიცხვებმა გამტეხეს: ოთხი, ხუთი, ექვსი. სახეები ნისლში ირევიან. მგზნებარე რიცხვები თავად ითვლიან: შვიდი, რვა, ცხრა. მე მგონი, ვტირი.

ათი!

„ღმერთო ჩემო, ბიჭი ისევ ფხიზლობს, რა უცნაურია, კიდევ ერთი ვცადოთ. სალემ, გესმის ჩემი?“ ვერ დამიჭირეს. რიცხვების ბრბო



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავში ფუთფუთებს. მათი მეთაური ვარ. ისევ ითვლიან: თერთმეტი, თორმეტი...

ისინი არ გამიშვებენ, სანამ... ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი... ო, ღმერთო, ო, ღმერთო, ნისლი თავბრუს მახვევს და მიმარწევს უკან, უკან, უკან... თექვსმეტი... ომისა და საწიწაკეების წარსულში... ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი...

ო...

იყო სარეცხის კარადა და ბიჭი, რომელიც ცხვირში სრუტუნებდა. ერთხელ იმ კარადიდან დედამისის შავი მანგო დაინახა. ხმები მოსვენებას არ აძლევდნენ. ეს მთავარანგელოზთა ხმა არ ყოფილა. ალიყურმა მარცხენა ყური დაუყრუა. კიდევ იყო ის, რაც სიცხეში კარგად მწიფს: ფანტაზია, მგრძნობიარობა და ვნება. საათიან კოშკს თავისი ლტოლვილი ჰყავდა, სკოლას — თავისი თაღლითი. სიყვარულმა ველოსიპედის ავარია გამოიწვია. რქიანი საფეთქლები საფეთქლის ღრმულებში ჩაჯდა. ხუთას ოთხმოცდაერთი ბავშვი მესტუმრა. ეს ბავშვები, შესაძლოა, თავისუფლების იმედის განსხეულება იყო, ანდა სულაც უცნაურობა, რომელიც უნდა განადგურდეს. ჯადოქარი პარვათი — ჩემი ერთგული იყო, ხოლო შივა ცხოვრების წესად იქცა. მიზნის საკითხი დადგა. იდეებსა და ნივთებს შორის დებატი გაიმართა. იყო მუხლები და ცხვირი. ცხვირი და მუხლები.

კამათი დაიწყო და უფროსების სამყარომ ბავშვების სამყაროში შეაღწია. იყო ეგოიზმი, სნობიზმი და სიძულვილი. მესამე პრინციპის არსებობა შეუძლებლად მოინათლა. არარაობისა და სიცარიელის შიში გაიზარდა. ხუთას ოთხმოცდაერთი ბავშვის მიზანი მათ განადგურებაში თვლემდა. ისინი იმისთვის მოვიდნენ, რომ ბოლოს არარაობად ქცეულიყვნენ. ამიტომ წინასწარმეტყველება უგულებელყვეს.

იყო აღიარება და გონების ჩარაზვა. იყო სახლიდან გაძევება და ოთხი წლის შემდეგ დაბრუნება. იყო საეჭვო წარმომავლობა, ათ თვლაში უკანსვლა... დაბოლოს, ერთი ხმალა შემორჩა. მაგრამ ოპტიმიზმი იყო და იყო... იმან, რაც საერთო გვქონდა, დასძლია ის, რამაც გაგვყარა.

და შემდეგ:

ბნელ ოთახში ვიღვიძებ. ირგვლივ სიჩუმეა. ვერაფერს ვხედავ (დასანახიც არაფერია).



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემშიც სიჩუმეა. კავშირი (სამუდამოდ) გაწყდა. არაფერი მესმის (მოსასმენიც არაფერია).

ირგვლივ სიჩუმის უდაბნოა. ცხვირი თავისუფლად სუნთქავს ჰაერს. ჰაერი ვანდალივით აღწევს ცხვირის სიღრმეებში.

დავცარიელდი.

(ალბათ კარგია).

ო, ამოღერღე, ამოღერღე! ოპერაციის მიზანი ცხვირის პოლიპებისგან გათავისუფლება იყო, მაგრამ იმ კავშირებისგანაც გამათავისუფლა, რომელიც სარეცხის კასრში აღმოვაჩინე. ოპერაციამ ტელეპათიური ნიჭისგანაც გამძარცვა და შუაღამის შვილებს ჩემამდე გზა მოუჭრა.

დასავლეთისგან განსხვავებით, სადაც სახელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ სახელთა მსხვერპლი ვართ, ის ჩვენი ბედისწერაა. სინაი — სუფიზმის[1] მიმდევარ იბნ სინასა და მთვარის უძველეს ღვთაებას, ჰადრამაუთს უკავშირდება, რომელიც შორიდან მართავს სამყაროს. სინ — ასევე ანბანის გველივით დაკლაკნილი ასოა. სახელში გველი იმალება. სინაი რომაულად აღსარებისა და ოქროს ხბორების ადგილს ნიშნავს. მაგრამ, როცა ეს ყოველივე ითქვა და შესრულდა: იბნ სინა დავიწყებას მიეცა, მთვარე ჩავიდა, გველები ჩაიმალნენ, ხოლო აღსარებათა დრო წავიდა. ახლა სინაი — ხრიოკ უდაბნოს, მტვერს, უნაყოფობასა და სიკვდილს განასახიერებს.

არაბეთის უდაბნოში წინასწარმეტყველი მუჰამედის გარდა სხვა წინასწარმეტყველნიც ქადაგებდნენ: მასლამა, რომელიც ბანუს ტომიდან იყო, ჰანიფა — იამამას ტომიდან, რომელიც არაბეთის შუაგულშია. ხალიდ იბნ სინანი, ჰანზალა იბნ საკანი და სხვები. მასლამას ღმერთი არ-რამანი იყო, რომელიც „მოწყალეს“ ნიშნავს. დღეს მაჰმადიანები არ-რამან ალაჰს, ანუ მოწყალე ალაჰს ლოცულობენ. ხალიდ იბნ სინანი აბსის ტომთან ქადაგებდა. მას ხალხი გაჰყვა, მაგრამ შემდეგ თავად დაიკარგა. წინასწარმეტყველთ ზოგჯერ ისტორია ყლაპავს. უდაბნო სავსე იყო სულის კაცებით.

„ცოლო, ამ ქვეყნის საქმე წასულია“, — იმეორებდა აჰმედ სინაი. ამინამ დაარწმუნა, პაკისტანში გადავსახლდეთო. მისი დები იქ იყვნენ

[1] *სუფიზმი (არაბ.) — მაჰმადიანობის მისტიკურ-ასკეტური მიმართულება, რომელიც VIII საუკუნეში წარმოიშვა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და დედაც მამის სიკვდილის შემდეგ იქ წავიდოდა. „თავიდან დავიწყოთ ყველაფერი. აქ, ამ ღმერთისგან მიტოვებულ აღმართზე რაღა დაგვრჩენია“, — უთხრა ამინამ ქმარს.

ასე რომ, ბოლოს ბუკინგემის სახლიც ნარლიკარის ქალებმა ჩაიგდეს ხელთ და ჩემი ოჯახი პაკისტანში გადავიდა. აჰმედ სინაის უკან მოსახედი აღარ დარჩა. ფულის გადარიცხვა მრავალეროვნული კომპანიების მეშვეობითაც შეიძლებოდა და მამამ ეს გზები იცოდა. მე კი სულაც არ მწყენია, რომ იმ ქვეყნიდან მივდიოდი, სადაც შივა ნაღმივით იყო ჩასაფრებული.

ბომბეი 1963 წლის თებერვალში დავტოვეთ. წასვლის დღეს ძველი გლობუსი ბაღში გავიტანე და კაქტუსებს შორის ჩავმარხე. გლობუსში იდო პრემიერ-მინისტრის წერილი და გაზეთის ნაგლეჯი, რომელზეც ჩემი ფოტო აღებეჭდათ სათაურით: „შუაღამის შვილი“... ეს ჩვეულებრივი ნივთები, რომელსაც წმინდა რელიკვიას ვერ შევადარებ, ჩემს წარსულს ინახავდა. მხოლოდ ვერცხლის კასრიღა აკლდა. წარსულს განასახიერებდა ასევე წმინდა წიგნი სიკეთისა და ბოროტებისა. რაც უნდა იყოს, ისტორიაც ეს არის.

...როცა ისევ იმ გემზე მოვხვდით, „საბარმათი“ რომ ერქვა, შაფსტეკერი გამახსენდა. ნეტავ თუ უთხრა ვინმემ, პაკისტანში რომ მივდიოდით. კითხვა ვერ გავბედე, შემეშინდა, — არაო — არ ეთქვათ. წარმოვიდგინე, ნარლიკარის ქალები როგორ ანგრევდნენ ჩვენს სახლს: მამაჩემის კაბინეტს, ჩემს ლურჯ საძინებელს, მსახურთა კიბეს, საშზარეულოს, რომელშიც მერი შიშნარევ კერძებს გვიმზადებდა, და ვერანდას, სადაც ოდესღაც ორსული დედაჩემი იჯდა ხოლმე. წარმოვიდგინე, როგორ ინგრეოდა შაფსტეკერის ოთახი, სადაც ფერმკრთალი მოხუცი გველივით ენას ასარსალებდა. ბებერი, დამჭკნარი შაფსტეკერი, რომელიც მთელი ცხოვრება სიბნელეში იჯდა, ახლა, ალბათ, მზის გულზე კვდებოდა. მგონი ვაჭარბებ და ეს სიუჟეტი იმ ფილმიდან მახსოვს, „დაკარგული ჰორიზონტი“ რომ ერქვა. იქ ლამაზი ქალები მაშინვე ჭკნებოდნენ და იღუპებოდნენ, როგორც კი შანგრი-ლას ტოვებდნენ.

კიბე გველის საპირწონეა და გველი — კიბისა. 9 თებერვალს კარაჩიში ჩავედით. სულ რამდენიმე თვეში ჩემმა დამ მომღერლის სახელი გაითქვა. „პაკისტანის ანგელოზი“ და „მომღერალი ბულბული“ შეარქვეს. და კიდევ ერთი: მართალია, ისე დამაცარიელეს, რომ ხმები



www.PDF.ChiaturaINFO.GE

არც ახლა მესმოდა და ვერც ვერასოდეს გავიგონებდი, მაგრამ სამაგიეროდ, ცხოვრებაში პირველად, და ჩემდა გასაოცრად, ყნოსვის შეგრძნებით დავსაჩუქრდი.

## მომღერალი ჯამილა

ბოძებული ნიჭის წყალობით ჩემი შინაბერა დეიდის, ალიას პირფერობაც ვიყნოსე, კარაჩის ნავსადგურში რომ დაგვხვდა. დედამ რომ შეყვარებული თვალსა და ხელს შუა ააცალა, ვერაფრით დაივიწყა. ბოღმამ და შურმა ძალიან გაასუქა და კანი შავი თმით დაეფარა. თუმცა ხელები გაშალა, ჩვენკენ გამოიქცა და იყვირა: აჰმედ, ძმაო, როგორც იქნა, ჩამოხვედით, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, — თავის ობობასქსელისებრ სტუმართმოყვარეობაში მაინც გაგვახვია. ბავშვობაში ის ტანსაცმელი მეცვა, დეიდა ალია რომ მიგზავნიდა და რომელშიც მისი სიძულვილი იყო ჩაბუდებული. ამიტომ ახლაც იოლად ვიცანი ის შურისმაძიებელი სუნი, დეიდას გლანდები რომ გამოსცემდნენ. უძლური ვიყავი პროტესტი გამომეთქვა. მანქანაში ტყვეებივით ჩაგვსხა და თავის სახლში წაგვიყვანა. ძალიან სასაცილოები ვიყავით, რადგან ტყვეობა გვიხაროდა.

...ღმერთო, სუნის რა შეგრძნება მქონდა! ზოგ ჩვენგანს დაბადებიდან დაჰყვება ხოლმე ფაქიზი ყნოსვა. მე მთელი ცხოვრება ყნოსვა არ მქონია და ამიტომ მის აკრძალულ სფეროებსაც არ ვიცნობდი. ვინმე რომ ჰაერს გააფუჭებდა, ვერაფერს ვგრძნობდი, რაც მშობლების შეშფოთებას იწვევდა. იმ დღიდან, ყნოსვის შეგრძნება რომ მომეცა, მიწიერ საიდუმლო სუნებს გავეცანი. გავიგე სიყვარულის სურნელი როგორია, ან როგორ ყარს სიძულვილი („წმინდა მიწაზე“ მოხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ გავიგე დის სიყვარულს რა სუნი ჰქონია. დეიდაჩემის გულში გაღვივებული შურისძიების კვამლი იმთავითვე ნესტოებში მეცა). ცხვირი ცოდნას გიბოძებთ, მაგრამ ცხვირს ზევით ძალა არ არის. პაკისტანში ცხვირით შეიარაღებული შევიჭერი და ჭეშმარიტება მოვინადირე. ჰაერში დატრიალებული ამბებიც ვიყნოსე, თუმცა ჩემი მტრების დაპყრობა არ ძალმიძდა.

როდი უარვყოფ: კარაჩის ვერ ვაპატიე, რომ ბომბეი არ იყო. უდაბნოსა და გრილი, მლაშე ყურეს ნაპირებზე დაგვალული მანგოს ხეები იზრდებოდა. ეს ახალი ქალაქი ისეთი გონჯი იყო, რომ იმასთან შედა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რებით ჩემი სიგონჯე მიმიქარავს. 1947 წლიდან მოსახლეობა გაოთხმაგდა და ქალაქმა გიგანტური ჯუჯის სიმახინჯე შეიძინა. თექვსმეტი წლის რომ გავხდი, მოტოსკუტერი მაჩუქეს. უფანჯრებო სკუტერით ქალაქის ქუჩებში დავდიოდი და ჯურღმულში მცხოვრები მათხოვრების უმწეობასა და მდიდართა თვითკმაყოფილებას ვისრუტავდი. სიღატაკისა და ფანატიზმის ყნოსვა მომდიოდა. სუნის რელსებს მიწისქვეშეთში თაი ბიბისთან ჩავყავდი, რომელიც ყველაზე ბებერი მეძავი იყო მთელ მსოფლიოში... ალიას სახლი კარაჩის შუაგულში, კლეიტონ-როუდზე იდგა (ალბათ ამ სახლში ეულ მოჩვენებასავით დადიოდა წლების განმავლობაში). სახლს მეჩეთის მინარეთის ჩრდილი ისე ადგა თავს, თითქოს დანაშაულზე წაასწროო. წლების შემდეგ ჯადოქართა საცხოვრებელში სხვა მეჩეთის ჩრდილქვეშ ვცხოვრობდი. ეს ჩრდილი რაღაც დროით მაინც უწყინარი იყო, მაგრამ დეიდაჩემის სუნი იქაც მცემდა. დეიდა ხელსაყრელ დროს უცდიდა და როცა ეს დრო დაუდგა, გამანადგურებლად იძია შური.

კარაჩი მირაჟების ქალაქი იყო. უდაბნოს გავლენა ვერა და ვერ მოიშორა. ელფინსთოუნ სთრითის ასფალტზე ოაზისი ანათებდა. შავი ხიდის ირგვლივ სასტუმროები იყო. ამ ქალაქში წვიმა არ მოდიოდა (ის ერთ დროს მეთევზეთა სოფელი ყოფილა). ჩასაფრებული უდაბნო ქალაქს მოჩვენებებს უგზავნიდა. კარაჩელების ხელში რეალობა თევზივით სხმარტალებდა, ამიტომ რჩევისთვის თავიანთ ლიდერებს მიმართავდნენ, რათა რეალობა და მირაჟი ერთმანეთისგან გაერჩიათ. ძველ მეფეთა აჩრდილებისა და ქალაქის უძველესი სახელწოდების: „მორჩილების“ ჯადოს ქვეშ მოქცეულ მოქალაქეთა ფორები ოთახის ორთქლში მოხარშულ სუნს გამოსცემდნენ, რომელიც უსიტყვო თანხმობას მოასწავებდა და რომელიც ჩემთვის დეპრესიის მომგვრელი იყო. ჩემი ცხვირი ხომ მოურიგებელი ბომბეის სანელებლების სუნს მიეჩვია.

როგორც კი ჩავედით, მამაჩემმა ახალი სახლის აშენება გადაწყვიტა. ალბათ მეჩეთის ჩრდილმა მასზეც იმოქმედა. ახალ სამშენებლო ზონაში მიწის ნაკვეთი იყიდა. თექვსმეტის რომ გავხდი, ჭიპლარის ჯადოსნური ძალა შევიგრძენი.

მამაჩემს თექვსმეტი წელი ჰქონდა ჭიპლარი მარილწყალში დაკონსერვებული. საბოლოოდ ეს ჭიპლარი კარაჩის მიწაში დავმარხეთ. ის, რაც ერთ დროს საშვილოსნოში თესავდა სიცოცხლეს, ახლა დედამიწა აავსო სიცოცხლის ძალით და სული შთაბერა ამერიკული სტილის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თანამედროვე ბუნგალოს... მაშ ასე, თექვსმეტის რომ გავხვდი, ჩემი ოჯახი (დეიდა ალიას ჩათვლით) კორანგი-როუდის მიწის ნაკვეთზე შეიკრიბა. იქვე იყვნენ მუშები და ერთი წვერიანი მოლა. აჰმედმა წერაქვი გამომიწოდა და მეც საზეიმოდ დავკარი მიწას. „თავიდან ვიწყებთ, ალაჰ! ყველანი თითქოს თავიდან ვიბადებით“, — თქვა ამინამ და მისი სიტყვებით წაქეზებულმა მუშამ ჩემი წერაქვის დანაკრავი მიწა გააფართოვა. ჭიპლარიანი ქილა მოიტანეს და მარილწყალი მწყურვალ მიწაზე დააქციეს. ჭიპლარი მოლამ დალოცა (ოღონდ ჩემი ჭიპლარი იყო თუ შივასი — ეს აღარ ვიცი) და საძირკველში ჩამარხეს. ჩამარხეს და სახლიც ელვის სისწრაფით აშენდა. ვიდღესასწაულეთ. მოლას საოცარი მადა აღმოაჩნდა. აჰმედ სინაის ერთხელაც არ დაუწუწუნია ხარჯებზე. ჩამარხული ჭიპლარის სულმა მუშების შთაგონება გამოიწვია და თუმცა საძირკველი ღრმად გათხარეს, სახლი იქამდე წაექცათ, სანამ შიგ შევიდოდით.

და აი, რა ვივარაუდე: ჭიპლარებს სახლის აშენების ძალა უდავოდ შესწევთ, მაგრამ ზოგი მათგანი უფრო სუსტია და ზოგი — უფრო ძლიერი. თვითონ ქალაქი კარაჩიც ამტკიცებს ჩემს ნათქვამს: ამ ქალაქში, რომელიც შეუფერებელ ჭიპლარებზეა აგებული, სახლები დეფორმირებულია: კუზიან და გალეულ ბავშვებს ჰგვანან. თითქოს ბრმები არიანო — ფანჯრებიც არ უჩანთ. ჰოდა, ეს გიჟურად აკონწიალებული სახლები რეგულარული მონოტონურობით ბარბაცებენ და მთვრალებივით ეცემიან ძირს. საცხოვრებლად შეუფერებლობის ხარისხს მხოლოდ მათი სიმახინჯე აღემატება. ქალაქმა უდაბნოს გაუსწრო და ჩააბნელა. არ ვიცი, ჭიპლარების ბრალი იყო თუ ხრიოკი მიწისა, მაგრამ გროტესკული სახე კი მიიღო.

თვალდახუჭული ვყნოსავდი სევდასა და სიხარულს, ინტელექტსა და უტვინობას. კარაჩიში კი მივხვდი, რომ ბავშვობა უკან მოვიტოვე. ბედი ტკივილებს გვიმზადებდა. სიცარიელემ ჩემი შინაგანი ცხოვრება განსაზღვრა. კავშირის შეგრძნება არ დამცარიელებია.

პაკისტანში ზემგრძნობიარე ცხვირით შეიარაღებული შევედი. მაგრამ არასწორი გზით შევსულვარ! ჩრდილოეთიდან წარმატებას მივაღწევდი. თანაც ზღვიდან კი არა, ხმელეთიდან უნდა შემეტია. მე სულელმა კი, ისტორიის ქარის საწინააღმდეგოდ ვიფრინე და კარაჩის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ზღვიდან მივადექი. რაც მოვიმკე, წესით, არ უნდა გამკვირვებოდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩრდილოეთიდან დაშვების უპირატესობა თვალნათელია. უმაიადის გენერლები, ჰაჯაჯ ბინ უსუფი, მუჰამედ ქაზიმი და ისმაილების ოჯახი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ („თაფლობისთვის ბუდე", სადაც თურმე ალი-ხანი და რიტა ჰეივორთი[1] დროებით ცხოვრობდნენ, ჩვენს ჭიპლარიან მიწას გადმოჰყურებდა. ხმები დადიოდა, რომ კინოვარსკვლავმა ქალმა სკანდალი გამოიწვია იმით, რომ შენობის სარდაფებში გამჭვირვალე ჰოლივუდური სამოსით დადიოდა). ჩრდილოეთის მხარე უცილობელი უპირატესობით ლიდერობს. მაჰმუდ ღაზნევი[2] ჩრდილოეთიდან დაეშვა ინდუსთა ველზე და მოიტანა ენა, რომელშიც ასო ს-ს არანაკლებ სამი ფორმა იყო. სე, სინი და სვოდი ჩრდილოეთიდან შემოვიდნენ. მუჰამედ ბინ გურიმ ღაზნავიდები ჩამოაგდო და დელის სახალიფო დააარსა. მერე გურის შვილი სამხრეთისკენ დაიძრა.

თუღლაკები, დიდი მოგოლების იმპერატორები... მაგრამ მე ჩემი სათქმელი ვთქვი. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ იდეები არმიებივით მიემართებოდნენ სამხრეთისკენ. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ქაშმირელმა ხატმებრძოლმა სიკანდარ ბუთშიკანმა XIV საუკუნის ბოლოს ყველა ჰინდუური ტაძარი დაანგრია ამ ხეობაში (და პრეცედენტს ბაბუაჩემისთვის ჩაუყარა საფუძველი). მთებიდან მდინარეებისკენ დაიძრა. ხუთი საუკუნის შემდეგ მუჯაჰიდი სიდ აჰმად ბარილვიც მის კვალს დაადგა. ბარილვი ასკეტი იყო, სძულდა ინდუსები და წმინდა ომის შესახებ ქადაგებდა... მეფეები და ფილოსოფოსები საპირისპირო მხრიდან მოვიდნენ.

სალემის მშობლებმა თქვეს, ჩვენ ახალი ხალხი უნდა გავხდეთო. წმინდა ქვეყანაში სიწმინდე ჩვენს იდეალად იქცა, მაგრამ სალემი სამუდამოდ ბომბეელად დარჩა. ალაჰის გარდა, მის თავში უამრავი რელიგია ირეოდა (პირველი ინდოელი მუსლიმების, ვაჭარი მალაბარელი მოპლასების მსგავსად, მეც ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრე, სადაც მოსახლეობის რაოდენობას ღმერთების რაოდენობა აღემატებოდა. ამიტომ, ჩემმა ოჯახმა ღვთაებათა ხროვას კლაუსტროფობიული შიშის გამო შინაგანი პროტესტი გამოუცხადა და რწმენის მაგივრად ბიზნესს შეეუღლა); ჩემი სხეული არაწმინდა ლაქებით იყო დაფარუ-

---

[1] *ჰეივორთი, რიტა (1918-1987) —ამერიკელი მსახიობი, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა 1940-იან წლებში, როგორც ეპოქის სექსსიმბოლომ.*

[2] *მაჰმუდ ღაზნევი (971-1030) — ძველი (09711002) შუაზიური სახელმწიფოს, ღაზნევიდების ამირა და ფადიშაჰი, რომელმაც 17-ჯერ დალაშქრა ჩრდილოეთი ინდოეთი. (09711002)*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი და მოპლას ტომიკით ნორმიდან ამოვარდნილი. თუმცა ბოლოს სიწმინდემ თავად მომძებნა და ცოდვებისგან განვიწმინდე.

დეიდა ალიას კოლეჯში ისტორიას ვსწავლობდი, მაგრამ ამ ქვეყანაში უშუალამისშვილებოდ დარჩენილი თავს სწავლის დროსაც კი უცხოდ ვგრძნობდი. ჩემი კლასელები უფრო მკაცრ, ისლამურ საზოგადოებას მოითხოვდნენ და ამით პარადოქსულად დაუპირისპირდნენ სტუდენტის ცნებას, რომელიც, ჩვეულებრივ, წესების გამკაცრებას კი არა — შერბილებას მოითხოვს. ჩემმა მშობლებმა საძირკვლის ჩაყრა გადაწყვიტეს. აიუბ-ხანი და ბჰუტო[1] ჩინეთთან ალიანსის მომხრენი იყვნენ (ჩინეთს ხომ ახლახან ვებრძოდით). აჰმედმა და ამინამ მშენებარე სახლის შესახებ ყოველგვარი უარყოფითი აზრი უკუაგდეს. მამაჩემმა პირსახოცების ქარხანა იყიდა.

ჩემს მშობლებს თვალები უბრწყინავდათ. დედა დანაშაულის გრძნობამ მიატოვა. ფეხებიც მოუშუშდა. აჰმედს კი გაყინული ქვედანაწილი ცოლის სიყვარულმა გაუთბო. ამინას ზოგჯერ, დილაობით ყელზე კბილების კვალი ემჩნეოდა. თავშეუკავებლად გადაიხითხითებდა ხოლმე პატარა გოგოსავით. „თაფლობისთვე გაქვთ, თუ რა ხდება?“ — ეკითხებოდა ალია. ამ ვითომ მეგობრული ნათქვამის უკან ვიცოდი, რაც იმალებოდა... აჰმედმა პირსახოცები ამინას ბრენდით გამოუშვა.

„ვინ არიან ეს მულტიმილიონერი დავუდები, საიგოლები, ჰარუნები?“ — აჰმედი მდიდარ ოჯახებს სიცილით იხსენებდა, „ვინ არიან ვალიკები და ზულფიკარები? ეგენი ერთ ლუკმად არ მეყოფიან, დამაცადეთ! ორ წელიწადში ამინას ბრენდს მთელი მსოფლიო მოიხმარს! დავუდები და ზულფიკარები შემეხვეწებიან, რომ საიდუმლო გავანდო. მე ვეტყვი, რომ პირსახოცები მაღალი ხარისხისაა, მაგრამ საიდუმლო ფირმას არ ეკუთვნის, ყველაფერი სიყვარულმა შეასრულა-მეთქი“ (ეტყობა, მამაჩემმა ოპტიმიზმის ვირუსი ვერ მოიშორა).

ნამდვილად ახდა თუ არა აჰმედის სიტყვები? დაიპყრო თუ არა ამინას ბრენდის პირსახოცმა მთელი მსოფლიო? ვალიკასები და საიგოლები შეეხვეწნენ თუ არა აჰმედს, ვიღუპებით, ვკოტრდებით და არიქა, გვიშველე, შენი საიდუმლო გაგვანდეო? აჰმედის მიერ გამოშვებულ ჭრელაჭრელა (თუმცა სიყვარულისგან შექმნილი) პირსახოცებს რა

[1] *აქ იგულისხმება ზულფიკარ ალი ბჰუტო (1928-1979) — პაკისტანის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ქვეყნის მეცხრე პრემიერ-მინისტრი (1973-1977), ბენაზირ ბჰუტოს მამა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბედი ეწიათ სინამდვილეში? რუსები, ინგლისელები და ამერიკელებიც გაეხვივნენ თუ არა დედაჩემის უკვდავ სახელში?.. ამინას ბრენდის ამბავი ცოტას მოიცდის, რადგან ახლა მომღერალი ჯამილას კარიერა ფრთებს შლის და კლინტონ-როუდის სახლში ძია პაფი გვესტუმრა.

ნამდვილად ალადინ ლატიფი ერქვა (გადამდგარი მაიორი იყო). ჩემი დის საოცარი ხმის შესახებ ჩემი ძვირფასი მეგობრის ზულფიკარისგან შეიტყო. 1947-ში მასთან ერთად საზღვარზე პატრულირებდა. ალიას სახლში სახეგაბრწყინებული მოვიდა. ღიმილმა ოქროს კბილები გამოუჩინა. ჩვენი ბრწყინვალე პრეზიდენტივით მეც ერთი უბრალო კაცი ვარო, გვითხრა. ჩვენი ბრწყინვალე პრეზიდენტივით მაიორსაც საოცრად მრგვალი თავი ჰქონდა, მაგრამ აიუბ-ხანისგან განსხვავებით, ლატიფმა არმია მიატოვა და შოუბიზნესის წევრად იქცა. ლატიფი ჩემი დის მოსასმენად მოვიდა. „თუ ორი პროცენტით მაინც გაამართლებს იმას, რასაც მასზე მიყვებიან, მაშინ ცნობილს გავხდი. კონტაქტები და კარგი ორგანიზება — აი, რა არის ამისთვის საჭირო“ და ლატიფმა აპმედ სინაის ოქროს ღიმილით გაუღიმა. „მე ალადინი მქვია, ძველ ლამპარს თავს ვხსნი. ჯინს სახელი და სიმდიდრე მოაქვს. შენს გოგონას ძალიან გაუმართლა, ძალიან!“

კიდევ კარგი, რომ აპმედი შეყვარებული და ბედნიერი იყო და მაიორ ლატიფს უარი ვერ უთხრა. შესაძლოა, ჩემი მშობლები იმასაც ფიქრობდნენ, რომ მათი ქალიშვილის ნიჭი მარტო მათ არ ეკუთვნოდათ. ჯამილას ნიჭმა და ჯადოსნურმა ხმამ თავისი ქნა. თუმცა აპმედს ერთი რამ აწუხებდა: „ჩვენი ქალიშვილი კარგი ოჯახიშვილია და თქვენ მას სცენაზე აიყვანთ, სადაც უამრავი თვალი უნდა მიაშტერდეს?“ მაიორი შეურაცხყოფილი დარჩა. „თქვენ, რა, გგონიათ, მე არ მყავს შვილები? შვიდი ქალიშვილის მამა ვარ, მეგობარო! ტურისტული სააგენტო გავხსენი მათთვის და იქ მუშაობენ. ტელეფონის ზარებს პასუხობენ. ოფისის ფანჯარაშიც არ ჩანან. ყველაზე მსხვილი ტურისტული სააგენტოა. მატარებლისა და ავტობუსის მძღოლებს ინგლისში ვგზავნით. ჩემი მიზანი ისაა, რომ თქვენს ქალიშვილს ჩემი ქალიშვილებივით პატივს სცემდნენ. მეტიც: ვარსკვლავად ვაქცევ!“

მაიორ ლატიფის ქალიშვილები: „საფია, რაფია და კიდევ სხვა — ფიები ჩემმა დამ (ოღონდ უფრო მეტად მანქიმ, ვიდრე ჯამილამ) ხუმრობით პაფიებად მონათლა. მაირს მამაპაფია, ან ძია პაფი შეარქვა. პაფიმ სიტყვა შეასრულა: ექვს თვეში ჯამილა ვარსკვლავად იქცა და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თაყვანისმცემელთა არმია გაუჩნდა. ეს ყველაფერი დაფარული სახით შეძლო.

ძია პაფი ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცა. ყოველ საღამოს მოდიოდა, რომ ბროწეულის წვენი დაელია და ჯამილასთვის ეთხოვა, რამე მიმღერეო. მისმა ხშირმა სტუმრობამ კოქტეილის საათი გამახსენა... ყელს ჩაიწმენდდა ხოლმე და მეხუმრებოდა, ცოლის მოყვანას როდის აპირებო. ოცდაოთხკარატიანი ღიმილით მაბრმავებდა. „დროა ცოლი მოიყვანო, ახალგაზრდავ; გირჩევ, ჭკვიანი და შეუხედავი შეარჩიე. კარგი მეგობარიც იქნება შენთვის და განძის ზარდახშაც“. ძია პაფის ქალიშვილები, როგორც თავად ამბობდა, ზუსტად ასეთები იყვნენ... ვხვდებოდი, რომ არ ხუმრობდა და უხერხულობისგან შეცბუნებული შევძახებდი ხოლმე: „კარგი, რა, ძია პაფ!“ მან იცოდა თავისი მეტსახელი და მოსწონდა კიდეც. ხელს ბარძაყზე დამკრავდა და იტყოდა: „ჯიუტობ არა? ძალიან კარგი, ჩემო ბიჭო, შენ ერთ-ერთი ჩემი ქალიშვილი შეირთე და გარანტიას გაძლევ, რომ ყველა კბილს ოქროსას ჩავუსვამ. ასე რომ, მილიონდოლარიანი ღიმილი მზითევში შეგხვდება!“ ამაზე დედაჩემი საუბრის თემას შეცვლიდა ხოლმე. მას არ მოსწონდა ძია პაფის იდეა, მიუხედავად ოქროს კბილებისა. იმ დღეს ჯამილამ ისე იმღერა, რომ გარეთ მანქანების მოძრაობა შეწყდა. ჩიტებს იმ ხმის გაგონების შემდეგ ჭიკჭიკისა შერცხვათ; ქუჩის მეორე მხარეს მაღაზიაში რადიო გამორთეს. ქუჩა ხალხით გაივსო, რომ ჯამილას ხმა მოესმინათ... ჩემმა დამ სიმღერა რომ დაასრულა, ძია პაფი ცხარე ცრემლებით ტიროდა.

„ნამდვილი განძი გყავთ, — ამოთქვა ცხვირსახოციდან, — თავს ვიხრი მისი ნიჭის წინაშე. თურმე ოქროს ხმა ოქროს კბილებზე აღმატებული ყოფილა!“

როცა მომღერალ ჯამილას სახელმა ისე დაიქუხა, რომ საქმე ქვეყნის მასშტაბით კონცერტის ჩატარებამდე მივიდა, მაშინ ძია პაფმა ჭორები გაავრცელა, რომ ჯამილა წლების წინ ავტოავარიაში მოხვდა და სახე დაუსახიჩრდა. მაიორმა ლატიფმა ჯამილასთვის თეთრი აბრეშუმის ჩადრი, პირსაბურავი ან, თუ გნებავთ, ფარდა შეაკერვინა, რომელსაც ოქროსფერი, რელიგიური ნაქარგები ამშვენებდა. ჯამილა ამ ფარდის უკან მოკრძალებით იჯდა პუბლიკის წინაშე და მღეროდა. ჩადრი ორ დაკუნთულ არსებას ეჭირა. ესენიც თავიდან ბოლომდე ჩადრში იყვნენ გახვეულნი. ამიტომ მათ სქესს ვერ გაარჩევდი. ფარდის შუაგულში მაიორმა რამდენიმე სანტიმეტრის მრგვალი ხვრე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი ამოაჭრევინა, რომლის ნაპირი ოქროს ძაფით მოაქარგვინა. ჩვენი ოჯახის ისტორია კიდევ ერთხელ იქცა ერის ბედისწერად. პაკისტანმა თხუთმეტი წლის გოგონა შეიყვარა, რომელსაც მხოლოდ გახვრეტილი ზეწრიდან ხედავდა.

ჭორმა ავტოკატასტროფის შესახებ კიდევ უფრო გაზარდა ჩემი დის პოპულარობა. ბამბინოს თეატრი კარაჩიში, შალიმარი ლაჰორში, ხალხით იყო გადაჭედილი, რომ მისი კონცერტი ენახათ. ჯამილა ერის სიმდიდრედ, პაკისტანის ანგელოზად და ბულბულად იქცა და იმდენი თაყვანისმცემელი გაუჩნდა, რომ კვირაში ათას ერთი კაცი ხელს სთხოვდა. ჯამილა — ერის საამაყო შვილი — ამასთან პოპულარობის მსხვერპლიც იყო, რადგან გავრცელებული ხმების გამო იძულებული გახდა ყველგან ჩადრით ევლო. სკოლაშიც კი. ბრმა ფანატიზმმა შეიპყრო, რაც ვარსკვლავებს ემართებათ ხოლმე. სახელმა ოქროს კარავში ჩაკეტა და ხასიათიც გამოუცვალა. ერის საამაყო შვილი უკვე თავის თავს აღარ ეკუთვნოდა.

პაკისტანის რადიო გამუდმებით აჟღერებდა ჯამილას ხმას. პაკისტანელი სოფლელები ჯამილას ზეადამიანად და დაუღალავ ანგელოზად წარმოიდგენდნენ, რომელიც დღედაღამ თავის ხალხს უმღეროდა. აჰმედ სინაის თუ ადრე მცირეოდენი ეჭვი მაინც ტანჯავდა თავისი ქალიშვილის კარიერისადმი, ახლა ეს ყოყმანი ჯამილას უზარმაზარმა ჰონორარებმა სრულიად გააქარწყლა და ჩემს დას ეუბნებოდა: ხომ ხედავ, შვილო: წესიერება, სიწმინდე, ხელოვნება და კარგი ბიზნესალღო ერთი და იგივეა. ბებერ მამაშენს ამის ჭკუა აღმოაჩნდაო. ჯამილა უღიმოდა და ეთანხმებოდა... ის ახლა ის ქალაბიჭა მანქი როდი იყო. ჯამილა ტანად, ოქროსფერკანიან ლამაზმანად იქცა. ოდნავ ელამი თვალები და საოცრად გრძელი თმა ჰქონდა. ცხვირიც კი კოხტად უჩანდა. ჩემს ქალიშვილს ჩემგან დაჰყვა ასეთი კეთილშობილი ნაკვთებიო, სიამაყით ამბობდა აჰმედ სინაი. ძია პაფი კითხვებით სავსე, უხერხულ მზერას მესროდა ხოლმე და მერე მამას ეტყოდა, ძალიან ლამაზი გოგონააო.

ჩემი დის კონცერტებზე დარბაზი ტაშით ინგრეოდა. ბამბინოს თეატრში (საუკეთესო ადგილებზე ძია პაფმა დაგვსვა. გვერდით შვიდი პაფია გვეჯდა, შვიდივე ჩადრში... ძია პაფმა ზურგში მომიკაკუნა: ბიჭო, ამოირჩიე! ძზითევი არ გინდაო? მე გავწითლდი და სცენას მივაშტერდი). ხალხის გაოცებული შეძახილები ზოგჯერ ჯამილას ხმას ფარავდა. წარმოდგენის შემდეგ ჯამილა ყვავილების ზღვაში ცურავდა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ჩვენც ძლივს ვახერხებდით მასთან ახლოს მისვლას. ჯამილას კინაღამ გული მისდიოდა არა დაღლილობისგან, არამედ იმ ყვავილებისა და სიყვარულისგან, ოთახს რომ ავსებდა. თავბრუ მეც მეხვეოდა. ძია პაფი კი ყვავილებს პირდაპირ ფანჯრიდან ყრიდა, სადაც ჯამილას ფანები იდგნენ და აგროვებდნენ. ძია პაფი კი უყვიროდა: „ყვავილები შესანიშნავია, დალახვროს ეშმაკმა, მაგრამ ადამიანს სუფთა ჰაერი სჭირდება!“

ჯამილა პრეზიდენტის სახლში მიიწვიეს, სადაც წიწაკის კასრის მეთაურისთვის უნდა ემღერა. უცხოურ ჟურნალებში გავრცელებულ ხმებს მითვისებული ფულისა და შვეიცარიული საბანკო ანგარიშების შესახებ ყურადღება არ მივაქციეთ და იქამდე ვიბანეთ და ვიხეხეთ, სანამ ბზინვა არ დავიწყეთ. პირსახოცების ბიზნესის მქონე ოჯახი უნაკლოდ სუფთა უნდა იყოს. ძია პაფის კბილები როგორც არასდროს, ისე ბრწყინავდა. უზარმაზარი ჰოლის კედლები პაკისტანის დამაარსებლის, მუჰამედ ალი ჯინასა და მისი მოკლული მეგობრის, ლიაქათ ალის პორტრეტებით იყო მოფენილი. გახვრეტილი ზეწარი ააფარეს და ჩემმა დამ იმღერა. „ჯამილა, შვილო, — გაისმა ხმა, — შენი ხმა სიწმინდის ხმალია; იარაღია, რომლითაც ადამიანის სულები განიწმინდება“. პრეზიდენტი აიუბი, როგორც თვითონ თქვა, უბრალო ჯარისკაცი იყო და ჩემს დას უბრალო, ჯარისკაცური ღირსებები ჩააწვეთა: გჯეროდეს ლიდერისა და გწამდეს ღმერთისაო. ჯამილამ კი: პრეზიდენტის ნება ჩემი მოწოდებაც არისო, — გამოაცხადა და იმ გახვრეტილი ზეწრიდან თავი პატრიოტიზმს მოუძღვნა. დარბაზი ტაშით აზანზარდა. ბამბინოს მაყურებელი თავშეკავებულად ვაააჰვააააჰებდა. ჩინოსნები ტაშს უკრავდნენ, მშობლები ტიროდნენ. „ძალიან მაგარი იყო, არა?“ — წაიჩურჩულა ძია პაფმა.

რისი ყნოსვაც შემეძლო, ჯამილა იმას მღეროდა: ეს იყო სილამაზე, სევდა, ტკივილი, რომელთაც თავისი სურნელი აქვთ და უმალ ამოვიცნობ. ჯამილას ხმაში თითოეული მათგანი ჩანდა. ჩემი ცხვირი და ჯამილას ხმა. ორივეს ურთიერთსაპირწონე ნიჭი გვებოძა, თუმცა სხვადასხვა გზით წარმავალი. მაგალითად, ჯამილა რომ პატრიოტულ სიმღერას მღეროდა, ჩემი ცხვირი დეიდა ალიას სიმწარესა და ჩემი კლასელების ჩარაზული ტვინების სიმყრალეს იყნოსავდა. ასე რომ, როცა ჯამილა ცაში ფრენდა, მე მიწის ჯურღმულში ვეხეთქებოდი.

ახლა, უკან რომ ვიხედები, ვხვდები, რომ ჩემი და მიყვარდა და ვერ ვამჟღავნებდი. ჯამილას და აწგარდასულ თითბრის მაიმუნს ერთი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამ საერთო შემორჩათ: ორივეს პური უყვარდა, საფუვრით დაშზადებული პური. ქალაქში საუკეთესო პურს ხუთშაბათობით, სანტაიგნასიას მონაზვნები აცხობდნენ. სკუტერით მომქონდა ხოლმე ჩემი დისთვის ცხელი პურები. დიდ რიგში ვდგებოდი ერთ ვიწრო ქუჩაზე, რომელიც ნაკელის სუნით ყარდა. არავითარი პროტესტის გრძნობა არ გამჩენია და არასოდეს მიკითხავს ჯამილასთვის: ამ ქრისტიანულ პურს რომ მიირთმევ და ამ ქვეყანაში კი რწმენის ბულბულად მოგნათლეს, ეს ორი რამ როგორ ეწყობა ერთმანეთს-მეთქი...

არაბუნებრივი სიყვარულის მიზეზთა მოქექვა თუ შეიძლება?

სალემს ისტორიის შუაგულში მოხვედრა სურდა და ამიტომ მის დაში ის შეუყვარდა, რაც იმედით ასულდგმულებდა. მათხოვარი, დანით დასახიჩრებული სუნდარივით წელში გატეხილ წევრს შუაღამის შვილთა კონფერენციისა — სალემ სინაის — შეუყვარდა თუ არა თავისი დედმამიშვილი? მე ერთ დროს კურთხეულად შერაცხილი, ახლა ჩემი ოცნებების ასრულების იმედს ჩემს დაზე ვამყარებდი... მინდა გითხრათ, რომ წარმოდგენაც არ მქონდა, რა მემართებოდა, სანამ მეძავების კვალს არ დავადექი.

ალიას სიმწარე ნაკვერჩხალივით ღვიოდა, ამინას ბრენდის პირსახოცები გამოდიოდა, მომღერალი ჯამილა ცაში აჰყავდათ, ჭიპლარსაძირკვლიანი სახლი შენდებოდა, ჩემს მშობლებს გვიანი თაფლობისთვე ჰქონდათ... და წმინდა მიწის სიბერწეში მოქცეული სალემ სინაი თავის თავს შეურიგდა. ვერ ვიტყვი, რომ სევდიანი არ იყო; მოიღუშა და ჩაიკეტა ისე, როგორც მისი ასაკის ბიჭებს სჩვევიათ. მისი ფიქრები, რომელსაც შუაღამის შვილები არ სტუმრობდნენ, ნოსტალგიით აივსო. ხშირად იღვიძებდა სინანულის ალიკაპით, რომელიც გუდავდა. კოშმარებში რიცხვები მარშირებდნენ: ერთი, ორი, სამი... მუხლები მარწუხებივით უჭერდნენ და ახრჩობდნენ... მაგრამ ახლა ჰქონდა სკუტერი და თან სიყვარულის ნიჭი ებოძა: ნაზად და თავდადებით უყვარდა. მაშინ სალემმა მომავლის მზერა დაიჭირა და ხშირად გადიოდა იმ სახლიდან, სადაც დეიდამისის შური ხრჩოლავდა და ცხოვრებას აუტანელს ხდიდა. კოლეჯის უსიამოვნო სუნსაც გაურბოდა. ჰოდა, ჩემი მოტორიანი რაში ყალყზე შევაყენე და ქალაქის ყნოსვით გზებზე გავაჭენე. ქაშმირიდან ბებიის გარდაცვალების ამბავი მოგვივიდა და წარსული აწმყოს სქელ, მობუყბუყე ორთქლში ჩავახრჩე... რა კარგი დრო იყო, უმანკო ყნოსვა რომ მქონდა. სამაგიეროდ, ახლა სუნები კი არ შემოდიან, იღვრებიან ჩემში! და მერე რა სუნებია, ღმერთო,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხოველის ფეკალიების ერთმანეთში არეული სიმყრალე, მუწუკებიანი მათხოვრების სუნი, გადაფურთხებული წიწაკის დანასავით მჭრელი სუნი, ოპიუმისა და წიწაკის შერეული ტკბილმწარე სუნი ელფინსტოუნისა და ვიქტორია-როუდის ქორვაჭრებით სავსე ქუჩებში. სუნი აქლემებისა, მანქანებისა; რიქშების კოღოსავით შემაწუხებელი სუნი; კონტრაბანდული სიგარეტებისა და „შავი ფულის“ სუნი, მოკინკლავე მძღოლების გამონაორთქლი და ავტობუსში სარდინებივით ჩაჭედილი მგზავრების ოფლის სუნი (ერთი ავტობუსის მძღოლი ისე გამწარდა, მეორე კომპანიის მძღოლმა რომ გადაუსწრო, რომ მისი ჯირკვლებიდან მარცხის გულისამრევი სუნი ამოძვრა. იმ მეორე მძღოლის სახლთან მივიდა თავისი ავტობუსით და იქვე, სახლის წინ ბორბლებქვეშ მოაქცია. შურისძიების საზარელი სიმყრალე ასდიოდა). მეჩეთებისგან თავდადებისა და ერთგულების წყალი გადამესხა. არმიის დროშამოფრიალე მეთაურთა მაღალფარდოვნების სუნი მცემდა. გადაჭედილ კინოდარბაზებში ვესტერნების დაუნდობელი სპეცეფექტების სუნი მცემდა. სუნებმა ნარკოტიკივით გამაბრუეს და დამაბარბაცეს. თუმცა მერე ჩემმა სურვილმა ფორმა იპოვა და გადავრჩი.

ინდოეთ-პაკისტანს შორის ურთიერთობები გამწვავდა. საზღვრები ჩაიკეტა, ამიტომ ბებიის გასვენებას ვერ დავესწარით. პატივცემული დედაც ფეხს ითრევდა პაკისტანში წამოსვლაზე. ამასობაში მე სუნის თეორიაზე ვმუშაობდი. კლასიფიკაციის პროცედურები დავიწყე. სამეცნიერო მოღვაწეობით ბაბუაჩემის სულს გამოვეხმაურე... დავიწყე იმით, რომ სუნების გარჩევაში გავიწაფე. ბოლოს იქამდე მივედი, რომ წიწაკებსაც ვარჩევდი ერთმანეთისგან (თვალდახუჭული) და შუშხუნა სასმელების თორმეტ სახეობასაც (შემდეგ ამერიკელი რადიოკომენტატორი, ჰერბერტ ფელდმანი, ჩამოვიდა კარაჩიში, რათა შეემჩნია და უკმაყოფილება გამოეთქვა თორმეტი სახეობის გაზიანი სასმლის შესახებ, რომელთა წყარო სამი სახეობის დაკონსერვებული რძე იყო. მე კი იმ ამერიკელამდე დიდი ხნით ადრე თვალდახუჭული ვარჩევდი პაკოლას ჰოფმან მიშენისგან და სიტრაკოლას ფანტასგან. უშეცდომოდ გეტყოდით პეპსის სუნი მცემდა თუ კოკასი. ყნოსვის ფაქიზ ტესტებს ვატარებდი). ფიზიკურ სუნებში რომ გავიწაფე, ახლა ისეთი არომატების შესწავლა დავიწყე, რომლის ყნოსვა მარტო მე შემეძლო. ემოციათა სურნელისა და იმ ათას ერთი გრძნობისა, რომელთა შორის არიან: სიყვარული და სიკვდილი, სიხარბე და თავმდაბლობა... ისინი ჩემი გონების თაროებზე ფრთხილად მოვათავსე.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ სუნთა ფერების გარჩევაც დავიწყე. საცვლისა და მელნის სუნი ლურჯი ფერისა იყო, ძველი ფიჭვისა და ჰაერის გაფუჭების სუნი — მუქი ყავისფერი, მანქანებისა და სასაფლაოების სუნი — ნაცრისფერი... წონის მიხედვითაც ვახარისხებდი: ფრთების წონიანი სუნი (ქაღალდისა), მსუბუქი სუნი (საპნით დაბანილი სხეულისა და ბალახისა), მძიმე სუნი (ოფლისა და მეძავისა); ველოსიპედის ზეთს საშუალოდ მძიმე წონის სუნი უდიოდა; ბრაზი, ღალატი და ნაკელი მძიმე სუნით იყო გაჯერებული. სუნების გეომეტრიაც შევისწავლე: სიხარული მრგვალი იყო, ამბიცია — კუთხოვანი, სუნებს ელიფსის, ოვალისა და კვადრატის ფორმები ჰქონდათ... ცხვირის ლექსიკოგრაფი ვიყავი და ქერცლფრთიანთა მკვლევარი. ცხვირის ბეწვების ბადეში სუნებს პეპლებივით ვიჭერდი. ო, ფილოსოფიამდელო მიამიტობავ! მალე მივხვდი, ჩემს საქმიანობას რაიმე ღირებულება რომ ჰქონოდა, მორალური განზომილება უნდა შეეძინა. მივხვდი, რომ ყველაზე ფაქიზი გრადაცია კეთილსა და ბოროტ სუნებს შორის იყო. მორალური თვალსაზრისით არსებობდნენ წმინდა და გარყვნილი სუნები. ამიტომ, სკუტერით ხეტიალისას ახალი მეცნიერება: ყნოსვის ეთიკა გამოვიგონე.

წმინდა სუნი ჰქონდა: ჩადრს, წმინდა ცხოველის ხორცს, მუეძინის[1] კოშკს, სალოცავ ფარდაგს. გახრწნის სუნი ასდიოდა: დასავლურ ვესტერნს, ღორის ხორცს, ალკოჰოლს. ახლა მივხვდი (წმინდა) მოლები (გახრწნილი) თვითმფრინავით რატომ არ მგზავრობდნენ და რატომ არ სხდებოდნენ მანქანებში, რომლებიც უღმერთობის სუნს აფრქვევდნენ. ისლამისა და სოციალიზმის შეუთავსებლობის სუნიც ვიკარი. სინდკლუბის წევრთა საპარს ქაფსა და ქუჩის აყროლებულ მათხოვრებს შორის არსებული ნაპრალის სუნიც მეცა... თანდათან უსიამოვნო რეალობას თვალებში ჩავხედე: წმინდა სუნები ნაკლებად მაინტერესებდა, მაშინაც კი, როცა ასეთი არომატი ჩემი დის ირგვლივ ტრიალებდა. ჯურღმულთა შხამიანი სუნი ინტერესს აღმიძრავდა. თანაც თექვსმეტი წლისა ვიყავი და შარვალშიც რაღაც მიფუთფუთებდა. ყველა ქალაქს თავისი მეძავები ჰყავს; ჯამილა სიწმინდესა და ქვეყნის სიყვარულზე მღეროდა, მე კი მკრეხელობასა და ვნებას ვიძიებდი (ფული ჩეჩქივით მქონდა. მამაჩემს ვუყვარდი და არც ფულს იშურებდა).

---

[1] *მუეძინი (არაბ.) – მეჩეთის მსახური (მოლა), რომელიც მინარეთიდან მოუხმობს მუსლიმებს სალოცავად.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯინას მავზოლეუმთან ამყავდა ქუჩის ქალები. სხვა ჩემნაირები ამერიკელი გოგონების შესაცდენად მოდიოდნენ, სასტუმროებსა და საცურაო აუზებში მიჰყავდათ. მე გადახდას თავისუფლების შესანარჩუნებლად ვამჯობინებდი. ბოლოს, ვქექე, ვქექე და მეძავთა მეძავი გამოვქექე, რომლის ნიჭმა საკუთარი ნიჭი სარკესავით დამანახვა. თაი ბიბი ხუთას თორმეტი წლის მეძავი იყო. ყოველ შემთხვევაში, თავად ამბობდა, ამდენი წლისა ვარო.

ო, რა სუნი ასდიოდა! შეჯვარების უცხოველესი სუნი, რომელიც მანამდე არ მეყნოსა! ამ სუნმა, მე ვიტყოდი, თავისი ისტორიული ბრწყინვალებით მომაჯადოვა... და უკბილო ბებერს ვუთხარი: არ მაინტერესებს რამდენი წლის ხარ, ჩემთვის ეგ სუნია მთავარი-მეთქი.

(ო, ღმერთო, ეს რამ გაგაბედინა? — მაწყვეტინებს პადმა).

თაი ბიბის არასოდეს უთქვამს, ქაშმირელ მენავე თაისთან რაიმე მაკავშირებდაო, თუმცა სახელი თავისთავად მეტყველებდა. გამეხუმრა, ხუთას თორმეტი წლის ვარო, მაგრამ ისტორიის შეგრძნება მაინც არ გამქრობია. რაც გინდათ, ის იფიქრეთ. ერთი ცხელი დღე ამ უმხცოვანეს მეძავთან რწყილებით სავსე მატრასზე გავატარე ოთახში, რომელსაც ერთი შიშველი ნათურა ანათებდა.

რა ჰქონდა თაი ბიბის ისეთი, რამაც დამატყვევა? რატომ იყო ისეთი ძლიერი, რომ სხვა მეძავები მის გვერდით სირცხვილით კანკალებდნენ? ისეთ ჯადოსნურ უნარს ფლობდა, რომ შეეძლო თავისი სხეულის სუნი ყველასთვის მისაღებ და მომაჯადოებელ სუნად ექცია. მისი საოფლე ჯირკვლები მის სურვილს ემორჩილებოდნენ. ერთხელ მითხრა, ამის გაკეთება ფეხზედგომელა არ მომთხოვო, ძალიან ძვირი დაგიჯდებაო, მაგრამ მისი პარფიუმის ნიჭი ჩემს ძალებს აღემატებოდა და ცდუნებას ვეღარ გავუძელი.

(...ჩუუუ! — მაჩუმებს პადმა და ყურებზე ხელებს იფარებს, — ღმერთო, ეს რა გარყვნილი კაცი ყოფილაო, ჩემზე ამბობს)...

ჰოდა, ეს საშინელი ყმაწვილი იმ მახინჯ ბებერთან იყო, რომელმაც უთხრა: ვერ დავდგები, ფეხზე კოჟრები მაქვსო. მეძავმა შეამჩნია, რომ კოჟრების ხსენებამ უარესად აღმაგზნო და მითხრა, თუ გინდა, ვინმეს სუნს ამოვუშვებ, ვინც შენ გსურსო... და ასე... მაგრამ, მე ხელი ვკარი, იმან კი მაინც ქაღალდივით დამჭმუჭნა და დამიმორჩილა. მე ხომ, დროისა და სივრცისგან მოწყვეტილი, მარტო ვიყავი ამ დაუჯერებელ, თითქმის მითოლოგიურ არსებასთან. ამიტომ რა მენაღვლებოდა და ბებერი მეძავი ჩემი ყნოსვის ფსკერამდე ჩავიყვანე. მიხვდა, რომ მო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეწონა. რა სასაცილო ხარო, მითხრა. ბოლოს იმის სუნიც ამოუშვა ტყავივით გაუხეშებული სხეულიდან, მე რომ ვნატრობდი, მაგრამ გამ-ხელა არ მინდოდა. „ოჰო, — მითხრა მეძავმა, — მგონი, ის მოგწონს, არა? არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ მივხვდი, რომ ის არის“.

გაჩუმდი, ხმა ჩაიკმინდე-მეთქი, ვუყვირე, მაგრამ თაი ბიბი უდარდე-ლი გულგრილობითა და მიხრწნილი ხორხოცით აგრძელებს: „ოჰო, კი, ნამდვილად ასეა, შენი სიყვარულის ქალია, პატარა კაცო, ნეტავ ვინაა, შენი ბიძაშვილია, თუ“. მუშტი შევკარი და მოვამზადე, რომ თაის გავუქანო... თაი ბიბი კი ყვირის: „ოჰო, კარგია, გამოვიცანი, არა? ხომ გამოვიცანი, მიდი, დამარტყი, მცემე, მაგრამ იმას მაინც ვერ დამალავ, რაც მაგ თავში გიზის“. წამოვხტი და ტანსაცმელს ვეცი: „მოკეტე შე ბებერო, თორემ“. და ბიბი: „ხო, წადი, წადი და თუ არ გადამიხდი, მე შენ გიჩვენებ, რისი გაკეთება შემიძლია და რისი არა“. რუპიებს ვუყრი, აიღე, ოღონდ დახურე ეგ საშინელი პირი-მეთქი. ბიბი კი მეუბნება: — ჰეი, ფრთხილად, პრინცო, სარკეში მაინც ჩაგეხედაო. ჩავიცვი და ოთა-ხიდან გავრბივარ. სკუტერი გარეთ მიყენია. ქუჩის ბავშვებს სავარძელზე მოუშარდავთ... მთელი ძალით მივაქროლებ, მაგრამ სიმართლეს სად გა-ვექცევი? თაი ბიბი, ფანჯრიდან გადმოიხარა და ყვირის: „ჰეი, პატარა კაცო, სად გარბიხარ? რაც გჭირს, გჭირს, რას იზამ!“

თქვენ სრული უფლება გაქვთ, იკითხოთ: ეს მაშინ მოხდა... არა, მართლა ხუთასი წლის ხომ არ... მაგრამ დავიფიცე, რომ ყველაფერს ვაღიარებდი, ამიტომ ვაღიარებ: მომღერალი ჯამილა რომ მყვარებია, არ ვიცოდი და იმ მეძავისგან შევიტყვე.

„ქალბატონი ბრაგანზა მართალს ამბობს, — მამუნათებს პადმა, — კაცებს თავში მარტო ნაგავი უყრიათ“. ბრაგანზასა და მის დას, ფერ-ნანდესს, თავის დროზე ვახსენებ. ახლა კი, კეთილი ინებონ და ერთმა ჩემს შვილს მიხედოს, მეორემ — ქარხნის საქმეებს მოუაროს. მე კი პადმა-ბიბიმ ყურადღება რომ მომაპყროს, ზღაპარს ვეტყვი.

იყო და არა იყო რა. კიფის ჩრდილოეთ სამეფოში ცხოვრობდა პრინცი ნავაბი, რომელსაც ორი მშვენიერი ქალიშვილი და ერთი მშვენიერი ვაჟი ჰყავდა. ასევე ჰქონდა ახალთახალი „როლს-როისი“ და შესანიშნავი პოლიტიკური კავშირები. პრინცს პროგრესისა სჯე-როდა, ამიტომ, თავისი უფროსი ქალიშვილი მდიდარი და წარმატე-ბული გენერალი ზულფიკარის ვაჟზე დანიშნა. უმცროსი ქალიშვილი პრეზიდენტის ვაჟისთვის უნდოდა. ავტომანქანა თავისი შვილებივით



www.PDF.ChiaturaINFO.GE

უყვარდა. აწუხებდა მხოლოდ ის, რომ სათამაშო-საღლაბუცოდ წასული მისი ქვეშევრდომები წინ ეღობებოდნენ. ამიტომ დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც ეს მანქანა მომავალს განასახიერებდა და გზა უნდა დაეთმოთ. დადგენილება მაღაზიების ვიტრინებზე და ძროხებზეც კი გამოაკრეს, მაგრამ ხალხმა ყურად არ იყო. მეორე შენიშვნა ბრძანებით კილოს შეიცავდა და მოითხოვდა, რომ მოქალაქეებს გზატკეცილები გაეთავისუფლებინათ, მანქანის ხმას რომ გაიგონებდნენ. კიფელები მაინც ძველებურად იქცეოდნენ: პირდაპირ ქუჩაში ეწეოდნენ, აფურთხებდნენ და კამათობდნენ. მესამე შენიშვნა ნახატის ფორმისა იყო, რომელზეც ეწერა, რომ მანქანა ნებისმიერს გადაუვლიდა, ვინც მის სიგნალს არ დაემორჩილებოდა. კიფელებმა პოსტერებს სკანდალური სურათები მიუმატეს. ნავაბი კარგი კაცი იყო, მაგრამ მოთმინება გამოელია და მუქარა შეასრულა. როცა ცნობილი მომღერალი ჯამილა თავის ოჯახთან და იმპრესარიოსთან ერთად თავისი ბიძაშვილის ნიშნობაზე მივიდა, მანქანამ ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიიყვანა სასახლეში. ნავაბმა ამაყად თქვა: „ახლა მანქანას პატივს სცემენ. წინ წავედით“.

ნავაბის ვაჟს, მუტასიმს, საზღვარგარეთ ემოგზაურა და თმა „ბითლზის“ სტილზე ჰქონდა დაყენებული. მამა ვაჟის გამო წუხდა. ამ წუხილის მიზეზი ის იყო, რომ მშვენიერი გარეგნობის მუტასიმს, რომლის დანახვაზე გოგონები ჭკუას კარგავდნენ, ქალთა სქესი არ აინტერესებდა. მხოლოდ პონითა და გიტარით იყო გატაცებული და უცნაურ დასავლურ სიმღერებს მღეროდა. ისეთ პერანგებს იცვამდა, რომელზეც მუსიკალური ნოტები, უცხოეთის ქუჩები და ნახევრად შიშველი ევროპელი გოგონები იყო გამოსახული. ჯამილა რომ სასახლეში მივიდა, მუტასიმს მისი სახის დანახვის სურვილი აეკვიატა და ზეწრის ხვრელიდან უქცეროდა გოგონას მორცხვ თვალებს.

იმ დღეებში პაკისტანის პრეზიდენტმა არჩევნები გამოაცხადა (საარჩევნო დევიზით „მთავარი დემოკრატია“), რომელიც ნიშნობის შემდეგ უნდა გამართულიყო. ასი მილიონი პაკისტანელი ჩაერთო ამ პროცესში. ისინი ჯგუფებად დაიყვნენ და თითო ჯგუფი თითო „მთავარ დემოკრატთან“ გაერთიანდა. კიფში 420-კაციან მთავარ დემოკრატებში შედიოდნენ: მოლები, მეეზოვეები, ნავაბის მძღოლები, ათასობით კაცი, რომელსაც ნავაბის მიწაზე საზიაროდ მოჰყავდათ ჰაშიში... ნავაბმა ყველა მათგანი დაპატიჟა ქალიშვილის ნიშნობაზე. მათ შორის, ორი გაიძვერაც გაერთიანებული ოპოზიციური პარტიიდან. ისი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნი სულ ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, მაგრამ ნავაბმა ზრდილობიანად უთხრა: დღეს ჩემი საპატიო სტუმრები ხართ, ხვალისა კი ხვალემ იკითხოსო. ეს გაიძვერები საჭმელ-სასმლის უნახავებად გადაიქცნენ. ყველა წინასწარ გააფრთხილეს, ამ კაცებს კარგად მოექეცითო (მათ შორის მუტასიმიც, რომელიც მამამისისთანა მომთმენი როდი იყო).

გაერთიანებული ოპოზიციური პარტია ქუჩის ყალთაბანდებისა და თაღლითებისგან შედგებოდა, რომლებსაც მხოლოდ ის უნდოდათ, რომ პრეზიდენტი ჩამოეგდოთ და სამხედრო რეჟიმი ისევ სამოქალაქოთი შეეცვალათ, სადაც ჯარისკაცების ნაცვლად ჯიბეებს მოქალაქეები ივსებენ სახელმწიფო ხაზინიდან. საშინელი ლიდერი ჰყავდათ — ქალბატონი ფატიმა ჯინა — ერის დამაარსებლის ღვიძლი და. ეს ქალი ისეთი დაჩირებული და მიხრწნილი იყო, რომ ნავაბს ეჭვი ეპარებოდა, დიდი ხნის წინ ხომ არ მოკვდა და ფიტული ხომ არ ლაპარაკობსო. ფილმი იყო ასეთი, „ელ სიდი“ ერქვა, რომელშიც არმიას მიცვალებული მიუძღვებოდა ბრძოლის ველზე... ასე იყო თუ ისე, ჯინა არჩევნებს მოითხოვდა, უკმაყოფილო იმით, რომ პრეზიდენტმა მისი ძმის მავზოლეუმის მარმარილოთი მოპირკეთება ვერ დაასრულა. ამბობდნენ, რომ ხალხს პრეზიდენტის ნდობა მას მერე შეერყა, რაც ეს ქალი ოპოზიციას ჩაუდგა სათავეში. იყო თუ არა პრეზიდენტი ისლამური წარსულის გმირთა რეინკარნაცია? ოპოზიციის ხალხი პოსტერებს ყველგან აკრავდა, ნავაბის „როლს-როისზეც“ კი. ცუდი დრო მოვიდაო, უთხრა ნავაბიმ თავის ვაჟს. მუტასიმმა კი უპასუხა: „აი, რა მოაქვს არჩევნებს, საპირფარეშოს მწმენდავებმა და თერძებმა უნდა აირჩიონ ქვეყნის გამგებელი?“

მაგრამ, დღეს ბედნიერების დღე იყო. სასახლის ერთ-ერთ ოთახში ქალები ნავაბის ქალიშვილს ხელებსა და ფეხებს ინის საღებავის უმშვენიერესი ნახატებით უმკობდნენ. მალე გენერალი ზულფიკარი და ზაფარიც მოვიდოდნენ. კიფის გამგებლებმა არჩევნები თავიდან ამოიგდეს. აღარ ფიქრობდნენ ერის დედაზე, ფატიმა ჯინაზე, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში ედგა და მაინც დააბნია ამომრჩევლები.

წვეულებაზე ბედნიერებამ იზეიმა. პირსახოცების მწარმოებელ აჰმედს ცოლისთვის ხელი ჩაეკიდა და ამბობდა: შეხედეთ, ვისი ქალიშვილი მღერის! სად არიან ჰარუნების, ვალიკების, დავუდებისა თუ საიგოლების გომბიოები? მაგრამ კარიკატურისსახიანი სალემი სევდას შეეპყრო. ალბათ დიდ ისტორიულ მოვლენებთან თანაარსებობამ შეძრა. თავის დას შერცხვენილი თვალებით უყურებდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმ დღეს მუტასიმმა ჯამილას ძმასთან დამეგობრება მოიწადინა. სალემს რაჯასტანიდან ქვეყნის გაყოფამდე შემოყვანილი ფარშავანგები და ნავაბის ჯადოსნურ წიგნთა კოლექცია აჩვენა. ამ წიგნებიდან ისეთი შელოცვები ამოიკითხა, რომელიც ქვეყნის გონივრულად მართვის უნარს მისცემდა. მუტასიმმა (რომელიც ინტელექტით არ გამოირჩეოდა) სალემს პოლოს[1] მოედანი დაათვალიერებინა და უთხრა, რომ წიგნიდან სიყვარულის შელოცვა ამოიწერა პერგამენტის ქაღალდზე, რომლითაც იმედოვნებდა, რომ მომღერალ ჯამილას შეუყვარდებოდა. ეს რომ სალემმა გაიგონა, ცხვირი აიბზუა და მუტასიმს ზურგი შეაქცია. ახლა მუტასიმი შეევედრა, მითხარი ჯამილა როგორიაო. სალემი ხმას არ იღებდა. მუტასიმმა აიხირა, ჯამილას სიახლოვეს მიმიყვანე, რომ ეს შელოცვა ხელზე შევახოო. სალემის ეშმაკურმა თვალმა მუტასიმს არც კი შეხედა, ისე უთხრა, ეტრატი მომეციო; ევროპის გეოგრაფიის ექსპერტმა მუტასიმმა, რომელსაც მაგიის არაფერი გაეგებოდა, ეტრატი გულუბრყვილოდ გადასცა სალემს, ეგონა, ეს დამეხმარებაო.

ამასობაში საღამო მოახლოვდა. სასახლის კართან მანქანების კოლონა გაჩერდა, საიდანაც გენერალი ზულფიკარი, მისი ცოლი, ვაჟი ზაფარი და მეგობრები გადმოვიდნენ. ქარმა მიმართულება იცვალა და ჩრდილოეთიდან ჰაშიშით გაჯერებულმა მომწამვლელმა ჰაერმა დაუბერა. წლის ამ დროს კიფის ჩრდილოეთით გაშლილი პლანტაცია მწიფდა და ვინც იქიდან მონაქროლ ჰაერს ჩაისუნთქავდა, იბანგებოდა. ჰაშიშის უშინაარსო ნეტარებით გაიჟღინთნენ მძღოლებიც, რომლებმაც მანქანები სასახლესთან რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოიყვანეს. გზად, სულ მცირე, ერთ ჩაის მაღაზიაში შეიჭრნენ. კიფელებს ეშინოდათ: ეს უცხენო ეტლები, ქუჩები რომ აავსეს, ახლა სახლებშიც არ შემოგვიცვივდნენო.

ჩრდილოეთის ჰაერმა სალემის ცხვირსაც მიაშურა და ისე მოთენთა, რომ ჩააძინა. ამან იმ მოვლენებს მოაცდინა სალემი, იმ საღამოს რომ მოხდა. შემდეგ შეიტყო, თუ როგორ შეუცვალა ქცევა ჰაშიშიანმა ჰაერმა სასახლის სტუმრებს. ისინი ნერვიულად ხითხითებდნენ და ერთმანეთს ქუთუთოებდამძიმებული თვალებით უყურებდნენ. გენერლები სკამებზე ეყარნენ და სამოთხეზე ოცნებობდნენ. ნიშნობის ცერემონია ნახევრად მძინარე ატმოსფეროში ჩატარდა. სასიძო ისე მოეშვა,

[1] *პოლო (ინგლ.) — აქ: ცხენოსანთა სპორტული გუნდური ბურთის თამაში; ცხენბურთი.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ჩაისველა, მაგრამ ვერავინ ვერაფერი გაიგო. სი ოუ ფის წევრებმაც კი, სულ რომ ჩხუბობდნენ, ახლა ერთმანეთს მკლავი მკლავში გაუყარეს და ხალხური სიმღერა წამოიწყეს. ჰაშიშისგან გათამამებულმა მუტასიმმა იფიქრა, ვნახავ, ჯამილას ჩადრს მიღმა რა იმალებაო, მაგრამ მაიორმა ლატიფმა ისეთი ნეტარი მეგობრული ჟესტით შეაჩერა, რომ ცხვირშიც არ უთავაზა. მერე ყველა სტუმარს მაგიდაზევე ჩაეძინა და საღამოც დასრულდა. მომღერალი ჯამილა თავის ოთახთან გაღიმებულ-მძინარე ლატიფმა მიაცილა.

შუაღამისას სალემს გამოეღვიძა და ნახა, რომ მუტასიმის ჯადოსნური პერგამენტი ისევ ხელში ეჭირა. რადგან ჩრდილოეთის ქარი უბერავდა, გადაწყვიტა, სანდლებითა და მოსასხამით ჩუმად შემოევლო მშვენიერი სასახლის ჩაბნელებული დერეფნები და უძველესი სამყაროს ნარჩენები მოეხილა: დაჟანგული იარაღები, უძველესი გობელენები, რომლითაც აგერ უკვე საუკუნეებია, რაც ჩრჩილები იკვებებიან, უზარმაზარი წვერა კალმახები, მინის ზღვაში რომ დაცურავდნენ, ნანადირევი, მათ შორის მქრქალი ოქროსფერი ჩიტი, რომელიც ხის კვარცხლბეკზე იჯდა იმ ძველი დროის მოსაგონებლად, როცა ნავაბმა და ლორდმა კურზონმა ერთ დღეში 111 111 ასეთი ფრინველი მოინადირეს. მკვდარი ჩიტების ფიტულებს გასცდა და ზედა პალატებში ავიდა, სადაც ქალებს ეძინათ. შემდეგ ჰაერი დაყნოსა, კართან მივიდა და გააღო.

ოთახში უზარმაზარი საწოლი იდგა. მთვარის შუქზე, რომელიც საწოლს ეცემოდა, კოღოების გუნდი დაფრინავდა. სალემი საწოლისკენ წავიდა და უცებ შეჩერდა, რადგან დაინახა კაცი, რომელიც ფანჯრიდან ცდილობდა ოთახში შემოსვლას. ეს იყო მუტასიმი: ჰაშიშმა და სიყვარულმა გაათამამა და გადაწყვიტა, ჯამილას სახე ენახა. ოთახის უჩინარი კუხიდან სალემმა შესაშინებლად დაუყვირა: „ხელები მაღლა, თორემ გესვრი!“ მაგრამ, მუტასიმმა, რომელიც ფანჯარაზე იყო ჩამოკიდებული, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო: ხელებს თუ ასწევდა, ძირს ჩავარდებოდა, თუ არ ასწავდა, — ესროდნენ. შეკამათება სცადა: „შენ ვინ ხარ და აქ რა გინდა! — ქალბატონ ამინას ვეტყვი!“ — დაუყვირა სალემს, რადგან მისი ხმა იცნო. მაგრამ სალემმა შეახსენა, უსუსურ მდგომარეობაში იმყოფები და გაჩუმდიო. მუტასიმმა ხვეწნა დაუწყო, კარგი, კარგი, ოღონდ არ მესროლოო და იმავე გზით ჩავიდა უკან, რა გზითაც ფანჯარაზე ამოცოცდა. იმ დღის მერე მუტასიმმა მამას სთხოვა, ჯამილას მშობლებს ჩემი და ჯამი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლას ქორწინებაზე ოფიციალურად მოელაპარაკეთო. უსიყვარულოდ დაბადებულ და გაზრდილ ჯამილას ყველა ეჯავრებოდა, ვინც ეტყოდა, მიყვარხარო. ამიტომ მუტასიმი კიფიდან კარაჩიში რომ ჩამოვიდა და ხელი სთხოვა, ჯამილამ მომაბეზრებელი თაყვანისმცემელი უარით გაისტუმრა. მუტასიმი ომში წავიდა და 1965 წელს ბრძოლის ველზე გმირულად აღესრულა.

მუტასიმის ტრაგედია ჩვენი მოთხრობის ერთ-ერთი ქვეთემაა. ახლა სალემი და მისი და მარტო დარჩნენ. ჯამილამ გაოცებულმა ჰკითხა: „სალემ, რა ხდება?“

სალემი დის საწოლს მიუახლოვდა, მისი ხელი მოძებნა და პერგამენტი კანზე გაუსვა. მერე კი მთვარისა და ჰაშიშიანი ქარისგან გამოშტერებულმა თავის დას სიყვარული გაუმჟღავნა. ჯამილამ გაკვირვებისგან პირი დააღო.

სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ჯამილამ იყვირა: „ოჰ, როგორ არ გრცხვენია“, მაგრამ ახლა ჯამილას სიყვარულის ზიზღს პერგამენტმა გაუმართა შეურიგებელი ბრძოლა. ჯამილას სხეული მოჭიდავესავით დაეჭიმა, მაგრამ მაინც ბოლომდე მოუსმინა სალემს, რომელმაც უთხრა, რომ ისინი ნამდვილი და-ძმა არ არიან, ამიტომ, სიყვარული ცოდვად არ ითვლება. მათ ერთი სისხლი არ აკავშირებთ. იმ შეშლილი ღამის გავლენით სალემმა ყველა საიდუმლო დაფქვა, მერისაც რომ არ უთქვამს ისეთი. სალემს თავისი ლაპარაკი, თუმცა წმინდა წყლის სიმართლე იყო, მაინც ყალბად მოეჩვენა. სხვა სიმართლეც ხომ არსებობდა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან დრომ შეურყვნელად აქცია. სალემმა შეამჩნია, რომ ჯამილას შიშისა და სირცხვილის გრძნობა შუბლზეც დაეტყო და კანზეც გამოუვიდა; სალემმა იგივე გრძნობები თავის თავშიც აღმოაჩინა. თავჩაქინდრული გავიდა ოთახიდან და დის შველივით შეშინებული თვალები გაიყოლა. მოგვიანებით, ჯადოს ეფექტი სრულად რომ გაიფანტა, ჯამილამ საშინლად იძია შური. უცებ სასახლის დერეფანი პრინცესის კივილმა შეძრა. პრინცესამ კოშმარული სიზმარი ნახა, ვითომ მისი ქორწინების სარეცელი რაღაც საშინელმა ყვითელმა სითხემ წალეკა. შემდეგ მან გამოიკითხა და როცა დაადგინა თავისი სიზმრის წინასწარმეტყველება, გადაწყვიტა სქესობრივი სიმწიფისთვის არასოდეს მიეღწია, სანამ ზაფარი ცოცხალი იქნებოდა და თავის სასახლეში დარჩენილიყო, რომ ის საშინელება თავიდან აეცილებინა.

მეორე დილით, გაერთიანებული ოპოზიციის წევრებმა თავ-თავიანთ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

საწოლებში გაიღვიძეს, მაგრამ როცა ჩაიცვეს და კარი გააღეს, ზორბა ჯარისკაცები იხილეს, რომლებიც გარეთ არ უშვებდნენ. გაიძვერებმა ხან ყვირილით, ხან მოფერებით სცადეს თავის დაღწევა, მაგრამ ჯარისკაცები არჩევნების დასრულებამდე ადგილიდან არ დაძრულან. შემდეგ კი ჩუმად გაუჩინარდნენ. გაიძვერებმა მონახეს ნავაბი, რომელიც თავის უმშვენიერეს ვარდების ბაღში იყო. ისინი ხელებს იქნევდნენ და ყვიროდნენ, სად არის სამართალიო. ეს რა არჩევნებიაო... ნავაბმა კი კიფური ვარდების ცამეტ სახეობაზე დაუწყო საუბარი, რომელიც თავად შეაჯვარა. ისინი ცოფებს ყრიდნენ, რომ დემოკრატია მოკვდა და ტირანია მეფობს. ნავაბმა ტკბილად გაუღიმა და უთხრა: „მეგობრებო, გუშინ ჩემი ქალიშვილი ზაფარ ზულფიკარზე დაინიშნა. მალე, იმედი მაქვს, ჩემს მეორე ქალიშვილს პრეზიდენტის შვილზე დავაქორწინებ. აბა, იფიქრეთ, რა სირცხვილს ვჭამდი, რომ კიფში ერთი ხმაც კი ჩემი მომავალი ნათესავის საწინააღმდეგოდ ჩაეგდოთ! მეგობრებო, მე ის კაცი ვარ, ვისთვისაც ღირსებაა ყველაზე მთავარი. დარჩით ჩემთან, ჭამეთ და სვით, რამდენიც გენებოთ, ოღონდ იმას ნუ მთხოვთ, რისი მოცემაც არ შემიძლია“.

და ჩვენ ყველანი ბედნიერად ვცხოვრობდით... ეს ზღაპრული დასასრულიც რომ არ არსებობდეს, ჩემი მონათხრობი მაინც ფანტაზიით მთავრდება. როცა მთავარმა დემოკრატებმა თავისი მოვალეობა შეასრულეს, გაზეთები: „დონ“, „ფენგ“, „პაკისტან თაიმსი“[1] აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტმა თავზარდამცემი გამარჯვება მოიპოვა. მე კი დავრწმუნდი, რომ ფაქტების მეფოკუსე ვიყავი. ქვეყანაში, სადაც ჭეშმარიტება ისაა, რასაც გაჩვენებენ, რეალობა არსებობას წყვეტს ისე, რომ ყველაფერი შესაძლებელი ხდება. ჩემს ინდურ ბავშვობასა და პაკისტანურ მოზარდობას შორის ალბათ ის სხვაობა იყო, რომ პირველ შემთხვევაში სინამდვილეთა უსაზღვრო ალტერნატივამ გარემომიცვა; მეორე შემთხვევაში კი წყალწაღებულივით დავკარგე ორიენტაცია, რადგან ირგვლივ სიყალბის, ირეალობისა და სიცრუის ოკეანე მერტყა.

პატარა ჩიტი ყურში ჩამჩურჩულებს: „სამართლიანი იყავი! არავის და არც ერთ ქვეყანას არ უპყრია სიცრუის მონოპოლია“. ვიღებ ამ შენიშვნას. ვიცი, რომ ასეა. წლების შემდეგ იმ ქვრივმაც იცოდა. ჯამილასთვის (დროის, წეს-ჩვეულების, ბებიის, წარმოსახვის ნაკლებობისა და მამის უსიტყვო თანხმობის გამო) საყოველთაოდ აღიარე-

[1] *„დონ“, „ფენგ“, „პაკისტან ტაიმსი“ (ინგლ.) — „ალიონი“, „ეშვი“, „პაკისტანის დრო“.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბული სიმართლე უფრო დამაჯერებელი იყო, ვიდრე ის ჭეშმარიტება, რომელშიც ეჭვი თავადაც არ ეპარებოდა.

## როგორ მიაღწია სალემმა სიწმინდეს

რა დამრჩა სათქმელი და წიკწიკის ამბავი. მაგრამ ახლა დროის ათვლა დასასრულისკენ მიდის და არა დაბადებისკენ. ისე მოვიღალე, რომ დასასრული შვება იქნება. ადამიანები ერებივით ან მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟებივით ენერგიისგან იცლებიან და ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი მათთან საქმის დასრულებაა.

როგორ მოსტყდა მთვარეს ნატეხი და როგორ მიაღწია სალემმა სიწმინდეს... საათი წიკწიკებს. რადგან ყველა უკუათვლა ნულისკენ მიდის, ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ დასასრული 1965 წლის 22 სექტემბერს დადგა და ნულთან მისვლაც შუაღამეს მოხდა. დეიდაჩემ ალიას სახლში ბაბუის დროინდელი საათი ორი წუთით უკან იყო და დროის ჩამოკვრა არ იცოდა.

ბაბუაჩემი ნასიმ აზიზი პაკისტანში 1964 წელს ჩავიდა. უკან ჩამოიტოვა ინდოეთი, სადაც ნერუს სიკვდილმა საშინელი ქაოსი გამოიწვია. ფინანსთა მინისტრმა, მორარჯი დესაიმ და შეუხებელთაგან უძლიერესმა ჯაგჯივან რამმა გაერთიანება გადაწყვიტეს, რომ ნერუს დინასტიის გაჩენისთვის ხელი შეეშალათ; ამიტომ ინდირა განდის მმართველობაზე უარი ეთქვა. ახალ პრემიერ-მინისტრად ლალ ბაჰადურ შასტრი დაინიშნა. ეს იმ თაობის პოლიტიკოსი იყო, რომელიც უკვდავებაში ჩამწნილდა. შასტრის შემთხვევაში ეს მხოლოდ ილუზია იყო. ნერუმ და შასტრიმ, ორთავემ თავიანთი მოკვდავობა დაამტკიცეს. მაგრამ არიან სხვები, რომლებიც დროს მუმიის თითებით ეპოტინებიან და გაშვება არ უნდათ... პაკისტანში საათები მაინც წიკწიკებდნენ.

პატივცემულ დედას ჩემი დის კარიერა გულზე არ ეხატებოდა. ეს ხომ კინოვარსკვლავობაზე საშინელი რამ იყო. „ჩემი ოჯახი, იმასრაჰქვია, ბენზინის ფასზე მეტად დაუმორჩილებელი გახდა“, — ეუბნებოდა ფიას. თუმცა შინაგანად ალბათ შთაბეჭდილების ქვეშ იყო, რადგან ძალაუფლებას პატივს სცემდა. ჯამილა კი ისე გააღმერთეს, რომ ნებისმიერი მაღალჩინოსნის კარს შეაღებდა... ბებია რავალპინდიში დაესახლა, თუმცა გენერალ ზულფიკართან ცხოვრება არ ისურვა. ის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ფია ქალაქის ძველ, ღარიბ უბანში გადავიდნენ და ბენზინის სადგურისთვის ნაკვეთი შეიძინეს.

ნასიმი ადამ აზიზს არ ახსენებდა და გლოვითაც არ გლოვობდა. ალბათ შვება იგრძნო, რომ მარტო წავიდოდა წმინდა მიწაზე. ადამ აზიზმა ხომ ერთ დროს დაგმო პაკისტანის მოძრაობა და საკუთარი მეგობრის, მიან აბდულას სიკვდილში მაჰმადიანთა ლიგა დაადანაშაულა. პატივცემულმა დედამ ფიქრები ბენზინის სადგურისკენ მიმართა. სადგური რავალპინდი-ლაჰორის გზატკეცილთან იყო და კარგადაც მუშაობდა. ფია და ნასიმი მორიგეობით ასრულებდნენ მენეჯერის მოვალეობას; დაქირავებული პერსონალი კი მსუბუქ და სამხედრო მანქანებს ბენზინით ავსებდა და უშვებდა. მათ რაღაც მაგიური კომბინაცია შექმნეს. ფია მომსვლელთ თავისი უჭკნობი სილამაზით იზიდავდა. პატივცემული დედა ქვრივობამ იმ ადამიანად აქცია, რომელსაც თავის ცხოვრებაზე მეტად სხვა ადამიანების ცხოვრება აინტერესებდა. კლიენტებს თავის კაბინეტში ქაშმირულ ჩაიზე პატიჟებდა. ისინიც ორჭოფულად თანხმდებოდნენ, მაგრამ შემდეგ რომ ხედავდნენ, მოხუცი გაუთავებელი მოგონებებით თავს არ აბეზრებდათ, მოეშვებოდნენ ხოლმე და საყელოებსაც და ენასაც მოუშვებდნენ. პატივცემულ დედას კი მათი ცხოვრების ამბის მოსმენა სიამოვნებდა. სადგურმა თანდათან სახელი გაითქვა. მძღოლები ზედიზედ ყოველდღე მიდიოდნენ, რომ თვალი შეევლოთ ლამაზი ბიცოლაჩემისთვის და თავიანთი გასაჭირი ეთქვათ სამარადჟამოდ მომთმენი ბებიასთვის, რომელიც შემწოვ ღრუბლად იქცა. ის ბოლომდე უსმენდა თავის სტუმრებს და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა მცირეოდენ რჩევას. დაქირავებული პერსონალი მანქანას აპრიალებდა და საწვავით ავსებდა, ბებია კი მანქანის პატრონებს შველოდა. თავის მინის სააღმსარებლოში იჯდა და მსოფლიო პრობლემებს წყვეტდა. ოჯახისადმი კი ინტერესი დაეკარგა.

ულვაშა, მატრიარქალური და ამაყი ნასიმ აზიზი ტრაგედიას შეეგუა. ბოლოს და ბოლოს, დასასრული ერთადერთი გამოსავალი იყო. (წიკ-წიკ)... ბებია არ აპირებდა ბაბუას გაჰყოლოდა ქაფურის ბაღში, რომელიც მხოლოდ მართალთათვისაა. მიტოვებული ინდოეთის მათუსალა ლიდერებს დაემსგავსა. ისეთი სისწრაფით სუქდებოდა, რომ მისი კაბინის გასაფართოებლად მშენებლები მოიწვიეს. „გაადიდეთ, გაადიდეთ, ვინ იცის, იქნებ ერთი საუკუნის შემდეგაც აქ ვიყო და ალაჰმა იცის, მაშინ რამხელა ვიქნები. ყოველ ათ-თორმეტ წელიწადში ხომ არ შეგაწუხებთ“, — ხუმრობდა ბებია.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიას არ აკმაყოფილებდა ბენზინი და კავშირები გააბა ოფიცრებთან, კრიკეტისა და პოლოს მოთამაშეებთან, დიპლომატებთან. პატივცემულ დედას უცხოების გარდა რომ არავინ აინტერესებდა, ფია თავის კავშირებს იოლად უმალავდა. მაგრამ პატარა ქალაქში ხმები მალე დაირხა. ესმერალდამ ფია გაიცხა. ფიამ კი ასე უთხრა: რა ვქნა, მთელი ცხოვრება ტირილსა და თმის გლეჯაში ხომ არ გავატარებ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ახალგაზრდამ კი ცოტა უნდა გაიაროს და გაერთოსო. ესმერალდამ ტუჩები მოკუმა: „ოჯახის სახელს მაინც ნუ შეარცხვენ". ამაზე ფიამ თავი გადაიქნია: შენ ნუ შეარცხვენ, დაო, მე კი როგორმე თავს დავირჩენო.

მაგრამ ფიას თავდაჯერებულობა ყალბი იყო. მან იგრძნო, როგორ იწრიტებოდა წლებთან ერთად. მისი სასიყვარულო ციებ-ცხელება უკანასკნელი მცდელობა იყო ისე მოქცეულიყო, როგორც მისნაირ ქალს შეეფეროდა. მაგრამ ამას გულით არ აკეთებდა; სადღაც შიგნით, გულისგულში, ფიაც დასასრულს ელოდა... ჩემს ოჯახში ციდან ჩამოვარდნილი ამბების ან საგნებისადმი ყველა სისუსტეს იჩენდა. აჰმედ სინაი სვავის ჩამოგდებულმა ხელმა გაასილაქა. ხოლო ციდან ჩამოვარდნილი ამბები ერთი წლის მერე მეხივით დაეცა.

ბაბუა რომ გარდაიცვალა და ბებია პაკისტანში ჩამოვიდა, ქაშმირი დღედაღამ მესიზმრებოდა. შალიმარის ბაღში არასოდეს გამივლია, მაგრამ ამას ღამით, ოცნებებში ვაკეთებდი: შიკარებში დავცურავდი, სანკარა აჩარიას მთაზე დავძვრებოდი, ლოტოსის ძირებსა და პირდაღრენილ მთებს ვხედავდი. ეს განშორების ერთგვარი ნოსტალგია იყო, რომელიც ყველას გვჭირდა (ჯამილას გარდა, რომელსაც ჰყავდა ღმერთი, ჰქონდა სამშობლო და ეს აძლებინებდა). ჩვენ ინდოეთს დავშორდით, პაკისტანს კი ვერ შევეჩვიეთ. რავალპინდიში ბებია ქაშმირულ ჩაის სვამდა; კარაჩიში კი მისი შვილიშვილი იმ ტბაში ბანაობდა, რომელიც თვალითაც არ უნახავს. მალე ქაშმირის ოცნებამ პაკისტანის მოსახლეობა შეიპყრო. ისტორიასთან კავშირი არ მტოვებდა. 1965 წელს ჩემი ოცნება ერის საკუთრებად იქცა, როცა ციდან უამრავი რამ ჩამოვარდა და ბოლოს, როგორც იქნა, განვიწმინდე.

სალემი უფრო ძირს ველარ დაეშვება. ჩემი უკეთურებისგან ვყარდი. წმინდა მიწაზე მოვედი და იმის მაგივრად, რომ რაღაც ამაღლებული მეძებნა, დროს მეძავებთან ვატარებდი. ენით უთქმელი (და თან უპასუხო) სიყვარული გავაჩინე. წერაატანილი დავდიოდი ქალაქის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქუჩებში ჩემი „ლამბრეტათი“. ჯამილა და მე ერთმანეთს პირს ვარიდებდით.

სიწმინდე უმაღლესი იდეალია იდეალთა შორის! პაკისტანს ამ ანგელოზური ღირსების მიხედვით შეერქვა „წმინდა მიწა“. სიწმინდე, რომელიც ჩემი დის ყოველი ნამღერიდან მოწვეთავდა, ჩემგან ძალიან შორს იყო. რა ვიცოდი, რომ ცოდვილთა მიმტევებელი ისტორია წუთებს მითვლიდა და ერთხელაც თავიდან ფეხებამდე ხელის ერთი დაკვრით განმწმენდდა?

ამასობაში სხვა ძალებიც მოქმედებდნენ. ალიამ თავისი შინაბერული შურისძიება წამოიწყო.

გურუმანდირის დღეებში ქალაქი საჭმლის სუნით გაიჟღინთა. მინარეთის ჩრდილიც თავისებურ მდორე სუნს აფრქვევდა. ალიას სიძულვილი, რომელიც უკვე თვალთშესამჩნევი გახდა, სასტუმრო ოთახის ხალიჩაზე იჯდა და ცხოველივით ყარდა. მაგრამ, სუნს მხოლოდ მე ვგრძნობდი, რადგან ალიას თვალთმაქცობა ნიკაპზე ამოზრდილი თმასავით გამრავლდა, რომელსაც საწები ლენტით ძირიანად იგლეჯდა.

ალიას რომ ერების ბედში წვლილი აქვს შეტანილი, არ უნდა დავუკარგოთ. ეს თავისი სკოლისა და კოლეჯის მეოხებით შეძლო. თავისი შინაბერული იმედგაცრუება სასწავლო გეგმასა და მოსწავლეებში ჩაწურა. მან ბავშვების ერთგვარი „ტომი“ გამოზარდა, რომლებსაც თითქოს მამა-პაპიდან გადმოეცათ უძველესი შურისძიების გრძნობა, მაგრამ თავადაც არ იცოდნენ, — რატომ... შინაბერა დეიდების უნაყოფო გვალვა ყველაფერს ახრიოკებს! სახლში ფერწერული ტილოებიც მოსპო და ავეჯიც გაატლანქა დეიდის სიმწარემ. მისი ხასიათი ფარდებმა ნაოჭებად მოიკიდეს. მისი გახელება მიწის ბზარებიდან ამოსკდა.

ალიას კულინარია იტაცებდა, რაც ხელოვნების სიმაღლემდე აიყვანა: საკვებს ემოციებით აორსულებდა. მერი პერეირას შემდეგ მეორე ექსპერტი იყო ამ საქმეში. მაგრამ სალემ სინაიმ ორივე მზარეულს აჯობა. ის ხომ ბრაგანზას მწნილების ქარხნის მენეჯერია... დეიდაჩვენთან რომ ვცხოვრობდი, განხეთქილების საკვებით გვკვებავდა და თანდათანობით ჩემი მშობლების საშემოდგომო სიყვარულიც მწყობრიდან გამოიყვანა.

მაგრამ დეიდაჩემზე კარგიც უნდა ვთქვა. პოლიტიკაში სამხედრო



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთავრობის წინააღმდეგ ხმამაღალ პროტესტს გამოთქვამდა. გენერალი მისი სიძე რომ არ ყოფილიყო, ალბათ სკოლას და კოლეჯს წაართმევდნენ. ლექციების ტურს ატარებდა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და გემრიელ კერძებსაც ამზადებდა (მიუხედავად იმისა, ამ კერძებში რა იმალებოდა).

მაგრამ იქაურმა ჰაერმა და საკვებმა თავისი ქნა... სალემი თავისი დის ხსენებაზე ჭარხალივით წითლდებოდა. ჯამილა სახლში იშვიათად იყო. მოგზაურობდა და კონცერტებს ატარებდა. იშვიათად, როცა და-ძმა ერთმანეთს შეხვდებოდა, ისე შეხტებოდნენ ხოლმე დაბნეულობისგან, თითქოს გახურებულ ქურაში შეაგდესო. სხვა დროსაც ისე უცნაურად მოქმედებდნენ, რომ ეს ფხიზელ თვალს არ გამოეპარებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველას გონება ყოველთვის რაღაცით იყო გართული. ჯამილა სიცხის მიუხედავად, სახლშიც ჩადრით დადიოდა. სალემს მისთვის ისევ მოჰქონდა საფუვრიანი პური, სანტა-იგნასიას მონაზვნები რომ აცხობდნენ, მაგრამ თავისი ხელით არ აძლევდა, შხამიან დეიდას სთხოვდა, გადაეციო. ალია გაოცებული ეკითხებოდა: „რა გჭირს ბიჭო, ავად ხომ არ ხარ?“ სალემი საშინლად წითლდებოდა, ეშინოდა, დეიდაჩემი ხომ არ ხვდება, მეძავებთან რომ ვიყავიო. ალია შესაძლოა ხვდებოდა კიდეც, მაგრამ ჩუმად იყო, რადგან უფრო დიდი თევზის დაჭერას აპირებდა.

...სალემი დიდხანს დუმდა ხოლმე და მერე უცებ წამოიყვირებდა რაღაც უაზროდ — „არა!“ ან „მაგრამ!“ ან უფრო საიდუმლო სიტყვებს: „ბახ!“ და „ვაააბ!“ არაფრისმთქმელი სიტყვები სიჩუმის ღრუბლებს ფანტავდა. თითქოსდა ისეთი მძაფრი შინაგანი დიალოგი ჰქონდა გამართული საკუთარ თავთან, რომ მისი მდუღარება ტუჩებზე ასკდებოდა. მდგომარეობას ცხარე საკაზმიც ართულებდა. ამინა მარტო უჩინარ სარეცხის კარადებს ელაპარაკებოდა. აჰმედს შეტევის შემდეგ ცოტა სიცილიც შეეძლო. მე კი გაბრაზებული და მოღუშული ვიმზირებოდი. ალბათ დეიდა ალიას უხაროდა, რომ სინაის კლანზე შური ასე იძია. შემდეგ იმ დიდხანს ნალოლიავები ამბიციისგან თვითონაც დაიწრიტა. შესაძლებლობები ხელიდან გამოეცალა და ახლა ფუტურო ნაბიჯებით მიმოდიოდა იმ შეშლილთა თავშესაფარში, მისი სახლი რომ ერქვა და ნიკაპზე საწები ლენტი ედო. მისი ერთი დისშვილი გიჟივით ხტებოდა ხოლმე, თითქოს გახურებულ იატაკზე იდგა, მეორე დისშვილი კი უაზრო სიტყვებს წამოიძახებდა. მის დამბლადაცემულ ყოფილ თაყვანისმცემელს პირიდან ნერწყვი ნიკაპზე ჩამოს-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიოდა. ამინა კი წარსულის მოჩვენებებს ესალმებოდა: „ისევ მოხვედი? კარგი, რატომაც არა. ამქვეყნად არაფერი იკარგება“.

წიკ-წიკ... 1965 წლის იანვარში დედაჩემმა, ამინა სინაიმ, აღმოაჩინა, რომ ჩვიდმეტი წლის შემდეგ ისევ ფეხმძიმედ იყო. ეს ამბავი ალიას უთხრა და ამით შურისძიების სრულყოფის საშუალება მისცა. ალიამ რა უთხრა დედაჩემს ან რა გაურია საჭმელში — უცნობია და მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ. მაგრამ ამინაზე გამანადგურებლად იმოქმედა. ყოველღამე კოშმარული სიზმარი ტანჯავდა, რომ უჩნდებოდა ბავშვი, რომელსაც ტვინის ნაცვლად კომბოსტო ჰქონდა. ელანდებოდა, რამრამ სეთმა რომ უთხრა, ორთავიანი ბავშვი გაგიჩნდებაო და ამან სულ გააგიჟა. დედა ორმოცდაორი წლისა იყო და ამ ასაკში დაორსულებამ ისე შეაშინა, რომ ქმრისადმი სიყვარულის იდილია გაფერმკრთალდა. დეიდაჩემის გავლენის წყალობით მომავალი ბავშვისა შეეშინდა. თვეები რომ გავიდა, თავისი ორმოცდაორი წელი საშინლად ჩამოაწვა მხრებზე. ოთხი ათეული წლის სიმძიმე ყოველდღიურად იზრდებოდა და გასრესით ემუქრებოდა. მეორე თვეში თმა გაუთეთრდა, მესამე თვეში სახე დამპალ მანგოსავით დაუჭკნა, მეოთხე თვეში უკვე ბებერ, დანაოჭებულ, გასივებულ, კოჟრებიან ქალად იქცა და სახე მთლიანად თმამ დაუფარა. ისევ სირცხვილის ნისლში გაეხვია, თითქოს ეს ბავშვი ამ ასაკის ქალისთვის სკანდალურად სამარცხვინო იყო. სწორედ ამ დროს ჩაჯდა ლერწმის სავარძელში და წარსულის აჩრდილები ისტუმრა. უცბად მოტყდა. აჰმედ სინაი კი ამის შემხედვარე მწყობრიდან გამოვიდა.

ახლაც კი მიჭირს იმ დღეების შესახებ ვწერო. მამაჩემს პირსახოცების ქარხანა ხელში ჩაეფშვნა. ალიას კუდიანმა კულინარიამ (მამაჩემის კუჭზეც რომ იმოქმედა და თვალებზეც — როცა ცოლს უყურებდა) შედეგი გამოიღო. აჰმედი უკვე ვეღარ მართავდა ქარხანას და დაქირავებულ პერსონალს მუდამ ეჩხუბებოდა.

კატეგორიული იყო. მსახურებს ცუდად ექცეოდა და მონური მორჩილების წესებს ჩააგონებდა. ამის შედეგად სამუშაო ძალა ხელიდან გამოეცალა. ისინი ფაბრიკიდან მიდიოდნენ და აჰმედს ეუბნებოდნენ: ჩვენ კვალიფიციური მქსოველები ვართ და არა ტუალეტის მრეცხავებიო. დეიდაჩემის ჯადოქრობით გაბრუებულმა აჰმედმა ყველა გაუშვა და უსაქმურთა ბანდა დაიქირავა, რომლებიც დანადგარების ნაწილებს იპარავდნენ. სამაგიეროდ, აჰმედს პირფერულად ემონებოდნენ. უვარგის პირსახოცთა რიცხვმა სწრაფად იმატა. კონტრაქტები და შეკვე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თები ვერ სრულდებოდა, ამიტომ შეკვეთითაც არავინ უკვეთდა. აჰმედი წუნდებულ პირსახოცებს სახლში ახვევებდა, რადგან ფაბრიკაში უკვე ადგილი აღარ იყო. ისევ სმა დაიწყო და მალე დეიდის სახლის კედლები ჯინთან ბრძოლის ნიშნებით დაიფარა. ჩვენ კი პირსახოცების ევერესტებს გვერდს ძლივს ვუვლიდით.

ყველანი, ჯამილას გარდა, დეიდაჩვენის მრისხანების კალთაში ჩავცვივდით. ჯამილა სახლში იშვიათად იყო, ამიტომ მას ეს ყველაფერი ნაკლებად შეეხო. ჩვენ კი ჩვენი ხელით მოვჭერით ტოტი, რომელზეც ვისხედით. მტკივნეული დრო იყო. დედ-მამის სიყვარული ბავშვმა და დეიდის შურმა გასრისა. დაბნეულობამ სახლის ფანჯრებიდანაც გააღწია და ერის გულსა და გონებაში მოიკალათა ისე, რომ როცა ომი დაიწყო, ხალხი ირეალურობის ნისლში გაეხვია, რომელშიც ჩვენ უკვე დიდი ხანია ვცხოვრობდით.

სანამ მამაჩემს თავში ბომბი აუფეთქდა, სხვა რამ მოხდა: 1965 წლის აპრილში რანოვქუჩში დატრიალებული ამბები შევიტყვეთ.

დეიდაჩემის შურისგების ქსელში გაბმულნი ბუზებივით რომ ვფართხალებდით, ისტორიის წისქვილი ფქვას აგრძელებდა. პრეზიდენტ აიუბის[1] რეპუტაცია შეირყა. 1964 წლის არჩევნების გაყალბების ამბავმა გამოჟონა და მთელ ქალაქს მოედო ისე, რომ არა და არ ჩაცხრა. ჭორები პრეზიდენტის ვაჟზეც გავრცელდა, რომელიც რაღაც ამოუცნობი საქმიანობით ერთ ღამეში გახდა მილიონერი. ო, ეს დიდი მამიკოების უზნეო შვილები! მერე სანჯაი განდი, მისი მანქანების კომპანია და კონგრესმენი შვილი... ახლახან კიდევ კანტი ლალ დესაი... ასეთი შვილები მამებს სახელს უტეხენ. მეც მყავს ვაჟი, ადამ სინაი, რომელიც, ალბათ, ასე არ მოიქცევა. შვილები მამებზე უარესი კი არა, უკეთესი უნდა გახდნენ. 1965 წლის აპრილში ჰაერი შვილების შეცდომებით გაივსო. ვისი შვილი აცოცდა პრეზიდენტის სახლის კედელზე? ვინ ესროლა პრეზიდენტს ტყვია მუცელში? ზოგ მამას გაუმართლა, რომ ისტორიამ არ იცის მისი სახელი. მკვლელს იარაღი გაეჭედა. პოლიციამ წაიყვანა იგი და კბილები და ფრჩხილები სათითაოდ დააძრო. პენისი სიგარეტით დაუწვეს და ალბათ ვერანაირ შვებას ვერ მისცემდა, ვინმეს მისთვის რომ ეთქვა, ისტორიის ტალღამ გაგიტაცა და ასე ცუდად იმიტომ მოიქეციო (მე არც ჩემს თავს გამოვრიცხავ).

---

[1] *მუჰამედ აიუბ-ხანი — პაკისტანის პრეზიდენტი 1958-1969 წლებში.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახალი ამბები რეალობას დაშორდა: გაზეთები უცხოელ ეკონომისტთა ნათქვამს იმეორებდნენ: პაკისტანი ახალწარმოქმნილ ერთა მოდელიაო. გლეხები ეგრეთ წოდებულ „მწვანე რევოლუციას“ წყევლიდნენ და ამბობდნენ, ახალამოთხრილი ჭები უვარგისი და მოწამლულიაო. ავტორიტეტული გაზეთები მთავრობას კეთილსინდისიერებას უქებდნენ; ბუზებივით მრავალრიცხოვანი ჭორები ვრცელდებოდა პრეზიდენტის შვილის შვეიცარიული საბანკო ანგარიშებისა და ახალი ამერიკული ავტომანქანების შესახებ. კარაჩის „ალიონი“ ინდურ-პაკისტანური ალიონის მოახლოებაზე წერდა. რანოვქუჩში ერთი ვაჟი რაღაც ამბავს ქექავდა.

ქალაქი მირაჟებითა და ტყუილებით გაივსო. ჩრდილოეთის მაღალ მთებში ჩინელები გზებს აგებდნენ და ატომურ აფეთქებებს გეგმავდნენ. ახლა კი დროა, ზოგადიდან კერძოზე გადმოვინაცვლოთ. ზაფარ ზულფიკარს ვგულისხმობ, იმედის გამაცრუებელი ვაჟის არქეტიპად[1] იქცა. ისტორია ზულფიკარზე მუშაობდა და ამ დროს თითს მომავალი სინჯაისა და კანტი ლალისკენ — ესე იგი ჩემკენ იშვერდა.

ზაფართან იმ დროს ბევრი რამ საერთო მქონდა... ჩემი გული აკრძალული სიყვარულით იყო სავსე, ხოლო ზაფარის შარვალი — აკრძალული სითხით. მე ბედნიერ და უბედურ მითურ შეყვარებულებზე ვოცნებობდი: შაჰ ჯენანსა და მუმთაზ მაჰალზე, მონტეგებსა და კაპულეტებზე. ზაფარი თავის კიფელ საპატარძლოზე ოცნებობდა, თექვსმეტი წლისა სქესობრივად მოუმწიფებელი რომ იყო და ზაფარისთვის მიუღწეველ მომავლად დარჩა... 1965 წლის აპრილში ჩემი დეიდაშვილი რანოვქუჩის პაკისტანის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაგზავნეს.

ლეიტენანტ ზაფარს შარდის შეუკავებლობის გამო მთელი აბოტაბადის სამხედრო ბაზა დასცინოდა. ხმები დადიოდა, რომ ზაფარს რეზინის საცვლის ჩაცმა უბრძანეს (რომელიც ბუშტს ჰგავდა), რათა დიდებული პაკისტანური სამხედრო მუნდირი არ წაებილწა. ზაფარი რომ ჩაივლიდა, ჯარისკაცები ლოყებს გამობერავდნენ ხოლმე, ვითომ ბუშტს ბერავენო (ეს ამბავი მოგვიანებით მთელმა ქვეყანამ გაიგო. როცა ზაფარი მკვლელობისთვის დააკავეს, თავად მოჰყვა და თან ცრემლები სდიოდა). რანოვქუჩში ზაფარის გაგზავნა, შესაძლოა, ტაქტიანმა მეთაურმა მოიფიქრა, რათა აბოტაბადის ცეცხლის ხაზისთვის

[1] *არქეტიპი (ბერძნ.) — (წიგნ.) რისამე პირველსახე, საწყისი, ამოსავალი ფორმა.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაერიდებინა... შარდის შეუკავებლობამ ზაფარს ჩემსავით საშინელი დანაშაული ჩაადენინა. მე ჩემი და მიყვარდა, მას კი... მაგრამ, მოდი, თავიდან დავიწყებ.

გაყოფის შემდეგ რანი „სადავო ტერიტორიად" იქცა. თუმცა არც ერთ მხარეს თავი არ გამოუდვია. ოცდამესამე პარალელის აღმართზე, არაოფიციალურ საზღვართან, პაკისტანის მთავრობამ სასაზღვრო პოსტები ააშენა და თითოზე ექვს-ექვსი კაცი ჩააყენა. 1965 წლის 19 აპრილს ინდოეთის არმიამ ამ პოსტების ნაწილი დაიკავა. პაკისტანის არმია ოთხმოცდაორი დღე იბრძოდა საზღვრის დასაბრუნებლად. რანში ომმა პირველ ივლისამდე გასტანა. ეს ფაქტებია. დანარჩენს კი ირეალურობის ორმაგი ნისლი ბურავს. არავინ იცის, სინამდვილეში რა ხდებოდა ფანტასმაგორიულ რანში... ამიტომ ამბავი, რომელსაც ახლა მოგითხრობთ და რომელიც ძირითადად ზაფარმა გაამჟღავნა, შეიძლება სიმართლეს ნაწილობრივ შეეფერებოდეს.

...ახალგაზრდა პაკისტანელმა ჯარისკაცებმა რანის ჭაობიან მიწას რომ ფეხი დაადგეს, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხათ და შუქურის მწვანე სინათლემ მწყობრიდან გამოიყვანათ. ისინი შეშინდნენ, რადგან გაახსენდათ საშინელი ამბები, რომელიც ამ ამფიბიურ ზონაში მოხდა. აქ იყვნენ დემონური ზღვის ურჩხულები, თვალები რომ უელავდათ; თევზქალები, რომლებსაც თევზის თავები ზღვაში ჰქონდათ, ხოლო ქალის შიშველი სხეულებით ნაპირზე იწვნენ, კაცებს იტყუებდნენ და მერე ხოცავდნენ. ვისაც თევზქალა შეუყვარდებოდა, ცოცხალი ვერ გადარჩებოდა... ჯარისკაცები ჩვიდმეტი წლის მფრთხალი ბიჭები იყვნენ და აუცილებლად დაიხოცებოდნენ, რომ არა ის მწვანე ჰაერი, რომელმაც ინდოელები მათზე ადრე დაატყვევა. იმ ჯადოსნურ მიწაზე შეშლილი ომი გაჩაღდა. ორივე მხარე თავის მოწინააღმდეგის გვერდით ეშმაკთა მებრძოლ მოჩვენებებს ხედავდა. ბოლოს, ინდოეთის ჯარი დანებდა. ბევრი მათგანი აქვითინდა, მადლობა ღმერთს, ომი დამთავრდაო. ისინი ჰყვებოდნენ რაღაც ნამტირალევ მოჩვენებებზე, რომლებიც ღამით საზღვრის პოსტებთან დაძვრებოდნენ. ასევე ჰყვებოდნენ, რომ დაინახეს წყალში დამხრჩვალთა ჰაერში მოფარფატე სულები, რომელთაც თავზე ზღვის მცენარეთა გვირგვინები ედგათ, ხოლო ჭიპები ზღვის ნიჟარებით ჰქონდათ დაფარული.

ჩემს დეიდაშვილს გაუგონია, ინდოელ ჯარისკაცებს რომ უთქვამთ: ეს სასაზღვრო პოსტები ცარიელი იყო და ამიტომაც შემოვედითო.

მიტოვებული სასაზღვრო პოსტების მისტერია პაკისტანელ ჯა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რისკაცებს არ გაჰკვირვებიათ. ჩემი დეიდაშვილი, ლეიტენანტი ზაფარი, ერთ-ერთ პოსტს შვიდი დღე-ღამის განმავლობაში სხვა ხუთ ჯარისკაცთან ერთად იცავდა და ამ დროში მისი ნაწლავები და შარდის ბუშტი განუწყვეტლივ მოქმედებდა. ღამღამობით კუდიანთა წივილი ისმოდა და სიბნელის ენით უთქმელ, ამაზრზენ ფაჩუნს გამოსცემდა. ექვსივე ლაწირაკი ჯარისკაცი შიშმა ისე დააკნინა, რომ ზაფარის დაცინვისთვის ვიღას ეცალა. საკუთარ შარვლებში ისველებდნენ. ერთმა შიშისგან გათავებულმა ჯარისკაცმა დანარჩენებს უთხრა: ბიჭებო, ასეთ შიშში ყოფნას აქედან გავიქცე მირჩევნიაო.

რანში შესული ბიჭები ცივი ოფლით გაიხვითქნენ. დაბოლოს, უკანასკნელ ღამეს, საშინელება იხილეს: მოჩვენებათა არმია სიბნელიდან პირდაპირ მათკენ მოემართებოდა. ზღვის ნაპირთან ახლოს იყვნენ და მთვარის მწვანე სინათლეში მოჩვენებათა გემების აფრები შენიშნეს. მოჩვენებები შეუჩერებლად ახლოვდებოდნენ. ჯარისკაცებმა წივილ-კივილი მორთეს. მოჩვენებებს მკერდი ხავსით დაეფარათ და რაღაც უჩინარი საგნები შესუდრული მოჰქონდათ. მოჩვენებების არმია კარს რომ მოუახლოვდა, ზაფარი მათ ფეხებთან დაეცა და საშინელი ბოდვა დაიწყო.

პირველ მოჩვენებას, რომელიც პოსტის ეზოში შევიდა, რამდენიმე კბილი აკლდა და ქამარში ბებუთი გაერჭო. ქოხში ჯარისკაცები რომ დაინახა, თვალები წითელი მრისხანებით აენთო. „აქ რა ჯანდაბა გინდათ, — დაუყვირა მოჩვენებათა მეთაურმა ჯარისკაცებს, — განა არ გადაგიხადეს?“

მოჩვენებები კი არა, კონტრაბანდისტები ყოფილან, შერცხვათ ჯარისკაცებს... და ახლა სათქმელს მივადექით. ვისი სახელით მოქმედებდნენ კონტრაბანდისტები? ვისი სახელი წამოსცდა კონტრაბანდისტთა მეთაურს, ჩემმა დეიდაშვილმა გაოცებისაგან პირი რომ დააღო? ვინ გამდიდრდა საცოდავი ჰინდუს ოჯახების გაღატაკების ხარჯზე 1947 წელს და ახლაც ვისი ქონება იზრდებოდა ამ კონტრაბანდით რანსა თუ პაკისტანის სხვა ქალაქებში? ვინ იყო ის მკვეთრხმიანი გენერალი, რომელიც მოჩვენებათა ჯარებს მართავდა?

...მოდი, ფაქტებზე შევჯერდეთ. 1965 წლის ივლისში ზაფარი მამამისის სახლში, რავალპინდიში, დაბრუნდა. ერთ დილით მამამისის საძინებლისკენ გაისეირნა. ბავშვობის დროინდელი დამცირება და შარდის შეუკავებლობა სირცხვილად აწვა მხრებზე, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ იცოდა, რანში მომხდარ ამბავს მამამისი ხელმძღვანელობდა. ის კი სამარცხვინოდ იატაკზე წაიქცა და ბოდვა და-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იწყო. ზაფარმა მამამისს საძინებლის გვერდით სააბაზანოში წაასწრო და კონტრაბანდისტის გრძელი ბებუთით ყელი გამოღადრა.

გაზეთები წერდნენ: „ინდოეთი ბოროტად შემოგვეჭრა, მაგრამ ბიჭებმა გმირულად უკუაგდეს“. ამ ცნობის მიღმა სიმართლე იმალებოდა. თუმცა სიმართლე გენერალი ზულფიკარის შესახებ მოჩვენებასავით გაურკვეველი იყო. მესაზღვრეთა მოსყიდვა გაზეთებში სხვა რამედ იქცა, ისინი წერდნენ: ინდოელებმა უდანაშაულო ჯარისკაცები იმსხვერპლესო. ბიძაჩემის კონტრაბანდისტობის ამბავს ვინ ავრცელებდა? გენერალი ზულფიკარი მოკვდა. ზაფარი დაიჭირეს და კიფის პრინცესა, რომელიც სქესობრივ სიმწიფეს ჯიუტად აგვიანებდა, მასთან ქორწინებას გადაურჩა. რანოვქუჩის ამბები ნავთი აღმოჩნდა იმ ცეცხლზე, რომელიც აგვისტოში აგიზგიზდა. ეს დასასრულის ცეცხლი იყო, რომელმაც სალემი განწმინდა.

დეიდაჩემ ესმერალდას ემიგრაციის ნება დართეს. ის ინგლისში, საფოლკში, მიემგზავრებოდა, სადაც მისი ქმრის ძველ მეგობარ ოფიცერთან, ბრიგადირ დოდსონთან იცხოვრებდა. დოდსონს სიბერისას ინდოეთი მოენატრა და ძველ ფილმებს უყურებდა — დიდი დურბარისა და ჯორჯ V-ის ინდოეთის კარიბჭესთან მოსვლის შესახებ რომ იყო... დეიდა კი იმ დროს ელოდა მოუთმენლად, როცა ნოსტალგიის ცარიელ წყვდიადსა და ინგლისურ ზამთარში ჩაეფლობოდა. მერე ომი დაიწყო და ყველა ჩვენი პრობლემა მოგვარდა.

ოცდაჩვიდმეტდღიანი „მოჩვენებითი მშვიდობის“ პირველ დღეს აჰმედ სინაის დამბლა დაეცა. მარცხენა მხარე პარალიზებული დაუტოვა. ბავშვივით ხითხითებდა და პირიდან ნერწყვი სდიოდა. არაფრისმთქმელ სიტყვებს წამოიძახებდა ხოლმე და ჩვილივით ჯიუტობდა. მამაჩემის კარიერა ამჯერად საბოლოოდ დასრულდა. დასრულდა ჯინებთან თამაშიც. გამოთაყვანებული და დადამბლავებული იჯდა წუნდებულ პირსახოცებს შორის. დედა თავს გადახრიდა ხოლმე სევდიანად, როცა ლაილა საბარმათის პიანოლა, ანდა მისი ძმის, ჰანიფის აჩრდილი ესტუმრებოდა. ფეხმძიმე ამინასთან მოცეკვავე ხელებიც მოდიოდნენ და მისი ხელების ირგვლივ ფარვანებივით ფარფატებდნენ... საბარმათი თავისი უცნაური ხელკეტით სტუმრობდა და ნასიიხვი დედას დამჭკნარ ყურში უჩურჩულებდა: ეს დასასრულია, ამინა, დაო, ქვეყნიერების დასასრულიო... ახლა, როცა პაკისტანური წლების ავადმყოფური რეალობიდან და დეიდაჩემ ალიას შურისძიების ნისლი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დანაც გამოვემტვრიე და ბომბეური ძირებიდან მოწყვეტის საშინელებაც ვიწვნიე, დადგა დრო, როცა დასასრულზე უნდა გიამბოთ.

დასასრულსაც თავისი დასაწყისი აქვს. ყველაფერს თანამიმდევრულად მოვყვები (ბოლოს და ბოლოს, პადმა მაკონტროლებს). 1965 წლის 8 აგვისტოს ჩემს ოჯახურ ისტორიას საშველი დაადგა. არა, მოდი, მნიშვნელოვანს ვიტყვი: განწმენდისთვის ალბათ ის იყო აუცილებელი, რაც შემდეგ მოხდა.

ალია აზიზი კმაყოფილი იყო თავისი საშინელი შურისძიებით. ქვრივი დეიდა ესმერალდა ქვეყნიდან მიდიოდა. ფიას ავხორცობა ყალბი იყო. ბებიაჩემი კი თავის მინის ჯიხურში განმარტოვდა. ზაფარს დაუმწიფებელი პრინცესის ოცნება და ციხის ჩასველებული მატრასები შერჩა. მამაჩემი ბავშვობაში დაბრუნდა, ხოლო ორსული ამინა სინაი უცებ დაბერდა... ამ საშინელ მდგომარეობას მაშინ ეშველებოდა, როცა მთავრობა ქაშმირის ოცნებას ჩემგან გაითავისებდა. ჩემმა დამ ჩემს სიყვარულს კაჟივით მტკიცე უარი უთხრა. ამან კი ჩემს გონებას ღრმად ფატალური ფორმა მისცა. მომავლისადმი გულგრილი გავხდი და ძია პაფს ვუთხარი, შენს ნებისმიერ ქალიშვილს შევირთავ, ოღონდ მითხარი-მეთქი (ამით იმათი ოჯახიც გავაუბედურე, რადგან ვინც ჩვენთან ნათესაურ კავშირს იჭერს, ჩვენს ბედს იზიარებს).

ვცდილობ მისტიფიკაციას თავი დავანებო და ფაქტებზე გავამახვილო ყურადღება. მაგრამ, რომელ ფაქტებზე? ერთი კვირით ადრე, სანამ თვრამეტის გავხდებოდი, 8 აგვისტოს, პაკისტანის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ჯარმა ქაშმირის მშვიდობიანი საზღვარი გადალახა და ინდოეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. დელიში პრემიერ-მინისტრმა შასტრიმ „მასობრივი შემოჭრის“ შესახებ განაცხადა... მაგრამ, ზულფიკარ ალი ბჰუტომ, პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა, შენიშნა: „ჩვენ გამოვრიცხავთ, რომ ქაშმირელ ადგილობრივ მოსახლეობას რაიმე მონაწილეობა მიეღო ტირანიის წინააღმდეგ“.

თუ ეს ასე მოხდა, მიზეზი რა იყო? შესაძლო განმარტებათა კასკადი წამოვა, რომ მიზეზი შეიძლება ყოფილიყო რანოვქუჩის უკმაყოფილება; ერთხელ და სამუდამოდ დალაგებისა და ჩაცხრობის სურვილი, საუკეთესო ადგილის მოპოვების ძველი ამბავი... ანდა ის მიზეზი, რომელიც გაზეთებში არ მოხვდა: პაკისტანის შიდა პოლიტიკური პრობლემები: აიუბის მთავრობა დამხობის პირას იყო. ასეთ დროს ომი სასწაულებს ახდენს. ახსნისთვის ორ მიზეზს მოვიხმობ: ომი იმიტომ მოხდა, რომ ქაშმირის ოცნება მთავრობას მე ჩავუნერგე. მეტიც: მე ხომ უწმინდური ვიყავი და ომი ცოდვებისგან გამწმენდდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯიჰადი, ჰადმა! წმინდა ომი!

მაგრამ შეტევაზე ვინ გადავიდა? ვინ იცავდა თავს? თვრამეტი წლის რომ ვიყავი, რეალობამ სულ სხვა, საშინელი გეზი აიღო. რედ ფორტის ბასტიონიდან ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა (იმან არა, დიდი ხნის წინ რომ მომწერა) დაბადების დღე ასე მომილოცა: „გპირდებით, რომ ძალას ძალას დავახვედრებთ, აგრესია ვერ იზეიმებს!“ ჯიპები ხმამაღალი სიგნალებით მესალმებოდნენ გურუმანდირში, თითქოს მეუბნებიან: „ინდოელ აგრესორებს არ გავახარებთ! ჩვენ მებრძოლი ერი ვართ! ერთი პენჯაბელიი მუსლიმი ათ შეიარაღებულ ინდოელს სჯობია!“

მომღერალი ჯამილა ჩრდილოეთით მიიწვიეს, ჯარისკაცებისთვის რომ ემღერა და გაემხნევებინა. მსახური ფანჯრებს აბნელებს. გაბავშვებული მამაჩემი ღამით ფანჯრებს აღებს და სინათლეს ანთებს. ღიობიდან აგურები და ქვები ცვივა: — ჩემი დაბადების დღის საჩუქრებია. მოვლენები უფრო იძაბება: 30 აგვისტოს ინდოელები ურის საზღვარს კვეთენ. პაკისტანელ თავდამსხმელებს რომ დაედევნონ თუ შეტევა განახორციელონ? პირველ სექტემბერს ჩვენმა ათჯერ ძლიერმა ჯარმა ჩამბის საზღვარი დაარღვია. ეს აგრესია იყო თუ არა?

მომღერალი ჯამილა პაკისტანის ჯარს სიკვდილისკენ მიაცილებდა. მუეძინები დაგვპირდნენ, რომ ვინც ბრძოლის ველზე დაიღუპებოდა, პირდაპირ ქაფურის ბაღში მოხვდებოდა. ჰაერში საიდ აჰმედ ბარილვის მუჯაჰიდური ფილოსოფიის სუნი ტრიალებდა. ჩვენ თავი უნდა გაგვეწირა ისე, როგორც არასოდეს.

და რადიოში რა ამბები ხდებოდა, რა ქაოსი ტრიალებდა! პაკისტანის ხმამ იმაზე მეტი საჰაერო ძალის განადგურება გამოაცხადა, ვიდრე ინდოეთს ჰქონდა; ინდოეთის რადიო აცხადებდა, პაკისტანის ძალები სულ ერთიანად, უკანასკნელ კაცამდე გავანადგურეთო. მე კი ცალკე ომმა და ცალკე ჩემმა ცხოვრებამ სულ შემშალა და რაღაც საშინელი ფიქრები ამეკვიატა...

6 სექტემბერს ინდოეთის ჯარები ვაგას საზღვარზე გადავიდნენ და ფრონტის არეალი გააფართოეს. ახლა იგი ქაშმირზე აღარ გადიოდა. მართლა დიდი თავგანწირვით იბრძოდა თუ არა ორივე მხარე? მართლა დაუცველი იყო თუ არა ქალაქი იმ მიზეზის გამო, რომ პაკისტანის არმია და საჰაერო ძალები ქაშმირის სექტორში დარჩა? პაკისტანის ხმა ამბობდა: „ო, დიდებულო დღევ! ო, დაყოვნების ფატალურო ბედისწერავ!“ ინდოელებმა ქალაქი დაიპყრეს თუ არა, შეჩერდნენ, რომ ესაუზმათ. ინდოეთის რადიო აცხადებდა, რომ ლაჰორი დაეცა. ამასობაში პირადმა საზენიტო ძალამ დაინახა, თუ როგორ სა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

უზმობდნენ თავდამსხმელები. ბი-ბი-სი კი აცხადებდა, რომ ლაჰორი მობილიზებული იყო. პაკისტანის ხმას უსმინეთ! — მოხუცები, ჭაბუკები, განრისხებული ბებიები ებრძოდნენ ინდოეთის არმიას; ხიდიდან ხიდამდე იბრძოდნენ, ნებისმიერ ნივთს იარაღად იყენებდნენ! კოჭლი კაცები ჯიბეებს ასაფეთქებლებით ივსებდნენ და ინდურ ტანკებს ქვეშ უცვივდებოდნენ; უკბილო მოხუცი ქალები ინდოელებს ფიწლებზე აგებდნენ! ყველა დაიხოცა, მაგრამ გადარჩა ქალაქი. მათ ინდოელები საჰაერო ძალის მოსვლამდე შეაკავეს! ისინი წამებულნი არიან, ჰადმა, ნამდვილი გმირები, რომლებიც სურნელოვანი ბაღისკენ გაეშურნენ. იქ კი, იმ სამოთხეში კაცებს ოთხი უმშვენიერესი ქალწული მიებოძებათ, რომელსაც არც კაცი და არც ჯინი არასოდეს შეხებიათ; ქალებს კი ოთხი უმამაცესი რაინდი! ღმერთის კურთხევას სად წაუხვალ? ეს წმინდა ომია, რომელშიც თავგანწირვით ყველა ცოდვას გამოისყიდი! რა გასაკვირია, რომ ლაჰორი გადარჩა; აბა, რას ელოდნენ ინდოელები? ან რას ელიან? — რეინკარნაციას — რომ ტარაკნებად, მორიელებად ან სხვა რამედ გარდასხეულდებიან? — რა თქმა უნდა, იმ სამოთხესა და ამ ჯოჯოხეთს შორის დიდი სხვაობაა.

მაგრამ, ნამდვილად ასე მოხდა თუ არა? ინდოეთის რადიო სიმართლეს ხომ არ აცხადებდა, რომ 450 პაკისტანური ტანკი გაანადგურეს?

გარკვევით არავინ არაფერი იცის. ძია პაფი კლეიტონ-როუდზე რომ მოვიდა, პირში არც ერთი კბილი არ ჰქონდა (ინდოეთ-ჩინეთის ომის დროს, როცა ინდოეთის მხარე გვეჭირა, მაშინ დედაჩემმა მთელი თავისი ძვირფასეულობა ერის საქმეს შესწირა; მაგრამ პირიდან ყველა ოქროს კბილის ამოცლას რა ჰქვია?) „ერი ერთი კაცის სიხარბემ არ უნდა შეიწიროს!“ — დაიჩიფჩიფა ძია პაფმა. მაგრამ ნამდვილად წმინდა ომს შესწირა კბილები თუ კარადაში შეინახა უსაფრთხოებისათვის? „ვწუხვარ, რომ მზითევს დაგიგვიანებთ“ — ისევ ჩიფჩიფით თქვა ძია პაფმა. პატრიოტიზმმა შეიწირა თუ სიძუნწემ მისი კბილები?

პარაშუტისტები მართლა იყვნენ თუ არა?.. პაკისტანის ხმა აცხადებდა, რომ ისინი ყველა მთავარ ქალაქში ჩამოხტნენ და რომ ყველამ, ვისაც შეუძლია, იარაღი უნდა აიღოს ხელში და კომენდანტის საათის შემდეგ გაისროლოს. ინდოეთის რადიო აცხადებდა: „მიუხედავად პაკისტანის საჰაერო პროვოკაციისა, ჩვენ პასუხი არ გავეცით!“ ვის უნდა დაუჯერო? პაკისტანის ავიაციამ მართლა მოაწყო რეიდი და ინდოეთის საჰაერო ძალების ერთი მესამედი გამოიჭირა? მართლა იყო თუ არა ასე? ისლამურმა მირაჟმა და მისტერიამ ჰინდუ თავდამსხმელებს



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაუმართა ბრძოლა თუ ეს მხოლოდ ილუზია იყო? მართლა ჩამოვარდა ბომბები? აფეთქებები ყალბი ხომ არ იყო? მართლა დაიხოცა ხალხი?

და სალემი რას აკეთებდა ამ ომში?

რას და: ძილისმომგვრელ და სამოთხისმომტან ბომბებს ელოდა.

საშინელმა ფატალიზმმა შემიპყრო. ორცეცხლშუა ვიწვებოდი: ჩემი ოჯახის დაშლისა და ორი ქვეყნის ომს შუა ვიყავი ჩაჭედილი; ჩემი ბინძური, უპასუხო სიყვარულის ნაღველმაც დამახრჩო. შვებას სიკვდილში ვეძებდი და ღამის ქუჩებში დავხეტიალობდი, იქნებ ტყვია მომხვდეს-მეთქი.

და როცა კომენდანტის საათის შემდეგ ბნელ ქუჩებში დავხეტიალობდი, თავი ვინ შესწირა და ვინ წავიდა ნეტარ სამოთხეში?

22 სექტემბრის ღამეს პაკისტანის ყველა ქალაქზე საჰაერო რეიდი განხორციელდა. ბომბები (მითური თუ ნამდვილი) ჩამოყარეს. რავალპიდიში სამი ბომბი ჩამოვარდა და ერთი მათგანი ბებიაჩემის, ნასიმ აზიზისა და ბიცოლაჩემის, ფიას ბუნგალოს დაეცა. ნასიმი და ფია მაგიდის ქვეშ იყვნენ შემძვრალნი. მეორე ბომბმა ციხის კარიბჭე მოჰგლიჯა და ზაფარი პატიმრობისგან იხსნა. მესამე ბომბმა ჩაბნელებული შენობა დაანგრია, რომელსაც გუშაგები დარაჯობდნენ. გუშაგები პოსტებზე იდგნენ, თუმცა ესმერალდა ზულფიკარი ინგლისზე შორს ვერ გადაისროლეს. იმ ღამეს ესმერალდას ნავაბი ესტუმრა თავისი სქესობრივად მოუმწიფებელი ქალიშვილით. ესმერალდაც ხომ ვერ შევიდა შუახნის სიმწიფეში. კარაჩიშიც სამი ბომბი ჩამოვარდა. ინდოეთის ავიაცია ძალიან შორეული სიმაღლიდან ბომბავდა. ამიტომ, ბომბების უმეტესობა ზღვაში ცვიოდა. ერთმა ბომბმა მაიორი ალუდინ ლატიფი და მისი შვიდი ქალიშვილი იმსხვერპლა. მე კი იმ პირობისგან გავთავისუფლდი, ლატიფს რომ მივეცი. ამასობაში მუტასიმი თავისი კარვიდან გამოვიდა. რაღაცამ მისკენ კოღოსავით გაიწუილა და სნაიპერის ტყვიამ იქვე გაათავა.

ორი უკანასკნელი ბომბის ამბავიც უნდა გითხრათ.

ვინ გადარჩა? მომღერალი ჯამილა ბომბებმა ვერ მონახეს. ინდოეთში ბიძაჩემ მუსტაფას ოჯახი გადარჩა, რომლისთვისაც ბომბებს თავი არ შეუწუხებიათ. მამაჩემის მივიწყებული, შორეული ნათესავი ზორა და მისი ქმარი ამრიცარში წავიდნენ და ბომბმა იქ მოუსწროთ.

...მე არ ვიცოდი ჩემსა და ომს შორის რა ინტიმური კავშირი არსებობდა და ბომბების საძებნელად წავედი. ფხიზელმა ტყვიებმა ვერ მომაგნეს... რავალპინდის ბუნგალოს კვამლი ასდიოდა... გახვრეტილი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზეწრიდან კვამლისსახიანი მოხუცი ბებია ამოიზარდა, ლოყებზე ხალები რომ ჰქონდა... ომმა თანდათან დაწრიტა ჩემი ოჯახი და პირისაგან მიწისა აღგავა.

უკუთვლა დასასრულს მიუახლოვდა.

ლამბრეტა სახლისკენ მოვაბრუნე. თავზე ბომბდამშენებმა გადამიარეს. გაბავშვებული მამა სინათლეებს ანთებდა და ფანჯრებს აღებდა, მიუხედავად იმისა, რომ კომენდანტმა მკაცრად გაგვაფრთხილა, სახლი ჩააბნელეთო. ამინა სინაი ძველი სარეცხის კარადის მოჩვენებას ელაპარაკებოდა: წადი ახლა, საკმარისია, ხომ გნახეო. მე ჩემი მანქანით ჩავუქროლე სამოქალაქო თავდაცვის ჯიპებს, რომლიდანაც მუშტები მომიღერეს. ამ დროს ტყვიის ზუზუნი გაისმა. მივხვდი, რომ სიკვდილი აქვე იყო და მის ძებნას აზრი აღარ ჰქონდა. და მაშინ, როცა მამაჩემის მიერ გაჩირაღდნებული ფანჯრებისკენ მივდიოდი, სიკვდილი აკივლებული ძაღლივით მოვარდა და ერთ წუთში სახლის ნანგრევებად, ცეცხლის ალად და კიდევ ისეთ ძალად იქცა, რომ მანქანიდან გადამისროლა. დეიდაჩემის სახლში კი მამა, დედა, დეიდა და ის ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი, ერთი კვირის წინ რომ ჩაისახა — განადგურდნენ, ჩამოშლილ-ჩამოფხვნილი სახლის ქვეშ გაისრისნენ. კორანგი-როუდზე კიდევ ერთმა, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნისთვის განკუთვნილმა ბომბმა ამერიკული სტილის ჭიპლარიანი სახლი მიწასთან გაასწორა. გურუმანდირში ბევრი ამბავი დასასრულს უახლოვდებოდა. ამინას მიწისქვეშეთის ქმრის ამბავი, მისი გარჯილობისა და საჯარო განაცხადის ამბავი; მისი ვაჟის ამბავი, რომელიც მისი შვილი არ იყო; დოღის წარმატებისა და ტერფების ტკივილის ამბავი; ხელების ცეკვის ამბავი პიონერთა კაფეში; დამ რომ დაამარცხა, იმის ამბავი, ტუჩგამოვარდნილი, მწყობრიდან გამოსული, მუცელგაბერილი და გაყინული აჰმედის ამბავი, ფანტაზიებმა რომ შეიპყრეს, ძაღლი რომ შუა ქუჩაში მიატოვა, ძალიან გვიან რომ შეუყვარდა და მოკვდა, რადგან უძლური იყო იმის წინაშე, რაც ციდან ცვიოდა. სახლი ნაფლეთებად იქცა. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ რკინის ყუთებში ჩაკეტილი მივიწყებული საგნებიც კი ამოყარა და ის სულიერი საკეტებიც გახსნა, სადაც ადამიანებმა თავიანთი წარსული დამარხეს და მიივიწყეს. აფეთქების ხელმა ღრმად ჩააღწია და იმ ტახტსაც მისწვდა, რომელშიც მწვანე რკინის ჩემოდანი იდო. ჩემოდანი გახსნა და შიგ მოთავსებული საგნები ჰაერში ააფრიალა. იმან, რაც მრავალი წლის განმავლობაში უჩინარი იყო, ახლა მთვარესავით ამოანათა. რაღაც ვერცხლისფერი გრეხა-გრეხითა და ბზრიალ-ტრიალით ჩამოვი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და — ლილაქვით გაწყობილი ვერცხლის ჩასაფურთხებელი. წარსული თავზე დამდის და თითქოს იმ სვავის ჩამოგდებული ხელივით მასილაქებს, მწმენდს და მათავისუფლებს. გონება მეწმინდება. წინ მივხოხავ, რათა ჩემი მშობლების ფერფლთან დავემხო; აზრმა გამიელვა, რომ ეს ყოველივე ვიცოდი და ეს წამი დაუსრულებლად გაგრძელდა. ამასობაში ტანსაცმელივით გავიხადე წარსული, აწმყო, მოგონება, დრო, სირცხვილი, სიყვარული და წამიერი, მაგრამ დროს გაცდენილი აფეთქება. თავს უსიტყვო თანხმობის ნიშნად ვაქნევ. დიახ, დრო გამომეცალა და უცებ ცარიელი და თავისუფალი გავხდი. ყველა სალემი მომწყდა და მომცილდა. ყველასგან დავიწრიტე, იმ ბავშვისგან მოყოლებული, რომლის გადიდებული ფოტო გაზეთებში იყო — დღევანდელ, თვრამეტი წლის ბინძურსიყვარულიან სალემამდე. სირცხვილისა და დანაშაულის შეგრძნება აღარ მტანჯავდა, აღარ მინდოდა ვინმესთვის მესიამოვნებინა, აღარ მინდოდა ვინმეს ვყვარებოდი, აღარც ისტორიაში შესვლა მინდოდა, აღარც სწრაფად გაზრდა მსურდა; აღარ მაწუხებდა ცხვირმოუხოცავი, სახელაქებიანი, მელოტი, ცხვირსრუტუნა, სახერუკიანი ბიჭი; აღარ იყო არც სარეცხის კარადა, აღარც ივი ბერნსი, აღარც ენის დემონსტრანტები; აღარ მტანჯავდა ქოლინოს ბავშვი და ფიას ძუძუები, არც ალფა და ომეგა იყო. ჰომი ქეთრექის, ჰანიფის, ადამ აზიზისა და ჯავაჰარლარ ნერუს მკვლელობაც მომეტევა; მხრებიდან ჩამოვიფერთხე ხუთასწლოვანი მეძავების ფერფლი და შუაღამით სიყვარულის ახსნები. თავისუფალი და უდარდელი უმანკოებისა და სიწმინდისკენ მივფორთხავდი. თავზე მთვარე მადგა, თავში ვერცხლის ჩასაფურთხებელი მომხვდა და ჭკუა გამიჩნდა (როგორც მიწინასწარმეტყველეს) და ისეთი ქათქათა ვიყავი, როგორიც ის ხის საწერი კარადა.

23 სექტემბერს გაერომ განაცხადა, რომ ინდოეთ-პაკისტანს შორის მტრობას წერტილი დაესვა. ინდოეთმა პაკისტანის 500 კვადრატული მილი დაიკავა. პაკისტანმა — 340 კვადრატული მილი მიისაკუთრა ქაშმირული ოცნებისა. ამბობდნენ, ცეცხლი იმიტომ შეწყდა, რომ ორივე მხარეს იარაღი გამოელიაო; ასე რომ, საერთაშორისო დიპლომატიის აუცილებლობამ და იარაღის მიმწოდებელთა პოლიტიკურად მოტივირებულმა მანიპულაციებმა ჩემი ოჯახის სრულ განადგურებას ხელი შეუშალა. მე და ჯამილა გადავრჩით იმიტომ, რომ ჩვენს შესაძლო მკვლელებს არავინ მიჰყიდა ბომბები, ტყვიები, ავიაგამანადგურებლები, რომ ჩვენც გავნადგურებულიყავით.

თუმცა, ექვსი წლის შემდეგ ერთი ომი კიდევ გაჩაღდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

# წიგნი მესამე

## ბუდა

თქვენ სრული უფლება გაქვთ, იმათ რიცხვში ჩამთვალოთ, ვინც 1965 წლის ომმა ვერ წაშალა (სხვაგვარად რაღაც ფანტასტიკური ახსნა დამჭირდებოდა იმისთვის, თუ მუდმივად რატომ ვიყავი „სიკვდილის რგოლში“). ჩასაფურთხებელკასრისტვინიანი სალემი განადგურების ნაცვლად განიწმინდა, სხვები კი, ნაკლებადიღბლიანები, — სრულიად წარიხოცნენ. რა ვიცოდი, რომ საბრძოლო იარაღის გამოლევამ გადამარჩინა.

ცრემლები, რომელსაც ქაშმირული ყინვის არქონის გამო ბრილიანტებად ქცევა არ უწერია, პადმას გამობერილ ლოყებზე ჩამოსდის. „ო, ბატონო, ომი საუკეთესოებს იწირავს, ნაძირლებს კი ტოვებს!“ პადმას თვალები დასწითლებია და ისე იყურება, თითქოს ეს-ესაა, იმ თვალებიდან ლოკოკინების ჯარი გამოვიდა და სახეზე წითელი სლიპინა ზოლები დაუტოვაო. პადმა ჩემს კლანს გლოვობს, ბომბმა რომ შეიწირა. მე თვალები მშრალი მაქვს და პადმას უნებურ შეურაცხყოფას დიდსულოვნად ვყლაპავ.

„ცოცხლებზე იტირე, — ვეუბნები ოდნავი სიმკაცრით, — მკვდრები უმშვენიერეს ბაღებში ცხოვრობენ“. სალემი დაიტირე, რომელსაც ციური ბაღები ვერ მიართვეს, რადგან გული ისევ უცემდა და რომელმაც ამის გამო ჰოსპიტალში გაიღვიძა. მისთვის არც უმშვენიერესი ქალწულები იყო და არც მარადისობით ტკბობა. ვიღაც ჯუჯღურა მედდის მითითებებს ვუსმენდი, თავს რომ მიხვევდა და საყვედურობდა ექიმებს, რომლებიც ომის მიუხედავად, კვირაობით მაინც დადიოდნენ ზღვისპირა აგარაკებზე. სჯობდა ერთი დღე კიდევ გძინებოდაო, — მითხრა ექთანმა და სხვა პალატებს მიაშურა, სადაც უფრო მეტ მხიარულებას დათესავდა.

სალემი იგლოვე, რომელიც დაობლდა, განიწმინდა და აწი ოჯახის ათას წვრილმანს ვეღარ იხილავდა. მან, ვინც მარტომ დაჩუტა ისტო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რიის ფანტასტიკური ბუშტი, და ის, ვინც ბედმა ძირიანად ამოთხარა, წლების თვალსაწიერში მოისროლა და მეხსიერებადაკარგული გროტესკადქცეულ ზრდასრულობაში გადანერგა.

პადმას ლოყებზე ლოკოკინების ახალი კვალია. მე დამშვიდების ნაცვლად ფილმის სიუჟეტს ვიხსენებ (როგორ მიყვარდა მეტროქლაბის ფილმები! ტუჩებს ვილოკავდით, ლურჯი ხავერდის უსწორმასწორო ეკრანზე რომ დაეწერებოდა: „და შემდეგ იქნება“... ნერწყვს ვყლაპავდით. მომავლის მოულოდნელობა და რაღაც ახლის მოლოდინი აწმყოს სასოწარკვეთილების ანტიდოტია). „გაჩერდი, მე ჯერ არ დამიმთავრებია“, — ვეუბნები ატირებულ პადმას. კიდევ დამრჩა ელექტროსკამისა და წვიმის ტყის ამბავი, კიდევ: თავების პირამიდა ძვლებით ამოვსებულ ველზე; ძლივს აცდენელი უბედურების ამბავი; მკივანა მინარეთის ამბავი. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი, პადმა. ბედმა რომ განმცადა უჩინარ კალათსა და მეჩეთის ჩრდილში მოქცეული. კიდევ: ამბავი რეშამ ბიბის წინათგრძნობისა, კუდიანი პარვათის გაბუტვა; ამბავი ღალატისა და იმ ქვრივისა, რომელმაც სამარცხვინო ლაქა დამიტოვა... მოკლედ, ჯერ კიდევ არის „შემდეგ იქნებას“ სასიხარულო მოლოდინი. თავი მშობლების დაღუპვით მთავრდება, მაგრამ ახალი თავიც იქვე იწყება.

პადმა ჩემმა სიახლემ დაამშვიდა, ლოკოკინაგადავლილი თვალები შეიმშრალა და ღრმად ჩაისუნთქა... იმ ვერცხლისკასრტვინიანი ბიჭის მერე, ბოლოს ჰოსპიტალში რომ ვნახეთ, ხუთი წელი გავა, სანამ ჩემი ნეხვის ლოტოსი ამოისუნთქავს.

(და სანამ პადმა სუნთქვაშეკრული მისმენს, თავს უფლებას მივცემ, ქარით გაწეწილი კალენდარი ვახსენო, რომლის გვერდები ელვის სისწრაფით მიფრინავენ და წლებიც თან მიაქვთ. ქუჩის ქაოსზეც ვიტყვი, ავტობუსებსა და ინგლისურ ბიბლიოთეკებს რომ წვავდნენ. ეს ბიბლიოთეკები ბრიტანეთის საბჭოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სერვისის კუთვნილება იყო. კალენდარი სწრაფად იშლება და ვხედავთ, როგორ ჩამოაგდეს აიუბ-ხანი, მისი ადგილი გენერალმა იაჰიამ დაიკავა და ხალხს არჩევნებს შეჰპირდა... პადმას ტუჩები გაეხსნა და დრო არ მაქვს ბჰუტოსა და შეიხ მუჯიბ-ურ-რამანის მტრობა ვახსენო; პადმა ამოსუნთქვას იწყებს, ამიტომ პაკისტანის სახალხო პარტიისა და ავამის ლიგის წარმავალი სახეები ბუნდოვნად ბჟუტავენ და ქრებიან. პადმას ამოსუნთქვა იმ ნიავს აცხრობს, რომელიც ჩემი კალენდრის ფურცლებს შლიდა და ერთ გვერ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დზე ჩერდება, 1970 წლის არჩევნებისწინა პერიოდზე, ქვეყანა ორად რომ გაიყო... დასავლურ და აღმოსავლურ ფრთას შორის ომამდე, ბჰუტოსა და მუჯიბის დაპირისპირებამდე... 1970 წლის არჩევნებამდე შორეული სცენიდან სამი ახალგაზრდა ჯარისკაცი მური ჰილის საიდუმლო ბანაკს უახლოვდება).

„კარგი, კარგი, რას ელოდები? დაიწყე! — მიბრძანებს პადმა, რომელიც საბოლოოდ დამშვიდდა, — თავიდან დაიწყე“.

მთებში ჩადგმულ ბანაკს ვერც ერთ რუკაზე ვერ ნახავთ. მურის გზიდან ძალიან შორს არის, რომ მისი ძაღლების ყეფა გაიგონოთ, ყური რაც უნდა კარგად გიჭრიდეთ. მისი მავთულის ღობეც თვალით შეუმჩნეველია. კარიბჭეზე არც რაიმე სიმბოლო ჩანს და არც სახელი აწერია. თუმცა იქ იყო და არის. თუმცა ბანაკის არსებობა დაკას დაცემის შემდეგ უარყვეს. როცა პაკისტანელ თაიგერ ნიაზს მისმა ძველმა მეგობარმა ინდოელმა გენერალმა სემ მანეკშომ ბანაკის შესახებ ჰკითხა, თაიგამ დაცინვით უთხრა: ქანინის იუნიტს სადაზვერვო საქმიანობისთვის იყენებენ? რა სასაცილოა, პირველად მესმის, მეგობარო, ვიღაცამ შეცდომაში შეგიყვანაო. თაიგამ სემს ასე უთხრა, მაგრამ ბანაკი მაინც იქ იყო...

— მწყობრში! — უყვირის ბრიგადირი ისკანდარი ახალწვეულებს: აიუბა ბალოქს, ფარუქ რაშიდსა და შაჰიდ დარს, — თქვენ დღეიდან კუტიის ქვედანაყოფი ხართ!“ ჯოხს ბარძაყზე ირტყამს, ქუსლებზე ტრიალდება და მიდის. ახალწვეულები კი მთის მზისგან იხრუკებიან და მთის ჰაერისგან ითოშებიან. მკერდი წინ, მხრები უკან, მზადყოფნაში არიან და ამ დროს ბრიგადირის თანმხლების, ლალა მოინის ხმა ესმით, რომელიც ხითხითით ამბობს: „საცოდავო მამალო ძაღლებო!“

იმ ღამეს სამივე თავ-თავიანთი საწოლებიდან ჩურჩულებენ: „დაზვერვა, ჩვენ მზვერავები ვართ, ბიჭო .შ.შ. 117 ტიპის მზვერავები! ერთი იმ ჰინდუებზე მიგვიშვან, ვუჩვენებთ სეირს იმ ვეგეტარიანელ ლაჩრებს“. — სისინებს აიუბა, რომელიც ტანკივით ზორბაა და თმა მოკლედ შეუჭრია.

ფარუქი ეკითხება: „ომი დაიწყება?“ რაზეც აიუბა დამცინავად ქირქილებს: „აბა რა? ომი როგორ არ იქნება, ბჰუტო საჰიბი გლეხებს მიწას არ შეჰპირდა? დაპირებას საიდან შეასრულებს? ჰოდა, ჩვენ პენჯაბი და ბენგალი უნდა ავიღოთ! ცოტაც და არჩევნების მერე სახალხო პარტია რომ გაიმარჯვებს, აი, მერე იქნება!“

ფარუქი შეწუხდა: „იმ ინდოელებს სიქი ჯარისკაცები ჰყავთ, ბიჭო,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმხელა თმა-წვერი აქვთ, რომ სიცხეში აგიჟებთ და ჭკუადაკარგული იბრძვიან!“..

აიუბა ისევ დაცინვით ამბობს: „ვეგეტარიანელები არიან, მაგათი... ჩვენისთანა ბიფშსტექსივით ჩასკვნილ კაცებს როგორ დაამარცხებენ?“ მაგრამ ფარუქი მაღალი და გამხდარია.

შაჰიდ დარი ჩურჩულებს: „იმან ვისზე თქვა, მამალი ძაღლიაო?“

...დილაა. დაფიან ქოხში ბრიგადირი ისკანდარი მუნდირის ლაცკანს[1] იპრიალებს. უფროსი სერჟანტი ნაჯმუდინი ახალწვეულებს წვრთნის. კითხვა-პასუხის ფორმატით მუშაობს. შეწყვეტინება აკრძალულია. დაფის თავზე პრეზიდენტ იაჰიასა და გმირი მუტასიმის გირლანდებიანი პორტრეტები მკაცრად იმზირებიან. (დაკეტილი) ფანჯრებიდან ძაღლების განუწყვეტელი ყეფა ისმის... ნაჯმუდინიც კითხვა-პასუხს იყეფება. აქ რისთვის ხართ? — წვრთნისთვის. რომელ სფეროში? — გამოდევნება-დაჭერისა. როგორ იმუშავებთ? — სამკაციან ერთეულში, რომელსაც ერთი ძაღლი ახლავს. უჩვეულო რა არის? — ოფიცრების არყოფნა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, თვითდისციპლინისა და პასუხისმგებლობის აღმატებული ისლამური გრძნობა. დანაყოფის მიზანი? — არასასურველი ელემენტების აღმოფხვრა. რა ტიპის ელემენტებია ეს? — შემპარავი, გადაცმული, ნებისმიერი ვინმე. — რა უნდა შეიძულოთ? — ოჯახური ცხოვრების რღვევა, ღმერთის მკვლელობა, მემამულეთა კონფისკაცია, კინოცენზურის გაუქმება. კიდევ? — ქვეყნის განადგურება, ანარქია, უცხო ძალის დომინირება. რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება? — მომავალ არჩევნებზე, სამოქალაქო წესრიგზე (პოლიტიკური პატიმრები თავისუფლდებიან. ხულიგნები საზღვარგარეთ არიან). ქვედანაყოფის მოვალეობაა — უპირობო მორჩილება, დაუღალავი ძიება, შეუბრალებელი დაპატიმრება. პროცედურის სახე: ფარული, სწრაფი, ეფექტიანი. დაკავების ლეგალური საფუძველი — პაკისტანის კანონმორჩილება, არასასურველ პირთა აყვანა, რომელთა დაკავება შეიძლება 6 თვით ყოველგვარი მიმოწერის გარეშე და კიდევ: შესაძლებელია კიდევ დამატებითი ექვსთვიანი პატიმრობა. კითხვები? — არ არის, კარგია! თქვენ კუტიას ოცდამეორე ქვედანაყოფი ხართ. დედალი ძაღლის სამკერდე ნიშანი ლაცკანზე უნდა მიიკეროთ. აკრონიმი[2] კუტია — ძუკნას ნიშნავს.

და მამალი ძაღლი?

---

[1] *ლაცკანი (გერმ.) — პალტოს, პიჯაკის და მისთ. ბორტის გადანაკეცი.*
[2] *აკრონიმი (ლათ.) — პირობითი შემოკლება სიტყვებისა წერაში. მაგ.: ე.ი., ა.შ.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფეხებგადაჯვარედინებული ცისფერთვალა ცაში მოშზირალი ხის ქვეშ ზის. ბოდის ხეები ასე მაღალი არ იზრდებიან. ჩინარს გაუსწრო. ვეებერთელა კიტრივით ცხვირის წვერი სიცივისგან გალურჯებია. თავის შუა ნაწილი მოტვლეპილი აქვს ზაგალოს ხელის გამო და თითის ნაწილი მაშა მიოვიკის ფეხებთან დაეცა, გლენდი ქეითმა კარი რომ მიუჯახუნა. სახე რუკასავით დახალვია... „ეხხხხთფუუ!!“ (აფურთხებს).

კბილებზე ლაქები აქვს. წიწაკის ფოთლებმა ღრძილები გაუწითლა. ნაღეჭი წიწაკის წვენს ტუჩები ისე ისვრიან, რომ პირდაპირ ვერცხლის კასრში მოახვედრონ, მის წინ რომ დევს. აიუბა, შაჰიდი და ფარუქი გაოცებული უყურებენ. „არ წაართვათ, — ნაჯმუდინი ვერცხლის კასრზე მიუთითებს, — გაცოფდება“. აიუბა იწყებს: „ბატონო თქვენ ხომ თქვით, სამი კაცი და“. მაგრამ ნაჯმუდინი უყეფს: „არავითარი კითხვები, უპირობო მორჩილება. ეს თქვენი მეძებარია. საქმეს შეუდექით“.

იმ დროს აიუბა და ფარუქი თექვსმეტი წლის იყვნენ. შაჰიდი ერთი წლით მათზე პატარა იყო (და ასაკი დამალა). ახალგაზრდობის გამო მათ ჯერ არ ჰქონდათ შეძენილი ის მეხსიერება თუ გამოცდილება, რის მეოხებითაც კაცი რეალობას ებღაუჭება. ჭაბუკებს ლეგენდებისა და ჭორების უფრო სჯეროდათ. ოცდაოთხი საათის განმავლობაში „მამალი ძაღლი“ გაამითეს...

„ძალიან კარგი ოჯახიდან იყო ის იდიოტი, არმიაში გაუშვეს, იქნებ კაცად იქცესო, 65-ის ომში რაღაც შეემთხვა და მას მერე არაფერი ახსოვს! მგონი მისი ძმა იყო“.

„არა, ბიჭო, ეგ სისულელეა, ის ისეთი უბრალო და წმინდაა, ძმას როგორ მიატოვებდა?“ „ყოველ შემთხვევაში ეს ამაზე არ ლაპარაკობს. მგონი დას სძულდა, ბიჭო, და იმიტომაც!“

„არაფერი ახსოვს, ხალხს არ ეკონტაქტება, ძაღლივით ცხოვრობს!“

„ჰო, მაგრამ მეძებარია, ხედავ მის ცხვირს? შეუძლია ნებისმიერ კვალს მიაგნოს, წყალშიც კი, ბიჭო, კლდეებს შორისაც კი!“

„ვერაფერს გრძნობს, უგრძნობელია თავიდან ფეხებამდე, რომ შეეხო, ვერაფერს იგრძნობს, მარტო სუნით ხვდება, რომ იქ ხარ!“

„ალბათ ომში დაშავდა“.

„და ამ ვერცხლის კასრს, ბიჭო, ყველგან დაათრევს, თითქოს რაღაც ძვირფასი რელიკვია იყოს!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კარგია, ერთად რომ ვართ, მაგის ძალიან მეშინია, შეხედე, რა ლურჯი თვალები აქვს“.

„იცი, როგორ გაიგეს, მეძებრის ცხვირი რომ ჰქონდა? დანაღმულ მინდორში გავიდა, ბიჭო, გეფიცები და ყველა ნაღმს გვერდი აუარა, ძაღლის ყნოსვა აქვს!“

„არა, ბიჭო! შენ რაღაც გეშლება, ის ძაღლი იყო, სახელად ბონზო, დიდი ხნის წინანდელი ამბავია, ნუ აურიე!“

„ჰეი, აიუბა, გირჩევნია ფრთხილად იყო. ამბობენ, რომ მაგას მნიშვნელოვანი პირები უთვალთვალებენ!“

„აი, ხომ გეუბნებოდი, მომღერალი ჯამილა“.

„გაჩუმდით, ზღაპრებით ყურები ნუ გამომიჭედეთ!“

ერთხელ აიუბა, ფარუქი და შაჰიდი თავიანთ უცნაურ, უძრავ მეგობარს შეურიგდნენ და მეტსახელად „ბებერი ბუდა“ შეარქვეს არა იმიტომ, რომ მათზე შვიდი წლით უფროსი იყო და 1965 წლის ომში მონაწილეობდა, არც იმიტომ, რომ ბიჭებს გრძელი შარვლები არ ეცვათ, არამედ იმიტომ, რომ ბუდა რაღაც ისეთს გამოსცემდა, თითქოს დროზე ბებერი იყო.

ო, ტრანსლიტერაციის[1] ბედნიერო ბუნდოვანებავ! ურდუს ენაზე ბუდა ბებერ კაცს ნიშნავს და მაგარი **დ**-თი გამოითქმის. მაგრამ არის ბუდას მეორენაირი წარმოთქმა, როცა თანხმოვანი **დ** რბილად გამოითქმის და ნიშნავს კაცს, რომელიც ჩინარის ხის ქვეშ განათლდა...

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პრინცი, რომელმაც ქვეყნიერების ტანჯვა ვერ აიტანა და მიებოძა უნარი ყოფილიყო და არც ყოფილიყო, ეცხოვრა და არც ეცხოვრა ქვეყანაზე. მისი სხეული ერთ ადგილას იყო, სული კი — სადღაც სხვაგან. უძველეს ინდოეთში გაუტამა ბუდა გაიაში ერთი ხის ძირას იჯდა. სარნათში ირმების ნაკრძალთან ხალხს მოძღვრავდა, თუ როგორ განრიდებოდნენ ქვეყნიერ წუხილს და შინაგანი სიმშვიდე როგორ მოეპოვებინათ. საუკუნეების შემდეგ ბუდა სალემი სხვა ხის ქვეშ იჯდა და არ ახსოვდა მწუხარება, ყინულივით უგრძნობელი და თოვლივით წმინდა იყო... რაღაც უხერხულობას ვგრძნობ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ამნეზია კინორეჟისორთა ერთგვარი ხერხია, რომელსაც ისინი ხშირად იყენებენ. თავდახრილი ვაღიარებ, რომ ჩემი ცხოვრება ბომბეურ მელოდრამას დაემგვანა. რეინკარნაციის მწვავე საკითხს გვერდზე გადავდებ და ვიტყვი, რომ

[1] *ტრანსლიტერაცია (ლათ.) — (ლინგვ.) ერთი დამწერლობის ასოების გადმოცემა სხვა დამწერლობის ასოებით.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავიდან დაბადების უამრავ საშუალებათა რიცხვი მაინც სასრულია. მელოდრამისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მაინც ჯიუტად უნდა გავიმეორო, რომ მე (ან მან) ცხოვრება თავიდან დავიწყე. წლების განმავლობაში ისტორიაში ჩემს მნიშვნელოვან როლზე რომ ვოცნებობდი, — ახლა სრულიად განვიწმინდე იმ ოცნებისგან. ჯამილამ იმით იძია ჩემზე შური, რომ მიმატოვა და თავიდან მოსაშორებლად არმიაში შემიტყუა. მე იმ ბედს შევეგუე, რომელიც სიყვარულის გამო დავიმსახურე და უწყინრად ვიჯექი ჩინარის ხის ქვეშ. ისტორიისგან დაცლილი ბუდა მორჩილების ხელოვნებას ასწავლიდა და მხოლოდ იმას აკეთებდა, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ბოლოს შევაჯამებ და ვიტყვი, რომ პაკისტანის მოქალაქე გავხდი.

ალბათ მოსალოდნელი იყო, რომ ბუდამ წვრთნის დროს აიუბა ბალოქი გააღიზიანა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჯარისკაცებისგან შორს, ჩალით გადახურულ ასკეტურ ფარდულში საძაღლეების უკან ცხოვრობდა, ანდა იმიტომ, რომ ხშირად იჯდა ხის ქვეშ ფეხებგადაჯვარედინებული, ხელში ვერცხლის კასრი ჩაებღუჯა, თვალები ამღვრეოდა და პირზე სულიერი ღიმილი აეწებებინა, — თითქოს უხარია, ჭკუა რომ დაკარგაო. ალბათ ხორცის მიმდევარ აიუბას ბუდა მამაკაცურად არ მოეჩვენა. „ბადრიჯნის კაცი, წყეული ვეგეტარიანელი!“ — გაღიზიანდა აიუბა.

(თუმცა გაღიზიანება იმ დროს ჰაერში ტრიალებდა და საერთო სენი იყო. გენერალი იაჰია და ბატონი ბჰუტო შეიხ მუჯიბის დაჟინებულმა მოთხოვნამ გააღიზიანა, რომ მას ჰქონდა ახალი მთავრობის შექმნის უფლება. ბენგალის საცოდავი ავამის ლიგამ 162 აღმოსავლური ფრთის ადგილიდან 160 აიღო. ბატონი ბჰუტოს პარტიამ კი 81 დასავლური ფრთა. არჩევნებიც გამაღიზიანებელი აღმოჩნდა. წარმომიდგენია, როგორ ბრაზობდნენ იაჰია და ბჰუტო! მაშინ, როცა ძალოვანები ცხარობენ და ღიზიანდებიან, პატარა კაცის გაღიზიანება რა გასაკვირია! აიუბას გაღიზიანებამ იგი შესანიშნავ, დიდებულ წრეში მოახვედრა).

წვრთნის დროს აიუბა, შაჰიდი და ფარუქი ბუდას მიჰყვებოდნენ, ბუდა კი ძლივს შესამჩნევ კვალს მისდევდა ბუჩქების, კლდეებისა თუ ნაკადულებისკენ. ბიჭები გაოცებული იყვნენ ბუდას უნარით, მაგრამ ტანკივით ჩასხმულმა აიუბამ მაინც ჰკითხა: „მართლა არაფერი გახსოვს? სულ არაფერი? ღმერთო! იქნებ სადმე დედ-მამაც გყავს“. ბუდამ რბილად შეაწყვეტინა: „ნუ ცდილობ ისტორიით თავი გამომიჭედო. მე



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვარ ის, ვინც ვარ. ეს არის და ეს". ეს ისეთი წმინდა, დახვეწილი, კლასიკური ურდუს აქცენტით წარმოთქვა, რომ უხეშად მოლაპარაკე ბიჭებმა პირი დააღეს და გაჩუმდნენ. ამის მერე მათ დაიჯერეს ჭორი, რომელიც ბუდას შესახებ დადიოდა. ისინი ძალაუნებურად მოხიბლა ამ საოცარმა, უცნაურმა კაცმა, რომელსაც კიტრივით ცხვირი და ყოველგვარი მახსოვრობისგან ცარიელი თავი ჰქონდა. მარტო ყნოსვა გააჩნდა, მეტი არაფერი... „ლაყე, გამომშრალ კვერცხს ჰგავს, რომელიც ვიღაცამ გამოწრიტა, — თქვა აიუბამ და მერე დაუმატა, — ალაჰ, ცხვირიც კი ბოსტნეულს მიუგავს".

ისინი მოუსვენრობას გრძნობდნენ. ბუდას ცარიელ მზერაში „არასასურველობის" კვალი ხომ არ შენიშნეს? ბუდა წარსულსა და ოჯახს იმიტომ ხომ არ უარყოფდა, რომ მათ ორივეს ამოქექვა სურდათ? აიუბას თხოვნა, ნამდვილი ძაღლი ჰყოლოდათ, ბანაკის ოფიცრებმა უყურადღებოდ დატოვეს... ფარუქმა აიუბა თავის ლიდერად და გმირად აქცია და ყვიროდა: „რას იზამ? ალბათ ოჯახური კონტაქტები აქვს ისეთი, რომ მაღალჩინოსნებმა ბრიგადირს სთხოვეს, აიყვანეთ და შეეგუეთო, რას იზამ?"

(იმ სამთაგან ვერც ერთმა აზრის გამოთქმა ვერ მოახერხა). მე ვფიქრობ, რომ მათი ფორიაქის სიღრმეში შიზოფრენიისა და უცაბედი გახლეჩის შიში ჭიპლარივით იმალებოდა. ყველა პაკისტანელის გული ამ შიშით იყო სავსე. ქვეყნის აღმოსავლეთი და დასავლეთი, ინდოეთის უხიდო ხმელეთის მასამ შუაზე გახლიჩა. წარსულსა და აწმყოს შორისაც დიდი უფსკრულია. რელიგია პაკისტანისთვის წებოს როლს ასრულებდა და ორივე ნაწილს აერთებდა. ცნობიერება წებოა, რომლითაც ადამიანს აწმყო და წარსული, „მაშინ" და „ახლა" უჭირავს და ერთმანეთს აწებებს. მაგრამ კმარა ფილოსოფოსობა. ცნობიერებისა და ისტორიის გაღმა გასვლით და მათი დავიწყებით ბუდა ცუდ მაგალითს იძლეოდა, რადგან ეს მაგალითი, არც მეტი, არც ნაკლები, შეიხ მუჯიბმა აიტაცა. მან აღმოსავლეთი ფრთა დამოუკიდებელ ბანგლადეშად გამოაცხადა. აიუბა, შაჰიდი და ფარუქი, ცხადია, ფორიაქობდნენ, რადგან პასუხისმგებლობისგან დაშორებული ბუდა მაინც პასუხისმგებელი დარჩა 1971 წლის საომარი მოვლენებისადმი, ოღონდ მეტაფორული თვალსაზრისით.

ახლა ჩემს ახალ მეგობრებს დავუბრუნდები და მოგითხრობთ საპირფარეშოში მომხდარ ამბავს. მაშ ასე: აიუბა ტანკივით იყო, ის მე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თაურობდა ქვედანაყოფს. ფარუქი მეთაურს ემორჩილებოდა. მესამე ბიჭი პირქუში და ჩაკეტილი ტიპი იყო, ამდენად, ჩემს გულთან ყველაზე ახლოს იდგა. თხუთმეტი წლის შაჰიდ დარმამ ასაკი დამალა და ჯარში ჩაეწერა. იმ დღესვე ფერმერმა მამამისმა შაჰიდი მინდორში წაიყვანა და გამოიტირა. ასე უთხრა, შენი სახელი წამებულს ნიშნავს და აბა, შენ იცი როგორ ღირსეულად ატარებო. შესაძლოა, ჩვენს ოჯახში პირველი შენ შეხვიდე წმინდა ბაღში და დატოვო ეს საცოდავი სამყარო, სადაც მამაშენს ვალები ვერ გადაუხდია და ცხრამეტი შვილი ვერ შეუნახავსო. მოწამეობრივი აღსასრულის სავარაუდო მოახლოებამ შაჰიდს გონება გადაუტრიალა. სიზმრებში სიკვდილს ნახულობდა, რომელსაც ბროწეულის ფორმა ჰქონდა და უკან ფრენით მისდევდა, ყველგან დაჰყვებოდა, თითქოს თავის ჯერს ელოდებაო. ბროწეულისსახიანი სიკვდილის არაგმირულმა ჩვენებამ შაჰიდის სახეზე ღიმილი წაშალა.

შაჰიდი ხედავდა კუტიას დანაყოფებს, ბანაკიდან ფრონტზე რომ გზავნიდნენ. დარწმუნდა, რომ მისი და ბროწეულის დროც მოახლოვდა. ფრონტზე ჯარისკაცებით სავსე შენიღბული ჯიპები იგზავნებოდნენ, ეს კი პოლიტიკურ კრიზისს მოასწავებდა. თებერვალში მაღალჩინოსანთა გაღიზიანება შესამჩნევი გახდა. აიუბა-ტანკს ბუდა აღიზიანებდა.

აიუბა ბანაკის ერთადერთი მდედრით, საპირფარეშოების გაძვალტყავებული დამლაგებლით, თოთხმეტი წლის გოგონათი იყო გატაცებული. გოგონას მკერდი ძონძებში ეს-ესაა იკვირტებოდა. დაბალი და შეუხედავი იყო, მაგრამ ერთადერთი მდედრი იყო იმ არემარეში, თანაც ლამაზი კბილები და თამამი გამოხედვა ჰქონდა... აიუბამ მისი მონადირება სცადა და სულ თან დასდევდა. ერთხელ ბუდას ფარდულში მიმავალი ნახა, დაუდარაჯდა, ველოსიპედი შენობის კედელზე მიაყუდა, სკამზე შედგა და იქიდან ჩამოვარდა, რადგან შეხედა, ბუდა და ის გოგო რასაც აკეთებდნენ. მერე, მოგვიანებით, გოგოს ხელი ჩაავლო მკლავში და უთხრა: იმ შეშლილთან რატომ წვები, მე აქ არ ვარო? გოგონამ უპასუხა, ძაღლკაცა მომწონს, სასაცილოა, ჩემში შემოდის და ვერაფერს გრძნობს, მე კი მსიამოვნებს. ასე მეუბნება, შენი სუნი მხიბლავსო. ასეთმა გულახდილობამ აიუბას კინაღამ გული აურია. გოგონას უთხრა, ღორი და ღორის ექსკრემენტი ხარო. აიუბა შურმა ისე გადარია, რომ საპირფარეშოს უნიტაზს დენი შეუერთა. მერე თავისივე პოეტური ნახელავი თავადვე მოეწონა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„არაფერს არ გრძნობს, არა? აბა დამაცადოს, როგორ ვახტუნავო“, — უთხრა ფარუქსა და შაჰიდს.

10 თებერვალს (იაჰია, ბჰუტო და მუჯიბი მოლაპარაკების მაგიდასთან არ დასხდნენ) ბუდას ბუნებამ უხმო. შაჰიდი და ფარუქი სეირის საყურებლად დადგნენ. აიუბამ კი საპირფარეშოს მეტალზე შეერთებული მავთული ჯიპის ბატარეას შეუერთა და მანქანა აამუშავა. გამოჩნდა ბუდა, რომელსაც თვალები წიწაკის მღეჭავივით გაფართოებოდა და ისე დადიოდა, თითქოს ღრუბლებზე აბიჯებსო. საპირფარეშოში რომ შენარნარდა, ფარუქმა აიუბს ანიშნა და ახორხოცდა. ბიჭები ელოდებოდნენ, რომ ელექტრობა ბუდას უგრძნობ მილს მისწვდებოდა და ყმუილს დააწყებინებდა.

მაგრამ საპირფარეშოში სიჩუმე იყო. ბოლოს შაჰიდს ნერვები მოეშალა და აიუბას დაუყვირა: რას აკეთებ, ჯერ არ შეგიერთებიაო? ამაზე აიუბა-ტანკმა დაუძახა, უკვე ხუთი წუთია, რაც ჩავრთეო... ამის გაგონებაზე შაჰიდი საპირფარეშოში შევარდა და რას ხედავს: ბუდა დამდგარა და რაღაც ნისლისმაგვარი სიამოვნებით შარდავს, რადგან ელექტრობით ივსება. შაჰიდი გაოცდა, ასეთი უცნაური არსება, რომელიც ქვედა მილით ელექტრობას იწოვდა, — პირველად ნახა და აიუბას დაუყვირა, ჩქარა გამორთე მავთული, თორემ ეს აქ ხახვივით შეიწვებაო. ბუდა აუღელვებლად გამოვიდა საპირფარეშოდან. მარჯვენა ხელით შარვალს იკრავდა, მარცხენაში კი თავისი ვერცხლის კასრი ეჭირა. იმ დღის შემდეგ ბიჭები დარწმუნდნენ, რომ ბუდა მართლა ყინულივით უგრძნობი იყო, შეგრძნებები და მახსოვრობა ანესთეზირებული ჰქონდა... ერთი კვირის განმავლობაში ბიჭები ვერ ეკარებოდნენ, ელექტროშოკს გამოსცემდა, ვერც ის დამლაგებელი გოგონა მიდიოდა მის ფარდულში.

უცნაურია, მაგრამ იმ ამბის შემდეგ აიუბას აღარ აღიზიანებდა ბუდა, პირიქით, მისდამი პატივისცემის გრძნობაც კი გაუჩნდა. ამ უცნაური შემთხვევის წყალობით ბიჭები ისეთ ნამდვილ, ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდნენ, რომ დედამიწაზე ყველა ბოროტების წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ.

აიუბამ ბუდას ვერაფერი დააკლო, მაგრამ იქ, სადაც პატარა მარცხდება — დიდი იმარჯვებს (აი, იაჰიამ და ბჰუტომ შეიხ მუჯიბის გაცურება მართლა მოახერხეს).

1971 წლის 15 მარტს კუტიას ოცი დანაყოფი დაფიან ქოხში შეგ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

როვდა. პრეზიდენტის გირლანდიანი პორტრეტი სამოცდაერთ ჯარისკაცსა და ცხრამეტ ძაღლს დაჰყურებდა. იაჰია-ხანმა მუჯიბს მოლაპარაკების ნიშნად ზეთისხილის ტოტი გაუწოდა. პორტრეტზე უცოდველი, უემოციო კაცის სახე ჩანდა, რომელიც მისხლითაც კი არ ამჟღავნებდა თავის განზრახვას. უფროსმა სერჟანტმა ნაჯმუდინმა ბრძანება გასცა: სამოცდაექვს კაცსა და ცხრამეტ ძაღლს უნიფორმები უნდა გაეხადა. ქოხი აშარიშურდა. კითხვის გარეშე დაემორჩილნენ, ცხრამეტმა ინდივიდმა საყელო შეიხსნა. შესანიშნავად გაწვრთნილი ძაღლები ხმას არ იღებენ. ბუდა გახდას იწყებს. სამოცდაერთი კაცი მას ემორჩილება, სამოცდაერთი კაცი გაყინული ცახცახებს, გვერდით კი გახდილი პულოვერები, ფეხსაცმელები, პერანგები, შარვლები და ბერეტები აწყვია. სამოცდაერთი კაცი სამოქალაქო ტანსაცმელში ეწყობა. ნაჯმუდინი ბრძანებას იყეფება და ერთ წუთში უკვე ჩაცმულები არიან, ზოგს ლუნგი აცვია, ზოგს კიდევ ჩადრი ახურავს, ზოგს კლერკის პერანგი და შარვალი აცვია. ბუდა დოტსა და ქამიზში გამოწყობილა. ის თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ ირგვლივ არიან ჯარისკაცები, რომლებიც სამოსში იგრიხებიან და იკვანწებიან, რადგან ზოგს უჭერს, ზოგს დიდი აქვს, ხმას მაინც არავინ იღებს. ეს ხომ სამხედრო ოპერაციაა.

15 მარტს კუტიას ოცი ქვედანაყოფი ცეილონის გავლით დაკაში აფრინეს. მათ შორის იყვნენ შაჰიდი, ფარუქი და აიუბა. აღმოსავლეთის ფრთისკენ სამოცი ათასი ჯარისკაცი გადაისროლეს. ყველა მათგანს სამოქალაქო ფორმა ეცვა. ჯარის მეთაური ტიკა-ხანი იყო (რომელსაც ლურჯი სამოსი კოხტად მოერგო). დაკას დამორჩილებისა და მორჯულების საქმის ოფიცერს თაიგერ ნიაზი ერქვა, რომელიც ასევე სამოქალაქო სამოსში გამოწყობილიყო.

ცეილონის გავლით მივფრინავდით სამოცი ათას სამოცდაერთი უწყინარი მგზავრი. ინდოეთს არ გადავუფრინეთ, ასე რომ, ინდირა განდის ახალი კონგრესის პარტიის ზეიმიც ვერ ვიხილეთ ოცი ათასი ფუტი სიმაღლიდან. პარტიამ გამაოგნებელი გამარჯვება მოიპოვა. ინდირამ თავისი კამპანიის ლოზუნგი ვერ დაინახა, რომელიც სიღარიბის დამარცხებისკენ მოუწოდებდათ. ლოზუნგები ყველგან იყო, მთელ ინდოეთში. ადრე გაზაფხული იდგა, დაკაში რომ ჩავედით. სპეციალური სამოქალაქო ავტობუსებით მივედით სამხედრო ბანაკში. უცებ სიმღერა შემოგვესმა გრამოფონიდან, რომელიც არ ჩანდა (სიმღერას ერქვა „ჩვენი ოქროს ბენგალი“, ლექსის ავტორია რაბინდრანათ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თაგორი). გრამოფონი მღეროდა: „გაზაფხულზე შენი მანგოს ტყეების სურნელი გულს სიამით მივსებს“. არც ერთ ჩვენგანს ბენგალური ენა არ გვესმოდა და ამ არცოდნამ ლექსის მზაკვრული ცდუნებისგან გვიხსნა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მუსიკის ხმას ფეხს ვაყოლებდით.

არც ერთს არ გვითხრეს ქალაქის სახელი. აიუბამ ვეგეტარიანელთა განადგურება წარმოიდგინა და ჩურჩულით თქვა: „ხომ გეუბნებოდით? ახლა ვუჩვენებთ სეირს! ჩვენ ჯაშუშები ვართ, ბიჭო, ამ უბრალო ტანსაცმელში! დედას ვუტირებთ, ბა-ბა-ბა-ბა-ბაააჰ!“

მაგრამ ეს ხომ ინდოეთი არ იყო. ვეგეტარიანელები არ ყოფილა ჩვენი სამიზნე. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ სამხედრო ფორმები დაგვირიგეს. ეს 25 მარტს მოხდა.

იაჰიამ და ბჰუტომ მუჯიბთან მოლაპარაკება შეწყვიტეს და დასავლეთის ფრთას დაუბრუნდნენ. დაღამდა. ბრიგადირი ისკანდარი, ნაჯმუდინი და ლალა მოინი, რომელიც ძლივს მიბარბაცებდა, რადგან სამოცდაერთი უნიფორმა და ცხრამეტი ძაღლის ყელსაბამი ჰქონდა აკიდებული, კუტიას ბარაკში შევიდნენ. ახლა ნაჯმუდინი ამბობს: „დაიმახსოვრეთ: საქმე სიტყვის ნაცვლად! თანაც ორმაგი საქმე ნახევარ დროში“. ავიალაინერის მგზავრებმა უნიფორმები ჩაიცვეს და იარაღი აისხეს. ბრიგადირმა ისკანდარმა ბოლოს ამ მოგზაურობის მიზანი გაგვიმჟღავნა: მუჯიბს დედა უნდა ვუტიროთო.

25 მარტს, ბჰუტო-იაჰიასთან ჩაშლილი მოლაპარაკების შემდეგ შეიხმა მუჯიბ-ურ-რამანმა ბანგლადეში სახელმწიფოდ გამოაცხადა.

კუტიას ქვედანაყოფი ბარაკებიდან გამოვიდა და ორი ჯიპი გაავსო. ამ დროს სამხედრო ბაზიდან მომღერალ ჯამილას ჩანაწერის ხმა ისმოდა. ჯამილა პატრიოტულ ჰიმნს მღეროდა (აიუბამ ბუდას ხელი წაჰკრა: „კარგი ერთი, როგორ ვერ იცანი, ეს ხომ შენი საკუთარი... ალაჰ, შენ მარტო ყნოსვისთვის ვარგიხარ!“).

შუაღამით სამოცი ათასმა ჯარისკაცმა დატოვა ბარაკები. ჯარისკაცებმა, რომლებმაც მოქალაქეებივით იმგზავრეს, ახლა ტანკებზე გადაინაცვლეს. აიუბა, შაჰიდი, ფარუქი და ბუდა ბრიგადირ ისკანდარს ახლდნენ ღამის ოდისეაში. ჰო, პადმა, მუჯიბი, რომელსაც ყნოსვით მივაგენი, დააპატიმრეს (კვალის ასაღებად ადრევე მომცეს მისი ძველი პერანგი).

პადმა დარდით აღარ არის. „ეს როგორ ჩაიდინეთ, ბატონო, როგორ?“... ჩავიდინე, პადმა. მე ხომ დავიფიცე, რომ უკლებლივ ყველა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფერს მოვყვებოდი, მისხალსაც არ დავმალავდი (პადმას სახეზე ისევ ლოკოკინების წითელი კვალია, ამიტომ უნდა ავუხსნა).

გინდ დაიჯერე, გინდა — არა, მაგრამ ასე იყო! ვიმეორებ: ვერცხლის კასრი რომ კეფაზე დამეცა, ყველაფერი დამთავრდა და მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო. მნიშვნელოვანებისა და ღირსეული მიზნის მოწადინე სალემი აღარსად იყო. იგი მოკვდა და ჯუნგლამდე არ გაცოცხლდება. ხოლო ჯერ ბუდაა, რომელიც მომღერალი დის ხმას ვერ ცნობს. არ ახსოვს დედ-მამა და მისთვის შუაღამე და შუადღე სულერთია. განწმენდის მერე სამხედრო ჰოსპიტალში გამოეღვიძა და ჩათვალა, რომ ჯარი ბედი იყო, რომელიც წილად ხვდა. ცხოვრებას მინებდა და თავის მოვალეობას ასრულებს, ბრძანებებს ემორჩილება, ამქვეყნად არის და არც არის. თავს ღუნავს და ნებისმიერ კვალს გამოქექავს, კაცის იქნება ის თუ მხეცის; და ყველგან გამოქექავს, ქუჩასა თუ მდინარეში. არც იცის და არც აინტერესებს, ვისი მფარველობისა თუ შურისძიების შედეგად აღმოჩნდა ჯარში. არც მეტი, არც ნაკლები კუტიას ოცდამეორე ქვედანაყოფის სპეცმეძებარია.

ო, რა კარგი რამეა ეს ამნეზია, რამდენ შეცდომას გაპატიებს! ნება მიბოძეთ, ჩემი თავი გავკიცხო. შეგუების ფილოსოფიამ, რომელსაც ბუდა მისდევდა, არანაკლებ უარესი შედეგები იქონია, ვიდრე მისმა ადრეულმა სურვილმა, ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო. დაკაში ამ შედეგებმა თავი იჩინა.

„არა, არის მართალი“, — ტირის პადმა. ასეთი უარისმთქმელი რაღაც იმ ღამითაც მოხდა.

1971 წლის 25 მარტის შუაღამეა: ბუდა ჯარს შეიხ მუჯიბის ბუნაგისკენ მიუძღვება. გაიარეს დაბომბილი უნივერსიტეტი. სტუდენტები და ლექტორები გარეთ გამოცვივდნენ თუ არა, ყველანი ტყვიამ იმსხვერპლა და გაზონები მერკუროქრომით შეიღება. შეიხი არ მოკლეს. იგი აიუბამ სატვირთო მანქანაში ჩასვა (როგორც ერთხელ, წიწაკების რევოლუციის შემდეგ მოხდა... თუმცა მუჯიბი არ გაუშიშვლებიათ. ყვითელ-მწვანე ზოლიანი პიჟამა ეცვა). ქალაქის ქუჩებში მივდიოდით და ფანჯრიდან დაუჯერებელ ამბებს ვხედავდით: ჯარისკაცები ქალების საცხოვრებელში უცერემონიოდ შედიოდნენ... გაზეთების ჯიხურები იწვოდა და იაფფასიანი მელნისა და წებოს შავ-ყვითელი ბოლი ასდიოდა. პროფკავშირების ოფისი მიწასთან იყო გასწორებული. გზისპირა თხრილებში დახოცილი ხალხი ეყარა, შიშველ მკერდზე ნატყვიარები უჩანდათ. ბიჭები დამუნჯებული შესცქეროდნენ ამ საში-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნელებას. მათ პაკისტანის ერთიანობა ქალაქის ჯურღმულების ნგრევით შეინარჩუნეს... შეიხ მუჯიბი აეროპორტში მივიყვანეთ. აიუბამ პისტოლეტი დუნდულებში შეურჭო და ისე აათრია ვერტმფრენში, რომელმაც შეიხს დასავლეთის ფრთის ტყვეობაში ამოაყოფინა თავი. მანამდე, კარგა ხნით ადრე, ბუდამ თვალები დახუჭა („თავს ნუ დამინაგვიანებ ამ ამბებით, — უთხრა აიუბა-ტანკს, — მე ვარ ის, ვინც ვარ. ეს არის და ეს“).

ბრიგადირი ისკანდარი ჯარს ისევ მოძღვრავდა: ჯერ კიდევ არიან უკულმართი ელემენტები, რომელიც უნდა აღმოიფხვრასო.

როცა ფიქრი მტკივნეული ხდება, მაშინ მოქმედება საუკეთესო წამალია... ძაღლი-ჯარისკაცები თოკს ქაჩავენ და განთავისუფლებულები ხარბად იწყებენ მოქმედებას. ო, დაუოკებელო ძიებავ არასასურველისა! ო, პროფესორთა და პოეტთა ახირებავ! ავამის ლიგის წევრთა და მოდურ კორესპონდენტთა დაპატიმრებავ! ომის ძაღლები ქალაქს დაჰყმუიან. მეძებრები არ იღლებიან, მაგრამ ჯარისკაცები ძაღლებზე სუსტები არიან.

ფარუქს, შაჰიდსა და აიუბას დამწვარი ჯურღმულების მყრალი სუნი გულს ურევს. ბუდას ცხვირში ეს სიმყრალე მხოლოდ მწარე რეალობას ბადებს, ამიტომ ის თავის საქმეს განაგრძობს. კუტიას დანაყოფები აკვამლებულ ქალაქში დაიძურწებიან. ამაღამ ყოველივე არასასურველია მოსალოდნელი. ყოველ ადგილას შეიძლება შეაღწიონ. სისხლისმსმელი მეძებრები გაქცეულ მტერს მისდევენ და მგლებივით ასობენ კბილებს თავიანთ მსხვერპლს.

რამდენი დააპატიმრეს? ათობით? ათასობით? ჩვენი რაზმი გაისარჯა იმ ღამით? რამდენი ქალის სარს ამოფარებული დაკელი დაიჭირეს ქუჩაში? რამდენჯერ იყნოსა ეს ბრიგადირმა ისკანდარმა, რომ „ამ საქმეს მავნებლობის სუნი უდიოდა“. 25 მარტის ღამეს ისეთი აბურდული ამბები მოხდა, რომელთა ახსნა შეუძლებელია.

სტატისტიკის ამაოება: 1971 წელს ათი მილიონი ლტოლვილი გადავიდა ინდოეთში პაკისტან-ბანგლადეშის საზღვრის გავლით. თუმცა სრულიად გაუგებარია ყველაფერი. შედარება საქმეს არ შველის: „კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი მიგრაცია“ შინაარსს მოკლებულია. ხალხი მრავალთავიანი მონსტრივით ჩახვავდა ინდოეთში. საზღვარზე ინდოეთის სპეცრაზმი იდგა. დაკაში თაიგერ ნიაზი თავკაცობდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ჩვენმა ბიჭებმა რა გააწყვეს ხორცისმჭამელ მებრძოლებთან? მოხდა თუ არა ამბოხი? დახვრიტეს თუ არა ისკანდარი, ნაჯმუდინი და ლალა მოინი? არა, არ დაუხვრეტიათ. უმანკოება დაიკარგა, მაგრამ მიუხედავად მოღუშული თვალებისა და ორჭოფობისა, მიუხედავად მორალის გათახსირებისა და გარყვნისა, დანაყოფი თავის საქმეს აკეთებდა. მხოლოდ ბუდა არ ემორჩილებოდა ბრძანებას... სადღაც შორს მომღერალი ჯამილა თაგორის ლექსზე შექმნილ სიმღერას მღეროდა: „მე აქ, შენი ყანიდან მოწეული ბრინჯით სავსე სახლში ვცხოვრობ, საამო სოფელში დღეები გადიან, ამ გულს სიამით ადუღებენ და ავსებენ“.

გულები უდუღთ, მაგრამ არა სიამის გამო. აიუბას გუნდი ბრძანებას ასრულებს. ბუდა სუნით აღებულ კვალს მიჰყვება. სისხლით მორწყული, გადარეული ქალაქის შუაგულში, სადაც დასავლეთის ფრთის ჯარისკაცები ხვდებიან, რაც ჩაიდინეს, ოცდამეორე ჯგუფი ჩაბნელებულ ქუჩებში დაძრწის. ბუდა მიწას აშტერდება და სუნს იკრავს, გვერდს უვლის სიგარეტის კოლოფებს, ძროხის ფუნას, წაქცეულ ველოსიპედებს, ფეხსაცმელს. შემდეგ ბუდა და მისი გუნდი ავამის ლიგის ოფიციოზეჰსა და კარგად ცნობილ კომუნისტებს ედევნებიან იმ სოფლების მხარეს, რომლებიც გადაბუგეს და იმის გამო გადაწვეს, რომ იქ მუქტი ბაჰინის სპეცრაზმი იმალებოდა. ფუთებაკიდებულ სოფლელებს მოჰკრეს თვალი, რომლებიც სოფელს ტოვებენ, რკინიგზის დაფლეთილ ლიანდაგებსა და გადამწვარ ხეებს ჩაუარეს. თითქოს რაღაც ძალა ეწევათო, ისე დგამდნენ ნაბიჯებს და სიგიჟის შუაგულისკენ მიილტვოდნენ. მისია ყოველთვის სამხრეთისკენ ეწეოდათ, ზღვასთან და მდინარე განგთან ახლოს.

ვის მისდევდნენ? სახელს კიდევ ჰქონდა რამე მნიშვნელობა? ალბათ ის ვიღაც ბუდასავით ძლიერი იყო, თორემ ამდენ ხანს რატომ ვერ დაიჭირეს? ბოლოს და ბოლოს, წვრთნის შეუბრალებელ წესებს ხომ ვერსად გაექცნენ. უსასრულო მისიის შუაგულში არიან, დასდევენ მტერს, რომელიც ასევე უსასრულოდ ემალებათ; ისინი კი ხელცარიელი ველარ დაბრუნდებიან, ამიტომ მიდიან და მიდიან სამხრეთისკენ, სუნის კვალს მიჰყვებიან, რომელიც სულ უფრო მცირდება. შეიძლება სუნის გარდა კიდევ რაღაც ერეკებათ წინ. ჩემს ცხოვრებაში ბედისწერა ყოველთვის თავად მიწვდიდა ხოლმე ხელს.

ახლა ნავში სხედან, რადგან ბუდამ თქვა, სუნის კვალი მდინარის-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კენ მიდისო. შიმშილისა და უძილობისგან ქანცგამოცლილები ბრინჯის უკიდეგანო სამყაროში მოხვდნენ და თავიანთ უჩინარ მსხვერპლს მისდევენ. მდინარეს მიუყვებიან, ომი დაავიწყდათ, სუნი წინ ეწევათ. მდინარეს პადმა ჰქვია, თუმცა ადგილობრივი ცდუნებაა, რადგან მდინარე სინამდვილეში აქაც დედამდინარეა — ქალღმერთი განგა, — შივას თმას რომ მიჰყვება მიწის სიღრმისკენ. ბუდა რამდენიმე დღეა დუმს. მხოლოდ ხელით აჩვენებს სვლის მიმართულებას და ისინიც სამხრეთისკენ, ზღვისკენ მიემართებიან.

დილით ბიჭები ნავზე იღვიძებენ და ხედავენ, რომ ბუდა გამქრალა. „ალაჰ-ალაჰ! — წკმუტუნებს ფარუქი, — ხედავთ, ამ დასაკარგავში მოგვიყვანა და თვითონ გაიქცა. შენი ბრალია, აიუბა, ის ხრიკი რომ მოუწყვე, აი, ახლა სამაგიერო გადაგვიხადა!“ მზე მაღლდება. ცაში რაღაც უცნაური ჩიტები დაფრინავენ. შიში და შიმშილი თაგვებივით მუცელში უხტუნავთ: ვაითუ, პარტიზანები არიან სადმე ახლოს ჩასაფრებული, ვაითუ... ბიჭებმა მშობლებთან ყოფნა ინატრეს. შაჰიდს ისევ ბროწეულის სიზმარი ესიზმრა. შიში ნავს ელამუნება. შორს, ჰორიზონტზე დაუჯერებლად უსასრულო მწვანე კედელი მოჩანს, რომელიც უკიდეგანოდ გადაჭიმულა დედამიწის ერთი მხრიდან მეორეზე! შიშმა სამივე დაამუნჯა. როგორ, ნუთუ, რასაც ვხედავთ, თვალი არ გვატყუებს და სინამდვილეა? კედლებს სამყაროს გასწვრივ ვინ აშენებს?.. ამ დროს აიუბა ჩურჩულებს: „შეხედეთ, შეხედეთ, ალაჰ!“ ბრინჯის სივრციდან მათკენ მოემართება კიტრისცხვირიანი ბუდა, რომელსაც უკან განრისხებული სიკვდილივით ცელშემართული გლეხი მოსდევს და განრისხებული ხელებს იქნევს. მათ წინ თმაგაშლილი ქალი მორბის, რომელსაც სარის კალთები აუკეცავს და რაღაცას მუდარით ყვირის და კივის. ცელიანი კაცი ბრინჯის ღეროს წამოედო და წყალ-ტალახში ერთიანად ამოილუმპა. აიუბა ნერვიული შვებანარევი ხმით ამბობს: „ო, ეს მექალთანე, ხედავ, ადგილობრივ ქალებს არ ეშვება! მიდი, ბუდა, ხელში არ ჩაუვარდე, თორემ იმ ცელით ორივე კიტრს წაგაცლის!“ და ფარუქი ამბობს: „თუ ბუდას ცხვირს წააცლიან, მერე რაღა გვეშველება?“ აიუბა პისტოლეტს იმარჯვებს და ორივე ხელით უმიზნებს. ცდილობს ხელი არ აუკანკალდეს. ისვრის. კაცის ცელი ჰაერში მიფრინავს. კაცი ხელებს ცაში აღაპყრობს, თითქოს ლოცულობსო. მერე იჩოქებს და შუბლით ტალახიან მიწას ეხება. ქალი ქვითინებს. შემდეგ ჯერზე შენ დაგიმიზნებო, ბუდას ეუბნება აიუბა და ფოთოლივით ცახცახებს. დრო ბრინჯის ყანაში კვდება.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

უმიზნო დევნა გრძელდება. ამ გზით წავიდეთო, ბუდა ამბობს. ნიჩბებს უსვამენ და სამხრეთისკენ მიიწევენ. დრო მოკლეს და დაივიწყეს. უკვე ისიც აღარ იციან, ვინმეს მისდევენ, თუ ვინმეს გაურბიან. მაგრამ, რაც უნდა იყოს, წინ მიიწევენ და მისტიკურ მწვანე კედელს უახლოვდებიან. „ასე წავიდეთ“ — ბრძანებს ბუდა და ოთხივე ისეთ გაუვალ ჯუნგლში შედის, რომ იქ გზის გაკვლევა ისტორიასაც გაუჭირდება. სუნდარბანის ჯუნგლი ოთხივეს ყლაპავს.

## სუნდარბანის ჯუნგლში

მოდი, გულწრფელად ვაღიარებ, რომ არავითარი კვალი არ ყოფილა. აიუბამ, შაჰიდმა და ფარუქმა მართლა აღარ იცოდნენ, ვინმეს მისდევდნენ თუ გაურბოდნენ. აი, ბუდამ კი იცოდა, რასაც აკეთებდა. გველგესლა კრიტიკოსებისგან თავდასაცავადაც მოვემზადები (და ვეტყვი: ორჯერ დამგესლა გველის შხამმა და ორჯერვე გადავურჩი). ჩემი იარაღია: ბრალის, მორალური სულმდაბლობისა და ლაჩრობის აღიარება. უნდა ვთქვა, რომ ბუდას მოსწყინდა სამხედრო მორჩილება და ისე გაიქცა, უკან არ მოუხედავს. პესიმიზმით, სირცხვილითა და ამაოებით სულშეჭმულმა თავი უდროო, უისტორიო და ანონიმურ წვიმის ტყეს შეაფარა და ეს სამი ბავშვიც თან გაიყოლა. ამ სიტყვებს უკვდავებად ვამწნილებ: რეალობის სიჭარბემ დაბადა სურვილი ოცნებებში გაქცევისა, სადაც სული თავს დაცულად გრძნობს... მაგრამ ჯუნგლი სულ სხვა რამ აღმოჩნდა, ვიდრე ბუდა ელოდა.

„რა კარგია, რომ გაიქეცი“, მეუბნება პადმა. მე კი ვარწმუნებ, რომ ის მე არ ვიყავი. ის ბუდა იყო და გველთან შეხვედრამდე ბუდად დარჩება. მას არ ახსოვდა წარსული, მიუხედავად იმისა, რომ იმ ვერცხლის კასრს არა და არ იშორებდა.

ჯუნგლმა სამარესავით მოიხურა კარი და ოთხივე შიგ მოაქცია. ნიჩბებს საათობით უსვამდნენ და მარილიანი წყლის გაუვალ ლაბირინთში მიდიოდნენ. ხეები თავზე გუმბათებივით დაჰყურებდათ. ბოლოს, ქანცგამოცლილი აიუბა, შაჰიდი და ფარუქი მიხვდნენ, რომ საბოლოოდ დაიკარგნენ. ისინი ბუდას შეჰყურებდნენ, ის კი გზას უჩვენებდა. დაქანცულობის მიუხედავად, ნიჩბებს მონდომებით უსვამდნენ. თუმცა ტყის ლაბირინთი, რომელიც მოჩვენებასავით აეკიდათ,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

არა და არ თავდებოდა. მერე თავიანთ მეკვლეს რომ შეხედეს და მის ლურჯ თვალებში სირცხვილისა თუ შვების ნაპერწკალი შენიშნეს, ფარუქმა სამარისებური ხმით ბუდას წასჩურჩულა: „მგონი, შენ არ იცი, სად მივდივართ, და რაღაცას ამბობ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩუმად არ იყო“. ბუდას ხმა არ ამოუღია და იმ დუმილში ბიჭებმა თავიანთი ბედი ამოიკითხეს. აიუბა-ტანკი დარწმუნდა: ჯუნგლმა ოთხივე ისე ჩაგვყლაპა, როგორც გომბეშო ყლაპავს კოღოს; მზეს ველარასოდეს ვიხილავთო და ზორბა აიუბას ქვითინი აუტყდა. ფარუქმა და შაჰიდმა აიუბა რომ ბავშვივით ატირებული ნახეს, კინაღამ ჭკუიდან გადავიდნენ. ფარუქი ბუდას ეცა და ისე დაუშინა მუშტები, ნავი კინაღამ გადააყირავა: ბუდა მშვიდად იტანდა დარტყმებს, სანამ ფარუქმა, ნავის უსაფრთხოების მიზნით, შაჰიდს ხელი არ სტაცა და ძალით არ დასვა თავის ადგილზე. აიუბა განუწყვეტლივ ტიროდა საათების, დღეებისა და, შესაძლოა, კვირების განმავლობაში, მაგრამ მერე ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ მისი ცრემლები საჭირო აღარ იყო. შაჰიდმა უთხრა: შეხედე, ბიჭო, შენმა ტირილმა წვიმა მოიყვანაო. ისინი თანდათან დაემორჩილნენ ჯუნგლის ლოგიკას და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, რადგან ღამით, სუნდარბანი წვიმისა და ხეების მისტერიიდან ამოიზარდა.

ოთხივე ისე გაიტაცა ნავიდან წყლის ხაპვამ, რომ თავდაპირველად ვერც კი შეამჩნიეს, წყლის დონემ რომ იმატა. ეჭვი არ იყო, რომ ჯუნგლი იზრდებოდა და ფართოვდებოდა. ბებერი მანგოს ხეების უზარმაზარი ფესვები სიბნელეში გველებივით მიიკლაკნებოდნენ, წვიმას იწოვდნენ და სპილოს ხორთუმივით დიდდებოდნენ. ხოლო თავად მანგოს ხეები ისე ამაღლდნენ, რომ მათ წვერებზე შემომსხდარი ჩიტების გალობას ღმერთი მოისმენდა. ნიპის უზარმაზარი ფოთლები, ხელისგულს რომ ჰგავდნენ, ერთ ღამეში ძირს ჩამოხვავდა და მთელი ტყე დაფარა. შემდეგ ნაყოფი ჩამოცვივდა, რომელიც ქოქოსზე დიდი ზომისა იყო და წყალში ჩაცვენისას აფეთქების ხმას გამოსცემდა. ნავი წვიმის წყლით ივსებოდა. ბიჭები წყალს ქუდებით ხაპავდნენ. ღამით ნიპას ხის ნაყოფი ბომბივით რომ დაეცათ, შაჰიდმა თქვა, მეტი გზა არა გვაქვს, ნაპირზე უნდა გადავიდეთო. სჯეროდა, რომ მისი ბროწეულის სიზმარი სწორედ აქ აცხადდებოდა (მიუხედავად იმისა, რომ ბროწეულის ნაცვლად ნიპას ხის ნაყოფი დაეცა თავზე).

აიუბა რომ შეშინებული და დათრგუნვილი ნახა, ფარუქს ნირი წაუხდა. ბუდა თავჩაღუნული იჯდა და დუმდა. მარტო შაჰიდი ფიქრობდა, ისიც გალუმპული, დაქანცული და ღამის ჯუნგლისგან გულგა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხეთქილი იყო, მაგრამ ბროწეულის სიზმარი გონებას უფხიზლებდა. სწორედ შაჰიდმა გვიბრძანა, წყლით სავსე ნავი ნაპირზე გაგვეყვანა.

ხიდან ჩამოვარდნილი უზარმაზარი ნაყოფი ნავს მილიმეტრებში ასცდა, წყალში ჩავარდა და ისეთი ღელვა გამოიწვია, რომ ნავი გადააყირავა. ბიჭებმა ცურვა-ფორთხვით ძლივს მიაღწიეს ნაპირს, თოფები თავს ზემოთ ეჭირათ, ნავიც ნაპირზე ამოაგდეს და მიუხედავად ხიდან ჩამოცვენილი ბომბებისა და მანგოს გველივით დაკლაკნილი ფესვებისა — სველ ნავში ჩაეყარნენ და მიიძინეს.

დილით აკანკალებულებს გამოეღვიძათ. ცხელოდა. წვიმა ისევ ცრიდა. ტანზე დაიხედეს და რას ხედავენ: ექვსსანტიმეტრიანი წურბლები ასცოცებიათ. წურბლები მზის ირიბი სხივების გამო უფერო იყვნენ, მაგრამ სისხლით სავსენი თანდათან ვარდისფრდებოდნენ და გაუმაძღრობისგან შუაზე სკდებოდნენ. ბიჭების ფეხებზე ჩამონადენი სისხლი მიწაზე ეწვეთებოდა. ჯუნგლის მიწა სისხლს ისრუტავდა და ბიჭებს გემოს უსინჯავდა.

ხიდან ჩამოცვენილი ნაყოფი მიწას ეხეთქებოდა და სისხლისფერ სითხედ იღვრებოდა, რომელსაც მილიონობით მწერი, — მათ შორის იმ წურბლებივით გამჭვირვალე ბუზები ეხვეოდნენ, რომლებიც ნაყოფისგან წითელ შეფერილობას იღებდნენ... სუნდარბანის ჯუნგლი მთელი ღამის განმავლობაში იზრდებოდა. ყველაზე მაღალი მაინც სუნდრის ხეები იყო, რომელმაც ჯუნგლს თავისი სახელი მისცა. ხის კოშკები მზის სხივს აბრკოლებდნენ. ბიჭები ნავიდან ამოვიდნენ და როცა ფეხი მაგარ, შიშველ მიწას დაადგეს, რომელიც ღია ვარდისფერი მორიელებითა და ნაცრისფერი მატლებით იყო სავსე, — შიმშილი და წყურვილი მაშინღა გაახსენდათ. ფოთლებიდან ჩამომავალ წყლის წვეთებს პირი შეუშვირეს და დაეწაფნენ. მანგოს, ნიპასა და სუნდრის ტოტებიდან და ფოთლებიდან ჩამოსულმა წვეთებმა ოთხივეს ჯუნგლის სიგიჟე ჩააწვეთა და მწვანე სამყარომ მთლიანად მონუსხა. ჩიტები ფიცრის ღრჭიალისებრ ხმას გამოსცემდნენ, ხოლო გველები დაბრმავებულიყვნენ. სულწასულმა ბიჭებმა ნიპას ნაყოფისა და მიწის მატლებისგან სადილი მოიმზადეს, მაგრამ ისეთი დიარეა დაემართათ, რომ ოთხივეს კინაღამ სული გააცხებინა.

ფარუქმა ვკვდებითო, თქვა და ფარხმალი დაყარა. შაჰიდი დანებებას არ აპირებდა, რადგან იმღამინდელი კოშმარისგან გამოფხიზლებული მიხვდა, ასე არ მოკვდებოდა.

წვიმის ტყეში დაკარგულებს მუსონის კლებამ მხოლოდ დროე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბითი შვება მოჰგვარა. შაჰიდმა გადაწყვიტა, რომ აქედან გაღწევის მცდელობას აზრი არ ჰქონდა, რადგან მობრუნებული მუსონი ოთხივეს ჩაძირავდა. გვიმრის ფოთლებიანი ტოტებისა და წყალგაუმტარი ქსოვილისგან ბუნაგი მოიწყვეს. „ხილი ვჭამოთ და გადავრჩებით", — უთხრა შაჰიდმა. დაავიწყდათ, აქ რისთვის წამოსულიყვნენ. მოგზაურობა რეალურ შორეულ სამყაროში დაიწყეს და აბსურდულ სამყაროში გადმოინაცვლეს. ფანტაზიამ მიზანი მიავიწყათ.

აიუბა, შაჰიდი, ფარუქი და ბუდა ტყის ფანტასმაგორიაში გაიხლართნენ. წვიმიანი დღეები ერთმანეთს გადაება. შიშის, დიარეისა და ციების მიუხედავად, მაინც ცოცხლები იყვნენ და თავიანთ თავშესაფარს სუნდრისა და მანგოს ტოტებით ამაგრებდნენ. ნიპას ფოთლების წითელ რძეს სვამდნენ, სწავლობდნენ გადარჩენის ხელოვნებას, ფეხქვეშ მოსრიალე გველებს უმკლავდებოდნენ და წათლილ ჯოხებს პირდაპირ მიზანში ახვედრებდნენ მორიალე ფერად ჩიტებს. მაგრამ ერთ ღამეს აიუბას გაეღვიძა და რას ხედავს: თავზე ხელმომარჯვებული გლეხის გამჭვირვალე სხეული წამოსდგომია. გულში ნატყვიარის ორმო უჩანს და მგლოვიარედ დაჰყურებს. აიუბა რომ ნავიდან ამოსასვლელად აფართხალდა, გლეხმა გულიდან წარმომდინარი უფერო სითხე იმ ხელზე დააფრქვია, რომელშიც აიუბას იარაღი ეჭირა. დილით აიუბას მარჯვენა მკლავი ისე გაუშეშდა და ჩამოეკიდა, თითქოს თაბაშირშია გახვეულიო. ფარუქმა რომ დახმარება შესთავაზა, აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ხელი თითქოს იმ მოჩვენების უჩინარმა სითხემ გაუხმო.

მოჩვენების გამოცხადებამ ბიჭებს დააჯერა, რომ ტყე ყოვლისშემძლე იყო. ყოველღამე ახალ-ახალ სასჯელს უგზავნიდა. ელანდებოდათ ცოლ-შვილი იმ კაცებისა, რომლებიც მათ დაატყვევეს... ცოლები გამგმირავი თვალებით უყურებდნენ, უმამოდ დარჩენილი ბავშვების აჩრდილები წივილ-კივილით იკლებდნენ იქაურობას... ბოლოს, ბუდაც გამოტყდა, რომ ღამღამობით ტყე მარწუხივით ყელში უჭერდა და ახრჩობდა.

ბიჭები აჩრდილებს რომ დაემსგავსნენ, მაშინ ტყემ ნოსტალგიის განცხრომა მიუბოძა მათ. ერთ ღამეს, უკვე სულმთლად ძუძუმწოვარა ჩვილად ქცეულ აიუბას, რომელმაც ცერა თითის წოვა დაიწყო, თავზე დედის აჩრდილი წაადგა, რომელმაც მისი საყვარელი ბრინჯის ნამცხვარი მოუტანა. მაგრამ ამან ხელი რომ გაიწვდინა, დედა სწრაფად გაშორდა, სუნდრის ხეზე ავიდა და კუდით ჩამოეკიდა. დედამისისსა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხიანი თეთრი მაიმუნი ყოველღამე სტუმრობდა აიუბას, რომელმაც გაიხსენა, დედა როგორ ჯდებოდა თავისი მზითევის ზანდუკებს შორის, თითქოს თავადაც ნივთი იყო, — მამამისმა მის ქმარს რომ აჩუქა. სუნდარბანის შუაგულში შეიცნო პირველად აიუბა ბალოქმა დედამისი და თითის წოვას თავი ანება. ხილვები არც ფარუქს ასვენებდნენ. ერთხელ, შეღამებისას, ძმის აჩრდილი დაინახა, გამწარებული უკანმოუხედავად რომ მირბოდა და მიხვდა, ალბათ მამა გარდაიცვალაო. ახლაღა გაახსენდა, რომ მამამისის სული ერთმა ადგილობრივმა მემამულემ იმ ვალის სანაცვლოდ იყიდა, მამას რომ მართებდა. „როცა მოკვდები, — მამამ ფარუქის ფეხმარდ ძმას მიმართა, — პირი გააღე და ჩემი სული შიგ ჩაგიფრინდება, შემდეგ გაიქეცი და გაიქეცი, ისე, რომ უკან არ მოიხედო, რადგან სულთა მეუფე დაგედევნებაო. ფარუქს მამამისის სიკვდილმა და ძმის გაქცევამ ბავშვური საქციელი დაავიწყა. ტირილითაც აღარ ტიროდა და რატომ-რატომსაც აღარ გაიძახოდა. შაჰიდს მაიმუნისსახიანმა მამამ მოაკითხა, რომელმაც ასწავლა სახელი როგორ უნდა მოეხვეჭა. პასუხისმგებლობის გრძნობა აღიდგინა, რომელიც ერთ დროს სამხედრო მორჩილებამ გამოაცალა. ტყე ოთხივეს ზრდასრულობისკენ მიერეკებოდა. ღამის ტყეში უჩინარი და მიუწვდომელი იმედის აჩრდილები დაბორიალებდნენ.

თავდაპირველად ბუდას ნოსტალგია არ მისძალებია. სუნდრის ხის ქვეშ ფეხმორთხმული იჯდა ხოლმე. ცარიელი თვალებით იყურებოდა. გონებაც ცარიელი ჰქონდა. ღამღამობით აღარ ეღვიძებოდა, მაგრამ ტყემ მაინც თავისი გაიტანა და ერთ წვიმიან დღეს ბიჭებმა დაინახეს, ხის ქვეშ მჯდომ ბუდას გველმა როგორ უკბინა. შხამიანი ეშვები ქუსლში ჩაასო. შაჰიდმა გველს თავი გაუსრისა. თავიდან ფეხებამდე უგრძნობმა ბუდამ ვერაფერი შეამჩნია. თვალები დახუჭული ჰქონდა. ბიჭები მის სიკვდილს ელოდნენ, თუმცა ბუდა გველის შხამზე ძლიერი აღმოჩნდა. ორი დღის განმავლობაში ხესავით გაშეშდა და თვალები გადაუტრიალდა ისე, რომ ქვეყნიერება უკუღმა დაინახა, როგორც სარკეში. ბოლოს მოეშვა და თვალებიდან რძისფერი ბუნდოვანება გაუქრა. ისევ წარსულს შეუერთდა. გველის შხამმა გაამთლიანა. ახლა წარსული ბუდას ტუჩებიდან იფრქვეოდა. თვალები დაეწმინდა და პირიდან სიტყვების ნიაღვარი წამოუვიდა. ბიჭები მონუსხულივით უსმენდნენ მის მონაყოლს. ბუდამ იმით დაიწყო, რომ შუაღამეზე დაიბადა და აღარ გაჩერდა. ყველა წვრილმანს ჰყვებოდა, რაც ახსოვდა და არ ახსოვდა. პირდაღებული ბავშვი-ჯარისკაცები მის ცხოვრებას



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფოთლიდან ჩამომდინარე წყლის წვეთებივით დაეწაფნენ. ჰყვებოდა ბიძაშვილზე, რომელიც საწოლში ისველებდა, ჰყვებოდა საწიწაკებზე, — რევოლუცია რომ მოახდინეს, ჰყვებოდა თავისი დის უზადო ხმის შესახებ... ბიჭები წყნარად უსმენდნენ. სხვა დროს ალბათ ოვაციებით შეხვდებოდნენ იმ ამბავს, რომ მათი ეჭვები გამართლდა.

ბუდა არ გაჩერებულა: ახსენა მშობლების ნაგვიანევი სიყვარული და ჯამილა საძინებელში. შაჰიდმა წაილუღლუღა: „აი, რატომ მიუტოვებია!“ ბუდა კიდევ რაღაცას იხსენებს, რაღაც განსაკუთრებულს, რომელიც ჯიუტად არ აგონდება. თხრობას იმ რაღაცის გარეშე ამთავრებს, იღუშება, უკმაყოფილოა, თუმცა წმინდა ომიც ახსენა და ციდან კასრის ჩამოვარდნის ამბავსაც მოჰყვა.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ფარუქმა დაარღვია: „რამდენი საშინელება გადაუტანია! რა გასაკვირია, რომ არაფერს ამბობდა!“

ხედავ, პადმა: სანამ შენ მოგიყვებოდი, ეს ყველაფერი იმ ბიჭებს ვუამბე. მაგრამ რა იყო ის, რაც ვერაფრით გავიხსენე? თვით გველის შხამმაც რომ ვერ გამახსენა? პადმა, ბუდას საკუთარი სახელი (უფრო ზუსტად, თავისი პირველი სახელი) დაავიწყდა.

ისევ წვიმდა. წყლის დონემ ისე მოიმატა, რომ ბიჭებმა გადაწყვიტეს, უფრო ღრმად შესულიყვნენ ტყეში და შემაღლებული ადგილი მოეძებნათ. წყლით სავსე ნავი უსარგებლო იყო, ამიტომ ბიჭებმა ნაპირიდან წაათრიეს, ხეზე მიაბეს და ფოთლებით დამალეს. ამის მერე, არჩევანი რომ აღარ ჰქონდათ, ჯუნგლის სიღრმეში შევიდნენ.

სუნდარბანმა ისევ იცვალა ნირი და ბიჭებს იმ ოჯახების გლოვა ელანდებოდათ, რომელთა გულებს თითქოს საუკუნეების წინ მოსწყდნენ. გამალებით მიიწევდნენ წინ, თითქოს თავიანთ აკივლებულ მსხვერპლს გაურბიანო. ღამღამობით მაიმუნები მოჩვენებებივით სხდებოდნენ ხეებზე და მღეროდნენ სიმღერას: „ჩვენი ოქროს ბენგალი“, — რომელიც ასე იწყებოდა: „.. ო, დედავ, ჩემო, ყარიბი ვარ, მიუსაფარი, მაგრამ სულს გჩუქნი და ეს ფიქრი სიამით მავსებს“. ხმები სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა, სინდისი და პასუხისმგებლობა ტვირთად აეკიდათ და ბიჭებმა ბოლოს უკიდურეს ზომებს მიმართეს. ჭკუიდან გადასულმა შაჰიდმა ტალახი მუჭით აიღო და ყურები ამოიგლისა. აიუბამ და ფარუქმაც მას მიჰბაძეს. მხოლოდ ბუდამ (ცალი ყური ისედაც ყრუ ჰქონდა) დაიტოვა ყურები უტალახოდ, თითქოსდა ჯუნგლის სასჯელი მარტომ იტვირთა თავისი დანაშაუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლის გამოსასყიდად... ტალახმა, რომელიც მწერებსაც შეიცავდა და ჩიტების სკორესაც, სამივე ჯარისკაცი დააყრუა. ჯუნგლის კივილის მოსმენას გადაურჩნენ, მაგრამ ერთმანეთთან მუნჯურად, ხელებით ლაპარაკი დაიწყეს. სიყრუე ერჩივნათ იმ ენით გამოუთქმელ საიდუმლოს, ტყე რომ ჩასჩურჩულებდა.

ბოლოს და ბოლოს, ხმები შეწყდა და როცა ოთხივე მოხეტიალე სადაც იყო, ჭკუიდან შეიშლებოდა, უცებ ტყემ ხის ფოთლებისგან შეკერილი ფარდა გადასწია და ისეთი სანახაობა აჩვენა, რომ ბიჭებს ბურთი ყელში მოებჯინათ. ბუდამ კასრი უფრო მაგრად ჩაბღუჯა. მათ წინ, მომღერალი ჩიტებით სავსე მინდვრის შუაგულში, ქვისგან ნაკვეთი ჰინდუს უძველესი ტაძარი იდგა. ტაძრის კედლებზე ისეთი ათლეტური აღნაგობის ადამიანები გამოესახათ, ოდნავ აბსურდულად და სასაცილოდაც მოგეჩვენებოდათ. ტაძრის შიგნით შავი, მოცეკვავე ქალღმერთის ქანდაკება იდგა, რომლის სახელი მხოლოდ ბუდამ იცოდა. ეს იყო მრისხანე კალი, რომლის კბილებს ცოტაოდენი ოქროს საღებავი კიდევ შერჩენოდა. ტაძარი შვება და თავშესაფარი იყო. ბიჭები ქანდაკების ფეხებთან დაწვნენ და პირველად დაიძინეს ისე, რომ თავზე წვიმა არ დასდიოდათ. შუაღამით გაიღვიძეს და რას ხედავდენ: თავზე ოთხი უმშვენიერესი გოგონა დადგომიათ და იღიმებიან. შაჰიდმა იფიქრა, ალბათ მოკვდი, სამოთხეში ვარ და ეს ოთხი შეპირებული ქალწული მომეახლაო. მაგრამ გოგონები ნამდვილად იდგნენ მათ წინ. შიშველ სხეულს მხოლოდ დახეული და ჭუჭყიანი სარი უმკობდათ. და სანამ ოთხი წყვილი თვალი ოთხ წყვილ თვალს უყურებდა, გოგონებმა სარი გაიხადეს და შიშვლები მათკენ წამოვიდნენ. ხელები ხელებს ჩაეხვია, ფეხები ფეხებს გაეხლართა. კალის ქანდაკების ქვეშ მოგზაურნი რეალურ სასიყვარულო ვნებას მისცემოდნენ: იკბინებოდნენ, იკაწრებოდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ და სხეულზე კოცნისა და კბენის კვალს ტოვებდნენ. აი, თურმე რა სჭირდებოდათ, ისე, რომ ვერც კი ხვდებოდნენ. ბავშვობაგამოვლილები, დარდგადატანილები, პასუხისმგებლობააკიდებულები და სინდისადევნებულები — ახლა სამუდამოდ ტოვებდნენ ბავშვობას. დაავიწყდათ, აქ რისთვის მოვიდნენ ან რატომ დაყრუვდნენ, — ყველაფერი დაავიწყდათ და ფიქრისგან დაცლილი თავები ოთხ ლამაზმანს მიუძღვნეს.

იმ ღამის შემდეგ ტაძარს ვერ მოსცილდნენ (გარეთ მხოლოდ საკვების მოსაპოვებლად გადიოდნენ), სადაც ყოველღამე სტუმრობდნენ ქალები, რომლებიც ჩუმად მოდიოდნენ, იხდიდნენ სარს, ლამაზად



www.PDF.ChiaturaINFO.GE

აწყობდნენ გვერდზე და ბიჭების კვარტეტს განუზომელ სიამოვნებას ჩუქნიდნენ. არავინ იცოდა რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ყოველივე. სუნდარბანი ხომ თავისი კუთვნილი დროით ითვლიდა, რომელსაც თავისივე, უცნობი კანონები ჰქონდა. მაგრამ ერთ დღეს ერთმანეთს შეხედეს და სახტად დარჩნენ: ოთხივე ისეთი გამჭვირვალე გამხდარიყო, რომ მათ სხეულებს მიღმა საგნებს ბუნდოვნად გაარჩევდი, — მანგოს წვენში რომ გაიხედო, ისე. ბიჭები მიხვდნენ, რომ ტყემ კიდევ ერთი ხრიკი უყო: გულის სურვილი შეუსრულა, სანაცვლოდ კი ოცნებები სიცოცხლესავით გამოაცალა, მინასავით გაამჭვირვალა და გამოაფუტროვა. ახლაღა მიხვდნენ, რომ უფერო მწერების, წურბლებისა და გველების არსებობა უშზეობის კი არა, — მათი მწერული, წურბლური და გველური წარმოსახვის ბრალი იყო... ახლა ტაძარს სულ სხვა თვალით შეხედეს. უძველესი ქვის ტაძრის კედლებში უზარმაზარი ნაპრალები გაჩენილიყო, ისე, რომ შეიძლება ნებისმიერ დროს ჩამოშლილიყო და თავზე დამხობოდათ. მიტოვებული სალოცავის ბნელ კუთხეში ფერფლი შეამჩნიეს — ცხედრის დასაწვავი შტაბელის ნარჩენები, რომელთა შუაგულში პატარა, ჩანახშირებული ძვლები მოჩანდა.

ბუდამ ასე დატოვა სუნდარბანი: სალოცავიდან ნავისკენ რომ მირბოდნენ, ტყე მოსდევდათ. ნავთან რომ მივიდნენ, ტყემ ისე ძლიერად დაიგრგვინა და დაიღრიალა, რომ მისმა ხმამ ტალახამოლესილ ყურებშიც შეაღწია. ნავი ახსნეს და შიგ ჩახტნენ. ახლა მდინარე იყო მათი იმედი და საშველი, რომელსაც შეეძლო ნავი რომელიმე ხეზე მიენარცხებინა, მაგრამ ამის მაგივრად ტალღამ დინების მიმართულებით წაიყვანა და მტანჯველი ტყის მწვანე კედელი უკან ჩამოიტოვეს. თითქოს ჯუნგლს ისინი სათამაშოებივით მოჰბეზრდა და შორს მოისროლა. ტალღა ნავს წინ მიაქანებდა და გველის გამოცვლილ ტყავებსა და ხის მორიალე ტოტებზე ახტუნებდა. ბოლოს ძლიერმა ტალღამ ნავი წყლიდან ამოზრდილ დიდ კუნძს მიანარცხა და დაამსხვრია, ბიჭები კი შორს გადაისროლა. ახლა ისინი ბრინჯის მონიაღვრებულ ყანაში, წელამდე წყალში იდგნენ, რადგან ტალღამ იკლო. ცოცხლები გადარჩნენ და იმ ტყეს გამოექცნენ, რომელსაც ბუდამ სიმშვიდისა და ოცნებისთვის მიაშურა, ორივე იპოვა და ახლა ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყო.

ჯუნგლიდან რომ გამოვიდნენ, 1971 წელი იდგა. უნდა ვაღიარო (თუმცა ეს ფაქტი კიდევ უფრო მარწმუნებს იმაში, რომ ტყეს ჯადოსნური ძალა ჰქონდა), რომ იმ თვეში არავითარი წყალდიდობა და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტალღების მოქცევა არ დაფიქსირებულა. ეს იყო ერთი თვით ადრე, როცა წყალდიდობამ ის რეგიონი წალეკა.

სუნდარბანის შემდეგ ძველმა ცხოვრებამ მომიხმო. წარსულს ვერსად გაექცევი. ის მუდამ შენთან რჩება.

სამი ჯარისკაცი და მათი გზამკვლევი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ისე გაქრნენ. ოქტომბერში წვიმები შეწყდა და მუქტი ბაჰინის პარტიზანული რაზმები გააქტიურდნენ. ჩვენი კვარტეტი სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა მუქტი ბაჰინის სნაიპერები მიზანში იღებდნენ განურჩევლად ყველას, ჯარისკაცი იქნებოდა ეს თუ მთავრობის კაცი. ბიჭებს დიდი არჩევანი არ ჰქონდათ, ამიტომ დასავლეთის ფრთის ძალებს შეუერთდნენ. ბუდას რომ ჰკითხავდნენ ხოლმე გაუჩინარების ამბავს, ყოველთვის იმას ჰყვებოდა, რომ ჯუნგლში მოხვდნენ, სადაც ხის ფესვები გველივით შემოეხვივნენ. კიდევ კარგი, უფროსებს არაფერი უკითხავთ მისთვის და არც იმ სამი ბიჭისთვის. ამ უკანასკნელთ მას მერე დიდხანს არ უცოცხლიათ და კითხვებსაც იმიტომ გადაურჩნენ.

...ერთ მიტოვებულ სოფელში, სადაც თივის სახურავიან ქოხებს ნაკელით ამოშენებული კედლები ჰქონდათ და სადაც არავითარი სულიერი არ ჭაჭანებდა, აიუბა, შაჰიდი და ფარუქი თავის ბედს დასტიროდნენ. ტალახმა რომ დააყრუა სამივე, ახლაღა შეწუხდნენ. ჯუნგლის ხმა აღარ ესმოდათ, არც ერთიმეორისა და ამიტომ ერთად აღრიალდნენ. ბუდას ესმოდა ობობისქსელებიან ცარიელ ოთახში მდგარი აიუბა როგორ მოთქვამდა: „ღმერთო, ჩემი ყურები! თითქოს შიგ ფუტკრები დაბზუიან!“ ფარუქი ჭირვეულობდა: „ვისი ბრალია ეს ყოველივე, ვისმა ცხვირმა მიგვიყვანა იმ დაწყევლილ ტყემდე? ვინ დაგვიჯერებს იმას, რაც იმ ჯუნგლში ვნახეთ? ვინ დაგვიჯერებს სალოცავისა და გამჭვირვალე ქვეწარმავლების ამბავს, ღმერთო ჩემო! არა, ბუდა, აქ და ახლავე უნდა გაგათავოთ!“ შაჰიდმა თითქოს დაიკვნესაო, ისე თქვა: „მშია“. რეალურ სამყაროში თანდათან ავიწყდებოდათ ჯუნგლის გაკვეთილი. აიუბა ტირის: „მკლავი, ჩემი გამხმარი მკლავი! მოჩვენება სისხლს მწოვს!“ შაჰიდი ამბობს: „დეზერტირებად ჩაგვთვლიან! ამდენი თვეა წამოსულები ვართ! შეიძლება სამხედრო ტრიბუნალს გადაგვცენ!“ და ფარუქი ბუდას ეუბნება: „შე ძაღლიშვილო! შენი ბრალია, ასეთ დღეში რომ ვართ, შეხედე, როგორი დაგლეჯილი უნიფორმები გვაცვია მათხოვრებივით! რას გვიზამს ნაჯმუდინი, მე მხდალი არა ვარ, არა!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

შაჰიდი, რომელიც ჭიანჭველებს ხოცავს და ხელისგულიდან ლოკავს, ამბობს: „როგორ შევუერთდეთ ჯარს? ვინ იცის, ახლა სად არიან! და მერე, თუ პარტიზანებს გადავეყარეთ, დაგვხოცავენ, ჭიანჭველებივით გაგვსრესენ!“ ფარუქიც ლაპარაკობს: „და მარტო უნიფორმა, ბიჭო? თმა? ეს სამხედრო ვარცხნილობაა? ამსიგრძე, ქალივით თმა ჭიებივით ჩამოდის ყურებზე. არა, ნამდვილად დაგვხოცავენ. კედელზე მიგვაყენებენ და დაგვხვრეტენ! აი, ნახავთ თუ არა!“ მაგრამ, აიუბა-ტანკი წყნარდება, სახე ხელებში ჩაურგია და თავისთვის ბუტბუტებს: „ო, ღმერთო, მე იმ დაწყევლილ ვეგეტარიანელ ინდუსებთან საბრძოლველად წამოვედი და აქ კიდევ უარესი რამ დამხვდა, ბიჭო!“

ნოემბრის თვე იყო. ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენ. გზად მიტოვებული სახლები და უკაცრიელი მინდვრები ხვდებოდათ. ირგვლივ უცნაურ-ასოებიანი გაზეთები ფარფატებდნენ. ზოგჯერ შემთხვევით გადააწყდებოდნენ ხოლმე დამჭკნარ ბებრუხანა ქალს, ფუთა რომ მხარზე გადებულ ჯოხზე ჩამოეკონწიალებინა. ხვდებოდათ დამშეული ბავშვები, რომელთაც ჯიბეებში დანები ედოთ; ესმოდათ, რომ პარტიზანები უჩინრად მოძრაობდნენ გადამწვარ მიწაზე, სადაც ტყვიები ფუტკრებივით ბზუოდნენ... გადამწყვეტი მომენტიც დადგა და ფარუქმა თქვა: „ბუდა, შენ რომ არა, ალაჰ! მაგ უცხოელის ლურჯი თვალებით... ო, ღმერთო, როგორ ყარხარ!“

ყველანი ვყარდით: შაჰიდი, რომელმაც მიტოვებული ქოხის იატაკზე მორიელი ქუსლით გასრისა; ფარუქი, რომელიც დანას ეძებდა, რომ გრძელი თმა მოეჭრა; აიუბა, რომელმაც ქოხის კუთხეში ობობას ქსელს თავი შეუშვირა და თავზე ობობა ააღოღდა. ბუდას, რომელიც ასევე საშინლად ყარს, ხელში ვერცხლის კასრი ჩაუბღუჯავს, საკუთარი სახელის გახსენებას ცდილობს და მხოლოდ მეტსახელები ახსენდება: ცხვირმოუხოცავი, სახელაქიანი, მელოტი, სრუტუნა, მთვარის ნატეხი.

...ფეხმორთხმული იჯდა და გახსენებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ... ბოლოს კასრი იატაკზე მოისროლა და იყვირა, ეს ხომ უსამართლობაა. თუმცა მისი დაზაფრული მეგობრების დაყრუებულმა ყურებმა ვერაფერი გაიგონეს.

ომის ქარცეცხლში აღმოვაჩინე სამართლიანობა და უსამართლობა. უსამართლობას ხახვის სუნი ჰქონდა და როგორც კი შევიყნოსე, თვალზე ცრემლი მომგვარა. მერე გამახსენდა, მომღერალი ჯამილა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰოსპიტლის საწოლზე რომ გადმოიხარა და ჩინოსნებიც თან ახლდნენ. როგორ მითხრა მაშინ: ძმაო, უნდა წავიდე, ქვეყნისთვის ვიმღერო, შენზე ამიერიდან არმია იზრუნებსო. ჩადრით იყო, მაგრამ იმ ჩადრს უკან გამცემი დის ღიმილი ვიყნოსე. შუბლზე შურისმაძიებელი კოცნა აღმიბეჭდა. შემდეგ წავიდა და ჩინოსნების სამოწყალოდ დამტოვა... ყოველთვის მწარედ იძიებდა ხოლმე შურს იმათზე, ვისაც ძალიან უყვარდა. ამან ივი ბერნსი გამახსენა. მანაც ხომ გამრიყა. გამახსენდა, სახლიდან რომ გამაძევეს, მშობლებმა რომ მწარედ მომატყუეს. ყველაფერი გამახსენდა, რაც მთასავით აიხორხლა ჩემს ცხოვრებაში და ჭირივით მტანჯავდა. ახლაღა ვიგლოვდი კიტრისცხვირიან, სახელაქებიან, მოკაკულფეხებიან, საფეთქელრქებიან, თავტვლიპინა, უთითო, დაყრუებულ, კასრჩაბღუჯულ ბიჭს და ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა. მაგრამ ჩემი სახელი მაინც ვერ გავიხსენე. ეს ხომ უსამართლობაა, უსამართლობაა-მეთქი, ვტიროდი. უცებ, ჩემდა გასაკვირად, აიუბა-ტანკი კედელს მოშორდა, ჩემ წინ ჩაიცუცქა და საღი მკლავი კისერზე მომხვია. მე თავი მკერდზე მივადე და უფრო ავქვითინდი. მაგრამ მოულოდნელად ჩვენკენ ფუტკარი გამოექანა და სანამ აიუბას დაყრუებულ ყურში სიყრუის ფუტკრები ბზუოდნენ, რაღაცამ კისერში უკბინა. აიუბამ ერთი დაიხრიალა და თავზე გადმომაწვა. ეს იყო სნაიპერის ტყვია, რომელიც თავს გამიხვრეტდა, რომ არა აიუბა, რომელმაც თავისი სიკვდილით სიკვდილისგან მიხსნა.

უკვე აღარ ვფიქრობდი იმაზე, რა იყო სამართლიანობა და უსამართლობა, წარსული დამცირებაც დავივიწყე. აიუბას ცხედარი თავზე მესვენა და ქვემოდან ძლივს გამოვძვერი. ფარუქი და შაჰიდი კინაღამ ჭკუიდან შეიშალნენ: „ო, ღმერთო, ვინ იცის, სად ჩაგვისაფრდა ის შეჩვენებული!“ შაჰიდი კინოფილმის გმირს დაემსგავსა და ფანჯრის გვერდითა კედელს გაეკრა. მე იატაკზე ვიწექი, ფარუქი კუთხეში მიიყუჟა და ასე ვიცდიდით, რა მოხდებოდა.

მაგრამ მეორედ არ უსვრიათ. ეტყობა, სნაიპერმა ისროლა და გაიქცა. მან ხომ არ იცოდა, რომ ქოხში უმწეო ჯარისკაცები იყვნენ. ქოხში ერთი დღე-ღამის განმავლობაში დავრჩით. მერე მივხვდით, რომ აიუბა უნდა დაგვემარხა. სადღაც თოხწერაქვი ვიპოვეთ და იმით გავუთხარეთ მიწა... ინდოეთის არმია რომ მოვიდა, აიუბა აღარ შეგებებია თავისი არავეგეტარიანული თეორიებით, არც ბრძოლის ველზე გასულა ყვირილითა და შეძახილებით...

ალბათ, ასე სჯობდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

...სადღაც დეკემბერში მოპარული ველოსიპედებით ერთ მინდორს მივადექით, საიდანაც ქალაქი დაკა ხელისგულივით მოჩანდა. მინდორზე რაღაც უცნაური მცენარე იზრდებოდა და ისეთ გულისამრევ სუნს აფრქვევდა, ველოსიპედებიდან გადმოვცვივდით. შემდეგ იმ საზიზღარ ყანას შევერიეთ.

ყანაში ვიღაც ტომრიანი გლეხი გამოსულიყო და ნაგავში იქექებოდა. თან მელოდიურად უსტვენდა. ეტყობა, კარგ ხასიათზე იყო. სტვენა მთელ მინდორში მოისმოდა. მინდორი სავსე იყო ჩაფხუტებით, ტალახიანი თოფებითა და უცნაური მცენარეებით, რომელთაც უსამართლობის ისეთი სუნი ასდიოდა, რომ ბუდას თვალები აუცრემლა. მცენარე რაღაც დაავადებას გაეხმო... თუ რაღაც აფეთქებას, რომელიც ალბათ, დასავლეთ პაკისტანის არმიამ გამოიწვია. გლეხი ისევ მელოდიურად უსტვენდა და ტომარაში ყრიდა: ტყავის ქამრებს, საათებს, ოქროს კბილის ნაგლეჯებს, სათვალის ჩარჩოებს, ლანგრებს, წყლის მათარებს, ფეხსაცმელებს. შემდეგ გლეხმა დაინახა ისინი, მათკენ ღიმილით გამოიქცა და მოთაფლული ხმით რაღაც უთხრა, რაც მარტო ბუდამ გაიგონა. ფარუქი და შაჰიდი შუშის თვალებით უმზერდნენ ყანას, როცა გლეხი ალაპარაკდა:

„უ, რა სროლა იყო! ბა-ბა-ბახ!“ და მან მარჯვენა ხელის თითი ისე მოკაკვა, თითქოს პისტოლეტს ისვრისო. ჰინდის ენაზე არაბუნებრივად ლაპარაკობდა: „ჰო, ბატონებო, ინდოეთი მოგვადგა, ჩემო ბატონო, ჰო, აბა!“ მინდორი ძვლების სითხეს ისრუტავდა. გლეხი კი არ ჩერდებოდა: „მე ვერ ვისვრი, ბატონებო, ჰო, ვერა! ისეთი ახალი ამბები ვიცი, აბა! ინდოეთი მოდის! ჯესორი დაცემულია, ჩემო ბატონებო, ოთხ დღეში დაეცა, დაკაც ასევე, აბა? არა თუ?“ ბუდა უსმენდა, მაგრამ თვალებით მინდორს მიშტერებოდა. „ასეა, ბატონო! ინდოეთი! ერთი ისეთი ძალმოსილი ჯარისკაცი ჰყავთ, რომ ერთ ჯერზე ექვს კაცს კლავს, კისერს უმტვრევს — კრიკ-კრიკ — მუხლებში, აბა! მუხლებში — სწორად ვთქვი?“ გლეხი ველარ ჩერდება: „მე, ამ თვალებმა ნახეს, აბა! უთოფებოდ, უხმლებოდ იბრძვის, მარტო მუხლებით და ექვს კისერს ერთად ამტვრევს, აბა, ღმერთო!“ შაჰიდს გული აერია. ფარუქი მინდვრის ბოლოში გავიდა და მანგოს ხეებს ამოეფარა. „ერთ-ორ კვირაში ომი დამთავრდეს, ბატონებო, ყველა დაბრუნდეს. ახლა ყველა წასულია. ჩემ გარდა, ჩემო ბატონებო. ჯარისკაცები პარტიზანებს ეძებდნენ და ბევრი მოკლეს, ჩემი შვილიც მოკლეს, კი, აბა, კი, ასეა!“ ბუდას თვალები დაენისლა. შორიდან არტილერიის ხმა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისმოდა. დეკემბრის უფერო ცაში კვამლის სვეტები აიჭრა. უცნაური მცენარე გაუნძრევლად ჩაწოლილიყო მინდორში, ისე, რომ ნიავიც ვერ არხევდა... „გეუბნებით, ჩემო ბატონებო. ჩიტებისა და მცენარეების სახელიც ვიცი, აბა! დეშმუკი მქვია, ვაჭარი ვარ, კარგ რამეს ვყიდი. არ გინდა? კუჭის შეკრულობის წამალს, აბა! მაქვს და სიბნელეში რომ ანათებს — ისიც, და წიგნი, აბა! და ფოკუსები, კი. დაკაში ცნობილი ვიყავი, აბა! სროლა არ მინდა“.

ვაჭარი ლაქლაქებდა და თან სთავაზობდა მაგიურ ქამარს, რომელიც მის მქონებელს ჰინდის ენაზე აალაპარაკებდა. „აი, მე მიკეთია და ხომ კარგად ვლაპარაკობ! — კი? არა? ბევრი ინდოელი ჯარისკაცი იყიდა, რამდენი ენა აქვთ, ქამარი ღმერთის გამოგზავნილია ღმერთისგან!“ გლეხმა შეამჩნია, რომ ბუდას ხელში რაღაც ჰქონდა: „აბა, ბატონო, ეგ მაგარი რამეა, ვერცხლია და ძვირფასი ქვა? მომცემ — მე მოგცემ რადიოს, ვიდეოკამერას — კარგად მუშაობს თითქმის, ბატონო! გავრიგდით, მეგობარო. მაგ ერთში მე ბევრს მოგცემ, აბა! მაგარია. ცხოვრება მიდის, ვაჭრობაც მიდის, მართალია?“

უცებ ბუდა ეუბნება: „კიდევ რა იცი იმ მუხლებიან ჯარისკაცზე“. მაგრამ ფუტკრის ბზუილი ისევ გაისმის და მინდვრის ბოლოში ვიღაცას მუხლები ეკეცება. შუბლი მიწას ეხება, თითქოს ლოცულობსო. მინდორში კიდევ ერთი სიცოცხლე ინავლება. შაჰიდი ეძახის: „ფარუქ, ბიჭო, ფარუქ!“

მაგრამ ფარუქი დუმს.

კარგა ხნის მერე ბუდა ბიძამის მუსტაფას ომის ამბავს რომ უყვებოდა, გაიხსენა თუ როგორ ბორძიკ-ბორძიკით აბიჯებდა ძვლებით ამოვსებულ მინდორზე, ფარუქამდე რომ მისულიყო და სანამ იქამდე მიაღწევდა, როგორ შეიმეცნა იმ მინდვრის საიდუმლო.

ყანის შუაგულში პატარა პირამიდა იდგა. ზედ ჭიანჭველები დაღოღავდნენ. მაგრამ ეს ჭიანჭველების ბუდე არ ყოფილა. პირამიდას ექვსი ფეხი და სამი თავი ჰქონდა. შუა ნაწილი სხეულების, ძვლებისა და ტანსაცმლის ნაფლეთებისგან შედგებოდა. პირამიდა ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ერთ-ერთ თავს ბრმა ყური ჰქონდა, მეორეს ზეთით გადასლექილი თმა, ხოლო მესამე თავს ღრმულები ჰქონდა იქ, სადაც საფეთქლები უნდა ყოფილიყო. ალბათ გინეკოლოგის მაშებით გაჩენილი... ამ მესამე თავმა დაილაპარაკა და ბუდას მიმართა:

„აქ რა ჯანდაბას აკეთებ, ბიჭო?“

შაჰიდმა დაინახა, რომ მტრის ჯარისკაცთა პირამიდამ ბუდასთან



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიალოგი გამართა. შაჰიდი ისე გაღიზიანდა, რომ თავზე დამახტა, მიწაზე დამაგდო და კითხვები დამახალა: „ვინ ხარ? — ჯაშუში? მოღალატე? საიდან გიცნობენ?“ ვაჭარი დეშმუკი გარს გვივლიდა: „აბა, ბატონებო, საკმარისად იყო ჩხუბი, ახლა ნორმალურად იყავით, გეხვეწებით, აბა, ღმერთო!“

შაჰიდს რომ სმენა ჰქონოდა, იმას მაინც ვერ ვეტყოდი, რაშიც მერე უფრო დავრწმუნდი: იმ ომის მიზანი ის იყო, რომ ძველ ცხოვრებას დავბრუნებოდი და ძველ მეგობრებს შევხვედროდი. სემ მანექშო დეკაზე ილაშქრებდა, რომ იქ თავის ძველ მეგობარს, თაიგერს შეხვედროდა. კავშირთა მოდულაციები ისევ გრძელდებოდა: მე ხომ იმ ძვლებით ამოვსებულ მინდორში მოვისმინე მუხლების გმირობის ამბავი და მომაკვდავი პირამიდაც იქვე მომესალმა. შემდეგ, დაკაში, კუდიან პარვათის შევხვდი.

შაჰიდი რომ დამშვიდდა და თავი დამანება, პირამიდამ საბოლოოდ დალია სული. იმ დღესვე გავემართეთ დედაქალაქისკენ. წამოსვლისას ვაჭარმა დეშმუქმა მოგვაძახა: „აბა, ბატონებო! ჩემო საცოდავებო! ვინ გაიგებს, როდის მოკვდება ვინმე, ანდა, რისთვის მოკვდება?“..

## სემი და თაიგერი

სანამ მთა არ დაიძვრება ადგილიდან, ძველი მეგობრები ერთმანეთს ვერ ნახავენ. 1971 წლის 15 დეკემბერს ახალგანთავისუფლებულ ბანგლადეშში თაიგერ ნიაზი თავის ძველ მეგობარს, სემ მანექშოს ჩაუვარდა ტყვედ. მე კი დამატყვევა გოგონამ, რომელსაც ლამბაქისხელა თვალები და პონის კუდი ჰქონდა. ტუჩებს ჯერ კიდევ არ მიეღოთ გაბუტული იერი. ეს შეხვედრები უცებ და იოლად არ მომხდარა. ამიტომ მიზეზთა პატივსაცემად მცირეოდენ პაუზას გავაკეთებ და ვიტყვი:

იაჰია-ხანსა და ბჰუტოს 25 მარტის სახელმწიფო გადატრიალებაში პირი რომ არ შეეკრათ, მაშინ დაკაში სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულს არ გადამაფრენდნენ, არც გენერალი თაიგერი იქნებოდა ქალაქში იმ დეკემბერს. ინდოეთის ჩარევამ საპირისპირო ძალთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ათი მილიონი ლტოლვილი ინდოეთის საზღვარზე რომ არ გადასულიყო და დელის მთავრობას ლტოლვილთა ბანაკებზე 200 მილიონი დოლარი არ დაეხარჯა (1965 წლის ომი მთლიანად მხოლოდ 70 მილიონი დოლარი დაუჯდათ), მაშინ არც



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი ოჯახი არ განადგურდებოდა და არც გენერალი სემი არ დაარღვევდა საზღვარს საპირისპირო მხრიდან. მაგრამ ინდოეთს სხვა მიზნებიც ამოძრავებდა: როგორც დელის მეჩეთის ჩრდილში მცხოვრები კომუნისტი ჯადოქრებისგან შევიტყვე, მუჯიბის ავამის ლიგას გავლენა შეუსუსტდა, ხოლო მუქტი ბაჰინის პარტიზანული დაჯგუფება სულ უფრო პოპულარული გახდა. სემი და თაიგერი ბაჰინის შესაჩერებლად დაკაში შეხვდნენ. რომ არა მუქტი ბაჰინის დაჯგუფება, კუდიანი პარვათი ინდოელ ჯარისკაცებს არ გაჰყვებოდა... ინდოეთი რომ ჩაერია, ამას კიდევ ერთი ახსნა მოეძებნება: არსებობდა შიში იმისა, რომ თუ ბანგლადეშის არეულობას არ აღკვეთდნენ, მაშინ ის დასავლეთ ბენგალის საზღვარს გასცდებოდა. სემი და თაიგერი რომ ერთმანეთს შეხვდნენ და პარვათიმ და მე რომ ერთმანეთი ვიპოვეთ, ნაწილობრივ, სწორედ იმ შიშს უნდა ვუმადლოდეთ. თაიგერის მარცხი კალკუტის მემარცხენეთა წინააღმდეგ განხორციელებული კამპანიის დასაწყისი იყო.

ყოველ შემთხვევაში, ინდოეთმა არ დააყოვნა, სწრაფად მოვიდა და მისი მოსვლა ისევ მუქტი ბაჰინის ბრალი იყო. სამ კვირაში პაკისტანმა ნახევარი ნავიგაცია, არმიის მესამედი და საჰაერო ძალის მეოთხედი დაკარგა. ხოლო თაიგერი რომ დანებდა, მოსახლეობის ნახევარი განადგურდა. ინდოეთის შემოჭრა ისეთივე ტაქტიკური მანევრი იყო, როგორიც დასავლური ფრთის ძალებთან შეტაკება. ბაჰინიმ რჩევა მისცა გენერალ მანექშოს, როგორ უნდა მოქცეულიყო პაკისტანის არმიის გადაადგილებისა და თაიგერის სისუსტე-სიძლიერის მიხედვით. ბატონმა ჯოუ ენლაიმ პაკისტანს არავითარი საომარი დახმარება არ გაუწია (მიუხედავად ბჰუტოს თხოვნისა). ჩინეთმა რომ უარი უთხრა, პაკისტანმა ამერიკული ტანკები და შეიარაღება გამოიყენა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მთელ მსოფლიოში ერთადერთმა გადაწყვიტა, პაკისტანს მიმხრობოდა. ამასობაში ჰენრი კისინჯერი იაჰია-ხანის საკითხზე დაობდა. იაჰია კი პრეზიდენტის საიდუმლო შეხვედრებს გეგმავდა ჩინეთში... ასე რომ, ჩემი და პარვათის, სემისა და თაიგერის კვლავ გაერთიანების წინააღმდეგ დიდი ძალები მუშაობდა. პრეზიდენტის მხარდაჭერის მიუხედავად, ყველაფერი სამ კვირაში დასრულდა.

14 დეკემბრის ღამეს შაჰიდი და ბუდა ალყაშემორტყმული დაკას საზღვრებს მიადგნენ. ბუდას ცხვირს (ალბათ გახსოვთ) მეტის გაკეთება შეეძლო. ის საფრთხესაც იყნოსავდა და უსაფრთხოებასაც.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალაქში ღამით შევიდნენ ინდური გარნიზონის გზით. ქუჩებში რამდენიმე დამშეული მათხოვრის მეტი არავინ უნახავთ. ამ დროს თაიგერმა ფიცი დადო, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა. მაგრამ მეორე დღეს მტერს დანებდა. არავინ იცის, სიკვდილს გადარჩენილები მადლიერნი დარჩნენ, თუ პირიქით, იმან გააღიზიანა, რომ ქაფურის ბაღში შესვლის შანსი დაკარგეს.

იმ ქალაქში დავბრუნდი, სადაც შაჰიდმა და მე ბევრი დაუჯერებელი და შეუძლებელი რამ ვნახეთ. ჩვენი ბიჭებისგან ასეთ საქციელს არ ველოდით. ქუჩებში კვერცხივით თავგათხლეშილი ხალხი ეყარა, ქალაქის ინტელიგენცია ერთიანად ამოეჟლიტათ. ეს მართლა ასე არ მომხდარა, რადგან შეუძლებელია ასე მომხდარიყო. თაიგერი ხომ ბოლოს და ბოლოს, წესიერი კაცი იყო. ჩვენი ჯარისკაცები კი — ღირსეული ბიჭები იყვნენ. ღამის ჰალუცინაციებს შევერიეთ და სანამ ცეცხლის ენები ყვავილებივით ენთო, ვიმალებოდით. ამან ის დრო გამახსენა, თითბრის მაიმუნი ყურადღების მისაპყრობად ფეხსაცმელებს რომ ცეცხლს უკიდებდა. უსახელო საფლავებში ყელგამოღადრული ხალხი ეყარა. შაჰიდმა ვერ მოითმინა: „არა, ბუდა — ეს რა ულმერთობაა, თვალს ვერ ვუჯერებ, ბუდა, მითხარი, რასაც ვხედავ, მართალია?“ და ბუდამ დაილაპარაკა. იცოდა, შაჰიდი მაინც ვერ გაიგონებდა. „ო, შაჰიდ, ძმაო, — აღმოთქვა, თითქოს სულის სინატიფე ამოაყოლაო, — ადამიანი თავად ირჩევს, რას დაინახავს და რას — არა; ამიტომ ჯობია, გვერდზე გაიხედო“. მაგრამ შაჰიდი მიშტერებოდა ქუჩას, სადაც მრავალჯერ გაუპატიურებული და ხიშტზე წამოგებული ქალები ეყარნენ. საზარელ სცენას მეჩეთის თეთრი მინარეთი გადმოჰყურებდა.

ბუდამ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „დროა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად ვიზრუნოთ. ღმერთმა უწყის, აქ რატომ დავბრუნდით“. ბუდა მიტოვებულ შენობაში შევიდა, სადაც ადრე ჩაისა და რკინაკავეულობის მაღაზიები იყო. პატარა პლატფორმასთან, ალბათ ადრე ნოტარიუსი იჯდა, რადგან დაბალ მერხზე სათვალე დარჩენოდა. იქვე იდო ნოტარიუსის ბეჭდები და მარკები, რის გამოც ალბათ, იმ ბებერ ნოტარიუსს მნიშვნელოვან პერსონად თვლიდნენ. სწორედ იმ ბეჭდებითა და მარკებით ადასტურებდა, რა იყო მართალი თუ ყალბი. ახლა ნოტარიუსი გამქრალიყო. ამიტომ ვერ ვკითხავდი, რა ხდებოდა და ვერც ფიცით ჩვენებას ვერ მივცემდი. მერხის უკან, ხალიჩაზე, ნოტარიუსის განიერი სამოსი ეგდო. ჰოდა, აღარ დავაყოვნე, უნიფორმა გავიხადე, კუტიას დანაყოფის სამკერდე ნიშანიც მივაყოლე, ის სამოსი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩავიცვი და უცნობ დეზერტირად ვიქეცი ქალაქში, რომლის ენაც კი არ ვიცოდი.

შაჰიდი ქუჩაში დარჩა. გარიჟრაჟზე ჯარისკაცები გაურბოდნენ იმას, რაც ჯერ არ ჩაედინათ. შემდეგ ყუმბარა ჩამოვარდა. მე ისევ იმ ცარიელ შენობაში ვიყავი. შაჰიდი კი დაუცველი იყო.

ვინ იცის, ვინ, რატომ და როგორ ისროლა, მაგრამ ყუმბარა ჩამოვარდა. იმ წამს შაჰიდი დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო, მაღლა აეხედა... მოგვიანებით, მუეძინი რომ ყიოდა, მაშინ მითხრა: „რა უცნაური იყო, ღმერთო, თავზე ბროწეული დამეცა, — ისეთი დიდი და კაშკაშა არასოდეს მინახავს, ნათურასავით იყო, ალაჰ, რა უნდა მექნა, — შევხედე!“ და მართლაც მის თავზე დაეკიდა მისი ოცნების ყუმბარა და მისკენ მოიწევდა და მოიწევდა, შემდეგ კი აფეთქდა, ფეხები მოაგლიჯა და ქალაქის მეორე მხარეს მოისროლა.

შაჰიდთან რომ მივირბინე, ჯერ კიდევ გონზე იყო და მითხრა: წამიყვანე, ბუდა, წამიყვანეო. ჰოდა, მისი განახევრებული სხეული ხელში ავიყვანე (ისეთი მსუბუქი მეჩვენა) და ცივი, თეთრი მინარეთის სპირალისებურ კიბეზე ავედი. იქ შაჰიდმა ბოდვა დაიწყო და თეთრ ნათურას ახსენებდა. იქვე კი, ცემენტის უსწორმასწორო იატაკზე, წითელსა და შავ ჭიანჭველებს მკვდარი ტარაკანი ვერ გაეყოთ და იბრძოდნენ. ქვევით, გადამწვარი სახლების, ჩამსხვრეული მინებისა და კვამლისგან ხალხი სამალავიდან ჭიანჭველებივით მოცოცავდა და მშვიდობას ეძებდა. ჭიანჭველები ადამიანებს ყურადღებას არ აქცევდნენ და ბრძოლას განაგრძობდნენ. ბუდა მშვიდად იდგა და ნისლიანი თვალებით იყურებოდა. განახევრებულ შაჰიდსა და მაგიდას შორის იდგა, რომელზეც გრამოფონი იდო. ის მაგიდა იმ კოშკის ერთადერთი ავეჯი იყო. ბუდას ამ მექანიზებული მუეძინის იმედის გამაცრუებელი კივილისგან უნდოდა დაეცვა თავისი მეგობარი. მოსასხამის ნაოჭებიდან ელვარე ნივთი — ვერცხლის კასრი გამოაძვრინა. ფიქრში ჩაკარგული ბუდა მუეძინის ყვირილმა შეაფხიზლა. მკვდარი ტარაკანი ჭიანჭველებს მიეტოვებინათ (შაჰიდის სისხლს იატაკზე ხაზები გაევლო. ჭიანჭველები ამ ხაზებს გამოჰყვნენ და ახლა ტარაკნის ნაცვლად ახალი მსხვერპლი მონახეს. ამიტომ გამწარებულმა შაჰიდმა დაიჩივლა: ერთი კი არა, ორი ომის მსხვერპლი გავხდიო).

ბუდა ჭიანჭველებს ფეხით შედგა და აცეკვდა. უცებ იდაყვი გრამოფონის ჩამრთველზე მოუხვდა. ხმამაღალი ლაპარაკის სისტემა ჩაირთო და მეჩეთი ომის საშინელი აგონიით აკივლდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცოტა ხანში სიჩუმე ჩამოწვა. შაჰიდს თავი წინ გადმოუვარდა. ბუდამ იფიქრა, არ მოგვაგნონო, კასრი იქ დატოვა, კიბეზე დაეშვა და ქალაქს შეერია, სადაც ინდოეთის არმია შემოსულიყო. შაჰიდს წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, როცა ჭიანჭველებმა მშვიდობიანი ბანკეტის მოწყობა განიზრახეს. მე კი დილის ქუჩებში გენერალ სემის მისაგებებლად გავემართე.

მინარეთში გაშტერებული შევყურებდი ჩემს კასრს, მაგრამ გონება ცარიელი როდი მქონდა. იქ სამი სიტყვა იყო, რომელსაც შაჰიდიც იმეორებდა, სანამ ჭიანჭველები შეუტევდნენ. იმ სამმა სიტყვამ, რომელიც ხახვის სუნით ყარდა, ერთხელ აიუბას მხარზე ამაქვითინა. ეს ფუტკრების ბზუილამდე იყო... „რა უსამართლობაა“, ფიქრობდა ბუდა და ბავშვივით კვლავ და კვლავ იმეორებდა: „უსამართლობაა!“

შაჰიდმა მამამისს ნანატრი შეუსრულა და სახელი მოიხვეჭა. ბუდას კი თავისი სახელი არ ახსოვდა.

აი, როგორ გაიხსენა: ერთ დროს, დიდი ხნის წინათ, დამოუკიდებლობის დღის ზეიმზე სამყარო ყვითელ-მწვანე იყო. იმ დილით კი სამი ფერი გამოირჩეოდა: მწვანე, წითელი და ოქროსფერი. ქალაქებში ხალხი „ჯაი ბანგლას“, ანუ „ჩვენს ოქროს ბენგალს“ გაჰყვიროდა. ქალები მღეროდნენ ოქროს ბენგალზე და გულს სიამით ივსებდნენ... ქალაქის შუაგულში გენერალი თაიგერ ნიაზი გენერალ მანექშოს თავისი მარცხის პლაცდარმზე ელოდებოდა (ბიოგრაფიული დეტალები: სემი ბომბელი სპარსი იყო. ბომბელებს მაშინ ბედნიერი ხანა ედგათ). მწვანე-წითელ-ოქროსფრის შუაგულში მოქცეული უფორმომოსასხამიანი ბუდა ბრბოში იჭყლიტებოდა. შემდეგ ინდოეთი მოვიდა. ინდოეთს სემი მოუძღოდა.

ეს გენერალ სემის იდეა იყო თუ ინდირასი? მაგრამ ახლა ამ უნაყოფო კითხვებს თავს ავარიდებ და იმას ვიტყვი, რომ ინდოეთის არმიის დაკაში შემოსვლა სამხედრო აღლუმად გადაიქცა. როგორც გამარჯვებულთ შეჰფეროდათ, ისეთი სანახაობებით შეეგებნენ. სპეცდანიშნულების თვითმფრინავში, რომელიც დაკაში გადმოაფრინეს, ინდოეთის საუკეთესო ილუზიონისტები ისხდნენ. ისინი დელის ჯადოქართა გეტოდან წამოვიდნენ. ზოგს სადღესასწაულო სამოსი ეცვა, ზოგს კი ინდური უნიფორმა. დაკელებმა იფიქრეს, მაინც ინდოელებს დარჩებოდათ გამარჯვება, რაკიღა ჯარისკაცებიც კი გრძნეულები ყოფილანო. მსახიობები და ილუზიონისტები ჯარს ახლდნენ და ხალხს



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ართობდნენ. აკრობატები ცოცხალ პირამიდებს აგებდნენ მოსიარულე ეტლებზე, რომლებშიც თეთრი ხარები შეებათ. ქალი გრძნეულები საკუთარ ფეხებს მუხლებამდე ყლაპავდნენ. ჟონგლიორები მიზიდულობის ძალის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, სათამაშო ყუმბარებს ათამაშებდნენ და ბრბოს აღტაცებულ ამოძახილს იმსახურებდნენ. ოთხას ოც ცალ ყუმბარას ერთდროულად აჩერებდნენ ჰაერში. ბანქოს მოთამაშე თაღლითები კარტს ქალის ყურებიდან აძრობდნენ. დიდი მოცეკვავე ანარქალი, რომლის სახელი ითარგმნება, როგორც „ბროწეულის კვირტი", ვირშებმულ ეტლზე ხტუნაობდა, იგრიხებოდა, ტრიალებდა და ცხვირის ნესტოზე უზარმაზარი ვერცხლის სამკაული უჯინჯილებდა. მეჩონგურე ვიკრამის ჩონგური მსმენელის უსათუოს ემოციებს აჟღერებდა. ერთხელ თურმე ისეთი აგრესიით დაუკრა, მის კომპანიონ მედოლეს რომ არ შეეჩერებინა, ხალხი ერთმანეთს დაკლავდა... დღეს ვიქრამის ჩონგურმა ხალხი სადღესასწაულო განწყობაზე დააყენა და გული სიამით აუვსო.

ფიქჩა სინგჰი — ორმეტრიანი გოლიათი ორას ორმოც გირვანქას იწონიდა და „მსოფლიოში ყველაზე მომნუსხველ კაცს" ეძახდნენ, რადგან გველებს ნუსხავდა. ბენგალელ ლეგენდარულ თურბივალასაც აჯობა. აწივლებული ბრბოს შუაგულში დააბიჯებდა და მთელ სხეულზე თავიდან ფეხებამდე შხამიანი კობრები, მამბები და კრეიტები ჰყავდა შემოხვეული... ფიქჩა სინგჰი ალბათ მამაჩემობას არ მოისურვებდა... და უცებ მის უკან კუდიანი პარვათი გაჩნდა.

კუდიანი პარვათი ბრბოს უზარმაზარი, თავსახურიანი კალათით ართობდა. მოხალისეები კალათში ჩადიოდნენ და პარვათი მათ ისე აქრობდა, რომ უკან მისი სურვილის გარეშე ველარ ბრუნდებოდნენ. შუაღამემ პარვათი ნამდვილი ჯადოქრობის ნიჭით დააჯილდოვა და ისიც ამ ნიჭს იაფფასიან გართობაში ფლანგავდა. რომ ვკითხე, მითხარი, ამას როგორ აკეთებ-მეთქი, გამიღიმა და ჯარისკაცებთან ერთად ახლოს ჩამიარა.

ინდოეთის არმია ქალაქში ჯადოქრებთან ერთად შევიდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, მათ შორის იყო ომის ბუმბერაზი, ვირთხისსახიანი მაიორი თავისი მომაკვდინებელი მუხლებით... მოსულ ილუზიონისტებს ადგილობრივი ილუზიონისტები შეემატნენ და მათ შორის საოცარი შეჯიბრება გაიმართა. ომის ტკივილი მაგიის ძალამ გადალეკა. კუდიანმა პარვათიმ დამინახა თუ არა, ჩემი სახელი გამახსენა:

„სალემ! ო, ღმერთო ჩემო, შენ სალემ სინაი ხარ, არა?"



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბუდა მარიონეტივით შეიკლაკნა. ბრბოს თვალები მოშტერებოდა. პარვათიმ ხელი წაჰკრა: „კი, ნამდვილად შენ ხარ!“ იდაყვზე ხელი ჩაავლო. ლამბაქისხელა თვალები ლურჯ-რძისფერ თვალებს ეძებს. „ღმერთო ჩემო, ეს ცხვირი, არა ცუდად არ გამიგო, მაგრამ!.. პარვათი ვარ! კარგი რა, სალემ, ნუ გამოშტერდი!“

„ჰო, სალემი მერქვა“, — ამბობს ბუდა.

„ო, რა მხიარულებაა! — ყვირის პარვათი, — გამარჯობა, სალემ, გახსოვს ბავშვები? კი? ძალიან კარგია! რატომ ხარ ასე სერიოზული? მე ისე მინდა ჩაგეხუტო, რომ ალბათ დაგახრჩობ. ამდენი წლის განმავლობაში მხოლოდ აქ გხედავდი, — და პარვათი ხელს შუბლზე იკაკუნებს, — ახლა კი აქ ხარ და თევზივით დუმხარ. ჰეი, სალემ! მიდი, ერთი სიტყვა მაინც მითხარი“.

1971 წლის 15 დეკემბერს თაიგერ ნიაზი სემ მანექშოს დანებდა. თაიგერი და ოთხმოცდაცამეტი ათასი ჯარისკაცი ომის ტყვეებად იქცნენ. მე ნებაყოფლობითი ტყვე გავხდი ინდოელი ჯადოქრებისა, რადგან პარვათიმ პროცესიის შუაგულში ძალით შემათრია: გიპოვე და აწი აღარ გაგიშვებო.

იმ ღამეს სემმა და თაიგერმა ერთად მოულხინეს და ძველი დრო გაიხსენეს, ბრიტანეთის არმიაში ერთად რომ იყვნენ. „გეუბნები, თაიგერ, — უთხრა მანექშომ, — დანებება შენის მხრივ ძალიან პატიოსანი სვლა იყო“. თაიგერმა კი მიუგო: „შენ ხომ ომი კი არა, ჯოჯოხეთი გააჩაღე, სემ“. სემს სახე მოეღრუბლა: „მისმინე, მეგობარო, ჭორები გავრცელდა, თითქოს მოწინააღმდეგის ამოსაძირკვად უკან არაფერზე დავიხიეთ, რომ ხალხი დავხოცეთ და გვამების მთები დავაყენეთ, ალბათ, კუტიას სპეცრაზმის შესახებაც გსმენია! დამიჯერე, ტყუილია ეგ ყველაფერი, მოგონილი ჭორია“. და თაიგერი პასუხობს: „ჯაშუშთა რაზმი? არასოდეს მსმენია, ალბათ თაღლითებში აერია ვინმეს. სასაცილოა, ამაზე ნამდვილად მეცინება“. „ასეა, — პასუხობს გენერალი სემი, — შენი ნახვა მაგრად გამიხარდა, თაიგერ, შე ბებერო ეშმაკო!“ და თაიგერი: „დასწყევლოს ღმერთმა, წლები როგორ გაფრინდნენ, არა?“

...და სანამ ძველი მეგობრები ერთად მღეროდნენ და ქეიფობდნენ, მე ბანგლადეშსა და პაკისტანურ წლებს გამოვუსხლტი. „მე გამოგიყვან, — მითხრა პარვათიმ, მას შემდეგ, რაც ყველაფერი ავუხსენი, — გინდა, საიდუმლოდ დარჩეს?“

მე თავი დავუქნიე: საიდუმლოდ დარჩეს-მეთქი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალაქში ოთხმოცდაცამეტი ჯარისკაცი ბანაკებში გასამგზავრებლად ემზადებოდა. პარვათი-კუდიანმა თავის კალათში ჩამაძვრინა. ასე ვერ მოგნახავენო. სემ მანექშომაც თავისი ძველი მეგობარი, თაიგერი, საპატიო ტუსაღად აქცია.

ჯარისკაცთა ბარაკების უკან, იქ, სადაც ილუზიონისტები დელიში დასაბრუნებელ ტრანსპორტს ელოდნენ, ფიქჩა სინგჰი — მსოფლიოში ყველაზე მომნუსხველი კაცი — დარაჯად იდგა მაშინ, როცა კასრში გავუჩინარდი. მე და სინგჰი ვმასლაათობდით და ბირის ვეწეოდით. მერე ფიქჩამ თავისი სახელის ისტორია მომიყვა: ოცი წლის წინათ აღმოსავლელმა „კოდაკის“ ფირმის ფოტოგრაფმა თავის თავს სურათი გადაუღო. სურათზე იგი ღიმილსა და გველებში იყო გახვეული. ეს სურათი შემდგომში „კოდაკის“ ფირმისვე რეკლამად იქცა. ამის შემდეგ გველების მომნუსხავმა კაცმა ახალი სახელი შეირქვა. „თქვენ რას ფიქრობთ, კაპიტანო? — დაიბუხუნა მეგობრულ ხმაზე, — კარგი სახელია, არა? რა ვქნა, ჩემი ძველი სახელი აღარც მახსოვს, რაც დედ-მამამ შემარქვა, სისულელეა ამის დავიწყება, არა, კაპიტანო?“ მაგრამ ფიქჩა სინგჰი სულელი არ იყო; მას ჰქონდა ის, რაც ხიბლზე მეტი იყო. უცებ ხმა შეეცვალა და მიჩურჩულა: „აი, ახლა, სწორედ ხელსაყრელი დროა, კაპიტანო!“ პარვათიმ საიდუმლო კალათს თავსახური ააცალა, მე თავით ჩავძვერი მასში. შემდეგ თავსახური ისევ დაახურეს და ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივიც მოწყდა ჩემს თვალებს.

ფიქჩა სინჰმა დამჩურჩულა: „კარგია, კაპიტანო, ეშმაკიც ვერ გაიგებს, სად ხართ!“ პარვათიმ კალათის წნულებიდან ჩუმად მითხრა:

„ჰეი, სალემ, რა მაგარია! მე და შენ, ჩემო ბატონო, შუაღამის შვილები ვართ, ეს ხომ რაღაცას ნიშნავს, არა?“

ეს რაღაცას ნიშნავს... სალემი მოწნულ კალათშია ჩამალული და ახსენდება შუაღამე, ბავშვების აყალმაყალი, მიზანსა და მნიშვნელობაზე რომ დაობენ. უცებ სალემს ნოსტალგია იპყრობს და ვერ გაუგია, ეს „რაღაც“ რა არის. შემდეგ პარვათიმ კიდევ უჩურჩულა რაღაც და მე, სალემ სინაი, უჩინარი კალათიდან გავქრი.

„როგორ თუ გაქრი?“ — ამომხედა დაბნეულმა პადმამ. გავქრი და მორჩა. გავქრი, ავორთქლდი, ჩემი სხეული ჰაერში განიმქვრა, როგორც ჯინი: პუჰ! — აი, ასე.

„ესე იგი, მართლა ჯადოქარი იყო, არა?“ — არ მეშვება პადმა.

კი, მართლა. კალათში ვიყავი და არც ვიყავი. ფიქჩა სინგჰმა ჩე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მი კალათი ცალი ხელით ასწია და სამხედრო მანქანაზე შემოდო, რომლითაც ის, პარვათი და სხვები აეროდრომისკენ გაემგზავრნენ. კალათში მანჯღრევდნენ და არც მანჯღრევდნენ. მოგვიანებით სინგჰმა მითხრა: არა, კაპიტანო, მანქანაზე ცარიელი კალათი შემოვდე, თქვენი შიგ ყოფნა არ მიგრძნიაო. არც მე მიგრძნია ნჯღრევა ან რაიმე მოძრაობა. ინდოეთიდან ას ერთი მსახიობი ჩამოვიდა და ახლა, უკან, ერთი კაცით მეტი ბრუნდებოდა. თუმცა ის ერთი კაცი იყო კიდეც იქ და არც იყო. დიახ, მაგიას ძალა აქვს. მაგრამ ზოგჯერ წარუმატებელიც შეიძლება გამოდგეს: მაგალითად, მამაჩემის, აჰმედ სინაის წყველამ ჩვენს ძაღლზე ვერ გაჭრა.

გაუჩინარებულს არც პასპორტი დამჭირვებია და არც ვინმეს ნებართვა. იმ მიწაზე ვბრუნდებოდი, სადაც დავიბადე, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა; ჩემს აქ ყოფნას სკეპტიკოსიც კი სხვა ახსნას მოუძებნის. ალბათ, ბაღდადის ქუჩებში გახვეულ უჩინარ და უხილავ ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდსაც გაუკვირდებოდა (ალ-რაშიდი ზღაპრის პერსონაჟია) ჩემი გაქრობა! ის ბაღდადის ქუჩებში გაიმქვრა, მე კი პარვათი — კუდიანის კალათში გავუჩინარდი. პარვათიმ ეს მშვენივრად მოახერხა.

კალათში მივხვდი, როგორია სიკვდილი. მოჩვენებასავით ვიქეცი. იქ ვიყავი, მაგრამ სხეული არ მქონდა, წონა არ მქონდა, არ ვარსებობდი... იქ, იმ კალათში მივხვდი, მოჩვენებები როგორ ხედავენ სამყაროს: ბუნდოვნად, მკრთალად, ნისლიანად... სამყარო სწორედ ასეთი იყო ჩემ ირგვლივ. არარსებობის სივრცეს ჩამოვეკიდე, რომლის ნაპირებიდან დაწნული კალათის მკრთალი ანარეკლი აჩრდილივით მოჩანდა. გარდაცვლილები კვდებიან, რადგან ისინი ავიწყდებათ. მკურნალი დრო მაინც თავისას შვრება. ყველაფერს აჭკნობს და აუფერულებს. თუმცა პარვათის კალათში საწინააღმდეგო აზრამდე მივედი. თურმე აჩრდილებიც ივიწყებენ ყველაფერს. გარდაცვლილთ მეხსიერებაში ცოცხალთა მოგონება თანდათან ფერმკრთალდება და ქრება. სიცოცხლისგან მოწყვეტილები ჭკნებიან. სიკვდილის პროცესი დიდხანს გრძელდება. პარვათიმ მოგვიანებით მითხრა: ასე დიდხანს შენი უჩინრად ყოფნა საშიში იყო, მაგრამ სხვა არჩევანი არ მქონდაო.

პარვათის ჯადოქრობის წყალობით ხილული სამყარო ხელიდან გამომეცალა. რა კარგი იქნებოდა, უკან საერთოდ არ დავბრუნებულიყავი, უხილავ სივრცეებში მეფრინა მაღლა და მაღლა და ჰაერში მტვერივით გავბნეულიყავი. მოკლედ, სიკვდილამდე ცოტაღა მაკლდა.

ერთადერთი რამ, რასაც ვებღაუჭებოდი იმ უდროო სივრცეში, —



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი ვერცხლის ჩასაფურთხებელი იყო. პარვათიმ ისიც გააქრო, მაგრამ ეს კასრი მაინც ხილულ სამყაროსთან მაკავშირებდა... იმ უსახურ სიბნელეში ბრწყინავდა და მისი წყალობით ცოცხალი გადავრჩი. ველარაფერს ვგრძნობდი, მაგრამ ცოცხალი დავრჩი. იმ ძვირფასი სუვენირისგან გამოცემულმა სინათლემ დამარჩინა.

არა, მარტო ამის ბრალი როდი იყო. ჩვენს გმირზე დახურული სივრცე სასიკეთოდ მოქმედებს. ემბრიონივით დახურული სივრცის საშოში (ოღონდ დედამისისა არა) განვითარდა და 15 აგვისტოს მითის ინკარნაციად იქცა. წიკწიკის შვილი მუბარაქად, ანუ კურთხეულ ბავშვად ხომ არ გარდასხეულდა? ირგვლივ სახელები აიტუზნენ. ცხვირში ტანსაცმლის ზონარი შეეყარა და შავი მანგო იხილა. მისი ზედა სრუტუნა კიტრი არაჩვეულებრივ რადიოდ იქცა. ექიმებით, მედდებითა და საანესთეზიო ნიღბებით შემოჯარული რიცხვებს დანებდა, დაიწრიტა, მეორე ფაზაში გადავიდა და ცხვირის ფილოსოფოსად და (მოგვიანებით) მეძებრადაც იქცა. მიტოვებულ ქოხში აიუბა ბალოქის სხეულქვეშ კინაღამ გაისრისა. სამართლიანობა-უსამართლობის მნიშვნელობაც გაიგო. მაშ ასე: ამ უჩინარმა კალათმა და კასრის სინათლემ გადამარჩინა და კიდევ იმან მიხსნა, რომ იმ უსხეულო სიმარტოვეში, სამარის სუნი რომ ასდიოდა, სიბრაზე აღმოვაჩინე.

სალემში რაღაც მოკვდა და რაღაც ხელახლა დაიბადა. მოკვდა: ჩვილის ფოტოსგან და ნერუს წერილისგან გამოწვეული სიამაყე. კიდევ მოკვდა ისტორიასთან შეუღლების სურვილი, სხვათა გულის მოგების წადილი და იმის გაგება, შეუხედაობის გამო მშობლებმა როგორ გააძევეს სახლიდან. დამახინჯებული თითი და მოტვლეპილი თავი ჩემდამი სხვების დამოკიდებულებას ველარ ამართლებდა. მრისხანების ობიექტად იქცა ყველაფერი, რასაც მანამდე ბრმად ვენდობოდი, რასაც უყოყმანოდ ვიღებდი და ვთანხმდებოდი: მაგალითად, ჩემს მშობლებს სურდათ, რომ ჩემში ჩადებული ინვესტიცია იმით გადამეხადა, რომ სახელოვანი გავმხდარიყავი. კავშირთა მოდულაციებმა ბრმა, დაუძლეველი მრისხანებით ამავსო. რატომ მაინცდამაინც მე? მე რატომ უნდა ვაგო პასუხი ენის დემონსტრაციებზე, ნერუს სიკვდილზე, საწიწაკების რევოლუციასა და იმ ბომბებზე, ჩემი ოჯახი რომ გაანადგურა? ცხვირმოუხოცავ, ცხვირსრუტუნა, სახერუკიან, მთვარის ნატეხ სალემს რატომ უნდა დაჰბრალდეს ის, რაც პაკისტანის არმიას დაკაში არ ჩაუდენია?.. ხუთას მილიონზე მეტი კაციდან მაინცდამაინც მე რატომ უნდა ავიკიდო ისტორიის ტვირთი?



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის, რაც ხახვისსუნიანი უსამართლობის აღმოჩენით დაიწყო, ჩემმა უჩინარმა მრისხანებამ დაასრულა. მრისხანებამ გადამარჩინა იმისგან, რომ უჩინრად ყოფნის ცდუნებას არ ავყევი. ბრაზმა მიზანი მომცა. ამიერიდან, რაც მეჩეთის ჩრდილიდან გამოვედი, ჩემი მომავალი მე თვითონ უნდა ამერჩია და გადამეწყვიტა. იქ, იმ სამარისსუნიან სიმარტოვეში მერი პერეირას ოდინდელი ხმა ჩამესმა:

ის გახდები, რაც გინდა რომ გახდე, —

ეგ სურვილი უსათუოდ ახდეს.

ამაღამ ის მრისხანება მახსენდება, მაგრამ მშვიდად ვარ. ქვრივმა ყველაფერთან ერთად მრისხანებისგანაც გამომწურა. მაშინ, იმ კალათში, გარდაუვალობის წინააღმდეგ რომ ავჯანყდი, ამაზე ახლა ირონიულად მეღიმება. ოცდაოთხი წლის სალემს შევყურებ და მიმტევებლურად ვბუტბუტებ: „ბიჭები ასეთები არიან, რას იზამ“. მაშინ, ქვრივის სასტუმროში არსად გაქცევის გაკვეთილი ვისწავლე. ახლა ქაღალდზე დამხობილი ვზივარ და აღარ მინდა სხვა ვინმე ვიყო, გარდა იმისა, რაც ვარ. და რა ვარ? გიპასუხებთ: ყველაფერი ვარ, რამაც ჩემ თვალწინ გაიარა, რაც მინახავს, მსმენია ან გამიკეთებია, ან რაც ჩემთვის გაუკეთებიათ. ყველა და ყველაფერი ვარ, ვისმა არსებობამაც ჩემზე გავლენა იქონია, ან ვისზეც მე ვიქონიე გავლენა. ისიც მე ვარ, რაც ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მოხდება და რომელიც არ მოხდებოდა, მე რომ ამქვეყნად არ მოვსულიყავი. ექვსას მილიონ ადამიანში ვარ გაბნეული, მაგრამ ყველა ასეა: თითოეული ადამიანი თავის თავში ასეთივე სიმრავლეს შეიცავს. ხომ გითხარით, ჩემს გასაგებად სამყაროს ჩაყლაპვა მოგიწევთ-მეთქი.

ახლა კი ჩემგან წამოსული ნაკადი ილევა, ბზარები ფართოვდება ჩემში — მესმის როგორ ვიფხრიწები, ვილევი და ვმჭვირვალდები. ბევრი აღარ დავრჩი და მალე სულ აღარ ვიქნები. მტვრის ექვსასი მილიონი ნაწილაკი, რომელიც მინასავით გამჭვირვალე და უხილავია...

მაგრამ მაშინ ვბრაზობდი. ჩემი ჰიპერაქტიური ჯირკვლები ოფლის სიმყრალეს გამოსცემდნენ, თითქოს ჩემს ბედისწერას კანის ფორებიდან ვღვრიდი. მრისხანებას ის უპირატესობა მაინც ჰქონდა, რომ როცა კალათიდან ამოვბარბაცდი, უგრძნობელობისგან წინააღმდეგობის გაწევის სურვილმა მიხსნა. როგორც კი ჯადოქართა გეტოს მიწაზე დავდგი ფეხი (ვერცხლის კასრი ისევ ხელში მეჭირა), მივხვდი, რომ გრძნობა დამიბრუნდა.

ზოგ სენს თავისუფლად მოერევი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეჭვის ნატამალიც კი არ არსებობს, რომ რღვევა დაჩქარდა. სიცხით დაბზარულ ქვაფენილს დავემსგავსე. ძვლების ხრა დიდხანს გაგრძელდება (უამრავ ქალს ავუხსენი, რომ ამის განკურნება მედიცინისა და ადამიანის ძალებსაც აღემატება). სათქმელი მაინც საკმაოდ დამრჩა... ჩემში ძია მუსტაფა და პარვათი კუდიანი იზრდება თავისი გაბუსხული ტუჩებით. გმირის თმის კულული კულისებში მიცდის. უნდა მოვყვე ცამეტდღიანი მშობიარობისა და კიდევ იმის შესახებ, რომ ისტორია პრემიერ-მინისტრის თმის ვარცხნილობას დაემსგავსა. ასევე იქნება ღალატი, გადასახადებისგან თავის არიდება და სუნი რაღაცისა, რაც ტაფაზე იწვის (ეს სუნი იმ ნიავს მოაქვს, რომელიც ქვრივთა მოთქმითაა გაჯერებული)... ამიტომ დასასრულისკენ უნდა ავჩქარდე, სანამ მეხსიერებაც დაიბზარება და დაირღვევა (თუმცა უკვე ჭკნება და ცარიელდება. ამიტომ მალე იმპროვიზება მომიწევს) სათქმელი უნდა ვთქვა.

თაროზე მწნილის ოცდაექვსი ქილა აწყვია. სხვადასხვა დასახელების მწნილია და თითოეულს ლამაზი ასოებით სხვადასხვა ფრაზა აწერია: მაგალითად: „საწიწაკეები მოქმედებას ასრულებენ“ ან „ალფა და ომეგა“, ან „საბარმათის ხელკეტი“. ოცდაექვსი ქილა წკრიალს იწყებს, როგორც კი მატარებელი ჩაივლის. ჩემს მაგიდაზე ხუთი ცარიელი ქილა წკარუნებს და მახსენებს, რომ ამოცანა ჯერ არ დამისრულებია. ამიტომ ქილებზე შესაჩერებლად არ მცალია. ღამე სიტყვისაა და არა მწვანე საწებლის.

...პადმა სევდიანად ჩაფიქრებულა: „ო, ბატონო, ალბათ რა მშვენიერია ქაშმირი აგვისტოში. აქ კიდევ მახრჩობელა სიცხეა!“ ჩემი მსუქანა-მუსკულიანი კომპანიონი უნდა გავკიცხო. ალბათ ფიქრებით სადღაც დახეტიალობდა. მრავალტანჯული და ყოვლის მომთმენი პადმა-ბიბი ახლა უკვე ნამდვილი ინდოელი დიასახლისივით იქცევა (მე კი საკუთარ თავში შთანთქმული და გამანძილებული ქმარი ვარ?). მოგვიანებით, ჩემი სტოიკური ფატალიზმის მიუხედავად, პადმას სუნთქვაში ალტერნატიული (ოღონდ შესაძლებელი) მომავლის სუნი ვიყნოსე. პადმა ყურადღებას არ აქცევს ჩემს შინაგან ბზარებს და მისი საოფლე ჯირკვლები ტკბილ-მწარე იმედის სურნელებას აფრქვევს ჩვენი მომავალი ქორწინებისა. ჩემმა ნეხვის ლოტოსმა თმიანმკვლავებიანი დამცინავი ქალების მიერ გამოტყორცნილ გესლს გაუძლო და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბევრ სოციალურ მიზანშეწონილობას გადააბიჯა, რომ ჩემთან დარჩენილიყო და ახლა ამ დარჩენის დაკანონების სურვილი მოეძალა... ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ დასცდენია, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ წინადადებას ჩემგან ელოდება. მისი იმედის სურნელება მისივე ბრძნული შენიშვნებიდან გამოსჭვივის. აი, ახლაც კი, როცა ამას მეუბნება: „ბატონო, წერა დაასრულეთ და შეისვენეთ, ქაშმირში წადით, შეიძლება მეც თან წამიყვანოთ, რომ ვიზრუნო...?“ ქაშმირული არდადეგების ოცნება იკვირტება (ეს ოდესღაც დიდი მოგოლების იმპერატორის, ჯაჰანგირის ოცნებაც იყო და მივიწყებული აილს ლუბინისაც. შესაძლოა, ქრისტესაც იგივე ოცნება ჰქონდა) ამ ოცნების მიღმა სხვა ოცნების სუნიც მომდის, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ახდება, რადგან ბზარები, ბზარები და ისევ ბზარები მავიწროებენ და მომავლის გზას მიღობავენ. ამიტომ პადმამაც უკან უნდა დაიხიოს, რომ სათქმელი დავასრულო.

დღეს გაზეთები ინდირა განდის პოლიტიკურ დაბადებაზე წერენ. მაგრამ მაშინ, დაწნული კალათით ინდოეთში რომ დავბრუნდი, ქალბატონი განდი დიდების მწვერვალზე ნებივრობდა. დღეს ჩვენ, ამნეზიის ღრუბლებში გახვეულები, ყველაფერს ვივიწყებთ. მე კი მახსოვს და არჩევანიც არა მაქვს, რომ ყველაფერი თავისი წესისა და რიგის მიხედვით არ ვთქვა... 1971 წლის 16 დეკემბერს კალათიდან იმ ინდოეთში გადმოვბობღდი, რომელშიც განდის ახალ პარტიას ნაციონალურ ასამბლეაში ორ მესამედზე მეტი ადგილი ეკავა.

კალათის უხილავობაში მოქცეულს უსამართლობის გრძნობა ბრაზში გადამეზარდა. დაუოკებელ თანაგრძნობას განვიცდიდი იმ ქვეყნისადმი, რომელიც ჩემი სიამის ტყუპისცალი იყო და რაც მას აწუხებდა, მეც მაწუხებდა. მე, ცხვირმოუხოცავი და სახელაქიანი, განსაცდელში თუ ვიყავი, ჩემს ტყუპისცალსაც გასაჭირი ადგა. და ახლა, უფლება მქონდა, უკეთესი მომავალი ამერჩია და ეს მომავალი ჩემი ერისთვის გამეზიარებინა. კალათიდან ხელახლა შობილმა ქვეყნის გადარჩენა განვიზრახე.

(ნაპრალები და სიცარიელეები იზრდება... მგონი მივხვდი, რომ მომღერალ ჯამილას შეყვარება შეცდომა იყო. იმასაც მივხვდი, რომ ჯამილას გადავულოცე სიყვარული, რომელიც ახლა იმ გრძნობაში გადამეზარდა, რომ ამ ქვეყანას ვაღმერთებდი. თურმე ჩემი ტყუპისცალი და — ინდოეთი მიყვარდა ასე ძალიან და არა ის უგულო მომღე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რალი, რომელმაც გველის ტყავივით მომიშორა და სამხედრო ცხოვრების კალათში მომისროლა. როდის, როდის, როდის? ...მარცხს ვაღიარებ და ვამბობ, რომ კარგად როდი მახსოვს ყველაფერი).

...სალემი მეჩეთის ჩრდილში იჯდა და თვალებს აფახულებდა. თავზე გოლიათი დასდგომოდა და ღიმილით ეკითხებოდა: „აბა, კაპიტანო, კარგად იმგზავრეთ?“ ფართოთვალებიანი პარვათი წყალს ასმევდა... რა შეგრძნება იყო, ღმერთო! თიხის სურიდან ყინულივით ცივი წყალი იღვრებოდა და გახეხეშებულ, გამომშრალ ტუჩებს არწყულებდა. ლაზურიტიანი ვერცხლი ხელში ეჭირა... „ვგრძნობ!“ — იყვირა სალემმა და მხიარულ ბრბოს გააგონა.

ნაშუადღევი იყო, ჩაიად წოდებული დრო, როცა წითელი აგურითა და მარმარილოთი ნაშენი მეჩეთის ჩრდილი ღატაკთა უწესრიგოდ განლაგებული ჯურღმულების რკინის სახურავებზე ეცემოდა. ეს სახურავები ისეთ სიცხეს გამოსცემდნენ, რომ იქ მარტო ჩაიას დროს ან ღამით თუ გაძლებდი... მაგრამ ახლა მასხარებს, ილუზიონისტებსა და ფაკირებს სწორედ იმ ჩრდილში მოეყარათ თავი ახალმოსულის შესახვედრად. „ვგრძნობ!“ — ვყვიროდი გახარებული. ფიქჩა სინგჰმა მკითხა, რას განიცდი, პარვათის კალათიდან ხელმეორედ დაბადების შეგრძნებას ხომ არ ჰგავსო. სინგჰს გაოცება შევატყვე. პარვათის ხრიკმა გააკვირვა, თუმცა როგორც პროფესიონალს, არ უკითხავს, მისთვის ეს როგორ გააკეთეო. ასე რომ, ჯადოქარი პარვათი, რომელმაც უსაზღვრო ძალები გამოიყენა იმისთვის, რომ იმ კალათიდან უსაფრთხოდ გამომეღწია, არასასურველ კითხვებს გადაურჩა. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ილუზიონისტებს მაგიისა არ სწამდათ. სინგჰმა აღტაცებულმა მითხრა: გეფიცებით, კაპიტანო, ბავშვივით მსუბუქი მომეჩვენეთო. თუმცა იმაზე არასოდეს უფიქრია, რომ ჩემი გაქრობა ხრიკის საზღვრებს სცილდებოდა.

„ბავშვო-კაპიტანო, გინდა მხარზე შეგისვამ და ბაიასავით ამოაქაფებ“, — გამეხუმრა სინგჰი, რაზეც პარვათიმ უთხრა, ნამეტანი ხუმრობა მოგდისო. პარვათი ყველას ულიმოდა. მაგრამ უცებ ქალის ავის მომასწავებელი ტირილის ხმა გაისმა: „აი-ო-აი-ო!“ ბრბო ორად გაიყო და მოხუცი ქალი სალემისკენ გამოექანა. ხელში ტაფა დანასავით მოემარჯვებინა. სინგჰმა ქალს ტაფიანი ხელი დაუჭირა, რა ამბავია, ქალოო. ქალი კი ჯიუტად მოთქვამდა: „აი-ო-აი-ო!“

„რეშამ ბიბი, ჭკუიდან შეიშალე?“ — უყვირა ქალს პარვათიმ, ხოლო სინგჰმა ქალს შეახსენა, სტუმართან მაინც გაჩუმდიო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალი არ ჩერდებოდა და იძახდა: „უბედურება გვეწვია ამ უცხოელის სახით, აი-უუუუ!“

ჯადოქრებმა გაოცებით შემომხედეს. არაბუნებრივი მოვლენებისა არ სჯეროდათ, მაგრამ ბედისწერისა კი სწამდათ... ცუდი ბედისა, კარგი ბედისა, საერთოდ ბედისა... რეშამ ბიბი მოთქვამდა: „ეს კაცი ორჯერ დაიბადა. ის ქალის საშოდან არ გამოსულა! უბედურება, წაბილწვა და სიკვდილი გვიახლოვდება, ვიცი“. შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და მითხრა: შეგვიბრალე და ახლავე წადიო. ბრბო ახმაურდა: რეშამ ბიბიმ ძველი ლეგენდები იცისო, მაგრამ ფიქჩა სინგჰს ბრაზი მოერია და დაიყვირა: კაპიტანი ჩემი საპატიო სტუმარია და ჩემს ქოხში იმდენ ხანს დარჩება, რამდენ ხანსაც მოისურვებს, რა დროს ლეგენდებიაო.

სალემ სინაის ოდისეა ჯადოქართა გეტოში რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მაგრამ იმ მოკლე ხანში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რამაც აი-ო-აი-ო-ს მიერ გამოწვეული შიში გააქარწყლა. წმინდა წყლის სიმართლეა ის, რომ იმ დროს გეტოს ილუზიონისტებსა და მსახიობებს ახალი მიღწევები ჰქონდათ: ჟონგლიორები უფრო მეტ ბურთებს აჩერებდნენ ჰაერში. ფაკირები ცხელ ნახშირზე უდარდელად აბიჯებდნენ. თოკზე სვლის ილეთიც უზადოდ სრულდებოდა. პოლიციას იმ თვეში რეიდი არ უწარმოებია, ასეთი რამ კი არავის ახსოვდა. ბანაკში თავისუფლად შემოდიოდნენ მნახველები. მდიდრები მსახურებს გზავნიდნენ, რომ ილუზიონისტები და მსახიობები თავიანთი წვეულებებისთვის დაექირავებინათ.. ჩანდა, რომ რეშამ ბიბი შეცდა და მე გეტოში პოპულარულ ადამიანად ვიქეცი. „სალემ ყისმათი“, ანუ იღბლიანი სალემი შემარქვეს. პარვათის უწონებდნენ, რომ იქ მიმიყვანა. ბოლოს ფიქჩა სინგჰმა რეშამ ბიბი მოსაბოდიშებლად მოიყვანა.

„ბოდიშს გიხდი“, — მითხრა უკბილო რეშამმა და სწრაფად გამშორდა. სინგჰმა თქვა: „მოხუცებისთვის ძნელია. ტვინი ულაყდებათ და ყველაფერი უკულმა ახსოვთ. კაპიტანო, ყველა ამბობს, რომ თქვენ ჩვენი იღბალი ხართ. ხომ არ დაგვტოვებთ, კაპიტანო?“ პარვათი ფართო თვალებით მომაჩერდა, თითქოს მეხვეწება, არა თქვიო, მაგრამ მე სინგჰს თავი დავუქნიე, — კი-მეთქი.

და სწორადაც მოვიქეცი, რადგან იმ დღეისსწორს, დილით, ისევ იმ უფორმო მანტიაშემოხვეულმა და ვერცხლისკასრჩაბღუჯულმა დავტოვე ბანაკი. უკან იმ გოგოსთვისაც არ მომიხედავს, რომელმაც თვალცრემლიანი მზერა გამომაყოლა. უკან ჩამოვიტოვე ჟონგლიორე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბი, რომლებიც ბურთებს ჰაერში ისროდნენ, ჩავუარე საჭმლის მაცდუნებელი სურნელით გაჟღენთილ დახლებს, პარიკმახერებს, რომლებიც თმის გაკრეჭვას ათ პაისად გთავაზობენ, გზად მხვდებოდნენ დაკოჭლებული ბებრუხანები, ამერიკულაქცენტიანი, ფეხსაცმელპრიალა ბიჭები, რომლებიც თავს აბეზრებდნენ ტურისტებს, ლურჯ პერანგებსა და ყვითელ ჩალმებში რომ იყვნენ გამოწყობილნი და ამაში გიდების ეშმაკობის ხელი ერია; ჩავუარე მეჩეთის კიბეს, ქორვაჭრებს, შეღებილ სათამაშო ცხენებს, ცოცხალ, მოფრთხიალე ქათმებს, რომლებიც ჯერ არ დაეკლათ: მამლების ჩხუბს, სადაც ფსონის დადებას გთავაზობენ, კარტის მოთამაშეებსაც ჩავუარე, ცარიელი თვალებით რომ იმზირებიან. ილუზიონისტების გეტოდან რომ გამოვედი, ფეიზ ბაზარზე მოვხვდი, რომელიც რედფორტის უსასრულო კედლებს უყურებს, საიდანაც ერთხელ პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სწორედ იმ კედელთან შეხვდა ორსული დედაჩემი დილი-დეკო ვაჭარს, რომელმაც ლაბირინთები გაატარა, რომ მკითხავთან მიეყვანა. დედამ სვავების, მანგუსტებისა და ხელმოტეხილი კაცების გარემოცვაში მოისმინა თავისი შვილის მომავლის წინასწარმეტყველება. ავდექი და ძველი ქალაქიდან პირი ვარდისფერი სასახლისკენ ვიბრუნე, რომელიც ვარდისფერკანიანმა დამპყრობლებმა ააგეს უხსოვარ დროში. ნიუ-დელისკენ ფეხით გავემართე და ჩემი მხსნელები უკან ჩამოვიტოვე.

რატომ? ასე უმადურად რატომ მოვექეცი ჯადოქარ პარვათის? ვითომ ამით ძველს ზურგი შევაქციე და ახლისკენ გავეშურე? პარვათი ხომ ჩემი უერთგულესი მოკავშირე იყო შუაღამის კონგრესში. ასე იოლად როგორ მივატოვე? მხოლოდ ორი მიზეზი მახსენდება: პირველი ის იყო, რომ რაღაც ხელმოსაჭიდს ვეძებდი, თუმცა ხელმოსაჭიდი არ მქონდა: უპასპორტო ვიყავი, უკანონო ემიგრანტი (ოდესღაც კანონიერი). სამხედრო ბანაკები ყველგან ჩამისაფრდა. გარდა იმისა, რომ ჯარიდან გამოვიქეცი, არც ფული გამაჩნდა და არც ახალი ტანსაცმელი. არც რამე განათლება მქონია. სწავლა არ დამიმთავრებია და ამ მხრივ არც თავი გამომიჩენია. ერის გადარჩენის ამბიციის მეტი არაფერი გამაჩნდა: არც ჭერი მქონდა თავზე და არც ოჯახის მხარდაჭერა... უცებ თავში ელვასავით გამიარა, რომ ამ ქალაქში გავლენიანი ნათესავები მყავდა: ბიძაჩემი მუსტაფა აზიზი, უმაღლესი სამოქალაქო მოხელე, რომელიც თავის დეპარტამენტში მეორე კაცად ითვლებოდა. ჩემს მესიანურ ამბიციებს მასზე კარგი პატრონი ვინ ეყოლებო-


www.PDF.ChiaturaINFO.GE

და? თავს მის ჭერქვეშ შევაფარებდი და ახალ სამოსსაც ვიშოვიდი და ახალ ნაცნობებსაც. ბიძაჩემის მფარველობით სამთავრობო წრეში შეაღწევდი, იქ კი მთავრობას აუცილებლად ექნებოდა გასაღები ერის გადარჩენისა. მინისტრები მომისმენდნენ და მათთვის მნიშვნელოვანი გავხდებოდი!.. სწორედ ეს ოცნება გავუმხილე ჯადოქარ პარვათის, როცა ვუთხარი, უნდა წავიდე, წინ დიდი საქმეები მელოდება-მეთქი. ლოყები რომ შეუფაკლდა, მივხვდი, ეწყინა. „ხშირად მოვალ და გნახავ", — ვუთხარი, მაგრამ ამან ვერ დაამშვიდა... მაღალ მიზნებს რომ ვეპოტინებოდი, ამის გამო მივატოვე ის, ვინც მომეხმარა. შეიძლება რაღაც მეწვრილმანისაც იყო ჩემში. დიახ! პარვათიმ ჩუმად გამიყვანა ყუთებით შეკრული ფარდულის უკან, სადაც ტარაკნები კვერცხებს დებენ და ვირთხებს საქორწინო მარში გაუმართავთ და სადაც ბუზები ნაკელს ესევიან. პარვათიმ ხელი მაჯაში წამავლო, ცეცხლოვანი თვალები მომაპყრო და ალაპარაკდა. გამომიტყდა, რომ მე შუაღამის შვილებიდან პირველი არ ვიყავი, ვისაც შეხვედრია. დაკას პროცესიისა და ჯადოქართა მარშირების შესახებ მიამბო. პარვათის თვალებში ორი გიგანტური ზომის მაშებივით მუხლები გამოკრთა... მუხლები, რომელიც გახამებული უნიფორმიდან ამაყად გამოკუზულიყო. თურმე პარვათიმ იცნო და დაუძახა: „ჰეი, შენ! ჰეი, შენ!" შემდეგ უსახელო სახელიც გაისმა, სახელი, რომელმაც ჩემი ბრალი გამახსენა. იმ ვიღაცას ჩემი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, რომ არა სამშობიაროში მომხდარი დანაშაული. პარვათი და შივა, შივა და პარვათი გამარჯვების მომენტში შეხვდნენ ერთმანეთს. „გმირია! — ჩამსისინა პარვათიმ ამაყად, — ალბათ მალე დააწინაურებენ!" და რა გამოჩნდა პარვათის კონკებიდან? რა იყო გმირის თავზე, რომელმაც ახლა პარვათის მკერდზე მოიკალათა? თმა, შივას თმის კულული. ვთხოვე და მომცაო, მითხრა პარვათიმ.

გაუქეცი თუ არა იმ საბედისწერო თმას? ჩემს ალტერ ეგოსთან შეხვედრას რომ გავურბოდი, დავუბრუნდი თუ არა ოჯახს, რომლის სითბო ომის გმირ შივას არასოდეს ღირსებია? რა იყო ეს? დანაშაულის გრძნობა თუ ამპარტავნება? არაფერს აღარ ვიტყვი. მარტო იმას ვამბობ, რაც მახსოვს. პარვათიმ ჩამჩურჩულა: „შეიძლება მოვიდეს კიდეც, დრო თუ ექნა და მაშინ ხომ სამნი ვიქნებით! რა მაგარია, შუაღამის შვილები... ეს რაღაცას ნიშნავს, არა?" პარვათიმ ის გამახსენა, რის დავიწყებასაც ვცდილობდი. ამიტომ მივატოვე და მუსტაფა აზიზის სახლში წავედი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოჯახურ ცხოვრებასთან ჩემი უკანასკნელი კავშირისგან მხოლოდ ცოტა რამ შემომრჩა. ეს ცოტა მწნილის ქილაში უნდა მოვათავსო და მეხსიერების შეკოწიწებას შევეცადო... იმით დავიწყებ, რომ ბიძაჩემი მუსტაფა ერთ ვრცელ ბუნგალოში ცხოვრობდა ქალაქ ლუთიენსის შუაგულში. ბუნგალო კოხტა ბაღში იდგა. ყოფილ ქინგსვეის ქუჩას ავუყევი. ქუჩა უამრავ სუნს აფრქვევდა: სთეით ჰენდიქრაფთ ემფორიადან დაწყებული, ავტორიქშების გამონაბოლქვით დამთავრებული. ქუჩის მოვაჭრეების, ხელთათმნიანი დიდკაცების, მდიდარი ქალბატონებისა და მათხოვრების სუნი ერთმანეთში ირეოდა. ქუჩაში საარჩევნო შედეგების უზარმაზარი დაფა იდგა (ინდირასა და მორარჯი დესაის ბრძოლის შედეგების ამსახველი), რომლის ირგვლივ ხალხი შეკრებილიყო და შედეგებს ელოდებოდა. „ბიჭია თუ გოგო“ — კითხულობდნენ... ჩემს ფიქრებში ფუთფუთებდნენ (დიდი მოგოლებისა და დიდი ბრიტანეთის) გამქრალი იმპერატორები, აწმყო და წარსული, ძველი და ახალი: ეს ხომ საჯარო განცხადების ქალაქი იყო, სადაც მრავალთავიანი მონსტრები დადიოდნენ, ციდან კი ხელები ცვიოდა. წინ მივიწევდი და მიწიდან ცამდე ყველაფერს ვიყნოსავდი. დუპლექსროუდთან რომ შევუხვიე, მივადექი ბიძაჩემის ბაღს, რომელსაც ცოცხალი ღობე ერტყა. ქარში აბრა ფრიალებდა, როგორც ერთ დროს მეთვოლდის მამულში. თუმცა აბრაზე უცნაური რამ ეწერა: „ბატონი მუსტაფა აზიზი და ოხი“.

თურმე ეს „ოხი“, „ოჯახის“ შემოკლებული ვარიანტი იყო, რამაც ძალიან დამაბნია. თუმცა შემდეგ, როცა ბიძაჩემის სახლში კარგა ხანს დავრჩი, მივხვდი, რომ სიტყვა „ოხი“ მართლაც შეეფერებოდა ამ ოჯახს, ისეთი უსუსურნი და მწერივით უმნიშვნელონი მომეჩვენენ, რომ მათი შემხედვარე ხშირად ამოვიოხრებდი ხოლმე.

ჰოდა, კარზე ნერვიულად დავრეკე ზარი. მეგონა ამ ოჯახს ჩემი ჩანაფიქრი გაუხარდებოდა და ხელს შემიწყობდნენ. თურმე როგორ ვცდებოდი. კარი დაღვრემილსახიანმა ბიცოლამ გამიღო და სახე კიდევ უფრო დაეღვრიმა: თფუი! როგორ ყარხარო! — ეს იყო, რაც კარშივე მომახალა.

მე კეთილგანწყობით მივესალმე: როგორ ხართ, ძვირფასო სონია ბიცოლა-მეთქი და სულელივით გავუღიმე აწ უკვე დამჭკნარ ბიცოლას. „შენ სალემი ხარ, არა? ჰო, მახსოვხარ, საზიზღარი ბავშვი იყავი, შენს თავზე ყოველთვის დიდი წარმოდგენა გქონდა და იცი რატომ? პრემიერ-მინისტრის ვიღაც ასისტენტმა რაღაც სულელური წერილი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოგწერა!“ — მითხრა ბიცოლამ და მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, რომ გეგმები ჩამეფუშა. ბიცოლა ხომ შურით სკდებოდა და ეს შური წინ აღარასოდეს გამიშვებდა. წერილი მე მომწერეს, — მას კი არა, რამაც სამუდამო მტრებად გვაქცია. მაგრამ კარი ხომ გამიღეს, ხომ მაბანავეს, ახალი ტანსაცმელი ხომ მომცეს და ამან ისეთი მადლიერებით ამავსო, რომ ბიცოლას მომაკვდინებელი სუნიც კი გადაფარა.

მუსტაფა აზიზის ერთ დროს გაბუჩქულმა ულვაშმა, მეთვოლდის მამულში მტვრის შემოტევის შემდეგ რომ ჩამოიწეწა, მას შემდეგ პირვანდელი იერი ვეღარასოდეს აღიდგინა. სულ მცირე ორმოცდაშვიდჯერ მაინც სცადა დეპარტამენტის უფროსად დაწინაურებულიყო, თუმცა ორმოცდაშვიდჯერვე დამარცხდა. გულს ბავშვების გაწკეპლით იმშვიდებდა. ყოველღამე ბოდავდა, რომ ანტიმაჰმადიანური მოძრაობის მსხვერპლია. გვარის გენეალოგია ამოიჩემა და ბოლოს ისეთ გატაცებად ექცა, რომ მამაჩემს, აჰმედ სინაის შეშურდებოდა. აჰმედიც ხომ თავს დიდი მოგოლების იმპერატორის ჩამომავლად მიიჩნევდა. მუსტაფას მხარი ცოლმაც აუბა — ნახევრად ირანელმა სონიამ, რომელიც ცხოვრებამ ბილეთიან გიჟად აქცია. ცხოვრებაში სონიას ჩამჩის, ანუ კოვზის როლი უნდა ეთამაშა — ყველა ქვაბს უნდა მორგებოდა, ანუ იდიომატურად რომ ვთქვათ, ქლესა და პირფერი უნდა ყოფილიყო იმ ორმოცდაშვიდი უფროსის ორმოცდაშვიდი ნომერ პირველი ცოლისადმი, რომელთაც ადრე არაფრად აგდებდა. ბიძაშვილები ამდენი ცემა-ტყეპისა და ვაი-ვუისაგან ისე დაპატარავებულიყვნენ და გაუმნიშვნელოებულიყვნენ, რომ დღემდე ვერც მათი ხასიათი გავიგე, ვერც სქესი და ვერც რაოდენობა, რადგან პიროვნულად აღარ არსებობდნენ. ჰოდა, იმ ჩემს განადგურებულ ბიძაშვილებთან ერთად ვიჯექი და ბიძაჩემის ტრაგიკულ მონოლოგებს ვისმენდი, როგორ არ დააწინაურეს და როგორ ძაღლივით ერთგული იყო პრემიერ-მინისტრისა. ინდირას რომ ეთქვა, თავი მოიკალიო, ბიძაჩემი უსიტყვოდ შეუსრულებდა, თუმცა გულისგულში ამ ყველაფერს ანტიმაჰმადიანურ იდიოტიზმს მიაწერდა.

გვარის გენეალოგიას რაც შეეხება: ბიძაჩემი უზარმაზარ რვეულებს ობობასქსელისებური გვარის ხეებით ავსებდა და ერთმანეთს უცნაური კავშირებით უნათესავებდა ცნობილ დინასტიათა ოჯახებს. ერთხელ სონიას მოაგონდა, რომ ჰარდვარში ერთი რიში ცხოვრობდა, რომელიც გადმოცემით სამას ოთხმოცდათხუთმეტი წლისა იყო და ბრაჰმინთა კლანის გენეალოგია ზეპირად იცოდა. „იმ გენეალოგია-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

შიც კი პირველი არ ხარ!“ — დააკივლა თავზე ბიძაჩემს. ჰარდვარელი რიშის გახსენებამ სონია ისეთი სიგიჟის მწვერვალზე აიყვანა, რომ ჩემი შეშინებული ბიძაშვილები ყოველდღე დაძაბული ელოდნენ, ცემაში არ შემოჰკვდომოდა ვინმე სონიას. ბოლოს მუსტაფამ საგიჟეთში დაამწყვდევინა, რადგან ცოლი სამსახურშიც თავს სჭრიდა.

აი, ასეთ ოჯახში მოვხვდი. ეს ოჯახი ჩემი წარსულის შებღალვად მივიჩნიე. ქალაქს, რომელსაც ახალგაზრდა აჰმედისა და ამინას აჩრდილები სამუდამოდ შემორჩა, ეს საშინელი „ოხი“ პირდაპირ ბღალავდა და აოხრებდა.

წლების შემდეგ ბიძაჩემის „გენეალოგიური“ ახირება მთავრობამ აიტაცა, რადგან მთავრობა ძალაუფლებისა და ასტროლოგიის ხიბლშუა გაორდა და რაც „ქვრივის სასტუმროში“ მოხდა, ბიძაჩემის გარეშე არ მოხდებოდა... მეც მოღალატე ვიყავი, ამიტომ არავის ვკიცხავ. ეს კი იყო, რომ ერთხელ ბიძაჩემის გენეალოგიათა რვეულში შავი ტყავის საქაღალდეს მოვკარი თვალი, რომელსაც ეწერა: „საიდუმლოა“ და „სპეციალური სამთავრობო პროექტი“.

დასასრული ახლოვდება და მას ვერსად გავექცევი. მაგრამ სანამ ინდირა ოკულტურ სიბრძნეზე თათბირობს და სანამ ბენარსელი წინასწარმეტყველები ინდოეთის ისტორიას ცვლიან, მე ლირიკულ წიაღსვლას გავაკეთებ, რომელიც ცოტა ტკივილიანი იქნება, რადგან პირად მოგონებებს უკავშირდება. საქმე ის არის, რომ ჩემი ოჯახის დაღუპვის ამბავი ბიძაჩემისგან შევიტყვე. ისიც გავიგე, რომ ცნობილი პაკისტანელი მომღერალი ჯამილა სადღაც გაუჩინარდა.

...გიჟმა ბიცოლამ შეიტყო, რომ ომში საპირისპირო მხარეს ვიბრძოდი, სადილი ამიკრძალა და დამკივლა: „შე თავხედო, ტვინი სად გაქვს, სამოქალაქო მოხელის სახლში რომ მოეთრიე, ომიდან გამოპარული კრიმინალი, ალაჰ! გინდა, რომ ბიძაშენს სამსახური დაკარგვინო? გინდა ულუკმაპუროდ დაგვტოვო? როგორ არ გრცხვენია, ბიჭო, აქედან გაეთრიე, თორემ ახლავე პოლიციას გამოვუძახებ! წადი, შენი ნებით ჩაჰბარდი, ჩვენ რაში გვენაღვლები, შენ საწყალი განსვენებული ამინას ნამდვილი შვილიც კი არა ხარ!“..

მეხი მეხზე მეცემოდა: თურმე დედა ცოცხალი არ მყავდა, თურმე ამ ოჯახს არაფრად ვენაღვლებოდი. სონიამ მერი პერეირას აღსარების შესახებ იცოდა და ამის გამო ყველაფერს იკადრებდა!.. მე გულაჩუყებით ვიკითხე: „ჩემი... განსვენებული დედა?“ ბიძაჩემი მიხვდა, რომ ცოლმა ღრმად შეტოპა და უგერგილოდ მითხრა: „არა, სალემ, შენ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქ დარჩები! ის აქ დარჩება, ქალო, აბა რა ქნას, ვერ ხედავ, საწყალმა ბიჭმა არც იცოდა“.

ყველაფერი მიამბეს.

იმ შეშლილი „ოხის“ გამოისობით მივხვდი, რომ ჩემი მიცვალებულები უნდა მეგლოვა. შევიტყვე, რომ არც დედ-მამა მყავდა ცოცხალი, არც დეიდა ალია, ესმერალდა და ბიცოლა ფია. ჩემი ბიძაშვილი ზაფარი და მისი კიფელი პრინცესაც დაიღუპნენ, ბებიაც მოკვდა. ჩვენი შორეული ნათესავი ზორა და მისი ქმარიც დაიხოცნენ. გადავწყვიტე ოთხასი დღე გლოვაში გამეტარებინა, ისე, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა. ათი ადამიანი, თითოეული ორმოცი დღის განმავლობაში უნდა მეგლოვა და მერე... ჯამილაც...

ჯამილას ომიდან ჩემი გაქრობის ამბავი გაუგია. ალბათ სინანულმა ჭკუიდან შეშალა და ჩრჩილნაჭამი დანგრეული პაკისტანის ახალ მთავრობას დაუპირისპირდა. ბჰუტო საბჭოზე რომ აცხადებდა, ახალ პაკისტანს ავაშენებო, ჩემი და ბჰუტოს საჯაროდ ლანძღავდა. წმიდათაწმიდა, პატრიოტმა ჯამილამ აჯანყების ცეცხლი იმიტომ დაანთო, რომ მკვდარი ვეგონე (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ბიძაჩემისგან შიშველ ფაქტებს ვისმენდი მხოლოდ, რომელიც მან დიპლომატიური წყაროებისგან მოიპოვა. ამ ფაქტებს ფსიქოლოგიური შალაშინის ქვეშ ჯერ არ გაევლოთ, ამიტომ სარწმუნოდ მეჩვენა). ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ორდღიანი ბრძოლის შემდეგ ჯამილა უკვალოდ გაქრა. ბიძაჩემი ცდილობდა დავემშვიდებინე: „ძალიან ცუდი რამ ხდება იქ, სალემ, ხალხი უკვალოდ ქრება, უფრო ცუდსაც უნდა მოველოდეთ“.

არა! არა, არა, არა! პადმა, ბიძაჩემმა ხომ არ იცოდა! ჯამილა არ მოუკლავთ. იმ ღამეს სიზმარში ვნახე, რომ სიბნელისა და ვუალის მიღმა, ოქროსფერი ფარჩის კარვიდან ჩემი და კარაჩიში მოხვდა. ის თავისუფალია, არ დაუპატიმრებიათ, ტაქსის აჩერებს და ერთ კარს მიადგება, რომელიც საგულდაგულოდ ჩაურაზავთ და რომლიდანაც ერთ დროს ჩემი დისთვის პურები მომქონდა. დიახ, ეს მონასტრის კარია. ჯამილა აკაკუნებს, კარს მონაზვნები უღებენ, შიგნით უშვებენ და ისევ საგულდაგულოდ რაზავენ. ჩადრი მონასტერმა შეცვალა. ჯამილას ჩადრი მალავდა, ახლა მონასტერმა დამალა. აი, მეორე პატივცემული დედა, რომელმაც ერთ დროს, როცა თითბრის მაიმუნი იყო, ქრისტიანობა შეიყვარა და ახლა სანტა-იგნასიას ტაძარს შეეფარა... დიახ, ვიცი, რომ იქ არის და ვიცი, რომ უსაფრთხოდ არის. გადაურჩა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოლიციას, რომელიც ადამიანებს დაუნდობლად სცემს და აშიმშილებს. ჯამილა უსახელო საფლავსაც გადაურჩა, ცოცხალია, პურს აცხობს და მონაზვნებს უმღერის. ვიცი, რომ ასეა, ვიცი, ვიცი, ვიცი, საიდან? უბრალოდ ძმა გრძნობს იმას, რასაც სხვები ვერ გრძნობენ.

პასუხისმგებლობის გრძნობა და სინდისი არ მასვენებს, ამიტომ ვაღიარებ: ჯამილას მარცხი ისევ და ისევ ჩემი ბრალია.

ბიძაჩემთან ოთხას ოცი დღე ვიცხოვრე... გვიან, მაგრამ მაინც ვგლოვობდი ჩემს მიცვალებულთ. ყური წამითაც არ მომიდუნებია! ყველაფერს ვისმენდი. ბიძა და ბიცოლა ისევ ჩხუბობდნენ (ამან ბიძაჩემს გადააწყვეტინა, რომ ცოლი საგიჟეთში ჩაესვა). სონია ყვიროდა: „ის მაწანწალა ბინძური ბიჭი შენი დისშვილიც კი არ არის, რა გჭირს, ვერ გააგდებ აქედან?“ მუსტაფა წყნარად პასუხობდა: „საწყალ ბიჭს დარდმა იმდენად მოუღო ბოლო, რომ ცოტა დალაგებულიც ვერ არის, ნუთუ ვერ ატყობ, საწყალმა რა არ გადაიტანა!“ ცოტა დალაგებული ვერ არისო! ამას ამბობდა ოჯახი, რომლის გვერდით კანიბალთა ტომი მშვიდ და ცივილიზებულ ადამიანებად მოგეჩვენებოდა! რატომ ვეგუებოდი? იმიტომ, რომ მეოცნებე ვიყავი. თუმცა ოთხას ოც დღეში ოცნებაც ჩამიფლავდა.

ჩამოვარდნილულვაშიანი და სამუდამოდ ნომერ მეორე ბიძაჩემი მუსტაფა ჩემს მეორე ბიძას, ჰანიფს როდი ჰგავდა. მუსტაფა ოჯახის უფროსი იყო და ერთადერთი, ვინც 1965 წლის განადგურებას გადაურჩა. მაგრამ არაფერში არ დამეხმარა... ერთ საღამოს გენეალოგიური კვლევისას წავასწარი და სერიოზული, მაგრამ თავმდაბლური სიტყვებითა და ჟესტებით ავუხსენი ჩემი ისტორიული მისია, რომ ერის გადარჩენა მწადდა. მუსტაფამ ღრმად ამოიოხრა და მითხრა: „მისმინე, სალემ, ჩემგან რას ელი? ამ სახლში ცხოვრობ? — ცხოვრობ, ჩემს პურს მიირთმევ? — მიირთმევ, ისე, რომ თავად ხელს არ ანძრევ, მაგრამ არა უშავს, ჩემი დის ოჯახიდან ხარ და მე ეს მევალება კიდეც, — ასე რომ, დარჩი, მოძლიერდი და მერე ვნახოთ, შეიძლება კლერკის ადგილიც გიშოვო სადმე. ოღონდ მაგ სულელურ ოცნებას მოეშვი. ჩვენი ქვეყანა უსაფრთხო ხელშია. ინდირა რადიკალურ რეფორმებს ატარებს, რაც მიწას, გადასახადებს, განათლებასა და შობადობას ეხება. მოდი, მას მივენდოთ, მან უკეთ იცის“. გონებაშეზღუდულმა ბიძაჩემმა იკადრა და სულელი ბავშვივით დამმოძღვრა.

ყველგან მაბრკოლებენ. უდაბნოს მოძღვარს ვგავარ. უდაბნო ჩემი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბედისწერაა. ო, ყოვლად გამოუსადეგარო მლიქვნელო ბიძებო! ო, შურიანობავ, რომელიც ყველაფერს აბრკოლებ იმის გამო, რომ პირველი ვერასოდეს ვერ გახდები! ბიძაჩემი, რაც უფრო აქებდა ინდირას, ეს უკანასკნელი მით უფრო შემძულდა. ალბათ მუსტაფა ჯადოქართა გეტოში დასაბრუნებლად მამზადებდა და კიდევ... მასთან... ქვრივთან შესახვედრადაც.

შურის ბრალი იყო. სონიამ შურის შხამი ბიძაჩემს ჩააწვეთა. ბიძაჩემმა კი ჩემს დასახმარებლად ხელი არ გაანძრია. აღმატებულთა ბედი ხშირად პატარა ადამიანთა ხელშია და ეს პატარა ადამიანი გიჟი ქალიც თუა, მაშინ მთლად უარესი.

ოთხას მეთვრამეტე დღეს შეშლილთა სახლში ატმოსფერო შეიცვალა: სადილზე ვიღაც წვრილთავა და ღიპიანი კაცი მოვიდა, თმისაცხიანი თავი უბზინავდა და პირი ქალის სასირცხო ბაგეებივით ხორციანი ჰქონდა. ვიცანი, გაზეთის ფოტოებიდან მახსოვდა. ერთერთ უსქესო, უასაკო და უსახო ბიძაშვილს მივუბრუნდი, ეს ხომ სანჯეი განდია-მეთქი. მაგრამ საწყალმა ბიძაშვილმა ვერაფერი მითხრა... ახლაღა ვხვდები: იმ სამთავრობო ბობოლებმა (და ასევე პრემიერ-მინისტრების შვილებმა, რომლებმაც არჩევნებში ვერ გაიმარჯვეს) საკუთარი თავის კოპირების, ანუ გამრავლების ძალა შეიძინეს... რამდენიმე წლის შემდეგ, ინდოეთში სანჯეების გუნდები მომრავლდა! და რა გასაკვირია, რომ ეს დაუჯერებელი დინასტია დანარჩენ ადამიანებზე შობადობის კონტროლის დამყარებას ცდილობდა... ასე რომ, ეს კაცი და ბიძაჩემი ამ უკანასკნელის კაბინეტში გაუჩინარდნენ. იქ კი თვალი მოვკარი შავ ტყავის საქაღალდეს, რომელიც, როგორც ვთქვი, რაღაც საიდუმლო პროექტს ინახავდა. მეორე დილით ბიძაჩემი შიშით მიყურებდა და მივხვდი, რომ ოფიციოზებმა ამითვალწუნეს. უნდა მცოდნოდა, რა მელოდა, მაგრამ ახლა იოლია რაიმეს თქმა, როცა ისტორიამ თავის პერიფერიებში მომისროლა და ჩემსა და ერს შორის კავშირი სამუდამოდ გაწყდა... ბიძაჩემის დაჟინებულ მზერას გავერიდე და ბაღში გავედი. იქ კი ჯადოქარი პარვათი დავინახე.

კალათით მოსულიყო. დამინახა თუ არა, თვალებში წყენამ გაუელვა. „ხომ თქვი, დავბრუნდებიო და არ დაბრუნდი“, — მითხრა. თავი დავხარე. ვგლოვობდი-მეთქი, ამოვილუღლუღე. „მაგრამ, ღმერთო ჩემო, სალემ, ვინ იცის ჩემი ნამდვილი ჯადოქრობის ამბავი, მე შენ გარდა ვერავის ვანდობ, ფიქჩა სინგჰსაც კი, რომელიც ვიცი, მაინც არ დამიჯერებს. ვიფიქრე, სალემი მეგობრობას გამიწევს და მარტო



www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ ვიქნები-მეთქი, მაგრამ შენ ხომ ფეხებზე გკიდივარ, რაც გინდოდა, აისრულე და წახვედი“.

იმ ღამეს შეშლილი ბიცოლა (რომელიც სულ რამდენიმე დღის შემდეგ საგიჟეთში მოხვდა და ამაზე გაზეთებშიც წერდნენ, რამაც ბიძაჩემის სამსახური შეაშფოთა) საძინებელში შემოვარდა, რომლის ფანჯრებში ნახევარი საათის წინ ლამბაქისთვალებიანი გოგონა შემოიპარა. ბიცოლამ პარვათისთან ლოგინში წამასწრო. ამის მერე ბიძაჩემმა აღარ მოისურვა, რომ მის ჭერქვეშ მეცხოვრა და მითხრა, მაწანწალად დაიბადე და მაწანწალად ამოგხდება სულიო. ჰოდა, მოსვლიდან ოთხას მეოცე დღეს დავტოვე ბიძაჩემის სახლი, სამუდამოდ მოვშორდი ოჯახურ კავშირს და დავუბრუნდი ღატაკთა და უქონელთა საბუდარს, რომელსაც ოდესღაც მერის დანაშაულმა მომწყვიტა. გარეთ პარვათი მიცდიდა. მისთვის არ მითქვამს, რომ ბიცოლაჩემის შემოვარდნამ გამახარა, რადგან პარვათის რომ ვკოცნიდი, თვალწინ აკრძალული სიყვარულის სახე დამიდგა. წამით პარვათი მომღერალ ჯამილად იქცა, რომელიც ახლა უსაფრთხოდ ცხოვრობდა (ნამდვილად ვიცი) კარაჩის მონასტერში და უცებ აქ გაჩნდა. სახეზე აკრძალული სიყვარულის საზარელი წყლულები გამოსვლოდა. ჯამილას მოჩვენება ისევე ლპებოდა, როგორც ერთ დროს ჯო დ'კოსტას მოუნანიებელი დანაშაულით გატანჯული კეთროვანი მოჩვენება. ჯამილას ფანტასმაგორიულ ნაკვთებზე ინცესტის ცოდვიანი ყვავილები გაიკვირტა. მე კი არ შემეძლო იმ აუტანელი სახისთვის მეცქირა ან მეკოცნა, ან მივკარებოდი. მონატრებისა და სირცხვილის გამო სადაცაა ყვირილს მოვრთავდი, რომ ამ დროს სონია აზიზი დაგვატყდა თავზე და დაგვკივლა.

მუსტაფასთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა ეს ფაქტი და სახლიდან გამაგდო, თუმცა კიდევ იყო ჩაკეტილი ტყავის საქაღალდე, რომელსაც ვერ წავიკითხავდი და ამიტომ საიდუმლო პირდაპირ ბიძაჩემის თვალებიდან უნდა ამომეკითხა და ნესტოებით შემეყნოსა: რადგან შემდეგ, როცა ყველაფერი დამთავრდა, ჩამოგდებული ქალბატონი და მისი სასირცხვობაგეპირიანი ვაჟი ორი დღე წვავდნენ საიდუმლო ქაღალდებს ჩაკეტილ კარს მიღმა. ამიტომ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, იმ ქაღალდებში რა ეწერა.

დარჩენაც არ მინდოდა. ოჯახზე ხალხს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს. არ იფიქროთ, რომ მეწყინა და ყელში ცრემლების ბურთი მომაწვა, იმ უკანასკნელი ოჯახიდანაც რომ გამომაძევეს! მშვენიერ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხასიათზე ვიყავი. ალბათ რაღაც უცნაურობა მართლაც მჭირს. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი ფიქრები ყოველთვის ზეშთაგონებით მავსებდნენ. ჩემი სიმშვიდე და სიხალისეც ალბათ ამის ბრალი იყო. რომ დამარტყა, რეაქცია მექნება, უკან გადავხტები (მაგრამ ბზარებს მაინც ვერაფერს მოუხერხებ, მას ვერავითარი რეაქცია ვერ უშველის).

გულუბრყვილო იმედი რომ დავასამარე, ჯადოქართა ჯურღმულსა და მეჩეთის აჩრდილს დავუბრუნდი. გაუტამა ბუდასავით დავთმე ამაო წუთისოფელი და მათხოვრად გავიჭერი. 1973 წლის 23 თებერვალი იდგა. ქვანახშირის მაღაროები და ბურღულის წარმოება ეროვნულ საკუთრებად იქცა. ნავთობის ფასი სპირალივით ცაში ავარდა და ერთ წელიწადში გაოთხმაგდა. ინდოეთის კომუნისტური პარტია ისე გაიხლიჩა, შეერთების იმედი აღარ არსებობდა. მე, სალემ სინაი, ახალი ინდოეთივით ოცდახუთი წლის, ექვსი თვისა და რვა დღისა ვიყავი.

ჯადოქრები კომუნისტები იყვნენ, ანუ წითლები. და ეს საზოგადოების ნალექი უღმერთოები მკრეხელურად ცხოვრობდნენ ღმერთის სახლში! უსირცხვილოები, მეტი რა უნდა უწოდო. სპეტაკი წითლები! სისხლისმსმელებად დაბადებულები! ეს რომ აღმოვაჩინე, ინდოეთის მეორე რწმენაში — ბიზნესიზმში გადავვარდი. და უცებ თავი საკუთარ სახლში ვიგრძენი. რენეგატი ბიზნესისტი ჯერ დიდი მონდომებით გავწითლდი, მერე იმაზე უფრო გავწითლდი, როგორც ერთ დროს მამაჩემი გათეთრდა. და ახლა ჩემი ქვეყნის ხსნის მისია ახალ სინათლეზე გამოჩნდა. თავი ახალმა რევოლუციურმა შემოთავაზებებმა წამოყვეს. ძირს არაფრისმაქნისი ბიძები და მათი საყვარელი ლიდერები! მასებთან პირდაპირი კომუნიკაციის ფიქრით შეპყრობილმა ჯადოქართა კოლონიაში ჩავიბუდე და ყოველდღიურ სარჩოს უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების გართობით მოვიპოვებდი. ამაში ჩემი ცხვირი დამეხმარა, რომელმაც მათი მარტივი ტურისტული საიდუმლოებები ყნოსვით ამოიცნო. ფიქჩა სინგჰმა თავისი ფარდული გამიზიარა. დაგლეჯილ ტილოს ტომარაზე მეძინა იმ ყუთებს შორის, რომლებშიც შხამიანი გველების სისინი ისმოდა. მაგრამ რას დავეძებდი, მე ხომ შიმშილს, წყურვილს, კოღოებსა და დელის მკაცრ ზამთარს შევეგუე. მსოფლიოში ყველაზე მომნუსხველი კაცი, ფიქჩა სინგჰი, გეტოს უგვირგვინო მეთაური იყო. პრობლემები მის საერთო ფარდულში წყდებოდა. მე კი რადგან წერა-კითხვა ვიცოდი, ამ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოლიათის დამხმარედ ვიქეცი. სინგჰი პრობლემებსაც წყვეტდა და სოციალიზმზე ლექციებსაც კითხულობდა. გველების მონუსხვაზე მეტად ამ ლექციების გამო იყო პოპულარული. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ სინგჰი დიდებული ადამიანი იყო.

ერთ ნაშუადღევს, ჩაიას დროს, გეტოს იმ სასირცხვობაგეპირიანი კაცის ასლი ესტუმრა, მაშინ ბიძაჩემთან რომ მოვიდა. ამ კაცმა ბანერი გაშალა, რომელზეც ეწერა: „განვდევნოთ სიღარიბე“ და იქვე ეხატა ძუძუმწოვარა ხბო, რომელიც ინდირას კონგრესის სიმბოლოდ ითვლებოდა. სახე მსუქან ხბოს მიუგავდა. პირიდან საშინელი სიმყრალე ამოაფრქვია: „ძმებო და დებო! — თქვა მან, — რას გეუბნებათ კონგრესი? იმას, რომ ყველა თანასწორი ვართ!“ მეტი აღარაფერი უთქვამს, ხალხმა უკან დაიხია, რადგან მისი პირის სიმყრალე მოხვდა, რომელსაც ისეთი სუნი უდიოდა, გახურებულ მზეზე ნეხვს რომ ასდის. ფიქჩა სინგჰი არაოხროხდა: „ო, ჰა, ჰა, კაპიტანო, რა კარგია, ბატონო!“

იმ სასირცხვობაგეპირიანმა კაცმა სულელურად თქვა: „შენ ძმაო, ამ აზრს არ იზიარებ?“ ფიქჩა სინგჰმა თავი გააქნია და დოინჯი შემოიყარა: „ო, შესანიშნავად ლაპარაკობთ, ბატონო, ასე გააგრძელეთ!“ და მისი როხროხი ბრბოს გადაედო. ბოლოს ყველანი მიწაზე ვგორავდით და სიცილისგან ვიკვანწებოდით. კონგრესმენმა ხბომ შეშინებულმა თქვა: „რას ჰგავს ეს, ეს კაცი არ მეთანხმება, რომ ყველანი თანასწორნი ვართ? რა ცუდი წარმოდგენა ჰქონია“. მაგრამ ამ დროს უკვე ქოლგიანმა სინგჰმა თავის ქოხში შეაბიჯა. სასირცხვობაგემ შვებით ამოისუნთქა და საუბარი განაგრძო... თუმცა დიდხანს ვეღარ, რადგან სინგჰი მალე დაბრუნდა. ცალ ხელში გველებიანი კალათი ეჭირა, მეორეში — სალამური. კალათი კონგრესმენის ფეხებთან დადო, თავსახური ახადა და სალამური ტუჩებთან მიიტანა. ხალხი ისევ ახარხარდა, მაგრამ ახალგამოჩეკილი პოლიტიკოსი ჰაერში ახტა, როცა კალათიდან სამეფო კობრამ ამოყო თავი... სასირცხვოტუჩებმა დაიყვირეს: „რას აკეთებთ? გინდათ მომკლათ?“ სინგჰმა ყურადღება არ მიაქცია და დაკვრა გააგრძელა, გველი კალათიდან ამოიკლაკნა, სინგჰის სალამურის ჰანგებმა ჯურღმულის ყველა კუთხე-კუნჭული აავსო და მეჩეთის კედლები შეაზანზარა. გველი ჰაერში დაეკიდა, საკუთარ კუდზე დადგა და აცეკვდა... სინგჰმა რომ მუსიკა შეანელა, გველი ისევ კალათში ჩაეხვია. ახლა მსოფლიოში ყველაზე მომნუსხველი კაცი სალამურს აწვდის კონგრესმენს და ეუბნება: „კარგი, ბატონო, აბა, ახლა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქვენ სცადეთ“. ის კი შეშინებული პასუხობს: „ხომ იცი, რომ მაგას ვერ გავაკეთებ!“ ამაზე ფიქჩა სინგჰმა ხელი სტაცა კობრას თავს, მერე პირი დააღო, კონგრესმენს თვალი ჩაუპაჭუნა და გველის ენაგამოყოფილი თავი პირში ჩაიდო! ერთი წუთის შემდეგ სინგჰმა კობრა თავის კალათში ჩააბრუნა და იმ კაცს მეგობრულად უთხრა: „ხედავთ, ბატონო, აი, სიმართლე ეს არის: ზოგი სხვებზე უკეთესია, ზოგი კი სხვებზე უარესი. მაგრამ თქვენ ალბათ გსიამოვნებთ ასე ლაპარაკი“.

ამ ამბის შემდეგ სალემი დარწმუნდა, რომ ჯადოქრები რეალისტები არიან. ისინი ისე კარგად ფლობენ სინამდვილეს, რომ ამ უკანასკნელს თავიანთ ხელოვნებაში როგორც სურთ, ისე იყენებენ. თუმცა სინამდვილე რომ სინამდვილეა — ამას არასოდეს ივიწყებენ.

ჯადოქართა გეტოს პრობლემები სარკე იყო ინდოეთის კომუნისტური მოძრაობის პრობლემებისა. გეტოში მომხდარი უთანხმოებების დარად პარტიაშიც იყო განხეთქილებები. მაგრამ ფიქჩა სინგჰი ამ ყველაფერზე მაღლა იდგა. გეტოს პატრიარქი ფლობდა ქოლგას, რომლის ჩრდილში ფრაქციათა დავა წყდებოდა. თუმცა კამათი სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა. ეს ასე იყო, რადგან ილუზიონისტები პარტიის მოსკოვურ მხარეს იჭერდნენ, რომელიც განდის უჭერდა მხარს. აკრობატებმა პარტიის ჩინური მემარცხენე მხარე დაიჭირეს. ცეცხლისმჭამელებმა და ხმლებისმყლაპავებმა პარტიზანები გაამართლეს. ცხელ ნახშირზე მოსიარულეები და მომნუსხავები ნამბუდირიპადის მანიფესტს შეეუღლნენ (რომელიც არც მოსკოვურს იცავდა და არც პეკინურს) და ნაქსალიტების[1] ძალადობა დაგმეს. კარტის მოთამაშეები ტროცკიზმის მიმდევრები და კომუნიზმის არჩევნების გზით დამკვიდრების მომხრეები იყვნენ. მე რელიგიური და პროვინციული იდიოტიზმისგან თავისუფალ წრეში მოვხვდი, სადაც ჩვენი უძველესი ეროვნული ნიჭის გამრავლების გზები გამოინახა. სინგჰმა დამწუხრებულმა მითხრა, რომ 1971 წლის არჩევნების დროს უცნაური მკვლელობა მოხდა, რაც გამოიწვია ნაქსალიტ ცეცხლის მჭამელსა და მოსკოვური ფრთის ჟონგლიორს შორის დავამ. ჟონგლიორმა თავისი მაგიური ქუდიდან პისტოლეტის ამოღება სცადა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან ცეცხლის მფრქვეველის პირიდან ამოტყორცნილმა ალმა იგი ადგილზევე განგმირა.

---

[1] *ნაქსალიტები — არაოფიციალური სახელწოდება ინდოეთის მაოისტური დაჯგუფებისა. სახელწოდება მომდინარეობს გეოგრაფიული ადგილიდან, სადაც პირველად გაიმართა დაჯგუფების წევრთა შეკრება.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სინგჰი იმ სოციალიზმზე ლაპარაკობდა, რომელიც უცხოურ გავლენას არ განიცდიდა. „მისმინეთ, მეგობრებო, — მიმართა მსახიობთ, — წახვალთ თქვენს სოფლებში და სტალინსა და მაოზე ესაუბრებით? მერედა, რომელი გლეხი მოგისმენთ, ან ვის ენაღვლება ტროცკის სიკვდილი?“ მისი მაგიური ქოლგის ჩრდილში დასიცხული ჯადოქრები გაგრილდნენ. მე კი დამარწმუნა, რომ შესაძლოა ერთ დღეს გველების მომნუსხველი სინგჰი მიან აბდულას კვალს გაჰყოლოდა. ლეგენდარული კოლიბრივით დაეტოვებინა გეტო, რომ მომავალი საკუთარი სურვილის ყალიბში მოექცია. და, ალბათ, ბაბუაჩემივით სიკვდილამდე ვერავინ შეაჩერებდა... თუმცა... ეს თუმცა ხომ ყოველთვის არსებობს... რაც მოხდა, მოხდა და ჩვენ ყველამ ვიცით.

სანამ ისევ ჩემს პირად ცხოვრებაზე გიამბობდეთ, მინდა გითხრათ, რომ სწორედ სინგჰმა გამიმხილა ის, რაც ქვეყნის ეკონომიკას დაემართა: იგი გაშავდა, მაგრამ ოფიციალური ვერსიის მიხედვით „თეთრი“ იყო. სინგჰმა გაზეთში განდის ფოტო მაჩვენა, განდის თმა შუაზე გაეყო. ცალი მხარე თოვლივით თეთრი იყო, მეორე მხარე კი — ყორანივით შავი. ასე რომ, ქალბატონი განდი ხან თოვლი იყო და ხან კიდევ ყორანი — იმის მიხედვით, თუ რომელ პროფილს აჩვენებდა. ისევ შუაზე გაყოფილი თმა... ეკონომიკა პრემიერ-მინისტრის თმას ჰგავდა... აი, ასეთი მნიშვნელოვანი რამის აღქმაში დამეხმარა სინგჰი — მსოფლიოში ყველაზე მომნუსხველი კაცი. მანვე გამიმხილა, რომ რკინიგზის მინისტრი ფაქტობრივად კორუფციის მინისტრი იყო, რომელსაც ეკონომიკაში მიმდინარე შავი საქმეების გათეთრება ევალებოდა და ვინც საგადასახადო სისტემას თავის ნებაზე არეგულირებდა. სინგჰმა განმანათლა ასევე იმაშიც, რომ არჩევნებს აყალბებენ. სინგჰს დემოკრატია გულზე არ ეხატებოდა: „ღმერთმა დასწყევლოს ეს საარჩევნო ბიზნესი, დაიწყება თუ არა, მაშინვე რაიმე ცუდი უნდა მოხდეს, ხოლო ქვეყნის თავკაცები კლოუნებივით იქცევიან“, — მითხრა სინგჰმა. მე კი რევოლუციის ცხელებაშეყრილმა ჩემს მენტორს ვერაფერი ვუთხარი.

გეტოს წესებს მცირე გამონაკლისი ჰქონდა: ერთმა თუ ორმა ჟონგლიორმა ჰინდუს რწმენა შეინარჩუნა და პოლიტიკაში ჰინდუს მდივან ჯანა სანგჰის პარტიას ან ცუდი სახელის მქონე ანანდა მარგის ექსტრემისტულ პარტიას მიემხრნენ. ჟონგლიორებში სვატანტრას ხმის მიმცემებიც ერივნენ. რეშამ ბიბი გამოუსწორებელ ფანტაზიო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რად დარჩა. მას სჯეროდა (მაგალითად) იმ ცრურწმენისა, რომელიც ქალებს მანგოს ხეზე ასვლას უკრძალავს, რადგან მანგოს ხე ქალის სიმძიმეს რომ იგრძნობს, მჟავე ნაყოფს გამოისხამსო... იქ ერთი უცნაური ფაკირი, ჩიშტი-ხანი იყო, რომელსაც ისეთი გადატკეცილი და მოღაჟღაჟე სახე ჰქონდა, რომ არავინ იცოდა, ცხრამეტისა იყო თუ ოთხმოცდაათის. მან თავისი ქოხი ბამბუკის ტოტებითა და ფერადი ქაღალდებით დაფარა ისე, რომ რედ ფორტის ფერად მინიატიურას დაამსგავსა. მხოლოდ კარის შეღებისას მიხვდებოდი, რომ ამ ჰიპერბოლური ფასადის მიღმა ყუთებისგან აჩონჩხილი ბუნაგი იმალებოდა. ჩიშტი-ხანმა თავი სწორედ თავისი ილუზიონისტური პრაქტიკით დაიმარტოხელა: მას ერიდებოდნენ და არც პოპულარული იყო გეტოში. ჯადოქრები თავს არიდებდნენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავად ავადდებოდნენ მისი ოცნებით.

ასე რომ, ალბათ მიხვდით, ჯადოქარი პარვათი, რომელიც საოცარ ძალებს ფლობდა, რატომ არავის უმხელდა მათ და მარტოსული რატომ იყო. შუაღამის ნაბოძებ ნიჭს არ აპატიებდა ხალხი, რომელსაც ასეთი ნიჭისა არ სჯეროდა.

მეჩეთის მეორე მხარეს, სადაც ჯადოქრები თვალს ეფარებოდნენ, ერთადერთი საშიშროება მონამცეცე მათხოვართა მხრიდან იყო, რომლებიც ყველაფერს აგროვებდნენ: საჭმლის ნარჩენებს, ლითონის ნაჭრებს, ყუთებს... სწორედ, იქ მაჩვენებდა პარვათი თავის ნამდვილ ჯადოქრობას. ნივთების ნარჩენებით შეკოწიწებულ სოროში შუაღამის შვილი — ჯადოქალი ჩემთვის მსახიობობდა. ლამბაქისხელა თვალებით, პონის კუდითა და წითელი, სავსე ტუჩებით... მის ცდუნებას ამდენ ხანს როგორ გავუძლებდი, მაგრამ ის მაკავებდა, ვის სახესაც მაგონებდა... პირველად პარვათის ძლიერებას საზღვარი არ უჩანდა (მაგრამ საზღვარი მაინც ჰქონდა). პარვათი დემონებს ეთამაშებოდა? ჯინის ხალიჩით ფრენდა? ბაყაყებს პრინცებად, ხოლო ქვებს ძვირფას ქვებად აქცევდა? სულებს ყიდდა და მკვდრებს აცოცხლებდა? არც ერთს არ აკეთებდა, რადგან ის, რაც მე მაჩვენა, თეთრი მაგია იყო. თითქოს ბრაჰმინთა „საიდუმლო წიგნმა“ — ათარვა-ვედამ გაუმხილა მთელი ეს საიდუმლო. პარვათი ავადმყოფებს არჩენდა და შხამებს ანეიტრალებდა (ამის დასამტკიცებლად გველს აკბენინა და შემდეგ რაღაც უცნაური რიტუალი ჩაიტარა, რომელშიც გველების ღმერთს ტაკშასას ევედრებოდა, სვამდა წყალს, რომელშიც კრიმუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კას ხის სიკეთე და ძველი ტანსაცმლის ნადუღარი იყო გარეული. თან რაღაც ჯადო სიტყვებს ამბობდა: „არწივმა გარუდამანდმა შხამი დალია, მაგრამ შხამს ძალა არ ჰქონდა. ასევე გამრუდდეს ამ შხამის ძალა, ვითარცა ისრისპირი!“..). პარვათი წყლულებს არჩენდა და თილისმებს აკეთებდა. შელოცვები და ხის რიტუალი იცოდა. ყოველივე ამას პარვათი მეჩეთის კედლებქვეშ ღამღამობით მიმხელდა, მაგრამ ბედნიერი მაინც არ იყო.

და ისევ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. პარვათის მოწყენა ჩემი ბრალია. ოცდახუთი წლის პარვათის ჩემგან მოსმენაზე მეტი რამ უნდოდა. მას სურდა, რომ მასთან ერთად დავწოლილიყავი მის ბუნაგში, რომელსაც მსახიობების სამსულიან ოჯახთან იყოფდა. სამი გოგონა პარვათივით და ჩემსავით ობოლი იყო.

აი, რა გამიკეთა პარვათიმ: თმა ამომიყვანა იქ, სადაც მას მერე არ ამოსულა, რაც ზაგალომ გამპუტა. პარვათის ჯადოქრობით სახეზე დაბადებიდან მოყოლებული ლაქები გამიქრა. თითქოს გაღუნულმა ფეხებმაც გასწორება დამიწყო (ჩემს ყურს ვერაფერი მოუხერხა, რადგან მშობლების ძალას ვერავითარი მაგია ვერ აღმოფხვრის). მე კი ვერ შევუსრულე ის, რაც მას სურდა. ერთად კი ვწვებოდით, მაგრამ მთვარის შუქზე მისი სახე ყოველთვის ჩემი დის სახედ იქცეოდა ხოლმე... არა, ჩემი დის არა... მომღერალი ჯამილას დამახინჯებულ, დაწყლულებულ სახედ. პარვათი ტანზე ეროტიკული სურვილის აღმძრავ ზეთს იცხებდა და თმას ათასჯერ ივარცხნიდა ირმის ძვლის სავარცხლით, რომელიც სექსუალურ გრძნობას ამძაფრებს. ალბათ უჩემოდაც ბევრი სასიყვარულო ჯადოქრობა სცადა. მე ძველი ხიბლის ქვეშ ვიყავი მოქცეული და როგორც ჩანს, იქიდან ველარ გავთავისუფლდი. ალბათ ასე მეწერა და სულ ასე იქნებოდა, რომ ქალი, რომელსაც შევუყვარდებოდი, ჯამილად მომეჩვენებოდა... რომელსაც საზიზღარი სუნი ასდიოდა...

„საწყალი გოგონა“, — ამოიოხრა პადმამ და მეც დავეთანხმე. მაგრამ, სანამ ქვრივი წარსულ-აწმყო-მომავლისგან გამომწრეტს, მანამდე თითბრის მაიმუნის ხიბლში ვარ.

პარვათი მიხვდა, რომ დამარცხდა და ღამღამობით გაბუტვა დაიწყო. ღამით რომ დაიძინებდა იმ ობოლთა ქოხში, დილით ტუჩებგაბუტულსა და ნაწყენს ეღვიძებოდა. ობლებმა შეწუხებულებმა ჰკითხეს, ტუჩებზე რა მოგვიდაო. პარვათი ტუჩების ჩვეულებრივ ფორმაში დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ ვერც კუნთები დაემორჩილა და ვერც



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯადოქრობამ უშველა. ბოლოს ტრაგედიას შეეგუა და დანებდა. რეშამ ბიბი პარვათიზე ამბობდა: ალბათ ღმერთმა სილა სწორედ მაშინ გააწნა, როცა იჭყანებოდაო.

(იმ წელიწადს, შემთხვევით ისე მოხდა, რომ ქალაქის მოდური ქალები სწორედ ასეთი გაბუსხული ტუჩებით დადიოდნენ, რაც ეროტიზმის ნიშანს ატარებდა, ხოლო „ელეგანზა 79“-ის ამპარტავანი მოდელები მოდის ჩვენებებზე ასეთივე გაბუტული ტუჩებით პოზირებდნენ. ამიტომ ჯადოქართა უღატაკეს ჯურღმულში პარვათი მოდაში იყო).

ჯადოქრებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, რომ პარვათი გაეღიმებინათ. ისინი ამისთვის ყველაფერს აკეთებდნენ. საქმესაც ცდებოდნენ, მაგალითად, ვირთხები რომ უნდა დაეხოცათ ან ქარის წაქცეული ქოხი შეეკეთებინათ, ამის მაგივრად პარვათის ამხიარულებდნენ. მაგრამ მაინც ვერაფერმა უშველა. რეშამ ბიბიმ ქაფურის სურნელიანი მწვანე ჩაი მოამზადა და ძალით დაალევინა პარვათის. ჩაიმ პარვათის ცხრა კვირის განმავლობაში შეუკრა კუჭი. შემდეგ ორმა ახალგაზრდა ჟონგლიორმა დაასკვნა, ალბათ პარვათი თავის გარდაცვლილ მამას თავიდან გლოვობსო და გადაწყვიტეს, მამამისის პორტრეტი დაეხატათ ტილოზე, რომელსაც თავთან დაუკიდებდნენ. ობოლი დები ანეკდოტებს უყვებოდნენ, სინგჰი კობრებით მარყუჟებს კრავდა, რომ პარვათი გაემხიარულებინა. არაფერმა უშველა, რადგან თუ პარვათიმ ვერ განიკურნა თავი სიყვარულისგან, სხვები ხომ უფრო უძლურნი იყვნენ. პარვათის მოწყენილობამ გეტო ააფორიაქა.

ბოლოს ისევ რეშამ ბიბი მიხვდა: „რა სულელები ვართ, — უთხრა ფიქჩა სინგჰს, — აქამდე როგორ ვერ მივხვდით, რომ საწყალი გოგონა უკვე ოცდახუთი წლისაა, ბაბა, დაგვიბერდა! ქმარი უნდა ქალს!“ ფიქჩა სინგჰს გაუხარდა და ბიბის უთხრა, — რეშამ ბიბი, რა ცოცხალი ტვინი გქონიაო.

ამის შემდეგ სინგჰმა გადაწყვიტა პარვათისთვის შესაფერისი კაცი მოეძებნა. ბევრ ახალგაზრდას დაადგა თვალი, ზოგი შეაშინა, ზოგი მოთაფლა, ზოგს დაემუქრა. რამდენიმე კანდიდატი გამოჩნდა, მაგრამ პარვათიმ ყველა დაიწუნა და იმ ღამეს, როცა ცეცხლისმჭამელ ბისმილა-ხანს უთხრა, თავიდან მომწყდიო, ფიქჩა სინგჰს სასო წარეკვეთა. იმ ღამით სინგჰმა მითხრა, ეს გოგო მომკლავს. შენი კარგი მეგობარია და რას იტყვი, რა მოვუხერხოთო. მერე უცებ ერთმა აზრმა გაუელვა. საერთოდ სინგჰი პარვათის შესაფერისად არ მთვლიდა ჩემი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მაღალი“ წარმოშობის გამო, მაგრამ ახლა... „ერთი მითხარი, ერთ მშვენიერ დღეს ხომ დაქორწინდები?“ — მკითხა სინგჰმა.

და სალემ სინაი შიშმა შეიპყრო.

„მისმინე, — მეუბნება სინგჰი, — შენ მოგწონს ეგ გოგო, არა?“ მე ტყუილს ხომ არ ვეტყვი: რა თქმა უნდა, მომწონს-მეთქი, ვუთხარი. მაშინ სინგჰმა გამიღიმა და გველების სისინში შემომაპარა: „ძალიან, ძალიან, კაპიტანო?“ მე კი ჯამილას სახე გამახსენდა და სინგჰს ვუთხარი, — ვერ შევირთავ-მეთქი. ფიქჩას სახე მოეღრუბლა: „უკვე გყავს ცოლ-შვილი?“ ამაზე რა ვუპასუხო, აღარ ვიცი და წყნარად, შერცხვენილი ვეუბნები, — მე ვერავის ვერ შევირთავ, ფიქჩა და ბავშვების ყოლაც არ შემიძლია-მეთქი.

ფარდულში ჩამოვარდნილი სიჩუმე გველების სისინმა და მოხეტიალე ძაღლების ყეფამ შეავსო.

„მართლა ამბობ, კაპიტანო? რაიმე სამედიცინო ფაქტორია?“

„დიახ“, — ვპასუხობ.

„არავინ არ უნდა მოიტყუოს ასეთ საქმეში. იმპოტენციის დამალვა ცუდია, ცუდი ნიშანია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

და მე ვისურვე, ნეტავ ნადირ-ხანის, ჰანიფ აზიზისა და გამყინვარებაგამოვლილი მამაჩემის, აჰმედ სინაის ბედი მერგოს-მეთქი და უფრო გაჯავრებულმა მოვიტყუე, — კი ასეა და რას ვიზამ-მეთქი.

„მაშინ კაპიტანო, ღმერთმა უწყის, იმ საწყალ გოგოს რა ეშველება“, — ამოიოხრა სინგჰმა და ხელი შუბლზე მიიკაკუნა.

## ქორწილი

ჯადოქარ პარვათიზე 1975 წლის 23 თებერვალს ვიქორწინე, როცა გეტოში ყოფნის ორი წლისთავი შემისრულდა.

ჰადმა გასაფენი თოკივით დაიძაბა და ისე მკითხა: „იქორწინე? კი მაგრამ წუხელ არ თქვი, რომ არავისზე არ აპირებდი დაქორწინებას? რატომ აქამდე არ მითხარი?“ პარვათის სიკვდილი ხომ ვახსენე-მეთქი, ვუთხარი. ჰადმა ნელ-ნელა მოეშვა, მე კი ვაგრძელებ: „ქალებმა შემქმნეს და ქალებმავე დამარღვიეს. ჰატივცემული დედიდან მოყოლებული ქვრივის ჩათვლით ყოველთვის სუსტი სქესი მმართავდა. ალბათ ასოციაციის ამბავია. განა დედაინდოეთი ქალად არ მოიაზრება? და მერე ვინ გაჰქცევია მას“.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ წიგნში ოცდათორმეტი წლის განმავლობაში არ დავბადებულვარ: მეორე ოცდათერთმეტი წელი მე თვითონ შევასრულე. მაშასადამე, სამოცდასამი წლის განმავლობაში, შუაღამემდე და მის მერეც, ქალებმა ის მიქნეს, რაც მათ სურდათ.

ბრმა მემამულის სახლში ქაშმირის ტბის პირას ნასიმ აზიზმა გახვრეტილი ზეწრის გარდაუვალობა მიანდერძა. იმავე ტბაში აილს ლუბინი ისტორიას შეერია. მე მისი სასიკვდილო განზრახვა არ დამვიწყებია.

სანამ ნადირ-ხანი მიწისქვეშეთში დაიმალებოდა, ბებიაჩემმა იმ ქალთა გაჩენას ჩაუყარა საფუძველი, რომლებიც თავის სახელს იცვლიან (ისინი დღესაც არსებობენ) და ცოტა ნადირშიც ჩაიღვარნენ, რადგან ნადირი ქაზიმად იქცა და პიონერთა კაფეში ხელებაცეკვებული იჯდა. ნადირის წასვლის შემდეგ დედაჩემი მუმთაზ აზიზი ამინა სინაიდ გადაიქცა.

ალია, რომელიც შინაბერულმა წლებმა გაამწარა, იმ სიმწარით გაჯერებულ ტანსაცმელს მჩუქნიდა; ესმერალდა, რომელმაც სუფრა გააწყო და იმ სუფრაზე საწიწაკეები ავამოძრავე.

კიდევ რანიოვქუჩნაჰინი, რომელმაც თავისი ფული მოღიღინე მომღერალ კაცს მისცა, ოპტიმიზმის დაავადება გააჩინა და იმის შემდეგ ის სენი თავს იჩენს ხოლმე. დელის მულსიმანურ კვარტალში შორეული ნათესავის ზორას ფლირტმა მამაჩემში სისუსტე დაბადა ფერნანდებისა და ფლორებისადმი.

ასე იყო ბომბეიშიც, სადაც ვინქის ვანიტამ მეთვოლდის თმის ცდუნებას ვერ გაუძლო; ნასიიხვი ბავშვის პირველად გაჩენის შეჯიბრებაში დამარცხდა. მერი პერეირამ სიყვარულის გულისთვის ბავშვებს სახელები შეუცვალა და ჩემთვის მეორე დედად იქცა...

ქალები, ქალები, ქალები: თოქსი ქეთრექმა ის კარი შეაღო, რომელშიც მერე შუაღამის შვილები შემოვიდნენ. ამინა და მერი ჩემს სიყვარულში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დედაჩემმა რაღაც დამანახვა, სარეცხის კარადაში ჩამალული რომ ვიჯექი. შავმა მანგომ ყნოსვა მაიძულა და ყველაფერი გამოვიდა ჩემი გონებიდან მთავარანგელოზების გარდა!.. ივლინ ლილით ბერნსმა აღმართიდან ველოსიპედიანად ისტორიის შუაგულში მომისროლა.

მანქი არ უნდა დამავიწყდეს.

და მაშა მიოვიკი, მისი გულისთვის თითი რომ დავკარგე; და ბიცოლა ფია, რომელმაც შურისძიების ვნებით აღმავსო; და ლაილა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

საბარმათი, რომლის გაუფრთხილებელმა საქციელმა საშინელი შურისძიება ჩამადენინა.

და მისის დუბაში, რომელმაც ჩემი ნიჭი გამოიყენა და თავისი ვაჟის დახმარებით სუპერმენი ლორდ ხუსრო ხუსროვანდის გმირი შექმნა.

და მერი, რომელიც აჩრდილს ხედავდა.

პაკისტანში — მორჩილებისა და სიწმინდის მიწაზე ვნახე მანქი მომღერლად როგორ გადაიქცა. მომქონდა პური და შემიყვარდა. თვალი თაი ბიბიმ ამიხილა. ჩემი შინაგანი სიბნელის შუაგულში პაფიებს მივუბრუნდი და მაშინ ოქროსკბილებიანი საპატარძლო კინაღამ შევირთე.

ბუდასავით თავიდან დავიწყე, ტუალეტების მწმენდავთან ვიწექი და ამის გამო ელექტრომოშარდვამ მომიწია. აღმოსავლეთში ფერმერის ცოლმა მაცდუნა და ამის შედეგად თავად დრო მოკვდა. სალოცავში სამოთხის ქალწულები ვნახე და იქიდან ძლივს გამოვასწარი.

მეჩეთის ჩრდილში რეშამ ბიბიმ თავისი აზრი გამოთქვა.

და მე პარვათიზე ვიქორწინე.

„უუუფ, ბატონო, რამდენი ქალია!“ — წამოიძახა პადმამ.

და ვეთანხმები. ჯერ სად ვარ, პადმაც კი არ მიმითვლია. პადმა ქორწინებაზე და ქაშმირში წასვლაზე ოცნებობს და ამ ოცნებამ ჩემში შემოაღწია. ნეტავ, ნეტავ-მეთქი ვნატრობ. ბზარებს რომ დავნებდი, მას შემდეგ უკმაყოფილებას, ბრაზს, შიშსა და სინანულს აღარ ვგრძნობ.

დაბოლოს, ქვრივი.

„გეფიცებით ბატონო, მეტისმეტია, მეტისმეტი“, — მუხლზე ხელს ირტყამს პადმა.

როგორ უნდა გავიგოთ ჩემს ქალთა მეტისმეტი სიმრავლე? როგორც ბჰარატ მატას[1] მრავალსახიანობა, თუ როგორც... მაიას დინამიკური ასპექტი და კოსმოსური ენერგია, რომელიც ქალის სახით ვლინდება?

მაიას დინამიკურ ასპექტს შაქტი ჰქვია. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ჰინდუს პანთეონში ღვთაების აქტიური ძალა მის დედოფალშია! აია-შაქტი შობს კიდეც და ახშობს კიდეც ცნობიერებას თავის ოცნებათა ქსელში. მეტისმეტი რაოდენობა ქალებისა — შესაძ-

---

[1] *ბჰარატ მატა (ჰინდუ, სანსკრ.) — ინდოეთის ღვთაება, იგივე დედა-ინდოეთი, უმთავრესად წარმოდგენილია ქალის სახით, იასამნისფერი ან ყვითელი სარით და ხელში დროშით. ზოგჯერ გამოსახულია ლომთან ერთად.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოა ქალღმერთ დევის სახეებია. ვინ არის შაქტი და ვინ განგმირა ბაფალო-დემონი, ვინ დაამარცხა გოლიათი მაჰიშა, ვინ არის კალი, დურგა, ჩანდი, ჩამუნდა, უმა, სათი და პარვათი?.. და თავისი აქტიურობის ფაზაში ვინ იღებება წითლად?

„ამის შესახებ არაფერი ვიცი, — დედამიწაზე მანარცხებს პადმა, — ისინი ხომ მხოლოდ ქალები არიან და მეტი არაფერი".

ფრენა რომ შევწყვიტე, მაშინ გამახსენდა, რაოდენ მნიშვნელოვანია სისწრაფე. ბზარების შემყურე თავს ვანებებ აჩრდილებს და ვიწყებ.

აი, როგორ იყო. როგორ აიღო პარვათიმ ბედი საკუთარ ხელში. ტყუილმა, რომელიც ჩემს ბაგეს დასცდა, ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რომ ერთ ღამეს ტანსაცმლიდან გმირის თმა ამოიღო და იმ თმას რაღაცას ებუტბუტებოდა.

სალემმა რომ უარყო, პარვათიმ მისი ძველი მტერი გაიხსენა, ბამბუკის შვიდკვანძიანი ჯოხი აიღო, ერთ ბოლოში რკინის იმპროვიზირებული კავი მიამაგრა, ვითომ ცალ ხელში ინდირას ჯოხი ეჭირა, მეორეში — თმა და გმირს თავისთან იხმობდა. დიახ, შივას იხმობდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ შივა მართლა მოვიდა.

თავდაპირველად იყო მუხლები და ცხვირი, ცხვირი და მუხლები, მონათხრობში იმ მეორეს გარიყვა მინდოდა (ისევე როგორც ერთ დროს კონფერენციიდან გავრიყე), მაგრამ შივას ვეღარ დავმალავ. 1974 წლის მაისის ერთ დილას (არ ვიცი, მეხსიერება თუ არ მღალატობს, მგონი 18 მაისი იყო), როცა რაჯასტანის უდაბნოში ინდოეთმა პირველი ატომური ბომბი გამოცადა, შივას მოსვლა ჩემს ცხოვრებაში იმ ბომბის აფეთქებას ჰგავდა. შეიძლება, რომ ატომის საუკუნეში ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოხვდე? შივა ჯადოქართა ჯურღმულში მოვიდა, სამხედროჩინიანი უნიფორმა ეცვა, მაიორი იყო. არმიის მოტოციკლით მოვიდა. ხაკის შარვალიც ვერ მალავდა მისი მომაკვდინებელი მუხლების მარწუხებს... ინდოეთის ომის გმირი იყო, მაგრამ ერთ დროს ბანდიტების ბანდას უძღვებოდა ბომბეის ქუჩებში. მოკლულ ქუჩის მეძავებს თხრილებში ნახულობდნენ (ვიცი, ვიცი, არავითარი მტკიცებულება არ არსებობს). შემდეგ კი შივამ ომის სისასტიკის კანონიერება აღმოაჩინა... მაიორ შივას, ვი ვილი ვინქის ვაჟს, მამამისის სიმღერები ახლაც ყურში ჩაესმოდა.

აქ ირონიაა, რომელიც შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს. სალემი რომ დაეცა, სამაგიეროდ შივა ამაღლდა? ვინ იყო ახლა ეს ჯურღმუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლის ბინადარი და რატომ მბრძანებლობდა ასე? ომს ადამიანთა ცხოვრების შეცვლაში ვერაფერი შეედრება... ჰოდა, 18 მაისს, მაიორი შივა ჯადოქართა გეტოში მოვიდა და ამაყი და უცნაური გამომეტყველებით დააბიჯებდა. ამ გამომეტყველებაში იგრძნობოდა ახალაღზევებულთა სიძულვილი ღატაკებისადმი და კიდევ რაღაც უფრო ფარული და საიდუმლო. მაიორი შივა პარვათის ჯადოქრობამ მოიყვანა ჩვენს მოკრძალებულ საცხოვრისში, თუმცა თავად არ იცოდა, რა ძალამ მოიყვანა.

ამას მოჰყვება მაიორ შივას კარიერა, რომლის შესახებ ინფორმაცია პარვათისგან ქორწინების შემდეგ მივიღე. ეტყობა, ჩემი ძველი მეტოქე პარვათის ეტრაბახებოდა თავისი საგმირო საქმეების შესახებ და გული ისე უცემდა, რომ თუ სიმართლეს გადაუხვია, არ გაგიკვირდეთ. თუმცა მის ნათქვამში ეჭვის შეტანის საფუძველიც არა გვაქვს.

ომის დასასრულს, შივას საშინელი საქმეების შესახებ ლეგენდები დადიოდა. ყველგან იყო: გაზეთებში, ჟურნალებში. ამბავმა მდიდართა სალონებშიც შეაღწია და დიასახლისების ყურამდეც მივიდა. ასე რომ, შივას სოციალური სტატუსიც ამაღლდა მის სამხედრო ჩინთან ერთად. ამიტომ ეპატიჟებოდნენ უამრავ წვეულებაზე: ბანკეტებზე, დიპლომატიურ შეხვედრებზე, პარტიის პოლიტიკურ კონფერენციებზე, სკოლის დღესასწაულებსა და მოდურ წვეულებებზე. მდიდრები და წარჩინებულები ტაშს უკრავდნენ. მისი გმირობის ამბები ჰაერში ეკიდა და ყველას თვალწინ ლეგენდარული შივა ედგა. ისინი შივას კი არა, მითს ეხებოდნენ და ელაპარაკებოდნენ. შივა მათთვის ჩვეულებრივი მოკვდავი როდი იყო. ინდოეთის არმიამ, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებდა ხარჯების შემცირების წინააღმდეგ, კარგად იცოდა ასეთი ქარიზმატული ელჩის ფასი და გმირს ნებას რთავდა თავის გავლენიან ფანებში ეტრიალა. შივას ცხოვრება სურვილს შეეუღლა.

დიდი ულვაში მოუშვა, რომელსაც მისი პირადი შიკრიკი სელის ზეთით უპოხდა, რომელსაც ქინძის სუნი ჰქონდა. შივა მდიდართა და გავლენიანთა ოჯახებს სტუმრობდა, პოლიტიკურ მასლაათში ერთვებოდა და თავს ინდირა განდის მომხრედ და თაყვანისმცემლად აცხადებდა, რადგან ინდირას ოპონენტი ბებერი მორარჯი დესაი სძულდა, რომელიც საკუთარ შარდს სვამდა და კანი ბრინჯის ქაღალდივით მომჩვაროდა. ერთ დროს ბომბეის პირველმა მინისტრმა ალკოჰოლური სასმელები აკრძალა და ბანდიტებს ბრძოლა გამოუცხადა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს შივას კარგად ახსოვდა, ამიტომ... შივას ფიქრების დიდი ნაწილი ქალებს ეკავა. ქალები გარს ეხვევნენ. მაშინ სამხედრო გამარჯვებამ საიდუმლო სახელი — „შივა ლეგენდა“ მოიპოვა. ხალხი ჩუმად რაღაცას ჩურჩულებდა. ორი ან სამი ქალბატონი რომ ერთად შეიყრებოდა, ხითხითებდნენ და რაღაცას საიდუმლოდ სისინებდნენ. აი, რას ლაპარაკობდნენ: რომ მაიორი შივა ქალებს აცდუნებდა, მდიდრებს თავზე რქებს ადგამდა, მოკლედ, ულაყი იყო.

სადაც წავიდოდა, ყველგან ქალები იყვნენ ძვირფასი სამკაულებითა და ვნებით ტანდამძიმებულები, რომლებსაც შივას ლეგენდა თვალებს უბინდავდათ. რომ მოესურვებინა კიდეც — ასეთ ქალებს უარს როგორ ეტყოდა. თუმცა უარის თქმის სურვილიც არ გასჩენია. ის მათ პატარა ტრაგიკულ ისტორიებს ყურადღებით უსმენდა, რომ იმპოტენტი ქმრები ჰყავდათ, რომლებიც სცემდნენ ან ყურადღებას აკლებდნენ. მოკლედ, მშვენიერი ქალბატონები ყველაფერს იმიზეზებდნენ, რომ ღალატის მოტივი ჰქონოდათ. შივა ბენზინის სადგურში მჯდარი ბებიაჩემივით ყველას უსმენდა (თუმცა ბებიას ცოდვილი მიზნები არ ამოძრავებდა), ვისკის წრუპავდა კანდელებით აბრიალებულ დარბაზში და ქალთა წამწამის ნარნარითა და ოხვრით ტკბებოდა. დაბოლოს, ქალებს ხან ხელჩანთა უვარდებოდათ ძირს, ან სასმელს აქცევდნენ, ან მის ჯოხს წამოედებოდნენ და ხელიდან გააგდებინებდნენ, რომ შივა ძირს დახრილიყო, სადაც დაინახავდა, რომ ქალის კოხტა ფეხის თითებში სასიყვარულო ბარათი იდო... იმ ხანებში (თუ შივას ნათქვამს დავუჯერებთ) ინდოეთის ცნობილი ქალბატონები საოცრად დაბნეულები გახდნენ. ამბობდნენ, რომ ისინი ღამღამობით თავიანთი საძინებლის ფანჯარასთან ხვდებოდნენ ვიღაცას და ამ დროს მათი ქმრები შორს იყვნენ ზღვაზე სავაჭროდ წასულები. ეს უბედური კაცები რომ სახლიდან წავიდოდნენ, მაიორი შივა მათ სახლებს ეწვეოდა ხოლმე, რომ მათთვის ყველაზე ძვირფასი საკუთრება მოეპარა. მათი ცოლები მის მკვლავებში ნებივრობდნენ. პოპულარობის ზენიტში მაიორის თაყვანისმცემელ ქალთა რიცხვი ათი ათასსაც კი აღწევდა.

და იმ ვნებიანი ღამეების შედეგად ჩნდებოდნენ ბავშვები. ლამაზი ბავშვები მდიდართა აკვნებში უზრუნველად იწვნენ. ომის გმირი მიდიოდა და გზად, ინდოეთის რუკაზე, ნაბიჯვრებს თესავდა. პარვათის უთხრა, რომ ორსული ქალისადმი ინტერესს კარგავდა, როგორი ლამაზი და მიმზიდველიც უნდა ყოფილიყო. მისი ბავშვებით ორსული ქალის საძინებელს სამუდამოდ ტოვებდა. მშვენიერი თვალებაწითლე-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბული ქალები რქიან ქმრებს არწმუნებდნენ, ეს შენი შვილია და მოწყენილი კი არ ვარ, სიხარულის ცრემლები მდისო.

ერთი ასეთი მიტოვებული დედა იყო როშანარა — ბავშვი-მეუღლე ერთ-ერთი მაგნატისა. მაჰალახმის ცხენთა შეჯიბრებაზე ქალმა ქმრის სიამაყეს წერტილი დაუსვა. შივაც იქ იყო. უდარდელად სეირნობდა და ქალების მხრებიდან განზრახ ჩამოვარდნილი შალის ან რაიმე ნივთის ასაღებად იხრებოდა. როშანარა იქ შეხვდა შივას. ჩვიდმეტი წლის ქალის ბავშვურმა წყენამ მაშინ იფეთქა, როცა შივა მას ცივად მიესალმა და გვერდის ავლა დააპირა. ამ დროს ქალმა თავისი ნემსებივით ფრჩხილები მკლავში ჩაასო, ყინულივით ცივად გაუღიმა და მასთან ერთად გაიარა. და სვლის დროს თავისი ინფანტილური შხამი ყურში ჩააწვეთა: უთხრა, სასაცილო ხარო. სიძულვილმა ათქმევინა. მამალივით რომ გაფხორილხარ და დააბიჯებ აქეთ-იქით, ქალები ზურგს უკან დაგცინიან. მაღალი წრის ქალებს პირუტყვებთან, გლეხებთან წოლა გვსიამოვნებს, მაგრამ თქვენზეც იმავეს ვფიქრობთო. ღმერთო ჩემო, რა პირუტყვივით ჭამ, საჭმელი ნიკაპზე ჩამოგდის, ვიცით, რომ ფინჯანი ხელში არასოდეს გჭერია, ვიცით, რომ ხალხში აბოყინებ, ჰაერს აფუჭებ და ეს სასაცილოდ არ გვყოფნისო. შენ ხომ ჩვენი ფინია ხარ, მაიორო, კლოუნი ხარ და შენით ვერთობითო.

როშანარას შემოტევის მერე ომის გმირმა საკუთარ ცხოვრებას სხვა თვალით შეხედა. იმ დღიდან სულ ეგონა, რომ მარაოებს ამოფარებული მოხითხითე ქალები მას დასცინოდნენ. უცნაურ ირიბ მზერას ამჩნევდა, რაც მანამდე არ შეუმჩნევია. საქციელის გამოსწორება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო მოუხეშავი ხდებოდა მისი საქციელი. საჭმელი ისევ მიფრინავდა მისი თეფშიდან და შეუფასებელ ხალიჩებს თხუპნიდა. ისეთი ხმით აბოყინებდა, გეგონება, სადაცაა მატარებელი გვირაბიდან გამოვარდებაო და ჰაერს რომ აფუჭებდა, ტაიფუნის გრგვინვასავით ისმოდა. ბრწყინვალე ცხოვრება დამცირებისა და ტანჯვის წყაროდ ექცა. ახლა იმასაც კი ფიქრობდა, მშვენიერი მანდილოსნები ფეხის თითებში სასიყვარულო ბარათებს იმიტომ იდებდნენ, რომ მაიორი დაეჩოქებინათ... მიხვდა, რომ კაცს ყველა კაცური ღირსება შეიძლება გააჩნდეს, მაგრამ შეიძულებენ იმის გამო, რომ კოზის დაჭერა არ იცის. ამან შივა გააბოროტა და ისევ ის ბრაზი იგრძნო ბობოლებისადმი, რასაც ადრე გრძნობდა. ამიტომ, როცა ძალაუფლება შესთავაზეს, თავპატიჟი გამოიდო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

1974 წლის 15 მაისს მაიორი შივა დელის შტაბს დაუბრუნდა. ამბობდა, სამი დღის მერე ლამბაქისთვალებიანი ლამაზმანის კვლავ ხილვის სურვილი გაუჩნდა. პირველად შივა და პარვათი შუაღამის კონფერენციაზე შეხვდნენ ერთმანეთს. კუდიანმა მაცდურმა სთხოვა, კულული მაჩუქეო. მაიორმა შივამ პარვათის უთხრა, აქ იმიტომ მოვედი, რომ იმ მდიდარ ძუკნებთან საქმე ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოო. ისიც უთხრა, თვალი დაგადგი, როგორც კი დაგინახეო და სთხოვა, გამომყევიო. მე უკვე დიდსულოვნად მოვიქეცი, რომ შივას ამდენი დრო დავუთმე, ამიტომ აქვე გულახდილად ვიტყვი, რომ მუხლებმარწუხა შივა გეტოში პარვათის ჯადოქრობამ მოიყვანა.

სალემი იქ არ დახვდა. რაჯასტანის მდელოები ატომურმა აფეთქებამ შეძრა, ხოლო ჩემი ცხოვრება შეცვალა ძვრამ, რომელიც ჩემს იქ არყოფნაში მოხდა. შივამ პარვათის მაჯაში რომ წაავლო ხელი, ამ დროს მე და ფიქჩა სინგჰი წითლების კონფერენციაზე გახლდით და სარკინიგზო გაფიცვის შედეგებზე ვმსჯელობდით. იმ დროს, როცა პარვათი გმირის „ჰონდაში“ ჩაჯდა, მე მთავრობას პარტიის ლიდერთა დაპატიმრებაში ვამხელდი. მოკლედ, სანამ მე ერის გადარჩენაზე ვფიქრობდი, პარვათის ჯადოქრობამ ის გეგმა აამუშავა, რომელიც ინით მოხატულ ხელისგულებს, სიმღერებსა და კონტრაქტის ხელმოწერებს მოიტანდა.

...შივას მონათხრობს დავენდობი. შივაზე უკეთ ვინ იტყვის, თავს რა გადახდა. პარვათის წასვლა რეშამ ბიბიმ შემატყობინა: „საწყალი გოგო, წავიდეს, ისეთი მოწყენილი იყო, რა მისი ბრალია?“ მხოლოდ პარვათი თუ მეტყოდა, სად წავიდა.

მაიორი ომის გმირი იყო და სამხედრო თავისუფლებით სარგებლობდა. ამიტომ არავინ ჰკითხავდა, ქალი რატომ მოიყვანეო. ასე რომ, შივა მოწნულ სკამზე დაჯდა და პარვათის მიენდო, რომელმაც ფეხსაცმელი გახადა, ფეხები დაუზილა, ლაიმისწვნიანი წყალი მოუტანა, შიკრიკი გააშვებინა, ულვაშზე სურნელოვანი ზეთი ცხო, მუხლებზე მოეფერა და ისეთი სადილი მოუმზადა, რომ შივამ გაოცების ნაცვლად ისიამოვნა. პარვათიმ სამხედრო შტაბი სასახლედ აქცია — ღმერთი შივა კაილასას სასახლეში! მაიორი გოგონას თვალთა გუბეში ჩაიკარგა და მისმა ტუჩებმა ისეთი ძალით აღაგზნო, რომ შემდეგი ოთხი თვის განმავლობაში პარვათისთვის ყურადღება არ მოუკლია. ანუ, ზუსტად რომ ვთქვათ, ას ჩვიდმეტი ღამის განმავლობაში. მაგრამ, 12 სექტემბერს ვითარება შეიცვალა, რადგან მის ფეხებთან დაჩო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქილმა პარვათიმ, რომელმაც კარგად იცოდა შივას აზრი, უთხრა, რომ მისგან ბავშვს ელოდა.

ჰოდა, ქარიშხალი ამოვარდა შივასა და პარვათის შორის, რასაც ცემა-ტყეპისა და თეფშების მსხვრევის გარეშე არ ჩაუვლია... ეს იყო ღმერთთა საქორწინო ჩხუბის მარადიული ექო, რომელიც ახლა კაილასას მთაზე იმ ღმერთთა სეხნიებმა ჩაიდინეს.. შივამ სმა და მეძავებთან სიარული დაიწყო. მეძავთა კვალმა იგივე გზა განვლო, რაც ერთ დროს სალემ სინაის ლამბრეტამ კარაჩის ქუჩებში. შივა, რომელმაც მდიდართა საზოგადოებაში პიროვნულობა დაკარგა, ახლა სიამოვნებისთვის ფულს იხდიდა. მისი ფენომენალური ნაყოფიერების შედეგად (ასე უთხრა პარვათის, როცა სცემდა) ბევრ მეძავს ცხოვრება დაუნგრია, რადგან ისინი მისგან დაორსულდნენ და ბავშვი, რომელიც გააჩინეს, ისე უყვარდათ, რომ ვერ გაწირავდნენ. ასევე ისიც უთხრა, რომ ქუჩის ბავშვების მამა იყო და მდიდარ ქალბატონებსაც შვილები მისგან ჰყავდათ.

პოლიტიკური ცა ღრუბლებით მოიქუფრა: ბიჰარში კორუფცია, ინფლაცია, შიმშილი, უცოდინარობა და უსახლკარობა რომ გამეფდა, ჯაია ნარაიანმა სტუდენტთა და მუშათა კოალიცია შეკრიბა და ინდირას კონგრესს დაუპირისპირდა. გუჯარათში აჯანყებები დაიწყო: წვავდნენ მატარებლებს. მორარჯი დესაი კორუმპირებულ მთავრობას დაუპირისპირდა ისე, რომ სიკვდილისთვისაც მზად იყო... თქმა არ უნდა, რომ ისე გაიმარჯვა, სიკვდილი არ დასჭირვებია. მოკლედ, შივას გონებაში რომ ბრაზი მძვინვარებდა, ქვეყანაც მრისხანების ტალღას მიჰქონდა. ქვეყანაც პარვათივით ორსული იყო და რა დაიბადა? პასუხი იცით: 1974 წელს ნარაიანმა და მორარჯი დესაიმ ოპოზიციური პარტია შექმნეს, სახელწოდებით: „ხალხის ფრონტი“. იმ დროს, როცა მაიორი შივა მეძავიდან მეძავზე რეტდასხმულივით გადადიოდა, ინდირას კონგრესიც რეტდასხმული იყო.

დაბოლოს, პარვათიმ შივას ჯადო ახსნა (ამას სხვა ახსნა არ მოეძებნება, რადგან თუ შივა მოჯადოებული არ იყო, მაშინ რატომ არ გააგდო პარვათი? და ჯადო რომ არ აეხსნათ, მაშინ ამას საერთოდ როგორ იზამდა?). თითქოს ახლა გამოიღვიძაო, შივამ მუცელგამობერილი პარვათი შეამჩნია და იგი მისთვის საშიში გახდა. პარვათი მისი ბავშვობის დროინდელ ჯურღმულთა განსახიერებად იქცა: იმ ჯურღმულებს ხომ გამოექცა და ახლა ამ წყეული ბავშვით მუცელგაბერილი ქალი ისევ უკან ექაჩებოდა და ექაჩებოდა... შივამ პარვათის



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თმაში წაავლო ხელი და მოტოციკლეტისკენ წაათრია... ცოტა ხანში ჯადოქართა გეტოსთან იდგა მიტოვებული პარვათი, რომელმაც ის მოიტანა, რაც აქედან წასვლისას არ წაუღია — ბავშვი, რომელიც მის მუცელში ისე იყო ჩამალული, როგორც უჩინარ კალათში და რომელიც იზრდებოდა და იზრდებოდა... პარვათიმ გაიმარჯვა. ისე მოხდა, როგორც მას სურდა.

ამას რატომ ვამბობ? — იმიტომ, რომ სიმართლეა. პარვათი დაორსულდა და ამით ჩემზე იძია შური. მაგრამ მე მხოლოდ აღვწერ, შეფასება მომავლისთვის მიმინდვია.

ჰოდა, იანვრის ერთ ცივ დღეს ისე ციოდა, რომ ყველაზე მაღალი მინარეთიდან მუეძინს ყვირილი ტუჩებზე მიეყინა და მერე თოვლის სახით დაეფინა ქალაქს. სწორედ იმ დღეს დაბრუნდა პარვათი. ახალი, სუფთა სამოსი ეცვა და სამოსქვეშ მუცელი ეტყობოდა. ტუჩები ისევ ჩვეულ ფორმაში ჩამდგარიყვნენ. ლამბაქის თვალებიდან ზიზღი გამოკრთა, როცა მიხვდა, რომ მისი მდგომარეობა ყველამ შეამჩნია და რომ ტრიუმფი ელოდა. აი, მაშინ ვნახე პარვათი, სინგჰთან ერთად რომ დავბრუნდი. აფორიაქებული ვიყავი. ხელები გაბერილ მუცელზე შემოეწყო და გრძელ თმაზე ნიავი ელამუნებოდა. ხასიათი წამიხდა.

მე და სინგჰი ფოსტის უკან ქუჩებში დავხეტიალობდით, სადაც გარდასული მკითხავების, ცირკის მსახიობებისა და ექიმბაშების სული ისევ ტრიალებს და აქ ფიქჩა სინგჰმა ისეთი წარმოდგენა აჩვენა, რომელსაც პოლიტიკური ელფერი ჰქონდა. მისმა ლეგენდარულმა არტისტიზმმა კეთილგანწყობილი ბრბო მოიზიდა. სინგჰმა გველები სალამურით ააცეკვა და თავისი სათქმელი იმ ცეკვით ათქმევინა. მე კი, მისმა შეგირდმა, მოშზადებული მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოვთქვი, რაც გველების ცეკვამ და სისინმა უფრო გაამძაფრა. ვლაპარაკობდი იმაზე, თუ როგორ არასამართლიანადაა სიმდიდრე განაწილებული და რამდენი ბოროტება ხდება. ორმა კობრამ განასახიერა ძუნწი მდიდარი, რომელიც მათხოვარს დახმარების ხელს არ უწვდის. ვლაპარაკობდი პოლიციის სისასტიკეზე, შიმშილზე, ავადმყოფობებზე, სულიერ სიბნელეზე და გველები ჩემს ნათქვამს ასახიერებდნენ. ფიქჩა სინგჰი წითელ რევოლუციაზე ალაპარაკდა, ჰაერი დაპირებებმა აავსო და სანამ პოლიცია მოვიდოდა, რომ ეს თავყრილობა რკინის ხელკეტებითა და ცრემლმდენი გაზით დაერბია, ვიღაც ხუმარებმა მსოფლიოში ყველაზე მომნუსხველ კაცს კითხვები დააყარეს. ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც გველების ბუნდოვანმა მოძრაობამ დააბნია,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სინგჰს დაუყვირა: „ოჰე, ფიქჩა, შენ მთავრობაში უნდა იყო, შენნაირ დაპირებებს ინდირაც კი არ იძლევა!“

შემდეგ ცრემლმდენი გაზი შეგვაფრქვიეს და ყველანი გავიქეცით. დამნაშავეებივით გავრბოდით და თან ვყვიროდით, მაგრამ ეს ყვირილი ყალბი იყო (როგორც ერთხელ ჯალანვალას ბაღში მოხდა, თუმცა ახლა ტყვიები მაინც არ დაუშენიათ ჩვენთვის). ცრემლები მართლა გაზმა გამოიწვია. მაგრამ სინგჰს იმ ბიჭის ხუმრობანარევმა რეპლიკამ საქციელი წაუხდინა, რადგან იმ კითხვაში სინგჰმა ამოიკითხა ეჭვი, რომ ის რეალობას ისე ვერ ფლობდა, როგორც საჭირო იყო. არადა, სინგჰი ხომ იმით ამაყობდა, სინამდვილე ორივე ხელით ჩაბღუჯული მყავსო. ჯოხებისა და გაზის შემდეგ მეც მწყობრიდან გამოვედი. მუცელს მოუსვენრობის ჩრჩილი მიხრავდა. მივხვდი: სინგჰმა რომ მდიდართა სისასტიკის სურათი წარმოსახა, იმ სურათში მეც ვერიე. ჩემთვის ვფიქრობდი: „ცუდი და კარგი ყველგან არის: იმათ აღშზარდეს, მომიარეს!“ ამის მერე იმასაც მივხვდი, რომ მერის დანაშაულმა ერთი კი არა — ორი სამყაროსგან მომწყვიტა და გამაუცხოვა. ბიძაჩემის სახლიდან გამოძევებული, სინგჰის სამყაროში ვერ დავმკვიდრდებოდი. ქვეყნის ხსნის ოცნება ხომ რაღაც არარსებული, წარმავალი ბოდვა იყო ერთი სულელი ბიჭისა.

და მერე უცებ, ზამთრის ერთ ცივ დღეს, პარვათი შეცვლილი სახით მოგვევლინა.

უნდა ვიჩქარო, თორემ ყველაფერი ფიქრიდან უსხლტება ჩემს მეხსიერებას. საშინელი დღე იყო. იმ დღეს, თუ მეორე დღეს, — აღარ მახსოვს — რეშამ ბიბი მკვდარი ვიპოვეთ საკუთარ ქოხში, რომელიც ყუთებისგან შეეკოწიწებინა. სიცივისგან გათოშილიყო და გალურჯებულიყო კრიშნასავით, ქრისტესავით და კიდევ ქაშმირის ცასავით, რომელიც ზოგჯერ თვალებში იღვრება. მისი ცხედარი ჯამუნას ნაპირზე დავწვით კამეჩებისა და ჭაობიანი მიწის გარემოცვაში. რეშამ ბიბი ჩემს ქორწილს ვერ მოესწრო. მოხუცებს ხომ უყვართ საქორწინო ცერემონიალი. ბიბიც ალბათ მრავალჯერ დასწრებია ქორწილს და უმღერია კიდეც სიმღერა, რომელშიც პატარძლის მხარე სიძის მხარეს ამასხარავებს. ერთხელ სიძე ისე შეურაცხყო, რომ ეს უკანასკნელი ქორწილიდან გაიქცა. მაგრამ რეშამმა იხტიბარი არ გაიტეხა. პირიქით, ის თქვა, რა ჩემი ბრალია თუ დღევანდელი კაცები წიწილებივით მხდალები არიანო.

პარვათის არც წასვლა გამიგია და არც მოსვლა და ერთი უცნაუ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რი ფაქტი კიდევ მოხდა... თუ სწორად მახსოვს... პარვათი რომ დაბრუნდა, იმ დღეს ინდოეთის რკინიგზის მინისტრი მატარებელში იჯდა, როცა სამასტიპურთან ბომბი აფეთქდა და მინისტრი ისტორიის წიგნში შეაფრინა. პარვათი მაშინ დაბრუნდა, როცა რკინიგზისა და კორუფციის მინისტრმა ეს ქვეყანა სამუდამოდ დატოვა. ცუდის მაუწყებელი ნიშნები მრავლად იყო... ბომბეიში მუცელამობრუნებული მკვდარი თევზები ზღვამ ნაპირზე გამორიყა.

რესპუბლიკის დღე, 26 იანვარი ილუზიონისტებისთვის კარგი დროა. როცა ხალხი სპილოებისა და ფეიერვერკების სანახავად მოდის, ქალაქის ჟონგლიორები პურის ფულის საშოვნელად გადიან. ჩემთვის ამ დღეს სულ სხვა დატვირთვა აქვს. სწორედ რესპუბლიკის დღეს შევეუღლე ჩემს ბედს.

პარვათის რომ ჩაუვლიდნენ, გეტოს მოხუცი ქალები ყურებზე ხელს იკიდებდნენ ნიშნად იმისა, რომ პარვათიმ სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. უკანონო შვილს ატარებდა და სინდისის ქენჯნას სრულებით არ გრძნობდა. გულუბრყვილოდ გაიღიმებდა და ჩაივლიდა. მაგრამ რესპუბლიკის დღეს გაიღვიძა და კარზე თოკით ჩამოკიდებული დახეული ფეხსაცმელები იხილა. პარვათი მწარედ ატირდა, რადგან ეს უდიდესი შეურაცხყოფა იყო მისთვის. ფიქჩა სინგჰი და მე გველებით სავსე ქოხიდან გამოვედით და პარვათი ამ გასაჭირში ვიხილეთ. ფიქჩას ყბები დაეძაბა, თითქოს რაღაც გადაწყვეტილებას იღებსო და მითხრა: „კაპიტანო, ქოხში შევბრუნდეთ, სალაპარაკო მაქვს“.

ქოხში სინგჰმა მითხრა: „საშინელებაა, რომ ადამიანმა მთელი ცხოვრება უშვილოდ გაატაროს, ალბათ როგორი დარდიანი ხართ ამის გამო, არა?“ მე კი ტყუილი მქონდა ნათქვამი, იმპოტენტი ვარმეთქი, ამიტომ ვერაფერი ვუთხარი და გავჩუმდი. სინგჰმა პარვათიზე დაქორწინება მირჩია, რაც პარვათის ღირსებას აღუდგენდა და მე კი ბავშვით დამაჯილდოებდა. შიშის მიუხედავად, რომ ისევ ჯამილას სახე არ მომლანდებოდა, დავთანხმდი.

ჰოდა, პარვათის გეგმა ახდა: როგორც უნდოდა, სწორედ ისე მოხდა. რა თქმა უნდა, დამთანხმდა, რომ ჩემი ცოლი გახდებოდა და იმის შემდეგ რესპუბლიკის დღესასწაული ყოველთვის კარგ ასოციაციებს იწვევს, რადგან თითქოს ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ ხდება. გონებაში ის აზრი მიტრიალებდა, რომ ბედი, გარდაუვალობა და არჩევანის აკარგიანობა განკარგავდა ჩემს ცხოვრებას. ისევ და ისევ უნდა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაბადებულიყო ბავშვი, რომელიც ჩემი შვილი არ იქნებოდა, მაგრამ ჰოი, ბედის ირონიავ, ეს ბავშვი ხომ ჩემი მშობლების ნამდვილი შვილიშვილი იყო! გენეალოგიათა ლაბირინთმა დამატყვევა. ალბათ ისიც კი გავიფიქრე, ნეტა რა მთავრდება, რა იწყება და ამ ბავშვის დაბადებით ბედი რა ხრიკს მიმზადებს-მეთქი.

ქორწილმა რეშამ ბიბის გარეშე ჩაიარა. პარვათი ფორმალურად მოექცა ისლამზე (ეს სინგჰს აღიზიანებდა, მაგრამ მე დავიჩემე). ნათლობა აღასრულა ჟღალწვერა ჰაჯიმ, რომელიც ამდენ უღმერთოს ერთად პირველად ხედავდა და აფორიაქდა. ჰოდა, იმ ჰაჯიმ, წვერიან ხახვს რომ ჰგავდა, პარვათის უკარნახა და ამ უკანასკნელმა გაიმეორა, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალაჰისა და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველიო. პარვათის ახალი სახელი ჩემი ოცნებების საცავიდან შევურჩიე და ლეილა შევარქვი, რაც ღამეს ნიშნავს. მაშასადამე, ჩემი ისტორიის მბრუნავ მორევში პარვათიც ჩავიყოლე და იმ ადამიანთა ექოდ ვაქციე, ვისაც კი ოდესმე საკუთარი სახელი შეუცვლია... დედაჩემივით, ამინა სინაივით, ჯადოქარმა პარვათიმ სახელი ბავშვის გულისთვის შეიცვალა.

საქორწინო რიტუალის დროს ჯადოქრების ნაწილმა ჩემი ოჯახის წევრების როლი შეასრულა, ხოლო მეორე ნაწილმა პარვათის ოჯახის მაგივრობა გასწია. მხიარული სიმღერები გაისმოდა, სანამ პარვათის ხელებსა და ფეხებზე ინის საღებავის მშვენიერი მოხატულობა შრებოდა. რეშამ ბიბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხუმრობა მაშინ გენახათ, მაგრამ არა უშავს. საქორწინო რიტუალის დროს ბედნიერი წყვილი დაგვსვეს სცენაზე, რომელიც ნაჩქარევად შეაკოწიწეს ყუთებისა და რეშამ ბიბის დანგრეული ფარდულისგან. ჯადოქრები წრეს გვარტყამდნენ და კალთაში წვრილ ხურდას გვიყრიდნენ. როცა ლეილა სინაის გული წაუვიდა, არავის გაჰკვირვებია, რადგან ყველა კარგ პატარძალს ქორწილზე გული უნდა წაუვიდეს. არავის უხსენებია პატარძლის უხერხული მდგომარეობა, რის გამოც შესაძლოა გული აერია ან აუტანელმა ტკივილმა შეაწუხა იმის გამო, რომ მუცელში ბავშვი გაინძრა. იმ საღამოს ჯადოქრებმა ისეთი შოუ მოაწყვეს, რომ მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა. უამრავი მაყურებელი მოზღვავდა, მუსლიმი ბიზნესმენებიც კი დაესწრნენ წარმოდგენას, რომლებიც ქალაქის იმ უბნიდან მოვიდნენ, სადაც ოდესღაც საჯარო განაცხადი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაკეთდა. აქ იყვნენ ასევე ოქრომჭედლები, ქორვაჭრები, იაპონელი ტურისტები. ამ უკანასკნელთ სამედიცინო პირბადეები ეკეთათ, რომ მიკრობები არ გაემრავლებინათ. თეთრკანიანი ევროპელები იაპონელებთან ერთად იდგნენ და ვიდეოკამერებზე მსჯელობდნენ. ერთმა ტურისტმა მითხრა, ინდოეთი შესანიშნავი ტრადიციების მქონე ქვეყანაა, თუმცა სულ ინდური სამზარეულო მოსაწყენიაო. კონსუმაციის[1] ცერემონიაზე (ამ შემთხვევაში არავითარი სისხლიანი ზეწარი არ აფრიალდებოდა, მათ შორის არც ნახვრეტიანი. ჩვენი საქორწინო ღამე თვალდახუჭულმა და ცოლისგან გამანძილებულმა გავატარე, რომ მომღერალი ჯამილას სახე იმ სიბნელის ყიამეთში ისევ არ მომლანდებოდა) ჯადოქრებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს.

მაგრამ, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, მაშინ მომავლის წიკწიკის ხმა გავიგონე (ერთი ყრუ და მეორე საღი ყურით). წიკწიკი უფრო და უფრო ხმამაღლა ისმოდა, სანამ სალემ სინაისა და ბავშვის მამის დაბადება 25 იანვარის ღამის მოვლენებში არ აირეკლა.

სანამ უჩინარი მკვლელები მთავრობის წევრებს ხოცავდნენ და განდის მიერ პირადად არჩეული მთავარი მოსამართლე, რეიც კინაღამ იმსხვერპლეს, ჯადოქართა გეტოს პარვათის გაბერილი კალათი აღელვებდა.

სანამ ხალხის ფრონტი სხვადასხვა მიმართულებით გაიშალა და კავშირი მაოისტ კომუნისტებთანაც დაამყარა (ქორწილის შემდეგ ჩვენ ახალ ქოხში გადავედით, რომელიც გეტოს წევრებმა საჩუქრად მოგვართვეს. ის რეშამის ქოხისგან ააგეს) და ექსტრემისტ ანანდა მარგის მემარჯვენე წევრებთანაც. შემდეგ ხალხის ფრონტს მემარცხენე სოციალისტებიც შეუერთდნენ და კონსერვატორ სვატანტრას წევრებმაც შეავსეს მისი რიგები... სანამ სახალხო ფრონტი იზრდებოდა, მე გაოცებული შევყურებდი ცოლის მუცელს და ვნატრობდი, ნეტავ მაცოდინა, იქ ვინ ზის-მეთქი.

ინდირას კონგრესს ბუზივით გასრესა ელოდა იმის გამო, რომ ხალხი უკმაყოფილო იყო. ახალგამოჩეკილ ლეილა სინაის თვალები უფრო გაუფართოვდა და ქვასავით გაშეშებული ოჯდა. ბავშვი კი ისე

---

[1] *კონსუმაცია (ლათ.) — ღამის კლუბებში, რესტორნებსა და მსგავს დაწესებულებებში ვიზიტიორთა მიზიდვა. კონსუმაციას უმეტეს შემთხვევაში აწარმოებენ ახალგაზრდა, მომხიბვლელი გოგონები. აქ: ტერმინს სავარაუდოდ, მწერალი გადატანითი მნიშვნელობით იყენებს.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იზრდებოდა მუცელში, რომ სადაცაა ძვლებს დაუმსხვრევდა. მაშინ ფიქჩა სინგჰმა თქვა: უჰ, კაპიტანო, რამხელა ბავშვი იბადებაო.

თორმეტი ივნისი იყო.

ისტორიაში, გაზეთებში წერია, რომ 12 ივნისს, დღის ორ საათზე უმაღლესმა სასამართლომ, პრემიერ-მინისტრ ინდირა განდის განაჩენი გამოუტანა. დამნაშავედ ცნეს. 1971 წლის არჩევნების გაყალბება დაბრალდა. რაც უწინ არ გამჟღავნებულა, ის იყო, რომ ზუსტად დღის ორ საათზე პარვათის (აწ უკვე ლეილა სინაის) მშობიარობა დაეწყო.

პარვათი-ლეილას მშობიარობამ ცამეტ დღეს გასტანა. პირველ დღეს აუტანელი ტკივილები დაეწყო, მაგრამ ბავშვი გარეთ გამოსვლას არ აპირებდა. ამასობაში პრემიერ-მინისტრმა გადადგომაზე უარი განაცხადა, თუმცა ბრალდება მანდატის ჩამორთმევასა და ექვსი წლით სახელმწიფო სამსახურისგან თავის არიდებას ითვალისწინებდა. სალემ სინაისა და ფიქჩა სინგჰს ქოხში არ უშვებდნენ ობოლი დები, რომლებიც ბებიაქალის როლს ასრულებდნენ. პარვათი-ლეილას უღონო კივილმა ცეცხლისმჭამელები და ჟონგლიორები მის ქოხთან შეკრიბა. ისინი სინგჰსა და სალემს ზურგზე ხელს უთათუნებდნენ და ბინძურად ეხუმრებოდნენ. წიკწიკის ხმა მხოლოდ ჩემს ყურებს ესმოდა... უკუთვლა ღმერთმა უწყის, საითკენ მიემართებოდა... შიშმა შემიპყრო და სინგჰს ვუთხარი, არ ვიცი, ამისგან რა გამოვა, მაგრამ კარგი არაფერი იქნება-მეთქი. სინგჰმა დამამშვიდა: „ნუ ნერვიულობ, კაპიტანო, ყველაფერი კარგად იქნება, დიდი ბავშვი დაიბადება, აი, ნახავთ!“ პარვათი კიოდა და კიოდა. ღამე დღედ იქცა. მეორე დღეს, როცა გუჯარათში სახალხო ფრონტმა ქალბატონი განდის საარჩევნო კანდიდატურა დაამარცხა, ჩემი პარვათი საშინელი ტკივილისგან გაშეშდა, მე კი ბავშვის დაბადებამდე ჭამაზე უარი განვაცხადე. რაც მოხდებოდა, მოხდებოდა. ქოხის გარეთ ფეხებგადაჯვარედინებული ვიჯექი, ვკანკალებდი და ღმერთს ვევედრებოდი, არ მოკვდეს, არ მოკვდეს-მეთქი. თუმცა ცოლქმრული კავშირი არასოდეს მქონია მასთან. ჯამილას აჩრდილის მიუხედავად, ვლოცულობდი და ვმარხულობდი, რომ პარვათი გადარჩენილიყო. სინგჰი მევედრებოდა, რამე შეჭამეო, მე კი უარზე ვიდექი და ბოლოს და ბოლოს, მეცხრე დღეს გეტო ისეთმა საშინელმა სიჩუმემ მოიცვა, რომ მუეძინის ხმაც კი დაჩრდილა. ისეთი ძალები ამოქმედდნენ, რომ სახალხო ფრონტის დემონსტრანტთა ღრიალიც ჩააჩუმეს პრეზიდენტის სახლთან. შიშნარევ სი-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუნჯეს ისეთივე მაგია ახლდა, როგორიც იმ დიდ სიჩუმეს, ერთ დროს ჩემი წინაპრების სახლში რომ ჩამოწვა. მეცხრე დღეს აღარ გვესმოდა მორარჯი დესაის ყვირილი, პრეზიდენტ აჰმადს რომ უყვიროდა, მოაშორე ეგ უნამუსო პრემიერ-მინისტრიო. ყველაფერი მიჩუმდა და ამ სიჩუმეში მხოლოდ პარვათი-ლეილას ღონემიხდილი კვნესა ისმოდა, რადგან ჭინთვები ისე გაუხშირდა, რომ ბოლოს მთასავით დააწვა. ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს საშველად გვიხმობსო. მე ისევ ფეხმორთხმული ვიჯექი და მისი აგონიისგან დაშლილ-დარღვეულს საათის დაუდუმებული წიკწიკი ჩამესმოდა და ტვინს მიბურღავდა. ქოხში მსახიობი დები პარვათის ტანზე წყალს ასხამდნენ, რომ სითხის ბალანსი შეევსოთ, რადგან პარვათის სხეული სითხეს შადრევანივით ღვრიდა. კბილებშუა ჯოხი ჩაუდეს, რომ ენა არ მოეკვნიტა, ხოლო ქუთუთოებს ხელებით უკავებდნენ, რომელიც ისე გაუფართოვდა, სადაცაა თვალები ამოსცვივდებოდა. მეთორმეტე დღეს შიმშილისგან ნახევრად მკვდარი რომ ვიყავი, თურმე ამ დროს სასამართლომ ქალბატონ განდის განუცხადა, რომ გადადგომა საჭირო არ იყო, თუმცა ვერც არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას და ვერც ხელფასს აიღებდა. პრემიერ-მინისტრმა ისეთი სიტყვებით გამოლანძღა თავისი ოპონენტები, რომ ქოლელი მეთევზე ქალებიც კი აღფრთოვანებული დარჩებოდნენ. აქ კი პარვათი მშობიარობის ბოლო ფაზაში შევიდა და მისი ქანცგამოლეულობის მიუხედავად, გალურჯებული პირიდან ისეთი საზიზღარი სიმყრალის მქონე გინებათა კორიანტელი დააყენა, რომ ყველას გული აერია. სამი ილუზიონისტი გაიქცა. პარვათი გაიჭიმა, გაუფერულდა და გამჭვირვალე გახდა. შეგეძლო მის გამჭოლ გაგეხედა და თუ ახლავე არ გააჩენდა ბავშვს, მოკვდებოდა. ყურებში წიკწიკი ჩამესმოდა. დიახ, მალე რაღაც უნდა მომხდარიყო. მეცამეტე დღეს, როგორც იქნა, ბავშვი წამოვიდა და სანამ დედა იჭინთებოდა, ამასობაში ნარაიანი და მორარჯი დესაიც განდის გაძევებისთვის იბრძოდნენ. ობოლი გოგონები რომ პარვათის აქეზებდნენ, გაიჭინთე-გაიჭინთეო, ამ დროს სახალხო ფრონტის ლიდერები პოლიციასა და ჯარს მოუწოდებდნენ, პრემიერ-მინისტრის უკანონო ბრძანებებს არ დაემორჩილოთო. საღამო ღამემ შეცვალა და ღამე ის დროა, როცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს... გოგონებმა იკივლეს, გამოჩნდა-გამოჩნდაო... და იქით პრემიერ-მინისტრიც შობდა საკუთარ... გეტოში ქოხის გვერდზე ფეხმოთხმული და მშიერი ვიჯექი და ჩემი ვაჟი მოდიოდა და მოდიოდა... თავი გამოჩნდაო, იწივლეს დებმა... იქით



www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი პოლიციამ სახალხო ფრონტის თავები დააპატიმრა, მათ შორის უმიხრწნილესი და თითქმის მითოლოგიური მორარჯი დესაი და ნარაიანი... მიდი, მიდი, მიდი... და იმ საშინელ შუაღამეს, როცა ჩემს ყურში დრო ხმაურობდა, ბავშვი დაიბადა. ბოლო წუთს ისე იოლად გამოვიდა დედის საშოდან, რომ გაუგებარი იყო ამდენი ალიაქოთი რისთვის დასჭირდა. პარვათიმ უკანასკნელად დაიკივლა და ბავშვიც გამოხტა... მთელ ინდოეთში პოლიცია ოპოზიციის ლიდერებს აპატიმრებდა, გარდა პრომოსკოვურად განწყობილი კომუნისტებისა... ყველას, ყველას: სკოლის მასწავლებლებს, ადვოკატებს, პოეტებს, გაზეთის რედაქტორებს... მოკლედ ყველას, ვინც ერთხელ მაინც დააცემინა მაშინ, როცა ქალბატონი მინისტრი სიტყვას წარმოთქვამდა... გოგონებმა ბავშვი დაბანეს, ძველ სარიში შეახვიეს და მამამისს გაუყვანეს... სწორედ ამ დროს ახსენეს პოლიტიკოსებმა, როგორ ირღვეოდა სამოქალაქო უფლებები, როგორი შეზღუდული იყო პრესა და როგორი მობილიზებული შეიარაღებული სპეცჯგუფი, თუ ჯგუფები, რომლებიც ხალხს აპატიმრებდნენ. რაღაც დასასრულს მიუახლოვდა და რაღაც თავიდან დაიბადა. ახალი ინდოეთის გაჩენის ღამეს, რომელიც ორ წელიწადს გაგრძელდა, ქვეყანას ჩემი ვაჟი — განახლებული წიკწიკის შვილი მოევლინა.

მეტიც: იმ უსასრულო შუაღამის მკრთალ სინათლეზე სალემ სინაიმ თავისი ვაჟი პირველად დაინახა და სიცილი აუტყდა. ტვინს შიმშილმა და კიდევ იმ აზრმა შემოუტია, რომ ბედმა კიდევ ერთხელ გაამასხარავა. ისეთი მისუსტებული ვიყავი, რომ კი არ გავიცინე, სკოლის ბავშვივით ავკისკისდი. სინგჰმა შემაფხიზლა: „კარგი, უფროსო, გიჟივით ნუ იქცევით! ბიჭია, ბედნიერი უნდა იყოთ!“ მაგრამ სალემი ისევ ისტერიკულად იცინოდა თავის ბედზე, რადგან ვაჟი — ადამი, ადამ სინაი, ნამდვილი სრულყოფილება იყო, ყურებს თუ არ ჩავთვლით. აი, ყურები კი აფრასავით ჰქონდა გაშლილი და ისეთი უზარმაზარი, რომ როცა დედის საშოდან გამოძვრა, გოგონებს პატარა სპილო ეგონათ.

„...ჰეი, სალემ, სალემ, გთხოვ, ყურებს ნუ მიაქცევ ყურადღებას, ეგ ხომ მთავარი არ არის!“ — შემეხვეწა სინგჰი.

იყო და არა იყო რა, ძველ დელიში დაიბადა... არა, ასე არ გამოვა, თარიღს ვერსად გავექცევი. ადამ სინაი 1975 წლის 25 ივნისს მოევლინა ჯურღმულს. რა დროს? ესეც მნიშვნელოვანია: შუაღამით. არა, უფრო უნდა დავაკონკრეტო: ზუსტად ღამის თორმეტმა რომ ჩამოჰკრა და საათმა ხელისგულები რომ შეაერთა — მაშინ. ოჰ, ბარემ ამასაც



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიტყვი: ინდოეთის თავზე რომ განგაშის ზარმა ჩამოჰკრა, ბიჭიც დაიბადა. მთელი ქვეყანა სიჩუმემ მოიცვა, ყველას სუნთქვა შეეკრა, ყველა შიშმა შეიპყრო და იმ შავბნელი ღამის ტირანიის გავლენით ჩემი ვაჟი სამუდამო ბორკილით მიება ისტორიას. მასზე არ უწინასწარმეტყველებიათ, არც არავის აღუნიშნავს მისი დაბადება, ისე მოევლინა ქვეყანას. არც პრემიერ-მინისტრებს მოუწერიათ მისთვის წერილი. მე დავამთავრე, ის კი ახლა იწყებდა ისტორიასთან კავშირს. თუმცა ხმის უფლების გარეშე დარჩა, რადგან ჯერ ცხვირის მოხოცვაც არ შეეძლო.

ის შვილი იყო მამისა, რომელიც არ იყო მამამისი. დროის შვილი იყო, რომელმაც ისე დაგლიჯა რეალობა, რომ ამ უკანასკნელის შეკოწიწება ვერავინ შეძლო.

დიდი ბაბუის ნამდვილი შვილთაშვილი იყო, მაგრამ სპილოს დაავადებამ ცხვირში კი არა, ყურებში ჩაავლო. ის ხომ შივას და პარვათის შვილი — ანუ სპილოსთავიანი განეში იყო.

ისეთი ყოვლისმომცველი ყურები ჰქონდა, ბიჰარში რომ სროლები იყო, ისიც ესმოდა და ბომბეიში რომ მუშებს ხელკეტებით სცემდნენ — ისიც... მეტისმეტად ბევრი რამ ესმოდა. ამიტომ არ ლაპარაკობდა და მისგან ერთი სიტყვაც არ გამიგონია. ზედმეტმა ხმებმა დაამუნჯა.

ჭიპი გარეთ ჰქონდა გამოვარდნილი. ფიქრა სინგჰმა მითხრა: ერთი მის ჭიპს შეხედეო. ბავშვისადმი ერთგვარი მოკრძალება გაგვიჩნდა.

ისეთი წყნარი იყო, არასოდეს ტიროდა და ამით ჩემი გული მოინადირა. მე უკვე ისტერიკულად აღარ ვიცინოდი მისი ყურების შემხედვარე და წყნარ ჩვილს ფაქიზად ვარწევდი ჩემს მკლავებში.

ბავშვი ისმენდა სიმღერას, რომელსაც ერთ დროს ჩემი ძიძა მიმღეროდა.

მე რომ ეს დიდყურა, მშვიდი ბიჭი გავაჩინე, ამასობაში კიდევ ერთი დაბადება მოხდა. უხერხული კითხვა უნდა დავსვა: ერის გადარჩენაზე რომ ვოცნებობდი, ეს ოცნება ისტორიის სხეულის გავლით პრემიერ-მინისტრის ფიქრებში ხომ არ ჩაიღვარა? სახელმწიფოსა და ჩემ შორის იგივეობის კანონს ქალბატონი პრემიერ-მინისტრის გონება დაესესხა, რადგან ასეთი რამ თქვა: ინდოეთი იგივე ინდირაა და ინდირა იგივე ინდოეთიაო. ჩვენ ერთმანეთის მეტოქენი ხომ არ აღმოჩნდით? ინდირაც მნიშვნელოვანების ვნებით ხომ არ დასნებოვნდა ჩემსავით და ამიტომ ხომ არ...

ისტორიის მდინარებაზე თმის ვარცხნილობები მგრძნობიარედ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოქმედებს: მეთვოლდს რომ შუაზე გაყოფილი თმა არ ჰქონოდა, მე დღეს აქ არ ვიქნებოდი. ერის დედას ერთი შეფერილობის თმა რომ ჰქონოდა, მაშინ საგანგაშო მდგომარეობას არ გამოჩეკდა და სიშავეც არ იმძლავრებდა. მაგრამ მისი თმა შავ-თეთრი იყო. გამოუვალ ვითარებასაც ორი მხარე ჰქონდა: რეალურად არსებული ხილული მასა ხალხისა, რომელზეც ისტორიკოსები მუშაობენ და მეორე — შავი, უხილავი, საიდუმლო და უთქმელი მხარე, რომელიც ჩვენ გვეხება.

ქალბატონი ინდირა განდი 1917 წლის ნოემბერში, ქამალასა და ჯავაჰარლარ ნერუს ოჯახში დაიბადა. მეორე სახელიც ჰქონდა: ფრიადარშინი. „მაჰათმა" მ. კ. განდის ნათესავი არ ყოფილა. გვარი 1953 წლის ქორწინებიდან მიიღო, როცა ფეროზ განდიზე იქორწინა. ეს უკანასკნელი „ერის სიძედ" მონათლეს. ორი ვაჟი ჰყავდათ: რაჯივი და სანჯეი. 1949-ში ინდირა მამის სახლში დაბრუნდა და მისი „ოფიციალური დიასახლისი" გახდა. ფეროზმაც დააპირა ინდირას გაჰყოლოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ამის მერე ნერუს მთავრობას დაუნდობლად აკრიტიკებდა. მუნდჰრას სკანდალი ააგორა და მაშინდელ ფინანსთა მინისტრს, კრიშნამაჩარს გადადგომა აიძულა. ფეროზ განდი 1960 წელს ორმოცდაშვიდი წლის ასაკში გულის შეტევით აღესრულა. სანჯეი განდი და მისი ცოლი, მენაკა, რომელიც ყოფილი მოდელი იყო, პოპულარულები გახდნენ იმ განგაშის პერიოდში, როცა სანჯეის „ახალგაზრდულმა მოძრაობამ" სტერილიზაციის კამპანიაში ეფექტიანი როლი შეასრულა.

ეს ცნობა იმის სათქმელად ჩავრთე, რომ 1975 წელს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი უკვე თხუთმეტი წლის ქვრივი იყო. დიახ (ხაზს ვუსვამ), ქვრივი!

ჰო, პადმა: დედა ინდირა რაღაცას მიმზადებდა.

## შუაღამე

არ მინდა მოვყვე, მაგრამ დავიფიცე, რომ ყველაფერს ვიტყვი. ხომ არ ჯობია, რომ რაღაც მაინც უთქმელი დავტოვო?.. კარგია, მაგრამ არ გამოვა. მაინც ისევ თქმა სჯობს! მოჩურჩულე კედლები, ღალატი, მკერდდალურჯებული ქალები... აი, რა უნდა მოვყვე, მაგრამ როგორ შევძლებ, არ ვიცი. ერთი შემომხედე, საკუთარი თავი შუაზე



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გავფხრიწე; ჩემს თავს ვეომები, არ ვეთანხმები. მეხსიერება გამირბის და სადღაც ბნელ უფსკრულში იკარგება. მხოლოდ მისი ნამსხვრევებიღა შემომრჩა. ამიტომ არაფერს აზრი არა აქვს! არც შეფასებას. უბრალოდ, უნდა გავაგრძელო (რაკი ერთხელ დავიწყე) და ბოლომდე მივიდე. აზრი და უაზრობა ჩემი შესაფასებელი აღარ არის (იქნებ არც არასოდეს ყოფილა). მაგრამ ოი, როგორ მეშინია! ვერა, ვერ შევძლებ, არა, არა, არ შემიძლია! — გაჩერდი! უნდა შეძლო, ახლავე დაიწყე! — არა! — კი!

სიზმრით დავიწყებ. ან იქნებ კოშმარი დავარქვა: მწვანე და შავი, ქვრივის თმა, ხელი, რომელიც წინ მოიწევს, რომ ჩაგავლოს, ბავშვები მმფფ... და პატარა ბურთები... თითო-თითოდ იფხრიწებიან და პატარა ბურთები მიფრინავენ, მიფრინავენ, მწვანე და შავი, მისი ხელი მწვანეა, ფრჩხილები — შავი. არავითარი ოცნება! ამისთვის არც დროა და არც ადგილი. მხოლოდ ფაქტებია. აი, როგორ იყო: ვიწყებ. სხვა არჩევანი არა მაქვს? — არა, არავითარი. როდის იყო — ოდესღაც? ძახილის ნიშნები ტივტივებს, ლოგიკური შედეგები, გარდაუვალობები და გამეორებები ჩნდება. შემთხვევები, ჩადენილი საქმეები და ბედის ძალმომრეობა მთავარ როლს ასრულებს და სადღაა არჩევანი, ან კი ოდესმე იყო სადმე? სად არის თავისუფალი ნება? არჩევანი არ არის. დაიწყე. ვიწყებ.

კარგად მისმინე:

უსასრულო ღამე ჩამოწვა. დღეები, კვირები, თვეები უმზეოდ გავატარეთ (ან უფრო ზუსტად რომ ვთქვა), მზე კი იყო, მაგრამ ისეთი ცივი, გაყინული და ცარიელი, რომ დღე ღამედ მოგვეჩვენა. 1975-76 წლების ზამთარზე ვლაპარაკობ. სიბნელეს ტუბერკულოზიც მოჰყვა.

ოდესღაც ლურჯ ოთახში ვიწექი, რომელიც ზღვას გადაჰყურებდა და რომელშიც ზღვისკენ გაშვერილთითიანი მეთევზის სურათი ეკიდა. ავად ვიყავი. ტიფი მჭირდა და გველის შხამმა მიშველა. ახლა კი ადამ სინაი ებრძოდა შხამიან ავადმყოფობას. ისტორია მეორდებოდა. ის ხომ ჩემი შვილი იყო. ტუბერკულოზის გველები ყელზე შემოეგრაგნენ და სუნთქვა შეუკრეს... მაგრამ ამ ბავშვში ისეთმა სიმშვიდემ დაიბუდა, რომ უხმაუროდ ფართხალებდა. სუნთქვა რომ ეკვროდა, ყელიდან არავითარი ბგერა არ ამოსდიოდა. მოკლედ, ჩემი შვილი ავად იყო. პარვათი თუ ლეილა მაგიური ბალახების ნახარშს ასმევდა, მაგრამ ტუბერკულოზის მოჩვენება-ჭიები მაინც ვერ განდევნა. რაღაც ღრმად მეტაფორული არსი ჰქონდა ამ ავადობას და მწამდა, რომ მაკროკოსმოსურ სუნს უკავშირდებოდა. მზეც ისეთივე ფერმკრთალი და ავადმყოფი იყო,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორიც ჩვენი შვილი. ისტორიასთან ჩემი და ჩემი ვაჟის კავშირი ერთმანეთს ემჯობინებოდა... პარვათი ამ ჩემს აბსტრაქტულ ახირებებს არაფრად აგდებდა. ავიხირე, რომ სიბნელე სინათლით უნდა დამემარცხებინა და ქოხში სანთლებს შუადღისითაც ვანთებდი... თუმცა ჩემი დიაგნოზი ზუსტად ასეთი იყო: ვთქვი, რომ ბავშვი მანამ არ მორჩება, სანამ ქვეყანაში ეს საგანგებო მდგომარეობა იქნება-მეთქი.

პარვათი-ლეილა დამარცხდა, რადგან ბავშვი ვერ განკურნა, მაგრამ ჩემი პესიმისტური თეორიებისა მაინც არ სჯეროდა. თუმცა შენიშვნებისადმი მგრძნობიარე გახდა და დაიჯერა. ერთმა მოხუცმა ქალმა უთხრა (ალბათ რეშამ ბიბიც ეტყოდა), ბავშვი არ განიკურნება, სანამ მუნჯად არისო. „ავადმყოფობა სხეულის დარდია, ის ცრემლებმა და კვნესამ უნდა გამოაძევოს“, — მმოძღვრავდა ჩემი ცოლი. იმ ღამით პარვათი ქოხში დაბრუნდა. ხელში რაღაც მწვანე ფხვნილიანი ტოპრაკი ეჭირა, რომელიც გაზეთში გაეხვიათ და ვარდისფერი თოკით შეეკრათ. მითხრა, ისეთი სიძლიერის წამალია, ქვასაც კი ააკივლებსო. დალია თუ არა ბავშვმა, ლოყები გაუსივდა და გაებერა, თითქოს პირში საჭმელი აქვსო და მერე დიდხანს ჩახშული ბგერები ამოუშვა. პირი ბრაზით მოკუმა. როგორც ჩანს, ბავშვს ბგერების ნაკადი მოაწვა და მისი უკან ჩაბრუნება დააპირა. დააპირა და კინაღამ დაიხრჩო. მაშინ მივხვდით, რომ საქმე ყველაზე დაუოკებელ და დაუცხრომელ ნებასთან გვქონდა. ბავშვი ჯერ გაყვითლდა, შემდეგ ყვითელ-მწვანე გახდა, შემდეგ ბალახისფერი მიიღო. ვეღარ გავუძელი და პარვათის დავუღრიალე: ქალო, თუ ბავშვს ხმის ამოღება არ სურს, ამისთვის ხომ არ მოვკლავთ-მეთქი. მერე ადამი ხელში ავიყვანე და ვიგრძენი, სხეული როგორ დაეძაბა. მუხლის თავები, იდაყვები, კისერი ამოუთქმელი ბგერებით გაეჟღინთა. პარვათიმ სასწრაფოდ ანტიდოტი მოამზადა და თან რაღაც შელოცვას ბუტბუტებდა. იმ დღიდან აღარავინ ცდილა, ადამ სინაი აეძულებინა ის გაეკეთებინა, რაც არ სურდა. ვხედავდით, როგორ მედგრად ებრძოდა ტუბერკულოზს და მივხვდით, რომ ასეთი უბრალო ავადობა ამ ბავშვს ვერაფერს დააკლებდა.

იმ დღეებში პარვათის სევდის ჩრჩილი ღრღნიდა. ჩემთან ღამღამობით სითბოსა და სიყვარულისთვის მოდიოდა, მე კი მისი სახის ნაცვლად მომღერალ ჯამილას საშინლად დამახინჯებული ფიზიონომია მელანდებოდა. პარვათის გავუმხილე, რომ საშინელ მოჩვენებას ვხედავდი და ისიც ვუთხარი, რომ ისე ლპება, ალბათ სულ მალე ჩამოიშლება და აღარ იარსებებს-მეთქი, მაგრამ პარვათიმ ტკივილიანად


www.PDF.ChiaturaINFO.GE

მითხრა: ჩასაფურთხებელმა კასრებმა და ომმა ჭკუაზე შეგარყიაო. ჩანს, ცოლქმრულ კავშირს ვერ ველირსებიო და ნელ-ნელა ტუჩები ისევ ავის მომასწავებლად გაებუტა... მაგრამ რა მექნა? რით მენუგეშებინა? მე ერთი ცხვირმოუხოცავი ღატაკი სალემი ვიყავი, რომელიც ოჯახურ სითბოს მოწყდა და თავს ყნოსვის ნიჭით ირჩენდა. ყნოსვით ვხვდებოდი, ვინ რა საჭმელი მიირთვა წინადღეს ან ვინ ვის შეუყვარდა. როგორ დამეშვიდებინა, როცა იმ დაუსრულებელი შუაღამის კლანჭებმა მეც ჩამბღუჯა და დასასრულისკენ მივყავდი?

სალემის ცხვირი (ალბათ გახსოვთ) ყოველნაირ უცნაურობას იყნოსავდა. ემოციათა და იდეათა პარფიუმს. ჩემთვის ეს იოლზე უიოლესი საქმე იყო. კონსტიტუცია რომ შეიცვალა და პრემიერ-მინისტრს აბსოლუტური ძალაუფლება მიენიჭა, ჰაერში უძველესი იმპერიის სუნი დატრიალდა... ქალაქი სავსე იყო იმპერატორთა აჩრდილებით, მათ შორის იყვნენ შეუბრალებელი აურანგზები და უკანასკნელი თეთრი დამპყრობლები. ისეთი სუნი მცემდა, თითქოს გაქონილი ჩვარი იწვისო.

სუნის ვერშემგრძნობნიც კი მიხვდებოდნენ, რომ 1975-1976 წლების ზამთარში დედაქალაქში რაღაც დალპა. იმან შემაშფოთა, რომ რაღაც უცხო, პიროვნული საშიშროების სუნი მომდიოდა და ამ სუნში საშიში მუხლები გამოკრთნენ... სიყვარულით გაგიჟებული ქალწულის მიერ ოდესღაც გამოწვეული კონფლიქტი ღალატმა დაასრულა.

ასეთი გაფრთხილება რომ ვიყნოსე, უკანმოუხედავად უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ სად წავიდოდი? ცოლშვილაკიდებული როგორ გავიქცეოდი? თანაც ერთხელ ხომ გავიქეცი და ნახეთ კიდეც, თავი სად ამოვყავი: სუნდარბანის დაწყევლილ ჯუნგლში, ძლივს გადავრჩი... მოკლედ, არ გავქცეულვარ.

მაგრამ, ალბათ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ჩემი შეუვალი და დაუნდობელი მტერი შივა ბოლოს მაინც მომნახავდა. ცხვირს კი შეუძლია გზა გაჩვენოს, მაგრამ როცა საქმე ქმედებაზე მიდგება, მაშინ მარწუხებივით მახრჩობელა მუხლების უპირატესობას ვერ უარყოფ.

კიდევ ერთ პარადოქსულ დაკვირვებას გთავაზობთ: თუ მოტირალ ქალთა სახლში შევიმეცნე არსებობის მიზანი, რომელიც მთელი ცხოვრება მაწვალებდა, მაშინ იმ სიკვდილის სასახლიდან წამოსვლით იმ ძვირფას აღმოჩენაზეც უარი ვთქვი. უფრო ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, ზოგი ჭირი მაინც მარგებელია.

სალემი და შივა, ცხვირი და მუხლები... სამი რამ გვაერთიანებდა: ერთსა და იმავე დროს დაბადება, ღალატის შეგრძნება და ჩვენი ვაჟი,



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადამი — სერიოზული, უღიმილო და დიდყურებიანი ბიჭი. ადამ სინაი ბევრ რამეში სალემის ანტიპოდი იყო. მე ჩვილობაში სინათლის სისწრაფით ვიზრდებოდი, ადამს კი დაავადების ქვეწარმავლებთან ბრძოლაში ზრდა შეუჩერდა. მე ღიმილიანი ჩვილი ვიყავი, ყველას ვუღიმოდი. ადამი ჩემზე მეტად დინჯი და ღირსეული აღმოჩნდა. მე ჩემი ნება ოჯახისა და ბედისწერის ერთობლივ ტირანიას დავუმორჩილე, ადამს არავითარი მორჩილება არ გამოუმჟღავნებია, იმ მწვანე წამლის მიმართაც კი. მე რომ თვალს არ ვახამხამებდი, თითქოს სამყარო თვალებით უნდა დამელია, ადამი თვალდახუჭული ყოფნას ამჯობინებდა... თუმცა, როცა ხანდახან იკადრებდა და გაახელდა ხოლმე, ვამჩნევდი, რომ ლურჯი თვალები ჰქონდა, ქაშმირის ცასავით ლურჯი... როგორც ერთ დროს... მაგრამ, მოდი, შორს ნუ წავალთ.

ჩვენ თავისუფლების ბავშვები ვიყავით და აწყვეტილი გავრბოდით მომავლისკენ. ადამი კი ქვეყნის საგანგებო ვითარების დროს დაიბადა. ამიტომ ყოველთვის ასეთი ფრთხილი და ჩასაფრებული იქნება. საკმარისია მოქმედება დაიწყოს, რომ ველარ შეაჩერებ. ის უკვე ჩემზე ძლიერიც არის, შეუპოვარიც და უშიშარიც. როცა სძინავს, თვალები ქუთუთოებქვეშ არ უმოძრავებს. ადამ სინაი მუხლებისა და ცხვირის ნაჯვარია და სიზმრებს არ ემორჩილება.

ეს უშველებელი ყურები ლამის გადაეწვას, იმდენი რამ ესმის. ლაპარაკი რომ შესძლებოდა, იქნებ ღალატის შესახებ გავეფრთხილებინე. ეს ხომ სუნებისა და ხმაურის ქვეყანაა, ამიტომ მე და ადამი იდეალური წყვილი ვიქნებოდით. მაგრამ ბავშვი ლაპარაკზე უარს აცხადებს, ამიტომ ჩემი ცხვირის კარნახსაც აღარ ვუსმენ.

„ღმერთო, ბატონო, — იყვირა პადმამ, — დამაყენე საშველი და თქვი, რა მოხდა. რა გასაკვირია, თუ ჩვილი არ ლაპარაკობს!“

და ისევ შუაზე ვიხლიჩები: არა, ვერ შევძლებ! — შეძლებ! — კარგი.

1976 წლის აპრილში ისევ ჯადოქართა გეტოში ვცხოვრობდი. ჩემს ვაჟს ისევ ტუბერკულოზი სჭირდა. ცუდი წინათგრძნობა არ მასვენებდა (გაქცევა მინდოდა). ერთადერთი კაცი, ვის გამოც იქ დავრჩი, ფიქჩა სინგჰი იყო. თანაც სალემი მიიჩნევდა, რომ ბედი სამართლიანად მოექცა, რომ ასეთ სიღატაკეში ჩაეშვა (ბიძაჩემის სახლიდან ორი თუთრი პერანგი, ორი თუთრი შარვალი და ერთი წყვილი შავი ფეხსაცმელი წამოვიღე. ასევე ერთი პერანგი, რომელსაც ვარდისფერი გიტარები ეხატა). ეს ერთგვარ რელიგიურ თვითგვემას ჰგავდა. შესაძლოა, პარვათისადმიც



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვგრძნობდი ვალდებულებას, მაგრამ ჩემი იქ დარჩენის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ მთელი ცხოვრება, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, მამებს ვეძებდი. აჰმედ სინაი, ჰანიფ აზიზი, შაფსტეკერი, გენერალი ზულფიკარი — უილიამ მეთვოლდის მაგივრობას მიწევდნენ. ფიქჩა სინგჰიც ამ ჩამონათვალის გაგრძელება იყო. ამიტომ დავრჩი, თორემ ხომ შემეძლო სულ უკანასკნელი ბანკის კლერკი მაინც ვყოფილიყავი ან წერა-კითხვის მასწავლებელი. მამებისა და ქვეყნის ხსნის ძიებაში, ფიქჩა სინგჰი ზედმეტად და არასწორად შევაფასე და ალბათ ჩემს წარმოსახვაში დავამახინჯე კიდეც... როცა ვკითხავდი ხოლმე: საით გაგვიძღვები, ფიქჩარეჯი, როდის დადგება ნანატრი დღე-მეთქი, ის უხერხულად შეწრიალდებოდა ხოლმე და მეტყოდა: კაპიტანო, ასეთი რამეები თავიდან ამოიგდე. მე ერთი საწყალი კაცი ვარ და თანაც მსოფლიოში ყველაზე მომნუსხველი. მეტი არ შემიძლია და შენც მეტს ნულარ მომთხოვო. მაგრამ მე არ გავჩერდი: მიან აბდულას ან კოლიბრის პრეცედენტი ხომ არსებობს-მეთქი. ამაზე ფიქჩამ მითხრა, სულელური აზრიაო.

იმ საგანგებო ვითარების დროს ფიქჩა სინგჰი სევდიანმა მოგონებამ და ფიქრებმა გაიტაცა (კიდევ ერთხელ). ამან პატივცემული დედის სიჩუმე მომაგონა, (რომელიც ჩემს ვაჟშიც ჩაიღვარა...). ხალხს აღარ მოძღვრავდა. ახლა სიჩუმის დროაო, მითხრა. მე კი მჯეროდა, რომ ამ დაუსრულებელი შუაღამის დასასრულიც მოვიდოდა, საუკუნის გარიჟრაჟი დადგებოდა და უპოვართა პროცესიას სწორედ სალამურიანი და შხამიან გველებში გახვეული ფიქჩა სინგჰი წარუძღვებოდა სინათლისკენ... მაგრამ იქნებ მართლაც გველების მონუსხვაზე მეტი არაფერი შეეძლო. არ ვიცი. ამასაც არ გამოვრიცხავ. მხოლოდ იმის თქმა ძალმიძს, რომ ჩემი უკანასკნელი მამა, წვერიანი, უკან თმაგადავარცხნილი და კიკინიანი ფიქჩა სინგჰი მიან აბდულას წინაპრის განსახიერებად მომეჩვენა. მაგრამ ეს ხომ ჩემი ილუზია იყო. ალბათ ძალიან მსურდა ჩემს ისტორიასთან დამეკავშირებინა. ილუზიები კი მრავლად იყო ჩემს ცხოვრებაში. ეს ვიცი, მაგრამ ახლა ილუზიების მიღმა მყოფ დროს ვუახლოვდებით. სხვა არჩევანი არა მაქვს, ის კულმინაცია უნდა მოვიხმო, მთელი საღამო რომ ვუტრიალებდი და თავი მაინც ვერ ავარიდე.

კულმინაცია მეხსიერების ნამცეცებით არ იწერება. კულმინაციის ძალამ ჰიმალაის მწვერვალამდე უნდა ააღწიოს. მე კი ნაფლეთებიღა შემრჩა, ამიტომ დაგლეჯილთოკებიან მარიონეტს დავემგვანები. ასეთ დასასრულს არ ვაპირებდი, მაგრამ ყოველთვის ასე ხდება: დასაწყისში სხვა რამ გინდოდა გეთქვა, მაგრამ სხვაგვარად ამთავრებ (ერთხელ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლურჯ ოთახში აჰმედ სინაი ზღაპრის დასასრულს იგონებდა, რადგან დიდი ხანია დაავიწყდა, ზღაპარი როგორ უნდა დამთავრდეს. თითბრის მაიმუნს და მე „სინდბადის მოგზაურობისა“ და „ჰათიმ თაის თავგადასავლის“ ვერსიების შესახებ გვსმენოდა... თავიდან რომ დამეწყო, სულ სხვა ადგილას მოვხვდებოდი?). მაშ ასე: ნამცეც-ნაფლეთებითღა უნდა დავკმაყოფილდე. საუკუნეების წინათ დავწერე და ახლაც ვიტყვი: მთავარია ცარიელი ადგილები გამოცანის რამდენიმე გასაღებით შეავსო. ყველაზე მნიშვნელოვანი მაშინ ხდება, როცა შენ იქ არა ხარ. ალბათ წარსულის ნაფლეთებმა გამახსენეს თავი, რომელიც ჩემი მეხსიერების ლაბირინთებში მინის ნამსხვრევებივით გაფანტულან... ჩემი მეხსიერება ისე დაქრის, როგორც ქარში ფარატინა ქაღალდი.

ქარმა ჩემს ქოხში მართლა შემოაგდო გაზეთის ნაგლეჯი, რომელმაც მამცნო, რომ ბიძაჩემი, მუსტაფა აზიზი ვიღაც უცნობ თავდამსხმელთა მსხვერპლი გახდა. ცრემლი არ გადმომვარდნია. იქ სხვა ინფორმაციაც იყო, რომლითაც რეალობა უნდა ავაშენო.

გაზეთის ერთი ნაგლეჯიდან (თალგამის სუნი რომ ასდიოდა) ამოვიკითხე, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი პირადი ასტროლოგის რჩევის გარეშე ნაბიჯს არ დგამდა. თალგამის სუნზე მეტიც ვიყნოსე. ჩემმა ცხირმა პირადი საშიშროება იგრძნო. აქედან კი ასეთი დასკვნა გამოვიტანე: მკითხავებმა რომ მიწინასწარმეტყველეს, ნუთუ ისევ მკითხავები მომიღებდნენ ბოლოს? ვარსკვლავახირებულმა ქვრივმა ასტროლოგებისგან ხომ არ შეიტყო, რომ დიდი ხნის წინათ შუაღამეზე დაბადებულ ბავშვებს განსაკუთრებული ძალა ჰქონდათ? სამოქალაქო მოხელეს, რომელიც გენეალოგიათა ექსპერტი იყო, ხომ არ დაევალა... ისე უცნაურად რატომ მიყურებდა იმ დილით ბიძაჩემი? ხედავთ? ნაფლეთები ერთად იყრიან თავს! გესმის, პადმა? ინდირა ინდოეთია და ინდოეთი — ინდირაა... ნუთუ მამამისის წერილი არ წაუკითხავს, რომელშიც ინდირა კი არა, მე ვიყავი ერის სარკე. ხედავ?.. და კიდევ სხვა სამხილებიც არსებობს, რადგან „თაიმს ოვ ინდიას“ კიდევ ერთი ნაკუწი ვიპოვე, რომელშიც ქვრივის ახალი სააგენტო ინდირასვე ნათქვამს იმეორებს: „განვიზრახეთ, რომ ვებრძოლოთ ღრმა და ფართოდ გავრცელებულ შეთქმულებას, რომელიც დღითი დღე იზრდება“. გეუბნებით, სახალხო ფრონტი არ უგულისხმია! არა, საგანგებო მდგომარეობას თეთრთან ერთად შავი მხარეც ჰქონდა. აქ არის საიდუმლო, რომელიც იმ ჩამხრჩვალი დღეების წიაღში კარგა ხანს იმალებოდა. იმ განცხადების ნამდვილი მოტივი შუაღამის შვილთა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

განადგურება იყო (კონფერენცია ხომ ისედაც მრავალი წლის წინ დაიშალა, მაგრამ მისი ხელახლა შექმნის შიშმა წითლები ააფორიაქა).

ეჭვი არ მეპარება, რომ ასტროლოგებმაც საგანგაშო ზარს შემოჰკრეს. იმ შავი ტყავის საქაღალდეში სახელები იყო მითითებული... მეტიც: ღალატიც ხდებოდა და აღიარებაც. იყო მუხლები და ცხვირი, ცხვირი და მუხლები.

ნაფლეთები და ფრაგმენტები... სანამ შიშის სუნს შევიგრძნობდი და გამეღვიძებოდა, მესიზმრა, რომ მეძინა. გავიღვიძე თუ არა, ქოხში უცნობი კაცი შემოვიდა. პოეტს ჰგავდა, გრძელი თმა ყურებზე უშნოდ ჩამოსწეწოდა (წვრილი თავი ჰქონდა). დიახ: ძილში ნადირ-ხანის აჩრდილი მეწვია. იგი დაბნეული თვალებით უყურებდა ლაზურიტიან ვერცხლის კასრს და სულელურად მკითხა: „მოიპარე? — რადგან სხვა შემთხვევაში შენ... ნუთუ ეს შესაძლებელია? — ჩემი მუმთაზის ბიჭი ხარ?“ კი-მეთქი, რომ ვუთხარი, ნადირ-ქაზიმმა გამაფრთხილა: დაიმალე. ცოტა დრო გაქვს. სანამ შეგიძლია, დაიმალეო.

ნადირი ბაბუაჩემის სარდაფში რომ იმალებოდა, ახლა ჩემთან მოვიდა იმის სათქმელად, რომ მეც იგივე გამეკეთებინა, მაგრამ უკვე გვიანია, რადგან გამეღვიძა და ცხვირში საშიშროების მძაფრი სუნი მეცა... შემეშინდა და ფეხზე წამოვდექი. მომეჩვენა, თუ ადამ სინაიმ ლურჯი თვალები მართლა გაახილა და თვალებში ჩამხედა? შეშფოთებული ჩანდა? მისმა ყურებმაც იგრძნეს საშიშროება? მამა-შვილი უსიტყვოდ ხომ არ დაელაპარაკნენ ერთმანეთს? კითხვის ნიშნები პასუხგაუცემელი კიდია ჰაერში. პარვათის, ანუ ჩემს ლეილა სინაისაც გაეღვიძა და იკითხა, რა მოხდაო. მე კი თავად არ ვიცი, რატომ ვუთხარი, დაიმალე, გარეთ არ გამოხვიდე-მეთქი.

ქოხიდან გავედი.

გარიჟრაჟი იყო და შუაღამის სიბნელე ნისლივით ეკიდა გეტოს თავზე... ნისლში შევამჩნიე, რომ ბავშვები თამაშობდნენ. ფიქჩა სინგჰს ქოლგა იღლიაში ამოეჩარა და მეჩეთის კედელთან შარდავდა. პატარა მელოტი ილუზიონისტი თავის შეგირდთან ერთად კისერში დანების გაყრაზე ვარჯიშობდა და მაყურებელიც მიეზიდა. გეტოს მეორე მხარეს ჩანდ საჰიბი თავის საყვირზე უკრავდა და კისრის კუნთები დაძაბოდა... მსახიობ დებს თავზე წყლიანი სურები შემოედოთ და ასე დადიოდნენ... მოკლედ, ყველაფერი წესრიგში ჩანდა. თავი გავკიცხე, რა სისულელე მომელანდა-მეთქი, მაგრამ სწორედ მაშინ დაიწყო...



www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველად სატვირთო მანქანები და ბულდოზერები მოუახლოვდნენ ჯადოქართა გეტოს. ხმამ ხმამაღლა დაიღრიალა: „გარემოს გალამაზების სამსახურიდან ვართ, რომელსაც სანჯეის „ახალგაზრდული კომიტეტი“ ატარებს, გთხოვთ, სასწრაფოდ დატოვოთ ეს არეალი... ეს ჯურღმული სახელმწიფო საკუთრებაა... დაემორჩილეთ ბრძანებას“. სანამ ხმა ღრიალებდა, სატვირთო მანქანებიდან ვიღაცები გადმოვიდნენ. სასწრაფოდ აღმართეს კარვები, მოაწყვეს ბანაკები და ქირურგიული აღჭურვილობა მოამზადეს... სატვირთოებიდან კოხტად ჩაცმული მდიდარი ქალბატონები და ბატონები გადმოეფინენ. ესენი სანჯეის ახალგაზრდული მოძრაობის მოხალისეები იყვნენ... მაგრამ, მერე მივხვდი, რომ მოხალისეები კი არა, სასირცხვობაგეებიანი კაცის ასლები იყვნენ. ქალებიცა და კაცებიც საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს ჩაცმის სტილითაც და თმის ვარცხნილობითაც. ქალები სანჯეის ცოლს, ყოფილ მოდელ მენაკას ჰგავდნენ, რომელიც გაზეთებმა „უგერგილო სილამაზედ“ მონათლეს... ამ ქაოსში ვიდექი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ინდოეთის მმართველ დინასტიას გამრავლება უსწავლია. მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო, რადგან სასირცხვობაგეებიანი კაცები და უგერგილო ლამაზმანები ძალით მიათრევდნენ ჯადოქრებსა და ბებერ მათხოვრებს სატვირთო მანქანებისკენ. ჭორი უცებ გავრცელდა: სტერილიზაციის კამპანიას ატარებენო. ვიღაცამ დაიყვირა: თქვენი ცოლ-შვილი იხსენითო და აჯანყება დაიწყო. ბავშვებმა, რომლებიც წეღან თამაშობდნენ, ახლა თავდამსხმელებს ქვები დაუშინეს. ფიქჩა სინგჰი ჯადოქრებს იკრებს და გააფრთებით იქნევს ქოლგას, რომელიც აქამდე მშვიდობისა და ჰარმონიის სიმბოლო იყო, მაგრამ ახლა იარაღად — დონ კიხოტის გამგმირავ შუბად იქცა. ჯადოქრები სინგჰის არმიაა — „მოლოტოვის კოქტეილებს“[1] ისვრიან, ისვრიან აგურებს. ისმის ყვირილი და ბრახა-ბრუხი.

---

[1] *მოლოტოვის კოქტეილი — ბოთლი ასაფეთქებელი ნაზავით. საერთო სახელწოდება უმარტივესი თხევადი ცეცხლგამჩენი ხელყუმბარისა. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა ერთ-ერთ რადიოგამოსვლაში, როცა მას ჰელსინკის დაბომბვისთვის აკრიტიკებდნენ, განაცხადა, რომ რუსები ამ ქალაქს კი არ ბომბავენ, არამედ პროდუქტებს უყრიან ფინელ ხალხსო. ფინელებმა ირონიულად უწოდეს რუსულ ავიაბომბებს „მოლოტოვის პურის კალათები“ და „მოლოტოვის პურები“. საპასუხოდ მათვე შექმნეს ბოთლები ასაფეთქებელი ნაზავით, რომელსაც ზემოთ აღნიშნულის ანალოგიით უწოდეს „კოქტეილი მოლოტოვისთვის“. მოგვიანებით კი ეს მარტივი ხელყუმბარები უცხოელმა ჟურნალისტებმა „მოლოტოვის კოქტეილად“ მონათლეს.*



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სასირცხვობაგეებიანი კაცები და უგერგილო ლამაზმანები სასტიკ შემოტევას ვერ უძლებენ და უკან იხევენ. ფიქჩა სინგჰი დამსაჭურისებელ ბანაკს უტევს... პარვათი-ლეილა გვერდით მიდგას და ყვირის: „ღმერთო ჩემო, რას აკეთებენ“. ამ დროს ჯურღმულზე ახალი, ძლიერი შეტევა ხორციელდება: ჯარისკაცები თავს ესხმიან ჯადოქრებს, ქალებსა და ბავშვებს.

ერთ დროს ჟონგლიორები, ბანქოს მოთამაშეები, მნუსხავები და ჯადოქრები გამარჯვებული არმიის მხარდამხარ მოდიოდნენ. ახლა ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. რუსული თოფები გეტოს უმიზნებენ. კომუნისტი ჯადოქრები სოციალიზმის ავტომატების პირისპირ რას გახდებიან? ყველანი გავრბივართ, სად, თავადაც არ ვიცით. მე და პარვათიმ ერთმანეთი დავკარგეთ. ფიქჩა სინგჰსაც ვერსად ვხედავ, ავტომატის კონდახებით გვცემენ. მსახიობი დებიდან ერთ-ერთს კონდახი ხვდება და ძირს ეცემა. ხალხს თმით მიათრევენ პირდაფჩენილი სატვირთოებისკენ. მეც გავრბივარ, მაგრამ გვიანაა. ძირს დავარდნილი ნივთები ფეხებში მედება. უცებ უკან ვიყურები და ვხედავ, რომ ეს ყოველივე ილუზიაა, რადგან ამ ქაოსსა და არეულობაში მითური პერსონაჟი — ბედისწერის ინკარნაცია — მაიორი შივა შემოდის და მე მეძებს!.. გავრბივარ და უკან სასიკვდილო მარწუხამუხლები მომდევს...

...თვალწინ მიდგას ჩემი ქოხი და ჩემი ვაჟი!.. ასევე ლაზურიტიანი ვერცხლის კასრი! იმ არეულობაში ბავშვი მარტო დარჩა... ნალოლიავები თილისმა მიატოვეს. მეჩეთი გულგრილად მიმზერს, კისრისტეხით რომ გავრბივარ ჩემი დიდყურა ბიჭისა და ვერცხლის კასრისკენ... მაგრამ, მუხლებს რას გაასწრებ!.. მიახლოვდება და მიახლოვდება და მისი გრგვინვაც კი მესმის... უცებ ომის გმირი ჰაერში ხტება და ჩემს კისერს თავისი მუხლის მარწუხში აქცევს. ვიგუდები, ველარ ვსუნთქავ. ვფართხალებ, მაგრამ მუხლები მაგრად მიჭერს და უცებ ხმა ჩამესმის — ზიზღითა და ღალატით სავსე ხმა: „აბა, მდიდრის შვილო, ისევ შევხვდით არა? სალააამ!“ ბრაზმორეულმა რაღაც ვუთხარი. შივას გაეღიმა.

ო, ფორმიანო მოღალატევ! ღილები და ეპოლეტები რომ გიბრწყინავს... ეს რატომ ჩაიდინა? ერთ დროს ანარქისტულ ბანდებს მეთაურობდა ბომბეის ქუჩებში და ახლა ტირანიის მამამთავრად იქცა? შუაღამის შვილმა რატომ უღალატა დანარჩენ შვილებს? რატომ მიმაახლა ჩემს ბედისწერას? ძალმომრეობის სიყვარულის გამო? იქნებ უნიფორმის ღილების ელვარებამ დააბრმავა? ან იქნებ იმის გამო, რომ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავიდანვე ამითვალწუნა? ანდა იმის გამო, რომ ჩვენი დასჯა სურდა?.. ალბათ ასეა. ო, უფლებააყრილო ომის გმირო! ფულის მონავ!.. არა, უნდა გავჩერდე და უბრალოდ მოვყვე, მეტი არაფერი. სანამ სამხედროები ჯადოქრებს გეტოდან მიათრევდნენ და აპატიმრებდნენ, შივა მე მომდგა. მეც წამათრიეს. ბულდოზერები ჯურღმულს შეესივნენ. სიბნელეში რომ შემაგდეს და კარი ჩარაზეს, ავკივლდი: ჩემი შვილი! ჩემი ცოლი, სად არის ჩემი პარვათი-ლეილა! ფიქჩა სინგჰ, მიშველე-მეთქი ვიყვირე, მაგრამ ჩემი ყვირილი ბულდოზერების ხმამ გადაფარა.

პარვათი ჩემთან შეუღლებით იმ წყევლის მსხვერპლი გახდა, რომელიც ჩემი ოჯახის ყველა წევრს თავზე დასტრიალებს... შივა წავიდა თუ არა პარვათის მოსაძებნად, თუ ბულდოზერებს შეატოვა, — აღარ ვიცი... განადგურების მანქანები თავის სტიქიაში იყვნენ და დაუნდობლად შლიდნენ, არღვევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ ღატაკთა პაწაწინა ქოხებს, რომლებიც მათი სიმძიმის ქვეშ ხმელი რტოებივით იმტვრეოდნენ. მემარიონეტეთა ქაღალდის ამანათები და ილუზიონისტთა მაგიური კალათები ნაფშხვენებად იქცა. ქალაქის გალამაზებამ თუ ლამბაქისთვალება გოგონას და სხვების სიცოცხლე შეიწირა, რა მოხდა მერე! ქალაქს სიმახინჯე ხომ მოაშორეს!.. ამბობენ, წვერიანი, გველებშემოხვეული გოლიათი (ცოტა გადაჭარბებულია), ხელში დამსხვრეული ქოლგა რომ ჩაებღუჯა, ნამსხვრევებს შორის გიჟივით დარბოდა და რაღაცას ეძებდა, თითქოს მისი სიცოცხლე იმ ძიებაზე ეკიდაო.

დღის ბოლოს მეჩეთის ძირას არსებული ჯურღმული ისე გაქრა, თითქოს მიწიდან აორთქლდა. ყველა ჯადოქარი ვერ მოიხელთეს. ყველა ვერ ჩასვეს კრიჩრიპურის ბანაკში, რომელიც მდინარე ჯამურას პირასაა. ფიქჩა სინგჰი ვერ დაიჭირეს. ამბობდნენ, ქალაქის შუაგულში ახალი ჯურღმული აიგოო და ბულდოზერებიც იქითკენ გაემართნენ, მაგრამ ვერაფერი ნახეს. იმასაც ამბობდნენ, რომ გაქცეულმა ილუზიონისტებმა მოძრავი ბანაკი დააარსესო, მაგრამ მნგრეველებმა ვერც ეს ბანაკი იპოვეს. თითქოს მეჰრაულიში არიანო. დამსაჭურისებლებიც იქითკენ გაემართნენ ჯარისკაცებთან ერთად, თუმცა იქ ღატაკთა ქოხები აღარ იდგა. ზოგმა თქვა, რომ დიდი მოგოლების დროის ობსერვატორიასთან არიან, ჯანთარის ბაღშიო. მნგრეველები იქაც მივიდნენ. იქ კი მარტო თუთიყუშები და მზის საათები დახვდათ. სიმშვიდე მოხეტიალე ბანაკს მხოლოდ ქვეყნის საგანგებო ვითარების დასრულებისთანავე ეღირსა. მაგრამ ახლა ის უნდა მოგითხროთ, ბენარესში ქვრივის სასტუმროს ტყვე რომ ვიყავი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რეშამ ბიბიმ ჩემს დანახვაზე განგაშის ზარი შემოჰკრა და მართალიც იყო: ჯადოქართა გეტოს უბედურება მოვუტანე. მაიორი შივა, რასაკვირველია, ქვრივის ბრძანებას ასრულებდა, გეტოში ჩემს დასაჭერად რომ მოვიდა. ქვრივის ვაჟი კი „გამწმენდ“ ოპერაციებს დივერსიული მანევრირებისთვის ახორციელებდა. ყველაფერი წინასწარ დაგეგმეს (და საკმაოდ ეფექტიანადაც). ჯადოქართა აჯანყებას ის საგმირო საქმე მოჰყვა, რომ დააპატიმრეს ადამიანი, რომელსაც ხელთ შუაღამის საიდუმლოს გასაღები ეპყრა. მე ხომ ყოველღამე ვეხმიანებოდი შუაღამის შვილებს, ვიცოდი მათი სახელები, მისამართი; ყველა მათგანს სახით ვცნობდი. დიახ, მე ერთადერთი ვიყავი, ვინც ეს ვიცოდი და ამიტომ დამიჭირეს.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დაგეგმეს. პარვათიმ ყველაფერი მიამბო ჩემი მტრის შესახებ. შივასთან ხომ არ მახსენა? ალბათ კი და ამიტომ ჩვენმა გმირმა იცოდა სად ვიყავი (ბიძაჩემმა მუსტაფამაც კი არ იცოდა სად ვიყავი, შივამ კი — იცოდა!) და რადგან მოქრთამეს და პრივილეგიებს შეჰპირდნენ, მისთვის იოლი იყო მისი ქალბატონის ხელში ჩავეგდე, ქალბატონი-ქვრივისა, შუაზე გაყოფილი თმა რომ ჰქონდა.

შივა და სალემი — გამარჯვებული და მსხვერპლი. თუ ჩვენს მტრობას ჩასწვდები, მაშინ საუკუნის სულს შეიცნობ (პირიქითაც შეიძლება ითქვას).

იმ დღეს თავისუფლების გარდა კიდევ რაღაც დავკარგე: ბულდოზერებმა ვერცხლის კასრი ჩაყლაპეს. ის ხომ ერთადერთი რამ იყო, რითაც წარსულს ვეხებოდი. ახლა კი ბენარესში მივდიოდი, რომ ჩემი შუაღამეზე ბოძებული სიცოცხლის შედეგები მომემკო.

დიახ, იქ, ქვრივის სასახლეში მივდიოდი, რომელიც მსოფლიოში უძველეს ქალაქშია მდინარე განგის ნაპირზე. ეს ქალაქი ბუდას ახალგაზრდობის დროსაც კი უკვე საკმაოდ ძველი იყო. მას ღვთიური სინათლის ქალაქსა და წმინდა წიგნის სამშობლოს ეძახიან. იგი ჰოროსკოპთა ჰოროსკოპია, რომელშიც წარსული, აწმყო და მომავალი აღინუსხება. ქალღმერთი განგა შივას თმას ჩამოჰყვა მიწაზე... ჰოდა, ღმერთ შივას საბრძანებელში გმირმა შივამ ბედთან შესახვედრად მომიყვანა. რამრამ სეთის წინასწარმეტყველება ახდა: ჯარისკაცები აწამებენ... და ტირანები ცეცხლზე მოხრაკავენო!.. შივას მუხლებმა ხომ მარწუხებივით მომიჭირეს და მახრჩობდნენ... მაგრამ რაღაც დამწვრის სუნიც მომიახლოვდა...



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მდინარის გასწვრივ, სინდია-გათის ჩაყოლებით, სადაც ახალგაზრდა ნახევრად შიშველი ტანმოვარჯიშენი ცალ ხელზე იწევიან, მანიკარნიკა-გათის იქით, სადაც სამგლოვიარო ცერემონიები ტარდება და სადაც წმინდა ცეცხლის შეძენა შეგიძლია, სადაც ძაღლებისა და ძროხების ლეში ყრია ისე, რომ მათთვის წმინდა ცეცხლს არავინ გაიმეტებს; იქ, სადაც ჩალის ქოლგის ქვეშ ყვითელსამოსიანი მლოცველი ბრაჰმინები ცხოვრობენ... რაღაც უცნაური ხმა ისმის, თითქოს შორს ძაღლები ყეფენო... მიჰყვები, მიჰყვები, მიჰყვები ამ ხმას და იგი ფორმას იღებს. ხვდები, რომ ძლიერი და უწყვეტი მოთქმა ქვრივის მდინარისპირა სასტუმროდან მოდის! ერთ დროს ის მაჰარაჯას სახლი იყო. მაგრამ დღეს, თანამედროვე ინდოეთში ასეთი სახლები სახელმწიფომ მიისაკუთრა. ახლა სასახლე მგლოვიარე ქალებს ეკუთვნით, რომლებმაც ქმრები დაკარგეს და აქ მოვიდნენ, რომ დარჩენილი დღეები მოთქმაში გაატარონ. ქალები მუშტებს მკერდზე ისე იბრაგუნებენ, რომ მკერდი ულურჯდებათ. თმას ძირიანად იგლეჯენ და ხმა ტირილისგან ეხლიჩებათ. ვრცელი შენობაა, რომელშიც ჰაწაწინა ოთახების ლაბირინთია. ქვედა სართულში ტირილის დარბაზებია და აი, სწორედ იქ, ქვრივმა იმ თავის საშინელ იმპერიაში შემიწოვა. ზედა ოთახში ჩამკეტეს. საჭმელი მგლოვიარე ქალებს მოჰქონდათ. სხვებიც მსტუმრობდნენ: ომის გმირმა თავისი ორი ამხანაგი მოიყვანა და სასაუბროდ შემაგულიანეს. ერთი გამხდარი იყო, მეორე — მსუქანი და ცირკის მსახიობების სახელები, აბოტი და კოსტელო შევარქვი, რადგან მათ ოხუნჯობაზე არასოდეს მეცინებოდა.

ახლა გონებაში სიცარიელეა. იმ უღიმღამო კაცებთან საუბარს რა დამამახსოვრებდა! ვერაფერი ვერ მომთაფლავს, რომ ის ჩარაზული კარი გავხსნა! დამავიწყდა და მორჩა! ვერ და არ ვიტყვი, როგორ მათქმევინეს ყველაფერი. სირცხვილით ვაღიარებ, რომ ყველაფერი დავფქვი. მოკლედ, გავმჭევრმეტყველდი... ჩემი ტუჩებიდან სახელები და მისამართები იღვრებოდა... დიახ, ყველაფერი მოვუყევი. ხუთას სამოცდათვრამეტივეს სახელი ვუთხარი (მითხრეს, რომ პარვათი გარდაიცვალა...). შივასგან ნაღალატევმა შუაღამის შვილებს ვუღალატე. კონფერენცია მე დავაფუძნე და მევე დავუსვი წერტილი. უღიმილო აბოტი და კოსტელო ზოგჯერ წამოიძახებდნენ ხოლმე: „აჰა, კარგია! მის შესახებ არაფერი ვიცოდი!“ ანდა: „ძალიან გვეხმარები... ეს ბიჭი კარგი ვინმეა!“..

ხდება ხოლმე. პოლიტიკურ პატიმართა შორის ვიყავი, რომელ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

თა რიცხვი იმ დროისთვის ათასებს ითვლიდა. ქვრივს უთქვამს, ეს ხომ ინდოეთის მოსახლეობის მცირე ნაწილიაო. საგანგებო ვითარების დროს ბევრი რამ შეიძლება მოხდეს: ავტობუსები თავის დროზე დადიან. შავი ფულის მფლობელები გადასახადებს იხდიან, ამინდიც კი ისეთია, რომ გკურნავს და მოსავალი უზომოდ მოდის. შავთან ერთად, რასაკვირველია, თეთრი მხარეც არის. მაგრამ, შავში... ერთ პატარა ოთახში გამომამწყვდიეს. ჩალის საფენი ერთადერთი „ავეჯი" იყო ოთახში. ბრინჯის შეჭამანდს ტარაკნებსა და ჭიანჭველებს ვუზიარებდი. ვარსკვლავახირებულ პრემიერ-მინისტრს შუაღამის შვილთა შეთქმულებისა ეშინოდა. მისთვის ისინი დამოუკიდებლობის მიერ გამოჩეკილი სისხლისმსმელი მონსტრები იყვნენ, რომელთათვისაც თანამედროვე სახელმწიფოს არ ეცალა. მათ არ შეიბრალებდნენ. ჰოდა, უკვე ოცდაცხრა წლის შუაღამის შვილები ქვრივის „სასტუმროში" მიჰყავდათ. მათი ჩურჩული კედლებს ავსებდა. ჩემი საკნის სიფრიფანა, შიშველი კედლებიც ახმაურდა ჩემს ერთ საღ და მეორე ყრუ ყურში. ეს ჩემი სამარცხვინო აღიარების შედეგად მოხდა. კიტრისცხვირიანი პატიმარი რკინის გალიაში ვიყავი, სადაც შემეძლო რამდენიმე ნაბიჯი გადამედგა, ქუსლებზე ჩავცუცქულიყავი, ლითონის კასრი ბუნებრივი საჭიროებისთვის გამომეყენებინა და დამეძინა. მოკუნტული ვიწექი და ბათქაშჩამოცვენილ კედლებს ვეჩურჩულებოდი.

ეს დასასრული იყო. სალემი სევდას დანებდა. სევდა მთელი სიცოცხლე ცხრაკლიტულში მყავდა გამომწყვდეული, რომ მარილიან ცრემლებს არ შევეჭამე. ახლა კი ყველაფერი დამთავრდა. დაპატიმრების მიზეზი არ მითხრეს. არც იმ ათასებისთვის უთქვამთ. ანდა ვის სჭირდებდა რაიმეს თქმა. კედლებიდან შუაღამის შვილთა ყრუ ხმები ისმოდა. მე კედლის მიღმიდან ველუღლუღებოდი.

ეს 1976 წლის აპრილიდან დეკემბრამდე იყო. აი, რას ვეჩურჩულებოდი:

...ძვირფასო შუაღამის შვილებო! რა უნდა გითხრათ ან როგორ გითხრათ. ჩემი დანაშაული ჩემი სირცხვილია. თუმცა თავის მართლებაც შეიძლებოდა: შივასთან არ ვიყავი დამნაშავე. ყველა დააპატიმრეს და ჩვენ ვინღა დაგვტოვებდა. დანაშაულის გრძნობა რთული და კომპლექსური გრძნობაა. მთავრობას ჩვენ ვირჩევთ, ამიტომ რაც ხალხი ვართ — იმ დღეში ვართ. ძვირფასო შუაღამის შვილებო! ჩემი პარვათი ცოცხალი აღარ არის. ჯამილა გაქრა. გაქრობა ჩემი ცხოვრების თვისებად იქცა. ნადირ-ხანი მიწისქვეშეთიდან გაქრა, ადამ აზიზი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მანამდე გაქრა, სანამ ბებიაჩემი ბატების გამოსაკვებად ადგებოდა. მერი პერეირა სადღაა? მე კალათში გავუჩინარდი. ლეილა-პარვათი ჯადოქრობის გარეშე აორთქლდა. და აი, თქვენ წინაშე ვართ მიწის პირიდან აღგვილები. გაუჩინარების წყევლა, ძვირფასებო, ალბათ, თქვენშიც ჩაიღვარა. დანაშაულის საკითხს ფართო ჰორიზონტიდან ვუყურებ. რაც ხდება, იმასთან იმდენად ახლოს ვართ, რომ მომავლის განჭვრეტა შეუძლებელია. ალბათ მერე ანალიტიკოსები შეაფასებენ ყველაფერს და მათ შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზეზებსაც იტყვიან. მაგრამ ახლა კინოეკრანთან ისე ახლოს ვართ, რომ წერტილებს ვხედავთ და ამიტომ ყოველგვარი შეფასება სუბიექტური იქნება. ჰოდა, მეც სუბიექტურად მრცხვენია. მომიტევეთ, ძვირფასებო. თუმცა, არა, თქვენგან მიტევებას არ ველი.

ბავშვები და პოლიტიკა ბინძური საქმეა. თავი უნდა აგვერიდებინა ამ საქმისთვის. არავითარ მიზანზე არ უნდა მეფიქრა. თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე მთელ ამ მაკროკოსმოსურ უაზრო აქტივობას გადაწონიდეს. მაგრამ დამაგვიანდა. ამ საქმეს არაფერი ეშველება. ამიტომ უნდა ავიტანოთ.

კარგი კითხვა დამებადა: რა უნდა ავიტანოთ? აქ რატომ შეგვყარეს ასე და ბორკილებით რატომ დაგვამძიმეს? ვისაც ფრენა შეეძლო, ფეხბორკილი გაუყარეს და ვისაც მგლად ქცევა ეხერხებოდა, პირი ძაღლივით აუკრეს. იმას, ვინც სარკეში უჩინარდებოდა, წყალი არ დაალევინეს, რომ წყლის ზედაპირზე არ აორთქლებულიყო. მას, ვისაც თვალებით ადამიანთა განგმირვა შეეძლო, თავზე ტომარა ჩამოაცვეს. ერთ ჩვენგანს, ვინც რკინას ჭამდა, თავი საბელით დაუბეს... კიდევ რას გვიმზადებენ? ალბათ რაღაც უარესს... კარგებო! არ ვიცი რა, მაგრამ რაღაც გვიახლოვდება და ამიტომ ჩვენც უნდა მოვემზადოთ.

ზოგი ჩვენგანი ვერ დაიჭირეს, მე კედელს მიღმიდანაც ვგრძნობ ამას. კარგია, რომ ყველას ვერ მოგვწვდნენ. მაგალითად, დროში მოგზაური სუმიტრა საშშვიდობოსაა! რა სულელები ვიყავით, მისი როგორ არ გვჯეროდა! აი, ხომ ხედავთ, თავი დააღწია და ახლა ალბათ სადმე უკეთეს დროში დახეტიალებს. ამ კაციჭამიებს ხომ აარიდა თავი. არა, მისი არ მშურს. თუმცა იმ დროში უკან დაბრუნებას ვნატრობ, როცა მეთვოლდის მამულში ვცხოვრობდი და სამყაროს თვალი ვიყავი. ნოსტალგია შემომაწვა. ის დრო გამახსენდა, როცა ისტორიის წინაშე უსაზღვრო შესაძლებლობები გამაჩნდა... მაგრამ ბავშვობის გზამ აქამდე მომიყვანა. ახლა აქ ვარ და თანაც ასეთი ფიქრები სულს



www.PDF.ChiaturaINFO.GE

აუძლურებს. უბრალოდ გავიხაროთ იმით, რომ ზოგი ჩვენგანი მაინც თავისუფალია.

და ზოგი ჩვენგანი მკვდარია. ჩემი პარვათი... მის სახეზე იმ ვიღაცის მომაკვდავი აჩრდილი დავინახე. არა, ჩვენ უკვე ხუთას ოთხმოცდაერთი აღარა ვართ. დეკემბრის ყინვით გათოშილები საკნებში რომ ვისხედით, ნეტავ რამდენი ვიყავით? მოდი, ცხვირს ვკითხავ. ცხვირი მეუბნება: ოთხას ოცი. სიცრუისა და თაღლითობის გამომხატველი რიცხვია. ოთხას ოცი კაცი დააპატიმრა ქვრივმა და ღალატის სუნით აქოთებულმა შივამ, რომელიც გაჭიმული ამაყად დააბიჯებს აქეთ-იქით. მუხლებიანი ომის გმირი გვზედამხედველობს. არა მგონია, ამ რიცხვით დაკმაყოფილდნენ.

...გაჩერდით, ნუ დამცინით. ასეთი კეთილები როგორ ხართ? საიდან? არა, თქვენ უნდა გამკიცხოთ. ნუ მტანჯავთ კეთილი მოსალმებებით. განა არ გესმით, რომ ისინი ყველაფერს იკადრებენ. რას ნიშნავს, ვერაფერსაც ვერ იკადრებენო. ნება მიბოძეთ, გითხრათ, მეგობრებო! რკინის ხელკეტის კოჭებზე ცემა მტკივნეულია. თოფის კონდახები სახეს გვილურჯებენ. რას იზამენო? — დენს შეგიერთებენ, ფეხებით დაგკიდებენ, კანს სანთლით დაგიწვავენ. ახლა მაინც შეწყვიტეთ ეს შემგუებლური „არ მეშინია“! ამით მანადგურებთ. რატომ იხსენებთ ძველ უთანხმოებებს, რატომ გენატრებათ იდეებისა და ნივთების ომი, ასეთი მშვიდები როგორ ხართ, ო, როგორ მაღიზიანებს თქვენი გაწონასწორებულობა და ის, რომ ვითომ კრიზისზე მაღლა დგახართ. დავიბენი, კარგებო! ნუთუ ოდნავი პროტესტის გრძნობა არ გაგაჩნიათ? ამხელა, ოცდაცხრა წლის კაცებს როგორ შეგიძლიათ საკანში წყნარად ისხდეთ და ჩურჩულით იკეკლუცოთ! დასწყევლოს ღმერთმა! ესაა თქვენი სოციალური ერთობა?

მაპატიეთ, შუაღამის შვილებო! ბოლო დროს ჩემს თავს არ ვგავარ. ბუდაც ვიყავი, კალათში ჩაბუდებული მოჩვენებაც და ერის მხსნელიც... რეალობამოწყვეტილი სალემი გონების ბნელ ხეივანში დახეტიალებს მას შემდეგ, რაც თავზე კასრი დაეცა... შემიბრალეთ: ის კასრიც დავკარგე. არა, ისევ ცუდი ვარ: შებრალების თხოვნას არ ვაპირებდი. ალბათ მინდოდა მეთქვა, რომ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. დაუჯერებელია. ჩვენ ხუთი წუთითაც არ შეგვეძლო უკამათოდ გვესაუბრა. მუდამ ვკამათობდით, ვიბრძოდით, ვიხლიჩებოდით, ერთმანეთს არ ვენდობოდით. და ახლა თითქოს ერთ მთლიანობად ვიქეცით! რა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ირონიულია ცხოვრება: ქვრივმა აქ იმისთვის შეგვყარა, რომ გაგვტეხოს, მაგრამ პირიქით გამოვიდა, ჩვენ გავმთლიანდით! ყველა ტირანს ეჭვის ჭია ღრღნის... რას გვიზამენ ახლა, როცა ერთად ვართ და არავითარი ენობრივი შუღლი თუ რელიგიური ცრურწმენა არ დგას ჩვენ შორის. ბოლოს და ბოლოს, ოცდაცხრა წლისანი, ბავშვები ხომ არ ვართ!.. დიახ, ოპტიმიზმის ეპიდემია მოგვედო. ერთ დღეს აქედან გაგვიშვებენ და მერე... და მერე შესაძლოა ახალი პოლიტიკური პარტია — შუაღამის პარტია შევქმნათ. პოლიტიკა ვერაფერს დააკლებს ხალხს, რომელსაც თევზის გამრავლება და რკინის ოქროდ ქცევა შეუძლია. შუაღამის შვილებო, ამ ჩვენი ტყვეობის ბნელი საშოდან რაღაც იბადება! დაე, ქვრივებმა გვიმტრონ. ერთობა სიძლიერეა და ამ ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ!

ძალიან მტკივნეულია. ოპტიმიზმი ნაკელზე ამოსული ვარდივით იზრდება. მტკივა, როცა მახსენდება. საკმარისია: დანარჩენი აღარ მახსოვს. არა! — არა! — კარგი, მახსოვს, მახსოვს... ფეხბორკილებზე, ხელკეტებზე, ცეცხლის წაკიდებაზე უარესი რა უნდა იყოს? განა ფრჩხილების დაძრობასა და შიმშილს ვინმე გაუძლებს? ქვრივის დელიკატური ხუმრობა მახსოვს: წამების ნაცვლად, იმედი მოგვცა, რომელსაც სულ მალე წაგვართმევდა. დახვეწილი ბოროტებაა, არა?

სექტომია ბერძნულად მოჭრას ნიშნავს, მედიცინაში ამ სიტყვას პრეფიქსები ემატება: აპენდექტომია, ტონსილექტომია, მასტექტომია, ტუბექტომია, ვაზექტომია, ტესტექტომია, ჰისტერექტომია. სალემი ამ კატალოგს სრულიად უსასყიდლოდ უმატებს ტერმინს, რომელიც ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ სამედიცინო ენითაა ნათქვამი:

სპერექტომია, რაც იმედის მოჭრას ნიშნავს.

ახალი წლის დღეს მნახველი მეწვია. კარი ჭრაჭუნებს. ძვირფასი შიფონი შარიშურობს. მწვანე სათვალე უკეთია და შავი ფეხსაცმელი აცვია... გაზეთებში დიდთეძოებიან გოგოდ მოიხსენიებდნენ, რომელიც საზოგადოებრივ საქმიანობამდე სამკაულების ბუტიკს უძღვებოდა... სტერილიზაციის ავტორი თავად იყო. მე მას „ქვრივის ხელი“ შევარქვი, რომელიც თითო-თითოდ გლეჯს ბავშვებს და პატარა ნაგლეჯები ჰაერში მიფრინავენ... საკანში შავ-მწვანედ შემოვიდა. იწყება, შუაღამის შვილებო, მოემზადეთ! ერთად ვდგავართ. დაე, ქვრივის ხელმა თავისი საქმე აკეთოს, მაგრამ მერე... მერე... მერეზე იფიქრე.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა ამაზე ფიქრს ვერ ავიტან... „ქვრივის ხელი“ მეგობრულად მომართავს: „იცი, ეს ყოველივე ღმერთის ნებაა“.

(გესმით, შუაღამის შვილებო?)

„ინდოელი ხალხი ქალბატონს აღმერთებს. ინდოელებს მარტო ერთი ღმერთის თაყვანისცემა შეუძლიათ“.

მე კი ბომბეიში გავიზარდე, სადაც შივას, ვიშნუს, განეშს, აჰურამაზდას, ალაჰსა და კიდევ სხვა უამრავ ღმერთს თავისი მიმდევრები ჰყავთ... „და ინდუისტურ პანთეონზე რას იტყვით, რომელშიც სამას ოცდაათი მილიონი ღმერთია? — შევედავე მე, — და ისლამი ან ბოდისათვასი?“ ქვრივი ასე მპასუხობს: „ჰო, მართალი ხარ, მილიონობით ღმერთია, მაგრამ ყველა მათგანი ერთი უზენაესი ღმერთის გამოხატულებაა. შენ მუსლიმი ხარ, ეს უნდა იცოდე. იცი? ძალიან კარგი. მასებისთვის ჩვენი ქალბატონი უზენაესის განსხეულებაა“.

ოთხას ოცი ვართ. ეს კი შვიდი მეასიათასედი პროცენტია ექვსასმილიონიანი ინდოეთის მოსახლეობისა. დაპატიმრებული ოცდაათი ათასის ერთი მთელი ოთხი მეათედი პროცენტი ვართ. „ქვრივის ხელისგან“ შევიტყვე, რომ არავისი ისე არ ეშინიათ, როგორც სხვა პოტენციური ღმერთებისა. ეს და მხოლოდ ესაა მიზეზი იმისა, რომ ქვრივს ასე ვძულდით შუაღამის შვილები და გვანადგურებდა. ის მარტო პრემიერ-მინისტრი კი არა, ქალღმერთი დევის განსახიერება იყო, რომელსაც ღმერთების შაქტი უპყრია — მრავალკიდურიანი შიზოფრენიული ღვთაება, რომელსაც შუაზე გაყოფილი თმა აქვს... აი, ასე გავიგე ჩემი მნიშვნელობა იმ ბათქაშჩამოცვენილკედლებიან სასახლეში, სადაც ქალებს მჯიღის ცემისგან მკერდი ულურჯდებათ.

ვინ ვარ მე? ჩვენ ვინ ვიყავით? ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით ღმერთები, რომელიც შენ არასოდეს გყოლია. ის კი არა, რაღაც უფრო მეტიც ვართ და ამის ასახსნელად ყველაზე მტკივნეული ნაწილი უნდა მოგითხროთ.

ვჩქარობ. წინააღმდეგ შემთხვევაში თხრობას ვერასოდეს დავამთავრებ. ახალ, 1977 წლის დღეს, ზორბა, მრგვალთეძოიანმა გოგომ მითხრა, რომ ას ოცდაცხრა ჩვენგანი დაიღუპა და რამდენიმე კაცი გაიქცა. და ახლა დაიწყება... იქნება ანესთეზია, ათამდე დათვლა და რიცხვები, რიცხვები... მე კედელს ვეჩურჩულები... დაე... დაე... სანამ ერთად ვართ, ვერაფერს დაგვაკლებენ... სათითაოდ ვინ ჩაგვყარა საკნებში, სადაც საჰაერო ხვრელები დააყენეს, რადგან სუნთქვა გვინდა



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და რადგან ველურები არ ვართ... ნათურიანი მაგიდები დადგეს... მერე გამოჩნდნენ ექიმები, მედდები და შავი და მწვანე ერთმანეთში აირია... მწვანე მოსასხამები და შავი თვალები... მარწუხამუხლებიანი არ იყო, იმ საკნისკენ რომ წამიძღვა, რომელშიც მწყობრიდან გამომიყვანეს?.. აქ ერთი ომის გმირია, რომელსაც ისეთი მწარე მუხლები აქვს, რომ ვერ გავუძალიანდი. ზორბა, თეძომრგვალმა გოგომ მითხრა: აღიარე, რომ იმ წინასწარმეტყველებისა გჯეროდაო. იმათ ყველაფერი იცოდნენ, პადმა. მაგიდაზე დამაწვინეს, პირბადე ამაფარეს, ათამდე ითვლიდნენ და რიცხვებმა მარშირება დაიწყეს: შვიდი, რვა, ცხრა...

ათი.

„ღმერთო, ისევ ფხიზელია. აბა, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, ოცამდე გააგრძელე თვლა“.

...თვრამეტი, ცხრამეტი, ო...

კარგი ექიმები იყვნენ და სამუშაო სუფთად შეასრულეს. არავითარი შანსი არ დაგვიტოვეს... სათესლე ჯირკვლები და საშვილოსნოები უკვალოდ ქრებოდა.

დასაჭურისებულ შუაღამის შვილებს გამრავლების შანსი მოესპოთ... მაგრამ ეს მხოლოდ გვერდითი ეფექტი იყო: იმ არაორდინარულმა ექიმებმა იმედიც ამოგვაცალეს. არ ვიცი, როგორ შეასრულეს, რადგან რიცხვები მარშირებდნენ... დღეში 23 ასეთი ოპერაცია ტარდებოდა. თვრამეტ დღეს გასტანა. ადრე სისხლისგან დაწრეტამ ტელეპათიის უნარი წამართვა. დასაკარგი არაფერი მქონდა. ცხვირის მგრძნობელობას ვერ წამართმევდნენ. ყველას, ვინც იმ მოტირალ სასახლეში მიიყვანეს, რაღაც მაგიური ნიჭი ჰქონდა, რომელიც იქ წაერთვათ. კედლებიდან შუაღამის შვილების გულისმომწყვლელი ტირილი მესმოდა. იმან, იმ თეძომრგვალმა ჩვენი განადგურების ოპერაცია ჩაატარა. ახლა არარაობები ვიყავით. სულ რაღაც შვიდი მეასიათასედი პროცენტი... ამიერიდან, არც თევზები გამრავლდებოდნენ და არც რკინა იქცეოდა ოქროდ. ყველა ოცნება და ღვთაებრივი შესაძლებლობა გაქრა.

ის, რაც ოპერაციამ გააქრო, უკან არ დაბრუნდებოდა.

ჩვენ კი ვინ ვიყავით? — იმედები, რომლებიც დაამსხვრიეს.

ახლა სუნის შესახებაც გეტყვით.

დიახ, მსურს ყველაფერი გაიგოთ: რაც უნდა მელოდრამატულად და გაბერილ-გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაინც უნდა მიიღოთ და



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაინახოთ! რა იყნოსა სალემმა 1977 წლის 18 იანვარს: ტაფაზე რაღაც შიშხინებდა... ქინძით და სხვა სანელებლებით შეკაზმული იმ რაღაცის მძაფრი სურნელი მეცა... და ეს ის იყო, რაც ექიმებმა ამოჰკვეთეს და ნელ, დაბალ ცეცხლზე შხიოდა...

ოთხას ოცი ადამიანი ექტომირებული გახდა. შურის მატარებელმა ქალღმერთმა მათი ამოკვეთილი ნაწილებით ხახვიან-წიწაკიანი კერძი მოამზადებინა, რომ ამით ბენარესის ძაღლები გამოეკვებათ (ნარადას, რომელსაც სქესის შეცვლა შეეძლო, ოპერაცია ორჯერ გაუკეთეს).

არა, ამის დამტკიცება არ შემიძლია. სამხილები ჰაერში კვამლად გაიფანტა, რადგან ოც მარტს თმაგაყოფილმა დედამ და მისმა შვილმა დოკუმენტები დაწვეს.

პადმამ იცის, რისი გაკეთება არ ძალმიძს. ერთხელ გაბრაზებულმა დამიყვირა, შენ ხომ კაცი არა ხარო. ამაში მართალია: ფიქჩა სინგჰის ქოხში მოვიტყუე, იმპოტენტი ვარ-მეთქი. რა ვიცოდი, თურმე თავი დავიწყევლე. ფიქჩამ მაშინ გამაფრთხილა, ტყუილის თქმა არ შეიძლება, ყველაფერი შეიძლება მოხდესო. და აი, მოხდა კიდეც.

ზოგჯერ მგონია, რომ ათასი წლის ვარ. ან ათას ერთის (ხომ ხედავთ, ფორმას ვერ ვღალატობ).

ქვრივის მრგვალთეძოიანი „ხელი“ ერთ დროს ძვირფასი ქვების მაღაზიას უძღვებოდა. 1915 წელს ქაშმირში... იყო ლალი და ბრილიანტი... და მეც ხომ იქიდან მოვდივარ: ჩემს წინაპრებს ძვირფასი ქვების მაღაზია ჰქონდათ. ფორმაც იგივეა და ისტორიაც მეორდება. გამეორებას ვერსად გაექცევი.

კედლებიდან ოთხას ცხრამეტი ადამიანის უიმედო ჩურჩული ისმის. ოთხას მეოცეს კი თავხედობა ჰყოფნის და ბოლო ხმაზე კივის: „და შივა? ის გამცემი შივა? იმაზე არ ზრუნავთ?“ მრგვალთეძოიანი მპასუხობს: „მაიორმა თავისი ნებით გაიარა ვაზექტომია“.

და ახლა ამ ბნელ საკანში სალემი მთელი გულით ხარხარებს. არა, ჩემს მტერს არ დავცინოდი და არც სიტყვა „თავისი ნებით“ მიმიღია სხვაგვარად. პარვათის ნაუბარი გამახსენდა, რომ შივას უკანონო შვილთა ლეგიონები ჰყავდა, რომლებიც მეძავთა და დიდებულ ქალბატონთა არაექტომირებულ მუცლებში იზრდებოდნენ. ვიცინოდი, რადგან შუაღამის შვილების გამანადგურებელმა შივამ ღმერთი შივას ფალოსის ფუნქცია შეასრულა: ერის ბუდუარებსა და ქოხებში მომავალს



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეზრდებოდა ახალი თაობა, რომელიც შუაღამის უბნელესმა შვილმა, შივამ ჩასახა. ყველა ქვრივი რაღაც ძალზე მნიშვნელოვანს ოვიწყებს.

1977 წლის მარტში მოტირალ ქვრივთა სასახლიდან გამომიშვეს. ბუსავით თვალდაჭყეტილი ვიდექი მზის სინათლეზე და არკი ვიცოდი, რა, როგორ და რატომ მოხდა. 18 იანვარს (იმ დღეს, როცა ოპერაციები დასრულდა და ტაფაზე რაღაც იწვებოდა, მეტი მტკიცებულება რად გინდათ იმისა, რომ ქვრივს ჩვენი ძალიან ეშინოდა) პრემიერ-მინისტრმა ყველას გასაკვირად არჩევნები დანიშნა. იმ დღეს არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, რომ სასტიკად დამარცხდა და არც იმის შესახებ, რომ დოკუმენტები დაწვა. თურმე ერის ნაფლეთებადქცეული იმედი იმ მიხრწნილ ბებერს ჰქონდა, რომელიც „საკუთარ წყალს“ სვამდა. მთავრობაში შარდის მსმელები მოვიდნენ. სახალხო პარტია მისი თირკმლის მანქანაში ჩახვეული ლიდერით — ვერაფერი იმედი იყო. მგონი იმედის ვირუსისგან განვიკურნე, მაგრამ სხვების სისხლში ეს ვირუსი ჯერ კიდევ იყო, ამიტომ ისინი სხვაგვარად ფიქრობდნენ. მოკლედ, მარტის იმ დღეს პოლიტიკის დიდი დოზა მივიღე.

ოთხას ოცი კაცი თვალდაჭყეტილი იდგა ბენარესის ციხესთან. მერე მოაგონდათ, როგორ დაასაჭურისეს, ერთმანეთის მზერას ვეღარ გაუძლეს და ბრბოს შეერივნენ.

ახალმა რეჟიმმა მაიორი შივა დააკავა. თუმცა იქ დიდხანს არ დარჩენილა, რადგან როშანარა შეთიმ შეაღწია მასთან. ის როშანარა, ერთხელ შხამი რომ წააწვეთა შივას ყურს, ახლაც სიგიჟის ზღვარზე იყო, რადგან უკანონო, მუნჯი შვილი ჰყავდა, რომელსაც ვერაფრით გააკეთებინებდი იმას, რაც არ სურდა. მაგნატის ცოლმა ჩანთიდან უშველებელი გერმანული პისტოლეტი ამოიღო და ომის გმირს გულში ესროლა. შივა იქვე გათავდა.

მაიორი ისე მოკვდა, ვერასოდეს გაიგო, რომ ოდესღაც იმ დაუვიწყარი შუაღამის მითოლოგიურ ქაოსში ერთმა პაწაწინა უბედურმა ქალმა ბავშვს სახელი შეუცვალა და სიმდიდრის სამყაროს მოსწყვიტა, ნივთების სამყაროს, რომელში შესვლაც შივას ძალიან გაუხარდებოდა.

და სალემი? ისტორიას მოსწყდა და დაცარიელდა წელს ზევითაც და წელს ქვევითაც. დედაქალაქში დავბრუნდი იმ იმედით, რომ დიდი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხნის წინ დაწყებული ეპოქა დასრულდებოდა. ბენარესის რკინიგზის სადგურში ვიდექი. მატარებლის ბილეთის მეტი არაფერი გამაჩნდა. მერე მატარებელს შევახტი და დასავლეთისკენ გავემგზავრე. ახლა ვიცოდი, როგორი შეგრძნება აქვს კაცს, რომელიც სიცოცხლეს ორივე ხელით ებღაუჭება. ქვანახშირის ნამწვი რომ თვალებს ამოგივსებს, იძულებული ხარ კუპის კარზე დააბრახუნო და შეევედრო, შიგნით შეგიშვან. შიგნიდან კი ნაცნობი სიტყვები ისმის: „არ გაუღო, ალბათ უბილეთო მგზავრია“.

დელიში სალემი ყველას ეკითხება: „ფიქჩა სინგჰს ხომ არ იცნობთ? იცით, საით წავიდნენ?“ ერთი ფოსტალიონი, რომელსაც გველების მომნუსხავი ახსოვს, ხელს ჩრდილოეთისკენ იშვერს. იქ მივდივარ, მაგრამ იქიდან მეწიწაკე ისევ უკან მაბრუნებს. ბოლოს, როგორც იქნა, კვალს დავადექი. ერთი ქუჩის მსახიობი და მისი შეგირდი მეთევზესავით თითს დასავლეთისკენ იშვერენ... ქალაქის დასავლეთ პერიფერიებში მივდივარ. შადიპურის ავტოსადგურში მშიერ-მწყურვალი და ავადმყოფი ჩამოვედი. ისე სუსტად ვარ, რომ ავტობუსებს ძლივს ვუვლი გვერდს და ლამისაა დამეჯახონ. ღია შეფერილობის ავტობუსებზე წარწერები მიუკრავთ, მაგალითად, ასეთი: „მადლობა ღმერთს!“ ან „ღმერთმა ინებოს!“ რკინიგზის ხიდქვეშ დახვეული კარვები მიკუნჭულან და იქვეა გველების მნუსხავი გოლიათი, რომელიც გულიანად იღიმება და თავის ჩამპალ კბილებს აჩენს. ხელში ორი წლის ბავშვი უჭირავს, რომელსაც სპილოსავით დიდი ყურები და ლამბაქისოდენა თვალები აქვს და სამარესავით სერიოზულია.

## აბრაკადაბრა

სიმართლე გითხრათ, შივა არ მომკვდარა. ვიცრუე. თუმცა ექვსას ოცდათექვსმეტდღიანი საგანგებო ვითარება ისე რომანტიკულად წარმოვადგინე, რომ ამინდმაც ვერაფერი დამაკლო. ტყუილის თქმა არ მეხერხებოდა, ამიტომ ვაღიარებ, რომ შემრცხვა... რატომ ვიცრუე (ნამდვილად არ ვიცოდი, ჩემი მტერი სად იყო. ალბათ ჯოჯოხეთში ან ბორდელში. თუმცა სულერთი არ არის?)? ჰადმა, შეეცადე გამიგო: მე ისევ მეშინია მისი. ჩვენ შორის საქმე არ დამთავრებულა. ვკანკალებ იმის შიშით, რომ შივა თავისი წარმოშობის შესახებ ყველა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფერს გაიგებს. იქნებ ის ინიციალებიანი დოკუმენტი უჩვენეს და ახლა მწყობრიდან გამოსული იმის გამო, რომ ასეთი დიდებული წარსული წავართვი, ჩემს მოსაკლავად მოიწევს?.. იქნებ ის შეუბრალებელი მუხლებია ჩემი ბოლო...

აი, რატომ ვიცრუე. იმის ილუზიამ მძლია, რომ ნამდვილად ასე მსურდა ყოფილიყო. თუკი წარსული ჩვენს მეხსიერებასა და სიტყვებშია მოქცეული, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია ჩვენ თვითონ შევქმნათ იგი სრულიად უბრალოდ: ვთქვათ, რომ ასე იყო. შიშმა მიმაცემინა როშანარასთვის პისტოლეტი და ქრთამითა და ფლირტით შემაყვანინა შივას საკანში... საბარმათი თავზე დამყურებს... მოკლედ, წარსულში ჩადენილმა დანაშაულმა (ფიქციური) ვითარება შექმნა ახალი დანაშაულისთვის.

ჩემს მოგონებათა დასასრულს ვუახლოვდები. ღამეა. პადმა მოსასმენად ემზადება. ჩემს თავზე კედელზე ამძვრალმა ხვლიკმა ეს-ესაა, ბუზი ჩაყლაპა. ისეთი სიცხეა, რომ ტვინს ამწნილებს. ყურებში შუილი ჩამესმის. ხუთი წუთის წინ მატარებელმა ჩაიარა, რომელიც სამხრეთისკენ, ჩერჩგეითის სადგურისკენ მიდიოდა. იმ ხმაურში ვერ გავიგონე, პადმამ რა მითხრა. რაღაც მორცხვად მითხრა, მაგრამ ძლიერი განზრახვა იმ სიმორცხვემაც ვერ დაფარა. რომ ვთხოვე, გაიმეორე-მეთქი, წვივის კუნთები აუთამაშდა. ნეხვის ლოტოსი ქორწინებას მთავაზობს. მოგივლი კიდეც და ღირსეული ქალიც მერქმევაო.

სწორედ ამის მეშინოდა! მაგრამ, ახლა, რადგან წინადადება შემომთავაზა, მოკვდება და უარს არ მიიღებს. ქალწულივით გავწითლდი და უარზე დავდექი. ასე უცაბედად?! — ნუთუ არ გახსოვს, ექტომირებული რომ ვარ, გარდა ამისა, ძვლები მეხრება და მალე დაქვრივდები. და მერე, პარვათი რომ შემეუღლა, სიკვდილმა წაიყვანა, წყევლა არ მშორდება-მეთქი. პადმას ყბები დაეძაბა: მისმინე, ბატონო, ეგ სისულელე ჩემზე არ ჭრის, დაივიწყე და მომავალზე იფიქრეო. მაშ ასე: თაფლობისთვე ქაშმირში გვექნება.

პადმას დაჟინებული გადაწყვეტილების ციებ-ცხელებაში აზრად მომივიდა, რომ იქნებ მისმა თავდადებულმა ზრუნვამ ნაპრალებისა და თვით სიკვდილისგან მიხსნას და ჩემს ამბავს სხვაგვარი დასასრული ექნება-მეთქი. მომავალზე იფიქრეო, ხომ გამაფრთხილა (თავს შესაძლოა ამის ფიქრის უფლებას ვაძლევ) და ჩემი გონება დაუსრულებლად წარმოქმნის ახალ დასასრულებს, რომლებიც ბუზებივით დამბზუიან... ვიქორწინოთო, პადმამ მითხრა და ისე ავღელდი, თით-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქოს რაღაც მისტიკური ფორმულა წარმოეთქვას, რაღაც მაგიური აბრაკადაბრა, რომელიც ბედისწერისგან მიხსნის, მაგრამ რეალობა დამპალი მძორივით ჩამომეკიდა. სიყვარული ყველაფერს როდი ერევა. ჩემს დაშლა-დაფხრეწას ქორწინება ვერ შეაჩერებს და ოპტიმიზმი ხომ ავადმყოფობაა.

„შენს დაბადების დღეს დავამთხვიოთ, — მთავაზობს პადმა, — კაცი კაცია და ყველა კაცს ცოლი უნდა“.

როგორ ვუთხრა, არ ვიცი. იმ დღეს სხვა რამ მქონდა დაგეგმილი. ისეთი ბედი მაქვს, რომ ბედნიერი დღე უნდა ჩამაშხამოს... მოკლედ, სიკვდილზე როგორ ავლაპარაკდე, არ ვიცი. ამიტომ ქორწინებაზე თანახმა ვარ. დღეს დავინიშნე. იმისთვის ნუ გამკიცხავთ, რომ სიკვდილის წინ თავი ბოლო და ამაო სიამოვნებას მივეცი.

პადმას სურს ყველაფერი დაივიწყოს, რაც ჩემს წარსულზე ვუამბე. ფიქჩა სინგჰს რომ შევხვდი, აღმოვაჩინე, რომ ჯადოქრებიც კარგავენ მეხსიერებას. სადღაც ჯურღმულთა ლაბირინთებში დაკარგეს ძალა წარსულის შენახვისა, ამიტომ განსჯის უნარიც წაერთვათ. თავს გადახდენილიც დავიწყებას მიეცა და ჯადოქრები ლოკოკინების სიმშვიდით ჩარჩნენ აწმყოში. ვერც კი შეამჩნიეს, როგორ შეიცვალნენ. დაავიწყდათ, რომ ერთ დროს სხვანაირები იყვნენ. კომუნიზმის იდეა მოკვდა. შიმშილმა, ავადმყოფობამ და მუდმივმა დევნამ ის ნიჭიც მიავიწყათ, რასაც ოდესღაც ფლობდნენ. არ გამკვირვებია, რადგან მე ხომ ამნეზიის ამორალურობას კარგად ვიცნობდი. ჩემში წარსული გაცოცხლდა, ხოლო აწმყო უფერული და ამაო იყო. პატიმრები და ექიმები თმის წვერიდან ფეხის ფრჩხილამდე მახსოვდა. და იმან გამაკვირვა, რომ ჯადოქრებს უკან გახედვა არ სურდათ. „ადამიანები კატებს ჰგვანან, ვერაფერს შეასწავლი“, — ვუთხარი ჩემს ვაჟს, რომელიც ისევ ისეთი სერიოზული იყო, მაგრამ ენა მაინც გამომიყო.

ადამ სინაის ტუბერკულოზის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. დარწმუნებული ვიყავი: ქვრივი რომ ჩამოაგდეს, ავადობაც იმიტომ გაქრა. ფიქჩა სინგჰმა მითხრა, ერთ მრეცხავ ქალს, დურგას უნდა უმადლოდე, რომელმაც ბავშვი საკუთარი ძუძუთი გამოკვებაო. ო, რა ქალია, რომ იცოდეთო, — მითხრა გველების მომნუსხველმა და მივხვდი, იმ ქალმა მოხიბლა.

კუნთიანი, ზორბა ქალი იყო და ისეთი კოლოსალური, რძით გაპიპინებული ძუძუები ჰქონდა, რომ ლეგიონს გამოკვებავდა. ამბობდნენ, ორი საშო აქვსო (ალბათ, ეს ჭორი თავად გაავრცელა). ჭორიკანა იყო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველდღე ახალ-ახალ ჭორს იგონებდა. მრეცხავის კვალობაზე ღონიერი იყო. ქვაზე ისე ხეხავდა სარეცხს, სიცოცხლის ნიშანწყალს აცლიდა. თავად კი ენერგია ემატებოდა, როცა მის ხელში სამოსი ღილებაწყვეტილი და მომჩვარული რჩებოდა. მონსტრი იყო, რომელსაც გუშინდელი დღე არ ახსოვდა. არ მინდოდა და მაინც გავიცანი. ახლაც არმინდასავით ვწერ მის შესახებ. მის სახელს სიახლის სუნი ასდიოდა. ეს ქალი დასაწყისისა და სიახლის განსახიერება იყო. მე კი ახალი უკვე აღარ მაინტერესებდა. ფიქჩამ მითხრა, მასზე ვქორწინდებიო. ვერაფერი ვუთხარი. ამ ქალზე ცოტა რამ მინდა მოგიყვეთ.

მრეცხავი დურგა ბოროტების განსახიერება, სისხლისმწოველი ხვლიკი იყო, რომელსაც ადამიანის ფორმა აქვს. ფიქჩა სინგჰი გარეცხილი ტანსაცმელივით მოაქცია. რომ გავიცანი, მივხვდი, სინგჰი ასე რატომ დაბერდა და გასაცოდავდა. ჰარმონიულობის ქოლგა რომ აღარ ჰქონდა, რომლის ქვეშ ადამიანები თავს იყრიდნენ რჩევის საკითხავად, სინგჰი დღითი დღე ჭკნებოდა. აშკარა იყო, კოლიბრი ვერასოდეს გახდებოდა. სამაგიეროდ, დურგა გაიფურჩქნა: ბინძურ ჭორებს ავრცელებდა. ხმა უხეში ჰქონდა. ამან პატივცემული დედის სიბერე მომაგონა, როცა ძალიან გასუქდა, ბაბუა კი თანდათან ილეოდა. ბებია-ბაბუის მონატრებამ გადამაწყვეტინა, გამეცნო ეს უზრდელი მრეცხავი.

თუმცა იმას ვერ დავუკარგავ, რომ რძით სავსე უზარმაზარი ძუძუები ჰქონდა. ორი წლის ადამი ისევ ძუძუს წოვდა. პირველად ვიფიქრე, ამ ქალს მოვაშორებ-მეთქი, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ჩემი ვაჟი მხოლოდ და ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც თავად სურდა, ამიტომ გადავიფიქრე (მერე აღმოჩნდა, რომ სწორად მოვიქეცი). ორმაგი საშო აქვსო, რომ ამბობდნენ, ამით არც დავინტერესებულვარ, არც არაფერი მიკითხავს.

დურგას იმიტომ ვახსენებ, ერთხელ სადილად რომ ვისხედით, ჩემი სიკვდილი იწინასწარმეტყველა (ოცდაშვიდი ცალი ბრინჯისგან მომზადებული კერძი იყო!). ყელში ამომივიდა მისი მიეთ-მოეთები და ასე ვუთხარი: არავის შენი ამბები არ აინტერესებს-მეთქი. რაზეც მშვიდად მიპასუხა: „სალემ, ბაბა, კეთილად გექცევი იმიტომ, რომ ფიქჩა მეუბნება, პატიმრობამ გაანადგურაო, მაგრამ არ მომწონს ეგ შენი საქციელი, მუდამ დღევანდელობას რომ ებღაუჭები. კაცი რომ სიახლისადმი ინტერესს კარგავს, კარს შავ ანგელოზს უღებს“.

სინგჰმა უთხრა, კარგი ახლა, ქალო, ბიჭს ნუ გაუბრაზდებიო, მაგრამ ისარი მაინც მწარედ მომხვდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემში სიცარიელე იყო. დღეები ბუნდოვანებაში მახვევდნენ. დურგამ მგონი ინანა, მკაცრად რატომ ვუთხარიო და ძალების აღსადგენად შემომთავაზა: მოდი შენს ბიჭთან ერთად ძუძუ მომწოვე და მოძლიერდი, იქნებ ამან გამოგაკეთოსო. მაგრამ მე სიკვდილზე ვფიქრობდი. მერე შადიპურის სადგურში სარკეში ჩავიხედე და დავრწმუნდი, რომ აღსასრული მიახლოვდებოდა.

სარკე ავტობუსების გარაჟის თავზე იყო. უმიზნოდ დავხეტიალებდი დეპოში, როცა ჩემი ყურადღება შხეზე მოციმციმე საგანმა მიიქცია. უკვე თვეები, შესაძლოა წლებიც იყო, რაც სარკეში არ ჩამეხედა... სარკეში დიდთავა ჯუჯა დავინახე. თმა ღრუბელივით გამნაცრისფრებოდა. ჯუჯას დაღარული სახიდან დაღლილი თვალები იმზირებოდნენ. იმ დღეს ბაბუაჩემი, ადამ აზიზი გამახსენდა, ღმერთი ვიხილეო, რომ გვითხრა. ყველა უბედურება, რისგანაც პარვათიმ განმკურნა, ისევ დამიბრუნდა. ისევ უთითო, საფეთქელრქიანი, თავმოტვლეპილი, სახელაქიანი, ფეხებმოკაკული და კიტრისცხვირა ვიყავი. ახლა უკვე დაკოდილი და ნაადრევად დაბერებულიც. არ მინახავს, რომ ისტორიას ასე გაემასხარავებინოს ვინმე. სარკიდან მიყურებდა გროტესკული სახე, რომელიც ბედისწერამ ისე მიბეგვა, რომ გრძნობა დააკარგვინა. ერთი საღი და ერთი ყრუ ყურით მესმოდა, როგორ მწიხლავდა სიკვდილის შავი ანგელოზი.

ბებერმა ახალგაზრდა ჯუჯამ შვება იგრძნო, რომ ბოლოს და ბოლოს, ბედმა თავი მიანება.

სევდამ შემიპყრო, ამიტომ მოდი, თემა შევცვალოთ... ფიქჩა სინგჰმა ბომბეიში წასვლა რომ დააპირა, ჩვენც გავყევით, რადგან ჩემს ვაჟს ასე უნდოდა. შეძრწუნებული მრეცხავი იძულებული გახდა, რძე გამოეწველა, რადგან ყურფართხუნა ადამმა ძუძუ აღარ მოისურვა და მყარი საკვები (უსიტყვოდ) მოითხოვა: ბრინჯი, ბისკვიტი... თითქოს ნება დამრთო, ფინიშის ხაზს მიუახლოვდიო.

მუნჯი ყმაწვილი გვმბრძანებლობდა: ის არასოდეს გვატყობინებდა, როდის შიოდა ან ეძინებოდა. ბუნებრივ მოთხოვნებს თავად იკმაყოფილებდა. ჩვენგან მოითხოვდა, რომ ეს ყოველივე წინასწარ გვცოდნოდა. მუდმივ ყურადღებას რომ ითხოვდა, ცოცხალიც იმიტომ დავრჩი... ციხიდან გამოსულს მეტი არაფერი შემეძლო და აქცენტი ბავშვზე გადავიტანე. რა კარგია, რომ დაბრუნდით, კაპიტანო, თორემ ამ პატარა ცულლუტმა ყველანი ძიძებად გვაქციაო, — ხუმრობდა სინგჰი. მივ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხვდი, რომ ადამი მაგიური ბავშვების მეორე თაობა იყო, ამდენად უფრო ძლიერი და შეუპოვარი, რომელსაც არც წინასწარმეტყველებისა სჯეროდა, არც ვარსკვლავებისა და ორივეს თავის მტკიცე ნებას უქვემდებარებდა. თვალებში ვუყურებდი ბავშვს, რომელიც ჩემი შვილი იყო და არც იყო; ჩემი მემკვიდრის ცარიელ, გამჭვირვალე თვალის გუგებში ამოვიკითხე, რომ ამიერიდან მეორეხარისხოვან როლს ვასრულებდი და ისეთივე უმნიშვნელო ვიყავი, როგორც ბებერი, რომელიც მუდმივად წარსულს იხსენებს... ალბათ შივას უკანონო შვილები მთელ ქვეყანას მოედვნენ და ტირანებივით ექცეოდნენ ზრდასრულებს. წარმოიდგინე, რომ საშიშად ნიჭიერი ბავშვები იზრდებოდნენ და იმ დროს უცდიდნენ, როცა სამყარო მათი სათამაშო გახდებოდა (მომავალში ალბათ გარეთ გამოგდებული ჭიპით გაარჩევდნენ ასეთ ბავშვებს).

წინ უნდა წავიდე: ბოლო მატარებელი სამხრეთისკენ მიემართება. ბრძოლა უკანასკნელი იქნება... სალემი ფიქჩას გაჰყვა კონოტფლეისში, რომ გველების წარმოდგენაში მიხმარებოდა. დურგა დაგვთანხმდა, რომ ჩემს შვილს თავის სამუშაოზე წაიყვანდა. ასე რომ, ადამმა ნახა, როგორ აცლიდა სიცოცხლეს დურგა მდიდართა სამოსს. თბილი დღე იდგა. ვერცხლის კასრი გამახსენდა, ბულდოზერებმა რომ შემიჭამეს. ფიქჩამ სხვა კასრი მაჩუქა და მე და ჩემი შვილი იმით ვერთობოდით ხოლმე. გაღეჭილი წიწაკის გადაფურთხების ხელოვნებას ვასწავლიდი. თუმცა ამან ვერ დამაწყნარა. რა იყო ასეთი იმ კასრში, ასე რომ ვდარდობდი მის დაკარგვას? გახსოვდეთ, რომ ჩასაფურთხებელი კასრი მნიშვნელოვანია. რანიოვქუჩნაჰინის სალონში ინტელექტუალები ამით მესას შესრულების ხელოვნებას სრულყოფდნენ. მბრწყინავმა კასრმა ნადირ-ხანის მიწისქვეშეთი მეორე თაჯმაჰალად აქცია. ჩემს ცხოვრებაში იმ ვერცხლის კასრმა ბევრი რამ შეცვალა. ვნახე სარეცხის კარადები, მოჩვენებები, გამყინვარებები, დაწრეტები, გაძევებები და ეს ყველაფერი იმ კასრმა მოიტანა, ციდან რომ ჩამოვარდა მთვარის ნატეხივით და თავზე დამეცა, მაშინაც ყველაფერი შეცვალა ჩემ ირგვლივ. ო, დაკარგულო თილისმავ! ვინ იქნება ისეთი უგულო, რომ არ თანამიგრძნოს?

ავტობუსში ვისხედით. ფიქჩას გველებით სავსე კალათი მუხლებზე ედო. მსოფლიოში ყველაზე მომნუსხველ კაცს სახეზე ისეთი უიმედობა ეწერა, თითქოს ბრძოლაში დამარცხდა. მივხვდი, სიბერისა და დაუძლურების ეშინოდა. ეშინოდა, რომ ღონემიხდილი აღმოჩნდებო-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და იმ სამყაროში, რომლისაც ვერაფერი გაიგო. ამიტომ ბავშვს ებღაუჭებოდა, თითქოსდა ეს ბავშვი ერთადერთი მანათობელი შუქურა იყო ცხოვრების ბნელ გვირაბში. „რა კარგი ბავშვია, კაპიტანო, ღირსეული და ძლიერი. ყურებს არც კი აქცევ ყურადღებას“, — მითხრა სინგჰმა.

იმ დღეს ჩემი შვილი თან არ წაგვიყვანია.

კინოტფლეისში ახალი დელის სუნებმა შემომიტიეს. ჰაერში ბისკვიტის, განცხადებებისა და ჩამოშლილი თაბაშირის მგლოვიარე სუნი დატრიალდა. ავტორიქშის მძღოლებმა ტრაგიკული სურნელი მომაფრქვიეს. ისინი ხომ ბენზინის გაზრდილმა ფასმა გააუბედურა და დაამშია. ქუჩებს შორის მრგვალი მწვანე პარკი იყო და იქიდან ბალახის სუნი მოვიდა. ამას თაღლითებისა და აფერისტების სუნი შეერია, რომლებიც უცხოელებს არწმუნებენ, ფულის შავ ბაზარზე დახურდავება ჯობიაო. ყავის სახლიდან ახალი ჭორების სუნი მეცა და არ მესიამოვნა. ინტრიგების, ქორწინებების, დავების სუნი ჩაისა და ჩილი-პაკორას სურნელს შეერწყა. იქვე სახენაიარევი მათხოვარი გოგონას — სუნდარის სუნი ვიყნოსე, რომელიც ერთ დროს ძალიან ლამაზი იყო. გონების დაკარგვის, მომავლისკენ მიბრუნებისა და განწყობის — „მაინც ვერაფერს შეცვლი“ — სუნიც მოვიდა... ყველა სუნი თავიდან მოვიშორე და ყურადღება მარტივ სუნებზე გადავიტანე (ისეთზე, როგორიცაა, მაგალითად, შარდისა და ნაკელის სუნი).

ქუჩის პირას, წიგნის მაღაზიის გვერდით, წიწაკის გამყიდველის პატარა ჯიხური იდგა. მეწიწაკე მწვანე მინის დახლს უკან ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა ადგილის ღმერთივით. სიღატაკის სუნს კი აფრქვევდა, მაგრამ სინამდვილეში ავტომანქანის, „ლინკოლნკონტინენტალის“ მფლობელი იყო. კონოტცირკში ეყენა. ეს მანქანა კონტრაბანდული სიგარეტისა და გადამცემი რადიოების იმპორტის წყალობით შეიძინა. წელიწადში ერთხელ ორი კვირით ციხის არდადეგები ჰქონდა, ხოლო დანარჩენ დროს პოლიციას სოლიდურ ქრთამს აძლევდა. ციხეში მეფესავით იქცეოდა. აქ კი, დახლს უკან ერთ უწყინარ, წესიერ კაცს ჰგავდა. არადა, ამ კაცმა (ყნოსვის გარეშე ვერ მიხვდებოდი, რომ) ყველაფრის შესახებ იცოდა ყველაფერი. უსაზღვრო კავშირების წყალობით საიდუმლო ცოდნას ფლობდა... ჩემთვის იგი არცთუ ისე უსიამოვნო ექო იყო იმ პერსონაჟისა, კარაჩიში რომ გავიცანი ლამბრეტათი სეირნობისას. ნოსტალგიის სურნელის ყნოსვით ისე გავერთე, რომ გამიკვირდა, ხმა რომ ამოიღო.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„უკეთესიც მინახავს. ეს კაცი ნომერ პირველი არ არის. ბომბეიში ამაზე უკეთესი მსახიობი მინახავს“, — თქვა ფიქჩა სინგჰზემ.

აი, ასე შეიტყო ფიქჩა სინგჰმა, რომ მეტოქე ჰყავდა. წარმოდგენა მიატოვა, გაღიმებული მეწიწაკისკენ გაეშურა და კბილებში გამოცრა: ყველაფერი მითხარი იმ ფაკირის შესახებ, თორემ კბილებს ჩაგიმსხვრევო. მეწიწაკეს არ შეშინებია. იცოდა, იქვე პოლიციელები იყვნენ ჩასაფრებული. ჩაგვჩურჩულა, რომ ყველა საიდუმლოს ფლობდა და ყოველივე იცოდა. ფიქჩა სინგჰს, ცოტა არ იყოს შეეშინდა, მაგრამ შიში დამალა და მეწიწაკეს ასე უთხრა: მე ვუჩვენებ იმ ბომბელს, ვინ ვის ჯობია. ერთ ქვეყანაში ორი ყველაზე მომნუსხველი კაცის ადგილი არ არისო.

ვაჭარმა მხრები აიჩეჩა და სინგჰის ფეხებთან გადმოაპურჭყა.

მეწიწაკის სიტყვებმა მაგიურ შელოცვასავით იმოქმედეს და სალემისთვის იმ ქალაქის კარი გაიღო, რომელშიც დაიბადა. დიახ, სეზამგაიღესავით იყო. მე და სინგჰი ჩვენს დაძონძილ კარვებს რომ დავუბრუნდით, სინგჰმა მიწიდან გამონასკული ცხვირსახოცი ამოთხარა, რომელშიც შავი დღისთვის ფულს ინახავდა. დურგამ წაყოლაზე უარი უთხრა: რომელი მდიდარი ქალბატონი მე ვარ, რომ არდადეგები მოვიწყოო. მაშინ სინგჰი მე მომიბრუნდა და ისეთი მავედრებელი თვალებით მომაჩერდა, მივხვდი, გაყოლას მთხოვდა. იმ გადამწყვეტ ბრძოლაში არ უნდოდა უმეგობროდ დარჩენილიყო... მაგიის რიტმული ხმა ადამის პარტყუნა ყურებსაც ჩაესმათ. ადამს თვალები გაუბრწყინდა, სინგჰს რომ დავთანხმდი. შემდეგ მესამე კლასის ვაგონში ჩავსხედით და სამხრეთისკენ გავემართეთ. ბორბლების მონოტონურ ჩაქაჩუქში მაგიური სიტყვა — აბრაკადაბრა გავიგონე. აბრაკადაბრა, აბრაკადაბრა, აბრაკადაბრა — იძახდა მატარებელი და ბომბეისკენ მიგვაქროლებდა.

დიახ, ჯადოქრები უკან ჩამოვიტოვე და აბრაკადაბრათი ნოსტალგიის გულისკენ მივიწევდი, რომ ეს დამეწერა, რასაც ახლა კითხულობთ (და შესაბამისი რაოდენობის მწნილებიც მომემზადებინა). ჰოდა, ადამი, ფიქჩა სინგჰი და მე მესამე კლასის ვაგონით მივჩაქჩაქებდით და თან მიგვქონდა გველებით სავსე მოსისინე კალათები. ხალხი უკან-უკან იწევდა. ეშინოდათ. ამიტომ თავს ხალვათად და თავისუფლად ვგრძნობდით. მატარებლის ბორბლები კი ისევ აბრაკადაბრას მღეროდა.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

გზაში ფიქჩა სინგჰი პესიმიზმის განსახიერებად იქცა. მათურას სადგურში ერთი ამერიკელი ახალგაზრდა ამოვიდა. დამუწუკებული ნიკაპი და კვერცხივით მოტვლეპილი თავი ჰქონდა. მატარებელში ქვეწარმავლებით მოვაჭრენი დადიოდნენ. ამერიკელი ფარშავანგის ფრთის მარაოს ინიავებდა. ფიქჩა სინგჰი ფარშავანგის ფრთის დანახვამ დეპრესიაში ჩააგდო, რადგან ცუდად ენიშნა. ფანჯრიდან განგის სანაპიროს გაშლილი მინდვრები მოჩანდა, საიდანაც ცხელმა მხუთავმა ქარმა დაუბერა. ახალგაზრდა ამერიკელი მატარებლის მგზავრებს ინდუიზმის ლექციას უტარებდა, შელოცვებს ასწავლიდა და ხის კოლოფით ფულს აგროვებდა. ფიქჩა სინგჰი ვერაფერს ამჩნევდა, არც ბორბლების აბრაკადაბრა ესმოდა: ეს რა სამართალიაო, მითხრა, ეს ბომბელი ფაკირი ახალგაზრდა და ძლიერი იქნება. მე კი ამიერიდან მეორე ადგილს დავიკავებო. კოტას სადგურში რომ შევედით, ფიქჩა სინგჰი ავმა წინათგრძნობამ ისე დათრგუნა, რომ გაშეშებული იჯდა ერთ ადგილას. რათლამის გზაჯვარედინთან სინგჰი პესიმიზმის ტრანსში ჩავარდა. მე ავღელდი: ასე მეტოქის გამოწვევასაც ვერ შეძლებს-მეთქი, ვიფიქრე. ბაროდა გავიარეთ და სინგჰს მაინც არავითარი ცვლილება არ დასტყობია. სურატის სადგურთან მივხვდი, რომ რაღაც უნდა მეღონა, თორემ მალე სადაცაა ბომბეის სადგურში შეგვიყვანდა აბრაკადაბრა. სინგჰის ძველი ხის ფლეიტა ავიღე და ისე საშინლად დავუკარი, რომ გველები აგონიაში ჩავარდნენ და ახალგაზრდა ამერიკელი დამუნჯდა. ისეთი ჯოჯოხეთური ხმა გამოვეცი, რომ ვერავინ შეამჩნია როგორ ჩავუარეთ ბასეინ-როუდს, კურლას, მაჰიმს. ფარშავანგის ფრთის შხამი გავაქარწყლე. ბოლოს სინგჰი გამოერკვა, გამიღიმა და მითხრა: ჯობია თქვენ გაჩერდეთ და მე დავუკრა, თორემ შეწუხდა ხალხიო.

გველები კალათებში მიწყნარდნენ. მერე მატარებლის ბორბლებმაც შეწყვიტეს სიმღერა და ბომბეიში ჩავედით.

ადამი მაგრად ჩავიკარი და სიხარულის ყიჟინა ამომხდა: „დავბრუნდით! დავბრუნდით, ბომბეიში ვართ!“ ვყვიროდი გახარებული. ამერიკელს ასეთი შელოცვა ჯერ არ მოესმინა და დაიბნა.

მერე ავტობუსით ჩავუარეთ ბელასი-როუდს, თარდეოს; გზაში თვალებჩაცვენილი ირანელები გვხვდებოდნენ, გზის პირას ველოსიპედის შემკეთებელი სახელოსნოები და ირანული კაფეები შევნიშნეთ. მარჯვნივ ჰორნბი ველარდი იყო, ადგილი, სადაც ოდესღაც ჩემმა ძაღლმა სული დალია. ვალაბჰაის სტადიონის თავზე ისევ მოჭიდა-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვეთა პლაკატები დაეკიდათ. გვხვდებოდნენ ქოლგიანი საგზაო პოლიციელები. მაჰალახმის სალოცავსაც ჩავუარეთ, უორდენ-როუდს, ბრიჩქენდის საცურაო აუზს! და აი, იქ, შეხედე, მაღაზიებია... თუმცა სახელები შეუცვლიათ. სადღაა „მკითხველის სამოთხე“ თავისი კომედიური წიგნებით, ანდა ბენდ ბოქსლონდრი, ან ბომბელისი თავისი შოკოლადიანი დახლით? და ღმერთო ჩემო, შეხედე! მეთვოლდის აღმართზე, სადაც ერთ დროს მეთვოლდის სასახლეები იდგა და ზღვას ამაყად გადაჰყურებდა... ახლა შეხედე ერთი! რაღაც ვარდისფერი მონსტრი აუგიათ. ცათამბჯენი ნარლიკარის ქალთა ობელისკი იყო. იდგა და ჩემი ბავშვობის დროინდელ ცირკის მოედანს ჩრდილავდა... ბომბეი ჩემი იყო და არც იყო. ქემფსქორნერთან ქოლინოს ბავშვი გაექროთ და მის მაგივრად ეარინდიას რეკლამები გამოეკრათ. თომას ქემფი და კორპორაცია გამქრალიყო... ახლა რომ საჩვენებელი ფრენების გზაჯვარედინი იყო, აქ უწინ პლაკატი ეკიდა, საიდანაც ქლოროფილისფერი ქუდი ანათებდა. მაშინდელი წარწერა მომაგონდა და ჩემთვის ჩავილუღლუღე: „თეთრი კბილები, ქათქათა კბილები!“ მაგრამ ამ სიტყვებით წარსული ვერ გავაცოცხლე. გიბს-როუდს გავცდით და ჩოფეთი-ბიჩს მივუახლოვდით.

ჩოფეთი არ შეცვლილა. ქვიშის ჭუჭყიან ზოლზე ისევ ირეოდნენ: ჯიბის ქურდები, მოსეირნეები, ქუჩის მოვაჭრეები, რომლებიც ცხელ ჩანას და ათასგვარ წვრილმანს ყიდდნენ. მერინდრაივზე შევნიშნე, ჯებირებს სანამდე მიეღწიათ. ზღვიდან ხმელეთი ნარლიკარის ქალებს გამოეგლიჯათ და ზედ ცადაზიდული მონსტრები წამოეჭიმათ უცნაური სახელებით: მაგალითად: „ობეროი შერატონი“ და სხვ. „წამოდი ფიქჩარეჯი, წავიდეთ იქ, სადაც მივდივართ და საქმე გავათავოთ. ეს სულ სხვა ქალაქია“, — ვუთხარი სინგჰს და ადამი უფრო მაგრად ჩავიხუტე.

ღამის საიდუმლო კლუბის შესახებ რა შემიძლია გითხრათ? ის, რომ მიწის ქვეშაა განთავსებული და გასაიდუმლოებულია (თუმცა ყოვლისმცოდნე მეწიწაკემ იცოდა მისი არსებობის შესახებ). კლუბის კარი შეუმჩნეველია. იქ მხოლოდ ბომბეის ნაღები საზოგადოება იყრის თავს. კიდევ? ჰო, კიდევ კლუბს ბიზნესმენი ანანდ, ანუ ენდი შროფი განაგებს, რომელსაც ჯუჰუ-ბიჩზე ძვირფას სასტუმროში ნახავთ, ზღვის პირას რუჯს რომ იღებს. იქვე კინოვარსკვლავები და პოლიტიკას ჩამოშორებული პრინცებიც ირუჯებიან. სად გინახავთ ინდოელი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

იწვეს და ირუჯებოდეს? მაგრამ ალბათ ეს მათთვის ჩვეულებრივი ამბავია. ალბათ ფლეიბოიზმი მზის თაყვანისცემას საჭიროებს.

რა გულუბრყვილო ვარ (სონი უბრალო ყმაწვილი იყო!). აზრად არ მომსვლია, რომ ასეთი კლუბები არსებობდა! ჰოდა, თურმე არსებულა და ჩვენც ჩვენი ფლეიტებითა და გველებიანი კალათებით კლუბის კარზე დავაკაკუნეთ. ფანჯრის გისოსებს მიღმიდან ტკბილხმიანმა ქალმა ვინაობა გვკითხა. რაზეც სინგჰმა განუცხადა: „მე ყველაზე მომნუსხველი კაცი ვარ მთელ მსოფლიოში. თქვენ აქ ერთი გველების მომნუსხავი გყავთ. მე მას შევეჯიბრები და ჩემს უპირატესობას დავუმტკიცებ. ამაში ფულს არ ვითხოვ, რადგან ღირსების საკითხია“.

საღამო იდგა. საბედნიეროდ, ბატონი ანანდ შროფი ადგილზე იყო. მოკლედ რომ მოვჭრათ, სინგჰის გამოწვევა მიიღეს. შევედით კლუბში, რომლის სახელი — „შუაღამის“ — თავიდანვე მეჩოთირა. ინიციალებში შ.შ.კ. (შუაღამის შვილთა კონფერენცია) ერთ დროს ჩემი საიდუმლო სამყარო იმალებოდა (არადა, სხვა რამეს აღნიშნავდა). ახლა ამ შუაღამის კლუბმა ჩაანაცვლა. ერთი სიტყვით, თავს გაძარცულად ვგრძნობდი.

ქალაქის კოსმოპოლიტ ახალგაზრდებს ორი რამ აინტერესებდათ, — როგორ დაელიათ აკრძალული ალკოჰოლი და როგორ ეცდუნებინათ გოგონები დასავლური წესით ისე, რომ აღმოსავლური სირცხვილი და სკანდალი არ ეწვნიათ. ეს პრობლემა ბატონი შროფის კლუბში წყდებოდა. იმ აღვირახსნილთა ჯურღმულში შროფმა ჯოჯოხეთივით ბნელი სამყარო მოაწყო. იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს შეყვარებული მრუშები, სვამდნენ იმპორტირებულ ლიქიორს და ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. იქ, იმ სიბნელის სამყაროში ვერავინ მიაგნებდათ. ჯოჯოხეთს ადამიანის ფანტაზიაში განსაზღვრული ადგილი უჭირავს. თავგადასავალის გმირი ერთხელ მაინც ჩადის მიწისქვეშეთში. ჰოდა, ფიქჩა სინგჰიც ჩავიდა და მე და ბავშვიც ჩავყევით.

ჩამავალ კიბეზე შავი ხალიჩა ეგო: შუაღამესავით, ტყუილივით შავი, ყორანივით, სიბრაზესავით შავი... წინ საოცრად სექსუალური ქალი მიგვიძღოდა. ქალს დაბალწელიანი სარი ეცვა. თეძოები უჩანდა და ჭიპი ჟასმინის ყვავილით შეემკო. ღიმილით მოგვიბრუნდა და შევამჩნიე, რომ თვალდახუჭული იყო. ქუთუთოებზე თვალები ეხატა. ვერ მოვითმინე და მიზეზი ვკითხე. ბრმა ვარო მითხრა და თანაც, აქ ვინც მოდის, არავის უნდა, რომ დაინახონო. აი, უსახო და უსახელო სამყარო! აქაურ ხალხს წარსული არა აქვთ. აქ მხოლოდ „ახლა“ არსებობს, მეტი არაფერი.



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიბნელემ ჩაგვყლაპა. ქალი მოჩვენებათა ორმოში ჩაგვიძღვა, სადაც მბჟუტავი სინათლე ისტორიის ნეგატივს დროის მიღმა ისვრის... აქ დაბრძანდით, გველების კაცი მალე მოვაო, გვითხრა.

იქ ვისხედით, მაგრამ რისთვის? ან რამდენი ხანი? ქალის ბრმა თვალები სინათლესავით ასხივებდა. უცებ რაღაც სასიყვარულო ხმები მომესმა, თითქოს თაგვები ეჯვარებიანო. ჰაერი სექსუალური ხმებით აივსო... არა, არ მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა. ცხვირმა კი იყნოსა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, რადგან ეს აკრძალული თამაშები, ეს ეროტიკულ-ეგზოტიკური სამყარო ახალი იყო, რომელშიც მე არაფერი მესაქმებოდა. ჩემი ვაჟი ადამი ყურებდაცქვეტილი იჯდა. ისმენდა, თვალები უბრწყინავდა, იმახსოვრებდა, სწავლობდა... და შემდეგ სინათლე გამოჩნდა.

სინათლის სვეტი იატაკზე დაეცა. ადამი და მე ვუყურებდით ფეხმორთხმულ დაძაბულ ფიქჩა სინგჰს, რომელიც თავის ახალგაზრდა მეტოქესთან ერთად იჯდა. მათ ირგვლივ მუსიკალური ინსტრუმენტები და თავდახურული კალათები ეწყო. ხმამაღლა გამოცხადდა, რომ შეჯიბრება იწყებოდა სახელწოდებით: „ყველაზე მომნუსხველი კაცი მსოფლიოში“. მაგრამ ვინ უსმენდა, ვინმემ მიაქცია კი ყურადღება? სინგჰის მეტოქე მაჰარაჯა ქუჩნაჰინი იყო.

(იქნებ იმ რანის შვილიშვილი იყო, რომელიც ოდესღაც ექიმ აზიზთან მეგობრობდა. აი, ირონიული დამთხვევა! კოლიბრის მხარდამჭერის მემკვიდრე იმ კაცს ეჯიბრებოდა, რომელსაც შეეძლო მეორე მიან აბდულა ყოფილიყო! შეიძლება მართლაც რანის შვილიშვილი იყო. ბევრი მაჰარაჯა გაკოტრდა მას შემდეგ, რაც ქვრივმა ხელფასები შეუწყვიტა).

ნეტავ, რამდენ ხანს იბრძოდნენ მეტოქენი? ერთი თვე, ერთი წელიწადი თუ ერთი საუკუნე? ვერ გეტყვით. ბრძოლას გაოცებული ვუყურებდი. როგორ ცდილობდნენ ერთმანეთის მორევას, როგორ აჯადოებდნენ გველებს და მერე ეს რომ არ ჰყოფნიდათ, ბომბეის გველების ფერმიდან აგზავნინებდნენ სხვადასხვა იშვიათი სახეობის შხამიან გველებს (იმ ფერმაში ხომ ერთ დროს შაფსტეკერი...); მაჰარაჯი მახრჩობელა გველებსაც ნუსხავდა. ამის გაკეთება აქამდე მხოლოდ სინგჰს ძალუძდა. იმ ჯოჯოხეთურ კლუბში, რომლის სიშავე მისი პატრონის ახირების ერთ-ერთი გამოხატულება იყო (ეს ახირება იმაში მდგომარეობდა, რომ მზეზე ყოველდღე ირუჯებოდა, უფრო და უფრო რომ გაშავებულიყო). ორი ვირტუოზი გველებს წარმოუდგენელ



www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამეებს აკეთებინებდნენ. გველები მარყუჟებად იკვრებოდნენ, წყალს ღვინის ჭიქიდან სვამდნენ და ცეცხლის რკალში ხტებოდნენ... დაღლილობის, შიმშილისა და ასაკის მიუხედავად, ფიქჩა სინგჰი ნემსის ყუნწში ძვრებოდა (მაგრამ ვინმე თუ უყურებდა?). დაბოლოს, ახალგაზრდა კაცს დაღლა შეეტყო: მისი გველები მის დაკრულზე აღარ აცეკვდნენ. ხელის ერთი მოსმით, ისე, რომ ვერ დავინახე რა მოხდა, ფიქჩა სინგჰმა მაჰარაჯას კისერზე კობრას მარყუჟი ჩამოაცვა.

და ახალგაზრდა კაცს უთხრა: აღიარე, რომ პირველი ვარ, თორემ გველს ვაკბენინებო.

ასე დასრულდა შეჯიბრება. დამცირებულმა პრინცმა კლუბი დატოვა და მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ თავი მოიკლა. თავისი დიდი, უკანასკნელი ბრძოლის ველზე ფიქჩა სინგჰი მოჭრილ ხესავით წაიქცა... იქიდან ბრმა მხლებლებმა (ერთ მათგანს ბავშვი ჩავაბარე) გამაყვანინეს.

მაგრამ ღამის კლუბი ერთ ხრიკს კიდევ გვიმზადებდა. კლუბის წესი იყო, რომ მოხეტიალე სინათლე ერთ უკანონო წყვილს თავზე რუსული რულეტივით დასტყდომოდა. ცხადია, ცხოვრება ასე უფრო საინტერესო იყო ქალაქის ახალგაზრდებისთვის... და ვინ იყო იმ ღამის რჩეული მსხვერპლი? ვინ და საფეთქელრქიანი, სახელაქიანი და კიტრისცხვირიანი კაცი, რომელიც ისე დააბრმავა ჯაშუშურად მოხეტიალე სინათლის სვეტმა, რომ გათიშული სინგჰი კინაღამ ძირს დააგდო.

სალემი თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, მაგრამ ბნელ ჯურღმულში სინათლეზე მდგომს ბომბელებმა დასცინეს.

უნდა ვიჩქარო. თითქმის დავასრულე. ჰოდა, უკანა ოთახში, რომელიც განათებული იყო, ფიქჩა სინგჰი გამოფხიზლდა. ადამს მშვიდად ეძინა. ერთ-ერთმა ბრმა მოახლემ გამარჯვების აღსანიშნავად სადილი მოგვიტანა: სამოსა, პაკორა, ბრინჯი, დალი, პური და მწვანე ჩატნი. დიახ, ღმერთო ჩემო, მწვანე... კალიასავით... და როცა გავსინჯე, ფიქჩა სინგჰივით მეც კინაღამ გული შემიწუხდა, რადგან ის დრო გამახსენდა, ჰოსპიტლიდან ცხრათითიანი რომ გამოვედი და ჰანიფ აზიზის სახლში საუკეთესო ჩატნი მაჭამეს... ჩატნის გემომ ისეთი განცდა შემძინა, თითქოს წარსული არასოდეს გამქრალა და მუდამ ჩემთან იყო... ისეთი აღტაცებული ვიყავი, რომ ბრმა მოახლეს მკლავში ხელი ვტაცე და ვიყვირე: ჩატნი? ვინ მოამზადა-მეთქი. ეტყობა, ისე ხმამაღლა


www.PDF.ChiaturaINFO.GE

მომივიდა, რომ ფიქჩა სინგჰმა გამაჩუმა, ბავშვი არ გააღვიძოო... და მერე მითხრა, კი მაგრამ, ასე რამ აგაღელვა, ისეთი სახე გაქვს, თითქოს მოჩვენება დაინახეო. ბრმა ქალმა ცოტა ცივად მითხრა: „რა, არ მოგეწონათ ჩატნი?“ ყვირილი მინდოდა, მაგრამ თავი შევიკავე და ისე ვუთხარი: ძალიან მომწონს, ხომ ვერ მეტყვით, ვინ დაამზადა-მეთქი. ქალმა მითხრა, ბომბეიში ცნობილი მწნილების ქარხანაში დამზადდაო და წასასვლელად მოემზადა.

ქილა მოვატანინე, რომელზეც ქარხნის მისამართი ეწერა. მისამართი თვალპაჭუნა, ყვითელ-მწვანე ნეონის ქალღმერთისა — მუმბადევისა, რომელიც ქარხანას გადმოჰყურებს. იქვე კი, რკინიგზაზე, ყვითელ-ყავისფერი მატარებლები ქალაქის ჩრდილოეთისკენ მოემართებიან. ბრაგანზას მწნილების (კერძო საკუთრება) შპს-ის მქონე ქარხანას ჩაუვლიან ხოლმე.

აბრაკადაბრა და სეზამ-გაიღეა სიტყვები, რომლებიც ჩატნის ქილაზე წაუწერიათ და რომელიც ჩემი ცხოვრების უკანასკნელ კარს აღებს... ისე მსურდა იმ საოცარი ჩატნის დამამზადებელი მენახა, რომ ფიქჩას ვუთხარი, უნდა წავიდე-მეთქი...

ფიქჩას ამბავი როგორ დამთავრდა, არ ვიცი. ის არ გამომყვა. მის თვალებში ამოვიკითხე, რომ ბრძოლამ რაღაც ჩასწყვიტა შიგნით. ისე, რომ ეს გამარჯვება მარცხის ტოლფასი იყო. ცოცხალია თუ არა, ისიც არ ვიცი. არც ის ვიცი, იმ მრეცხავთან დაბრუნდა თუ ბომბეიში დარჩა (და ბატონ შროფთან მუშაობს)... როგორ მიგატოვო-მეთქი, რომ ვუთხარი, ასე მითხრა, ნუ სულელობ, წადი და შენი საქმე გაიკეთე, როგორც ბებერმა რეშამ ბიბიმ გითხრა: წადი, წადი, ახლავე გზას გაუდექიო.

ჰოდა, წამოვიყვანე ადამი და წამოვედი.

მოგზაურობა დასრულდა. იმ მიწისქვეშეთიდან ჩრდილოეთისკენ გამოვემართე. დაბოლოს, იქ მოვედი, სადაც ხვლიკები ბუზებს ყლაპავენ, ქვაბები ქოთქოთებენ და ღონიერი კონუსისძუძუებიანი ქალები უწმაწურ ანეკდოტებს ყვებიან... მწნილების სამყაროში მოვედი... და ვინ იყო ის, ვინც გზის დასასრულს ჩემ წინ გაჩნდა წელზე დოინჯშემოყრილი და ოფლიანი, რომელმაც თამამად და პირდაპირ მკითხა, რა გნებავთო.

„მე ვიყავი, — ამბობს პადმა, მორცხვად და აღტაცებით, — რა თქმა უნდა, მე ვიყავი, მე, მე, მე, აბა სხვა ვინ იქნებოდა!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„გამარჯობათ, ქალბატონო, — ვთქვი მე (პადმა მაწყვეტინებს: — შენ ხომ ყოველთვის თავაზიანი იყავი), — შეიძლება უფროსი ვნახო?“

ჯმუხმა პადმამ ჯიუტად მითხრა: არ შეიძლება, ახლა დაკავებულია. შეხვედრა წინასწარ უნდა შეათანხმოთ. მოგვიანებით შემოიარეთ, ახლა კი წადითო.

შემეძლო არ წავსულიყავი და პადმა შემეშინებინა ან დამერწმუნებინა, მაგრამ ვიწრო ბოგირიდან რაღაც ხმა მესმის. ვიღაც, ვისი სახელის ხსენებასაც ვერიდებოდი, ჩემკენ გამორბის და ბოლო ხმაზე ყვირის:

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, იესო ტკბილო, ჩემი შვილი, ნახეთ, ვინ მოვიდა, ო, ღმერთო რა გამხდარი ხარ! მოდი, გულში ჩაგიკრა! მოდი, დაგაპურო!“

ესე იგი, სწორად გამოვიცანი. ქარხნის მენეჯერი ჩემი ყოფილი ძიძა, შუაღამის დამნაშავე, მერი პერეირა იყო. ჩემი მეორე დედა ცოცხალი მყავდა!

შუაღამეა. ვიღაც დაკეცილქოლგიანი კაცი რკინიგზის სადგურიდან მოდის და ჩემს ფანჯარას უახლოვდება. შემდეგ სინათლეში ჩემს სილუეტს ამჩნევს და იმის მაგივრად, რომ გაბრაზდეს, აქ რას აკეთებო, მეძახის: „მიყურე!“ მერე იჭინთება და ისეთ გრძელ ფეკალიას გამოყოფს, არასოდეს რომ არ მინახავს. „შენ რამხელა შეგიძლია?“ — მეკითხება კაცი. სხვა დროს მომინდებოდა ამ უცნაური კაცის ცხოვრება აღმეწერა. შუაღამე და ქოლგა ამისთვის მიბიძგებდნენ კიდეც. მაგრამ ახლა სულერთია ჩემთვის, რადგან ძალა ისე გამომელია, რომ მხოლოდ ეპიტაფიასღა თუ დავწერ. ჩემპიონ დეფეკატორს ხელი დავუქნიე და მივაძახე: თუ გამიმართლა, თოთხმეტი სანტიმეტრისა გამომდის-მეთქი. მერე ის კაცი სამუდამოდ დავივიწყე.

მეორე დღეა. ჩემი ნაპრალები 15 აგვისტოს ელოდებიან. ცოტა დრო კიდევ მაქვს: ხვალ დავამთავრებ.

დღეს მერის ვესტუმრე. ავტობუსში ვიჯექი. დამოუკიდებლობის დღე ახლოვდება, მაგრამ დღესასწაულის ნაცვლად იმედგაცრუების, ცინიზმისა და კორუფციის სუნი მცემს... თავისუფლების ოცდათერთმეტწლიანი მითი ის აღარ არის, რაც იყო. ახალი მითებია საჭირო, მაგრამ ეს უკვე ჩემი საქმე აღარ არის.

მერი პერეირა, ანუ, ახლა უკვე ქალბატონი ბრაგანზა თავის დასთან, ალისასთან ერთად ცხოვრობს, რომელიც ახლა ქალბატონი



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფერნანდესია. დები ნარლიკარის ობელისკის ერთ ბინაში ცხოვრობენ, სადაც ერთ დროს მერის მსახურის ლეიბზე ეძინა. მისი ოთახი სწორედ ის ოთახია, რომელშიც ზღვისკენ თითგაშვერილი მეთევზის სურათი ეკიდა. მერი ხის დასარწევ სკამზე ზის, ჩემს შვილს არწევს და მღერის: „წითელი აფრები მზის ჩასვლისას“. შორს, ზღვაზე მართლაც მოჩანს ნავები წითელი აფრებით.

სასიამოვნო დღეა. წარსულს ვიხსენებთ. გამახსენდა, რომ მიწაში რაღაც ჩავმარხე. მერე მებაღეს ნიჩაბი გამოვართვი და მიწიდან ამოვთხარე ის, რაც ნარლიკარის ქალთა რევოლუციას გადაურჩა. რკინის გლობუსი, რომელშიც ჩვილის ფოტო იდო, ოდესღაც კალიდას გუფთამ რომ გადაიღო და კიდევ პრემიერ-მინისტრის წერილი. შემდგომ დღეებში მერის შენაძენზე ვსაუბრობდით, რომელიც მან ალისას წყალობით შეიძინა. მერის ქმარი, ბატონი ფერნანდესი ავარიაში იმის გამო დაღუპულა, რომ ფერებს ვერ არჩევდა. მერე ალისა გოაში მერისთან ჩავიდა იმის სათქმელად, რომ ნარლიკარის ქალები თანახმა იყვნენ ცოტა ფული მწნილის ქარხანაში დაებანდებინათ. „მე ვუთხარი, რომ ჩატნის ჩემს დასავით ვერავინ ამზადებს, რადგან თავის გრძნობებს შიგ ატანს-მეთქი“, — თქვა ალისამ. ასე რომ, ალისა ბოლოს მაინც კარგი გოგო აღმოჩნდა. „მე რა ვიცოდი თუ ჩემს ნახელავს მთელი მსოფლიო მოიწონებდა. ინგლისშიც კი მიირთმევენ, — მითხრა მერიმ, — და შეხედე, მე აქ თბილად ვზივარ, შენს ოდინდელ სახლში, როცა შენ, ღმერთმა უწყის, რა არ გადაიტანე და მათხოვრად დადიოდი, ღმერთო!“

მერე ტკბილ-მწარე მოთქმა ამოუშვა: „შენი საწყალი დედიკო და მამიკო! დიდებული ქალბატონი ამინა! და საწყალი აჰმედი, ვერასოდეს რომ ვერ ისწავლა ვინ და როგორ ჰყვარებოდა! და მანქი... ისინი ხომ ცოცხლები აღარ არიან“. მე ვაწყვეტინებ, — არა, მანქი ცოცხალია, თავს მონასტერს აფარებს-მეთქი.

მერიმ სახელი მოჰპარა საწყალ დედოფალ ქეთრინს, რომელმაც ეს კუნძულები ბრიტანელებს მიჰყიდა. ახლა მე მასწავლიდა მწნილის მომზადებას (განათლების მიღება ამ სახლში დავიწყე და ამ სახლშივე ვამთავრებ).. მერი სახლში ზის, ასაკმა გადაღალა, მაგრამ ისევ ბედნიერი ძიძაა, რადგან ჩემს შვილს ზრდის. ხომ მორჩი წერას, ახლა მეტი დრო ბავშვთან უნდა გაატაროო, მეუბნება. მაგრამ მე ხომ ეს მისთვის დავწერე. მერი უცებ თემას ცვლის, რადგან მისი ბებერი გონება ერთ საგანზე ვერ ჩერდება: „ო, ბაბა, შეხედე რამხელა გაზრდილხარ!“



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერი ახლა მდიდარია, მაგრამ საწოლზე ძილი მაინც არ შეუძლია. დღეში თექვსმეტ ბოთლ „კოკა-კოლას“ სვამს და არ ეშინია, რომ კბილები გაუფუჭდება, რადგან არც ერთი კბილი არ შერჩა. ისევ სხვა თემაზე გადახტა: „რატომ ქორწინდები ასე მოულოდნელად?“ იმიტომ, რომ პადმას ასე უნდა. არა, ვერც მე ვეწინააღმდეგები. „კარგი, შვილო, ისე შეგეკითხე“.

და ის დღე მშვიდად დასრულდებოდა, რომ არა ჩემი სამი წლის ვაჟი ადამ სინაი, რომელმაც დღეს ენა ამოიდგა.

„აბ...“ ღმერთო, შეხედე ბავშვი რაღაცას ამბობს! და ადამმა ძალიან ფრთხილად თქვა: „აბა“. მამას მეძახის. მაგრამ არა, ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. სახე დაეძაბა და თავისი პირველი სიტყვა ბოლომდე ამოთქვა: „აბაკადაბა“ — აბრაკადაბრაო! ღმერთო ჩემო, მე მეგონა მამას ამბობს-მეთქი. თუმცა იმ სამყაროსთან შესაგუებლად, რომელშიც ვტოვებ, ჯადოქრობა ნამდვილად გამოადგება.

აბრაკადაბრაო! მაგრამ არაფერი მომხდარა, არც გომბეშოებად ვქცეულვართ და არც ანგელოზები შემოფრენილან ფანჯრიდან. ბავშვი იძაბება... ეჰ, მაგის სასწაულებს ალბათ ვეღარ მოვესწრები... მერის ადამის წარმატება უხარია. მე კი ისევ პადმასთან ვბრუნდები ქარხანაში. ჩემი ვაჟის პირველმა ენიგმატურმა ენობრივმა ექსკურსმა ჩემს ნესტოებს შემაშფოთებელი სურნელი დაუტოვა.

აბრაკადაბრა ინდური სიტყვა არ არის. ეს მაგიური ფორმულა ბაზილიდანელ ბრძენთა ღვთაებიდან მოდის, რომელიც შეიცავდა ციფრს 365. — ამდენივე დღეს წელიწადისა, ცისა და იმ სულებისა, რომელიც ღმერთი აბრახასიდან ჩამოეფინება. ვინ ჰგონია თავი ამ პატარა ლაწირაკს-მეთქი, უკვე მერამდენედ ვეკითხები ჩემს თავს.

დამწნილების პროცესს თავისი სიმბოლური ღირებულება აქვს. ექვსასი მილიონი ცალი კვერცხუჯრედი, რომელმაც დასაბამი მისცა ინდოეთის მოსახლეობას, აგერ ამ სტანდარტული ზომის ქილაში ეტევა. ექვსასი მილიონი სპერმატოზოიდი ერთ კოვზზე თავსდება. მწნილის ყოველ ქილაში (მრავალსიტყვაობისთვის მომიტევეთ) უმაღლესი შესაძლებლობა ბუდობს: ისტორია და დრო მწნილდება! მე მოთხრობის თავებს ვამწნილებ. ამაღამ „აბრაკადაბრიანი“ ქილა დავხუფე და ჩემი გაწელილი ბიოგრაფიის ბოლო გვერდს ვუახლოვდები. სიტყვებში ჩემი მეხსიერება ჩავამწნილე, თუმცა ფაქტების დამახინ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯება მაინც გარდაუვალია. ჩვენ არასრულყოფილების აჩრდილებთან გვიწევს თანაარსებობა.

დღეს ქარხანას მე ვხელმძღვანელობ. ალისა, ანუ ქალბატონი ფერნანდესი ფინანსებს უძღვება. მე საქმის კრეატიულობა მაბარია (რა თქმა უნდა, მერის ვაპატიე დანაშაული. დედები ისევე მჭირდება, როგორც მამები და დედა ხომ ყოველთვის უდანაშაულოა). ქალებთან ერთად გავდივარ გარიჟრაჟზე და მანგოს, პამიდორსა და ლაიმს ვყიდულობ, რომელიც თავზეკალათაშემოდგმულ ქალებს მოაქვთ. თავზე ყვითელ-მწვანე ნეონის ქალღმერთი, მუმბადევი დაგვლიმის. მერის კაცთა სქესი სძულს და ქარხანაში მხოლოდ ქალები ჰყავს... თავის ახალ მყუდრო სამყაროში მხოლოდ მე და ჩემი ვაჟი შემოგვიშვა... ალისას, ეტყობა, სასიყვარულო კავშირები ისევ აქვს. პადმას დანახვისთანავე შევუყვარდი და თავისი ამდენი ხნის ნაგროვები სიყვარულის რეზერვუარი ჩემზე გადმოღვარა. ნარლიკარის ქალთა კომპეტენცია ქარხნის ყოველ კუთხე-კუნჭულში ირეკლება.

რა სჭირდება ჩატნის მომზადებას? უმი ნედლეული: ხილი, ბოსტნეული, თევზი, ძმარი და სანელებლები. ქოლელ სარიაკეცილ ქალებს ყოველდღე მოაქვთ თევზი და ასევე: კიტრი, ბადრიჯანი და პიტნა. ლურჯ თვალებს არაფერი გამოეპარებათ: ხილის გარეგნული ბრწყინვალება ვერ დამაბრმავებს, ჩემი თითები მწვანე პამიდვრის გულისცემას გრძნობენ, ჩემს ცხვირს დასამწნილებლად ვარგისი ბოსტნეულის ენა ესმის... ბრაგანზას მწნილის ქარხანაში მერის ლეგენდარულ რეცეპტებს ვიყენებ. მაგრამ მეც მაქვს ჩემი რეცეპტები, რომელშიც ჩემი მოგონებები, ოცნებები და იდეები ჩავდე. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მთელ ქვეყანას ეცოდინება პაკისტანში საწიწაკეებმა რა ქნეს ან სუნდარბანის ჯუნგლში რა გადამხდა...

გინდ დაიჯერეთ, გინდა არა, მაგრამ ასეა. თაროზე ოცდაათი ქილა დევს და ელოდება, ერის მივიწყებულ მეხსიერებას როდის გააცოცხლებს.

(ერთი ქილა ცარიელია).

რევიზიის პროცესი მუდმივი და უსასრულოა. არ იფიქროთ, რომ კმაყოფილი ვარ იმით, რაც გავაკეთე! იმ ქილებში მამაჩემის მწარე მოგონებაცაა და მომღერალი ჯამილას სიყვარულის ბუნდოვანებაც (სპეცფორმულა ნომერი 22), რის გამოც ვიღაც მიუხვედრელი იმას იტყვის, რომ ყველაფერი იმ უკანონო სიყვარულის გასამართლებლად გამოვიგონე. ქილებს ბუნდოვანი წარწერები აქვთ, მაგალითად:



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შემთხვევა სარეცხის კარადაში“. მწნილი პასუხგაუცემელ კითხვებს წარმოშობს: სალემს იმ ძალების შესაძენად მაინცდამაინც ის შემთხვევა რატომ დასჭირდა? შუაღამის სხვა შვილებს ხომ არ დასჭირვებიათ?.. და კითხვა, რომელიც განხეთქილების სურნელს ჰბადებს: განა ნამდვილ ტელეპათს, მერის აღსარება გაუკვირდებოდა? ზოგჯერ მეჩვენება, რომ სალემმა ბევრი არაფერი იცოდა... ზოგჯერ კი პირიქით მგონია... დიახ, მუდმივად თვითკრიტიკის ქვეშ ვარ. მაგრამ ახლა არც დრო მაქვს და არც ენერგია. მხოლოდ ჯიუტად ვიტყვი: ასე მოხდა იმიტომ, რომ ასე მოხდა. მეტი არაფერი.

სუნელების საკითხიც გასარკვევია: ქინძი, ქონდარი, ჯანჯაფილი, ნიორი... ყველა მათგანს თავისი სიფაქიზის ლაბირინთში შეჰყავხარ... ამას დამატებული ერთი ბეწო ჭუჭყიც საჭიროა (სალემი აღარაა გატაცებული სიწმინდით). დამწნილების პროცესს ვეგუები, რომელიც ბოლოს და ბოლოს, უკვდავების პროცესია. თევზი, ბოსტნეული, ხილი — ძმარსა და სანელებლებში მშვიდად ისვენებს. გემოს ოდნავი გამძაფრებაც საქმეა, არა? სურნელის ხარისხისა და არა სახეობის შეცვლა — ხელოვნებაა. ფორმის მიცემა — მნიშვნელობის მიცემას უდრის (აბსურდულობის შიში რომ მაქვს, უკვე გითხარით).

ერთ მშვენიერ დღეს სამყარო ისტორიის მწნილს იგემებს. ზოგს ცხარედ მოეჩვენება, ზოგს ცრემლსაც კი მოჰგვრის, მაგრამ ყველა მათგანი ჭეშმარიტების ნამდვილ გემოს შეიცნობს... ბოლოს და ბოლოს, ეს მწნილები ხომ სიყვარულის ნაყოფია.

ერთი ცარიელი ქილა დამრჩა... როგორ დავასრულო? ბედნიერად? რომ მერი სავარძელში ზის და არწევს ბავშვს, რომელმაც ენა ამოიდგა? იმ მელანქოლიით დავასრულო, რომ ჯამილას, პარვათისა და თვით ივი ბერნსის მოგონებებში ჩავიხრჩო? ანდა მაგიური შუაღამის შვილების... მიხარია კი, რომ ზოგი მათგანი გადარჩა და ზოგიც დაცარიელების ტრაგედიას შეეწირა? (დაცარიელება ხომ ბზარების სათავეა: ჩემი საცოდავი, განადგურებული სხეული დაიბზარა, რადგან სიცარიელისგან გამოშრა და გაშეშებული, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრების დამანგრეველ რიტმს დაემორჩილა... ვიშლები, ვირღვევი, ვიფხრიწები და სხეულის ბზარებიდან საზიზღარი სიმყრალე ამომდის, ალბათ სიკვდილის მოახლოებას მამცნობს. მაგრამ უნდა გავუძლო მანამ, სანამ გავუძლებ).

და ამ ბზარებს რომ ვხედავ: ჩემს ხელებზე, თავზე, თითებშუა —



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სისხლისგან რატომ არ ვიცლები? განა უკვე ასეთი დაცარიელებულ-დამწნილებული ვარ? უკვე მუმია ვარ, თუ რა?

წუხელ სიზმარში პატივცემული დედის მოჩვენება მეახლა, გახვრეტილი ღრუბლიდან მიყურებდა. ჩემს სიკვდილს ელოდა, რომ მერე, ორმოცი დღის განმავლობაში ცრემლების მუსონი გადმოეფრქვია... სხეულიდან გამოვედი, ჰაერში მოლივლივემ ჩემს სხეულს ზემოდან დავხედე და დავინახე თმაშევერცხლილი ჯუჯა, რომელმაც ერთხელ სარკეში ჩაიხედა და შვებით ამოისუნთქა, რადგან მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა.

არა, ასე არ იქნება. მომავალზეც ისე უნდა ვწერო, როგორც წარსულზე. თანაც წინასწარმეტყველის უნარი უნდა მოვიშველიო. მაგრამ მომავალს ქილაში ვერ შეინახავ. ერთი ქილა ცარიელი უნდა დატოვო... იმას ვერ დაამწნილებ, რაც აწი უნდა მოხდეს, მაგალითად, დღეს ოცდათერთმეტის ვხდები. ქორწილი შედგება და პადმა ხელსა და ფეხისგულებს ინით მოიხატავს. პადმას ბებიაჩემის პატივსაცემად, ახალ სახელს, ნასიმს შევარქმევ. გარეთ იქნება ფეიერვერკები, მოვა უამრავი ხალხი, რადგან დამოუკიდებლობის დღეა და მრავალთავიანი ბრბო ქუჩაში გამოვა. ქაშმირი დაგველოდება. მატარებლის ბილეთს ავიღებ. მერე ტაქსის მძღოლი ერთი სოფლელი ბიჭი აღმოჩნდება, რომელიც ერთ დროს კინოვარსკვლავობაზე ოცნებობდა და ჩვენ სამხრეთისკენ წაგვიყვანს, ქვეყნის გულისკენ. მერე ბრბო ერთმანეთს საღებავებით გათხუპნის, თითქოს დამოუკიდებლობის დღე კი არა, საღებავების დღესასწაული იყოს. ჰორნბი ველარდზე, სადაც ჩემი ძაღლი მოკვდა, ადამიანები, რომელთათვისაც უცხოა ყოველგვარი საზღვარი, გამრავლდებიან და მთელ სამყაროს შეავსებენ. ისე, რომ პროგრესი შეუძლებელი გახდება. ჩვენ ტაქსიდან და ტაქსის მძღოლის ოცნებებიდან გადმოვალთ. მერე ხალხის ზღვას შევერევით, სადაც ჩემს ნეხვის ლოტოსს დავშორდები, რომელიც ჩემკენ ხელებს გამოიწვდის, მაგრამ ხალხის ზღვა დაახრჩობს. და მე მარტო დავრჩები რიცხვების ურდოში... ერთი, ორი, სამი... ტალღები აქეთ-იქით მახეთქებენ და ამასობაში ჩემი სხეული აკივლდება, რადგან ფხრეწა კულმინაციას აღწევს. სხეული ვეღარ უძლებს... მაგრამ, ახლა ბრბოში ნაცნობ სახეებს ვხედავ, ყველანი აქ არიან: ბებია და ბაბუა, ალია და მუსტაფა, ჰანიფი და ესმერალდა, ამინა და ნადირი, ფია და ზაფარი და გენერალი ზულფიკარი... ისინი მეხვევიან... ბზარები ფართოვ-



www.PDF.ChiaturaINFO.GE

დება, სხეულის ნაწილები მცვივა... ჯამილაც მოსულა მონასტრიდან, რომ უკანასკნელად მნახოს... ღამე ჩამოწვა, საათი წიკწიკებს და შუაღამისკენ ითვლის დროს... ფეიერვერკები და ვარსკვლავები... მოჭიდავეთა პლაკატები... ვხედავ, რომ ქაშმირის ხილვა არ მეღირსება და დიდი მოგოლების იმპერატორივით, ჯაჰანგირივით, მოკვდები ისე, რომ სიტყვა ქაშმირი ტუჩებზე შემრჩება. ვერ ვიხილავ იმის ველ-მინდვრებს, სადაც კაცნი მიდიან იმისთვის, რომ იქ აღესრულონ. ხალხის ნაკადში სხვებსაც ვამჩნევ: ომის გმირს სასიკვდილო მუხლებით, რომელსაც თავისი დაბადების საიდუმლო შეუტყვია და ჩემკენ მოიწევს.. ნაცნობ სახეებს ვხედავ... რიქშის დამტარებელ ბიჭს, რაშიდს რანი ქუჩნაჰინისთვის მკლავი მკლავში გაუყრია... აქვეა აიუბა, შაჰიდი, ფარუქი, მუტასიმი... ჰაჯი ალის კუნძულის სამარიდან მითოლოგიური მოჩვენება მიახლოვდება: შავი ანგელოზია, მაგრამ ახლოდან მწვანე სახე და შავი თვალები უჩანს, თმა შუაზე გაუყვია — ნახევარი მწვანეა და ნახევარი — შავი. თვალები ქვრივისა აქვს. შავი ანგელოზი და შივა მოდიან და მიახლოვდებიან... ძიძის ნამღერი ტყუილიც ჩამესმის: ის იქნები, ვინც გინდა რომ იყოო... ამაზე დიდი ტყუილი არც მსმენია... და ახლა ბზარმოდებული სალემი ბომბეის ბომბია, შეხედეთ, როგორ ავფეთქდე! ხალხის ნაკადი ძვლებს მიმსხვრევს და ნამსხვრევები ძირს ცვივა, როგორც ერთხელ ჯალიანთვალაში... მაგრამ დღეს სისხლისფრად მღებავი არ ჩანს, არც მერკუროქრომია... მხოლოდ დამსხვრეული არსება, რომლის ნამსხვრევები ქუჩაში ყრია... მე ხომ უამრავი ადამიანი მინახავს... ცხოვრება სინტაქსს როდი ჰგავს, სადაც მხოლოდ სამი მთავარი წევრია. ცხოვრება მეტის საშუალებას იძლევა... დაბოლოს, სადღაც საათმა თორმეტი ჩამოჰკრა... მე თავისუფალი ვარ.

ფეხქვეშ მთელავენ რიცხვები, რომლებიც მარშირებას არ წყვეტენ: ერთი, ორი, სამი, ოთხასი მილიონი, ხუთას მილიონხუთი... ვპატარავდები და მტვრის ნაწილად ვიქცევი... ერთ დროს ისინი ჩემს შვილსაც გათელავენ, რომელიც ჩემი შვილი არ არის, მისი შვილიც არ იქნება მისი და იმისი შვილიც იმისი არ იქნება ათას ერთ თაობამდე... სანამ ათას ერთი ღამე ნიჭს არ გამოიმეტებს იმ ათას ერთი შვილისთვის, რომლებიც განადგურდებიან, რადგან შუაღამის შვილები თავისი დროის წარმმართველნიც არიან და მსხვერპლნიც... ისინი დაკარგავენ პიროვნულობას და ბრბოს ქარიშხალს შეერევიან, რათა არასოდეს ეღირსოთ მშვიდი ცხოვრება და მშვიდი სიკვდილი.


წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა
www.PDF.ChiaturaINFO.GE

# სარჩევი

## წიგნი პირველი


გახვრეტილი ზეწარი ..... 7
მერკუროქრომი ..... 26
ფურთხის კასრი ..... 43
ხალიჩის ქვეშ ..... 61
საჯარო განაცხადი ..... 78
მრავალთავიანი ურჩხულები ..... 98
მეთვოლდი ..... 116
წიკ, წიკ... ..... 137


## წიგნი მეორე


მეთევზის გაშვერილი თითი ..... 157
გველები და კიბეები ..... 177
შემთხვევა სარეცხის კარადაში ..... 193
ინდოეთის რადიო ..... 213
სიყვარული ბომბეიში ..... 230
ათი წლის რომ გავხდი ..... 245
პიონერთა კაფეში ..... 262
ალფა და ომეგა ..... 280
ქოლინოს ბავშვი ..... 296
საბარმათის ხელკეტი ..... 311
ალიარება ..... 327
საწიწაკეები მოქმედებას ასრულებენ ..... 341
უდაბნო და სიცარიელე ..... 352
მომღერალი ჯამილა ..... 365
როგორ მიაღწია სალემმა სიწმინდეს ..... 385


## წიგნი მესამე


ბუდა ..... 402
სუნდარბანის ჯუნგლში ..... 418
სემი და თაიგერი ..... 431
მეჩეთის ჩრდილი ..... 442
ქორწილი ..... 462
შუაღამე ..... 480
აბრაკადაბრა ..... 501


www.PDF.ChiaturaINFO.GE